# ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე

თან ახლავს 104 პორტრეტი და ქართულ ძეგლთა რეპროდუქციები, ორი გეოგრაფიული რუკა და მრავალი გამოუქვეყნებელი დოკუმენტი

რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს

ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა

გამომცემლობა კანდელი · თბილისი 1995

# ქართული წყაროთმცოდნეობა

## მასალები და გამოკვლევები

## 3

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ირინე აბულაძე, ზაზა ალექსიძე,
ზვიად ბოკუჩავა, აკაკი ბრეგაძე,
მიშელ ვან ესბროკი, ზურაბ კიკნაძე, ჟან-პიერ მაე,
რობერტ ტომსონი, ბერნარ უტიე, მიხეილ ქავთარია,
ციალა ქურციკიძე, ნოდარ შოშიაშვილი,
ედიშერ ჭელიძე, ლილი ხევსურიანი

სერიის მხატვარი
ილია უთურაშვილი

სამებაო წმიდაო, შეიწყალე და დაიფარე
შემომწირველი ამა წიგნისა
თეიმურაზ ლოლომბერიძე და შვილნი მისნი.

# Mikheil Tamarashvili (Michel Tamarati)

# The Georgian Church from Its Origin to the Present Day

**Edited and prepared for publication, with a preface by ZAZA ALEXIDZE and JUMBER ODISHELI**

The proclamation of Georgia as an independent state has facilitated many national undertakings, one being the setting up in 1993 of a Foundatoin for the study of the History of the Georgian Church. The aims and tasks of the Foundation are evident from its name. To date the Foundation has established two series: 1. Georgian Christian Art; 2. The History of the Georgian Church: Materials and Studies.

Under the first series, in 1994 the Foundation published Acad.. Vakhtang Beridze's book "Georgian Church Architecture of the 16th–18th Centuries", and under the second series: a collection of "Essays" by the emigrant Georgian scholar Mikel Tarkhnishvili (1897–1958), as well as "The Kvashveti Church of St. George in Tbilisi" by Kalistrate Tsintsadze (1866–1952), the Catholicos-Patriarch of Georgia. A study entitled "An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as revealed in the Writings of non-Georgian Pilgrims" by Gregory Peradze (1899–1942), an emigrant Georgian scholar, is coming out in 1995, as well as works of other scholars. The cited work by M. Tamarashvili is being issued under the second series.

Georgia is a country of ancient culture. It is also one of the oldest Christian countries. Christ's faith was preached here by Simon Cananite and Andrew the First Called. The Georgian Orthodox Church is autocephalous. Christianity was proclaimed the state religion in

Georgia in 337 A.D. through the effort of Saint Nino the Cappadocian, the illuminatrix of Georgia.

Early in the 20th century Mikheil Tamarashvili (Michel Tamarati 1858–1911), an highly erudite Georgian historian and doctor of theology, made an outstanding contribution to research on Georgian history in general, and the Georgian Church, in particular, by publishing a book in French, in Rome, devoted to the study of the history of the Georgian Church.

At present the Georgian translation of Tamarashvili's basic work "The Georgian Church from Its Origin to the Present Day" (L'église Géorgienne des origines jusqu'a nos jours, Rome, 1910) has become available to the Georgian reader. The author had two major aims in writing the book: (a) to compile the first complete course of the history of the Georgian Church, and (b) to introduce Georgia and her centuries–old Church history to enlightened Europe. It became clear to the readers and scholarly circles of the period that Tamarashvili had coped successfully with his task. Soviet historiography frowned upon research on Church history. Hence it is an unfortunate fact that to the present day even in Georgian there is no other work in the history of the Georgian Church that could stand comparison with Tamarashvili's study in terms of comprehensiveness. For the Western reader it still remains an important reference on Georgia.

It should be noted that, with rare exceptions, the Georgian Orthodox Church always backed the national process of the building of Georgian statehood, the leaders of the Church striving side by side with the Georgian kings.

The Georgian Church is an inalienable part of the Georgian people and Georgian statehood. Along with the peripeteias of the country's internal life, the history of the Georgian Church has come to reflect Georgia's foreign political and diplomatic relations. Georgian historiography has traversed a long road since the publication of Tamarashvili's book. Unfortunately it traversed this road without almost any knowledge of the results of that author. Hence many problems already posed, and even solved, had to be rediscovered. Many reports and observations in this book enrich Georgian historiography. Therefore this edition is not merely a tribute to the memory of the outstanding Georgian scholar and patriot. It is hoped that the work will take its due place in the study of the history of the Georgian Church, giving a fresh impetus to researchers interested in the topic.



# წინასიტყვა ქართული გამოცემისათვის

1910 წელს რომში გამოქვეყნდა ახალი წიგნის პუბლიკაციის ანონსი. მიქელ თამარატი (მიხეილ თამარაშვილი) ევროპელ მკითხველს ამცნობდა:

„თავს ნებას ვაძლევთ, განათლებულ საზოგადოებას და საერთოდ ფართო პუბლიკას შევთავაზოთ სრულიად ახალი სახის ნაშრომი, რომლის შინაარსი ისევე ნაკლებად არის ცნობილი, როგორც საინტერესო. ეს გახლავთ „ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე". რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეს ეკლესია არა მარტო წინააღმდეგობას უწევდა მწვალებლობებს თავდაპირველი მრწამსის შესანარჩუნებლად, არამედ იწვნევდა ქრისტიანობისა და ცივილიზაციის ყველაზე მრისხანე მტრების თავდასხმებს. იგი იქცა მარადიულ ჯვარცმულად, რომლის ისტორია უწყვეტი მარტიროლოგი გახლავთ. ამ თვალსაზრისით მას აქვს უფლება არდაივიწყებისა".

მართლაც, იმავე წელს საზოგადოებამ მიიღო მაღალ ევროპულ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი — „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე". მ.თამარაშვილის პირად არქივში დაცული მასალა ცხადყოფს, რა დიდი გამოხმაურება ჰქონდა მას მთელს ევროპაში, რა დიდი იყო წიგნზე მოთხოვნა და მისი რეცენზირების სურვილი.

მ. თამარაშვილის „ქართული ეკლესიის ისტორია" მართალია 1910 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ რამდენიმე წლით ადრე იყო მზად. გამოქვეყნებას მნიშვნელოვანი მატერიალური სახსარი სჭირდებოდა. ავტორს იგი არ გააჩნდა. რაც ჰქონდა, იმასაც წიგნის მასალის მოპოვებაში ხარჯავდა. ამიტომ, ბუნებრივია, საჭირო თანხის გამღებლებს მ. თამარაშვილი საქართველოშიც ეძებდა. წერილებში, რომელთაც ამ მიზნით წერდა, ცდილობდა, აეხსნა ადრესატისათვის წიგნის მნიშვნელობა და ხასიათი. ამ წერილებიდან ჩანს, როგორ კარგად ჰქონდა მას გააზრებული წიგნის სტრუქტურა, დანიშნულება და მნიშვნელობა. თავად გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილისადმი 1907 წლის 5 ნოემბერს მიწერილ წერილში წერს:

„ევროპაში ხშირად შევნიშნე, რომ საქართველოს და მის ეკლესიის შესახებ საზოგადოთ არავითარი ცნობა აქვსთ, და თუ იციან რამე, ისიც სულ შეცთომილი და მრუდე აზრით თუ სომხების და თუ რუსების ჭეშმარიტებას მოკლებული წერილების გამო. ამნაირ მოვლენამ მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ, რადგან ევროპა დღეს თვით უკანასკნელ და მეტად დაშორებულ ტომებსაც საკმაოდ იცნობს, ხოლო საქართველო თავისი წარსულით კი დღევანდლამდინ შავ წყვდიადში მოსილია მისთვის, რადგან აქამდის ვერცერთ ქართველმა განიზრახა ევროპისთვის წარედგინა ნამდვილი საბუთებით შედგენილი ისტორია, რათა ზედმიწევნით გაეცნობიერებინა მისთვის საქართველოს დიდებული წარსული. ამისთვის ესრეთი უმძიმესი ტვირთი მარტოდ მარტო მე ავიღე თავზე და შემდგომ დიდი განწირული შრომისა და ხარჯისა დავამთავრე ფრანგულად საქართველოს ეკლესიის ისტორია „L' Eglise Géorgienne".

რათა ეს შრომა სრული ყოფილიყო, თავში ჩავურთე გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური საქართველოს ისტორია, რომელიც ერთს შესანიშნავს წიგნს შეადგენს, თუ ცალკე გამოიცემოდეს. ამ შრომას დავატანე ორი გეოგრაფიული კარტაც ერთი ახლანდელი და ერთიც სულ უძველესის დროსა, ესე იგი უწინარეს ექვსი საუკუნისი ქრისტეზედ წინ. ამ შრომის აღწერა აქ ძლიერ შორს წავა. კმარა უწყოდეთ, რომ ყველა საგანი გამოვიკვლიე რაოდნათაც შეიძლებოდა უძველესის დროიდამ, სადამდისინც კი ისტორიული კვალი მიაღწევს. ეგრეთვე საეკლესიო ისტორიაში ვატან საქართველოს წმიდებისა და მონუმენტების სურათებსაც. თქმა აღარ უნდა, რა საგანსაც შევეხე, ყველა გამოვიკვლიე ისტორიული კრიტიკით, რაოდნათაც კი შეიძლებოდა, რათა ყველა კარგად დასაბუთებული წარუდგინო განათლებულ ევროპას. ჩემი ქართულად ორი გამოცემული წიგნი ამასთან შედარებით არასფრად ჩასათვლელი იქნება".

მ. თამარაშვილის წიგნმა, ცხადია, ჩამოაღწია საქართველოშიც. ქართველი განათლებული მკითხველის რეაქციას ნაშრომზე ზუსტად გადმოგვცემს სიმონ ქვარიანის მიერ 1911 წლის 5 თებერვალს ქუთაისიდან ავტორისათვის მიწერილი წერილი:

„წაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშენობით, საგულისმო მასალა-ფაქტებით და კარგის ფრანგული ენით. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ეგ თქვენი კაპიტალური ნაშრომი ძვირფასი განძია. ჩვენსა და ევროპის ლიტერატურაში ამ საგანზე ჯერ მაგის მსგავსი არაფერი დაწერილა. წიგნის ავტორს ეტყობა დიდი ერუდიცია და შრომის დიდი უნარი. ბ-ნო მიხეილ, ჭეშმარიტად ვაშა თქვენს მხნეობას, მეცადინეობას და სამშობლო ქვეყნის სიყვარულს! მე აღტაცებაში მოვყავარ თქვენს ასეთ არა თანამედროვე ქართველობას, არამედ ნამდვილ ევროპიულ უნარსა და ენერგიას. გისურვებ გულით დღეგრძელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ბედშავი ქვეყნის საკეთილდღეოდ. თუ თანამედროვე ქართველი საზოგადოება ვერ შეიგნებს თქვენს ასეთ ღვაწლს, მომავალი თაობა მაინც ღირსეულად დააფასებს მას და უკვდავჰყოფს თქვენს შარავანდედით მოსილ სახელს. ამაში ღრმათ ვარ დარწმუნებული..."

ამ ორ ნაწყვეტში მ. თამარაშვილის მიმოწერიდან ფაქტიურად ყველაფერია ნათქვამი: შეფასებულია წიგნიც და მისი ავტორიც, მოცემულია მომავლის სწორი პროგნოზიც. მხოლოდ ერთში შეცდა ს. ქვარიანი. როდესაც იგი დღეგრძელობას უსურვებდა მ. თამარაშვილს, „ქართული ეკლესიის ისტორიის" ავტორს სულ რაღაც რვა თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი. 1911 წლის 16 სექტემბერს 53 წლის ქართველმა აბატმა მიქელ თამარატიმ უცხოელი მოყვასისათვის თავი გასწირა იტალიაში სოფელ სანტა-მარინელასთან. მან ევროპას გააცნო ქართველი და საქართველო არა მარტო თავისი, როგორც თვითონ წერდა, „დიდი განწირული შრომით", არამედ თავისი ამ „დიდი განწირული" სიკვდილითაც. დაკრძალეს მ. თამარაშვილი 1911 წლის 18 სექტემბერს იქვე, სანტა-მარინელაში, ხოლო შემდეგ გადაასვენეს ქ. ჩივიტავეკიას პანსიონში.

მ. თამარაშვილის წიგნის გამოცემიდან დღემდე ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდი გზა გაიარა. სამწუხაროდ, ამ გზას იგი ისე გადიოდა, თითქმის არ იცნობდა მ. თამარაშვილის რომში გამოქვეყნებულ წიგნსა და მასში მოცემული კვლევის შედეგებს. ძნელია იმის ახსნა, რატომ მოხდა ასე: წიგნი ბევრს არა ჰქონდა ხელთ, ფრანგულად იყო დაწერილი, თუ მოქმედებდა კიდევ სხვა რაღაც უფრო დაფარული რამ მიზეზი. ფაქტი ის არის, რომ ხელახლა გახდა აღმოსაჩენი ზოგი ისეთი საკითხი, რომელიც მასთან გადაჭრილი თუ არა, დასმული მაინც იყო (მაგ., ევაგრე პონტოელის ვინაობა). ამ წიგნში ჯერ კიდევ არის ბევრი ისეთი ცნობა და დაკვირვება, რომელიც დღესაც გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას (პირველყოვლისა ეს ეხება საქართველოს დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებს). ამიტომ მისი ქართულ ენაზე გამოცემა მხოლოდ ხარკის გადახდა არ არის სახელოვანი

მეცნიერისა და პაპულიშვილის ხსოვნის წინაშე. დარწმუნებული ვართ, იგი ცოცხლად და აქტიურად ჩაერთვება საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში, ახალ იმპულსებს მისცემს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევართ, მომავალ თაობებს.

რაც უნდა კარგი აზრისა ვიყოთ მ. თამარაშვილის წიგნზე, მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ოთხმოცზე მეტი წლის წინ დაიწერა. ბევრი თეორია და ნაშრომი, რომელსაც ავტორი ეყრდნობოდა, მოძველდა, ქრონოლოგია შეიცვალა, ფაქტები დაზუსტდა და ა.შ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ამ დღესაც დიდად სასარგებლო წიგნს კრიტიკულად წაკითხვა უნდა და არა ყველაფერში ბრმად ნდობა. ნაშრომს თავისი კვალი დააჩნია მ. თამარაშვილის კონფესიურად კათოლიკობამაც, რომელიც საბედნიეროდ მხოლოდ მოვლენათა შეფასებებსა და ემოციებში გამოიხატება და არა კვლევის ობიექტურობაში. თავდაპირველად წიგნის რედაქტორებს განზრახული ჰქონდათ „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ შესაბამისი კომენტარებით გამოეცათ, ანუ აეძულებინათ მკითხველი, იგი თანამედროვე ისტორიკოსის თვალით წაეკითხა, მაგრამ თარგმანზე მუშაობის პროცესშივე ისინი დარწმუნდნენ ამ განზრახვის უნაყოფობაში. ჯერ ერთი, ასე გამოცემული წიგნი სულ მცირე ორჯერ მეტი გამოვიდოდა, ვიდრე ის ისედაც დიდტანიანი ნაშრომი, რომელიც მ. თამარაშვილმა დაგვიტოვა. მეორეც, სადავო შემთხვევებში, ან თუნდაც ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ჩვენი თვალსაზრისით სადავოც არ არის, უფრო დიდი დრო უნდა იყოს მსჯელი, ვიდრე დღემდე არის განვლილი. რაკი ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედით, ვარჩიეთ წიგნში არავითარი ცვლილება არ შეგვეტანა, არ გაგვესწორებინა აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებიც კი (ვთქვათ, როდესაც ერთი და იგივე ძეგლი ან ერთი და იგივე მეფის ზეობა ტექსტში სხვაგვარად არის დათარიღებული და ილუსტრაციის წარწერაში კი სხვაგვარად).

ქვემოთ გვინდა რამდენიმე განმარტება მივცეთ მ. თამარაშვილის წიგნის „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ ქართული თარგმანის მკითხველს:

1. წიგნის კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ იგი დაწერილია უცხოელი მკითხველისათვის, რომელიც სრულიად არ იცნობს, ან ძალიან სუსტად იცნობს, ქართულ სამყაროს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ავტორი წმინდა ნინოს შესახებ ამბობს: „ეს წმინდანი ძალიან ნაკლებად არის დღეს ცნობილი“.

2. რომ შეგვენარჩუნებინა წიგნში ავტორის დროინდელი სურნელი, მრავალრიცხოვანი ციტატა ქართული წყაროებიდან მოგვაქვს იმ გამოცემების მიხედვით, ვთქვათ, საბინინის „საქართველოს სამოთხის მიხედვით, რომელთაც ავტორი უთითებს, თუმცა დღეს უკვე არსებობს იმავე ტექსტების ბევრად უკეთესი პუბლიკაციები. ეს შენიშვნა არ ეხება ტექსტებს, რომელთა ფრანგული თარგმანი მ. თამარაშვილის დროს უკვე არსებობდა და ავტორი იყენებდა მათ თარგმანებს და არა დედანს. პირველ რიგში ვგულისხმობთ „ქართლის ცხოვრებას“, რომელიც მოგვყავს ს. ყაუხჩიშვილის და არა მ.- ბროსეს გამოცემით. ანალოგიურად, როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲსთჳს“ ავტორი მიუთითებს საგანგებოდ შატბერდულ რედაქციაზე, ჩვენ ტექსტი მოგვაქვს ამ ხელნაწერის ახალი, სპეციალური გამოცემიდან.

3. არაქართული წყაროები ქართული გამოცემისათვის საგანგებოდ არის თარგმნილი, თუ მათი თარგმანები დღემდე არ არსებობდა. თუ თარგმანი არსებობს, როდესაც არ უნდა იყოს იგი შესრულებული, მოტანილია შესაბამისი პუბლიკაციიდან.

4. მართალია, წიგნის ქართული გამოცემა არსებითად იმეორებს თავის ფრანგულ დედანს, მაგრამ მაინც რამდენადმე გამარტივებულია. მაგალითად, როდესაც ავტორს თარგმანთან ერთად მოაქვს ბერძნული, ლათინური, არაბული, სპარსული ან სხვაენოვანი ტექსტები, მხოლოდ თარგმანით ვკმაყოფილდებით, დედანს აღარ ვიმეორებთ და ვუთითებთ მის სათანადო გამოცემაზე.

5. ბერძნული და ლათინური ტექსტები, რომელთა თარგმანი ქართულად არ

არსებობდა, საგანგებოდ არის ამ წიგნისათვის თარგმნილი დედნიდან (მთარგმნელები იამზე გაგუა და თინათინ ლოლიძე) და არ არის გადმოღებული მ. თამარაშვილის ფრანგული თარგმანიდან. ამ წიგნისთვის ასევე ითარგმნა იტალიურიდან იტალიელ მისიონერთა ის წერილები, რომელთა თარგმანი ქართულად არ გაგვაჩნია (მთარგმნელი ნინო ხმალაძე), და მადლობას მოვახსენებთ იტალიელ ქართველოლოგებს ლუიჯი მაგაროტოსა და ჯორჯიო როტას მთარგმნელისთვის გაწეული კონსულტაციისთვის.

ხ. არქივების, ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოგრაფიის ინდექსში შენარჩუნებულია დედნის ყითარება. გამონაკლისი გაკეთებულია მხოლოდ ქართულისათვის.

7. თუ ჩვენ მიერ გამოყენებულ გამოცემაში ქართული წყარო უაზრობამდე არის დამახინჯებული, მასში მცირე შესწორება შეგვაქვს სწორი წაკითხვისა და, განსაკუთრებით, თვით მ. თამარაშვილის თარგმანის გათვალისწინებით.

8. ის ტექსტები, რომელთა თარგმანი თვით მ. თამარაშვილს ეკუთვნის („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“) ჩვენს მიერ მხოლოდ მცირედ არის ნარედაქტირები, უმთავრესად ორთოგრაფიის თვალსაზრისით.

მ. თამარაშვილის წიგნის — „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ გადმოქართულება, ქართულ ისტორიოგრაფიასა და წყაროებთან მისი ადაპტაცია არ იყო იოლი საქმე. ალბათ ამიტომ აღინიშნა იგი ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით 1990 წელს პარიზში ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ დაწესებული ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით.

პირველთაგანი, რომელმაც მიხეილ თამარაშვილის დიდი ღვაწლი დაინახა, ამაგი ჯეროვნად დააფასა, გახლდათ მათი თანამედროვე და ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი, თავადაც შესანიშნავი ქართველი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. თბილისში, 1912 წელს, დაიბეჭდა მისი პატარა წიგნი „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები — მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი“.

მ. თამარაშვილი პოლიგლოტი იყო, იცოდა: იტალიური, ლათინური, ფრანგული, თურქული, სომხური, ბერძნული, ქართული. ზაქარია ჭიჭინაძეს მოჰყავს ალექსანდრე ხახანაშვილის სიტყვები — „მე პირველად ვხედავ ასეთ შრომისმოყვარე ქართველ კაცს, ეს პირველი მაგალითია, რომ ასეთ შრომასა და ცოდნასთან ევროპის ერთა ამდენი ენებიც იცოდესო... მ. თამარაშვილის შრომამ მე ცხადლივ დამიმტკიცა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ქართველ კაცსაც შესძლებია ვრცელი თხზულების წერა“.

მიხეილ თამარაშვილის შემოქმედებითი შრომის საფუძველზე ნათელი ეფინება მრავალ მეცნიერულ პრობლემას. საქართველოს დემოგრაფიული ისტორიის თვალსაზრისით კარგად ჩანს, რომ ქართველთა საკმაოდ მასობრივი გასომხების ერთ-ერთი ფაქტორი სომეხ კათოლიკეთა მეცადინეობის შედეგი ყოფილა. მგზნებარე პატრიოტის, ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში არის სიტყვები, რომელნიც ნიშანდობლივ გასათვალისწინებელია განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ამჟამინდელ ქართველთათვის — „თუმცა ჩვენს სამშობლოში ხშირად დიდს უბედურებაშიც ვიყავით, მაგრამ მაინც ქართველი კაცის გული და სული საქართველოს ნიადაგზე ისე იყო მიბმული და მიჯაჭვული, რომ იგი საქართველოს მიწას არას შემთხვევაში არ დასტოვებდა, არას გასაჭირში საქართველოდან სხვაგან არ გადასახლდებოდა“.

ძნელია უკეთესი სიტყვები მოიძიო დიდებული მამულიშვილის მიხეილ თამარაშვილის შემოქმედების თანამედროვის თვალით შესაფასებლად, ვიდრე ეს შეძლო ზაქარია ჭიჭინაძემ: „მ. თამარაშვილის შრომა ჩვენს მწიგნობრობაში არის უშესანიშნავესი შრომა, თვალთ-საჩინო, სადაც „ქართლის ცხოვრება“ იქმნება და სხვა მისთანა წიგნები, იქ არც ეს წიგნი ჩამორჩება უკან. ამიტომ ჩვენ სრულის სიამოვნებით და სიხარულით ვეგებებით მ. თამარაშვილის შრომას. მისი შრომის დაფასება დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან, ამის გადახდა მომავალში შეეძლება მხოლოდ ქართველ განათლებულს საზოგადოებას, რომელიც შეიგნებს მ. თამარაშვილის საქართველოს ისტორიისათვის დაუფასებელ შრომის მნიშვნელობას... სწორედ საგლოველია ჩვენი

წარსული, სავალალო და სატირელიცა კი, გულით სწუხარ, სულით იტანჯები იმ დროს, როცა შენის სამშობლოს ასპარეზზედ ხედავ აუარებელს უძლურებას და იმავე დროს, შინათ გამცემთ, დამღუპავეთ და ქვეყნის დამნაცრებელ ფარფარუჭობას. ასეთის სურათების ჭეშმარიტი თავდებია მ. თამარაშვილი... ვინც კი მოასწრო და გადაშინჯა ეს შრომა, ყველანი აღტაცებულნი დაშთნენ".

ზემოთაც იყო აღნიშნული, მთლად ნათელი არ არის, ქართული ისტორიოგრაფიის გზაზე მიხეილ თამარაშვილის ნაკვალევი მაინცდამაინც მკაფიოდ რატომ ვერ აისახა. ფაქტია, მისი სახელი, შემოქმედება რამდენადმე მივიწყებული იყო. ახალი ეტაპი დაიწყო, როდესაც 1978 წელს მიხეილ თამარაშვილის ნეშტი იტალიიდან საქართველოში გადმოასვენეს. მისი სახელი შესულია ქართულ ენციკლოპედიაში. ყველაზე სრული ცნობები მ. თამარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ აისახა პროფესორ შოთა ლომსაძის მონოგრაფიაში „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი" (თბილისი, 1984 წ.).

მიხეილი დაიბადა 1858 წლის სექტემბერში ქალაქ ახალციხეში, პეტრე თამარაშვილის მრავალშვილიან ოჯახში. ერისკაცობაში ალექსანდრე ერქვა და ათი შვილიდან მეცხრე გახლდათ. ოჯახში რუმბების კეთების ხელობას მისდევდნენ, მაგრამ ნიჭიერი, გონებაგახსნილი ბავშვი, მიხეილი, „ქვემო ეკლესიის" სამრევლო სკოლაში მიუბარებიათ ამ სკოლის მესვეურისა და თავკაცის, გამოჩენილი თეოლოგი-ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გვარამაძისთვის (წერდა „ვინმე მესხის" ფსევდონიმით). მოძღვარმა წარუშლელი კვალი დაამჩნია ბავშვის სწავლა-განათლების საქმეს. იგი შემდგომშიც განსაკუთრებული სითბოთი განაგრძობდა ყოფილ შეგირდთან მეცნიერულ, თუ ადამიანურ, სულიერ ურთიერთობას. ივანე გვარამაძე იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნიჭიერ ყმაწვილს, ჩანს მან „საგანგებო წვრთნა დაუწყო მას, ვითარცა დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცსა".

1874 წელს მიხეილი ძმასთან ერთად ქუთაისში გადავიდა. წარუმატებლად სცადა საბაყლო დუქანს გაძღოლოდა, ხარაზობდა კიდეც. შემდეგ, კვლავ წარუმატებლად, ძმებმა სახარაზო სახელოსნო ხაშურში გახსნეს, გაკოტრდნენ და ახალციხეში დაბრუნდნენ.

1878 წელს ივანე გვარამაძის გულმოდგინე რჩევით, რეკომენდაციითა და ლოცვა–კურთხევით მიხეილი სწავლის გასაგრძელებლად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასწავლებელში. იქვე აღიკვეცა ბერად. იქიდან, კიდევ ორ წარჩინებულ მოსწავლესთან ერთად კათოლიკეთა ძმობამ მიხეილი საკუთარი ხარჯით ესპანეთს მიავლინა სწავლის გასაგრძელებლად. გამოცდების ჩაბარების შემდეგ მ. თამარაშვილი ჩაირიცხა სემინარიაში, სამი წელი ისწავლა ესპანეთში, შემდეგ კვლავ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. აქ მღვდლად აკურთხეს, აღჭურვეს „ხმის გალების" უფლებით. შემდეგ, პეტრე ხარისჭირაშვილის მატერიალური დახმარებით ახლად ხელდასხმული პატრი მიხეილი და მისი მეგობარი იოსებ მერაბიშვილი პარიზში გაემგზავრნენ განათლების გასაგრძელებლად წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში.

1888 წელს თამარაშვილი და მერაბიშვილი, პარიზის სასულიერო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, კვლავ კონსტანტინოპოლში არიან. დასნეულებული პეტრე ხარისჭირაშვილის მონაცვლემ კონსტანტინოპოლში მაინცდამაინც ვერ ივარგა და მიხეილ თამარაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. თბილისში იგი კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის მოძღვრად გააშწესეს. შოთა ლომსაძე შენიშნავს, რომ „იგი მრევლს ისტორიის პატრიოტულ ფურცლებს ახსენებდა... სიმტკიცისა და ერთობისაკენ მოუწოდებდა". მისი ქადაგებანი „ეროვნულ საკითხებზე ჩატარებულ მეცნიერულ ლექციებს უფრო ჰგავდა". ამ დროს კი ის ხანა იდგა, როდესაც მძაფრ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, კავკასიის მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის აქტიური მხარდაჭერით, არმენიზაციის გეზიც დაემატა. მაგალითისათვის 1886 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება „ქართული ენის გამოყენების აკრძალვის შესახებ სომხურ-კათოლიკურ

ეკლესიებში მღვდელმსახურების დროს და კავკასიის ლათინურ სამრევლოებში“. 1893 წლის მაისის უზენაესი ბრძანებით ქართველ კათოლიკეთა ეკლესია მოხსენებული იქნა ეითარცა სომხური.

ასეთ ვითარებაში განათლებული პატრიოტი, პატრი მიხეილი, თბილისში მეტად არასასურველი პიროვნება გახლდათ და მისდამი მტრულად განწყობილმა თბილისის გუბერნატორის ძმამ, პრელატმა მაქსიმე ორლოვსკიმ, შეძლო მისი გაძევება ახალციხეში, თან მღვდელმსახურების უფლება ჩამოართვა 1889 წელს თამარაშვილი სტამბოლში ჩავიდა. იქიდან 1890 წლის ზაფხულში რომს გაემგზავრა. მიხეილს კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოც დევნიდა, მაგრამ მან გამოცდები ჩააბარა რომის სასულიერო აკადემიაში და ჩაირიცხა კიდეც იქ. საეპისკოპოსო შემდგომშიც არ ეშვებოდა მ. თამარაშვილს — რამდენჯერმე მიმართა ვატიკანს, რომ თამარაშვილი აკადემიიდან გაერიცხათ.

თამარაშვილის ფონდში დაცული მიმოწერით, განსაკუთრებით კი მისი მეცნიერული პროდუქციით, კარგად ჩანს ის ჭეშმარიტად ტიტანური შრომა, რომელიც მეცნიერმა გასწია რომის, საერთოდ ევროპის არქივ-საცავებში ქართული მასალების მოსაძიებლად. დიდ ჯაფას თან ერთვოდა მუდმივი, გულის გამაწვრილებელი ხელმოკლეობა, შეუნელებელი ფიქრები ახლობლებზე, თანამეტომეებზე.

1894 წელს მიხეილ თამარაშვილი რომიდან კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს, მეცნიერულ მოღვაწეობას მოწყვიტეს, მაგრამ 1897 წელს იგი კვლავ დაბრუნდა რომში და სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე მეცნიერულ საქმიანობას მისდევდა.

1894 წელსვე დაამთავრა მ. თამარაშვილმა რომის სასულიერო აკადემია და თეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო. შემდგომში იგი იყო რომის უნივერსიტეტის პროფესორი, მოღვაწეობდა სხვადასხვა კოლეჯში. როგორც მ. თამარაშვილის პირადი არქივის მასალებიდან ირკვევა, იგი იყო რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი რომის პაპის კარზე (იხ. ნათელა ფოფხაძე, მიხეილ თამარაშვილის არქივის იტალიური ფონდის სიახლეები, ჟურნალი „ცისკარი“, 1988, №11).

1902 წელს თბილისში დაიბეჭდა მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტური შრომა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ ღვაწლმოსილი მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომია.

1978 წელს რ. თაბუკაშვილის ინიციატივითა და მეცადინეობით მ. თამარაშვილის ნეშტი იტალიიდან თბილისში გადმოასვენეს და დაიკრძალა დიდუბის პანთეონში. ამ წიგნის ქართულად გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორიც სწორედ რ. თაბუკაშვილი იყო. წიგნის თარგმნა და მისი გამოქვეყნება ძალიან დაგვიანდა, მაგრამ ახლა უკვე საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მ. თამარაშვილი თავისი შემოქმედებითაც მთლიანად დაუბრუნდა სამშობლოს.

„წიგნებს თავისი ბედი აქვთ“. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ფართო მკითხველი საზოგადოება გულისყურითა და ინტერესით მიიღებს ვალმოხდილი მამულიშვილის ნაშრომს. სწორედ იმიტომაც, რომ ჩვენში ამჟამად შექმნილი მძიმე ვითარების გამო წიგნების ბეჭდვა ფრიად გართულდა, კვლავ ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ ჩვენი წინათქმა — „კითხვის დროს, მკითხველი რამდენიც უფრო მწარე ცნობებს და წუთებს ხედავს ქართველი ერისას, იმდენი მას უფრო უცხოველდება სიყვარული ჩვენის ბნელის ეტლისა, დატანჯული სამშობლოს არსებობისა. საჭიროა, ჭეშმარიტად საჭიროა, რომ ასეთი ისტორიული წიგნები ჩვენს ენაზედ ხშირად ისტამბებოდეს“.

**ზაზა ალექსიძე,**

**ჯუმბერ ოდიშელი**

## წინასიტყვა

საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით მისი საეკლესიო ისტორია, ნაკლებად არის ცნობილი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, სწავლული საზოგადოებისათვის გაგვეცნო ნაშრომი, რომელიც ზუსტ სურათს შეუქმნიდა მას ქართულ ეკლესიაზე.

ამ საქმის განხორციელება არ იყო იოლი. რაკი არ არსებობს საკუთრივ საქართველოს საეკლესიო ისტორია, მრავალმხრივი კვლევა-ძიების ჩატარება მოგვიხდა საჭირო მასალის შესაგროვებლად[1], მაგრამ არ ვნანობთ გაწეულ გარჯას და გვჯერა, ცოტათი მაინც შევძელით, ნათელი მოგვეფინა ქართული ეკლესიისათვის, რომელიც მართლაც დაფასებას და პატივისცემას იმსახურებს.

საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ეკლესიამ არა მარტო შეძლო, გმირულად აღსდგომოდა მწვალებლებს, რათა შეურყვნელად შეენარჩუნებინა თავისი ჭეშმარიტი რწმენა, არამედ მრავალი ბრძოლა გაუმართა ქრისტიანობისა და ცივილიზაციის ყველაზე მრისხანე მტრებს. ამრიგად, ქართული ეკლესია მარადიული ჯვაროსანი გახდა, მისი ისტორია კი — მარადიული მარტიროლოგი. შეიძლება ითქვას, იგი უფრო მეტად ეწამა თავისი

1 ჩემ მიერ გამოქვეყნებული ყველა ტექსტი გამოუცემელია, გარდა ზოგიერთი მათგანისა, რომლებიც მეტად იშვიათ ნაშრომებშია დაბეჭდილი.

სარწმუნოების დახაცავად, ვიდრე ცხელა აღმოსავლური ეკლესია ერთად აღებული.

წიგნში შევეხეთ ქართული ეკლესიის არსებობის ცხელა სტადიას პირველი საუკუნიდან დღემდე: მის ჩასახვას, განვითარებას, დაცემას.

ამასთანავე განვიხილეთ ცხელა მომიჯნავე საკითხიც.

ნაშრომი უფრო საინტერესო რომ გაგვეხადა, მასში ჩავრთეთ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები და იმ ქართულ მეგლოთა რეპროდუქციები, რომლებზედაც კი ხელი მიგვიწვდა.

შეძლებისდაგვარად ვეცადეთ მეტი სიცხადისათვის წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაგვეცვა.

ამავე მოსაზრებით საჭიროდ მივიჩნიეთ, მიმოგვეხილა საქართველოს სამოქალაქო და პოლიტიკური ისტორია. პირველი სამი თავი დავუთმეთ გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ მიმოხილვას, თან დავურთეთ ძველი და თანამედროვე საქართველოს ორი რუკა, ვისარგებლეთ დიდ სომხეთსა და სხვაგან აღმოჩენილი წარწერებითა და მეგლებით და გავმედეთ, ჩვენს გამოკვლევაში წარმოგვეჩინა წინაისტორიული ხანაც.

ვფიქრობთ, ამ ჟანრში შეძლებისდაგვარად სრული და საინტერესო ნაშრომი შევქმენით, რომელსაც, იმედია, კეთილად მიიღებს ცხელა, ვინც დაინტერესებულია საეკლესიო ისტორიით საერთოდ და კერძოდ მიზანცეური ეკლესიის სხვადასხვა განშტოებით.

რომი, ივნისი, 1910.

# ბიბლიოგრაფია

## არქივები

## Archives du Vatican


Reg. Vat., N 12, 17, 19, 44, 62, 92, 94, 95, 188, 250.
Reg. Av., N 134, 228.
Reg. Later.: Martin V, Alexandre VI, Paul III, Urbain VIII.
Epistolae ad Principes, ტ. XC, CLXV et CLXXVIII.
Nunziatura di Francia, ტ. CCXXVII.
Lettere di Particolari, ტ. CXCVI.


## Archives de la Propagande


Acta S.C., 1686, 1699, 1708, 1714, 1716 წწ., Giorgia.

Lettere Della S.C., ტ. V, VII, X, XI, XVIII, XXI, XXX, XXXIII, LII, LIII, LXI, LXVIII, LXX, LXXIX, LXXXI, LXXXVII, LXXXIX, XCI, C, CIII, CIV, CVII, CVIII, CIX, CX, CXI, CXVI, CXXXIX, CLVII, CLVIII, CLIX, CLX, CLXXI, CLXXIII, CLXXXVIII, CXCIV, CXCV, CXCVI, CCII, CCIII, CCIV, CCV, CCVI, CCVIII, CCXIV, CCXV, CCXIX, CCXXXVIII, CCXXXIX, CCXL, CCLXXXI, CCLXXXII, CCLXXXIII, CCLXXXV, CCXCIV, CCXCV.

Asia, Cipro, ტ. CCX, CCXXVIII.

Lettere di Polonia, Russia, Illirico, Valachia, Giorgia, ტ. LXXIII.

Asia, Persia, Giorgia, Mengrellia, ტ. CCIX.

Tartaria, Soria, Persia, Giorgia, ტ. CXLVII.

lettere di Germania e Boemia, ტ. LXX.

Lettere di Ungaria, Polonia, Russia, Colonia, Amburgo.

Alsazia e Palatinato, ტ. LVII.

Lettere di Levante e dell'Asia, ტ. CXV.
India e Giappone, ტ. CXCIV.
Persia, Giorgia, Mengrellia e Tartaria, ტ. VII, CXXIII, CCX.
Collectanea scripturarum, Miscellanee varie, ტ. VI.
Asia, Giorgia, Mengrellia, ტ. CCXXIX.
Scritture originali, ტ. CVIII.
Scritture originali riferite, ტ. DLXVI.
Lettere non riferite, Romania, ტ. VIII.
Miscellanee varie, ტ. I
Scritture riferite, Giorgia, ტ. I, II, IV, V.
Scritture non riferite, Monte Caucaso, ტ. III.

## Archives du Collège Urbain de la Propagande

Registro degli alunni del Collegio Urdano, ტ. I, II, III.

## Archives du Saint – Office

Decreta, 1757 წ.

## Archives des Capucins, Maison Généralice à Rome

Armoire Giorgia.

## Archives des Capucins à Trébizonde

Différents documents séparés.

## Archives des Théatins, à Saint – André della Valle, Rome

Lettere dei Missionari, n.9 C.

## Archives des Capucins à Montughi, près de Florence

Missionari Toscani, ტ. I, II.

## Archives d'Etat de Florence

Cosimo III, lettere e Minute, ტ. 1028.
Settimanni, Diario florentino, ტ. XV.

## Archives du Ministère des Affaires Etrangères à Paris

Perse, ტ. III, IV.

### ხელნაწერი წყაროები

## Bibliothèque Vaticane

Papyrus Borgia (transportés, en 1904, du Musée de la Propagande).
Manuscrit géorgien n. I.
Codex Vaticanus Arabicus N 76. – Codex Vaticanus Syriacus n. 106.

## Bibliothèque Communale de Palerme

Miscellanea d'Oriente: Descriptio originis missionum Theatinorum in Regno Georgiae, n. 94.

## Bibliothèque Nationale de Paris

Fonds manuscrits géorgiens, n. 24, et Suppl. arménien, n. 67.

## Bibliothéque Synodale (Patriarcale) de Moscou

Manuscrits grecs, n. 346.

### ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა

ქართული ხელნაწერები, № 97, 262, 352, 425, 1491.

### თბილისის საქალაქო მუზეუმი

ქართული ხელნაწერები, № 19, 48, 76, 86, 94, 160, 170, 186, 770, 856.
სიგელი № 856.

## British Museum, Londres

Additional manuscripts, n. 12, 174.

### ნაბეჭდი ლიტერატურა


Abulpharagi Gregorii, Chronicon Syriacum, Leipzig, 1749.

Aeneas Sylvius, Cosmogr., seu Rerum ubique gestarum descriptio, Venise, 1544.

Agathias le Scolastique, Histoire, dans Migne, P.G., ტ. LXXXVIII.

Albéric des Trois-Fontaines, Chronica, dans H. Pertz, Monumenta Germaniae historica, S. XXIII, Hanovre, 1874.

Ambroise (saint), De Obitu Theodosii Oratio, dans Migne, P.L., ტ. XVI.

Ammien Marcellin, Histoire.

Antonin (saint), Historia tripartita, Lyon, 1527.

Appien, Guerre de Mithridate.

Arich (Von R.), Ist die Aehnlichkeit des glagolitischen mit dem grusinischen Alphabet zufall? Leipzig, 1895.

Assemanus (Josephus), Bibliotheca orientalis, წიგნი 3, Rome, 1719.

Auvray (L.), Les Registres de Grégoire IX, ტ. I, Paris, 1896.

Avril (Philippe), Voyage en divers Etats d'Europe et d'Asie, Paris. 1692.

Babelon, Histoire ancienne de l'Orient, ტ. IV, Paris, 1885.

ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889.

Baedeker (J.), Palestine et Syrie, Leipzig, 1906.

Baillet, Les vies des Saints, Paris, 1904.

Barante (de), Histoire des ducs de Bourgogne, ტ. VIII, Paris, 1829.

Baronius, Annales ecclesiastici, ტ. I და IX, Rome, 1583 – 1588; Martyrologium romanum cum notis, Rome, 1536.

Bedik (Petrus), Cehil sutum seu Explicatio Theatri Quadraginta Columnarum in Perside, Lemberg, 1678.

Bergeron, Relation des voyages en Tartarie, Paris, 1634.

Bochart, Geographia sacra, Caen. 1646.

Bollandistes, Acta Sanctorum, წიგნი 31.

Botta, Monuments de Ninive: Inscriptions, Paris, 1849.

Brocardus, Descriptio Terrae Sanctae, Magdebourg, 1578.

Brosset, Histoire de la Géorgie (თარგმანი), წიგნი 3, Saint-Pétersbourg, 1849 – 1858; Additions à l'histoire de la Géorgie, Saint – Pétersbourg, 1851; Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, წიგნი 3, Saint – Pétersbourg, 1849 – 1851; articles dans Mélanges asiatiques, ტ. II და V.

Brugsch (Heine), Histoire de l'Egypte, ტ. I, Leipzig, 1859.

Burnouf, Article dans Journal des Savants, mars 1835.

Caietanus (Octavius), Vita SS. Siculorum, Palerme, 1656.

Carayon (le P. Auguste), Documents inédits concernant la Compagnie de Jésus, ტ. XX, Poitiers, 1869.

Carli (Missionario), Il Moro, Bassano, 1687.

Carrière (Auguste), Moïse de Khorène et les généalogies patriarcales; Nouvelles sources de Moïse de Khorène; Les huits sanctuaires de l'Arménie païenne, Paris, 1899.

Caterin (Zeno), Storia delle sue avventure in Persia, Venise, 1783.

Cedrenus, Annales sive Historiae, ტ. II, Paris, 1647.

Chantre (Ernest), Recherches anthropologiques dans le Caucase, წიგნი 5, Paris, 1855 – 1856.

Charancey, articles dans Journal Asiatique, სერია X, ტ. X, 1907.

Chérif Ed – Din, La vie de Timour – Leng, trad. francaise par Petit de La Croix, წიგნი 4, Paris, 1788.

Chopin, Univers pittoresque, ტ. II.

Chrysostome (saint Jean), In Genesim; Oratio de perpetua caritate, édit. Gaume, ტ. IV, VI.

Ciaconius – Oldoini, Vitae et res gestae Romanorum Pontificum et S.R.E. Cardinalium, წიგნი 4, Rome, 1677.

Combes (Louis de), La vraie Croix, Paris, 1902.

Cotelier, Ecclesiae Graecae Monumenta, Paris, 1666.

Cotovicus (Joannes), Itinerarium Hierosolymitanum, Anvers, 1619.

Cottono (Caietanus M.), De Scriptoribus clericorum regularium, Palerme, 1733.

Cyrille d'Alexandrie (saint), Adversus Julianum.

Cyrille de Jérusalem (saint) Catéchèse, dans Migne, P.G., S. XXXIII.

Dasippe, Anecdoti ossia la Storia segreta della famiglia ottomana, Naples, 1729.

Davidof, L'industrie du cuivre dans la Transcaucasie, Odessa, 1894.

De Cara (le P.Cesare) (A.), Gli Hyksos o Re Pastori, Rome, 1889; Gli Hethei, Rome, 1894.

De Gubernatis (F.), Orbis seraphicus, De missionibus inter infideles, Rome, 1689.

De Guignes, Histoire générale des Huns, dans Extraits des manuscrits de la Bibliothèque du Roi, ტ.II, Paris, 1766.

De Serpos, Compendio storico di memorie cronologiche, წიგნი 3, Venise, 1786.

Della Valle (Pietro), Viaggi, წიგნი 3, Bologne, 1677.

Diodore de Sicile, Bibliothèque historique, Hanovre, 1604.

Dion Cassius, Histoire romaine, Hanovre, 1606.

ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1866.

Dubois de Montpéreux, Voyage autour du Caucase, წიგნი 6, Paris, 1839 – 1840; Quelques notices sur la race caucasique, Paris, 1839.

Duchesne (Mgr L.), Les origines du culte chrétien, Paris, 1889.

Echard (J.), Scriptores Ordinis Praedicatorum recensiti, წიგნი 2, Paris, 1719 – 1721.

Eginhard, Annales, dans Migne, P. L., ტ. CIV.

Epiphane (le moine). Vita sancti Andrea, dans Migne, P. G., ტ. CXX.

Eubel (C.), Hierarchia Catholica Medii Aevi, წიგნი 2, Ratisbonne, 1899 – 1903.

Euchere (saint), Instructiones, dans Migne, P. L., ტ. I.

Eusèbe, Praeparatio evangelica; Histoire ecclésiastique, dans Migne, P. G., ტ. XX.

Eustathe d'Antioche, Commentarius in Hexameron, dans Migne, P. G., ტ. XVIII.

Faure (E.), Le glacier de la chaîne du Caucase, dans Archives des sciences physiques et naturelles, Genève, 1889: Recherches géologiques dans la partie centrale de la chaîne du Caucase, Genève, 1875.

Faustus de Byzance, Histoire, dans Collection des historiens anciens et moderns de l'Armenie de V.Langlois, ტ. I, Paris, 1867.

Féret, Mémoire sur l'ère arménienne, dans ses Euvres complètes.

Ferrario, Costumi antichi e moderni di tutti i popoli, Asia, ტ. IV, Milan, 1829.

Ferro (Bart.), Istoria delle missioni dei Chierici Regolari, წიგნი 2, Rome, 1704.

Figueroa (D. Garcias de Silvia), L'Ambassade en Perse, Paris, 1667.

Flandin (E.), L'Arménie, dans Revue des Deux – Mondes, ტ. VI, Paris, 1851.

Fleury, Histoire Ecclésiastique, ტ. XXII, Paris, 1730.

Fontana, Sacrum Theatrum Dominicanum, ტ. II, Rome, 1666.

Frédégaire, Chronicon, dans Historiae Francorum Scriptores, ტ. I, et dans Migne, P. L., ტ. LXXI.

Galanus (C.), Comciliatio Eccl. Armenae cum Romana, წიგნი 3, Rome, 1650 – 1654.

Galterii Cancellarii Antiocheni, Bella Antiochena, 1121, dans Recueil des Historiens des Croisades, Auteurs occidentaux, Paris, 1895.

Gamba (chev. De), Voyage dans la Russie Méridionale et dans les provinces au dela du Caucase, წიგნი 2, Paris, 1826.

Gatteyrias, L'Armenie et les Arméniens, Paris, 1882.

ჯავახიშვილი, ჟურნალი „მოამბე“, თბილისი , 1900 წ., № 6.

Gouvea (Antoine de), Relation des grandes guerres et victoires obtenues par le Roy de Perse, Chah Abbas, Rouen, 1646.

Grégoire de Nazianze (saint), Epistolae Testamentum, dans Migne, P. L., ტ. XXXVII.

Grégoire le Grand, Epistolae, dans Migne, P. L., ტ. LXXXVII.

Grégoire de Tours (saint), De gloria martyrum, dans Migne, P. L., ტ. LXXI.

Guidi (Ignazio), Di alcune pergamene saidiche, Rome, 1903.

Guillaume de Tyr. Historia rerum in partibus transmarinis gestarum, dans Recueil des Historiens des Croisades, Auteurs, occid., წიგნი 5, Paris, 1844 – 1895.

Hammer (De), Storia dell'impero ottomano, ტ. XIII, Venise, 1830.

Hayton, Historia di Hayton Armeno, dans Ramusio, Viaggi e navigationi, ტ. II, Venise, 1674.

Henrion, Storia universale delle Missioni cattoliche, წიგნი 2, Turin, 1846.

Hérodote, Histoires.

Homère, Odyssée.

Huysmans, Les foules de Lourdes, Paris, 1906.

Iacobus de Verona (Frater), Liber peregrinationis, dans Revue de l'Orient latin, 1895, ტ. III.

Indjidjan, Antiquités ou Archeologie de l'Arménie (en arménien), წიგნი 3, Venise, 1838.

Isidore (saint), De ortu et obitu Patrum, dans Migne, P. L., ტ. XXXIII.

Iuvencius (Iosephus), Historiae Societatis Iesu, ტ. XVII, Rome, 1710.

Jacquemot (abbé A.), La Tunique sans couture de N. S. Jésus – Christ conservée dans l'église d'Argenteuil, Lille, 1894.

Jérôme (saint), Commentarius in Isaiam; Liber de situ et nominibus locorum hebraicorum, dans Migne, P. L., ტ. LXXXIII.

ჟორდანია თ. ქრონიკები, წიგნი 2, თბილისი, 1893.

Josèphe, Antiquités Judaïques.

Justinianus (Horatius), Acta Concilii Florentini, Rome, 1638.

Kamil Altevarykh, Extraits de sa Chronique, dans Recueil des Historiens des Croisades, Auteurs orientaux, წიგნი 3, Paris, 1872 – 1884.

კარბელაშვილი პ., ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 1898, იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, თბილისი,1900.

Klaproth, Tableau Historique du Caucase, Leipzig, 1827; Mémoires Relatifs à l'Asie, წ იგნი 2, Paris, 1828.

Knoebel, Die Völkertafel der Genesis.

Krusinski (P. T.) Tragica Vertentis belli Persici historia, Leipzig, 1740.

Lactance, De Mortibus persecutorum, Rome, 1693.

Lagarde (Paul de), Gesammtlisches Abhandlung.

Lamberti (A.), Relazione della Colchide, Naples, 1654; Sacra istoria dei Colchi (Colchida sacra), Naples, 1675.

Langlois (E), Les Registres de Nicolos IV, ტ I, Paris, 1893.

Langlois (V.), Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, Paris, 1860; Géographie de Ptolomée, Paris, 1867; Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, წიგნი 2, Paris, 1867.

Layard, Inscriptions in the cuneiform character, Londres, 1865.

Lebeau, Histoire du Bas – Empire, წიგნი 21, Paris, 1825 sqq.

Lemoine, Varia sacra, Lyon, 1665.

Lenormant (F.), Les premières civilisations, წიგნი 2, Paris, 1874; Les origines de l'histoire d'après la Bible et les traditions des peuples orientaux, წიგნი 3, მისივე, 1880 – 1882; Recherches sur les populations primitives, წიგნი 2, მე–2 გამოც., მისივე, 1881 – 1887; Histoire ancienne de l'Orient, წიგნი 6, მისივე, 1881; Sur l'ethnographie et l'histoire de l'Arménie avant les Achéménides, dans Lettres assyriologiques et

epigraphiques, წიგნი 2, მისივე, 1892.

Léon IX (saint), Opuscula, dans Migne, P. L., ტ. CXLIII.

Le Quien, Oriens christianus, წიგნი 3, Paris, 1740.

Lichtemberger, Encyclopédie des sciences religieuses, ტ. IV, Paris, 1878.

Lynch (H. F. B.), Armenia, Travels and studies, londres, 1901.

Macaire III (Za'in), Histoire de la conversion de la Géorgie, publiée par Madame Olga de Lébédev, Rome, 1905.

Mai (card. A.). Scriptorum veterum nova collectio, ტ. VI, X, Venise, 1862.

Marcellino da Civezza (le P.), Storia universale delle missioni francescane, წიგნი 11, Rome, 1857.

Marr, Vie de Pierre l'Ibère, dans Православный Палестинский Сборникъ, Saint – Pétersbourg, 1896.

Maspéro, Histoire ancienne des peuples de l'Orient, Paris, 1907.

Matthieu d'Edesse, Extrait de sa Chronique, dans Recueil des historiens des Croisades, Documents arméniens, წიგნი 2, Paris, 1872 – 1884.

Michael a Tugio (de Zug), Bullarium Capuccinorium, წიგნი 7, Rome, 1740 – 1752.

Migne, Deuxième encyclopédie théologique, ტ. XXIII.

Minadoi (Tomaso), Historia della guerra fra Turchi et Persiani, Turin, 1588.

Moïse de Khorène, Histoire d'Arménie, Venise, 1865.

Monte Croce (Ricardo de), Relatio, édit. Laurenti.

Morgan (de), article dans Revue archéologique, III სერია, Paris, 1889.

Moroni, Dizionario di erudizione ecclesiastica,Venise 1860, ტ. LXXV.

Mourier (J.), L'archéologie du Caucase, Paris, 1887; L'art religieux au Caucase, Paris, 1887.

Mueller, Fragmenta historicorum graecorum, dans la collection des auteurs grecque de Didot, Paris.

Muralt (E.), Essai de chronologie byzantine, Saint – Petersbourg, 1855.

Néandre (M.), Synopsis historiarum, ტ, I, 1583.

Nicéphore Calliste, Ecclesiastica historia, dans Migne, P.G. ტ. CXLVI.

Nicétas de Paphlagonie, Oratio IV in laudem S. Andreae, dans Migne, P. G., ტ. CX.

Nicolas de Damas, Fragmenta, dans Mueller, Fragmenta historicorum graecorum (სე. Didot), ტ. III.

Ohsson (d'), Voyage d'Aboul – El – Cassim, Des Peuples du Caucase au X siecle, Paris., 1828.

Oppert, Inscription de Dour Sarkayan, Paris, 1870.

Palmieri (le P. Aurelio), O. S. A., La Chiesa georgiana e le sue origini, dans Bessarione, II სერია, 1904, ტ. VI.

Paolo Maria da Faenza (le P.), Sincera relatione dei regni della Georgia. Naples, 1621.

Peiser, Die Monolith – Inschrift, dans Schrader, Keilinschrifliche Bibliotek, ტ.I.

Pertz (H.), Monumenta Germaniae historica, ტ. VIII, XV, XII, XIII.

Petit (le P. Louis), Arménie, dans Dictionnaire de Theologie catholique de Vacant, Paris, 1893, ტ. I.

Pie II, Asiae Europaeque descriptio, Venise, 1534.

Pie IX, Acta, ტ. I, Rome, 1854.

Porphyrogénète (Constantin), De administrando Imperio, dans Migne, P. G., ტ. CXIII.

Pline l'Ancien, Historia naturalis.

Plutarque, Pompée.

Potthast, Regesta Pontificum Romanorum, წიგნი 2, Berlin, 1873.

Prateolus, De vitis, sectis et dogmatibus omnium haereticorum, Cologne, 1569.

Pressutti, Regesta Honorii Papae III. Rome, 1895.

Procope, De Bello Persico, Paris, 1667; Guerre Gothique, éd. Comparetti, წიგნი 3, Rome, 1905 – 1908; De Aedificiis, Paris, 1663.

Raabe (R.), Petrus der Iberer, Ein Charakterbild zur Kirchen – und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts, Syrische Uebersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechishen Biographie.

Radzivil, (Nicolas), Hierosolimitana peregrinatio, Brunsberg, 1601.

Ramusio, Viaggi e navigationi, წიგნი 3, Venise, 1574.

Raphael du Mans, Estat de la Perse, Paris, 1890.

Rawlinson (H.), dans Herodotus, ტ. VI; On the Alarodians of Raynaldi, Annales ecclesiastici, ტტ. V, L, X, XI, XIV; Herodot dans G.

Rawlinson, Londres, 1851, ტ. IV, Cuneiform inscriptions of Western Asia, მისივე, 1861, ტ. I.

Reclus (Elisée), Nouvelle géographie universelle, ტ. IV, VI, IX, Paris, 1881; L'homme et la terre, წიგნი 2, მისივე, 1905.

Reinach (Theodore), Mithridate Eupator, roi de Pont, Paris, 1890.

Reineri Reinericci, Chronicon Hierosolymitanum, Helmstadt, 1584.

Reland, De situ paradisi terrestris, Paris, 1706.

Robert, Etude Philologique sur les inscript. cunéif.de l'Arménie, Paris, 1876.

Rocco da Cesinale (le P.), Storia delle Missioni dei Cappuccini, ტ. III, Rome, 1878.

Rottiers, Itinéraire de Tiflis à Constantinople, Bruxelles, 1829.

Rubriquis, Voyage en Tartarie en 1250 – 1257, dans Bergeron, Relation des voyages en Tartarie, Paris, 1654.

Rufin, Histoire ecclésiastique, dans Migne, P. L., ტ. XXI.

Rustavéli (Chota), La peau de léopard (en géorgien); traduction allemande par Leist, Der Mann in Tigerelle, Leipzig, 1880; francaise par Achias Borin, La peau de leopard, Paris, 1885.

საბინინი, საქართველოს სამოთხე, სანკტ-პეტერბურგი, 1852.

Saint – Vincent (Ch. de), l'année dominicaine, Paris, 1702.

Salignac (Bartholomaeus de Salignago), Itinerarium Hierosolymitanum, 1051, dans Recueil des Historiens des Croisades, Auteurs occidentaux, ტ. VIII.

Samuel d'Ani, Extraits de sa Chronographie, dans Recueil des Historiens des Croisades: Documents armeniens, ტ. I.

Sandalgian, Les inscriptions cuneiformes urartiques, Venise, 1909.

Sarkissian, Topographie de l'Asie Mineure et Majeure, Venise, 1864.

Sayce, article dans Journal Asiatic of the Royal Society of Great Britain and Ireland, ტ. XIV, ნაწილი III; The cuneiform inscriptions of Van, dans la meme revue, ტ. XX; The monuments of the Hittites, dans Transactions of the Society of Biblical archaeology, ტ. VI, VII, 1881.

Sbaralea (Hyacintus), Bullarium Franciscanorum ტ. I, II, IV, Rome, 1749.

Stritter, Memoriae populorum, წიგნი 6, Saint – Pétersbourg, 1771 – 1779.

Scheil (le P. Armand), Les inscriptions de Salmanasar, ტ. II.

Silos (J.), Historia Clericorum Regularium, წიგნი 3, Rome, 1655.

Schulz, article dans Journal Asiatique, სერია III, ტ. IX, Paris, 1840.
Smith, History of Assurbanipal.
Socrate le Scolastique, Histoire ecclésiastique, dans Migne, P. G., ტ. LVII.
Sommervogel (C.), Bibliothèque de la Compagnie de Jésus, ტ. III, Paris, 1892.
Soury (J.), L'Asie Mineure d'aprés les nouvelles découvertes archéologiques, dans Revue des Deux – Mondes, Paris, ტ. V, 1873.
Sozoméne, Histoire ecclésiastique, dans Migne, P. G., ტ. LVII.
Strabon, Geographia, éd. Müller et Dübner (collection Didot), Paris, 1855.
Sukias Somal, Quadro della storia letteraria di Armenia, Venise, 1829.
Tillemont, Mémoires pour servir à l'histoire ecclésiastique, Paris, 1701.
Trombetti (A.), L'unita d'origine del linguaggio, Bologne, 1905.
Tacite, Annales, წიგნი VI.
თაყაიშვილი ე., სამი ისტორიული ქრონიკა, თბილისი, 1890; წმინდა ნინოს ცხოვრება, თბილისი, 1801.
Tchamitch, Histoire de l'Armenie (en arménien), Venise, 1832, dans Migne, P. G., ტ. CXXV.
მოხილუა წმიდათა და სხუათა ალმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, 1852.
Thomas a Jesu, De procuranda salute omnium gentium schismatic., Anvers, 1613.
Tournefort (Pitton de), Relat. d'un voyage du Levant, ტ.II, Amsterdam, 1718.
Vartan, Histoire de l'Armenie (en arménien), Venise, 1862.
Vericelli (le P. A. M.), Quaestiones morales et tractatus de apostolicis missionibus.
Vacant, Dictionnaire de théologie catholique, Paris, 1903 sqq.
Vigouroux, Dictionnaire de la Bible, ტ. I, Paris, 1695.
Villotte (J.), Dictionarium novum latino – arménum, Rome, 1714.
Vincent de Beauvais, Speculum historiae, Venise, 1624.
Vitriac (Jacobus de), Historia hierosolimitana, dans Gesta Dei per Francos, ტ. II.
Vivien de Saint – Martin, Recherches sur les populations primitives, Paris, 1847; Memoires historiques et géographiques sur l'Arménie, ტ.I, Paris, 1838; article dans Journal Asiatique, სერია V, ტ. II, 1853.

Wadding (Luca), Annales Minorum, ტტ. VIII, XI, XII, XIII, Rome, 1731.

Wakhoucht, Description géographique de la Géorgie (en géorgien), traduction francaise par Brosset, Saint – Pétersbourg, 1842.

Willems (Dr. C.), La Sainte Robe de N. S. Jésus – Christ à Trèves, trad. francaise par Furcy Raynaud, Trèves, 1891; La Sainte Robe de Trèves et la relique d'Argenteuil, Trèves, 1894.

## პერიოდიკა

Acta Sanctorum, Iunii, ტ. V, Augusti, ტ. III, Septembris, ტ. VIII, Octobris, ტ., XII.

Analecta Bollandiana, 1902, ტ. XX.

Anecdotes et beaux traits de la vie du Sullan Youssof, dans Recueil des historiens des croisades, Auteurs orientaux, ტ. III, Paris.

Annales de la Propagation de la Foi, Lyon, ტ. XVII.

Archives de l'Orient latin, Paris, ტ. I, 1881; ტ. III, 1895.

Biographie universelle de Michaud, Paris.

Chronique d'Alep, extrait dans Recueil des historiens des Croisades.

Chronique Pascale, dans Migne, P. G., ტ. I, II, XVII და CVIII.

Congrès international des Orientalistes, Compte – rendu de la première session, Paris, 1881.

Documente privitoâre la Istoria Românilor, Bucarest, 1878, ტ. VI.

დროება, გაზეთი, თბილისი, 1910.

Gesta Trevirorum, éd. Wattembach et Müller.

Grande Encyclopédie (La), Paris.

Histoire et les Aventures de Kemski Géorgienne, Paris, 1679.

ქართული სადღესასწაულო (ჟამნი), თბილისი 1886.

ისარი, გაზეთი, თბილისი, 1907.

ივერია, გაზეთი, თბილისი, 1899, 1901.

Journal Asiatique, Paris, სერია II, ტ. II; სერია III, ტ. I; სერია V, ტ. II; სერია VI, ტ. XIII; სერია IX, ტ. XI; სერია X, ტ. X; სერია XI, ტ. II

Journal des Savants, Paris, mars 1835.

Journal du Ministere de l'Instruction Publique, Saint – Pétersbourg, ტ. LVIII, 1848.

Mélanges Asiatiques, Saint – Pétersbourg, ტ. II და V.

Mémoires de l'Académie des Inscriptions et Belles – Lettres, Paris.

Mémoires du Levant, Lettres édifiantes et curieuses écrites des Missions étrangéres, Paris, 1780.

Missiones catholicae, cura S. Congregationis de Propaganda Fide descriptae, Rome, 1907.

მოამბე, ჟურნალი, თბილისი, 1900.

Nouvelle Biographie universelle de Hoefer, chez Didot, Paris.

ახალი აღთქმა, თბილისი, 1709.

Oriens Christianus, Rome 1906.

Patrologie Grecque et Patrologie Latine de Migne.

Recueil des Historiens des Gaules et de la France, ტ. XXI,
Paris, 1894.

Recueil des Historiens des Croisades, Paris: Auteurs occidentaux, წიგნი 5, 1844 – 1895; Auteurs orientaux, წიგნი 3, 1872 – 1844; Documents arméniens, წიგნი 2, 1863 – 1906.

ცნობის ფურცელი, გაზეთი, თბილისი, 1905.

Voyage de F. Ascelin et de ses compagnons vers les Tartares, Paris, 1635.

# ᲗᲐᲕᲘ I

# გეოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ

შინაარსი – I. კავკასიონის მთების აღწერილობა, მათი ფორმაცია. მთავარი მდინარეები. წიაღისეული სიმდიდრენი. კავკასიის ფაუნა. კავკასიის მოსახლეობა. –II. აღწერილობა სომხეთისა და მისი მთავარი ქალაქებისა, რომლებიც ძველად ქართველთა მოდგმით ყოფილა დასახლებული. –III. საქართველოს აღწერილობა, მისი ნაწარმი და სიმდიდრენი. ქართული ტიპი. თბილისის აღწერილობა. –IV. იმერეთის აღწერილობა, მისი ჰავა, ნაწარმი და მოსახლეობა. ქუთაისის აღწერილობა. – V. სამეგრელოს და მისი მოსახლეობის აღწერილობა.

ვინაიდან საქართველოს აკრავს კავკასიონის მთაგრეხილი, რომელიც მისთვის ერთდროულად ზღუდეცაა და ბუნებრივი ჯებირიც, საჭიროდ და აუცილებლადაც მივიჩნიეთ, თავდაპირველად იგი აღგვეწერა.

## I.– ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘ. ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲘᲓᲠᲔᲜᲘ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲐᲣᲜᲐ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ.

კავკასია[1] ეს დიდებული ბუნებრივი ციხე-სიმაგრე, რომელიც ევროპას აზიისგან ყოფს, გადაჭიმულია თავის ორ ბურჯზე შავი

1 კავკასიის დეტალური აღწერილობისათვის მკითხველთ მივუთითებთ უპირატესად Elisée Reclus: Nouvelle Géographie universelle, Paris, 1881 ტ. VI. გვ. 52-220, 283-303. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს კლასიკური წიგნი დაზღვეული არაა ზოგიერთი უზუსტობისაგან. მაგალითად, კავკასიის სომხებს ქართული სამოსი აცვიათ და ეს სამოსი მათ ეროვნულ სამოსადაა მიჩნეული. (გვ. 265). ნაშრომში სხვა მრავალი მსგავსი უზუსტობაცაა. იგივე უნდა ითქვას მეორე წიგნზეც, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1905 წ. გამოიცა პარიზში სახელწოდებით: „L'homme et la terre". ავტორმა თვითონ გაანდო მეგობრებს, რომ მრავალი უზუსტობა გაეპარა იმ ამბების თხრობისას, რომლებიც ქართველთ შეეხებოდა, და მათ გასწორებასაც აპირებდა, მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო. იხ. Ernest Chantre, Recherches antropologiques dans le Caucase, Paris, 1885, ტ.I, გვ. 1–9.

ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ჩრდილოეთით მისი ძირი ებჯინება ოდესღაც ზღვით დაფარულ ქვიშნარ დაბლობს. მარტივი ტოპოგრაფიული ექსპერიმენტი კმარა იმის დასამოწმებლად, რომ კასპიის ზღვა იყო, თუ შეიძლება ამგვარად ვთქვათ, შავი ზღვის ნაწილი, ხოლო კავკასიონის მთები ამ ზღვაში მიმოფანტული კუნძულები[1].

უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს ხალხებს თავი იმით მოაქვთ, თითქოს ამ კუნძულების მკვიდრნი არიან. პლატონის მონათხრობი ატლანტიდის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი, ამიტომ მისი აქ მოყვანა საჭიროდ არ მიგვაჩნია. ზოგიერთი მწერლის აზრით, ეს ზღაპრული ქვეყანა კავკასიაში მდებარეობდა. ძველი გადმოცემების მიხედვით ნათელი ხდება, რომ იმ ხალხთა წინაპრები, რომლებიც სახლობდნენ თათრეთის ვრცელ ზეგანზე ანუ, ძველი მწერლების მიხედვით, დიდი სკვითიის მხარეში, სპარსეთსა და მცირე აზიაში, კავკასიონის მთებიდან ყოფილან ჩამოსულნი. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ აღმოსავლეთის უძველესი ხალხები ამ მთებს თაყვანს სცემდნენ, ბერძნებს კი ისინი მიაჩნდათ ადგილსამყოფელად ლეგენდარული გმირებისა, რომლებმაც დასაბამი მისცეს ზოგიერთ მითს[2].

სახელწოდება „კავკასია“ გაცილებით ადრეულია, ვიდრე ჩვეულებრივ ჰგონია მწერალთა უმეტესობას. იგი წინ უსწრებს ისტორიას და დროთა სიღრმეში იკარგება. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია, აქ წარმოვადგინოთ მის ეტიმოლოგიაზე არსებული სხვადასხვა ჰიპოთეზა, ვინაიდან ყველაზე უფრო ღრმა მეცნიერულ გამოკვლევასაც კი არ შეუძლია ზუსტი ცნობები მოგვაწოდოს ამ საკითხის თაობაზე. ვიკმაროთ ისიც, რომ კავკასიონის დიდებული მთები მუდამჟამს ამ სახელით იყო ცნობილი როგორც ძველი ხალხებისთვის, ისე თანამედროვეთათვის, როგორც მკვიდრი მოსახლეობისთვის, ისე იმ ხალხებისთვის, რომლებიც მისგან მეტად დაშორებულ ადგილებში ცხოვრობდნენ. ასე იწოდებოდა კავკასია ყველა ენაზე რაიმე არსებითი ცვლილების გარეშე.

დედამიწის არც ერთი კუთხე არ გვთავაზობს უფრო მკვეთრ გეოგრაფიულ კონტურებს და უკეთ გამოკვეთილ საერთო ბუნებას, ვიდრე ორ ზღვას შუა გაწოლილი მთაგრეხილი, რომლის დასავლეთ სანაპიროს შავი ზღვა აკრავს, აღმოსავლეთისას კი — კასპიისა.

მთები, რომლებიც კავკასიონს ჰკვეთს, სიგრძივ და განივ მას ოთხ ნაწილად ყოფს. სიგრძივი გაყოფა ქმნის თითქმის თანაბარი სიდიდის ორ ნაწილს — ჩრდილოეთით და სამხრეთით — შესაბამისად 220.653

---

1 იხ. F. Dubois de Monpéreux, Voyage autour du Caucase, Paris, 1839, ტ.II, გვ. 290; — იხ. E. Favre, Le glacier de la cha'ne du Caucase, Archives des sciences phys. et nat., Geneve, 1869; მისივე Recherches géologiques dans la partie centrale de la cha'ne du Caucase, Geneve, 1875.

2 იხ. Strabon, Géographie, წიგნი VI, გვ. 433, 1853 .

და 232.306 კმ² ფართობით, განივი გაყოფით წარმოქმნილი ნაწილები კი მეტად უთანაბროა: აღმოსავლეთი ნაწილი მოიცავს 321.527 კმ², დასავლეთი — 131.332 კმ², გარდა ამისა, კიდევ გვაქვს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩრდილო კასპიის ზღვის აუზი (122.625 კმ²), რომელსაც მიეკუთვნება თერგი, კუმა, აღმოსავლეთ მანიჩი და კალაუსი; ჩრდილო-დასავლეთით აზოვის ზღვის აუზი (91.928 კმ²), რომელშიც ჩაედინება ყუბანი, ელია და კაგალნიკი; სამხრეთ-აღმოსავლეთით



მყინვარწვერი ანუ ყაზბეგი (5040 მ).

სამხრეთ კასპიის ზღვის აუზი, რომელსაც ერთვის მტკვარი, არაქსი, სულაქი, სამური და ლენქორანი (192902 კმ²), და ბოლოს, სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვის აუზი (39904 კმ²) რიონით, ჭოროხით, ენგურით, კოდორითა და მრავალი სხვა მდინარით.

კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალებია: იალბუზი[1] (5665 მ) და მყინვარწვერი ანუ ყაზბეგი[2] (5045 მ), დაფარულნი მარადიული თოვლით და გარემოცულნი მყინვარებით, რომლებიც სათავეს აძლევენ

1 „კავკასიონის გოლიათი, იალბუზი, ამასთანავე ძველი ვულკანიცაა; მისი პირდაღებული ხახიდან ტალახი და ლავა იფრქვევა". E.Reclus, Nouvelle Géographie universelle, ტ.VI, გვ. 10.

2 ლეგენდის მიხედვით, სწორედ ყაზბეგის მწვერვალზე იყო მიჯაჭვული პრომეთე.

რამდენიმე მდინარეს. იალბუზის, მყინვარწვერისა და მკვეთრად გამოხატული მთაგრეხილის დაკბილული მწვერვალები, რომლებითაც ეს ორი გოლიათია გამოყოფილი, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მოგზაურზე.

კავკასიონის ქედზე რამდენიმე გადასასვლელია, რომლებმაც ძველთაგან მიიღეს „კარის“ სახელწოდება. ერთმანეთისგან გამოყოფდნენ კავკასიონის, ალბანეთის, კასპიისა და იბერიის კარს.

კავკასიონის კარად იწოდებოდა ვიწრო ხეობაში მოქცეული გადასასვლელი მოზდოკიდან თბილისამდე; ალბანეთის კარი უნდა ყოფილიყო ის გადასასვლელი, რომელიც გასდევს დაღესტნის საზღვარს; კასპიის კარი თეირანთან[1] ახლომდებარე ხეობაა, იბერიისა კი წარმოდგენილია შორაპნით.

კავკასიის ყველა მთავარი მდინარე სათავეებთან ან მათ მახლობელ ადგილებში მოჩქეფს.

მდინარეებს, რომლებსაც კავკასიონის მწვერვალებზე აქვთ სათავე და ყოველი მიმართულებით მიედინებიან, ძლიერი გეოლოგიური მოვლენები გამოუწვევიათ.

ზემო წელში მათ რამდენიმე ათასი მეტრი სიღრმის კალაპოტები ამოუკვეთიათ, ციცაბო კლდეთა ჩამორეცხვით ხატოვანი თალები და შეერილები შეუქმნიათ, დიდ მანძილებზე სხვადასხვა სახის ნივთიერებანი გადაუტანიათ, ამ ნივთიერებათა ნარჩენები ვრცელ ვაკეებზე მიმოუბნევიათ და თავიანთ შესართავებთან· მათგან უზარმაზარი ბორცვები აღუმართავთ.

კავკასიაში შეხვდებით ნიადაგის ყველა ნაირსახეობას. ყველაზე უფრო მაღალი მწვერვალები გრანიტისაა. მის ორივე განაპირა ნაწილში ნახავთ პორფირს, კრისტალებს და ჩამოლექილ ნიადაგებს, რომლებითაც კავკასიონის ძირია დაფარული და რომლებიც დაბლობებზე ვრცელდება. გრანიტი უძველესი გეოლოგიური წარმომავლობისაა და ხშირია ცენტრალურ კავკასიაში, უმეტესად, იალბუზსა და მყინვარწვერს შორის.

კავკასიის წიაღისეული სიმდიდრენი უმეტესწილად ლითონის შემცველია. მნიშვნელოვანი საბადოებია თავმოყრილი გრანიტული ანუ პორფირული აგებულების მთის ქანებში, სამხრეთ ფერდობზე; ქართლს, იმერეთსა და სამეგრელოს აქვთ რკინის, მანგანუმის, სპილენძისა[2] და ტყვიის მდიდარი საბადოები, აქვე ვხვდებით შაბსაც.

1 ასეა ტექსტში. იგულისხმება დერბენტი (დარუბანდი) — რედ.

2 „მეტად მრავლადაა კავკასიაში სპილენძის საბადოები, რომელთა მნიშვნელობა ცნობილი ხდება ევროპაშიც“, E. Chantre, დასახ. ნაშრომი, ტ.I, გვ. 79; იხ. Davidof, L'Industrie du cuivre dans la Transcaucasie, Odessa, 1884.

ოქრო? ცნობილია, რომ ლეგენდა კოლხეთის ოქროს საწმისის შესახებ თაობიდან თაობას გადაეცემოდა საბერძნეთის ხალხებში. სტრაბონი წერდა, რომ სვანები და მათი მეზობლები ოქროს მოიპოვებდნენ მდინარეებში დაცხავებული ვარცლით ან საწმისით. აპიანეც ამასვე ადასტურებს. ეს საერთო თვალსაზრისი დაფუძნებულია იმაზე, რომ მუდამჟამს მდინარე ცხენისწყალს, ძველი ხალხების მიხედვით „ჰიპუსს", ოქროს ქვიშის მარცვლები ჩამოჰქონდა[1].

დაბოლოს, აქ არის ქვამარილის მდიდარი საბადოები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც კავკასია მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს, ნავთობის განსაცვიფრებელი მარაგია, განსაკუთრებით ბაქოსა და გროზნოს მიდამოებში[2].

ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით კავკასიის რეგიონს ძალიან დიდი მრავალფეროვნება ახასიათებს: ცენტრალურ ნაწილში, მარადთოვლიან მყინვარებსა და ხრიოკ კლდეებს შორის, ბინადრობს კავკასიური დათვი, მგელი, ტურა, ჯიხვი, შველი და სხვა; აქვე გვხვდება ურიცხვი მტაცებელი და გადამფრენი ფრინველი. სამხრეთით, თვალწარმტაც ხეობებსა და დაბლობებზე, სადაც მეტად სალი ჰავაა, ხარობს მრავალგვარი მცენარეულობა; მთები დაფარულია ვრცელი და დიდებული ტყეებით, რომლებიც მარადთოვლიან მყინვარებამდე აღწევენ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოტანიკური გეოგრაფიის ყველაზე აღიარებული ავტორიტეტები ვაზის თავდაპირველ სამშობლოდ, კავკასიის რეგიონს მიიჩნევენ[3].

ჰომეროსი ოდისევსს ათქმევინებს:

---

1 **Strabon**, XI, 2,13. ოქროს განძეულობის არსებობა საქართველოში იმითაც დასტურდება, რომ არტაგს, იბერიის (საქართველოს) მეფეს, პომპეუსისთვის ძღვნად მოურთმევია მასიური ოქროსგან დამზადებული საწოლი, მაგიდა და სამეფო ტახტი: „ასევე, როცა იბერთა მეფემ ოქროსგან ნაკეთები საწოლი, მაგიდა და ტახტი გაუგზავნა და სთხოვა, ეს საჩუქრები მიიღეო, პომპეუსმა ეს ძღვენი სახელმწიფო ხაზინისთვის კვესტორებს გადასცა". **Plutarque, Pompee**, 36, 34, 35. იხ. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, თბილისი, 1957 წ. 36, თარგმ. ა.ურუშაძისა. აქ და შემდგომ ქართულ ენაზე არსებული წყაროები, ნათარგმნი თუ ორიგინალური, მითითებულია ქართული გამოცემების მიხედვითაც (რედ.).

2 წლიურად მოიპოვებენ: ნავთობს — 635481,565 ფუთს (დაახლოებით 10 მილიონ ტონას), მანგანუმს — 23076903 ფუთს, ნახშირს — 3088923 ფუთს. ფუთი უდრის 16 კგ. 380 გ.

3 **Xénophon, Anabase**, IV, 4,9; **Strabon**, XI, 2,17.

ამ მხარეში (კოლხიდაში) მთელი წელი დავყავით; დასვენებამ, საკვებმა და ვაზის ტკბილმა ნაყოფმა დაგვიამეს ტკივილები[1].

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კავკასია ასევე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საოცარ მხარედ წარმოგვიდგება როგორც იქ მცხოვრები ხალხების მრავალფეროვნებით, ისე მათი ისტორიული მნიშვნელობით. ეთნოგრაფიული კვლევა აზიის ამ ნაწილისა, რომელსაც მრავალი მეცნიერი ევროპული რასის აკვნად მიიჩნევს, უფრო მეტად საინტერესო ხდება იმ მხრივაც, რომ მისი მამაცი მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ითვისებს ევროპულ ელემენტს[2], მაგრამ ჩვენ მიერ დასახული გეგმა ნებას არ გვაძლევს, დეტალურად განვიხილოთ ეს საკითხი. სწორედ ამიტომ ვკმაყოფილდებით უბრალო ჩამოთვლით.

ძირითადად კავკასიელ ხალხებს შეადგენენ: 1. ქართველები, 2. ყუბანელი და ყაბარდოელი ჩერქეზები, 3. აბაზები, რომლებიც მიჩნეული არიან ქართველური წარმომავლობის ხალხად და დაყოფილი არიან რამდენიმე ტომად, 4. ასევე რამდენიმე ტომადაა დაყოფილი ოსები, 5. ქისტები ინგუშებთან და სხვა ტომებთან ერთად, 6. ლეკები, აღულები, ყაზიყუმუხები და სხვები, არაკავკასიური წარმოშობის ხალხები, რომლებიც იქ ბინადრობენ: სომხები, სპარსელები, რუსები, თათრები, ყალმუხები, ბერძნები, გერმანელები და სხვ.

ამრიგად, კავკასიელებად მიჩნეულნი არიან ის ხალხები, რომლებიც უშუალოდ კავკასიის მთავარ ქედთან სახლობენ და რომლებსაც, მიუხედავად გარკვეული წარმომავლობისა, მეტ-ნაკლები სიახლოვე აქვთ სხვა ხალხებთან.

სამი ჯგუფის – არიულის, სემიტურის და ურალურ-ალთაურის წარმომადგენლები „სპორადულ" მოსახლეობად იწოდებიან, ვინაიდან,

---

1 **Odyssée, X, V, 463.** „მრავალი პალეონტოლოგი მიიჩნევს, რომ შინაურ ცხოველთა ერთი ნაწილი, რომელიც დასავლეთში ნეოლითური ცივილიზაციის ხანაში გაჩნდა, წარმომავლობით კავკასიიდან და სომხეთიდან არის. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობას, რომელიც პირველი შეუდგა მათ მოშინაურებას, უნდა ჰქონოდა საგრძნობი სიცოცხლისუნარიანობა და უკვე უნდა მიეღწია შედარებით ჩამოყალიბებული ცივილიზაციისათვის". E. Chantre, დასახ. ნაშრ., ტ.I გვ. 47.

2 „ვფიქრობ, კავკასიონის ქედი გარკვეულ ყურადღებას და ინტერესს იმსახურებს სხვა მრავალ ცნობილ მხარესთან ერთად. ევროპელი აქ მსოფლიო აკვანს ეძიებს. ამის საფუძველს აძლევს ბიბლიური ტრადიციები, ჩვენი მოდგმის ტიპები, ძველი ზნე-ჩვეულებები, ჩვენი ენების ნათესაობა და მათი კავშირი ცენტრალური აზიის ენებთან, იმ ერების ბირთვი, რომელთა ნაწილს, შესაძლოა, ჩვენც შევადგენდეთ, და ადგილი, საიდანაც მოხდა მათი დასავლეთში გადასახლება. ევროპელისთვის ყოველივე ეს კონცენტრირებულია ნაკლებად ცნობილი კავკასიისირგვლივ". **Fr. Dubois de Monpéreux.** Quelques notices sur les races caucasiennes, Paris, 1837, გვ. 2

მიუხედავად მათი მეც-ნაკლებად განსაზღვრული წარმომავლობისა, ნამდვილ კავკასიელებს მიაჩნიათ უცხოელებად, რომელთაგანაც კავკასიელნი ჩვეულებრივ განსხვავდებიან. მართლაც, მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც სპორადულ მოსახლეობას კავკასიელებისაგან გამოყოფს, გამოიკვეთება არა მარტო აღნაგობით, არამედ ენობრივი და ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ეს სამი ჯგუფი, ისევე, როგორც კავკასიელებისა, კიდევ იყოფა მრავალ ტომად, რომელთაც თითოეული მათგანის აღწერილობისას დავასახელებთ.

## კავკასიის ხალხები:

ქართველური ჯგუფი — { ქართველები — ხევსურები — ფშავლები — თუშები — იმერლები — მეგრელები — სვანები — გურულები — ლაზები.

ჩერქეზული ჯგუფი — { ადიღეელები — აფხაზები — აბაზები — შაფსუღები — ნათუღაელები — ყაბარდოელები და სხვ.

ოსური ჯგუფი — { თაგაურები — დიგორიელები — ქურთათელები — ალაგირები

ჩეჩნური ჯგუფი — { ჩეჩნები — ინგუშები — ღლიღვები — ქისტები — ყარაბულახები.

ლეკური ჯგუფი — { ყურინები — აღულები — რუტულები — ტამახსარანელები — არჩიბელები — ყაზიყუმუხები — დარგველები — ყუბაჩელები — დიდოელები — ავარიელები — ანდიელები და სხვ.

## კავკასიის სპორადული ხალხები:

1. ურალო-ალთაელები ანუ თურანელები:

თათრები — ნოღაელები — ყუმუხები — ყარაჩაელები — ყალმუხები — ყირგიზები — თურქმენები და სხვ.

2. სემიტები:

ქალდეველ-ასირიელები—ებრაელები—არაბები.

3. არიელები ანუ ინდო-ევროპელები:

ირანული ჯგუფი — { (სპარსელები — ჰაჯემითები — ტატები — თალიშები — ქურთები — სომხები).

ევროპული ჯგუფი — { (რუსები — პოლონელები — გერმანელები — ბერძნები — ჩეხები — მოლდაველები და სხვ.).

ყოველივე ამას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამჟამად კავკასიაში მცხოვრები ხალხები უნდა მივიჩნიოთ იმ წინაისტორიული ხალხების მცირე გადმონაშთებად, რომლებიც ერთსა და იმავე მოდგმას განეკუთვნებოდნენ და, ეტყობა, გადაშენდნენ ყველგან, კავკასიის გამოკლებით. ეს მხარე არასდროს ყოფილა სარბიელი მიგრირებულ ხალხთა მოძრაობისა, მაგრამ უსლარის მიხედვით, თავშესაფარი იყო მეზობელ ველებზე მცხოვრები ლტოლვილი მოსახლეობისთვის. კავკასიის მოსახლეობის ამგვარი შემადგენლობა რამდენიმე ათას წელს ითვლის და მხოლოდ სულ ახლახანს დაიწყეს ამ ხალხებმა გადაადგილება.

რაც შეეხება კავკასიელთა ამჟამინდელ დიდ მრავალგვარობას, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც შედეგი საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე აღრევისა, რაც უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ხანაში პირველდაფუძნებულთა და ახალმოსულთა შორის. ეს უკანასკნელნი განეკუთვნებიან კაცობრიობის სამ სხვა დაჯგუფებას (სემიტურს, ინდო-ევროპულს და მონღოლურს), რომლებსაც კიდევ მრავალი წარმომადგენელი ჰყავთ მთის ძირის სხვადასხვა ადგილში[1].

ყველა ეს სხვადასხვა ხალხი მთლიანად შეადგენს 9.248.695 სულს, მცხოვრებთ 472.666 კმ$^2$. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მარტო ენით, არამედ რელიგიითა და ზნე-ჩვეულებებით.

## II. – აღწერილობა სომხეთისა და მისი მთავარი ქალაქებისა, რომლებიც ძველად ქართველთა მოდგმით ყოფილა დასახლებული

საქართველოზე საუბრისას ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ ქართველი ხალხით დასახლებული ქვეყნები.

ასურული და ვანის წარწერებიდან ჩანს, რომ მეტად შორეული წარსულიდან ძვ.წ. VI ს-მდე სომხეთისა და ძველი კაპადოკიის მოსახლეობა მიეკუთვნებოდა იმავე მოდგმას, რომელსაც ქართველები, როგორც ამას ნაშრომის ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ მიმოხილვაში ვნახავთ; ამიტომ ბუნებრივია, რამდენიმე სიტყვა ითქვას ძველი სომხეთისა და მასში შემავალ სახელმწიფოთა შესახებ.

სომხეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ ძლიერი ზეგავლენა იქონია იმ ავბედითობაზე, რაც ამ ქვეყანას თან სდევდა მთელი მისი ისტორიული არსებობის მანძილზე. სხვადასხვა სიმაღლის მთებს, რომელთა გვირგვინია არარატის მწვერვალი, ყველგან ენაცვლება დამრეცი ბორცვები, მაშინ როცა სხვა ხეობები, როგორიცაა არაქსისა, ერთ მთლიან ვრცელ დაბლობად იშლება. ამ მაღლობებზე ბუნება მკაცრი და მწირია, მაგრამ დაბლობები მეტად ნაყოფიერია. სომხეთის

1 E. Chantre, იხ. დასახ. ნაშრ. ტ. IV, გვ. 10—11, 14-15.

ტერიტორიიდან იღებენ სათავეს ევფრატი და ტიგროსი; აქვეა ამ მდინარეთა სახელწოდების მქონე ხეობებიც.

საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზე მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო მდებარეობდა, რომელთაგან ზოგი პატარა იყო, ზოგიც უფრო მნიშვნელოვანი, რისი განსაზღვრაც ზოგადად გეოგრაფიული ადგილმდებარეობით შეიძლება. ასეთებია: „ბაიანი“ ანუ ვანა, მდებარე იმ ტბის ნაპირებზე, რომელმაც ჩვენამდე ვანის სახელწოდება შეინარჩუნა; „მანაი“ — ვანის მახლობლად; „მუსასირ“, ანტიკური გეოგრაფების მიხედვით „არისა“, „პარსუა“, „ნიბურ“, — ურმიისა და ვანის ტბებს შორის; „ნუმე“ და „მილიდა“, იგივე „მელიტენი“, ბერძნებისა და რომაელების მიხედვით — ვანის ტბის დასავლეთით; „ალზი“, „ადინი“, „კირური“ და „კასესი“ — ტიგროსის სათავესთან; „მატა“ — ურმიის ტბის სამხრეთით; „დიავეხი“ და „ეტიუს“ („ეტიაუს“) — მდინარე არაქსზე; „მილიდი“ — ევფრატის სათავესთან; „მუსრი“ — მომიჯნავე მილიდის ტერიტორიასთან; „ნაირი“, რომელსაც ევფრატის ზემო რეგიონები ეკავა; „ბალიდუს“ — ურმიის ტბის ჩრდილოეთით. აი, სომხეთის სხვა სახელმწიფოები, რომელთა ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოვახერხეთ: სილარი, სუნბა, ხუბუსკია, ტალიკლა, კასტანი, ხალფი, ბალა, ებანი, გამგუმუ, აბრიტიკნა, მარმუა, საგართი, დუნიბუნ, ისკიგულუს, ულვანის, სიზირიხარდის, უდუხალს, ბალთუ, ხალდირი, ზიკართუ და სხვ. სომხეთის ამ სახელმწიფოთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ურარტუს, იგივე არარატის (ალაროდების) სახელმწიფო, რომელიც ჭეშმარიტად უზენაესი იყო მათ შორის.

გარდა ამისა, არსებობდა ორი მეტად ძლიერი სახელმწიფო, რომლებიც ურარტუს უტოლდებოდნენ. ესენი არიან მოსოხის (მუსკუს) და თუბალის (ტაბალის) სახელმწიფოები; მათი მოსახლეობა, უნდა ვივარაუდოთ, იმავე ხალდების ტომიდან წარმოდგებოდა, რომლითაც დასახლებული იყო მთელი ძველი სომხეთი და კავკასია[1]. ისინი სახლობდნენ მდინარე ირისის აუზში, ზემო ევფრატის ორივე სანაპიროზე, გავრცელებული იყვნენ ჰალისამდე და ამდენად, მთელი კაპადოკია ეკავათ.

აი, ჩვენთვის ცნობილი ზოგიერთი ქალაქის სახელწოდება: სემირამაკარტი, ურმეითი, იზირთი, იზიბია და არმიდი-ვანის ტბის მიდამოებში; ურარტუს ანუ არარატის არაშკუნი და ტურუშპა (დუშპანა); საგართის პარდა; ეტიუსის დარასი; მელიდის თილგარიმუ; მოსოხის სამეფოს მაზაკა, მაზამუა, კომანუ და თუბალთა ბი-ბურუტაში.

ეს პატარ-პატარა სამთავროები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე

---

1 იხ. Maspéro, Histoire ancienne des peuples de l'Orient, Paris, 1905, გვ. 215, 449.

გმირულად იბრძოდნენ ასურელთა წინააღმდეგ, მთლიანად გაქრნენ VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და სარბიელი დაუთმეს ახალმოსულთ და სპარსეთის იმპერიას.

ამ ნაშრომის თავში მოთავსებულ პირველ გეოგრაფიულ რუკაზე ნაჩვენებია ძველი სომხეთის ყველა ის სახელმწიფო, რომელთა შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი. უნდა ითქვას, რომ თითქმის შეუძლებელია ამ სახელმწიფოთა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ზუსტი განსაზღვრა, რადგან მათი ტერიტორია მცირდებოდა ან იზრდებოდა ეპოქისა და მეზობელ ქვეყნებთან გამართული ავბედითი ომების შესაბამისად.

## III. – საქართველოს აღწერილობა, მისი ნაწარმი და სიმდიდრენი. ქართული ტიპი. თბილისის აღწერილობა

საქართველოს სახელწოდებაში ფართო გაგებით უნდა ვიგულისხმოთ მთელი ამიერკავკასიის რეგიონი, სადაც ქართული ენა მეტ-ნაკლებად ძველი დროიდან იყო გაბატონებული და დღესაც ცოცხლობს. ეს არის მტკვრის აუზი თავისი თანმხლები არაგვის ხეობებით, ჩრდილოეთით; ხრამის, იგივე ქციის, დებედისა და ალსტაფის აუზები, სამხრეთით; ალაზნისა-აღმოსავლეთით; ჭოროხისა — დასავლეთით; რიონის (ფაზისის) აუზი და შავი ზღვის შენაკადები, ერთი სიტყვით, კავკასიონის ქედის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც შავი ზღვა გამოიყოფა კასპიის ზღვისგან[1]. იგი მდებარეობს ჩრდილოეთ განედის $40^{0}$ 35' და $42^{0}$ 25' და აღმოსავლეთ გრძედის $38^{0}$ 35' და $43^{0}$ 25' შორის პარიზის მერიდიანიდან ათვლით[2].

ბერძენი და რომაელი მწერლები საქართველოს „იბერიის“, ქართულად „ივერიის“ სახელით იცნობდნენ. ვინაიდან ეს სახელწოდება აღარ იხმარება, საჭიროდ არ მიგვაჩნია აქ წარმოვაჩინოთ მის ეტიმოლოგიაზე არსებული სხვადასხვა ჰიპოთეზა, რაც დღემდე გაურკვეველი რჩება. მხოლოდ ახ. წ. VI ს-ში „იბერიას“ ცვლის „საქართველო“. ამ სიტყვის ეტიმოლოგიაზეც აზრთა სხვადასხვაობაა. აღმოსავლელები ყველა ეპოქაში ამ ქვეყანას „გურჯისტანად“ მოიხსენიებდნენ, ქართველები კი — იბერიად, მაგრამ უძველესი სახელი, რომელიც მას უწოდეს, „საქართველოა“. საყოველთაოდ მიღებული ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით „საქართველო“ ნაწარმოებია სიტყვიდან „ქართლოს“, იაფეტის ბადიშიშვილის სახელისგან, რომელსაც წილად რგებია ეს მხარე. თვითონ მას, იაფეტის

1 ამ აღწერაში უმეტესად ვიყენებთ ვახუშტის გეოგრაფიულ ნაშრომს, რომელიც ბროსემ გამოსცა 1842 წელს სანკტ-პეტერბურგში.

2 „ქართველები ანუ გეორგიანელები ცხოვრობენ ენგურის, რიონის, ჭოროხის თვალწარმტაც აუზებში, რომლებიც მოიცავენ სამეგრელოს, იმერეთის, სვანეთისა და ლაზეთის ტერიტორიებს, აგრეთვე მტკვრის აუზში, რომელიც მოიცავს საქართველოსა და სომხეთის ნაწილს“. E. Chantre, დასახ. ნაშრ., ტ. IV, გვ. 16.

ბადიშიშვილს, ან უფრო სარწმუნოა, მის შვილებს, მამის საფლავთან ფიცი დაუდვიათ, რომ მამის ადგილსამყოფელს „ქართლოსს“ ანუ „ქართლს“ უწოდებდნენ, მის სახელისუფლო მიწებს კი — საქართველოს.

ძველ საქართველოს საზღვრავდა: ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი; დასავლეთით — შავი ზღვა; აღმოსავლეთით — კასპიის ზღვა; სამხრეთით —ქურთისტანის მთები, ჩრდილოეთით მისი საზღვრები არ შეცვლილა, მაგრამ შემდგომში მას დასავლეთით კოლხეთი მიესაზღვრა, აღმოსავლეთით — ალბანეთი, სამხრეთით — სომხეთი, მრავალი ხნის განმავლობაში ცვალებადი და დაუდგენელი საზღვრით.

დაშლის შემდეგ საქართველო შვიდ დიდ პროვინციას შეიცავდა: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებს და სამცხეს, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის სამთავროებს.

საქართველოს ტერიტორია მოიცავს მთასა და ბარს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან. საქართველოს ტერიტორიაზე შეხვდებით გაუვალ ტყეებს, გაშლილ, ნაყოფიერ დაბლობებს, ფრიალო კლდეებს, კოხტა მთის მწვერვალებს, შემზარავ უფსკრულებს და საერთოდ ყოველივე ხატოვანსა და მრავალფეროვანს, რაც კი ადამიანის გონებას ძალუძს წარმოისახოს.

საქართველოში მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი და სხვ. აქაური ღვინო ხომ საუცხოოა; ტყეებსა და მინდვრებში სურნელოვან მცენარეთა სიმრავლეა. აქ ცხოველებიც მრავლადაა, განსაკუთრებით — ცხენი, ჯორი, სახედარი, ხარი, ცხვარი, ღორი. იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც ვხვდებით ტყეებსა და ველებზე და რომლებზეც ნადირობენ, აღსანიშნავია — ირემი, ჯიხვი, თხა, დათვი, მაჩვი, ტახი და სხვ., ფრინველებიდან — ქათამი, ბატი, ინდაური, წერო, ხოხობი, კაკაბი, ბულბული და მრავალი სხვა.

საქართველოში შეხვდებით მინერალურ და გოგირდოვან წყაროებს. ბორჯომის სამკურნალო დაწესებულებამ უკვე საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ახალციხის მახლობლად ოცხეს (აბასთუმნის) წყლები მრავალ დამსვენებელს იზიდავს. მდინარეებში უხვადაა შესანიშნავი თევზები, არის ქარიყლაპია, კალმახი, ორაგული.

ლამაზნი არიან ქართველი ქალები და კაცები[1]. მათ შავი

1 „მტკვრის აუზში მცხოვრები ქართველები სილამაზით არ ჩამოუვარდებიან დასავლელებს — იმერლებს, მეგრელებს და ლაზებს; მათაც ხშირი შავი თმა, დიდი თვალები, თეთრი კბილები, სუფთა და ნაზი კანი, მოქნილი, კარგი აღნაგობა და პატარა, ძლიერი ხელები აქვთ. თუმცა მათი სილამაზე, შესაძლოა, ნაკლებად დახვეწილია, ვიდრე შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველებისა“. E. Reclus, Nouvelle Géographie universelle, ტ. VI, გვ. 120.

თვალ-წარბი და თმა აქვთ, სახის ფერი თეთრი და ვარდისფერი, ტანი წერილი, განსაკუთრებით — ქალებს. ქართველები შრომისმოყვარენი,



ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი თავადი.

ამტანები, მკვირცხლი და მამაცი მხედრებიც არიან[1].

ისტორიულმა ვითარებამ მეომრებად გამოაწრთო ქართველები,

1 „ქართველთა ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა მხიარული ხასიათი და სტუმართმოყვარეობა. ყველგან, კავკასიის ამ ლამაზ კუთხეში, უცხოელს თავაზიანად და მამაპაპური გულითადობით იღებენ“. E. Chantre, დასახ. ნაშრ. ტ. IV, გვ. 33-34.

უფრო ამაყნი და შეუპოვარნი გახადა. ძველად ქართველები რამდენიმე მილიონს შეადგენდნენ, გამუდმებულმა ომებმა კი საგრძნობლად შეამცირა მათი რიცხვი. ამჟამად ძლივსღა აღწევენ ორ მილიონს.

საქართველოს დედაქალაქი იყო მცხეთა, რომელიც მოგვიანებით



მეგრელი.

თბილისმა შეცვალა. თბილისის დაარსებას მიაწერენ მეფე ვახტანგს (469 წ.), მაგრამ ჩანს, უფრო ადრე მომხდარა ეს ამბავი. სახელწოდება მომდინარეობს თბილი, მინერალური წყლებისგან, რომლებიც ამჟამადაც ქალაქის სიმდიდრე გახლავთ.

ქალაქი გაშენებულია მტკვრის ნაპირებზე და ხეობის სიღრმეში, ხეობისა, რომელიც გახსნილია ჩრდილოეთის მხრიდან და შემოჯარულია ხრიოკი მთებით. თბილისი მდებარეობს ჩრდილოეთ განედის

$41^0$ 43' 8'' და აღმოსავლეთით გრძედის $42^0$ 37' 35'' შორის. ზამთარსა და გაზაფხულზე აქ ჰავა ზომიერია, საშუალო წლიური ტემპერატურა $12{,}6^0$ გრადუსია, ზამთრობით $-1{,}4^0$, ზაფხულობით კი ძლიერი სიცხეები იცის.

თბილისი ყოველჟამს გამორჩეული ქალაქი იყო. მატერიალური თვალსაზრისით იგი კვლავაც მსოფლიოს ერთ-ერთი საინტერესო ქალაქია. თბილისი მოწმეა საქართველოს ყოველი ამაღლებისა და დიდებისა, ამავე დროს, ყველა უბედურებისა, რაც კი ქვეყანას თავს დასტყდომია. მსოფლიოში ძალიან მცირეა ისეთი ქალაქი, რომელსაც მტერთაგან ასე ურიცხვი შემოსევა განეცადოს და მაინც ქედუხრელი დარჩენილიყოს. მსოფლიოს ბარბაროსებმა და მოძალადეებმა ბევრჯერ აგემეს ამ ქალაქს თავიანთი მძვინვარება. ჯერ იყო და არაბები დაეპატრონნენ, მრავალგზის აოხრეს და ნანგრევებად აქციეს (638-800); შემდგომში თურქმენები, თათრები და სელჩუკები რიგრიგობით ესხმოდნენ თავს. მონღოლებმა 1259—1402 წლებში რამდენჯერმე დაიპყრეს და ათასგვარი ბოროტება მოუვლინეს. თემურლენგი, აზიის ყველაზე მძვინვარე დამპყრობი იმით ერთობოდა, რომ თავის მიერ დახოცილ ადამიანთა თავის ქალებისგან კოშკებს აგებდა. ამის შემდეგ საქართველო სპარსელებმა დაიპყრეს, გაბატონდნენ მის დედაქალაქში და 1478-1795 წწ. მრავალგზის აოხრეს. სპარსელებსა და თურქებს შორის ხომ თბილისი დიდი ხნის მანძილზე განხეთქილების ვაშლი იყო. სწორედ თურქები მოდიოდნენ აქ ცეცხლითა და მახვილით[1].



ქართველი ქალის ტიპი.

1 „თბილისის სახელი გაგვახსენებს ორმოცი გმირული თაობის ცხოვრებას, თაობისას, რომელიც ზოგჯერ ისეთი დიდების მწვერვალამდე ასულა, რასაც შეუძლია მიაღწიოს მცირერიცხოვანმა, მაგრამ ენერგიით აღსავსე ხალხმა, ხანაც თავის წარსულთან ერთად უბედურებათა უფსკრულში შთანთქმულა. განადგურებული იმპერატორ ჰერაკლეს ბარბაროსი მოკავშირეებისგან, ორგზის გადამწვარი ჯალალედინის მიერ, შემდგომში აოხრებული მონღოლთაგან, სპარსთა და თურქთაგან თავისი ახალი ჩუქურთმებისგან განძარცული, დღესაც ძლივს აღმდგარი ფერფლისა და ნაცრიდან, გასაკვირი არაა, რომ ქალაქი არ შეესატყვისებოდეს მისი ისტორიის შესაფერის შორეულ წარსულს“. **Brosset, Voyage archéologique**, V მოხსენება, **St.–Pétersburg, 1830**, გვ. 2.

მიუხედავად ამისა, თბილისი დღესაც მეტად მნიშვნელოვანი ქალაქია, ვინაიდან მისი მოსახლეობა 200.000-ზე ნაკლებს არ შეადგენს; გარდა ამისა, ევროპისა და აზიის მრავალ ხალხს იქ თავიანთი ეროვნების წარმომადგენლები მოეძებნებათ.



ქართველი ქალი.

## IV. – იმერეთის აღწერილობა. მისი ჰავა, ნაწარმი და მოსახლეობა. ქუთაისის აღწერილობა

იმერეთი საქართველოს მეორე მნიშვნელოვანი მხარეა, რომელიც 1259 წლიდან ბაგრატოვანთა სამეფოდაა მიჩნეული. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ყუბანის ტერიტორია და თერგი, აღმოსავლეთით — თბილისის გუბერნია, სამხრეთით — ყარსის ოლქი და მცირე აზია, დასავლეთით — შავი ზღვა. ქვეყანა მთაგორიანია, რომლის სამხრეთი ფერდობი ეშვება ენგურის, რიონის (ფაზისის) და მისი მთავარი შენაკადის — ყვირილას დაბლობებზე. იმერეთის დაბლობები გარშემოჯარულია მცირე კავკასიონის მთებით. ამ მთების სისტემაში შედის

ყოველგვარი შემადგენლობის ნიადაგი, ძველი წარმოშობის კრისტალური ქანებიდან დაწყებული კირის შემცველი ნიადაგით დამთავრებული. კლდეები შეიცავს მანგანუმის, სპილენძის, ვერცხლის, ტყვიის კრიალასა და ქვანახშირის დიდძალ საბადოებს. ჰავა კარგია, მაგრამ ზღვისპირეთში — ცოტათი მავნებელი ჯანმრთელობისათვის. ზაფხული აქაც ცხელია, მაგრამ ასატანი. იმერეთი ტყეებითაც მდიდარია, მეტად ნაყოფიერია მისი ნიადაგი, განსაკუთრებით მთის ძირებში. აქ ბარაქიანად ხარობს ყოველგვარი მარცვლოვანი მცენარე. ვენახებს დიდძალი ხეხილის ბაღები აკრავს. სოფლის მეურნეობის მთავარი



თბილისი, საქართველოს უძველესი დედაქალაქი.

პროდუქტებია: სიმინდი, ხორბალი, ქერი და სხვ. დიდი ნაწილი ფერდობებისა დაკავებულია ვენახის ზვრებით და საუცხოო ღვინოს აყენებენ. აქ გაცხოველებული ვაჭრობაა.

იმერეთში შეხვდებით ყველა სახეობის ცხოველს, მაგრამ უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში.

მამაკაცები და ქალები აქ ისეთები არიან, როგორც სხვა ქართველები, მაგრამ უფრო ლამაზნი და ტანადნი. გლეხის შვილებს კეთილშობილი იერი აქვთ. ისინი სუფთანი, კარგად ჩაცმულნი, ენერგიულნი, მოძრავნი, ტკბილმოუბარნი, ფიცხნი და გაბედულნი არიან, მაგრამ არ ყოფნით სიმყარე.



ქართველთა ტიპები და ქართული ტანისამოსი.



ქართველთა ტიპები და ქართული ცეკვები.

იმერეთის დედაქალაქია ქუთაისი, რომელიც გაშენებულია შავ ზღვაში ჩამავალ მდინარე რიონის ნაპირებზე. უცნობია ქუთაისის დაარსების დრო და ვითარება. პროკოპი (VI ს.) მას „კოტატიციონის" სახელით მოიხსენიებს. ძველი ტრადიციის მიხედვით, ქუთაისი მედეას დაბადებისა და იაზონის აქ მოსვლის მოწმე ყოფილა. ეს მეტად კოხტა ქალაქია; თავისი ფართო, გამჭოლი ქუჩებითა და კარგად აგებული სახლებით ევროპულ ქალაქს მოგვაგონებს. ჰავა თბილია, ზამთარი ცივი არაა, ზაფხულის ტემპერატურა კი $24^0$ არ აღემატება.

ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობა 30 000 აღწევს. მისი ერთ-ერთი ბორცვის თავზე XI ს-ის მნიშვნელოვანი ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი. ამჟამად ქუთაისი ამავე სახელწოდების გუბერნიის მთავარი ქალაქია.

## V. – სამეგრელოსა და მისი მოსახლეობის აღწერილობა

ძველი მწერლები სამეგრელოს იცნობდნენ „კოლხიდის" სახელწოდებით, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს: იმერეთს, სამეგრელოს, გურიას, სვანეთს, ჩერქეზეთს და ლაზეთს[1]. უფრო მოგვიანებით მას ლაზიკა უწოდეს. მკვიდრი მოსახლეობა კი ოდიშსა და სამეგრელოს უწოდებს.

ეს მხარე ისტორიის უძველესი დროიდან არის ცნობილი. ძველი ისტორიკოსები მოგვითხრობენ ევგიპტის მეფის, სეზოსტრისის ლაშქრობის შესახებ, აგრეთვე სახელგანთქმულ იაზონზე. რომელიც ოქროს ვერძის დასაუფლებლად აქ არგონავტებს ჩამოუძღვა და მედეა წაიყვანა (დაახლოებით 1350 ძვ.წ.).

სამეგრელოს დასავლეთით შავი ზღვა აკრავს, აღმოსავლეთით — კავკასიონი და იმერეთი, სამხრეთით — საქართველოს ნაწილი, ჩრდილოეთით —ჩერქეზეთი. ეს ტყით დაფარული მხარეა, სადაც უხვადაა მცენარეულობა და ხილი; აქ ყველანაირი სახეობის ფრინველსაც შეხვდებით. მეგრელები, განსაკუთრებით, წარჩინებულნი, ნადირობით არიან გატაცებულნი, ამასთანავე მზრუნველობით ეკიდებიან მტაცებელ ფრინველებს, რომლებსაც გარეულ ფრინველებზე

1 „შავ საუკუნეებში პონტოს ევქსინოსის სანაპიროებზე მცხოვრებ ქართველი ლაზებად მოიხსენიებდნენ". J. Klaproth, Tableau historique du Caucase, Leipzig, 1827, გვ. 87.

ნადირობისას იყენებენ. ხშირია აქ წვიმები, რის გამოც ჰავა ჯანმრთელობისათვის მავნებელი და საშიშია[1].

სამეგრელოში მრავლადაა კარგი საძოვრები, ისევე როგორც ვაზი, რომლისგანაც შესანიშნავ ღვინოს აყენებენ.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ ადგილას, ფეხის დადგმისას, მიწა ყრუ ხმას გამოსცემს, თითქოს იგი ღრუ იყოს. ეს გვაფიქრებინებს, რომ შავ და კასპიის ზღვებს შორის მიწისქვეშა კომუნიკაცია არსებულა.



ქართველები გურიიდან.

სწორედ აქ მიუღია მდინარე რიონს თავისი ძველი სახელწოდება „ფაზისი“ ხოხბების სიმრავლის გამო. მარცელინი თავის XIII წიგნში ამბობს, რომ სწორედ კოლხეთიდან წაიყვანეს არგონავტებმა ეს ფრინველი საბერძნეთში, საიდანაც შემდგომ ევროპაში გავრცელდა. ზოგიერთი მწერალი ამქვეყნიურ სამოთხეს ფაზისის ნაპირებზე ხედავს[2]. ამ მხარეს ადრე უფრო მრავალდარგოვანი წარმოება ჰქონია, ვიდრე ახლა აქვს. სტრაბონის ხანაში აქედან გაჰქონდათ უხვი ნაწარმი,

1 „მდიდარ მცენარეულობასთან ერთად, რომლის ზრდას ხელს უწყობს ადგილობრივი ჰავა, მრავლადაა გარეული ფრინველი: იხვი, ტყის ქათამი, ყარყატი, ყანჩა და სხვ. ამ ფრინველებს ყოველ ნაბიჯზე გუნდ-გუნდად წააწყდებით ხშირ, ჭაობიან ადგილებში. გაზაფხულზე ბუნება ისეთი თვალწარმტაცია, აღარავის უკვირს, რომ სამეგრელოს ედემის ბაღს ადარებენ. სამწუხაროდ, მის სიმდიდრეებს ვერ იყენებენ ციების გამო, რომელიც სწრაფად ანადგურებს ამ წყეულ ადგილებში მოსულ გულად ადამიანებს“. E. Chantre, დასახ. ნაშრ., ტ. IV, გვ. 52.

2 იხ. Reland, De situ paradisi terrestris, 1706; Vence, La Bible, ტ. I, გვ. 339—353.

მაგრამ გამუდმებულმა ომებმა შეაჩერეს ყოველგვარი განვითარება.

პტოლემე ჩამოთვლის კოლხეთის ბევრ ქალაქს, მაგრამ დღეს აქ რამდენიმე დაბას თუ შევხვდებით. ძველი ქალაქებიდან ნანგრევებიღა შემორჩა.



იარაღასხმული ხევსური.

მეგრელები ლამაზნი და კარგი აგებულებისანი არიან, განსაკუთრებით ქალები, ისევე როგორც სხვა მხარის ქართველები. მოგზაურნი მათ უარყოფითადაც ახასიათებენ, თითქოს მისდევენ ქურდობას, მისნობასა თუ სხვ. თუ ძველად ამგვარ საყვედურებს იმსახურებდნენ, არა გვგონია, დღესაც ასე იყოს.

აღნაგობით მეგრელები კავკასიელთა ხშირად ნაქებ კლასიკური სილამაზის ტიპს განეკუთვნებიან. მათ თვალების განიერი ჭრილი, სწორი და თხელი ცხვირი და დიდებული წარბები აქვთ, მაგრამ ამ სახეებში არ უნდა ვეძიოთ ევროპული რასისათვის დამახასიათებელი არც მიმზიდველობა და არც გამომსახველობა. მცირე გამონაკლისით, ესენი ცივი და გაუნათლებელი კერპები არიან.

მამაკაცები, თვით გლეხებიც, დახვეწილ წარჩინებულთ ჰგვანან. ისინი დიდსულოვანნი, გულადნი, რაინდულნი არიან და ყველაფერზე მეტად ცხენი უყვართ.

დიდი თავაზიანობითა და გულღიაობით შემკულნი იმის ცდაში არიან, რომ უცხოელს სამსახური გაუწიონ, აქვთ სტუმართმოყვარეობის კულტი. მხიარულნი, თამამნი, ექსპანსიურნი, ეჭვიანნი, უდარდელნი და მეტისმეტად ზარმაცნი, ყოველივე ამასთან ერთად, უკიდურესად ცრუმორწმუნენი და შურისმაძიებელნიც არიან. ისინი შეიძლება შევადაროთ დიდ ბავშვებს, რომელთაც არ ძალუძთ რაიმეზე დიდხანს გულისყურის შეჩერება და არც მდგრადი შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან, სწრაფად ეცვლებათ გუნება-განწყობილება[1].

ვინაიდან ჩვენი მიზანი არაა ამგვარ საკითხებზე დიდხანს შეჩერება, გვერდს ვუვლით საქართველოს სხვა მხარეების აღწერილობას. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ წიგნის თავში მოთავსებულმა ორმა გეოგრაფიულმა რუკამ შეიძლება სწორი წარმოდგენა მოგვცეს მთელ საქართველოზე.

1 E. Chantre, დასახ. ნაშრ., ტ. IV, გვ. 64.

# თავი II

# ეთნოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ

შინაარსი.— I. ნოეს კიდობნის გაჩერების ადგილი. ქართული ტრადიცია. ქართველები და სომხები ერთი და იმავე წინაპრის შთამომავალნი არ არიან. — II. მცირეაზიელი ხეთები, მათი ბატონობა ეგვიპტეში და დაბრუნება სამშობლოში. ქართველების წინაპრები ხეთები არიან. — III. თუბალებისა და მოსოხების გაიგივება ქართველებთან. — IV. ქართველთა წინაპრების, მცხეთოსისა და უფლოსის გაიგივება ბიბლიის მოსოხსა და თუბალთან. — V. ლურსმული წარწერები, რომლებიც შეეხება თუბალსა და მოსოხს. სომხეთის თავდაპირველი მოსახლეობა ქართველთა მოდგმისა იყო. — VI. ქართული ენა არის თვითნაბადი (sui generis).

მეცნიერება, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, დიდად წავიდა წინ ხალხების წარმომავლობის კვლევაში, მაგრამ ჯერ ბევრია გასაკეთებელი, რათა ბურუსი საბოლოოდ გაიფანტოს[1]. ჩვენს ხელთ არსებული მცირედი მონაცემები საშუალებას არ გვაძლევს, მივყვეთ ძველი ხალხების კვალს და შეუცდომლად მივაკვლიოთ მათ ფესვებს. აქამდე ძალზე ცოტა მეცნიერს უცდია დაედგინა ქართველთა წარმომავლობა და მათი დასკვნები ბუნდოვანი და სათუო გახლავთ. ამ საკითხის განხილვის დაწყებისას ჩვენ არა გვაქვს მისი საბოლოოდ გადაწყვეტის პრეტენზია, თუმცა ვიმედოვნებთ, სურათს მეტ სინათლესა და სიზუსტეს შევმატებთ იმ მონაცემთა ერთობლიობის აქ მოყვანით, რომლებიც საკითხს შეეხება.

## I. – ნოეს კიდობნის გაჩერების ადგილი. ქართული ტრადიცია. ქართველები და სომხები ერთი და იმავე წინაპრის შთამომავალნი არ არიან.

იმ ადგილის განსაზღვრა, სადაც წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი გაჩერდა, რთული საკითხია და ამაზე ბევრი მეცნიერი ფიქრობდა.

1 იხ. E. Reclus, Nouvelle Géographie universelle, ტ. IX, გვ. 1-2.

მეცნიერები ძირითადად იმის გამო ვერ თანხმდებიან, რომ აზიელი ხალხები სულ სხვადასხვანაირად გადმოსცემენ ამ ამბავს. მაგალითად, ქალდეველთა გადმოცემით, კიდობანი მიადგა ნაზირის მთას გორდის ქედზე, ასურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ირანელთა გადმოცემით კიდობანი გაჩერდა ჰინდუქუშის ქედზე, იმ მთასთან, საიდანაც მდინარე ჰინდი იღებს სათავეს. ინდური ლეგენდები ადამიანთა წარმოშობას უკავშირებენ მერუს მთას, რომელიც რამდენჯერმე გადაადგილდა ინდოეთში არიას სვლის მიხედვით. ჩინელებმა და ცეილონელებმა თავისი ქვეყნისთვის დაიჩემეს მერუს წმინდა მთა და ზოგიერთმა მეცნიერმა იგი ტიბეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოათავსა. ძველი სპარსელებისათვის წმინდა მთა იყო ჰარა ბერეზაიტი ზენდ-ავესტასი, თანამედროვე სპარსელთათვის — ალბორჯი.

წმიდა წერილი (ვულგატა) გვაუწყებს, რომ კიდობანი შეჩერდა სომხეთის მთებში[1]. ებრაული ტექსტი სეპტანტასთან ერთად ასახელებს არარატის მთას, რომელსაც ჩვენი წელთაღრიცხვით IX საუკუნემდე ერქვა აგრეთვე მასისი.

რამდენიმე მეცნიერს არ სურს ივარაუდოს, რომ არარატის მთა სომხეთში მდებარეობს. სხვანი ამას ამტკიცებენ[2].

წარმართი მწერალი ნიკოლოზ დამასკელიც, რომელიც ავგუსტუსის მეფობის დროს ცხოვრობდა, კიდობნის გაჩერების ადგილად ცენტრალურ სომხეთს მიიჩნევდა.

მინიასის ქვეყნის ზემოთ, ამბობს ნიკოლოზ დამასკელი, არის დიდი მთა, რომელსაც ბარისი ჰქვია. მოგვითხრობენ, თითქოს წარღვნის დროს ბევრმა ლტოლვილმა ნახა ამ მთის მწვერვალზე კაცი, რომელიც კიდობანზე იდგა; კიდობნის ნამსხვრევები დიდხანს იყო იმ ადგილებში. საფიქრებელია, რომ ეს ის კაცია, ვის შესახებაც ლაპარაკობს მოსე, ებრაელთა კანონმდებელი[3].

იუდეველი ისტორიკოსი იოსები ასე ამბობს:

ყველა, ვისაც უცხო ხალხების ისტორია დაუწერია, წარღვნისა და კიდობნის შესახებ ლაპარაკობს. ერთი მათგანია ქალდეველი ბეროზი, იგი ასე მოგვითხრობს წარღვნაზე: ამბობენ, თითქოს სომხეთში,

1 „და დადგა კიდობანი თთუესა მეშჳდესა ოცდაშჳდისა მის თთჳსასა მთათა ზედა არარატისასა". დაბადება, 8, 4.

2 იხ. Dubois de Monpéreux, Voyage autour du Caucase, Paris, 1840, ტ. VI, გვ. 47; იქვე, Quelques notices sur les races caucasiennes, Paris, 1837, გვ. 2.

3 Fragm. 76, dans Muller, Fragmenta Historicorum Graecorum (coll. Didot), ტ. III, თავი 3, §6.

კორდუენის მთების მხარეს კიდევ არის ხომალდის ნაწილი, რომელსაც აცლიან და აფხეკენ ფისის ნაჭრებს. ამ ნაჭრებს ავგაროზებად იყენებენ. ეგვიპტელი იერონიმე, ვინც ფინიკიელთა სიძველეებზე მოგვითხრობს, იმავეს ამბობს, რასაც მანასე და სხვა მრავალი[1].

შეხედულება, რომლის მიხედვითაც წმინდა წერილის არარატის მთა სომხეთში მდებარეობდა, როგორც ბერძნული, ისე ლათინური ეკლესიის თითქმის ყველა მამამ გაიზიარა[2].

ცხადია, მეცნიერებას ჯერ არ დაუდგენია ისეთი უდავო ადგილი, რომელიც შეესატყვისება გადმოცემებს. რაც შეგვეხება ჩვენ, ვემხრობით ძველ ავტორებს და არარატის მთა მიგვაჩნია კიდობნის გაჩერების ადგილად[3].

სხვათა შორის არც სარწმუნო საბუთები გვაკლია. ვიცით, რომ აღმოსავლეთის უძველესი ხალხები კუნძულებზე სახლობდნენ; ტოპოგრაფიული კვლევაც ადასტურებს, რომ კასპიის ზღვა შავი ზღვის

1 დასახ. ნაშრომი.

2 იხ. Saint Cyrille d'Alexandrie, Advers.Jul., წიგნი I, თავი 3, §6; Evang., წიგნი IX, თავი 11 და 12 – Saint Jean Chrysostome, ტ. IV, გვ. 248–9, Homel. XXVI, in Genes. – Theoph. Antioch., ad Autoluc., წიგნი III, §19, ad calc.. – Saint Justin. – Saint Jérôme ტ. IV, გვ. 12, Comment. in Isaiam.– Isidore, Orig., წიგნი XIV, თავი 8.

3 რომელია ის ქვეყანა, რომელიც ბიბლიაში ნახსენებია არარატის სახელწოდებით? Bochatr, Geographia sacra; Westen, Archaelogia, ტ. XVIII, გვ. 302; Saint – Martin, Mèmoires historiques et geographiques sur l'Armenie. ეს ავტორები ამბობენ, რომ ძველი ბერძენი და ლათინი მთარგმნელების დიდი უმრავლესობა აიგივებს არარატსა და სომხეთს... საეკლესიო მამათა შორის შეიძლება დავასახელოთ Théodoret., In Jerem., LI, 27, ტ. LXXXI, სვ. 751; Eustathe d'Antioche, In Hexameron, ტ. XVIII, სვ. 753; S. Jean Chrysostome, In Orat. De perf. carit., éd. Gaume, ტ.VI, გვ. 350; Eusèbe, Prép. évang., IX, 12, ტ. XXI. სვ. 699; S. Jérôme, Cnomm. in Is.proph., XI, 27, ტ. XXIV, სვ. 389; Liber de situ et nom.loc.hebr., ტ. XXIII, სვ. 859.

„ეს ინტერპრეტაციები ძირითადად ეყრდნობა იერემიას წ. I, 27, სადაც არარატის სამეფო მოხსენიებულია მინის და აშკენების სამეფოების გვერდით. ეს მონაცემები ნათლად აღნიშნავენ სომხეთს. იხ. ნიკოლოზ დამასკელის Josephe-ში, Ant. Jud., I, III, 6; Sayce, Journal of the Rogal Asiatic Society, ტ. XIV, ნაწ. III, გვ. 377-496; Delattre, Le peuple et l'empire des Mèdes, გვ. 71; Lenormant, Les origines de l'histoire, ტ. II, გვ. 388–395; H. Rawlinson, dans Herodotus, ტ IV, გვ., 246; G.Smith, History of Assurbanipal, გვ. 93.

„ძველი საბუთები გვაუწყებენ მთარგმნელთა განწყობილებებს... მოკლედ, თუ სავსებით უეჭველად არ შეგვიძლია იმის მტკიცება, თითქოს კიდობანი მასისის მთის მწვერვალზე გაჩერდა, მაინც უფრო სარწმუნოა, რომ წარღვნას გადარჩენილთ პირველი დღე სომხეთში უნდა გაეტარებინათ. ის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ნოემ ჰინდუქუშის ქედს მიაღწია, დაუშვებელია და ამ უძველესი ამბის არენის ასე შორს, აღმოსავლეთისაკენ გადასროლის ცდები უკუგდებულ უნდა იქნეს". F. Vigouroux, Dictionnaire de la Bible, Paris, 1 895, ტ. I, გვ. 881-882.

განაყოფია და რომ კავკასიონის მთები კუნძულები იყო, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. გარდა ამისა, როდესაც იაფეტის გენეალოგიას იძლევა, ბიბლია ნათლად ამბობს, იაფეტის ვაჟებმა „განიყვნეს ჭალაკნი წარმართთანი ქუეყანასა მათსა; თჳთეულნი ენა-ენად ტომთა შინა მათთა და ნათესავთა შინა მათთა“[1]. ამ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, თუ კონტინენტების მნიშვნელობას მივანიჭებთ, ისინი ყველა შემთხვევაში შეიძლება მიესადაგოს კავკასიას და არა ბაქტრიას, რომელიც იაფეტური რასის უძველეს საცხოვრებელ ადგილად სურთ გამოაცხადონ.



არარატის მთა (5400 მ.).

ნუ დავივიწყებთ, რომ ძველ ხალხებში კავკასიის მთები კულტის ობიექტი და მათი მითოლოგიის გმირების მოქმედების ასპარეზი იყო.

აქ სერიოზულად წამოიჭრება რამდენიმე თვალსაზრისი:

ვინაიდან ყოველ ეპოქაში მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადგილობრივ გადმოცემებს და მათ მეგზურად იყენებდნენ ისტორიული საკითხების ბუნდოვანების გასაფანტავად, ჩვენც ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხის დასმისას დიდ ადგილს ვუთმობთ ქართულ ტრადიციას, ქართულ გადმოცემებს, რომლებიც მოხსენიებულია ქართველთა უძველეს ისტორიულ მატიანეში „ქართლის ცხოვრებაში“. მატიანე ასე იწყება:

„პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა

1 „მათგან განაწილებული აქვთ ტომებს კუნძულები თავიანთ რეგიონებში“, დაბადება, 10, 5.

და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს მაშინ გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკჳდრა ორთა მათ მთათა შუა კაცშეუვალთა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხჳ, რამეთუ ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი და შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი. რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსას წელ. და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა.

ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხუდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშჳდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყვნეს გმირნი. ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლისრღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმკნითა.

ხოლო ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა, განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თჳსი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შჳდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგემისაებრ მათისა: წარმოიყვანნა შჳდნი იგი ჩრდილოთ კერძო და განუყვნნა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა. მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო. და მიერთჳს მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი დადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს.

ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამჴრით, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეერთვიან მტკუარი და რახსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ.

ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი, და დაემკჳდრა მუნ.

ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ცყეცმამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა მორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი და მის·გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა.

ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳს ყურისა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; (ჩრდილოთ) მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან მედია.

ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთჳს გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი,ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღჳთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავალით.

ხოლო ჰაოს დაემკჳდრა საყოფელთა მამისა თჳსისა თარგამოსისთა, და დაიპყრა ქუეყანა ჩრდილოთ, ვითა დამიწერია: სამჴრით მთით ორეთისითგან, აღმოსავლით ვიდრე ზღუადმდე გურგანისა, და დასავლით ვიდრე ზღუადმდე პონტოსა და ამათ შჳდთავე გმირთა ზედა იყო განმგებელი და უფალ ჰაოს. და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსისა. და ესე რვანივე ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყანისა.

ხოლო აქათგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე დღეთა ჩუენთამდე, და ვითარ-იგი განუყო ქუეყანა თარგამოს ნათესავსა მისსა და რვათავე შვილთა მისთა.

და მისცა ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემო აღვწერეთ. და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა.

შემდგომად ამისსა ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქჳან სამშჳლდე. და კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა აწ ჰქჳან ხუნანი. ცხოვნდა იგი მრავალთა წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი.

ხოლო შვილთა მორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა

სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს. ესე ხუთნივე იყვნეს გმირნი. არამედ მცხეთოს უგმირე იყო სხუათა მათ.

მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისსა ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე. და მანვე აღაშენა მოსცვან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, და განყვნა ცოლმან ქართლოსისმან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი.

გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მდინარე მერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამკრით მთა პირველ კსნემული, და ჩრდილოთ მტკუარი.

ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკჳრეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე ამოცისა. და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი.

ხოლო კუხოსს მისცა მოსცვან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, [...მესარ]თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა.

ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგკთგან ვიდრე ტყეტმადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა. რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუედრი იყო. და მისცა კახოს შეწევნისათჳს და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა მერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა.

ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგჳსასა, და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგკთგან დასავლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა.

და ესე იყო განმგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა. და ესე ოთხნივე იყვნეს მორჩილ მისა. ესე არიან განყოფილნი ქართლოსის ძეთანი და რომელნი განყვნა დედამან მათმან შემდგომად სიკუდილისა ქართლოსისა. ხოლო მრავალთა წელთა და მრავალთა ჟამთა ცხოვნდა ძე ქართლოსისი, და განმრავლდა ნათესავი მისი, და მათ ყოველთა განმრავლდა ნათესავი მათი.

ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა ოძრკოს, და მესამესა ჯავახოს. განეყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი.

ოძრკოსს მისცა ტასისკარისგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა ჰლდოვანი. ამან ოძრკოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრკე და თუხარისი.

ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა.

და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტაანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვან ჰერი.

ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგვთაგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგვთაგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვან შიდა-ქართლი"[1].

„ქართლის ცხოვრებაში" მოყვანილი იაფეტის გენეალოგია საკმაოდ განსხვავდება ბიბლიურისაგან, რომელიც ასე გამოიყურება:

ძენი იაფეთისანი ღამერი, და მაგოგ, და მადიმ, და ავან და ელიოსან, და თობელ და მოსოქ და თირას. და ძენი ღამერისანი: ასქანაზ და რიფათ და თორღამა. და ძენი ავანისნი: ელისა და თარშის კიტელნი[2].

ქართული ბიბლია სავსებით თანხვდება ბერძნულ და ლათინურ ტექსტებს. აქედან ცხადია, მემატიანეებს ბიბლიიდან არ აუღიათ იაფეტის გენეალოგია. ეს განსხვავება იმის საბუთია, რომ მატიანე საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდეა დაწერილი.

ძნელი დასაზუსტებელია „ქართლის ცხოვრების" დაწერის თარიღი, მაგრამ მისი სიძველე უდავოა. რედაქცია კი ნამდვილად ახალია: მეფე ვახტანგ VI-მ XVIII საუკუნის დასაწყისში ნაშრომს ახლანდელი სახე მისცა, ოღონდ მასალები ამოღებულია სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა ეპოქაში თანმიმდევრულად შედგენილი ქრონიკებიდან და საქართველოს უძველეს მონასტრებში დაცული საბუთებიდან.

ამდენი საუკუნის მანძილზე „ქართლის ცხოვრება", ცხადია, ვერ გადაურჩებოდა დამახინჯებებსა და ჩამატებებს. მიუხედავად ამისა, ამ ცვლილებებს მთავარი ფაქტების გადმოცემაზე გავლენა არ მოუხდენია, ვინაიდან ძირითადად იგი შესანიშნავად ეთანადება მსოფლიო ისტორიას, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ამჟამადაც არსებობს გეოგრაფიული სახელები, რომელნიც უძველეს ეროვნულ წყაროებში გვხვდება და თავად ატყვიათ გარდასული სიძველის ბეჭედი. საქართველოს ისტორიის ეს ძველი გადმოცემები ისეთივე ავტორიტეტით სარგებლობს,

1 Histoire de la Géorgie, თარგმნილი ფრანგულად ბროსეს მიერ; St.–Pétersbourg, 1849, ტ. I, გვ. 15-23. იხ. „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ.I, თბილისი, 1955, გვ. 3-10.

2 Filii Japheth Gomer, et Magog, et Madai, et Javan, et Thubal et Mosoch, et Thiras. – Porro filii Gomer Ascenez, et Riphath, et Thogorma. – Filii autem Javan, Elisa, et Tharsis, Cetthim, et Dodanim" (დაბადება, 10, 2-4).

როგორიც კლასიკურ ისტორიებს ექნებოდა თვით უმკაცრესი კრიტიკის თვალში. ჩვენ ამაზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ, რადგანაც სწავლულებმა უკვე დაადგინეს მათი სიძველე[1], ეს ქართული წყაროები განმეორებული და დაცულია უძველეს სომეხ ავტორებთან, რომელთაც ისინი ქართველებისაგან აქვთ ნასესხები[2]. აი, რას მოგვითხრობს მოსე ხორენელი:

იაფეტი შობს გამერს; გამერი შობს თირასს; თირასი შობს თორგომს; თორგომი შობს ჰაიკს; ჰაიკი შობს არამანეაკს; არამანეაკი შობს არამაისს; არამაისი შობს ამასიას; ამასია შობს გეღამს; გეღამი შობს ჰარმას; ჰარმა შობს არამს; არამი შობს არა მშვენიერს. ეს ჰაიკი არის თირასის ძე, თირასი გამერის და გამერი კი იაფეტის, სომეხთა წინაპრის ძეა[3].

ქართული სიტყვები „სამხრეთი“ და „სომხეთა“ აღნიშნავს შესაბამისად „სამხრეთს“ და საქართველოს „სამხრეთით მცხოვრებთ“. მათ აძლევენ აგრეთვე „სომხეთის“ და „სომეხთა“ მნიშვნელობებს. თანამედროვე სომხებმა, ან უფრო სწორად, „ჰაიებმა“, როგორც ისინი თვითონ უწოდებენ საკუთარ თავს, ეს სიტყვები მიიკუთვნეს და თავი მიაჩნიათ იაფეტის შვილიშვილ თოგორმას პირველ შვილებად, ქართველთა უფროს ძმებად, რაც აშკარა მითვისება გახლავთ. ნათესაობის თვალსაზრისით სომხებს არაფერი აქვთ საერთო ქართველებთან. მათი გენეალოგია სავსებით ხელოვნურია, ვინაიდან თარგამოსის გადმოცემამ სომხეთში შეაღწია მხოლოდ ბიბლიის სომხურად თარგმნის შემდეგ, ქრისტიანობის მიღების შემდეგ[4]. მეცნიერებამ სავსებით უარყო სომეხთა და ქართველთა საერთო წარმოშობის იდეა. ანთროპომეტრიულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ აგებულებითა და თავის ქალის მოყვანილობით ქართველები და სომხები თეთრი რასის ორი განსხვავებული ტიპი გახლავთ[5].

მეორეს მხრივ, კრიტიკულმა განხილვამ დაადგინა, რომ მოსე ხორენელის ისტორია მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნური კომპილაციაა. აღმოსავლეთმცოდნე მ.ა. კარიერმა საბოლოოდ გაანადგურა ეს ისტორია. დაამტკიცა, რომ ვითომდა სირიელი ისტორიკოსი მარ აბას კატინა, რომელსაც ეყრდნობა მოსე, ამ უკანასკნელის ფანტაზიის

1 იხ. Vivien de Saint-Martin, Recherches sur les populations primitives, Paris, 1847, გვ. 54, – Brosset, Mélanges Asiatiques, St.-Pétersbourg, 1864, ტ. V. გვ. 57. – Histoire de la Géorgie, Introduction, გვ. XIV–XVI

2 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ.I გვ. 16.

3 Moïse de Khorène, Histoire d'Arménie, წიგნი I, თავი, V.

4 Saint-Martin, Mémoires sur l'Arménie, ტ. I, გვ. 257.

5 Journal Asiatique, სერია IX, ტ. XI (1898) გვ. 338.

ნაყოფია ისევე, როგორც ნაამბობი, რომელსაც მოსე მას მიაწერს[1].

მოსე ხორენელთან მოყვანილი გენეალოგია თითქმის ყველა თანამედროვემ მიიჩნია ნამდვილ სომხურ ეროვნულ გადმოცემად და ესაა მთავარი მოტივი სომხეთსა და მის მოსახლეობასთან თოგორმას სახელის დაკავშირების დროს. ხოლო პოლ დე ლაგარდმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ აღნიშნულ გენეალოგიას სულაც არა აქვს ის ხასიათი, რასაც მას აკუთვნებენ, და რომ სახელი თოგორმა ადგილობრივი გადმოცემიდან კი არ მომდინარეობს, არამედ აღებულია დამახინჯებული ფორმით სეპტანტის ბერძნული ტექსტიდან[2].

სომეხთა მონათხრობს გადაჭრით უარყოფს გასულ საუკუნეში აღმოჩენილი ვანის წარწერები. ღღესდღეობით ნათელია, რომ იმის მიხედვით, რაც აღნიშნული წარწერებიდან გამოირკვა, ძვ.წ. VI საუკუნემდე დიდი სომხეთის ტერიტორია, და კერძოდ, ის რაიონები, რომელთაც სომხური გეოგრაფია უწოდებს არარატს, მანავაზიანს, ვასპურაკანს და სხვ., არ იყო სომხებით (ჰაიქ) დასახლებული, არამედ ეჭირა რასით და ენით სავსებით განსხვავებულ ხალხს[3]. თანამედროვე სომხები არიული, ანუ ფრიგიული რასის ხალხია, სომხეთის ტერიტორიაზე მოგვიანებით მოსული და ქართველები ამ რასას არ ეკუთვნიან. ამიტომაა, რომ „ქართლის ცხოვრების" სიტყვები „სომხები ან არმენები" ეკუთვნის სომხეთის თავდაპირველ მოსახლეობას, რომელიც ქართველების რასას ეკუთვნოდა. ასეთი აზრით ვიხმართ სიტყვებს „სომხეთი" და „სომეხი" ამ თავში, როდესაც სომხების წარმოშობაზე ვილაპარაკებთ.

„ქართლის ცხოვრებაში" რამდენჯერმე განმეორებული მტკიცების მიუხედავად, თოგორმას ქართველთა წინაპრად ვერ მივიჩნევთ. ამ სიტყვას განვიხილავთ, როგორც სახეშეცვლილს, დამახინჯებულს, ისევე, როგორც სიტყვა „ჰაოსს", რომელიც ალბათ აღნიშნავდა კოლხეთის ცნობილი მეფის, აიეტის სახელს, რომლის დიდებასაც საბერძნეთამდე მიუღწევია[4].

---

1 Journal Asiatique, სერია XI, ტ. II (1892), გვ. 86.

2 P.de Lagarde, Gesamn.Abhandl., გვ. 225, და ა.შ. — „ვერავითარ ნდობას ვერ გამოვუცხადებთ მოსე ხორენელთან მოტანილ ცნობებს, რომლებიც სომხების წარმომავლობას შეეხება; ეს არის ქრისტიანული ეპოქის მდარე კომპილაციები, სადაც ყალბს ნამდვილზე მეტი ადგილი უჭირავს". F. Lenormant, Histoire ancienne de L'orient, Paris, 1885, ტ.IV, გვ. 241.

3 იხ. F. Lenormant, Sur L'ethnographie et L'histoire de L'Arménie avant les Achéménides, dans le ტ. II des Lettres assyriologiques, Paris, 1892, გვ. 130; – Maspéro, Histoires ancienne des peuples de l'Orient, გვ.215, 398, 449; – H. Rawlinson, On The Alarodians of Herodot, dans G. Rawlinson, Londres, 1851, ტ.IV, გვ. 203-206.

4 E. Chantre, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, გვ. 16-7.

მაგრამ ჩვენ არ უარვყოფთ, რომ სომხები იაფეტის ერთ-ერთი შვილის შთამომავალნი არიან, რადგანაც ქართველებისათვის ეს ურყევი გადმოცემაა და არც ერთი საბუთი საწინააღმდეგოზე არ მეტყველებს. ყოველი მწერალი, რომელიც სომხებს იხსენიებს, ამტკიცებს მათ უძველესობას და აღნიშნავს, რომ ეს ხალხი წარღვნის ეპოქაში იღებს საწყისს. ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებთ, გამოდგება ამ მტკიცებათა ჭეშმარიტების დასასაბუთებლად.

## II. – მცირეაზიელი ხეთები, მათი ბატონობა ეგვიპტეში და დაბრუნება სამშობლოში. ქართველების წინაპრები ხეთები არიან

ჩვენ გვინდა ვისაუბროთ ერთ დიდ პრეისტორიულ ხალხზე, რომელმაც უძველეს ხანაში თავისი ბატონობა თავს მოახვია არამარტო მთელ მცირე აზიას, არამედ სხვა ქვეყნებსაც. ეგვიპტურ ძეგლებში ამ ხალხს „ხეთა“-ს უწოდებენ, ლურსმულ წარწერებში „ხათი“-ს ან „ხათთი“-ს, ხოლო ბიბლიაში „ჰიტტიმ“-ად მოიხსენიებენ. უახლესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა განათლებულ მსოფლიოს ამცნო მისი ძლიერება და ცივილიზაციის მაღალი დონე.

ამ ხალხის ნაწილი, სირიის გაელით, ეგვიპტეში შეიჭრა, სადაც დიდხანს იბატონა „ჰიკსოსების“, ანუ „მწყემსნი მეფენის“ სახელწოდებით[1]. მისი შემოსევის თარიღი რთული დასადგენია; ჩვეულებრივ ვარაუდობენ დროს, ჩვენს ერამდე 2200-სა და 2100 წლებს შორის[2].

"მწყემსმა მეფეებმა" ეგვიპტეში დააარსეს XV, XVI და XVII ეგვიპტური დინასტიები. ეგვიპტეში მათი ბატონობის ხანგრძლივობაც დაზუსტებას მოითხოვს. ზოგიერთის აზრით „მწყემს მეფეთა“ ბატონობა 953 წელს გრძელდებოდა, სხვანი უფრო ნაკლებ დროს ვარაუდობენ[3]. როგორც უნდა იყოს, მრავალი ბრძოლის შემდეგ, ისინი ეგვიპტიდან განდევნა აჰმოზის I-მა, ჩვენს ერამდე 1800—1700 წლებში. შემდგომში, რამზეს I-ს და განსაკუთრებით, რამზეს II-ს (სეზოსტრისს) არ შეუწყვეტიათ ხეთების დევნა და მათთან ომი, რასაც მოწმობს ჩვენამდე მოღწეული არაერთი ხელშეკრულება რამზეს II-სა და ხეთების მეფეს შორის[4]. ფარაონთა მიერ განდევნილი ხეთები თავის სამშობლოს დაუბრუნდნენ[5].

---

1 იხ. **P. Cesare A. De Cara,** Gli Hyksos o Re Pastori, Rome, 1889, გვ. 17 და ა.შ.

2 იქვე , Gli Hethei-Pelasgi, Rome, 1894, გვ. 114; Babelon, Histoire ancienne de L'Orient, Paris, 1885, ტ. IV, გვ. 77.

3 იხ. **Brugsch,** Histoire d'Egypte, გვ. 287.

4 იხ. **G. Maspéro,** Histoire ancienne des peuples de L'Orient, Paris, 1897, ტ. II, გვ. 401.

5 იხ. P. Cesare De Cara, Gli Hyksos o Re Pastori, გვ. 177.

დაახლოებით იმავე დროს სხვა შეჭრა ან მიგრაცია დაიწყო საბერძნეთში, იტალიასა და კუნძულებზე; მოძრაობა იწყებოდა ძირითადად კაპადოკიიდან და პონტოდან, ანუ კოლხეთიდან. ეს მიგრაცია მთლიანად წინაფინიკიური და წინაელინურია.

კაპადოკიასა, კრეტასა და იტალიაში ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების იდენტურობაზე დაყრდნობით სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ ამ სხვადასხვა ადგილას სახლობდა ერთი და იგივე ხალხი. ეს ხალხი ამ ქვეყნებში ცნობილია პელაზგების სახელწოდებით[1].

დე კარა ამ ხალხს ქამის შთამომავლებს მიაკუთვნებს[2], თუმცა ბევრი სხვა მეცნიერი საწინააღმდეგო აზრისაა და იაფეტი მიაჩნია მათ წინაპრად. მაგალითად, ფ.ლენორმანი ასე ამბობს:

„ხეთებმა წამოჭრეს მეტად რთული და საინტერესო ეთნოგრაფიული პრობლემა, რომელიც მ.სეისის მონოგრაფიულ ნაშრომებში შესანიშნავად გაშუქდა. ვინაიდან „ხეთა“ „ჰიტიტ“-თა ომონიმებია, ხოლო ამ უკანასკნელთ ბიბლიამ ადგილი მიუჩინა პალესტინის სამხრეთ ნაწილში ჰებრონის მახლობლად და მიაკუთვნა ქანაანის რასას, დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, თითქოს ჩრდილოეთის „ჰიტიტ“-ები ანუ ხეთები ქანაანელნი იყვნენ, და ამრიგად გამოუვალ ისტორიულ სიძნელეებს აწყდებოდნენ. დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის „ჰიტიტ“-ებს საერთო ჰქონდათ მხოლოდ სახელის შემთხვევითი მსგავსება. ეგვიპტური ძეგლების „ხეთა“, ლურსმული ტექსტების „ხატი“, ბიბლიის სამხრეთული „ჰიტიტ“-ები — ყველა ეს ხალხი ტიპობრივად და ენობრივად აბსოლუტურად განსხვავდება სემიტებისა და ქამიტებისაგან. ისინი მიეკუთვნება მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომლის ცენტრიც იყო ტავროსი და

---

1 იქვე, Gli Hethei – Pelasgi, გვ. 37 და ა.შ. აქ მოჩანს იმ ძველი გადმოცემის დასაბამი, რომელიც ამტკიცებს, რომ ევროპა დასახლებული იყო კავკასიური რასით. სხვათა შორის, შეგვიძლია აქ მოვიტანოთ შემდეგი პასაჟი: „რუსი არქეოლოგი ფილიმონოვი, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა ყაზბეგში (კავკასია) აღმოჩენილ და იტალიაში, სამლაეებში ნანახი ფიბულების მსგავსებას, ვარაუდობს კავკასიის ხალხებსა და ნახევარკუნძულის პირველ მოსახლეობას შორის ნათესაობას. იგი გაბედულად გამოთქვამს აზრს, რომ ეტრუსკების ქვეყნის პირველი მცხოვრებნი კავკასიიდან იყვნენ... ზოგიერთი მეცნიერის აზრით დასავლეთ ევროპის კულტურა მოვიდა კავკასიიდან; კავკასიას მიიჩნევენ ისინი ევროპაში ამ დიდი მოძრაობის ცენტრალურ კერად; ბაიერნი, რამეთუ კავკასიონის მთები წიაღისეულით მეტად მდიდარია, ფიქრობს, რომ ამ კულტურის ფესვები აქ უნდა ვეძიოთ, რომ კავკასიიდან გავრცელდა ეს კულტურა თვით ციმბირამდე, უფრო მეტიც, კავკასიელი ხალხების საწყისი სემიტურია და არა თურანული“. J. Mourrier, L'Archéologie du Caucase, Paris, 1887, გვ. 58—9, 62. იხ. E.Chantre, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 184.

2 Cesare De Cara, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 36, 41, 56.

რომელსაც ბიბლიური ეთნოგრაფია უწოდებს თირასს, რომელიც, თავის მხრივ, იაფეტის ოჯახს განეკუთვნება“[1].

ხეთების ორგანიზაციის შესახებ იგივე ავტორი ასეთ ცნობას გვაწვდის:

„მათი პოლიტიკური წყობილება ძლიერების ეპოქაში ხასიათდება მტკიცედ ორგანიზებული იმპერიით, რეგულარული მმართველობითა და განვითარებული საქმის წარმოებით... ხეთების უმაღლესი ღვთაება იგივეა, რაც ქურუმებისა ეგვიპტეში, ე.ი. სუტეხი“[2].

ხეთების პირველადი, ანუ პრეისტორიული სამშობლო სომხეთი იქნებოდა[3], შემდეგ ისინი გავრცელდნენ კოლხეთში, შავ ზღვაზე, კაპადოკიასა და სირიაში, რომელიც, უძველეს ხანაში, მცირე აზიის დიდ ნაწილს მოიცავდა მაშინ, როდესაც სახელწოდება „მცირე აზია“ ჯერ კიდევ უცნობი იყო[4].

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს უძველესი ხალხი იმავე რასას ეკუთვნოდა,

რომელსაც ქართველები. აი, რას ამბობს მასპერო:

„ხეთები, ისევე როგორც მათი მსგავსი თაბალები და მესხები, უნდა ეკუთვნოდნენ იმ რასებს, რომლებიც კავკასიაში ცხოვრობდნენ“[5].

ფ.ლენორმანი თავის მხრივ ამბობს:

„ისინი (ხეთები) უეჭველად ენათესავებიან, ერთი მხრივ, მეშეხის და თუბალის ხალხებს, მათ ჩრდილო მეზობლებს, მეორე მხრივ, კი კავკასიური რასის ხალხებს: სასპირებს, ალაროდიელებს, რომელნიც უძველეს დროში სახლობდნენ სომხეთის მთების მასივებში“[6].

---

1 F . Lenormant, Histoire anciennedes peuples de L'Orient, ტ.II გვ. 220.

2 დასახ. ნაშრომი, გვ. 222-3. ამ ხალხს ჰქონდა ეგვიპტური სისტემისაგან სავსებით განსხვავებული, სრულიად განსაკუთრებული იეროგლიფური დამწერლობა, გვ. 413, იხ. Maspéro, Histoire ancienne des peuples de l'Orient, გვ. 216.

3 Cesare A. De Cara, Gli Hethei–Pelasgi, გვ. 136. — იხ. Sayce, The Monuments of the Hittites, dans Transact. Soc. Bibl. Archaeol. წიგნ. VII, 1882, გვ. 263.

4 იხ. Cesare De Cara, დასახ. ნაშრომი, გვ. 37, 116, 121, 135-359.

5 G.Maspéro, Histoire ancienne des peuples de L'Orient, გვ. 215.

6 F. Lenormant, Histoire ancienne des peuples de L'Orient, ტ.II, გვ. 221. იხ. Sayce, Fresh Light from the Monuments, გვ. 96-7.

ქართველთა ძველი თქმულება, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, ხეთების უშუალო წინაპრად ქართლოსს მიიჩნევს. ამ მამამთავრისა და მისი ვაჟის, მცხეთოსის სახელები „ხათი"-დან წარმოშობილს ჰგავს. სიტყვა „ხათი"-ს ფუძე — ათ-ჰათ-ეთ-ჰეთ-ხათ საკმაოდ კარგადაა შემონახული, თუმცა დიდი დრო გვაშორებს იმ უძველეს ხალხს. ქართულ თქმულებაში ნახსენებ უამრავ პიროვნებასა და ადგილს, რომელთა დასახელების უბრალო ანალიზიც კი მიგვიყვანდა სიტყვებთან „ხათი", „ხეთა", „ჰეთა" და სხვ. ა.შ., ჩვენ მდუმარედ ვუვლით გვერდს.

ქართული რასა მოხსენიებულია ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. ძველი ბერძნებისთვის კოლხეთშია მათი გმირების თავის გამოსაჩენი ასპარეზი.

მეტად რთულია ტყუილისა და მართლის გარჩევა კლასიკოსი მწერლების მონათხრობში, როდესაც საკითხი ქართველთა სამეფო საგვარეულოს ეხება[1], მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქართველი ხალხის სიძველე, მისი წარმოშობა ისტორიკოსთა კვლევის მიღმა რჩება. ჰეროდოტე, რომელმაც ვერ შეძლო ამ საკითხში გარკვევა, ქართველთა წინაპრად ეგვიპტელებს ასახელებს იმიტომ, რომ სელის წარმოება და ტილოს დამზადება მათ ერთნაირად სცოდნიათ[2], ისტორიის დაკვირვებით შესწავლა სხვა მრავალ მსგავსებასაც აღმოგვაჩენინებს: მაგალითად, მსგავსებას ქართველთა რწმენებსა და უძველეს ღვთაებებს შორის, ადამიანებისა და ადგილთა სახელებს შორის და სხვ.; ადათ-ჩვეულებათა მსგავსება რამზეს II-ის მიერ კოლხეთში დაარსებულ ეგვიპტურ კოლონიას კი არ უნდა მივაწეროთ (როგორც ჰეროდოტე მიაწერს), არამედ ხეთურ რასას, რომლის ნაწილმაც ეგვიპტე დაიპყრო, როგორც უკვე ვნახეთ. ეს ხალხი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დარჩა ეგვიპტეში, სადაც პირვანდელი სამშობლოს წეს-ჩვეულებების ღრმა ნაკვალევი დატოვა, და როდესაც თავის აკვანს დაუბრუნდა, ასევე შემოიტანა სხვა ჩვევები და სხვა სახელები, რომლებიც ეგვიპტეში ყოფნის დროს შეისისხლხორცა[3]. ასე შეგვიძლია ყველაზე უკეთ ავხსნათ ხსენებული საკითხი.

1 იხ. Homère, Odyss., IX, V. 32; Callim. ფრ. 113; Apoll. Rhod., II, 405, 1096. იქვე, IV, 589, სქოლიოები, Apollon. Rhod. III, 242; Mala, წიგნი III, ტაბ. 204, Hom. X, 136; Hesiod., Theog. 957; Apollon., I, 9. I; Dionys. Hal., IV, 63.

2 Hérodote, II, 104, 105.

3 იხ. Sayce, Hérodotos, დასტება I, წიგნი VI, გვ. 271.

## III. – თუბალებისა და მოსოხების გაიგივება ქართველებთან

ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ მოსოხებისა და თუბალების შესახებ, რომელთაც როგორც ძველი, ისე თანამედროვე მწერლები, ქართველებთან აიგივებენ. მართლაც, წმინდა წერილი არაერთგზის იხსენიებს თუბალებსა და მოსოხებს, როგორც მეზობელ, მრავალრიცხოვან და ძლიერ ხალხებს, რომელნიც შიშის ზარს სცემდნენ მახლობლად მდებარე ქვეყნებს[1]. როდესაც ჰეროდოტე დარიოსის იმპერიის სატრაპიებს ჩამოთვლის, აღნიშნავს, რომ მათ ერთი ხელისუფლება განაგებდა, ხოლო ქსერქსეს არმიის აღწერისას ამბობს, ეს ხალხები ერთ მეთაურს ემორჩილებოდნენო[2]. წინასწარმეტყველ ეზეკიელისა და ბერძენი ისტორიკოსის მიერ ამ ხალხების ერთნაირად მოხსენიება უნდა აიხსნას იმით, რომ თუბალები და მოსოხები ერთი და იმავე ეროვნების ორი შტო გახლავთ, თუმცა მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა საკმაოდ ძველი ამბავია, რაც დამოწმებულია „შესაქმეთა წიგნით". მიუხედავად ამისა, ეს გამოყოფა ვერ წაშლის იმ კვალს, რაც საერთო წარმომავლობამ დატოვა ადგილობრივ ენასა და ტრადიციებში.

ისტორიის ყოველ ეპოქაში უცხოელი და ქართველი ავტორები იხსენიებდნენ მესხეთად წოდებულ მხარეს, რომელსაც მტკვრის ხეობის ზემო წელი ეკავა და სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს ზეგანს ქმნიდა, ამ აუზის გარემომცველ მთებს ძველი ავტორები „მოსხეთის მთებს" უწოდებდნენ.

იმის გამო, რომ წარღვნის შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ან დავაზუსტოთ რაიმე იაფეტის შვილების პირდაპირი შთამომავლების შესახებ.

ის კი უეჭველი და უდავოა, რომ ისტორიული ეპოქის დასაწყისიდან მოსოხები და თუბალები ყოველთვის ქართულ რასას ეკუთვნოდნენ.

## IV. – ქართველთა წინაპრების, მესხეთოსისა და უფლოსის გაიგივება ბიბლიის მოსოხსა და თუბალთან

იაფეტის შვილთა სახელები მხოლოდ ხალხების სახელი კი არ არის, არამედ უცილობლად იმასაც აღნიშნავს, თუ რომელი შტოდან აიღეს დასაბამი ხალხებმა და ტომებმა, რადგანაც ქვეყნებმა სახელები

1 „ელლადაი ყოველი და განმარცობელნი მისნი ვაჭრობდეს შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა", ეზეკიელი 27, 13. — „მუნ მიეცნეს მოსოქ და თობელ და ყოველი ძალი თითოეულისა მათისა, საფლავისა მისისა გარემოისთაგანისა, ყოველნი წყლულნი მათნი, ყოველნი წინადაუცვეთელნი, წყლულნი მახვილისა მიერ, მიმცემელნი შიშსა მათსა ქუეყანასა ზედა ცხოვრებისასა. „— იქვე, 32, 26. — „აჰა, მე შენ ზედა, გოგ, მთავარსა როსისსა, მოსოქს და თობელს". იქვე, 39,1.

2 **Hérodote,** წიგნი III, თავი 94, წიგნი VIII, თავი 78

მიიღეს თავიანთი პირველი მოსახლეობისაგან. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მოსოხები და თუბალები პირდაპირი შთამომავალნი არიან იაფეტის ძეთა — „შესაქმეთა წიგნის“ მოსოხისა და თუბალისა.

მოგვიანებით, იაფეტის შვილების მერე რამდენიმე თაობის შემდეგ, როდესაც პირველადი ტრადიცია შეიცვალა, ამ ხალხებმა · თავიანთი გენეალოგიის განახლება ისურვეს და საკუთარი ძირის ძებნა ცოტად თუ ბევრად დაშორებულ წინაპრებში დაიწყეს.

მართლაც, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული გადმოცემა აგვიწერს ორ წინამძღოლს, რასის მეორად ეთნარქებს, მცხეთოსსა და უფლოსს, რომელთა სახელები უნდა გავაიგივეთ ბიბლიურ მოსოხსა და თუბალთან. მოსოხი და თუბალი არიან შვილები ქართლოსისა, რომელსაც გადმოცემა ქართული რასის მამამთავრად მიიჩნევს, ქართლოსი კი იაფეტის ერთ-ერთი შვილის ძეა. მართლაც, ებრაული „მოსოხ“ ან „მოსოქ“ სიტყვის ძირი Mzk ანალოგიურია ქართული სიტყვა „მცხეთოსის“ „მცხ“ ფუძისა, რომლის წარმოთქმა მხოლოდ ფუძეში ხმოვნის ჩართვით შეიძლება. სიტყვიდან „მცხეთოს“ წარმომდგარია „მცხეთა“, მტკვრის ხეობის ზემო წელის სახელწოდება.

სიტყვა „თუბალის“ უბლ ფუძე ასევე იდენტურია სიტყვა „უფლოსის“ (უფლოსი მცხეთოსის ძე) უფლ ფუძისა; საწყისი თანხმოვნის მომატება არა ცვლის მის სახეს და შემადგენელი ასოებიც იგივე რჩება[1].

უფრო გვიან სახელი თუბალი, ანუ ჰეროდოტესთან „ტიბარენი“, სახეს იცვლის „იბერიად“, რომელიც ძველ გეოგრაფიაში მითრიდატეს წინააღმდეგ გამართულ რომაელთა ომებამდე და ჩვენს ერამდე 65 წელს კავკასიაში პომპეუსის ლაშქრობამდე არა ჩანს. ამის შემდეგ კი რომაელ და ბერძენ ავტორებთან საქართველოს აღსანიშნავად სწორედ ეს ტერმინი გამოიყენება.

იუდეველი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი ეთანხმება თუბალთა ქვეყნის გაიგივებას იბერიასა და იბერიელებთან[2]. წმინდა იერონიმეც ამ აზრისაა. სეპტანტა ასევე ებრაულ სახელებს „მოსოხ“ და „თუბალ“ ახსენებს, როგორც მესხებსა და იბერიელებს.

ფ.ლენორმანმა დაამტკიცა აბსოლუტური იდენტურობა „თუბალ“ მჭედელს, ბრინჯაოსა და რკინის ნებისმიერი იარაღის გამომჭედსა და „თაუბალ“ ხალხს შორის, რომელიც ქ.ტიროსში ცვლიდა მონებსა და ბრინჯაოს იარაღს სხვა საქონელზე. თუბალის ხალხი, ანუ ტიბარენები და ხალიბები, დასძენს იგი, უძველესი დროიდან ცნობილნი არიან

1 იხ. Vivien de Saint-Martin, Recherches sur les populations primitives, გვ. 50 და ა.შ.

2 Antiquites judaiques, წიგნი I, თავი 6.

მეტალურგიის განვითარებით და იხსენიებიან „შესაქმეთა“ 10, 2-ში, იაფეტის ძეთა შორის[1].

დიოდორე სიცილიელის მიხედვით (XIV, XXX) ტიბარენები სახლობდნენ პონტოს ევქსინოსის სამხრეთით და უფრო გვიან, კნობელის, ფიურსტის და სხვათა აზრით, მათ შეადგინეს იბერიელი ხალხი. ქართული, ანუ იბერიული რასა, დასძენენ ისინი, მხოლოდ კავკასიაში კი არ ცხოვრობდა, არამედ დიდ სომხეთსა და კაპადოკიაშიც, რასაც არქეოლოგიური აღმოჩენებიც ადასტურებენ:

„მოსხები პირველმოსახლენი იყვნენ იმ კაპადოკიისა, საიდანაც ასურულმა გავლენამ შეაღწია მცირე აზიაში და რომლის პტერიის საყურადღებო ბარელიეფები გარკვეული ეპოქის რელიგიურ იდეებს ასახავს. ეჭვი არ არის, ანტიკური მაზაკა მდინარე ჰალისზე, არქეს თოვლიანი მწვერვალების ფერხთით, თურანული დიდი იმპერიის დედაქალაქი იყო... რაც უფრო შორს მივდივართ წარსულისაკენ, მით უფრო ცხადია, რომ მოსხები, ტიბარენები და ქალდეველები პირველნი დაეუფლნენ მაღაროების ექსპლუატაციასა და ლითონთა დამუშავების ხელოვნებას. დღესაც კი კოლხეთის მთებში ხპილენძის ულევ მარაგს შეიცავენ“[2].

აქამდე სრულიად არ არის დამტკიცებული, რომ კავკასიის ცენტრში ქართული (იბერიული) მოდგმის ხალხის გარდა სხვა რომელიმე ხალხს ეცხოვროს. ამგვარად, უეჭველია, ქართველები წარმოსდგებიან ბიბლიის თუბალისა და მოსოხისაგან. დამამტკიცებელ საბუთად შეგვიძლია პირდაპირ მოვიყვანოთ წმიდა წერილიდან ადგილი, სადაც ნათქვამია:

„თუბალი და მოსოხი ვაჭრები იყვნენ, მათ შენი ხალხისათვის მოჰყავდათ მონები და მოჰქონდათ მრინჯაოს ჭურჭელი“[3].

მონებად გაყიდვის ადათი მთელ საქართველოში XVII საუკუნემდე არსებობდა; საჭირო შეიქმნა მისიონერთა რუდუნება და მოციქულებრივი თავდადება, რათა ქართველები გადასჩვეოდნენ ამ სამარცხვინო ვაჭრობას. ამასთანავე, კარგად არის ცნობილი, რომ ძველი ფინიკიელები დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ ლითონს კავკასიაში. ჯერ

1 F. Lenormant, Les premieres civilisations, ტ. I, გვ. 22 და ა.შ., Knobel, Die Valkertafel der Genesis, გვ. 109 და ა.შ.

2 J. Soury, L'Asie–Mineure d'aprés les nouvelles découvertes archéologiques, dans la Revue des Deux Mondes, 1873, ტ. V, გვ. 909–910.

3 Ezéchiel, 27, 13. ეზეკიელის წიგნის ძველ ქართულ ვერსიებში ეს მუხლი სხვაგვარად არის წარმოდგენილი. ამიტომ ვტოვებთ უცვლელად მ. თამარაშვილის თარგმანს. რედ.

კიდევ დღესაც ამ ქვეყანაში მრავლადაა მაღაროები[1]. ამგვარად, ცხადია, წმიდა წერილის მოყვანილ მონაკვეთში ლაპარაკია ქართველ ხალხზე. მაგრამ მეტად ძნელია იმის გარკვევა, ორი პატრიარქიდან რომელი იყო ქართველთა მამამთავარი; ბიბლიაში, სადაც ხშირად ვხვდებით თუბალსა და მოსოხს, ჩვეულებრივ ისინი განუყოფლად მოიხსენიებიან. ეს არის ორი მეომარი და თავისი მეტალურგიით განთქმული ხალხი, რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობენ და მუდმივი ურთიერთკავშირი აქვთ.

ბიბლიური ხალხების — თუბალისა და მოსოხის ასეთ დაახლოებას მოწმობს აგრეთვე ლურსმული დამწერლობის დოკუმენტები. აქაც უმეტესად ერთად არიან ისინი დასახელებული. ჩვენ მოგვყავს ამ ხალხებთან დაკავშირებული რამდენიმე წარწერა. უძველესი მათგანი თარიღდება ჩვენს ერამდე XII ს-ის დასასრულით და ეკუთვნის პირველ ასურელ მეფეს, თუქულთიაფალ-ეშარის:

„ჩემი მეფობის დასაწყისში მუშაიას 20 000 კაცი და მათი ხუთი მეფე, რომლებიც 50 წლის განმავლობაში ფლობდნენ ალზუს და პურუკუზუს ქვეყნებს, ხარკს და ღალას ართმევდნენ ჩემს უფალ აშურს (ვერც ერთმა მეფემ ვერ დაამარცხა ისინი პირისპირ ბრძოლაში), ირწმუნეს თავიანთი სიძლიერე, სამხრეთისაკენ დაიწიეს და აიღეს კუმუს ქვეყანა. ჩემი უფალი აშურის მფარველობით, მე შევკრიბე ჩემი ჯარი, მოვაგროვე ეტლები და უკან აღარ მომიხედავს.

მე გადავლახე ძნელად მისადგომი ტერიტორია, კაშიარას ქვეყანა. მათი 20 000 მებრძოლითა და ხუთი მეფით ვიომე კუმუს ქვეყანაში; ისინი გავაქციე. მიმოვფანტე მათი მეომრების გვამები, როგორც აზვირთებულმა ტალღამ, ძლევამოსილ შეჯახებაში. მათი გვამებით დავფარე ხრამები და მთების მწვერვალები. მათ თავები მოვკვეთე და ყორესავით ავაგე მათი ქალაქების ახლოს. აურაცხელი რაოდენობით ავიღე ნადავლი, მათი სიმდიდრე და ნივთები. მათი ჯარის ნაშთმა 6000 კაცმა, რომელიც ჩემს იარაღს გადაურჩა, ფეხები დამიკოცნა. ისინი მივიღე და ჩავრიცხე ჩემი ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვში“[2].

---

1 „თანამედროვე საქართველოში ვპოულობთ უკიდურესად მარტივი ხასიათის მომპოვებლობის ნაკვალევს კალის მადნის შრეებში და ის ფაქტი, რომ ამ ლითონის მოპოვების შესახებ დუმს როგორც ებრაული, ისე ბერძნული, რომის იმპერიის დროინდელი წყაროები და ისტორიკოსი მოსე ხორენელი, უნდა გვიჩვენებდეს, რომ ის სამუშაოები, რომელთა ნაშთებიც სამთო-მომპოვებელი საქმიანობის საკმაოდ დიდ განვითარებას მოწმობს, ქრისტიანულ ერამდე დიდი ხნით ადრე იქნა შეწყვეტილი. უეჭველია, სწორედ აქედან იღებდნენ ეზეკიელთან მოხსენიებული თუბალები და ბერძნულ გადმოცემათა ხალიბები კალას, რომელიც მათი სახელგანთქმული ბრინჯაოს ნივთების დასამზადებლად იყო აუცილებელი“. **F. Lenormant,** Histoire ancienne de l'Orient, ტ. I, Paris, 1881, გვ. 200.

2 Cuneif. inscr. of West Asia, ტ. I, გვ.9; W. Lotz, Die Inscriften Tiglathpilesser's, I, გვ. 16 და აშ.

ასურეთის მეფის შალმანუ-აშირ II-ის (სალმანასარის) მეფობის დროს (840 წ. ჩვენს ერამდე) არენაზე გამოდიან თუბალები. ისინი ორგზის იხსენიებიან ამ მონარქის მატიანეთა მოკლე შინაარსში, რომელიც ნიმრუდის ობელისკზეა ამოტვიფრული.

„ჩემი მეფობის ოცდამეორე წელიწადს ოცდამეორედ გადავლახე ევფრატი; დავეშვი თაბალის ქვეყნისაკენ. იმ დღეებში ხარჯი ავიღე თაბალის ქვეყნის ოცდაოთხი მეფის საგანძურიდან. მე იქ მივედი, რათა დავათვალიერო ვერცხლის მაღაროებს, მარილის სამადნოებს და ფიქალის სამცეხლოებს"[1].

მეფე შარუ-კინუს ეპიგრაფიკულ საბუთებში მრავალჯერ გვხვდება თაბალ და მუშე, მსგავსი ბიბლიის თუბალისა და მოსოხისა[2].

ხორსაბადის თიხის კასრების წარწერაში ამ მეფის მიერ სამხრეთის ქვეყნების დაპყრობანი ასეა ჩამოთვლილი:

„მის მკლავთა ძლიერებამ დაიპყრო ბაშმარიდან შიმახპაცამდე აღმოსავლეთით გადაჭიმული მიდია, ზიმირის ქვეყანა, ელიმის ქვეყანა, მითამმანის ქვეყანა, ფარსუას ქვეყანა, მანას ქვეყანა, ურარტუს ქვეყანა, კაშკუს ქვეყანა, თაბალის ქვეყანა მუშკუს ქვეყნამდე"[3].

იმავე მეფის წარწერებში ხორსაბადის სასახლის მრავალი დარბაზის კედლებზე ვკითხულობთ:

„მოვინადირე როგორც თევზნი იავნემი (მერძნემი), რომლებიც ჩამავალი მზის ზღვის შუაგულში არიან და წავართვი სიმდიდრე კაშკუს, თაბალის და ჰილაკუს ქვეყნებს. უკუვაგდე მუშკუს ქვეყნის მეფე მითა"[4].

მრავალრიცხოვანი ლურსმული წარწერის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჩვენს ერამდე XII ს-ში, მცირე აზიისა და კავკასიის ქვეყნებში, მოსოხის (მუშკუ) და თუბალის (თაბალ) ხალხები ყველაზე ძლიერი ხალხები იყვნენ. ისინი უპირისპირდებიან ასურეთის უდიდეს მონარქებს. IX ს-ში უძლიერესი დამპყრობლები

---

1 F. **Lenormant**, Manuel d'Histoire ancienne des peuples de l'Orient, Paris 1869, გვ. 104-107-110. — იხ. Layard, Inscr. in the cuneif. character, Londres, 1851, გვ. 92–93; Sayce, Records on the past, ტ. V, გვ. 35.

2 F. **Lenormant**, Les Origines de l'Histoire, Paris, 1884, ტ. II, გვ. 216.

3 F. **Lenormant**, Manuel d'Histoire, გვ. 14 და 15. — იხ. Cuneif. insc. of West Asia, ტ.I. გვ. 36; **Oppert**, Inscriptions de Dour Sarkayan, Paris, 1870, გვ. 13.

4 **Botta**, Monuments de Ninive: Inscriptions. Paris, 1849,160, 1, 1. 2 და 3.

ვერ ბედავენ ძეუტიონ მოსოხებს მაშინ, როდესაც თუბალები მტრის მოახლოებისთანავე ჩქარობენ მას მოთხოვნილი ხარკი გადაუხადონ. ამიტომ ეს ხალხი გაიფანტა, დაქუცმაცდა და დაუძლურდა. მათ რამდენჯერმე სცადეს თავიდან აეცილებინათ ასურეთის ვასალობა, მაგრამ კვლავ იძულებულნი გახდნენ, მათი უღელი დაედგათ. ამ ორ ხალხს ხშირად რამდენიმე „მცირე მეფე“ ჰყავს ისე, რომ არ გააჩნია საერთო ანუ ეროვნული ცენტრი, რაც მათი მარცხის მიზეზი ხდება. ძირითადად ეს ეხება თაბალებს, რომელთა სამეფო გვირგვინს თუკულთი-აბალ-ესხარა II თავის ნებაზე ექცევა. ამისდა მიუხედავად, მუსხუს (მოსოხი) ყველაზე ძლიერი მეფე მითა კვლავ დამოუკიდებელია და გავლენას ახდენს ურარტუს მეფეებზე.

ასეთი მდგომარეობა ძვ.წ. VII ს-ის შუა წლებამდე გრძელდება. მაგრამ შემდგომში ტიბარისები, ანუ ტიბარენები და მოსხები, ე.ი. ძველი ხალხები თუბალ და მოსოხ, თავის მნიშვნელობას კარგავენ. ისინი წარსულში დიდი ერების სუსტი ნამსხვრევებიღა არიან, რომელნიც ჩრდილოეთს შეეფარნენ. მოხდა რაღაც დიდი ისტორიული ფაქტი, რომლის შესახებაც წერილმანები ჩვენთვის უცნობია. მოსხებისა და თუბალების გაქლეტა (587-586 წლებში) ნახსენებია ეზეკიელთან, როგორც ცოტა ხნის წინ მომხდარი ამბავი:

„მუნ მიეცნეს მოსოქ და თობელ და ყოველი ძალი თითოეულისა მათისა, საფლავისა მისისა გარემოსთაგანისაჲ, ყოველნი წყლულნი მათნი, ყოველნი წინადაუცვეთელნი, წყლულნი მახჳლისა მიერ, მიმცემელნი შიშსა მათსა ქუეყანასა ზედა ცხორებისასა“[1].

ფ. ლენორმანი ვარაუდობს, რომ

„ამ ორი ხალხის მოსპობა და განადგურება ჩვენს ერამდე VII ს-ის ბოლო მეოთხედში სკვითების დიდი შემოსევის შედეგი უნდა იყოს, მაგრამ ეს ერთი დღის საქმე არ არის და ეს ამბავი უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, კიმერიელთა განმეორებითი შემოჭრებისას, რომელთა შესახებ აშურ-ბანი-აპალის მეფობის დროინდელ ერთ-ერთ ლურსმულ წარწერაში მოხსენიებულია თაბალთა მეფე, ვინც მუქარით მფარველობას ეძებს ასურულ სამეფოში, ლიდიაში“[2].

1 „Ibi Mosoch, et Thubal, et omnis multitudo ejus: in circultu ejus sepulcrum illius: omnes hi incircumcisi, interfectique, et cadentes gladio: quia dederunt formidinem suam in terra viventium“. 32, 26.

2 Les Origines de l'Histoire, ტ. II, გვ. 247.

## V. – ᲚᲣᲠᲡᲛᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲣᲑᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲝᲮᲡ. ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲓᲒᲛᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ

მოსოხისა და თუბალის ქვეყნების მახლობლად, უფრო სწორად, სომხეთის ტერიტორიაზე არსებობდა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ზოგიერთი ძალიან პატარა, ზოგიც უფრო მნიშვნელოვანი. ეს უკანასკნელნი იყვნენ ვანა, ანუ მანა, რომელმაც ჩვენს დრომდე შეინარჩუნა სახელი ვან; მუსასირი, კლასიკოს გეოგრაფებთან არსინად წოდებული[1], ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე; მილიდა, რომელსაც ბერძნები და რომაელები მელიტენას უწოდებდნენ[2], მაგრამ ამ სომხური სახელმწიფოებისაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ურარტუ, ანუ არარატის სამეფო, ე.ი. არარატის, ანუ სომხეთისა, რომელიც ყველა მათგანზე ჭეშმარიტად მაღლა იდგა.

ვანის ლურსმულ წარწერებში ამ ხალხებმა თავიანთი ისტორიის საინტერესო კვალი დატოვეს. ფ.ლენორმანი, რომელმაც გულმოდგინედ შეისწავლა ყველა ეს წარწერა, ასე ასკვნის:

„ფილოლოგიის, ან როგორც მას უწოდებენ, „ისტორიულ მეცნიერე-ბათა ალგებრის“, ძველი ეთნოგრაფიული შედგენილობის ამ მძლავრი და ხშირად ერთადერთი მერკვეცის მონაცემები გვაცნობენ სომხეთის თავდაპირველ მოსახლეობას, მცხოვრებს აქადეს და ქალდეველთა. ჩრდილოეთით გორდიეს მთებში; იგი ძვ.წ. VII ს-ის დასასრულამდე იმავე რასას ეკუთვნოდა, რომელსაც ქართველები და კავკასიის ზოგიერთი ახლანდელი ხალხი... სომხეთის ლურსმულ წარწერათა იდიომში ყველაზე თვალშისაცემი და აღნიშვნის ღირსი ისაა, რომ სომხურთან მას არავითარი, მორეული ნათესაობაც კი არ აკავშირებს. ამ წარწერების ამომკვეთ ხალხს, რომელიც VI ს-მდე (ჩვენს ერამდე) ქვეყნის ერთპიროვნული პატრონი იყო, საერთო არაფერი ჰქონდა სომხებთან, სომხებისგან განსხვავდებოდა მოდგმით და ენით და მხოლოდ ვანის უკანასკნელი წარწერის შემდგომ შეიძლებოდა მოსულიყვნენ აქ სომხები; მათ ჩრდილოეთისაკენ უკუაგდეს ადგილობრივი მოსახლეობა, იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც ძველები იბერიას, ხოლო თანამედროვენი – საქართველოს უწოდებენ... სომხეთის ძველ მოსახლეობაში სრული ეთნიკური და ლინგვისტური ერთიანობა სუფევდა დამოუკიდებელი სამეფოების დიდი რიცხვისა და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მიუხედავად; შეიმჩნევა ასევე სრული მითოლოგიური ერთიანობაც,

---

1 Ptolémée, V, 13, 13.

2 Strabon, წიგნი II, გვ. 125; წიგნი XII, გვ. 368. — იხ. Pline, VI, 3; – Ptol., V, 7,5.

რაც ხალხის ყველა ფენის დამაკავშირებლად გვევლინებოდა“[1].

სხვა, არანაკლებ ცნობილი მეცნიერი მასპერო თითქმის ასევე ამტკიცებს სომეხთა მიგრაციის ამბავს:

„სომხები ფრიგიიდან წამოვიდნენ VII ს-ის დასასრულისათვის, ჯერ დასახლდნენ თავიანთი თავდაპირველი სამშობლოს მეზობელ ოლქებში, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა წამოიწიეს ჰალისის სათავეებისაკენ: ჰეროდოტეს დროს, მათ ეკავათ ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე მიწები, რომაელ გეოგრაფთა „მცირე არმენია“, და არსენიას დინების დასავლეთი ნაწილი... თანდათანობით სომხები აღმოსავლეთისაკენ მიიწევდნენ, იკავებდნენ ნელ-ნელა მთიან მასივს, რომელიც მცირე აზიასა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს, და ჩავიდნენ არაქსის დაბლობებში. როდესაც აზიაში ალექსანდრე გამოჩნდა, მათი ევოლუციური მოძრაობა დამთავრებული იყო“[2].

და ბოლოს, მესამე ავტორი ასკვნის:

„იმ ძვირფასი ტექსტების ინტერპრეტაციის წყალობით, რომლებიც შთამომავლობას დაუტოვეს ნინეველმა მონარქებმა, ჩვენ სულ სხვა თვალსაზრისით შეგვიძლია შევხედოთ სომხეთის ისტორიას, და არ ვსაჭიროებთ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჰიპოთეზების გამოგონებას. სომხეთის ისტორიის ორი პერიოდის, ძველისა და ახლის მიმოხილვას მოვყავართ სომეხ ერში გავრცელებული ძირითადი რწმენის საწინააღმდეგო დასკვნამდე: ვინაიდან მათი მოდგმის სიძველე, როგორც სომხეთის მკვიდრი ხალხისა, ყოველთვის ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისა, უარყოფილია ასურული თანადროული საბუთებით, რომლებიც მოწმდება ადგილობრივი ლურსმული ტექსტებით. გავრცელებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, უნდა დავასკვნათ, რომ პირველადი რასა, უძველეს დროს ამ ქვეყანაში მოსახლე რასა, არავითარ ეთნოგრაფიულ ან ლინგვისტურ მსგავსებას (ნათესაობას) არ ამჟღავნებს თანამედროვე სომხებთან“[3].

1 Lettres assyriologiques, Paris, 1871, ტ. I, გვ. 129—130. იხ. მისი Histoire ancienne de l'Orient, Paris, 1882, ტ. IV, გვ. 245-246.

2 G. Maspéro, Histoire ancienne des peuples de l'Orient, Paris, 1905, გვ. 764–65 (VII édition).

3 Robert, Etude philologique sur les inscripttions cunelformes de l'ArmKnie, Paris, 1876, გვ. 16–7. –„ტიგროსისა და ევფრატის მხარეს უკვე იყო სემიტი ხალხები, მოსული სომხური მესოპოტამიიდან; ვანის ტბისა და არარატის ველებზე სახლობდნენ დღევანდელი ქართველების წინაპრები. სომხურ-არიული პირველი დასახლებები უნდა ყოფილიყო ტიგროსისა და ევფრატის შუაწელში, იმ სემიტურ ხალხებთან ერთად, რომლებსაც არაქსის ველებში მობინადრეებისავით მეომრული სული არ ჰქონდათ. მოგვიანებით, სომხები დამკვიდრდნენ არარატის ველზე, რისი კვალიც ეროვნულ ლეგენდაშიც არის, მაგრამ ძალიან დიდხანს აქედან წინ ვერ წაიწიეს. მხოლოდ შუა საუკუნეების დიდი შემოსევების დროს, დაიხიეს ქართველებმა არაქსის იქით და „უდი“-ს ხალხი გაქრა, როგორც ალბანელები ანუ ალოვანები“. La grande Encyclopedie, Paris, III, გვ. 1013, article de Maxime Petit.

ისტორიისათვის ეს მეტად დიდი მნიშვნელობის აღმოჩენაა, რადგან ძირფესვიანად ცვლის ბოლო დრომდე მიღებულ სისტემას. განათლებული მსოფლიო, როცა არაფერი იცოდა ამ ძვირფასი წარწერების არსებობისა, ადვილად იჯერებდა მოსე ხორენელის ისტორიას, რომლის მიხედვითაც სომხეთი მუდამ დასახლებული იყო ჰაიქ-ებით (თანამედროვე სომხები) და მათ მიეწერებოდათ ყველაფერი, რაც კი თქმულა სომხეთის პირვანდელ მოსახლეობაზე. მაგრამ დოკუმენტები კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ჰაიქ-ები თანდათანობით მოიწევდნენ, ძვ.წ. VI ს-დან მოყოლებული, ფრიგიიდან და სხვა ადგილებიდან, იკავებდნენ აღმოსავლეთის მთებს, აძევებდნენ პირველად მოსახლეობას და მოჰქონდათ თავისი ენა, რელიგია და ტრადიციები[1].

ქვემოთ, შენიშვნებში, ვიძლევით ბ-ნი მორგანის მიერ ახლახან ჩატარებული გათხრების მასალებს, რომლებიც გადაჭრით ამტკიცებენ იმას, რაც ახლა გაუწყეთ[2].

---

1 Henry Rawlinson, ციტატა წიგნიდან: Layard, dans Nineveh and Babylon, 1853.

2 „იმ ანგარიშში, რომელიც პატივი მქონდა ბ-ნი განათლების მინისტრისათვის წარმედგინა 1888 წლის 31 დეკემბერს (რუსეთის სომხეთში მეტალურგიის საწყისების შესახებ), აღვნიშნავდი, რომ კავკასიაში, კერძოდ, გოგჩის მეზობელი ქვეყნების პრეისტორიულ აკლდამებში მოიპოვებოდა მრავალი ბრინჯაოს სამაჯური, უხეშად ნაკეთები და უორნამენტო ბეჭდები, რომლებიც a priori მეჩვენება არა სამკაულებად, არამედ ეგვიპტურის ანალოგიურ მონეტებად. მრავალი სამარხი, სადაც ეს ნივთები აღმოჩნდა, ამ რეგიონებში რკინის გამოყენების პირველი წლებით თარიღდება, ეს საფლავები ძირითადად თავისი სამგლოვიარო მორთულობით განსხვავდება ოსეთის ზემო ყობანის აკლდამებისაგან და ეტყობა, ქართველური მოდგმის უკანასკნელი ნაშთებია. ისინი ადრე სახლობდნენ მცირე კავკასიაში და დიდი ხანია, რაც მათ ადგილზე სომეხთა არიული ტომი მოვიდა. მე დავუმატებდი, რომ აღნიშნულ ნეკროპოლში ყველაზე ძველი საფლავები ძლიერ განსხვავდება ოსეთის სამარხებისაგან. ბოლო წლების სამარხები კი თანდათან უახლოვდება ყობანის სამარხებს; ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ ადგილთა პირველადმა მოსახლეობამ ამ ეპოქაში განიცადა უცხოური გავლენა, რამაც ძირფესვიანად გარდაქმნა მათი ზნე-ჩვეულებები და შემოქმედებითი მიდრეკილებები. ჩემი კვლევა-ძიება კავკასიის შესახებ მაფიქრებინებს, რომ ეს გარდაქმნები დაკავშირებულია ოსების მოსვლასთან დიდ მთებში, იმ მიგრაციასთან, რომელიც სკვითების შემოსევის დროს მოხდა და რომელიც ემთხვევა არარატის რაიონში სომეხთა მოსვლას. ხალხების ამ მოძრაობამ თეთრ ალოფილებს მოუტანა ახალი ეთნიკური ელემენტები, ირანის არიელებისა და ფრიგიიდან მოსულ სომეხთა ეთნიკური ელემენტები. ირანულ გავლენაზე ადრე გაკეთებული სამარხები ავლენენ ადგილობრივ უკვე მეტად მაღალგანვითარებულ ხელოვნებას, რომლის თანდათანობითი პროგრესი შეიმჩნევა საფლავთა ქრონოლოგიურ რიგში — სამკაულები, იარაღი, კერამიკა, თავდაპირველად უხეში, თანდათანობით იძენს სპეციალურ ფორმას, განსაკუთრებულ ნიშნებს, რომლებიც დამოუკიდებელია წინამავალი მცირე აზიის ხელოვნებისაგან. აქ არ გვხვდება ადამიანისა და ცხოველის გამოსახულებანი, არც სპირალური ორნამენტები. მხოლოდ უფრო გვიან, ბოლოდროინდელი სამარხების ნივთებში ვხედავთ ამ ფორმებს, ხოლო ადგილობრივი სტილი იცვლება და ქრება. ყველაზე ხშირად ლელვარის სამარხებში გვხვდება სამაჯურები. ისინი ორი მეტად განსხვავებული სახისაა: ერთი სახისა ფრიად შემკული მოსართავია, ნამდვილი სამკაული, მეორე სახისა — უხეშად გამოჭედილი გლუვი ბეჭდები, რომლებიც ჩემთვის თავიდანვე სამკაულები კი არ იყო, არამედ ფული, ამ ხალხის სიმდიდრეს რომ შეადგენდა, და ის საფლავში თან ჩაიტანეს. გასაკვირი ის ჩანდა, რომ ყველა სხვა სამკაული: ქინძისთავები, ფიბულები, უხეში და უფორმო გახლდათ... ეს აღმოჩენა მხოლოდ კავკასიის ქვეყნებისათვის არ არის მნიშვნელოვანი: იგი გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასიის თეთრ ალოფილებს ურთიერთობა ჰქონდათ ასურელებთან, მაგრამ ეს ამტკიცებს აგრეთვე, რომ ფულის ნიშნები, მონეტები წინა აზიის ამ ნაწილში მეტად ძველი დროიდან იხმარება და რომ ლიდიური მედლების გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე სავაჭრო ურთიერთობანი ხორციელდებოდა განსაზღვრული წონის ბეჭდებით და არა ზოდებით". Revue Archéologique, მე-3 სერია, 1889, ტ. II, გვ. 177-187.

სომხეთის ამ უძველეს სამეფოებს იგივე ბედი ეწიათ, რაც მოსოხისა და თუბალის სამეფოებს.

ძველი ისტორიკოსები, და კერძოდ, ჰეროდოტე, ურარტუს ანუ არარატის ხალხებს ალაროდიელებს და სასპირებს უწოდებენ, ხოლო თუბალის ხალხს — ტიბარენებს. ჰეროდოტე დასძენს, რომ ყველა ამ ხალხს —მოსოხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, ალაროდიელებს, კოლხებსა და სასპირებს აქვთ ერთი და იგივე ჩვეულებები, ერთი და იგივე იარაღი და ტანსაცმელი[1].

ძველმა ბერძენმა და შემდგომ, რომაელმა და ბიზანტიელმა გეოგრაფებმა დიდი შეცდომა ჩაიდინეს, როდესაც სხვადასხვა სახელი უწოდეს ხალხებს, რომლებიც, უეჭველია, ერთ ერს ეკუთვნიან; ასე გაყვეს ქართველი ერი რამდენიმე ხალხად და კუთხეების სახელები ერების სახელებად მონათლეს.

სომხეთი და კაპადოკია ძვ.წ. VII ს-მდე ქართული მოდგმით იყო დასახლებული, მაგრამ სომხეთში ასირიელებისა და არიელების თანდათანობითმა მოძალებამ უკან დასწია ქართველთა მოდგმა კავკასიონის მთების ძირამდე მაშინ, როდესაც კაპადოკიაში ჩვ.წ. პირველ საუკუნეებამდე გააგრძელეს ცხოვრება[2].

მათგან გამოვიდნენ ქრისტიანობის გმირები, როგორიცაა წმინდა გიორგი, დიდი მოწამე და წმინდა ბასილი დიდი. წარსულში ასეთი მნიშვნელოვანი ხალხი ამჟამად წარმოდგენილია ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის, ლაზიკის, აჭარის, აფხაზეთის და ა.შ. ქართველებით, რომლებიც სახლობენ კავკასიის ცენტრში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით[3].

## VI. – ქართული ენა არის თვითნაბადი (sui generis)

მრავალი ბედუკუღმართობის მიუხედავად, ქართველებმა შეინარჩუნეს თავისი ძველი ტიპი და ეთნიკური მთლიანობა, როგორც ამას

1 წიგნი VII, თავი 78.

2 იხ. E. Reclus, ციტ. ნაშრომი, ტ. VI, გვ. 82 — T. Reinach, Mithridate Eupator, roi de Pont, Paris, 1890, გვ. 15-20.

3 დასავლეთ საქართველოს ქართველების დიდი რიცხვი, რომელთაც გასულ საუკუნეებში ძალით მიაღებინეს მუსლიმანობა, სამშობლოდან გადაიხვეწა და მთელ მცირე აზიაში მიმოიფანტა. მათი რიცხვი აჭარბებს 500 000 კაცს. დღეს მათგან მრავალი პიროვნებაა კონსტანტინოპოლის ოტომანთა სამეფო კარზე. იხ. E. Reclus, ციტ. ნაშრომი, ტ. IX, გვ. 340, 552; „დროება“, ტფილისის ქართული გაზეთი, 1909, №22; იხ. E. Chantre, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, გვ. 82.

სამარხებში ბოლო დროს აღმოჩენილი ნივთები მოწმობს, რომლებიც ჩვენს ერამდე II საუკუნეს მიეკუთვნება,[1]. აგრეთვე შეძლეს საერთო წარმოშობის კილოკავის შენარჩუნება. მათი მთავარი ენა არის ქართული, რომელსაც არავითარი ნათესაობა არა აქვს აზიურ ენებთან. მეცნიერები ბევრს ეცადნენ, ენათა კლასიფიკაციაში ქართული ენის ადგილი გაერკვიათ, მაგრამ ვერ შეძლეს. ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ, აღიარეს თავისი უძლურება და განაცხადეს, რომ ქართული ენა არის თვითნაბადი და არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს არ ეკუთვნის[2].

ქართული ენა უძველეს ეპოქას ეკუთვნის, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ქართველი ხალხი ისევე ძველია, როგორც წარღვნა. სხვა მრავალ მეცნიერთან ერთად, ჟ.ა. გატეირია ასკვნის:

„ქართული გვარების უდიდესი ნაწილი და ყველა ფუძე ეკუთვნის სპეციალურ ოჯახს, რომელსაც ჩვენ ქართულ ოჯახს ვუწოდებთ. თუ ამ სიტყვების დიდი ნაწილი სომხურშიც მოიპოვება, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იმ ენის საშუალებით შემოვიდა ქართულში, რომელიც ადრე

1 დიუბუა დე მონპერე, რომელმაც კავკასიაში სამეცნიერო მიზნებით იმოგზაურა, ქართველი ხალხის სიძველეზე ასე ამბობს: „ძალიან შორს, სადამდეც კვლევას შეუძლია მიგვიყვანოს, საუკუნეთა სიღრმეში ვნახულობთ ერების ოთხ ჯგუფს, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებულნი... (კავკასიაში), სადაც ამჟამადაც ვხვდებით მათ. ამ ერების ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, ჩრდილოეთსა და სამხრეთში ხალხებმა გაიარეს, წალეკეს დამარცხებული ერები, თითქმის მოსპეს ისინი, მხოლოდ ეს ოთხი ერი დარჩა ქარტეხილებში და განგების მიერ მათთვის განკუთვნილი ადგილი შეინარჩუნა. ეს ერებია: 1. ქართველები; 2. სომხები; 3. ლეკები; 4. ჩერქეზები და აფხაზები... საერთოდ, კავკასიის ხალხები წარმოადგენენ კონსტანტის იშვიათ მაგალითს, რაც სხვა ხალხებსაც უბიძგებს შეინახონ თავიანთი ზნე-ჩვეულებანი; ის, რაც კეთდებოდა იესო ქრისტემდე 1000 წლის წინ, სტრაბონის დროს, დღესაც კეთდება; რაც უფრო შევაღწევთ უცხო გავლენისაგან დაცულ მხარეში, მით მეტს ვპოულობთ ძველ ჩვეულებებს, ძველ ადათებს; ხშირად თავი გვგონია ჰომეროსის ეპოქაში, როდესაც ვუყურებთ ფაზისისა და ენგურის სათავეებთან კოლხი ქართველების შთამომავლებს.“ Dubois de Monperéux, Quelques notices sur les races caucasiennes, გვ. 5 et 12, Paris, 1837, იხ. E. Reclus, ციტ. ნაშრომი, ტ.VI, გვ. 204-5.

N.B. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ სომხები წარმოშობით არც კავკასიიდან არიან და არც სომხეთიდან. რაც შეეხება აფხაზებს, მიაჩნიათ, რომ ისინი ქართულ რასას ეკუთვნიან.

2 „ქართველთა ენა, რომელიც ზოგიერთი ავტორის სურვილით მიეკუთვნება ინდო-ევროპულ შტოს, ხოლო სხვა მეცნიერთა აზრით, ეკუთვნის ალათაურ ენათა ჯგუფს, სინამდვილეში უნდა განიხილებოდეს, როგორც განცალკევებული ადგილის მქონე... ისევე, როგორც ბასკური ენა ევროპაში. ქართულ ენაზე აზიაში დიდი ხნის წინათ ლაპარაკობდნენ ბევრად უფრო დიდ ტერიტორიაზე, ამ ენას არავითარი ნათესაური მიმართება არ ჰქონდა არიულ, სემიტურ და ურალურ დიალექტებთან“. E. Reclus, Nouvelle Géographie universelle, ტ. IV, გვ. 206,209.

დიდი სომხეთის ძალიან დიდ ნაწილზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული არიულების მოსვლამდე[1].

მართლაც, სომხეთის ლურსმული წარწერები მხოლოდ ქართულით შეიძლება აიხსნას. ფ.ლენორმანმა დაამტკიცა, რომ წარწერების ენის ბუნება დაკავშირებულია ქართული ბრუნების სრულიად განსაკუთრებულ ფორმებთან, რომელთა დაბოლოებანიც მრავლობით რიცხვში იდენტურია. რაც შეეხება ზმნების უღლებას, აქ შესამჩნევია რამდენიმე პატარა განსხვავება[2], მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ უზარმაზარ პერიოდს, რომელიც გვაშორებს ამ წარწერების ეპოქას, დავინახავთ, რომ ეს პატარა განსხვავებები სხვა არაფერია, თუ არა უძველესი ქართული ენის ბუნებრივი და აუცილებელი განვითარება, რაც დროის ამ ინტერვალითაა გამოწვეული.

ქართული ენა თავის ლექსიკონში აერთიანებს არიული, სპარსული, არაბული და თურქული წარმოშობის მნიშვნელოვანი რაოდენობის სიტყვებს, რომლებიც ქართულში ამ ეპოქაში შემოვიდა, როდესაც ეს ერები ბატონობდნენ ქართველებზე.

ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ქართველების თავდაპირველი დამწერლობა. სომხეთის წარწერები გვიჩვენებენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX ს-დან VII ს-მდე ისინი ასურთა დამწერლობას იყენებდნენ. მოგვიანებით, ე.ი. იესო ქრისტემდე სამი საუკუნით ადრე, ფარნავაზმა, ქართველთა მეფემ, შექმნა, ან უფრო სწორად, გარდაქმნა ანბანი, რომელიც 38 ასოსაგან შედგება, რასაც მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ორი ქართული ანბანი, რომლებიც მხოლოდ ფორმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ერთია „მხედრული“ (საერო), მეორე კი — „ხუცური“ (საეკლესიო).

ძველი სომეხი ისტორიკოსები ამტკიცებენ[3], თითქოს მესროპი, რომელმაც, მათი აზრით, შექმნა[4] და შეავსო სომხური ანბანი, არის

1 Revue de Linguistique, ტ. XIV, Juillet, 1881, გვ. 285; დე შარენსეი ბეერნაირ სიახლოვეს ხედავს ქართული და ელამური ენების გრამატიკულ პირველ პირებს შორის. Journal Asiatique, სერია X, 1907, ტ. X, გვ. 179—181.

2 F. Lenormant, Lettres assyriologiques, ტ. 1, გვ. 124-127.

3 V. Langlois, Colletction des Historiens anciens et modernes de l'Arménie, Paris, 1867, ტ. II, გვ. 10, 162.

4 ისე ჩანს, რომ ეს ცნობილი მესროპი თვით სომხური ანბანის შემქმნელიც არ არის. სომხეთის შესახებ უახლესი ნაშრომის ინგლისელი ავტორი ამტკიცებს, რომ სომხური ანბანი სპარსეთის მეფემ პატრიარქ საჰაკ II-ს, მეტსახელად „დიდს“ მიალებინა, რათა გაეთიშა სომხები ბერძნებისა და სირიელებისაგან. — H.F.B.Lynch, Armenia, Travels and etudes, Londres, 1901, ტ.I, გვ. 312. სომხური ასომთავრულით დაწერილ მუშის ხელნაწერის მინაწერში ნათქვამია, რომ მეფე ვირამ შაპურმა სომეხ სატრაპ ვაკორცს მოძღვარ აბელის საშუალებით სირიელი ფილოსოფოსის, დანიელის მიერ გაწყობილი 29 თანხმოვანი გაუგზავნა. თვით მესროპმა 7 ხმოვანი მიიღო ტარონის აზნაურ ჰაიაკისაგან. სტეფანე სამოსატელმა 7 ხმოვანი ჩართო 29 თანხმოვანში.

აგრეთვე ქართული საეკლესიო ანბანის გამომგონებელი. სომეხთა ეს მტკიცება ჩვენ მთლიანად ყალბი გვეჩვენება. ქართველი მემატიანეები არაფერს მიგვანიშნებენ მათი ერისათვის გაწეულ ასეთ სამსახურზე. ამას გარდა, მეორე ანბანი სულაც არ იყო აუცილებელი, ვინაიდან ქართველებს მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰქონდათ ანბანი, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებდა როგორც მათ საერო, ისე სასულიერო მოთხოვნებს. სანამ ქართველებს მეორე ანბანით გაამზითევებდა, მესროპს ჯერ თავისი ერისთვის უნდა შეექმნა იგი[1].

საჭირო არ არის დავმალოთ, რომ მეორე ანბანის შემქმნელს არ ვიცნობთ; „ქართლის ცხოვრებაში“ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ჩვენ უფრო ბუნებრივი გვეჩვენება, და ეს ქართველი მეცნიერების აზრია, რომ ორივე ანბანის შექმნა მივაწეროთ ქართველთა მეფეს, ფარნავაზს, რომელმაც ანბანის შექმნის ან გარდაქმნის შემდეგ იგი გაყო საეკლესიო და საერო დამწერლობად.

გამუდმებულმა შემოსევებმა და ომებმა საქართველოს წინააღმდეგ მთლიანად მოსპო და გააქრო წარმართული პერიოდისა და ადრექრისტიანული ლიტერატურული ძეგლები. ქართულ ენაზე არსებული მცირე რაოდენობის ძველი ძეგლები ეკუთვნის მხოლოდ ქრისტიანულ ხანას — მათ შორის უძველესი V საუკუნისაა.

ქართულ ენაზე წარმოდგენის შესაქმნელად შემოვიფარგლებით მეცნიერ-ორიენტალისტის სენ-მარტენის ნაშრომიდან რამდენიმე ნაწყვეტის მოყვანით:

---

1 უკვე დიდი ხანია, რაც აღმოსავლეთმცოდნეებმა აღიარეს სომეხ ავტორთა მტკიცებების სიყალბე ქართული ანბანის გამოგონების თაობაზე. სხვათა შორის, ბროსე წერდა: „საჭიროა შევთანხმდეთ იმაზე, რომ სომხეთი ვერ შეძლებდა თავის მეზობელ საქართველოსთვის ანბანის ორი რიგის შექმნას V საუკუნეში, რადგანაც პეტერბურგის მუზეუმში არის საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე არსებული მონეტები. ეს მონეტები წაკითხულ და ახსნილ იქნენ თავად თეიმურაზის მიერ მ.ფროენისათვის... ამგვარად, არამც თუ საქართველო რაიმეთი დავალებულია სომხეთისაგან ენის, ანბანისა და ლიტერატურის დარგში, არამედ ძველად იგი აწოდებდა სომხეთს და მომავალშიც მიაწოდებს მეცნიერებისა და ცივილიზაციის ელემენტებს“. Journal Asiatique, 1836, სერია III, ტ. I, გვ. 205. ძლიერ განსაცვიფრებელია, რომ სომეხი ავტორები დღემდე არ ანებებენ თავს მესროპის მიერ ანბანის სასწაულებრივი შექმნის ლეგენდის განმეორებას.

„კავკასიის რეგიონებში ხმარებული კილოკავებიდან, რომლებიც წარმოშობით ამ მხარეებიდანაა, ქართული ენა ყველაზე გავრცელებულია; მისი გრამატიკა და ლექსიკა სრულიად განსაკუთრებულია. ამ კილოკავებს არავითარი საგრძნობი კავშირი და ურთიერთობა არა აქვთ კავკასიის სხვა ადგილებში გავრცელებულ დიალექტებთან, არიული აზიის დანარჩენ ნაწილში გავრცელებულ ენებთან“[1].

მიუხედავად მეზობლობისა და ხშირი ურთიერთობისა, ქართველებსა და სომხებს შორის ქართულში იშვიათად ვხვდებით სომხურ სიტყვებს. ამას გარდა, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის გამყოფი დიდი ქედის დიალექტებიდან ქართული არის ერთადერთი, რომელიც დიდი ხნიდან მოკიდებული ფიქსირებულია დამწერლობით. ეს უდიდესი უპირატესობაა და ბედნიერი შემთხვევა, რომელმაც ქართული ენა ჩვენამდე მოიტანა ცვლილებების გარეშე, გრამატიკული ნორმების შენარჩუნებით, რომელნიც მათი სიძველის აშკარა დამამტკიცებელი საბუთია. ეს სიძველე სადავოდ არც უნდა იყოს გამხდარი, ვინაიდან საკმაოდ ადვილია მეცნიერული გამოკვლევებით დავადგინოთ ქართული ენის მდგომარეობა უკვე ძალიან ძველი ეპოქისათვის, ბიბლიის მთლიანი რედაქციის საშუალებით, რომელიც ქართველებს აქვთ“[2].

ქართული ენა ძალიან ძველი და მდიდარი ენაა. აქამდე ლინგვისტები მხოლოდ ზედაპირულად განიხილავდნენ ამ საკითხს. ამიტომ გვაქვს ასეთი განსხვავებული აზრები. რათა კარგად მივუჩინოთ ადგილი ქართულს, საჭიროა მისი საფუძვლიანი შესწავლა, განსაკუთრებით ძველი ლიტერატურული ძეგლებისა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია იგი მივაკუთვნოთ ენათა ამა თუ იმ ოჯახს.

---

1 ერთი გამოჩენილი პროფესორი საწინააღმდეგოში გეარწმუნებს: „დაერწმუნდი, რომ კაეკასიური ენები ბასკურთან ერთად არის ქამიტურ-სემიტურ და ევრაზიულ ენათა ნარჩენების შემაერთებელი რგოლი... მნიშვნელოვანი შესატყვისობა ქამიტურ-სემიტურსა და კაეკასიურს შორის არის დახურული ხორხით წარმოთქმულ თანხმოვნებში.“ — A. Trombetti, L'unita d'origine del linguaggio, Bologne, 1905, გვ. 5, 216.

2 Journal Asiatique, სერია V, 1853, ტ. II, გვ. 118.

აქ ნიმუშად მოგვყავს ორი ანბანი, რომელთაც ქართველები დღემდე იყენებენ და რომელთა შექმნა განეკუთვნება, როგორც უკვე ვთქვით, იესო ქრისტეს დაბადებამდე მესამე საუკუნეს.

### საერო ანბანი

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი კ ლ მ ნ ჲ ო პ ჟ
რ ს ტ უ ჳ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ
ჯ ჰ ჵ

a b g d e v z h th i k l m dz ts o p i
r s t ou v ph kh gh q ch tch tz n h dch kh kh
dj h h

### საეკლესიო ანბანი

Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴡ Ⴇ Ⴈ
Ⴉ Ⴊ Ⴋ Ⴌ Ⴢ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ
Ⴣ Ⴓ Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ
Ⴝ Ⴞ Ⴤ Ⴟ Ⴠ Ⴥ

## ქართული ანბანები

# თავი III

# ცნობები საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ

**შინაარსი. — I. ადგილობრივი გადმოცემები საქართველოს უძველესი ხანის პოლიტიკური წყობის შესახებ. — II. მეცნიერთა დასკვნები სომხეთის პირვანდელი მოსახლეობის ქართველებთან იგივეობის თაობაზე. ზოგიერთი მეცნიერის ფუჭი ცდა, რომ ურარტული წარწერები სომხური ენის საფუძველზე ახსნას. — III. ფინიკიელთა და ბერძენთა მიერ საქართველოს ხიმდიდრეთა გამოყენება. — IV. სომხეთის პირვანდელი მეფეები. ასურელთა თავდასხმები და ბრძოლები სომხეთში. ურარტუს სახელგანთქმული მეფენი. — V. ბერძნები და ალექსანდრე დიდი საქართველოში. რომაელთა მიერ საქართველოს დაპყრობა. საქართველოს მოსახლეობის ოთხ ფენად დაყოფა. ქრისტიანობის შემოსვლა და ვახტანგ მეფე. —VI. არაბთა შემოსევები. საქართველოს აყვავება დავით II-ისა და თამარის მეფობის ხანაში.—VII. სამოქალაქო და საეკლესიო იერარქია. – VIII. მონღოლთა შემოჭრა და საქართველოს დასუსტება. თურქთა და სპარსთა შემოსევები. ცენტრალიზებული საქართველოსგან დასავლეთ საქართველოს გამოყოფა და მისი შედეგები. —IX. საქართველოს ინტელექტუალური აღორძინება ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში (1703-1737). — X. პოლიტიკური და სამხედრო აღორძინება ერეკლე II-ის დროს (1744-1798). —XI. რუსეთის მფარველობაში შესვლა და საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს დასასრული.**

## I. – ადგილობრივი გადმოცემები საქართველოს უძველესი ხანის პოლიტიკური წყობის შესახებ

ამ თავში ჩვენ ვეცადეთ, წარმოგვეჩინა უძველესი ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შეძლებისდაგვარად სრული და მეტად საინტერესო სურათი. სამწუხაროდ, საამისო წყაროები ნაკლებად მოგვეპოვება. ქართული მატიანენი მცირე დეტალებს გვაწვდიან, და ისინიც ბუნდოვან წარმოდ-

გენას გვიქმნიან. მოვიყვანთ ცნობებს „ქართლის ცხოვრების“ პირველი თავის დასასრულიდან:

„ხოლო ვიდრე სიკუდილამდე მცხეთოსისა ესე ყოველნი ნათესავნი თარგამოსისნი იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთმანერთისასა; და შიში აქუნდათ ნებროთიანთა, და ჰგონებდეს იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთისსა. და ისწრაფდეს იგინი მაგრებასა ციხე-ქალაქთასა შიშისათჳს ნებროთიანთასა.

ხოლო ვითარცა მოკუდა მცხეთოსს, ძე ქართლოსისა, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლა და კდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოსს, ძესა მცხეთოსისასა, არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დამტკიცებული იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა: იწყეს ბრძოლად და კდომად ურთიერთას; და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელი ჟამსამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდიან რომლნიმე მას; და რომლნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანერთსა ზედა სხუანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშვდობა მათ შორის, და კუალად შეიბალნიან და ებრძოდიან.

და განგრძელდა მათ შორის ესევითარი საქმე, და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილით-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და მჯე სხუათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებული იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდეს დედა-ქალაქად.

და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“.[1]

ამ გადმოცემიდან ჩანს, რომ უძველეს ხანაში ქართველებს არ ჰყოლიათ მეფე ანუ ერთმმართველი, გამგებელი მთელი ერისა, მაგრამ ჰყავდათ „მამასახლისები“ (ანუ სახლის მამა. ამ წოდებას დღესაც ანიჭებენ სოფლის თავკაცებს), რომლებიც ცალკეულ დამოუკიდებელ პროვინციათა ხელისუფლების წარმომადგენელნი იყვნენ: მმართველობის ეს სისტემა ძალიან ჰგავს ძველი სომხეთისას. მართლაც, ლურსმული წარწერები გვაცნობენ მცირე სამფლობელოთა მქონე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მრავალრიცხოვან მეფეებს, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიანდებოდნენ.

1 Histoire de la Géorgie, თარგმნილი მ.ბროსეს მიერ, ტ. I, გვ. 23-24. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. I, თბილისი, 1955 წ., გვ. 10—11.

## II. – მეცნიერთა დასკვნები სომხეთის პირვანდელი მოსახლეობის ქართველებთან იგივეობის თაობაზე. ზოგიერთი მეცნიერის ფუჭი ცდა, რომ ურარტული წარწერები სომხური ენის საფუძველზე ახსნას

ვანსა და მის მიდამოებში მოპოვებული წარწერების ამოკითხვის შემდეგ ცნობილმა მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ სომხეთის პირვანდელი მოსახლეობა იმავე წარმოშობისა კი არ იყო, როგორისაც თანამედროვე სომხები არიან, არამედ უნდა ყოფილიყო ან ქართველთა მონათესავე ხალხი, ან თვით ქართველთა რომელიმე ტომი, ვინაიდან ამ წარწერათა ახსნა მხოლოდ ქართული ენის საფუძველზე ხერხდება. ქართულ ენას წარწერები ერთობ ემსგავსება, განსაკუთრებით ბრუნვებში. მეცნიერთა ამ დასკვნების მიხედვით სამართლიანად მიგვაჩნია, რომ წარწერებში მოხსენიებული ძველი სომხეთის ყველა მეფე მივაკუთვნოთ ქართველებს. მიკერძოებაში ბრალი რომ არ დაგვდონ, საჭიროდ მიგვაჩნია ამ მეცნიერთა ნაშრომებიდან ზოგიერთი ნაწყვეტის მოტანა:

„ეგვიპტის დამარცხების შემდეგ ჯერი ურარტუზე მიდგა. მთიან მხარეში, საიდანაც ტიგროსი და ევფრატი სათავეს იღებს, მაშინ ბინადრობდა ერთადერთი ტომი, რომელიც განსხვავდებოდა თანამედროვე სომხებისაგან, მაგრამ ენათესავებოდა ქართველებს და კავკასიის ზოგიერთ სხვა ხალხს. ეს ქვეყანა მრავალ წვრილ სახელმწიფოდ იყო დაყოფილი“[1].

„ნაირის გაერთიანებაში უმნიშვნელოვანესად ვანას (ვანის) სამეფო ითვლებოდა.... ფილოლოგიური მონაცემების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იქაური მობინადრენი ქართველებს ან კავკასიის რომელიმე სხვა ტომს განეკუთვნებოდნენ... ერთი და იგივეა მათი სათაყვანებელი ღვთაებანი, რომლებსაც არზრუმის, ვანისა თუ პალუას მიდამოებში აღმოჩენილ ძეგლებზე ვხვდებით. მრავალ დამოუკიდებელ სამეფოდ პოლიტიკური დაქუცმაცების პირობებშიც სომხეთის ძველ მოსახლეობაში არსებობდა როგორც სრული ეთნიკური და ლინგვისტური, ისე რელიგიური ურთიერთობა, რაც ხალხთა ჯგუფებს შორის მაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა“[2].

“არარადად” წოდებული ტომის არმენიაში დამკვიდრება წინ უსწრებს არიული მოსახლეობის აქ შემოსვლას. ამას მოწმობენ ასურული ლურსმული დოკუმენტები, რომლებიც „არარადს“ ძვ.წ. IX საუკუნიდან „ურარტუს“ სახელით გვაცნობენ. ენობრივად ეს ხალხი უნდა განეკუთვნებოდეს ვანის ტბის, მდინარე არაქსის აუზისა და აღმოსავლეთ არმენიის ტერიტორიაზე გავრცელებულ უძველეს მოსახლეობას, ანუ ალაროდებს, როგორც მათ ჰეროდოტე უწოდებს... მართლაც, ამ წარწერათა დამოწმებით დღეს უკვე ეჭვგარეშეა, რომ ძვ.წ. VI

1 G. Maspéro, Histoire ancienne des peuples de l'Orient, Paris, 1884, გვ. 398.

2 F. Lenormant, Histoire ancienne de l'Orient, ტ. IV, გვ. 246.

საუკუნემდე დიდი სომხეთი, განსაკუთრებით ის რეგიონები, რომლებსაც ადგილობრივი სომხური გეოგრაფია არარაცის, მანავაზიანისა და ვასპურაკანის სახელით აღნიშნავს, გვარტომობითა და ენობრივად სრულიად განსხვავებულ მოდგმას ეკავა, და არა საკუთრივ არმენებს"[1].

ასურულ წარწერებში მოხსენიებული არმენიის პროვინციების, ქალაქების, ადამიანებისა და ღვთაებების სახელთა და ადგილობრივ წარწერათა ენის შესწავლა გვიჩვენებს, რომ IX–VII სს. საკუთრივ არმენები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ ამ მხარეში; რომ ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა პირვანდელი მოსახლეობით, რომელიც ქართველებსა და ზოგიერთ სხვა კავკასიურ ტომს ენათესავებოდა... რაც შეეხება რელიგიის სფეროს, სომხეთის ლურსმული წარწერები საერთოდ არ ახსენებენ საკუთრივ სომეხი ხალხის ეროვნულ ღვთაებებს – ანაჰიტს, ზმანტარადს, ვაჰაკას და ნანს, რომლებსაც სომეხი ავტორებისგან ვიცნობთ. პირიქით, ის ღვთაებანი, რომლებიც ამ წარწერებში მუდამ გვხვდება, სრულიად უცნობია არა მარტო სომეხი ისტორიკოსებისათვის, არამედ ეროვნული თქმულებებისათვისაც კი. ესენი ერთი და იგივე ღვთაებებია, რომლებიც გამოსახულია არზრუმის, ვანისა და პალუას მიდამოებში აღმოჩენილ ძეგლებზე"[2].

"ალარუდი" სახესხვაობაა „არარუდისა". „ლ"-სა და „რ"-ს წარმოთქმას ძველი სპარსელები იმთავითვე არ განასხვავებდნენ ერთმანეთისგან. „არარუდი" გახდა გარდამავალი საფეხური საღვთო წერილის „არარატსა" და ასურულ წარწერებში მოხსენიებულ „ურარდის" ანუ „ურარტის" შორის... ურარტის ენა თანამედროვე სომხურს სრულებით არ ჰგავს. სინამდვილეში, სომხურად მოლაპარაკე ტომი ფრიგიიდან უნდა გადმოსულიყო და ძველი „ურარდის" დაპყრობისა თუ განადგურების შემდეგ თანდათან დაპატრონებოდა აღმოსავლეთით მდებარე მთებს საკუთარი სახელის, ენის, რელიგიისა და ტრადიციების დამკვიდრებით"[3].

მეცნიერთა ეს დასკვნები მით უფრო სარწმუნოა, რომ ისინი არაერთგზის ყოფილან ყოველმხრივ განხილული და დადასტურებული. ზოგიერთმა ვანის წარწერათა ამოკითხვა სომხური ლექსიკით სცადა. ისეთმა სომეხმა პატრიოტებმა კი, როგორც პატკანოვია[4]. მათში მხოლოდ საკუთრივ სომხური ენის დანახვა მოინდომეს, მაგრამ ფაქტების ჭეშმარიტების წინაშე ყველა ამგვარმა ცდამ სრული მარცხი განიცადა.

არ გვინდა გვერდი ავუაროთ სანდალგიანის ნაშრომს — „ურარტული ლურსმული წარწერები" (ვენეცია, 1909), რომლის დაწვრილებითი ანალიზი არ შეგვიძლია ჩვენ მიერ დასახული გეგმის გამო.

---

1 მისიე, Origines de l'histoire, ტ. II, გვ. 36, 372.

2 მისიე, Lettres Assyriologiques, გვ. 22, 128, 130.

3 **H. Rawlinson,** Cuneiform Inscriptions of Western Asia, ტ.I 1861. იხ. **E. Burnouf,** Journal des Savants, mars 1835. **P. De Lagarde,** Gesam. Abhandl., გვ. 225; **M. Sayce,** Transact. of the Soc. of Biblical Archaeology, ტ. VII, გვ. 253, 283–291.

4 იხ. Congrès international des Orientalistes, 1882 წ. მოხსენება 1 სესიაზე, ჴ. II, გვ. 429 (Compte-rendu de la première session).

ავტორი გადაჭრით ამტკიცებს, რომ სომხეთის ურარტული წარწერები სხვას არავის ეკუთვნის, თუ არა საკუთრივ სომეხ ერს. მათში ავტორი ძველ ანუ კლასიკურ სომხურ ენას ხედავს. შესაბამისად, იგი სრულიად გამორიცხავს წარწერებიდან ქართულს. სიამოვნებით მივემხრობოდით ამ მოსაზრებას, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს მეცნიერთა დასკვნებს და ისტორიას საერთოდ.

აშკარად ჩანს, რომ ავტორი მეცნიერებისა და ჭეშმარიტებისადმი ერთგულების გამო არ შესდგომია ურარტული საკითხების კვლევას — სამშობლოს სიყვარულით შეპყრობილი, მისი წარსული დიდების აღდგენას ცდილობს, რასაც თვითონაც აღიარებს:

„უნდა ვაღიარო, რომ ჩემი საქმისადმი ასეთი მიდგომა არც მხოლოდ მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარეობს და არც მხოლოდ სამშობლოს ინტერესებით არის გამოწვეული"[1].

მაშასადამე, ეჭვგარეშეა, რომ ავტორი ურარტული წარწერების შესწავლას შეუდგა ყოველივეს ნაციონალიზებისა და გასომხურების წინასწარ მიღებული განზრახვით. ამ ავტორის მიხედვით, მხოლოდ მან გაიგო, სწორად ამოხსნა და წაიკითხა ურარტული წარწერები, ასურიოლოგები კი ამ წარწერებში ვერ გაერკვნენ გარდა ერთისა, რომელმაც მათში სომხური ენა დაინახა. ამ მეცნიერებს ავტორი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, თუკი ეს ზიანს არ მიაყენებს მის, უკვე წინასწარ შემუშავებულ შეხედულებას. ასე ვთქვათ, მან შეავსო და გამოამზეურა სხვა მეცნიერთა მიერ წარმატებით უარყოფილი მორდმანის მტკიცებანი[2]. მეცნიერება კი უარყოფს მიკერძოებითა თუ აკვიატებული აზრით სახელგატეხილ მსგავს „მეცნიერულ" ნაშრომს.

მართლაც, როგორ შეიძლება ამგვარი დასკვნების გამოტანა, როცა სხვადასხვა დარგის მეცნიერები-ისტორიკოსები, გეოგრაფები, არქეო-

---

1 „ურარტული წარწერები", გვ. VIII.

2 ამ საკითხთან დაკავშირებით გვერდი არ უნდა ავუაროთ ცნობილი ფილოლოგის, რობერის დასკვნებს: „1870 წელს ბატონმა მორდმანმა გამოაქვეყნა მეცნიერული ნარკვევი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე (ლაპარაკია ვანის წარწერებზე). სადაც ჩამოყალიბებულ შეხედულებას, მეცნიერის აზრით, უნდა დაეძლია სადაო წარწერების განმარტებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი. შეხედულება, რომლის მიხედვით ვანის წარწერებს თანამედროვე სომხური ენის იმ დიალექტით ხსნიან, რაზეც ქვეყნის ამ რეგიონის მეფენი მეტყველებდნენ, ბატონმა ლენორმანმა კატეგორიულად უარყო. მიუხედავად იმისა, რომ თავის ნარკვევში ბ. მორდმანი დიდად ემხრობა და ავითარებს ამ მოსაზრებას, ეს უკანასკნელი უვარგისი ჰიპოთეზა გამოდგა, ვინაიდან მეცნიერის მიერ აგებული ჩონჩხი სუსტად შეკრული აღმოჩნდა და ისტორიის მიერ კატეგორიულად უარყოფილ საფუძველს ეყრდნობოდა. ამ ტექსტების შედგენის დროს სომხები ჯერ კიდევ არ შეჭრილიყვნენ არმენიის ტერიტორიაზე, მაგრამ სავარაუდოა, რომ მცირე აზია ეკავათ და ფრიგიელებთან იყვნენ შერეულნი". Etude philologique sur les inscriptions cunéiformes de l'Arménie, Paris, 1876, გვ. 6,9.

ლოგები, ფილოლოგები, ასუროლოგები, ურარტოლოგები და სხვანი — მიუკერძოებლად და დამაჯერებელი ერთსულოვნებით გამორიცხავენ ურარტული წარწერებიდან არათუ სომხურ ენას, მის გავლენასაც კი, და ამტკიცებენ, რომ წარწერები ამოკვეთილია ამ მხარეში არმენების გამოჩენასა თუ დამკვიდრებამდე ბევრად უფრო ადრე.

ავტორს რომ ეს წარწერები პირუთვნელად შეესწავლა და ქართულ ენასთან ობიექტურად შეედარებინა, ამ უკანასკნელთან უეჭველად უფრო მეტ მსგავსებას იპოვიდა, ვიდრე სომხურთან, ვინაიდან წარწერებში ამოკითხული სომხურად მიჩნეული რამდენიმე სიტყვა ქართულ ენაშიც მოიძევება. სპეციალისტთა მტკიცებით, ეს სიტყვები სომხურს ქართულისგან გადაუღია, ვინაიდან, მათი აზრით, ქართული ენა ძველად სომხეთის ტერიტორიაზე მეტად გავრცელებული ყოფილა.

მეტად დამახასიათებელი ნიშანი, რასაც ხშირად ვხვდებით ურარტული წარწერების თითქმის ყოველ სტრიქონში, არის დაბოლოებანი — ინი-ანი-ნი-ბი-რი-ირი-იბრი-ასი-უნი-ლი-სი-დი, რომლებიც ქართულ ენაში გვხვდება, და თანაც არა მხოლოდ არსებით სახელებში, არამედ მეტყველების სხვა ნაწილებშიც. იგივე მსგავსება შეიმჩნევა სახელთა ბრუნვაში.

ცხადია, მეცნიერებას ჯერ კიდევ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა, მაგრამ მან უკვე გადაჭრით დაამტკიცა, რომ ძვ.წ. VI ს-მდე არმენები (ჰაიკები) სომხეთში ჯერ კიდევ არ ყოფილან დამკვიდრებულნი, და რომ ურარტულ წარწერებში სომხურ ენას არავითარი წილი არ უძევს. ჩვენ ვერ უარვყოფთ ავტორიტეტულ მეცნიერთა დასკვნებს, რომელთა მიუკერძოებლობა და თავდადებული კვლევა-ძიება იმის მტკიცე საფუძველს იძლევა, რომ მათი მოსაზრებების გაზიარება შეცდომაში არ შეგვიყვანს. და ვიდრე ვანის წარწერების თაობაზე ფილოლოგიური მეცნიერება დღემდე მიღებული აზრის საპირისპიროს დაამტკიცებდეს, ჩვენი მხრივ, თავს უფლებამოსილად ვრაცხთ, ქართველებად მივიჩნიოთ წარწერებში მოხსენიებული ხალხები და მათი მეფეები. ქვემოთ წარმოგიდგენთ ძველი არმენიის მეფეთა ნუსხას.

## III. — ფინიკიელთა და ბერძენთა მიერ საქართველოს სიმდიდრეთა გამოყენება

ვერაფერს ვიტყვით აზიაში ეგვიპტის მეფის, სეზოსტრისის ლაშქრობაზე, რომელსაც, ბერძენ ისტორიკოსთა მიხედვით[1], კოლხეთში მრავალი ეგვიპტელი უნდა დაეტოვებინა. ვიცით მხოლოდ, რომ სეზოსტრისმა აზია გაიარა და კავკასიაში შევიდა, მაგრამ გაურკვეველია მისი ლაშქრობის მიზანი და მიმდინარეობა. საუკუნეებმა, რომლებიც ამ ფარაონს გვაშორებს, ყველა ისტორიული ძეგლი ალგავა პირისაგან მიწისა.

1 Hérodote, წიგნი II, თავი 103-105.

უდავო და უეჭველია მხოლოდ ის, რომ კოლხეთის მოსახლეობა ქართული წარმოშობისა იყო, ისევე როგორც დღევანდელი სამეგრელოსი.

კოლხეთი ხშირად ეყოფოდა საქართველოს სამეფოს. მას საკუთარი მეფეებიც ჰყავდა, მაგალითად, ჰეტიუსი, რომელიც არგონავტთა ლაშქრობამდე მეფობდა აქ, და მისი ძე რეტა I, ვინც არგონავტები მიიღო (1292 ძვ.წ.).

არგონავტთა ლაშქრობას, რომლის შესახებ გადმოცემებმა საგრძნობლად იცვალა სახე, თავისი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მას სავაჭრო-პოლიტიკური მიზნები განსაზღვრავდა: საქმე ეხებოდა ფინიკიელთა გაძევებას პონტოს ევქსინოსიდან.

ფინიკიელნი არ ეპუებოდნენ შავი ზღვის გრიგალებს, თავიანთი გალერებით მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროებს მისდევდნენ და გზადაგზა ქვეყნის მნიშვნელოვან სიმდიდრეს ხელთ იგდებდნენ. ისინი კოლხეთის სანაპიროებისკენ მიეშურებოდნენ, სადაც იზიდავდა ამ ქვეყნის განძი, რომელშიც სახელგანთქმული ოქროს საწმისი იგულისხმებოდა. კოლხეთში თავიანთ ხომალდებს ტვირთავდნენ ძვირფასი ლითონებით, რომლებსაც კოლხები უხსოვარი დროიდან ამუშავებდნენ. ზღვით ამგვარი გაბედული მოგზაურობის შედეგად ფინიკიელებს თავიანთ ქვეყანაში გაჰქონდათ თინუსი, სარდიონი, პორფირი, ამბრი, ოქრო, ვერცხლი, ტყვია და კალა ბრინჯაოს ნაკეთობებისათვის[1].

კოლხეთის ბუნებრივ სიმდიდრეებზე ფინიკიელთა მონათხრობი მეტოქეობას აღუძრავდა ბერძნებს, რომლებმაც საზღვაო ფლოტის შექმნისთანავე მოინდომეს, თავად დაპატრონებოდნენ ამ სიმდიდრეებს.

## IV. – სომხეთის პირველი მეფეები. ასურელთა თავდასხმები და ბრძოლები სომხეთში. ურარტუს სახელგანთქმული მეფენი

უხსოვარი დროიდან ურარტუს, ბაიანისა და ნაირის ქვეყნების სახელით ცნობილი არმენია ისტორიის ასპარეზზე გამოდის, როგორც სამეფო ხელისუფლებისგან თითქმის დამოუკიდებელ, ერთმანეთისგან გათიშულ წვრილ სამთავროებად დაყოფილი სახელმწიფო. სწორედ ერთსულოვნებისა და მჭიდრო კავშირის უქონლობა გახდა წყარო მისი აურაცხელი უბედურებისა და საბოლოო განადგურებისა. ყველა დროში უცხოელი გამგებლები მასზე გაბატონებას ცდილობდნენ. ისტორიის მიერ შემონახული ცნობები ასურეთის უძველეს ლაშქრობათა შესახებ ტიგლათფილესერ I-ის (1130—1101 ძვ.წ.) სახელს უკავშირდება. ამ ლაშქრობათა მთავარი საბრძოლო ასპარეზი არმენია იყო.

---

1 იხ. Maspéro, Histoire ancienne des peuples de l'Orient, გვ.294.

წარმოგიდგენთ ასურულ და ვანის წარწერებში მიკვლეულ ძველი არმენიის სახელმწიფოების მეფეთა სახელებს, ვწუხვართ, რომ ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობის ზუსტი თარიღისა და ადგილის დადგენა ვერ შევძელით. რამდენიმე აქ მოტანილი თარიღი მიგვითითებს მათი ცხოვრებისა თუ ბრძოლების ხანაზე.

## ურარტუს ანუ ალაროდიელთა მეფენი:

1. არამი (857-845).
2. სედური (სადური I, 839) (სარდური).
3. ლუტიბრი
4. ბელიდური I
5. ისბუინი I

(3–5: IX ს-ის დასასრული, VIII ს-ის პირველი ნახევარი)

6. მენუა I (782-778).
7. სარდური II (745-728).
8. სარდა (742).
9. ურსა (719).
10. არგიშთი I.
11. ისბუინი II.
12. იხსარისი.
13. ბელიდური II (655).
14. ისბუინი III.
15. მენუა II.
16. არგიშთი II.
17. ერიმენასი.
18. რუსა (669–626).
19. სარდური III.

## ურარტუს ქვეყნების მეფენი:

1. ირანზუ
2. აზა (716)
3. ულუსუნი
4. უდაკი

(1–4: ვანის მეფეები)

5. სულუმალი
6. სუდანიზავადასი
7. ხილარუადას I
8. ტარხუნაზი (712)
9. ხილარუადას II
10. ლალი

(5–10: მილიდის (მელიტენის) მეფეები)

11. კატარზასი (778) } ეტიუსის მეფენი
12. უდურუსი
13. ქისთასფი (742) } კუმუხთა მეფენი
14. მუტალუმი (708)
15. უდარუხი (ლუსას მეფე) } 778
16. ერიახი (ლუნუნისის მეფე)
17. ტარხოლარი (განგუმუს მეფე) 742.
18. უსხიტი (ტუნას მეფე).
19. ურფალა (ტუხანის მეფე).
20. ტუხამი (ისთუნდას მეფე).
21. ურიმა (ხუბისნას მეფე).
22. მიტატი (ზიკირტუს ანუ საგართის მეფე).
23. ასურლი (კარალას მეფე).
24. იანზუ (ნაირის მეფე).
25. ურზანა (მუსასირის მეფე, 714).
26. იტე (ალაბურის მეფე, 721-704).
27. ბელსურუსური (კისასის მეფე, 721-704).
28. ერიახი (ისქიგულუს მეფე).
29. ბაგადატი (შილიდის მეფე, 719).

### თუბალების (ტიბარენების), მოსოხებისა და კასკების (კოლხიდის) მეფენი:

1. უასურმი (742)
2. კიახუ (718)
3. ჰული
4. ამრისი (713)
5. მუგალუ (675)
6. აშუროიდინა
7. აშურბანიაბალი

} თუბალების (ტიბარენების) მეფეები

8. მიტა (მუსკების, მოსოხების მეფე).
9. დადილუ (კასკების ანუ კოლხიდის მეფე).

მეფეთა ეს რაოდენობა მცირეა იმასთან შედარებით, რაც ასურეთის მბრძანებელთ წარწერებში მოჰყავთ; მათ ზოგჯერ ასობითაც ასახელებენ. წინა თავში ვახსენეთ, რომ აშურ-ნაზირ-აბალმა თავის 22-ე ლაშქრობისას (ძვ.წ. 840 წ.) თუბალთა ქვეყნის 24 მეფე დაამარცხა. წარწერებში ასევე მოხსენიებულია უამრავი ქალაქი და ციხე-სიმაგრე. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ იმხანად ეს ქვეყნები მეტად მჭიდროდ დასახლებული ყოფილა.

სამეფოები ხშირად ერთიანდებოდნენ ასურეთის დამპყრობლური

ბატონობის წინააღმდეგ და ებრძოდნენ საშიშ მტერს. გაგაცნობთ ამ დაუსრულებელი ომების ისტორიას ასურულ და ვანის წარწერებზე დაყრდნობით[1].

ეთნოგრაფიულ ცნობებში ვახსენეთ, რომ თუქულთიაფალეშარიმ (ტიგლათფილესერ I-მა) ბრძოლა გაუმართა მანამდე უძლეველი მუშოქების (მოსოხების) ხუთ მეფეს და ააოხრა მათი ქვეყნები[2].

აშურ-ნაზირ-აბალმა (860—831) გადალახა ტიგროსისა და ევფრატის სათავეები და მიადგა ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებს. სწორედ ნაირის ქვეყნებმა განიცადეს ყველაზე მეტად ამ მონარქის მძვინვარება: აქ მან გადაწვა 250 ქალაქი და სოფელი და აურაცხელი ნადავლი იგდო ხელთ[3].

სალმანასარ III-მ (859—825) ბრძოლა დაიწყო ურარტუს წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა თავს დაესხა ხუბუსქიას, გადაწვა მისი 100 ქალაქი და მეფე კაკია აიძულა, ყოველგვარი პირობის გარეშე დამორჩილებოდა. აქედან სუგუნის სამთავროში შევიდა, რომელიც ურარტუს მეფე არამის (851-849) სამფლობელო იყო და, მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა, ააოხრა. ამის შემდეგ რამდენიმე ბრძოლა გაუმართა არამს, საბოლოოდ დაამარცხა იგი, დაეუფლა მის სატახტო ქალაქ არნიეს, ასობით წვრილ ქალაქსა თუ ციხე-სიმაგრეს და იქ საკუთარი ქანდაკება აღმართა[4].

აქედან სალმანასარ III თუბალების (ტაბალების) ქვეყნისაკენ გაემართა, სადაც 24 მეფე დაიმორჩილა და ხარკი დაადო.

არამის მემკვიდრე სედური (სარდური I), მისი წინამორბედის მსგავსად, შეეცადა ნაირის გაერთიანებას. სალმანასარმა მის წინააღმდეგ გაგზავნა დიდი სარდალი (ტარტანი), რომელმაც სამი ლაშქრობის შემდეგ ასურეთის სიუზერენობა სომხეთზეც გაავრცელა, მაგრამ ესეც არ იკმარა: მან მუსასირის, გუზანის, მანაის, პარსუას ქვეყნებშიც შეაღწია და 250 ქალაქი მიწასთან გაასწორა; მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა ასურეთში[5].

---

1 ვანის წარწერათა უმრავლესობის გამოქვეყნებლები კომენტარებითა და კომენტარების გარეშე არიან: **Schultz**, Journal Asiatique, სერია III, ტ. IX, 1840; **Sayce**, The Cuneiform Inscriptions of Van, ტ. XIV და XX; **Layard**, Nineveh anBabylon, 1853; **Oppert**, Expedition en Mésopotamie, 1859–1863; **H.Rawlinson** Cuneiform Inscriptions of Western Asia , 1861, ტ. I.

2 Annales de Tiglathphalasar 1, სვ. I, 1.

3 Annales d'Assournazirabal, სვ. II, 1. 103—110 .

4 იხ. Peiser, Die Monolith–Inschrift, dans Schrader, Keilinschriftliche Bibliothek, ტ. I, გვ. 152-7.

5 Obélisque, I. 174–190. იხ. Amiaud–Scheil, Les Inscriptions de Salmanasar II, გვ. 70—71.

შამში-რამან IV-მ ძლევამოსილი ბრძოლები გამართა და შეეცადა ნაირის ქვეყნებისათვის ხარკი დაედო, რისი გადახდაც რამდენიმე წლით შეწყვეტილიყო ამ ქვეყნის მოსახლეობის აჯანყების გამო. ლაშქრობებს მეთაურობდა მუტარიზ-აშური, რომელიც ურარტუში 820 წ. შეიჭრა და გაანადგურა მისი 300 ქალაქი[1].

შამში-ბინ III-მ 827 წელს არმენიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნებისაკენ დაძრა დიდი ლაშქარი. რაკი ერთხელ ასურეთის ჯარებმა ალაროდიელთა მხარის ხელში ჩაგდების განზრახვით არმენიაში ფეხი ჩადგეს, ისინი აქ უკვე ხშირად ჩნდებოდნენ, და ნინევიის მონარქებს დიდი ძალის დახარჯვა მოუხდათ, რათა ეს რეგიონი სრულად დაემორჩილებინათ, მაგრამ სასურველ შედეგს თითქმის ვერ მიაღწიეს. ვანის ორ წარწერაში სარდური ასეა დახასიათებული:

„დიდი, უძლეველი, მრავალთა მეფე, მეფე ნაირისა, რომელსაც მეტოქე არ მოეძებნება, და რომელსაც სხვა მეფენი ხარკს უხდიან".

ნაირის ქვეყანა ასურეთსა და ურარტუს შორის განხეთქილების ვაშლი იყო: ამ წარწერებიდან ჩანს, რომ სარდურმა ბოლო მოუღო ასურეთის მბრძანებლობას და მისგან გაათავისუფლა ნაირის ქვეყანა, რომელზეც თავისი უფლებები გაავრცელა. ასურეთის განუწყვეტელი შემოსევების გამო ურარტუს სამეფოს ხშირად გამოეყოფოდა ხოლმე მასში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფო. მართალია, ამგვარი დანაწევრება მცირე ხანს თუ გრძელდებოდა, ვინაიდან საკუთარ სახელმწიფოთა უკან დასაბრუნებლად ალაროდიელი ხელმწიფენი არც ერთ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ და კიდევ უფრო მეტად ზრუნავდნენ მათ შორის კავშირის განსამტკიცებლად.

სარდურ II-მ მეფობა წარმატებით დაიწყო. ეს იყო მეტად ენერგიული და მრავალი წამოწყების მოთავე მონარქი. ასურელთა ხშირი შემოსევებისა და მათი ძლევამოსილების მიუხედავად მან შეძლო, თავისი სამეფოსთვის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა.

ისპუინმა დაიმორჩილა ბაიანის სამეფო, რომელიც მანამდე ნახევრად დამოუკიდებელ დინასტიას ეკუთვნოდა და ქალაქი თუშპანა გამორჩეულ რეზიდენციად გადააქცია. სამეფოს მართვა-გამგებლობა თავის ძესთან, მენუასთან ერთად გაინაწილა, რომელიც შემდგომში მამაცი და სვებედნიერი სარდალი გახდა. მენუამ ჯერ ურმიის ტბის მეზობელი სახელმწიფოები — მუსასირი, გილზანი, კირური გაათავისუფლა და მამის ხელისუფლებას დაუმორჩილა, ხოლო შემდეგ გორდიენის მთები გადალახა, ზემო ზაბის ხეობაში გადაწვა ქალაქები — ტერესი, არდისი, ხანალისი, ბიგურასი, ხატკანისი, ინუასი, ნიბური,

1 Inscription archaïque de Shamshirammân IV, სვ. II, 1. 16-34.

ხუბუსქიის საუკეთესო ნაწილი ააოხრა და როვანდიზის გასასვლელში კლდეებზე ვანურ და ასურულ ენებზე წარწერებიანი ფილები ამოკვეთა. მენუამ, როგორც კი აღადგინა ურარტუს ძველი დიდება, განაგრძო ლაშქრობა ასურეთის იმპერიაში, ქვემო ზაბისკენ ევფრატის მიმართულებით, ასურელებს წაართვა ვანის ტბის სამხრეთ სანაპიროებზე მდებარე ედუსი და ეზინუისი, ხოლო დაიაენის მეფე უტუფურსი აიძულა მისთვის დიდძალი ქონება და ეტლები დაეთმო. ენუა განაგრძობდა ძლევამოსილ წინსვლას. მან გადალახა ევფრატი და მელიტენის (მილიდუს) რეგიონს ხარკი დააკისრა. არზრუმისა და არმავირის მახლობლად აღმოჩენილი ზოგიერთი ძეგლი ადასტურებს, რომ მენუა თავისი ჯარით ღრმად შეიჭრა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და აიძულა ეტიუსი, ეცნო მისი მბრძანებლობა. ამ ლაშქრობათა შედეგად მენუამ შექმნა სამეფო, რომელიც არაქსის სამხრეთ სანაპიროებიდან ზაბისა და ტიგროსის ზემო რეგიონებამდე ტერიტორიით არათუ უთანაბრდებოდა ასურეთს, არამედ მოსახლეობით აჭარბებდა კიდეც.

მენუამ დაასრულა მამის მიერ დაწყებული საშენებლო საქმიანობა და ახალი მშენებლობანიც შემატა იმ ადგილებს, სადაც მშვიდობიანობისა თუ ომიანობის ჟამს ყოფნა უხდებოდა[1].

ტიგლათფილესერ II-ის დროს (745-728) ასურეთმა არნახულ ძლიერებას მიაღწია. რაც შეეხება სარდურს, მის შესახებ არსებული ოთხი წარწერა გვამცნობს, რომ მისი მეფობის დასაწყისიც არანაკლებ ბრწყინვალე იყო[2]. სარდურმა თავდაპირველად თავისი სამეფო გააფართოვა, წინამორბედთაგან მიღებულ ტიტულებს სურას მეფის წოდებაც დაუმატა, შემდეგ წარმატებით გაილაშქრა მანას, ეტიუსის ქვეყნებისა და მილიდის მეფის წინააღმდეგ, რომელთაც მრავალი სასახლე და ქალაქი გადაუწვა. ამ გამარჯვებებმა საშუალება მისცა, თავისი ძლევამოსილება უფრო სამხრეთისკენ, სირიის მიმართულებით განევრცო.

მაგრამ მალე სარდურის ქვეყანა ასურეთის ლეგიონებმა დაიპყრეს, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით მივიდნენ თვით ურარტუს დედაქალაქ თუშბას კედლებამდე.

არმენიის სახელმწიფოთა ყველაზე ძლიერი და ვერაგი მტერი მეფე სარგონი (781-704) აღმოჩნდა, რომელმაც ისინი არაერთგზის ააოხრა. მაგრამ სარგონს აქ ღირსეული მოწინააღმდეგე დახვდა, რომელმაც მოსვენება დაუკარგა. ეს იყო ალაროდიელთა მეფე ურსა, რომელსაც ასურეთის მეფემ პირდაპირი იერიშის მიტანა ვერ გაუბედა. ყოველთვის, როდესაც კი მეფე სარგონი ურარტუს გაერთიანების

1 იხ. Sayce, The Cuneiform. Inscriptions of Van, ტ. XIV, გვ. 537-540, 663-673.
2 Ed. Schulz, Journal Asiatique, სერია III, ტ. IX.

რომელიმე სახელმწიფოს მიიტაცებდა, ურსა მაშინვე იბრუნებდა მას და სასტიკად იძიებდა შურს ყველაზე, ვინც ასურეთის ხელმწიფისადმი შიშის გამო ურსას მფარველობას აღარ მოისურვებდა. მაგალითად, ურსამ მოაკვლევინა ვანის მეფე აზა, რომელმაც ასურეთის ქვეშევრდომობა მიიღო. იმავე ხვედრის შიშით აზას მემკვიდრე ულუსუნი, როგორც კი ასურეთის ლაშქარი მისი [ულუსუნის] ქვეყნის საზღვრებს დატოვებდა და მესოპოტამიისაკენ მიიქცეოდა, ურსას დროშას უბრუნდებოდა. მაგრამ სარგონი დიდი ლაშქრით კვლავ ბრუნდებოდა თავის ნაკვალევზე და ხელახლა იტაცებდა ურარტუს მიწებს.



მუსასირის მეფე ურზანას ბეჭედი.

ურსასთვის ნამდვილი უბედურება იყო მისი უკანასკნელი მოკავშირის, მუსასირის მეფის, ურზანას დამარცხება ვანის ტბის ნაპირებზე[1], რადგან სწორედ მაშინ გაძარცვა სარგონმა ხალდის ტაძარი, აურაცხელ სიმდიდრეს დაეუფლა და ხალდისა და არდინის ღვთაებათა ქანდაკებები გაიტაცა. ამ მარცხის შეტყობისთანავე სასოწარკვეთილმა ურსამ თავი მოიკლა.

მოსოხებისა და ტიბარენების, ანუ მოსოხისა და თუბალის სამეფოები თანხმობით ცხოვრობდნენ ალაროდიელ, იმავე ურარტუელ მეფეებთან და ერთსულოვნად მოქმედებდნენ საერთო მტრის, ასურეთის წინაალ-

1 აქ წარმოდგენილია მუსასირის მეფის, ურზანას ბეჭედი. ამჟამად იგი ინახება ლა პეის (La Haye) მუზეუმში. მასზე წარწერა შესრულებულია ლურსმული ასოებით:
„ურზანას ბეჭედი,
ქალაქ პუაბტის მეფისა;
ქვა კეთილი სულისა,
რომელსაც გველივით
ბოროტ მთებში
პირი აქვს დაღებული“.

მდეგ. გავაცნობთ შარუკინუს მატიანეებში დაცულ მის სამ წარწერას:

ძვ.წ. 717 წ.:

ჩემი მეფობის მეხუთე წელს პიზირი გარგამიშელმა დაარღვია დიდი ღმერთებისადმი მიცემული აღთქმა და მუშქთა მეფე მიტა მტრულად განაწყო ასურეთის წინააღმდეგ. ხელი აღვმართე აშურის, ჩემი მბრძანებლისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ... განვდევნე ისინი, მოვიტაცე ოქრო-ვერცხლი, მისი სასახლის მთელი ქონება და გარგამიშის ხალხი, მასავით ცოდვილი, განძეულობითურთ ტყვედ ვიგდე და ასურეთს გავგზავნე. ჩემთვის დავიტოვე 50 ეტლი, 200 სული ,გამწევი პირუტყვი, 2 000 კაცი...[1].

ძვ.წ. 415 წ...

დავიპყარ ქალაქები – ჰარუა და უშნანიზი, ხელთ ვიგდე კუეს მხარის ციხე-სიმაგრენი, რომელთაც მუშქთა მეფე მიტა ფლობდა. მოვიხვეჭე ნადავლი... ვსდიე მიტას, მუშქთა მეფეს მის ვრცელ ტერიტორიაზე, კუეს მხარის ციხე-სიმაგრეებამდე – ჰარუასა და უშნანიზამდე, რომელთაც იგი დიდხანს ფლობდა, და აღარ გავაჩერე ის თავის ადგილებში[2].

ძვ.წ. 713 წ.:

ამრის ტაბალელს, რომელიც მამამისის, ჰულის ტახტზე დავსვი, ცოლად შევრთე ასული ჩემი და ჰილაკუს (კილიკიის) მხარე ვუბოძე, რომელიც უწინ არასდროს ყოფილა მის მამა-პაპათა სამფლობელო. ამით დიდად განვავრცე მისი ქვეყანა; მან კი უღალატა თავის მფარველობას და დესპანნი წარგზავნა ურარტუს მეფე ურსასა და მუშქთა მეფე მიტასთან.

ამრისი მოადგა ჩემი ქვეყნის საზღვრებს. შევიპყარ მისი მამისეული სახლის მთელი საგვარეულო, მისი ქვეყნის თავკაცნი, ხელთ ვიგდე 100 ეტლი და ყველა ასურეთს წარვგზავნე[3].

ურსას სიკვდილის შემდეგ ასურული წარწერები მდუმარებით უვლიან გვერდს ურარტუს სამეფოს.

ასურეთის ძლევამოსილება ურარტუში მოჩვენებითი აღმოჩნდა. ურსას მემკვიდრე არგიშთ I-მა უკან დაიბრუნა ასურელთაგან მიტაცებული მიწები და თავისი საზღვრებიდან შორს განდევნა ისინი.

არგიშთ I-ის მეფობის ხანა უმაღლესი საფეხურია ძველი არმენიის

1 **Botta**, Monuments de Ninive, Inscriptions, ტაბ. 72,1. 7—11.

2 იქვე, ტაბ. 75.

3 **Layard**, Inscriptions, 29–32.

დიდებისა. უპირველეს ყოვლისა, არგიშთი იყო დიდი მეომარი. სწორედ მან ამოაკვეთინა თავის ლაშქრობათა დაწვრილებითი აღწერა კლდეებზე ხორხორის წმინდა მღვიმის შესასვლელთან, ვანსა და მის შემოგარენში.

ვანის არგიშთისეულ წარწერათა რაოდენობა 12-მდე აღწევს[1]. მათში არგიშთი კვეხნით მოგვითხრობს ასურელთა წინააღმდეგ ხანგრძლივ ძლევამოსილ ომებზე, თუ როგორ საგრძნობლად განავრცო თავისი იმპერია მემკვიდრეობით მიღებულ სახელმწიფოებთან ერთად სამხრეთით და ჩრდილოეთით მოპოვებულ გამარჯვებათა წყალობით. წარწერებში აღწერს 14 ლაშქრობას, რომელთა ფონზეც იკვეთება არგიშთის ხანგრძლივი მეფობის სურათები. არგიშთის შემდგომ ქრება ყოველგვარი კვალი ვანის სამეფოს სახელოვან მეფეთა არსებობისა, რომელნიც ურსას მეფობის დროს მეტ-ნაკლებად ერთგულობდნენ ასურეთის მეფეს. ალაროდიელთა ყველა შემდგომმა მეფემ, თავის მხრივ, თავიანთი მოღვაწეობის ამსახველი ძეგლები დაგვიტოვა ქალაქ ვანში, რომელიც ამიერიდან, ტექსტების რამდენიმე ადგილის მიხედვით, მათი ერთ-ერთი დედაქალაქია. ერთ ასეთ წარწერაში მეფე ტრაბახობს, რომ აიღო 453 ქალაქი, გადაწვა 105 ტაძარი და სასახლე, თავის ქვეყანაში ტყვედ წაიყვანა 25170 კაცი, აქედან 2734 მაღალი ჩინის სამხედრო მოხელე, უამრავი ქალი და ბავშვი, და წაასხა 73700 სული ცხვარი. აქედან გამომდინარეობს ასურეთსა და სხვა ქვეყნებზე არგიშთის მრავალრიცხოვანი გამარჯვების უეჭველობა. მისმა მემკვიდრეებმაც ასევე შეძლეს ასურელთა შემოსევების მოგერიება და ხანგრძლივი დროის მანძილზე სომხეთის უცილობელ ბატონ-პატრონად დარჩნენ. უფრო მოგვიანებით, მართლაც, ბელიდურ II (655-625) ვანის ერთ წარწერაში აღწერს მის მიერ სამი სხვადასხვა ხალხის წინააღმდეგ გამართულ ომებს და აღნუსხავს იქ ხელთ ჩაგდებულ ნადავლს; აქვე ლაპარაკობს სამეფოს მშენებლობებზე: ავაშენე სამი სასახლე — აგუნუნის, მანუსა და გუნუზასი, ავაგე 23 გამაგრებული ქალაქი, შევაკეთე ხარხარის (საიდანაც თანამედროვე „ხორხორის" სახელწოდება წარმოსდგება) ციხესიმაგრის სასახლეები, ხელთ მეპყრა ქალაქები, მთელი ქვეყანა, ვმბრძანებლობდი კაცსა თუ ქალზე[2].

მენუა II-ს (ძვ.წ. VI ს. პირველი წლები) ხანგრძლივი და ბედნიერი მეფობა ხვდა წილად. ალაროდიელ მეფეთაგან მან დაგვიტოვა ყველაზე მეტი ეპიგრაფიკული ძეგლი ვანსა და მის მიდამოებში, თუმცა ეს წარწერები ეძღვნება ხალდისა და სხვა ღვთაებათ და, ამრიგად,

1 Annales d'Argistis, I., 23–48; იხ. Sayce, The Cuneiform Inscriptions of Van ტ. XIV, გვ. 593-596, 604-620; Ed. Schultz, Journal Asiatique, სერია III, ტ. IX, 1840; Layard, Nineveh and Babylon, 1853, გვ. 400. ავტორთა აზრი ამ მეფის ზეობის თარიღის შესახებ ერთმანეთისგან განსხვავდება. ერთ-ერთი წარწერა ასურელებზე გამარჯვების თარიღად 779 წ. მიუთითებს.

2 Schultz, დასახ. ნაშრ. 1, 7—9, 15.

რელიგიური შინაარსისა გახლავთ, მხოლოდ ერთი მათგანია ისტორიული ხასიათისა და მენუასადმი დაქვემდებარებული ქვეყნებისა და ქალაქების ნუსხას შეიცავს. ძეგლი გვამცნობს, რომ მენუა იყო ძლევამოსილი მეომარი მეფე, რომელმაც აამაღლა თავისი იმპერიის სამხედრო დიდება. ამ მეფეზე მოგვითხრობს ჩვენამდე მოღწეული ადგილობრივი დოკუმენტები.

ვანის ტბის მიდამოებში აღმოაჩინეს ბრინჯაოს ფარები. რამდენიმე მათგანს შემდეგი წარწერა აქვს:

„ხალდის მრავალრიცხოვან შვილთ, რუსას, ძეს ერიმენასისას, ძლევამოსილ მეფეს, მეფეს, რომლის სატახტო ქალაქია თუშპა, ხალდის მრავალრიცხოვან შვილთ, რუსას, არგიშთის შთამომავალს, ძლევამოსილ მეფეს, რომლის სატახტო ქალაქია თუშპა“.

ეს არგიშთი რიგით მეორე უნდა იყოს ამ სახელის მქონე მეფეთაგან, რუსა კი — ურარტუს უკანასკნელი ან ერთ-ერთი უკანასკნელი მეფე. დადგა აღსასრული ალაროდიელთა იმპერიისა, რომელიც ასურეთის კოლოსალურ ძლიერებას დაუპირისპირდა და მასზე გაცილებით სიცოცხლისუნარიანიც გამოდგა. სკვითებისა და კიმერიელთა განუწყვეტელი შემოსევებისა (624-617) და ამბოხებების შედეგად, რომელთა გარემოებანი უცნობია, ალაროდიელებს ხელიდან გამოეცალათ ძალა, რომელიც ახალმოსულ ტომებზე — არმენებზე გადავიდა. ამათი პირველი გამოჩენა კიროსის (560—529) თანამედროვის, ტიგრან I-ის მოღვაწეობაში აისახა[1]. ამ დროიდან ცნობები არმენიის ქართველთა

---

1 თანამედროვე არმენების ფრიგიულ წარმოშობას მიუთითებენ: **Hérodote**, VII, 73; **Eudoxe Eustathe**, Ad Dionysium Periegeten, V, 694, Mueller, Geographi Graeci Minoresტ. II, გვ. 341. **Kretschmer**, Einleitung in die Geschichte der Griechischen Sprache, გვ. 208-210.

„არმენები წინა აზიის ერთ-ერთი ახალგაზრდა და ნიჭიერი ტომია. მან რამდენიმე საუკუნის მანძილზე თანდათან გაზარდა თავისი სამფლობელო უძველეს ტომთა ხარჯზე, რომლებიც ოდითგან კაპადოკიისა და მიდიის შორის მდებარე მთიანეთში სახლობდნენ. ფრიგიელთაგან გამოყოფის შემდეგ არმენების პირველი გამარჯვება იყო მცირე არმენიის შექმნა, რომელსაც ზემო ჰალისსა და ევფრატს შორის მდებარე ტერიტორია ეკავა. ჯერ კიდევ სპარსეთის უღლის ქვეშ მყოფმა არმენებმა გადალახეს ევფრატი, განდევნეს კატაონები ევფრატის (აკილისენას) ორი განშტოებით გარშემოფარგლული რაიონებიდან და დაიკავეს ევფრატის, ტიგროსის ორივე განშტოებითა და ანტიტავროსით შემოფარგლული მხარე (სოფენე, ოდომანტიდი, ანისტენე, არზანენე). არმენებმა განაგრძეს აღმოსავლეთისაკენ ძლევამოსილი სვლა. არმენებმა ასურელთ წაართვეს აღმოსავლეთ ევფრატის სათავე (ტარონიტიდი), ხალიბებს და მოსინიკებს — დასავლეთ ევფრატის სათავეები (კარენიტიდი, დერქსენი), იბერებს — პარიადრეს შვერილი და მტკვრის ზემო ხეობა (ხორძენა, გოგარენა), ფაზისელებს და ალაროდიელებს — არაქსის ხეობა, ხოლო მიდიელებს-არაქსის შესართავსა და ვანისა და ურმიის ტბებს შორის მდებარე რეგიონები (კასპიანა, ფაუნიტიდი, ბაზოროპედი)“. იხ. **T. Reinach**, Mithridate Eupator, roi de Pont, Paris1890, გვ. 101-102. — იხ. **Strabon**, XI, 14.

შესახებ აღარ მოგვეპოვება, ვინაიდან მათ იქ უკვე შეწყვეტილი ჰქონდათ პოლიტიკური არსებობა.

ახლა გადავალთ იბერიის ანუ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ზოგად მიმოხილვაზე და აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითად ფაქტებს.

სავსებით ნათელია, რომ ბერძენთა ლეგენდებმა და მითებმა შემოგვინახეს კოლხეთისა და დასავლეთ საქართველოში ფრიქსეს, არგონავტებისა და ულისეს მოგზაურობის ისტორიული ფაქტის ზოგიერთი ელემენტი. ამ ქვეყანას ბერძენთა თვალში მომაჯადოებელი ხიბლი უნდა ჰქონოდა, რომ აეძულებინა ისინი, ასე შორი გზიდან წამოსულიყვნენ. ბერძნებს აქ დახვდათ ბრწყინვალე ცივილიზაცია, სიმდიდრე, მშვენიერი ქალაქები და მეფე აიეტი (ჰეტიუსი), რომელიც პატივს სცემდა ადამიანთა უფლებებს, და ფათერაკის მაძიებელნი დიდი თავაზით მიიღო[1]. მეფის და კირკე და ასული მედეა მასზე არანაკლებ გამორჩეული და განათლებულნი იყვნენ. უმეცარმა ბერძნებმა მედეას განსწავლულობა, რასაც იგი მცენარეთა მედიცინასა და ბუნების საიდუმლოებათა წვდომაში ამჟღავნებდა, მის გრძნეულობას მიაწერეს. უკვე დასახელებული დაწერილებითი ცნობები ნათლად მეტყველებენ, რომ მითოსის იმ ხანაში კოლხეთში კარგად ორგანიზებული და აყვავებული სახელმწიფო არსებობდა.

მოგვიანებით ასპარეზზე გამოჩნდა კიროსი, რომელიც მიდიის სამეფოს დამხობის შემდეგ კავკასიის ქვეყნებისაკენ დაიძრა.

მძვინვარე და სისხლისმღვრელი ომების შემდეგ კიროსმა კავკასიის ყველა მხარე თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და მათი ბატონ-პატრონი გახდა, მაგრამ გამარჯვება ძვირად დაუჯდა: ხეობაში, სადაც არაქსი მტკვარს ერთვის, კიროსი ჯარიანად გაანადგურეს იქაურმა მთიელებმა. ამ მოვლენამ სახელი შეუცვალა მდ. მტკვარს, რომელსაც უწინ კიროსის სახელის მიხედვით „კორუსი“ ან „კირუსი“ ერქვა. მაგრამ კიროსის სიკვდილს არაფერი შეუცვლია. ერთხელ უკვე დამკვიდრებული სპარსთა ბატონობა გაძლიერდა მისი მემკვიდრის, დარიუსის (521-485) დროს, რომელმაც საქართველო და ალბანეთი თავისი იმპერიის მე-18 სატრაპიად გადააქცია და მოსახლეობას 200 ტალანტის ოდენობის გადასახადი დააკისრა.

## V. – ბერძნები და ალექსანდრე დიდი საქართველოში. რომაელთა მიერ საქართველოს დაპყრობა. საქართველოს მოსახლეობის ოთხ ფენად დაყოფა. ქრისტიანობის შემოსვლა და ვახტანგ მეფე

ისტორიკოსები სხვადასხვა აზრის არიან საქართველოში ალექსანდრე დიდის ლაშქრობის თაობაზე. კვინტუს კურციუსი[2] და ქართული

1 იხ. Tacite, Annales VI. 34.

2 Quinte - Curce, VII, 12.



**Inscription romaine de l'an 75 découverte près de Tiflis.**

## TRANSCRIPTION

[ΑΥΤΟΚΡΑΤΩΡ ΚΑΙΣΑ] ΡΟΥΕΣ
[ΠΑΣΙΑΝΟΣ ΣΕΒ]ΑΣΤΟΣ ΑΡ
ΧΙΕ[ΡΕΥΣ Ο ΜΕΓΑ]Σ ΔΗΜΑΡΧΙΗ
Σ ΕΞΟΥΣΙΑΣ ΤΟ · Ζ · ΑΥΤΟΚΡΑΤΟΡ ΤΟ
ΙΔ ΥΠΑΤΟΣ ΤΟ] · ς ΑΠΟΔΕΔΕΙΓΜΕ
ΝΟΣ ΤΟ · Ζ · ΠΑΤΗΡ ΠΑΤΡΙΔοΣ [ΤΕΙΜΗ]
ΤΗΣ ΚΑΙ ΑΥΤΟΚΡΑΤΩΡ ΤΙΤΟΣ ΚΑΙ[ΣΑΡ]
ΣΕΒΑΣΤΟΥ ΥΙΟΣ ΔΗΜΑΡΧΙΗΣ Ε
ΞΟΥΣΙΑΣ ΤΟ · Ε · ΥΠΑΤοΣ ΤΟ Δ · ΑΠΟ
ΔΕΔΕΙΓΜΕΝΟΣ ΤΟ · Ε · ΤΕΙΜ[ΗΤΗ]
Σ ΚΑΙ ΔΟΜΙΤΙΑΝΟΣ ΚΑΙΣΑΡ ΣΕΒΑ
ΣΤΟΥ ΥΙΟΣ ΥΠΑΤΟΣ ΤΟ · Γ · ΑΠΟ
ΔΕΔΕΙΓΜΕΝΟΣ ΤΟ · Δ · ΒΑΣΙΛΕΙ
ΙΒΗΡΩΝ ΜΙΘΡΙΔΑΤΗ ΒΑΣΙΛΕΩΣ Φ
ΑΡΑΣΜΑΝΟΥ ΚΑΙ ΙΑΜΑΣΔΕΙ ΤΩ ΥΙΩ
ΦΙΛΟΚΑΙΣΑΡΙ ΚΑΙ ΦΙΛΟΡΩΜΑΙΩΝ ΤΩ Ε
ΘΝΙ ΤΑ ΤΕΙΧΗ ΕΞΩΧΥΡΟΣΑΝ

თბილისის მახლობლად აღმოჩენილი 75 წლის რომაული წარწერა.

მატიანენი ვრცლად მოგვითხრობენ ალექსანდრეს ომებზე საქართველოში, სადაც მან ერთი წელი დაჰყო, რათა მთლიანად დაემორჩილებინა ეს ქვეყანა. უტყუარია ის ამბავი, რომ ალექსანდრეს ერთ-ერთი სარდალი, სახელად აზონი, ქართველი ხალხის მმართველად იქნა წარგზავნილი. აზონი მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ამ მხარის სრული გამგებელი გახდა და თავი გამოიჩინა უზომო სისასტიკით. აზონის სისასტიკემ ქართველობა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. სამარის (მცხეთის მამასახლისი ალექსანდრეს გაბატონებამდე) ძმისწული ფარნავაზი დიდძალ ქართველობასთან ერთად აუჯანყდა აზონს, დაამარცხა და მოკლა იგი. ფარნავაზი ერთსულოვნად აღიარეს საქართველოს მეფედ. მან, რომელსაც „მატიანენი“ ალექსანდრეს შემოჭრის შემდეგ საქართველოს პირველ მეფედ მიიჩნევენ, გააძევა ბერძნები, დაჰყო ქვეყანა რვა პროვინციად, შექმნა არმია და ხელახლა აღაშენა ალექსანდრეს მიერ დანგრეული ქალაქები და ციხესიმაგრენი.

განსაკუთრებით წარმოაჩინა ფარნავაზი ანბანის შექმნამ, რომლითაც მან საქართველოს უდიდესი საგანძური შესძინა. ამ დროიდან იწყება ქართული ლიტერატურის განვითარება. 65 წლის სვებედნიერი მეფობის შემდეგ ფარნავაზმა თავისი სამეფო გადასცა მემკვიდრეებს, რომლებმაც მეტ-ნაკლებად შეძლეს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის შენარჩუნება იმ უთანასწორო ბრძოლების მიუხედავად, რომლებსაც განუწყვეტლივ ახორციელებდნენ მეზობელ სპარსთა წინააღმდეგ.

რომაელებმა, თავის მხრივ, ყოველგვარი ღონე იხმარეს საქართველოს ხელში ჩასაგდებად, რასაც კიდეც მიაღწიეს. მათ წინააღმდეგ მითრიდატეს ხანგრძლივი ომები და იბერიაში პომპეუსის ლაშქრობანი კარგად არის ცნობილი[1].

1867 წელს თბილისსა და მცხეთას შორის აღმოაჩინეს ქვაზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერა, რომელიც ახ. წ. 75 წელს განეკუთვნება და გვიჩვენებს საქართველოსთან რომაელ იმპერატორთა კავშირს. მოგვყავს მისი თარგმანი:

„თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა, დიდმა მღვდელთმთავარმა, მეშვიდეჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, მეთოთხმეტეჯერ თვითმპყრობელად (არჩეულმა), ექვსჯერ კონსულმა და მეშვიდეჯერ გამოცხადებულმა, სამშობლოს მამამ ცენზორმა და თვითმპყრობელმა ტიტე კეისარმა, სებასტოსის ძემ, მეხუთეჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა და მეხუთედ

1 იხ. **Appien**, Guerre de Mithr., თავი III; Ammien Marcellin, Berum Gestarum, წიგნი XXVII, გვ. 502, 504-5; **Dion Cassius**, XXXVII, 2, წიგნი XXX; **Plutarque**, Pomp.XXXVI 34,35

გამოცხადებულმა, ცენზორმა და დომიციანე კეისარმა, სებასტოსის ძემ, სამჯერ კონსულმა და მეოთხედ გამოცხადებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს და ხალხს კედლები გაუმაგრეს“[1].



მონეტები. ავგუსტუსის დენარების ქართული იმიტაცია და
გურგენ ერისთავის დრაჰმა.

დიონ კასიუსის მიხედვით, ადრიანეს მმართველობის დროს იბერთა მეფე ფარსმანი, რომელმაც სისხლისმღვრელი ომები წამოიწყო, იძულებული გახდა, ცოდვათა მოსანანიებლად რომს წასულიყო, სადაც ისე გამოიჩინა თავი, იმპერატორმა ადრიანემ სამეფო ტახტი დაუმტკიცა,

---

1 თარგმანისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 234-235.

ქვაზე ამოკვეთილი ეს ბერძნული წარწერა, რომელიც თბილისის საეკლესიო მუზეუმში ინახება, კლდის აფეთქების დროს აღმოაჩინეს თბილისის მახლობლად. იგი განეკუთვნება ჩვ.წ. 75 წელს. საქართველოს მეფეს იმპერატორი უნდა დაეხმარებოდა პართელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით იხ. Journal Asiatique, სერია VI, 1869, ტ. XIII, გვ. 92-103. ძლიერ ვწუხვართ, რომ ადგილის უქონლობის გამო ვერ ვახერხებთ აქ წარმოვადგინოთ საქართველოში აღმოჩენილი წინაისტორიული ხანის ზოგიერთი ნიმუში. გასული საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში 500-ზე მეტი სამარხი გახსნეს, საიდანაც 20 ათასზე მეტი ნივთი ამოიღეს. მათი უმეტესობა წინაისტორიულ ხანას განეკუთვნება. ამ სიძველეთა შესახებ მკითხველთ მივუთითებთ Ernest Chantre-ის ნაშრომს, „Becherches antropologiques dans le Caucase“, Lyon, 1885. ტ. V. ავტორმა თვითონ ჩაატარა გათხრები და მის მიერ აღმოჩენილი ნივთები თავის ნაშრომში თანმიმდევრულად აღწერა ნეოლითის, ბრინჯაოს, რკინისა და სხვა ხანების მიხედვით.

ხოლო ბელონის ტაძარში მისი ცხენზე ამხედრებული ქანდაკებაც კი დადგა. მაგრამ ეს ომები ხელს არ უშლიდნენ კავკასიის მხარეში სამოქალაქო, სამხედრო და სავაჭრო დაწესებულებათა გაფართოებას. რომაელთა ბატონობა საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ მათმა გავლენამ მაინც საგრძნობი კვალი დატოვა.

რომაული მონეტა საქართველოში იმთავითვე კარგად მიიღეს და შემდგომშიც ჭრიდნენ დიდი რაოდენობით ავგუსტუსის დენარების მიმსგავსებით, რომელთა მეორე მხარეს გამოსახულნი იყვნენ კაიუს და ლუციუს კეისრები[1].

სტრაბონის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა მის თანამედროვე ხანაში ოთხ ფენად იყოფოდა. პირველი ფენიდან ირჩევდნენ მეფეს, რომელიც წინამავალი მეფის ახლო ნათესავთაგან ასაკობრივად ყველაზე უფროსი უნდა ყოფილიყო, ხოლო ყველაზე უმცროს ახლობელს უნდა განეგო მართლმსაჯულება და ჯარი.

მეორე ჯგუფს განეკუთვნებოდა სასულიერო წოდება. ღვთისმსახურების გარდა მას ევალებოდა მეზობელ ქვეყნებთან სადავო საკითხების მოგვარებაც. მესამე ჯგუფი შედგებოდა მეომართა და მიწის მუშაკთაგან.

მეოთხე ფენაში შედიოდნენ პლებეები ანუ მეფის მსახურები, რომლებსაც ყოველგვარი შინამსახურება ევალებოდათ[2].

ძველი საქართველოს ისტორიის უდიდესი მოვლენა — წმინდა ნინოს მიერ საქართველოში ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრება — განეკუთვნება მირიანის მეფობის დროს, რომელმაც დასაბამი მისცა სასანიანთა დინასტიის ქართულ შტოს (IV ს.). ხაზარებისა და მომთაბარე ტომების თარეშის მიუხედავად მირიან მეფემ საქართველო საზოგადოებრივი განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე აიყვანა.

ქრისტიანობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული ცივილიზაციის წინსვლას და მისი დამაკავშირებელი რგოლი გახდა დასავლეთთან. ამ დროიდან ბიზანტიასთან განუწყვეტელმა კავშირმა ქართველები ძველ ბერძნულ ლიტერატურასთან დააკავშირა და ქრისტიანული ცივილიზაციის საგანძურს აზიარა.

---

1 V.Langlois,Essai de classification des suites monetaires de la Géorgie, Paris, 1860, გვ. 14.

2 „ასევე ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით, მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი. ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა". — თარგმანისათვის იხ. თ.ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თავი III, 6, თბ., 1957, გვ. 129—130.

ალბათ ყველაზე სახელოვანი იქნებოდა მირიანის მეფობა, რომ არა ის ურიცხვი შემოსევა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ამუხრუჭებდნენ ქვეყნის განვითარებას. .

ბედმა „გორგასალად“ წოდებულ ვახტანგ I-ს (446-499) წილად არგუნა ქართული სარწმუნოებისა და ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურზე აყვანა. მართალია, მის შესახებ მრავალი ლეგენდა შექმნეს და გაავრცელეს, მაგრამ უეჭველია მხოლოდ ერთი: ეს იყო კეთილშობილი, ღრმად მორწმუნე, დიდი მეომარი, ბრძენი და დიდ მეფეთა ღირსებების მქონე პიროვნება. იგი სამეფო ტახტზე 15 წლის ავიდა და ეროვნული კრების წევრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მეფეთა და ერთა ზედა მოიწყვის განსაცდელი და ჭირი ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურემა ღმრთისა და გარდაჰკდენ მცნებასა, მოაწევს ჭირთა ესევითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩუენ ზედა, ვითარცა რა მამა კეთილი წურთის შვილსა კეთილად კეთილთა ზედა საქმეთა. და უკუეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თჳსისასა, გუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა ისწავოს ყოველი კეთილი და იქმნას საკმარ კეთილისა. ეგრეთვე გუწურთნა ჩუენ ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან. ამისთჳს გჳმს ჩუენ, რათა ვმადლობდეთ მოწყალებათა მისთა...

და არა დავითმინოთ კიცხევა ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოჲსათა, და წარმძღუანებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღურად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა, და ვიბძოთ მტერი ოვსთა ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ მერბენთა მეფისაგან, მო-მცავითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან. არა კამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათჳს“[1].

ვახტანგმა ცოლად ჯერ სპარსეთის მეფის ასული შეირთო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — იმპერატორ ლეონ II-ისა. ნათესაურ კავშირებს ხელი არ შეუშლია მისთვის, გაემართა ომები ამ იმპერიებთან და დიდი ზიანიც მიეყენებინა მათთვის. ვახტანგი სპარსეთის მეფეს ინდოეთში ეახლა, მრავალი გამარჯვება მოუპოვა და სამშობლოში აურაცხელი სიმდიდრით დაბრუნდა.

მართალია, ვახტანგის მეფობის დროს საქართველომ განიცადა ხაზართა, ბულგარელთა, სომეხთა და სპარსთა შემოსევები, მაგრამ ნაცვლად დასუსტებისა, ამ განსაცდელებმა კიდევ უფრო გააძლიერა

1 Histoire de la Géorgie, თარგმნილი მ.ბროსეს მიერ, St.-Pétersbourg, 1849 წ. ტ. I, გვ. 15-23. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს.ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955 წ., გვ. 147-148.

საქართველო როგორც ნივთიერად, ისე მორალურად. მრავალრიცხოვანმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ვახტანგი საშიში გახადა მტრების თვალში და სახელი გაუთქვა შორეულ ქვეყნებში. მან მთლიანად განწმინდა საქართველო ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტისგან, განდევნა წარმართები, ააგო რამდენიმე ეკლესია და დააარსა ახალი ეპარქიები. ვახტანგ მეფის სახელი დაკავშირებულია ქართველი ხალხის სახელოვან წარსულთან.

ვახტანგის შთამომავლობამ ვერ შეძლო მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ბერძნები დასავლეთ საქართველოში გაბატონდნენ[1]. იმპერატორი მავრიკიოსი მთელი საქართველოს გამგებელი გახდა. აქ ისე იქცეოდა, როგორც ქვეყნის სრულუფლებიან მბრძანებელს შეჰფერის: მეფედ დასვა გუარამი, ბაგრატოვანთა გვარიდან და კურაპალატობა (ტიტული, რომელიც იმპერატორის სასახლის მარშლის წოდებას შეესაბამებოდა) უბოძა (575-600). მაგრამ მისმა ძემ, სტეფანოს I-მა, სპარსეთის მეფის შიშით ზურგი აქცია ბერძნებს. იმპერატორმა ჰერაკლემ, რომელიც იმხანად საქართველოში შემოიჭრა, ალყა შემოარტყა თბილისს, მოკლა სტეფანოზი და საქართველოს მეფის, ბაკურის ძე მთავრად დასვა.

სპარსეთის დამარცხების შემდეგ ჰერაკლე ისევ დაბრუნდა საქართველოში, სადაც რამდენიმე ეკლესია ააგო, რითაც ხელი შეუწყო ქრისტიანობის განმტკიცებას.

## VI. – არაბთა შემოსევები. საქართველოს აყვავება დავით II-ისა და თამარის მეფობის ხანაში

ბიზანტიის ომებმა, დასავლეთ საქართველოს გამოყოფამ და ქართველ მეფეთა ურთიერთშუღლმა საგრძნობლად დაასუსტა საქართველოს სამეფო. ამ დიდ შფოთს მოულოდნელად ზედ დაერთო არაბთა შემოსევები. ხალიფ იშამის ბიძამ — ამირა მურვან ყრუმ ქვეყანა გააჩანაგა 642 წელს, ხელთ იგდო თბილისი, სხვა ქალაქები და ააოხრა ისინი. მრავალი ქართველი ეწამა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, მათ შორის — დავითი და კონსტანტინე, რომელთა შესახებაც ვრცლად მოგითხრობთ XI თავში და მათ პორტრეტებსაც შემოგთავაზებთ.

717 წელს იაზიდმა, სოლეიმანის სარდალმა, ხორასნის მმართველმა, დაიპყრო საქართველო. ქვეყნის დაქსაქსვამ და დასუსტებამ საშუალება მისცა არაბებს, თბილისში გამაგრებულიყვნენ. საქართველოში ბერძნული გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა და ამიერიდან არაბები გახდნენ მოვლენათა გამგებელნი. ქართველი მეფენი ოდენ ამირას ბრძანებათა აღმსრულებლებად

---

1 იხ. Stritter, Memoriae populorum, ტ. IV, გვ. 27; იხ. E. Chantre, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 18; ტ. IV, გვ. 60.

იქცნენ; ისინი სახელითღა თუ იყვნენ მონარქები.

მოგვიანებით, 851 წელს, ბაღდადიდან ბუღა თურქი შემოიჭრა 20 000-იანი ჯარით. ალყაში მოაქცია თბილისი, მოკლა ამირა, გადაბუგა ქალაქი და ააოხრა მისი შემოგარენი. არაბებმა უმატეს საქართველოს შევიწროებას, არაერთ ქრისტიანს წამებით ამოჰხადეს სული.

საქართველომ დამოუკიდებლობისა და ძალების აღდგენა მხოლოდ დავით კურაპალატის დროს (+1001 წ.) შეძლო.

ამ ხელმწიფის სახელმა ბიზანტიამდეც მიაღწია, რომელთანაც მან შეუპოვარი ბარდა სკლიაროსის დამარცხებით განიმტკიცა მშვიდობა.

თორნიკე ერისთავმა, ყოფილმა ბერმა, დაამარცხა ხკლიაროსი და დიდძალი ნადავლიც იგდო ხელთ. ამ გამარჯვებამ ხელი შეუწყო ქართული მონასტრების გაძლიერებას, რომლებიც ათონის მთაზე მეფეთა უხვი წყალობით იყო აგებული.

ბაგრატ III-ის დროს (980 წ.), დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო ერთ მთლიან სამეფოდ გაერთიანდა.

ქართველებმა რაკი ერთხელ თავიანთი ძლიერების საფუძვლები აღიდგინეს, პოლიტიკური და ინტელექტუალური ზრდა განაგრძეს, მაგრამ, სამწუხაროდ, თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა (XI ს-ის II ნახევარი) შეაჩერა ეს განვითარება და ქვეყანა ბარბაროსების შემოსევათა მორევში შთაინთქა.

დავით II-მ, რომელსაც აღმაშენებელი (1089—1125) ეწოდა, მთლიანად განდევნა სელჩუკები, თავის სამეფო კვერთხს დაუმორჩილა ერთიანი საქართველო და შექმნა ვრცელი სამეფო კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, კავკასიონის ქედიდან ყარსის მხარემდე. ქვეყნის ძალები გაიზარდა. დავითმა შეძლო ჯვაროსნებისათვის დახმარების გაწევა წმიდა საფლავის გამოსახსნელად გამართულ ბრძოლაში. გარეშე მტერთაგან განთავისუფლებული საქართველო მთელი ძალით შეუდგა თავისი ხალხის განათლებასა და ქვეყნის შინაგანი მმართველობის განმტკიცებაზე ზრუნვას. დავით აღმაშენებელმა სამეფო რამდენიმე პროვინციად დაჰყო, რომელთაც თავ-თავისი მმართველები დაუნიშნა. ყველაფერი ისე მოაწესრიგა, საფუძველი შეუქმნა თავისი ხალხის წინსვლას, კეთილდღეობას და საქართველო სამხედრო და სამოქალაქო ძლიერების მწვერვალზე აიყვანა. ქართველმა ხალხმა დავით II-ს მრავალი ეკლესიის აგება-აღდგენის გამო მეტსახელად „აღმაშენებელი" უწოდა.

ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს ისტორიაში თავს იჩენს დიდი ფიგურა, გიორგი III-ის ასულის, თამარ მეფის სახით (1184-1212).

მრავალი პოეტური გადმოცემა უკავშირდება თამარის სახელს, რომლებიც მას ნახევრად მისტიკურ არსებად წარმოგვისახავს. ქართველ დიდებულთ თამარისთვის ისეთი მეუღლის შერჩევა უნდოდათ, ვინც

მასთან ერთად სამეფო გვირგვინის სიმძიმეს იტვირთებდა. დიდებულთა არჩევანი შეჩერდა რუს უფლისწულ გიორგიზე, ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟზე, რომელსაც თამარი მალევე გაეყარა მის უზნეობათა გამო. ამის შემდეგ დედოფალი დაემორჩილა ერისთავთა სურვილს და მეორედ იქორწინა. ამჯერად მისი მეუღლე გახდა ბაგრატოვანთა სამეფოს გვარის წარმომადგენელი, ოსეთის მთავარი დავით სოსლანი. ამ ამბის შეტყობის შემდეგ თამარის პირველმა ქმარმა რამდენიმე აჯანყება მოაწყო საქართველოში, მაგრამ საბოლოოდ იქნა დამარცხებული და საქართველოდან გაძევებული.



თამარ დედოფლის მონეტები[1].

ამის შემდეგ საქართველოს უნდა მოეგერიებინა სპარსთა, სარკინოზთა და თურქთა შემოსევები, რომელნიც საქართველოს უმაღლესი ძლიერების ხანაშიც ხელს არ იღებდნენ იქ თარეშზე. ბაღდადის, მოსულის, აზორის, აზერბაიჯანის, ირანისა და თვით ინდოეთის ამირათა ძალებზე დაყრდნობილი ათაბაგი ამირმირანი და სპარსნი საქართველოში შემოიჭრნენ. დავით სოსლანმა რამდენიმე ბრძოლის შემდეგ მათზე ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. მაშინ ყილიჩარსლანის ძემ, რუქნადინმა მთელი თავისი ძალები შეკრიბა და თამარის წინააღმდეგ

1. თამარის მონეტებზე ვკითხულობთ:

„დედოფალი დიდებული, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“. იხ. J. Mourier, L'Art religieux au Caucase, Paris, 1897, გვ. 85. ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი მონეტების შესახებ მკითხველთ მივუთითებთ მონეტების მდიდარ კოლექციაზე წიგნში: Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, depuis l'antiquité jusqu'a nos jaurs, par Victor Langlois, Paris, 1860.

გამოილაშქრა. მოწინააღმდეგეთა ჯარები ბოლოსტეკში შეხვდნენ ერთმანეთს და აქ თურქებმა გაქცევითღა უშველეს თავს.

გადმოცემა ამ ეპოქას უკავშირებს ტრაპიზონის იმპერიის შექმნას, რომელსაც კავკასიის ზღვისპირეთში მაჰმადიანობის გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეშალა.

თამარმა ყველგან დატოვა წარუშლელი კვალი თავისი ბრწყინვალე მეფობისა. გადმოცემა მის სახელს უკავშირებს საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი ტაძრისა თუ ციხესიმაგრის მშენებლობას.

თამარის მეფობის ხანა მხოლოდ საქართველოს მაღალი სამხედრო ძლიერებით არ აღინიშნება; ამასთანავე ეს იყო მეცნიერებისა და ხელოვნების სრულად გაფურჩქვნის ხანა, განსაკუთრებით კი ქართული ლიტერატურისა, რომელიც მანამდე სპარსთა, არაბთა და ბერძენთა გავლენას განიცდიდა[1].

საქართველოში მაღალი ზნეობა გაიგივებულია წმიდა ნინოს

---

1 „ამ აოხრებათა მიუხედავად ეს ეპოქა საქართველოს წინსვლისა და განვითარების მოესწრეა. ეროვნული ენის დამკვიდრებით ლიტერატურამ მეტად გაშალა ფრთები. დამოუკიდებლობისა და დიდების გარიჟრაჟს სახელი გაუთქვა დავით II-ის, დავით III-ის, გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV-ისა და რუსუდანის სახელოვანმა მეფობამ, მაგრამ ეს ეპოქა მეტად საკალალოდ დასრულდა — სამეფო დაიყო, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა.

საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე, რომელიც X–XIII საუკუნეებს მოიცავს, ერთი სახელი ბრწყინავს, რომელშიც თავმოყრილია ყველა ადამიანური ღირსება და კეთილი თვისება. ეს არის სახელი დიდი თამარისა. მან, მეფე გიორგის მემკვიდრემ, სამეფო ტახტი 1180 წელს დაიკავა და ფლობდა 1206 წლამდე. თამარმა ავტორიტეტი მოიხვეჭა კავკასიის ყველა ხალხში, რომელთა უმრავლესობა მის მეფობაში ეზიარა ქრისტიანობას. დიდებულმა, განათლებულმა, მამაცმა მეფემ თავისი ქვეყანა დასავლეთ აზიის ეროვნებათა სათავეში მოაქცია. მტრებს რიდი შთაუნერგა, რითაც მუდამ თავიდან იცილებდა შემოსევებს და თავის ხალხს კეთილდღეობისა და უშიშროების 30 წელი არგუნა.

არასოდეს არც ერთი ხელმწიფის მიმართ არ ყოფილა ესოდენ მადლიერი ერი და არც ერთ ერს ასე შორს არ გაუტანია დიდი სახელის სიყვარული. კავკასიაში თამარს ისეთ პატივს მიაგებენ, როგორსაც მხოლოდ წმინდა მარიამს. არ არსებობს ცოტად თუ ბევრად ძველი ძეგლი, მის ეპოქას რომ არ აკუთვნებდნენ, არც ერთი გონიერული რეფორმა, რომელიც დასაბამს მის მეფობაში არ იღებდეს, არც ერთი ძლევამოსილი ლაშქრობა, რომელიც მის სახელს არ განადიდებდეს.

სწორედ ამ კურთხეული სახელისკენ მიმართავენ კვლავ ქართველნი თავიანთ ფიქრებს, ამ სახელის წარმოთქმა მათ იმ დიად ხანას მოაგონებთ, როდესაც აღმოსავლეთის იმპერიის უღელი მხრებზე დააწვათ, როდესაც აღორძინდა მათი ლიტერატურა, და რომლის (ეპოქის) დასასრულმაც სამუდამოდ ბოლო მოუღო მათს დამოუკიდებლობასა და ეროვნულ არსებობას.

მაგრამ XII საუკუნის მძლავრი იმპულსი დღითი დღე სუსტდებოდა და თამარის მიერ მისი ძლევამოსილებით გაერთიანებულმა ხალხებმა თანდათან დაიწყეს ადრინდელი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა. თემურლენგის ურდოთა მოულოდნელმა თავდასხმამ კი დაასრულა ეს დაყოფა, რომელმაც მთელი ქვეყანა არნახულ გაპარტახებამდე მიიყვანა". იხ. E. Chantre, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 20—21; ტ. IV, გვ. 22.



თამარ დედოფალი (1184-1212). ძველი მხატვრობა.

სახელთან, ხოლო სამხედრო დიდება და ადმინისტრაციული სიბრძნე — თამართან, რომელსაც დედოფლის ნაცვლად მეფე უწოდეს. ამ ორი გმირი ქალის სახელი უძვირფასესია ყოველი ქართველისათვის. თამარის მეფობას ოქროს ხანა უწოდეს. მის გარდაცვალებასთან ერთად ქრება საქართველოს დიდების ვარსკვლავი. ამის შემდეგ იგი სუსტადდა თუ გამოკრთებოდა. აქ მოგვაქვს ამ სახელგანთქმული მეფის პორტრეტი მის მეხოტბესთან, დიდ პოეტ შოთა რუსთაველთან ერთად, რომლის დიდებაც ოქროს ხანას განეკუთვნება.



პოეტი შოთა რუსთაველი. ძველი მხატვრობა[1].

1 ესაა XII ს-ის. უდიდესი პოეტი, რომელმაც ასახა დიდებული თამარის მეფობა. პოემა „ვეფხისტყაოსანი" ქართული ლიტერატურის სიამაყეა. აზრთა სიღრმე, გრძნობათა სიმძაფრე, უზადო სტილი და აფორიზმები, რომლებიც ამ შედევრს ახასიათებს, რუსთაველს რაჟისი ქვეყნის მწერალთა შორის ყველაზე მაღლა აყენებს. მას მიიჩნევენ ქართველთა დანტე ალიგიერად. შოთა რუსთაველის პოემა ითარგმნა გერმანულად: Leist, Der Mann im Tigerelle, Lelpzig, 1880; ფრანგულად: Achas Borin, La Peau de Léopard, 1885, და სხვა ენებზე.

## VII. — სამოქალაქო და საეკლესიო იერარქია

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პოლიტიკური და სოციალური წყობა თითქმის ისეთივე იყო, როგორიც შუა საუკუნეების ევროპული ფეოდალიზმი, გარდა სამართლისა, რომელიც უფრო მეტად ძველ ტომთა წეს-ჩვეულებებს გვაგონებს.

საქართველოს სოციალური იერარქია შედგებოდა: მეფისგან, მთავართა ანუ დიდებულთა სამი ფენისგან, აზნაურთა[1] ანუ დიდებულთა სამი ფენისგან, ქალაქის ბურჟუაზიისა და ვაჭართა ოთხი ფენისგან, მსახურებისგან, თავისუფალი გლეხებისა, ანუ მიწის მუშაკებისა და მონებისა ანუ ყმებისგან.

სამეფო გვირგვინი, ჩვეულებრივ, მეფის უფროს ვაჟზე, თვით ასულზე და ზოგჯერ ძმებზეც გადადიოდა.

ძირითადად მეფე შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა, მაგრამ ხშირად მის ხელისუფლებას მეფესთან დაახლოებული პირნი ზღუდავდნენ. მეფის სიგელ-გუჯრებს, შეწირულების წიგნებს მხოლოდ მის სიცოცხლეში ჰქონდა ძალა. თუ მეფის მემკვიდრენი მათ არ განაახლებდნენ ან არ განამტკიცებდნენ, შეიძლებოდა სადავო გამხდარიყო ანდა საერთოდ გაუქმებულიყო. სამეფოს მართავდა მეფე, რომელსაც რამდენიმე მაღალი რანგის მოხელე ეხმარებოდა. მათ შორის ყველაზე წარჩინებული იყვნენ ორნი: პირველი მინისტრი ანუ „ვეზირი“ და მწიგნობართუხუცესი, რომელსაც შუა საუკუნეებში სამეფო ბეჭდის მცველი შეესაბამებოდა. ჩვეულებრივ, ეს უკანასკნელი მღვდელმთავარიც იყო. სამეფოს უმნიშვნელოვანეს საქმეთა მართვა-გამგებლობა, მაგალითად, ფინანსების, სამართლისა, უფლისწულებს ჰქონდათ მინდობილი და სამემკვიდრეო იყო. უზენაესი მსაჯული გახლდათ მეფე, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ.

უფრო გამორჩეული პირნი იყვნენ მეფის ძმები, ვაჟები და ახლო ნათესავები, შემდეგ პირველი ფენის დიდებულები, ყველაზე ვრცელი ადგილ-მამულების მფლობელნი. აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ექვსი ასეთი დიდებული მოითვლებოდა, რომლებიც დიდ არისტოკრატულ საგვარეულოთა თავკაცები იყვნენ.

ჩვეულებრივ, პირველ დიდებულებს „ერისთავის“ ანუ „ხალხის მეთაურის“ (თავკაცის) წოდება ჰქონდათ. მათ აგრეთვე უწოდებდნენ „დიდებულთ“, „ბრწყინვალეთ“, თუმცა ეს წოდება, უფრო ფართო გაგებით, მოიცავდა ყველა კატეგორიის წარჩინებულს — ვრცელ ადგილ-მამულთა მფლობელთაც და ისეთებსაც, რომლებმაც იგი პირადი ღირსებებით მოიპოვეს.

1 სიტყვა „აზნაურით“ დღესაც აღნიშნავენ მათ, რომლებიც წარმოშობით ან მდგომარეობით მონები არ არიან, მაგრამ ზოგიერთ აზნაურსა და დიდებულს შორის ფეოდალური დამოკიდებულება არსებობდა.

ყოველი დიდებული ფლობდა რამდენიმე სოფელს, ორგანიზებულ ლაშქარს და არანაკლებ ორ თუ სამ ციხესიმაგრეს, სადაც მტრის შემოსევების დროს თავს აფარებდნენ მისი ქვეშევრდომნი. ომიანობისას ყოველი დიდებული თავის ლაშქართან ერთად უნდა წარმდგარიყო ამ მხარის მხედართმთავართან, რათა მასთან ერთად შებმოდა მტერს.

დიდებულნი თავიანთ სამფლობელოში სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ, რასაც ხშირად ბოროტად იყენებდნენ — მეფის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ. დიდებულთა ამგვარი დამოუკიდებლობა შინაომების მუდმივ საფუძველს ქმნიდა. ამიტომ ქართველი მეფენი ხშირად იძულებული ხდებოდნენ, მათთვის ბრძოლა გაემართათ, რათა დამორჩილებულნი ჰყოლოდათ.

იერარქიის შემდგომ საფეხურზე იდგნენ აზნაურები, რომლებიც სამ ფენას შეადგენდნენ. სამეფო კარის აზნაურნი პირველი წოდების აზნაურებად ითვლებოდნენ, შემდეგ მათ მოსდევდნენ საეკლესიო აზნაურები, უკანასკნელ საფეხურზე კი დიდებულებს დაქვემდებარებული აზნაურები იყვნენ. დიდებულთა იურიდიული უფლებები მით უფრო დიდი იყო, რაც უფრო ბევრი აზნაური ჰყავდათ.

„მსახურნი“ შუალედურ საფეხურს ქმნიდნენ აზნაურობასა და მდაბიოთა შორის. ისინი მეფესთან, დიდებულებთან, აზნაურებთან, სასულიერო პირებთან იყვნენ დაკავშირებულნი და სამოქალაქო სამსახურში იმყოფებოდნენ. „მსახურნი“ ყმებს მოგვაგონებდნენ, მაგრამ მათგან განსხვავებით, არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ და თავიანთ ბატონებს გადასახადს ფიზიკური შრომით უნაზღაურებდნენ.

უკანასკნელ საფეხურზე მიწაზე მიმაგრებული ყმა გლეხები იდგნენ. მათგან ერთნი თავისუფალნი იყვნენ, მეორენი — ყმები; პირველთ არ გააჩნდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ყოველდღიური მოჯამაგირული შრომით ცხოვრობდნენ. თუკი რომელიმე ადგილას საბოლოოდ დასახლდებოდნენ, ამით ამ მხარის მფლობელის ყმები ხდებოდნენ. სხვის მიწაზე დამკვიდრებული ყმები თავიანთ ბატონებს უხდიდნენ საბატონო ბეგარას, ლალას და გადასახადს: მარცვლეულის მეექვსედს და ღვინის მეათედ ნაწილს. ბატონები, რომლებიც იმავე დროს მსაჯულნიც იყვნენ, შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ: შეეძლოთ თავიანთი ყმები გაეჩუქებინათ, გაეყიდათ ან გაექირავებინათ.

მოქალაქენი და ვაჭრები ქალაქად ცხოვრობდნენ; მათი საქმე ხელოსნობა და ვაჭრობა იყო. სამღვდელოება ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოება, გახლდათ დამოუკიდებელი, პრივილეგიური წოდება — საეკლესიო საზოგადოება, რომელსაც საკუთარი კანონები ჰქონდა. კათალიკოსი, ქვეყნის სულიერი მამა, მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, არქიმა-

ნდრიტები, სამღვდელოება და ბერმონაზვნობა მთელ საეკლესიო იერარქიას ქმნიდნენ[1].

სამღვდელოება და მოქალაქენი სისხლის საფასურის მიხედვით იურიდიულად სამ ჯგუფად იყოფოდნენ:. მიტროპოლიტის ანდა პირველი რანგის თავადის სისხლი 15360 მანეთად იყო შეფასებული, ეპისკოპოსისა და მეორე რანგის თავადის სისხლი 7680 მანეთი ღირდა, ხოლო არქიმანდრიტისა და მესამე რანგის თავადისა — 3840 მანეთი, მონასტრის წინამძღვრისა და პირველი რანგის აზნაურისა — 1720 მანეთი, მეორე რანგის აზნაურისა და მდიდარი ვაჭრისა — მხოლოდ 480 მანეთი. უკანასკნელ საფეხურზე მყოფი მიწის მუშაკისა და წვრილი ვაჭრის სისხლის ღირებულება 120 მანეთს არ აღემატებოდა.

დანაშაულის საზღაური შეურაცხყოფილი პირისა და დანაშაულის ჩამდენი პიროვნების რანგის შესაბამისად მერყეობდა. თუ დაბალი ფენის პირი შეურაცხყოფდა მასზე მაღალი ფენის წარმომადგენელს, იმაზე მეტი საზღაური იყო დაწესებული, ვიდრე მაშინ, როდესაც დამნაშავე მაღალ ფენას ეკუთვნოდა. თუ დანაშაულის ჩამდენი მაღალი ფენიდან იყო, საზღაურის მხოლოდ ნახევარს იხდიდა, ხოლო თუ ბატონი რაიმე მძიმე დანაშაულისთვის თავის ყმას მოკლავდა, დაუსჯელი რჩებოდა; რაც შეეხება მოკლული ყმის ოჯახს, იგი თავისუფლდებოდა.

სამეფოს საქმეთა წარსამართავად არსებობდა რვა წევრისგან შემდგარი უზენაესი საბჭო, რომელიც ფინანსებსა და სამართალს განაგებდა. მისი ადგილსამყოფელი დედაქალაქში იყო, ხოლო სოფლად სამართლისა და საპოლიციო საქმეებს მებატონე აწესრიგებდა.

XVIII ს-ში ძველი კანონები შეცვალა ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულმა, რომელიც შურისგებასა და თვითგასამართლებას კრძალავდა. ეს კანონები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა მოწმეებს. სიმართლის დასადგენად, ჩვეულებრივ, დაფიცებასა და სხვა დამამტკიცებელ საბუთებს იშველიებდნენ.

სამხედრო თვალსაზრისით საქართველო რამდენიმე ოლქად იყო დაყოფილი. თითოეულ ოლქს თავისი სარდალი ჰყავდა. ომიანობის დროს თავად-აზნაურნი და საეკლესიო ქონების გამგებელნი მოლაშქრეებს კრებდნენ და თავის მთავარსარდალს უერთდებოდნენ. თითოეული ოლქის მეომრები შეადგენდნენ ლაშქარს, რომლის მხედართმთავარს უმაღლესი სარდლობა ებარა და მხოლოდ მეფეს ექვემდებარებოდა.

ხშირად ეპისკოპოსები ბრძოლის ველზე ჯვრით ხელში ლაშქარს წინ მიუძღოდნენ, რათა მებრძოლნი გაემხნევებინათ ურჯულოებთან საბრძოლველად, რომლებიც თითქმის მუდამ ჭარბობდნენ ერთ მუჭა ქართველ მეომრებს.

---

1 Brosset, Histoire de la Géorgie, შესავალი, St-Pétersbourg., 1858, გვ. LXXIX–XI.

## VIII. – მონღოლთა შემოჭრა და საქართველოს დასუსტება. თურქთა და სპარსთა შემოსევები. ცენტრალიზებული საქართველოსგან დასავლეთ საქართველოს გამოყოფა და მისი შედეგები

თამარის მეფობის შემდეგ სულ მალე გამოიკვეთა საქართველოს დაქვეითების სავალალო ნიშნები. მისი მემკვიდრე მეფენი უძლურნი აღმოჩნდნენ აყვავებული სახელმწიფო შეენარჩუნებინათ იმ სახით, როგორადაც მათ სახელოვანმა მეფემ დაუტოვა.

თამარის ვაჟმა ლაშა გიორგიმ უზნეო მოქმედებით საგრძნობლად შეასუსტა სოციალური კავშირები და მეფის ავტორიტეტი. ქვეყნის დიდებულები ზურგს შეაქცევდნენ, უცხოელთა შემოსევას რომ არ გაეღვიძებინა მათი პატრიოტული გრძნობა. მალე მონღოლები ჯალალედინის წინამძღოლობით თავს დაესხნენ საქართველოს (1220) და ქვეყანას დიდი ზარალი მიაყენეს. მათ რამდენჯერმე განაახლეს თავდასხმები, რამაც რუსუდან დედოფალი აიძულა, წერილი მიეწერა რომის პაპ გრიგოლ IX-თვის და შემოსეული მტრის მოსაგერიებლად დახმარება ეთხოვა.

თათართა, იგივე მონღოლთა ხშირმა შემოსევებმა ქვეყანას უკიდურესი გაჭირვება დაატეხა თავს. შეუძლებელია ყველა იმ სისასტიკის, სიმხეცის, ნგრევის აღწერა, რაც ამ ბარბაროსებმა საქართველოს არგუნეს.

მონღოლთა მტარვალობას ზღვარი არ ჰქონდა. ისინი იოლად აძლევდნენ მეფეებს ტიტულებსა თუ წოდებებს და ასევე იოლად ართმევდნენ ამ მოჩვენებით ძალაუფლებას: ტახტზე სვამდნენ, იქიდან აგდებდნენ, ზოგჯერ სიკვდილითაც სჯიდნენ. არავის ძალუძდა აღეკვეთა დამპყრობთა წრეგადასული მოქმედება: პირიქით, საერთო მტრის წინააღმდეგ შეკავშირების ნაცვლად საქართველო სამემკვიდრეო მამულებად იშლებოდა, მოსახლეობას სულს ხდიდა აუტანელი გადასახადები, მონღოლები ყოველ მეათე კაცს აიძულებდნენ მათ ჯარში ემსახურა; გაჩანაგებული და დაქუცმაცებული საქართველო სავალალო დღეში იყო.

ამდენი ჭირ-ვარამის შემდეგ საქართველომ მცირე ხნით შვება იგრძნო. გიორგი V-მ, ბრწყინვალედ წოდებულმა (1318-1346), ქვეყანას სიმშვიდისა და დიდების მცირე ხანი არგუნა. მან ისარგებლა მონღოლთა შესუსტებით და რამდენადაც შეძლო, ქვეყანა ააღორძინა. უცხოელთა განდევნის შემდეგ გიორგი V საქართველოს გაერთიანებასა და განახლებას შეუდგა. წინდახედულებისა და მოხერხებულობის წყალობით შეძლო სამეფოს გაფართოება, მაგრამ მშვიდობისა და თანხმობის ეს ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ბაგრატ V-ის მეფობის დროს (1360—1395) თემურლენგის შემოსევებმა ყოველივე მიწასთან გაასწორა. ეს იყო ყველაზე ულმობელი

მტარვალი, რომელსაც კი ოდესმე დედამიწის ზურგზე უვლია. საქართველოში ექვსჯერ შემოიჭრა და თავის ნაკვალევზე ნანგრევებიღა დატოვა. რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანას შვება არ უგრძნია. შემდგომში, უნებისყოფო, ღვთის რისხვისაგან სულიერად დაცემულ მეფეთა მთელი წყების შემდეგ საქართველო დაქვეითდა და კვლავ სამემკვიდრეო ფეოდებად დაიშალა, რომლებსაც გამუდმებული შინაომები ჰქონდათ გამართული.

აოხრებული და გაჩანაგებული საქართველო, რომელმაც თავისი საუკეთესო მეომრები დაკარგა, თითქოსდა განწირული იყო ქრისტიან ერთა სიიდან ამოსაშლელად, მძვინვარე თემურლენგისათვის სიკვდილს რომ არ მოესწრო (1405).

მალე ქართველთათვის ახალი ხანა დაიწყო. გიორგი VII-ის (1395-1407) თავგამოდებით გამხნევებული ქართველები შეუდგნენ ქვეყნის აღდგენაზე ზრუნვას, ქვეყნისა, რომელიც, მტერთაგან განთავისუფლებული, ერთხელ კიდევ აღდგა ნანგრევებიდან.

სწორედ ამ მოვლენებს მოსდევს ჯვაროსნული ლაშქრობისათვის (1459) ქართველ მეფეთა და დიდებულთა მზადება, რომელთაც, რომის პაპ პიუს II-ის რჩევით, მაჰმადიანთა წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ, მაგრამ ლაშქრობა არ განხორციელებულა ვენეციაში ელჩთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თავიანთი გამარჯვებებით გათამამებული თურქთა ურდოები აზიისკენ დაიძრნენ. საქართველოს სამეფო, რომელიც მუსულმანთა შემოსევების მიუხედავად კვლავაც ფეხზე იდგა, ახლა ისლამის მოძალებამ შთანთქა.

უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო სასოწარკვეთილებამ მოიცვა. აზიაში ქრისტიანობის უკანასკნელი ლამპარი სუსტ და უნიათო სხივსღა აფრქვევდა. ოსმალებისა და სეფიანთა იმპერიების საზღვრებთან მდებარე საქართველო მათ მიერ გაჩაღებული სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად იქცა. იმის შემდეგ, რაც ალექსანდრეს ვაჟებმა ქვეყანა ურთიერთშორის დაინაწილეს, სახელმწიფოს დასაცავად უძლურ მეფეთა მმართველობის დროს, ქვეყნის მთლიანობის დაკარგვის შემდეგ, საქართველოს ყოველდღიურად ხელიდან ეცლებოდა ომისა თუ შიმშილობისგან განადგურებული პროვინციები, ხოლო მეფენი იძულებულნი იყვნენ, სპარსეთისა და თურქეთის მუსულმანთა საშინელი ჩაგვრა აეტანათ.

XVI ს-ის მანძილზე თურქთა და სპარსთა არაერთგზის შემოსევის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის ურდოებმა დაიპყრეს. XVII ს-ის დასაწყისში საქართველოს აოხრების შემდგომ შაჰ-აბას I-მა სამშობლოდან სპარსეთს გადაასახლა 60 000 ქართული ოჯახი, ხოლო მათ ადგილას სპარსელები და სომხები ჩამოასახლა. ოსმალონი კი თავიანთ ძალაუფლებას დასავლეთ საქართველოზე ავრცელებდნენ.

გაგაცნობთ წერილს, რომელიც არჩილმა, იმერეთის მეფემ, ოსმალოთაგან შევიწროების ჟამს, თეოდორე ალექსის ძეს გაუგზავნა:

მიღებულია 1687 წ. 28 ნოემბერს.

„კელმწიფო თეოდორე ალექსიეჩი:

ⴕ. ⴜⴋⴈⴌⴃⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴄⴐⴇ-ⴀⴐⴑⴄⴁⴈⴑⴀ, ⴑⴀⴋ-ⴇⴅⴈⴇⴄⴁⴈⴑⴀ, ⴃⴀ ⴄⴐⴇ-ⴖⴅⴇⴀⴄⴁⴈⴑⴀ, ⴑⴀⴉⴓⴇⴀⴐⴈ ⴃⴀ ⴄⴐⴇⴂⴓⴊⴈ ⴋⴀⴐⴇⴊⴋⴀⴃⴈⴃⴄⴁⴊⴍⴁⴈⴑⴀ ⴐⴟⴓⴊⴈⴑⴀⴇⴣⴑ ⴇⴀⴅⴃⴀ-ⴃⴄⴁⴓⴊⴈ, ⴑⴀⴋⴗⴍⴔⴇⴀ ⴃⴀ ⴑⴀⴎⴀⴒⴐⴍⴌⴍⴇⴀ ⴃⴀⴋⴒⴄⴅⴄⴁⴄⴊⴈ, ⴇⴕⴅⴄⴌⴈⴑ ⴉⴄⴊⴋⴜⴈⴔⴍⴁⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴃⴈⴃⴄⴁⴈⴑⴀ ⴋⴀⴕⴄⴁⴀⴐ-ⴋⴀⴃⴈⴃⴄⴁⴄⴊⴈ, ⴑⴀⴌⴈⴀⴃⴀⴂⴍⴃ ⴇⴕⴅⴄⴌⴈ ⴋⴊⴍⴚⴀⴅⴈ, ⴋⴈⴜⴀ ⴃⴀ ⴔⴄⴐⴞⴇ ⴋⴒⴅⴄⴐⴈ, ⴋⴄⴔⴄ ⴀⴐⴙⴈⴊ, ⴋⴍⴂⴀⴞⴑⴄⴌⴄⴁ...

ⴀⴜⴄ, ⴀⴋⴀⴑ ⴋⴍⴅⴀⴞⴑⴄⴌⴄⴁ ⴇⴕⴅⴄⴌⴑⴀ ⴉⴄⴊⴋⴜⴈⴔⴄⴁⴀⴑⴀ ⴃⴀ ⴓⴔⴐⴍⴑⴀⴃ ⴀⴋⴀⴖⴊⴄⴁⴓⴊⴄⴁⴀⴑⴀ ⴃⴀ ⴃⴈⴃⴄⴁⴀⴑⴀ, ⴐⴍⴋ ⴙⴅⴄⴌⴈ ⴀⴟⴀ ⴃⴀ ⴋⴍⴞⴑⴄⴌⴄⴁⴀ ⴋⴍⴈⴞⴑⴄⴌⴍⴇ ⴃⴀ ⴘⴄⴈⴑⴋⴈⴌⴍⴇ, ⴐⴍⴋ ⴗⴍⴅⴊⴈⴑ ⴋⴀⴐⴇⴊⴋⴀⴃⴈⴃⴄⴁⴄⴊⴈⴑ ⴕⴐⴈⴑⴒⴈⴀⴌⴈⴑ ⴃⴀⴝⴈⴐⴄⴁⴓⴊⴈⴑ ⴀⴟⴈⴑ ⴃⴀ ⴑⴀⴞⴅⴄⴜⴐⴈⴑ ⴉⴀⴐⴈ ⴃⴀ ⴖⴍⴌⴄ ⴇⴕⴅⴄⴌ ⴋⴐⴛⴀⴌⴄⴁⴈⴇ, ⴐⴍⴋ ⴙⴅⴄⴌⴈ ⴑⴀⴕⴋⴄ ⴀⴑⴄ ⴋⴍⴞⴃⴀ. ⴗⴋⴀⴜⴅⴈⴊⴍⴁⴈⴇⴂⴀⴌ ⴇⴀⴇⴐⴈⴑ ⴗⴋⴍⴁⴀⴑ ⴃⴀ ⴞⴄⴊⴇ-ⴕⴅⴄⴈⴇⴍⴁⴀⴘⴈ ⴅⴈⴗⴀⴅⴈⴇ ⴃⴀ ⴙⴅⴄⴌⴈⴑ ⴋⴀⴐⴇⴊ-ⴋⴀⴃⴈⴃⴄⴁⴊⴈⴑ ⴈⴄⴑⴍ ⴕⴐⴈⴑⴒⴄⴑ ⴐⴟⴓⴊⴑ ⴋⴒⴉⴈⴚⴄⴃ ⴝⴈⴐⴅⴀⴑ ⴂⴅⴈⴘⴊⴈⴃⴄⴑ ⴃⴀ ⴕⴐⴈⴑⴒⴈⴀⴌⴍⴁⴈⴑ ⴑⴈⴗⴅⴀⴐⴓⴊⴈⴑⴀⴇⴅⴈⴑ ⴂⴀⴋⴍⴅⴄⴚⴀⴊⴄⴌⴈⴇ ⴃⴀ ⴉⴄⴊⴋⴜⴈⴔⴄⴑ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍⴑ ⴀⴋⴁⴀⴅⴈ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴋⴍⴄⴞⴑⴄⴌⴄⴁⴀ. ⴈⴋⴄⴐⴄⴇⴑ ⴋⴀⴐⴇⴀⴊⴈ ⴋⴀⴒⴍⴌⴈ ⴀⴐ ⴈⴟⴃⴀ, ⴀⴋⴀⴇⴀⴚ ⴋⴍⴈⴌⴃⴍⴋⴄⴑ ⴃⴀ ⴂⴀⴋⴀⴋⴀⴒⴍⴌⴄⴑ. ⴋⴀⴑ ⴓⴉⴀⴌ, ⴞⴅⴀⴌⴇⴕⴀⴐⴑ ⴊⴀⴘⴕⴀⴐⴈ ⴂⴀⴋⴍⴄⴂⴆⴀⴅⴌⴀ ⴃⴀ ⴋⴍⴂⴅⴈⴞⴃⴄⴑ, ⴅⴈⴋⴐⴛⴍⴊⴄⴇ, ⴆⴍⴂⴈ ⴈⴋⴀⴇ ⴃⴀⴂⴅⴈⴞⴍⴚⴄⴑ, ⴆⴍⴂⴈ ⴙⴅⴄⴌ ⴃⴀⴅⴞⴍⴚⴄⴇ, ⴋⴀⴂⴐⴀⴋ ⴁⴍⴊⴍⴑ, ⴈⴋⴀⴇ ⴃⴀⴂⴅⴀⴝⴀⴐⴁⴄⴑ ⴃⴀ ⴈⴑ ⴀⴊⴀⴂⴈ ⴃⴀⴂⴅⴀⴂⴃⴄⴁⴈⴌⴄⴑ ⴃⴀ ⴐⴀⴃⴂⴀⴌ ⴖⴋⴄⴐⴇⴋⴀⴌ ⴕⴅⴄⴗⴌⴈⴑ ⴋⴎⴗⴐⴍⴁⴄⴊⴍⴁⴀ ⴂⴅⴈⴁⴍⴛⴀ, ⴋⴐⴛⴀⴌⴄⴁⴀ ⴖⴅⴇⴈⴑⴀ ⴀⴐⴈⴑ ⴇⴕⴅⴄⴌⴆⴄⴃⴀ, ⴐⴍⴋ ⴃⴀⴝⴈⴐⴄⴁⴓⴊⴑⴀ ⴃⴀ ⴘⴄⴜⴓⴞⴄⴁⴓⴊⴑⴀ ⴋⴀⴐⴇⴊ-ⴋⴀⴃⴈⴃⴄⴁⴄⴊⴑ ⴕⴐⴈⴑⴒⴈⴀⴌⴑ ⴋⴍⴄⴞⴋⴀⴐⴍ ⴃⴀ ⴓⴘⴅⴄⴊⴍ ⴐⴀⴋⴄ, ⴐⴀⴇⴀ ⴂⴀⴑⴋⴈⴌⴍⴑ ⴉⴋⴀ ⴋⴄⴓⴔⴄⴋⴀⴌ. „ⴋⴍⴅⴄⴃⴈⴇ ⴙⴄⴋⴃⴀ ⴉⴓⴐⴇⴞⴄⴓⴊⴍ ⴋⴀⴋⴈⴑⴀ ⴙⴄⴋⴈⴑⴀⴍ, ⴃⴀ ⴃⴀⴈⴋⴉⴅⴈⴃⴐⴄ ⴇⴕⴅⴄⴌⴇⴅⴈⴑ ⴂⴀⴌⴋⴆⴀ-ⴃⴄⴁⴓⴊⴈ ⴑⴀⴑⴓⴔⴄⴅⴄⴊⴈⴍ. ⴓⴚⴞⴍ ⴅⴈⴗⴀⴅ ⴃⴀ ⴘⴄⴋⴈⴜⴗⴌⴀⴐⴄⴇ:“– ⴋⴄⴐⴋⴄ, ⴅⴀⴐ, ⴓⴚⴞⴍ ⴃⴀ ⴘⴄⴋⴜⴗⴌⴀⴐⴄⴁⴄⴊⴈ ⴇⴕⴅⴄⴌ ⴞⴀⴐⴇ...

ⴀⴋ ⴞⴅⴄⴜⴌⴀⴑ ⴙⴀⴋⴍⴖⴋⴀ ⴓⴕⴄⴑⴇⴀⴄⴑⴈ ⴄⴑ ⴋⴍⴋⴈⴞⴑⴄⴌⴄⴁⴈⴀ. ⴄⴑ ⴎⴀⴒⴈⴍⴑⴀⴌⴈ ⴇⴕⴅⴄⴌⴈⴑ ⴉⴄⴊⴋⴜⴈⴔⴍⴁⴈⴑ ⴋⴚⴅⴄⴊⴈ ⴃⴀ ⴋⴔⴀⴐⴅⴄⴊⴈ ⴜⴋⴈⴌⴃⴈⴑ ⴖⴅⴇⴈⴑ-ⴋⴘⴍⴁⴊⴈⴑ ⴞⴀⴒⴈ ⴋⴈⴀⴞⴊⴄⴁⴈⴀ ⴘⴓⴀⴋⴃⴂⴍⴋⴄⴊⴀⴃ. „ⴌⴓ ⴓⴂⴓⴊⴄ-ⴁⴄⴊⴑ-ⴠⴗⴍⴔ ⴀⴋ ⴜⴋⴈⴌⴃⴈⴑ ⴋⴖⴅⴇⴈⴑ-ⴋⴘⴍⴁⴊⴈⴑ ⴂⴓⴊⴈⴑⴇⴅⴈⴌ ⴃⴀ ⴋⴑⴇⴅⴀⴃ ⴘⴄⴜⴈⴅⴄⴌ ⴜⴗⴀⴊⴍⴁⴀⴌⴈ, ⴘⴄⴌ ⴓⴔⴀⴊⴍ“, ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴠⴉⴋⴍⴁⴑ ⴜⴈⴌⴀⴑⴜⴀ-ⴐⴋⴄⴒⴗⴅⴄⴊⴈ ⴃⴀⴅⴈⴇ. ⴑⴞⴅⴀⴑ ⴙⴅⴄⴌⴑ ⴎⴀⴑⴓⴞⴑ ⴙⴅⴄⴌⴈ ⴀⴐⴕⴈⴋⴀⴌⴃⴐⴈⴒⴈ ⴋⴀⴉⴀⴐⴈⴍⴑ ⴃⴀ ⴂⴐⴈⴂⴍⴊⴈⴑ ⴘⴅⴈⴊⴈ ⴈⴅⴀⴌⴄ ⴋⴍⴀⴞⴑⴄⴌⴄⴁⴑ“.

მეფის ბეჭედი ოვალურია. შუაში ჯვარია გამოსახული, გარშემო კი აწერია:

„მე, არჩილი, მეფე მოწყალებითა ღმრთისათა, ვადასტურებ.“

ეს წერილი მოსკოვში მიიღეს 1687 წ. 31 დეკემბერს[1].

მჩაგვრელთა ზედამხედველობის დროს ქართველი მეფენი ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ერთმპყრობელობის უფლებას, რასაც დამპყრობლები მხოლოდ იმ პირობით იძლეოდნენ, თუ ქართველი მეფენი მათი წინასწარმეტყველის რწმენას აღიარებდნენ, ხოლო ქვეყნის მმართველობას შაჰის მოხელეებს გადასცემდნენ.

მეფეები, რომლებმაც მხოლოდ გარეგნულად მიიღეს მაჰმადიანობა, ტახტზე ერთმანეთს რიგრიგობით ენაცვლებოდნენ. სამწუხაროდ, მათ შორის ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც მხოლოდ თავიანთი დინასტიის ინტერესებზე ფიქრობდნენ და იოლად თმობდნენ სარწმუნოებას. ისინი მონებით ამარაგებდნენ ჰარამხანებს და მოსახლეობაში სპარსულ ჩვეულებებს ნერგავდნენ. მეფეთა ამ უღირსმა საქციელმა ქვეყანა სრულიად გახრწნა ზნეობრივად.

სწორედ მაშინ მიიღო კორუფციამ ფართო მასშტაბი და არა მხოლოდ სამეფო კარი და დიდებულთა წრე, ერის თითქმის ყველა ფენა მოიცვა. ამ სენმა საკუთრხევლამდეც მიაღწია. ზნეობრივ გახრწნასთან ერთად სიხარბის ჟინი სამღვდელოებასაც მოედო. დანაშაული სამარცხვინოდ აღარ მიაჩნდათ და იგი ხშირად წარმატებითაც აღწევდა მიზანს. მანკიერებათა ამგვარი მოძალება ქვეყანას უფრო მეტ ზიანს აყენებდა, ვიდრე თურქთა და სპარსთა ცეცხლი და მახვილი.

ასეთ სავალალო ვითარებაში ბედნიერი გამონაკლისებიც არსებობდა, მაგალითად, ქეთევან დედოფალი, რომელშიც ზეციურ მშვენიერებას უმწიკვლო ზნეობა შერწყმოდა. მიუხედავად იმისა, რომ შაჰ-აბასმა საშინლად აწამა, დედოფალი ერთგული დარჩა თავისი მრწამსისა. სპარსეთში ტყვექმნილი რამდენიმე წლის შემდეგ 1624 წელს შირაზის მოედანზე მხეცურად ნაწამები ქრისტიანულ სარწმუნოებას ზვარაკად შეეწირა.

---

1 **Brosset**, Mélanges Asiatiques, 1852, ტ. II, გვ. 219—220. ამავე ნაშრომში (გვ. 219—228) ეხვდებით სხვადასხვა პირისადმი მიმართულ არჩილ მეფის რამდენიმე წერილს, რომელთა ორიგინალები მოსკოვის არქივებშია დაცული. მეფე არჩილი ერთ-ერთი სვეგამწარებული მეფე იყო, რომელსაც ბედი არ წყალობდა. 14 წლის ჭაბუკი მისმა მამამ, ქართლის მეფე ვახტანგ V-მ (შაჰნავაზ I) 1661 წელს იმერეთში გაამეფა ბაგრატ IV-ის საზიანოდ, რომელიც დედინაცვალმა დააბრმავა. ორი წლის შემდეგ ირანის მთავრობის მოთხოვნით ტახტიდან გადააყენეს. 1664 წ. გამეფდა კახეთში, რომელიც ვახტანგ V-მ ერეკლე I-ს წაართვა. მაგრამ 1675 წ. იძულებული გახდა, ადგილი დაეთმო თავისი მოცილესათვის და 1678 წ. ხელახლა იმერეთის ტახტს დაუბრუნდა. იმერეთში მისი მეფობა მხოლოდ ერთ წელს გაგრძელდა. ამის შემდეგ რუსეთს მიაშურა, შემდეგ ისევ იმერეთში დაბრუნდა და იქ 1690—1698 წწ. მეფობდა შეალედებით, რის შემდეგაც სამუდამოდ დაკარგა საქართველოს სამეფო ტახტი; შემდგომ ისევ მოსკოვს მიაშურა და იქ აღესრულა 1712 წელს. — იხ. **Brosset**, დასახ. ნაშრ., გვ. 211-212; **Avril Philippe**, Voyage en divers Etats d'Europe et d'Asie, Paris, 1692, გვ. 277.

საქართველოს დაპყრობილ მხარეებში თურქები ისლამის რჯულის გასავრცელებლად ყოველივეს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ. უწყალოდ ჟლეტდნენ ათასობით ქართველს, რომლებიც ქრისტიანობას არ თმობდნენ. მტკიცე რწმენის მიუხედავად მტრებმა მაინც შეძლეს, ქრისტიანობის ნანგრევებზე ზოგიერთ მხარეში მაჰმადიანობა მახვილით დაემკვიდრებინათ.

ძველი დროიდან დასავლეთ საქართველო ანუ კოლხეთი საქართველოს გამოეყო და რამდენიმე წვრილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომლებიც ჯერ რომაელებმა, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლის იმპერატორებმა დაიპყრეს. იმ ხანებში დასავლეთ საქართველოს „ლაზიკა" ეწოდა. ეს სახელწოდება საყოველთაო გახდა იმ ქართველი ტომების აღსანიშნავად, რომლებიც ენგურის სამხრეთით და შავი ზღვისპირეთში სახლობდნენ.

ლაზიკის სახელმწიფოთა დამოკიდებული მდგომარეობის ერთადერთი გამომხატველი ის იყო, რომ აღმოსავლეთის იმპერატორები მის მეფეებს ინვესტიტურის ნიშნებს გადასცემდნენ ხოლმე. როგორც ვასალებს, მათ უნდა დაეცვათ კავკასიონის მთების გასასვლელები, რომ იმპერიის ტერიტორიაზე მტრის შემოსევისათვის ხელი შეეშალათ. მაგრამ ლაზიკის მძვინვარე მტრებმა — სპარსეთის მონარქებმა — კარგად უწყოდნენ, რომ მისი დაპყრობით ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა შავი ზღვით კონსტანტინოპოლის იმპერატორთა სასახლემდე მისაღწევად. ამიტომ ამ მხარის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. სწორედ ამიტომ წამოიწყეს იქ ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლები, განსაკუთრებით, იუსტინიანეს ზეობის დროს, მაგრამ ვერ მოახერხეს გამხდარიყვნენ ლაზიკის მუდმივი მბრძანებლები და იგი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე კონსტანტინოპოლის ხელთ იმყოფებოდა, რამაც ღრმა კვალი დაამჩნია. მხოლოდ X საუკუნეში შეუერთდა ლაზიკა საქართველოს და თავისი სახელის ერთხელ კიდევ შეცვლის შემდეგ „აფხაზეთი" ეწოდა.

ამ ერთობის დროს, კოლხეთმა თითქმის მთლიანად გაიზიარა საქართველოს ხვედრი. მოგვიანებით ალექსანდრე I-მა, გარდაცვალებამდე (1442) ცოტა ხნით ადრე, საქართველოს სამეფო თავის სამ ვაჟს გაუნაწილა, რის შედეგადაც სამი სამეფო შეიქმნა.

ქვეყნის დაყოფით გამოწვეულმა სავალალო შედეგებმაც არ დააყოვნა: სამი სამეფო საგვარეულო ერთმანეთის წინააღმდეგ გაუთავებელ ბრძოლაში ჩაება. მას შემდეგ აქ თავდასხმებმა, ბრძოლებმა, სისხლისღვრამ და ძმათაკვლამ დაისადგურა. ამ დროიდან ბედნიერი დღეები სანატრელი გახდა. სამი სამეფოს ვასალებმა, როგორც კი თავიანთ ბატონების მსგავსად ძალა იგრძნეს, თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც გამეფებული იყო ყოველგვარი უწესრიგობა: ანარქია,

ძარცვა-გლეჯა, ჯანყი, ღალატი და სხვ. თავიანთ მეზობლებზე ჯავრის ამოსაყრელად მთავრები დახმარებისათვის თურქებს მიმართავდნენ. ხოლო თურქები, რომელნიც სულ ქართველ მეფე-მთავართა მოსპობას ცდილობდნენ, ხელიდან არ უშვებდნენ შემთხვევას: მრავალრიცხოვანი ჯარით ადგილზე ჩნდებოდნენ და მთელ ქვეყანას აპარტახებდნენ. ამდენი ტანჯვა-ვაება ამ სამეფოთა განადგურებით დასრულდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მათი კანონიერი მფლობელები საკუთარი მოვალეობის უგულებელყოფის გამო მართვის უღირსნი აღმოჩნდნენ.

## IX. – საქართველოს ინტელექტუალური აღორძინება ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში (1703-1737)

საქართველო თავის ინტელექტუალურ აღორძინებას განსაკუთრებით უნდა უმადლოდეს ვახტანგ VI-ს (1703-1737)[1], რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი საწყალობლად გაატარა თავისი სამეფო ტახტისა და სამშობლოსგან მოწყვეტილმა. თბილისში 1709 წელს დააარსა პირველი სტამბა და მისი დროის მწერალთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ვახტანგ VI-მ პირველმა მოუყარა თავი „ქართლის ცხოვრების" მატიანეებს და შეადგინა სამართლებრივ კანონთა კრებული. მისმა ბრძნულმა სახელმწიფო მმართველობამ კეთილი გავლენა იქონია ქართველი ხალხის სვე-ბედზე, მაგრამ მალე შაჰის ბრძანებით სპარსეთში დაბრუნდა, სადაც ისლამის რჯულის მიღება მოსთხოვეს. ამაზე უარის თქმის გამო ტახტიდან გადააყენეს. მოგვიანებით, სამეფო ტახტის დაბრუნების შემდეგ, ვახტანგმა კავშირი შეკრა რუსეთთან. რუსეთთან დაახლოებამ გააბოროტა არა მარტო მისი სუზერენი, სპარსეთის მეფე, არამედ თურქებიც, რომლებიც ქვეყნის დარბევით დაემუქრნენ. ვახტანგმა, რომელმაც დაინახა, რომ მისი მოკავშირე რუსეთი ხელს არაფრით უმართავდა, 1722 წელს რომის პაპ ინოკენტი XIII-სა და გერმანიის იმპერატორს ახლა წერილი, ვახტანგი ითხოვდა მათთან კავშირსა და მაჰმადიანთაგან დაცვას, რომლებიც ქვეყნის აოხრებითა და ქრისტიანთა განადგურებით ემუქრებოდნენ. აი, პაპისადმი მიწერილი ბარათი:

„უნეტარესო მამაო, ვინაიდგან დავითის მიერ დადგენილი ხართ ყვლა ქრისტიანეთის წინამძღვრაჲ და თავაჲ, თქვენს მამობრივს სიყვარულით აღვსილ გულს მეტაჲ სამწუხაროჲ დაურჩემა მოხსენა

1 მოგვაქვს პორტრეტის ირგვლივი წარწერა: „მადიდებელი წმიდისა სამებისა და ერთარსებისა მე, გვარ-ტომობით დავითიან, სოლომონიან, პანკრატიონი, ძე, ძირთაგან კეთილოვანთა, ძის ძე მეფეთა, განმგებელი ქართლისა, ბატონიშვილი ვახტანგ, მოპლები ბეჭდისა ამისა. უფალო, დაიცავ ორთავე შინა ცხოვრებასა მეუღლით, ძით, და ასულით".



ვახტანგ VI, თავდაპირველად რეგენტი, შემდეგ საქართველოს მეფე (1703-1737), თბილისის ლოცვანის მიხედვით, 1709.

ეგოდენი შეწუხებისა და ტანჯვისა, რის გამო თქვენი შვილები კვნესიან. ოსმალების მთავარი აწ ამზადებს ჯარს ჩვენის საზღვრების ახლოს, რათა ჩვენი სამთავრო ერთიან მოაოხრონ და, აგრეთვე, აქაურობაში

ერთიან მოსპონ ქრისტიანობის სახელიც. ასეთ მწუხარებაში მყოფთ ჩვენ სხვა გზა აღარა გვაქვს, მის მეტი, რომ მოვმართოთ თქვენს მამობრივს წიაღს და მზრუნველობას. მხოლოდ მას შეუძლია ქრისტიანე მთავრების ძალით, ან მათის შუამდგომლობით ოსმალეთის მთავრობას თავის მუქარა არ აასრულებინოს და ჩვენი ქვეყანა არ აათხრებინოს. თუმცა ეს ერი უღირსია თქვენის უწმინდესობის მფარველობისა, რადგან მათგანი მომეტებული არ ემორჩილებიან თქვენს წმიდა საყდარსა. გარნა მე გპირდები ვცხოვრობდე თქვენს მორჩილების ქვეშ წმიდა კათოლიკე სარწმუნოების აღმასრულებელი, როგორც ჩემი წინაპარნი: სამწუხაროდ, აქაური უმეცრება და ხალხის ღალატი ნებას არ მაძლევს ცხადად აღვიარო კათოლიკობა. ვინაიდგან მამის სიკეთე დიდად შეეწევა ჭეშმარიტების ერთობაში განყრილ შვილთ შემოყვანას, კვალად ჰყავთ იმ კათოლიკეთათვისაც, რომლებიც ბლომად არიან ამ ჩვენს სამთავროში. ჩემ მოვალეობად ჩავრაცხე, რომ გაცნობოთ ეს გარემოება და ამნაირ გაჭირვებაში ვედრებით ვითხოვო თქვენი მფარველობა და კურთხევა.

ამ მხარეს მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამის გამო ვერ შევიძელი, რომ თქვენთვის გვეახლებინა ხარისხოვანი ვინმე პირი.

თქვენი უწმინდესობის ყოვლად მდაბალი და უმორჩილესი მონა ვახტანგ, საქართველოს მეფე, ტფილისი, 29 ნოემბერს, 1722“[1].

ეს კი ავსტრიის იმპერატორ კარლ VI-დმი მიმართული ვახტანგის შემდეგი წერილია:

„მირონცხებულ ხელმწიფე კეისარს.

„ჰოი, კეისარო! ღვთისაგან ამაღლებულო საიმპერატორო ტახტზე, რათა, ვითარცა მთავარი, წინამძღვრობა უყოთ ყველა ქრისტიანე ერთა. ვიცი თქვენი მოწყალე გული აღიძრება ეგოდენ გაჭირვებასა და მწუხარებაზე, რასაც განიცდის ქრისტეს სახელისათვის აქაური ერი. ამჟამად მაჰმადიანების მთავარი ჯარს აგროვებს ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, რათა აიკლოს ერთიანად ჩვენი სამთავრო და ამ მხარეში მთლად მოსპოს ქრისტიანობა, როგორათაც დაგვემუქრა. ამნაირ გაჭირვებაში მხოლოდ ის გზა დაგვრჩა, რომ მივმართოთ თქვენს გულ-მოწყალეობას, რათა, ან ძალით და ან თქვენი ელჩის შუამდგომლობით პორტას წინაშე შეაჩეროთ ეს მაჰმადიანები, არ მოვიდენ, თავის მუქარა არ შეასრულონ და არ ამოგვწყვიტონ. თუმცა თქვენი საკეისრო მფარველობის უღირსნი არიან ეს ერნი, რადგან განყრილნი არიან ჭეშმარიტის რომის ეკლესიისაგან, გარნა ამ ჩვენს სამთავროში ძრიელ ბევრი კათოლიკები არიან და მეც ამათ რიცხვში ვითვლები. ხოლო ამ ქვეყნის არეულობა ნებას არ მაძლევს ჩემი კათოლიკობა გამოვაცხადო. ჩემს ვალდებულებად ვსცანი ეს ვაუწყო

1 იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ტფ., 1902, გვ. 340.

თქვენს ხელმწიფობას, რადგან თუ თქვენის გულ-მოწყალებით აქეთ მყოფთ კათოლიკე ეკლესიის ერთგულ შვილებს მფარველობა აღმოუჩინეთ, მაშინ ვინც გაქრილნი არიან, წახალისდებიან და კათოლიკე ჭეშმარიტებას აღიარებენ. ამიტომ დიდად გევედრებით და ვითხოვ თქვენს მფარველობას. მაჰმადიანებისაგან გზები შეკრულია, ამიტომ ჩვენი ხარისხოვან პირთაგანი ვერ გამოვგზავნეთ.

დავშთები თქვენი საკვირველი ხელმწიფების ყოვლად ერთგული მონა ვახტანგ, საქართველოს მეფე. ტფილისი, 29 ნოემბერი, 1722“[1].

ამ ნაბიჯს ვახტანგის ტახტიდან ხელმეორე გადაყენება მოჰყვა. მთელი საქართველო თურქთა და სპარსთა საგამგებლოდ იქცა. ამიტომ ვახტანგმა 1724 წელს რუსეთს მიაშურა, სადაც ამაოდ ეცადა სამშობლოს გამოსახსნელად დახმარების მიღებას. მან თავისი დღენი 1737 წ. ასტრახანში დაასრულა.

## X. — პოლიტიკური და სამხედრო აღორძინება ერეკლე II-ის დროს (1744-1798)

XVIII ს-ში საქართველო თავის პოლიტიკურ და სამხედრო აღორძინებას მეფე ერეკლე II-ს (1744-1789) უნდა უმადლოდეს. ერეკლე II-ის მეფობის ხანა უეჭველად საქართველოს ისტორიის ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანია. თავისი სიმამაცითა და საბრძოლო გამარჯვებებით იგი აზიის ერთ-ერთი სათაყვანო ხელმწიფე გახდა. ერეკლე II-ის რაინდულმა სახელმა დასავლეთამდეც მიაღწია.

პრუსიის მეფეს მასთან თავისივე თავის შედარება უყვარდა: „ევროპაში მე, აზიაში კი უძლეველი ერეკლეო“, — ამბობდა დიდი ფრიდრიხ II.

პაპმა კლემენტ XIV-მ ერეკლე II-ს სახოტბო უსტარიც უძღვნა.

ერეკლე მხოლოდ იმ სახელმწიფოებს როდი მართავდა, რომლებიც სპარსეთის მეფის ნადირ-შაჰის დასტურით მამისგან მიიღო მემკვიდრეობით, როგორც საუფლისწულო მამულები, არამედ თავის ძალაუფლებას ერევნის ხანიც დაუმორჩილა და მას ხარკის გადახდა დააკისრა. ამრიგად, ერეკლემ საქართველოს სვებედნიერი დღეები დაუბრუნა, მაგრამ საქართველოს მაინც ავიწროებდნენ მისი მარადიული მტრები — სპარსნი, თურქნი და მთიელნი. საქართველოსთვის საგარეო მშვიდობის უზრუნველსაყოფად ერეკლემ მოინდომა ავსტრიის იმპერატორთან კავშირის შეკვრა და დახმარება სთხოვა მას. ამ მიზნით 1781 წ. ელჩად გაგზავნა თავისი ახლო მეგობარი და მრჩეველი — მამა დომინიკე, კაპუცინი მისიონერი, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩასვლისთანავე უეცრად გარდაიცვალა. მამა დომინიკეს გარდაცვალების

1 იხ. მ.თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 340—341.

შეტყობისთანავე ერეკლემ სასწრაფოდ მეორე კაპუცინი, მამა მორი გაგზავნა და ავსტრიის იმპერატორთან, ევროპის რამდენიმე მონარქსა და პაპთან წერილები გაატანა. მეფე ერეკლე ამ კავშირის დასამყარებლად მათ შემწეობას სთხოვდა. სამწუხაროდ, მეორე წარგზავნილიც,



ერეკლე II (1762-1798). ძველი მხატვრობა.

მსგავსად პირველისა, გზაშივე გარდაიცვალა. მაშინ ერეკლემ, ზოგიერთი მისი წინამორბედის მსგავსად, რუსეთს მიმართა. 1783 წ. იმპერატორ ეკატერინე II-თან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც

ამიერიდან იგი რუსეთს ექვემდებარებოდა, თუმცა საქართველოს ტახტის გამგებლად კვლავ ბაგრატიონთა შთამომავალნი რჩებოდნენ. ასევე უნდა შენარჩუნებულიყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა კათალიკოსითურთ, ფულის მოჭრისა და დამოუკიდებელი საშინაო მმართველობის უფლება.

### საქართველოს მეფე ერეკლესა და მისი უდიდებულესობის, რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს შორის დადებული ტრაქტატი. 1783— 24 ივლისი (ძვ.სტ.)

მ უ ხ ლ ი I. — ამიერიდან ერეკლე, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომობის უარმყოფელი, კარგავს „ვალის“ წოდებას და როგორც რუსეთის ერთმორწმუნე ხელდებულს, ენიჭება საქართველოს მეფის ტიტული, რასაც რუსეთი უდასტურებს მას და მის შთამომავლობას სამარადჟამოდ.

მ უ ხ ლ ი II — ყველა ის ტერიტორია, რომელიც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო ამჟამად თურქებს, სპარსელებსა და ლეკებს უპყრიათ, — როგორიცაა საათაბაგოს, რანის, მოვაკანის, ახალციხის, ჯავახეთის, ლივანას, აჭარის, ნუხის, შაქის, შირვანისა და სხვა, — საქართველოს დაუბრუნდება და მის შემადგენელ ნაწილად იქცევა.

მ უ ხ ლ ი III. — მეფის გარდაცვალების შემდეგ ინვესტიტურა რუსეთის ხელში გადავა, რომელიც მას საქართველოს მეფის უფროს ძეს (და ა.შ.) უბოძებს.

მ უ ხ ლ ი IV. — სპარსეთის ან თურქეთის მხრიდან თბილისის სამეფო კარზე საიდუმლო თუ არასაიდუმლო დესპანის (ანდა წერილის) მიღებისას მეფე ვალდებულია, აცნობოს რუსეთს ამის თაობაზე და არ უპასუხოს დასახელებულ ქვეყანას რუსეთთან მოთათბირების გარეშე.

მ უ ხ ლ ი V. — მეფე ერეკლეს სანკტ-პეტერბურგში ეყოლება თავისი მუდმივი წარმომადგენელი, ამასთან საჭიროდ არ ვრაცხთ, რომ თავის მხრივ რუსეთს ჰყავდეს საქართველოში ასეთი პირი.

მ უ ხ ლ ი VI. — საქართველოს ყველა შემოსავალი თუ გადასახადი, როგორი სახითაც უნდა იყოს ის (ფულის, პურის, ღვინის თუ სხვ.), ჩვეულებრივ, მეფეს ეკუთვნის ისე, რომ რუსეთს არ ექნება მათზე არავითარი პრეტენზია.

მ უ ხ ლ ი VII. — თითოეულ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე (როგორიცაა სარდლისა თუ სხვ.) პირთა დანიშვნისას მეფე თავის კანდიდატურას ოფიციალურად წარუდგენს რუსეთის მთავრობას, რომელიც ამ არჩევანს წინ ვერ აღუდგება.

მ უ ხ ლ ი VIII. — საქართველოს პატრიარქი ანუ კათალიკოსი რუსეთის მთავარეპისკოპოსებს შორის მერვე რანგს დაიკავებს და შესაბამისად სხვა ტიტულებს ტობოლსკის მთავარეპისკოპოსის ტიტულსაც მიუმატებს. რუსეთის წმიდა სინოდი არასდროს ჩაერევა საქართველოს ბერძნული ეკლესიის საქმეებში.

მ უ ხ ლ ი IX. – თავადები (ხალხის მეთაურები ან მთავრები) და აზნაურები (თავისუფალნი ან კეთილშობილნი) წოდებით გაუთანაბრდებიან ზემოხსენებულ ფენას რუსეთისას.

მ უ ხ ლ ი X. – იმ ქართველ ქვეშევრდომებს, რომლებიც თავისი ოჯახებით რუსეთში დამკვიდრებას მოინდომებენ, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ იქ გადასახლება; ასევე, რუსებსაც შეუძლიათ საქართველოში დასახლება. ამის შემდეგ, თუკი ისინი ადგილის გამოცვლით უკმაყოფილონი იქნებიან, ორივე მხარეს შეუძლია დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. ამ ქვეყნის მთავართა გაქცეული ქვეშევრდომები თუ ჯარისკაცები თავ-თავის პატრონებს დაუბრუნდებიან. თურქეთთან ომის დროს მტრის დატყვევებულ ჯარისკაცებს ქართველები რუსთა ხელმწიფეს მიჰგვრიან, რუსი მებრძოლები კი – ქართველთა მეფეს.

მ უ ხ ლ ი XI. – საქართველოში ჩამოსული რუსი ვაჭრები ისარგებლებენ ყველა იმ უფლებით, რომელიც კი სამშობლოში აქვთ, ხოლო საჩივრების შემთხვევაში მოხდება ორივე მხარის გასამართლება კანონის საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი XII. – ზემოხსენებული მუხლები იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ ამას აუცილებლად მიიჩნევს ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე.

მ უ ხ ლ ი XIII. – ექვსი თვის ორმხრივი საგამოცდო ვადის შემდეგ

ზემოხსენებული მუხლები რატიფიცირებული იქნება. ტრაქტატები გაცვლილია და ხელმოწერილია გეორგიევსკში, კავკასიის სამხედრო ხაზზე.

1783– 24 ივლისი (ძვ.სტ.).

ხელმოწერილია:

იმპერატორის მხრიდან: პავლე პოტიომკინი

მეფის მხრიდან: იოანე ბაგრატიონი, გარსევან ჭავჭავაძე[1].

მაჰმადიანური სახელმწიფოები და მთიელი ტომები, რომლებიც საქართველოს დროდადრო თავს ესხმოდნენ, ამ კავშირმა ღრმად შეაშფოთა. ერეკლემ უარყო სპარსეთის წინადადება, რომლითაც ეს უკანასკნელი რუსეთთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. სპარსეთის დაუნდობელმა შაჰმა, აღა-მაჰმად-ხანმა სასტიკად იძია შური ერეკლეზე და სრულიად აოხრა მისი სამეფო, განსაკუთრებით, თბილისი (1795).

## XI. – რუსეთის მფარველობაში შესვლა და საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს დასასრული

ამ ჭირთაგან საქართველო ჯერ კიდევ წელში ვერ გამართულიყო, რომ გარდაიცვალა ასაკით დაუძლურებული, მრავალჭირნახული მეფე ერეკლე.

ერეკლეს შემდეგ ტახტზე ავიდა გიორგი XII (1798), უღირსი

---

1 Rottiers, Itinéraire de Tiflis à Constantinople, Bruxelles, 1829, გვ. 64-67.

შვილი ბრწყინვალე მეფისა, ვისაც ბოლო უნდა მოეღო ლეკთა თარეშისა და თურქთა თავდასხმებისათვის, რომლებიც კვლავ დარბევით ემუქრებოდნენ მის სამეფოს. 1799 წ. გიორგი XII-მ მიაღწია იმას, რომ იმპერატორ პავლე I-ისაგან მფარველობა მიიღო, და რუსეთის ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ მეფედ ეკურთხა. დაიდო მეორე ტრაქტატი რუსეთის მეფესა და მას შორის. 1800 წ. გარდაიცვალა გიორგი XII. ნაცვლად იმისა, რომ ტრაქტატის შესაბამისად მეფედ ეკურთხებინათ, უფლისწული დავითი რუსთა მეფემ თავისთან გაიწვია.

მის უდიდებულესობას იმპერატორ პავლე I-სა და ერეკლეს ძეს, საქართველოს მეფე გიორგი XII-ს შორის თბილისში დადებული ტრაქტატი.

1799, 23 ნოემბერი (ძვ. სტ.)

მ უ ხ ლ ი I. – მის უდიდებულესობა, სრულიად რუსეთის იმპერატორს (ხოლო შემდგომ მის შთამომავალთ და მემკვიდრეთ) ექნება საქართველოს მეფის ტიტული.

მ უ ხ ლ ი II. – მმართველი მეფის უფროსი ვაჟი დავითი გახდება საქართველოს რეგენტი (მემკვიდრე) და ეს წოდება გადაეცემა მთელ მის შთამომავლობას.

მ უ ხ ლ ი III. – საქართველოს მოსახლეობა 12 წლის მანძილზე გადასახადს არ გადაიხდის, რათა აურაცხელი გამანადგურებელი ომების შემდეგ ძალები აღიდგინოს, ხოლო ამ 12 წლის განმავლობაში რეგენტი რუსეთისგან თავისთვის და სამეფო ოჯახისთვის მიიღებს ყოველწლიურად 20 000 თუმანს (რაც დაახლოებით 820 000 ფრანკს შეესაბამება).

მ უ ხ ლ ი IV. – ახტალის ოქროსა და ვერცხლის და მისხანის სპილენძის საბადოებს რუსები დაამუშავებენ, ხოლო ამ მადნების ექსპლუატაციისგან მიღებული შემოსავლის ნაწილი წინა მუხლში ნახსენები თანხის გადასახდელად იქნება გამოყენებული.

მ უ ხ ლ ი V. – რუსების 6000 კაცისგან შემდგარი ქვეითი ჯარის კორპუსი საქართველოში განლაგდება. ქართველები ამ სამხედრო ნაწილის კავალერიას შეადგენენ.

მ უ ხ ლ ი VI. – შეგროვდება ჯარის სხვა ნაწილებიც, თუკი ეს საზღვრების დასაცავად იქნება საჭირო.

მ უ ხ ლ ი VII. – რუსეთი საქართველოში გამოგზავნის ინჟინრებს, რომლებსაც დაევალებათ ადგილობრივი ფორტიფიკაციების მშენებლობა და აღდგენა-გამაგრება იქ, სადაც ეს აუცილებელი იქნება.

მ უ ხ ლ ი VIII. – ამიერიდან თბილისში მოჭრილი ფულის ერთ მხარეს ამოკვეთილი იქნება რუსეთის, ხოლო მეორეზე – საქართველოს გერბები.

მ უ ხ ლ ი IX. – საქართველოში მყოფ რუსეთის ჯარს მისთვის

საჭირო საკვები მიეყიდება იმავე ფასში, როგორც ქვეყნის მოსახლეობას.

მ უ ხ ლ ი X. – მოსახლეობა აღიწერება კომლობრივ და არა სულადობრივ.

ხელმოწერილია:

რუსეთის მხრიდან: ᲠᲝᲡᲢᲝᲞᲩᲘᲜᲘ (გრაფი),
საქართველოს მხრიდან: ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ, ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ[1].

მიუხედავად დადებული პირობისა, რომ ხელშეუხებელი დარჩებოდა საქართველოს ტახტი, ალექსანდრე I-მა 1801 წლის მანიფესტით საჯაროდ გამოაცხადა საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთება. ამრიგად, საქართველო გადაიქცა რუსეთის პროვინციად, რომლის მმართველობა გენერალ კნორინგს დაეკისრა. მას ქვეყნის წარჩინებული თავადებისგან ერთგულების ფიცი უნდა მიეღო და ვითარების შესაბამისად ახლებური მმართველობა დაემყარებინა.

დასავლეთ საქართველომ რამდენიმე წლით მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ თანდათან ყველა პროვინცია შეიერთა. იმერეთის მეფე სოლომონ II-მ არ ისურვა დამორჩილება, თურქეთში გაიქცა და 1815 წ. ტრაპიზონში აღესრულა სვეგამწარებული.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო დაიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად. გენერალური გუბერნატორი თბილისში დაფუძნდა. მაშინვე გაუქმდა ქართული დაწესებულებანი და სახელმწიფოებრივი მმართველობა, რომელიც რუსულმა ადმინისტრაციულმა სისტემამ შეცვალა. ყოველივე იმ მიზნით გაკეთდა, რომ ახალი სისტემა ქვეყნის თავისებურებებისთვის შეესაბამებინათ, თუმცა ეს განზრახვა არ განხორციელებულა. რუსული სისტემის შესაბამისად დაადგინეს სამოქალაქო ხელისუფალნი — მოსამართლენი და მოხელენი, მაგრამ საქართველოსთვის უცხო და უცნობი კანონები შეუთავსებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებისათვის. უმეტეს შემთხვევაში უცხო მოსამართლენი და ადგილობრივი ბრალდებულნი ერთმანეთს ვერ უგებდნენ: დასჯის დროს ამ უკანასკნელთათვის ხშირად უცნობი იყო ბრალდების მოტივები.

ზემოხსენებულ წინააღმდეგობებს დაემატა რუსი ჯარისკაცების ყაჩაღობა, სახელმწიფო მოხელეთა აღვირახსნილობა და დანაშაულობანი, თვითნებური და გაუსაძლისი გადასახადები და სხვა მრავალი მსგავსი გარემოება, რამაც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ქართველი ხალხი და მისი გულისწყრომა გამოიწვია. ქართველები, რომლებიც ასეთ უდიერ მოპყრობას განიცდიდნენ, სასოწარკვეთილების შედეგად ხშირად ჯანყდებოდნენ, მაგრამ რუსეთის მთავრობა, ამ ქვეყანაში

1 **Rottiers**, დასახ. ნაშრ., გვ. 68-70.

მუდმივი მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები რომ ჰყავდა, სწრაფად ახშობდა აჯანყებას და ძვირად უსვამდა ქართველებს გაბედულებას.

თითქმის ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი თანამდებობა ქვეყანაში უზნეო მოხელეებს ეკავათ, რომლებიც მის ზნე-ჩვეულებებს საერთოდ არც იცნობდნენ. ეს დაქირავებული მოხელენი მხოლოდ მოსახლეობის შევიწროებასა და დღენიადაგ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავდნენ. იმ მრავალრიცხოვან გენერალ-გუბერნატორთა შორის, რომელთაც საქართველოს სვებედი ებარათ, შეიძლება დავასახელოთ ერთადერთი ადამიანი — თავადი ვორონცოვი, რომელმაც ნამდვილად გაიზიარა ქვეყნის ინტერესები და გულწრფელად მოინდომა მისი შველა.

მართალია, რუსეთის მთავრობამ საქართველოში გაზარდა სკოლებისა და მსგავსი ინსტიტუტების რიცხვი, მაგრამ ამ სკოლებში ჭეშმარიტი განათლების შეტანის ნაცვლად, ქართული ენის ძირფესვიან ამოგდებას ცდილობდა მხოლოდ. სკოლებში სისტემატურად იდევნებოდა მშობლიური ენის სწავლება. ბავშვთა აზროვნება, ნაცვლად განვითარებისა, გამუდმებული შევიწროებით ისე დაჩლუნგდა, ინტელექტუალური პროგრესი ქართველებში არა თუ შეჩერდა, არამედ იგი დაქვეითდა კიდევაც. მთავრობა თავისი დაწესებულებებით დღენიადაგ მოსახლეობის გარუსების ცდაში იყო. ამ მიზნით გააფთრებული ბრძოლა გამოუცხადეს ენას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს და თვით ლიტურგიასაც კი ქართულ ენაზე. მოხელეთა და სამღვდელო პირთა ბიუროკრატიზმი განაგრძობდა მოსახლეობის ტირანიას მათში ეროვნული სულისკვეთების ჩასახშობად, რათა პირისაგან მიწისა აღეგავა ყოველივე ქართული.

რამდენიმე საუკუნის მანძილზე საქართველო გამუდმებულ ომში იყო ჩაბმული არაბებთან, სპარსელებთან, მონღოლებთან, თურქებთან და აღმოსავლეთის სხვა ბარბაროსებთან. ქვეყნის დაპყრობის შემდგომ ეს ტირანები ზოგჯერ არც კი ეხებოდნენ ეროვნულ დაწესებულებებსა და ქვეყნის ზნე-ჩვეულებებს. გადასახადების გადახდისა თუ თავისი სიმამაცისა და ხმლის წყალობით ქართველები ინარჩუნებდნენ ენას, ტრადიციებს, მმართველობის წესსა და ყოველივე იმას, რაც მათ ეროვნულ საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ რუსულმა მმართველობამ ხელის ერთი მოსმით გამოსცა დეკრეტი, რომელიც ქვეყნის გარუსების მიზნით ყოველივე ქართულის აღმოფხვრას ითვალისწინებდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რუსული მმართველობის მთელი პოლიტიკა, მთელი მცდელობა ამ მიზნისაკენ იყო მიმართული და ყოველგვარი საშუალება იქნა გამოყენებული მის უეჭველად მისაღწევად, მაგრამ მოძალადეთა ისტატურმა ხრიკებმა სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო: აღანთო ქართველებში პატრიოტული ცეცხლი და ყოველივე ეროვნულისადმი სიყვარული გააღვივა. ამრიგად, 1801 წლიდან, როდესაც თავისი რუსული ჩინით ქართველებზე გაბატონდა, რუსულმა მთავრობამ არა თუ ვერ მოიხვეჭა ქართველთა სიმპათიები, მათი სიძულვილი და ზიზღიც დაიმსახურა. ეს მოვლენა მით უფრო საოცარია,

რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანა კი არ იყო, არამედ ქვეშევრდომად ანაზდეულად იქცა. ის სავალალო მოვლენები, რომლებმაც რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს ყველა კუთხე მოიცვა, სწორედ უცილობელი ნაყოფი და თანმიმდევრული შედეგია რუსული მმართველობის მიერ დანერგილი პოლიტიკისა და ცივილიზაციისა. ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ნაყოფით, რაც ამ სისტემამ ქვეყანას მოუტანა.

დაბოლოს, ჩვენი ჩანაფიქრის გამოისობით, არ შეგვიძლია ყველა მოვლენას შევეხოთ, მაგრამ ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდან კარგად ჩანს, ბედის რაოდენ უკუღმართობას გაუძლო ქართველმა ხალხმა: მისი მიწა-წყალი დღენიადაგ ცეცხლში იყო გახვეული და სისხლით ირწყვებოდა. განსაცვიფრებელია, რომ ზოგიერთი მწერალი ბარბაროსობას მიაწერს ხალხს, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ჰყავდა საკუთარი მეფეები, ჰქონდა სოციალური დაწესებულებანი და მონაწილეობდა მსოფლიოს უძველეს ერთა ცივილიზაციაში.

ასევე სამწუხაროა შემდეგი: ეს ავტორები ცუდ ქრისტიანად და ნახევრად წარმართად წარმოსახავენ ერს, სარწმუნოების დასაცავად საუკუნეთა მანძილზე რომ ებრძოდა ქრისტიანობის დაუძინებელ და ძლიერ მტრებს და საბრძოლო დროშად ჰქონდა ჯვარი, რომელიც მარადჟამს წინ უძღოდა ქართველთა ლაშქარს. მსგავსი შეცდომები უეჭველად იმის ბრალია, რომ ნაკლებად არის ცნობილი საქართველოს წარსულის პოლიტიკური და სოციალური ვითარება.

არანაკლებ განსაცვიფრებელია, რომ ქვეყნის აშლილობის, შფოთისა თუ მტერთა შემოსევების ჟამს ამ ერთმა მუჭა ქართველმა ხალხმა შეძლო არა მარტო ეროვნულობის, არამედ სარწმუნოების, ლიტერატურისა და ენის შენარჩუნება, ძლიერი ბიძგების მიუხედავად უძველესი დროის ძლევამოსილ ერებზე მეტხანს გაძლო.

მეორე ფაქტი, რომელიც ასევე აღნიშვნის ღირსია, ის არის, რომ აღმოსავლეთის სამეფოთა შორის საქართველოს ყველაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მართავდა ერთი და იგივე დინასტია: ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობამ ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან 1800 წლამდე იმეფა[1].

ასე მოაღწია XIX ს-ის გარიჟრაჟამდე საქართველოს უძველესმა

---

1 ამ ტრადიციის შესახებ მოგვაქვს ნაწყვეტი ერთ-ერთი ბიზანტიელი ავტორის თხზულებიდან: „საცოდნელია, რომ თავისი თავის განმადიდებელი იბერები, ესე იგი კუროპალატის იბერები, ამბობენ, რომ ისინი ურიას (ხეთების გმირი „ურია ქეტელი“) ცოლის შთამომავალნი არიან, რომელიც დავითმა, წინასწარმეტყველმა და მეფემ, შეაცდინა. ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისაგან, დავითთან რომ შეეძინა, და რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის, ნათესავნი არიან და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაც, რადგან ესეც დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი“. — თარგმანისათვის იხ. გეორგიკა, ტ. IV, თბ., 1952, გვ. 255.

სამეფომ სრულიად თვითმყოფადი მმართველობის სისტემით და თავისებური ფეოდალურ-საზოგადოებრივი წყობით. საუკუნოვანი ბრძოლებით სისხლისაგან დაცლილმა რუსეთის ძლევამოსილ იმპერიას მიმართა იმ იმედით, რომ რუსეთში აუცილებელ მფარველობას პოვებდა და დაკარგულ ძალებს აღიდგენდა, რათა ისევ გასულიყო ბრძოლის ველზე, ამჯერად უფრო მძლავრი და განახლებული, როგორც არასდროს, მაგრამ მის მოლოდინს გამართლება არ ეწერა.

# თავი IV

## წმინდა კვართი საქართველოში

**შინაარსი. — I. ტრირის კვართთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა. წმინდა სილვესტრის სიგელი. წმ. ელენეს სამშობლო. წმ. სილვესტრისადმი მიწერილი სიგელის სიყალბე. — II. განხილვა ქსოვილისა, რომელშიც გახვეული იყო კვართი. სპილოს ძვლის ფილის ღირებულება. გადმოცემებისა და ხალხური ლეგენდების მნიშვნელობა. — III. არჟანტოის რელიკვია, როგორც უკერავი კვართის ნიმუში. ტურელი გრეგუარის მოწმობა. ფრედეგერის მოწმობა. პუგის ტიპიკონი. ჟერბერონის მოწმობა. —IV. კვართის შესახებ საქართველოში არსებული დოკუმენტები. ლოცვანი და შესხმანი კვართის სადიდებლად და თაყვანისაცემად. კვართის გაუჩინარება საქართველოდან. ლეგენდა მისი რუსეთში გადატანის შესახებ. დასკვნა.**

ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ქართული ეკლესიის ისტორიას ამ თემით ვიწყებთ, მაგრამ რადგან საქართველომ სახარების ნათელი პირველად სწორედ წმინდა კვართისაგან მიიღო, ამიტომ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია ქართული ეკლესიის ისტორიის ზემოხსენებული საკითხის განხილვით დაწყება.

ჩვენ არ ვდავობთ ტრირში არსებული წმინდა კვართის უტყუარობაზე, გვინდა მხოლოდ ვიპაექროთ წყვდიადით მოცული ერთი საკითხის გამო: გვაინტერესებს, რომელ საუკუნეში მიიღო ქალაქმა ტრირმა ეს რელიკვია.

### I. — ტრირის კვართთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა. წმ. სილვესტრის სიგელი. წმ. ელენეს სამშობლო. წმ. სილვესტრისადმი მიწერილი სიგელის სიყალბე

თავდაპირველად იმ ცნობებს მოვიყვანთ, რომლებიც წმ. კვართის უძველეს მფლობელად ტრირს მიიჩნევენ, შემდეგ — დოკუმენტებს,

რომელთა საფუძველზეც საქართველო თავიდანვე წმ. კვართის მფლობელად რაცხდა თავს, ბოლოს კი საკუთარ დასკვნებს შემოგთავაზებთ.

ამ საკითხის გამოსარკვევად უპირატესობა მივანიჭეთ და ამოვირჩიეთ ბატონი დოქტორ უილემსის ორი ნაშრომი, სადაც ყველაფერია მოშველიებული, რაც კი დღემდე ტრირის წმ. კვართის სასარგებლოდ დაწერილა. პირველი ნაშრომი ამ ქალაქის ეპისკოპოსის ინიციატივით გამოქვეყნდა 1891 წელს, სათაურით: „La sainte Robe de N.-S. Jesus–Christ a Tréves.“ („ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმინდა კვართი ტრირში“, მეორე კი 1894 წელს სათაურით: „La Sainte Robe de Trèves et la Relique d' Argenteuilg („ტრირის წმინდა კვართი და არჟანტეის რელიკვია“). მეორე წიგნი მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს იმ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომლებმაც პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ იჩინეს თავი ხსენებული რელიკვიის ავთენტიკურობის შესახებ.

ტრირში წმინდა კვართი უკანასკნელად 1891 წელს გამოფინეს, ხოლო პირველად 1512 წელს. ტრირის სასარგებლოდ მეტყველი ავთენტიკური დოკუმენტები კი არა უგვიანეს XI–XII საუკუნეებს განეკუთვნება. მათ შორის ყველაზე ხელსაყრელს (რომელიც ხსენებულ ნაშრომებში ვიპოვეთ) ტრირის ანალები შემდეგი სახით გვაწვდიან:

„ტაძრის კურთხევის დღეს, რომელიც წმინდა მოციქულთა ფილიპესა და იაკობის დღესასწაულს ემთხვევა, არქიეპისკოპოსმა დიდი ზეიმითა და ღვთისმოყვარეობით აკურთხა მთავარი საკურთხეველი და იმავე დღეს უღრმესი თაყვანისცემის გამომხატველი ღვთისმოსავი საზოგადოების თანდასწრებით გამოაჩინა ჩვენი უფლის კვართი“[1].

დოკუმენტები, რომელთაც ბატონი უილემსი წმინდა კვართის კუთვნილების უძველესობის დასამტკიცებელ არგუმენტებად იშველიებს, მხოლოდ შესაძლებლობასა და ალბათობას ემყარება. ერთი სიტყვით ბატონი უილემსის ვარაუდების ჭეშმარიტება მეტად სადავოა. იგი ამ ვარაუდებს საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოგვცემს და თავისი დიდი განსწავლულობის მეოხებით ცდილობს, მათ ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნოს. თუმცა პატივს ვცემთ ბატონი უილემსის გულმოდგინებასა და ცოდნას, შესაძლებლად მიგვაჩნია ვამტკიცოთ, რომ ეს თხზულებანი 1196 წლის შემდეგაა შექმნილი ტრირისათვის რელიკვიის უძველესი

1 Gesta Trevirorum, ვიტენბახისა და მიულერის გამოცემა, გვ. 304.

მფლობელის სახელის მისანიჭებლად. ბატონი უილემსის არგუმენტებს შეუძლიათ რელიკვიის კუთვნილების უტყუარობა დაამტკიცონ და არა მისი უძველესობა. სხვა დოკუმენტების გამოყენება კი შეუძლებელია, რადგან თუ თვით ბატონ უილემსს ვენდობით:

„ეპისკოპოსმა ენენმა გარკვევით განაცხადა: 1512 წელს საკურთხევლის გახსნისას წმ. კვართის გვერდით იპოვეს რამდენიმე ძველი წერილობითი ტექსტი, რომლებიც არ იკითხებოდა"[1].

ამრიგად, ვფიქრობთ, ამაოა ყველა დამოწმებული ტექსტის განხილვა და მხოლოდ იმ რამდენიმე დოკუმენტით დავკმაყოფილდებით, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვების საფუძველი გახლავთ, მაგალითად, ასეთია წმ. სილვესტრის სიგელი, ტრირს წმ. ელენეს სამშობლოდ რომ მიიჩნევს.

ტრირში დაბადებულმა, ახლად მოქცეულმა და მონათლულმა დედოფალმა ელენემ იუდეიდან წმ. კვართი თავის სამშობლოში ჩამოატანინა. აი, ეს არის იმ გადმოცემის ამოსავალი წერტილი, რომლითაც ტრირის ყველა მწერალი და ძეგლია შთაგონებული.

წმინდა სილვესტრის სიგელი დაახლოებით 1100 წლიდან ინახება „ტრირელთა საქმეში" („Gesta Trevirorum"-ში). შემდეგ კი მთავარეპისკოპოს ბოდუენის (1307-1354) კოლექციაში შევიდა. აი, ტექსტიც:

„ტრირის ეპისკოპოსო და წინამძღვარო, მიიღე დღეს სულიერი უზენაესობა გალიასა და გერმანიაზე, უზენაესობა, რომელიც წარმართობის დროს შენვე გეპყრა ხელთ; ქვეყნის საჭეთმპყრობელმა პეტრემ თავისი კვერთხის მეშვეობით გაგვინაწილა ეს უზენაესობა და უპირატესობა მოგანიჭა ამ ხალხის ყველა ეპისკოპოსსა და ქრისტიანული რელიგიის პირველ მოციქულთა — ევქერიუსსა, ვალერიუსსა და მატერნიუსს — შორის, ამით რამდენადმე დაამცირა საკუთარი ღირსება, რათა შენთვის მოეჩინა ადგილი. მე, სილვესტრი, პეტრეს მსახური და უღირსი მიმდევარი, ანტიოქიის პატრიარქის აგრიციუსის შემწეობით განვაახლებ და განვამტკიცებ ამ უზენაესობას შენდა სასარგებლოდ და დედოფალ ელენეს სამშობლოს სადიდებლად, დედოფლისა, რომელიც ამ დედაქალაქის მკვიდრი იყო. დედოფალმა ელენემ დიდებულად გაამდიდრა და სახელი გაუთქვა თავის ქალაქს წმინდა მათეს ნეშტის მოტანით, რომელიც იუდეიდან ჩამოიტანა ჩვენი მეუფის კვართთან და სამსჭვალთან, პაპ კორნელის თავთან, წმინდა პეტრეს ჯაჭვთან, მოციქულ ანდრიას ხამლთან და სხვა რელიქვიებთან ერთად"[2].

---

1 Dr. C. Willems, La Sainte Robe de N.S. Jésus-Christ à Trèves, თარგმნა ფურსი-რეინომ, ტრირი, 1891, გვ. 55.

2 Dr. Willems, La Sainte Robe, გვ. 84-85.

ყველა, ვისაც კი დღემდე წმ. კვართის შესახებ რაიმე დაუწერია, — ამბობს ბატონი დოქტორი უილემსი, — ისტორიულ საბუთად ასახელებს ერთ დოკუმენტს, რომელსაც წმ. სილვესტრის სიგელი ეწოდება[1].

განვიხილოთ ეს დოკუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ მას წმ. სილვესტრის სიგელის დედნად კი არ მიიჩნევენ, არამედ მიაწერენ ეპისკოპოს ვოლუსიენს, რომელსაც სიგელის დაკარგვის შემდეგ, V ს-ში პირველად უნდა აღედგინა იგი.

ბატონი უილემსი ცდილობს, სიგელი V საუკუნეს მიაკუთვნოს და ამ დოკუმენტს დედნის ღირებულება მიანიჭოს, მაგრამ ყველაფერი მისი საბუთების სისუსტეზე მეტყველებს.

სიგელის ძირითადი მიზანია დაამტკიცოს, რომ ტრირი ელენეს სამშობლოა და რომ ამ მიზეზით ელენეს მართლაც შეეძლო ტრირისთვის სხვა რელიკვიებთან ერთად წმინდა კვართი შეეწირა.

იმის მტკიცება — სიგელი V საუკუნისაა, ნიშნავს იგულისხმო, რომ ტრირი ელენეს დაბადების ადგილია. ხოლო ეს თავის მხრივ ნიშნავს, უცოდინარობა დავაბრალოთ იმდროინდელ მწერლებს, თვით წმ. ამბროსისაც, რომელსაც თურმე არ სცოდნია თავისი ეგრეთ წოდებული თანამოქალაქის სამშობლო. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ტრირი მივარდნილი დაბა კი არა, უკვე ცნობილი ქალაქი იყო, გარკვეული დროის მანძილზე იმპერიის დედაქალაქიც, როგორც ამას ბატონი უილემსიც[2] აღიარებს; ხოლო, თუ ელენე ასეთ მნიშვნელოვან ქალაქში დაიბადა, ეს მოვლენა საუკუნეების მანძილზე როგორღა გამორჩა მხედველობიდან ამდენ აღმოსავლელ და დასავლელ მწერალს? არც ერთი მიუკერძოებელი მწერალი არ მიიჩნევს ტრირს ელენეს სამშობლოდ და ბოლანდისტებიც სამართლიანად უარყოფენ ამ მტკიცებას[3].

თითქმის ელენეს თანამედროვე წმ. ამბროსი (ტრირში დაბადებული 340 წელს) სხვებთან ერთად ამბობს, ელენე ქალაქ ნიკომედიის მეზობელ პატარა ქალაქში, დრეპანუმში დაიბადაო[4].

კასიოდორი წმ. ამბროსის ეთანხმება და გარკვევით ამბობს, კონსტანტინემ დედის პატივსაცემად დაბა-ქალაქ დრეპანუმს ელენეპო-

1 იქვე, გვ. 84.

2 Dr. Willems, La Sainte Robe, გვ, 230.

3 Acta Sanctorum, ტ. III, აგვისტო, 18, გვ. 500.

4 „ეს სასტუმროს დიასახლისი ჰელენა, ირწმუნებიან, პირველად ასე იყო ცნობილი მოხუცი კონსტანციუსისათვის, ვისაც შემდგომ მეფობა წაჰგვარეს“ S. Ambrosii De obitu Theodosii Oratio, Migne, P. L., ტ. XVI, სვ. 1399. იხ. Historia Orosii, წ. VII, თ. 16.

ლისი უწოდაო[1].

წმ. სილვესტრისათვის მიკუთვნებული სიგელის ნატყუარობაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავეცნოთ მის ისტორიულ წარმომავლობას, რაც XI–XII სს-ის სამ კრებულში ვლინდება. ეს კრებულებია.: 1. "წმ. აგრიციუსის ცხოვრება" („La Vie de Saint Agritius") დაწერილი 1019—1072 წწ-ში[2]. 2. „ჰუგ დე ფლავინის ქრონიკა", დაწერილი 1100 წ. („La Chronique d'Hugues de Flavigny")[3]. და 3. უთარიღო „ტრირელთა საქმენი". („La Gesta Trevirorum")[4]. ტრირის რელიკვიის დამცველები ამტკიცებენ, დედანი დაიკარგაო. სიგელი შეიძლება გაქრეს, მაგრამ ის მახსოვრობაში მაინც დარჩება. V-დან X ს-მდე კი არც ერთი მემატიანე არ იხსენიებს ამ სიგელს.

სიგელის აღდგენას მიაწერენ V ს-ის ეპისკოპოს ვოლუსიენს. ისე, თვით ალმან დე ჰოტვილერი არაფერს ამბობს ამის შესახებ, ალმან ჰოტვილერი, რომელიც ტრირის მეტოქე ქალაქის — რეიმსის არქიეპისკოპოსის ინკმარის შეკვეთით წერდა და რომელიც შეიძლებოდა დაეეჭვებინა სიგელის ღირებულებას, თუ იგი არსებობდა. მემატიანეთა დუმილი ამ ცრუ სიგელის უარსაყოფად ძლიერ არგუმენტად გვევლინება[5].

თუ სიგელი აღდგენილია ავთენტიკურად, მაშინ სამივე მითითებულ წყაროში ერთნაირი ტექსტი უნდა იყოს, რადგანაც საუბარია უძველესსა და საოცრად ძვირფას ძეგლზე, რომლის შეუცვლელად გადმოცემას მწერლები უდავოდ თავიანთ უწმინდეს მოვალეობად მიიჩნევდნენ. პირიქით კი არის, ადვილი მისახვედრია, რომ განსხვავებულ ნუსხებში მწერლებს წარმოსახვით აქვთ აღდგენილი დაკარგულად მიჩნეული ნაწილი. უფრო მეტიც, ტექსტის ის ნაწილი, რომელიც წმ. ელენეს შეწირულებაზე მიგვითითებს, განსხვავებულად აქვთ წარმოდგენილი. ყველაზე ძველად მიჩნეული ვერდუნის ხელნაწერის მიხედვით, მოციქულ მათეს ნეშტი უფლის სხვა რელიკვიებთან ერთად გაიგზავნა.

„წმინდა აგრიციუსის ცხოვრების" უცნობი ავტორი ამ რელიკვიებს

---

1 „ამასთანავე იმპერატორის დედა ჰელენა, რომლის სახელის მიხედვით დრეპანის სოფელს პრინცეპსმა ქალაქ ჰელენეპოლისი უწოდა". Migne, P.L., ტ. LXIX, სვ. 936. ის. Procope, Aedif., I, V, თ 2; Lebeau, Histoire du Bas-Empire, Paris, 1824, ტ. I, გვ. 23, 25.

2 Acta S.S., იანვარი, ტ. I, გვ. 54.

3 H.Pertz, Monumenta Germaniae historica, Hannover, 1868, ტ. VIII, გვ. 298.

4 იქვე, ტ. VIII, გვ. 153.

5 ის. Louis de Combes, La vraie Croix, Paris, 1902, გვ. 90, 207-218.

სამსჭვალს უმატებს, ხოლო „ტრირელთა საქმენში“ მათთვის კვართია[1] მიმატებული. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მწერლებს არ სჩვევიათ ამგვარი ტექსტების შემოკლება და ასეთ რელიკვიებზე დადუმება. უეჭველად მათ განავრცეს შედარებით უფრო ძველი და მოკლე ტექსტი, რომელშიც კვართის შესახებ ცნობაც შეიტანეს[2].

კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი დაკვირვება. „ტრირელთა საქმენი“ 368 წელს იმ თარიღად მიიჩნევს, როდესაც შესაძლოა სილვესტრსა და ელენეს ანტიოქიის პატრიარქი აგრიციუსი გაეგზავნათ რელიკვიების ტრირში წასაღებად[3]. პასუხის ნაცვლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ ელენე გარდაიცვალა 327 წელს, სილვესტრი 335 წელს, კონსტანტინე 337 წელს და რომ არც ერთი მწერალი არ იხსენიებს ვინმე აგრიციუსს ანტიოქიის პატრიარქად.

მაშასადამე, ეს სიგელი შეგვიძლია მივიჩნიოთ მხოლოდ XI ს-ში შექმნილ დოკუმენტად.

დოქტორი უილემსი კი მაინც ცდილობს, თავისი დიდად განსწავლულობის მეშვეობით სიგელი V ს-ის ჭეშმარიტ დოკუმენტად წარმოგვიდგინოს. დისკუსიას I წიგნის 257-310 გვერდებს უთმობს და მის საწინააღმდეგოდ მისივე სიტყვები შეგვიძლია გამოვიყენოთ. აი, რას ამბობდა მათ შესახებ, ვინც მასზე ადრე შეეცადა სიგელის განხილვას:

„მეცნიერები და კრიტიკოსები ამაოდ განიხილავდნენ სიგელის ორიგინალობა-ყალბობისა და თარიღის დადგენის საკითხებს; მათ დღემდე ვერ მიაღწიეს ვერავითარ დადებით შედეგს, ამ ორ საკითხზე კი ვერ შეთანხმდნენ“[4].

### II.–განხილვა ქსოვილისა, რომელშიც გახვეული იყო კვართი. ხაილოს ქელის ფილის ღირებულება. გადმოცემებისა და ხალხური ლეგენდების მნიშვნელობა.

არ გვინდა, გვერდი ავუაროთ საკითხს, რომელსაც დოქტორი უილემსი ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, — ქსოვილს, რომელშიც გახვეული იყო წმინდა რელიკვია. იგი წერს:

---

1. Pertz, Monumenta Germaniae historica, ტ. VIII გვ. 152-3. იხ. F. Martin, Sur Friedlieb, გვ. 371.

2 რელიკვიების კატალოგში, სხვებს შორის მოხსენიებულია შემდეგი რელიკვიები: „უფლის კვართი, მისი სამოსი... პური, რომელიც უწილადა მოწაფეებს... კანდელი, რომელიც მისი წყალობით აენთო... წმინდა ჯვრის რკე...“ Monumenta Germ. hist., ტ. XV. გვ. 176.

3 იქვე. ტ. VIII. გვ. 152.

4 Dr. Willems, გვ. 86.

„არქეოლოგიური კვლევა უძველეს წარსულში გვაცნობს რელიკვიას, რომელიც დაცული იყო მეწამული გარსაცმით. ეს გარსაცმი ჭეშმარიტად არსებობდა და თავისი მნიშვნელობით ასეთივე დამაჯერებელი წერილობითი დოკუმენტების ტოლფასია"[1].

შემდეგ დოქტორი უილემსი მოგვითხრობს, რომ 1890 წელს გარსაცმის შემსწავლელ კომისიაში ექსპერტად მოწვეული იყვნენ ამ დარგში ცნობილი ავტორიტეტები, და გვთავაზობს მათ დასკვნას:

„რაც შეეხება აბრეშუმის სახეებიანი გარსაცმის დამზადების ადგილსა და თარიღს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის აღმოსავლეთშია დამზადებული VI–IX სს-ს შორის"[2].

შემდეგ დოქტორი უილემსი ამტკიცებს, რომ წმ. კვართი ტრირის ეპისკოპოს ნისეტას (527-566) და მის მომდევნო ეპისკოპოს მაგნერიკუსს (573-596) უნდა შეემოსათ ხსენებული აბრეშუმის გარსაცმით.

„სამწუხაროდ, – ამბობს იგი – ადგილობრივი ქრონიკის იმდროინდელი წყაროები არაფერს გვამცნობენ ამის შესახებ"[3].

ამის შემდეგ თავს უფლებას ვაძლევთ, დავინტერესდეთ, რის საფუძველზე მიაწერს დოქტორი უილემსი ნისეტას ან მაგნერიკუსს წმინდა კვართის შემოსვას, როცა არავითარი საბუთი ხელთ არა აქვს? გარდა ამისა, როგორ შეიძლებოდა იმდროინდელ წყაროებში კვართის შემოსვაზე ყოფილიყო საუბარი, რაკი ისინი არაფერს ამბობენ ტრირში წმინდა კვართის არსებობის შესახებ?

ამგვარად, წმინდა კვართის გარსაცმი ქსოვილის არქეოლოგიური განხილვის შემდეგ, ბატონ უილემსს მიაჩნია, თითქოს მშვენიერი საბუთი აქვს რელიკვიის სიძველისა და მფლობელის შესახებ. სულ არ აფიქრებს, რომ თუ უცხოური ქსოვილი, აღმოსავლური ქსოვილი, შემოსილი რელიკვიის სიძველეზე მეტყველებს, ეს სულაც არ გამორიცხავს, ქსოვილს დასაბამიდანვე თავისი მფლობელები ჰყოლოდა, პირიქით, საწინააღმდეგოსაც კი მიანიშნებს. მართლაც, ყოველგვარი პოზიტიური საბუთის გარეშეც კი წარმოუდგენელია ვივარაუდოთ, თითქოს ძველი ტრირელები აღმოსავლეთში წავიდნენ ან იქიდან ჩამოიტანეს კვართის შესამოსი ქსოვილი, როცა დასავლეთში ქსოვილებს საკმაოდ ხარისხიანად ამზადებდნენ. ეს აღმოსავლური ქსოვილი

---

1 Dr. Willems, გვ. 71.

2 იქვე, გვ. 49—50.

3 იქვე, გვ. 95

უფრო იმის დამადასტურებელია, რომ შემოსვისას კვართი აღმოსავლეთში იყო. ქსოვილის სადაურობა და სიძველე ჩვენთვისაც მშვენიერი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ქსოვილის დამზადების ეპოქაში, ე.ი. VII–IX სს-ში წმინდა კვართი ტრირში კი არა, აღმოსავლეთში იყო. ამისათვის ჯერ ის უნდა დამტკიცდეს, რომ ტრირს კვართი ჰქონდა, შემდეგ კი ის, რომ ასეთი ქსოვილის შესაძენად დასავლეთიდან სხვაგან წასვლა დასჭირდათ, თორემ ზემოხსენებული ქსოვილი აღნიშნულ ეპოქაში ტრირში კვართის არარსებობის დამადასტურებელ საბუთად მოგვევლინება.

დოქტორი უილემსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე სპილოს ძვლის სკულპტურულ ფილას, რომელიც ტრირის ტაძრის განძს მიეკუთვნება და ასახავს რელიკვიის გადაცემის პროცედურას[1]. მისი აზრით, ფილაზე გამოსახულია ჩვენთვის ცნობილი რელიკვიის ტრირისთვის გადაცემის სცენა, რომელშიც დედოფალ ელენეს უნდა მიეღო მონაწილეობა. ჩვენ არ გვინდა, დოქტორ უილემსს შევედაოთ მისთვის სასურველი განმარტებისა და ხელოვნების ამ ნიმუშისადმი მისი მოკრძალებული რწმენის გამო; იმაზედაც თანახმა ვართ, რომ ფილაზე სწორედ წმინდა კვართის გადაცემაა ასახული, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, თითქოს წმინდა კვართის ძველი მფლობელი ტრირი იყოს. ბატონი უილემსი კი სწორედ ასეთ დასკვნას გვთავაზობს.

დოქტორი უილემსი წერს, თითქოს ფილა ყოველთვის ტაძარს ეკუთვნოდა და არაფერი ადასტურებს, რომ ოდესმე მისი საკუთრება გახდა შეწირულობის ან შესყიდვის წყალობით. ბატონმა უილემსმა იცის მხოლოდ, რომ საფრანგეთის რევოლუციამდე ფილა ტაძრის განძი იყო. რევოლუციის შემდეგ ტრირის ეკლესიების განძეულობა ნაწილ-ნაწილ გადაიტანეს შორს, რის შედეგადაც 1836 წელს ფილა კობლენცში მოხვდა, ხოლო იმავე წელს ანტვერპენში გაგზავნეს. ამგვარად, როდესაც არა გვაქვს ნასყიდობის ან შეწირულობის დოკუმენტები, იმის მტკიცება, თითქოს მსგავსი დოკუმენტები არასდროს არსებობდა და ამით აჩვენო, რომ ფილა ყოველთვის ტაძარს ეკუთვნოდა, არასერიოზულად გვეჩვენება. ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, განვაცხადოთ, რომ დოკუმენტებისა და პოზიტიური საბუთების უქონლობის გამო, კატეგორიულად უარვყოფთ ყველაფერს, რისი მეოხებითაც დოქტორი უილემსი ფილას ტაძრის საკუთრებად მიიჩნევს; ფილის გაკეთების თარიღის დასადგენად მას სხვადასხვა, ერთმანეთთან შეუთანხმებელი მოსაზრებები მოჰყავს, რომელთა მიხედვითაც ფილის გაკეთების თარიღი VI–X სს-ით განისაზღვრება. დოქტორი უილემსი კი ფილას IX ს-ის ნაკეთობად მიიჩნევს.

ამ მოსაზრებებს ჩვენ ასე ვუპასუხებთ: რომში დღესაც მოიძებნება

[1] Dr. Willems, გვ. 111-118.

ხელოვნების ბევრი ნიმუში, რომელთა ავტორებს ისე კარგად აქვთ შეთვისებული წარსული საუკუნეების ოსტატობა, საქმის დიდ მცოდნეებსაც კი შეაცდენენ, თუ წინასწარ არ გააფრთხილეს. ამგვარად, სულაც არ არის გასაკვირი, ფილა რომ საოცრად კარგად გადმოგვცემდეს IV ს-ის სცენას. ჩვენ კი უეჭველად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ფილა „ტრირელთა საქმეების“ და „წმ. აგრიციუსის ცხოვრების“ წაკითხვის შემდეგაა გაკეთებული და, მაშასადამე, ამ ტექსტებზე გვიანდელია, ხოლო აღნიშნული ტექსტები XI საუკუნეზე ადრინდელი არ არის.

ბატონი უილემსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადმოცემებსა და ხალხურ ლეგენდებს. ამ საკითხში სრულიადაც არ ვედავებით. ჩვენი აზრითაც, გადმოცემებს დიდი როლი აკისრიათ ისტორიაში, მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ, ზედმეტად არ უნდა შევაფასოთ მათი შესაძლებლობები, არ უნდა მივცეთ ის წონა, რაც არა აქვთ.

ცხადია, ბატონი უილემსი ტრირის გადმოცემის დასადასტურებლად ვერ დაეყრდნობა IX ს-ის მწერალ ალმანს, ვისაც არასოდეს უხსენებია პერასკე ანუ კვართი. მას მხოლოდ „წმ. აგრიციუსის ცხოვრება“ რჩება, რომელსაც XI ს-ის ტრირის გადმოცემების შესწავლის ძირითად წყაროდ მიიჩნევს, თუმცა, მისივე აღიარებით, ამ ნაშრომს IV ს-ის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება[1].

„წმ. აგრიციუსის ცხოვრების“ თარიღის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ყველაზე მისაღები თვალსაზრისით იგი XI ს-ით თარიღდება, ხოლო შემორჩენილი ხელნაწერები XII ს-საა. ჩვენ არ შევეცდებით ამ საკითხზე დავას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ბოლანდისტებმა, ტილემონმა და ჰონტჰეიმმა უარყვეს ცხოვრების კომპეტენტურობა. ამასთანავე, თვით დოქტორ უილემსის აზრით, ავტორს ეს ცხოვრება წმ. აგრიციუსის შესახსენებლად უნდა დაეწერა, მაშასადამე, შესაძლოა ნაწარმოების ავტორს გაეზვიადებინა ან რაიმე ჩაერთო ტექსტში წმინდანის მეტი ღირსებებით შემკობის მიზნით, მაგრამ ვფიქრობთ, ამ საკითხზე დავას აზრი არა აქვს, რადგან რაც უნდა ავთენტიკურად მივიჩნიოთ „წმ. აგრიციუსის ცხოვრება“, XI ს-ს მაინც ვერ გავცდებით, რადგან მის იქით მხოლოდ ეჭვი და ბუნდოვანებაა.

და ბოლოს, დოქტორ უილემსის ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმას, რომ არც ერთი ისტორიკოსის მიერ აღნიშნული არ არის, თითქოს წმ. ელენეს აღმოსავლეთში ეპოვოს ან საჩუქრად მიეღოს კვართი, რომელიც შემდეგ დასავლეთში წაიღო. მაშასადამე, შუა საუკუნეების ისტორიკოსთა ნაამბობი ამ საკითხზე ფასდაკარგულია, ვინაიდან ისტორიული ფაქტების ნაცვლად მხოლოდ ვარაუდებს ემყარება. ამ მოკლე მიმოხილვის მიხედვით არ არსებობს არავითარი სერიოზული

1 Dr. Willems, გვ. 88

და ჭეშმარიტი საბუთი, რომელიც შეძლებდა XI ს-მდე წმ. კვართის მფლობელად ტრირის გამოცხადებას. „ტრირის წმინდა კვართის“ ავტორის მიერ მოყვანილ ყველა დოკუმენტს აზრი აქვს მხოლოდ შემდგომი პერიოდისათვის.

V–XI სს-დან ბევრმა ფრანგულმა და გერმანულმა თხზულებამ მოაღწია ჩვენამდე. ამ პერიოდში ტრირის ეკლესიას მაცხოვრის ცნობილი რელიკვია რომ ჰქონოდა, განა არ აღნიშნავდნენ ეს წიგნები?

## III. – არჟანტოის რელიკვია, როგორც უკერავი კვართის ნიმუში. ტურელი გრეგუარის მოწმობა. ფრედეგერის მოწმობა. აუგის ტიაიკონი, ჟერბერონის მოწმობა

ჩვენ არ გვსურს, არჟანტოის რელიკვიის საკითხზე ვიდავოთ, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ მას, ვინაიდან ზოგიერთი ისტორიკოსი არჟანტოის რელიკვიას ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს უკერავ კვართად მიიჩნევს[1].

საკითხის შესწავლისათვის უპირატესობა მივანიჭეთ ბატონ აბატ ა.ჟაკმოს ნაშრომს, რომელსაც ეწოდება „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს უკერავი კვართი“ („La Tunique sans couture de Notre–Seigneur Jesus–Christ“),

ნაშრომი 1894 წელს გამოქვეყნდა ლილში და საუკეთესოა ზემოხსენებულ საკითხზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის.

ამ რელიკვიის უძველესობის დასადგენად, ისევე როგორც ტრირის რელიკვიისა, ლეგენდებსა და უბრალო ვარაუდებს იყენებენ საბუთებად და ისტორიულ დოკუმენტებად.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი აბატი ა.ჟაკმო არჟანტოის რელიკვიის ქრისტეს სამოსად მიჩნევით რიდი კმაყოფილდება. ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სწორედ უკერავმა და შიგნითა კვართმა დაფარა მაშინვე ძე ღმრთისას ხორცი[2] და წილი უყარეს, ვის შეხვედროდა იგი. როგორც სათაური მიუთითებს, სწორედ ეს არის აბატი ა.ჟაკმოს ნაშრომის ძირითადი მიზანი. ამასთანავე აბატი ა.ჟაკმო ტრირის რელიკვიის რეალობაშიც დარწმუნებულია და იმ პირთა თვალსაზრისზე დაყრდნობით, რომელთაც შეამოწმეს კვართი, მას ჩვენი უფლის[3] საუკეთესო, ან გარეთა, იმავე უკერავ კვართად მიიჩნევს. ამგვარად, აბატი ა.ჟაკმო გარკვევით ვარაუდობს, რომ არსებობდა ჩვენი უფლის ორი კვართი.

1 უპირველეს ყოვლისა, უნდა განვაცხადოთ, რომ არ გვსურს, ვიდავოთ ამ რელიკვიის, როგორც ჩვენი უფლის სამოსის ავთენტიკურობაზე.

2 A. Jacquemot, La Tunique sans couture de N.S. J.–C., conservée dans l'église d'Argenteuil. Lille, 1894, გვ. 178.

3 იქვე, გვ. 169.

სითამამედ მიგვაჩნია მსგავსი წინადადების წამოყენება საღვთო წერილის მიმართ, რომელშიც სრულიად გარკვევითაა ნათქვამი ამ საკითხზე, აი, რას ამბობს სახარება:

„მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი. ხოლო კუართი იგი, რომელი იყო უკერველ, ზედით მოქსოვილ ყოვლად. თქუეს ურთიერთას: არა განვხეთქოთ ეგე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისა ეყოს“[1].

სახარების ნაწყვეტი კარგად მიუთითებს მხოლოდ ერთი უკერავი კვართის არსებობაზე, ვინაიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ მისი უკერავობაა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ჯარისკაცებმა არ დაგლიჯეს სამოსი. ეს ნათლად გასაგები ტექსტიც რომ არა გვქონოდა ხელთ, განა შეგვეძლო გვეფიქრა, ჩვენი უფალი თვითონ სჩადიოდა იმას, რასაც თავის მოწაფეებს უშლიდა? განა არ უკრძალავდა მათ, ორი კვართი ერთდროულად სცმოდათ?[2]

წმინდა მამანი და საღვთო წერილის კომენტატორები ერთსულოვნად ამტკიცებენ, ჩვენს მაცხოვარს მხოლოდ ერთი უკერავი კვართი ეცვაო[3]. იმის მტკიცება, თითქოს იესო ქრისტეს წამებისას ორი კვართი ეცვა, ნიშნავს არ დაეთანხმო საღვთო წერილს, ეკლესიის ფუძემდებელთ და სწავლულებს და საღვთო წერილზე უფრო მეტად შუა საუკუნეების ისტორიკოსებს ენდო. თუ ბატონი აბატი ა.ჟაკმო ტრირის რელიკვიას უკერავ კვართად მიიჩნევს, მაშინ იგი სავსებით სწორია, როცა თავს იკავებს, არჟანტოის რელიკვია უკერავ კვართად მიიჩნიოს.

არჟანტოის რელიკვიის შესასწავლად ამოსავალი წერტილია ტურელი გრეგუარის და ფრედეგერის ტექსტები, რომლებშიც მოთხრობილია აღმოსავლეთში წმ. კვართის აღმოჩენის ამბავი, მაშინ, როცა იმდროინდელი და, უფრო მეტიც, მომდევნო ხანის მწერლები არაფერს ამბობენ ამის თაობაზე. აღმოსავლელი მწერლების სიჩუმეც კმარა იმისათვის, რომ ამ ორი მწერლის ნაამბობი წმინდა კვართის შესახებ ლეგენდად მივიჩნიოთ. გარდა ასეთი ნეგატიური არგუმენტისა, თვით ნაამბობშიც შეიძლება სიყალბის დამადასტურებელი საბუთის პოვნა.

სანამ ზემოხსენებული ტექსტების განხილვას შევუდგებოდეთ, ბატონი აბატი ა.ჟაკმოს წიგნიდან რამდენიმე ნაწყვეტს შემოგთავაზებთ. იგი ამბობს:

---

1 იოანე, 19, 23-24.

2 მარკოზი, 6, 9. მათე, 10, 10.

3 „შუბებით გარშემორტყმულ იესოს მხოლოდ კვართი ემოსა და ერთიც მოსასხამი ჰქონდა. მეომრებმა ოთხად გაგლეჯილი მოსასხამი გაინაწილეს. კვართი არ გაუჭრიათ: დაგლეჯილი არაფრისთვის არ იყო გამოსადეგი... და მის ნაცვლად ცხერის ტყავი შერჩათ მეომრებს“. S. Cyrille de Jérusalem, Catéchèse XIII, Migne, P. G., ტ. XXXIII, სვ. 804; იხ. იქვე. ტ. CXXIX, სვ. 724-725.

„ჩვენ იძულებული ვართ, შევისწავლოთ ტურელი გრეგუარისა და ფრედეგერის ცნობილი ტექსტები, ვინაიდან გვსურს ამ საკითხის კარგად დაზუსტება. ზემოხსენებული ორი მწერლისა და მომდევნო მემატიანეების გარდა, რომლებმაც მათ კვალდაკვალ გადაწერეს ხელნაწერები, სხვა დამოწმებები რომ არ ყოფილიყო ჩვენი რელიკვიის ავთენტიკურობის დასამტკიცებლად, არქანჟელის რელიკვიის საფუძველი ისტორიულად მიუღებელი იქნებოდა“...[1].

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ბატონი ა.ჟაკმო დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს ზემოხსენებული მწერლების ნაამბობს და ემაყება, რომ ხელთ აქვს სხვა საბუთები. მაგრამ, სინამდვილეში ყველა წარმოდგენილი საბუთი 1156 წლის შემდგომია. ამგვარად, ის ძალაუნებურად ეყრდნობა ტურელ გრეგუარს, როდესაც ამბობს:

„ჩვენ ჯვართს ადრეულ საუკუნეებში აღმოსავლეთში ვხვდებით“[2]. აი, რას მოგვითხრობს ტურელი წმ. გრეგუარი (†594):

„მე მაინც გვერდს ვერ ავუვლი იმას, რაც რამდენიმე კაცისგან შევიტყვე უმიწო ჯრავის ცნობილი ჯვართის შესახებ. როგორც გადმომცეს, ჯვართი გალატეაში, წმ. მთავარანგელოზების ბაზილიკაში ინახება. ქალაქი გალატეა კონსტანტინოპოლიდან დაახლოებით 150 მილზე მდებარეობს. ბაზილიკის საიდუმლო აკლდამაში ინახება ხის სკივრი, რომელშიც ეს სამოსია ჩაკეცილი“[3].

არც ტურელ წმ. გრეგუარამდე და არც მას შემდეგ არ ყოფილა ცნობილი ქალაქი გალატეის სახელწოდებით, ეს უფრო პროვინცია გალატიის სახელწოდება უნდა იყოს. უფრო მეტიც, მითითებული მანძილიც კი მცდარია. ამას ვერაფრით ვერ ავხსნით იმითაც კი, ამ სახელით პროვინცია გალატეის დასახელება რომ ნდომებოდა. წმ. გრეგუარის კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ის საკმაოდ ცუდად იცნობდა აღმოსავლეთს. ამიტომ წმ. გრეგუარის ნაამბობის სიყალბის დასამტკიცებლად უსარგებლოდ მიგვაჩნია მისი დეტალური განხილვა.

წმ. გრეგუარის საქმის განმგრძობი ფრედეგერი (†658) მასზე მაღლა როდი დგას: შეცდომები და წინააღმდეგობანი მასთანაც აშკარაა. აი, რას ამბობს იგი:

„ამ მეფის ზეობის ოცდამეათე წელს (კონტრანი, 590 წელს) იპოვეს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვართი, რომელიც მას წამებისას

1 A. Jacqocmot, დასახ. ნაშრ., გვ. 72-73.

2 იქვე, გვ. 81.

3 De Gloria Mart., თავი VIII, Migne, P.L., ტ. LXXI, სვ. 714.

მოსძარცვეს და რომელსაც წილი ეყარეს ჯარისკაცებმა და ზედამხედველებმა, როგორც წინასწარმეტყველი დავითი ამბობს: „განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“. ეს კვართი იპოვეს იაკობის შვილის სიმონის აღსარების წყალობით, რომელმაც, ორკვირიანი სასტიკი ტანჯვით დასნეულებულმა, ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ კვართი ინახებოდა მარმარილოს პატარა სკივრში იერუსალიმის ახლოს მდებარე ქალაქ ზაბადში. ანტიოქიის ეპისკოპოსი გრიგოლი, იერუსალიმის ეპისკოპოსი თომა, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი იოანე და რამდენიმე სხვა ეპისკოპოსი სამი დღე ინახავდნენ მარხვას, შემდეგ კი დიდი ღვთისმოსაობითა და პატივისცემით იერუსალიმში ხელით წაიღეს მარმარილოს სკივრი, რომელიც ისე გამსუბუქდა, ხის გეგონებოდათ, და დიდი ზეიმით დაასვენეს იმ ადგილას, სადაც უფლის ჯვარს თაყვანს სცემდნენ“[1].

ბატონი აბატი ჟაკმო თავისაც არ იწუხებს ტექსტის თუნდაც ზერელე განხილვით და მასში მხოლოდ ერთ შეცდომას პოულობს: სახელდობრ იმას, რომ იერუსალიმის ეპისკოპოსი თომა კი არა, იოანე იყო[2].

ტექსტში მართლა ეს შეცდომა რომ ყოფილიყო, მასზე ყურადღებას არც გავამახვილებდით, მაგრამ ჩვენი აზრით, ფრედეგერის ნაამბობი მთლიანად შეცდომების ჯაჭვია. ფრედეგერის თქმით კვართის გადაცემას სამი პატრიარქის გარდა ბევრი ეპისკოპოსი დაესწრო. მაშასადამე, ეს ამბავი მთელ აღმოსავლეთს უნდა მოსდებოდა და, თუ ყველა არა, რამდენიმე აღმოსავლელ მწერალს მაინც უნდა აღენიშნა, მაგრამ აღმოსავლეთისათვის სამუდამოდ უცნობი დარჩა მოვლენა, რომლის უმცირესი დეტალების აღწერაც გალებს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

გრეგუარის აზრით, კვართი გალატეაში უნდა ყოფილიყო, ფრედეგერის აზრით — შედარებით მოშორებით, იერუსალიმის მახლობლად ზაბადში (საბადში?). გრეგუარის მიხედვით, ხის სკივრში ჩაკეტილი კვართი შენახული უნდა ყოფილიყო მთავარანგელოზების ეკლესიაში, სადაც მორწმუნენი მას თაყვანს სცემდნენ; ფრედეგერის მიხედვით კი ის არ უხილავთ ქრისტიანებს, რადგან ერთ ებრაელს ჰქონდა მარმარილოს ყუთში დამალული... ამ მოსაზრებებს შორის შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია. ჩვენ არც სხვა შეცდომების გამოაშკარავებას დავაყოვნებთ. ამისათვის ისიც საკმარისია, რასაც ფრედეგერი იმავე გვერდზე წერს: ანტიოქიაში ახლად მოიქცა და იქვე მოინათლა სპარსეთის მეფე 60 ათას ჯარისკაცთან ერთად. ფრედეგერის განცხადებაში ჭეშმარიტების ნატამალი არ არის. იგი ისევე ცუდად იცნობს აღმოსავლეთს, როგორც ტურელი გრეგუარი.

---

1 **Fredegarii Scholast.** Chronicon. Historiae Francorum Scriptores-ში. ტ. I. გვ. 745. Migne, P.L., ტ. LXXI, სვ. 614.

2 **A.Jacquemot**. დასახ. ნაშრ., გვ. 78.

ამ ორი მწერლის ურთიერთსაწინააღმდეგო მონათხრობს არავითარი ფასი არა აქვს იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომლითაც ჩვენ ვართ დაინტერესებულნი. ისინი ვერაფერს შესძენენ ძველი მწერლების ერთობლივ დუმილს.

ბატონი ჟაკმო დიდ ადგილს უთმობს კვართს, რომელიც კარლოს დიდს კონსტანტინე კეისრის დედამ, ირინე დედოფალმა უბოძა. დოქტორმა უილემსმა ნაშრომში „ტრირის წმ. კვართი და არჟანტოის რელიკვია“ საფუძვლიანად უარყო ყველა ამდაგვარი ლეგენდა. ამჯერად კი ჩვენ რამდენიმე შენიშვნით შემოვიფარგლებით.:

აი, ბატონი ჟაკმოს დასკვნები:

„იერუსალიმში ჩვენი უფლის ჯვრის გვერდით ერთხელ მოთავსების შემდეგ წმინდა სამოსელმა, როგორც ჩანს, ამ წმ. რელიკვიის ხვედრიც გაიზიარა. ჰერაკლე კეისრის დამარცხებისა და გამარჯვების შემდეგ, კვართი განძს დაუბრუნდა. შემდეგ კი, როცა ახალი მტრები დაემუქრნენ ბიზანტიის უმწეო იმპერიას, ის სხვა რელიკვიებთან ერთად კონსტანტინოპოლში გადაიტანეს. სამოსელი უეჭველად კარლოს დიდს გადასცეს, ვითარცა ჭეშმარიტი კვართი... კარლოს დიდმა კი ის თავის მხრივ არჟანტეიში მოათავსა. ასეთი წარმომავლობისაა სავარაუდოდ სამოსელი, რომლის შესახებაც საუბარია 1156 წლის დოკუმენტში“[1].

ბატონი ჟაკმო თავის ნებაზე მთელ აღმოსავლეთში ისე დაასეირნებს წმ. რელიკვიას, არც არავის აცნობს და არც არავის ანახვებს მაშინაც კი, როცა დასავლეთში გადააქვს იგი.

უაზრობად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რაც ყველა დროის ისტორიისთვის სრულიად უცნობია. თუ ჩვენ ყოველ დეტალს ვიცნობთ წმ. ჯვრის აღმოჩენის, ტყვეობის, განთავისუფლებისა და ტრიუმფული ამაღლების შესახებ, ვიცნობთ იმის გამო, რომ ყველა იმდროინდელი და მომდევნო საუკუნეების მწერალი აღნიშნავდა ამ ფაქტებს. კვართის შესახებ კი სულ არაფერი ვიცით მაშინ, როცა იგი ნაკლებ პატივისცემასა და თაყვანისცემას როდი იმსახურებდა. საკვირველია, რატომ თქვეს უარი მორწმუნეებმა კვართის თაყვანისცემაზე? რატომ არჩიეს მწერლებმა ასეთი საოცარი დუმილი და არც კი ისურვეს მისი თუნდაც ერთხელ მოხსენიება?

ცნობილია რელიკვიების ნუსხები, რომლებიც აღმოსავლეთის სხვადასხვა ეკლესიაში ინახებოდა. არც ერთი მათგანი არ მიუთითებს კვართის არსებობაზე, ამასთანავე მისი სხვებში არევაც შეუძლებელია.

ეს წმ. რელიკვია მაშინ მაინც უნდა მოეხსენიებინათ, როცა იგი ბატონ ჟაკმოს მიხედვით იმპერატორმა კონსტანტინოპოლიდან კარლოს დიდს გაუგზავნა. ეს ისე ფასდაუდებელი ძღვენი იყო, შეუმჩნეველი

1 A. Jacquemot. გვ. 80—82.

ვერ დარჩებოდა, მაგრამ მწერლები ახლაც დუმან. ისინიც კი, ვისაც ძვირფასი რელიკვია უნდა მიეღო, არაფერს ამბობენ მის შესახებ. კარლოს დიდის დიდი მოძღვარი და კანცლერი, ამავე დროს მეფის სასახლის მწიგნობართუხუცესი ეგინჰარდი, რომელმაც პატრონზე მეტხანს იცოცხლა, იხსენებს საბერძნეთის იმპერატორის ელჩის ჩასვლას, მის წერილს და კვართის ვითომცდა მოძღვნის გარდა ყველაფერს აღნუსხავს[1].

ამაო იქნებოდა კვართის ბოძების შესახებ ცნობების ძიება სხვა იმდროინდელ მწერლებთან, რადგანაც ისინიც ისევე დუმან, როგორც ეგინჰარდი.

მხოლოდ სამი-ოთხი საუკუნის შემდეგ ჩნდება ზოგიერთი ცნობა კვართის ძიების თაობაზე. დეტალების აღწერის, წერილის გამოქვეყნების, კვართის გადაცემის ვითარების ჩვენების შესაძლებლობა მხოლოდ XIII–XIV სს-ის მწერლებს მიეცათ. ისინი მომხდარი მოვლენის საათის დაზუსტებასაც კი შეეცადნენ!

აი, საფუძველი, ამოსავალი წერტილი იმისა, რასაც არჟანტოის კვართის ისტორია ეყრდნობოდა 1156 წლამდე[2].

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ კარლოს დიდისთვის კვართის მიძღვნის ლეგენდის განსამტკიცებლად ბატონი ჟაკმო ასახელებს წმ. ედუარდ აღმსარებლის სიგელს, რომელშიც ნახსენებია კარლოს დიდისთვის ბოძებული კვართის ნაწილი[3]. სიგელი ლეონ IX-მ უბოძა ინგლისის მეფეს, ედუარდ აღმსარებელს.[4] საკითხში გასარკვევად, გულმოდგინედ მოვიძიეთ სიგელი ანუ წერილი ლეონ IX-ის იმ ნაწერებს შორის, რომლებიც მინის გამოცემაში შეიძლება ინახოს[5], მაგრამ ამაოდ გავისარჯეთ. ამგვარად, მკითხველს ვანდობთ ხსენებული ტექსტის ღირსებაზე მსჯელობას.

მაშინაც კი, თუ ვერ დავამტკიცებთ სიგელის სიყალბეს, ეს მაინც ვერ შეცვლის ძველი მწერლების დუმილს, რადგანაც სიგელი მხოლოდ XI ს-ით თარიღდება.

ბატონი ჟაკმო თავის ნაშრომში საუბრობს 1156 წლის ჰუგის ტიპიკონზე, რომელიც ყველაზე სარწმუნო, ყველაზე ძველ ტექსტად მიაჩნია და რომელიც მისი აზრით, არჟანტოის ტრადიციის ქვაკუთხედია[6]. თუმცა ტიპიკონის ავთენტიკურობა საკამათოა, მაინც არ

---

1 Eginhardi Abbatis Annales; Migne, P.L., ტ. CIV, სვ. 451, 453.
2 იხ. A. Jacquemot, დასხ. ნაშრ., გვ. 59.
3 იქვე, გვ. 60—66;
4 Migne, P. L., ტ. CLI, სვ. 1197.
5 Migne, P.L., ტ. CXLIII სვ. 583-798.
6 Jacquemot, დასახ. ნაშრ., გვ. 21, 33.

გვსურს წამოვიწყოთ დავა[1], მაგრამ იძულებულნი ვართ, აღვნიშნოთ, რომ თუ ტიპიკონი სერიოზული დოკუმენტია, მაშინ ის კი არ უნდა დავამახინჯოთ, როგორც არჟანტოის რელიკვიის დამცველები ამახინჯებენ, არამედ უნდა ვიწამოთ.

მართლაც, ტიპიკონის მთავარი საკითხი ჩვენი უფლის სამოსია, რომელსაც ტიპიკონი უწოდებს „წმინდა სამოსს უფალ იესოსი“[2] მისმა მომდევნო ისტორიკოსებმა სიტყვა „სამოსელის“ (კაპა) მნიშვნელობა არ მიიჩნიეს სასურველად და გადააკეთეს „მაცხოვრის უკერავ კვართად“ (ტუნიკად). ამასთანავე, დაამატეს, რომ ის აღმოაჩინეს გამოცხადებით[3]. თავის მხრივ, ბატონი ჟაკმო შუა საუკუნეების ჩვევებზე დაყრდნობით ცდილობს, სიტყვა „სამოსელს“ (კაპა) თავისი დებულებისათვის სასარგებლო მნიშვნელობა მიანიჭოს, მაგრამ ყველამ იცის, რომ არავინ ურევს საკუთრივ კვართს გარე სამოსელში — მოსასხამსა თუ კაპაში. ყოველ შემთხვევაში, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არავის აქვს ერთი სიტყვის მეორეთი შეცვლის უფლება.

დოკუმენტის ავტორი ცდილობს, შეძლებისდაგვარად საზეიმო ელფერი მისცეს თავის აქტს და განა შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, რომ იგი გვერდს აუვლიდა ხელთუქმნელი კვართის დეტალურ აღწერას, თუკი კვართი მართლა არსებობდა?

რასაკვირველია, ბატონი ჟაკმო საეკლესიო პირია და საღვთო წერილის გამონათქვამები მისთვის ცნობილია. ის უბრუნდება თავის ძირითად საგანს და სამჯერ აქვს მოხსენიებული, როგორც „კაპა“, „ინდუმენტუმ“, „ვესტის“. თუ ბატონი ჟაკმოს მიერ ესოდენ ნაქები რელიკვია მართლაც უკერავი კვართია, მაშინ საინტერესოა, რა მოტივით ამბობს უარს სახარებისეულ სიტყვაზე „კვართი“ (ტუნიკა) და მის ნაცვლად სხვადასხვა ბუნდოვან და ზოგადი მნიშვნელობის სახელებს ირჩევს?

ბატონ ჟაკმოს მოჰყავს დიდი ამონაწერი ჟერბერონიდან. ჟერბერონი აცხადებს, რომ გაუგონია მონათხრობი, რომელიც არჟანტოის მრევლის ხუცესთან შემთხვევით ნაპოვნი პერგამენტებიდან იყო ცნობილი. ამონაწერში შეიძლება ამოვიკითხოთ არა მარტო „უკერავი კვართი“, არამედ არჟანტოიში მისი მოხვედრის საათიც კი, მეტიც, თარიღი 800 და რამდენიმე წელი, აგრეთვე პირველ და მეორე შემწირველთა სახელებიც. ერთი სიტყვით, ამონაწერში ყველაფერია აღნიშნული,

---

1 იხ. Dr. Willems, La Sainte Robe de Trèves et la Relique d'Argenteuil, გვ. 124.

2 A.Jacquemot, დასახ. ნაშრ., გვ. 234.

3 იქვე, გვ. 240.

რასაც ამ საკითხის დამცველები მოისურვებდნენ[1]. ნუ დავივიწყებთ, რომ ჟერბერონის მიერვე ციტირებული მემატიანეები ამტკიცებენ, რომ კვართთან ნაპოვნი წერილების მიხედვით კვართი თავად წმ. ღვთისმშობლის ნახელავი იყო.

ჩვენ არ ვცდილობთ, განვსაჯოთ ეს ნაამბობი, რომელიც უფრო ლეგენდაა, ვიდრე ისტორია, მხოლოდ ერთ კითხვას ვსვამთ: იცნობდა თუ არა ჰუგი ამ წერილებს? თუ არ იცნობდა, მაშინ ისინი მოგვიანებით გამოგონილი წმინდა წყლის ლეგენდებია, თორემ როგორ შეიძლებოდა ასეთი საინტერესო და ამავე დროს აუცილებელი დეტალები გამოეტოვებინა ტიპიკონში? წმ. ღვთისმშობელი მაინც უნდა მოეხსენიებინა. ყველა ეს გამოტოვებული დეტალი ჰუგის ტიპიკონს მეტ ბრწყინვალებას შესძენდა.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, არ შევუდგებით მრავალი სხვა საკითხის განხილვას. მხოლოდ ძირითადი დოკუმენტების ის რამდენიმე პასაჟი გამოვყავით, რომლებიც ვერ უძლებენ ისტორიულ კრიტიკას. ჩვენ სიამოვნებით მივანდობთ ბატონ ჟაკმოს ამ საკითხების გამორკვევასა და გაშუქებას — არჟანტოის რელიკვიის ავთენტიკურობის დასამტკიცებლად.

## IV. — კვართის შესახებ საქართველოში არსებული დოკუმენტები. ლოცვანი და შესხმანი კვართის სადიდებლად და თაყვანსაცემად. კვართის გაუჩინარება საქართველოდან. ლეგენდა მისი რუსეთში გადატანის შესახებ. დასკვნა

ახლა ვნახოთ, ქართული ეკლესია რა დოკუმენტებზე დაყრდნობით აცხადებს იმთავითვე თავს წმინდა კვართის მფლობელად. ჩვენ მეტ-ნაკლებად ვრცლად გაგაცნობთ ჩვენამდე მოღწეულ ყველა დოკუმენტს, რათა უკეთ დაგანახოთ ყოველგვარი გარემოება, რაც თან ახლავს ამ ვერსიას. დავიწყებთ მონათხრობით, რომელიც გადმოცემულია საქართველოს ისტორიის საუკეთესო ძეგლში „ქართლის ცხოვრებაში". აი, იგი:

„... და მოვიდეს მისსა მოგუნი ძღუნისა შეწირვად, და მათ მოგუთა შესლვასა იერუსალემს მოვიდა ამბავი მცხეთას, ვითარმედ „სპარსთა იერუსალემი წარსტყუენესო". და ურიანი[2] რომელნი მცხეთას იყვნეს, იქმნა მათ შორის გლოვა და ტირილი. და შემდგომად მეორესა წელსა სხუა მოვიდა ამბავი, ვითარმედ „სპარსნი იგი არა წარსტყუენვად მოვიდეს იერუსალემს, არამედ აქუნდა ძღუენი ყრმისა ვისმე შობილისათჳს" და განიხარეს ურიათა მცხეთელთა.

1 A. Jacquemot, გვ. 56-57.

2 ებრაელები საქართველოში დამკვიდრდნენ ქრისტეს შობამდე V ს-ის დასაწყისში, როდესაც ნაბუქოდონოსორმა დაანგრია ქალაქი იერუსალიმი.

და შემდგომად ამისსა, ვითარ გარდაჴდეს წელნი ოცდაათნი, მოვიდეს პოციქულნი ურიათა იერუსალემით ურიათა თანა მცხეთელთა, ვითარმედ „რომლისათჳს იგი მოვიდეს მოგუნი და შეწირეს ძღუენი, აღზრდილ არს იგი და იტყჳს თავსა თჳსა ძედ ღმრთისა. და არ წარმოგჳვლენიან ჩუენ მოციქულნი ყოველთა თანა ურიათა, რათა მოვიდენ მეცნიერნი სჯულისანი, და განვიკითხოთ და განვმრჩოთ მას ზედა. და აწ თქუენგანცა წამოვიდენ მეცნიერნი სჯულისანი მანდით.

რათა სჯული მამათა ჩუენთა შეუცვალებელ ვჰყოთ და დავამტკიცოთ, და მცნება მოსესი აღვასრულოთ, რათა ახლითა მით სჯულითა რომელ რასმე გჳქადაგებს არა შეაცთუნნეს უმარტივესნი ვინმე სჯულისა ჩუენისანი, ხოლო სიკუდილითაცა მისითა შური ვიძიოთ.

მაშინ უკუე წარვიდა ელიოზ, კაცი მოხუცებული. ხოლო ესუა მას დედა ტომისაგან ელი მღდლისა, და კუალად ერთი და. ხოლო წარმავალსა მას ევედრებოდა დედა მისა თჳსსა, ვითარმედ: „წარვედ უკუე შვილო საყუარელო წოდებასა მას მეფისასა და წესსა სჯულისასა, გარნა ესე ხოლო, რომელსა გამცნებ შენ, დაიმარხენ, ნუ უკუე შეერთჳნ ცნობა შენი განზრახვასა მას მათსა მოროტსა, და ნუცა ვიდრემე ეზიარები დათხევასა სისხლისა მის მისისასა, ნუ, შვილო ჩემო, გევედრები, ნუ. რამეთუ უეჭუელად უწყოდე, ვითარმედ იგი არს სიტყუა წინასწარმეტყუელთა, რომელსა პირველითგანვე მოესწავებოდეს.

და წარვიდეს აქათ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. და მუნ დასწრეს ჯუარცმასა უფლისასა და მათ მოიღეს კუართი უფლისა, ელიოზ მცხეთელმან და ლონგინოზ კარსნელმან, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა.

ხოლო რაჟამს-იგი იერუსალემს დამსჭუალვიდეს უფალსა, ცემასა მას კუერისასა სამსჭუალთა ზედა მყის მემრ მასვე ჟამსა მცხეთას ჴმა ესმა დედასა ელიოზისსა, ხოლო მან საშინელითა კრჩხიალებითა დაიზახნა და თქუა: „მშჳდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უაუნურებით მოკალთ, უმადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი ყოველთა და იქმენით მოროტად მკვლელ შემოქმედისა თქუენისა. ვაჲ თქუენდა, უმადრუკნო! ვინმცა უკუე იპოვა ეგევითარი კლოვა, რომელსა თქუენ ღირს ხართ. ხოლო უფროისღა ვაჲ ჩემდა, რამეთუ პირველ სიკუდილისა ჩემისა მესმენელ იქმნეს ყურნი ჩემნი ყოვლისა მწუხარებისა სასმენელსა". და მყის ამას სიტყუასა ზედა მეყსეულად უკუე შეისვენა დედაკაცმან მან მწუხარებასა და გლოვასა შინა ფრიადსა და მიუთხრომელსა.

ხოლო ოდეს კუართსა მას ზედა უფლისასა წილ იგდეს უღმრთოთა ურიათა ჯუარცმასა უფლისასა, და განგებულებამან ღმრთისამან მიახუედრა მცხეთელთა ურიათა. და წარმოვიდა იერუსალემით ელიოზ და ლონგინოზ, და წარმოიღო კუართი იგი წმიდა. ვითარცა მოიღო ელიოზ მცხეთას, მყის წინა უკუე შეეგება დაჲ იგი მისი გოდებითა და ტირილითა საშინელითა, ცრემლითა შესუარული, და მოეხვა ყელსა სასურველისა მის ძმისასა. ხოლო ვითარცა იხილა უსასურველესი იგი ყოველთა სასურველთა კუართი მჴსნელისა ჩუენისა, მყის წადიერებით უკუე და სიყუარულით შეიტკბო მკერდსა თჳსსა, და მეყსეულად სულნი

წარჴდეს ნეცარსა მას დედაკაცსა სამ-სახეთა მათ მიზეზთათჳს: პირველ უკუე უფლისა სიკუდილისა და ვნებისა მისისათჳს; მეორედ, რამეთუ ეზიარა ძმა იგი მისი სისხლსა უფლისასა; ხოლო მესამე, ვინათგან მოეჴსენა დედისაცა თჳსისა იგი მწუხარებით სიკუდილი. ვინათგან უკუე ყოველივე მწუხარებამა ერთბაშაჲ შემოუკრბა, ამისთჳსცა ძლეულ იქმნა მუნებისაგან კაცობრივისა და სიკუდილი დაესაჯა ლმობილსა მწუხარებათაგან ფრიადთა.

მაშინ უკუე საკჳრველი საქმე იგი დიდი განისმა ყოველსა მას ქალაქსა მცხეთას და ვითარცა საცნაურ იქმნა, მეფესაცა და ყოველთა მთავართა, და ყოველსა ერსა და ყოველთა ერთბაშაჲ დაუკჳრდა საქმე იგი საშინელი. ხოლო ვითარცა იხილა ადერკი მეფემან წმიდა კუართი იგი, სთნდა უკუე ფრიად შუენიერებისა მისთჳს მისისა სამოსელი იგი შეემოსა შეგინებულსა მას გუამსა თჳსსა. ხოლო საკჳრველებისა მისთჳს და მის მიზეზისათჳს, რომელი-იგი იქმნა, არღარა უკუე ინება გამოღებაჲ მკერდისაგან მკუდრისა მის, ხოლო ელიოზ დამარხა დაჲ იგი თჳსი სანაცრელითა დამარხვითა. რამეთუ ერთბაშაჲ ვითარცა აქუნდა მკერდსა თჳსსა ზედა კუართი იგი, ეგრეთვე დამარხნა. ხოლო წმიდა იგი კუართი წმიდავე უკუე დაშთა, და წმიდავე გიეს ვითარცა პირველვე, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა"[1].

ჩვენ არ შევჩერდებით ამ ანალების სიძველის დასაბუთებაზე, რადგან ეს უკვე მშვენივრად დაამტკიცეს ორიენტალისტებმა[2].

ეს მატიანე (ქართლის ცხოვრება) გადაღებულ იქნა შემოკლებულად სომხურად სომხური ქრონიკის სახელწოდებით. მეცნიერებმა დღემდე ვერ შეძლეს ამ ნამუშევრის თარიღის დადგენა. მასში კვართის შესახებ ვკითხულობთ:

„ესმათ ეს სიტყვა და წავიდნენ: ელიოს მცხეთელი და ლუნკინოს კარსნელი. როცა ისინი მივიდნენ, შეესწრნენ უფლის ვნებას დიდ პარასკევ დღეს და მოიტანეს მათ უფლის კვართი მცხეთას"[3].

ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული ნაშრომი სათაურით „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ახლახანს აღმოჩენილი პატარა ქრონიკაა (1889). მასში ფაქტების თხრობა ალექსანდრე დიდიდან იწყება და IX ს-მდე აღწევს. დადასტურებულია, რომ ეს ხელნაწერი დაიწერა და გადაიწერა IX–X

1 Histoire de la Géorgie, თარგმნილი ბროსეს მიერ, St.-Pétersbourg, 1849 წ. I, გვ. 53. იხ. „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 35-37.

2 შდრ. Brosset, Mélanges Asiatiques, St.-Pétersbourg, 1864, ტ. 5, გვ. 57; Brosset, Histoire de la Géorgie, შესავალი, გვ. XIV–XVX.

3 Brosset, Addition à l'histoire de la Géorgie, St.-Pétersbourg, 1851, გვ. 13. იხ. „ქართლის ცხოვრება", ძველი სომხური თარგმანი. გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1953, გვ. 46.

სს-ში, ხოლო ნაშრომის I ნაწილი VII ს-შია შედგენილი (639—663).

ნაშრომს სწორედ ის ფურცელი აკლია, სადაც წმინდა კვართისა და ქართველების მოქცევის დაწვრილებითი ისტორიაა გადმოცემული. შემორჩენილია მხოლოდ IV ს-ის დასაწყისში მირიან მეფის მიერ ქრისტეს მცნებაზე მოქცევისას წარმოთქმული სიტყვა:

„კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა ცხოველისაო, რამეთუ ვინდა ცხორებაჲ ჩვენი, და ხსნაჲ ჩვენი ეშმაკისაგან, და აღგილისა მისგან მნელისა, ოდეს იგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალიმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი“[1].

“წმინდა ნინოს ცხოვრება“ იმავე ხელნაწერში შედის, სადაც მოთავსებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ისინი დაახლოებით მსგავსად გადმოგვცემენ წმ. კვართის ისტორიას, ალბათ ორივე ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის. ფიქრობენ, თითქოს წმ. კვართის ისტორია წმ. ნინოს კარნახით არის დაწერილი, მაგრამ ტექსტის მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ წმ. ნინოს სიკვდილის შემდეგ დაიწერა, თუმცა შექმნის ზუსტ თარიღს ვერ ადგენენ.

წმ. ნინოს მიერ მოქცეული მცხეთელი ებრაელი აბიათარი ამტკიცებს, რომ წმ. კვართის შესახებ წაუკითხავს და მამისგან გაუგია შემდეგი:

„ხოლო შემდგომად წელიწადთა მრავალთა ესმა მისწულსა აღერკი მეფისასა საქმე ესე და ძიება ჰყო მეფემან არმაზელ († 103) სამოსლისა მისთჳს ურიათა თანა და რაოდენიცა გულს მოდგინებაა არჩუენა ძიებისათჳს გარნა ვერ შეუძლო პოვნად, რამეთუ დაუბრმეს ფუალნი მათნი რათა ვერ ხედვდენ სიცრუისაებრ წინასწარმეტყუელისა“[2].

იმავე აბიათარის მიერ ნაამბობში, წმ. ნინო სანამ მირიან მეფეს ქრისტეს მცნებაზე მოაქცევდეს, მოუთხრობს ჩვენი უფლის ვნების შესახებ, შემდეგ კი ეუბნება:

„ჰოი მეფეო! ახლოს არს მიახლებაჲ შენი ღუთისა ცხოველისა, რათა შემდგომად მცირედისა თჳთ ჯიდრემე მგემელი სიცჳმოებისა ხმა

1 ე. თაყაიშვილი, „სამი ისტორიული ხრონიკა“, თბილისი, 1890, გვ. 17.

2 საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, სანკტ.-პეტ. 1832, გვ. 78. ჩვენ ხშირად დავასახელებთ ამ ნაშრომს. ეს არის კრებული ანუ ამონაწერები სხვადასხვა თხზულებიდან, რომლებიც ქართული ეკლესიის მამებმა შექმნეს სხვადასხვა ეპოქაში. ისინი გადმოგვცემენ წმინდანთა ცხოვრებას, წამებულთა მარტვილობას და სხვა მრავალ საეკლესიო საკითხს: საბინინმა ისინი ამოკრიფა იმ სხვადასხვა ხელნაწერიდან, რომლებიც რუსეთის მუზეუმებსა და საქართველოს ძველ მონასტრებში ინახება.

მაღლად მქადაგებელ იქმნე, დაღაცათუ ჯერეთ ყოველივე უცნაურ არს ჩვენდა და ამას თანა რამეთუ რომელი არს ამას ქალაქსა შინა, ჰოი ჩემო! უცნაურ სარ სარწმუნოებასა მას ღვთივ-მობრწყინვალესა ბალსა მას და საკურთხეველსა მისსა, რამეთუ ღმრთისაგან ყოვლისა სიმრავლით განმრავლებისაგან წინასწარვე განკურნებით მოანიჭა სამოთხედ მისა მისისა ქალაქსა ამას და მეუფებასა ჩვენსა დამარხსა, რათა ჩვენ მეორეთა სათნო ყოფითა ჩვენთა დღეთა ჩვე საცნაურ ქმნით იქადაგოს"[1].

ყველა ის დოკუმენტები, რომლებიც ქართველების მოქცევისას მათ მიერ წმ. კვართის თაყვანისცემას გადმოგვცემს, როდი მოაღწია ჩვენამდე. ვახუშტის გეოგრაფიაში მხოლოდ ამ რამდენიმე სიტყვას ვხვდებით:

„ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მთავრისთა, ხისა, სამოთხესა შინა თვისსა, სადაცა არს კვართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ"[2].

მაგრამ ცხადია, რომ მრავალი სასწაულთმოქმედების გამო წმ. კვართის კულტმა იმთავითვე დიდი გამოძახილი ჰპოვა. ამას მოწმობს ღრმა კვალი, რომელიც მან დღემდე გაავლო ქართული ეკლესიის ლიტერატურაში.

ქართლის მოქცევა უნდა აღნიშნულიყო ბრწყინვალე სასწაულით. ასეთი სასწაული იყო ეკლესიის მეშვიდე სვეტის სასწაულებრივი აღმართვა, რომელთანაც პირველნათლობა ხდებოდა. მეშვიდე სვეტის აღმართვამ წმ. კვართის ისტორიასთან ერთად, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მორწმუნეებზე: მათ უმალვე დაიწყეს ამ ორი საგნის განუყოფელ ერთეულად თაყვანისცემა. მოგვიანებით, წმ. კვართისა და სასწაულთმოქმედი სვეტის ხსენების უკვდავსაყოფად, ქართულმა ეკლესიამ საგანგებო დღესასწაული შემოიღო, რომელიც მისთვის უაღრესად ძვირფას, ასე ვთქვათ, ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ამ დღესასწაულს ახლაც ყველაზე დიდი ზეიმით აღნიშნავენ ოქტომბრის პირველ დღეს.

აი, რას ვკითხულობთ ქართულ სადღესასწაულოში (გამნი), რომელიც თბილისში უკანასკნელად 1866 წელს გამოიცა:

„ამასვე დღესა ჴსენება საკჳრველისა დიდისა და ღმრთივაღმართულისა სუეტისა და ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა საუფლოსა კუართისა, ქალაქსა შინა მცხეთასა"[3].

1 „საქართველოს სამოთხე", გვ. 82

2 ვახუშტი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", თ. ლომოურისა და ს. ბერძენიშვილის რედაქციით. 1941 წ., გვ. 61.

3 გამნი. 1866 წ. 1 ოქტომბერი, გვ. 232.

შემდეგ მოდის ორი ტროპარი:

„..კათოლიკე ეკლესიისა[1] დღესასწაული სუეტისა წმიდისა და კუართისა საუფლოსა, ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფლისათა უკუდავებად წმიდად მიართნსა კუწყაროებს, რომელნი წმიდასა ღმრთისმშობელსა და მისგან შობილსა ქრისტესა თაყუანისცემენ, რათა ვჰპოვოთ ცხოვრება სულთა ჩუენთა.

რომელი ჩუენთჳს ჯუარს-ეცუა და სიმშჳდე ჩუენი კუართისა თჳსისა მიმართ ყოვლად წმიდისა დაუკართულად წყალობით განკუთნულ ჰყო, მოვედით ერნო მცნობელნი მხოლოსა მის უკუეთელისა და ჳნმელისანი ვადიდებდეთ მორჩილთა შინა ერთად ქრისტესა მცნობელნი მისნი, და უგალობდეთ შენ[2] საო ღმერთი ჩუენი ყოვლად ძლიერი, კაცთმოყუარე და მაცხოვარი".

სხვა მსგავსი ტროპარებიც არსებობს. ქართული ეკლესიის მამებმა თავიანთ ნაწერებში უამრავი სასწაული აღრიცხეს, რომელთაც სასწაულთმოქმედ სვეტსა და წმ. კვართს მიაწერენ. მათი აქ ჩამოთვლა ქალზე შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტს მოვიყვანთ მცხეთის ეკლესიის შესახებ წარმოთქმული სიტყვიდან, რომელიც პატრიარქ-კათოლიკოსმა ნიკოლოზ I-მა დაგვიტოვა თავის სვინაქსარში:

... გიხაროდენ ჰოი, კუართო, რომელი საკჳრველებით შემოსილ ჰქმენ მას, რომელსა ცანი ვერ შემძლებელ არიან დატევნად, გარეშემოხუეულობითა შეუსაზღურებელსა მას ბუნებასა ღმრთაებისასა და შენ შორის საკჳრველებით დაიცევ ნათელ-ცისკროვანი იგი გუამი ღმრთაებისა, რომელი იგი ელვის სახედ კრთებოდა შენ შორის და მის მიერ გამომკრთოლვარითა ნათლითა ყოველი სოფელი განათლდებოდა უშურველად...

... გიხაროდენ ჰოი, კუართო საღმრთო, რომელ მცუელად და მფარველად მოენიჭე ნათესავსა ჩუენ ქართუელთასა ძისა ღმრთისაგან და მფარველო, არა ოდენ ვიდრემე გუამსა ღმრთაებისასა, არამედ უფროისღა შიშლოებასა სულთა ჩუენთასა ცოდვისა მიერ, რამეთუ სახსრად და წინდად ცხოვრებისა ჩუენისა წინასწარვე წარმოგავლინა ყოვლისა სიბრძნით განმგებელმან; რათა კეთილითა მით და სანატრელითა ეშკუეთ ქმნითა კეთილ მმართებელობით იყვანებდე სულსა ჩუენსა გზასა ჭეშმარიტებისასა...

გიხაროდენ ჰოი, კუართო გამოუთქმელო, ქუმითა კაცთმოყუარეთა ენათაგან, რომელი უკეთუ მონათა საგრაკნილნი ჴსრეთ იდიდებიან ვიდრემე ვითარცა საცნურ არს ჰაროჲნის შესამოსელთათჳს, მოსეს პირის

1 მცხეთის კათედრალურ ტაძარს უძველესი დროიდან დაუმკვიდრდა კათოლიკე ეკლესიის სახელი, რომელსაც ხშირად სვეტიცხოვლისაც უწოდებენ.

2 ქართული სადღესასწაულო, ჟურნ. 1866 წ. 1 ოქტომბერი, გვ. 234; იხ. „საქართველოს სამოთხე", გვ. 118.



1742 წელს, მოსკოვში „ქართული ბიბლიის" მიხედვით დაბეჭდილი საქართველოს სამეფო გერბი.

სამურველისათჳს, ელიას და იოანეს სალენისათჳს, პეტრეს და პავლეს სუდარ ვარძმამანგებისათჳს, ვინმე უკუე შეუძლოს შესხმაჲ დიდებისა შენისა, რომელსა ცანი ვერ დაიტევენ, თჳთ ღმერთი იგი დამბადებელი ყოველთა შენ შორის სათნო ყოფით დატევნულობდა, ჰოი, სამგზის სანატრელო კუართო საღმრთოო, რამეთუ თჳთ მემრ ესე ოდენ კმა არს შენდა ქებაჲ ღირსებით სახელის დება ოდენ ღუთისა შენ შორის კუართო საღმრთოო და საუფლოო"[1].

ქართველების ღრმა რწმენა, მათი ერთსულოვანი და უწყვეტი ტრადიცია მოწმობს, რომ ამ ქვეყანას წილად ხვდა ქრისტეს ვნებისთანავე მისი წმინდა კვართის მფლობელი გამხდარიყო. თუ ზეპირ გადმოცემას რაიმე ძალა აქვს ისტორიისათვის, ეს უთუოდ აქაც ჩანს და ამის გაუფასურება შეუძლებელია. ზეპირ გადმოცემას უდავოდ ისტორიული ფაქტები ასაზრდოებს, სხვანაირად, მისი გამართლება შეუძლებლად მიგვაჩნია. წმ. კვართის ამბავი ისე ეჭვმიუტანელია, ქართველმა მეფეებმა ამ რელიკვიას სამეფო გერბის ძირითადი, მთავარი ნაწილი დაუთმეს (ჩვენ აქ სამეფო გერბს გთავაზობთ)[2], გარდა ამისა,

1 „საქართველოს სამოთხე", გვ. 114-115.

2 ქართველ მეფეთა გერბები: შუაგულში მოთავსებულია სახელოვანი კვართი, რომელსაც გარს უვლის შემდეგი წარწერა: „კვართი იგი, რომელი იყო უკერველ". მარჯვნივ, ქვემოთ მოთავსებულია სასწორი, მარცხნივ კი დედამიწის სფერო თავზე ჯვრით — ქართველ მეფეთა რწმენის, ძალაუფლებისა და სამართლიანობის

თითქმის ყოველი სიგელ-გუჯარი მას შესავალშივე იხსენიებს[1].

ამ გადმოცემის სასარგებლოდ მეტყველებს აღმოსავლელი და დასავლელი მწერლების აბსოლუტური და საერთო დუმილი XI ს-მდე. სხვადასხვა საუკუნის ისტორიკოსები მეტ-ნაკლები სიზუსტით აგვიწერენ იესო ქრისტეს თითქმის ყველა ცნობილ რელიკვიასა და მათ გადაადგილებას. წმ. კვართის დასახელებას კი რატომღაც ერიდებიან. ამის მიზეზი საკმაოდ მარტივია, ჩვენი უფლის წამების შემდეგ არც ერთმა მწერალმა არაფერი იცის კვართის შესახებ.

ახლა იმის გაგებაღა დაგვრჩენია, რა გარდახდა მოგვიანებით წმ. კვართს, რომელიც ქართული გადმოცემის მიხედვით საქართველოში ჩამოიტანეს I ს-ის დასაწყისში.

საქართველო მუდამ ყველაზე სისხლისმღვრელი ომების ასპარეზი იყო. ქრისტიანობის დაუძინებელმა მტრებმა სპარსელებმა, არაბებმა, მონღოლებმა და თურქებმა მას რიგრიგობით დაატეხეს თავს თავიანთი მძვინვარება.

საქართველოს მტრების ბოროტება მით უფრო მატულობდა, რაც უფრო მეტ გმირულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ მოსახლეობის მხრივ, რომელიც მამაცურად იცავდა სამშობლოს და საკუთარი სისხლით განამტკიცებდა თავის სარწმუნოებას. არაბები ადრეული ხანიდან ესხმოდნენ თავს საქართველოს. 642 წლიდან ამირები დაეუფლნენ მას და ძირფესვიანად გაძარცვეს. ოთხი საუკუნის მანძილზე მძლავრობდნენ არაბები აქ თავიანთი ტირანული ძალაუფლებით. ჩვენ არ ძალგვიძს წარმოვიდგინოთ რამდენი სისხლი დაიღვარა ამ ხნის მანძილზე, რამდენი ტაძარი შეიმუსრა და რამდენი ავკაცობა მოხდა. აი, სწორედ მაშინ უნდა მიეტაცებინათ წმ. კვართი ბევრ სხვა რელიკვიასთან ერთად[2] მათ მძუსრავ ხელთაგან უნდა გადასულიყო წმ. კვართი მოგვიანებით ტრირის ეკლესიაში, თუ ტრირის ეკლესიას ნამდვილად ჰქონდა იგი. ჩვენთვის შეუძლებელია დავაზუსტოთ ამ მოვლენის თარიღი და ვითარებანი, რადგან არც ერთ ტექსტს, რომელიც წმ. კვართის

---

გამოსახულელი ემბლემები. ორ ლომს უჭირავს კვართი, უფრო ზევით კი გადაჯვარედინებულია ხმალი და სკიპტრა, რომელთა თავზეც მეფე დავითის (რომლის შთამომავლებადაც ქართველ მეფეებს მიაჩნიათ თავი) ქნარი და შურდულია. სულ ზევით კი ძვირფასი თვლებით შემკული გვირგვინია და განაპირა კუთხეებში ორი ყვავილი, როგორც ჩანს, დარჩენილი თავისუფალი სივრცის შესავსებად.

1 იხ. Brosset, Histoire de la Géorgie, შესავალი, გვ. CXII, CXVI, CXX, CXCIII, CXCX; Histoire moderne, ნაწ.II გვ. 458; Voyage Archéologique, Premier Rapport, St.-pétersbourg, 1850, გვ. 36 და 100; თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 142 და 231.

2 არაბ ავტორებთან ვკითხულობთ შემდეგს: „ქართველების მეფემ (დავითმა 1192-1193) ჯვარში შესთავაზა 200 000 ოქრო, მაგრამ მისი წინადადება არ მიიღეს" Anecdotes et beaux traits de la vie du Sultan Youssof,dans Recueil des historiens des Croisades, Auteurs orientaux, Paris, 1884, ტ. III, გვ. 299.

გაუჩინარებას გადმოგვცემს, ჩვენამდე არ მოუღწევია[1]. სამაგიეროდ რჩება ქართველების ერთხმა გადმოცემა, რის მიხედვითაც ჩვენი უფლის ვნებისთანავე საქართველოს წილად ხვდა წმ. კვართის მფლობელი გამხდარიყო, წმ. კვართისა, რომელსაც მრავალი საუკუნის მანძილზე თაყვანს სცემდა, მაგრამ ცხადია, დღეს აღარ ფლობს.

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია რელიკვიის რუსეთში გადატანის ვერსიაც კი. აი, რას წერენ ამ საკითხზე რუსი მწერლები:

„როდესაც სპარსეთის მეფე აბასი საქართველოს დაეუფლა, იგი მრავალ განძეულობასთან ერთად წმ. კვართსაც დაეპატრონა. შემდეგში, იმ მიზნით, რომ დამეგობრებოდა მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს, შაჰმა მას და პატრიარქ ფილარეტს 1625 წელს მოსკოვში საჩუქრად გაუგზავნა ჩვენი უფლის წმ. კვართი სხვა საგნებთან ერთად. კვართი რომ ნამდვილი იყო, დაადასტურეს ბიზანტიიდან მოსულმა ვოლოგდის არქიეპისკოპოსმა ნექტარმა, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილაქტემ და იოანე ბერძენმა, განსაკუთრებით კი უფლის მიერ გამომჟღავნებულმა სასწაულთმოქმედმა ნიშნებმა, რაც ავადმყოფებთან ამ რელიკვიის შეხებისას ვლინდებოდა. ამჟამად უფლის კვართის ორი ნაწილი პეტერბურგშია, ერთი ზამთრის სასახლის ეკლესიაში, მეორე – წმინდა პეტრე-პავლეს ციხის ეკლესიაში. დანარჩენი ნაწილები შენახულია მოსკოვის ამაღლების ტაძარში, მცირე ნაწილები კი კიევის წმ. სოფიის ტაძარში, კოსტრომის ახლოს, სამების მონასტრისა და ზოგიერთ სხვა ძველ ტაძარში“[2].

მართლაც, ცნობილია, რომ საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰ-აბასმა 1616-1618 წწ-ში ააოხრა ეს ქვეყანა და წაიღო ყველაფერი, რაც მას ძვირფასი და წმიდათაწმიდა ებადა. წმ. კვართის გატაცება კი არ შეეძლო, რადგან ეს წმ. ნაწილი უკვე აღარ იყო იმხანად საქართველოში. მაშასადამე, შაჰს რუსთა მეფისთვის უნდა ებოძებინა რომელიღაც წმ. ნაწილი და რადგან ამ პერიოდში საქართველოს ბევრი რელიკვია ჰქონდა და კვართის შესახებ გადმოცემაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა იქ, შესაძლოა ეფიქრათ, რომ შაჰის მიერ მიცემული წმ. ნაწილი სწორედ წმ. კვართი იყო. ამგვარად, რუსეთში ჩვენი უფლის წმ. კვართის არსებობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ლეგენდაა.

1 ჩვენ არ გვეხება იმის დადგენა, როდის და რატომ მოხვდა წმ. კვართი ტრირის ეკლესიაში. ამას ბატონ უილემის და მისი აზრის გამზიარებლებს მივანდობთ და ვთხოვთ, უკეთ მოიფიქრონ ეს საკითხი, ისე რომ არც აპოკრიფული თხზულებები და არც საეჭვო ჰიპოთეზები არ მოიშველიონ.

2 იხ. Полное Мѣсяцесловъ Востока. არქიმანდრიტ სერგის გამოცემა, ტ. II, გვ. 209. Мѣсяцесловъ, მალცევის გამოცემა, ტ. I, გვ. 773, ტ. II გვ. 550; Дни богослуженія православной Католической Восточной церкви, დებოლსკის გამოცემა, ტ. I, გვ. 99—103.

ამ ვრცელი მსჯელობის დასასრულს უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ შევძელით ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარმოდგენა ყოველგვარი კრიტიკის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ საქართველოს მიერ გამოვლილი გზა, აუარებელი გასაჭირი, რომელიც ამ ქვეყანას თავს დაატყდა და რომლის დროსაც უდავოდ აღიგავებოდა პირისაგან მიწისა ჩვენს საკითხთან დაკავშირებული საუკეთესო დოკუმენტები.

ამასთანავე, იმის სასარგებლოდ, რომ საქართველო დასაბამიდანვე წმ. კვართის მფლობელი იყო, მეტყველებს ყველა მწერლის საერთო დუმილი I ს-დან X ს-მდე (თუ არ ვიგულისხმებთ ტურელი გრეგუარის და მის მიმდევარი ფრედეგერის გადმოცემებს).

ამ დუმილს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც უფლის წმ. კვართია, ჩვენთვის პოზიტიური დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს.

დაბოლოს, რჩება ქართველთა გადმოცემა. თუმცა გადმოცემას ლეგენდის კვალი ატყვია, კავკასიელი ხალხის ღვთისმოსაობისათვის მაინც ძალზე ძვირფასია. ამასთანავე, სიძველითაც გამოირჩევა, რადგან დღემდე მოპოვებული საბუთები VII ს-ს აღწევს. გადმოცემამ განსაკუთრებით წარუშლელი კვალი დატოვა როგორც მღვდელმსახურებაში, ასევე ხალხის ადათ-ჩვევებში. ამის უარყოფა კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, პოზიტიური და ეჭვმიუტანელი დოკუმენტები რომ არსებობდეს.

# თავი V

## წმინდა ანდრია მოციქული საქართველოში

**შინაარსი. – I. ქართული გადმოცემა წმინდა ანდრიას მოციქულობის შესახებ. – II. პროფესორ ჯავახიშვილის კრიტიკული შეხედულება. ამ კრიტიკის პასუხი. – III. ცნობები წმინდა ანდრიას მისიაზე. ცნობები ზოგიერთი სხვა მოციქულის მისიაზე.**

საქართველო ერთი იმ ბედნიერ ქვეყანათაგანია, რომელნიც მოციქულებს მოურწყავთ თავიანთი ოფლით და რომელთაც მაცხოვნებელი სიტყვა თვითონ იმათგან მიუღიათ, ვისაც უნახავს და მოუსმენია კაცთა მოდგმის მაცხოვრისათვის.

### I. – ქართული გადმოცემა წმინდა ანდრიას მოციქულობის შესახებ

როდესაც მოციქულები მოეფინნენ მთელს ქვეყნიერებას დასაუფლებლად და გარდასაქმნელად, ერთი მათგანი — წმინდა ანდრია კავკასიისაკენ გამოემართა და საქართველო აღმოჩნდა მისი სამოღვაწეო ასპარეზი. ამას აღიარებს ერთხმად ყველა ქართული გადმოცემა. ამას მოწმობს ქართული ეკლესიის მამათა ყველა ნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, და ამასვე ამტკიცებენ ბერძენი მწერლებიც.

თუმცა ამ ბოლო ხანებში პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთმა ქართველმა პროფესორმა ამ ძველ გადმოცემას ლეგენდა უწოდა. ჩვენ დავეთანხმებოდით მის დებულებას, დამაჯერებელ არგუმენტებს რომ ემყარებოდეს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დასაბუთება სარწმუნო არ ჩანს და შეგვიძლია ისევ ტრადიციის პოზიციაზე დავრჩეთ, ტრადიციისა რომელსაც თავისი სპეციფიკა აქვს. აი, ეს ტრადიციაც „ქართლის ცხოვრებაში" ვრცლად მოთხრობილი:

„და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა. და ჩუენებით ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩუენი, და რქუა: „ჵ, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთჳს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა-წარაცვანე ხატი შენი ვითარიცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკჳდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“.

მაშინ რქუა ყოვლად-წმიდამან მოციქულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასხუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილ-ხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“.

რქუა მას მოციქულმან: „ყოვლად-წმიდაო, ნება სახიერისა ძისა შენისა და შენი იყავნ ყოველსა ჟამსა“. მაშინ ყოვლად-წმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თჳსსა. და გამოისახა ხატი ესევითარი, რომელი წიაღთა თჳისთა ეტჳრთა განკორციელებული ჩჩჳლი, ყოვლად სახიერი სიტყუა ღმრთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლად-წმიდისა აწყუერისა ღვთისმშობელისა. და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და რქუა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხჳდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“. მაშინ დავარდა მოციქული ქუეყანად, და მადლი შესწირა ცრემლითა ყოვლად-წმიდასა, და გამოვიდა მიერ სიხარულით, და წარემართა ქადაგებად სახარებისა.

... ადერკის მეფობასა შინა (2 წ. ქრისტეს დაბადებამდე— 55 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ) მოვიდა... ანდრია ქალაქად ცრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა-იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკჳდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა. რამეთუ კაცნი პირუტყუთა უგუნურეს იყვნეს და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, და ყოველსა საძაგელსა და არაწმიდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადაც უჯერო არს. და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოეცენა წყაროდ თუალად შუენიერი და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესცა დაუწყუედლად აღმოსდის. და

შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით-კერძო მკჳდრნი მის ქუეყანისანი, და ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და დაადგინნა მღდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისასა. და ვითარცა ესმა წმიდასა მოციქულსა მიერ წარსლვა, ევედრებოდეს და არა უტევებდეს წარსლვად, არამედ ეტყოდეს: „უკუეთუ შენ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა აქა დაგჳტევე, სასოდ და მცველად ჩუენდა“. ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა. და მეყუსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაისვენეს ეკლესიასა შინა თჳსსა პატივით, რომელი-იგი ვიდრე დღესაქამომდე ჰგიეს. ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მეჴდომა და მოწლედ მოიკითხეს, ამბორს უყვეს და წარმოგზავნეს.

ხოლო იგი წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის-ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თჳთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ობრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა. მიხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი, რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს. ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა და მოიწია აწყუერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და პირისპირ საქრისი. და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძუელ-ეკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი. ხოლო მთავრობდა მაშინ დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი, რომელსა ერთი ოდენ ძე ესუა და ყოველი სასოება მისი მისსა მიმართ მობრავობდა, და მას ოდენ ჟამსა მომკუდარ იყო. და იყო ვაება ტირილისა და შფოთი ფრიად მრავალი. და ღამესა მას იხილეს ციხითგან ნათელი დიდი, სადა ესვენა ხატი ყოვლად წმიდისა, განჰკჳრდეს ფრიად ვინაობასა მათსა. და რა განთენდა, მსწრაფლ წარმოგზავნეს კაცნი, რათამცა იხილონ თუ ვინ არიან, ანუ რაჲ არს. და ვითარცა იხილეს კაცთა მათ წმიდა მოციქული და ხატი ყოვლად-წმიდისა, მსწრაფლ წარვიდეს და აუწყეს ქურივსა მას დედაკაცსა, ვითარმედ: „უცხონი ვინმე კაცნი არიან, და უცხოსა ღმერთსა ქადაგებენ შემოქმედად და დამბადებელად, და სიცოცხლესა კაცთასა მომნიჭებელად, და მკუდართა აღმადგინებელად, და ჰყავს მათ ხატი შუენიერი და მას პატივს-სცემენ.

ვითარცა ესმა სიტყუა ესე მკუდართა აღდგომისა დედაკაცსა მას, განჰკჳრდა და მცირედ რამე ნუგეშინის-ეცა გულსა მისსა, წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად მოციქულისა, რომელი ვითარცა მოვიდა, ჰრქუა დედაკაცმან, ვითარმედ: „ვინ ხართ, ანუ სადა მოხვალთ, ანუ რაჲ არს უცხო ეგე მოძღურება თქუენი, რომელსა იტყჳთ, რამეთუ არა-სადა სმენილ არს ესევითარი თხრობა“. მიუგო წმიდამან მოციქულმან და ჰრქუა: „მოვალ წმიდით ქალაქით იერუსალემით, სადა დასდგეს ფერჴნი უფლისანი, გოლგოთას და ბეთლემს, ცათა მომამავალთა, და მონა ვარ

და მოციქული უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი ჴმის-ყოფით აღადგენს მკუდართა, და მას ვჰქადაგებ ღმრთად და უფლად და მპყრობელად ყოველთა დაბადებულთა. და რომელსა ჰრწმენეს იგი და ნათელს-იღოს სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ყოველი რაოდენი ითხოვოს სარწმუნოებით მიეცემის, და ყოველთა სენთაგან განიკურნების".

ხოლო ვითარცა ესმა ესე დედაკაცსა, დავარდა ქუეყანად და ჰრქუა ცრემლით მოციქულსა: „შეიწყალე სიქუროვე ესე ჩემი და უმადლოებაჲ; ვინათგან მონა ხარ მკუდართა აღმადგინებელისა, ილოცე ღმრთისა შენისა მიმართ, და მიანიჭე შვილსა ამას ჩემსა სიცოცხლე, და ყოველი რაოდენი მიბრძანო, გისმინო, და არა ურჩ გექმნე, უკუეთუ ძე ჩემი აღდგომილი ვიხილო. რამეთუ ესე მხოლოდ მივის და სხუა არა". ხოლო წმიდამან მოციქულმან მიუგო და ჰრქუა: „უკუეთუ გრწმენინ იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, ჭეშმარიტი ღმერთი, რომელი იქადაგების ჩუენ მიერ, რაოდენიცა-რა ითხოვო სარწმუნოებით, ყოვლითვე მოგეცემის მის მიერ. ხოლო დედაკაცსა მას ვითარცა ესმა ესე, აღივსო სიხარულითა, და ცრემლით ჰრქუა მოციქულსა მას: „ჵ, მონაო ჭეშმარიტისა ღმრთისაო, ჭეშმარიტად მრწამს და აღვიარებ იესუ ქრისტესა, რომელსა შენ ქადაგებ, არამედ შეეწიე ურწმუნოებასა ჩემსა".

ხოლო მოციქულმან გამოასხა ყოველი იგი ერი და მგოსნები, და არავინ უტევა მუნ, გარნა ქუროვი იგი და მცირენი საკუთარნი მისნი, და მიიქუა კელთა ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობელისა, და დაასუენა ცხედარსა მას ზედა, სადა იდვა ყრმა იგი. და იწყო ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მიმართ კელ-აღპყრობით. და შემდგომად ლოცვისა უპყრა კელი ყრმასა მას და, ვითარცა ძილისაგან, ეგრეთ აღადგინა იგი და მისცა დედასა მისსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა უცხო ესე სასწაული, განკჳრდეს ფრიად და თქმად რასამე ვერღარა იყვნეს.

ხოლო დედაკაცმან ვითარცა იხილა ძე თჳსი განცოცხლებული, სიხარულით აღსდგა და დავარდა ფერჴთა თანა მოციქულისათა, ცრემლით თაყვანის-სცა და მადლი შესწირა, და ჰრწმენა უფალი იესუ ქრისტე, და ნათელს-იღო დედაკაცმან ძითურთ და ყოვლით სახლეულით თჳსით. და მსწრაფლ წარავლინნა მონანი თჳსნი, და წარსცა წიგნები სამცხისა მთავართა მიმართ, და მიუწერა ესრეთ: „აჰა, ქუროვი გახარებ, მპანო, სიხარულსა დიდსა ყოველთა ერთა. მო-ვინმევიდა კაცი ერთი უცხოსა ქუეყანისაგან, რომელი უცხოსა ღმერთსა ქადაგებს, და ჰყავს მას ხატი ზეცისა, რომელმან ძე ჩემი მომკუდარი აღადგინა. აწ უკუე მსწრაფლ მოვედით, რათა უმჯობესი წესი და სჯული ვამოვარჩიოთ და ვცნათ, თუ რაჲ ჯერ არს.

და ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკჳრველი, მსწრაფლ შეკრბეს ყოვლით-კერძო, და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადი ვიდრემდის აღივსო ველი იგი საქრისისა. და განკჳრდა ყოველთა, იხილეს რა ძე იგი ქუროვისა აღდგომილი მკუდრეთით.

ხოლო იყო ქალაქსა მას შინა მოშენი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს მილწნი ღმერთნი, მათნი, არტემი და აპოლონ. და ვითარცა იხილეს საქმე ესე მღდელთა მათ სიცრუვისათა, აღივსნეს

შურითა და იწყეს ცილობაჲ და წინააღმდგომაჲ მოციქულისა, ეგრეთვე ერი იგი რომელნიმე იტყოდეს: „ჯერ არს თაყვანისცემაჲ რომელმან ესევითარი სასწაული აღასრულა“, ხოლო რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი“. და იყო ცილობა და შფოთი მათ შორის, ვიდრემდის ესევითარი საქმე და მჭობა დაამტკიცეს თანამოწამებითა ყოვლისა ერისათა. და ჰრქუა: „განაღეთ კარი საკერპოჲსა მაგის ტაძრისა, და შევასვენოთ ჩუენ ხატი ესე შუა კერპთა თქუენთა და დავბეჭდოთ ზოგაჲ ორთავე კარსა ზედა, და მცველნი დაადგინენით, და ილოცეთ თქუენ ღამესა ამას ღმერთთა მიმართ თქუენთა. ხოლო ჩუენ ვილოცოთ იესო ქრისტეს ჭეშმარიტისა ღვთისა ჩუენისა მიმართ, და ვიხილოთ ჩუენ განთიად: უკუეთუ სძლოს ღმერთმან თქუენმან, მისი ჯერ იყოს თაყვანის-ცემა; ხოლო უკუეთუ სძლოს ღმერთმან ჩუენმან, მას თაყვანის-ვცეთ ყოველთა“.

და დაასკუნეს ესე ესრეთ. შეასვენეს ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა შუა კერპთა მათთა და დაბეჭდეს კარსა ზედა, და მცველნი დაადგინნეს. და იწყეს ლოცვაჲ მღდელთა მათ სიცრუვისათა. და წმიდამან ილოცა ქრისტეს მიმართ ჭეშმარიტისა ღვთისა ჩუენისა. და ვითარცა განთენა და განაღეს კარი საკერპოსა, იხილნეს ყოველნი კერპნი მათნი ქუეყანად დათხეულნი და სახედ მტუერისა შემუსრვილნი. ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა მრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა.

მაშინ მღდელნი იგი კერპთანი აღივსნეს სირცხჳლითა, და უმეცრებისა მათისათჳს შენდობასა ითხოვდეს მოციქულისაგან. და ყოველმან ერმან მადლობისა ხმა აღმოუტევეს და თქუეს, ვითარმედ: „დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა, რომელსა მოციქული ანდრია ქადაგებს“. და ჰრწმენა ყოველთა უფალი ჩუენი იესო ქრისტე და სიხარულით ნათელს-იღეს ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შინა ყოვლისა მის ერისა, და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან იჴსნა იგინი ხელთაგან ეშმაკისათა.

ხოლო წმიდა მოციქულსა ენება კუალად წარსლვა სხუათაცა ქალაქთა და სოფელთა ქადაგებაჲ სახარება ქრისტესი. ხოლო დედაკაცი იგი და ზოგაჲ ყოველი ერი ევედრებოდეს, რათა არა განეშოროს მათგან, არამედ დღითი-დღე ასწავებდეს წესსა სჯულისასა. და მოციქულიცა ერჩდა მათ და ჟამ რაოდენმე დაადგრა მათ თანა, და ასწავა მათ ყოველი წესი სჯულისა და სარწმუნოებისა. და დაუდგინნა ეპისკოპოსი, მღდელნი და დიაკონნი, და კუალად განემზადა ქადაგებაჲ სახარებისა.

და კუალადცა ევედრნეს ქურივი იგი დედაკაცი და სრულიად მესხნი, რათა არა განეშოროს მათგან. ხოლო წმიდამან ანდრია მიუგო და ჰრქუა: „სხუათაცა ქალაქთა და სოფელთა ჯერ არს ჩემდა ქადაგებაჲ სახარება უფლისა“. ხოლო მათ ჰრქუეს: „უკუეთუ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა აქა დაგჳსვენე სასოდ და მცველად ჩუენდა“. მიუგო მოციქულმან და ჰრქუა, ვითარმედ: „ხატი ესე თჳთ ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა პირსა ზედა დადებით გამოსახულ არს“. და მიუთხრა ყოველივე შემდგომითი-შემდგომად, ვითარ-იგი შემდგომად ამაღლებისა

უფლისა წილ-იგდეს წმიდათა მოციქულთა ყოველი ქუეყანა მოსაქცევ-ველად, და ვითარ-იგი ყოვლად-წმიდასა ღვთისმშობელსა წილ-ხუდა ქუეყანა ესე სამცხისა, და მის მიერ წარმოგზავნილი არს აქა ხატი იგი სახედ და მცველად წილ-ხუდომილთათჳს და ჯუარითცა ეგრეთ არს, რათა დაესუენოს აქა მკჳდრად უკუნისამდე ჟამთა.

და ვითარცა ესმა ესე მოციქულისაგან ქურივსა მას და მესხთა, უმეტესითა სიხარულითა აღივსნეს, ცნეს რა წილხდომა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა, მადლი შესწირეს ქრისტესა და უმიწოდ მშობელსა მისსა, და უმეტესი სიყუარული და სურვილი სურვილსა ზედა შესძინეს წმიდისა ამის ხატისა, და ცრემლითა სიხარულით ადიდებდეს მას. და დაასუენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყუერის ღვთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძუელ-ეკლესიად სახელ-სდებენ.

ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია მოიკითხნა ყოველნი სიმდაბლით და სიყუარულით, მისცა მშჳდობა და წარემართა სხუათაცა ადგილთა ქადაგებად სახარებისა, ნიგლას, კლარჯეთს და არტაჰან-კოლას, სადა-იგი დაყო ჟამი ფრიად მრავალნი, და განანათლა სიცრუეთა მობლურებისა მისისათა, და შეწირნა უფალსა წმიდისა ნათლისღებისა მიერ. მიერ წარვლნა გზანი კლარჯეთისანი ქუეყანანი პართისანი, რომელ არს სომხითი, და აღვიდა იერუსალემად, აღსრულებად პასქისა.

ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინნა ერისთავნი მისნი, და იძულებით კუალადვე მიაქცივნა მეგრელნი. და დამალნეს ხატნი და ჯუარნი, და შერისხნა მეფე ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშჳდობით განუტევა ანდრია მოციქული.

ხოლო ვითარცა აღესრულა დღესასწაული მარტკლისა, წარმოვიდა მუნით დიდებული ანდრია სხუათა მათ თანა მოციქულთა, მოვიდოდეს ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა, და ესრეთ მიიწივნეს ქუეყანასა ქართლისასა. და მერმე წარვლეს ცაოს კერძი ქუეყანა და ვიდრე მდინარედ ჭოროხადმდე, ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს, და დაუცადებელად ქადაგებდეს სახელსა ღვთისასა. და ესრეთ ქადაგებითა მიიწივნეს სვანეთისა ქუეყანასა.

ხოლო მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგება მოციქულთა. და მაცათა სხუათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა. ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ქუეყანასა ოვსეთისასა, და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფოსტაფორი, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალნი ერნი მოაქცივნეს და განანათლნეს, მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მოვიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი. და უქადაგეს სიტყუა ღვთისა, და მრავალთა შეიწყნარეს.

და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრია სიმონ კანანელი სხუათა თანა მოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად აღვიდა. ხოლო კაცნი მის ქუეყანისანი ჯიქნი იყვნეს კაცნი ფიცხელნი გულითა და საქმეთა შინა

მოროცთა განძჳრდილნი, ურწმუნონი და უძღებნი. რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკლვა მისი. ხოლო მადლმან ღმრთისამან დაიცვა და იხილა რა მიუდრეკელობა მათი და პირუტყუებრივი გონება, დაუტევა და წარვიდა. ამისთჳს ვიდრე აქამომდე ურწმუნოებასა შინა არიან. ხოლო სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სჳმონ კანანელი.

ხოლო კუალად განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკჳთედ"[1].

## II. – პროფესორ ჯავახიშვილის კრიტიკული შეხედულება. ამ კრიტიკის პასუხი

ასეთია ხალხური ტრადიცია. მუდამ პატივი უნდა ვცეთ იმას, რასაც წინაპარნი გვამცნობენ, და უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ არც ცოდნა აკლდათ და ერთგულად და სათუთადაც ინახავდნენ მას, რაც წინაპართაგან გაეგონათ. მაგრამ ჩვენ აღკვეთილი არა გვაქვს ვიკამათოთ, მივმართოთ კრიტიკის უმკაცრეს წესებს ნამდვილის მცდარისაგან გასამიჯნავად, საეჭვოს უეჭველისაგან გამოსაყოფად. ამრიგად, განვიხილავთ ამ გადმოცემას, რომელიც ორ ნაწილს შეიცავს: წმინდა ქალწულის მისიასა და წმინდა ანდრიას მოციქულობას.

საქართველოსთან დაკავშირებით ღვთისმშობლის მისია სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ნამდვილ ხალხურ ლეგენდად მიგვაჩნია. ქართული ტრადიციის გარდა არც ერთი ძველი ბერძენი, თუ რომაელი ავტორი არ მოგვითხრობს წმინდა ქალწულის ამ მისიაზე, რომელიც, სხვათა შორის მხოლოდ და მხოლოდ კარგად ცნობილი ლეგენდარული თემის ვარიანტია.

რაც შეეხება გადმოცემის მეორე ნაწილს, კერძოდ წმინდა ანდრიას მოციქულობას საქართველოში, არაფერი გვიშლის ხელს, რომ ვირწმუნოთ. ჩვენ არ ვამტკიცებთ, თითქოს იგი სრულიად მოკლებულია ინტერპოლაციებსა და გაზვიადებას, და სხვა. ასეც არის მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ საერთოდ ძველ ავტორთათვის დამახასიათებელ თვისებას, წინაპართაგან მიღებულს სახე უცვალონ, დაუმატონ თავის მხრივ, გააზვიადონ. მხოლოდ ფაქტს ვადასტურებთ და სულაც არ გვინდა დაწვრილებით მოვყვეთ, სად და როგორ იქადაგა ანდრიამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ძველად საქართველო მეტ პროვინციას მოიცავდა, ვიდრე ახლა. შეუძლებელს აქ ვერაფერს ვხედავთ: უფრო მეტიც, თუ წმინდა მოციქულის გულმოდგინებისა და

1 Histoire de la Géorgie. თარგმნილია ბროსეს მიერ. ტ. I. გვ. 55-61. იხ. „ქართლის ცხოვრება". ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. I. თბილისი. 1955, გვ. 38-43.

მისთვის დაკისრებული მისიის მიხედვით ვიმსჯელებთ. ვფიქრობ, იგი უეჭველად გაივლიდა საქართველოს მიწა-წყალზე. თუმცა ყველა ამ აზრის როდია. ქართველმა პროფესორმა ბატონმა ჯავახიშვილმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კატეგორიულად უარყო ეს გადმოცემა და იგი თქმულებებს მიაკუთვნა[1] ბატონი ჯავახიშვილი თავის დებულებას ამყარებს შემდეგ საბუთებზე, რომელთაც აქ მოკლედ გაგაცნობთ:

1. რუფინუსის (†395) ისტორიაში, სადაც ლაპარაკია წმინდა ნინოს მიერ საქართველოს მოქცევის შესახებ, წმინდა ანდრია ნახსენები არ არის;

2. პეტრე იბერის († 513), მაიუმის (პალესტინაში, ღაზას მახლობლად) ეპისკოპოსის ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი წმინდა ანდრიას მისიის შესახებ;

3. არაფერს გვეუბნება არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (დაწერილია VII ან VIII საუკუნეებში);

4. წმინდა ნინოს ცხოვრების (VIII ან IX საუკუნე), აპოკრიფულ შესავალში ნათქვამია:

„ესერა გჳსწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოველნი არიან წინაწარმეტყუელნი პირველ მოსვლადმდე ძისა ღმრთისა ქუეყანად. და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოცდაათორმეტნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ“.

5. ქართველებმა IX ს-მდე არაფერი იცოდნენ საქართველოში წმინდა ანდრიას მისიის შესახებ. დავამ, რომელიც ათონის მთის, პალესტინისა და სხვა მონასტრების ქართველ ბერებს ჰქონდათ ბიზანტიის სამღვდელოებასთან თავიანთი ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ, ქართველებს ყურადღება მიაპყრობინა წმინდა ანდრიას მისიაზე, რომლის დღესასწაულის აღნიშვნაც განსაკუთრებით საზეიმოდ დაიწყეს. ამ შემთხვევასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართველთა შორის წმინდა ანდრიას საქართველოში მქადაგებლობის შესახებ აზრის გავრცელება. აი, დაახლოებით ბატონი ჯავახიშვილის მსჯელობა. ამ არგუმენტების გასაბათილებლად სულ რამდენიმე სიტყვაა საკმარისი.

1. მართალია, რუფინიუსის ისტორიაში არაფერია ნათქვამი წმინდა ანდრიას შესახებ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ლაპარაკია საყოველთაო, საბოლოო, ასე ვთქვათ, ოფიციალურ მოქცევაზე. მართლაც, მეფე ბაკური უბრალოდ უყვება რუფინიუსს წმინდა ნინოს მიერ პაპამისისა და მის თანამემამულეთა მოქცევის

1 „მოამბე“, თბილისი, 1900 წ. №VI, გვ. 35-50.

შესახებ და გაკვრითაც კი არაფერს ამბობს წმინდა ნინოს მოსვლის არც წინა და არც შემდგომ პერიოდზე. არავის მოსვლია აზრად ემტკიცებინა, თითქოს მთელი ქართველი ერი თავის მეფიანად წმინდა ანდრიამ მოაქცია, ანდა საბოლოოდ დააფუძნა აქ ქრისტიანობა. ამრიგად, არ არის აუცილებელი, რომ რუფინუსისთვის ქართველი უფლისწულის მიერ მოთხრობილ ამ მოკლე ამბავში ლაპარაკი ყოფილიყო ანდრიას საქართველოში ქადაგებაზეც, და თუ მის შესახებ არაფერია ნათქვამი, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ უარვყოთ ანდრიას ქადაგება ქართველთა შორის.

2. არც ის არის აუცილებელი, პეტრე იბერის ცხოვრებაში (თანაც აპოკრიფულში) იყოს მოთხრობილი წმინდა ანდრიას შესახებ: აქ ლაპარაკია საქართველოს მოქცევაზე, მაგრამ, ისევე როგორც რუფინუსის ისტორიაში, საქმე ეხება საყოველთაო და საბოლოო მოქცევას. ამრიგად, ვერაფერს დავასკვნით წმინდა ანდრიას მქადაგებლობის საწინააღმდეგოდ.

3. ყველაზე ძლიერი საბუთი, რომელსაც ეყრდნობა ბატონი ჯავახიშვილი, ამოღებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-დან. ეს ახლახან აღმოჩენილი ხელნაწერი, მხოლოდ 14 გვერდს რომ შეიცავს, მატიანეა, რომელიც ალექსანდრე დიდით იწყება და IX ს-მდე აღწევს. ხელნაწერს ერთი გვერდი აკლია, სწორედ ის გვერდი, რომელიც უნდა შეიცავდეს დეტალებს ხალხის მოქცევისა და წმიდა კვართის შესახებ, თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ამ გვერდს წინ უძღვის და მოსდევს. არაფერი გვაბრკოლებს ვივარაუდოთ, რომ დაკარგულ გვერდზე უნდა ყოფილიყო ცნობები წმინდა ანდრიას შესახებ. მაგრამ, სინამდვილეში ამ წმინდანის ხსენებაც კი რომ არ ყოფილიყო აღნიშნულ გვერდზე, ეს განა საკმარისია, დავასკვნათ, წმინდა ანდრიას მოციქულობა საქართველოში ლეგენდებს განეკუთვნებაო? ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ამ ამბავში, ცხადია, ისევ წმინდა ნინოს მიერ მთელი ერის საყოველთაო და საბოლოო მოქცევაზეა ლაპარაკი და არა იმაზე, თუ რა ქადაგება უძღოდა ნინოს მოსვლას. გარდა ამისა, აღვნიშნავ, რომ ამ პატარა ხელნაწერში ქრისტიანობაზე საუბარი იწყება მხოლოდ კონსტანტინე დიდის მოქცევისა და ნათლობის შემდეგ, გაკვრითაც კი არაფერია ნათქვამი არც იესო ქრისტეს მოსვლისა და წამების შესახებ, არც მოციქულთა ქადაგებაზე. ამრიგად გასაკვირი არ არის, თუ არაფერია ნათქვამი წმინდა ანდრიას მისიის შესახებ საქართველოში.

4. წმინდა ნინოს ცხოვრების აპოკრიფული წინასიტყვიდან მოტანილი არგუმენტის დამოწმება სერიოზული საბუთი არ არის. მართლაც ცხადია, წინასიტყვა შეითხზა წმინდანის პატივსაცემად, მის განსადიდებლად, ქრისტიანობის გავრცელებაში მთელი გამარ-

ჯვების მისთვის მისაწერად და არა ისტორიული ჭეშმარიტების გადმოსაცემად. მაგრამ მართალი არ არის, თითქოს საქართველოში წმინდა ნინოს მოსვლამდე არაფერი იცოდნენ წინასწარმეტყველითა და მოციქულთა არსებობასა და იესო ქრისტეს მოსვლაზე, აღარაფერს ვამბობთ საქართველოში მოტანილი წმინდა კვართის შესახებ. წინა თავის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართველები უკვე იცნობდნენ პალესტინაში მომხდარ ყველა დიდ მოვლენას უამრავი ებრაელის მეშვეობით, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI თუ V საუკუნიდან, ანდა კიდევ ჩამოსახლებულან ტიტუსის მიერ (ჩვენი წელთაღრიცხვის 70 წ.) იერუსალიმის დაქცევის შემდეგ[1]. ამ ფაქტის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა ბაგრატიდების დინასტია საქართველოს მეფეებისა, რომელნიც ებრაული წარმომავლობის არიან, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, პოლიტიკური ისტორიის ცნებებზე მსჯელობისას. საქართველოს ებრაელებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ იერუსალიმელ და პალესტინელ ებრაელებთან. ამრიგად, განა შეიძლება დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა მივანიჭოთ მოტანილ ნაწყვეტს, როცა თვითონ ბატონი ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ეს წინასიტყვა წმინდა აპოკრიფული ხასიათისაა?

5. ბატონ ჯავახიშვილის მიერ მოტანილი ბოლო საბუთიც არ არის ღირებული. ვთქვათ, პალესტინისა და ათონის მთის ქართველმა ბერებმა მართლა მიაპყრობინეს ბერძნებს ყურადღება წმინდა ანდრიას მისიაზე, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ეკლესიის დამოუკიდებლობა ბერძენთა ხელყოფისაგან. იმ დროიდან მოყოლებული, ალბათ, ეძებდნენ ბერძენ და აღმოსავლელ ავტორებთან საბუთებს თავიანთ სასარგებლოდ და რა სარგებელს მოუტანდა მათ უსაფუძვლო, ან საგანგებოდ შეთხზული არგუმენტები? მოწინააღმდეგეები ხომ ადვილად გააბათილებდნენ ამ არგუმენტებს: ბერძნებს არ გაუჭირდებოდათ გამოემჟღავნებინათ ქართველი ბერების მტკიცების უძლურება. არა გვაქვს იმის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბერძნები ისე უვიცნი იყვნენ, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდნენ ნამდვილსა და ყალბ საბუთებს. თანაც ძნელია იმის დაჯერება, წმინდა ანდრიას მოციქულობის შესახებ თქმულება უეცრად გავრცელებულიყო საქართველოში IX საუკუნეში, როგორც ბატონი ჯავახიშვილი აღნიშნავს. ეს იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ხსენებული ბერები დიდი მატყუარები იყვნენ, ხოლო ქართველები ძალიან გულუბრყვილონი. არ გაგვა-

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, „სამი ისტორიული ქრონიკა", თბილისი, 1890, გვ. 90.



ბიჭვინთის ეკლესია (დასავლეთ საქართველოში), რომლის დაფუძნებაც წმინდა ანდრიას სახელთან არის დაკავშირებული, აღდგენა კი იმპერატორ იუსტინიანესთან. თეატინელი პ.კასტელის 1635-1648 წლების ნახატის მიხედვით.

ჩვია სამაო ვფიქრობთ, ან ერთნი, ან მეორენი იმსახურებდნენ ამგვარ საყვედურს.

დავუმატებთ, რომ საქართველოში ბევრ სოფელს ჰქვია წმინდა ანდრიას სახელი. ხოლო ამ მოციქულის ქადაგების იდეა თუ უეცრად მოედებოდა საქართველოს, მაშინ ანდრიას სახელის ასე გავრცელება გაუგებარი იქნებოდა[1].

ამ საკითხზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. რაც ახლახან ვთქვით, საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ბატონი ჯავახიშვილის არგუმენტებს ჯერ კიდევ ბევრი აკლია, რათა დამტკიცებულად მივიჩნიოთ.

## III. – ცნობები წმინდა ანდრიას მისიაზე. ცნობები ზოგიერთი სხვა მოციქულის მისიაზე

ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს იმ ქვეყნების მიმოხილვა, სადაც წმინდა ანდრიას უქადაგია სახარება. განვიხილავთ მხოლოდ იმას, რაც ასე თუ ისე საქართველოს შეეხება. ყველა მწერალი, ძველი თუ თანამედროვე, ერთხმად აღიარებს, რომ წმინდა ანდრიამ იქადაგა სახარება სკვითეთში.

„რომელსაც წმინდა მოციქულნი და მოწაფენი მაცხოვრისა ჩვენისა, წერს

1 ჩვენ აქ შემოგთავაზებთ ჩანახატს ერთი ძველი ეკლესიისას, რომლის დაფუძნებას მიაწერენ წმინდა ანდრიას. მოგვაქვს რამდენიმე ნაწყვეტი დიუბუა დე მონპერეს აღწერიდან: „გავდივართ ნაპრალებიანი კვადრატის ფორმის დიდ გალავანში ჩატანებულ ცანგრეულ კარიბჭეში და ჩვენს წინ იშლება ნანგრევები, ერთ-ერთი უდიდებულესი და უთვალწარმტაცესი, რაც ოდესმე მინახავს. აღფრთოვანებით მესაუბრებოდნენ ამ ტაძარზე, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა: გვაოცებს ეს კეთილშობილი და თამამი სტილი ველურ აფხაზთა გარემოცვაში. სამივე მხრიდან აგურის გუმბათს სამი მაღალი ფრონტონი ეკვრის. აღმოსავლეთით სამი ნახევრად წრიული მკლავი გამოხატულია სამი აფსიდით, რასაც ვხვდებით კიევის წმინდა სოფიის ეკლესიასა და ბიზანტიურ ეკლესიებში. ჯერ კიდევ ვერ შესძლებიათ შენობის ამ ნაწილისათვის სომხური და ქართული ეკლესიების მოხდენილი სახე მიეცათ.

რაც ყველაზე უფრო ახდენს შთაბეჭდილებას და რაც ყველაზე უფრო აძლევს ამ ეკლესიას თვალწარმტაც იერს, ეს არის სამშენი მასალის თავისებური შეხამება. შენობის ქვედა ნაწილი მიწიდან რამდენიმე ნაბიჯის სიმაღლეზე თლილი ქვითაა აგებული; მაგრამ აქედან სახურავამდე მონაცვლეობს და ეკლესიას გარს ევლება ზოლებად სწორად ან ირიბად დაწყობილი წითელი აგური და უბრალოდ თლილი გაგრის მონაცრისფერო კირქვის კვადრები.

სტილის ამ დიდებულ სისადავეს, მასალათა ამ უცნაურ მონაცვლეობას დაუმატეთ კიდევ ის მუქი ფერის სურო, აგურის კარნიზების ჩუქურთმებამდე რომ აყოლია კედელს, ის ვაზი და კატაბარდა ეკლესიის კედლებიდან რომ გადმოტყორცნილა, რცხილები და ბროწეულები, ლეღვები, ფესვები რომ გაუდგამთ ნაპრალის თაღებზე და გუმბათის ჯვარსაც კი რომ ფარავენ, ასწლოვანი თელები ეკლესიის ერთ ნაწილს რომ ჩრდილავს, ძველი გალავანი ეკლესიას გარს რომ არტყია, ჯაგნარში დიდებული მუხა აქა-იქ რომ გამოჩნდება ხოლმე ფოთლების მიღმა და არ გაგიკვირდებათ, რომ ეს ხედი აღაფრთოვანებს მას, ვინც ბიჭვინთის მონასტერს (სწორედ ასე უწოდებენ მას) ეწვევა". Dubois de Montpéreux, დასახ. ნაშრომი., ტ. 1, გვ. 223.

ორიგენი, მოეფინნენ მთელ ქვეყნიერებაზე, თომამ, როგორც თქმულება გადმოგვცემს, წილად იღო პართია, ანდრიამ – სკვითია"[1].

ევსები, რომელიც ორიგენის მოწმობას ეყრდნობა, თავის „საეკლესიო ისტორიაში", იმეორებს ამ ცნობას[2].

წმინდა ევქერი, ლიონის ეპისკოპოსი († 449) წერს:

„წმინდა ანდრიამ იქადაგა სკვითეთში"[3].

წმინდა ისიდორე († 639):

„წმინდა ანდრიას საქადაგებლად წილად ხვდა სკვითია და აქეია"[4]. ნიკიფორე კალისტე:

„წმინდა ანდრია წარგზავნილ იქნა საქადაგოდ იმ ქვეყნებში, მას რომ ხვდა წილად: კაპადოკიაში, გალათეასა და ბითვინიაში; აქედან იგი წავიდა ანთროპოფაგებთან და სკვითებთან"[5].

მოცემული ცნობები საკმარისად მიგვაჩნია, აქ არაფერი არ არის საკამათო. ჯერ ერთი, აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ ხშირად ერევათ ერთმანეთში ძველ მწერლებს ქართველები და სკვითები, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ათავსებენ მათ, ან ქართველები სკვითების მეზობლებად გამოჰყავთ[6]. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმინდა ანდრია ქადაგებდა სკვითებში და მაშინვე იქადაგა ქართველებშიც.

მერე, თუ სკვითეთში წავიდა წმინდა ანდრია, რა მარშრუტით იარა? არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქვეყნიერებას მოივლიდა, სანამ მიაღწევდა სკვითეთს. ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა, იქ საქართველოდან ჩასულიყო. ქართული გადმოცემის მიხედვით, წმინდა ანდრიამ მართლაც საქართველოში ქადაგების შემდეგ მიაშურა სკვითეთს. იმის დასამტკიცებლად, რომ მოციქულმა სხვა გზით იარა, უტყუარი და უეჭველი საბუთებია საჭირო.

სხვა საბუთები რომ არ გაგვაჩნდეს, ჩვენ მიერ მოხმობილი საბუთიც საკმარისი იქნებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ წმინდა ანდრიამ

---

1 Comment. sur la Genése, Migne, P.G., ტ. XIII, სვ.92, თარგმანი ივ. ჯავახიშვილისა („მოამბე", №VI, 1900, ტფილისი).

2 Migne, P.G., ტ. XX, სვ.214.

3 Migne, P.L., ტ. L. სვ. 809.

4 Migne P.L., ტ. LXXXIII, სვ. 151.

5 Migne, P.G., ტ CXLV, სვ. 860; Baronius, Annal. Ecclesiast, 44 წ., №XVI, ტ. I, გვ. 293.

6 Strabon, XI, 3.

საქართველოში იქადაგა. მაგრამ ჩვენ სხვა მოწმობებიც გვაქვს ამ მისიის სასარგებლოდ. დავასახელებთ ზოგიერთს.

ეპიფანე მონაზონი († 780) „წმინდა ანდრიას ცხოვრებაში" წერს:

„ამრიგად წმიდა ეპიფანე, კვიპროსის ეპისკოპოსი, გადმოცემის მიხედვით ადასტურებს, რომ წმიდა ანდრიამ იქადაგა სკვითეთში, სოგდიანელებში, გორსინიელებში, დიდ სებასტოპოლისში, სადაც მდება-რეობს აფსართა ციხე-სიმაგრე (ეს უნდა იყოს დიდი ამაზგია ანუ დასავლეთ საქართველო – მ.თ.), ისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი, და სადაც ცხოვრობენ იბერები, სუსები, ფუსტები და ალანები. ამის საბუთები ხელთა გვაქვს"[1].

წმინდა ეპიფანე, რომელიც 310 წელს დაიბადა და 403 წლის 12 მაისს გარდაიცვალა, კონსტანციის (ყოფილი სალამინის) ეპისკოპოსი და კვიპროსის კუნძულის არქიეპისკოპოსი იყო.

ტილემონთან ვკითხულობთ შემდეგს:

„სოფრონმა, რომელიც წმიდა იერონიმეს ეპოქაში ცხოვრობდა, ამ მამის არაერთი ნაშრომი გადათარგმნა ბერძნულად და სხვებთან ერთად, როგორც ჩანს, საეკლესიო მწერალთა კატალოგიც, რომელსაც მოციქულების სიაც დაურთო, თუმცა მათ არაფერი დაუწერიათ. ამ დანართში ვკითხულობთ, რომ წმიდა ანდრიამ იქადაგა სკვითეთში, სოგდიანასა და დიდ ქალაქ სებასტოპოლისში (სანსონი) ფაზისის მახლობლად, კოლხეთში"[2].

ნიკიტა პაფლაგონიელი (მეტსახელად ფილოსოფოსი და დავითი) წერს ამ შესახებ:

„ხოლო შენ, წმიდაო ანდრიავ, ღვთისათვის სათნოვ, ჭეშმარიტი მხნეობის ნიმუშო, ასე რომ გიყვარს ტანჯვა და მოთმინება, პეტრეს შემდეგ იესო ქრისტემ შენი სახით კიდევ ერთი ლოდით გაამყარა ეკლესიის საძირკველი; ვისაც წილად ხვდა ჩრდილოეთი იბერნი და სარმატნი, ტავრნი, სკვითნი და ყოველი ქვეყანა და ქალაქი, რომელნიც პონტ-ევქსინის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარეობენ, მიმოიარე ქრისტეს დიდებულის წყურვილეულმა"[3].

---

1 Migne, P.G., ტ. CXX, სვ. 221; იხ. Le Quien, Oriens Christianus, ტ.I, სვ. 1334.

2 Tillemont, Mémoires pour servir à l'histoire ecclésiastique, Paris. 1701, ტ. I, გვ. 319. იხ. Baron, 44 წ., № XXXI, ტ. I.

3 Migne, P.G., ტ. CV, სვ. 64; იხ. ივ. ჯავახიშვილი („მოამბე", № VI, 1900)

ბატონმა პროფესორმა ჯავახიშვილმა გააკრიტიკა ნიკიტა პაფლაგონიელი. არა გვგონია, მას რაიმე საყვედური ეთქმოდეს, ყოველ შემთხვევაში, ზემოთ ხსენებული მოწმობისათვის, მით უმეტეს ნიკიტას ბიოგრაფიაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ:

„მისი (ნიკიტასი) თხზულებები სხვა მოციქულების შესახებ დაფუძნებულია ამ მოციქულთა საქმეებზე. ნიკიტა მათ მხოლოდ შერჩევით იყენებდა და უკუაგდებდა ყოველივეს, რასაც საეჭვოდ მიიჩნევდა"[1].

სხვა ავტორი ასე აგვიწერს ანდრია მოციქულის მისიას:

„V ს-ის და შემდგომი ეპოქების მწერლები მოგვითხრობენ, რომ სულიწმიდის მოფენის შემდეგ, იგი (წმინდა ანდრია) საქადაგოდ გაემართა დიდი აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით სოგდიანაში, კოლხეთში (დასავლეთ საქართველო) და საკების ქვეყანაში. ევსები, ორიგენის ავტორიტეტზე დაყრდნობით ამბობს, ანდრიამ სახარება იქადაგა სკვითეთშიო. იმავეს იმეორებს მეტი შემდგომი წყაროც, მაგრამ ისინი გულისხმობენ ევროპაში შემავალ სკვითეთს. როგორც ჩანს იქიდან ანდრიას მცირე აზიაში გადაუნაცვლებია, სახელდობრ პონტოს ქვეყანაში. სხვათა შორის აქ ქალაქი სინოპი მას თურმე აგონებდა თავისი ქრისტიანობის პირველ ნაბიჯებს. ძველი გადმოცემის მიხედვით სინოპს შემოუნახავს წმ. ანდრიას იქ ყოფნის მრავალი კვალი. წმინდა ანდრიამ შემდეგ საბერძნეთს მიაშურა, როგორც აღნიშნავენ წმინდა მამები"[2].

ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია ეს რამდენიმე მოწმობა. ამ მწერალთაგან არც ერთს არა ჰქონია განზრახვა საქართველოს მიმართ მიკერძოება გამოემჟღავნებინა. აღნუსხეს მხოლოდ რაც წაეკითხათ თუ გაეგონათ და რაც ჭეშმარიტებად მიაჩნდათ. წმინდა ანდრიას ცხოვრების ამსახველ აპოკრიფულ თხზულებებსაც აქვთ თავისთავად გარკვეული მნიშვნელობა წამოჭრილი საკითხისათვის, რადგან მათ ავტორებს, რომელთაც უშუალო კავშირი არ ჰქონიათ საქართველოსთან, ალბათ ხელთ ჰქონდათ რაღაც საბუთები, რათა საქართველოში წმინდა ანდრიას ქადაგება ედიარებინათ.

ზოგი ქართველი და ბერძენი მწერალი, რომლებიც საქართველოში მოციქულთა მიმოსვლის შესახებ მოგვითხრობენ, აღნიშნავს, რომ მოციქულ წმინდა სიმონის საფლავი აბაზგიაშია (დასავლეთ საქართველოში). აქ შეუძლებელს ვერაფერს ვხედავთ, რადგან ეს მტკიცება

---

1 Migne, Deuxième encyclopédie théologique, ტ. XXIII, I, 42.

2 Baillet, Les Vies des Saints, 1704, ტ. III, გვ. 462-463.

ეთანხმება ქართულ გადმოცემას[1].

უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველო (ანდა, უფრო სწორად, მთელი კავკასიის მხარე) უძველესი დროიდან ძველი ქვეყნების ვაჭრობის ასპარეზი იყო. იგი ბევრ უცხოელს იზიდავდა. დიდ აზიაში მიმავალთ აქ უნდა გაევლოთ გზად[2].

ნუ დაგვავიწყდება, რომ ქვეყნის ორი მთავარი მდინარე, როგორც ვიცით რიონი (ფაზისი) და მტკვარი (კიროსი) იმ დროს სანაოსნო მდინარეები იყო, ასე რომ მათი საშუალებით შეიძლებოდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე წყლით ჩასვლა. დღესაც ინგლისის ტელეგრაფის ხაზი კავკასიაზე გადის ინდოეთისა და ევროპის ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ამ თავის დასასრულს გავიხსენებთ წმინდა ანდრიას პატივსაცემად დაწერილ ერთ ტროპარს, რომელიც მოთავსებულია ქართულ საგალობელთა ერთ–ერთ უძველეს წიგნში:

„ანდრია მოციქული ვადიდოთ. რომელმან მოგვისვენა ხატი ყოვლად წმიდისა და მით მოგვაქცივნა წარმართნი თაყვანისცემად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა“[3].

---

1 „სულთმოფენობის შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მატათა და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროზთან; დანარჩენებმა კი მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში... მატათა მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს იქ, მრავალნი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდ სებასტოპოლისში ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა. ანდრიამ დასტოვა იქ სიმონი და მოწაფეებითურთ წავიდა ჯიქეთში. ჯიქები უხეში და ბარბაროსი ადამიანები არიან და დღესაც ნახევრად ურწმუნონი. იმათ განიზრახეს ანდრიას მოკვლა და კიდევაც მოჰკლავდნენ, რომ არ დაენახათ მისი სიგლახაკე, თავმდაბლობა და სწრაფვა. მათი ქვეყანა რომ დასტოვა, წავიდა ზემო სუგდების ქვეყანაში... (ქალაქ ბოსფორში) გვიჩვენეს წმინდა მოციქულთა ტაძრის საკურთხეველზე დამარხული ლუსკუმა წარწერით „სიმონ მოციქული“. მასში წმინდა სხეულის დიდი ნაწილებია დაცული, რომელთაგან ზოგი რამ ჩვენც მოგვცეს. ხოლო მეორე საფლავი არის ჯიქეთის ქალაქ ნიკოფსში. მასზე წერია „სიმონ კანანელი“ და ისიც შეიცავს წმინდა ნაწილებს“. Le moine Epiphane (969), Migne, P.C., ტ. CXX, სვ. 241-244. იხ. გეორგიკა, IV ტ., I ნაკვ., თბილისი, 1941, გვ. 58-59.

2 თეატინელ ა.ლამბერტის მიერ 1634 წლის 20 ივნისს რომში გაგზავნილ წერილში ამის შესახებ ვკითხულობთ: „გადმოცემით ვიცი, რომ მაშინ იქ (აფხაზეთში) ბევრი ეკლესია ყოფილა. მათ შორის ყველაზე დიდში დაკრძალული ყოფილა ორი მოციქული. დღეს ეს საფლავები იქ აღარ არის. ეკლესია წმინდა ანდრიას სახელს ატარებს და ცნობილია, რომ აღნიშნული მოციქული იქ ქადაგებდა“. Arch. de la Prop., Persia. Georgia, Mingrelia e Tartaria, ტ. CCIX, გვ. 359.

3 მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, ტფილისი, 1898, გვ. 37.

# თავი VI

# ქართველთა სარწმუნოება

შინაარსი: — I. ქართველთა რწმენის სიწმინდის უარყოფა უსაფუძვლო ბრალდებაა. — II. სარწმუნოების ზეგავლენა ქართველთა ცხოვრებაზე და მათ მიერ გაღატანილი ჭირ-ვარამი რწმენის სიწმინდის შესანარჩუნებლად. — III. საბუთი ქართველ ეპისკოპოსთა მორწმუნეობის შესახებ XVII საუკუნეში. — IV. პაპების მოწმობანი ქართველთა ჭეშმარიტი რწმენის შესახებ. დაქცეული ქვეყნისა და ქართველთა რწმენის ერთგულების დამამტკიცებელი მრავალი საბუთი. — V. მართლმადიდებლური ლოცვანი წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს პატივსაცემად მათი ლიტურგიიდან.

სანამ განვიხილავდეთ ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებულ რელიგიურ საკითხებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთი-ორი სიტყვით შევეხოთ ქართველთა რწმენის სიწმინდეს.

## I. — ქართველთა რწმენის სიწმინდის უარყოფა უსაფუძვლო ბრალდებაა

მართალია, დღეს ქართველთა უმრავლესობა გათიშულია კათოლიკური ეკლესიისაგან, მაგრამ ეს სქიზმა წმინდა მატერიალურია. გათიშვას არ შეუბღალავს ქართველთა უძველესი რწმენა, რადგან ამის მიზეზი მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიასთან სუსტი კავშირი იყო, რასაც მოწმობს პაპების საბუთები, რომელთაც თავის დროზე გავეცანით. ამ თავში ჩვენ არ გამოვუდგებით სქიზმამდე, თუ სქიზმის შემდეგ ქართველთა რწმენაში არსებულ განსხვავებათა აღნუსხვას, მხოლოდ შემოგთავაზებთ ზოგიერთ მოსაზრებას იმის საპასუხოდ, რომ არაერთმა ცუდად ინფორმირებულმა დასავლელმა მოგზაურმა და

მწერალმა მთელს ქართულ ეკლესიას დასდო ბრალი შეცდომებში, რომლებიც ან სხვების გადმოცემით გაეგოთ, ან თვითონ აღმოეჩინეს ერთეულ უვიცსა და ხეპრე პირს. მაგალითად, აი, რა აქვს მოთხრობილი შარდენს თავისი მოგზაურობის აღწერაში:

„გეგონებათ, ეს ხალხი ნამდვილი ქრისტიანები არიან, მაგრამ ხელთ შეგრჩებათ მხოლოდ მრავალი სახეცვლილებით გამენდოვნებული აჩრდილი და ფორმა (ქრისტიანობისა)[1].

ასეთი რამ შეუძლებელია. როგორ დავიჯეროთ, რომ ქართველებს, რომელნიც თითქმის თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ ქრისტიანული სარწმუნოების შესანარჩუნებლად, ქრისტიანობის მხოლოდ „აჩრდილი“ და „ფორმა“ შერჩათ?

არავერს ვამბობთ იმის შესახებ, ვისაც არ ესმის აღმოსავლური ეკლესიის წესი და რიგი და ზოგჯერ უსაფუძვლო ბრალდებას უყენებს ქართველებს. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ

„ისინი ბავშვებს ნათლისღებისას ზიარებისა და მირონცხების საიდუმლოსაც აზიარებდნენ; რომ ზოგიერთ დღესასწაულზე მღვდლები წირვაზე სეფისკვერს იღებენ ეპისკოპოსისაგან, რომელიც სწირავს, და თვითონაც ეზიარებიან, და სხვ.“[2].

---

1 Chardin, Voyage en Perse, Amsterdam, 1711, ტ. I, გვ. 50. იხ. G.Dasippe, Anecdoti ossia la Storia segreta della famiglia ottomana. Napolii, 1729, გვ. 529.

2 იხ. J.Silos, Historia Clericorum Regularium, Rome 1655, ტ. II, გვ. 565; C.Galanus, Conciliatio Ecc. Armenae cum Romana, Rome, 1650, ტ.I, გვ. 132.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ერთი იტალიელი მოგზაური, რომელიც კარგად იცნობდა ქართველებს:

„ქართველი ხალხი არაა ბარბაროსი, როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი ავტორი მოგვითხრობს. ამ ავტორებს, ჩანს, არა ჰქონდათ ქართველთა შესახებ საკმარისი ცნობები, მაგრამ მე საკმაოდ კარგად გავიცანი ისინი და შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის თავისებურად ძალიან ცივილიზებული ერი, თავაზიანი, მებრძოლი, კეთილშობილი, რომელიც ჩვენი ტრადიციების მიხედვით, მდაბიო ხალხისაგან სისხლით განსხვავდება; ერი ურიცხვია, რომლის ყველა კუთხე ერთად აღებული ალბათ არ იქნება ჩვენს იტალიაზე მცირე: ერს ჰყავს უძველესი ქრისტიანი მთავრები, ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც იარაღით გამუდმებით ებრძვის ურწმუნოთ სარწმუნოების დასაცავად. ამიტომ, უეჭველად უნდა გვქონდეს მათი იმედი. გარდა ამისა, ყურადსაღებია აგრეთვე ისიც, რომ ქართველები რწმენის თვალსაზრისით აღმოსავლეთის ყველა ერზე უფრო ახლოს არიან ჩვენთან, რადგან როგორც ყველა მას, ვინც მისდევს ბერძნულ წესს, ოღონდ ღვთისმსახურებას

ვფიქრობთ, შევძლებთ დავამტკიცოთ, რომ ქართველებმა ქრისტიანული რწმენა შეუბღალავად და პირვანდელი სიწმინდით შემოინახეს. მოქცევის შემდეგ ქრისტიანობამ ფესვი გაიდგა მათში; ქრისტეს ჯვარი მათი ეროვნებისა და ისტორიული ცხოვრების სიმბოლო და ემბლემა იყო. განიმსჭვალნენ ჭეშმარიტი სარწმუნოებით და სამუდამო ჯვაროსნებად იქცნენ, რადგან იარაღითა და გულზე ჩამობმული ჯვრით აღჭურვილნი თექვსმეტი საუკუნის მანძილზე გმირულად იბრძოდნენ ყველაზე საშიში და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ[1].

ქართველთა არსებობა წამებულთა უწყვეტი რიგია, უმაგალითო

---

სენი ჯერ კიდევ ყველა არ არის გარკვეული და თუ არის კიდეც, ბერძნებზე ნაკლებადაა განათლებული; ამიტომ უეჭველად მათზე ნაკლებ ფარისეველი და უფრო უბიწო იქნება, ე.ი. უფრო ადვილი გამოსასწორებელიც. მეტიც, არ არიან ბერძნებივით ჯიუტები, არც ქედმაღალნი, არამედ ტრადიციულად დამყოლნი, მეტისმეტად თავაზიანები და ისეთი თვინიერები არიან, შესაძლებელია, მეტწილად ის ზიანი, რომელიც მათ სპარსელებმა მიაყენეს, სპარსელთა უპირატესობიდან კი არ მომდინარეობდეს, არამედ იქიდან, რომ მათი დარწმუნება რამეში და ბოლოს და ბოლოს მოტყუება ძალიან ადვილია. გარდა ამისა, ბერძნებისაგან განსხვავებით, ქართველები ჩვენთან ურთიერთობისას პრეტენზიას არ აცხადებენ პირველობაზე. არც მოსკოველების მსგავსი მტრობა აქვთ რომის ეკლესიისადმი. პირიქით, უდიდესი ღვთისმოსაობით არიან განმსჭვალულნი რომისა და წმ. პეტრეს მიმართ. სომხებს გაურბიან და ვერ იტანენ მრავალი ერეტიკული შეცდომის გამო, რომელიც ამ ერში პოვეს. ხოლო ჩვენს მიმართ, ე.ი. ლათინებისა და რომაელების მიმართ, პირიქით, ძალიან კარგად არიან განწყობილები, რაც მე თვითონ გამოვცადე ჩემს თავზე მრავალ შემთხვევაში". Pietro Della Valle, Viaggi Bologna, 1677, ტ. II, გვ. 204-6.

1 მოგვყავს მეფე ვახტანგის სიგელი, რომელიც ადასტურებს ჩვენს აქ გამოთქმულს:

„წყალობითა ღმრთისათა

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანმან, ღმრთივ აღსართებულმან, ღმრთივ დამკვიდრებულმან და ღმრთივ ზეცით ცხებით გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან, ჩერქეზთ ბატონის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ბაქარ და პატრონმან გიორგიმ, ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალგვართა ნამსახურსა ყმასა, გარსევანიშვილსა — ჩვენის კარის ოქროს ხატის დეკანოზს იესესა და ძმასა შენსა, ჩვენის შვილების დამზრდელს და სამღვთო-საერო მეცნიერების მასწავლებელსა. და კვალად სახელიწოდებითა ჩვენითაგან გარდაკარდიღლობასა შინა თანა ჩაახლსა და წესისებრ თავ-გაწირვით ნამსახურსა გიორგის. ასრე რომელ რა ჟამს სჯულით და მორწმუნე განმრწყინვებულს და ღმრთისაგან განსპეტაკებულს და სამართლად წყალობა მინიჭებულს მეფე ბაგრატს, რომანოზ კეისრის ქალი ეთხოვნა, დედოფალი ელენე, თან ზოგად მოჰყოლოდა ოქროს ხატები და შენი სახლის კაცი დეკანოზად. მას ღვთის ყოვლადწმიდით, ქრისტეს აქათ ქრონიკონი ჩმ. მონათგანვე განკუთვნილ იყავით

დრამაა ხალხთა ისტორიაში. მათი მატიანის ყოველი გვერდი მჭევრმეტყველურად მოწმობს ამ ჭეშმარიტებას[1].

---

ხელმწიფეთ ჯვარის და ოქროს ხატის მტვირთველად. ლაშქრისა და ნადირობისა წინამძღოლად, ვიდრე სვიმონ მეფემდე. ოდეს სულით განმრწყინვებული მეფე სვიმონ ოვისკვეჭს შებმულ იყო და მარცხდებოდა მეფის ალექსანდრეს მიერ, შენი სახლის კაცი ჩამოეგდოთ, მოეკლათ და წინა სასვენ ოქროს ხატი იქ დარჩომოდათ და იყო ვიდრე შანავაზ მეფემდე. ამისა სურვილმან და სიყვარულმან სასწაულთმოქმედის ოქროს ხატისამან და განელაშქრა თვით ძლიერისა და არაოდე ძლეულისა სახელოვანისა და პირად-პირადად ქებულისა ღმთისაგან სულით კურთხეულისა პაპისა ჩვენის, მეფის პატრონის შანავაზის იმერეთ-ოდიში და გურია დაეპყრა და დაემონა თავისის სამკვიდრო და ქართველთ საფიცარი და საესავი წინასვენი ოქროს ხატი კვალად ეშოვნა. გარდმოესვენებინა დიდის სურვილით და სასოებით თავის სახლში დაესვენებინა და თავისავე მემკვიდრის დეკანოზის, მამამისავე შენის გარისევანისათვის მიებარებინა. რაგვარადაც ძველიდგან რიგი ჰქონდა იმ წესითა. აწე მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისა და წყალობას გვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. მოკითხული გიყავით სადარბაზოს ერთობის რიგის წიგნსა შინა და შენი სიგელებიც გინახეთ. არავინ ჩნდა და ყოფილიყო ქართველ მეფის ჯვარის მტვირთველი, თჳნიერ თქვენისა. და კვალად განგიახლეთ სიგელი ესე. ძველადგანი რიგი ასრე რომე, ოდეს ქართველი მეფე ლაშქარსა და ნადირობას წაბრძანდეს ოქროს ხატი წინ უნდა უძღოდეს. დროსა დადგომისასა, ან მეფის და ან უფლისწულის სადგომს უნდა დაუსვენონ. და რაჟამს შინ მობრძანდებოდეს — მეფისა და დედოფლის საწოლში უნდა დაუსვენებდე. სანთელი ჰქონდა თვეში სტილი ზ.საკსალი ბ. ეს ამრიგად გქონდა წელიწადში: სამი ფარჩა, ერთი დარია ბაბთი, ერთი ყუთნი ერთი დარაია. ერთი ხელი ტანისამოსი, თავით ფერხამდის. კვირისა და ბედნიერის დღის საწირავი აბაზი ერთი, ულუფა სამი კაცისა და ორი ცხენისა გქონდათ. და დარბაისელთ სახლში მიცვალებულისათვის მეფეთგან ნაბოძების წასაბურავის და შესაწევარის წილება, მგლოვიარეთ, მეფის ბრძანებით. გარეთ გამოწვევა; ებისკოპოსთ თქვენის ხელით საწირავის მირთმევა, ახალწელიწდის თავს ცისკრად ოქროს ხატის შემოსვენება და მიკულევა მაგიერის წყალობის ბოძება. ეს წესი, რიგი და წყალობა გქონებოდა და ჩვენც განგიახლეთ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, ძველივე რიგი და წყალობა. აწ ერცლად წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენც ვიგულისმოდგინეთ, რადგანაც ძველს მეფეთაგანაც შეწირული ოქროს ხატისათჳს და თქვენთჳს წყალობად მოცემული ყმა და მამული ჟამთა ვითარებისა მიერ და თქვენის სახლისკაცის ობლობისაგან დაგკარგოდათ და სამსახური ისევ პირველივე გედვა...

ქრისტეს აქათ წელნი 1708, დასაბამიდამ ვიდრე აქამომდე 7225 დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანისშვილის გივისათა, ქკ~ს უჟ, იანერის 3 (6)".

ვახტანგ, რუსუდან, სასოება ბაქარ დავითიანისა, კიდევ ორი სხვა უსახელო ბეჭედი უზის. იხ. **Brosset, Voyage archéologique dans la Géorgie et dans L'Arménie, St.-Pétersbourg, 1851,** მოხსენება VII, გვ. 49—52.

1 სამეგრელოში მყოფი მისიონერის თეატინელი პატრის პროპაგანდისათვის 1655-1660 წლებში გაგზავნილ ანგარიშში ვკითხულობთ:

„იმპერატორ კონსტანტინეს დროს, როგორც ამტკიცებს ბარონიუსი, სამეგრელოსა და მის შემოგარენში იქაური ხალხის სურვილით გაიგზავნენ მღვდლები მათში გავრცელებული ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად. მათმა მონა ქალმა, წმინდა ნინომ ამ ხალხში ცოტა სინათლე შეიტანა და მარტოოდენ ჯვრის გამოსახულებით განკურნა სნეულნი. ამიტომაც ეზიარნენ მის რწმენას, რისი წყალობითაც აშენ

## II. – სარწმუნოების ზეგავლენა ქართველთა ცხოვრებაზე და მათ მიერ გადატანილი ჭირ-ვარამი რწმენის სიწმინდის შესანარჩუნებლად

ქრისტიანობა ამ ერის გონებრივი და საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა და შეიმჩნევა მისი ძლიერი ზეგავლენა ცხოვრების ყველა სფეროში. მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებთ. მაშინ, როცა სხვა ქრისტიანებს თვეების წარმართული სახელები შემოუნახავთ, ქართველებმა გააქრისტიანეს ისინი და შეცვალეს საიდუმლოთა და წმინდანთა სახელებით. ამგვარად, იანვრის თვეს განცხადების თვე ჰქვია, ანუ უბრალოდ განცხადება (რაც ნიშნავს ჩვენი უფლის განცხადებას), ნათლისღების დღესასწაულის გამო; ივნისის თვეს — ივანობისთვე, წმინდა იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის გამო; ივლისის თვეს — კვირიკობისთვე, წამებული წმინდა კვირიკეს პატივსაცემად, რომლის დღესასწაულსაც 15 ივლისს იხდიან (რომაული მარტიროლოგიის მიხედვით 16 ივნისს); აგვისტოს თვეს — მარიამობისთვე, ღვთისმშობლის მიძინების გამო; ნოემბრის თვეს — გიორგობისთვე, დიდი წამებულის, წმინდა გიორგის პატივსაცემად, რომლის დღესასწაულსაც ამ თვის 10-ში ზეიმობენ

---

საოცრებას მიაღწიეს. ზოგიერთი უძველესი ნანგრევი მიგვანიშნებს, რომ თავიანთი მიწის განსახორციელებლად ქრისტიანობის პერიოდის ნაგებობების ნგრევა დაუწყიათ. კონსტანტინოპოლის, ხერსონესისა და ტრაპიზონის ქრისტიანთა დახმარებით აგეს მრავალი არაჩვეულებრივი სიდიდისა და სილამაზის ეკლესია, რომლებიც მოხატულია ძველი და ახალი აღთქმის საიდუმლოთა ამსახველი ფრესკებით და კონსტანტინოპოლის მიბაძვით იქ. სამეგრელოს საზღვარზე აგეს ლამაზი ეკლესია, რომელსაც ეწოდა წმინდა სოფია. იცნობენ ზარებს. თურქეთში მოგზაურობის შემდეგ, სადაც ეკლესიის ზარების რეკვა არსად ისმის, განსაკუთრებით სასიამოვნოა ამ ხმის გაგონება. იქ გაგზავნილი მღვდლები ბერძნულ წესს მისდევდნენ და მასვე ავრცელებდნენ ხალხში. ეს ხალხი ისე მტკიცედ ეჭიდება ამ წესს, რომ აღარასოდეს მონდომებია რაიმე ერეტიკული აზრის მიღება. ამის გამო ზოგიერთი წმინდა მამისაგან დიდი ქებაც დაუმსახურებიათ. თუ რა მგზნებარედ ცხოვრობენ თავიანთი რწმენით, ამას მოწმობს ისიც, რომ შეინარჩუნეს ყოველთვის დიდი მოწიწებით შესრულებული ქრისტიანული სარწმუნოების მრავალი ნიშანი, თუმცა სასულიერო პირების ნაკლებობის გამო ბევრი უბედურება გადაუტანიათ და არ მიუღიათ არავისგან არავითარი დახმარება, ამიტომ წიგნები, არც მცოდნე ბერების საშუალება. სარწმუნოებაზე ბევრად ადრე რომ სიცოცხლეს დათმობდნენ, ორი წლის წინ აშკარად გამოჩნდა თავადის გურიელის, რომელსაც დიდის თურქის (ოსმალეთის სულთანის, მთარგმ. შენიშვნა) შესთავაზა უარეყო ქრისტიანული რწმენა. სამაგიეროდ საკუთარი სამფლობელოს დაბრუნება აღუთქვა სადაც უსამართლოდ გააძევეს მაშინ, როცა ლადიანი გარდაიცვალა. მეტიც, იგი უნდოდა ექცია რენეგატად და სხვა პრივილეგიებიც გადაეცა მისთვის. თავადმა გურიელმა ყველაფერზე უარი განაცხადა და თურქის წინადადებაზე დათანხმებას სიკვდილი არჩია. მარამდე კი აღსარების თქმა მოითხოვა, რათა გულდამშვიდებული წასულიყო ამ ქვეყნიდან". Arch. de la Propagande, Scritture riferite, Giorgia, ტ. I.

(რომაული მარტიროლოგიის მიხედვით 23 აპრილს); და დეკემბრის თვეს — ქრისტეშობისთვე, იესო ქრისტეს შობის აღსანიშნავად.[1]

მართლაც იმ დღიდან მოყოლებული, როცა საქართველომ სარწმუნოება მიიღო, იგი თაყვანს სცემს შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების განსაზღვრებებს და წმინდა პაპების სარწმუნოების გარდამოცემას, როგორც ღვთიურ წინასწარმეტყველებას. გარდა ამისა, XII ს-ის დამდეგს ერთ ადგილობრივ კრებაზე ქართული ეკლესია ამაყობდა იმით, რომ ხელუხლებლად და შეუბღალავად შეინარჩუნა მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და პაპების მიერ განსაზღვრული და დამტკიცებული რწმენა. ჩვენ არავითარი საბაბი არ გაგვაჩნია, ქართულ ეკლესიას მორწმუნეობაში შევედავოთ; პირიქით, შეგვიძლია მის სასარგებლოდ მრავალი დამადასტურებელი საბუთი მოვიტანოთ.

უკვე VI ს-ის დამდეგს ბერძენი ისტორიკოსი პროკოპი ადასტურებს ქართველებისათვის ამ საპატიო ფაქტს:

„ჩვენთვის ცნობილ ყველა ქრისტიანს შორის იბერები (ახლანდელი ქართველები) წმინდა კანონთა და ცერემონიათა ყველაზე ერთგული ქრისტიანები არიან“[2].

მეორე ნიშანდობლივი ფაქტი. დასავლეთ საქართველოში (კოლხეთი) ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის მოხელეები რუსტიკი და იოანე ყველანაირ საზღვარს გასცდნენ და მეფე გუბაზიც კი მოკლეს. ამის გამო სასოწარკვეთილმა მოსახლეობამ მოინდომა, სპარსეთთან კავშირი დაემყარებინა, რათა ესოდენ უსამართლობისათვის შური ეძიებინა და რუსტიკისა და იოანესთვის გზა მოეჭრა. ერთადერთმა მოსაზრებამ დაახევინა ხალხს უკან და გადააწყვეტინა, დარჩენილიყვნენ იმ მძიმე მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდნენ: ეს იყო იმის შიში, რომ სპარსელებს ისინი შემდგომ არ აეძულებინათ, ქრისტიანულ სარწმუნოებას განდგომოდნენ[3].

მაშინ, როცა აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში მოდებული იყო ხატმებრძოლეობის ცრუ მოძღვრება, საქართველო განზე გადგა და ურყევად დაიცვა მართლმადიდებლური რწმენა.

წმინდა იოანეს, გოთების ეპისკოპოსს, კონსტანტინე კოპრონიმის მეფობის დროს (741-775) სურდა, მართლმადიდებელ ეპისკოპოსს ეკურთხებინა და რადგან ასეთი პიროვნება საქართველოს გარდა

1 ქართველები თვეების რომაულ სახელწოდებებსაც ხმარობენ, განსაკუთრებით სხვა ხალხებთან ურთიერთობის შემთხვევაში.

2 Procope, De Bello Persico, Venise, 1729, ტ. I, თავი 12, გვ. 241.

3 Agathias le Scolastique, Histoire, წიგნი II; Migne, P.G., ტ. LXXXVIII, სვ. 35.

ვერსად იპოვა, ქართული ეკლესიის კათალიკოსის მიერ ეკურთხა[1].

ისტორიკოსი ჰაიტონი მოგვითხრობს: როცა ტირანმა ტანგოდორმა (მუჰამედმა) თათართა ყაენმა 1282 წელს ბრძანა, მთელი ეკლესიები დაენგრიათ და ყველა ქრისტიანი გაეძლიერებინათ, ვინც მაჰმადიანურ სარწმუნოებას არ მიიღებდა, ქართველებმა არჩიეს, გაწყვეტილიყვნენ და თავიანთი სარწმუნოება არ დაეთმოთ[2].

ისტორიკოს ნიკიფორეს, რომელიც თავის ისტორიას 1332-1335 წლებში წერდა,

მას შემდეგ, რაც ქართველთა მოქცევის შესახებ მოგვითხრობს, მოჰყავს მათი მორწმუნეობის დამამტკიცებელი საბუთი:

„ამდენი წლის შემდეგ ისინი შეუპოვრობას ამჟღავნებენ სარწმუნოების დაცვაში"[3].

ორი საუკუნის შემდეგ მწერალი ნეანდრე (1550) ქართველებს იმისათვის აქებს, რომ ზეციურ მოძღვრებას ქადაგებენ და არ შესუსტებიათ რწმენა თავიანთი მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრის მიუხედავად[4].

## III. – საბუთი ქართველ ეპისკოპოსთა მორწმუნეობის შესახებ XVII საუკუნეში

არ მიგვაჩნია საჭიროდ, დეტალურად მოგითხროთ ამ რწმენის შესახებ; იგი არ განსხვავდება საყოველთაო ეკლესიის რწმენისაგან, რადგან ქართველები ძალდაუტანებლად იღებენ და იცავენ ყველაფერს, რაც განსაზღვრა და მიიღო შვიდმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და უკუაგდებენ და განუდგებიან ყველაფერს, რაც მათ არ მიუღიათ და დაუგმიათ. თუმცა, აი, ერთი საინტერესო საბუთი, რომელიც გვსურს, წარმოგიდგინოთ.

დე-ნუანტელმა, საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში, 1672 წლის 16 ივლისს თეატინელ პატრ ძამპის, სამეგრელოში მყოფ მისიონერს, დაავალა ქართველ ეპისკოპოსთათვის მათი სარწმუნოების

1 „მორწმუნე გოთებმა იოანე თავიანთ წინამძღვრად აირჩიეს, როცა იგი არა კონსტანტინოპოლში გაგზავნეს, არამედ იბერიაში, რომ ამ ტომებში კათოლიკობა განემტკიცებინა... რადგან მთელს ბიზანტიის იმპერიაში იკონომახების ერესი მძვინვარებდა, ამ დროს კი იბერია უვნებელი, ხელშეუხებელი, დაცული დარჩა". Le Quien, Oriens Christianus, ტ. I, გვ. 1244-1336. იხ. Acta SS. Junii, ტ. V, გვ. 185.

2 Historia di Hayton Armeno, თავი 21, dans Ramasio, Viaggi e navigationi, Venise, 1574, ტ. II, გვ. 60.

3 Nicephori Callisti, EcclN hist., ტ. VIII; Migne, P.G., ტ. CXLVI, სვ. 139.

4 M. Néandre, Synopsis Historiarum, 1583, passim.

აღსარება ეთხოვა, განსაკუთრებით ზიარების შესახებ, რათა პროტეს-ტანტთა ცილისწამებისთვის დაეპირისპირებინა იგი. აი, დეკლარაცია, რომელიც პატრმა ელჩს გადასცა:

„ქართველ ეპისკოპოსთაგან მიღებულ ჩვენებათა ანგარიში.

I. — პირველ რიგში ისინი ამტკიცებენ, რომ მოსეს დროიდან მოყოლებული სამსხვერპლოდ ჰყავდათ მხოლოდ ხარი და უზენაესს ზვარაკად სწირავდნენ მხოლოდ ცხოველებს, მაგრამ განხორციელებისა და იესო ქრისტეს ქვეყნად მოვლინების შემდეგ ვაცისა და ხბოს სისხლს კი აღარ სწირავენ ყოვლისშემძლე ღმერთს, არამედ იესო ქრისტეს სისხლს პურისა და ღვინის სახით, და იმავე უფალი იესო ქრისტეს ხორცს სწირავენ ყოველდღე მღვდლები წირვისას ზიარების საიდუმლოში. ასეთია საქართველოს ყველა მორწმუნის მრწამსი.

II. — გარდა ამისა, ზემოთ დასახელებული ეპისკოპოსები ზიარებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ პური და ღვინო იმ სიტყვების ზეგავლენით, რომელთაც მღვდელი კურთხევისას წარმოთქვამს, გადაიქცა ჭეშმარიტ სისხლად და ხორცად იმავე უფალი იესო ქრისტესი, ვინც ქალწულმა მარიამმა შვა და ჯვარს აცვეს; რომ ვისაც ამისი არა სჯერა, ურწმუნოა, შერისხულია და ღირსი არ არის ქრისტიანის სახელი ერქვას.

III. — შემდეგ ისინი აცხადებენ, რომ ეს საიდუმლო [illegible]ვებ თავის მოციქულებში დაადგინა დიდ ხუთშაბათს გამართული სერობის დროს.

IV. — როგორც ამტკიცებენ, ასევე სჯერათ, რომ იესო ქრისტემ წარმოთქვა ეს სარწმუნო სიტყვები: „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ"... და პირიქით, „უკუეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენდა".

V. — გარდა ამისა აცხადებენ, რომ არა მარტო მღვდლებსა და წინამძღვრებს, არამედ ყველა წარჩინებულს, სასულიეროსა და საეროს, კოლხეთის აღმოსავლეთ მხარეებში, საქართველოში, სამეგრელოსა და გურიაში, რამეთუ ქრისტიანნი არიან ცხოვრებითა და წესით, გულწრფელად და მტკიცედ სწამთ ის, რისი რწმენაც უნდა ჰქონდეს ნამდვილ ქრისტიანს ზიარების საიდუმლოზე: სწამთ, რომ პური და ღვინო მღვდლის მიერ კურთხევის შემდეგ გარდაიქმნება იესო ქრისტეს ნამდვილ სისხლად და ხორცად, რასაც საუკუნოდ სწირავენ ცოცხალთა და გარდაცვლილთათვის.

VI. — ისინი ასევე ამტკიცებენ, იესო ქრისტეს სისხლსა და ხორცს დიდ პატივს სცემენ ჩვენშიო, და თაყვანს სცემენ წირვის დროს.

VII. — რაც შეეხება წმინდანთა რელიკვიებს, დიდი თაყვანისცემით ეპყრობიან და პატივსაცემ ადგილს უჩენენ.

VIII. ნაღვლისა და მწუხარების წუთებში უსასრულოდ ევედრებიან მვილას უნეტარეს ქალწულს, წმინდა პეტრესა და პავლეს, და ყველა მოციქულს, მიქელ მთავარანგელოზს, და, კერძოდ, წმინდა გიორგის, როგორც თავიანთ მფარველს. როცა ავად არიან, ლოცვაში მფარველობას

სთხოვენ წმინდანებს, ძღვენს სწირავენ მათ, სანთელს უნთებენ, საკმეველს უკმევენ და რაიმეს ჩაუთქვამენ ავადმყოფის მოსარჩენად.

IX. – გარდა იმისა, რომ მოკრძალებითა და თაყვანისცემით არიან გამსჭვალულნი წმინდანთა მიმართ, ისინი წლის განმავლობაში ძალიან მკაცრად იცავენ მარხვას, მარხულობენ წმინდა მოციქულების პეტრესა და პავლეს და აგრეთვე უნეტარესი ქალწული მარიამის პატივსაცემად; ამიტომ აქვთ ყოველ წელს ოთხი მარხვა, კერძოდ, დიდი მარხვა, პეტრე-პავლობის მარხვა, უნეტარესი მარიამის მიძინებისა, და მეოთხე – ჩვენი მაცხოვრის ქრისტეს განხორციელების პატივსაცემი მარხვა“[1].

აქ ვერაფერს ვპოულობთ ისეთს, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ჭეშმარიტ კათოლიკურ დოქტრინას. პირიქით, ვხედავთ სრულ შესაბამისობას საყოველთაო ეკლესიის სარწმუნოებასა და ტრადიციებთან.

## IV. – პაპების მოწმობანი ქართველთა ჭეშმარიტი რწმენის შესახებ. დაქცეული ქვეყნისა და ქართველთა რწმენის ერთგულების დამამტკიცებელი მრავალი საბუთი

ქართველთა რწმენის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე თვით უზენაეს მღვდელმთავართა მოწმობანი. პაპის ჰონორიუს მესამის 1224 წელს საქართველოს დედოფალ რუსუდანისათვის მიწერილ პასუხში ვკითხულობთ:

„თუმცა კი ხორციელად შორს ვართ, გარნა თქვენთან ვიმყოფებით სულითა და გონების თვალით გხედავთ თქვენა და თქვენის სამეფოის ქრისტიანებს; მასთანვე გვახარებს თქვენი მორწმუნეობა, რომელიც გაქვსთ უფლის იესო ქრისტეს სარწმუნოებისადმი და რომელიც დიდად სათნო საყოფელია, რადგან მას იცავთ ურწმუნოთა შორის, რომლებთანაც ცხოვრობთ და მბრწყინავთ როგორც ნათელი სიბნელეში და შროშანი ეკლებში“[2].

უფრო გვიან, 1240 წელს, ჰონორიუს მესამის მომდევნო პაპი გრიგოლ IX წერდა იმავე დედოფალს და ულოცავდა, რომ მათი სარწმუნოება შეურყევლად დარჩენილა ეკლესიის

---

1 B.Ferro, Istoria delle Missioni, Rome. 1704, ტ. I. გვ. 589. ორიგინალი ქართულად (ნაწყვეტი) პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სომხური დასტები, ხელნაწერი 67.

2 Arch. Vat., Reg. 12 Honorii III, VIII წ. ფურც. 199. იხ. მიხეილ თამარაშვილი, (მისივე ნაშრომიდან „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902. გვ. 10).

3 Arch. Vat., Reg. 19 Gregorii IX, წ. XIII. ტ. VI, ფურც. 142.

დაფუძნების დროიდან.[3]

არანაკლებ დამახასიათებელია პაპ პავლე III-ის 1545 წელს მეფე ლუარსაბისათვის გაგზავნილი წერილი, სადაც ამ სიტყვებით მიმართავს მას:

„ეს რა ვსცანით, დიდათ განვიხარეთ უფლისადმი და მის უზენაესობას მადლობა შევსწირეთ, რომ წმინდა ემბაზში განათლებულის ქრისტეს სარწმუნოების აღსარებაში ეგოდენ ხნიდგან მტკიცედ დაუცვიხართ და კვალად გიცავთ თქვენ ოთხ უდიდეს მეფეთ, ვითარცა ქრისტეს სარწმუნოების უძლიერეს გმირთა ეგოდენ ურწმუნოთა შორის, რომლებისაგანაც ყველა მხრით გარემოცული ხართ“[1].

თუ გულდასმით დავაკვირდებით ამ ქვეყანას, მის ხალხს, აღმოვაჩენთ ქართველთა ჭეშმარიტი რწმენის ყველაზე აშკარა დამამტკიცებელ საბუთს. საქართველო წინათ ძალიან ხალხმრავალი იყო და ქართველთა რიცხვი რამდენიმე მილიონამდე აღწევდა. ჩვენ ვერ დავაზუსტებთ მოსახლეობის რაოდენობას იმ ძველ დროში, ვინაიდან, ცხადია, იგი საგრძნობლად შეიცვალა საუკუნეების მანძილზე, ამ ხნის განმავლობაში ქვეყანამ მრავალ ქარცეცხლში გაიარა. ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია მოვიგონოთ, რომ სტრაბონის ეპოქაში პატარა პროვინციას, სვანეთს (დასავლეთ საქართველოში), სადაც ამჟამად 10 000 კაცი ცხოვრობს, შეეძლო გამოეყვანა 200.000 მებრძოლი.[2]

XVII ს-ში საქართველოში ჯერ კიდევ იმდენი ქრისტიანი იყო, ქართულ ეკლესიას 70 საეპისკოპოსო ჰქონდა[3], მაშინ როცა ახლა მხოლოდ ხუთი აქვს და ქართველთა რიცხვი ძლივს აღწევს ორ მილიონს.

წინათ განთქმული ტაძრებისაგან აქ მხოლოდ დიდებული ნანგრევებიღა შემორჩენილა, მათი შემოგარენიც გაუვალ ტყეებად და უდაბნოებად ქცეულა. ამ განადგურების მიზეზი ის არის, რომ ქართველებმა არ მოისურვეს ქრისტიანობის დათმობა, რომ XIX ს-მდე შეუპოვრად ებრძოდნენ ქრისტიანობის ყველაზე დაუძინებელ მტრებს — არაბებს, თათრებს, მონღოლებს, სპარსელებს, თურქებს. ქრისტიანობის დათმობა რომ სდომოდათ, ამდენ ომს არ გაუმართავდნენ ყველა ურწმუნოს, მაგრამ სარწმუნოებაზე უარის თქმას დანგრეული და განადგურებული ქვეყანა არჩიეს.

---

1 Arch. Vat., Reg. Paul III, წ. XII, ტ. V, წ. 245, ფურც. 104.

2 Strabon, Geographicarum rerum gr. lat., ed. 1571, Basiliae, Petrinus, I.XI, გვ. 574.

3 Lamberti, Colchide sacra, Naples, 1657, გვ. 27-35.

ყოველ ნაბიჯზე დასტურდება ამ ნგრევის შედეგები. აი, რას მოგვითხრობს ერთი მოგზაური:

„დღეს ყოველივე მიტოვებულია, ყველაფერი ნანგრევებად იქცევა, რაც ჯერ არ დანგრეულა და ჩაფლულა მიწაში, ინგრევა და ეფლობა. აქ უკვე იწყება ის უდაბურება, რომელმაც ამდენი ომითა და რბევით მოცულ საუკუნეთა მანძილზე მტკვრის წარმტაცი ნაპირები მოიცვა... უძველესი დროიდან, როგორც ჩანს, მრავალრიცხოვან მოსახლეობას მოუკიდებია ამ მიწა-წყალზე ფეხი, ქართლის ერთ-ერთ უმშვენიერეს მხარეში. მთელი მტკვრის სანაპირო ქალაქ გორამდე აგურებისა და ყოველგვარი სახის ჭურჭლის ნამსხვრევებითაა დაფარული. აქ ნახავთ თიხის დოქებს, ისეთ ადგილებში ჩამარხულს, სადაც ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი; ყოველივე ეს კვალია და ნაშთი დიდი ხნის წინ არსებული ცივილიზაციისა“[1].

აი, რას ამბობს სხვა ავტორი:

„ქართველები ძალიან აფასებენ თავიანთ სარწმუნოებას და თუმცა რბილი ხასიათი აქვთ, ყოველთვის დიდი ენერგიით უმკლავდებოდნენ თურქებისა და სპარსელების შემოსევების დროს სარწმუნოებრივ დევნას“[2].

ქართველთა სარწმუნოება რომ იყოს მხოლოდ „აჩრდილი“ და „ფორმა“ ქრისტიანობისა, რა უბიძგებდა მათ ასეთი გმირობისა და დაუსრულებელი მარტვილობისაკენ?[3]

საქართველო დიდად უნდა უმადლოდეს ბერ-მონაზონს, რომ მთელი თავისი სიწმინდით შეინარჩუნა ქრისტიანობა. სამონასტრო ცხოვრება დასაბამიდანვე ფართოდ გაიშალა საქართველოში, არა მარტო თვით საქართველოში, არამედ პალესტინის ბევრ კუთხეში, სადაც ქართველ მეფეთა მიერ დაარსდა და უხვად იქნა ნაწყალობევი არაერთი მონასტერი.

ვგონებ, არ უნდა დავტოვოთ აღუნიშნავად ახალი ფაქტი, რომელიც აშკარად მეტყველებს ქართველთა მართლმადიდებლობის სასარგებლოდ. 1902 წელს თბილისში გამოვაქვეყნეთ ვრცელი ნაშრომი სათაურით: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის

1 Dubois de Monpereux, Voyage autour du Caucase, ტ. II, გვ. 138, ტ. III, გვ. 194.

2 E. Reclus, Nouvelle Geographie universelle, ტ. VI, გვ. 209.

3 „ისინი (ქართველები) ბერძნულ წესს მისდევენ. ჰყავთ პატრიარქი, რომელიც თბილისში ცხოვრობს. აქვთ ბევრი მონასტერი და დაახლოებით სამი ათასი ეკლესია, რომელთა დიდი ნაწილი თურქებსა და სპარსელებს სულ დაუნგრევიათ ამ ქვეყნის დასაპყრობად გაჩარებული ხანგრძლივი ომების დროს“. Ferrario, Costumi antichi emoderni di tutti i popoli, Milano 1829. Asia, ტ. IV, გვ. 66.

საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“[1].

ბუნებრივია, „გამოყოფილ“ ქართველთაგან ველოდით აღშფოთებას, შემოტევას და პოლემიკას. მაგრამ მალე გაგვიცრუვდა მოლოდინი. ძნელია აქ იმის გადმოცემა, როგორი ენთუზიაზმით მიიღო ჩვენი წიგნი მთელმა ქართველობამ განურჩევლად, საერო თუ სასულიერო პირებმა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა. გაზეთებმა მას მიუძღვნეს ქება-დიდების წერილები; შეაფასეს როგორც „საქართველოს ისტორიის უდიდესი განძი“. ამ ერთსულოვანსა და საყოველთაო გამოსვლებსაც არ დასჯერდნენ: არაერთმა ქართველმა მოისურვა თვითონაც გაეღო თანხა ჩვენი წიგნის გამოსაქვეყნებლად. მათი სარწმუნოება ბევრად რომ განსხვავდებოდეს ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი კათოლიკობისაგან, ალბათ გავრცელებისა და გატაცებით კითხვის მაგივრად მოიშორებდნენ და მოსპობდნენ ამ წიგნს.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ, მაგალითად, XVII ს-ში იდგა ისეთი პერიოდები, როცა ქართველი სამღვდელოების დიდი ნაწილი ღრმა უვიცობასა და ამორალურობაში იყო ჩაფლული თურქებისა და სპარსელების შემოსევებისა და დაპყრობათა შედეგად, მაგრამ ეს უწესრიგობა წარმავალი გახლდათ და წმინდა მორალური ხასიათი ჰქონდა. დოგმები მუდამ უცვლელი რჩებოდა.

## V. – მართლმადიდებლური ლოცვანი წმინდა პეტრესა და წმინდა პაპების პატივსაცემად მათი ლიტურგიიდან

რადგან ლოცვა რწმენას გამოხატავს, თუ ნებას დაგვრთავთ, გვინდა მოვიტანოთ რამდენიმე ლოცვა, რომელთაც ქართული ეკლესია წმინდა პეტრესა და რამდენიმე პაპის წირვაზე დღესაც კითხულობს. ამასთანავე, ამ ლოცვებს ბიზანტიური რიტუალის ყველა ეკლესიაში ვხვდებით.

აი, ერთ-ერთი ლოცვა, რომელსაც კითხულობენ დღესასწაულზე წმინდა პეტრეს პატიოსანი ჯაჭვის თაყვანისცემად 16 იანვარს:

„რომი არა დაუტევე, და ჩუენდა მოიწიე, ჯაჭუთა მათ მიერ რომელნიცა შეგემოსნეს შენ, თავო მოციქულთაო პეტრე რომელთაცა თაყუანისვსცემთ და გუედრებით მეოხებითა შენითა, მოგუფინე ჩუენ დიდი წყალობაჲ:

თავსა მოციქულთასა, და პირველსა ჭეშმარიტებისა საღმრთოსა მოწაფესა პეტრეს დიდსა ვაქებდეთ და მისთა მათ ჯაჭუთა სარწმუნოებით

1 სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი ტიპოგრაფიის თვალსაზრისით სასურველი იყო, უკეთესი ყოფილიყო: გარკვეული ეთარების გამო მისი კორექტურის ნახვაც კი ვერ შევძელით..

ამბორს უყოფდეთ, ცოდვათა განჴსნისა მომღებელნი:

კლდესა ქრისტჱსა, და კლდესა სარწმუნოებისასა, ვაქებდეთ ერნო სიხარულით პირველ ქრისტეს მოსაყდრესა, რომელ მოუწოდს ყოველთა დღესასწაულობად ჴსენებასა საკვირველსა, პატიოსანთა ჯაჭვთა მისთასა, და მისცემს მრავალთა შენდობასა"[1].

ლოცვა პაპის წმინდა სილვესტრი დღესასწაულზე, 2 იანვარს:

„კანონად სარწმუნოებისა, და ხატად სიმშვიდისა, და მოძღურად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოსა შენისათჳს ჭეშმარიტებით, ამისთჳსცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო მღდელმთავარო სილიბისტრო ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

მღდელთა შორის უმაღლეს გამოსჩნდი, მეუფისა და ღმრთისა შენისა მიერ ღმრთშემოსილო, და განმორებულთა თანა სწორ იქმენ, და გუნდთა მათ ანგელოსთა თანა ზიარად გამოსჩნდი, და იხარებ ზეცათა შინა მამაო სილიბისტროს, დიდებულო მწყემსო, აცხოვნენ სურვილით, მაქებელნი შენნი".

ლოცვა წმინდა ლეონ დიდის დღესასწაულზე, 18 იანვარს:

„მართლმადიდებლობისა წინამძღუარო, და კეთილ მსახურებისა და კრძალულებისა მოძღუარო ლეონ, ყოვლისა სოფლისა მნათობო, და მღდელმთავართა კანონო ღ ი უ / ღმრთივსულიერო, ყოვლად ბრძენო, სწავლითა შენითა ჩუენ ყოველნი განგვანათლენ, ვითარცა ქნარმან სულიერმან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულითა ჩვენთათჳს.

საყდარსა ზედა დიდებულო მღდელობისასა რა დასჯდე, ლომთა სიტყვიერთა პირნი დაუყვენ რწმენათა მიერ ღმრთივმობერილითა, სამსახურებელთა სამეფისათა, და განამრწყინვე სამწყსოჲ შენი ღმრთის მეცნიერებითა, იმისთჳს იდიდე სადმრთო მესაიდუმლეო ღმრთისა მადლისა".

მეტს აღარ შევჩერდებით ამ საკითხზე; ამ ნაშრომის შემდეგი ნაწილი საკმარისად გამოაშკარავებს ქართველთა რწმენის შესახებ ჩვენი ნათქვამის ჭეშმარიტებას.

დავასრულებთ ბარონიუსის დასკვნით, რომელმაც ასეთი აზრი გამოთქვა ძველი მწერლობის გაცნობის შემდეგ:

„იბერიაში ქრისტიანობა განმტკიცდა და აყვავდა; იბერიის ქრისტი-

1 სამივე ლოცვა მოტანილია 1866 წელს თბილისში გამოცემული „კანონი"-დან, გვ. 342, 328—9, 372.

ანემზე ხომ ასე ფიქრობს პროკოპი (სპარსთა ომების შესახებ, I წიგნი), მათ გადაიტანეს ერეტიკოსთა ფავდასხმა, კათოლიკური რწმენა კი ურყევად და წმინდად შეინარჩუნეს"[1].

1 C. Baronius, Martyrologium Romanum cum notis (1586), 15 დეკემბერი, გვ. 559.

## თავი VII

# ქრისტიანობა ქართველთა შორის პირველ საუკუნეებში წმინდა ნინომდე

შინაარსი. – I. ქართველებით დასახლებული პონტო. ქართველების მიერ ებრაელებისგან წინადაცვეთის წესის გადმოღება. ქართველების კავშირი პალესტინასთან და მოციქულების დროს მათ შორის ქრისტიანობის გავრცელება. – II. პირველი წმინდანები. ხერსონესში გაგზავნილი ტყვეები, რომლებმაც ქართველებს შორის რწმენის გავრცელებას შეუწყვეს ხელი. მარკიონი – პონტოელი ერეტიკოსი. – III. ევაგრე, განთქმული პალესტინელი ქართველი ბერი; მისი შრომები და დოქტრინა. – IV. მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი; მისი ცხოვრება და მრწამსი.

## I. – ქართველებით დასახლებული პონტო. ქართველების მიერ ებრაელებისგან წინადაცვეთის წესის გადმოღება. ქართველების კავშირი პალესტინასთან და მოციქულების დროს მათ შორის ქრისტიანობის გავრცელება

როგორც უკვე მოგახსენეთ (იხ. თავი II), კაპადოკიაში მცხოვრები მოსხები და ტიბარენები იბერებთან, ანუ ქართველებთან იყვნენ გაიგივებულნი.

ახლა რამდენიმე სიტყვა პონტოს შესახებ. ეს ქვეყანა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს.

უდავოა, ამ ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე თითქმის ყოველთვის სხვადასხვა სახელწოდების ქართველები სახლობდნენ: ლაზები, კოლხები, ხალიბები და სხვა (იხ. II თავი). ამიტომაც დასავლეთ საქართველო პონტოს ნაწილი იყო, კოლხეთი კი (სამეგრელო) მისი უკიდურესი პროვინცია. თავის მხრივ, როგორც ქსენოფონტი (445-355

ქვ.წ.) ამტკიცებს, კოლხეთის საზღვრები პონტოს სამეფოს დედაქალაქ ტრაპიზონამდე იყო გადაჭიმული:

„აქედან ელინებმა იარეს ორ გადასავლად შვიდი ფარასანგი და მივიდნენ ტრაპიზუნტში – მჭიდროდ დასახლებულ ელინურ ქალაქში, რომელიც სინოპელთა კოლონია იყო კოლხების ქვეყანაში, ევქსინის პონტოს სანაპიროზე“[1].

არ უნდა გაგვაკვირვოს ტრაპიზონის ბერძნულ ქალაქად გამოცხადებამ; სწორედ ბერძნებმა დააარსეს შავ ზღვაზე სინოპის ამისისა (ამისოს) და ტრაპიზონის პორტები. თავის „გეოგრაფიაში“ სტრაბონიც კოლხეთს პონტოს ნაწილად, მის უკიდურეს საზღვრად მიიჩნევს.

„პონტოს მარჯვენა ნაწილს ვუწოდებთ პონტოს კაპადოკიას კოლხეთამდე“[2].

კოლხეთის მდინარე ფაზისს სტრაბონი ხშირად ევქსინის პონტოს ნავიგაციის ბოლო წერტილად მიიჩნევს; ამასთან დაკავშირებით ანდაზაც კი მოჰყავს[3].

კლასიკოსების ამ წყაროებს დავუმატებთ არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მიღებულ დასკვნებს, რაც სპეციალისტებმა თავიანთი კვლევის საფუძველზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს:

„მრავალი საუკუნის შემდეგ, სტრაბონის დროს, როცა კაპადოკია სემიტური ქვეყანა გახდა, მოსხეთი ჯერ კიდევ შეიცავდა კოლხეთს, იბერიას და არმენიის ნაწილს. რაც შეეხება ბიბლიურ თუბალს, ლურსმული წარწერების თაბალს, ჰეროდოტეს ტიბარენს, ეს ტურანული ხალხი მცირე აზიისაკენ პონტოს ევქსინუსის სანაპირომდე, ტრაპიზონსა და სინოპს შორის გაიშალა; აღმოსავლეთით მას ვრცელი იმპერია უნდა ჰქონოდა... ასურელების ჯარების მიერ პონტოსკენ შევიწროებული მოსხები და ტიბარენები, მცირე აზიის პროვინციებთან ერთად, დარიუსის დროს, ერთ სატრაპიას შეადგენდნენ“[4].

ეს უკვე დადგენილია და ციტატების მოყვანასა და დახვავებას არავითარი აზრი არა აქვს.

პონტოს მცხოვრებლებზე ლაპარაკისას სტრაბონს ჰომეროსის ციტატა მოჰყავს: „არ არის ხალხი, მათზე უფრო მართალი“ და უმატებს, რომ ჰომეროსი ძალიან კარგად იცნობდა იმ ხალხის

1 Anabase, IV, 8. თარგმანისათვის იხ. თ. მიქელაძე. —„ანაბასისი“, გვ. 89. იხ. Diodore de Sicile, ტ. XIV.

2 Strabon, Géographie, éd. Didot, Paris; 1853 წ. XII, თავი 2, გვ. 464.

3 Hérodote, IV, 86.

4 Jules Soury, L'Asie Mineure d'aprés les nouvelles découvertes archéologiques, dans Revue des Deux-Mondes, 1873 წ., ტ. V, გვ. 909.

ადათ-წესებს, რომელზეც ლაპარაკობდა.

ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხებს და მათ მეზობელ მაკრონებს[1], იმავე ქართველებს, წინადაცვეთა ჰქონდათ წესად. მათი წარმოშობის დასადგენად ჰეროდოტე სხვადასხვა ვერსიას გვთავაზობს, თანაც ცდილობს, გვიჩვენოს, რომ ისინი ეგვიპტელების ჩამომავლები, სესოსტრისის კოლონიის მკვიდრნი არიან, მაგრამ ვერ ახერხებს. ვფიქრობთ, ქართველებში წინადაცვეთის გავრცელება უეჭველად ებრაელებს უნდა მიეწერის. მათი ძლიერი კოლონია საქართველოში VI ს-ში (ძვ.წ.) დამკვიდრდა. როგორც ჩანს, ჰეროდოტემ არ იცოდა ეს ამბავი. იმის გასაგებად, თუ რამდენ დიდი იყო ებრაელების გავლენა ქართველებზე, საკმარისია გავიხსენოთ,რომ დავითისა და ურის შთამომავალმა, ბაგრატიონთა დინასტიამ საქართველოში VI საუკუნიდან 1800 წლამდე იმეფა. მაშასადამე, ებრაელები ქართველებისათვის ნამდვილი ღმერთის გაცნობას და თავიანთი რიტუალების, განსაკუთრებით წინადაცვეთის, გავრცელებას შეუწყობდნენ ხელს.

პონტოში მცხოვრები ქართველები, ებრაელების მიბაძვით, იერუსალიმში მიდიოდნენ აღდგომის აღსანიშნავად: როგორც „საქმე მოციქულთა“ გვიჩვენებს, ისინი მართლაც იქ ყოფილან აღდგომის მეთხუთმეტე დღეს:

„პართნი და მიდნი და უძიკნი და ელამიტელნი და მკჳდრნი შუა მდინარისანი, ჰურიასტანისანი და კაბადუკიაჲსანი, პონტოჲსანი და ასიაჲსანი...“[2].

აქ ლაპარაკია არა მარტო ებრაელებზე, არამედ სხვა ეროვნების ხალხზეც, რომელიც პალესტინაში არა ცხოვრობდა, მაგრამ მაინც იცავდა ებრაულ წესს. როცა ეს ხალხი შინ ბრუნდებოდა, ბუნებრივია, იერუსალიმში ნანახსა და გაგონილს ჰყვებოდა. ასე ჩამოიტანეს ახლად ჩასახული ქრისტიანობის ცნებები; და რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ პონტოს მცხოვრებლები იმ სამი ათას კაცს შორის, რომლებმაც სხვადასხვა ენაზე მოუსმინეს მოციქულებს და წმინდა პეტრეს პირველივე ქადაგებისას ქრისტიანებად მოიქცნენ?

„ხოლო იგინი წარვიდეს პირისაგან მის კრებულისა და უხაროდა, რამეთუ ღირს იქმნნეს სახელისა მისისათჳს გინებად“[3].

---

1 „მაკრონებმა... ამბობენ, რომ კოლხებისაგან ისწავლეს ახლახან; მხოლოდ ამ ხალხს აქვს წესად წინადაცვეთა“, Hérodote, II, 104.

2 საქმე მოციქულთა. 2.9.

3 საქმე მოციქულთა. 5.41.

მეორე მხრივ, საქართველოში უფლის კვართის არსებობას (იხ. IV თავი) მოსახლეობის ყურადღება უნდა მიეპყრო და მათი გონისათვის ნათელი მოეფინა. ამგვარად, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ქართველებში ქრისტიანობა მისი დასაბამიდანვე გავრცელდა.

მოციქულები არ აყოვნებდნენ იმ ქვეყნების მოვლას, სადაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ (იხ. V თავი), ანდრიამ საქართველოს რამდენიმე პროვინცია შემოიარა. თავის მხრივ, წმ. პეტრემ პონტოს მიაღწია და იქ მრავალი ქალაქი გაანათლა[1].

წმ. პეტრეს სხვა იმდენი მოციქული თუ მიმდევარი მოჰყვა, ცოტა ხანში პონტო გულმხურვალე ქრისტიანთა კერად იქცა; ამას თვით ეპისტოლეში ვკითხულობთ, რომელიც წმინდა პეტრემ პონტოელებსა და მათ მეზობლებს გაუგზავნა:

„პეტრე, მოციქული იესუ ქრისტესი, რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოჲსა და გალატიისა, კაპადუკიისა, ასიისა და ბითჳნიისათა, ... რომელი არა იცოდეთ და გიყუარს, რომელსა-იგი აწ არა ჰხედავთ და გრწამს, იხარებდით სიხარულითა გამოუთქუმელითა და დიდებულითა... რომელთა-იგი გამოეცხადა, რამეთუ არა თავთა თჳსთა, არამედ თქუენ გმსახურებდეს მას, რომელ-ესე აწ მიგეთხრა თქუენ მახარებელთა მათ თქუენთა მიერ სულითა წმიდითა მოვლინებულითა ზეცით, რომლისათჳს გული უთქუამს ანგელოზთა ხილვად“[2].

ამგვარად, უეჭველია, რომ პირველივე საუკუნეებიდან პონტოში მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა, რომელთა ავთენტიკურმა ნაწერებმა ჟამთა სვლის გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია[3].

---

1 იხ. Migne, P.G., ტ. XX, სვ. 216; Tillemont, Mémoires, ტ. I, გვ. 689; Duchesne, Les Origines chrétiennes, გვ. 325.

2 პეტრე 1, 8-12.

3 საქართველოს ეროვნულ კალენდარში დასახელებულია აგრეთვე წმინდა პანკრასი, ტაორმინის ეპისკოპოსი სიცილიაში. მისი წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული: ზოგის აზრით ანტიოქიის გარეუბნიდანაა, ზოგს პონტო მიაჩნია მის სამშობლოდ. როგორც უნდა იყოს, უდავოა, რომ წმინდა პეტრე პონტოს ერთ-ერთ ქალაქში შეხვდა პანკრასს; აქ წმინდა პეტრე მარტო ცხოვრობდა და გადაწყვიტა, მოციქულს მიმოსვლაში შესდგომოდა. პანკრასი პეტრემ სიცილიაში გააგზავნა, სადაც სახარება იქადაგა და იქაურები ქრისტიანებად მოაქცია. ტაორმინაში იქ დიდებული მოწამეობით დაამთავრა თავისი ცხოვრება. რომაელი მარტიროლოგი 3 აპრილს აღნიშნავს მის დღეს, მაშინ როცა ქართული ეკლესია 29 ივნისს დღესასწაულობს. იხ. Acta SS., Aprilis, ტ. I, გვ. 238 და ა.შ.; Octavius Caietanus, Vita SS. Siculorum, Palerme, 1656, ტ. I, გვ. 7; Tillemont, Mémoires, ტ. I, გვ. 190.

## II. – პირველი წმინდანები. ხერსონესში გაგზავნილი ტყვეები, რომლებმაც ქართველებს შორის რწმენის გავრცელებას შეუწყვეს ხელი. მარკიონი, პონტოელი ერეტიკოსი

ქართველ წმინდანთა ცხოვრების კრებულში ვხვდებით ვინმე ხრისოსს. ერთ-ერთი მოციქულის მიერ მოქცეული ხრისოსი ქრისტეს სჯულს ასწავლის და ნათლავს აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციის ალვანეთის, ანუ ალბანეთის (კახეთის) ცხრამეტ ქართველს. თავიანთი მასწავლებლის — ხრისოსისა და მისი ოთხი მოყვასის წამების შემდეგ ისინი ერთ მთაზე გაიხიზნენ, რათა იქ ღმრთისა მიმართ ელოცათ და მისთვის ემსახურათ... ალბანეთის (ალვანთა) მეფე დატიანოსი განკარგულებას სცემს, მონახონ ცხრამეტივე ქართველი, რადგან ადრე მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ჯარში. მთავარი ბარლაპა პოულობს გახიზნულთ და სთავაზობს, თავიანთი განდეგილობა მეფის სამსახურზე გაცვალონ. უარი რომ მიიღო, ყველანი ცეცხლში დაწვა. მათი სახელებია: სუქიოსი, ლუკანოსი, პოლიევქტი, კონდრატუსი, ისშირიონი, მემნოსი, ფოკასი, ნერგანოსი, დომენტიოსი, ადრიანი, ზოსიმე, ვიქტარიოსი, თალალოსი, იორდანოსი, ანასტასი, იაკობი, თეოდორე. ორი სახელი აკლია. ისინი პირველი საუკუნის ბოლოს აწამეს[1].

ქართული ეკლესია მათ 15 აპრილს მოიხსენიებს.

შეიძლება ამ პერიოდში მიაღწია ქრისტიანობამ საქართველოს მეფეთა კარამდე, რადგან „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ, რომ მეფე რევს, რომელიც 187-დან 213 წლამდე მეფობდა, სახარებიდან უკვე გაუგია რაღაც ცნობები იესო ქრისტეს შესახებ. ამიტომაც იყო იგი ასეთი მოწყალე, ასეთი კეთილი, რის გამოც მეტსახელად მართალი შეარქვეს[2].

არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ ის, რასაც რომაულ მარტიროლოგში (24 ივნისს) ვკითხულობთ:

„იულიუსის კალენდრის მერვე თვეს. სათლე სომხეთში, უწმინდეს მოწამე ძმათაგან შვიდი, ორენციის, ჰეროის, ფარნაკის, ფირმინის, ფირმის, კირიაკისა და ლონგინის ლაშქრიდან, რადგანაც ქრისციანეში იყვნენ, მაქსიმიანე იმპერატორმა სათითაოდ ჩამოაშორა სამხედრო საქმეს, დააცალკევა, სხვადასხვა ადგილას გარიყა და ასე, გაჭირვებასა და მწუხარებაში მიემარნენ უფალს"[3].

ვფიქრობთ, აქ სომხეთი შეცდომითაა დასახელებული, რადგან

1 საბინინი. საქართველოს სამოთხე. გვ. 621-627.

2 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 77.

3 Martyrologium Romanum, Rome, 1888, გვ. 90.

ქალაქი საოლე (თანამედ. სატლე), სადაც მოწამენი იყვნენ, დასავლეთ საქართველოში, ჭოროხის აუზში იმავე სახელწოდების მდინარეზე მდებარეობს[1].

მიუხედავად იმისა, რომ ძმათაგან შვიდი საქართველოში აწამეს, ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება მათი უკანასკნელი წუთების შესახებ. VIII ს-ის ერთ-ერთ ბერძნულ სვინაქსარში, რომელიც XI ს-ში ქართულად ათონის მთის მკვიდრმა წმ. გიორგი ათონელმა (გარდაიცვალა 1066 წ.) თარგმნა, ვკითხულობთ:

„წმინდა ორენტი თავის ძმებთან ერთად სათლემელის მთაზე გააგზავნეს, რადგან არ უნდოდა კერპებისთვის თაყვანისცემა. მაგრამ ნამდვილი რწმენის უარყოფის გამო იქაურმა მთავრობამ ისინი ყველანი აფხაზეთში გააგზავნა. ორენტის უფროსი ძმა ეროსი სოფელ მანაკეში გარდაიცვალა, ხოლო რიზეში ჩამოსული ორენტი ზღვაში გადააგდეს; ერთმა ანგელოზმა ორენტი გადაარჩინა და მიწაზე დააბრუნა, სადაც ის მოკლეს. მეორე ძმა ფარნა კორდილიოსში გარდაიცვალა. ფირმოსმა და ფირმინომ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები აფსაროში გაატარეს; კვირიაკოსი ოსეთის ქალაქ ზიპანეოსში გარდაიცვალა. მეშვიდე ძმა ლონგინოსი აფხაზეთში გარდაიცვალა და პიტიოტასში დაასაფლავეს“[2].

15 ივლისს წამებულ წმინდანებს კვირიკესა და ივლიტას საქართველოში ყოველთვის მიაგებდნენ პატივს; აქ მათ პატივსაცემად მრავალი ეკლესია ააგეს და ივლისის თვე ერთი მათგანის, კვირიკეს სახელს ატარებს.

მეორე სვინაქსარში ვკითხულობთ აგრეთვე წმინდა მაქსიმეს წამებას; ეს აფხაზეთში უნდა მომხდარიყო, მხოლოდ წელი არ ჩანს[3].

ბარონიუსი, წმინდა ირენეუსის ტექსტზე დაყრდნობით, საქართველოს გაქრისტიანებას წმინდა კლემენტიოსს მიაწერს. იგი ტრაიანეს თავრიდის ხერსონესში (დღევანდელი ყირიმი) გადაუსახლებია[4]. სინამდვილეში წმინდა ირენეუსის ტექსტი ძალიან ცოტას გვეუბნება და მის მიხედვით არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება.

მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია პირადად წმინდა კლემენტიოსს მივაწეროთ ქართველებს შორის ქრისტიანობის გავრცელება, რადგან ის მხოლოდ ერთი წელი იყო გადასახლებული. მაგრამ უდავოა, რომ იმ მრავალ გადასახლებულთაგან ბევრი, ვინც ეპისკოპოს კლემენტიოსის დროს ყირიმში ცხოვრობდა, მეზობელ ქვეყნებში და, კერძოდ,

1 Vakhought, Description de la Géorgie, თარგმნილი ბროსეს მიერ, გვ.113.

2 თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი №222, გვ. 375.

3 თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი №97.

4 „ირენეუსი გვაიძულებს ვირწმუნოთ, რომ იბერებიც და ამ მხარეში მცხოვრები სხვა ხალხებიც იცნობენ სახარებას“. Baronius, Annal. Eccl., ტ. II, წელი 100, № X–XII, გვ. 6.

საქართველოში წავიდა საქადაგოდ. ცნობილია, რომ წმინდა კლემენტიოსმა ყირიმის ნახევარკუნძულზე ორი ათასზე მეტი გადასახლებული მორწმუნე ნახა. გარდა ამისა, მან უამრავი ურწმუნო და თითქმის მთელი პროვინციაც კი მოაქცია[1]. თუკი იქ შეეძლოთ ქრისტიანობის ქადაგება, რატომ არ შეეძლოთ იგივე მეზობელ ქვეყნებშიც გაეკეთებინათ? სრულიად შეუძლებელია, ამ ქრისტიანებს არ ემოქმედათ, არ ეცადათ ქრისტიანობის გავრცელება, რისთვისაც ასე იტანჯეს.

ამრიგად, თავს უფლებას ვაძლევთ, ვთქვათ, რომ წმინდა კლემენტიოსის მიმდევრებმა საქართველოსთვის ბევრი გააკეთეს.

ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ცნობილი ერეტიკოსი, მარკიონი პონტოელი იყო. იგი ფაზისის, დასავლეთ საქართველოს უძველესი ქალაქის ეპისკოპოსი გახლდათ. მამამისმა, ეპისკოპოსმა პალმოსმა გადაწყვიტა, მარკიონი ცოდვების მოსანანიებლად ჩამოეყვანა, მაგრამ როცა ნახა, მისმა მამობრივმა შეგონებამ ვერავითარი შედეგი გამოიღო, შვილი ეკლესიიდან განკვეთა, ეკლესია კი ჩამოართვა. სწორედ ამ დროს (138 წელს) მარკიონი რომს გაემგზავრა, სადაც მისი დოქტრინის ყველაზე საშინელმა მოწინააღმდეგეებმა დაამტკიცეს ეკლესიიდან ამ ერეტიკოსის მოკვეთა[2]. მოწინააღმდეგეებს შორის დაუნდობლობით გამოირჩეოდა ტერტულიანე; მან სრულებით არ დაინდო მარკიონი და სამშობლოს გაკიცხვა დაუწყო[3], რათა მისი დოქტრინა უფრო მეტად

---

1 იხ. იქვე. ტ. II, წელი 102, №№ II, III. გვ. 13.

2 იხ. იქვე. ტ. II. წელი 146, № V, გვ. 169 და 155 წელი, № IV–V, გვ. 198; Nouvelle Biographie générale. t. XXXIII,p. 504–507; La Grande Encyclopedie, S. XXIII, CF. 43; Brosset. Histoire de la Géorgie, I, CF. 90, № 1. ქართველი ავტორები: პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, ტფ. 1900, გვ. 8; დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსა. ტფ., 1889, გვ. 110.

3 გაგაცნობთ ამ მხარის ტერტულიანესეულ, საკმაოდ საინტერესო აღწერას, თუმცა გადაჭარბებულს. რომ იგი მთლიანად მოვიყვანოთ, რადგან პონტოსა და კოლხეთის ქვეყნები თავიანთი სილამაზითა და ნაყოფიერებით იყო განთქმული თვით შორეულ წარსულშიც კი. აი, ისიც: „პონტოს ევქსინის უწოდებენ, ასეს ბუნება არ ადასტურებს, მცდარია სახელი. რადგან დღე არასდროს არ არის ნათელი, მზე კი — მხიარული. მუდამ ერთნაირი, მოღრუბლული ამინდია. მთელი წელი ზამთარია. სულ ქარი ქრის — აკვილონია. ზღვა ვარსკვლავებამდე აღწევს. სიმტკიცე აკლია ყველაფერს. მთები თოვლითაა დაფარული. ყველაფერი გაყინული და გაქვავებულია. აქ არაფერი მოგხვდება თბილი, გარდა ველურობისა, ის, რამაც გაალამაზა არაკები ტავრიდა მსხვერპლშეწირვაზე, კოლხთა სიყვარულზე და კავკასიის ტანჯვაზე. მაგრამ არაფერი ისე ველური და საშიში არ არის, როგორც ის, რომ აქ, პონტოში, გაჩნდა მარკიონი, სკვითზე საშინელი, სავრომატზე დაუნდობელი, მასაგეტზე არაადამიანური, ამაზონზე შეუპოვარი, ღრუბელზე უფრო მოქუფრული, ზამთარზე უფრო მსუსხავი, ყინულზე უფრო მყიფე, ისტრიაზე მოღალატე, კავკასიონის მთებზე ციცაბო — მართლაც, ასე არაა? — სადაც ჭეშმარიტად ყოვლისმცოდნე ღმერთის პრომეთეოსს შეურაცხმყოფელად კორტნიან. აქაურ ველურ მხეცებზე საშინელია მარკიონი. მართლაცდა, ხორცის მგლეჯელი თახვია, რომელიც ქორწილში შეძვრება, ასევე ღორმუცელა ცარუკია, რომელიც სახარებას ღრღნის". — Adv. Marcionem, წიგნი I, თავი 1: Migne, P.L., ტ. II. სვ. 271-2.

შეელახა. მაგრამ ყოველივე ამან ამ მხარეში ქრისტიანობის განვითარებას ხელი ვერ შეუშალა. როგორც ჩანს, ამ დროს აქ რამდენიმე განთქმული ეპისკოპოსი მოღვაწეობდა. სამწუხაროდ, ისტორიამ არაფერი შემოგვინახა მათი მოღვაწეობის შესახებ.

## III. – ევაგრე, განთქმული პალესტინელი, ქართველი ბერი; მისი შრომები და დოქტრინა

მომდევნო პერიოდის ისტორიაში მაინც ვხვდებით გამოჩენილი ქართველის, სახელად ევაგრეს კვალს. ევაგრემ დიდი როლი ითამაშა პალესტინაში. საერთოდ იგი ევაგრე ევგიპტელის სახელითაა ცნობილი, რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი ამ ქვეყანაში გაატარა. დროული იქნებოდა, ევაგრეს ცხოვრების ზოგიერთი დეტალი გაგვეცნო.

ევაგრე დაიბადა 345 წელს შავი ზღვის პირას მდებარე საქართველოს ერთ პატარა ქალაქში. მამამ, რომელიც მღვდელი იყო, წმინდა გრიგოლ ნაზიანზელთან წაიყვანა. გრიგოლ ნაზიანზელის ხელმძღვანელობით ევაგრემ ფილოსოფია და სხვა მეცნიერებები შეისწავლა. წმინდა გრიგოლმა მას წმინდა გრიგოლ ნოსელი და წმინდა ბასილი გააცნო, რომელმაც, როგორც ამბობენ, ევაგრე კანანახად (წიგნის მკითხველად) დანიშნა. მოგვიანებით, წმინდა გრიგოლმა ევაგრე დიაკვნად დასვა. ევაგრემ მალე მოიხვეჭა სახელი იმ ახალგაზრდული ცეცხლით, რომლითაც ყველა სახის წვალებას შეუტია.

381 წელს ევაგრე წმინდა გრიგოლ ნოსელს კონსტანტინოპოლის პირველ საეკლესიო კრებაზე გაყვა და ამ ქალაქში არქიდიაკვნის ფუნქციების შესრულებას შეუდგა. ევაგრეს დედაქალაქის მრავალრიცხოვანი ერეტიკოსის წინააღმდეგ გამოსვლებმა საყოველთაო აღიარება მოუპოვა. მან რბილი ქცევითა და თავაზიანობით ყველას შეაყვარა თავი.

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელმა ევაგრე მღვდლად აკურთხა და იერუსალიმში წაიყვანა. იერუსალიმში ევაგრემ ისეთივე წარმატებით იქადაგა, როგორც კონსტანტინოპოლში. კონსტანტინოპოლში ერთი რომაელი ქალის, მელანიას შეგონებით გადაწყვიტა, შემონაზვნებულიყო (დაახლოებით 343 წელს); შემდეგ ევგიპტეში გადავიდა და ნიტრიის უდაბნოს შეეხიზნა. იქ ორი წელი დაჰყო და ორ მაკარის დაემოწაფა, რომელთაც იგი რელიგიურ ცხოვრებას აზიარეს. შემდეგ ცელის უდაბნოს შეეხიზნა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში შეურყვნელად იცავდა უმკაცრეს ეპიტემიას. მოგვიანებით რამდენიმე განდეგილის ხელმძღვანელობა იკისრა. წმინდა ცხოვრებამ და ერუდიციამ ევაგრეს შორს გაუთქვა სახელი. ერთ დღეს თეოფილე ალექსანდრი-

ელმა გადაწყვიტა იგი ძალით აერჩია ეპისკოპოსად, მაგრამ ევაგრემ როგორღაც თავი დაიძვრინა[1].

დიდმა თვითგვემამ ევაგრეს სიცოცხლე მოუსწრაფა. იგი (399 წლის დამდეგს) თავისი მონასტრის ეკლესიაში ზიარების შემდეგ გარდაიცვალა. მაშინ ევაგრე ორმოცდათოთხმეტი წლის გახლდათ.

ევაგრეს სამშობლო ნამდვილად იბერია (საქართველო) იყო: ბევრი ისტორიკოსი, მათ შორის სოზომენი და ნიკიფორე კალისტე ამას ზუსტად ამტკიცებენ[2]. წმინდა იერემია ევაგრეს, რომლის დოქტრინაც უწვალებლურად მიაჩნდა და სძულდა, ხან ჰიპერბორიტს ეძახის, ხან იბორიტს, ან იბერიელს[3]. წმინდა იერემიამ ისევე, როგორც ტერტულიანემ, საშინელ ფერებში დაგვიხატა მარკიონის სამშობლო პონტო. მისი დოქტრინის სახელის გასატეხად, იბერიას სხვა ქვეყნებს შორის უსახიზღრეს ქვეყანად წარმოგვისახავს.

დიდი ჭკუით დაჯილდოებულმა ევაგრემ, უმაღლესი რანგის ასკეტმა და მწერალმა ძალიან ღრმა ფსიქოლოგიური ცოდნა გამოამჟღავნა. მარტოობის ჟამს მრავალი შრომა დაწერა, რომელთა უკლებლივ ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. რამდენიმე მათგანი ჩვენთვის მხოლოდ ზოგიერთი ძველი ისტორიკოსის შრომებით გახდა ცნობილი, რამდენიმეც ლათინური თარგმანით შემოგვრჩა; სხვებმა მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენამდე. საერთოდ, ევაგრეს შემდეგ შრომებს მიაწერენ:

**1. გნოსტიკური ტრაქტატი,** ანუ მასზე, ვისაც განათლების ნიჭი აქვს მომადლებული. კრებული შეიცავს ორმოცდაათ სენტენციას და ამდენივე თავს; იგი ბეჯითი და განათლებული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

**2. ბერი, ანუ პრაქტიკული ცხოვრება.** ეს გახლავთ ორმოცდაათი სენტენციისგან შედგენილი კრებული ბერებისთვის; რომლებიც განმარტოებით ცხოვრობენ და საქმიანობენ.

**3. სიტყვისგება.** წიგნი საღვთო წერილის სხვადასხვა ნაწყვეტებს შეიცავს, რომელთა შორის საუკეთესოები სატანის ცთუნებებს შეიძლება დაეუპირისპიროთ. ის რვა ნაწილადაა დაყოფილი, რვა ძირითადი

1 Socrate, Hist. Eccl., რვ. IV, თავი 23, Dans Migne, P.G., ტ. LXVII, სვ. 521.

2 „წარმოშობით კი იბერთა მოქალაქე ევქსინის პონტოდანაა“. Sozomeni, historia, Migne, P.G. ტ. LXVII, სვ. 1384. „ის (ევაგრე) წარმოშობით იბერიაგანაა, რომლებიც ევქსინის პონტოს მიდამოებში სახლობენ. შესანიშნავი, ძალიან ბრძენი კაცია, მოქნილი ჭკუის, აზრის გამოთქმისას საკმაოდ მკაცრი“. Nicephori Callisti, Hist. eccl., წიგნი XI, თავი 42; Migne, P.G., ტ. CXLVI, სვ. 717.

3 J. B. Cotelier, Ecclesiae Graecae Monumenta, Paris, 1686, ტ. III, გვ. 543.

ცოდვის რიგის მიხედვით.

**4. პროგნოსტიკური პრობლემები.** შრომა თეოლოგიის ყველაზე ამაღლებულ საკითხებს ეხება.

**5. ბერებისა და უბიწოთა მიმართ.** ეს ორი შრომა სოლომონის იგავების მიხედვითაა დაწერილი, ე.ი. უტყუარი შეგონებებისაგან არის შედგენილი.

**6. წიგნი მელანიასადმი.** შრომა უბიწოთათვის მიძღვნილში არ ავურიოთ.

**7. წერილი ანატოლის.** ეს გახლავთ ევაგრეს პასუხი წერილზე, რომელშიც ბერების მისტიკური სამოსის მიზეზებზეა ლაპარაკი.

**8. მონასტრული ცხოვრების საფუძვლები.** შრომა ახალგაზრდა კაცის ყურადსაღები სწავლებაა, რომელსაც სურდა, რელიგიურ პროფესიას ზიარებოდა.

**9. ღმერთის სახელების შესახებ.** ნაწყვეტი საღვთო წერილში ღმერთის სხვადასხვა სახელისადმი მიძღვნილი ტრაქტატიდან.

**10. პოლემიკა სარწმუნოების შესახებ.** არიენელთა, ევნომიანთა და აპოლინარელთა წინააღმდეგ.

კიდევ ბევრი ნაშრომია, რომელთაც ხან ევაგრეს მიაწერენ, ხან კი სხვა ავტორებს.

ევაგრეს ყველა პატივს სცემდა; წმინდანიც კი უწოდეს. მისი განდეგილად ცხოვრება ნამდვილად ყურადსაღები იყო. ევაგრეს გარდაცვალებიდან სულ მალე, 415 წლისათვის, მისი შრომები ლათინურად ითარგმნა; ამ შრომებს ყველგან კითხულობდნენ, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. პირველმა წმინდა იერემიამ მიაქცევინა ყურადღება ეკლესიას ევაგრეს ერთ-ერთ წიგნზე. ეს არის „აპათია“, სადაც ევაგრე ორიგენესთან გაკიცხული სიმშვიდისა და უცოდველობის დოქტრინის ახსნას ცდილობს. წიგნი აღარ არსებობს, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ციტატაში შეცდომა არ შეიმჩნევა. აქ ყველაფერი კათოლიკე დოქტრინას შეესაბამება. წმინდა იერემიას მსჯელობა ევაგრეს შესახებ ძალიან მკაცრად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთის გარეშე ადანაშაულებს მას.

ევაგრეს ბრალდებები წმინდა იოანე კლემაქსმაც წაუყენა, თუმცა ისინი ძალიან ბუნდოვანი იყო. ბერძნებმა განსაკუთრებით დიდი მტრობა გამოამჟღავნეს ევაგრეს მიმართ; ბევრმა საეკლესიო კრებამ, განსაკუთრებით 553 წელს კონსტანტინოპოლში გამართულმა, ევაგრე შეაჩვენა, მაგრამ მისი ვერც ერთი შეცდომის დადგენა ვერ შეძლო. ყოველივეს მიუხედავად ალექსანდრიის ეპისკოპოსი თეოფილაქტე არასოდეს შეხებია ევაგრეს რეპუტაციას და ვერაფრით გბიგო, ორიგენის

ცთომილების სწავლებისთვის განდევილებს შორის ვინ დაისაჯა. პალადი, რუფინუსი, სოკრატე, სოზომენი, წმინდა პროსპერი და გენადი აქებენ ევაგრეს და მის ნაწერებს აფასებენ როგორც ყოველმხრივ აუცილებელსა და მნიშვნელოვანს[1].

სირიელი ბაბაი თანმიმდევრულად განიხილავს ევაგრეს შრომას „ცენტურიები", რომელიც ას თავადაა დაყოფილი; შემდეგ მას ორიგენიზმის ყოველგვარ ბრალდებას აშორებს და წმინდას უწოდებს[2]. არ უნდა გამოგვრჩეს ევაგრეს მასწავლებლის წმინდა გრიგოლ ნაზიანზელის შესხმა ევაგრეს მიმართ. გრიგოლი მოწაფეზე მხოლოდ ცხრა წლით ადრე გარდაიცვალა. იგი ხარობდა და ამაყობდა თავისი შვილით, რადგან, მისი აზრით, შვილის დიდებისა და უმანკოების სხივი მამასაც ეფინებოდა[3]. ევაგრე გრიგოლთან ერთად ემსახურებოდა წმინდა საქმეს, ამიტომ მადლობისა და მამობრივი სიყვარულის ნიშნად გრიგოლმა თავისი ტანსაცმელი და ოცდაათი ოქროს მონეტა დაუტოვა ანდერძით[4].

## IV. – მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი; მისი ცხოვრება და მრწამსი

მეორე ქართველი, ვინც დიდი როლი ითამაშა პალესტინაში და რომელზეც ისტორიამ რაღაც ცნობები შემოგვინახა, გახლავთ მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი. ის მონოფიზიტ მწვალებელთა დიდი მიმდევარი იყო, თუმცა ისტორიკოსი სქოლასტიკოსი ევაგრე ამაზე არაფერს შენიშნავს. პეტრე იბერის გარდაცვალებიდან სულ მალე კი იწერება „ცხოვრება", რომელიც მის დიდ სათნოებასა და მრავალრიცხოვან სასწაულზე მოგვითხრობს. ეს სულ არ არის გასაკვირი, რადგან „ცხოვრება", თუ ავტორს დავუჯერებთ, სირიულად უნდა ყოფილიყო დაწერილი პეტრე იბერის ერთ-ერთი მოწაფის მიერ, რომელიც მასწავლებელს საქართველოს გარეთაც უნდა გაჰყოლოდა და პეტრეს

1 იხ. Migne, Deuxième Encyclopédie Théologique, ტ. XXI, სვ. 614-624; Nouvelle Biographie générale, Paris 1872. ტ. XVI, გვ. 815-817; Encyclopédie des sciences religieuses, par Lichtenberger, Paris, 1878, ტ. IV, გვ. 640.

2 Bibl. Vat., Codex syriacus №10.

3 „ილხენდა ქებაშესხმული. ჩვენი ძის ევაგრეს დაფასება ჩვენი დაფასებაცაა, შვილი მამის სახელი და დიდებაა". S.Gregorii Theologi, IV; Migne, ტ. XXXVII, სვ. 24.

4 „ევაგრე დიაკონს ჩვენთან უთანამშრომლია, უზიარია, მრავალი სიკეთე ჩაიდინა ადამიანებისა და ღმერთებისათვის საკადრისი, ღმერთმა კი უფრო დიდი წყალობა მიაგო მას, რომ არცთუ მცირე ნიშანი კეთილგანწყობილებისა დაგვიტოვა. გვსურს, მას ებოძოს ერთი კამარიონი, ერთი სტიქარიონი, 2 პალლია, 30 ოქროს მონეტა." S. Gregorii Theologi Testamentum; Migne, P.G., ტ. XXXVII სვ. 393.

საკუდილამდე მასთან ერთად უნდა ეცხოვრა. უდავოა, „ცხოვრება“ VI საუკუნეში უკვე არსებობდა, რადგან ამ დროის მწერლები მას უკვე მოიხსენიებენ[1], მაგრამ აუცილებელი არ არის, ჩვენამდე მოღწეული „ცხოვრება“ იგივე იყოს, რომელზეც ეს ავტორები ლაპარაკობენ[2]. რაც უნდა იყოს, ამ ნაშრომში ბევრი რამ გაზვიადებულია. პეტრე იბერს ყველანაირ სასწაულს მიაწერენ; საკმარისია ითქვას ისიც, რომ მის სასარგებლოდ ლაპარაკს თვით პეტრე იბერის დაბადებამდე იწყებენ; თითქოს მაიუმის ეპისკოპოსის დაბადება ანგელოზს გამოეცხადებინოს და მისი უმანკოებაც ეწინასწარმეტყველებინოს.

მოკლედ მოგახსენებთ, რას გადმოგვცემს პეტრეს შესახებ „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ამ „ცხოვრებას“ უნდა ეყრდნობოდეს. პეტრე ქართველი მეფე ვარაზ-ბაქარის (მეფობდა 379—393 წლებში) ვაჟი იყო. სახელად მურვანოსი ერქვა. იმპერატორ თეოდოსიუს მცირეს ქართველების სპარსელებთან კავშირის შეეშინდა და ამიტომ მურვანოსი მძევლად ითხოვა. თორმეტი წლის ჭაბუკი კონსტანტინოპოლში გააგზავნეს, სადაც მეფის შესაფერი აღზრდა მისცეს. იმის ნაცვლად, რომ სასახლის სიამოვნებებს დასწაფებოდა, მურვანოსი ასკეტურად ცხოვრობდა, მხოლოდ ლოცვა და სათნოების წვრთნა ანიჭებდა სიამოვნებას. სხვა ადათ-წესებს შეჩვეული სასახლის მსახურები შემთხვევას არ უშვებდნენ, მისთვის დაეცინათ. მურვანოსი გრძნობდა, რომ წინაპრების ტახტზე არ დასვამდნენ, ამიტომაც გადაწყვიტა, დაეტოვებინა კეისრის სასახლე და სამონასტრო ცხოვრებას ზიარებოდა. ღამით თავის მესაიდუმლე საჭურისთან ერთად ჩუმად გაიპარა იერუსალიმში. როდესაც წმინდა ქალაქში ჩავიდა, რელიგიური ტანსაცმლით შეიმოსა, თავის თავს პეტრე უწოდა და თვითგვემა იწყო. მალე იქ მონასტერი დააარსა, რომელიც ყველა მონაცემის მიხედვით ქართველების პირველი მონასტერი უნდა ყოფილიყო იერუსალიმში. მოგვიანებით მდ. იორდანის ნაპირზე მეორე მონასტერი და ქსენონი

---

1 მისი ცხოვრების ერთი სირიული ხელნაწერი ბერლინშია დაცული; Sachau, 321 (ფურც. 68—b, 103–a) და 741 წლით თარიღდება, ხოლო მეორე 1196 წ. ლონდონში. დამატ. 12,174 (ფურც. 48—a, 78–b). 1895 წელს ლაიპციგში შ.რ. რააბემ გამოაქვეყნა ამ ცხოვრების სირიული ტექსტი გერმანული თარგმანითურთ. Petrus der Iberer, Ein Charakterbild zur kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts. Syrische Uebersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie.

თბილისის საეკლესიო მუზეუმში დაცულია აგრეთვე ამ „ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი (კოლექციის 170 ნომრით). 1896 წელს პროფესორმა ნ.მარმა სანკტ-პეტერბურგში, „პალესტინის მართლმადიდებლურ კრებულში“ გამოაქვეყნა ქართული ტექსტი რუსული თარგმანითურთ.

2 იხ. Migne, P.G., ტ. LXXXV, სვ. 1152; ტ. LXXXVI, სვ. 2513, 2521, 2669; ტ. CXLVII, სვ. 32,49.

ააშენა, შემდეგ კი ეგვიპტისა და სკიტის ყველა უდაბნო შემოიარა[1].

წმინდა გრიგოლ დიდს ბევრი სმენოდა, რა ხილვები ჰქონდა პეტრეს, როგორ შიმშილობდა და ეპიტიმიას არ იკლებდა, რომ ჯოჯოხეთში არ მოხვედრილიყო, და ამისთვის ხოტბას ასხამდა[2].

ევაგრე სქოლასტიკოსი გადმოგვცემს აგრეთვე, რომ პალესტინის მრავალი ქალაქის მცხოვრებს თეოდოსიუსისთვის ეპისკოპოსები უთხოვია და მაიუმის ეპისკოპოსად ღაზის მახლობლად პეტრე იბერი დაუნიშნავს[3].

იგივე ევაგრე სხვაგან ამბობს, რომ პეტრე იბერი იყო ღაზის ეპისკოპოსი, 457 წელს ტიმოთეს არჩევნებს ესწრებოდა და მასთან ერთად გაქცეულა[4].

როცა იმპერატორის ბრძანებით თავიანთი ეკლესიის იურისდიქციიდან უზურპატორ თეოდოსიუსის მიერ დანიშნული ეპისკოპოსები განდევნეს, იმპერატორის ცოლის თხოვნით მარტო პეტრე იბერი დატოვეს[5].

ბიოგრაფი გადმოგვცემს, რომ პეტრე იბერი იმპერატორ ზენონის დროს გარდაიცვალა, ე.ი. 474 და 491 წლებს შორის, მაგრამ ტილემონი ამტკიცებს, თითქოს 513 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო[6]. ზაქარია რიტორმა, მიტილინელმა, რომელიც, როგორც ჩანს, VI საუკუნეში მოღვაწეობდა, თავის ისტორიაში ერთი თავი პეტრეს მიუძღვნა, რასაც აქ შენიშვნის სახით შემოგთავაზებთ[7].

---

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 136-138.

2 S. Grégoire, Dialogues, წიგნი IV, თავი 36, Migne, P.L., ტ. LXXVII, სვ. 381.

3 თეოდოსიუსთან პალესტინის ქალაქებიდან მრავალი მივიდა, რომელთაც მან მოუწყო საეპისკოპოსო ხელთდასხმა. მათში იყო პეტრე იბერიელი. მას ქალაქ ღაზის მაიუმის ეპისკოპოსობა მიანდეს. Evagri Scholastici, Historia eccl., 1. II, თავი 5; Migne, P.G., ტ. LXXXVI. სვ. 2513.

4 იქვე. წიგნი II, თავი 8; წიგნი III, თავი 33.

5 Iosephus Assemanus, Bibliotheca Orientalis, Rome, 1719, ტ. II, გვ. 56. — იხ. Le Quien, Oriens Christianus, ტ. III, გვ. 617; Tillemont, Mémoires, ტ. XV, გვ. 736; ტ. XVI, გვ. 683..

6 ლასხ. ნაშრ., ტ. XVI, გვ. 16.

7 პეტრე იბერის შესახებ. — „ახალი ეპისკოპოსის ამ თაყვანისმცემლებში იყო პეტრე იბერიელიც, მთელს ქვეყანაში სახელგანთქმული, კეთილგონიერი კაცი. იგი ოდესღაც მძევლად მიუციათ თეოდოსიუსისთვის. თეოდოსიუსი და მისი მეუღლე დიდ პატივს სცემდნენ პეტრე იბერიელს, რადგან იგი წმინდად ცხოვრობდა. პეტრე ხომ მეფის სასახლეში იყო გაზრდილი. იმპერიაში მხედართა მაგისტრის წოდება დამსახურებულად ჰქონდა მიღებული. შემდეგ ქრისტიანულმა რელიგიამ გაიტაცა და თავის ერთგულ მამობილთან ერთად, ეინც სულიერ საწყისამდე აამაღლა, დატოვა სასახლე. ამგვარად, ორივე ძალიან დაწინაურდა სიქველის გზაზე, ღმერთმა მათი სახით კონსტანტინოპოლში სასწაულები მოახდინა. შემდეგ ამ ქალაქიდან გაქცეულები პალესტინის უდაბნომდე მივიდნენ, სადაც მტკიცედ იცავდნენ სამონასტრო ცხოვრებას.

ქართულმა ეკლესიამ პეტრე იბერი წმინდანად შერაცხა და 2 დეკემბერი მის დღესასწაულად გამოაცხადა; მაგრამ შემდგომ კალენდრიდან ამოშალეს, რადგან ევტიქიანებს თავიანთ წმინდანად მიაჩნდათ[1].

მარტო პეტრე არ ყოფილა საქართველოს წარმომადგენელი პალესტინაში; მოწაფეებს შორის ბევრი თანამემამულე ჰყავდა, მაგრამ ისტორიამ არაფერი შემოგვინახა მათ შესახებ.

---

რაც უფრო ცდილობდნენ ჩრდილში ყოფნას, მით მეტი ხმები ვრცელდებოდა მათზე. სასწაულებიც კი მოახდინეს, ისევე როგორც აპოსტოლებმა. ბოლოს, სანამ სხვა ადგილებს, ღაზას და მაიუმს მიაღწევდნენ, მათ შემოეხვივნენ ყველა წარმოშობის, სხვადასხვა ხასიათის კაცები, ქალები, პეტრე მოიტაცეს, იერუსალიმს თეოდოსიუსს მიჰგვარეს და ითხოვდნენ მის ხელთდასხმას ეპისკოპოსად. პეტრე იდგა მათ შორის, არ ეთანხმებოდა, სერიოზულ მიზეზებს ასახელებდა და ეწინააღმდეგებოდა. თეოდოსიუსს მართალია საკმაოდ ღირსეული კანდიდატები ჰყავდა, მაგრამ მაინც მეტოქეს (პეტრეს) დაადო ხელი და საქვეყნოდ აღიარა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა პეტრემ დაიწყო მტკიცება, ერეტიკოსი ვარო; თეოდოსიუსი ერთხანს შეყოვნდა, შემდეგ კი თქვა: „ქრისტეს სამართალმა განგვსაჯოს ჩვენ ორივე თანასწორად“. ეს რომ მოისმინა, პეტრემ თავისი სიტყვა შეასწორა, თქვა, ერეტიკოსი კი არა, ცოდვილი ვარო. ამის მიუხედავად, თეოდოსიუსმა, რომელსაც ცნობილი კაცის [შედგენილი] კანონები ჰქონდა, იგი (პეტრე) ღაზელთა ეპისკოპოსად დასვა. ცნობები ამ კაცის ღირსებების შესახებ სხვა წერილობით ძეგლებშიც მოიპოვება.

ამბობენ იმასაც, რომ როცა პეტრემ თავისი სიტყვა თქვა, რაც ზემოთ ვახსენეთ, არავინ გამოსულა იმპერატორის ბრძანებისა და მფარველობის წინააღმდეგ; მას (პეტრეს) გამოეცხადა სიზმრად ჩვენი უფალი და მრისხანე სახით უთხრა: „მე ვითმენ დევნას ჩემი მიმდევრებისაგან და შენ კი სიმშვიდეს ელტვი?“ მაშინ პეტრემ მყის ინანა თავისი სიმშვიდე, დატოვა ღაზა და მორწმუნეთა ამალითურთ წავიდა“. — Zachariae Rhetoris Episcopi Militensis Historia ecclesiastica, თავი IV–V, dans A.Mai, Scriptorum veterum nova collectio, რომი, 1838, ტ. X, გვ. 364-5. მაგრამ უმატებს შემდეგს: „ბერძენ ავტორთა ნაწარმოებები, შემდგომ ანონიმი ავტორის მიერ მოთხრობილი“.

1 საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, გვ. 209.

## თავი VIII

# წმინდა ნინოს მოციქულობა საქართველოში

შინაარსი: — I. ვარაუდი წმინდა ნინოს სამშობლოსა და მისი სახელის შესახებ. ნინოს ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი ავთენტიკური დედნის უქონლობა. რუფინუსი წმინდა ნინოს მიერ ქართველების მოქცევის შესახებ. რუფინუსის მეფე ბაკური ქართული ისტორიისთვის უცნობია. — II. აღმოსავლეთის მწერლები წმინდა ნინოს შესახებ. მოსე ხორენელის მონათხრობი. ხორენელისეული ამბის უზუსტობა წმინდა გრიგოლთან დესპანების გაგზავნასთან დაკავშირებით; რას ამბობენ აღმოსავლეთმცოდნეები მოსეს თხზულებებზე. ბერი მელქიტი ნიკონი ქართლის მოქცევის შესახებ. — III. წმინდა ნინოს მოციქულობა ქართული ქრონიკის მიხედვით. — IV. აპოკრიფული ამბავი წმინდა ნინოს შესახებ. წმინდა ნინოს უკანასკნელი დღეები ამ ამბის მიხედვით. — V. ნინოს მშობლები. იგი წმინდა ელენესთან მიდის. ნინოს გაქცევა თავის ამხანაგებთან ერთად და მისი გამგზავრება საქართველოში; ნინოს ჩასვლა საქართველოში; კერპთა დღესასწაული. ნინოს პირველი სასწაული. — VI. სიდონიას ნაამბობი ნინოს სასწაულებზე; მეფის მოქცევა. ეკლესიის აგება და სვეტის სასწაულებრივი აღმართვა. სვეტის მიერ მოხდენილი სასწაულები. — VII. აპოკრიფული ამბავი ქართლის მოქცევის შესახებ, რომლის ავტორობასაც მღვდელ აბიათარს მიაწერენ. — VIII. მირიან მეფის წერილი, ანუ ანდერძი. კონსტანტინეს წერილი მირიანისადმი. —IX. ანტიოქიის პატრიარქ ესტატეს მოგზაურობა საქართველოში.

ეკლესიის ისტორიაში, ისევე როგორც საღვთო წერილში, ხშირად შეხვდებით ძლიერ ქალთა სახელებს, რომლებმაც არაჩვეულებრივად იღვაწეს; ამით შორის გაითქვეს სახელი და შთამომავლობას წარუშლელი მოგონებები დაუტოვეს.

ასეთად წარმოგვიდგება ქართლის მოციქული, რომელსაც ჩვეულებრივად ნინოს უწოდებენ. მიწიერი სიკეთით ღარიბი ნინო, სათნოებით

დაჯილდოებული გახლდათ. ტყვე ქალმა სატანის მონობიდან მთელი ერი გაათავისუფლა; თავიდან უცნობმა მალე მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი; სუსტმა ქალმა მთელი სამეფო დაიპყრო. ამიტომ ნინოს სახელი ყველა ქართველს პირზე აკერია, უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ახსენებენ. მის სახელთან ხომ ქართველი ერის განთავისუფლება, აღორძინება და განვითარებაა დაკავშირებული.

## I. – ვარაუდი წმინდა ნინოს სამშობლოსა და მისი სახელის შესახებ. ნინოს ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი ავთენტიკური თხზულების უქონლობა. რუფინუსი წმინდა ნინოს მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ. რუფინუსის მეფე ბაკური ქართული ისტორიისთვის უცნობია

ეს წმინდანი ძალიან ნაკლებადაა დღეს ცნობილი; ადრე მისმა მოციქულობამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო; ეკლესიის ისტორიკოსებმა და მამებმა, როგორებიც იყვნენ რუფინუსი, სოკრატე და სხვები, საქვეყნოდ გაუთქვეს მას სახელი და კიდევ ერთხელ გვიჩვენეს, რომ ხშირად ღმერთი სრულიად უბრალო საშუალებებით არაჩვეულებრივ საქმეებს მოიმოქმედებს ხოლმე.

თავს ძალიან ბედნიერად მივიჩნევდით, მკითხველისთვის სრულად გაგვეცნო ამ დიდი წმინდანის ცხოვრება, საქმიანობა და სასწაულები, მაგრამ დრომ უმოწყალოდ წაგვართვა ყველაფერი, რაც კი მას შეეხებოდა. ჩვენ არ ვიცნობთ არა მარტო წმინდა ნინოს სამოციქულო საქმეებს, არამედ ნამდვილ სახელს და დაბადების ადგილს. შემორჩენილი გვაქვს მხოლოდ ერთი, თითქმის მისი თანამედროვე ქართველი მეფის, ბაკურის მიერ პალესტინაში წარმოთქმული ნამდვილი და უტყუარი რამდენიმე ფრაზა და რუფინუსის († 395 წ.) ცნობები.

მართალია, გვაქვს ამ წმინდანის „ცხოვრება“, ისევე როგორც „მოქცევაი ქართლისაი“, სადაც საუბარია წმინდა ნინოს შესახებ, მაგრამ ეს ორი თხზულება არ არის იმ ხასიათისა, როგორსაც მოველით ავთენტიკურ ნაწარმოებთაგან.

არაბების შემოსევებს, რომელთაც არაერთგზის ააოხრეს საქართველო, მოჰყვა ნინოს შესახებ ავთენტიკური თხზულებებისა და ქვეყანაში ქრისტიანობის განვითარების თანადროული ნაწარმოებების განადგურება. ამრიგად, ურწმუნოებმა საქართველოს არ აკმარეს სასტიკი აოხრება და წარსტაცეს ყველაზე ძვირფასი ორი განძი: წმინდა ჯვარი და მისი მოციქულის ავთენტიკური „ცხოვრება“.

ვინაიდან სრულებით არ გაგვაჩნია ადგილობრივი დოკუმენტები, იძულებული ვართ, მივმართოთ მონათხრობს რუფინუსისას, რომელიც თითქმის თანამედროვეა და ეჭვს არ იწვევს. აი, ისიც:

## „იბერთა ტომის მოქცევა ტყვე-ქალის მეშვეობით

ამავე ხანებში იბერთა ტომმაც, რომელიც ცხოვრობს პონტოს მხარეში, მიიღო ღმრთის მცნების კანონები და მომავალი (საიქიო) ცხოვრების რწმენა. ამ დიდი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი ტყვე-ქალი; ის იმათთან მოხვდა ტყვედ და ეწეოდა სათნო და საკმაოდ ფხიზელ და უმანკო ცხოვრებას, მთელი დღეები და ღამეები დაუცხრომლად ლოცულობდა ღმრთისა მიმართ; ბარბაროსებს საკვირველებად მიაჩნდათ თვით სიახლე საქმისა და გულმოდგინედ იძიებდნენ, თუ რას ნიშნავდა ეს.

ტყვე-ქალმა მარტივად აღიარა, როგორც მართლაც იყო, რომ ამ წესით ის ქრისტეს სცემდა თაყვანს როგორც ღმერთს. ამით ბარბაროსებმა მეტად არაფერი გაიკვირვეს, გარდა სახელის სიახლისა. მაგრამ (როგორც ჩვეულებრივ ხდება) თვით ამ მედგრობამ [ტყვე-ქალისამ] ერთგვარი ცნობისმოყვარეობა აღძრა ქალებში, თუ რამე სარგებლობა მიიღებოდა ასეთი დიდი თავგანწირვისაგან.

ამბობენ, რომ იმათში ჩვეულება იყო, რომ თუ [ვინმეს] ბავშვი გაუხდებოდა ავად, დედა ჩამოატარებდა მას სათითაოდ ყველა სახლში, რათა, თუ ვინიცობაა ვინმეს ეცოდინებოდა რაიმე გამოცდილი საშუალება, დახმარებოდა გაჭირვებულს. და როდესაც ერთმა ქალმა თავისი ბავშვი, ჩვეულებისამებრ, ჩამოატარა ყველასთან, და ისე მოათვალიერა ყველა სახლი, რომ [ბოლოს] მივიდა აგრეთვე ტყვე-ქალთან, რათა მას მიეთითებინა, თუ რამე საშუალება იცოდა.

ტყვე-ქალმა განუცხადა, რომ მან ადამიანური რამ საშუალება არაფერი იცის, მაგრამ არწმუნებს მას, რომ მის ღმერთს ქრისტეს, რომელსაც იგი თაყვანს სცემს, შეუძლია მიანიჭოს მას ხსნა, რომლის იმედი ადამიანებს გადაუწყდათ. და მის შემდეგ, რაც მან ბავშვი დადვა თავის გარესამოსზე და ზედ უფლისადმი ვედრება შეწირა, გამოჯანმრთელებული ბავშვი უკან დაუბრუნა დედას.

ხმებმა [ამის შესახებ] შორამდე მიაღწია და ამ დიდებული ამბის შესახებ ცნობა დედოფლის ყურებამდისაც მივიდა. დედოფალი სხეულის რაღაც უმძიმესი ტკივილით იყო შეპყრობილი და [ამის გამო] უდიდეს სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. მან მოითხოვა, რომ მასთან მოეყვანათ ტყვე-ქალი. მან კი მისვლაზე უარი თქვა, რათა ისე არ გამოსულიყო, რომ ის რაღაცას უფრო მეტს წინასწარვე კისრულობს, ვიდრე ამის ნებას აძლევს მისი სქესი. [მაშინ] დედოფალმა ბრძანა, ტყვე-ქალის საკანში წაეყვანათ იგი. ეხლაც, როგორც მაშინ, თავის გარესამოსზე დადვა დედოფალი, მოიხმო ქრისტეს სახელი და ლოცვის შემდეგ მაშინვე ჯანმრთელი და მხნე წამოაყენა დედოფალი. ამასთანავე, ის ასწავლის დედოფალს, რომ ეს ქრისტე—ღმერთი იყო, ძე მაღალი ღმერთისა, რომელმაც მას ეს ხსნა მოუტანა: ურჩევს, რომ მოუხმოს ხოლმე მას, რომელიც, როგორც მან უნდა იცოდეს, არის მისთვის მიზეზი მისი სიმრთელისა და სიცოცხლისა. ის არის, რომ მეფეებსაც სამეფოებს ურიგებს და მოკვდავებსაც სიცოცხლეს [ანიჭებს]. შინ

დაბრუნების შემდეგ, იმანაც სიხარულით გაუმჟღავნა თავის ქმარს მიზეზი ასეთი სწრაფი გამოჯანმრთელებისა, რომელსაც ის შეეკითხა ამის შესახებ; და როდესაც მეფემ, გახარებულმა მეუღლის ხსნისათვის, ბრძანა საჩუქრები მიეცათ იმ ქალისათვის, დედოფალმა უთხრა მეფეს: „ამათგან, ო მეფევ, არაფერს არ ცნობს ღირსად ტყვე-ქალი; ოქროს არად აგდებს, ვერცხლს უკუაგდებს, მარხვით ისე იკვებება, თითქოს საჭმელი იყოს; მხოლოდ იმას მიიღებს საჩუქრად, თუ თაყვანს ვცემთ იმას, ვინც მე მომარჩინა მისი ლოცვით, — ქრისტე ღმერთს".

მეფე ამას მაშინ გულგრილად შეხვდა და ჯერჯერობით გადასდო, თუმცა მეუღლე ხშირად აგონებდა, სანამ არ მოხდა [შემდეგი ამბავი]: ერთ დღეს მეფე ნადირობდა ტყეში თავის მხლებლებთან ერთად და დღე დააბნელა ძალიან სქელმა წყვდიადმა და, რადგან სინათლე გაქრა, საზიზღარი ღამის შიშით, გზის გაგნება ბრმა ნაბიჯებით არ ხერხდებოდა. მხლებლებთაგან ზოგი სად წავიდა და ზოგი სად, ისე დაიბნენ, თვითონ კი მარტო დარჩა სქელი წყვდიადით გარემოცული და არ იცოდა, რა მოემოქმედა ან საით წასულიყო; უცბად მას, შეშინებულს იმის გამო, რომ გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა, ასეთი აზრი მოუვიდა: თუ მართლა ღმერთია ის ქრისტე, რომლის შესახებაც მისი მეუღლისთვის უთქვამს ტყვე-ქალს, დე, ახლა იხსნას მან იგი ამ წყვდიადისაგან, რათა ამიერიდან მას სცეს თაყვანი და სხვა ღმერთები უკუაგდოს. მაშინვე, როგორც კი მან ეს აღთქმა მხოლოდ გაიფიქრა და სიტყვით არც კი გამოეთქვა, ქვეყანას სინათლე დაუბრუნდა და მეფე უვნებელი ქალაქში შევიდა.

და მან მაშინვე დედოფალს აუწყა საქმის ვითარება, თუ რა დაემართა მას. მოითხოვს, რომ უმალვე გამოიძახონ ტყვე-ქალი, რათა მან გადმოსცეს მეფეს თაყვანისცემის წესები: დაჟინებით ამბობს, რომ ამიერიდან სხვა ღმერთს, გარდა ქრისტესი, არ ეთაყვანება. მოდის ტყვე-ქალი და მოძღვრავს მეფეს ქრისტე ღმერთის შესახებ და უმარტავს მას, რამდენადაც ამის შესახებ შეეძლო ქალს განმარტებების მიცემა, ლოცვებს და თაყვანისცემის წესებს. ამასთანავე, ურჩევს მას ეკლესია ააგოს, კიდევაც აუწერს ეკლესიის აგებულებას.

ამგვარად, მეფემ მთელი ტომის ხალხი შეკრიბა და უამბო ყველაფერი თავიდან, თუ რა გადახდა თავს მას და დედოფალსაც; [ხალხი] დამოძღვრა [ახალ] სარწმუნოებაში და [თუმცა თვითონაც] ჯერ კიდევ არ იყო ზიარებული საიდუმლოს, მაგრამ თავისი ტომის მოციქული გახდა, მამაკაცებმა ირწმუნეს მეფის მეშვეობით; ყველას ერთსულოვანი მოთხოვნით დაუყოვნებლივ აგებენ ეკლესიას: და, აი, გარშემო კედლები უკვე აღმართულია; დადგა დრო, რომ სვეტები უნდა ყოფილიყო შედგმული. როდესაც აღმართულ იქნა პირველი და მეორე სვეტი, და ჯერი მიდგა მესამე სვეტზე, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულ იქნა ყოველგვარი მანქანები, აგრეთვე ხარებისა და ადამიანთა ძალები, შუამდე ვერად აღიმართა [ეს მესამე სვეტი], ხოლო დანარჩენი ნაწილი ვერავითარი მანქანებით ვერ ასწიეს და, თუმცა მეორეჯერ გაიმეორეს, მესამეჯერაც და უფრო ხშირადაც, მაგრამ შეუძლებელი გახდა ადგილიდან დაძვრა: ყველანი საშინლად მოიქანცნენ. მთელი ხალხი საკვირველებას მიეცა,

მეფის სიმხნეც მოდუნდა: ყველასათვის ერთნაირად გაურკვეველი იყო, თუ რა უნდა მოემოქმედათ.

მაგრამ როდესაც დაღამებისთანავე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და ყველა მოკვდავი და თვით საქმეც უქნარად იყვნენ, მხოლოდ ტყვე-ქალი დარჩა შიგნით და მთელი ღამე ლოცვაში გაატარა: და, აი, როდესაც დილით მოვიდა თავის მხლებლებიანად შეწუხებული მეფე, აღმართული დაინახა სვეტი, რომელიც ამდენმა მანქანამ და ამდენმა ხალხმა ვერ დაძრა ადგილიდან და რომელიც თავის საფუძვლის ზემოთ თავისუფლად იყო დაკიდებული, მაგრამ ზედ კი არ იდვა, არამედ ჰაერში ეკიდა [ამ საფუძვლიდან] დაახლოებით ერთი ფუტის მანძილზე. მაშინ, ამის დანახვაზე მთელმა ხალხმა ადიდა ღმერთი და [თქვა,] რომ ჭეშმარიტია მეფის რწმენა, და ამ საკვირველების წყაროდ ჩათვალა იმ ტყვე-ქალის სარწმუნოება. და, აი, აქამდე რომ ყველანი გაკვირვებისაგან გაშეშებულიყვნენ, მათ თვალწინ სვეტი თანდათან დაეშვა თავის საფუძველზე ისე, რომ არავინ შეხებია მას; და დაედგა სწორად მორგებული [თავის საფუძველს]. ამის შემდეგ დანარჩენი სვეტებიც ისეთი სიადვილით იქნა აღმართული, რომ ყველა, რაც კი დარჩენილიყო, იმავე დღეს იქნა დადგმული თავის ადგილას.

მის შემდეგ, რაც ეკლესია დიდებულად იქნა აგებული და ხალხი დიდის სიმხურვალით იყო მოწყურებული ღვთის რწმენას, ტყვე-ქალის რჩევით კონსტანტინე მეფესთან გაიგზავნენ მოციქულები მთელი ხალხის სახელით; მათ უამბეს მომხდარი ამბავი, [თხოვეს იბერებისათვის] მღვდელმსახურნი გაეგზავნა, რომ დაესრულებინათ მათ მიმართ უკვე დაწყებული ღვთის წყალობა.

კონსტანტინემ დიდის სიხარულით და პატივით გაისტუმრა მოციქულები; ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე [მაშინ იქნებოდა, რომ] რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა. რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურიმ, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკოსთა კომსი (იგი უაღრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე, ისე ჭეშმარიტებაზე), როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნობით იერუსალიმში; მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი“[1].

ამ ამბავს რუფინუსის მიმდევარი სოკრატე თითქმის ასევე გადმოგვცემს ოლონდ მცირედი ცვლილებებით:

„ღვთაებრივი მფარველის განკარგულებით იბერებმა ქალი მოიტაცეს. ეს ქალი უმწიკვლოდ და თავშეკავებულად ცხოვრობდა... ერთ დღეს მეფის ახალგაზრდა ვაჟი ავად გახდა“[2].

---

1 Hist. Eccl., წიგნი I, თავი 10, Migne, P.L., ტ. XXI, სვ. 480—482. თარგმანისათვის იხ. გეორგიკა, I, გვ. 201-207.

2 ვიღაც ქალი, რომელიც წმინდად და კეთილგონიერულად ცხოვრობდა, ღვთის ნებით იბერთა ტყვე გამხდარიყო... მოხდა ისე, რომ მეფის ჩვილ ყრმას რაღაც სნება შეეყარა — Migne, P.G., ტ. LXVII, სვ. 129—132.

სოზომენი იმავე ამბავს გადმოგვცემს და შემდეგნაირად ამთავრებს:

„ტყუე-ქალის რჩევით იბერებმა კეისარ კონსტანტინეს ელჩები გაუგზავნეს, რათა მეგობრობა და კავშირი[1] შეეთავაზებინათ, რომ შემდგომში მათთვის მღვდლები გამოეგზავნათ“[1].

მართალია, ამ ორმა მწერალმა მონათხრობის რაღაც მონაკვეთი რუფინუსისგან გადაიწერა, მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი ქართველებისგან მოისმინეს. ამ დროს პალესტინაში, უფლისწულ ბაკურის გარდა, მართლაც იყო ბევრი სხვა ქართველი. ახალი რელიგიით აღტაცებულ ქართველებს უყვარდათ პალესტინაში გამგზავრება, სადაც ერთმორწმუნე ხალხს სიამოვნებით უყვებოდნენ თავიანთ ქვეყანაში მომხდარ საკვირველებათა შესახებ. ზემოხსენებულ ამბავს თეოდორიტე თითქმის ასევე გადმოგვცემს[2].

ამ ამბების მთხრობელი უფლისწულ ბაკურის ვინაობის დადგენა საკმაო სირთულეებს ქმნის. ქრონიკაში, რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ეწოდება, მოხსენიებულია მესამე ქრისტიანი მეფე ბაკური, პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შვილიშვილი; „ქართლის ცხოვრებაში“ კი იგივე ბაკური ნახსენებია, როგორც მეორე ქრისტიანი მეფე და მირიანის ვაჟიშვილი. გარდა ამისა, ბაკური კეისარ კონსტანტინეს მიერ მძევლად უნდა ყოფილიყო წაყვანილი, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში ქართლის მოქცევის ამბის ჩამომტანი დესპანებისთვის სამშობლოში უნდა გაეყოლებინათ. ორივე ამბის მიხედვით, ბაკური საქართველოში უნდა გარდაცვლილიყო რამდენიმე წლის მეფობის შემდეგ, მაგრამ ბიზანტიელი ისტორიკოსების მიხედვით, ბაკური მოხსენიებულია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მცირე მეფე; იგი გვირგვინზე უარს ამბობს, მიდის რომაელებთან და ჯერ პალესტინის საზღვრების დუკა, შემდეგ კი თეოდოსიუს დიდის ჯარის სარდალი ხდება. ვაჟკაცურად იბრძვის ტირან მაქსიმეს წინააღმდეგ და თავის ცხოვრებას ბრძოლის ველზე ამთავრებს[3].

ეს ბაკური „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ საქართველოს მეფედ მაინც არ შეგვიძლია მივიჩნიოთ. იგი ისტორიისთვის უცნობი, საქართველოს რომელიმე უფლისწული უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს ჩვენ მიერ შესასწავლი

---

1 დაწინაურებული ტყვე ქალის ელჩი გაგზავნეს კონსტანტინოპოლში, მეფესთან, რათა კავშირი დაემყარებინა და მოლაპარაკება დაეწყო იმის თაობაზე, რომ ხალხისთვის მღვდელმსახურები გაეგზავნათ. იქვე, სვ. 953.

2 იხ. Migne, P.G., ტ. LXXXII, სვ. 972—974.

3 „ბაკური იბერთაგან პირველი მეფე იყო, რომაელებთან რომ ჩავიდა; შემდგომ იგი პალესტინაში ჯარების სარდლად იყო დანიშნული და ამიტომ სარდლებთან ერთად მაქსიმე ტირანის წინააღმდეგ იბრძოდა მეფე თეოდოსიუსისთვის“. — იქვე, სვ. 133.

საკითხისთვის. ჩვენთვის ისიც კმარა, რომ ქართველია და გადმოგვცემს იმას, რისი მოწმეც თავად იყო.

## II. – აღმოსავლეთის მწერლები წმინდა ნინოს შესახებ მოსე ხორენელის მონათხრობი. ხორენელისეული ამბის უზუსტობა წმინდა გრიგოლთან დესპანების გაგზავნასთან დაკავშირებით; რას ამბობენ აღმოსავლეთმცოდნეები მოსეს თხზულებაზე. ბერი მელქიტი ნიკონი ქართლის მოქცევის შესახებ

ბიზანტიელი მწერლების გარდა არაბმა, სირიელმა, კოპტმა და სხვა ავტორებმაც შემოგვინახეს რამდენიმე ძველი, მეტ-ნაკლებად დამახინჯებული ამბები ქართლის მოქცევის შესახებ. ჩვენს წმინდანს ისინი თეოგნოსტას უწოდებენ. თანამედროვე ავტორთა აზრით, ეს იმ ქალის სიმბოლური სახელია, რომელმაც ქართველებს ნამდვილი ღმერთი გააცნო[1]. სამწუხაროდ, მათი შრომებიდან ფრაგმენტებიღა შემოგვრჩა. ეს კი სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის წმინდა ნინოს ამბის შესახებ. აი, ბორჯიას პაპირუსში შემონახული ერთი სიდონური ტექსტი:[2]

„... ნეტარ თეოფანეს იბერიაში დაბრუნებისას დიდი მონდომებით ნაგები, არაჩვეულებრივი ეკლესია უნახავს. იგი წმინდა ქალწულ თეოგნოსტას ლოცვით გამოწვეული სასწაულით, უფრო კი ქრისტესა და მისი წმინდა ჯვრის შემწეობით აუგიათ. გახარებულ თეოფანეს მაშინვე მიუწერია წერილი არქიეპისკოპოსისთვის: თქვენი მონა-მორჩილი თეოფანე თავს უფლებას ვაძლევ, მოგწეროთ თქვენ, ვინც მენდეთ და ივერიის მხარის ეპისკოპოსად დამნიშნეთ. გაიხსენეთ, რას ასწავლიდა ჩვენი უფალი თავის მოწაფეებს: „უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაი, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაი, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს...“[3] მამ ასე, ეს მადლი მან თავის მსახურ წმინდა ქალწულ თეოგნოსტას არგუნა. ორი დიდი მარმარილოს სვეტი ძველ ტაძარში იყო აღმართული, სადაც იმყოფებოდა აპოლონის მისანი. მუშებს თურმე ამ სვეტების ამოღება და მათი ეკლესიის კანკელში ჩადგმა უნდოდათ, მაგრამ ვერაფრით დაუძრავთ ადგილიდან“[4].

ეს ტექსტი უეჭველად სვეტის აღმართვის დროს იბერიელი ტყვე-ქალის ლოცვით გამოწვეულ სასწაულზე მოგვითხრობს; ამის შესახებ რუფინუსი გარკვევით ლაპარაკობს, მაგრამ ისტორიისთვის

1 Analecta Bollandiana, 1901, ტ. XX, გვ. 339.

2 ბორჯიას მთელი კოლექცია 1904 წ. ვატიკანის ბიბლიოთეკაში პროპაგანდის მუზეუმიდან იქნა გადატანილი.

3 მათე, 17. 20.

4 Bibl. Vat. Ms. said que, №168, გვ. 161-162, ბორჯიას მუზეუმი.



IV ს-ში აშენებული მცხეთის საპატრიარქო, მრავალგზერ
რესტავრირებული, განსაკუთრებით კი XV ს-ში.



IV ს-ში აშენებული მცხეთის საპატრიარქო, მრავალჯერ რესტავრირებული, განსაკუთრებით კი XV ს-ში[1].

1 საქართველოს ყველაზე გრანდიოზული ძეგლის, მცხეთის საკათედრო ტაძრის რეპროდუქციის დამატებად გთავაზობთ მოგზაურ დიუბუას აღწერას: „ამ დაცარიელებული, სევდის აღმძვრელი სცენის შუაში მაშინვე თვალში მოგხვდებათ ძველი ტაძარი, სვეტიცხოველი. იგი დანგრეული ციხე-სიმაგრეებისა და კოშკების ცენტრში დგას. ამ კედლის შიგნით პატრიარქისთვის განკუთვნილი ბინები იყო მოწყობილი: ბევრი მათგანი მიტოვებულია, ხოლო მწვანე პორფირის საშენი ქვით ნაგები პორტიკები ჟამთა სვლას უფორმო მასად უქცევია. საქართველოს მიტროპოლიტის ბინაში მოგვათავსეს: როცა იგი მღვდელმსახურებისათვის მცხეთაში ჩამოდიოდა, აქ ჩერდებოდა თურმე; ამაზე უფრო უბადრუკი რამის ხილვა შეუძლებელია. ქართული სტილის ყველაზე დახვეწილი სინატიფით ნაგები ეკლესია საქართველოს პირველი ეკლესია იყო. საძირკველი ჩაუყრია მირიანს, რომელიც წმინდა ნინოს გავლენით მოექცა ქრისტიანად. მირდატმა (რომელიც 364-379 წლებში მეფობდა)

ეპისკოპოსი თეოფანე სრულიად უცნობია.

მიუხედავად ამისა, ადვილი შესაძლებელია, ის ერთი იმათგანი იყოს, ვინც კონსტანტინე დიდმა საქართველოში გააგზავნა, რადგან ისტორიკოს თეოდორიტეს (387-458) გადმოცემით წარგზავნილი კაცი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო[1].

---

ეს პირველი ხის ეკვდერი ქვის ეკლესიით შეცვალა. უფრო მოგვიანებით იგი აღადგინეს და, რა თქმა უნდა, შეცვალეს. მაგრამ 1414 წელს, როცა ალექსანდრე ტახტზე ავიდა, მთელი საქართველო ისე საშინლად იყო განადგურებული თემურის (ტამერლანი ანუ თემურ-ლენგი) მიერ, რომ მცხეთის უწმინდესი კათოლიკე ეკლესიისგან ქვა ქვაზე აღარ დარჩენილიყო, ძირფესვიანად იყო დაქცეული და განადგურებული, როგორც ყველა სხვა ტაძარი. ალექსანდრემ თითქმის სულ ძველი გეგმის მიხედვით აღადგინა იგი. ეს დიდი მსგავსება ენახე მისი აბსიდებისა და ქუთაისის მთავარი ტაძრის აბსიდების სტილს შორის.

გუმბათი 1656 წელს დაინგრა, ხოლო აღდგენილ იქნა მუსულმანი მეფის როსტომის (ქართველი რენეგატის) მიერ, რომელიც 1634—1658 წლებში მეფობდა. ბოლოს, ვახტანგ VI-მ დიდად შეამკობინა ეს ეკლესია.

ეკლესიის გეგმა ყველა სხვა ქართული ეკლესიის მსგავსია. მისი სიგრძე 178 ფუტია, სიგანე — 78 ნახევარი ფუტი, ხოლო სიმაღლე 111 ფუტი. ეს არის ჯვარი, რომლის ცენტრიც თაღიდანაა განათებული, ხოლო დიდი ნავი ყველაზე გრძელ მხარს ქმნის. დაბალი, ვიწრო გვერდები არათანაბარი ზომის ორი თაღითაა გამოყოფილი ნავიდან.

აბსიდების ფასადი, ისევე როგორც ქუთაისისა, ორი ლამაზი ნიშითა და ცრუ თაღებითაა მორთული. კედლებზე რელიეფები და ცხოველებია გამოსახული.

ტრანსეპტების ან ჯვრის მხრების ფასადები აბსიდების სტილშია შესრულებული. გარედან დიდი ნავი ოთხი ნიშის ფორმის თაღითაა მორთული, რომელიც დაბალი მხარეების სახურავს ეყრდნობა, როგორც ეს გელათისა და ქუთაისშია. გამოყენებულია მწვანე პორფირის ან მოწითალო ქვა, როგორც შემოქმედშია. ეკლესიის ინტერიერი მოხატულია. ზოგიერთი მათგანის ქვეშ, რომლებიც უფრო ძველია, ბერძნული წარწერებია, ახალ ფრესკებს კი ქართული წარწერები აქვს.

ამ ტაძარში მეფედ კურთხეული ქართველი მეფეების უმრავლესობა აქვეა დაკრძალული. მათ შორისაა ვახტანგ გორგასალი, ლაშას შვილი დავითი, დიმიტრი თავდადებული, ლუარსაბ დიდი, სვიმონი და გიორგი. პატრიარქებიც აქ განისვენებენ. სადა საფლავის ქვები მიწის დონეზეა და ძლივს თუ გაარჩევ მათზე ამოკვეთილ წარწერებს.

კანკელის (წინ) ორივე მხარეს უკანასკნელი მეფეების ერეკლესა და გიორგის საფლავებია. თავიდან ისინი ამაღლებული, აგურით მოპირკეთებული და სქელი ბამბის ტილოთი დაფარული საფლავები გახლდათ. იმპერატორმა ალექსანდრემ მარმარილოს სარკოფაგებით შეაცვლევინა ისინი.

მაგრამ ამ ეკლესიის ნამდვილი საკურთხეველი ეკლესიაში კი არა, ერთგვარ ეკვდერშია, რომელსაც შესვლისას მაშინვე დაინახავთ მარცხნივ; იგი ორ სვეტზე ნაწილობრივ დაყრდნობილი გუმბათითაა განათებული. ამ ორ სვეტს შორის დიდად სათაყვანო ქვის მაგიდა მოჩანს. ძველად აქ ცნობილი კვართი, იესო ქრისტეს დაფლეთილი სამოსი ინახებოდა. თითოეულ ამ სვეტზე წარწერაა: ერთი ბერძნულია, მეორე ქართული. F. Dubois de Monpéreux, Voyage autour du Caucase, ტ. IV, გვ. 230—234.

1 „მეფემ კი თხოვნის მიზეზი შეიტყო... დაავალა კეთილი საქმისათვის მრავლად გამოგზავნილი ელჩები. შეხვდა და ენდო კაცს, პატიოსანს, მღვდელმთავრის რჩეულს, ღვთის მცნების შიკრიკს და ამ ხალხთან გაგზავნა, თან უამრავი საჩუქარი გაატანა". Migne, P.G., ტ. LXXXII, სვ. 973.

კოპტებისთვის განკუთვნილ არაბულ სვინაქსარში იგივე ამბავი უფრო დაწვრილებით, მაგრამ ცოტა შეცვლილადაა გადმოცემული. იგი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

აი, ეს ამბავიც:

შემდგომად ყოვლისა, მეჩვიდმეტე დღეს დაისვენა ნეტარმა თეოგნოსტამ. იგი სამართლიანი იმპერატორების, ჰონორიუსისა და არკადიუსის მეფობის დროს ცხოვრობდა. ერთ დღეს ინდოეთის მეფის წარგზავნილებმა იმპერატორს საჩუქრები მოუტანეს. უკან დაბრუნებისას უმანკო ქალწულ თეოგნოსტას შეხვდნენ, რომელიც წიგნს კითხულობდა, იგი მოიტაცეს და თავიანთ ქვეყანაში წაიყვანეს, სადაც მეფის ქალებსა (ცოლებსა) და მსახურებზე ზრუნვა დააკისრეს. ერთხელ უფლისწული მძიმედ გამხდარა ავად. წმინდანმა ბავშვი აიყვანა, მკერდზე მიიხუტა, პირჯვარი გადასწერა და იმავე წუთში ყოველგვარი ავადმყოფობისგან განკურნა. ახალი ამბავი მაშინვე გავრცელდა მთელ ქალაქში და იმ დღიდან თეოგნოსტას აღარავინ უყურებდა როგორც ტყვეს, ყველას თავისუფალ ქალად მიაჩნდა. ერთ დღეს ომში წასული მეფე მტერსა და ღრუბლებში გაეხვია. თეოგნოსტასგან მას უკვე ნასწავლი ჰქონდა პირჯვრის გადაწერა: აიღო და ჯარსაც გადასწერა; ცა განათდა და ჯვრის ნიშნით მტრებიც დაამარცხა. შინ დაბრუნებული მეფე წმინდანს ფეხებში ჩაუვარდა თხოვნით – მოენათლა იგი და მთელი მისი ქვეყანა. წმინდანმა აუხსნა, რომ მონათვლა მას არ შეეძლო. მაშინ იმპერატორ ჰონორიუსს ელჩები გაუგზავნეს, რათა თავიანთი მოქცევის ამბავი შეეტყობინებინათ და მოსანათლავად მღვდლის გამოგზავნა ეთხოვათ. ჰონორიუსმა გამოუგზავნა ერთი წმინდა მღვდელი, რომელმაც ყველა მონათლა და იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლს აზიარა. ქალწულმა ძალიან გაიხარა ამ მორწმუნე კაცის ჩამოსვლით; ისინი ერთმანეთს ლოცვა-კურთხევით მიესალმნენ. ქალწულმა თავისთვის მონასტერი ააშენებინა, რომელსაც მისი ცხოვრების წესით მოხიბლული ბევრი ქალწული შეეხიზნა. მღვდელი დაბრუნდა იმპერატორთან და დაწვრილებით უამბო, როგორ ეზიარა ეს მხარე ქრისტიანულ რელიგიას. გახარებულმა კეისარმა მღვდელი ეპისკოპოსად აკურთხა და ამ ახლად გაქრისტიანებულ ხალხთან გააგზავნა, რითაც ძალიან გაახარა ისინი. ამ ხალხმა დიდი ეკლესია ააშენა; ამისთვის კი სვეტები იყო საჭირო. ერთ ძეგლს თურმე ძალიან ლამაზი სვეტები ჰქონდა. ქალწული ტირილით შევედრებია იესო ქრისტეს, რის შემდეგაც სვეტებმა ეკლესიაში გადმოინაცვლეს. მაშინ მორწმუნეებმა ქრისტე ადიდეს და წარმართებმაც კი აღიარეს იგი. ქალწულმა თავისი ცხოვრების დღენი მონასტერში, თვის მოყვასებთან დაასრულა. დაე, თან გვდევდეს მისი ლოცვანი! ამინ“[1].

1 **Bessarione**, II სერია, 1904, ტ. VI, გვ. 122-123.

ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ სვინაქსარის თარიღი, რომელიც საქართველოს მოციქულის ამ ამბავს გადმოგვცემს, მაგრამ უდავოა, რომ ის ქართლის მოქცევის თანამედროვე უნდა იყოს, რადგან ალექსანდრიული კოპტური ლიტურგია ეკლესიაში ერთ-ერთი უძველესია.

ასევე ნათელია, რომ ამ მონათხრობში კეისრებისა და ქვეყნების სახელწოდებები არეულია. მაგალითად, იბერიის ნაცვლად ინდოეთს ასახელებენ. ეს შეცდომა გადამწერებს მიეწერებათ, რომელთაც ტექსტი ბევრჯერ უნდა შეეცვალათ. რაც შეეხება არსს, იგი რუფინუსის მიერ გადმოცემულ ამბავს შეესაბამება.

უცხოელ ავტორებთან ერთად, რომლებიც საქართველოს მოქცევაზე ლაპარაკობენ, უნდა ვახსენოთ სომეხი ავტორებიც. მათ შორის აღსანიშნავია მოსე ხორენელი. მოსე ხორენელის მონათხრობი რუფინუსის ნაამბობის ღირებულებისა არ არის, რადგან იგი მოკლებულია ყველა იმ თვისებას, რომელსაც კრიტიკა ისტორიის პირველწყაროსგან ითხოვს. ამის შემდეგ აუცილებელ შენიშვნებს მოგახსენებთ, მაგრამ რადგან ეს ავტორი ერთი ყველაზე ძველი სომეხი მწერალთაგანია, მისი ნაამბობი საინტერესო უნდა იყოს.

### „ნეტარი ნუნეს შესახებ. როგორ გახდა ის ქართველთა მოქცევის მიზეზი

იბერიაში გამოქცეული, წმინდა რიფსიმიანთა მეგობართაგანი დედაკაცი სახელად ნუნე, ქართლის დედაქალაქ მცხეთაში ჩავიდა. მისი ცხოვრების მკაცრი წესის გამო ზეცამ განკურნების ნიჭი მომადლა. მას უკვე ბევრი ადამიანი ჰყავდა განკურნებული, კერძოდ იბერთა მეფე მირიანის ცოლი. მირიანმა ჰკითხა: „როგორ ახდენ ამ საოცრებებს?“ და პასუხად ქრისტეს სახარების დოქტრინა მოისმინა. მეფემ თავის სატრაპებს უამბო მოსმენილი, თან ნუნეს მონაყოლს ხოტბას ასხამდა. ამავე დროს, არმენიაში მომხდარმა საოცრებებმა, ისევე როგორც ნეტარი ნუნეს მეგობრების ამბებმა, მეფისა და მისი სატრაპების ყურამდეც მიაღწია. ამ ამბებით აღფრთოვანებულმა, მან ყოველივე ნუნეს აცნობა, რომელმაც ყველაფერი დაუდასტურა. ამ დროს სანადიროდ წასულ მირიანს მთაში გზა აებნა ისე, რომ თვალები არ დაბინდვია, მაგრამ ამინდი ნისლიანი იყო, როგორც ნათქვამია: „და ის თავისი ხმით ნისლს უხმობს“, ან სხვისი მიხედვით: „იგი დღეს უკუნი ღამით ცვლის“. მირიანი გააოცა ასეთმა ნისლმა, რომელიც მისთვის სინათლის წყაროდ იქცა. შეშინებულს ტირიდატესგან მოსმენილი გაახსენდა: როცა სანადიროდ

წასვლა გადაუწყვეტია, თავს ღვთის რისხვა დასცესია. მიჰრანმა გადაწყვიტა, რომ მასაც იგივე უბედურება ელოდა და ძლიერი შიშით შეპყრობილმა ლოცვა დაიწყო. ღმერთს ნისლის გაფანტვას და მის მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა, თანაც პირდებოდა, რომ ნინოს ღმერთს აღიარებდა. ღვთისგან წყალობის მიღების შემდეგ მან დანაპირები შეასრულა.

ნეტარმა ნინომ წმინდა გრიგოლთან ერთგული კაცები გააგზავნა, რათა გაეგო, რის გაკეთებას მოითხოვდნენ იბერებისგან მას შემდეგ, რაც მთელი გულით ეზიარნენ ისინი სახარების მოძღვრებას. ნინო ძვირფასი ჯვრის აღმართვის და კერპების დამსხვრევის შესახებ იღებს ბრძანებას; თვითონ გრიგოლსაც იგივე გაუკეთებია თურმე. მათ ეს მანამდე უნდა შეესრულებინათ, სანამ ღმერთი ქვეყნის სამართავად მწყემსს გაუგზავნიდა. ნინომ მაშინვე დაიწყო ქვა-ქუხილის ღმერთის მსხვრევა, არმაზდის კერპისა, რომელიც ქალაქის გარეთ იდგა. ამ კერპს ქალაქისგან მჩქეფარე ტალღიანი მდინარე ჰყოფდა. იქაურ მცხოვრებლებს ასეთი ჩვევა ჰქონდათ, გათენებისას თავიანთ სახურავებზე ადიოდნენ და თაყვანს სცემდნენ კერპს, რომელიც მოპირდაპირე მხრიდან მოჩანდა. თუკი ვინმეს მსხვერპლის შეწირვა სურდა, მდინარეს გადავიდოდა და შესაწირავად ტაძართან მიდიოდა. აღელვებულმა ქალაქის სატრაპებმა იკითხეს: „კერპების ნაცვლად ვის უნდა ვცეთ თაყვანიო?“ – „ქრისტეს ჯვრის ნიშანსო“, იყო პასუხი. მათ აიღეს ჯვარი და ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე ლამაზ მორცვზე აიტანეს, რომელიც ქალაქისგან ასევე პატარა მდინარით იყო გამოყოფილი. გათენებისას, ჩვეულებისამებრ, ყველამ თავისი სახლიდან სცა კერპს თაყვანი, მაგრამ მორცვზე ასვლისას, როცა ხელოვნის ნაწარმოების ნაცვლად ხისგან გამოჭრილი ძელი დაინახეს, უმრავლესობამ შეიზიზღა იგი. მათ თქვეს, მთელი ტყე მსგავსი ხეებით იყო სავსე, და ჯვარს ზურგი შეაქციეს, მაგრამ როცა გულმოწყალე ღმერთმა მათი აღშფოთება დაინახა, ციდან ღრუბლის სვეტი დაეშვა; მთა არაჩვეულებრივი სურნელით აივსო, ფსალმუნების შემსრულებელი ჰარმონიული ხმები უნაზეს აკორდებად იღვრებოდა. შემდეგ რაღაც სინათლე გამოჩნდა, რომელსაც ხის ჯვრის ფორმა და ხატი მოჰქონდა; სინათლე მის ზემოთ, თორმეტი ვარსკვლავის შარავანდედში კრთოდა. მაშინ ყველამ ირწმუნა იგი და თაყვანი სცა; ამის შემდეგ მას ბევრი განუკურნებია.

ნეტარი ნინო იბერიის სხვა პროვინციებში წავიდა რწმენის ქადაგებისთვის. ფუფუნებისა და დიდების გარეშე, წრფელი ენით, მან ქვეყანა შემოიარა. გარე სამყაროსთვის იგი სრულიად უცხო იყო, ან უფრო ზუსტად, ჯვარზე გაკრული ნინო თავის ცხოვრებას აღსასრულისთვის ამზადებდა. თავისი სიტყვებით იგი ღვთის სიტყვას ქადაგებდა. თავისი მეცადინეობისთვის მან წამებულის გვირგვინი მიიღო. ამიტომ

ვბედავთ, მოციქული ვუწოდოთ, რადგან „მან იქადაგა [სახარება] კლარჯეთიდან დაწყებული, ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოსი გაუწყებს შენ“[1].

ამ ნაამბობს მოსე ერთ-ერთ პირველ სომეხ ისტორიკოსს აგათანგელოსს მიაწერს, მაგრამ აგათანგელოსის ნაწერებში სულ არ არის ნახსენები არც ნუნე (ან წმინდა ნინო), არც ქართლის მოქცევა.

არც იმის ვარაუდი შეიძლება, რასაც მოსე წმინდა გრიგოლისადმი დესპანების გაგზავნის შესახებ ამბობს,რადგან ასეთი მტკიცება ეწინააღმდეგება რუფინუსის დედნისეულ ისტორიას, რომელიც გადმოგვცემს, რომ ქართველი დესპანები იმპერატორ კონსტანტინესთან იყვნენ გაგზავნილები. მოსეს ისტორიის ღირებულების დასადგენად ზოგიერთ კომპეტენტურ ავტორს დავასახელებთ: ეკატრემერი აცხადებს, ყველაფერს, რასაც მოსე ხორენელი გადმოგვცემს ზღაპრული ელფერი აქვსო[2].

პარიზის აღმოსავლური ენების სკოლის პროფესორი ა. კარიერი, რომელმაც მოსეზე მრავალი შრომა გამოაქვეყნა, თავის ნაწერებში ძალიან კარგად განასხვავებს სინამდვილეს სიყალბისაგან[3].

აი, რამდენიმე ნაწყვეტი სპეციალურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ანგარიშებიდან:

„მ-ნი „კარიერის“ მშვენიერი დისერტაცია მოსე ხორენელზე და ძველ გენეალოგიაზე უკანასკნელ დარტყმას აყენებს მოსეს მონათხრობის სინამდვილეს სომეხთა წარმომავლობის შესახებ. კარიერი გადაჭრით ადგენს, რომ მოსეს მიერ დამოწმებული სირიელი ისტორიკოსი მარ აბას კატინა მისივე გამოგონილია. მოსე ყველასთვის სრულიად ახალი ამბების გადმოსაცემად ამოეფარა თავისი გამონაგონი სირიელი ისტორიკოსის ავტორიტეტს, რომელიც ისევე შეთხზული იყო, როგორც მონათხრობი, მას რომ მიაწერს[4].

უნდა აღინიშნოს მ-ნი კარიერის მთელი რიგი მნიშვნელოვანი

1 თარგმანისათვის იხ. მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, თბილისი, 1984, გვ. 172.

2 Journal des Savants, Paris, 1850 წ., გვ. 364-5. — იხ. Féret, Mémoires sur l'ère arménienne, dans ses Oeuvres complètes, ტ. XII, გვ. 187-254; Mémoires de l'Académie des Inscriptions et Belles–Lettres, ტ. XLVII, გვ. 98 და ა.შ.

3 იხ. A.Carrière, Moïse de Khorène et les généalogies patriarcales; Nouvelles sources de Moïse de khorène; Les Huit Sanctuaires de l'Arménie paienne, Paris, 1899.

4 Journal Asiatique, IX სერია, 1892, ტ. II, გვ. 86.

ნაშრომებში; მათ დიდად შეარყიეს ავთენტიკურობა იმ ეროვნული წყაროებისა, რომლებითაც სომხური ისტორიის მამას უსარგებლია. კარიერმა აჩვენა, რომ მოსე ხორენელმა სოკრატეს „საეკლესიო ისტორიის“ სომხური თარგმანი გამოიყენა. სოკრატეს „ისტორია“ კი სომხურად ითარგმნა მხოლოდ 690 ან 692 წელს. აქედან გამომდინარე, „ისტორია“, რომელსაც მოსე ხორენელს მიაწერენ VIII ს-მდე არ იქნებოდა დაწერილი; სომხური ლიტერატურის მთელი ქრონოლოგია იმავე დარტყმითაა შერყეული: იგი შესასწორებელია.[1]

სომხეთში მ-ნი კარიერი უმოწყალოდ ამუშავებს ამ ყალბ, ბღენძია მოსე ხორენელს, რომელსაც ადრე სომხური საეკლესიო ისტორიის მწვერვალზე მოჰქონდა თავი, ახლა კი ეს საწყალი ჯაფარა უბრალო ადგილითაც დაკმაყოფილდება VIII ს-ის დასაწყისში. მოსე ხორენელი ბიზანტიელ ისტორიკოს მალალას ძარცვავს; მას მხოლოდ პროკოპიდან შეეძლო სცნობოდა ფინიკიური წარწერა, რომელზეც მოგვახსენებს, ის კი VI ს-ის შემდგომი პერიოდისაა, რაც მ-ნი კარიერის ზემოხსენებულ დასკვნებს გვიდასტურებს“[2].

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსეს მონათხრობი ქართლის მოქცევის შესახებ ბიზანტიელი მწერლებიდანაა ნასესხები, რომელიც შემდეგ მოსეს ისე შეუცვლია, მის პირველ სახეს ველარ იცნობთ.

ამ ამბებიდან მხოლოდ ის ისტორიული ფაქტია ყურადსაღები, რომელიც ბიზანტიელ მწერალთა კალამს მიეკუთვნება.

უცხოელ მწერალთა შორის ბერი მელქიტი ნიკონიც უნდა დავასახელოთ, ვისი არაბული საბუთებიც ვატიკანის ბიბლიოთეკაშია დაცული. იგი ამტკიცებს, რომ თეოდორიტესა და სხვათა წიგნებში აქვს წაკითხული ის, რასაც ქართლის მოქცევის შესახებ გვიყვება და რასაც არაბულ ტექსტთან ერთად გაგაცნობთ:

„საბერძნეთიდან გაქცეული ნუნა კერპთაყვანისმცემელ საქართველოს გააქრისტიანებს. სხვა ისტორიაში იმასაც ვკითხულობთ, რომ ქართველები კეისარ კონსტანტინე დიდის დროს მოქცეულან ქრისტიანებად. ეს მაშინ მოხდა, როცა მეფის ვაჟი მძიმედ გახდა ავად და დედამისმა ნუნას განაკურნებინა. ამით კმაყოფილი მეფე მთელ თავის ერთან ერთად გაქრისტიანდა. ნუნამ მეფეს ეკლესიის აშენება სთხოვა. ის კმაყოფილი იყო ვაჟიშვილის განკურნებით, მაგრამ ეკლესიის აშენებაზე არ თანხმდებოდა.

ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე სანადიროდ წავიდა; გზაზე მოულოდნელად ისეთმა წყვდიადმა დაუბნელა თვალები, ნაბიჯის გადადგმა

1 იქვე. 1893 წ., ტ. II გვ. 117.

2 იქვე. 1895 წ., ტ. II, გვ. 94.

აღარ შეეძლო, მისი თანმხლებნი კი ამ დროს მზის სხივებით ცვმებოდნენ. დიდი ცდის შემდეგ მეფე განსაცდელს გადაურჩა და მის თვალთა წყვდიადი უცბად ნათლით შეიცვალა.

ამის შემდეგ მეფემ ხით ხუროთა უფროსი, მცოდნე და გამოცდილი ახალგაზრდა კაცი, მაშლაელი, მოაყვანინა და ეკლესიის აგება უბრძანა. ის მაშინვე შეუდგა საქმეს და ეკლესია ააშენა. შემდეგ მღვდლის ძებნა დაიწყეს. არაჩვეულებრივმა ქალმა თაოსნობა გამოიჩინა და ამ ერის მეფე დაიყოლია, მებრძენთა კეისრისთვის ჭკვიანი, ღვთისმოსავი მღვდლის გამოგზავნა ეთხოვა. ამით აღფრთოვანებული კეისარი კონსტანტინე დიდი მეფეს დიდი პატივისცემით უგზავნის ანტიოქიის პატრიარქ ესტატეს. საქართველოში ჩამოსვლისთანავე პატრიარქმა ესტატემ ყველა მონათლა მეფესთან ერთად და ახალი აშენებული ეკლესიაც აკურთხა. აკურთხა აგრეთვე კათალიკოსი, რომელიც ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციას დაუქვემდებარა.

ქართველმა მეფემ თავის მსახურებთან ერთად ანტიოქიის პატრიარქისთვის წმინდა ზეთის დასამზადებლად საჭირო მასალის გაგზავნა ითავა. ათასი სოფლის პროდუქტი მოუტანეს პატრიარქს იმისთვის, რომ მირონი (წმინდა ზეთი) მოემზადებინა"[1].

ზოგიერთი ღირსება, რომელსაც ბერი მელქიტის ამ ნაამბობს მიაწერენ, საკმარისად ამტკიცებს იმას, რისი ჩვენებაც ჩვენ გვინდა, ე.ი. რომ სომხებს არავითარი წვლილი არ მიუძღვის ქართლის მოქცევაში და რომ ყველაფერი კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილმა პირებმა შეასრულეს[2].

## III. — წმინდა ნინოს მოციქულობა ქართული ქრონიკის მიხედვით

როგორც უკვე მოგახსენეთ, წმინდა ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის შესახებ ქართულად არ არის მისი თანამედროვე, ავთენტი-

1 Bibl. Vat., Cod. arab. №76, გვ. 367.

2 "Oriens Christianus" გამოქვეყნებულ სტატიაში ამტკიცებენ, რომ საქართველომ სომხეთისგან გაიცნო ქრისტიანული მოძღვრება და წესები. ასევე ამტკიცებენ მესროპის მიერ ქართული ანბანის გამოგონებას და ა.შ. („ქრისტიანული აღმოსავლეთი", 1906, რომი, გვ. 300—318). ყველაფერ ამის დასამტკიცებლად სტატიის ავტორი იმ ძველი სომეხი მწერლების ციტირებით კმაყოფილდება, რომელთაც ამგვარი რამეები უწერიათ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მის გულწრფელობაში, მაგრამ ცდება, როცა ამ მწერლებს უდავო ავტორიტეტებად მიიჩნევს და ანგარიშს არ უწევს მრავალი სხვა მეცნიერის შრომას, რომლებმაც ძველი სომეხი მწერლების სიყალბე გამოააშკარავეს. აქ ყველა მეცნიერის ჩამოთვლა დიდ დროს წაგვართმევდა; წინამდებარე ნაშრომში ბევრჯერ გვქონდა შემთხვევა ზოგიერთი მათგანი დაგვესახელებინა (იხ. განსაკუთრებით II და X თავები). ამ მეცნიერების მიერ ძველი სომხური ისტორიული თხზულებების მიუკერძოებელი შესწავლის შედეგი საკმარისზე მეტია იმისთვის, რომ მთლიანად უარვყოთ მსგავსი მტკიცებანი. ამიტომაც შესაძლებლად მიგვაჩნია ამ სტატიის გარჩევა არ დავიწყოთ.

კური ტექსტი. რაც კი გაგვაჩნია, ყველაფერი შემდგომი პერიოდისაა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ აღმოჩენილი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ საუკეთესო ტექსტი გახლავთ.

როგორც უკვე მოგახსენეთ უფრო ზემოთ (იხ. თავი V), იგი VII ან VIII ს-ის ძეგლი უნდა იყოს. ტექსტი საკმაოდ ბუნდოვანი და არეულია; თუმცა მისი სიძველის გამო მაინც არ არის მოკლებული ისტორიულ ღირებულებას. მაშ ასე, აქ მოგვყავს ყველაფერი, რაც ჩვენს წმინდა მოციქულს ეხება:

„და იყო დღეთა კონსტანტინე მეფისათა, ქრისტეს ამაღლებითგან[1] სამას და მეათესა წელსა, იყო ღუაწლი მრბოლისაჲ მტერთაგან და ფრიად ერეოდეს მეფესა კონსტანტინეს[2] (217 წ.), ძესა კოსტაჲსსა და გულგდემულ იყო ურვათაგან კოსტანტი კეისარი[3].

იყო ვინმე კაცი ეფესელი და წარმოთქუა წინაშე მეფისა, ვითარმედ: „ქრისტიანენი იგი ჰრომნი და ყოველნი ჰინდონი და ვისცა ვის აქუს შჯული იგი ახალი ქრისტეს წმიდისაჲ, ძლითა ჯუარისაითა და მისითა სასოებითა სძლევენ მტერთა ძლიერად“[4].

მას ჟამსა აღიძრა მეფჱ გუნდებითა, და წარავლინა მოყვანებაჲ ებისკოპოსთა იერუსალჱმით, ანტიოქიაჲთ, ჰრომით და ალექსანდრიაჲთ. და ნათელიღო მან თავადმან და დედამან მისმან მანაკითურთ[5].

მით ჟამითგან მეათესა წელსა[6] წარვიდა ჰელენე იერუსალჱმდ ძიებად პატიოსნისა ჯუარისა. და მეათოთხმეტესა წელსა[7]. ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, რომლისამე მიზეზისათჳს დედა-მძუძითურთ[8].

და იყო მის თანა ცუე ერთი დედაკაცი შუენიერი, სახელით ნინო[9].

1 უნდა იგულისხმებოდეს ქრისტეს შობა.

2 კონსტანტინე დიდი.

3 ვფიქრობთ, აქ მაქსენციუსის წინააღმდეგ ბრძოლაა მინიშნებული.

4 არ გვესმის, ინდოეთის ქრისტიანები რატომ არიან ნახსენები რომაელ ქრისტიანებთან ერთად, რადგან ინდოელების მოქცევა ქართველების გაქრისტიანების თანამედროვეა. თეოდორიტე ამბობს: „ინდოელებთან რომ ფრუმენტიოსი გაიგზავნა ღვთისმსახურებისათვის წინამძღვრად, ამ დროს იბერებთან ტყვე ქალი გაემგზავრა“ — Migne, P.G., ტ. LXXXII, სვ. 972.

5 ტექსტიდან გამომდინარე, ეს ამბავი ოთხი დასახელებული ქალაქის გარეთ უნდა მომხდარიყო.

6 ე.ი. 320 წლისთვის.

7 ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს 324 წელი უნდა იყოს.

8 უეჭველად დიოკლეტიანეს დევნაზეა ლაპარაკი. აქ თარიღები აშკარად არეულია, რადგან დიოკლეტიანეს უკანასკნელი დევნა 303 წლით თარიღდება, ხოლო კონსტანტინეს საიმპერატორო დადგენილება ქრისტიანულ რელიგიას 313 წელს ანიჭებს თავისუფლებას, უდავოა, ეს ამბავი მომხდარი ფაქტიდან დიდი ხნის მერე დაიწერა

9 რიფსიმიანთა ისტორიკოსი აგათანგელოსი სულ არ ასახელებს ნინოს.

რომლისა საქმჱ მისი გამოიძია ჰელენე დედოფალმან[1]. და იყო იგი ჰრომი მთავარი, და თჳთ მოუვლო გზაჲ თჳსი და ექმნნეს კურნებანი. და მოწყუნელ იყო საბერძნეთა და ჰმოძღურიდა მთავარსა მას რიფსიმეს.

და ვითარცა წარმოივლტოდა რი[ფ]სიმე ზღუად, გაჲ[ა]ანე და ნინო და სხუანი ვინმე მათ თანა გამოვიდეს არეთა სომხით [ი]სათა, საყოფელსა თრდატ მეფისასა. და იგინი იმარტვლნეს მუნ.

ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო (217 V) ჩრდილოჲსათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა მეფეთა საჯდომელსა. და იყო სამ წელ ეგრეთ. ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შემურვილსა მრბამლითა მაყულისაჲთა.

და შექმნა სახჱ ჯუარისაჲ, ნასხლევისაჲ და მუნ დაადგრა და ილოცვიდა. და ადგილი იგი იყო ზღუდესა გარეგან. ხოლო მათ მაყუალთა ადგილი არს ზემოჲსა ეკლესიისა საკურთხევლისა ადგილი. [დ]ა მეოთხესა წელსა იწყო თქუმად ქრისტე ღმერთი და მჯული: „და [მე] ვპოვე ცთომასა შინა ჩრდილოჲსა ესე ქუეყანაჲ“. და მეექუსესა წელსა[2]. არწმუნა (ცოლსა) მეფისასა ნანას სენსა შინა მისსა და მეშჳდესა წელსა მეფესა არწმუნა სასწაულითა ქრისტესმიერითა. და მწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემოჲ სამოთხესა შინა. და სუეტი იგი იყო ძელისაჲ, რომელი თჳთ აღემართა[3].

და ვითარცა აღაშენეს ეკლესიაჲ, წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთა, მეფისა კოსტანტინესა თხოვად მღდელთა[4]. ხოლო იგინი მწრაფლ მიიწინეს.

და მოსცა მეფემან იოანე ეპისკოპოსი[5] და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი და წიგნი ელენე დედოფლისაჲ და მაცხოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნინოჲსთჳს.

და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მოიღო მირეან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან. ითხოვეს ხჱ, რაჲთა შექმნან ჯუარი... „გინდა ცხორებაჲ ჩუენი და ჴსნად ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალჱმით უცხოთა ამათ ნათესავთა

---

1 წინადადება ძალიან ორაზროვანია: გაურკვეველია, ვინ არის ეს რომაული „მეფის ასული“.

2 მისი ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში.

3 ფრაზის ბოლო ბუნდოვანია. გაურკვეველია, ვის მიეწერება ამ სვეტის აღმართვა — მეფეს, თუ დედოფალს.

4 მაშასადამე, უნდა უარვყოთ ზემოთ წარმოდგენილი მოსე ხორენელისეული შემდეგი მტკიცება: „როცა ნეტარმა ნუნემ მორწმუნეები შემოიკრიბა, ისინი წმ. გრიგოლთან გააგზავნა, რათა მისთვის ეკითხა, რა უნდა გაეკეთებინათ ამიერიდან, რაც იბერებმა უკვე გულით მიიღეს სახარების სწავლებანი...“ როგორც ბიზანტიელი მწერლები ადასტურებენ, სინამდვილეში ნინო კი არ აგზავნის ელჩებს, არამედ — მეფე და წმ. გრიგოლთან კი არა, კონსტანტინე იმპერატორთან.

5 თეოდორიტე ამტკიცებს ასევე, რომ კონსტანტინეს მიერ წარგზავნილი მოხელე ეპისკოპოსის უფლებებით იყო აღჭურვილი, Migne, P.G., ტ. LXXXII, სვ. 974.

ქალაქად, რამეთუ ჯუარ-ცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი".

და წარემართა მეფჱ და ყოველი ქართლი ქრისტიანობასა მოწრაფებითა დიდითა.

მაშინ ნეტარმან მან დედაკაცმან ნინო თქუა: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისაჲ იესუ ქრისტჱსი, რომელმან მოავლინა სიტყუაჲ წმიდაჲ მისი ცათა მაღალთაჲთ თჳთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად უჭუელად შობად კორციელად თესლისაგან დავითისა დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა წმიდისაგან და უბიწოჲსა, რომელი სათნო-ეყო მას და ამით მიზეზითა ცხორებაჲ ჩუენი შექმნა და ყოველი ცასა ქუეშე მყოფი განანათლა და უმეცრეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნნა, რამეთუ იშვა ვითარცა კაცი, პატივ-ეცა ვითარცა ღმერთსა, ნათელ-იღო ვითარცა მსახურმან ვინმე მჯულისამან წყლისა და მიწისაგან, ხოლო მამით და სულით წმიდით ზეგარდმო იწამა და იდიდა, ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა, აჴდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა და მომავალ არს დიდებითა, რომელსა, შუენის გალობაჲ ამენითა".

და ვითარცა ესე თქუა, წარიყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს. და მოუწოდა მთეულთა, ჭართალელთა და ფხოველთა, და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტჱსი. ხოლო მათ განუყარეს თავი. და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახვილი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა. რომელნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა.[1]

და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთას, დაბასა, რომელსა ჰრქჳან მოდინი, ვერღარა ეძლო სლვად. და მო-ხოლო-ვიდეს უჯარმით ქალაქით რევ, ძჱ მეფისაჲ, და სალომე, ცოლი მისი, და ასული მისი და ზედა-ადგეს მოურნედ. და მოუვლინეს მცხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოვანე მთავარეპისკოპოსი ხილვად და წარყვანებად. ხოლო მან არა ინება, არამედ დაჰვედრა იაკობ მღდელი: „რაჲთა შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყდარი".

და მის წინაშე მისცა წიგნი იგი ჰელენე დედოფლისა მოწერილი,[2] რომელი მოეწერა ნინოჲსა, დედოფლობით და მოციქულად და მახარებელად შეემკო[3] და ძელი ცხორებისაჲ წარმოეცა დედოფლისა ნანაჲსა. და შეწირა ჟამი იოვანე, და აზიარა ნინო კორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა. და წარიღო ესე საგზლად სულისა.

და შევედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა ქართლად მოსლვითგან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს აღმაღლებითგან ტ~ ლჱ (338)

1 ქართული მატიანე თრდატ მეფის მეფობის პერიოდად 393-405 წლებს მიიჩნევს.

2 წინადადება ბუნდოვანია. გაუგებარია, ვისი თანდასწრებით, ან ვის გადაეცა წერილი.

3 ისტორიისათვის სრულიად უცნობია მსგავსი წერილი.

წლსა. დასაბამითგან ჭყ~ლჱ (5838) წლსა.

მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი – მცხეთაჲ და უჯარმაჲ – და ყოველი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს. და მოვიდეს და დაჰმარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი, ადგილსავე ზედა მდებს, დამალსა კხოეთისასა“[1].

ასე მთავრდება ნინოს შესახებ დაწერილი ამბავი. ამ ქრონიკაში ჩვენ სამ უტყუარ ამბავს ვხვდებით. უნდა დავიმახსოვროთ: საქართველოს მოციქული არის ტყვე და უცხოელი ქალი; იგი თავისი სასწაულებით მოაქცევს დედოფალს, მეფესა და ხალხს; ქართველი ელჩობა გაგზავნილ იქნა კეისარ კონსტანტინესთან. რუფინუსი და სხვა ბიზანტიელი მწერლები მთლიანად ეთანხმებიან ამ სამ საკითხს[2].

არის სხვა ცნობებიც, რომლებსაც ნამდვილად არა აქვთ იგივე ღირებულება: მაგალითად, რაც წმინდა რიფსიმეს ეხება ის ცნობები უეჭველად სომეხი მწერლებისგანაა ნასესხები.

## IV. – აპოკრიფული ამბავი წმინდა ნინოს შესახებ. წმინდა ნინოს უპასუხებელი დღეები ამ ამბის მიხედვით

ეს მოკლე ამბავი ქართლის მოქცევის შესახებ, რომელშიც არაფერია ნათქვამი წმინდანის წარმომავლობასა და მის სასწაულებზე, როგორც ჩანს, დიდს ვერას რგებდა მორწმუნეთა ღვთისმოსაობას. მათ რაღაც მეტი სჭირდებოდათ, რაზეც იზრუნეს ქართველმა ჰაგიოგრაფებმა. მართლაც, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ -ს ხელნაწერი „წმინდა ნინოს ცხოვრებასაც“ შეიცავს, რომელიც მისი მეორე ნაწილი გახლავთ. ამ ნაწილს წმინდანის მოყვასებს მიაწერენ; სინამდვილეში კი მოციქულის თანამედროვეებზე ბევრად უფრო გვიანდელი პერიოდისაა. ისე ყველაფერი ნაშრომის ლიტერატურულ ხერხზე და აპოკრიფულობაზე მიგვანიშნებს. ამბავი რომ ავთენტიკურად წარმოისახოს, ავტორი პირველ რიგში ალაპარაკებს თვით ნინოს, რომელიც სიკვდილის წინ მოუთხრობს თავის ცხოვრებას მოყვასებს. მაგრამ ყველაფერი წარმოაჩენს მონათხრობის ხელოვნურობას, ააშკარავებს, რომ თხზულება აპოკრიფულია, რადგან იქ ცუდად არის ერთმანეთთან შეთავსებული სინამდვილე და ლეგენდები.

ჩვენი რწმენით ყველა ხალხური ტრადიცია სიღრმისეულ სინამდვილეს შეიცავს და ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია ეს „ცხოვრება“

---

1 შატბერდის კრებული, 1979, გვ. 321-324.

2 მაშასადამე, ეჭვგარეშეა, რომ საქართველო 339 წლამდე რამდენიმე წლით ადრე გაქრისტიანდა. ეს კონსტანტინეს სიკვდილის ზუსტი თარიღია; კონსტანტინეს მიერ მღვდლების გაგზავნამ ამ ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებას შეუწყო ხელი.

გაგაცნოთ, ყოველ შემთხვევაში — მისი დიდი ნაწილი. რაც ნამდვილად ლეგენდად მოგვეჩვენება, იმას გამოვტოვებთ[1].

“ცხოვრებას“ წინ უძღვის შესავალი, რომელიც დაწერილია იმისთვის, რომ დაფაროს ავტორის ხერხი. მასში სხვა საკითხებთან ერთად შემდეგს ვკითხულობთ:

„ვითარ მოიწია ქუეყანასა კუხეთისასა, დაბასა ბუდს, დასნეულდა სნეულებითა მით, რომელთაცა მოცაკუდა.

მაშინ შეუკრბეს მეფენი ქუჱყანისანი[2] და მთავარნი დედებითურთ და სიმრავლჱ ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოჲსსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა...

ეტყოდეს დედოფალი სალომე უჯარმელი და პეროჟავრა სივნიელი და მათთანა ყოველნი მთავარნი ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: „ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუჱყანასასა ჩუჱნსა მაცხოვრად ჩუჱნდა, ანუ სადამე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო, მაუწყე ჩუჱნ საქმჱ შენი, რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო.

რამეთუ ესერა გვისწავიეს შენ მიერ ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარ-მეტყველნი პირველ მოსლვამდჱ მისა ღუთისა ქუჱყანად.

და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოცდა ათორმეტნი, და ჩუჱნდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ. და ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე, ანუ ვითარცა ჰინდოვის თუ[3].

მაშინ იწყო სიტყუად ნინო და თქუა: „ასულნო სარწმუნოვებისანო, მახლობელნო ღუთისანო, დედოფალნო ჩემნო, გხედავ თქუჱნ ვითარცა პირველთა მათ წმიდათა დედათა ყოველსა-მას სარწმუნოებასა და სიყუარულსა ღუთისასა და გინებს გზათა ჩემთა ცნობაჲ გლახაკისა-მჴევლისა თქუჱნისათა და გაუწყოცა. ესერა მოსრულა სული ჩემი კორკსა, ჩემდა და მეძინებიან ძილითა-მით დედისა ჩემისანთა საუკუნოდ.

არამედ მოიხუენით აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკჱ ჩემი და უდები ცხოვრებაჲ ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაცა თქუენთა სარწმუნოვებაჲ თქუენი და მეწყნარებაჲ ჩემი.

და სასწაულნი ღუთისანი, რომელნი გიხილვიან მცირედნი მთათა-მათ ზედა მაყულოვანსა-მას შინა სუეტისა აღმართებასა და მიერ წყაროსა-მას ზედა და ვიდრე აქ მოსვლამდჱ ჩემდა თჳთ უფალმან იცის და სულმან ჩემმან, რომელი უხილავს თვალთა ჩემთა ზეცით

1 „ცხოვრება“ გამოქვეყნდა თბილისში, 1891 წელს, ბატონ თაყაიშვილის მიერ. არსებობს წმინდა ნინოს ცხოვრების მრავალი ვარიანტი, რომელიც ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ხელნაწერებშია დაცული. ცალკე დგას „ნინოს ცხოვრება“, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ნაწილი გახლავთ . ეს ვარიანტები ერთმანეთისგან თითქმის სულ არ განსხვავდება. ჩვენ უპირატესობას ბ-ნ თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტს ვანიჭებთ. რადგან დამწერლობის მიხედვით იგი X საუკუნისაა, უძველესად უნდა მივიჩნიოთ.

2 მაშინ საქართველოში მხოლოდ ერთი მეფე იყო, მირიანი.

3 ეს მონაკვეთი ამტკიცებს,რომ ქართული ტრადიციის მიხედვით, ნინო ნამდვილად ტყვე იყო. რაც შეეხება სხვა მტკიცებების სიყალბეს, მათზე IV თავში მოგახსენეთ.

კარდამო ქუეყანასა ზედა“.

მაშინ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი, და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, და იგინი წერდეს. წინა შობისა მისისა მშობელთა მისისა მშობელთა მისთა საქმე იწყო...“

## V. — ნინოს მშობლები. იგი წმინდა ელენესთან მიდის. ნინოს გაქცევა თავის ამხანაგებთან ერთად და მისი გამგზავრება საქართველოში. ნინოს ჩასვლა საქართველოში; კერათა დღესასწაული. ნინოს პირველი სასწაული

ამ ამბის დასაწყისს გამოვტოვებთ. თავისი კეთილშობილური შთამომავლობის საჩვენებლად ავტორი ნინოს ბევრს ალაპარაკებს მშობლების შესახებ. მამამისი არის ვინმე ზაბულონი, კაპადოკიელი, რომელიც ცოლად ირთავს იერუსალიმელი პატრიარქის იუბენალის დას. მაგრამ ცოლის შერთვამდე ზაბულონი რომს მიემგზავრება, რათა კეისართან იმსახუროს და პატივი მოინაგროს. შემდეგ რომაელთა ჯარს მეთაურობს, ამარცხებს ფრანკებს და მათი მეფე და მთავრები რომში ტყვეებად მოჰყავს.

ზაბულონი ტყვეებს გააქრისტიანებს, მონათლავს და მათ სამშობლოში გაჰყვება, სადაც ასევე ყველა მცხოვრებს მონათლავს და რომში საჩუქრებით დატვირთული დაბრუნდება. იქიდან იერუსალიმს მიემგზავრება. იქ ქორწინდება, ცამეტი წლის შემდეგ კი ყველაფერზე უარს ამბობს და მარტოდმარტო აგრძელებს ცხოვრებას.

გამოვტოვებთ ყველა ამბავს, რომელიც ეწინააღმდეგება ისტორიას. ნინოს მამას მართლაც შეიძლება ზაბულონი ერქვა, მაგრამ ისტორიამ არაფერი იცის მასზე და არც მისი სავარაუდო ბიძის, იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის შესახებ. ყოველ შემთხვევაში IV საუკუნეში, ვინაიდან იუბენალი სინამდვილეში V საუკუნეში ცხოვრობდა.

ასევე შეთხზულად მიგვაჩნია ყველაფერი, რაც დვინელი სომეხი ქალის, მიაფორის მიერ ნინოს აღზრდას ეხება. მასთან ნინო თითქოს ორი წელი მოახლედ ყოფილა. აი, ეს ამბავიც:

„მათ დღეთა შინა მოვინმევიდა დედაკაცი ეფესელი თაყუანისცემად წმიდასა აღდგომასა და ჰკითხვიდა მიაფორი დედაკაცსა — მას, თუ ჰელენე დედოფალი ეგეთსავე მნელსა შინა არსა და მეფობა მათი თჳნიერ ღუთისა.

ხოლო მან ჰრქუა: „მე ვარ მკჳვალი მათი და მახლობელი განზრახვასა მათსა ყოველსა და დიდი წადიერება აქუს ჰრომთა ქრისტეს მიმართ მსჯულისათჳს და ნათლის-ღებისა“[1]. ხოლო მე ვარქუ

1 შეკითხვა ელენეს ეხება, ხოლო პასუხში ყველა რომაელი იგულისხმება, თითქოს მაშინ მათ შორის ქრისტიანები არ ყოფილან.

მიაფორსა:[1]" წარმოავლინე და წარვიდე წინაშე ჰელენე დედოფლისა, ნუ უკუჱ მომიახლოს სიტყჳს გემად მის წინაშე ქრისტჱს-თჳს". და ამან აუწყა პატრეაქსა. ხოლო მან მიწოდა წმიდამან მამამან ჩემმან, პატრეარქმან, ძმამან დედისა ჩემისამან, და დამადგინა აღსავალს საკურთხეველისასა.

და დამასხნა ჴელნი მისნი მჴართა ჩემთა, და სულთ ითქუნა ცად მიმართ, და თქუა: „უფალო ღმერთო მამათაო და საუკუნეთაო. ხელთა შენთა შეგჰვედრებ ობოლსა ამას შვილსა დისა ჩემისასა და წარვავლინებ ქადაგებად შენისა ღუთებისა.

და რათა ახაროს აღდგომაჲ შენი, სადაცა შენ სათნო იყო, სრბაჲ მისი. ექმენ, ქრისტჱ, ამას გზა, მოგზაურ, ნავთსადგურ, მოძღუარ ენა მეცნიერებისა, ვითარცა იგი წინათა-მათ მოშიშთა სახელისა შენისათა.

და მიჯნა დედისაგან ჩემისა, და მომცა ჯუარი მე, და კურთხევაჲ საგზლად, და წარვემართე დედაკაცისა მისთანა, და ოდეს მივედით სახით მისა[2], მუნ ვპოვეთ დედოფალ ვინმე, მეფეთა ვადაგი, სახელით რიფსიმე, რომელი ელოდა იჱრუსალიმით ნათლის-ღებასა და ქრისტჱს აღსარე-ბისათჳს სუროდა. მაშინ მიმცა მე ჴელთა მისთა დედაკაცმან მან და მივეც მას ნათელი ჴელთა ქუეშე ჩემსა, მას და ორმეოცსა სულსა მისთანა სახლისა მისისათა[3], და წარვედით სახიდ მისა, და ვიყვენით მუნ ორ-წელ.

მაშინ მოხედა უფალმან სამერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კოსტანტინეს, და ქრისტე აღიარა მან და დედამან მისმან, და ყოველმან პალატმან მათმან, დასაბამითგან წელთა ხუთ-ათას ორმეოცდა ოთხსა, ხოლო ქრისტჱს ამაღლებითგან სამას და ათ-ერთმეტსა, და წარემართა ყოველი სამერძნეთი ქრისტეანობასა. მეშვიდესა წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას[4], და მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი სამერძნეთით, რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძე და ორმეოცდა ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათ თხუთმეტსა.

და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა – მას თრდატ მეფისასა[5], იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოცდაათსა, დღესა

1 უკვე მოგახსენეთ, რომ ავტორი ამ ამბავს გადმოგვცემს პირველ პირში, როგორც ნინოს მიერ მოყოლილს. ეს ფორმა უდავოდ იმისთვის შეარჩია, უკეთ დაეფარა ამბის ხელოვნურობა.

2 აქამდე ფიქრობდნენ, რომ ნინო დედოფალი ელენეს სანახავად მიდიოდა, მაგრამ სინამდვილეში მის შესახებ აღარ არის ლაპარაკი.

3 უცნაურია, VI ს-ში ეფესში ვერ ნახეს მღვდელი, რომ დედოფალი მოენათლა. მას ისე ძალიან უნდოდა მონათლულიყო, იძულებული გახდა, თხუთმეტი წლის გოგონასთვის მოენათვლინებინა თავი!

4 ნიკეას კრება შედგა 325 წელს. ეს ბუნდოვანება გვიჩვენებს, რომ მთხრობელი ამ ამბების თანამედროვე არ უნდა ყოფილიყო.

5 სრული სიცრუეა, თითქოს დევნა ნიკეას კრების დამთავრებისთანავე დაიწყო.

ვარასკევსა[1],

ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა მას ჟამსა. და ოდეს იგი აღმოვიდოდეს სულნი წმიდათა (წ¯თა) მათ, ვიხილე ზეცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი (დ¯კნი) ოლარითა ნათლისაჲთა და ქელთა მისთა აქუნდა სასაკუმე-ველჱ, რომლისგან გამოვიდოდა კუამლი სულნელებისაჲ, რომელი ცათა დაჰფარვიდა, და მისთანა სიმრავლჱ ერთა ცისათაჲ.

და შეირთნეს წმიდანი იგი სულნი ერთა მათ ზეცისათა, და დიდებით აღმაღლდეს ცად.

ხოლო მე ვღაღადვყავ: „უფალო, უფალო, რად დამიცევ მე შორის ასპიცთა და იქედნეთა?“

კმაჲ მესმა მე მუნით, რომელი მეტყოდა მე: „ესრჱთვე იყოს წარყვანებაჲ შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი შენსა გარემოჲს არს, ყოველივე იქმნეს ვარდმეწამულ-სულნელ შენ მიერ.

ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავლით, სადა იგი არს სამკალ ფრიად და მუშაკნი ყოვლადვე არა არიან“. ხოლო მე წამოვედ და მოვედ ულოპორეთა და დავიზამთრჱ ჭირთა შინა დიდთა.

და თთუესა მეოთხესა წარვედ მთათა ზედა ჯავახეთისათა, რათა ვცნა, თუ სადაჲთ არ მცხეთა.

და მივემთხჳე მთასა ზედა [და მივემთხჳე ტბასა მას დიდსა გარდამომდინარესა რომელსა ეწოდების ფარავანი. ხოლო მივიხედნე რა მუნით და ვიხილნე მთანი იგი ჩრდილოსანი, დღეთა მათ ზაფხულისათა

1 წმ. ნინოს ცხოვრების სხვა ვარიანტებში ყველა ამ დეტალს მიიჩნევენ წმინდანთა ცხოვრებას ან „სომხეთის მოქცევას“, რომელიც უკვე ხსენებული აგათანგელოსის წიგნია. ამ ნაშრომის და მასში შესული ამბების შესაფასებლად ბოლანდისტთა რამდენიმე ფრაზით შემოვიფარგლებით: „მე მეშინია ბევრი ზღაპრული ელემენტის ჩართვით ამბავი უფრო არ გაიზარდოს, ვიდრე სიმართლის ჩვენებით. წმინდა გრიგოლის საქმენი ისეთი არაკებითაა გაბუნდოვნებული, სიმართლის მარცვლების დაძებნა ძალიან გაჭირდება. ვინც აგათანგელოსზე მკაცრად იმსჯელებს, აღიარებს, რომ იგი ტყუის, როცა ნინოს თანამედროვედ მოაქვს თავი, რათა მკითხველი მოატყუოს და თავისი ქმნილებით ნდობა მოიპოვოს“. Stilingus, Acta Sanctorum, Septembre, ტ. VIII, გვ. 305, 306, 309. — აი, კიდევ ცნობილი ორიენტალისტის შეფასება: „წმ. რიფსიმიანებთან დაკავშირებული ტრადიციისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ შემიძლია აგათანგელოსის, ჰაგიოგრაფებისა და პანეგირისტების ნაამბობი ამ წამებულთა შესახებ არ შევადარო ლაქტანსის მიერ წარმოდგენილ თანამედროვე ისტორიულ ამბავს (De Mort. persec., რვეული 19, 33, 40, 41, 59 და 51), რომელიც, როგორც ვფიქრობ, საფუძვლად დაედო სომხეთში წმ. რიფსიმესა და მისი მეგობრების მოგზაურობისა და წამების ლეგენდას“ V. Langlois, Collection des Historiens anciens et modernes de l'Armènie, Paris, 1867, ტ. 1, გვ. 137. — „სომხებმა, რომლებიც ისე ნაყოფიერად მუშაობენ დაუჯერებელი ამბების შეთხზვაში, თავიანთ მარტიროლოგში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს“. Mémoires du Levant. Lettres èdifiantes et curieuses ècrites des Missions ètrangéres, Paris, 1780, ტ. III, გვ. 52. იხ. Saint-Martin, Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie, Paris, 1818–1819, ტ. I, გვ. 291.

სავსენი თუალით და ჰაერითა სასტიკით, შევსძრწუნდი მე და ვთქუ ესრედ: „უფალო, უფალო მიიღე სული ჩემგან და დავყავ მუნ ორ დღე და ვითხოვე საზრდელი მეთევზურთაგან ტბასა-მას შინა მონადირეთასა, და რამეთუ მწყემსნიცა იყვნენ ადგილსა მასვე და კუმლვიდეს რაჲ საკმილავსა ღამისასა სამწყსოსა ზედა მათსა, ხადოდეს იგინი შემწედ და მფარველად თჳსად ღმერთთა მათთა, არმაზ და ზადენს, და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა, „ოდეს მოვიდეთ წინაშე თქუენსა მშვიდობითო". და მას იტყოდეს იგინი ენითა სომხურითა[1], რომელი ესე მცირე რაჲმე მესწავა მეცა პირველივე ნიამფორისა მისგან და ჰკითხე ერთსა მწყემსთა მათთაგანსა და ჰვთქუ ენითა სომხურითა, ვითარმედ „რომლისა სოფლისანი ხართ". ხოლო მან მომიგო და მარქუა მე, ვითარმედ „ვართ ჩუენ დამით ელარმინით და საფურცლით, და ქინძარელნი რამაწელნი და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადაჲ, იგი ღმერთნი ჰხედვენ და მეფენი ნეფომენ". და კუალად ვკითხე მე, ვითარმედ „სადა არს ქალაქი იგი მცხეთა". ხოლო მან მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ „გარდამდინარე ესე არის ტბისა თანა-წარვლის ქალაქსა-მას მცხეთასა".

ხოლო მე შემიძნდა სიგრძე გზისა-მის და სიპრტყე მთათა მათ, რომელი ვიხილე და ამისთჳს შეძრწუნებულ ვიყავ სულით-ვითქუნე და დავიდე ლოდი ერთი სასთუნალ და ესრეთ მივიძინე გარდასადინელსა მას ტბისასა. და ვითარ იგი შემძინა მე, მოვიდა კაცი ერთი ჩუჱნებით -ჰასაკითა ზომიერ, ხოლო თმითა ნახევარ-თმოსანი, და მომცა მან მე წიგნი დამჭდული და მრქუა მე: „მიართვი ესე მსწრაფლ ქალაქსა შინა მცხეთას მეფესა-მას წარმართთასა".

ხოლო მე ვიწყე ტირილად და ვრქუ მას ვედრებით, ვითარმედ „მე, უფალო, დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი და არცა ენისა მეტყუელად მეცნიერ ვარ და ვითარ მივიდე უცხოსა ქუეყანასა და კაცთა მათთანა უცხო თესლთა".

მაშინ კაცმან მან განჰკსნა წიგნი იგი, რომელსა ზედა იყო მეჭედი იესო ქრისტესი და წერილ იყვნეს მუნ შინა ენითა ჰრომელებრითა ათნი სიტყუანი მსგავსადვე ფიცართა-მათ ქვისათა მოსეს-ზე და მომცა მე კითხვად და იყო დასაბამ სიტყვათა მათ ესე:[2]

ა). სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე, მუნცა ითქმოდის დედაკაცი ესე:

ბ). არცა მამაკაცებაჲ არს, არცა დედაკაცებაჲ, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ.

გ). წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

დ). ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაჱლისა.

---

1 ეს მონაკვეთიც იმას ადასტურებს, რომ ამ კომპილაციაში ბევრი ინტერპოლაციაა ნასესხები სომხეთის ისტორიიდან. თუ არა და, რით უნდა აიხსნას ის, რომ სომხური ენა თვით საქართველოს დედაქალაქის, მცხეთის მაცხოვრებლების მშობლიურ ენად მიაჩნიათ, როცა მათ თავიანთი საკუთარი, ქართული ენა ჰქონდათ?

2 ამ ცხოვრებაში ხშირად შევხვდებით წმ. წერილიდან ამოღებული ტექსტების საკმაოდ ცუდ ინტერპოლაციას.

ე). სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ, მუნცა ითქმოდეს ყოვლსა სოფლსა.

ვ). რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

ზ). რამეთუ ფრიად უყვარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენდა მისსა სიბრძნესა ჭეშმარიტსა.

ჱ). ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნენ კორცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად.

თ). ჰქუა მარიამ მაგდანელსა იესუმ: „წარვედ დედაკაცო, და ახარე ძმათა ჩემთა.

ი). და სადაცა მიხჳდეთ, ჰქადაგებდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

ვითარცა წარვიკითხენ სიტყუანი ესე, ვიწყე ვედრებად ღმრთისა მიმართ და გულის-ხმა-ჰყავ, ვითარმედ ზეცით იყო ჩუენებაჲ ესე, და აღვიხილენ თუალნი ზეცად, და ვითხოვე მაღალთა შინა დამკვიდრებულისა და ყოვლისა გარეშე-მცველისა ღმრთისაგან შეწევნაჲ ჩემი, და წარმოვემართე და მოვყევ წიაღ კერძო მდინარისა მისგან, ცმისა გარდამომდინარისა ] და იყო დინებაჲ დასავლით კერძო, და მივლევ გზასა ბნელსა და ფიცხელსა, და ვიხილენ დიდნი ჭირნი გზათაგან, და შიშნი მჴეცთაგან, ვიდრემდე მოვიწიე აქა, ვინაჲ იგი წყალმან აღმოსავლით იწყო დინებად.

მიერითგან იყო ლხინებაჲ ჩემი და ვპოვენ მოგზაურნი, და მოვიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა, და ვიხილე ერი უცხოჲ, უცხოთა ღმრთთა (ღთ~თა) მსახური, ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაყუანის-სცემდეს.

შეეურვა სულსა ჩემსა წარწყმედასა მათსა ზედა და მოვედ ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაელებრისა, და ვიყავ მუნ ერთ თთუჱ, და განვიცადე ძალასა ამის ქუეყნისასა.

და, იყო დღესა ერთსა, აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმრთისა მათისა.

ხოლო მე წარვჰყევ მათთანა, და მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წიაღთა მოგუთასა, კიდსა ზედა, დავდექით მუნ, და ვხედევდით ცეცხლის მსახურსა-მას ერსა, და მოგუებსა და ცთომასა მათსა ზედა ვციროდე წარწყმედისა მათისათჳს, და უცხოვებასაცა ჩემსა ვგლოვდი.

## თავი 3. — მოსვლაჲ წმიდისა ნინოჲსი მცხეთად, აღწერილი მისივე სალომე უჯარმელისა.

ხვალისაგან იყო ჴმაი ოხრისაჲ და საყვირისაჲ, და გამოვიდოდა ურიცხჳ, ვითარცა ყუავილოსანნი ზარნი, და საშინელნი გამოვიდოდეს; ხოლო მეფჱ არღასადა შეძრულიყო.

და ვითარცა ჟამ-სცა ჟამმან, სივლტოლაჲ და მიდამო-მალვაჲ იყო ყოვლისა კაცისა, და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშჱ,

რამეთუ გამოსადმე ვიდოდა ნანა დედუფალი (დეუფალი).

და ვითარცა განვლო ნანა დედოფალმან, მაშინ-ღა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი და შეამკვეს ფოლოცი ყოველი სამოსლითა თითო პირითა და ფურცლითა.

და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა, და მაშინ გამოვიდა მირეან მეფჱ თუალთ შეუდგამითა ხილვითა.

და ვჰკითხე ჰურიასა დედაკაცსა, თუ „რაჲ არს ეს". და მან ჰრქუა: „ღმერთი ღმერთთა მათთა უწესს მას არმაზ, რომელ არაჲ არს სხუაჲ გარეშე კერპი".

ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზისა, და აღივსნეს მთანნი იგი დროშაითა და ერითა, ვითარცა ყუავილითა, ხოლო მე შეუსწრვე ციხედ არმაზედ და დავდექ ახლოს კერპისა-მის ნაპრალსა ზღუდისასა, და ვხედევდი საკჳრველებათა და საშინელსა, რომელი თქუმად ენითა ვერ ეგების, ვითარ იგი იყო ზარის აღსაკდელი შიშით და ძრწოლით მეფეთაჲ მათ და ყოვლისა ერისაჲ და საზარო დგომაჲ.

ვიხილე და, აჰა, დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჳ ოქროჲსაჲ და ჩაფხუტი ოქროჲსაჲ. და სამკარნი. ესხნეს ფრცხილი და მიჯრიცი და ჴელსა მისსა აქუნდა ჴრმალი ლესული, რომელი მრწყინვიდა და იქცეოდა ჴელსა შინა, რეცა თუ რომელი შეეხებინ, თავი თჳსი სიკუდიდ განიწირის. და იტყჳნ: „ვაჲ თუ დასადავაკლო რაჲ დიდებასა დიდისა ღუთისა არმაზისსა და შერასმევსცთე სიტყუასა ებრაელთა-თანა, გინა მოგუთა სმენასა[1], ოდენ დახუდომილ ვიყო მზის მსახურთა. და რომელნიმე იტყჳან უცემნი დიდსა ვისმე ღმერთსა ცათასა და ნუ უკუე პოვოს რაჲმე ჩემთანა მიწი, და მცეს მახჳლი იგი მისი, რომლისაგან ეშინის ყოვლსა ქუეყანასა". და შიშით თაყვანის სცემდეს ყოვლნი.

და მარჯუელ მისა დგა კერპი ოქროჲსაჲ და სახელი მისი „გაცი" და მარცხლ მისა კერპი ვერცხლისაჲ და სახელი მისი „გა", რომელნი იგი ღუთად ჰქონდეს მამათა თქუენთა, არიან ქართლით.

მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქუმდ ღუთისა მიმართ ცთომათა მათთჳს ქუეყნისა ჩრდილოჲსათაჲ, დაფარვასა ნათლისასა, და დაპყრობასა ბნელისასა.

ვხედევდი მეფეთა მათ ძალ-დიდთა და ყოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლივ მთაენთქნეს ეშმაკსა, ვითარცა მკუდარნი ჯოჯოხეთსა.

და იტყოდეს დაბადებლად ქუათა და ძელთა, და სპილენძსა, და რკინასა, და რვალსა გამომერვით-განჭედილსა ღუთად თაყუანის-სცემდეს. ესენი იტყოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად.

მაშინ მოვიხსენე სიტყუაჲ იგი ,რომელი მამცნო იობენალ პატრიარქმან, წმინდამან მამამან ჩემმან, ვითარმედ „ვითარცა მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ და მიწევნად ხარ ქუეყანასა უცხოსა ნათესავთა დგველ ზეფელ ნარკადოველ[2], რომელ არს: „კაცნი ღუთის მკდომნი,

1 ტექსტის შემდგენლის უვიცობა აქ თავს იჩენს მისი ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაციის მოწოდებაში. უფრო ზემოთ შემდგენელი ნინოს აამბობინებს, რა ნახა საქართველოში ჩამოსვლისას; იმას, რომ ხალხი ცეცხლს ეთაყვანებოდა, როგორც ღმერთს, ახლა კი ამ ხალხისთვის სრულიად უცხოდ გვისახავს მოგვთა კულტს!

2 ეს მოგონილი სიტყვები ქართული არ არის, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, არც ამ უადგილოდ ჩასმული წინადადების და არც მომდევნო წინადადების ზუსტი მნიშვნელობა.

გმრძოლნი და წინა-აღმდგომნი“.

მაშინ ავიხილენ ზეცად და ვთქუ: „უფალო, უფალო, მრავალთა ძალთა შენთა გეცრუვნეს შენ მტერნი ესე.

და ესე არს დიდითა სულგრძელებითა შენითა, და იქმან რასაცა იგონებენ მტერნი ესე და ნაცარნი ქუეყანისანი. არამედ ნუ უგულებელს ჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათჳს ერთი სამებისაგანი კაც იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი.

ამათცა ნათესავთა მოხედენ და შეჰრისხენ სულთა ამათ უჩინოთა საუფლის მპყრობელთა მთავართა ამის ბნელისათა, და მიჩუენე მე, ღმერთო, მამისა და დედისა ჩემისაო, მკევალსა ამას ნაშობსა მონისა შენისასა, რათა იხილონ მაცხოვრებაჲ შენი ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა.

და რათა ჩრდილოჲ მღუარსა თანა იხარებდეს და ყოველმან ენამან შენ მხოლოსა ღმერთსა თაყუანის-გცეს ქრისტჱ იესოჲს (ი~ქს) მიერ, ღუთისა ჩუენისა, რომელსა შუენის მადლობით დიდებისა შეწირვა აწ და მარადის, და მერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ.“

და ვითარცა წამისყოფაჲ თუალისაჲ იყო, დასავლით ჰაერნი და ქარნი შეიძრნეს და ჴმა სცეს ქუხილთა ჴმითა საზარელითა.

და აჩნდა ღრუბელი მოწრაფჱ, ნიშან-საშინელი, და მოიღო ნიავმან მზის დასავლისამან სული ჯერკუალი სიმწარისაჲ და სიმყრალისაჲ. მაშინ იელცოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად. და ეცა მათ დროჲ, რათა შეიჭრნეს კაცნი საყოფლად.

და მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, და მოიღო სეტყუაჲ ლიტრისა სწორი მას ადგილსა ოდენ, და დალეწნა კერპნი იგი, და დაფქვნა, და დააწულილნა, და დაარღჳნა ზღუდენი -იგი ქარმან სასტიკმან, და შთაყარა იგი კლდესა, რომელსა იგი თქუენცა ჰხედევდით ანუ არა...[1] და ვითარცა დასცხრა რისხვაჲ -იგი გამოვედ კლდისა მისგანა ნაპრალისა და ვპოვე თუალი იგი მივრიცხი, აღვიღე და წარმოვედ წინა-კერძო დასასრულსა მის კლდისასა, სადაც ძუელ ქალაქი ყოფილ-იყო, და მას ადგილსა ყოფილ-არს ციხჱ.

და მუნ იდგა ხჱ მშუენიერი მრინჯისაჲ, მაღალი და რტომრავალი, მოვედ ქუეშჱ ხესა-მას და გამოვინიშჱ ნიში-იგი. ქრისტეს ჯუარისაჲ, და ვილოცევდი მუნ ექუს დღჱ.

ოდეს იგი გამოხუედით სიმრავლჱ ერისაჲ და ებიებდით ღმერთთა მათ, რომელთა ვნებაჲ დაჰმადეს, და არა ჰპფეთა, მაშინ მე მუნ ვიყავ, რამეთუ დღჱ იყო მეექუსჱ თთჳსაჲ- მის, ოდეს იგი ევმანუელ თამორს მამისა ხატი აჩუენა თავთა-მათ ცხოველთა და თავთა-მათ მიცვალებულთა.

მაშინ მოვიდა დაჲ ესე ჩემი მრომანა, სეფე-ქალი, მიხილა და მოიყვანა მერბლ-მეტყუალი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზაჲ ჩემი.

მაშინ ვხედევდ მე თუალთა მისთა ცრემლთა დინებასა უცხოვებისა

---

1 აქ ხელნაწერს ერთი გვერდი აკლია.

ჩემისათჳს.

ოდეს ცნა ყოველი საქმჱ ჩემი[1], მაიძულა წარყუანება ჩემი სეფედ. ხოლო მე არა ვინემე, და იგი წარვიდა და მესამესა დღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად, და მივმართჱ სამოთხესა-მას მეფისასა.

და მირაჲვედ კარსა ზედა სამოთხისასა, იყო სახლასი მცირჱ სამოთხის მცველისაჲ, და შერაჲვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს. და ვითარცა მიხილა, აღდგა და შემიწყნო მე, ვითარცა მეცნიერმან და მეგობარმან, და დამბანნა ფერჴნი ჩემნი, და მცხო ზეთი, და დამიგო ტრაპეზი და ღჳნოჲ, და მაიძულა მე ჭამაჲ და სუმაჲ, და დავყავ მისთანა ცხრაჲ თთუჱ.

ესე იყო უშვილოჲ და ზრუნვიდა ეგე და ქმარი მაგისი. ჩუენებით ვხედავდ, მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და მარქუა მე: „სამოთხესა შევედ, ნაძუთა ქუეშჱ მამილოთა ადგილი არს მცირჱ, საყუარელად შემზადებული, მიწაჲ აღიღე ადგილისა მისგან და შეაჭამჱ კაცთა მაგათ და ესუას შვილი.

ხოლო მე ვყავ ეგრჱთ, და ესხნეს ძეებ და ასულებ მრავლად, რომელსა ესე თჳთ ჰხედავთ..."

### VI. – სიდონიას ნაამბობი ნინოს სასწაულებზე; მეფის მოქცევა. ეკლესიის აგება და სვეტის სასწაულებრივი აღმართვა. სვეტის მიერ მოხდენილი სასწაულები

აქ გამოვტოვებთ ხილვების დეტალებს, რომლებსაც ავტორი ნინოს ათხრობინებს. ამით მთავრდება ნინოს ნაამბობი თავის წარმოშობისა და მგზავრობის შესახებ. საქართველოს მოქცევის ამბავს კი ავტორი ნინოს ერთ-ერთ პირველ მოყვასს, მღვდელ აბიათარის ქალიშვილს სიდონიას აამბობინებს. ნინომ ორივე მათგანი სხვებზე ადრე მოაქცია. მოვუსმინოთ, რას ამბობს სიდონია:

ოდეს ვიხილჱ ასულმან აბიათარისამან, სიდონია, წმიდაჲ ნინოჲ თავსა ციხისასა პირველ მცხეთისასა, კოშკსა მას მაღალსა მრინჯთა მათ ქუეშჱ, მრავლმან მეფისა საგრილთა და სასუენებელთა ჯდა.

ოდეს იგი შემუსრნა უფალმან არმაზ და სხუანი იგი კერპნი საზარელითა რისხვითა პირისა მისისაჲთა, რომელი იგი წინა წერილ არს ანდერძსა-მას მისსა შინა.

ხოლო ვიდრე რწმუნებადმდჱ დედოფლისა ნანაჲსა ქრისტჱ ღმერთი ძედ ღუთისა, სანატრელმან წმიდამან ნინო დაყო ექუსი წელი, ვითარ იგი თჳთ იტყჳს ყოფასა შინა მისსა.

და ოდესმე შვიდნი დედანი დაგკმოწაფნა შჯულსა მისსა, რამეთუ

1 სხვა წინააღმდეგობა. უფრო ზემოთ ავტორი გვეუბნება, რომ ქართველებმა ნინოს სიკვდილამდე სულ არაფერი იცოდნენ მის შესახებ და სწორედ ამიტომ ალაპარაკებენ სიკვდილის სარეცელზე და აამბობინებენ მთელ თავის თავგადასავალს. აქ კი პირიქით, ნინო ალიარებს, რომ მეფის გაქრისტიანებამდე, მან ყველაფერი უამბო ამ დედოფალს.

ჰყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა, ვიდრემდის ნებსით იწყო კურნებაჲ განგებითა ღუთისაჲთა დედოფლისა ნანაჲსისა, აჩუენა ღმერთმან პირველად ძალი მისი მის მიერ მაყულოვანსა-მას შინა, განკურნა ლოცვითა მისითა სენისა მისგან მძიმისა, რომელსა ხელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი. და შემდგომად მისა მოგუ მთავარი სპარსი ხუარასნელი იყო, ხელითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, სიკუდიდ მიწევნულ იყო და იყო მთავარი იგი დედის ძმაჲ ნანაჲსი დედოფლისაჲ.

მაშინ ევედრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი და მეფეცა იხილვიდა მცირე მცირედ საქმესა-მას და ორგულებით ეტყოდა ნინოს: „რომლისა ღუთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოვებით მოხუედ და შეურდი. ხოლო მას (ხ~მას?) ზედა აც მოწყალებაჲ და მიგანიჭეს ძალი კურნებისაჲ, რათა მათ სცხოვნდებოდი უცხოსა ამას ქუეყანასა და დიდებულმცა არიან უკუნისამდე.

ხოლო შენ წინაშე ჩემსა იყავ მარადის (მ~ს), ვითარცა ერთი მაწოვნებელთაგან პატივცემულ ქუეყანას ამას შინა, არამედ უცხოსა-მას სიტყუასა ნუ იტყჳ ჰრომთა მათ შეცთომილთა მჯულსა.

და ნუ გნებავს ყოვლადვე აქა თქუმად, რამეთუ აჰა, ესერა ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წჳმისა მომცემელნი, ქუეყანისა ნაყოფთა განმზრდელნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გა, და თავი შენი იგი იყავნ და სარწმუნოვებად კაცთა მიმართ, და აწ უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკჳდრ მცხეთასა შინა მსახურად არმაზისა.

დაღაცათუ ჰაერისა-მის სიფიცხითა შეიმუსრა, არამედ მისი ადგილი შეუძრავ არს. ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოვლადვე მცველ არიან.

ამან მისზედა ზღუაჲ მოადგინის და მან ამის ზედა ერთი ნურაჲმე მოაწიის, ვითარცა აქუს ჩუეულებაჲ სოფლის მპყრობელთა, და ჩუენ კმა გუყავნ ჩემგან მრძანებად ესე“.

მიუგო ნეტარმან ნინო მეფესა და ჰრქუა: „მეფეჵ! შენ უკუნისამდე ცხოვნდი სახელითა ქრისტესითა და ვედრებითა წმიდისა დედისა მისისაჲთა და მისთანა ყოველთა წმიდათაჲთა. მოავლინენ შენზედა ღმერთმან, ცისა და ქუეყანისა შემოქმედმან, დამზადებულმან ყოვლისა დამადებულისამან, დიდისა დიდებისა მისისაგან და აურაცხელისა მოწყალებისა მისისაგან, ვითარცა სახუმილისაგან ნამერწყალი, ერი მადლისა მისისაჲ, რათა სცნა და გულის-ჴმა-ჰყო სიმართლჱ ცისაჲ და სინათლჱ მზისაჲ, სიღრმჱ ზღჳსაჲ და საძირკუელნი მისნი, სივრცე ქუეყანისაჲ და საფუძველნი მისნი, და რათა უწყებულ იყო შენ, მეფეჵ, თუ ვინ შემოსნა ცანი ღრუბლითა და ქუხილნი ჴმითა ჰაერისათაჲ, და იძრვინ ქუეყანაჲ სიმძაფრათა მისითა, და რმიოდიან მეხისტეხანი კუალსა მისსა. ეგზებმინ ცეცხლნი გულისწყრომითა მისითა, ანუ ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუასა შინა, და შეძრის ყოველი ქვეყანაჲ, ვიდრემდის დაირღუან მთანი მყარნი და კლდენი, და

მეცნიერ გყავნ შენ ამას ყოველსა ზედა მიწევნით.

რამეთუ ღმერთი არს ცათა შინა და უხილავ არს თუალი იგი ყოვლისაგან დამადებულისა, თჳნიერ მისა, რომელი იგი მისგან გამოვიდა. ესე მოივლინა ქუეყანასა ზედა, ვითარცა კაცი, რომელმან ყოველივე აღასრულა, რომლისათჳსცა მოსრულ-იყო, და აღჳდა მათთვე სიმაღლეთა მამისათა.

მან მხოლომან იხილა დაუსაბამოჲ იგი და იგი მხოლოჲ მისთანა არს, რომელი იგი მდაბალთა ჰხედავს და მაღალნი იგი შორით იცნის.

ხოლო აწ, მეფჱ, ახლოს არს მიახლებაჲ შენი ღუთისა. მე ვხედავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა სასწაული ერთი, სამოსელი ძისა ღუთისაჲ, და ხალენისა მის ელიაჲსისა ყოფაჲ ვიეთმე აქა თქუეს, და მრავალნი სასწაულნი არიან აქა, რომელნი თჳთ ღმერთმან გაუწყნეს.

ხოლო მე ესე მთავარი განვკუერნო ძალითა ქრისტე ჩემისაჲთა და ჯუარითა ვნებისა მისისაჲთა, ვითარცა იგი დედოფალი ნანა განკუერნა ღმერთმან სენისა მისგან ფიცხელისა. და რაჲ იგი ვაუწყე მას, ჰყოფს მას იგი, რათა სულიცა თჳსი განამრწყინვოს და ერიცა თჳსი მიაახლოს ღმერთსა".

მაშინ მოჰგვარეს მთავარი იგი და წარიყუანა წმიდამან ნინო და მე და ნანა დედოფალი სამოთხესა-მას შინა, ნაძუთა მათ ქუეშჱ, და დაადგინა იგი, და აღმოსავლით აღპყრობად სხნა ჴელნი მისნი. და ათქუმია სამგზის: „ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და შეუდგემი ქრისტესა, ძესა ღუთისასა".

და ტიროდა სულ-თქუმითა სულისა თჳსისაჲთა წმიდაჲ ნინო, და ითხოვდა ღუთისაგან შეწევნასა კაცსა-მას ზედა, და ჩუენ მისთანა ერთ დღჱ, და მწრაფლ განვიდა სული იგი ბოროტი, და დაემოწაფა წმიდასა ნინოს და იგი ყოველი სახლი მისი.

და ადიდებდა ღმერთსა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ. და იყო დღესა ერთსა ზაფხულის პირსა, თუესა ივლისსა ოცსა, დღჱსა[1] ...[2] იგი ქალაქი განვიდოდეს მიგებებად მეფისა, რამეთუ პირველ ესმინა წარწყმედაჲ. და მერმე მოქცევაჲ მშჳდობით. და მიეგებვოდეს ქინძარს და ღართს და იყო სიხარული დიდი მშჳდობით მოქცევისათჳს, ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ-იყო ლოცვასა მწუხრისასა ჩვეულებისაებრ მაყულოვანსა-მას შინა და ჩუენ მისთანა ორმეოცდა ათი სული.

და იყო ვითარცა შემოვიდა მეფჱ, იძრვოდა ყოველი იგი ქალაქი, და ჴმითა მაღლითა ღაღადებდა მეფჱ, და იტყოდა:"სადა უკუჱ არს დედაკაცი იგი უცხოჲ, რომელ არს დედაჲ ჩემი, და ღმერთი იგი მისი მხსნელი ჩემი?"

და ვითარცა ესმა, ვითარმედ „აქა მაყულოვანსა შინა არს და ილოცავს", მოდრკა მეფჱ და ყოველი იგი ლაშქარი მოვიდა, და გარდამოვიდა საჴედრისაგან, და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს ვარა ხადიდ

1 ეს თარიღი ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან, აუთენტიკური დოკუმენტების უქონლობის გამო, ჩვენ არაფერი ვიცით მსგავსი დეტალების შესახებ.

2 ორიგინალში ამ ადგილას ბევრი ფრაზა აკლია, რომელიც სანადიროდ წასული მირიან მეფის თავს გადამხდარ სასწაულებს გადმოგვცემს.

სახელსა ღუთისა შენისასა და მჴსნელისა ჩემისასა". ხოლო წმიდაჲ იგი ასწავებდა და აწუევდა მწრაფლ თაყუანის-ცემასა აღმოსავლით ქრისტჱსა, ძესა ღუთისასა. მაშინ იყო გრგჳნვაჲ და ტირილი ყოვლისა-მის ერისაჲ, რამეთუ ჰხედვიდეს მეფჱსა და დედოფლისა ცრემლთა დინებასა სიხარულისა მისგან და საკჳრველებისა დიდისა, რომელი იქმნა.

და ხვალისა დღჱ წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა, ხოლო ნეტარი ნინო ასწავებდა დღჱ და ღამე ყოველსა კაცსა ჭეშმარიტსა-მას გზასა სარწმუნოებისასა.

ხოლო მეფჱ ეტყოდა ნინოს აღშენებისათჳს ეკლესიისა, ოდეს იგი წარემართა მეფჱ და ყოველი ერი მოსწრაფებით ქრისტჱანობასა ვიდრე მღდელთა-მათ მოსვლადმდე საბერძნეთით.

ჰქუა მეფემან მორწმუნემან წმიდასა ნინოს: „სადა უშენო სახლი ღმერთსა?" ხოლო ნეტარმან მან ჰქუა: „სადაცა მეფეთა გონებაჲ მტკიცე არს". ხოლო მეფემან ჰქუა: „მიყუარან მაღალნი ეგე შენნი და მე მნებავს გონებითა, არამედ არა ესრეთ".

არამედ არა ვრიდო სამოთხესა-მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა, და მაშილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველაჲ ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე.

და მეყუსეულად მოიღეს ძელი, და იწყეს შენებაჲ, და მოჰკუეთეს ნაძჳ იგი, და შემზადეს სუეტაჲ და ძირთა მისთა ზედა დადვეს საფუძველი ეკლესიისაჲ.

და იყო სუეტისა მის საშინელი ხილვაჲ და საკჳრველი, რომელი ზემო წერილ არს[1].

ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღმართებაჲ, სუეტი იგი პირველ მოჴსენებული იწყეს ხუროთა მათ აღმართებაჲ და ვერ უძლეს.

მაშინ შეკრბა სიმრავლჱ ურიცხჳ და მეფჱ მათთანა. იწყეს ფერად-ფერადთა ღონეთა და მანქანათა მზადებაჲ, არა თუ აღმართებაჲ-ოდენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა, და უქმ იქმნა ყოველი სიბრძნჱ და ღონისძიებაჲ კაცთაჲ, და რათა სუეტისა-მის აღმართებითა საკჳრველაჲ ღმერთი იდიდოს და კაცნი უმეცესაჲ დაემტკიცნენ სარწმუნოებასა.

და ვითარ ვერ შეუძლეს აღმართებაჲ და უმარჯუ იქმნა საქმჱ იგი, წარვიდა მეფჱ და ყოველი ერი გულდებულ ურვისაგან და მწუხარჱ იყუნეს ამას ზედა.

ხოლო ნეტარი ნინო დაშთა ადგილსავე და ათორმეტნი დედანი სხუანი[2]. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა და დაადენთა (sic) ცრემლთა სუეტსა-მას ზედა.

და ვითარცა შუაღამე ოდენ იყო, წარმოიქცეოდეს ორნი ესე მთანი,

---

1 მთხრობელი ცდება. ამ „ცხოვრებაში" მას ადრე არაფერი უთქვამს ძელის შესახებ.

2 ბიზანტიელი ისტორიკოსები ამბობენ, რომ ის იქ მარტო დარჩა.

არმაზ[1] და ზადენ...

... და აჰა, ესერა ზედა მთადგა ჭაბუკი ერთი ყოვლადვე ნათლითა შემოსილი და მიემარდნა ცეცხლის სახე ზეწარი, და არქუნა სამნი რაჲმე სიტყუანი ნეტარსა ნინოს.

ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა. ხოლო ჭაბუკმან მიყო ჴელი სუეტსა -მას და უპყრა თავი, და აღამაღლა, და წარიღო სამოთხესა ცათასა, და მე განკჳრვებული მივეახლჱ და ვარქუ ნეტარსა დედოფალსა: „რაჲ არს ესე?“

ხოლო მან მომიდრიკა თავი ჩემი ქუეყანად და მე ტირილად ვიწყე ზარსა-მას ზედა, და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა ნეტარი იგი, და მეცა აღმადგინა და განვეშორენით მას ადგილსა-მას.

ხოლო დღეანი იგი იყუნესვე კიდევ, და აჰა, ვიხილე სუეტი იგი ცეცხლის სა[ხ]ედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას თჳსსა, და ვითარ დაემართა და დადგა ზედა ხარისხსა-მას ქუეყანით აღმორებულად ვითარ ათორმეტ წყრთა, და ნელიად ჩამოეცვალებოდა თჳსსავე-მას ზედა ნაკუჱთსა.

რამეთუ ხარისხად იყო ძირი [იგი] მისი, რომლისაგან მ[ოკუეთილ-იყო] სუეტი იგი ცხოველი.

და ვითარ რიჟურაჟუოდენ იყო, აღდგომი-იყო მეფჱ გულგდებული ურვათგან და მიხედა სამოთხესა-მას, დაწყებულსა-მას მისსა ეკლესიასა, რამეთუ მუნ მტკიცე იყო გონებაჲ მისი, და იხილა მუნ ნათელი, ვითარცა ელვაჲ ზეცადმდჱ აღწევნული სამოთხესა-მას შინა.

იყო სრბად, მკჳრცხლ მოსულად და ყოვლისა ერისა სიმრავლჱ მისთანა, და ვითარცა მოვიდეს და იხილეს საკჳრველი იგი ნათლითა მრწყინვალჱ სუეტი იგი ჩამოვიდოდა და ადგილად თჳსა რეცა თუ დადგა ხარისხსა თჳსსა ზედა, და დაემყარა ჴელთ შეუხებლად კაცთაგან.

ნეტარ მას ჟამსა, რაჲ იგი იქმნებოდა, შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთაჲ ქალაქი, და დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფესა და მთავართა, და ყოვლსა ერსა სულთქუმითა სულისა მათისაჲთა, და ადიდებდეს ღმერთსა, და ჰნატრიდეს ნეტარსა ნინოს, და იქმნებოდეს მას დღესა შინა სასწაულნი მრავალნი.

პირველი სასწაული. მოვინმევიდა ჰურიაჲ ბრმაჲ შობითგანი და მიეახლა სუეტსა-მას ცხოველსა, და მუნ ქუესვე იქმნა იგი მხედველ, და ადიდებდა ღმერთსა.

ყრმაჲ ვინმე სეფჱ-წული იდვა რვა წლისა სნეული წარმართი, მოიღო იგი დედამან მისმან სარწმუნოვებით და დადვა იგი ცხედარსა ზედა წინაშე სუეტისა-მის ნათლისაჲსა და ნანდჳლვე ნათლით შემოსილსა, და ევედრებოდა ნეტარსა ნინოს, და ეტყოდა: „მოხედე, დედოფალო, ძესა ამას ჩემსა, მიახლებულსა სიკუდიდ,რამეთუ ვიცი, ვითარმედ იგი არს ღმერთი ღმერთთაჲ, რომელსა შენ ჰმსახურებ და ჩუენ გუქადაგებ“.

მაშინ შეახო ნეტარმან ნინო ჴელი თჳსი სუეტსა მას ცხოველსა და დასდვა ყრმასა-მას ზედა, და ჰქუა: „გრწამსა იესო (ი~ჳ) ქრისტჱ,

1 ამას ისეთი ამბები მოჰყვება, რაც ნამდვილ ლეგენდებად მიგვაჩნია. ამიტომ მათ აქ აღარ მოვიყვანთ.

ძე ღუთისა ცხოველისაჲ, ხორცითა მოსრული ცხოვრებისათჳს ყოვლისა სოფლისა?“ და ჰრქუა ყრმაგან-მან: „ჰე, დედოფალი, მრწამს იესუ ქრისტე, მხსნელი დაბადებულთაჲ“.

მაშინ ჰრქუა მას წმიდამან ნინო: „განიკურნე ამიერითგან და ადიდებდი მას, ვისმან ძალმან განგკურნა“. და მწრაფლ აღდგა ყრმაჲ იგი, ვითარცა უცკოვნელი, და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა სიმრავლესა ერისასა[1].

და თითო სახენი სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს, ვიდრემდის მეფემან შექმნა საბურველი ძელისაჲ. გარემოჲს სუეტსა-მას და დაფარა ხედვისაგან. და ეგრეთ შეეხებოდეს ერნი სართულსა-მას, და განიკურნებოდეს მწრაფლ, და ადიდებდეს ღმერთსა, საკჳრველ მოქმედსა. და იწყო მეფემან აღშენებად სამოთხესა-მას შინა ეკლესიასა გულსმოდგინებითა და სიხარულითა დიდითა.

მაშინ მოვიდეს მოციქულნი სამერძნეთით მღდელთ მოძღუარი, მღდელნი და დიაკონნი, და იწყეს ნათლისცემად, ვითარცა ზემო წერილ-არს[2].

## VII. – აპოკრიფული ამბავი, რომლის ავტორობასაც მღვდელ აბიათარს მიაწერენ. დასკვნა

მომდევნო თავს რაბინ აბიათარს მიაწერენ, რომელიც ამ ქალის მონათვლაზე მოგვითხრობს. აბიათარი გვიამბობს, რომ ნინოს საქართველოში ჩამოსვლის დროისათვის ის-ის იყო მიიღო მაცნენი რომის, ეგვიპტისა და ბაბილონის ებრაელთა რაბინებისა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ეცნობებინათ მისთვის ებრაელთა სამეფოს დამხობა და ქრისტეს ჯვარცმისათვის მათი გაბნევა. ჩვენ ერთგვარი ნდობით მოვეკიდებოდით ამ მონათხრობს, რომ წერილები I საუკუნისად იყოს მიჩნეული. IV საუკუნეში კი ეს ამბები უკვე წარსულ საუკუნეთა მოვლენებს განეკუთვნება. არაფერი წარმოჩენილა ისეთი ახალი, რომ საფუძვლად დასდებოდა მსგავსი კორესპონდენციების შექმნას. სწორედ ამიტომ აბიათარის ნაამბობის მხოლოდ ბოლოს გაგაცნობთ, რომელიც მეტად საინტერესოდ გვეჩვენება.

„და მათ დღეთა შინა მოიწია წიგნები ჰრომით წმიდისა პატრიარქისაჲ ნეტარისა ნინოჲსა და მირიან მეფისა, და ყოვლისა ერისა ქართველისა. და მოევლინა მრაჯი მთავარ-დიაკონი ქებისა შესხმად და კურთხევისა მოცემად, და წმიდისა და ნეტარისა ნინოჲს ლოცვისა წარღებად, და მადლისა ზიარებად, და ჰქონდა წიგნი მრაჯთა მეფისაჲ

1 ვფიქრობთ, ამ სასწაულს მეფე და ხალხი კი არ უნდა შეეშინებინა, არამედ სიხარული, ნდობა და აღტაცება უნდა შთაენერგა მათთვის.

2 უფრო ზემოთ არაფერია ნათქვამი არც ნათლობის და არც მოციქულების შესახებ. აქაც ვხედავთ, რომ ავტორს საკმაოდ უჭირს სიუჟეტის მთლიანობაში წარმოდგენა.

ნეცარისა ნინოჲსა.

რამეთუ მოუნათლნეს იგინი მამასა მისსა ზამილოვნს[1], და ესე ყოველი მოსმენილ-იყო მათა იჱრუსალიმით, ჰროით, კოსტანტინეპოლით, ვითარმედ ქუეყანასა-მას ჩრდილოისასა[2] მიწევნილ-არს მზჱ იგი სიმართლისაჲ, ნათელი მამისა მიერ მოსრული, ქრისტჱ.

და ამისთვის სანატრელი წიგნი მიეწერა, რათამცა ეუწყნეს საქმენი იგი და სასწაულნი, და სუეცისაი-მის და მაყულოვანისაი-მის საკურველებანი, და ბალი იგი კურნებათაი, რომელი იხილა მთავარ-დიაკონმან და განკურვებით ადიდებდა ღმერთსა, და წარიღო წიგნები, და წარვიდა".

„ცხოვრების" დანარჩენი ნაწილი ნინოს განკარგულებით სხვადასხვა ადგილას აღმართული ჯვრების ამბავს შეიცავს. ვფიქრობთ, საინტერესო არ უნდა იყოს ამ ამბის აქ მოყვანა. არ გვჭირდება იმის ჩვენება, რომ ნინოს „ცხოვრება" ავთენტიკური არ არის, რადგან თავისი ლეგენდარულობით ამას ისედაც ამტკიცებს. მიუხედავად ამისა, „ცხოვრების" მთლიანად უარყოფა არ შეიძლება, რადგან მისი დიდი ნაწილი ტრადიციაზეა დაფუძნებული, რომელიც „ცხოვრების" შედგენისას ჯერ კიდევ არსებობდა და ქვეყნის რბევისას დაღუპულ პირველწყაროებს ცვლიდა. ის, რაც რუფინუსსა და მის მიმდევრებს ეკუთვნის და საერთო ისტორიას არ ეწინააღმდეგება, ჩვენ ისტორიულად მიგვაჩნია, დანარჩენი კი — წმინდა წყლის ლეგენდად.

უყურადღებოდ არ შეგვიძლია დავტოვოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ყველა ბიზანტიელი მწერალი, რომელიც საქართველოს მოციქულზე ლაპარაკობს, მას „ტყვედ" იხსენიებს და ქართულად დაწერილი აპოკრიფული „ცხოვრებაც" ამასვე იმეორებს, მაშინ როცა მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორია" მას არ ახსენებს. საქართველოს მოციქულის ტყვეობის შესახებ მხოლოდ ის ცნობები მოგვეძევება, რომელნიც სოკრატეს აქვს. სოკრატე ამტკიცებს, იბერებმა ქალი მოიტაცესო[3]. იმავეს ვკითხულობთ არაბულ სვინაქსარში, რომელზედ ზემოთ უკვე მოგახსენეთ. უნდა ვიცოდეთ, რომ კეისართან იბერთა მეფის წარგზავნილებმა უკან დაბრუნებისას ქალწული თეოგნოსტა მოიტაცეს და თავიანთ ქვეყანაში წაიყვანეს. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი და არც უფლება არაბული სვინაქსარის მონათხრობი ლეგენდად მივიჩნიოთ, რადგან კარგად ამართლებს

1 უფრო ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ავტორმა, ნინოს წარმოშობის გაკეთილშობილების მიზნით მისი მამა ფრანკთა მეფედ წარმოგვიდგინა

2 ამ ამბავში საქართველოს ხშირად უწოდებენ ჩრდილოეთის ქვეყანას. სომხეთის მიმართ მართლაც ჩრდილოეთითაა. მას ასე არც მოიხსენიებდნენ, რომ სომეხი ისტორიკოსების მხრივ რაღაც გავლენა და ინტერპოლაცია არ ყოფილიყო შრომაში იმ მიზნით, რომ უფრო სარწმუნო გაეხადათ თავიანთი იგავი წმ. გრიგოლის, წმ. რიფსიმესა და მისი მეგობრების შესახებ.

3 Migne, P.G., ტ. LXVII, სვ. 129.

ხეწოდებას, რითაც ამ წმინდანს ბიზანტიელი მწერლები იხსენიებენ. ამიტომაც ჩვენ თეოგნოსტა ნამდვილად ტყვედ უნდა მივიჩნიოთ. სომხურ და ქართულ ვერსიებში, რომლებშიც მისი ტყვეობის კვალს სრულიად ვერ ვხვდებით, ნინოს რიფსიმეანი ქალწულების მოყვასად მიიჩნევენ. ყველა ეს გარემოება გვაიძულებს, ლეგენდად ვიგულვოთ ყველაფერი, რაც ამ ორ ვერსიაშია მოთხრობილი. კერძოდ, ნინოს სომხეთში გაქცევა და ის თავგადასავლები, რომლებიც საქართველოში მიმავალს გზად გადახდომია.

რაც შეეხება ქვეყანას, საიდანაც ნინო საქართველოს წარგზავნილებს უნდა გაეტაცათ, არ შეიძლება სომხეთი ყოფილიყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იქ არ გადიოდა პირდაპირი გზა კონსტანტინოპოლისკენ, კიდევ იმიტომ, რომ მაშინ ცოტა ქრისტიანი იყო სომხეთში, რასაც თვით სომეხი ისტორიკოსებიც აღიარებენ[1]. ამიტომ ისღა დაგვრჩენია ზემოთ ხსენებული მწერლების ცნობების მიხედვით პონტო ან კაბადოკია წმინდა ნინოს სამშობლოდ მივიჩნიოთ, სხვა ქვეყნები ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას არ იძლევიან.

ყველა ისტორიკოსი იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ მირიანმა გაქრისტიანებისთანავე გაგზავნა კონსტანტინოპოლში პირველი ელჩები; ხოლო მის მიერ ელჩების მეორედ გაგზავნის შესახებ ვერც ბიზანტიელ მწერლებთან ვხვდებით რაიმეს და ვერც „ნინოს ცხოვრებაში“. მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ წმინდანის ცხოვრების ბოლოში ჩვენ მაინც შემდეგს ვკითხულობთ:[2]

“მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთისმოყუარესა ელენე დედოფალსა. და ითხოვნა მღდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელს-სცემდენ ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ-იღოს ყოველმან სულმან ქართლისამან. და ითხოვნა ქვით-ხურონი აღშენებისათჳს ეკლესიათა“.

„ვითარ მიიწოვნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერჴნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ჴელთანი. და წარმოგზავნნა მღდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი: რამეთუ კონსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ცაბარი ღმრთისა ხუთასი. და მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა: და ნიჭნი ესე დაამკჳდრენ ქალაქთა ქართლისათა“.

1 იხ. Langlois, Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie, Paris, 1867, ტ. I, გვ. 223.

2 „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 117-118.

„და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქჳან ერუშეთი, და დაუტევნა ხუროთნი საქმედ ეკლესიისა. დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევნა წუნდას ხუროთნი და განძი, და რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიასა შენება: და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“.



ბოდბისის ეკლესია, სიღნაღთან ახლოს, სადაც დაკრძალულია წმინდა ნინო.

„მაშინ მეწუხნა მირიან მეფე ამისთჳს. რამეთუ პირველ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა

იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუცვენეს ნაწილნი. ხოლო მოვიდა წმიდა ნინო წინაშე მეფისა და რქუა: „ნუ სწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს: სადაცა მოვიდოდიან, დასთესვიდენ სახელსა ღმრთისასა. ხოლო არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა".

ამ ამბავში გაზვიადებულს ვერაფერს ვხედავთ, ვერც ისტორიის საწინააღმდეგო რამეს; ყველაფერი შეესაბამება სიტუაციას. კონსტანტინეს მიერ წარგზავნილ მისიონერებს ნადმვილად არ შეეძლოთ ერის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომაც მეფე აუცილებლად მიიჩნევდა საჭიროდ სხვების ჩამოყვანას.

საქართველოს მოციქული ნინო რომის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მის დღესასწაულად 15 დეკემბერია გამოცხადებული. მარტიროლოგი ნინოს ასე მოიხსენიებს:

ევქსინის პონტოს იქით მცხოვრები იბერიელები კონსტანტინეს დროს წმიდა ქრისტიანმა მსახურმა სასწაულების ძალით ქრისტეს რწმენას აზიარა[1].

საფრანგეთში იესოსა და მარიამის ბავშვობის მორწმუნეთა კონგრეგაციას ეს წმინდანი ქრისტიანი ქალი მფარველობს. კონგრეგაციის ცენტრი ნანსის ეპარქიაში, ლონგიონში მდებარეობს.

ქართული ეკლესია წმინდა ნინოს დღესასწაულად 15 იანვარს აღნიშნავს, აი, მისი მსახურების ორივე ტროპარი:

„სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა-მოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

მოციქულო ქრისტესგან გამორჩეულო, ქადაგი სიტყვისა ღვთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღვთისა საკუთარი მოწაფე ნინო შევამკოთ დღეს ყოველთა გალობითა საღმრთოთა, მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი"[2].

## VIII. – მირიან მეფის წერილი ანუ ანდერძი. კონსტანტინეს წერილი მირიანისადმი

„წმინდა ნინოს ცხოვრების" დასასრულს არის წერილი, რომელიც მირიან მეფეს მიეწერება. წერილი განკუთვნილია მირიან მეფის ვაჟის ცოლის სალომე უჯარმელისათვის. წერილს ვაქვეყნებთ, მაგრამ დედნის ავთენტიკურობის გარანტიას არ ვიძლევით.

---

1 Martyr. Rom., გვ. 186, Decimo octavo Kalendas Ianuarii.

2 აქ არ შემოგთავაზებთ ქართველი მამების მიერ წმინდა ნინოს პატივსაცემად შედგენილ გრძელ საგალობელს, რომელიც ეკლესიაში საკითხავადაა განკუთვნილი. საგალობელი საბინინის „საქართველოს სამოთხეში" ამ წმინდანის ცხოვრებას მოსდევს. გვ. 156-167.

„და იყო ჟამსა-მას, რომელსა მოიხსენა უფალმან ქუეყანა ესე ჩრდილოჲსაჲ, დაბნელებული ცოდვითა და სავსე ცთომითა ეშმაკისაჲთა, ვიყვენით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი. რამეთუ ვარ მე ოცდა-მეთექუსმეტჱ მეფჱ[1], ვინაჲთგან მამანი ჩუენნი მოივლინნეს ვიდრე დღეთა ჩემთადმდე, და შეჭამნეს შვილნი მათნი მსხუერპლად კერპთათჳს საძაგელთა, და უმრავლოჲ იგი ერი ქუეყანისაჲ -მის, და რომელნი შვილთა მათთა, ვითარცა თივასა, თიბდეს მამანი ჩუენნი, რათა სათნო ეყვნენ კერპთა[2]. და უფროჲს ხოლო ორთა მათ მთათა არმაზისა და ზადენისა, რომელთა ქუანიცა მათნი დაულთვან (sic) სისხლითა ჩჩჳლთაჲთა, და ღირსცა არიან მთანი იგი ასპოლვად ცეცხლითა რისხვითა ღუთისა მიერითა. ხოლო ოდეს მოაწია ჟამი, და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი მოციქული და მახარებელი ძისა ღუთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირ-იცვა, ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხოჲ, და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწყვნელი [ვითარცა] უსმ[ელ] და უტყუ, რომელიცა აწ შექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოჲ იგი – დედა შეუწყვნელი, შესავედრებელ ყოველთა, და უტყუ იგი – ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულის სიტყუათა.

ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაჲ, და შუაღამეს ოდენ მეჩუენა მე მზჱ მრწყინვალე, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე.

და შექმნა ჩუენ მოძღუარ, და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტესსა ნათლის-ღებითა წმიდითა, და პატიოსნისა ძელისა თაყუანის ცემითა, და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხორებისაჲ და სიხარულისაჲ, და ღირს მყვნა გებოჲს ხილვად საიდუმლოთა უხრწნელთა ზეცისათა. მე ვიქმენ მორჩილ მბრძანებათა მისთა, რომლითა მასწავა, და აღვაშენე ეკლესიაჲ სალოცველად სამოთხესა-მას მამათა ჩუენთასა, და მას შინა სუეტი ესე ნათლისაჲ, რომელიც მე ყოვლად ვერ შეუძლჱ ყოვლითა ძალითა და ცნობითა კაცობრივითა, ხოლო ღმერთმან მაღალმან მოავლინა. ერთი მსახურთა მისთაგანი, და წამის ყოფითა მისითა ქუეყნით ცად აღიწია.

და თვით თუალნი თქუენნი ხედვენ საშინელებასა და საკჳრველებასა მისსა, და მერმჱ კურნებათა მათ მისთა.

და ოდეს მაუწყა აღმართებაჲ, წარვავლინენ ხურონი ძიებად ხესა, და ვითარ პოვეს ხჱ ერთი მარტოჲ, მდგომარჱ კლდესა ზედა, რომლისადა არა მხებულ-იყო ცული კაცისაჲ, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაჲ-მის, რამეთუ ოდეს ირემსა-ღა ეცის ისარი, მიივლტიან მორცუსა-მასა ქუეშჱ, რომელსა ზედა დგა ხჱ იგი, და

1 „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა ამ მეფეს ოცდამეერთედ წარმოგვიდგენს, ხოლო „ანალებში“ ოცდამეოთხედ ასახელებს. ძალიან ძნელია ამ ქვეყნის ძველი მეფეების რაოდენობის დადგენა იმიტომ, რომ ქრისტიანობამდე არსებულმა საბუთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

2 არც ტრადიცია და არც ისტორია გადმოგვცემს მსგავს სისაძაგლეს. ვფიქრობთ, ყოველივე ეს მოგვიანებით იყო შეთხზული იმ მიზნით, რომ უფრო საზიზღრად წარმოედგინათ კერპთაყვანისმცემლობა.

სწრაფით ჭამნ თესლსა-მას მის ხისასა ჩამოცჳნებულსა და ხიკუდილისაგან განერის.

ესე მითხრიან და ვიყავ დაკჳრვებულ. ამისთჳს მოვკუეთე მე ხჱ იგი და შევქმენ მისგან სამნი ჯუარნი: ერთი ესე, რომელ ზეცით იყო საწაული მისი. და ერთი აღვჰმართე ადგილსა მას, სადა იგი მხილებაჲ უფლისა მიერ ვიხილე მთა-მთასა ზედა თხოთისასა. ხოლო ერთი იგი ქალაქსა უჯარმას, რომელი წარიღო სალომე.

და აღვაშენე ეკლესიაჲ მაყვლოვანსა-მას შინა ნინოჲსსა, და ვქმენ მას შინა საქმჱ ქმნული უჩინოჲ, და ცხადი დიდებაჲ მაყულოვანთა-მათ,

რამეთუ არა გამოვახუ ფურცელი ერთიცა მათგან, არამედ ხარისხთა გარჱ შევისუენ.

რამეთუ მეხილვნეს მრავალნი საწაულნი მას შინა და კურნებანი დიდნი, და აღვაშენე ზემო ეკლესიაჲ თავისა ჩემისათჳს ქვითა, და ერისა სიმრავლი[სათჳს]. რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა [ერ]ქუა წმიდაჲ წმიდათაჲ, და [ყოვლა]დვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმაჲ, თჳნიერ ხოლო დღესა კჳრიაკესა, არცა შესლვაჲ ვინ იკადრებდა თჳნიერ მღუდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა.

რამეთუ შიში დიდი დაცემულ-იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა, და ჰხედვიდა ყოველი კაცი სუეტსა-მას, ვითარცა ბალსა ღუთისასა, და მიხედვაცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თჳთ ვხედავთ, და ვერ ვიკადრჱ წინაშე მისსა აღმოკუეთაჲ მისაჲ სამარედ ჩემდა, რათამცა დავსხენ კორცნი ჩემნი მის წინაშე, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდჳსა ოდენ მოქმედსა და შევიმზადე ზემო საფლავი, რათა თუალსა მისსა მივჰრიდო, და წყალობასა მისსა მივემთხვიო [აღდგომასა-მას ყოველთასა].

და ვითარცა შევიმზადე კეთილთა ღუთისათა განსრულებასა ჩემსა ზედა, და ვიცყოდე, ვითარმედ „შევჰკვედრო სული ჩემი დედასა ჩემსა, წმიდასა ნინოს“.

ხოლო წმიდამან შეჰვედრა სული თჳსი უმიწოჲ კელთა დამბადებელისა თჳსისათა.

რამეთუ აღასრულა ყოველივე მცნებაჲ ღუთისაჲ და სწავლაჲ წმიდისა-მის დედის ძმისა მისისა, მამისა ჩუენისა, პატრიარქისაჲ, და დაგუაობლნა ჩუენ ახლად მომილნი ჩჩჳლნი უმეცარნი, და ფრიად შევძრწუნდი სულითა ჩემითა, და ყოველი ნათესავი ჩრდილოჲსა აღივსო მწუხარებითა.

რამეთუ აღმოოდენ-სრულ-ყო მზჱ სიმართლისაჲ და მოოდენ-ფენილ-იყო ჭეშმარიტი, და დაფარა ღრუბელმან წმიდაჲ ნინო. ხოლო წმიდაჲ იგი ყოვლადვე ნათელსა შინა არს და ყოველთაგან გუანათლებს. ხოლო მე განვიზრახე წმიდაჲ იგი გუამი მისი, რათამცა წარმოვიღე გულს-მოდგინებითა დიდითა აქა, წინაშე სუეტსა ნათლით შემოსილსა, და არა ვპოვე ღონე ყოვლადვე, რამეთუ ვერ განძრეს ორასთა კაცთა მცირე იგი ცხედარი, რომელსა ზედა შეისუენა წმიდამან და სანატრელმან ნინო.

მაშინ დავმარხეთ წმიდაჲ იგი გუამი მისი ყოვლადვე დიდებულისაჲ ბოდს, დაბასა კახეთისასა, და ვგლოვდით სიობლესა ჩუენსა ოცდა ათ

დღჱ ყოვლითურთ სამეუფოჲთ ჩემით.

და აღვაშენე მას ზედა ეკლესიაჲ, და განვადიდე ფრიად, და მისითა მეოხებითა მაქუს სასოებაჲ ძისა ღუთისაგან და სარწმუნოებასა ზედა დაუსაბამოჲსა ღუთისა, მამისასა და ყოვლად ძლიერისა ძისასა, და ცხოველს-მყოფელსა სულისა წმიდისა უკუდავისასა.

და ვეძიებ და მოველ აღდგომასა მკვდრეთით და შეგვედრებ სულსა ჩემსა ქრისტეს მეუფისათა, რომლისაჲ არს დიდება, სიმტკიცე და ძლიერებაჲ აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“[1].

ამ წერილს მაშინვე მოყვება მეორე წერილი სათაურით: „ანდერძი მირიან მეფისაჲ ძისა თჳსსა მიმართ რევისა და ცოლისა თჳსისა ნანაჲსა“. ამასაც ვაქვეყნებთ:

„აჰა ესერა, მე წარვალ ვინაცა მოვედ, და ვმადლობ მრავალმოწყალესა ღმერთსა, დამბადებელსა ცისა და ქუეყანისასა, რომელმან წარცთუნილი ეშმაკისაგან მიჴსნა მე პირისაგან ჯოჯოხეთისა, და ღირს მყო მე მარჯუენით მის თანა. შენ, ნანა, უკუეთუ გეცესლა მოცალება, ცხოვრებისა ჩემისა შემდგომად განყავ სამეუფო განძი ჩუენი ორად, და მიიღე სამარხავსა ნინოსა, განმანათლებელისა ჩუენისასა, ჟამთა შეცვალებისათჳს, რათა არა შეარყიოს უკუნისამდე იგი ადგილი; რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირ არს. „ეგრეთვე დავედრა ეპისკოპოსთა, რათა ადიდონ დიდება მის ადგილისა, „რამეთუ ღირს არს პატივისცემასა“.

ხოლო ძესა თჳსსა რქუა: „შვილო ჩემო, შეიცვალა ბნელი ჩემი ნათლად და სიკუდილი ცხოვრებად. შენდა მომიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა. ღმერთმან დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან დაგამტკიცენ შენ სრულსა სარწმუნოებასა ზედა. იწრთოდი ყოვლადვე მცნებათა ძისა ღმრთისათა, და დაადგერ სრულიად მათ ზედა: და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკუდილი ცხოვრებად გიჩნდინ, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიგო. და სადა პოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ, და ნაცარი შეასხ რომელნი მათ ესვიდენ. და ესე შვილთაცა შენთა ამცენ, რამეთუ მე ვიცი იგი, რომელ კავკასიანთაცა შინავე დაილევიან. ხოლო შენ ამას შეუდეგ გულითა შენითა, და თავი შენი შევედრე ძესა ღმრთისასა, პირველ ჟამთა შობილსა, და განკაცებულსა, და ვნებულსა ჴსნისათჳს ჩუენისა. და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა აქუს ჩუეულება გულითა მოსავთა მისთა. და პატივს-ცემდი სუეტსა მას ცხოველსა ღმრთივ-აღმართებულსა, და იყავნ ყოვლითურთ სასოება შენი მისა მიმართ, და იყავნ მისლვა შენი ძილად საუკუნოდ სარწმუნოებასა ზედა სამებისასა“.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვხვდებით კეისარ კონსტანტინეს წერილს, რომელიც მას მირიანისთვის გაუგზავნია, მისი ვაჟის, ბაქარის მძევლად

1 ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე.თაყაიშვილისა, ტფილისი, 1891, გვ. 68-72.

გაგზავნასთან დაკავშირებით. ჩვენ ამ წერილს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, რადგან არ არის ნაჩვენები, რომ კონსტანტინეს ომი გამოეცხადებინოს მირიან მეფისთვის და მისი ვაჟი მძევლად წაეყვანოს; მაგრამ წერილი მაინც საინტერესოა. ამიტომაც მისი აქ მოყვანა საჭიროდ მიგვაჩნია[1].

"მე კონსტანტინე მეფე, თჳთმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისაგან წარტყუენული და მერმე გამოჴსნილი დამბადებელისა მიერ, მოჳსწრფე შენდა ღმრთივ-განბრძნობილისა და ჩემთანავე ახალნერგისა, მორწმუნისა მეფისა მირიანისსა. იყავნ შენ თანა მშჳდობა და სიხარული! ვინათგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიკმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შუამდგომელად ქრისტე, ძე ღმრთისა პირველ ჟამთა შობილი, რომელი განკაცნა ჴსნისათჳს ჩუენისა და ჯუარი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩუენდა წინამძღურად, გულითა მოსავთა მისთა, და შუამდგომლობითა ღმრთისა დამბადებელისათა ვიყვნეთ ჩუენ სიყუარულსა ზედა ძმებრივ. და შვილი შენი შენდავე მიმინიჭებიეს, იხილე და განიხარე; და ღმრთისაგან მოვლინებული ანგელოზი მშჳდობისა იყავნ შენ თანა მარადის; განდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღვართაგან შენთა"[2].

სხვა ტრადიციაც უნდა გავიხსენოთ, რომელიც მირიან მეფეს ეხება; ამის მიხედვით წმინდა ნინოს მეფე მირიანისთვის კონსტანტინოპოლში კეისარ კონსტანტინეს სანახავად წასვლა უნდა დაევალებინა; აქედან მეფე იერუსალიმში წავიდოდა, სადაც წმინდა ადგილებს მოინახულებდა და შემდგომში ცნობილი ქართული ჯვრის მონასტრისთვის ადგილს შეიძენდა. ქართველ არქიეპისკოპოს, ტიმოთე გაბაშვილს, რომელიც 1756 წელს იერუსალიმს სალოცავად გამგზავრებულა, ხსენებულ მონასტერში უნახავს მირიანის პორტრეტი, იქ ჯერ კიდევ რომ შემორჩენილიყო. მირიანის პორტრეტის არსებობა კი აღნიშნულ ტრადიციას ადასტურებს[3].

ჩვენ არაფერი გვაქვს ამის საწინააღმდეგო, რადგან ვიცით, რომ ქართველებს პალესტინის მიმართ მოწიწება ძალიან ძველი დროიდან მოსდგამთ, რომ ბევრი ქართველი დიდებული წასულა წმინდა ადგილებში სალოცავად და თან დიდი სიმდიდრეც წაუღია.

როგორც ამბობენ, მეფე მირიანს 77 წელი უმეფია (265-342). ქართულმა ეკლესიამ მირიანი და მისი ცოლი ნანა წმინდანებად

1 ბიზანტიელი ისტორიკოსების დუმილი გვაიძულებს, ეს წერილი ავთენტიკურად არ მივიჩნიოთ.

2 „ქართლის ცხოვრება"., 1955, გვ. 128.

3 მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, 1852, გვ. 148.



მირიანი. საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე (265-342), იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის ფრესკების მიხედვით.

შერაცხა და 6 აგვისტო მათ დღესასწაულად გამოაცხადა. წმინდანებად შერაცხეს აგრეთვე პირველი სამი ქრისტიანი: მღვდელი აბიათარი და მისი ქალიშვილი სიდონია (მათი ხსენების დღე 1 ოქტომბერი გამოაცხადეს) და მეფე რევის ცოლი სალომე უჯარმელი (მის დღეს 15 იანვარს აღნიშნავენ).

ამ თავის დასასრულს რამდენიმე სიტყვას ანტიოქიის პატრიარქ ესტატეს შესახებ მოგახსენებთ.

## IX. – ანტიოქიის პატრიარქ ესტატეს მოგზაურობა საქართველოში

როგორც უკვე ვნახეთ, რუფინუსიდან ვერ ვიგებთ კონსტანტინეს მიერ საქართველოში გამოგზავნილი პირველი მღვდლების სახელებს. ქართველი ისტორიკოსები ამბობენ, რომ ამ მისიონერების მეთაური, ვინმე იოანე ეპისკოპოსი იყო, რომელსაც სხვებთან ერთად მღვდელი იაკობიც ჰყოლია თანამხლებლად. მეორე ქართული ტრადიცია ამტკიცებს, ქართველები მონათლა ანტიოქიის პატრიარქმა ესტატემ და ეპისკოპოსიც დაუნიშნაო. ზოგიერთი ბერძენი მწერალი იმავეს ამტკიცებს. მაგალითად, ბერი ნიკონი (XI ს-ის არაბული ხელნაწერი) აცხადებს, ქართველები ანტიოქიის პატრიარქმა ესტატემ მოაქცია და მონათლა და კათალიკოსიც დაუნიშნაო[1].

უფრო ზემოთ ვნახეთ აგრეთვე, რომ ისტორიკოს თეოდორიტეს მიხედვით კონსტანტინეს წარგზავნილი (დაუსახელებლად) ეპისკოპოსის უფლებებით იყო აღჭურვილი. ამ ცნობის საფუძველზე ესტატე უყოყმანოდ საქართველოს პირველ მისიონერებს შორის უნდა ვიგულისხმოთ. ჩვენ ამას მით უფრო სიამოვნებით ვაკეთებთ, რომ საქართველოს ეკლესია დასაბამიდან VIII ს-მდე ანტიოქიაზე იყო დამოკიდებული. ამ დამოკიდებულების სხვა ახსნა შესაძლებლად არ მიგვაჩნია. სირთულეს მხოლოდ თარიღის დადგენა ქმნის.

ესტატე ბერეს (ალეპო) ეპისკოპოსი იყო. 325 წელს იგი ანტიოქიის პატრიარქი გახდა. 331 წელს კი კონსტანტინემ გადააყენა და გადაასახლა. უდავოა, გადასახლების შემდეგ კეისარი ესტატეს აღარ დაავალებდა პატივსადებ მისიას, მონაწილეობა მიეღო საქართველოში წმინდა ნინოს სამოციქულო საქმეში. ასევე საეჭვოა, ანტიოქიაში ყოფნისას (325-331 წწ.) ესტატე საქართველოში გამგზავრებულიყო; მისი გამგზავრება შესაძლებელი ჩანს მხოლოდ 325 წლამდე. ეს პერიოდი ემთხვევა საქართველოში ნინოს ჩამოსვლას, რაც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, 323 წელს უნდა შეესაბამებოდეს. კეისარს ესტატე შესაძლოა 323-325 წლებში გამოეგზავნა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ესტატე, საქართველოდან დაბრუნებისა და ანტიოქიის პატრიარქად კურთხევის შემდეგ მის მიერ ახლად დაარსებულ ქართულ ეკლესიაზე ზრუნვას გააგრძელებდა. ამ მზრუნველობით სავსე ზედამხედველობას მისი მიმდევრებისთვის ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობის უფლება უნდა მიეცა.

1 Bibliothéque du Vatican, Cod. Arab., № 76, ნაწ. III.

# თავი IX

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში წმინდა ნინოს შემდეგ

**შინაარსი. — I. საქართველოს პირველი ეპისკოპოსების — იოანეს და იაკობის მოღვაწეობა და ბიზანტიური ლიტურგიის დაწესება. სპარსელების მიერ ქართველთა დევნა. — II. მეფე არჩილი სპარსელებს აძევებს და ქრისტიანულ კულტს აღადგენს. — III. მიქაელ ეპისკოპოსი და მისი მოღვაწეობა. ქართული ეკლესიის პირველი კათალიკოსის დანიშვნა. — IV. სპარსელების მიერ ქართველთა ახალი დევნა. ვახტანგ მეფე მათ ებრძვის და ბრძოლაში იღუპება. რაჟდენის წამება. ომი სპარსელებისა და ბიზანტიის იმპერატორებს შორის. საქართველოს აოხრება. — V. ცამეტი სირიელი მამის ჩამოსვლა საქართველოში. — VI. იოანე სირიელი. იოანეს მოწაფე შიო. იოანეს მეორე მოწაფე დავითი. — VII. ეპისკოპოსები ისე და აბიბო. ევსტათის მარტვილობა. — VIII. ადრინდელი ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. — IX. ჰერაკლე კეისრის მოსვლა საქართველოში.**

მკითხველს უდავოდ იმედი აქვს, მის თვალწინ ეროვნული საეკლესიო კრებებისა და ეპისკოპოსთა მთელი წყება გაცოცხლდება, ერთი სიტყვით, ყველა მოვლენა, რაც ქართული ეკლესიის ისტორიას შეეხება, როგორც სხვა ეკლესიების ისტორიის თხრობისას არის მოსალოდნელი, მაგრამ ეს შეუძლებელია. დოკუმენტები ხშირად ყალბია. ნამდვილად არც ერთ ქრისტიანულ საზოგადოებას არ გადაუტანია ამდენი საშინელება და უბედურება. ამიტომ, როგორც კი მემატიანე რაიმე მნიშვნელოვანი ამბის აღწერას იწყებს, მაშინვე თავს დაატყდება არეულობა, დევნა, განადგურება და შრომა დაუმთავრებელი რჩება. მოგვიანებით, თითქოს სიმშვიდე დაისადგურებს. სხვა მწერალი ამით სარგებლობს და იმ ამბების აღწერას ჰკიდებს ხელს, რომლებმაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, მაგრამ ახალი უბედურება კვლავ აბრკოლებს, საქმე გაასრულოს, ეს „ქართლის ცხოვრების" თითქმის ყველა გვერდზე იგრძნობა.

ამიტომაც თარიღების დაზუსტებას, მნიშვნელოვანი ამბების მოთხრობასა და სწორი ისტორიის აღდგენას დიდი სიძნელეები ელობება წინ. მიუხედავად ამისა, ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მთავარი არ გამოვტოვოთ და ამ ეკლესიის ისტორიაზე რაც შეიძლება ზუსტი აზრი შეგიქმნათ.

## I. – საქართველოს პირველი ეპისკოპოსების – იოანეს და იაკობის მოღვაწეობა და ბიზანტიური ლიტურგიის დაწესება. სპარსელების მიერ ქართველთა დევნა

კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი ეპისკოპოსი იოანე, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ქართული ეკლესიის დამაარსებელი და მეთაური გახდა. წმინდა ნინოსა და მეფე მირიანის გარდაცვალების შემდეგ იგი დიდის მონდომებით შეუდგა ქრისტიანობის გავრცელებას და განმტკიცებას. მღვდლები მოამრავლა და იმ ადგილებში, სადაც კერპთაყვანისმცემელთა ტაძრები იყო, ამ ტაძრების ნგრევა და ეკლესიების აშენება დაიწყო. ამის შედეგად საქართველოს ყველაზე მიყარდნილ ადგილებში გაავრცელა ჭეშმარიტი სარწმუნოება.

იოანეს გარდაცვალების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ასეთი საქმიანი და ნაყოფიერი მოციქულობა ძალიან ხანმოკლე იყო.

საქართველოში ქრისტიანობის შემოჭრისთანავე ბერძნული ენა დამკვიდრდა და ბიზანტიური ლიტურგია ბერძნულ ენაზე სრულდებოდა, რის მოთავეც უეჭველად იოანე იყო. ბერძნულმა ენამ აქ საკმაოდ დიდხანს იბატონა, სანამ ადგილობრივი სასულიერო პირები მისი ქართულით შეცვლას შეძლებდნენ. ლიტურგია კი, ჩანს, ისევე ბიზანტიური რჩებოდა.

იოანე შეცვალა მასთან ერთად ჩამოსულმა იაკობმა (ისიც ბერძენია), რომელმაც აქტიურად გააგრძელა თავისი წინამორბედის, იოანეს საქმიანობა და მხოლოდ მაშინ მოისვენა, როცა ქართული ეკლესია განმტკიცებულად დაიგულა. იაკობის მოციქულობას დიდად შეუწყვეს ხელი ქართველმა მორწმუნე მეფეებმა, რომლებიც არაფერს იშურებდნენ ქრისტიანობის გასავითარებლად და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ეკლესიების გამრავლებაში. არქიეპისკოპოსმა იაკობმა თვითონაც ბევრი ეპარქია დააარსა. ახალი ეპარქიების განმგებლად მას, უდავოდ, უნდა მოეწვია ბერძნები, ყოველ შემთხვევაში, უმეტესწილად მაინც. ამ გარემოებებს, ბუნებრივია, მოჰყვა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დამოკიდებულება (იურისდიქციის თვალსაზრისით) კონსტანტინოპოლსა და ანტიოქიაზე.

იაკობის შემდეგ ჭეშმარიტი ქრისტიანი მეფეების შეწევნით ქრისტიანობამ არსებული სიმშვიდით ისარგებლა და 400 წლისთვის მთელ საქართველოს მოედო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერ ვხედავთ წინააღმდეგობისა და რელიგიის დევნის ვერავითარ კვალს. პირიქით, რელიგიას საქართველოში ყველგან თავისუფალი ასპარეზი ჰქონდა. თავისუფლებამ მას ფეხის მყარად მოკიდების საშუალება მისცა. ეს იყო სრულიად განსაკუთრებული, ღვთაებრივი განგების მოქმედების შედეგი, რომელმაც მშვიდობიანობის ჟამს ქრისტიანობა დაამკვიდრა საქართველოში, რათა მოგვიანებით უფრო ხანგრძლივი და საშინელი ბრძოლებისთვის გაეძლო.

რადგან კერპთაყვანისმცემლურ საქართველოში ცეცხლის კულტს სცემდნენ თაყვანს, ამ რელიგიის მიმდევარი სპარსელები გაალიზიანა ქვეყნის გაქრისტიანებამ და გადაწყვიტეს, მის ღმერთზე შური ეძიათ. ამიტომაც სპარსელების ლაშქარი ბევრჯერ შემოესია საქართველოს. იგი არბევდა ქრისტიანებს და ანადგურებდა ახლად აშენებულ ეკლესიებს. ქართველი მეფეები ხშირად ვაჟკაცურად ებრძოდნენ საშინელ მტერს და მნიშვნელოვან ზარალსაც განაცდევინებდნენ, მაგრამ ზოგჯერ ვერ ახერხებდნენ, მოწინააღმდეგის მუდამ ჭარბ ძალებს დაპირისპირებოდნენ. ამიტომ იძულებული ხდებოდნენ, უკან დაეხიათ და თავიანთი ქვეყანა მტრის ხელში დაეტოვებინათ.

დამპყრობლების სისასტიკე კიდევ უფრო მატულობდა. ვისაც კი შეეძლო, მთებსა და ძნელად მისადგომ ადგილებს ეხიზნებოდა. ურწმუნოთაგან გადასარჩენად, ყველაზე ძვირფასი განძი, ე.ი.ჯვარი და ხატები თან მიჰქონდათ.

სპარსელებმა ცეცხლითა და მახვილით მრავალ ადგილას საბეიზმი აღადგინეს, მაგრამ ქართველებს ქრისტიანულ რელიგიაზე მაინც ვერ აალებინეს ხელი. ქართველებმა ხომ ჭეშმარიტება აღიარეს და მასზე უარის თქმას ტანჯვას არჩევდნენ. სპარსელებმა მხოლოდ ზოგიერთი, დაბალი ფენის ადამიანი აზიარეს თავიანთ კულტს. დრომ არ შემოგვინახა წამებულთა ტანჯვის ამბები დაწვრილებით, რაც მათ რწმენისთვის პირველი დევნის დროს განიცადეს.

## II. — მეფე არჩილი სპარსელებს აძევებს და ქრისტიანულ კულტს აღადგენს

საქართველო მაშინ ძალიან სავალალოდ გამოიყურებოდა. გაფანტული, გატანჯული და რაოდენობრივად შემცირებული ხალხი მხნეობას მაინც არ კარგავდა. ზეცამ არ დააყოვნა მისი დაჯილდოება რწმენისადმი ასეთი ერთგულების გამო და დიდად მორწმუნე და მამაცი მეფე მოუვლინა. მირდატ IV-ის ვაჟმა არჩილმა მეფობა (410—434) მოგვების კერპთაყვანისმცემელთა კულტის მსახურების დევნით დაიწყო. ამან სპარსელები გააღიზიანა და მრავალრიცხოვანი ჯარით შემოუტია. მაშინ არჩილ მეფემ შეკრიბა მთელი ძალები, მანაც კონსტანტინე დიდის მსგავსად ჯარს წინ ჯვარი წაუმძღვარა და მტრების წინააღმდეგ



მცხეთის საეპისკოპოსო ეკლესია, აგებული VI ს-ში, მრავალჯერ რესტავრირებული[1].

1 სამთავროს, მცხეთის საეპისკოპოსო ტაძარს, იგივე ბედი ეწია, როგორიც ამ ქალაქის საპატრიარქო საყდარს. ისიც მასავით დაანგრიეს და შემდეგ ადვილად აღადგინეს. ამიტომაც, მათი არქიტექტურული სტილი, დაგეგმარება, მშენებლობაში გამოყენებული ქვები, ორნამენტები და სხვ., ერთი და იგივეა.

დასძრა. არჩილმა გაიმარჯვა და მტერი სამეფოდან განდევნა. ბრძოლიდან დაბრუნებულმა ქართველებს აუწყა, რომ საშიშ მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებას წმინდა ჯვრის შემწეობით მიაღწია. შემდეგ ყველა ქვეშევრდომს უბრძანა, უწმინდესი სამებისთვის სამადლობელო პარაკლისი გადაეხადათ, მტკიცედ დაეცვათ რწმენა და ქრისტიანული რელიგიის მიმდევრებად დარჩენილიყვნენ.

მორწმუნე მეფე მაშინვე თავის ადგილას ათავსებს ჯვრებსა და ხატებს. იგი არა მარტო აღადგენს დაზიანებულ და დანგრეულ ეკლესიებს, არამედ ახალსაც აშენებს.

მალე ქართულ ქრისტიანობას უფრო საშიში მტერიც გაუჩნდა. არჩილ მეფემ ქართული ეკლესიის მეთაურად სპარსული წარმოშობის, მართლმადიდებლური რწმენის ეპისკოპოსი მობიდანი დანიშნა, მაგრამ მობიდანი სინამდვილეში არიანელი მწვალებელი ბრძანდებოდა. მან იცოდა, რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეფე ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან და ამიტომ არიანელთა რწმენის აშკარად ქადაგებას ვერ ბედავდა. სამაგიეროდ მორწმუნეთა შორის თავისი ნაწერების საიდუმლო გავრცელება დაიწყო. არიანელთა მოძღვრების თავისუფლად გავრცელების მიზნით მობიდანმა მრევლს ყველაზე ერთგული ეპისკოპოსები და მღვდლები მოაშორა, მაგრამ მალე გამოააშკარავეს მისი უკეთურობა. მეფემ მცხეთაში მოიწვია საეკლესიო კრება, სადაც მობიდანის მოძღვრება განიხილეს. ეპისკოპოსებმა მობიდანი ეკლესიიდან მოკვეთეს, შემდეგ თავიანთი ქვეყნიდანაც გააძევეს და მთელი მისი ნაწერები ცეცხლს მისცეს. საქართველოს ეკლესია, რომელიც ძალას იკრებდა, გაექცა დიდ საშიშროებას, ასე ჩუმად რომ ეპარებოდა.

## III. – მიქაელ ეპისკოპოსი და მისი მოღვაწეობა. ქართული ეკლესიის პირველი კათალიკოსის დანიშვნა

მეორე გამოჩენილი პიროვნება, რომელსაც დიდად უნდა უმადლოდეს ქართული ეკლესია, გახლავთ გორგასალად წოდებული მეფე ვახტანგის აღსაზრდელად კონსტანტინოპოლიდან მოწვეული ეპისკოპოსი მიქაელი. მიქაელი უნაკლოდ ასრულებს ამ პირველ დავალებას. ვახტანგის ისტორიაში შემდეგს ვკითხულობთ:

„სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა. და მწუხარე იყო იგი ამისთჳს, რამეთუ შემორეოდა ქართლს ცეცხლის-მსახურება...“[1].

სწორედ მიქაელის ზრუნვისა და რჩევის წყალობით გახდა ვახტანგ გორგასალი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეფე.

---

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I. გვ. 151. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955 წ. გვ. 146.

მალე მიქაელი სამეფოს სულიერი წინამძღვარი, არქიეპისკოპოსი გახდა და ამ საპატიო ტვირთს ყოველთვის ღირსეულად ატარებდა.

სპარსელები მუდამ ცდილობდნენ ქრისტიანობის შევიწროებასა და



საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი (449-499) იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის ფრესკების მიხედვით.

ცეცხლის კულტის აღდგენას. მიქაელი მთელი ძალით შეუდგა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას და შეეცადა მთელი ქვეყანა წარმართობისგან გაეწმინდა. ამას ვახტანგ მეფის შემწეობით მიაღწია, რომელიც თავის მხრივ არ წყვეტდა ომს ურწმუნოებთან და საბოლოოდ სახელმწიფოს საზღვრებიდანაც განდევნა ისინი. ამ დიდმა მონარქმა არაფერი დაიშურა თავისი ქვეყნის ბედნიერებისთვის; ამიტომაც საქართველომ მისი მეფობის დროს აყვავების მწვერვალს მიაღწია.

სამწუხაროდ, მეფისა და არქიეპისკოპოსის ეს ურთიერთგაგება სამუდამო არ იყო. მიქაელის მიერ შეურაცხყოფილმა ვახტანგმა კონსტანტინოპოლში თხოვნა გაგზავნა, რათა არქიეპისკოპოსის შესაცვლელად კათალიკოსის წოდებიანი ეპისკოპოსი გამოეგზავნათ.

მანამდე ქართულ ეკლესიას ეპისკოპოსები განაგებდნენ, რომელთა იურისდიქცია და ავტორიტეტი ძალიან შეზღუდული იყო. ისინი ცამეტნი იყვნენ — ძირითადად ბერძნები და სირიელები, მაგრამ ნათლად არ ჩანს, საიდან იღებდნენ თავიანთ იურისდიქციას, კონსტანტინოპოლიდან თუ ანტიოქიიდან. ძველი ქრონიკის, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (იხ. თავი IV) მიხედვით საქართველოში გამოგზავნილ პირველ კათალიკოსს (ალბათ, 471 წ.) პეტრე ერქვა[1].

პეტრეს დროს ქართული ეკლესია დამოუკიდებელი, ანუ ავტოკეფალური გახდა, რასაც ამ ქვეყნის ისტორიკოსები ერთსულოვნად ამტკიცებენ. ამას გვიდასტურებს ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ბალსამონი (XII ს)[2]. როცა იგი მეორე მსოფლიო კრების II კანონს განიხილავს, ასახელებს დამოუკიდებელ ეკლესიებს,რომელთა შორის იბერიის (საქართველოს) ეკლესიაცაა.

ანტიოქიის კრების გადაწყვეტილებამ, ამბობს ბალსამონი, იბერიის არქიეპისკოპოსს თავისუფლება მიანიჭა. მართლაც, ამბობენ, რომ ანტიოქიის დიდი ქალაქის უწმინდესი პატრიარქის, უფალი პეტრეს (ფულონის 471) დროს მიუღიათ სინოდალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც იბერიის ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური უნდა ყოფილიყო, თუმცა იგი ანტიოქიის პატრიარქის მფარველობაში რჩებოდა[3].

კათალიკოსის დანიშვნა ქართული ეკლესიისთვის მთელი ეპოქა გახლდათ, რადგან ამის შედეგი იყო თორმეტი ახალი საეპისკოპოსო

1 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა. გვ. 29.

2 მისი პატრიარქობის უკანასკნელი წლები ზუსტად არ არის ცნობილი.

3 თეოდორე ბალსამონი, კონსტანტინოპოლის II კრების დადგენილებისთვის იბერიის არქიეპისკოპოსმა დაავასა სინოდის გადაწყვეტილება ანტიოქიაში. „ამბობენ, ამ დღეების შემდეგ დიდი ანტიოქიის (თეოპოლეოს) ღვთის ქალაქის წმინდა პატრიარქის, უფალი პეტრეს სინოდურმა მმართველობამ განაცხადა საჯაროდ, რომ ავტოკეფალური, თავისუფალია იბერიის ეკლესია, რაც იმ დროს ანტიოქიის პატრიარქთან მსჯელობის საგანი იყო“. Migne, P.G., ტ. CXXXVII, სვ. 320.



მეტეხის ეკლესია. თბილისი, აგებული V ს-ში და შემდეგ რესტავრირებული[1].

1 გადმოცემის მიხედვით, ეს ეკლესია აშენებული უნდა იყოს მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ V ს-ში, მის მიერ გატეხილი ციხის გამოსასყიდად.

ეკლესია ქალაქში აღმართულ კლდეზეა აშენებული. ფასადზე შემდეგ წარწერას ვკითხულობთ:

„მეფე ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართო ძალადო,
აიღო ჯვარი ქრისტესი, წინ მიიმძღვარა ფარადო,
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს საყდრის კარადო,
ღვთის მოყვარესა ხელმწიფეს ასე სჭირს ამის გვარადო,
ღვთის სადიდებლად, მეოხად მეფისა ერეკლესა".

დაარსება და ქრისტიანობის უფრო სწრაფი გავრცელება. ანტიოქიის პატრიარქმა კათოლიკოსი საქართველოში მარტო კი არ გაგზავნა, თორმეტი სხვა ეპისკოპოსიც გააყოლა. ვახტანგ მეფემ ისინი დიდი პატივით მიიღო. პირველი კათალიკოსისთვის, პეტრესთვის მან მცხეთის წმინდა სამოციქულო ეკლესია შეამკობინა. ეპისკოპოსები საქართველოს სხვადასხვა მხარეს გაგზავნეს მორწმუნეთა გასანათლებლად და სახელმძღვანელოდ,[1] სადაც მხურვალე საქმიანობა გააჩაღეს და ნამდვილი მოციქულებივით იქცეოდნენ. მათ წაშალეს კერპთაყვანისმცემლობის უკანასკნელი კვალი და იმ დროიდან მოყოლებული საქართველოში ქრისტიანობას წინსვლა არ შეუწყვეტია.

### IV. – სპარსელების მიერ ქართველთა ახალი დევნა. ვახტანგ მეფე მათ ებრძვის და ბრძოლაში იღუპება. რაჟდენის წამება, ომი სპარსელებისა და ბიზანტიის იმპერატორებს შორის. საქართველოს აოხრება

ქრისტიანული რელიგიის ასეთი აყვავება შეუძლებელია მისი უმოწყალო მტრისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. სპარსელი მეფეები თითოეულ ქრისტიანში ჯაშუშს, თავიანთი ხალხის მტერსა და რომაელების (ბიზანტიელების) მეგობარს ხედავდნენ. ამიტომ, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ყველგან დევნიდნენ ქრისტიანულ რელიგიას. ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა და ცეცხლთაყვანისმცემელთა რიცხვის გაზრდა, ასეთი იყო ამ მეფეების თითქმის მუდმივი პოლიტიკა. ზოროასტრის ერთგულ და მოშურნე მიმდევრებს არ შეეძლოთ, უკმაყოფილების გარეშე ეცქირათ, როგორ ანგრევდა საქართველო მათი რელიგიის უკანასკნელ ტაძრებს და სამაგიეროდ ეკლესიებს აშენებდა. გამძვინვარებული მტრები კვლავ თავს დაესხნენ ქვეყანას.

მამაცი ვახტანგ მეფე მიხვდა, რომ სპარსელებს ახლა უკვე არა მარტო ზოგიერთი პროვინციის დაპყრობა და რომელიმე ტომის დახარკვა სურდათ, არამედ უნდოდათ, ქართველებს თავიანთი რელიგია მიეტოვებინათ. კათალიკოს პეტრეს რჩევისა და ლოცვის მოსმენისთანავე მან გადაწყვიტა, თუ საჭირო იქნებოდა, ქრისტეს სახელისთვის თავი შეეწირა. პეტრეს დაავალა, სალოცავად წმინდა რაჟდენის ეკლესიაში წასულიყო (რაჟდენი რამდენიმე წლის წინ სპარსელებმა აწამეს), თვითონ კი შეკრიბა მთელი ჯარი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით 140 000 კაცისგან (სომხური ქრონიკის მიხედვით 240 000 კაცისგან) შედგებოდა და გაეშურა მტრის 740 000-იანი ლაშქრის შესახვედრად. შეჯახება საშინელი იყო. გამარჯვება ქართველებს ხვდათ წილად, რომლებმაც იმავე „მატიანეების“ მიხედვით 130 000 სპარსელზე მეტი გაანადგურეს. სამწუხაროდ ვახტანგ მეფე მალე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ყველა ქვეშევრდომს მოუწოდა,

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 195.

ქრისტიანული რელიგიის ერთგული დარჩენილიყო. როცა მეფე ვახტანგის სიკვდილის ამბავი გაიგეს, სპარსელებმა შეტევები განაახლეს, დაამარცხეს ქართული ჯარი და მთელი საქართველო ააოხრეს. მათ მიერ ჩადენილი საშინელების აღწერაც კი გაუჭირდებოდა მემატიანეს.

ამ დიდი მეფის სიკვდილს (ვვარაუდობთ 499 წელს) დიდხანს გლოვობდა საქართველო. ვახტანგის სიკვდილი გამოუსწორებელი დანაკლისი იყო. ქართული ეკლესია მას წამებულთა შორის იხსენიებს. ვახტანგის მოსახსენებლად 30 ნოემბერია დაწესებული. მას მიაწერენ თბილისში მეტეხის ძველი ეკლესიის აგებას, რომლის ჩაშავებული კედლებიც დედაქალაქის საპყრობილის კედლებადაა აღმართული. ამ ეკლესიის რეპროდუქცია უკვე შემოგთავაზეთ.

ძველ ხელნაწერში შემდეგი საყურადღებო ცნობა შეიძლება ამოვიკითხოთ:

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ქართველებს დიდი უბედურება დაატყდა თავს სპარსელებმა; მტერმა მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტა, ქვეყანა დაიპყრა და ქრისტესთვის ბევრი აწამა. ზოგიერთი ამ წამებულის ცხოვრება აღწერეს, მაგრამ არა ყველასი. მარადიული ცხოვრების წიგნში მაინც ყველაა ჩაწერილი[1].

იმასაც დავძენთ, რომ ამ ცხოვრებათაგან არც ერთს არ მოუღწევია ჩვენამდე.

ვახტანგის მეფობის დროს აწამეს რაჟდენი, რომლის ამბებმაც ჩვენამდე მოაღწია[2]. ქართული ეკლესია მას საქართველოს დიდ და პირველ მოწამეს უწოდებს. რაჟდენამდე ბევრმა ქართველმა დაღვარა სისხლი იესო ქრისტეს სახელისა და რელიგიისთვის, მაგრამ არავის რგებია წილად იმდენი დაკითხვა, მუქარა, შეგონება და ნაირ-ნაირი წამება რწმენის უარსაყოფად, რამდენიც მას. ამიტომაც რაჟდენს ქართული ეკლესიის პირველი მოწამე და ნათელი უწოდეს.

რაჟდენი წარმოშობით სპარსელი იყო და წარჩინებულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მას მიანდეს სპარსეთის მეფის ასულის აღზრდა, რომელიც შემდეგ ვახტანგ მეფის ცოლი გამხდარა. რაჟდენზე ახლავე გიამბობთ. რაჟდენი მეფის ასულს საქართველოში გაჰყვა და მასთან დარჩა. სწორედ აქ გაიცნო რაჟდენმა ქრისტიანობა და გულწრფელად ეზიარა მას. ქართველების გაქრისტიანებით გაღიზიანებული სპარსელები კიდევ უფრო მეტად გაბრაზდნენ, როცა გაიგეს, რომ რაჟდენიც ეზიარა მათ რელიგიას და გადაწყვიტეს, იგი დაესაჯათ.

ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის დროს რაჟდენი შეიპყრეს და

1 თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი, №770, გვ. 364.

2 იქვე, გვ. 222-227.

თავის მეფეს მიჰგვარეს. მის დანახვაზე მეფემ გაიხარა და უთხრა: „მართლა მიატოვე შენი წინაპრების რელიგია, მზისა და ცეცხლის კულტი და ჯვარცმული, ებრაელების მიერ მოკლული კაცის რწმენა აღიარე, ეს კაცი კი ღმერთად მიიჩნიე?“ კეთილშობილმა ქრისტიანმა უპასუხა, ამქვეყნად სიკვდილის საფასურით ადამიანთა ხსნისთვის მოსული ძე ღმრთისას მიერ ნაქადაგები ნამდვილი სარწმუნოების გაგების შემდეგ აღარ შემიძლია, ცეცხლის კულტის ყალბ რელიგიას დავუბრუნდეო. გაღიზიანებული მეფე დაემუქრა, ქრისტიანობას ზურგს შეგაქცევინებო, და უბრძანა, გაეროზგათ, კბილები ჩაემტვრიათ მისთვის, ბორკილები დაედოთ და დილეგში ჩაეგდოთ. ყველანაირი წამების ხერხს მიმართეს, რათა რაჟდენი კერპთაყვანისმცემლობისთვის დაებრუნებინათ, მაგრამ წამებულის სიჯიუტე ვერ გატეხეს. საბოლოოდ, მისი სიკვდილით დასჯა გადაწყვიტეს, თანაც თქვეს, რომ ჯვარცმულისადმი ასეთი რწმენის გამო თვითონ რაჟდენიც ჯვარს ეცვასო. ჯვარზე გაკრულ რაჟდენს მრავალი ისარი ესროლეს. ბოლოს მან სული თვისი ღმერთს მიაბარა (ვვარაუდობთ, 457 წ.). ღამით ქრისტიანებმა საიდუმლოდ ჩამოხსნეს რაჟდენის გვამი და ფარულ ადგილას დაკრძალეს. მოგვიანებით ვახტანგ მეფემ წმინდანის ნეშტი ქვეშევრდომთ მოაძებნინა და დიდი ზეიმით ნიქოზში აატანინა; აქ კი შესანიშნავი ეკლესია ააგო, რომელიც შემდეგ საეპისკოპოსო გახდა. რაჟდენის სახელის დღედ 3 აგვისტოა დაწესებული.

ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ლაზიკის გამო (დასავლეთ საქართველო) ომი დაიწყო სპარსეთის მეფეებს — კავადსა და ხოსროს და კეისარ იუსტინესა და იუსტინიანეს შორის. ამ ომმა, ალბათ, დიდხანს გასტანა, ვფიქრობთ, 562 წლამდე, რის შედეგადაც, საქართველო სპარსეთის არჩივად იქცა[1].

ადვილი წარმოსადგენია, რას უზამდნენ ისინი ქართველებსა და მათ რელიგიას[2], განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, როგორ მოიქცნენ

---

1. იხ. **Procope, De Bello Persico**, წიგნი II, თავი 12, 28, 29, 30, 33, 34; მისივე, **Guerre gothique**, წიგნი IV, თავი 1,8,9,10,14,16.

2 აქ შემოგთავაზებთ პიტონის საინტერესო მოთხრობას „Du royaume de Géorgie“:

„ქართლის სამეფო იწყება დასავლეთით ალბორისად (კავკასიონი) წოდებული ქედიდან, სადაც ბევრი ეროვნება ცხოვრობს; აქედანაა ამ პროვინციის სახელი ალანია (ალბანეთი). დასავლეთითა და ჩრდილოეთით ის თურქეთის სამეფოს მიწებს ემიჯნება. იგი ორ სამეფოდაა გაყოფილი: საქართველო და აფხაზეთი. ამ სამეფოებს ყოველთვის ორი მეფე ჰყავდათ. საქართველო აზიის იმპერატორს ექვემდებარება, ხოლო აფხაზეთი ძლიერია თავისი ხალხით და ციხე-სიმაგრეებით, ამიტომ ვერც აზიისა და ვერც თათართა იმპერიამ ვერასდროს ვერ შეძლო მისი დამორჩილება. საქართველოს ეს სამეფო არაჩვეულებრივი და გასაოცარი საწაულების ასპარეზია, რომლის წარმოდგენასაც ვერ გავბედავდი და რაც ჩემი საკუთარი თვალით რომ არ მენახა, ვერ დავიჯერებდი, მაგრამ რამდენადაც ამის მოწმე გახლდით, ვამტკიცებ, რომ ამ ქვეყანაში არის ერთი პროვინცია, ჰამსენად წოდებული, რომლის შემოვლისთვისაც სამი დღე საკმარისია და რომელიც მთლიანად ისეთი სქელი ნისლითაა დაფარული,

სომხეთში. ასეთი დარბევის შემდეგ საქართველომ თუ კიდევ შეძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ერების რიცხვიდან არ გაქრა, ამას მის გეოგრაფიულ მდებარეობასა და მამაც მეომრებს უნდა ვუმადლოდეთ.

სისხლისმღვრელ ბრძოლებში სპარსელების მიზანი იყო, მთლიანად მოესპოთ ქრისტიანობა, რათა ამ მხარეში ბიზანტიის იმპერიის საპირისპიროდ თავიანთი ბატონობა განემტკიცებინათ, მაგრამ ქრისტიანობის რწმენით ღრმად გაჟღენთილმა ქართველებმა თავიანთ თავგამოდებულ მოძღვართა წყალობით ქრისტე ღმერთზე უარის თქმას ტანჯვა არჩიეს.

დაუსრულებელ ომებს, რა თქმა უნდა, საშინელი შედეგები ახლდა. დაპყრობილი ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში სპარსელები ხშირად აღწევდნენ მიზანს: ქრისტიანობის პროგრესის შეჩერებას და ცეცხლის კულტის ძალით აღდგენას. ამ ორმაგ უბედურებას ახალ ერეტიკოსთა გამოხდომები ემატებოდა.

ეს ზუსტად იმ დროს იყო (V ს-ის დამლევს და VI ს-ის დამდეგს), როცა სომხეთში ევტიქევანთა წვალება გავრცელდა და იქ მათ ბევრი მომხრე ნახეს. საქართველოს მეზობელი სომეხი სექტანტები ყოველმხრივ ცდილობდნენ, თავიანთი დოქტრინით ქართველები მიეზიდათ, მაგრამ განგებამ თავისი ახალი მოციქულების წყალობით ეს საქრისტიანო ქვეყანა დაღუპვას კიდევ ერთხელ გადაარჩინა.

---

შეუძლებელია იქ რამის გარჩევა. მარტო შესვლას იქ ვერავინ ბედავს, რადგან გამოსასვლელ გზას ველარ აგნებენ. ამ მხარის მცხოვრებლები ამტკიცებენ, ტყიდან ხშირად გვსმენია ადამიანთა ყვირილი, მამლების ყივილი და ცხენების ჭიხვინიო. ამ ადგილიდან გამოსული მდინარის დინებაში აშკარად შეიმჩნევა კვალი, რომ იქ ვიღაცები ცხოვრობენ. მაშ ასე, აი, ლეგენდა, რომელსაც სომხეთისა და საქართველოს სამეფოების ისტორიებში ვკითხულობთ. სპარსეთში იყო ერთი საშინელი მონარქი და იმპერატორი, რომლის ნამდვილი სახელიც საუორე (კაბადი) იყო. იგი კერპებს სცემდა თაყვანს და საშინლად სდევნიდა ქრისტიანებს. ერთ დღეს ბრძანა, აზიის ყველა მცხოვრები მისულიყო და მისი თანდასწრებით კერპებისთვის ეცა თაყვანი, ხოლო თუკი ვინმე მის ხელმწიფურ ბრძანებას წინააღმდეგობას გაუწევდა, ცეცხლისთვის მიეცათ. ამის შედეგად ქრისტიანების ნაწილმა კერპების თაყვანისცემას წამება არჩია. ზოგიერთმა პირიქით, იმის გამო, რომ ამქვეყნიური სიკეთე არ მოკლებოდა, შიშით კერპებს სცა თაყვანი. ზოგიერთები მთებსა და ციხე-სიმაგრეებს შეეხიზნენ, იქ გამაგრდნენ და მამაცურად იცავდნენ თავს, ზოგიერთი კარგი ქრისტიანი მაშინ მაგონად წოდებულ ველზე ცხოვრობდა; მათ არაფრით არ უნდოდათ კერპებისთვის რამე შეეწირათ, ამიტომ გაქცევა და ყველაფრის მიტოვება გადაწყვიტეს. მაგრამ სანამ ისინი საბერძნეთის იმპერიაში ჩასვლაზე ფიქრობდნენ, ეს ცუდი იმპერატორი მათ თვითონ წარუდგა ჰამსენის ხეობაში, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ. რადგან იმპერატორის ბრძანებით ყველა ქრისტიანისთვის თავი უნდა მოეკვეთათ, მათ მოუხმეს მეუფე იესო-ქრისტეს, წყვდიადმა მაშინვე დაფარა ცა, ქრისტიანებმა დაბრკოლების გარეშე გაარღვიეს ურწმუნოთა რიგები და მათ გაექცნენ; რაც შეეხება ბოროტ ადამიანებს, ისინი დღესაც ამ წყვდიადით მოცულ ხეობაში ცხოვრობენ და იქ დარჩებიან საუკუნის დასასრულამდე, როგორც ყველას სჯერა და ყველა მოგვითხრობს“. Reineri Beinecci, Chronicon Hierosolym., Helmstadt, 1584, II ნაწილი, თავი X, გვ. 8—9.



ანანურის ეკლესია, აგებული VI ს-ში, მრავალჯერ რესტავრირებული.



ტბილისის საკათედრო ეკლესია სიონი, აგებული VI ს-ში და შემდეგ მრავალჯერ რესტავრირებული[1].

---

1 ეს ასეთი მნიშვნელოვანი ეკლესია საქართველოს მეფე გურამ I-მა აგო VI ს-ის დასასრულს. დამპყრობელმა ჯალალ-ედინმა მას XIII ს-ში გუმბათი მოანგრია და ხიდი გასდო თავის სასახლემდე, რათა ქრისტიანული ეკლესიის თელვით სიამოვნება მიეღო. XV ს-ში საქართველოს მეფე ალექსანდრე I-მა. სიონი აღადგინა. ამის შემდეგ სიონის ეკლესია ბევრჯერ აღადგინეს. სამხრეთის კარზე შემდეგ წარწერას

## V. – ცამეტი სირიელი მამის ჩამოსვლა საქართველოში

იოანე ზედაზნელის ხელმძღვანელობით ცამეტი სირიელი მისიონერის საქართველოში ჩამოსვლა ყველანაირი ქართული საბუთით მტკიცდება, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, ეს როდის მოხდა, ან რას მოჰყვა. სირიელი მამების ცხოვრებაში მოხსენიებულია წმინდა სიმეონ მესვეტე, ვისაც ისინი გამგზავრებამდე უნდა ეკურთხებინა. აქ, რა თქმა უნდა, იმ სიმეონ მესვეტეზეა ლაპარაკი, რომელიც 521-596 წ. ცხოვრობდა. ე.ი. სირიელი მამები ამ წლებში უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში. ძველი ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ" თარიღს კიდევ უფრო აზუსტებს და ამბობს, სირიელი მამები ჩვენში საქართველოს მეფის ფარსმან VI-ისა (542-557) და კათალიკოს ევლალეს დროს ჩამოვიდნენო; ზოგიერთები ამ ამბავს 551-557 წლებს მიაწერენ, ზოგიერთები კი 555-565 წლებს. უნდა ვიფიქროთ, რომ სირიელი მამები 551-557 წლებში ჩამოვიდნენ საქართველოში.

ქართველი ავტორების უმრავლესობის მიხედვით ყველა ეს მისიონერი ქართველი იყო, რადგან მაშინ, მათი აზრით, სირიაში ამ ერის ბევრი მორწმუნე იმყოფებოდა. ქართველ ავტორთა ჰიპოთეზა იმას ეყრდნობა, რომ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, როდესაც მისიონერები საქართველოში ჩასულან, კათალიკოსი ევლალე მისულა და სირიულად მისალმებია მათ, მისიონერებს კი ქართულად უპასუხიათ, მაგრამ ეს დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. წინა თავში ჩვენ ვნახეთ, რომ პეტრე იბერმა მონასტრები იერუსალიმსა და იორდანიის ნაპირებზე დააარსა, ოღონდ არა გვგონია, ასეთ მცირე დროში ქართველი მორწმუნეები იქ ისე მომრავლებულიყვნენ, სირიას მოსდებოდნენ და იქიდან სამშობლოშიც დაბრუნებულიყვნენ. მოკლედ, სირიელი მამების ცხოვრების ავტორები ყველას სირიელებად მიიჩნევენ. „ქართლის ცხოვრება" გადმოგვცემს, რომ საქართველოში მორწმუნეთა სულის განსამტკიცებლად უფლის ანგელოზმა იოანეს დაავალა, თავის მოწაფეებთან ერთად, იქ წასულიყო. რაც უნდა იყოს, ამ მონათხრობიდან არა ჩანს, რამ განაპირობა იოანეს და მისი მოწაფეების საქართველოში ჩასვლა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაიგეს ამ მხარის გაუთავებელი უბედურების ამბავი და შორეული, რწმენის დასაკარგავად განწირული ძმების მიმართ გამოჩენილმა თანაგრძნობამ აიძულა, მათ დასახმარებლად წასულიყვნენ. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მისიონერები სხვადასხვა პროვინციაში განაწილდნენ, სადაც სიმართლის ქადაგება, მორწმუნეთა სულის განმტკიცება და რელიგიის

---

ვკითხულობთ: „ნებითა ღუთისითა და შეწევნითა სიონთა ღუთისმშობლისათა, მე თბილელმან ელისე საგინაშვილმან, აღვაშენე გუმბათი ესე სიონისა, ორჯერ სამხრეები და კარისბჭე და დავხატე და შევამკე ყოვლითა სამკაულითა. შენდობას იტყოდეთ ღუთისა გულისათვის ამინ. ქორონიკონი ტჱე". იხ. Brosset, Voyage archéologique, V მოხსენება, გვ. 34.

გაწმენდა დაიწყეს იმ შეცდომებისაგან, რომლებსაც უკვე თავი ეჩინა მასში... მათმა სამოციქულო ღვაწლმა განაახლა ამ უაღრესად ტანჯული ქვეყნის სახე.

აქ მოკლედ გიამბობთ ზოგიერთი მამის ცხოვრებაზე.[1]

## VI. — იოანე სირიელი. იოანეს მოწაფე შიო. იოანეს მეორე მოწაფე დავითი

როგორც ჩანს, სირიელ მისიონერთა წინამძღვარი იოანე თავის ქვეყანაში სამონასტრო ცხოვრებას ქადაგებდა და ბევრი მოწაფეც ჰყავდა. როცა თავისი ცამეტი მოწაფით საქართველოს ეწვია, მეფემ და კათალიკოსმა სიხარულითა და დიდი პატივით მიიღეს. ბინად ცნობილი ზადენის მთაზე მდებარე გამოქვაბული ამოირჩია. აქ ძველად ამ სახელით ცნობილი კერპი იყო აღმართული. აქედან წარმოსდგა იოანეს მეტსახელი ზედაზნელი, ე.ი. ზადენის მთის ბინადარი. კათალიკოსთან შეთანხმებით იოანემ თავისი მოწაფეები საქართველოს პროვინციებში საქადაგოდ გააგზავნა. მალე მისი სიწმინდისა და სათნოების შესახებ მთელი ქვეყანა ალაპარაკდა. იოანემ მრავალი ახლად მოქცეული მიიზიდა. ბევრმა ქართველმა მიატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და იოანესთან მივიდა, რათა მასავით სულიერი ცხოვრება დაეწყო. იოანეს მრავალ სასწაულს მიაწერენ, მათ შორის ზადენის მთის დათვების მოთვინიერებას. იგი ხშირად მიდიოდა თავის მოწაფეებთან; უნდოდა, გაემხნევებინა ისინი, რათა ხალხის საკეთილ-დღეოდ მუხლჩაუხრელად ელვაწათ.

უდიდესი სამსახური, რომელიც თავის სამოციქულო საქმიანობით იოანემ ქართულ ეკლესიას გაუწია, საბოლოოდ დაუფასეს მას. ქართულმა ეკლესიამ 7 მაისი იოანეს დღედ გამოაცხადა. გთავაზობთ ძველი ძეგლების მეშვეობით მოღწეულ მის პორტრეტს. იოანეს ადგილსამყოფელი ცნობილ მონასტრად იქცა, რომელმაც XII საუკუ-ნემდე იარსება, იმ დრომდე, სანამ ურჯულოებმა არ დაანგრიეს.

იოანე სირიელის ერთ-ერთი მოწაფე, რომლის სახელიც დღემდე პოპულარულია საქართველოში, იყო შიო. შიოსთვის მისი ადგილსამ-ყოფელის გამო მღვიმელი უწოდებიათ. თავისი მასწავლებლის, იოანეს ნებართვით შიომაც მღვიმე აირჩია საცხოვრებლად, რომელიც მცხეთის შემოგარენის ღრმა ხეობაში მდებარეობს. იქ ლოცვასა და თვითგვემაში ატარებდა დღეებს. როგორც პირველ განდეგილ პავლეს, მასაც მტრედი აწვდიდა საკვებს ყოველდღე. შიოს სიწმინდის ამბავი მალე გავრცე-ლდა. მისი მრევლი თანდათან იზრდებოდა, რადგან ყველას სურდა თავიანთი მოძღვრის დარიგება და ლოცვა-კურთხევა მოესმინა. ვინმე ევაგრემ, სამეფოს წარჩინებულმა პირმა, ყველაფერი მიატოვა, რათა

1 ზემოთ აღნიშნული ძველი ხელნაწერი ამ მამების ცხოვრებას შეიცავს.




წმინდა იოანე ზედაზნელი (VI ს.) საბინინის მიხედვით[1].

---

1 ჩვენს ნაშრომში მოთავსებული წმინდანთა ყველა პორტრეტი საბინინის „საქართველოს სამოთხიდანაა“ აღებული. საბინინმა კი ეს პორტრეტები ქართული ეკლესიების ძველი ფრესკების მიხედვით მეტ-ნაკლებად შეცვლილი სახით შეასრულა.



М. САБИНИНЪ

წმინდა შიო მღვიმელი (VI ს.), საბინინის მიხედვით.

შიოსთან ერთად ეცხოვრა სათნოებისა და სიჩანულის გარემოში. შიომ და ევაგრემ ისე გაითქვეს სახელი, თვით მეფე ეწვია ორივეს თავის დიდებულებთან ერთად. შიოს და ევაგრეს ცხოვრების სიწმინდით აღელვებულმა მეფემ მათ საჩუქრად 30 ლიტრა ოქრო, მრავალი სოფელი, დიდი ოქროს ჯვარი და ვახტანგ მეფის საკუთრება, მდიდრულად მორთული სახარება უბოძა. ამ წმინდანებმა კი თავიანთ შემოგარენში ეკლესიების აგება დაიწყეს. ეს უდაბნო მალე დასახლდა და შიომ ორი ათას მოწაფეზე მეტი შემოიკრიბა.

შიოს სასწაულების ამბავი ყველგან გავრცელდა. საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ამ სასწაულმოქმედის სანახავად. შიოს ბევრ სასწაულს მიაწერენ, მათ შორის მრავალი უსინათლოსათვის მხედველობის დაბრუნებას. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ მგელი მოათვინიერა, რომელიც მისი მონასტრის ფარას ანადგურებდა. ამიტომ ძველი ძეგლები შიოს მგელთან ერთად გამოსახავენ. შიომ ხანდაზმულმა დაასრულა სიწმინდით აღსავსე ცხოვრება და დაიკრძალა იმავე ადგილას, სადაც გარდაიცვალა. ეკლესია მის დღეს 9 მაისს აღნიშნავს.

ამის შემდეგ შიოს ტაძარი მონასტრული ცხოვრების კერად იქცა საქართველოში, და დღემდე დიდ სამსახურს უწევს ქრისტიანობას ამ ქვეყანაში.

იოანე სირიელის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე იყო დავითი, რომელიც გარეჯელად იწოდებოდა. დავითმა სამოციქულო სარბიელად ქალაქი თბილისი აირჩია და მასწავლებლის მსგავსად, დასახლდა იმ მთის პატარა გამოქვაბულში, რომელიც ქალაქში იყო აღმართული და რომელსაც ახლაც „მამა-დავითის მთას“ უწოდებენ. იოანე გამოქვაბულში მივიდა თავის ახალ მცხეთელ მოწაფესთან, ლუკიანესთან ერთად, რომელიც სიკვდილამდე მასთან დარჩა.

დავითი კვირაში ერთხელ ჩადიოდა ქალაქში, რათა ექადაგა იქ და მოსახლეობა გაენათლებინა. მან ბევრი კერპთაყვანისმცემელი მოაქცია. ცეცხლის მსახურებმა ნახეს, რომ ხალხს კარგავდნენ და დავითის სახელის გატეხვა დაიწყეს. ერთ დღეს, როცა დავითი მორწმუნეებს ანათლებდა, მასთან ერთი მეძავი ქალი მივიდა და გამოაცხადა, დავითმა ჩემთან იმრუშაო. თავისი უდანაშაულობა წმინდანმა უჩვეულო სასწაულით დაამტკიცა და მატყუარის ოინებს ფარდა ახადა. მაშინ აღშფოთებულმა ხალხმა იქვე ჩაქოლა ბრალმდებელი. ამ შემთხვევამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რელიგიის აღმაელობას და წმინდანმა ბევრი მოწაფე მიიზიდა.

მოგვიანებით დავითი გამოქვაბულს გაშორდა და თავის საყვარელ მოწაფესთან, ლუკიანესთან ერთად შორეულ უდაბნოში გაიხიზნა, რათა იქ უფრო თავისუფლად ელოცა. როგორც მისი ცხოვრების ავტორი აღნიშნავს, ყველანაირ დახმარებას მოკლებული დავითი უდაბნოში შიმშილობდა. ამიტომ ღმერთი წმინდანებს ყოველდღე უგზავნიდა სამ ფურირემს, რომლებიც რძით კვებავდნენ მათ. აი, რატომ წარმოგვიდ-



წმინდა დავით გარეჯელი (VI საუკუნე), საბინინის მიხედვით.

გენენ დავითს ფურირემთან ერთად. მორწმუნეებმა დავითი და ლუკიანე მალე აღმოაჩინეს და ხშირად ნახულობდნენ. დავითთან შორიდანაც მოდიოდნენ, რათა მოესმინათ მისი დარიგებანი. მოსულთა შორის იყო ერთი კაცი დოდო, რომელიც დავითთან დარჩა და სულიერ ცხოვრებას ეზიარა. მახლობლად მათ მონასტერი ააგეს და სამონასტრო ცხოვრებას ბევრი ადამიანი აზიარეს. მალე ეს ადამიანებიც მოციქულები გახდნენ და თავიანთ ქვეყანაში ქრისტიანული რწმენისა და სათნოების ქადაგება




წმინდა ისე, წილკნის ეპისკოპოსი (VI საუკუნე), საბინინის მიხედვით.

დაიწყეს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დავითი იერუსალიმს გაემგზავრა. უკან დაბრუნებულმა თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები გაამხნევა, რათა რელიგიური სათნოებანი ბეჯითად გამოეყენებინათ პრაქტიკულად. ფიქრობენ, რომ დავითი 582 წელს გარდაიცვალა, ამაღლების

მერვე დღეს, რომელიც ქართულმა ეკლესიამ მის დღედ გამოაცხადა. დავითის ორივე მოწაფე, ლუკიანე და დოდო წმინდანებად შერაცხეს.

## VII. – ეპისკოპოსები ისე და აბიბო. ევსტათის მარტვილობა

სირიელი მისიონერების ჩამოსვლის შემდეგ ორი საეპისკოპოსო ვაკანტური გახდა საქართველოში. ამ ახალმოსულებს შორის ყველაზე გამორჩეული მორწმუნენი ისე და აბიბო კათალიკოსმა ეპისკოპოსებად აკურთხა და ისე ქალაქ წილკანში გააგზავნა, ხოლო აბიბო — ნეკრესში.

თავისი თანამოძმეების მსგავსად, ისე დაუღალავად იღვწოდა რწმენის გასავრცელებლად და თავისი მრევლის გასაქრისტიანებლად. ეპისკოპოს ისეს სამოციქულო საქმიანობის დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ უდავოა მისი დიდი წვლილი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ქართული ეკლესია, რომელიც ისეს დღეს 2 დეკემბერს აღნიშნავს, მას წმინდანად არ შერაცხდა.

აბიბო ნეკრესის საეპისკოპოსოში განაწესეს. ომების შემდეგ, საქართველოში ბევრ ადგილს სპარსელები დაეპატრონენ და ცდილობდნენ, კერპთაყვანისმცემლობით შეეცვალათ ქრისტიანობა. აბიბო გულისტკივილით შესცქეროდა თავის საეპისკოპოსო ქალაქში სპარსელთა აქტიურ პროპაგანდას. მრევლის შესანარჩუნებლად მას არაფერი დაუზოგავს და არც არავითარი სიძნელის წინაშე დაუხევია უკან. ერთ დღეს, როცა სპარსელებს უნდოდათ, მორწმუნეები აეძულებინათ, ცეცხლისთვის თაყვანი ეცათ, აბიბო მივარდა ეგრეთ წოდებულ წმინდა ცეცხლს, წყალი დაასხა და დაშრიტა. მამაცი მწყემსის საქციელმა გააცოფა სპარსელები. იგი მაშინვე შეიპყრეს, უმოწყალოდ ურტყეს ჯოხი და თავიანთ უფროსს მიჰგვარეს. უფროსი შეეცადა, აბიბოს თავისი რწმენა უარეყო, მაგრამ ეპისკოპოსი არ შედრკა და მიუხედავად საშინელი მუქარისა, სპარსელთა ღმერთის სიყალბის მტკიცება არ შეუწყვეტია. ამიტომ უსჯულოთა მთავარმა ბრძანა, ხელახლა ეცემათ ჯოხით, შემდეგ ჩაექოლათ. ბრძანება აღსრულდა. აბიბოს ქვის სეტყვაში აღმოხდა სული. მისი ხსენების დღედ 12 ნოემბერია მიჩნეული.

ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება ანტონ მარტომყოფელისა და ალავერდის არქიმანდრიტის იოსების ცხოვრების შესახებ. წმინდა იოანეს ეს ორივე მოწაფე სირიიდანაა ჩამოსული. მათაც დაიწყეს სამონასტრო ცხოვრება და თავიანთი მოწაფეებით დაასახლეს უდაბნოები. ქართველებმა ანტონი და იოსები წმინდანებად შერაცხეს. 19 იანვარი ანტონ მარტომყოფელის, ხოლო 15 სექტემბერი არქიმანდრიტ იოსების დღედ გამოაცხადეს.

საქართველოში ჩამოსულ სხვა სირიელ მამათა შესახებ თითქმის



წმ.ინდა აბიბო, ნეკრესის ეპისკოპოსი (VI ს.), საბინინის მიხედვით.

არაფერი ვიცით: დოკუმენტები, რომლებიც ქართული ეკლესიის ისტორიისთვის უეჭველად მნიშვნელოვან დეტალებს შეიცავდა, ბევრმა სავალალო მოვლენამ გაანადგურა; ერთი კი უდავოა, საქართველოში ქრისტიანობის გაძლიერების გარდა სირიელმა მისიონერებმა საფუძველი ჩაუყარეს სამონასტრო ცხოვრებას.

ბუნებრივია, სირიელმა მისიონერებმა ქართულ ეკლესიაში სირიული ეკლესიის წესები დანერგეს და ქართველები უფრო დაუახლოვეს




წმინდა ევსტათი მცხეთელი (VI ს.), საბინინის მიხედვით.

აღმოსავლეთში ყველაზე უფრო განთქმულ ანტიოქიის ეკლესიას.

სირიელ მისიონერთა შემდეგ ქრისტიანობა ისე საოცრად გაძლიერდა საქართველოში, აქ ჩამოსული ბევრი ურწმუნო არამცთუ გაქრისტიანდა, ქრისტიანობის მოციქული გახდა და რწმენისთვის სისხლიც კი დაღვარა.

ერთ-ერთი იმ ახალ გაქრისტიანებულთა შორის, რომლებმაც VI საუკუნის დამლევს თავიანთი წამებით სახელი გაუთქვეს ქართულ

ეკლესიას, გახლდათ ევსტათი მცხეთელი.

წარმოშობით სპარსელი ევსტათი ხელოსანი იყო. იგი მცხეთაში დასახლდა. მას შემდეგ, რაც ქართული ეკლესიები იხილა და ქრისტიანული რელიგია შეისწავლა, ქრისტიანობას ეზიარა და შეეცადა ეს რელიგია იმ დროს საქართველოში მყოფ თავის თანამემამულეთა შორის გაევრცელებინა. ევსტათი მცხეთის ციხისთავთან დააბეზღეს, შემდეგ დაიჭირეს, ბორკილები დაადეს და ექვსი თვით საპყრობილეში ჩააგდეს. მარზპანის შეცვლასთან დაკავშირებით, ევსტათიც გაათავისუფლეს, ხოლო ახალი მმართველის მოსვლასთან ერთად კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს. მარზპანი ყოველმხრივ შეეცადა, ევსტათის ქრისტიანული რელიგიისთვის ზურგი ექცია, მაგრამ მან უკან არ დაიხია და ხმამაღლა იმეორებდა: მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტებას ვეზიარე, აღარ შემიძლია ყალბ ღმერთებს დავუბრუნდე, ამიტომ მზად ვარ, ვიტანჯო და ქრისტესთვის სიცოცხლე გავწირო. მარზპანმა ევსტათი კვლავ ჩააგდო საპყრობილეში და ერთ ღამეს იქვე თავი მოჰკვეთა. მისი გვამი მხეცებს გადაუგდეს ქალაქგარეთ. ქრისტიანებმა მაინც მოახერხეს ნეშტის მცხეთაში წაღება და კათოლიკე საყდარში მისი დაკრძალვა. ევსტათის ხსენების დღედ 29 ივნისია დაწესებული.

## VIII. – ადრინდელი ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში

V და VI საუკუნეებში, სპარსელების დევნისა და შევიწროების მიუხედავად, ქრისტიანობამ ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოში და განუწყვეტლივ ვითარდებოდა. აი, რას ამბობს ამის შესახებ იმდროინდელი ისტორიკოსი პროკოპი (565):

„იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“[1].

ნუთუ შეიძლება ამ განცხადების შემდეგ ვივარაუდოთ, რომ წინათ კოლხეთის, ლაზეთისა და აფხაზეთის სახით ცნობილი დასავლეთ საქართველო VI საუკუნის შუა წლებში კერპთაყვანისმცემლობის სიბნელით იყო მოცული და მხოლოდ იუსტინიანე კეისარმა მოაქცია ქრისტეს სჯულზე?

ეს შეუძლებლად მიგვაჩნია, თუმცა ბევრი ავტორი ასე ამტკიცებს. ჩვენი აზრით, ისინი პროკოპის შემდეგმა მონათხრობმა შეიყვანა შეცდომაში:

„შემდეგ, იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა,

1 De Bello Persico, წიგნი I, თავი 12, გვ. 244. იხ. გეორგიკა, II, გვ. 48.

უმჯობესი გახდა. მათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი საჭურისი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა. მან სასტიკად აუკრძალა მათ მეფეებს, რომ მათ ამიერიდან აღარავინ დაესაჭურისებინათ, ბუნებაზე ძალა არ ეხმარათ დანით. ამას აბაზგები სიხარულით შეხვდნენ. რომაელთა მეფის ბრძანებით გამხნევებულნი, ისინი მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგებოდნენ ამ საქმის ჩადენას: თითოეულ მათგანს ხომ ეშინოდა, ოდესმე არ გამხდარიყო ლამაზი ბავშვის მამა. მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები“[1].

ეს ტექსტი სიტყვასიტყვითაა ჩაწერილი „ქართლის ცხოვრებაში“. წმინდა ჰორმიზდასის (პაპი 514-დან 532 წ-მდე) „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

„მისი ზრუნვის წყალობით ლაზების მეფე თავის ხალხთან ერთად ქრისტეს სარწმუნოებაზე მოექცა“[2].

ამ ტექსტმა ბევრ ავტორს აფიქრებინა, ლაზები ქრისტიანად მართლაც მხოლოდ ამ დროს მოიქცნენო, მაგრამ აქ მხოლოდ მეფეზეა ლაპარაკი და ჩვენ ბევრი სარწმუნო წყარო გვაქვს იმის საფიქრებლად, რომ ლაზები დიდი ხნის წინ გაქრისტიანდნენ. არაფერი გვაძლევს იმის საფუძველს, ეს მეფე ლაზების პირველ ქრისტიან მეფედ მივიჩნიოთ.

V საუკუნეში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპარსელებმა ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად საშინელი ომი დაიწყეს სომხეთსა და საქართველოში. მთლიანად თუ ვერ მიაღწიეს საწადელს, პოზიციები ცოტათი მაინც დაათმობინეს ქართველებს. ქრისტიანობა რომ არ დაეთმო, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე გურგენი, როგორც პროკოპი გადმოგვცემს, ჯერ ლაზეთში გაიქცა, შემდეგ კი, როცა სპარსელები დასავლეთ საქართველოს დაეპატრონენ, კონსტანტინოპოლში[3].

აი, რას ვკითხულობთ წმინდა ჰორმიზდასის ცხოვრებაში:

„ლაზებისა და კოლხების მეფე წათე ქრისტეს დაბადებიდან 522-ე წელს კონსტანტინოპოლში წავიდა, სადაც იუსტინე კეისარმა იგი

---

1 Guerre gothique, წიგნი IV, თავი 3, გამოც. Comparetti, ტ. III, Rome, 1905-8, გვ. 19—20. იხ. გეორგიკა, II, გვ. 134-135.

2 ლაზთა მეფე და ხალხი ქრისტეს რწმენას და მის შრომებს უნდა ზიარებოდა. Officia propria SS. Summorum Pontificum, 14 août.

3 De Bello Persico, გვ. 244.

ქრისტიანულ რწმენასა და ღვთისმოსაობას აზიარა. შემდეგ კი წათე ნათლობის წყლით განბანა"[1].

სავარაუდოა, ლაზების მეფეს უარი ეთქვა ქრისტიანობაზე სპარსთა მეფის კავადის დროს, რადგან კავადის ზეობისას ჩვენ ვხედავთ, რომ თავისი ინვესტიტურის მისაღებად ახალი ლაზი მეფე იძულებული იყო, სპარსეთში წასულიყო, ამავე დროს კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირა და მორჩილების ნიშნად სპარსთა კულტმსახურებაში მიეღო მონაწილეობა. მეფე წათე კონსტანტინოპოლს გაიქცა, რათა თავი აერიდებინა კერპთაყვანისმცემლობის ამ აქტისთვის, მამამისს კი ეს აქტი აღესრულებინა[2].

ამ კერპთაყვანისმცემელი მეფეების რიცხვი უნდა შევამციროთ ერთამდე, ან ორამდე მაინც, თორემ ძალიან გაგვიჭირდება ავხსნათ, იმპერიის სენატორები როგორ დათანხმდნენ, თავიანთი ქალიშვილები კერპთაყვანისმცემელი მეფეებისთვის მიეთხოვებინათ. პროკოპი მართლაც ამბობს:

„ძველად ლაზი მეფეები თავიანთ ელჩებს ბიზანტიაში აგზავნიდნენ და შუამავლების მეშვეობით, იმპერატორის განკარგულებით ზოგიერთი სინკლიტიკოსის ქალიშვილზე ქორწინდებოდნენ"[3].

პროკოპის წინა ციტატაში მხოლოდ მეფეზეა ლაპარაკი. რაც შეეხება ხალხს, არ შეიძლება დავეჭვდეთ, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ იუსტინიანესა და იუსტინეზე გაცილებით ადრე აღიარეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბიზანტიელი მწერლები დასავლეთ საქართველოს ერთნაირად უწოდებდნენ კოლხეთს, ლაზეთსა და აბაზგიას[4].

როგორც ჩანს, პროკოპი მაინც რაღაცნაირად განასხვავებს მათ. იგი ამბობს:

---

1 Ciaconius, Vitae et Gesta Romanorum Pontificum, Rome, 1677, ტ. I, გვ. 348, იხ. Baronius, Annal. Eccl., ტ. IX, 522 წელი, № XIX, გვ. 308; Migne, P.G., ტ. CXXXIV, სვ. 1228.

2 „წათე, ლაზთა მეფის ზამნაქსის ძე... სპარსეთის მეფესთან სიახლოვის გამო კი არა, არამედ, როგორც მორჩილი და წინასწარ დანიშნული მეფე, იძულებული იყო მოეწყოს სამსხვერპლო რიტუალი ყველა სპარსული კერპისათვის. ეს ამბავი კი მოხდა სპარსეთის მეფის კავადეს დროს, ძალაც რომ მეფური ჰქონოდა სპარსელებში, მას შემდეგ, რაც ლაზებმა შეასრულეს სიტყვა და სხვა მეფეს დაადგეს გვირგვინი, ასეთი სამსახურისათვის ლაზთა ტომებმა სპარსეთის მეფისაგან დახმარება მიიღეს". Chronicon Paschale (630 წ.), Migne, P.G., ტ. XCII, სვ. 670—1 და ტ. CVIII სვ. 393. იხ. გეორგიკა, IV, გვ. 11-12.

3 „ძველთაგანვე ლაზთა მეფეები ბიზანტიაში გზავნიდნენ ელჩებს მეფის აზრის გასაგებად, რჩევისათვის, თუ ვისი ქალები დაენათესავებინათ და მოეყვანათ ცოლად. გუბაზი რომაელი ქალის ჩამომავალი იყო". Procope, Guerre gothique, წიგნი IV, თავი 9, გამოც. Comparetti, ტ. III, გვ. 57.

4 „ლაზები კოლხებადაც იწოდებიან, ისინი მათთან არიან კავშირში". Agathiae Scolastici Historia, I, II; Migne, P.G., ტ. LXXXVIII, სვ. 1368.

„ქრისტიანი კოლხები თავიანთ მღვდლებს ლაზეთის ეპისკოპოსებისგან იღებდნენ“[1].

მაგრამ თუ პროკოპის ნაშრომებს მთლიანად გადავხედავთ, ვნახავთ,რომ იგი სრულიად არ განასხვავებს ამ ორ სახელს ერთმანეთისგან. პირიქით, გარკვევით ამბობს, სახელი კოლხი ლაზით შეიცვალაო[2].

პროკოპი ამტკიცებს, ლაზები ქრისტიანობის ყველაზე ერთგული დამცველები იყვნენო[3]. იუსტინიანეს მეფობის დროს ამ ხალხში ქრისტიანობის აყვავება შეიმჩნევა. იგივე ავტორი გადმოგვცემს, იუსტინიანემ მათ ძველი, თითქმის დანგრეული ეკლესია აღუდგინაო[4].

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ლაზებს იერუსალიმის ახლოს უკვე ჰქონდათ ძველი მონასტრები, რომლებიც ასევე იუსტინიანემ აღადგინა[5].

ეპისკოპოსების, ძველი ეკლესიებისა და მონასტრების არსებობა, ქრისტიანობის ასეთი აყვავება უდავოდ დროისა და საუკუნეების დიდ მონაკვეთს გულისხმობს. მაშასადამე, ვერც იუსტინიანესა და იუსტინეს მივაწერთ ამ ქვეყანაში ქრისტიანობის შემოტანას.

რაც შეეხება ზემოთ თქმულს, კერძოდ იმას, რომ იუსტინიანემ აბაზგებთან მღვდლები გააგზავნა, რათა ისინი ქრისტიანული რელიგიისთვის ეზიარებინა, სულაც არ იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, თითქოს ეს ხალხი ამ დრომდე წარმართი იყო და, იუსტინიანემ აზიარა ქრისტიანობას. საქმე განსაკუთრებულ შემთხვევას, ზემოთ ხსენებულ გაქრისტიანებულ მეფეს ეხება.

შეიძლება იქ ბატონობის დროს სპარსელებმა კერპთაყვანისმცემლობაზე მოაქციეს ზოგიერთი სოფელი, ან ამ რეგიონის ნაწილი და იუსტინიანემ ისინი მხოლოდ დაუბრუნა თავიანთ ძველ რელიგიას. პროკოპისთან მართლაც ვხედავთ, რომ რომაელების მიერ შევიწროებული აბაზგები იძულებულნი იყვნენ, სპარსელებს შეხიზნოდნენ[6].

---

1 „რადგან ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უნიშნავენ მათ მღვდელთმსახურებს“. Procope, იქვე. გვ. 11.

2 „კოლხები არ შეიძლება ლაზები არ იყვნენ, ვინაიდან მდინარე ფაზისის ახლოს მოსახლეობენ, ხოლო სახელი კოლხები, როგორც სხვა მრავალი ტომის სახელი, ახლა ლაზების სახელით შეიცვალა.“ იქვე, გვ. 6.

3 De Bello Persico, წიგნი II, თავი 28, გვ. 332.

4 De Aedif. წიგნი IV, თავი 7, გვ. 435. იხ. Agathiae Scolastici Historia, ტ. III; Migne, P.G., ტ. LXXXVIII, სვ. 1409.

5 აღდგა... იბერთა იერუსალიმში... ლაზების... იერუსალიმის უდაბნოში. Procope, იქვე, წიგნი V, თავი 9, გვ. 467.

6 აბაზგები... რომაელთა ძალას შეუშინდნენ და მალულად სპარსელებს შეუკავშირდნენ. Guerre gothique, წიგნი IV, თავი 9. გამოც. Comparetti, Rome, 1898, გვ. 58.

იგივე ავტორი გარკვევით ამტკიცებს, აგრეთვე, რომ ყველა ხალხი, რომლებზეც ლაზები ბატონობდნენ, უკვე დიდი ხნის გაქრისტიანებული იყო[1]. ყველა ზემოთ აღნიშნული საბუთისა და იმ სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც აქ არ მოგვყავს, რათა სიტყვა არ გაგვიგრძელდეს, დავასკვნით: კოლხეთის, ლაზეთისა და აბაზგიის სახელით ცნობილ დასავლეთ საქართველოში, V–VI საუკუნეებში ქრისტიანობა უკვე ყვაოდა და მისი აქ შეღწევა უფრო ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება.

## IX. – ჰერაკლე კეისრის მოსვლა საქართველოში

სპარსელები გამუდმებით უტევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და ხშირად თავიანთი ბატონობისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის აღდგენასაც ახერხებდნენ. ამიტომ წარმართობის მთლიანად და სამუდამოდ აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ქრისტიანობის სრული გამარჯვება მიეწერება ჰერაკლე კეისარს, რომელმაც შუაგულ სპარსეთამდე მიაღწია. მტრის ჯარზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მას აღარ გასჭირვებია ქრისტიანული ქვეყნების განთავისუფლება სპარსელთა უღლისაგან და მათი გაწმენდა დამღუპველი, ცრუ რწმენისაგან. საქართველოში ჰერაკლეს მოსვლის თარიღის დადგენა ადვილი არ არის: ავტორები ამ საკითხში ვერ თანხმდებიან. იგი აქ უნდა მოსულიყო 624-630 წლებს შორის. აი, რას გადმოგვცემს ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“.

„... და წარმოემართა სპარსეთად ძებნად ძელისა ცხოვრებისასა. და მოვიდა პირველად ქართლს,

სამცხეს და ესმა სასწაულთ-მოქმედება ხატისა მის, რომელი წმიდასა ღმრთისმშობელსა გამოესახა და მიეცა პირველწოდებულისა ანდრიასთჳს, და მას მოესვენა და დაესვენებინა მცირე ეკლესიასა შინა აწყურს. მოვიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყუანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლე აწყურს დიდი საყდრისა სამირკუელისა ჩაგდებად და შენებად, ვიდრემდის მიერითგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ, და მიერ შექმნეს საეპისკოპოსოდ...

ხოლო ერაკლე მეფე შევიდა სპარსეთს, და მოკლა ხუასრო მეფე, და წარიღო მადლადი, და წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა. უკუმოიარა გზა ქართლისაკე მეშვიდესა წელსა, რაჲთგან ჩაევლო. და ეკლესია ჯუარისა პატიოსნისა და სიონი ტფილისისა განესრულნეს ადარნასე ქართლისა მთავარსა.

მაშინ ერაკლე მეფემან ტფილისს, მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტეანენი ეკლესიას შევიდნენ, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის-მსახურნი, რომელნიცა არა მოინათლენ, მოისრენ, ხოლო მათ ნათლისღებაჲ არა ინებეს, არამედ ზაკვით აღერივნეს

---

1 იქვე, გვ. 23.

ქრისტეანეთა თანა, და მიაწიეს ყოველთა მათ ზედა მახვლი. და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს და განწმინდა სჯული ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა.

მაშინ ერაკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერქთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს კოსტანტინესგან მირიანისდა...“[1]

ჰერაკლეს გამოსვლამ ღრმა კვალი დააჩნია საქართველოს და ქართულ ეკლესიას მშვიდობა მოუტანა. ეკლესიამ ისარგებლა ამ სიმშვიდით, რათა ძალები მოეკრიბა და ახალი შეტევების შესახვედრად მომზადებულიყო.

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 225, 230—1. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955 წ., გვ. 224, 227-228.

# თავი X

## ქართველებისა და სომხების საეკლესიო განხეთქილება და საღვთო წერილის თარგმნა

შინაარსი. — I. სომხების უსაფუძვლო მტკიცება საქართველოს კათალიკოსის ხელდასხმასთან დაკავშირებით. — II. სიყალბე სიგელისა, რომელსაც პაპ სილვესტრს მიაწერენ. — III. ქართული ეკლესიის სომხეთის ეკლესიაზე დამოკიდებულების კვალის არარსებობა. —IV. ქართული ეკლესიის თავდაპირველი დამოკიდებულება ანტიოქიურზე. —V. სომეხი მწერლების მონათხრობი ქართველებისა და სომხების განყოფის შესახებ. —VI. ქართველი მწერლების მონათხრობი იმავე საკითხზე. — VII. განყოფა და ქართველთა და სომეხთა ურთიერთსიძულვილი. — VIII. კათალიკოს კვირიონის წერილი პაპ გრიგოლ I-ს. — IX. საქართველოს პირველი ქრისტიანებისთვის ბიბლიის თარგმნის აუცილებლობა. — X. საღვთო წერილის პირველი თარგმანები.— XI. შეუძლებელია დადგინდეს, რომელი ენიდან ითარგმნა საღვთო წერილი ქართულად. — XII. ქართული ბიბლიის უძველესი ხელნაწერები. — XIII. 1742 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული ბიბლიის ბოლოსიტყვა.

### I. — სომხების უსაფუძვლო მტკიცება საქართველოს კათალიკოსის ხელდასხმასთან დაკავშირებით

სანამ განყოფის შესახებ ვისაუბრებდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, განვმარტოთ ერთი საკითხი, რომელიც სომეხმა მწერლებმა დაამახინჯეს. საქმე ეხება საქართველოს სულიერი მამის ხელდასხმას. ეს ავტორები ეყრდნობიან მოსე ხორენელს, რომელიც ამტკიცებს, თითქოს წმინდა ნინოს და ქართველებს გაქრისტიანების შემდეგ წმინდა გრიგოლ განმანათლებლისთვის მოციქული გაუგზავნიათ, რათა მისგან მითითებები მიეღოთ და მღვდლებიც ეთხოვათ[1]. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ქართული ეკლესია სომხურზე იყო დამოკიდებული და რელიგიურ განყოფამდე სწორედ სომხები აძლევდნენ მას კათალიკოსს. აი საბუთი:

1 იხ. ზემოთ, თავი VIII, გვ. 171.

„ამის შედეგად, ვრთანესის უფროსმა ვაჟმა გრიგოლმა (343) ალბანელთა და იბერთა მხარეში საეპისკოპოსო ეპარქია დაიკავა“[1].

„პატრიარქმა, წმინდა საჰაკმა ქართველების ეპისკოპოსი კორიუნი აკურთხა და რწმენის გასავრცელებლად იბერების მხარეში გააგზავნა“[2].

მაგრამ ყველაზე მეტად ის გვაოცებს, რომ გამოჩენილი მწერლები იმ სომეხი ავტორების ლეგენდებს იმეორებენ, რომელთა ტენდენციურობა კარგად იციან. ამგვარად, კათოლიკური თეოლოგიის ლექსიკონში შემდეგს ვკითხულობთ:

„წმინდა გრიგოლის მიერ გაგზავნილი მისიონერებისგან გაქრისტიანებული ორი მეზობელი მხარის, საქართველოსა და ალბანეთის რელიგიურ წინამძღვრებს კათალიკოსის წოდება ჰქონდათ ისე, რომ სომხებს არასოდეს უფიქრიათ მათი სრული ავტონომია ეღიარებინათ. არისტაკესის გარდაცვალების შემდეგ მისმა უფროსმა ძმამ ვრთანესმა, რომელიც გრიგოლმა იბერებისა და ალბანების ეპისკოპოსად დანიშნა, მემკვიდრეობით მიიღო სომხეთის სამწყსო, რომელსაც მის მიერ დაარსებული იბერიის ეკლესია დაუკავშირა“[3].

თავს უფლებას ვაძლევთ, ავტორს შევახსენოთ, რას ამბობს თვითონ სომეხი ავტორების შესახებ სტატიის დასაწყისში:

„ეროვნული ისტორიკოსების მიხედვით, იქ სახარების საქადაგებლად რამდენიმე მოციქული ჩასულა; ზოგიერთი მათგანი იქვე აღესრულა კიდეც, როგორც, მაგალითად, წმინდა ბართლომე და თადეოზი. მაგრამ ეს ავტორები აჭარბებენ არმენიზაციაში და თავიანთი ერის ისტორიაში შეაქვთ მონაცემები, რასაც უბრალოდ არაფერი აქვს საერთო სომხურ მატიანეებთან... მოკლედ ის, რომ სომხებს სამოციქულო ტრადიციები ჰქონდათ, ეს მათგანვე მომდინარეობს. მათ სხვათა მომკილის ნარჩენების შეგროვება დაიწყეს და ზოგი რამის მისაკუთრებასაც შეეცადნენ“[4].

---

1 **Faustus de Byzance,** წიგნი III, თავი 5, dans la Collection des Historiens anciens et modernes de l'Arménie de V. Langlois, Paris, ტ. I, 1867, გვ. 213.

2 იქვე, ტ. II, გვ. 3. იხ. **P. Soukias Somal**, Quanro della Storia letteraria di Armenia, Venise, 1829, გვ. 56,112. ჟ. გალანო მოგვითხრობს შემდეგს: „ერთი სომხური ისტორიიდან ვიგებთ, რომ გეორგიანებმა სომეხთაგან განიმტკიცეს ქრისტიანული რელიგია ტყვე ქალის რჩევით. ორივე მეფესთან ელჩობა გაიგზავნა. ისინი მოითხოვდნენ მათთან კავშირს და წმ. სამღვდელოებისა და ეპისკოპოსის მიცემას... ხოლო სომხეთიდან (როგორც ამას თვითონ ამტკიცებენ) ეპისკოპოსმა გრიგოლმა მეფე თრდატის თანხმობით, მღვდელმსახურებად ასევე სომხები დააყენა. Conciliato Ecclesiae Armenae cum Romane, Rome, 1650, ტ. I, გვ. 21, 24. აქედანაც ნათელია, რომ ეს სომხების მიერ ნამდვილად შეთხზულია და არა ისტორიული ფაქტი. ეს რომ ასე ყოფილიყო, სხვა მწერლებსაც არ გამორჩებოდათ.

3 **A.Vacant,** Dictionnaire de Théologie catholique, Paris, 1903, ტ. I, სვ. 1893–4, სტატია Arménie, article du P.L. Petit.

4 იქვე, სვ. 1892.

არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ სამოციქულო ტრადიციებზე ასეთი ზუსტი მითითებით, არამედ უნდა განვავრცოთ იგი ბევრ სხვა მოვლენაზეც. გამოჩენილმა მეცნიერებმა, რომლებმაც სომეხი ისტორიკოსები შეისწავლეს, ხმამაღლა განაცხადეს, რომ მათ ჭარბმა პატრიოტიზმმა უბიძგა, ბევრ შემთხვევაში, არმენიზება მოეხდინათ და სხვათა სიკეთე მრავლად მიეთვისებინათ, მათ შორის ქართველების გაქრისტიანება და მათი ეკლესიების დაარსებაც კი (...).

აღარ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ აგათანგელოსის წიგნის ორიგინალის არსებობაში, რომელიც გაქრა და დაახლოებით ერთნახევარი საუკუნის შემდეგ შეცვალეს სხვა რედაქციით. ის კი სრულიად განსხვავდებოდა პირველისაგან. ისტორიულმა ელემენტმა ამ რედაქციაში ადგილი დაუთმო ლეგენდების მთელ სერიას, რომელიც შემდეგ ანონიმური ჰაგიოგრაფის მიერ იყო რედაქტირებული... ჩემი ეჭვები სომხური აგათანგელოსის და ბერძნული ტექსტების ავთენტიკურობის შესახებ უეჭველად დადასტურდა, რადგან ამჟამად მოგვეპოვება საბუთი, რომ თრდატის ისტორია, რომელსაც დღემდე ამ მეფის მდივანს მიაწერდნენ, არის ჰაგიოგრაფის ნაწარმოები, რომელმაც დღის სინათლე მხოლოდ მეშვიდე საუკუნეში იხილა[1].

VIII თავში უკვე ენახეთ, თუ რა უნდა ვიფიქროთ ცნობილი მოსე ხორენელის „ისტორიის" შესახებ . რაც შეეხება ფავსტოს ბიზანტიელის თხზულებას, მასში თავიდანვე შეამჩნიეს ცვლილებები. ჯერ კიდევ ლანგლუასთან ვკითხულობთ:

„ეს ისტორიკოსი (ლაზარე ფარპელი)... მაშინვე მიხვდა, რომ ფავსტოსის შრომამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და რომ ინტერპოლატორებისთვის არ იყო უცხო უვიცობა და მიკერძოებულობა; ეს კი მაშინვე შეიმჩნევა ამ მწერლის ისტორიაში. მოკლედ, სომხეთის ყველაზე ძველი პროზაიკოსების თხზულებების ასეთი გაყალბებები საკმაოდ ხშირია და კრიტიკამ უკვე აღნიშნა ის დამატებები და ცვლილებები, რომლენიც ისტორიულ ნაწარმოებებში მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული შეჰქონდათ"[2].

თვით ზოგიერთი სომეხი მწერალიც აცხადებს, რომ ფავსტოსის მთელი მონათხრობი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ არის უტყუარი და ნდობას არ იმსახურებს[3].

„ზენობის ისტორიამ, ისეთმა, რა სახითაც ჩვენამდე მოაღწია, ეტყობა, სერიოზული ცვლილებები განიცადა. როგორც ვიცით, ჩვენამდე

1 Langlois, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 101-103, იხ. იქვე გვ. 185, 192.

2 Langlois, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

3 იხ. Indjidjian, Archéologie arménienne, Venise, 1835, ტ. II, გვ. 185 (სომხურად); Tchamitch, Histoire d'Arménie, Venise, 1832, ტ. I, გვ. 11, (სომხურად).

მოღწეული უძველესი სომეხი მწერლების ნაწარმოებების ორიგინალების ასეთი შეცვლა ძალიან ხშირია“[1].

გვიანდელი ავტორების ნაწერების ფალსიფიკაციების ან ინტერპოლაციის მაჩვენებელი საბუთების ჩამოთვლა ზედმეტად მიგვაჩნია. ზემოთ თქმულის მიხედვით, მათზე თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ. თუკი სომეხმა ავტორებმა უყოყმანოდ მოახდინეს ყველაზე მნიშვნელოვანი და უძველესი ნაწარმოებების ფალსიკიფაცია, ინტერპოლაცია და ტრანსფორმაცია, რა თქმა უნდა, გვიანდელ და ნაკლები მნიშვნელობის ნაწარმოებებსაც არ დაზოგავდნენ.

არასომხების მიერ დაწერილი სომხების ისტორიები, როგორც მაგალითად, ფავსტოს ბიზანტიელისა, აღარ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უცხოელის ნაწარმოები; იგი სომხების შემოქმედებად უნდა ვიგულისხმოთ, ვინაიდან სომხებმა ეს თხზულებები შეცვალეს, სავსებით გადააკეთეს და თავისებურად შეთხზეს, მათი ნამდვილი ავტორებიდან მხოლოდ სახელიღა დარჩა.

სომეხმა ავტორებმა ძველი მწერლების თხზულებები, განსაკუთრებით საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, VI–VII საუკუნეებში გადააკეთეს. ამას თავიანთი პოზიციების გასაძლიერებლად ჩადიოდნენ. მოგვიანებით კი, უცხოელმა მწერლებმა რაც ეს სომხურად ჩამოსხმული ისტორიები წაიკითხეს, ისინი უბრალოდ გაიმეორეს. მაშასადამე, არც მათი ციტირება ცვლის საქმის ვითარებას[2].

ჩვენ სრული უფლებით ვფიქრობთ, რომ, ყოველნაირი ეჭვის გაფანტვის მიზნით თვით ამ ფალსიფიკატორებმა გააქრეს ძველი ისტორიკოსების პირველი წყაროები, რათა შემდეგ ერთობ გადაკეთებული სახით შემოეთავაზებინათ ისინი.

---

1 **Langlois,** დასახ. ნაშრომი, გვ. 336, — იხ. იქვე. გვ. 359, ტ. II, გვ. 19, 180.

2 ძალიან გვწყდება გული, რომ არ შეგვიძლია, აქ სანკტ-პეტერბურგის არმენისტი პროფესორის ნ. მარის მრავალრიცხოვანი შრომა განვიხილოთ. ეს ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ მეცნიერისთვის ერთი არასაკადრისი საქციელის შესახებ მაინც უნდა მოგახსენოთ: ნ. მარი ყველაფრის არმენიზაციას ახდენს: საქართველოს მიწის, მისი ძეგლების, ენის, ლიტერატურისა და სხვა... ისერიგად, რომ არმენიზაციაში ბევრით აჭარბებს სომეხ პატრიოტებს, თვით ყველაზე გადამეტებულსაც კი. ნამდვილად გულდასაწყვეტია, როცა ავტორი განზრახ აფუჭებს თავის მრავალრიცხოვან, აგრერიგად საინტერესო შრომებს.

ვინაიდან საქართველოს ძველი ისტორიის საკითხების გასაშუქებლად ნ. მარი ხშირად სომეხ ისტორიკოსებს ეყრდნობა, თავს უფლებას მივცემთ, მისთვის გვეჩვია, უპირველეს ყოვლისა, ამ ისტორიკოსების შრომები გაესუფთავებინა ყველა ინტერპოლაციისა და ფალსიფიკაციისაგან და ისინი რეალური ფაქტების უბრალო გამომხატველად ექცია. მხოლოდ ასეთი საშუალებით შეძლებდა ნ. მარი თავის ისტორიულ ძიებაში მათ გზამკვლევად გამოყენებას. ჩვენ მას კიდევ ვთხოვდით, ანგარიში გაეწია ვანისა და მისი შემოგარენის წარწერებისთვის, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნემდე სრულიად გამორიცხავენ სომხეთში სომხების (ჰაიების) არსებობას და მათ გავლენას. მხოლოდ ამ პირობით შეძლებდა იგი ნამდვილად მეცნიერული დასკვნების გამოტანას.

მსგავს დოკუმენტებზე დაყრდნობა მაინც არ შეიძლება და ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ისეთ საგნებს ეხება, რომელნიც სრულებით არ უკავშირდებიან ერთმანეთს.

სომხების მიერ საქართველოში მისიონერების გაგზავნის თაობაზე კი უკვე ვთქვით, რომ მაშინ ეს საქმე ვერ განხორციელდებოდა. ამ მისიონერებს, მართლაც სომხები იყვნენ ისინი, თუ სირიელები, იმდენი საქმე ჰქონდათ თვითონ სომხეთში, არ შეეძლოთ მას გასცლოდნენ, რადგან წმინდა გრიგოლის მიერ მოქცეული სომხები და მისი თანამედროვე მისიონერები ძალიან ცოტანი ბრძანდებოდნენ[1]. სომხეთში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო იყო. ამიტომ უდავოა, სომხებს არც ქართული ეკლესიის დაარსება შეეძლოთ და არც მისი დაკავშირება თავიანთ ეკლესიასთან. მათ ხომ საქართველოში მოსული ბიზანტიელი მისიონერების მომკილის შემდეგ შეაგროვეს ნარჩენები და ზოგიერთის მითვისებაც სცადეს. მათ არც ეპისკოპოსების დანიშვნა შეეძლოთ, არც, უფრო მოგვიანებით, მათი იქ გაგზავნა.

მართლაც, როგორც ჩანს, სომხები ბოროტად იყენებდნენ სიტყვა „იბერიის" მნიშვნელობას. თუ სომეხ ისტორიკოსებს დავუჯერებთ, წმინდა გრიგოლის შვილიშვილი, გრიგორისი კათალიკოსად უნდა გაეგზავნათ იბერებისა და ალბანელების ქვეყანაში, მასაგეტების მეზობლად და იმავე დროს, აზერბაიჯანის რაიონშიც[2]. აქ იბერია ნამდვილად არ უნდა გულისხმობდეს საქართველოს, რადგან მასაგეტებისა და აზერბაიჯანის ქვეყნებიდან, რომლებიც კასპიის ზღვის პირას მდებარეობენ, იგი ძალიან შორსაა; სომხური სიტყვები — „ვირქ", „ვერი", „ვერა", „ვერპინ", „ვრასტან", რომლებიც უბრალოდ ნიშნავს „ჩრდილოეთის მხარეს", „ზემო მხარეს", საკმაოდ ბუნდოვანია და შეიძლება არა მარტო საქართველოს, არამედ კიდევ ბევრ სხვა ადგილსაც მივუყენოთ იმის მიხედვით, თუ ავტორი რომელ წერტილში იმყოფება იმ ქვეყნის მიმართ, რომელზეც ლაპარაკობს. ამიტომ ეს საკმაოდ ფართო მნიშვნელობის გამოთქმები მაინცდამაინც საქართველოს არ უნდა ეხებოდეს ყოველთვის, არამედ ზოგჯერ სხვა პროვინციასაც, რომელსაც იმ დროს „ვირქს" უწოდებდნენ.

რაც შეეხება საქართველოსა და ალბანეთის კათალიკოსების კურთხევას სომხების მიერ, ამაში სიმართლეც არის და სიყალბეც; სიყალბეა იმიტომ, რომ ამ სახელწოდების პირველი უმაღლესი სასულიერო პირი იბერიაში მხოლოდ კონსტანტინეს მერე, 130 წლის შემდეგ გამოჩნდა; სიმართლე ისაა, რომ გრიგორისი, წმინდა გრიგოლის შვილიშვილი, ალბანეთისა და საქართველოს ნამდვილად პირველი

1 იხ. V. Langlois, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 223.

2 მისივე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213-4.

კათალიკოსი იყო, მხოლოდ სომხური საქართველოს, ანუ გუგარქის პროვინციის, ან ყოველ შემთხვევაში, ორი მოსაზღვრე სამეფოს შორის მდებარე, ხშირად სადავო ნაწილისა[1].

სომხეთის კათალიკოსი ნამდვილად ასე თუ ნიშნავდა ეპისკოპოსებს, ქართული ისტორია, ამას აუცილებლად აღნიშნავდა. საქართველოს ისტორიაში კი მხოლოდ ერთი შემთხვევაა ნახსენები. ძველი ქრონიკა — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, რომ საქართველოს მესამე არქიეპისკოპოსი იყო ვინმე იობი, რომელიც ადრე სომხების კათალიკოს ნერსეს დიაკვანი ყოფილა[2]. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ქრონიკას არ აკლდა არც ინტერპოლაციები და არც სომხების გავლენა განსაკუთრებით, მაგრამ თუნდაც ეღიარებინათ ეს ცნობა მთელი თავისი მნიშვნელობით, თამამად შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ სხვა მსგავს შემთხვევას აუცილებლად შემოგვინახავდა ისტორია. ეს ერთადერთი შემთხვევა კი ვერასოდეს შექმნის საკმარის საფუძველს, რათა იგი მოგვიანებით სომეხმა მწერლებმა თავიანთი ეკლესიის სასარგებლოდ გამოიყენონ. მაშასადამე, უდავოა, რომ ამ პირველ ხანებში სომხურ ეკლესიას არ შეეძლო ქართულ ეკლესიაზე რაიმე უფლება საკუთარი თავისთვის მიეწერა.

სომხეთის ეკლესიას რომ საქართველოსთვის საეკლესიო პირები დაენიშნა, პატრიარქებს, ან მსოფლიო კრებას იგი აუცილებლად რაიმე უფლებით უნდა აღეჭურვა, ანდა ისეთი პირობები ჰქონოდა, რომლებიც ამ უფლებას თვითონ, თავიანთი ბუნებით განაპირობებდნენ. ნებართვის საჭიროება მით უფრო იყო აუცილებელი, რომ ქართული ეკლესია არასოდეს ყოფილა სომხური ეკლესიის შემადგენელი ნაწილი და იურიდიულად ყოველთვის ცალკე ერთეული გახლდათ.

## II. – სიყალბე სიგელისა, რომელსაც პაპ სილვესტრს მიაწერენ

სომხებმა მალე იგრძნეს, რომ თავიანთი პრეტენზიების გასამყარებლად აუცილებლად უნდა შეეთხზათ შესაბამისი დოკუმენტები და მაშინვე იწყეს მოქმედება. ამ საქმეს ქვაკუთხედად დაედო პაპ სილვესტრის მიერ წმინდა გრიგოლ განმანათლებლისთვის მიცემული ცნობილი „კავშირის წიგნი“, დაწერილი გრიგოლის მეფე თრდატთან ერთად რომში მოგზაურობასთან დაკავშირებით. „წიგნი“ შეიცავს ყოველგვარ უფლებასა და პრივილეგიას, რაც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს. სომეხი მწერლების უმრავლესობა ყოველმხრივ ცდილობს, პაპის მიერ თითქოსდა ამ პრივილეგიებისა და უფლებების

1 Brosset, Voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, St.–Pétersbourg, 1849, III მოხსენება, გვ. 47.

2 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 23.

მინიჭების ავთენტიკურობას ჩაეჭიდოს[1]. იმასაც ბედავენ, რომ აცხადებენ, თითქოს „წიგნის“ დასაწერად მათ იესო ქრისტეს სისხლი, ე.ი. წირვისას ნაკურთხი ღვინო გამოეყენებინოთ[2]. მაგრამ ამის უარსაყოფად დოკუმენტის წაკითხვაც სავსებით საკმარისია. აი, ამ ცნობილი საბუთის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი:

„... ჩვენ კი სილვესტრომა, რომის უზენაესმა და მსოფლიო ეპისკოპოსმა, რაკი ვნახეთ, რომ ჩვენმა ყოვლადშემკულმა მეფემ, გვირგვინოსანმა იმპერატორმა კონსტანტინემ სომეხთა მეფე თრდატი და მთელი სომეხი ხალხი და მთელი სამეფო თავისი ძალებით განადიდა, უმაღლესი პატივი მოგვაგო, ჩვენც ასევე გულითადად განვუწყეთ ქრისტეს აღმსარებლის პატივსაცემად და ჩვენი თანაეპისკოპოსის გრიგორისის განსადიდებლად... და დავნიშნეთ იგი, მასთან ერთად, ყველა მისი მემკვიდრე, სომეხთა უმაღლესი პატრიარქი და გადავწყვიტეთ, რომ შემდგომ სომეხთა პატრიარქს დაენიშნა ქართველთა პატრიარქი, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა სხვა ეპისკოპოსთა ხელთდასხმისა იმ სომხეთში, ვინც გაფანტულად ცხოვრობენ სხვა ქრისტიანულ ტომებში. მაშინ ალბანელთა სამეფო იძულებული ხდებოდა, საკუთარ პატრიარქს დამორჩილებოდა, ვისაც ალბანიის მეფე დანიშნავდა, სომეხთა პატრიარქი კი მას წმინდანად შერაცხდა. გარდა ამისა, როცა სამი პატრიარქი, ე.ი. ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის, ახალ პატრიარქს დანიშნავდა, უნდა შეთანხმებოდნენ სომეხთა პატრიარქს და მისი სურვილიც უნდა გაეთვალისწინებინათ, ახლად არჩეული პატრიარქის რწმენის აღიარება,რაც მას ჩვენთვის უნდა გამოეცხადებინა, სომეხთა პატრიარქს გამოუცხადოს: შუა აზიის ამ მხარეშიც ჩვენი ნაცვალი გავამწესეთ... და იესო ქრისტეს უმანკო სისხლით ჩავწერეთ (დავადასტურეთ)...“[3].

ჩვეულებრივ, წმინდა გრიგოლისა და თრდატ მეფის რომში მოგზაურობას უბრალოდ იმ მიზეზით უარყოფენ, რომ არც ერთი ბერძენი და ლათინი მწერალი არ ლაპარაკობს ამის შესახებ[4]. მსგავსი

---

1 G. de Serpos, Compendio storico di memorie cronologiche, Venise, 1786, ტ. I, გვ. 328-356. იხ. J. Villotte, S.J.Dictionarium novum Latino–Armenum, Rome, 1714, გვ. 746.

2 Vartan, Histoire, Venise, 1862, გვ. 40 (სომხურად); Sarkissian, Topographie de l'Arménie Mineure et Majeure, Venise, 1864, გვ. 234 (სომხურად).

3 C.Galanus, Concilatio Ecclesiae Armenae cum Romana, ტ. I, გვ. 31-35.

4 „სავსებით შესაძლებელია, რომ ტირიტადეპ 324 წ. მთელი იმპერიის მპართველთან, კონსტანტინესთან მიირბინა, რათა ზავი და მეგობრობა განემტკიცებინა მასთან, ხოლო თუ ეს მართლა ასე იყო, უფრო სარწმუნოა, ან კეისრის, ან ნიკომიდიის, ან სხვა მცირე აზიის რომელიღაც ქალაქში ყოფილიყო მოლაპარაკება დასახელებულ პრინცეპსებთან და არა რომში... ყოველ შემთხვევაში, ის ალტაცება, როცა („წიგნის“ ავტორი) ამბობს, თითქოს თავად იხილა ყოველივე, ტყუილია, ამის გარდა, სხვასაც ბევრს ყვება აშკარად ზღაპრულ ამბებს“. Stiliting, Acta Sanctorum, სექტემბერი, Antverpiae, 1762, ტ. VIII, გვ. 402.

მოგზაურობა რომში შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. იგი აუცილებლად რაღაც კვალს დატოვებდა. ჩვენთვის მოგზაურობის სინამდვილესა თუ სიყალბეს მაინც არა აქვს დიდი მნიშვნელობა,რადგან ჭეშმარიტების გამოაშკარავების დროსაც „კავშირის წიგნს“[1] არაფერი უშველიდა, რადგან მისი სიყალბე ისე ცხადია, თვით შინაარსი მიგვანიშნებს, რომ ძალიან დიდი ხნის შემდეგ არის შეთხზული და შექმნილი.

შუა საუკუნეებში განზრახ შეთხზული მსგავსი საბუთის უარსაყოფად უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ 311-324 წლებში საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გაქრისტიანებული, ე.ი. იმ პერიოდში, როცა წმინდა გრიგოლის რომში მოგზაურობას ვარაუდობენ. მაშასადამე, პაპს არ შეეძლო ქართველების პატრიარქზე ლაპარაკი. VI საუკუნის დამლევამდე საქართველოს თავისი პატრიარქი, ან უფრო ზუსტად, კათალიკოსი არ ჰყოლია.

მართლაც, ეს ცნობილი „წიგნი“ სომხეთის კათალიკოსს რას ანიჭებს, თუ არა აღმოსავლეთის სამ სხვა პატრიარქთან პრივილეგიების თანასწორობას. წმინდა გრიგოლ განმანათლებელს წმინდა სილვესტერ I -ის ზეობის დროს (314-335) უნდა ემოგზაურა რომში. მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ იყო ლაპარაკი აღმოსავლეთის პატრიარქებზე იმ მნიშვნელობით, როგორც ეს შუა საუკუნეებში ესმოდათ. და რაღაც ორმოცდაათი წლის შემდეგ, 381 წელსაც კი, როცა მეორე მსოფლიო კრებამ (კონსტანტინოპოლის — პირველმა) დამსწრეთ ნიკეის მეექვსე კანონი განუმარტა, დასავლეთის გარდა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხუთი მხარე დაადგინა: ეგვიპტე (ცენტრი ალექსანდრია), აღმოსავლეთი (ცენტრი ანატოლია), აზია (ცენტრი ეფესო), პონტო (ცენტრი კესარია) და თრაკია (ცენტრი ჰერაკლეა). ეს ცნობა გვიხსნის სწორედ იმას, თუ სომხური ეკლესიის კათალიკოსი როგორ იყო დამოკიდებული პონტოს ეგზარქოსის, კაპადოკიის კეისრის მიტროპოლიტზე მანამ, სანამ მართლმადიდებლურ ეკლესიას გამოეყოფოდა. საპატრიარქოები შედარებით უფრო გვიან გაჩნდა. მეტიც, ფრაზა:

„მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს სხვა ეპისკოპოსთა დანიშვნისა იმ სომხეთში, რომელშიც გაფანტულად ცხოვრობენ სხვა ქრისტიანულ ტომებში“,

აშკარად ეწინააღმდეგება ადრინდელი ქრისტიანობის მთელ დარგს.

---

1 ეს (ასე დაწყებული მოლაპარაკება-კავშირი) რომ ტყუილია და რომელიღაც სოფელი მატყუარის მიერ არის საგანგებოდ შეთითხნილი, ამის აღმოჩენა არ არის ძნელი, თუ რომელიმე განათლებული პიროვნება თუნდაც ზომიერი კრიტიკით განსჯის მას. პრივილეგია, რომელსაც ეთითმცდა რომის პაპი წმინდა გრიგოლს ანიჭებდა, სინამდვილის მარცვალსაც კი არ უნდა შეიცავდეს. სასაცილოც კი არის ბიოგრაფის მონაჭორი... ასეთი ბევრი აქვს მას... რადგან ამ ისტორიაში არაფერია ნათქვამი რომის პაპის მიერ სომხური ეკლესიისათვის პრივილეგიის მინიჭებაზე. ეს მონაჭორი, გალანოს სომხეთის ისტორიაში რომ წერია, ახალი ჩართულია (იქვე, გვ. 401).

ეკლესია კანონმდებლობით არასოდეს დათანხმებულა ეპისკოპოსების სიმრავლეზე. ისინი იმ სისტემას მისდევდნენ, რომელიც მოჰყვა ერესებსა და სქიზმებს, რასაც რომის ეკლესია მხოლოდ დიდი ტკივილების თავიდან ასაცდენად იტანს და იტანდა. ვერც პაპების მიმოწერაში ვხვდებით რაიმე კვალს სომხეთის კათალიკოსისთვის ამ საშწყსოს, ან ამ სამოციქულო უფლების მინიჭების თაობაზე, მაშინ, როცა აქ დიდი რაოდენობითაა ცნობები თესალიის მიტროპოლიტზე, რომელიც მთელი ილირიად წოდებული მხარის მოციქულებრივი მწყემსი იყო. წმინდა სილვესტრის ე.წ. „კავშირის წიგნი" ჯვაროსნების ეპოქაში უნდა შექმნილიყო, იმ დროს, როცა სომხები ახალ ეკლესიასთან ნაზიარებნი, ცდილობდნენ, ლათინური აღმოსავლეთის იერარქიაში საპატიო ადგილი დაეკავებინათ.

მოკლედ, ჩვენ სრულ სიყალბედ მიგვაჩნია ამ მწერლების მტკიცებანი ქართული ეკლესიის ეპისკოპოსების დანიშვნისა და კურთხევის შესახებ.

თუ ასეთი რამ ნამდვილად იყო, ეს რაღაც ცალკეული, რომელიღაც შორეულ პროვინციაში მომხდარი შემთხვევა უნდა ყოფილიყო, ისეთ პროვინციაში, რომელსაც ხან ქართველები ეპატრონებოდნენ და ხან სომხები.

## III. – ქართული ეკლესიის სომხურ ეკლესიაზე დამოკიდებულების კვალის არარსებობა

თუ საქართველოს ეკლესიაზე სომხური ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა საეკლესიო განხეთქილებამდე, ამ დამოკიდებულებას აუცილებლად რაღაც კვალი უნდა დაეტოვებინა. ჩვენ კი ვერავითარ ნიშანს ვერ ვხედავთ. სომხური ეკლესიის კრებების აქტებისა და კანონების უმრავლესობამ ჩვენამდე მოაღწია. გვაქვს, მაგალითად, თვით წმინდა გრიგოლის ოცდაათი კანონი; საჰაკ კათალიკოსმა (IV ს.) 53 კანონი და 55 დისციპლინარული ინსტრუქცია დაგვიტოვა ყველანაირი პიროვნებისა და შემთხვევისათვის; გვაქვს იმავე საუკუნის 20 სხვა კანონი და კათალიკოს იოანე მანდაკუნის (V ს.) 9 კანონი; იოანე მესვეტის კანონების კრებული საჰაკ კათალიკოსისა და მისი თანამედროვე ეპისკოპოსების პასუხებით; შემდეგ მოდის ნერსე კათალიკოსისა და ნერშაპუჰ ეპისკოპოსის (VI ს.) 69 კანონი[1]. მთელი ამ აქტებისა და კანონების გულდასმით გადასინჯვის შედეგად ჩვენ ვერ შევხვდით ვერავითარ მინიშნებას ქართული ეკლესიის, მისი ეპისკოპოსების ან

1 A. Mai, Scriptorum Veterum Nova collectio, Romae, ტ. X, 1838, pars secunda, გვ. 269–316. — იხ. P.Mansi, Sacrorum Conciliorum Collectio, ტ. XXV, Venise, 1782, გვ. 1188-1270.

სამწყსოს შესახებ; და ეს მაშინ, როცა იქ ლაპარაკია ყველანაირ საკითხზე, რომლებიც ეხება ეპისკოპოსებს, სამწყსოს, წესებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ეკლესიასთან, ან საერთოდ სასულიერო საკითხებთან აქვს კავშირი. სომხურ ეკლესიას ბევრჯერ ექნებოდა შემთხვევა იქ რაღაცნაირად მოეხსენიებინა ქართული ეკლესია თავისი წესებითა და იერარქიით. ხოლო მოუხსენებლობა აშკარად ამტკიცებს, რომ ქართული ეკლესია სრულებით არ იყო სომხურ ეკლესიასა და მის იურისდიქციაზე დამოკიდებული. მაშასადამე, სომხური ეკლესია ვერ შეძლებდა მისი სულიერი მწყემსის დანიშვნას.

მოსე ხორენელი გადმოგვცემს, თითქოს მეფე თრდატმა ალბანეთში, ანუ ალვანში ეპისკოპოსად გააგზავნა წმინდა გრიგოლის შვილიშვილი გრიგოლი[1]. თუმცა ალბანეთი და საქართველო ძალიან განსხვავებული ქვეყნებია, მწერლები მათ მაინც ხშირად ურევენ ერთმანეთში[2].

არ გამოვრიცხავთ, რომ რომელიმე უცხოელ მწერალს VII საუკუნეში წმინდა გრიგოლის მოციქულების მიერ საქართველოს მოქცევაზე ისე ელაპარაკოს, როგორც ამას VII საუკუნეში სირიულად დაწერილი და ამ ცოტა ხნის წინ აღმოჩენილი „წმინდა გრიგოლის ცხოვრება" ამტკიცებს. მაგრამ უეჭველია, მათ უბრალოდ გადაიწერეს სომეხი მწერლების მონათხრობი, ამასვე ვიტყვით ზოგიერთი ქართველი მწერლის შესახებ, რომლებმაც იგივე დაწერეს. მოკლედ, ზემოთ უკვე ავხსენით, თუ რა უნდა ვიფიქროთ ძველი სომეხი ავტორების შესახებ და რა ღირებულება უნდა მიენიჭოს მათ ნაწერებს ამ საკითხზე.

არც ის შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულ ეკლესიას, სომხურის გამოყოფის შემდეგ, ანტიოქიის ეკლესიისათვის ეთხოვა დახმარება მასზე დაქვემდებარების მიზნით; განა სომხური ეკლესიის მსგავსად არ შეეძლო ქართულ ეკლესიასაც დამოუკიდებლად დარჩენილიყო? თუკი წინათ არ ემორჩილებოდა ანტიოქიას, ახლა რატომღა უნდა დაქვემდებარებოდა? თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისე ძვირფასია, მხოლოდ აუცილებლობის გამო შეელევი, როცა სხვა გამოსავალი აღარ არის. განხეთქილების ჟამს ქართული ეკლესია უკვე საფუძვლიანად ჩამოყალიბებული და ორგანიზებული ყოფილა. მაშასადამე, არავითარი საჭიროება არ ექნებოდა, უარი ეთქვა თავის დამოუკიდებლობაზე და სხვას დაქვემდებარებოდა; მეორე მხრივ, არც ანტიოქიის ეკლესიას და არც სხვა ვინმეს ჰქონდა უფლება ქართული ეკლესიისგან მორჩილება ან დაქვემდებარება მოეთხოვა, თუკი ამ ეკლესიას რაღაც წვლილი არ მიუძღოდა მის შექმნაში.

ამ შენიშვნების გარდა, გვაქვს პოზიტიური საბუთი, პაპის წერილი

---

1 Moïse de Khorène, Histoire de l'Arménie, წიგნი III, თავი 3.

2 იხ. A. Mai, დასახ. ნაშრომი, Romae, 1832, ტ.VI, გვ. XXV.

წმინდა გრიგოლისადმი, რომელსაც ქვევით შევეხებით. ამ წერილიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მწყემსმა განხეთქილების შემდეგ დახმარება სთხოვა არა ანტიოქიას, როგორც უნდა მოქცეულიყო, არამედ პაპს, რომლისგანაც კათოლიკე დოქტრინის სწავლებასა და ახსნას ითხოვდა.

## IV. – ქართული ეკლესიის თავდაპირველი დამოკიდებულება ანტიოქიურზე

ქართული ეკლესიის მყარი ტრადიციაა ის, რომ საქართველოში პირველი მღვდლები კონსტანტინოპოლიდან მოვიდნენ; რომ ისინი ეკუთვნოდნენ ანტიოქიის საეგზარქოსოს ან კონსტანტინოპოლის ეპარქიას; რომ ამ უკანასკნელის უმაღლესი იერარქი, რომელმაც არქიეპისკოპოსის წოდება მიიღო, უშუალოდ ორონტის სანაპიროების პატრიარქს ემორჩილებოდა და რომ დიდი ხნის განმავლობაში ქართული ეკლესიის პირველი იერარქები ყოველთვის ამ ორი ქვეყნიდან მოდიოდნენ[1]. ყველა ბიზანტიელი მწერალი ეთანხმება ამ ტრადიციას. ვახტანგის დროს ქართულ ეკლესიას არქიეპისკოპოსის ნაცვლად კათალიკოსი დაუნიშნეს და მოგვიანებით, როგორც უკვე ენახეთ (თავი IX), იგი ავტოკეფალური და დამოუკიდებელი გახდა. მიუხედავად ამისა, ქართული ეკლესია ვალდებული იყო, თავისი კათალიკოსი ანტიოქიაში ეკურთხებინა[2]. მხოლოდ VIII საუკუნეში მიაღწია მან სრულ დამოუკიდებლობას, იმის უფლება ენიჭებოდა, რომ საქართველოშივე ეკურთხებინა კათალიკოსი.

ამგვარად, სომეხი მწერლების მტკიცებები ქართული ეკლესიის მეთაურების დანიშვნისა და კურთხევის შესახებ უეჭველად ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს, ამავე ეკლესიის ტრადიციას და ყველაზე

1 „ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესია ნიკეის კრების დროისათვის უნდა წარმოქმნილიყო; იგი ეკუთვნის ანტიოქიის საპატრიარქოს. გარდა ამისა, IV საუკუნის დასაწყისიდან ანტიოქიიდან ეპისკოპოსი პირველად საქართველოში მიდიოდა". H. Matagne, Acta Sanctorum, Oct., ტ. XII, Paris, 1867, გვ. 642. Le Moyne, Varia Sacra, Lyon, 1685, ტ. I, გვ. 219.

2 თეატინელი მისიონერი კლემენტე გალანო, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა სომხური ეკლესია, ქართველი კათალიკოსის შესახებ წერდა: „მათ ჰყავთ თავისივე ერის წარმომადგენელი პატრიარქი, რომელიც წინამძღვრად მიიჩნევს ანტიოქიის პატრიარქს, როგორც აღმოსავლეთის უშუალო მიტროპოლიტს მათი გაქრისტიანებიდან მოყოლებული. ეს წმინდა ქრისტიანი ქალის დამსახურებაა, რომელიც მათ თავიანთ მოციქულად ცნეს. ადვილია აგრეთვე პატრიარქების, ქართველი და მეგრელი მეფეების დარწმუნება, რომ რომის ეპისკოპოსისათვის, როგორც ეკლესიის საყოველთაო თავისთვის, გაეგზავნათ თავიანთი თავაზიანი წერილები და ელჩები; კრძალვით არიან განწყობილები არა მარტო ურბანო VIII-ის, არამედ ინოკენტი X-ის მიმართაც. თუმცა მათ სიძნელეებს უქმნის ის, რომ თავიანთ უშუალო წინამძღვრად არ ცნობენ ბერძენ პატრიარქებს, რომელთაც სულ თავიდან ექვემდებარებოდნენ". Arch. de la Prop., Asia–Cipro, ტ. CCX, გვ. 33.

სერიოზულ და ავტორიტეტულ მწერლებს, როგორებიცაა რუფინუსი, თეოდორიტე და სხვები.

ჩვენ თემას არ ეხება გამოკვლევა იმისა, თუ რა იყო სომხური ეკლესიის დოქტრინა V საუკუნეში და ნამდვილად აღიარებდა, თუ არა იგი მსოფლიო კრებების მიერ დაგმობილ ერესს. ჩვენთვის საკმარისია ისტორიული ფაქტის დაფიქსირება, რომ ქალკედონის კრების შედეგად სომხური ეკლესია გამოეყო მსოფლიო ეკლესიას.

## V. – სომეხი მწერლების მონათხრობი ქართველებისა და სომხების განყოფის შესახებ

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება იმ პერიოდის თანამედროვე ავტორების მონათხრობი ქართველებისა და სომხების განყოფის დროს მათ შორის ამტყდარი კამათის შესახებ. იძულებული ვართ, X საუკუნის ავტორებს მივმართოთ.

სომეხი ავტორები, რომელთა შორისაც უხტანესი (X ს) გამოირჩევა, ქართველებისაგან სრულიად განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან ამ საკითხის შესახებ. ისინი ქართველებს ადანაშაულებენ და მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ არაარსებით საკითხებს. სომეხი ისტორიკოსი ჩამჩიანი შემდეგნაირად აჯამებს იმას, რასაც სომეხი ავტორები განყოფის შესახებ ამბობენ:

„სომეხი პატრიარქის მიერ საქართველოს კათალიკოსად ხელდასხმულმა კირიონმა სომეხი კათალიკოსის ნებართვის გარეშე, რომელზეც დამოკიდებული იყო, საეპისკოპოსო უბოძა კისს, მარმაროსთა და ნესტორიანთა მღვდელს. კირიონმა ბრძანება გასცა, რომ ლიტურგია ქართულ ენაზე შეესრულებინათ.

ამან აღაშფოთა სომხების პატრიარქი მოსე, რომელმაც მას მისწერა, განეგდოთ ნესტორიანი ეპისკოპოსი და სომხების, ქართველებისა და ალბანელების მიერ შეწყნარებული რწმენა ხელშეუხებლად დაეცვათ. კირიონმა თითქოს მოუსმინა მის რჩევებს, მაგრამ მაინც სრულიად სხვაგვარად მოიქცა. მოსე ამრაამმა შეცვალა. მანაც მისწერა კირიონს, სთხოვდა, განხეთქილების მიზეზი არ გამხდარიყო, მაგრამ მიმოწერა გამწვავდა და რაკი ხოსროს, პეროზსა და მავრიკეს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად სპარსელებმა და ბიზანტიელებმა სომხეთი გაიყვეს, კირიონმა ამით ისარგებლა და სომხებს გამოეყო. ალბანელები კი, რომელთაც არ უნდოდათ ამ დავაში მონაწილეობის მიღება, სომხებთან დარჩნენ შეერთებულები. სწორედ მაშინ, 596 წელს კათალიკოსმა ამრაამმა კრება მოიწვია დვინში და კირიონი ანათემას გადასცა“[1].

1 Tchamitch, Histoire d'Arménie, Venise, 1784, ტ.II, გვ. 301 და ა.შ., (სომხურად).

ეს იმ ტაქტიკის ზუსტი განხორციელებაა, რომელიც ყოველთვის ჰქონდათ ერესების მიმდევრებს: თავიანთი მოქმედების გამართლებისა და შეცდომების შენიღბვის მიზნით ერეტიკოსობას მიაწერდნენ იმათ, ვინც მართლმადიდებელი იყო, და თან არასერიოზულ მოტივებს ასახელებდნენ. ამგვარად, სომხები ნესტორიანებს უწოდებდნენ ყველა მოწინააღმდეგეს, ვინც ქალკედონის კრების განსაზღვრებები შეიწყნარა, მიუხედავად იმისა, აღიარებდნენ თუ არა ქალკედონის კრებას.

რაც შეეხება ქართველთა კათალიკოსის ხელთდასხმას და კურთხევას სომეხთა კათალიკოსის მიერ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ეკლესიაზე სომხების უფლებას არაფერი ადასტურებს, რადგან ტრადიცია და ყველაზე საპატიო, მიუკერძოებელი ავტორები სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ.

მაგრამ ყველაზე საინტერესოა სომეხ ავტორთა მტკიცება, თითქოს სომეხთა კათალიკოსი შეურაცხყოფილი დარჩენილა, ქართველთა კათალიკოსის ბრძანებით წირვის ქართულ ენაზე შესრულების თაობაზე. ამით მათ უეჭველად უნდათ გვაცნობონ სომხური ენის გამოდევნის ამბავი. სხვანაირად, სომეხთა კათალიკოსის უკმაყოფილება უსაფუძვლო იქნებოდა.

ჩვენ ნამდვილად არ შეგვიძლია ლიტურგიაში ქართული ენის შემოსვლის ზუსტი დროის დადგენა, მაგრამ ეჭვგარეშეა, სომხური ენა ქართულ ეკლესიაში არასოდეს ყოფილა გამოყენებული, რადგან ამ ქვეყანაში ქრისტიანობის შემოსვლისთანავე საფუძვლიანად დამკვიდრდა ბიზანტიური ლიტურგია (რომელიც ბერძნულ ენაზე სრულდებოდა) და შემდეგ აღარასოდეს გამქრალა. მაშასადამე, პირველ საუკუნეებში ბერძნული უნდა ყოფილიყო ლიტურგიის ენა მანამ, სანამ ქართული შეძლებდა მის შეცვლას. თუკი რაღაც გამონაკლისი იყო, ეს სირიული ენა იქნებოდა სირიელი მისიონერების გამო, რომლებმაც ამ ეკლესიას თავიანთი სამოციქულო ღვაწლით სახელი გაუთქვეს. სომეხი ავტორების მონათხრობი ფიქციაა. ჩვენ მხოლოდ იმაში შეგვიძლია დავეთანხმოთ მათ, რომ მას შემდეგ, რაც ქართლის კათალიკოსმა კირიონმა (რომელიც, ალბათ, 572-598 წლებში ზეობდა) სომხების „კიურიონმა", ლათინების „კვირინუს" - „კვირიკუს"-მა ნახა, რომ სომხები ქალკედონის კრებას უარყოფდნენ, ხოლო სამწმიდაობას უმატებდნენ სიტყვებს — „რომელიც ჯვარს ეცვი ჩვენთვის", იგი სომხების კათალიკოსებს ნამდვილად წინ აღუდგა. მათ ეკამათებოდა არა დისციპლინის საკითხებზე, არამედ მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო. ამ ორი ეკლესიის უთანხმოების დაწვრილებითი ცნობები ისტორიისათვის უეჭველად საინტერესო იქნებოდა, მაგრამ უტყუარი საბუთები არ მოგვეპოვება. მართალია, სომეხი მწერლები, განსაკუთრებით კი უხტანესი, გულმოდგინედ ყვებიან ამ ამბავს, მაგრამ აშკარა მიკერძოებულობის გამო თავისუფლად შეგვიძლია, მათ ანგარიში არ გავუწიოთ.

## VI. — ქართველი მწერლების მონათხრობი იმავე საკითხზე

ჩვენ მხოლოდ ერთი პატარა ისტორია გვაქვს სომეხ-ქართველთა განყოფის თაობაზე, დაწერილია X ს-ში ქართველი კათალიკოსის არსენ II-ის (946—976) მიერ; ეს ისტორია ცოტა ბუნდოვნად, მაგრამ მაინც თითქმის ყველა დეტალს მოიცავს ამ განხეთქილების ვითარებისა და მიზეზების შესახებ[1]. ოღონდ ქართველებზე ძალიან ცოტაა მასში ნათქვამი. ამიტომ შემდეგი ცნობებით დავკმაყოფილდებით:

„ⴋ. ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴈⴞⴈⴊⴄⴑ ⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴇⴀ ⴃⴀ ⴠⴄⴐⴇⴀ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴋⴀⴌ ⴉⴣⴐⴈⴍⴌ ⴋⴚⴞⴄⴇⴈⴑⴀⴋⴀⴌ, ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴤⴄⴊⴈⴇⴀ ⴀⴁⴃⴈⴘⴍ ⴀⴑⴓⴐⴈⴑⴀⴇⴀ ⴉⴐⴄⴁⴀ ⴗⴅⴄⴑ ⴑⴍⴋⴄⴞⴇⴀ ⴕⴓⴄⴗⴀⴌⴀⴑⴀ ⴃⴅⴈⴌⴑⴀ ⴃⴀ ⴘⴄⴙⴓⴄⴌⴄⴁⴈⴇ ⴂⴀⴌⴃⴂⴄⴑ ⴀⴖⴑⴀⴐⴄⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴜⴋⴈⴌⴃⴈⴑⴀ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴂⴀⴌⴄⴗⴄⴌⴌⴄⴑ ⴍⴇⴞⴇⴀ ⴑⴀⴎⴀⴒⴐⴈⴀⴐⴕⴍⴇⴀⴂⴀⴌ ⴃⴀ ⴂⴀⴐⴃⴀⴀⴕⴚⴈⴄⴑ ⴀⴖⴇⴕⴋⴀⴢ ⴈⴂⴈ, ⴐⴍⴋⴄⴊⴈ ⴃⴀⴓⴃⴅⴀ ⴜⴋⴈⴃⴀⴋⴀⴌ ⴂⴐⴈⴂⴍⴊⴈ ⴉⴄⴑⴀⴐⴈⴀ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴈⴑⴀ ⴓⴉⴓⴌⴈⴑⴀⴋⴃⴄ ⴀⴐⴀ ⴂⴀⴌⴘⴍⴐⴄⴁⴀⴢ ⴋⴈⴑⴂⴀⴌ ⴤⴄⴊⴇⴃⴀⴑⴞⴋⴀⴢ ⴄⴁⴈⴑⴉⴍⴎⴍⴑⴍⴁⴈⴑⴀ ⴑⴍⴋⴞⴈⴇⴈⴑⴀⴢ: ⴃ: ⴃⴀ ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴑⴍⴋⴞⴈⴇⴋⴀⴌ ⴁⴐⴛⴀⴌⴄⴁⴀ ⴋⴈⴈⴖⴍ ⴑⴎⴀⴐⴑⴇⴀ ⴋⴄⴔⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴤⴄⴊⴇⴃⴀⴑⴞⴋⴀⴢ ⴄⴁⴈⴑⴉⴍⴎⴍⴑⴍⴁⴈⴑⴀ ⴇⴀⴅⴈⴇ ⴇⴣⴑⴈⴇ. ⴄⴑⴄ ⴐⴀⴢ ⴚⴌⴄⴑ ⴝⴄⴘⴋⴀⴐⴈⴒⴀⴃ ⴉⴣⴐⴈⴍⴌ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴋⴀⴌ, ⴀⴁⴀⴆ ⴠⴄⴐⴇⴀ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴋⴀⴌ ⴃⴀ ⴈⴕⴋⴌⴀ ⴚⴈⴊⴍⴁⴀⴢ ⴃⴈⴃⴈ ⴘⴍⴐⴈⴑ ⴑⴍⴋⴞⴈⴇⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴕⴀⴐⴇⴊⴈⴑⴀ. ⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴌⴈ ⴄⴒⴗⴍⴃⴄⴑ, ⴅⴈⴇⴀⴐⴋⴄⴃ ⴜⴋⴈⴃⴀⴋⴀⴌ ⴂⴐⴈⴂⴍⴊⴈ ⴑⴀⴋⴄⴐⴛⴌⴄⴇⴈⴇ ⴋⴍⴂⴓⴚⴀ ⴙⴓⴄⴌ ⴑⴀⴐⴜⴋⴓⴌⴍⴄⴁⴀⴢ, ⴐⴍⴋⴄⴊⴈ ⴇⴕⴓⴄⴌ ⴃⴀⴓⴒⴄⴅⴄⴇ ⴀⴖⴑⴀⴐⴄⴁⴀ ⴋⴈⴑⴈ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴃⴀ ⴃⴀⴄⴋⴍⴐⴙⴈⴊⴄⴌⴈⴇ ⴀⴁⴃⴈⴘⴍⴑ ⴀⴑⴓⴐⴑⴀ ⴃⴀ ⴑⴞⴓⴀⴇⴀ ⴁⴍⴐⴍⴒⴀⴃ ⴋⴜⴅⴀⴊⴄⴁⴄⴊⴇⴀ ⴃⴀ ⴑⴄⴐⴀⴁⴈⴌⴇⴀ ⴈⴂⴈ ⴑⴀⴋⴜⴋⴈⴌⴃⴀⴀⴐⴑⴍⴁⴈⴇ ⴃⴈⴃⴄⴁⴈⴑ ⴋⴄⴒⴗⴄⴊⴄⴁⴀⴢ ⴘⴄⴀⴘⴔⴍⴇⴄⴇ ⴃⴀ ⴓⴉⴍⴐⴚⴍⴑⴀ, ⴂⴀⴋⴍⴓⴇⴕⴋⴄⴊⴑⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀⴑⴀ ⴑⴀⴋⴄⴁⴀⴑⴀ ⴘⴍⴐⴈⴑ ⴠⴕⴀⴃⴀⴂⴄⴇ ⴟⴓⴀⴐⴈ ⴃⴀ ⴅⴌⴄⴁⴀⴢ ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴑⴀⴁⴄⴊⴈⴀⴌⴍⴆⴇⴀ ⴃⴀ ⴈⴕⴋⴄⴌⴌⴈⴇ ⴋⴍⴜⴀⴔⴄ ⴁⴍⴐⴍⴒⴇⴀ ⴋⴍⴛⴖⴓⴀⴐⴇⴀ ⴃⴀ ⴀⴐⴀ ⴃⴀⴄⴋⴍⴐⴙⴈⴊⴄⴌⴈⴇ ⴑⴀⴐⴜⴋⴓⴌⴍⴄⴁⴀⴑⴀ ⴜⴋⴈⴃⴈⴑⴀ ⴂⴐⴈⴂⴍⴊⴈⴑⴑⴀ ⴃⴀ ⴀⴙⴄⴋⴄⴇ ⴅⴌⴄⴁⴀⴢ ⴓⴅⴌⴄⴁⴄⴊⴑⴀ ⴑⴀⴋⴄⴁⴀⴑⴀ, ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴋⴍⴂⴚⴀ ⴂⴀⴌⴚⴍⴔⴄⴁⴓⴊⴋⴀⴌ ⴋⴉⴀⴜⴅⴐⴄⴊⴋⴀⴌ ⴎⴄⴒⴐⴍⴆ ⴀⴌⴒⴈⴍⴕⴄⴊⴋⴀⴌ. ⴋⴀⴘⴈⴌ ⴑⴍⴋⴄⴞⴇⴀ[2] ⴘⴄⴀⴑⴋⴈⴌⴄⴑ ⴕⴀⴐⴇⴊⴈ ⴋⴄⴔⴄⴑⴀ ⴇⴀⴌⴀ ⴑⴎⴀⴐⴑⴇⴀⴑⴀ, ⴅⴈⴇⴀⴐⴋⴄⴃ ⴠⴐⴍⴋⴇⴀ ⴓⴎⴗⴐⴈⴀ ⴑⴀⴐⴜⴋⴓⴌⴍⴄⴁⴀⴢ ⴃⴀ ⴄⴑⴄ ⴚⴈⴊⴍⴁⴀ ⴈⴗⴍ ⴘⴍⴐⴈⴑ ⴑⴍⴋⴄⴞⴇⴀ ⴃⴀ ⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴇⴀⴢ ⴃⴖⴄⴇⴀ ⴌⴄⴐⴑⴄ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴈⴑⴀ ⴑⴍⴋⴄⴞⴇⴀⴑⴀ. ⴃⴀ ⴀⴖⴑⴐⴓⴊⴄⴁⴀⴑⴀ ⴌⴄⴐⴑⴄⴑⴑⴀ, ⴌⴄⴐⴑⴄ, ⴐⴍⴋⴄⴊⴑⴀ ⴄⴜⴍⴃⴀ ⴘⴓⴀⴢ, ⴂⴀⴌⴅⴈⴃⴀ ⴁⴍⴐⴍⴒⴀⴃ ⴚⴞⴍⴐⴄⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴃⴀ ⴃⴀⴟⴃⴀ ⴀⴁⴐⴀⴠⴀⴋ ⴑⴀⴗⴃⴀⴐⴑⴀ ⴋⴈⴑⴑⴀ. ⴃⴀ ⴂⴀⴌⴃⴄⴅⴌⴀ ⴉⴣⴐⴈⴍⴌ ⴕⴀⴐⴇⴊⴈⴑⴀ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴋⴀⴌ ⴃⴀ ⴋⴍⴑⴄ ⴄⴎⴈⴑⴉⴍⴎⴍⴑⴈ ⴚⴓⴐⴒⴀⴅⴈⴑⴀ ⴑⴀⴗⴃⴐⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴇⴣⴑⴈⴑⴀ, ⴐⴍⴋⴄⴊⴈ ⴃⴀⴄⴃⴂⴈⴌⴀ ⴜⴋⴈⴃⴀⴑⴀ ⴘⴓⴘⴀⴌⴈⴉⴑ ⴌⴀⴜⴈⴊⴑⴀ ⴇⴀⴌⴀ ⴑⴍⴋⴞⴈⴇⴈⴑⴀⴑⴀ[3]. ⴃⴀ ⴈⴇⴞⴍⴅⴀ ⴀⴁⴐⴀⴠⴀⴋ ⴉⴣⴐⴈⴍⴌⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴑⴀⴗⴃⴀⴐⴈ ⴋⴈⴑⴈ; ⴞⴍⴊⴍ ⴈⴂⴈ ⴀⴐⴀ ⴄⴐⴙⴃⴀ

1 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერი №202, თბილისი.

2 მართლაც ისტორია გადმოგვცემს იმ დიდი არეულობების შესახებ, რასაც საქართველო სპარსელების შეტევების შედეგად განიცდიდა 575 —590 წწ. იხ. Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 191.

3 აქ უეჭველად სომხეთის იმ ნაწილზეა ლაპარაკი, რომელიც მაშინ ქართველების სამფლობელო იყო. იხ. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 215; თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი, №170, გვ. 112-128.

მას. და განზვინდა ცილობაჲ იგი შორის მათსა და მოუწოდა აბრაჰამ მღდელთა არარაცისათა და ჰრქუა მათ: ანუ შეაჩუენეთ კრებაჲ ქალკიდონისაჲ, ანუ განვედით სამკჳდრებელით თქუენით. და რომელნი დაემორჩილნეს, ვითარცა წერილ არს, დიდემა ურთიერთას მიიღეს და დიდემაჲ მხოლოჲსა ღუთისა შეურაცხ-ყვეს და შეაჩუენნეს წმინდა იგი კრებაჲ და ჯუარი შორის წმინდასა სამებასა დაამწესეს; და რომელნიმე არა დაემორჩილნეს და განისხნეს სამკჳდრებელით მათით და უცხოებით აღესრულნეს“[1].

სხვა ავტორების მიხედვით სომეხთა კათალიკოსი ბევრს ცდილა, ქართველთა კათალიკოსი თანამოაზრედ გაეხადა. ეს საქმე მგლად წოდებული ეპისკოპოსისთვის მიუნდვია. პასუხი მოკლედ რომ მოეჭრა, ქართველმა კათალიკოსმა, როგორც ჩანს, სომეხთა კათალიკოსს პირველი ოთხი კრების თარგმანი გაუგზავნა, თან შეუთვალა, რომ ასეთი იყო მისი და საქართველოს რწმენა; ხოლო თუ ამაზე თანახმა არ იქნებოდა, მაშინ ნულარ გამოაგზავნიდა წერილებს, რადგან მათზე პასუხს აღარ მიიღებდა[2]. იმედგაცრუებულმა აბრაამმა დაწყევლა კირიონი და საქართველო.

როგორც კი ცხადი გახდა სომეხთა მერყეობა ქალკედონის კრებისა და მისი გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით, ქართველებმა უნდობლობა გამოუცხადეს სომხებს და მათ მცდარ რწმენას საყვედურობდნენ. კავშირმა მაინც დიდხანს გასტანა, რადგან სომხები, ყოველ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი, ქალკედონის კრებით განსაზღვრულ რწმენას ხშირად უბრუნდებოდნენ.

## VII. – განყოფა და ქართველთა და სომეხთა ურთიერთსიძულვილი

სომეხი ავტორები არ გვეთანხმებიან ქართველთა და სომეხთა განყოფის თარიღის განსაზღვრაში. ზოგიერთი ამ თარიღად 527 წელს აცხადებს, ზოგიც — 557-ს, სხვები კიდევ — 623-ს. მაგრამ ჩვენ უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ სომხებისა და ქართველების საბოლოო განყოფა დვინის კრების შემდეგ მყისვე უნდა მომხდარიყო, ე.ი. 596 წ., კათალიკოს აბრაამის დროს, რომელმაც ქართველების მიმართ განსაკუთრებულად მტრული განწყობილება გამოხატა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს განყოფა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართული ეკლესია ოდესმე სომხურ ეკლესიაზე იყო დამოკიდებული, ან მისი ნაწილი იყო. უკვე ვთქვით, რომ ქართული ეკლესია არასოდეს ყოფილა სომხურის შემადგენელი ნაწილი და იურიდიულად ყოველთვის არსებობდა, როგორც სრულუფლებიანი ორგანიზაცია. ქართულმა

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 319—321.

2 იხ. Brosset, Additions, გვ. 113

ეკლესიამ თავის უშუალო სუვერენად თავიდანვე ცნო მხოლოდ ანტიოქიის ეკლესია, რომელმაც 471 წელს აღასრულა ქართულ ეკლესიაზე თავისი დიდი უფლება და მას დამოუკიდებლობა მიანიჭა. ამ უფლებას ანტიოქიის ეკლესია უკანასკნელ დრომდე აღიარებდა[1].

კავშირი, რომელიც საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის არსებობდა, იყო მხოლოდ სიკეთისა და ძმობის კავშირი ორ მეზობელ ხალხს შორის, რომელთაც საერთო რწმენა აერთიანებდა. ეს ისეთივე კავშირი იყო, როგორიც ბერძნულ და სომხურ ეკლესიებს შორის. ერთი სიტყვით, ეს კავშირი გულისხმობდა არა ერთმანეთზე იურისდიქციულ ზემოქმედებას, არამედ ერთმანეთის ეკლესიებში ლოცვას, რასაც თვით სომეხი მწერლებიც ადასტურებენ[2].

დვინის კრების შემდეგ სომხებმა ქართველებისა და მათი კათალიკოსის წყევლა და იუდად, გამყიდველებად და ერეტიკოსებად გამოცხადება დაიწყეს, რადგან მათ ქალკედონის კრება შეიწყნარეს. ამავე დროს, სომეხმა კათალიკოსებმა სომეხ ხალხს ქართველებთან ყოველგვარი კავშირი აუკრძალეს. ქართველებმაც იმავეთი უპასუხეს, რადგან სომხები მსოფლიო კრებების მიერ დაგმობილ ერესებს აღიარებდნენ. ამიერიდან მათ ძველ მწერლებთან, კერძოდ ვინცენტ დე ბოვესთან (1190—1264), დამოწმებული ამ სენტენციის ცხოვრებაში გამოყენება დაიწყეს:

„ამბობენ, ქართველებსაც 30 მუხლის თაობაზე უთანხმოება აქვთ კათოლიკურ სარწმუნოებასთან, ასევე სომხებსაც. ქართველებსა და სომხებს შორის ისეთი დიდი სიძულვილი სუფევს, რომ ქართველი ამბობს: „თუ რომელიმე ჩვენგანს, სომხური ეკლესიის წინ მიმავალს, ფეხში ეკალი შეერჭობა, არ უნდა დაიხაროს, არ უნდა ეცადოს მის ამოღებას, არც ფეხი უნდა მოხაროს, რომ არ იფიქრონ, სხვა რომელიმე ქრისტიანული სარწმუნოების თაყვანისმცემელი კი არ არის, არამედ სომხურ ეკლესიას უხრის ქედსო"[3].

ორივე ხალხმა შეინარჩუნა ეს ურთიერთსიძულვილი, რაც დრომ ვერასგზით ვერ შეასუსტა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია XVII საუკუნის მოგზაურ შარდენს[4].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, თუ რა უსამართლოა პრაქტე-

---

1 „ეს ქვეყანა, იგულისხმება საქართველო, ძველი დროიდანვე, ანტიოქიის საპატრიარქოსთანაა დაკავშირებული" Vincent de Beauvais (†1264), Speculum Historiae, Venise, 1624, ტ. II, წიგნი 30, თავი 96, გვ. 1265. — იხ. S.Antonin, Historia tripartita, Lyon, 1527 წ., ტ. III, თავი 3, ტ. XXXVI tergo.

2 Brosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

3 Vincent de Beauvais, Speculum historiae ტ.II, წიგნი 30, თავი 98, გვ. 1266. იხ. C. Galanus, დასახ.ნაშრომი, ტ. III, გვ. 120.

4 Chardin, Voyage en Perse, Amsterdam, 1711, ტ.I, გვ. 123.

ოლუსის მტკიცება, თითქოს ქართველებმა გაიზიარეს სომეხთა წვალება[1].

ძალიან კარგადაა ცნობილი, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში ქართველი კათალიკოსი კვირიონი თავისი ტვირთის ღირსეული მზიდველი აღმოჩნდა. მან მხნედ აიტანა ერეტიკოსების გააფთრებული შემოტევა, რათა მრევლი მათი მოძღვრებისაგან დაეცვა. უდავოდ, ამ განხეთქილებასთან დაკავშირებით (VI საუკუნის დასასრულს) რწმენის დამცველმა კათალიკოსმა საჭიროდ მიიჩნია, პაპ წმინდა გრიგოლ დიდისთვის მიემართა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მსოფლიოსთვის კათოლიკე ეკლესიისადმი ერთგულება და კავშირი დაემტკიცებინა, მეორეც, მსოფლიო ეკლესიის უმაღლესი იერარქიისათვის ინსტრუქციები ეთხოვა იმ მწვალებლების მოქცევის თაობაზე, რომლებიც მის ირგვლივ მრავლდებოდნენ. პაპისთვის გაგზავნილი წერილი ისტორიისთვის მეტად საინტერესო იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილმა პაპამდე ვერ მიაღწია. ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი წერილის შინაარსის შესახებ. მხოლოდ ის ვიცით, რაც წმინდა გრიგოლმა კვირიონის მოციქულისგან შეიტყო და რაც თავის დაწერილ პასუხშია აღნიშნული.

## VIII. – კათალიკოს კვირიონის წერილი პაპ გრიგოლ I-ს

აი, ეს დოკუმენტი:

„წიგნი წმ. გრიგოლ პირველისა კვირინო, ანუ კვირიკო ეპისკოპოსს და სხვათა დანაშთთა იმერიის კათოლიკე ეპისკოპოსთა:

პაპი გრიგოლ I.

სიყვარულმა სიშორე არ იცის, ვისაც ადგილი აშორებს, მას ეპისტოლე აახლოვებს. ამ წიგნის მომტანმა, რომელიც აქ მოციქულთა მთავრის წმინდა პეტრეს საფლავის სალოცავად მოვიდა, დაგვარწმუნა, რომ ჩვენთვის წიგნი გამოგიგზავნიათ, მაგრამ ამას სხვა ნივთებთან ერთად იერუსალიმში დაუკარგავს. ამანვე მოგვითხრა, რომ იმ წერილით გვეკითხებოდით: ნუთუ ყოველთა რჩეულთა კათოლიკე ეკლესიის წიაღში შესასვლელად, ნესტორის შეცთომათაგან მოქცეულ მღვდელთა და ერთათვის საჭიროა ნათლისღება, ანუ კმარა მარტო აღსარებაო? ამ საგნისა ჩვენ ვუწყით ჩვენის მამების ძველის დროის ჩვეულება, რომ, როდესაც ვინმე მოიქცევიან მწვალებლობისაგან, რომელშიაც მონათლულან

1 Prateolus, De vitis, sectis et dogmatibus omnium haereticorum, Cologne, 1569, გვ. 195. არანაკლებ მცდარია მამა მარჩელინო და ჩივეცას შეხედულება: „მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ სომხების შესახებ ვილაპარაკებთ; ერთი სიტყვით, ქართველებს არა აქვთ განსხვავებული რელიგია და იმავე კათალიკოსისა და პატრიარქის იურისდიქციას ექვემდებარებიან“. Storia universale delle Missioni Francescane, Rome, 1857, ტ. I, გვ. 379. ეს ავტორი უკრიტიკო კომპილატორია და დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს.

წმიდა სამების სახელით, მათ ვუერთებთ წმინდა ეკლესიას ან ზეთის ცხებით, ან ხელდასხმით და ან მარტო სარწმუნოების აღსარებით. ამიტომ დასავლეთში არიოსანებისაგან მოქცეულთ ვუერთებთ კათოლიკე ეკლესიას მარტო ხელდასხმით; აღმოსავლეთში კი მათ სცხებენ ზეთსა შესარიგებლად. ხოლო მონოფიზიტებს და სხვათა მარტო სარწმუნოებას აღვიარებინებთ, რადგან მწვალებლობაში მონათლულთ სული წმინდა მაშინ სწმენდს, როდესაც ნესტორიანები ჩვენის ხელდასხმით და მონოფიზიტები სარწმუნოების აღსარებით უერთდებიან ეკლესიას. გარნა ის მწვალებლები, რომელნიც წმინდა სამების სახელით არ არიან მონათლულნი, როგორათაც ქრისტეს უარისმყოფელნი მონოსიანები და კათოფარიგლები, რომელნიც სული წმიდად რაცხვენ მონტანისტთა მოროტს კაცსა, რომლის მსგავსიც მეფრი არის, უნდა მოინათლონ, რათა ეკლესიას შეუერთდნენ, რადგან ესევითარ შეცთომაში მყოფთა მიერ წმიდა სამების სახელით მიღებული ნათლისღება სწორე ნათლისღება არ არის. არც უნდა შეირაცხოს ნათლისღების განმეორებად, რადგან, როგორც ვთქვით, ნამდვილად წმიდა სამების სახელით არ არიან მონათლულნი. ხოლო ნესტორიანების მწვალებლობას ისევ მათი შეცდომილება ამრმავებს. ისინი წმიდა სამების სახელით არიან მონათლულნი, მაგრამ მსგავსად ურიებისა, დაჟინებით უარს ჰყოფენ მხოლოდ შობილის ძის განხორციელებას. ამიტომ, როდესაც ისინი მოიქცევიან წმიდა კათოლიკე ეკლესიისადმი, საჭიროა ასწავლონ მათ ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსარება, რათა ირწმუნონ მტკიცედ, რომ ძე კაცისა, ღმერთი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე ღვთაებით არს უწინარეს სოფლისა და იგივე განკაცდა ბოლო დროს, რადგან სიტყვა იგი ხორცშესხმულ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, რადგან ვამბობთ, სიტყვა იგი რა განხორციელდა, არ შეიცვალა იმისაგან რაც იყო, არამედ მიიღო და გახდა ისიც, რაც არ იყო, საუკუნო მამის მხოლოდ შობილმა ძემ თავისი განხორციელების საიდუმლოით თავისი არსება კი არ დაამცირა, არამედ ჩვენი ბუნება აღამაღლა. ამიტომ სიტყვა და ხორცი ერთი და იგივე პირი არს, როგორც თვითვე სთქვა: „არ ვინ აღხდა ზეცად, გარნა რომელი იგი გარდამოხდა ზეცით, ძე კაცისა, რომელი არს ზეცათა შინა“. იგივე ძე ღვთისა ზეცაში, იყო ძე კაცისა, რომელიც ლაპარაკობდა ქვეყანაზედ. რაისა გამო ამბობს იოვანე: „ვიცით, რამეთუ ძე ღმრთისა მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ“; იქვე დასძენს, თუ რაბამი გონება მოგვცა: „რათა ვიცოდეთ ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი“. ამ ადგილს რომელ ჭეშმარიტს ღმერთს გვაუწყებს იგი? ნუთუ მარტო ყოვლისმპყრობელ მამას? აი რას უმატებს ძის ყოვლისმპყრობლობის შესახებაც: „და ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესუ ქრისტესი“. ამბობს ჭეშმარიტი ღმერთი მამა, ჭეშმარიტი ძე მისი იესო ქრისტე. თუ ჭეშმარიტი ძე ვითარი არს, ცხადად გვიჩვენებს თქმით: „ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი და ცხოვრებაჲ საუკუნო“. ხოლო ნესტორის შეცდომილების მსგავსად, უკეთუ სხვა იყოს კაცი იესო ქრისტე, რომელიც ჭეშმარიტი კაცია, ცხადია, რომ აღარც ჭეშმარიტი ღმერთი და აღარც საუკუნო ცხოვრება იქნება. მაგრამ მხოლოდ შობილი ძე სიტყვა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა შეიქმნა კაცი. ამიტომ ასე არს ჭეშმარიტი ღმერთი

და საუკუნო ცხოვრება. ვინაიდგან, როდესაც წმიდა ქალწულს იგი მუცლად უნდა ეღო, თავისთან მოუბარ ანგელოზს უთხრა: „აჰა მხევალი უფლისაჲ, მეყავნ მე, ვითარცა ამბობ“. რა ჟამ მიუდგა და თავის ნათესავ ელისაბეთთან წარვიდა, მსწრაფლ იმავე ელისაბედისაგან გაიგონა: „ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა?“ ესრეთ იგივე ქალწული იწოდების მხევლად და დედად უფლისა. მხევალია უფლისა, რადგან სიტყვა „მხოლოდ შობილი უწინარეს საუკუნეთა“ თანასწორი არს მამისა. ხოლო დედა არს, რადგან მის საშოში მისივე ხორცისაგან სული წმიდის მოქმედებით განკაცდა. არც ისეა, რომ სხვისი იყოს მხევალი და სხვისი დედა, რადგან ღმერთის მხოლოდშობილი, მყოფი უწინარეს სოფლისა, მის მუცლისაგან იშვა კაცი გამოუთქმელის სასწაულით; ამიტომ გახდა მხევალი კაცისა ღვთაების გამო და დედა სიტყვისა ხორცის გამო. ჯერ კი არ ჩაესახა ხორცი ქალწულის საშოში და შემდგომ ღვთაება კი არ მოვიდა ხორცთან, არამედ რა წამს სიტყვა მოვიდა მის საშოში, იმ წამსვე სიტყვა ხორციელ იქმნა, და თანავე დაიცვა თავისი ჭეშმარიტი ბუნების ყოველი თვისება. ესრეთ მე ღვთისა მხოლოდ შობილი ქალწულის საშოსგან იშვა სრული კაცი, ესე იგი მქონე გონიერი სულისა და ხორცისა. ამიტომ ყოველთა უმეტეს ცხებულად იწოდების, ვითარცა იტყვის მეფსალმუნე: „გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელით“, ესე იგი სული წმიდის ნიჭით; მაგრამ უმეტეს ყოველთა იცხო, რადგან ჩვენ კაცნი, ჯერ კაცნი ვართ ცოდვილნი, შემდგრომ სული წმიდის ცხებით ვიწმინდებით. ხოლო იგი, რომელიც უწინარეს სოფლისა ღმერთია, ბოლო დროს სული წმიდის მიერ ქალწულის საშოში განკაცდა, მასშივე იცხო იმავე სულისაგან, როდესაც ჩაესახა. არც ისეა, რომ ჯერ ჩასახულ იყოს და მერე ცხებულ. არამედ სული წმიდის თვით იმავე მოქმედებით, რომ ქალწულისაგან ხორცი შეისხა, იცხო სული წმიდისაგანვე. ამიტომ ვინც ნესტორის შეცდომილებისაგან მოიქცევიან, თქვენი წმიდა კრებულის წინაშე აღიარონ მისი ჭეშმარიტი შობა და შეაჩვენონ ნესტორი, მისნი მიმდევარნი და სხვა დანარჩენნი მწვალებელნი. ეგრეთვე შემოგპირდენ, რომ პატივსცემენ და შეიწყნარებენ იმ ყველა კრებათა, რომელსაც მსოფლიო ეკლესია აღიარებს. შემდგომ თვინიერ რამ სიძნელისა, მიიღეთ ესრეთი პირნი თქვენს საზოგადოებაში და დასტოვეთ იმ წესსა ანუ ხარისხში, რომელშიაც არიან. განუმნიეთ მათ შეცთომილებანი და ასწავლეთ, ყველაფერი, რაც კი საჭიროა; სიტკბოებით მოეპყარით, ნურავითარ სიძნელეს აღმოუჩენთ მათი ხარისხის შესახებ, რათა იგინი თავიანთი მტრის ხელისაგან დაიხსნათ. ეგოდნათ ყოვლისმპყრობელის უფლისაგან განიმრავლებთ საუკუნო დიდების სასყიდელს, რაოდნათაც უფრო მომეტებულად შემოჰკრებთ მათ, რათა თქვენთან სამარადისოდ ადიდონ უფალი. თქვენთვის ვევედრებით წმიდა სამებას, რათა თავისი მფარველობით დაგიცვასთ და თავისი სიყვარული არ მოგაკლოსთ“[1].

1 Sancti Gregorii I, Epistolarum წიგნი IX, გვ. 132, epist. 67 – Migne, P.L., ტ. LXXVII, სვ. 1204; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902, გვ. 24-27.

ჩვენი ვალია, ჯეროვნად დავაფასოთ ქართული ეკლესიის ერთგულება. იგი დღემდე ზუსტად მიყვება წმინდა გრიგოლ დიდის მიერ ამ უჩვეულოდ შეჯამებულად გადმოცემულ მოძღვრებას.

ქართულმა ეკლესიამ, ბერძნული ეკლესიის მაგალითით, ბევრჯერ სცადა სომხები თავიანთ შეცდომებში დაერწმუნებინა და ერთობისათვის მიეღწია, მაგრამ ამაოდ. ამ ცდებმა არა მარტო უშედეგოდ ჩაიარა, არამედ საწინააღმდეგო რეაქციაც კი გამოიწვია, რითაც განყოფის უფსკრული სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

გავიხსენოთ, ზოგიერთმა ავტორმა დაუფიქრებლად როგორ გამოაცხადა: წმინდა გრიგოლის ეს ეპისტოლე ესპანეთის ეპისკოპოსებისათვის იყო გაგზავნილიო; ამას სახელ „იბერიის" გამო ფიქრობდნენ, რადგან ძველად ასე ერქვა ესპანეთს[1]. მათი აზრის მცდარობის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ არც ერთი მწერალი არ აღნიშნავს, თითქოს ესპანეთში ამ ეპოქაში ეპისკოპოსი კვირინუსი, ან კვირიკუსი მოღვაწეობდა, მაშინ როცა აღმოსავლეთში ცნობილი იყო ასეთი სახელის მქონე ეპისკოპოსი. სხვაც რომ არაფერი ითქვას, წერილი თვითონ საკმაოდ კარგად გვიჩვენებს ზემოხსენებული ავტორების შეცდომას, რადგან მასში საქმე ეხება ნესტორიანებს, რომლებიც მაშინ მთელ აღმოსავლეთს იყვნენ მოდებულნი, ხოლო წერილის წამღები რომში ჩასვლამდე ჯერ იერუსალიმში გაივლიდა.

## IX. — საქართველოს პირველი ქრისტიანებისთვის ბიბლიის თარგმნის აუცილებლობა

ბევრ ავტორს ულაპარაკია ბიბლიის ქართულად თარგმნის შესახებ, მაგრამ ვერავინ შეძლო დაეზუსტებინა, როდის და რომელი ენიდან ითარგმნა იგი. ჩვენ არ გვაქვს ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრის პრეტენზია, მაგრამ ვიმედოვნებთ, უფრო დავაზუსტებთ მას.

გაქრისტიანებამდე საქართველოს უკვე ჰქონდა საკუთარი ანბანი, ისევე როგორც სომხეთს. საქართველოს ის მრავალი საუკუნის წინ (სულ ცოტა ექვსის) შეუქმნია (იხ. თავი II). არც ბიბლიის თარგმნის შემძლე პირები უნდა გვკლებოდნენ. ქართველებს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდათ ბერძნებთან კავშირი და ამიტომ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მათ ამ ხალხის ენა იცოდნენ. თუ დავუმატებთ, რომ წმინდა ნინოს პირველი მოწაფე ებრაელი მღვდელი იყო, რომელმაც ებრაული ენა, ძველი აღთქმა და, უდავოდ, ახალი აღთქმაც იცოდა პალესტინასთან ურთიერთობის გამო, ყველა სიძნელე ქრება ბიბლიის თარგმნის საკითხთან დაკავშირებით.

მეტიც, უკიდურესად აუცილებელი იქნებოდა ბიბლიის თარგმნა.

---

1 იხ. Migne, P.L., ტ. LXXVII, სვ. 1204.

გაქრისტიანებამდე, კერპებისთვის მსხვერპლშეწირვის დროს, ქართველებს ლოცვა და გალობა ჰქონიათ ჩვეულად. გაქრისტიანების შემდეგაც იგრძნობდნენ ისინი გალობითა და ლოცვებით ახალი ღმერთის მოხმობის საჭიროებას, მაგრამ გულმხურვალედ რომ ელოცათ, ახალი ღმერთი უნდა ეცნოთ. ქართველთა პირველ მოძღვრებს, უდავოდ არაფერი დაუზოგავთ თავიანთი ქადაგებებით ნამდვილი ღმერთი გაეცნოთ მათთვის, მაგრამ ზეპირი სწავლება, რაც თავიდან საკმარისი იქნებოდა, ველარ დააკმაყოფილებდა ყოველთვის მთელი ხალხის საჭიროებებს. შემდგომ ქართველები მთლიანად რომ ჩამოშორებოდნენ კერპთა თაყვანისცემას და მათი რწმენა მყარი და ერთიანი გამხდარიყო, მშობლიურ ენაზე უნდა ჰქონოდათ რელიგიური წიგნი. ასეთი აუცილებელი, საჭირო წიგნი მხოლოდ საღვთო წერილი შეიძლებოდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, რადგან გადაულახავი პრობლემები არ არსებობდა, ქართველებს მოძღვრები ამ განძის გარეშე დიდი ხნით არ დატოვებდნენ, რაც მათ მოციქულობას ერთობ შეუწყობდა ხელს.

ეს მოსაზრებები ბუნებრივად გვაფიქრებინებს, რომ საღვთო წერილი, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც, ქართულად ითარგმნა არა უგვიანეს IV საუკუნის ბოლოს, თუკი ეს არ გაუკეთებიათ ქრისტიანობის შემოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ[1]. დროსა და საქართველოს უთვალავ უბედურებას რომ არ გაენადგურებინა ამასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ჩვენ უეჭველად გვექნებოდა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რაზეც ახლა მოგახსენეთ. მათი უქონლობის გამო კი თითო-ოროლა საბუთით უნდა შემოვიფარგლოთ.

## X. – საღვთო წერილის პირველი თარგმანები

პირველი საბუთი, რომელიც შეგვიძლია შემოგთავაზოთ, არის მოციქულთა ეპისტოლეებად წოდებული ხელნაწერი, იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნის. მართალია, ხელნაწერი IX ს-ში უნდა იყოს გადაწერილი, მაგრამ თარგმანი IV ს-ის ბოლოს არის შესრულებული[2], რადგან ხელნაწერზე აღნიშნული წარწერა გადმოგვცემს, რომ ის არკადიუსის მეფობის მესამე და ჰონორიუსის მეფობის მეოთხე წელს ითარგმნა. მაშ ასე, აღმოსავლეთის იმპერატორმა არკადიუსმა 395-დან 408 წლამდე იმეფა,

1 „სახარების დოქტრინამ საქართველოში IV ს-ში შეაღწია; ამ დროიდან ქართველებმა თავიანთ მშობლიურ ენაზე დაიწყეს სირიული და ბერძნული ენებიდან წმინდა წიგნების თარგმნა. თავდაპირველად ითარგმნა სახარებები და ის საეკლესიო წიგნები, რომლებიც აუცილებელი იყო წმინდა მსახურებისთვის. მოგვიანებით თარგმნეს ბიბლია და ეკლესიის მამების თხზულებები". J. Mourier, L'art religieux au Caucase, Paris, 1887, გვ. 128-129.

2 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, თავი IV.

ხოლო დასავლეთის იმპერატორმა ჰონორიუსმა 395-დან 423 წლამდე. მაშასადამე, წერილის თარგმანი 397-398 წლებს შორის უნდა შესრულებულიყო.

წერილის თარგმანის სიძველის დამამტკიცებელი სხვა საბუთი უკვე გაგაცანით, როცა წმინდა შიოს ცხოვრებაზე მოგითხრობდით. მეფე ფარსმან VI-ს (542-557) ამ წმინდანის სახელობის ტაძრის მსახურისთვის, ევაგრესთვის ძვირფასად მორთული სახარება უჩუქებია, რომელიც თურმე ვახტანგ მეფისა იყო, სავარაუდოა, რომ აღნიშნული სახარება მის დედას, საგდუხტს ეკუთვნოდა, აი, რას გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება" ამის შესახებ:

მეფე არჩილ I-მა (410—434) თავისი ვაჟი მირდატი სპარსელი მეფის ასულზე დააქორწინა,

ხოლო ამან საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი: რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერნი, და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და ამხილეს, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტე არს, რომელი განკაცნა ჴსნისათჳს ჩუენისა. მაშინ საგდუხტ გულისხმა ყო და იცნა სჯული ჭეშმარიტი, დაუტევა ცეცხლის-მსახურება, ნათელ-იღო და იქმნა მორწმუნე[1].

მოგვიანებით, საგდუხტ დედოფალი საქართველოს ცნობილი მეფის, ვახტანგის დედა გახდა.

თუ რა ენაზე ითარგმნა სახარება, სადავო არ უნდა იყოს. სპარსელი ქალისთვის განკუთვნილი სახარება, ცხადია, მის ენაზე უნდა ეთარგმნათ. მაშ, თუ მარტო ერთი ადამიანისთვის შეიძლება საღვთო წერილის მის მშობლიურ ენაზე თარგმნა, ქრისტიანული რელიგიის სწავლების მიზნით, როგორ არ გააკეთებდნენ იმავეს მთელი ერისთვის, რომელიც საუკუნეზე მეტი უკვე გაქრისტიანებული იყო?

მაშასადამე, თავისუფლად შეგვიძლია გამოვაცხადოთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებული თარგმანი მეფის ასულისათვის ქართული თარგმანიდან შესრულდა. როგორი შეუძლებელიც უნდა იყოს ჩვენთვის ამ უკანასკნელის ზუსტი თარიღის დადგენა პოზიტიური დოკუმენტების უქონლობის გამო, უფლება არა გვაქვს უარვყოთ ფაქტი, რომელიც ნამდვილად უნდა მომხდარიყო მისი აუცილებლობისა და ზემოთ აღნიშნული ხელსაყრელი პირობების გამო.

ორივე შემთხვევა, რომლებზეც ახლა მოგახსენეთ, სრულიად საკმარისია საღვთო წერილის ქართულ ენაზე თარგმნის თარიღის დასადგენად. თარიღი IV ს-ის ბოლო, ან, ყოველ შემთხვევაში, V

---

1 „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 142.

ს-ის დასაწყისი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, ეს მტკიცება მთელ ბიბლიას კი არ ეხება, არამედ მხოლოდ ნაწილს, განსაკუთრებით ახალ აღთქმას, რადგან მთელი თარგმანი რამდენიმე საუკუნის შემდეგ დასრულდა.

## XL – შეუძლებელია დადგინდეს, რომელი ენიდან ითარგმნა საღვთო წერილი ქართულად

სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი და უფრო ძნელად გადასაჭრელი საკითხი გახლავთ იმის დადგენა, რა ენიდან ითარგმნა საღვთო წერილი ქართულ ენაზე. ზოგიერთი ავტორი ფიქრობდა, თითქოს სომხურიდან ითარგმნა[1], მაგრამ ეს მტკიცება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია იმ უბრალო მიზეზით, რომ სომხეთს საკუთარი ანბანი V ს-ის მეორე ნახევრამდე არა ჰქონია. ხოლო მისი შექმნის შემდეგ საკმაო დრო უნდა გასულიყო სომხური ლიტერატურის განვითარებამდე, რათა ბიბლიის თარგმანზე ფიქრი შეძლებოდათ. არც იმას უარვყოფთ, რომ მოგვიანებით, ქართული ბიბლიის შემოწმებისა და შესწორებისთვის შეიძლებოდა სომხური ბიბლიითაც გვესარგებლა.

სხვა ენებთან დაკავშირებით თითქმის ყველგან მსგავსი ალბათობა შეიმჩნევა. ვინაიდან IV საუკუნეში საქართველოს პირველი ქრისტიანები ებრაელები იყვნენ, შესაძლებელია, საღვთო წერილის ზოგიერთი ნაწილი ებრაულიდან ითარგმნა. იგივე შეიძლება ითქვას ამ საუკუნეში მოსულ მოძღვართა თაობაზეც, რომლებიც ბერძნები და სირიელები იყვნენ.

გავიხსენოთ კიდევ, რომ ახლად მოქცეული ქართველები მაშინვე დამკვიდრდნენ პალესტინაში, რათა იქ სულიერ ცხოვრებას ზიარებოდნენ. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) აუცილებელ საქმედ მიიჩნია მათი ძველი მონასტრების აღდგენა იერუსალიმსა და მის შემოგარენში. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ ქართველი მორწმუნეების პირველი რელიგიური საზრუნავი საქართველოს საეკლესიო წიგნებით მომარაგება იქნებოდა. ამ დროისათვის საქართველოს ძალიან აკლდა ასეთი წიგნები. მაშასადამე, არ უნდა გამორჩენოდათ საღვთო წერილის მშობლიურ ენაზე თარგმნა. ამავე დროს, მაინც არაფერი გვიშლის ხელს, შესაძლებლად მივიჩნიოთ ასეთი განსხვავებული ჰიპოთეზები, რადგან ჩვენამდე მოღწეული ქართული ბიბლიის უძველეს ხელნაწერებში

---

1 იხ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 172; Journal Asiatique, I სერია, 1823 წ. ტ. II, გვ. 119.

შემჩნეული განსხვავებანი ნათლად გვიჩვენებენ, რომ ისინი სხვადასხვა ორიგინალიდან და სხვადასხვა მხარეში ითარგმნა.

## XII. – ქართული ბიბლიის უძველესი ხელნაწერები

ზემოთ აღნიშნული ხელნაწერის გარდა, თბილისის საეკლესიო მუზეუმში შემდეგი ხელნაწერებია დაცული:

1. ქსნის სახარება. ხელნაწერს ასე იმიტომ ეწოდება, რომ ქსნის მონასტერს ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მისი საბოლოო თარიღის დადგენა, თუმცა VI საუკუნეს მიაკუთვნებენ, რადგან „დასაბამითგან წელნი იყვნეს 6110“ შეესაბამება ქრისტეს შობიდან 506 წელს.

2. ოთხთავის მეორე მნიშვნელოვანი ხელნაწერი არის ურბნისისა. მას VII საუკუნით ათარიღებენ.

3. არის ასევე დავითნი, დაწერილი VII ან VIII ს-ში სინას მთის მონასტერში.

4. აქვე უნდა დავუმატოთ 936 წელს დაწერილი ჯრუჭის სახარება, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. იგი ჯრუჭის მონასტერს ეკუთვნოდა, სახელიც აქედანაა. თითოეული სახარება მინიატურებით არის შემკული, რომლებშიც აღწერილია ბრმის, ეშმაკეულისა და დახსნილის სასწაულები. მასში შემდეგს ვკითხულობთ:

„ღირს ვიქმენ მე, გრიგოლ, დაწერად წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჴელითა გამრიელ მღდელთა ნარჩევისაჲთა თავად მეფესა ჩემსა სუმბატს სალოცველად და შემდგომად მშობელთა ჩემთა მიცვალებისთჳს, თაგე-ნაჲისთჳს და ძმათა და დათა ჩემთათჳს და ჩემთა ცოდვათა და თანაცხორებულისა ჩემისათა საკსრად და მკჳდართა საკსენებელად: ღლარიონისთჳს და დამელისთჳს... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ მაცმჳრის ჴელითა ეცმად მჩხრეკალისა გამროელისითა, თანა-შეწევნითა და მოღუაწებითა გამრიელისითა და გეორგისითა, რამეთუ დიდი გულის-მოდგინებაჲ მაჩუენეს ამის წმიდისა სახარებისა დაწერასა... დასაბამით-თგან წელნი იყვნეს ႾႴႫ (6540); ქრონიკონი იყო ႰႬႥ (156)“[1].

ეს თარიღი 936 წელს შეესაბამება.

---

1 ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973) წწ. გამოსცა ა.შანიძემ. 1945 (გვ. 021).

5. შემდეგ მოდის ათონის მთაზე X–XII სს-ში თარგმნილი საღვთო წერილის მრავალი ხელნაწერი; ზემოთ დასახელებულ ხელნაწერთა მსგავსად, ყველა ეს ხელნაწერი პერგამენტზეა შესრულებული. მთავარი ავტორები არიან წმინდა იოანე და წმინდა ექვთიმე (X ს.), წმინდა გიორგი და წმინდა ეფრემ მცირე (XI ს.), ყველა ქართველი სასულიერო პირი. მათ შორის გამოირჩეოდა წმ. გიორგი, მეტსახელად მთაწმიდელი (ათონელი). მასზე შემდეგაც მოგახსენებთ. საღვთო წერილი სხვადასხვა საუკუნის გადამწერებისა და ერეტიკოსების მიერ ძველ თარგმანებში ცოტა შეცვლილი იყო. სწორედ ამიტომ, ათონელებმა, მისი ყველა შეცდომისაგან გაწმენდის მიზნით, ხელახლა დაიწყეს თარგმნა, პირველწყაროდ კი ძირითადად ბერძნულს იყენებდნენ.

6. ქუთაისთან, გელათის მონასტერში დაცულია, აგრეთვე, ათონის მთაზე დაწერილი, პერგამენტზე შესრულებული სახარების სამი ხელნაწერი[1].

## XIII. – 1742 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული ბიბლიის ბოლოსიტყვა

ჩვენ არ შევჩერდებით საღვთო წერილის გვიანდელი საუკუნეების სხვა ხელნაწერების ჩამოთვლაზე, რომლებიც დაცულია ზემოთ ხსენებულ მუზეუმში და სხვაგან. მხოლოდ 1743 წელს, მოსკოვში პირველად დაბეჭდილი ქართული ბიბლიის ბოლოსიტყვის ყველაზე დიდი ნაწილის წარმოდგენით შემოვიფარგლებით[2]. ვახუშტიმ, ვახტანგ VI-ის ვაჟმა ამ ბიბლიის შესწორებასა და დაბეჭდვაში ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო.

„უწყემისათჳის საყვარელთა მკითხველთა ამის სულთა აღმაფრე-ნელისა, ვიდრე ზეცადმდე და კორცთა მაცხორებლობისა საწუთოსა ამის მიმწევნელისა, ძველისა და ახლისა აღთქმის წიგნისა, შეკრება და

1 ერთ-ერთ ამ ხელნაწერზე ასეთი წარწერაა: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ახლად გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთა სახარებათა და შეგჳწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა პოოთ, ეგრე დასწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმინდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღმრთისთჳს ერთმანეთსა ნუ გაჰრევთ და გლახაკისა გეორგისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა ყავთ".

2 1709 წელს მეფე ვახტანგ VI თბილისში ახალი აღთქმა დაბეჭდეინა. აი, ამ სახარებაზე წამძღვარებული წარწერა: „საღმრთო და სამღდელო სახარება. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა: ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა გიორგისა იესეან, დავითიან, სოლომონიანისსა. შრომითა ფრიადითა და წარგებითა სატასეთათა, მართლმადიდებლისა და განათლებულისა საქართველოს განმგებელისა ბატონიშვილისა თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა".

გადმოთარგმანემა ძნელ იყო ძუელთა ჩუენთა მთარგმნელთაგან და ჟამთა ვითარებისაგან, ვითა წესი არს ქუეყნისა ჩუენისა ცვალებანი, ესეცა გარყვნილ იყო. რამეთუ დაბადება მეფეებმდე ზოგად იყვნეს. და სხვანი წიგნნი წიგნად. ხოლო ზირაქი და მაკაბელი დაკარგულ იყვნეს. ეგრეთვე ახალი აღთქმანი არა ამათთან კრებით. ხოლო ოდეს უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტეს სარწმუნოებისათჳს დაუცვევა ქვეყანა და მეფობა თჳსი ძემან მეფის ვახტანგისამან მეფემან პირველ კახთა და შემდგომად იმერისამან, არჩილ, და მოიწია რუსეთს, სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, მეფობასა და ხელმწიფობასა თჳთმპყრობელის იმპერატორისა დიდის პეტრეს ალექსის ძისსა. და შეწყნარებულ იქმნა მის მიერ დიდითა დიდებითა და ურიცხჳთა ნიჭითა, ვითა შუენოდათ მარჩობლეთად; ხოლო სცხორებდა მუნ ჟამად მყუდროდ, უშფოთველობით. მაშინ იგულა, ვითა შეჰგვანდა სიბრძნე-მეცნიერებასა მისსა..., შეკრებად წიგნისა ამის. და ითხოვა ძმისწულისა თჳსისა ძისა ლევანისა ვახტანგისაგან [რომელი იყო მას ჟამსა შინა მოადგილე, ბიძისა თჳსისა მეფის გიორგისა ქართლის გამგედ] წიგნი დაბადებისა. და რომელიც მუნ იპოებოდენ მოუგზავნა. ხოლო ზოგნი თჳთ აქვნდეს. მაშინ მოუნება რუსულსა დაბადებასა ზედა განმართვად და გასწორებად. ხოლო, ვითა შუენოდა სიბრძნე მეცნიერებას ამისსა, განემართა და შეეწყო, თჳნიერ მუჴლთა, თავთავად. ხოლო მაკაბელი თჳთ ეთარგმნეს, და ზირაქი ეგრეთვე... [მე ვგონებ ზირაქისაცა განმართვასა, რამეთუ ეგრეთ ჩნდეს]. და დიდნი შრომანი დაუდუნნეს, და დიდნი ჭირნი მოუთმინნეს შემაკობასა ამას შინა...

ხოლო უკანასკნელ, რაჲ შეიბრძოდნენ მეფენი, და ქვეყანანი აღშფოთნენ და შეუდგა წინ კსენებული ვახტანგ, და აწ მეფე ქართლისა, კვალსა ბიძისა თჳსისასა, და ბრძანებითა დიდისა მისვე მეფისა და ჴელმწიფის თჳთ მპყრობელის დიდის პეტრეს ალექსის ძისათა, მოიწია რუსეთის ქალაქსა მოსკოვს. ხოლო შემდგომად მისსა, პირმშომან ძემან მეფის ვახტანგისამან, მეფემან ბაქარ, ინება დაბადებისა ამის მეფისა ნამუშაკევისა ბეჭდვად, — ვინაითგან იგივე იქმნა მემკვიდრე მეფის არჩილისა, — რათა არა უდებ იყოს შრომა მისი. რომელ ერთ ოდენ იყო წიგნი ესე მხოლოდ. ხოლო ვინათგან თავი აქუნდა და მუჴლნი არა წიგნსა ამას, ჯერ იყო ქმნაცა მისი. ამისათჳს მებრძანა მე, ძმასა მისსა ვახუშტის, რათა ვიშრომო ქმნად ამისა... ხოლო რაჲ ვიხილე, რომელ მრავალნი შეცვალებულნი და ნაკლულევანნი მთელნი მუჴლნი, ლექსნი სიტყუანი და მრავალნი ასონი, და არა ერთ, ორ, არამედ მეტ ნაკლებ მრავალნი იყვნენ. მაშინ წინა დაუსხნენ ესევითარნი: სთნავს ესრედ ყოფად, უკეთუ არა? [ხოლო ეს მეტ ნაკლები არა იყო მის მეფის არჩილის წინააღმდეგ. რამეთუ მას ჭეშმარიტი შრომა დაუდუნეს. ამისთჳს, რომელ ჩუენი, ვით ზემორ ვთქვით, ჟამთა ვითარებისა ცვლისაგან და მწერალთა მიერ, განრყვნილ იყვნეს, [ვითა ჩნდეს ამავესა წიგნსა შინა]. მეორედ,რამეთუ რუსული თჳნიერ ბერძენთაგან თარგმნილი იყო არა სწორ, რამეთუ მას ჟამსა არა ზედ მიწევნილთაგან ქმნულ იყო. და ვითა ეხილვათ ესე თჳსისა წიგნისა რუსთა, ბრძანებითა მეფისა და ჴელმწიფისა და თჳთ მპყრობელის

დიდის პეტრე ალექსის ძისათა, მრავალთა ენათა მცოდნეთა და ღვთის მეტყველთა მოეღოთ დაბადებაჲ რუსული, რამეთუ არა შეთქმულ იყო სხვაჲთა. კელეყოთ განმართვაჲ, და განემართათ ბერძენთა, ებრაელთა, ასურთა, ლათინთა და ულღართაგან. და ამას მეფესა არჩილს პირველს დაბადებასა ზედა გაემართნეს უმუხლოდ, რამეთუ არცა მას აქვნდენ. და ამის მიზეზისათვის არა სრულ ყოფილიყო:] ხოლო მე რაჲ ესე წინა დავსხენ, იგულა თჳთ მეფემან მაქარ და ყოველმან სამღვდელომან, ეპისკოპოზმან, არქიმანდრიტმან, წინამძღვარმან და მღვდელმან, რომელნი იმყოფებოდენ მოსკოვს ქართველნი, ყოფაჲ ამისა ეგრეთ. მიზეზითა ამით ვერღარა ურჩვიქმენ, რამეთუ მორჩილება არს სათნო პირველი და თანა შეწევნითა განმმართველისა საბეჭდველის სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის ზეჩინებულის ანდრია ივანის ძისათი, ხელ-ვყავით შრომაჲ. და შევასრულეთ შესაქმე, გამოსლვა, ლევიტელთა, რიცხუთა, მეორე რჯული, ისო ნავე, მსაჯული, რუთ, ოთხი მეფე, ორი ნეშტი, სამი ეზდრა, ნემი, ტობია, ივდით, ესთერ, იობ, იგავი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე ისო ზირაქ, და სამი მაკაბელი. წელსა ერთსა შიგ, არა უშრომლად. ხოლო ფსალმუნი, და წინასწარმეტყველებანი და ახალნი აღთქმანი მის მეფის ვახტანგის ბრძანებით განმართული და დაბეჭდილნი იყვნეს მისსავე მოღებულს საბეჭდავსა შინა ტფილისისასა. ხოლო ჩვენ ესე ვქმენით. და რომელნიცა აკლდნეს, მოუმატეთ, ვითა განმართულ იყო რუსთაგან. თავ-თავაჲ და მუხლ-მუხლაჲ. და სიტყვანი შეცვლილნი, რომელიც ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო, ეგრეთ დაუტევეთ. და ნადირთა, მხეცთა, თევზთა, ხეთა სახელნი, რომელიც ვერ ვსცანით, ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით. სხვანი ყოველნივე განვმართეთ და შევასრულეთ, ვითა ძალ გვედვა. არა უდებ ვყვენით შრომანი ჩვენნი. და მივეცით საბეჭდავსა შინა, დამასა სვესხენწვას, წინამძღვარს და მღვდელ მონოზანს გურამიშვილს ქრისტეფორეს და მდივანს კავკასიძეს მელქისედეკს, რომელი ზედმეტ იყო და მუშაკობდა ამას შინა ბეჭდვაჲ სიმართლით შესრულებაჲ, ვითა არს განმართული ყოვლადვე…“

ვინაიდან ბიბლიას ვახტანგის უფროსი ვაჟი, ბაქარი საკუთარი ხარჯით ბეჭდავდა, მანაც, ძმის მაგალითით, ბიბლიას ამ უკანასკნელის ანალოგიური ტექსტი დაურთო. იგი 1743 წლის 1 მაისითაა დათარიღებული.

ეს მოცულობით დიდი, ორი სვეტისაგან შემდგარი ბიბლია 1114 გვერდს შეიცავს. პირველ წინასიტყვაობას მოსდევს ვულგატას პროლოგის მსგავსი პროლოგი. არის ბევრი სტამბური შეცდომა.

მართალია, აღნიშნული ბიბლია სლავური ვერსიის მიხედვით იყო მომზადებული, საფუძვლად მაინც სეპტანტა დაედო, რომლის მიხედვითაც ძველი ქართული თარგმანი იყო შესრულებული.

ეს ბიბლია, ისევე როგორც სხვა ლიტურგიული წიგნები, ნუსხა-ხუცურით დაიბეჭდა. XIX საუკუნეში კი მხედრული დამწერლობით მრავალი გამოცემა გამოაქვეყნეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ დიდი განსხვავებაა როგორც ხელნაწერთა შორის, ასევე ქართულ ნაბეჭდ ბიბლიასა და მის პირველწყაროს შორის. მაშასადამე, მისი გადასინჯვა და ბერძნულ ორიგინალთან შედარება საჭიროა.

## თავი XI

# არაბების და სელჩუკების შემოსევა. ქართული ეკლესიის მდგომარეობა VII–XII საუკუნეებში

**შინაარსი. — I. ქართული ეკლესიის მდგომარეობა VII საუკუნეში. არაბების პირველი შემოსევა. სკვითების შემოსევა. — II. არაბთა თარეში. მრავალი ქართველის წამება. არაბთა მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებანი. — III. ეკლესიის სავალალო მდგომარეობა არაბთა ბატონობის შემდეგ. მეფე დავით II-ის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა რეფორმის ჩასატარებლად. — IV. თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ქართველთა გამუდმებული ომები მათ წინააღმდეგ. —V. მეფე დავითის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა ქართველებთან სომხების შეერთების მიზნით. — VI. მეფე გიორგი III-ის მიერ ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება. — VII. თამარ მეფის მიერ მოწვეული საეკლესიო კრება და მისი მეცადინეობა სომეხთა შესაერთებლად.**

წარმართ სპარსელთაგან ამდენი ომის, შევიწროებისა და დევნის შემდეგ, ერეტიკოსთაგან ამდენი მრისხანე შემოტევის შემდეგ ქართულ ეკლესიას მშვიდობა და თავისუფლება სჭირდებოდა, რათა შეძლებოდა წინსვლა სულიერ ცხოვრებაში და საბოლოოდ ორგანიზება, მაგრამ ვაი, რომ, აქამდე, განცდილი ტანჯვა მხოლოდ დასაწყისი იყო იმისა, რაც უნდა გადაეტანა მუსლიმანთაგან მრავალი საუკუნის განმავლობაში.

### I. – ქართული ეკლესიის მდგომარეობა VII საუკუნეში. არაბების პირველი შემოსევა. სკვითების შემოსევა

მშვიდობა, რომელიც საქართველოზე ჰერაკლე კეისრის გავლამ მოიტანა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ წამიერი იყო. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ შეძლებისდაგვარად გამოიყენა ეს მშვიდობა, რის დამოწმებაც შემდეგი მონათხრობით შეგვიძლია:

„ესე სტეფანოს იყო უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა და მთავართა მორწმუნე და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა. და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა, და აღაშენნა დარბაზნი, და დაუწერა კრება ყოველთა პარასკევთა, და მუნ შეკრბიან ყოველნი ეპისკოპოსნი და მღდელნი მის ადგილისა და არიან კათალიკოსის თანა, წინაშე პატიოსანისა ჯუარისა; ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი, ხოლო საკათალიკოსოსა არიან კრებანი



VII ს-ში მცხეთის მახლობლად აგებული ჯვრის მონასტერი.

ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმინდა სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა კორცითა და სისხლითა ქრისტესითა, ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსა არნ ყოველთა სამშაბათთა კრება და ქსენება პირველ-მოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა, დიდისა მისგან ბლიერემისა სპარსთასა რომელ წამებულ იყვნეს, და ამიმოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმან მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი

არაგჳსა აღმოსავლითნი, ხოლო პაციოსანი გუამი მისი დადვეს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა“[1].

VII საუკუნის დასაწყისში მუსლიმანური ფანატიზმით აღგზნებული არაბები მსოფლიოს მოედვნენ, რათა იგი ისლამისაკენ მიექციათ, და მოკლე ხანში მრავალი ქვეყანა დაიმორჩილეს.

ისლამი ან სიკვდილი! ამ დევიზით არაბებმა, რომელთაც თავიანთ გზაზე სპარსეთისა და სომხეთის მსგავსი მძლავრი ქვეყნები დაამხეს, ძლევამოსილი და მსახვრალი იარაღი რამდენიმე საუკუნის მანძილზე მრავალჯერ მიმართეს კავკასიის სიღრმისკენ, საქართველოსაკენ[2]. აი, საქართველოში მათი შემოსევების თარიღები, სხვადასხვა ავტორთან მიკვლეული ცნობების მიხედვით:

638 წელს არაბებმა პირველად დაიპყრეს საქართველო. 645 წელს ჰაბიბმა შეაღწია შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნებში, 648 წელს საქართველოსკენ გამოემართა და აიღო თბილისი. სავარაუდოა, რომ 668 წელს მურვანმა, მეტსახელად ყრუმ, რომელსაც ზოგიერთი აბულ-კასიმს უწოდებს, დაარბია ქვეყანა. 693 წელს მუჰამედმა თავისი ჯარების დიდი ნაწილი გამოგზავნა საქართველოს დასაპყრობად. მურვანი მეორედ დაბრუნდა საქართველოში 718 წელს, ან რამდენიმე წლით ადრე, 717 წელს საქართველო დაიპყრო ხორასნის მმართველმა, სულეიმანის სარდალმა იეზიდმა. 731 წელს ხალიფა ჰიშამმა კავკასიაში არაბთა ჯარების სარდლობა მიანდო უკვე მოხსენიებულ მურვან-ბენ-მუჰამედს, მეტსახელად ყრუს. რამდენიმე წლის შემდეგ (აშოტ კურაპალატის მეფობაში, 787-826) ჯერ ჰიჯნაუმ-ასემი, მაჰდის ძე, შემდეგ ალი შუაბის ძე და იეზიდის ძე ხალილი დაგვესხნენ თავს. 826 წლიდან 876 წლამდე ისმაელის ძე საჰაკი იყო თბილისის ამირა და იგივე ხალილიც იქ დაბრუნდა რამდენიმე წლის შემდე. ხალილის ძემ მოჰამედმა საქართველო დატოვა 841 წელს. ხალიფა მუთავაქილმა 851 წელს საქართველოში გამოგზავნა ბუღა, რომელმაც ქართლი დაუტოვა ხალილის ძეს, მოჰამედს. მოჰამედი შეცვალა ისე შიხის ძემ, ეს უკანასკნელი კი აბრაჰამმა. მაგრამ, მოგვიანებით, ხალილის ძე მოჰამედი ხელახლა გამოჩნდა. მის შემდეგ მოვიდა ამირა გაბლუკი.

881—923 წწ. ადარნასე II-ის ზეობისას ხალიფა მოთემდმა საქართველოში გამოგზავნა აბულ-კასიმი ძე აბულ-ჯაფისა, უფრო გვიან

---

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 232-233; იხ. „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ., I, თბილისი, 1955, გვ. 228-229.

2 „მეშვიდე საუკუნის შუა წლებისათვის, სპარსელთა მძლეველმა არაბებმა ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს თავისი ახალი მოძღვრების, ისლამის ქადაგება. ორასი წელი გავიდა, რომელთა განსვლობაში საქართველოს ისტორია მხოლოდ უბედურებებისაგან იქსოვებოდა და ეს წლები 743 წელს ბაგრატიონთა საგვარეულოს საბოლოო გამეფებით აღინიშნა“. E.Chantre, Recherches antropologiques dans le Caucase, ტ. I, გვ. 19.

კი მოვიდა ამირ ჯაფარი, ძე ალისა[1].

თითქოს არაბთა ეს შემოსევები არა კმაროდა, რამდენიმე წლის შემდეგ, 764 წელს, ხაზარები (ძველად მათ სკვითებს უწოდებდნენ) თავიანთი ქვეყნიდან საქართველოში შემოიჭრნენ დარუბანდის ხეობით, ააოხრეს იგი და არაბებთან სცადეს თავისი ძალა[2].

ამ შემოსევების დროს არაბები დროდადრო უკან იხევდნენ საქართველოს დარბევის შემდეგ, ან ხარკის აკრეფით კმაყოფილდებოდნენ, ან ჯარს ტოვებდნენ, ხშირად კი ამირას. ქართველი მეფეები გაძევებულნი იყვნენ, ან თუ რჩებოდნენ, მხოლოდ ფორმალური ხელისუფლება ჰქონდათ, რადგანაც ისევ ამირების ან ხალიფების განკარგულებაში იყვნენ. ზოგჯერ ისინი ვერც კი ბედავდნენ მეფის ტიტული ჰქონოდათ და უბრალოდ მთავრებს უწოდებდნენ თავს.

არაბები ხშირად მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონნი ხდებოდნენ და ფულიც კი მოჭრეს თბილისში 704, 825, 826, 906 და 923 წლებში[3].

## II. – არაბთა თარეში. მრავალი ქართველის წამება, არაბთა მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებანი

უცხოელი მწერლები თითქმის არაფერს გვატყობინებენ არაბების თარეშზე საქართველოში დაახლოებით 4 საუკუნის მანძილზე. მხოლოდ ბარ-ჰებრეუსის „სირიულ ქრონიკაში" ვკითხულობთ, რომ ბუღას, არაბთა მრავალრიცხოვანი არმიის სარდალს (844-861 წლებში), ცეცხლი წაუკიდებია თბილისისათვის და დაუწვევინებია 50 000 კაცი[4].

---

1 იხ. Lebeau, Histoire du Bas-Empire, ტ.XI, გვ. 223, 335, 376, ტ. XII, გვ. 7, 28, 118, 166, 319, 335; Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 249; Saint-Martin Mémoires, historiques et géographiques sur l'Arménie, Paris, 1818, ტ. I, გვ. 336, 355, 416, 418.

2 Deguines, Histoire générale des Huns, dans Extraits des manuscrits de la Bibliothèque du Roi, Paris, 1756, ტ. I, II ნაწილი გვ. 508.

3 იხ. V. Langlois, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, გვ. 32.

4 „ცოტა ხნის შემდეგ ბუღა, არაბთა ლაშქრის სარდალი, თავს დაესხა თეფლის ქალაქს; მან თბილისი ააოხრა მდინარე მტკვრის ახლოს, თბილისში რომ მოვიდნენ, გადაწვა ქალაქი. დაახლოებით 50 000 კაცი დაიღუპა. რადგან ყველა შენობა ნაძვის ხისაგან იყო ნაგები, უეცრად აალდა და მაშინვე ჩაიფერფლა". — Gregorii Abulpharagii, sive Bar-Herbraei, Chronicon Syriacum, Leipzig, 1799, გვ. 166. ერთი არაბი მწერალი იმავე ამბავს შემდეგი დეტალებით მოგვითხრობს: „მან (ბუღამ) იერიშით აიღო ეს ქალაქი (ტფილისი) 238 (852-3) წელს და ცეცხლს მისცა; ამბობენ, იქ 50 000 კაცი დაიღუპაო. დატყვევებული ისაკი, მისი შვილები და ხალხი მოკლულ იქნა დარბევის შემდეგ მთავარსარდალის ბუღამ დაიპყრო მთელი მრავალი ციხე-სიმაგრე, საიდანაც ნადავლით დატვირთული დაბრუნდა და ტყვედაც ბევრი წაიყვანა. ამის მიუხედავად, ამ პერიოდში მუსლიმანების ძლიერება შესუსტდა ამ რაიონებში და ძლიერ საქმეთ მოედანზე ხალხს (ქართველებს), რომლებიც თბილისის შემოგარენში სახლობდნენ, აღარ მოისურვა, ხელფას დაემორჩილებოდა; მათ ამ ქალაქის ტერიტორიის ულამაზესი ნაწილიც კი დაიკავეს". — C. D'Ohsson, Voyage d'Abou-El Cassim. Des peuples du Caucase au X siécle, Paris, 1828, გვ. 17.

ქართველი მწერლებიც საკმაოდ ძუნწ ცნობებს გვაწვდიან. მოვლენების განვითარებას ჩვენამდე მეტი დეტალი რომ შემოენახა,



წმინდა დავითი და წმინდა კონსტანტინე (VIII ს.). საბინინის მიხედვით.

უეჭველად იმ წამებულთა გრძელი ნუსხა გვექნებოდა შესადგენი, რომელთაც რწმენისთვის სისხლი დაღვარეს. ჩვენ შეგვიძლია ამაზე

წარმოდგენა ვიქონიოთ იმის მიხედვით, თუ სხვა ქვეყნებში რა ჩაიდინეს არაბებმა. სხვათა შორის, აი, რას ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში": მაშინ, როდესაც მეფე მირი, ძე სტეფანოზ მეორისა (663-668) და მისი ძმა არჩილი ეგრისში იყვნენ,

„მოაწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან ყრუ, ძე მომადისი, რომელ წარმოევლინა ეშიმს, ამირმუმლსა ბაღდადელსა, ძესა აბდალ-მელიქისსა, ნათესავისაგან ამათისა. ამისთჳს ეწოდა მეორედ ყრუ, რომელ არა მიითუალვიდა სიტყუასა განმზრახთასა.

ხოლო რაჟამს აღიღო მთავრობა სპარსთა და არაბთა, და აღძრა ყოველი თესლ-ტომი აგარიანთა, და განილაშქრა ქრისტიანეთა ზედა, და აღაოხრა და მოსრა, და ტყუე ყო ქუეყანა საბერძნეთისა და სასომხეთისა ვიდრე ზღუადმდე, და მოეფინა, ვითარცა ღრუბელი მწერისა, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოისათა, და დაფარა პირი ქუეყანისა.

და ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა, და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიელისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა.

და მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრკისათა. რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძუელ ნაქმართა მისთათჳს. მაშინ უკუე აღიძრა და წარმოვიდა სამცხით და წარმოემართა ქუეყანად არგუეთად და წინა-მბრძოლნი და რჩეულნი წარმოვიდეს. მაშინ იყვნეს დიდნი და დიდებულნი ტომებითა მთავარნი, ქართველნი, სანახებისგან ქუეყანისა არგუეთისა, დავით და კონსტანტინე, მაშინ იყვნეს შეკრებულ და რჩეულ, და ფრთხილ. ხოლო იხილეს რა წარმართთა დავით და კონსტანტინე, აღიზახნეს ვითარცა მკეცთა, და მოერთნეს. ხოლო დავით განაძლიერა გუნდი თჳსი და უშიშ ყვნა იგინი, აღიზახა ვითარცა ლომმან და აოტა, და განაბნივა იგინი, ურიცხჳ მოსრეს, და აღუდგინა ძლევა ქრისტიანეთა. მაშინ მეოტნი უკუნ იქცეს (და მიუთხრეს) მურვან ყრუსა, რა იგი მოწევნულ იყო მათ ზედა, ვითარმედ წინამბრძოლნი ლაშქარნი რჩეულნი ყოველნი მოსრნეს მეშის-მსახურთა. ხოლო მან პირსა თჳსსა იკრნა კბილნი თჳსნი და თქუა, ვითარმედ „ვინ არს მკადრე, რომელმცა წინააღუდგა დიდსა მოციქულსა მოამედს, დედის ძმასა ჩემსა". ესე თქუა და შეუძახა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა, და წარმოემართნეს, ვითარცა ქვიშა სიმრავლითა, და მოვიდა ქუეყანად არგუეთისა, და შეიცვეს ტყე და ველნი, მთანი და ბორცუნი, და შეეწყუდიოვნეს კელსა წარმართთასა ერნი ქრისტიანეთანი, რამეთუ რომელნიმე ტყუეთა დაიმალნეს და რომელნიმე მოსრნეს. დავით და კონსტანტინე და სხუანი ვიეთნიმე შემდგომნი მათნი შეპყრობილ იქმნნეს.

მაშინ, ვითარცა ეუწყა შეპყრობა მათი, აღიცყუელნა ჴელნი და აღიდა დიდად დედის ძმა თჳსი მოამედ და სჯული მისი, გამარჯუებისა მისთჳს. ხოლო ვითარცა დაიმანაკეს, დაჯდა საყდართა ზედა, მიიყვანეს დავით და კონსტანტინე წინაშე ყრუსა, და წარადგინეს ჴელშეკრული უსჯულოსა მის, ხოლო ქრისტეს აღსარებისათჳს იწამნეს წმიდანი ესე და მრავალნი



მოწამეთის ეკლესია, სადაც დაკრძალულნი არიან წამებულნი დავითი და კონსტანტინე.

სატანჯველნი თავს-იხსნეს, და მერმე შთაყარნეს ტბასა[1] მას, და თჳთ ივლტოდეს მტარვალნი, შეშინებულნი ჴმისა მისგან წმიდათა მათთჳს მოწამეთა, რომელ ისმოდა ზეცით. მაშინ უღმრთომან არა თავს იდვა.

და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, და უკ-მოიქცა და დაიმანაკა ქალაქსა ჯიხან-ქვიჯისასა, ქუეყანასა

1 დავითისა და კონსტანტინეს დღე აღინიშნება 2 ოქტომბერს. მათი ნეშტი დაცულია ქუთაისის ახლოს, მოწამეთას მონასტერში, რომელიც წმინდა ადგილად გადაიქცა. დავითი და კონსტანტინე დაახლოებით 715 წელს აწამეს.

სამეგრელოსა, სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრელითა ენითა მეხა დიდი. და რამეთუ იყო მანაკი მათი ცხენისწყალთაგან ვიდრე აფხაზეთადმდე... შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი... და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა. და მოსლვასა მისსა კათალიკოსი იყო თამარ.

და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა...

მაშინ ვითარ იყვნეს ციხესა მას შინა ანაკოფიისასა, მუნ მივიდა მურვან ყრუ და უწყო ბრძოლა მეფეთა მათ. მაშინ რქუა არჩილ ძმასა თჳსსა მირს: „მიწყუდეულ არს ციხე-ქალაქი ესე შემუსრვად... აწ უკუე არა ვიქმნეთ ჩუენ მიზეზ მოოჴრებისათჳს ქართლისა და საბერძნეთისა, არამედ განვიდეთ და ვეწყუნეთ ზღუთ კერძოსა ამას გუერდსა შინა. და თუ ენებოს ღმერთსა, ერთითა იოცოს ათასი და ორითა ბევრი.

და მივიდეს წინაშე წმიდისა მის ხატისა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისასა, თაყუანის–ცეს შევრდომით და იტყოდეს: „განვალთ სასოებითა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისათა, რომელი იშვა შენგან, მისა შეწირე ოხა ჩუენთჳს, და თანამავალ მეყავ ჩუენ წყალობა შენი“. და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ცაბრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და პაცახშთა, ათასი ოდენ, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი. და ვიდრე განთენებამდე მოავლინა უფალმან სარკინოზთა ზედა რისხვა ერსა და მანაკსა და ეცლემსა მისსა ზედა, რამეთუ ამაშთა ნათესავი იყო დამანაკებელი მდინარესა მას ზედა, რომელსა რქუანა ამაშა, ხოლო უნემი და ეცლემი მდინარისა კიდესა, რომელსა რქჳან ცხენისწყალი.. მაშინ უკუე განვიდეს სასოებითა ღმრთისათა წყობად მათდა: და ეწყუნეს, და მისცა უფალმან ძლევა მცირედთა ერთა ქრისტეანთა; და მოსწყდა საცლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახკლითა-სამი ათასი. და იწყლა მირ მაზრაკითა ფერდსა, ხოლო ქრისტიანეთაგან მას დღესა შინა მოკლეს კაცი სამოცი, და სარკინოზთა ცხენი დაეცა ვითარცა ჭალაკი და ჩაჰყრიდეს ყოველსა მას ზღუად.

ჩაიარა უღმრთომან მურვან ყრუ ზღჳს პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღჳს პირისანი, და ოჴერ და უვალ ყო ყოველი ქუეყანა ზღჳს პირისა, ვიდრემდის მიიწია ქალაქსა მას, რომელ არს კონსტანტინეპოლე... ხოლო იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე.

და ვითარ გარდაჴდეს წელიწადნი ორმოცდაათნი, კუალად მოვიდა ჭიჭნაუმ, ძე მოჰამედისი, მოაოჴრა და შემუსრა ყოველი შენებულ ქართლისა, და მიმართა შესლვად კახეთად, რათამცა მოაოჴრა და

ყოვლითურთ უმკჳდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა, და არა შემძლებელ იყვნეს წინააღმდგომად: რამეთუ რაჲთგან განერყუნა ქუეყანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლნა ჟამნი



წმინდა არჩილი, საქართველოს მეფე (VII ს.), საბინინის მიხედვით.

მრავალნი მშჳდობით, არღარა მოგებული იყო კუალსა თჳსსა.

ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებისა თჳსსა, სიმჴნითა გულისა მისისათა რათა, მივიდეს და ნახოს, დაითხოვოს მისგან მშჳდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა და არა დაპატიჟება დატევებისათჳს სჯულისა. მინდობითა ღმრთისათა აღირჩია თავისა თჳსისა და სულისა დადება საჴსრად ქრისტიანეთა, აღდგა და მივიდა ჭიჭნაუმს თანა, რომელსა ეწოდა ასიმ.

ხოლო მან ვითარ ცნა მისლვა მისი, მიეგება სიხარულით, და მოიკითხა დიდითა დიდებითა. დაყვნეს დღე იგი ერთობით. აქო სიკეთე მისი, შეუყუარდა სისრული ასაკისა მისისა და უმჯობესად შუენიერება პირისა მისისა. შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო ლიქნით სიტყუად, აღუთქუმიდა ნიჭთა და აწუევდა დატევებასა ქრისტეს სჯულისასა და მიქცევად სარკინოზად. ხოლო წმიდამან არჩილ ყოვლადვე არა თავს-იდვა სიცბილი მისი, და მტკიცითა გონებითა მიუგო და რქუა: „ნუ იყოფინ; თუმცა სიტყუათა შენთა ვისმინე, ანუმცა დაუტევე ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი-იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი, რომელმან ჴსნისათჳს ჩუენისა ჴორცითა სიკუდილი დაითმინა, – და უკუეთუ ვისმინო შენი, უწყოდე, რომელ მოვკუდე სიკუდილითა რომლითა ვიტანჯებოდი საუკუნოდ. გარნა უკუეთუ შენ მომკლა, აღვდგე ვითარცა ღმერთი ჩუენი და მის თანავე ვიდიდო“.

ესმა რა ესე ყოველი უსჯულოსა მას და იხილა სიმტკიცე მისი უქცეველი, დაუკჳრდა ფრიად და უბრძანა შეპყრობა მისი და შეყენება საპყრობილესა, რათა ღონისძიებითა მიაქციოს; რამეთუ არა სთნდა სიკუდილი მისი სიმშუენიერისათჳს ხატისა მისისა და სიმაღლისათჳს ასაკისა მისისა. და ვითარ შეაყენეს საპყრობილესა, აკურთხევდა ღმერთსა და ითხოვდა შეწევნასა მისგან, რათა მოწყალებითა მისითა ღირს ყოს მიმთხუევად და მკჳდრ-ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა ყოველთა თანა წმიდათა, რომელთა ღმრთისათჳს სიკუდილითა უკუდავება მოიგეს.

მოუწოდა კუალად არჩილს და რქუა: „იყოს სამეფო შენი შენდავე, და საგანძურნიცა მამათა შენთანი მოგანიჭნე შენვე, პირველად მიჩუენენ საგანძურნი მეფეთა მერმენთანი, მოიქეც სჯულსა ჩემსა, და იქმენ სარკინოზ, და სპასალარ გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა და მეფე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა“.

მაშინ მიუგო და რქუა წმიდამან არჩილ: „მე არა დაუტევო უფალი ღმერთი ჩემი, არცა განვყიდო წარუვალი იგი დიდება მსწრაფლ წარმავლისა ამისთჳს“.

და უბრძანა თავისა მოკუეთა და აღსრულება წმიდისა არჩილისი განიყვანეს გარე და მოჰკუეთეს თავი მისი თუესა მირკანისასა, რომელ არს მარტო,ოცსა მის თჳსასა[1].

---

1 არჩილის დღედ ითვლება 20 მარტი. მისი წამების თარიღი საკმაოდ ბუნდოვანია: შეიძლება ვივარაუდოთ 727 წლის მახლობლად; ერთ ხელნაწერში ნათქვამია, რომ იგი 781 წელს აწამეს



წმინდა გობრონი (VII ს.), საბინინის მიხედვით.

შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. წარმოვიდეს მჴნით და მოიწივნეს ჴევსა მაჳმეთისასა.

ხოლო კევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჴრდა, ოდეს-იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი. და კუალად შემდგომად მისსა სხვამან საცლომისამან მოაოჴრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ.

... იგინი მოვიდოდეს კუალად მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისსა, არა უწყოდა აშოტ ზაკუა მათი, და რაჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მაშინღა აგრძნა რაჲ იგი ეგულვებოდა მათ, და არა ჰყვა მას ერი თჳსი თჳნიერ მცირედთასა, რომლითა ვერ წინააღუდგებოდა მათ იგი. ამისთჳს შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახჳლითა საკურთხეველსა ზედა, და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა. რამეთუ დაკლეს იგი მუნ ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხეველისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესაცა საჩინოდ სახილველ არს.

მაშინ მოვიდა ბუღა თურქი, მონა, ბაღდადით, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუმნსა, სპითა დიდითა: შემუსრა ყოველი სომხითი და ტყუე ყვნა ყოველნი მთავარნი მათნი. და მოვიდა და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოჴრნა ყოველნი არენი მისნი.

ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა ამირა აგარიანი, სახელით აბულ-კასიმ, ძე აბუსაჯისი, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუმნსა სპითა და დიდითა და ურიცხჳთა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა.

... მოვიდა აბუ-საჯის ძე ტფილისს, და მას ჟამსა ამირა იყო ჯაფარ, ძე ალისი. მოვიდა და მოადგა უჯარმოს, შიგა დგა სამასი კაცი, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა. და ვითარ იხილეს, რამეთუ ვერ დაუდგმიდეს, დააგდეს ღამე და გარდაიხუეწნეს: რომელნიმე წარვიდეს და რომელთამე ეწივნეს და დაკოცნეს... შემოვიდა ქართლად და მოაოჴრა ქართლი; და ვიდრე იგი შემოვიდოდა, მოარღვნეს ზღუდენი უფლისციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ. შევიდა მუნით სამცხეს, და მოაოჴრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგჳსასა. და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყო ბრძოლად.

იყო მუნ შინა ჭაბუკი ერთი, სახელით გობრონ; ებრძოდა შიგნით გამოღმართა ყოველთა დღეთა მოყუასთა თჳსთა თანა. და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმიდა გობრონ და აწამეს, რომლისა წამება მისი ვრცლად აღწერა წმიდამან მამამან ჩუენმან სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან“[1].

1 **Brosset**, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 261-263, 275-276. იხ. „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955 წ. გვ. 233-247, 253, 256, 262-264.

აქ მოხსენიებული „ცხოვრება“ დაცულია X საუკუნის ხელნაწერში, რომელიც თბილისის საეკლესიო მუზეუმში 19-ე ნომრით ინახება. „ცხოვრებაში“ ნათქვამია სხვათა შორის, რომ გობრონი (იგივე მიქელი) მეტად მამაცი მეომარი ყოფილა. თავისი სიმამაცის წყალობით არაბთა სარდალმა ციხის აღების დროს დატყვევებულ სხვა ქართველებთან ერთად კი არ მოაკვლევინა, სცადა, მისთვის ქრისტიანობაზე უარი ეთქმევინებინა, მაგრამ მუქარა, დაპირება, წამება — ყველაფერი ამაო გამოდგა; გობრონს უფრო განუმტკიცდა იესო ქრისტეს რწმენა; ამიტომ თავი მოჰკვეთეს. იგი უნდა ეწამებინათ 912-სა და 916 წლებს შორის. გობრონის მოხსენიების დღედ 17 ნოემბერია დაწესებული.

გობრონამდე ასევე აწამეს ორი ცნობილი პიროვნება, რომელთა ცხოვრებამაც ჩვენამდე მოაღწია: ერთი მათგანი იყო აბო თბილელი, მეორე—მთავარი კონსტანტინე.

აბოს ცხოვრება IX საუკუნეში კათალიკოს სამოელის დავალებით დაწერა ეპისკოპოსმა იოანე საბანისძემ. იგი ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული ხელნაწერშია. აქ მოვიყვანთ ნაწყვეტს, რომელიც გარკვეულად ისტორიული თვალსაზრისითაა საინტერესო:

ქართლი, ქვეყანა, რომელიც „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდათა მადლთა ნათლის-ღებისათა“ მაშინ, როდესაც „მრავალნი სცდებოდიან და მრავალთა აცდუნებდნენ“, გახდა მოწმე მრავალ მოწამეთა ხილვისა, იქნებოდნენ ესენი ქართველები თუ უცხო ქვეყნებიდან მოსულები. მართლაც,

„ⴈⴗⴍ ⴏⴀⴋⴈ, ⴍⴃⴄⴑ ⴄⴐⴈⴑⴋⴇⴀⴅⴀⴐⴈ ⴈⴂⴈ ⴕⴀⴐⴇⴊⴈⴑⴀ ⴑⴀⴞⴄⴊⴈⴇ ⴌⴄⴐⴑⴄ, ⴛⴄ ⴀⴃⴀⴐⴌⴄⴐⴑⴄ ⴉⴓⴐⴀⴎⴀⴊⴀⴒⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴄⴐⴈⴑⴋⴇⴀⴅⴐⴈⴑⴀ, ⴋⴍⴜⴍⴃⴄⴁⴓⴊ ⴈⴕⴋⴌⴀ ⴕⴓⴄⴗⴀⴌⴀⴃ ⴋⴀⴋⴈⴊⴍⴣⴌⴈⴑⴀ ⴋⴔⴊⴍⴁⴄⴊⴈⴑⴀ ⴋⴈⴑⴂⴀⴌ ⴋⴈⴑ ⴏⴀⴋⴈⴑⴀ ⴑⴀⴐⴉⴈⴌⴍⴆⴇⴀⴢⴑⴀ ⴀⴋⴈⴐⴀ ⴋⴓⴋⴌⴈⴑⴀ ⴀⴁⴃⴈⴊⴀⴢⴑⴀⴂⴀⴌ, ⴐⴍⴋⴄⴊ ⴈⴗⴍ, ⴕⴀⴊⴀⴕⴑⴀ ⴋⴀⴑ ⴃⴈⴃⴑⴀ ⴁⴀⴖⴃⴀⴃⴑ, ⴐⴍⴋⴄⴊⴈⴚⴀ-ⴈⴂⴈ ⴋⴀⴌ ⴀⴖⴀⴘⴄⴌⴀ.

ⴞⴍⴊⴍ ⴘⴄⴑⴋⴄⴌⴈⴇⴀ ⴋⴍⴐⴍⴒⴇⴀ ⴉⴀⴚⴇⴀⴢⴇⴀ, ⴑⴀⴎⴗⴐⴍⴁⴈⴊⴄⴑⴀ ⴘⴄⴀⴂⴃⴍ ⴋⴀⴌ ⴌⴄⴐⴑⴄ, ⴄⴐⴈⴑⴇⴀⴅⴈ ⴕⴓⴄⴗⴀⴌⴀⴑⴀ ⴀⴋⴈⴑ ⴕⴀⴐⴇⴊⴈⴑⴀⴢ ⴃⴀ ⴎⴗⴐⴍⴁⴈⴊ ⴈⴗⴍ ⴈⴂⴈ ⴋⴓⴌ ⴏⴀⴋⴀⴃⴋⴃⴄ ⴑⴀⴋⴈⴑⴀ ⴜⴊⴈⴑⴀ, ⴅⴈⴃⴐⴄⴋⴃⴈⴑ ⴋⴐⴛⴀⴌⴄⴁⴈⴇⴀ ⴖⴋⴐⴇⴈⴑⴀⴢⴇⴀ ⴋⴍⴉⴓⴃⴀ ⴀⴁⴃⴈⴊ ⴀⴋⴈⴐⴀ ⴋⴓⴋⴌⴈ ⴃⴀ ⴃⴀⴟⴃⴀ ⴋⴈⴑ ⴜⴈⴊ ⴛⴄ ⴋⴈⴑⴈ ⴋⴀⴠⴃⴈ. ⴞⴍⴊⴍ ⴕⴅⴄⴊⴈⴑ-ⴋⴍⴕⴋⴄⴃⴋⴀⴌ ⴖⴋⴄⴐⴇⴋⴀⴌ ⴀⴐⴜⴋⴓⴌⴀ ⴂⴓⴊⴈⴑⴀ ⴋⴀⴠⴃⴈ ⴀⴋⴈⴐⴀ ⴋⴓⴋⴌⴈⴑⴀⴑⴀ ⴂⴀⴌⴒⴄⴅⴄⴁⴀⴢ ⴌⴄⴐⴑⴡⴑⴈ ⴃⴀ ⴂⴀⴋⴍⴈⴗⴅⴀⴌⴀ ⴈⴂⴈ ⴋⴜⴀⴐⴈⴑⴀ ⴋⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴑⴀⴎⴗⴐⴍⴁⴈⴊⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴂⴀⴌⴓⴒⴄⴅⴀ ⴈⴂⴈ ⴉⴓⴀⴊⴀⴃ ⴄⴐⴈⴑⴋⴇⴀⴅⴐⴍⴁⴈⴇ ⴀⴕⴀ, ⴕⴅⴄⴗⴀⴌⴀⴃⴅⴄ ⴇⴣⴑⴀ...

ⴠⴀⴁⴍ... ⴈⴗⴍ ⴗⴍⴅⴊⴀⴃⴅⴄ ⴀⴐⴀⴁⴓⴊⴇⴀ ⴇⴄⴑⴊⴈ, ⴐⴍⴋⴊⴈⴑⴀ ⴋⴀⴋⴀ ⴋⴈⴑⴈ ⴃⴀ ⴃⴄⴃⴀ ⴋⴈⴑⴈ ⴃⴀ ⴛⴋⴀⴌⴈ ⴃⴀ ⴃⴀⴌⴈ ⴋⴈⴑⴌⴈ ⴈⴗⴅⴌⴄⴑ ⴋⴓⴌⴅⴄ ⴕⴀⴊⴀⴕⴑⴀ ⴋⴀⴑ ⴘⴈⴌⴀ ⴁⴀⴖⴃⴀⴃⴑ ⴋⴀⴋⴈⴊⴍⴣⴌⴈⴑⴀⴑⴀ ⴃⴀ ⴄⴑⴄ ⴈⴗⴍ ⴗⴐⴋⴀ, ⴝⴀⴁⴓⴉ, ⴅⴈⴇⴀⴐ ⴀⴇⴅⴐⴀⴋⴄⴒⴈⴑ ⴜⴊⴈⴑ, ⴂⴈⴌⴀ ⴓⴉⴌⴈⴌⴄⴑ-ⴀⴙⴅⴈⴃⴋⴄⴒⴈⴑ ⴜⴊⴈⴑ. ⴀⴋⴀⴌ ⴈⴌⴄⴁⴀ ⴜⴀⴐⴋⴍⴑⴊⴅⴀ ⴇⴀⴅⴈⴑⴈ ⴀⴕⴀ ⴄⴐⴈⴑ-ⴋⴇⴀⴅⴐⴈⴑⴀ ⴋⴈⴑ ⴌⴄⴐⴑⴄⴑ ⴇⴀⴌⴀ ⴃⴀ ⴘⴄⴄⴗⴍ ⴋⴑⴀⴞⴓⴐⴀⴃ ⴋⴈⴑⴀ. ⴃⴀ ⴈⴗⴍ ⴈⴂⴈ ⴞⴄⴊⴍⴅⴀⴌ, ⴉⴄⴇⴈⴊⴀⴃⴘⴄⴋⴆⴀⴅⴄⴁⴓⴊ ⴑⴓⴊⴌⴄⴊⴇⴀ ⴋⴀⴇ ⴑⴀⴚⴞⴄⴁⴄⴊⴇⴀ,



VI საუკუნეში კახეთში აგებული ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესია[1].

---

1 ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიაში მრავალი წარწერიანი ხატი და ხელნაწერია დაცული. აი, ერთ-ერთი წარწერა გარდამოხსნის ნაწილზე:

„ჩვენ მეფეთ მეფემან ერეკლემ (ერეკლე I) ეს ქართხეულის ბატონის ჩვენის დედის დედოფალთ დედოფლის ელენესგან (1652-1664 წწ. შორის) რუსეთს გაკეთებული გარდამოხსნა წმიდას გიორგის შესწირა, და რადგან უხანომ სოფელმან მათი მიერ

და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაჲთა, ძეთა ისმაელისთა, ძეთა ამრაჰამისთა, ნაშობთა აგარისთა“.

18 წლის აბო მსახურად გაჰყვა ნერსეს, რომელიც თავის სამშობლოში ბრუნდებოდა; აქ მან ისწავლა ქართულად კითხვა და ლაპარაკი, წაიკითხა ახალი და ძველი აღთქმის წიგნები, შეისწავლა საღმრთო წიგნები და გახდა ქრისტიანი, მაგრამ საიდუმლოდ და მოუნათლავად, რადგან ქვეყნის ბატონ-პატრონების, სარკინოზების შიში აკავებდა. ნერსე ერისთავზე კვლავ განრისხდა ხალიფა, ნერსე გაიქცა და სარკინოზები გამოედევნენ, მაგრამ

„უფალმან დაიცვა იგი და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარი–ალან ერქჳმის. და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტესი ჰაბო“.

ნერსე შევიდა ხაზარების ქვეყანაში, წარუდგა მათ მეფეს, რომელმაც მიიღო უცხოები. ამჯერად აბო მონათლეს პატიოსანმა მღვდლებმა, რადგან სულიწმიდის მადლით ჩრდილოეთის მიწებზე ბევრი ქალაქია, სადაც უშიშრად ცხონდებიან ქრისტეს სარწმუნოებით. აქედან ნერსე აბოსთან ერთად აფხაზეთში გადავიდა. აქ აბო განუწყვეტელ ლოცვას და მძიმე მარხვას შეუდგა. ხალიფას ნებართვით ნერსე თავის ქვეყანაში დაბრუნდა. როდესაც ნერსე მიემგზავრებოდა, აფხაზეთის მთავარმა აბოს ურჩია არ გაჰყოლოდა მას:

„ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ მუნებით სარკინოზ, და არა გიცხონ შენ ქრისტიანობით მათ შორის“.

აბო მაინც გაჰყვა ნერსეს თბილისში, სადაც იცხოვრა სამი წელი,

---

სოფლით მიყარეა მოახლენა, ჩვენ მათი ანდერძი აღარ მოვშალეთ და წმიდას გიორგის დავასვენეთ ისიმც რისხავს, და მისი სული ნუ იხსენების ჯოჯოხეთისაგან დახიზვნის გარდაისად, ვინცა იქიდამ გამოიტანოს გასამხობლად და იმ საყდრის მტრად ვინ სხვას საყდარში წითელს პარასკევს სამთხვევლად წაიღოს, ან დიდს შაბათს“. Brosset, Voyage archéologique, I მოხსენება, გვ. 68. ერთ-ერთი ხელნაწერის ბოლოში არის ასეთი მინაწერი: „პე, ნებითა და შეწევნითა ღთისათა, და მეოხებითა ალავერდის წმიდისა გიორგისათა, მე ჩხეიძემან სახლის ხუცის - შვილმან ხუცესმან, დავიწყენ სახარება სამოციქულო ესე ისპანს. როდეს ისპანს ტყვედ ვიყავ, მაშინ დავიწყენ და შემოგწირე შენ, წმიდაო გიორგი ალავერდისაო. და შეიწირე, და ამ სოფელსა დღეგრძელობით წყალობით შეგვიწყალე, და მას საუკუნესა სასუფეველსა დამკვიდრებით“. თარიღი არ ჩანს. იქვე, გვ. 69—70.

იქცეოდა განცხადებულად ქრისტიანედ და მორწმუნეებისგან ღებულობდა საზრდოსა და სამოსელს. ბოლოს შეიპყრეს, მიჰგვარეს თბილისის მსაჯულს, რომელმაც საპყრობილეში ჩასვა; იქ აბო ქრისტიან პატიმრებს უნაწილებდა, რაც რამ ებადა. ერისთავ სტეფანოზის თხოვნით იგი გაათავისუფლეს. მალე სხვა ამირა-მსაჯული დანიშნეს, რომელმაც მოაყვანინა აბო და ხელახლა დაადო ბორკილები. იგი დაკითხეს და საპყრობილეში წაიყვანეს. 9 დღის შემდეგ აბომ იწინასწარმეტყველა, რომ მეორე დღეს მოკლავდნენ; მან გაყიდა ტანსაცმელი, რათა შეეძინა სანთლები და ისინი თბილისის ეკლესიებში აანთებინა. მართლაც მეორე დღეს აბოს წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა ეკლესიის წინ თავი მოჰკვეთეს. შემდეგ აბოს გვამი დაწვეს, რათა ქრისტიანებს მისი ნაწილები არ დარჩენოდათ. ეს მოხდა 890 წელს, ლეონის ძის, იმპერატორ კონსტანტინეს მეფობის მეათე წელს, მოჰდის ძის, ხალიფა მოსეს დროს, კათალიკოს სამოელისა და ერისთავ სტეფანოზ გურგენის ძის დროს, პარასკევს, 6 იანვარს.

ცხადია, აქ შეცდომაა თარიღში, გაპარული გადამწერლების მიზეზით, ან ეს ის თარიღია, როდესაც დაიწერა წამებულის ცხოვრება. საკმარისია ითქვას, რომ ბაღდადი 762 წელს დააარსა ხალიფა აბდალამ, რომელიც 775 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ წმინდა აბო აწამეს ქალაქის დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 786 წელს, როდესაც 8 იანვარს პარასკევი დღე უწევს. ქართული ეკლესია აბოს 8 იანვარს იხსენებს.

მეორე წამებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის მთავარი კონსტანტინე. როგორც ყველგან, საქართველოშიც არაბებმა სასტიკი ომი გამოუცხადეს ქრისტიანობას. ყოველ ღონეს ხმარობდნენ ისლამის გასავრცელებლად, მაგრამ ქრისტიანების მხრიდან ცხოველ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. კონსტანტინე იყო ერთ-ერთი იმ გმირთაგანი, რომელმაც ხელი შეუშალა არაბებს ქრისტიანობის აღმოფხვრაში. ზემო ქართლის მთავარმა, კონსტანტინემ, ითავა ქვეშევრდომების ხსნა სულიერი დაღუპვისაგან. სათავეში ჩაუდგა მცირერიცხოვან ჯარს და მედგრად იბრძოლა არაბთა წინააღმდეგ. თავის სამხედრო ღირსებებს მან ნამდვილი ქრისტიანის რწმენა შეუსისხლხორცა. იერუსალიმშიც კი გაემგზავრა, სადაც დიდი შესაწირავი უძღვნა სხვადასხვა წმინდა ადგილს. როდესაც 85 წლის ასაკს მიაღწია, ბუღა თურქის ბრძანებით, დაიჭირეს და თბილისს ჩამოიყვანეს სხვა სასტიკად დევნილ ქრისტიანებთან ერთად. შემდეგ ბუღამ კონსტანტინე ჯაჭვებით შებორკილი გაგზავნა იბრაჰიმის ძე ხალიფა ჯაფართან, ბაბილონში. ვინაიდან კონსტანტინე უარს ამბობდა მუსლიმანად გახდომაზე, მიუგზავნეს ორი „ერისთავნი, რომელნი ტყვეობითვე მიეყვანნეს სომხითით და უარის ყოფითა ქრისტესითა პატივცემულ იყვნეს“ მის წინაშე.



წმინდა კონსტანტინე (IX ს.), საბინინის მიხედვით.

შეეცადნენ სასტიკი წამებით ქრისტიანობაზე უარი ეთქმევინებინათ, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მოხუცი ელეაზარის მსგავსად, კონსტანტინემ უგულებელყო ყველაფერი, თქვა, რომ მზადაა თავისი ღმერთის, იესო ქრისტესთვის აღესრულოს. რადგან იგი აზრს არ

იცვლიდა, თავი მოკვეთეს პარასკევს, 10 ნოემბერს[1].

კონსტანტინეს ბიოგრაფი მისი წამების თარიღს იმპერატორ თეოდორას რეგენტობას უკავშირებს, იმ დროს, როდესაც მისი ვაჟი მიხეილი (842-867) ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო; მაშასადამე, კონსტანტინე აწამეს 842 წლამდე, მაგრამ ეს თარიღი ზუსტი არ გვეჩვენება. ბუღა, რომელმაც კონსტანტინე შეიპყრო, საქართველოში 851 წელს მოვიდა და, რაკი 10 ნოემბერს პარასკევი დღე მხოლოდ 850 წელს უწევს, იგი უნდა მივიჩნიოთ კონსტანტინეს წამების თარიღად[2].

არაბებმა აწამეს აგრეთვე ურბნისის ეპისკოპოსი ნეოფიტე.

ნეოფიტე იყო მუსლიმანი, ქვეყნის ასაოხრებლად მოსულ არაბთა ჯარში მეთაურის თანამდებობა ეკავა. შიო მღვიმის ბერების ხილვამ, რომელთა შესახებაც ჩვენ IX თავში ვისაუბრეთ, განსაზღვრა ძირითადად მისი მოქცევა. ნეოფიტე ბერად აღიკვეცა შიოს ამ განთქმულ მონასტერში და სულ მალე გამოიჩინა თავი ქრისტიანული სათნოებით, ურბნისის ეპისკოპოსად დააწინაურეს. ნეოფიტემ დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება და ისლამის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის გავრცელება სურდათ ყველგან. მისმა მოციქულობამ მალე შეაშფოთა არაბები და გადაწყვიტეს, საშინელი სიკვდილით დაესაჯათ. იგი დაიჭირეს, ჯერ ქუჩებში ათრიეს, შემდეგ გაროზგეს და ბოლოს ჩაქოლეს. ნეოფიტე უნდა ეწამებინათ 823-833 წლებში. მისი დღე აღინიშნება 28 ოქტომბერს[3].

აი, ნაწყვეტი, რომელიც გვიჩვენებს არაბების მიერ ჩადენილ სხვა ბოროტმოქმედებას:

„ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უკმოდეს საკდომით, და მოსცუჳენეს კახეთი, და დაწჳეს ჯუარი და მცხეთა, და შეიძრვეს; და წარვიდეს და წარიცანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი. და შეედვათ სნემა მუცლისა, და გულისხმა ყვეს, რომელ ჯუარისაგან ეყნოთ. შეკრიმნეს ნაწილნი და წარმოსცნეს ჯუარსა. ჩაკრიმნეს მუდესა შინა და აღმართეს ადგილსავე თჳსსა“[4].

ეს ნაწყვეტი სარწმუნოს ხელის IV თავში ნათქვამს, ჩვენი უფლის კვართის შესახებ, რომ არაბებმა ბევრი წმინდა ნივთი წაიღეს საქართველოდან, რომელთა შორის აუცილებლად ნინოს ჯვარიც უნდა ვიგულისხმოთ.

---

1 იხ. Lebeau, Histoire du Bas-Empire, ტ. XIII, გვ. 47, შენ. 3.

2 კონსტანტინეს დღე 10 ნოემბერს აღინიშნება.

3 მწერლები მის წამებას VII საუკუნეს მიაკუთვნებენ. იხ. Acta SS., ოქტ., ტ. XII, გვ. 550.

4 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 279, იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 265.



ურბნისის ეპისკოპოსი, წმინდა ნეოფიტე (IX ს.), საბინინის მიხედვით.

## III. — ეკლესიის სავალალო მდგომარეობა არაბთა ბატონობის შემდეგ. მეფე დავით II-ის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა რეფორმის ჩასატარებლად

მკითხველს ვანდობთ იმის წარმოდგენას, რა სავალალო მდგომარეობაში იქნებოდა ქართული ეკლესია ოთხი საუკუნის განუწყვეტელი დევნის, ძარცვის, აოხრებისა და ძლევის დროს.

მოვიხსენიოთ ატენის სიონი, რომელიც დღესაც არსებობს გორის რაიონში. მის ერთ შიდა კედელზე ვკითხულობთ:

**5 აგვისტოს, შაბათ დღეს, 853 წელს ბუღამ თბილისში შეიპყრო და მოკლა ამირა საჰაკი.**

არ ვიცით, VII საუკუნეში, ამ მოვლენაზე ადრე აშენებული ეკლესია როგორ გადაურჩა მუსლიმანთაგან აოხრებას.

არაბთა ბატონობის სხვა დამამტკიცებელი საბუთი აღბეჭდილია გელათის მონასტერში დავით II აღმაშენებლის მიერ დარუბანდიდან მოტანილ რკინის კარზე. კარზე ასეთი წარწერაა არაბულ ენაზე:

**„სახელითა ღვთისათა ყოვლად მოწყალის და ყოვლად სახიერისა, გვებრძანა ჩვენ გაკეთება ამ კარისა ჩვენის მეპატრონის ამირ სეიდისაგან სახელოვანის შავირისაგან, ელთასცალის ძისა. ღმერთმან შეინახოს იმისი მეთობა! ზედამხედველობითა ბრძენის ამედ ფერეჯ მაჰმადისა ამდელაის ძისათა, ღმერთმან ხელი მოუმართოს მას ყოველაფერში. კარი ამოსჭრა იბრაიმ ოსმანის ძემან, ანკვესძემან, რკინის მჭრელმან 455 წელსა" (1063 წ.)[1].**

X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში არაბები შესამჩნევად დასუსტდნენ და საქართველომ თავისი ეროვნული მმართველობა დაიბრუნა. დაიწყო ახალი ერა. ყველაფერი თავიდან უნდა გაკეთებულიყო. ხალხი შეუდგა შრომას და შეეცადა, ნანგრევებიდან აღედგინა ეკლესიები და ქალაქები.

მართალია, არაბებმა, მიუხედავად არაერთი ცდისა, ვერ მოახერხეს საქართველოში ქრისტიანობის მთლიანად მოსპობა, მაგრამ ქვეყანა საგრძნობლად დასწიეს უკან. მათი განდევნის შემდეგ ქრისტიანობა, შეიძლება ითქვას, სულს ღაფავდა, კორუფციამ და თანამდებობის ბოროტად გამოყენებამ მძლავრად გაიდგა ფესვი ყველა ფენასა და საეკლესიო იერარქიის ყველა ხარისხში. „ქართლის ცხოვრებამ" შემოგვინახა ამ მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი ბნელი სურათი:

1 იხ. Journal Asiatique, სერია II, 1832, ტ. II, გვ. 178.

„რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სულთა საღმრთოთა უსჯულოებასა წურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა[1]. და თჳთ სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და



ატენის სიონი (IX ს.).

ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო, ვითარცა ზემო ვთქუთ. და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღდელისა და მკედრისა, არცა ერისა და მღდელთ-მთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყსოსა"[2].

1 საჭიროა აღინიშნოს, რომ სომხური ეკლესიაც ანალოგიურ მდგომარეობაში იყო, რადგანაც მათი [illegible] მტკიცებით (გვ. 140), ერთდროულად 4 თუ 6 კათალიკოსი ჰყავდა.

2 Brosset, Histoire de la Géorgie, I, გვ. 355; იხ. „ქართლის ცხოვრება", ს.ყაუხჩიშვილის რედ. ტ.I, თბილისი, 1955, გვ. 327.

საყოველთაო რეფორმა მეტად აუცილებელი ხდებოდა. ღვთიურმა განგებამ კიდევ ერთხელ გადაარჩინა საბოლოო განადგურებისაგან ამდენ განსაცდელგამოვლილი ეკლესია და მოუვლინა მეფე, რომელიც მხოლოდ მამაცი მეომარი კი არ იყო, არამედ მორწმუნე ქრისტიანი და ბრძენი მმართველიც. ეს მეფე გახლდათ დავით II აღმაშენებელი (1089—1125), გიორგი II-ის ვაჟი, ვინც დროულად უმკურნალა ქართულ ეკლესიას, ქვეყნიდან განდევნა გარეშე მტრები და წესრიგი დაამყარა სამეფოს შიგნით. მეფე სერიოზულად დაუფიქრდა ეკლესიის მძიმე მდგომარეობას. იოანე კათალიკოსის თავმჯდომარეობით 1103 წელს საეკლესიო კრება მოიწვია ორ საეპისკოპოსოს, რუისსა და ურბნისს შორის; კრებაში მრავალმა ეპისკოპოსმა და სამღვდელო პირმა მიიღო მონაწილეობა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა კრებამ საქართველოში, ძირეული რეფორმები განახორციელა, დაამყარა დისციპლინა, თანამდებობიდან გაათავისუფლა და ეკლესიიდან განკვეთა დამნაშავენი. კრების აქტები, XII თუ XIII საუკუნის ხელნაწერის სახით, 76 ნომრით ინახება თბილისის საეკლესიო მუზეუმში. აქ მოკლედ გაგაცნობთ კრების არსს.

კრებამ ხმამაღლა განაცხადა, რომ მის მიზანს არ შეადგენს ქართველების რწმენის რეფორმა, რწმენისა, რომელიც ყოველთვის შეუბღალავი და ჩირქმოუცხებელი იყო. საჭიროა მხოლოდ განმტკიცდეს როგორც სასულიერო პირებს, ისე მორწმუნეთა შორის მოდუნებული საეკლესიო დისციპლინა. კრებაზე ჩამოთვალეს პირველ შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული კანონები და წმინდა მამების მიერ დაკანონებული წესები, მთელ სამღვდელოებას და მორწმუნეთ შეახსენეს, რომ მათი ვალია შეისწავლონ და განუხრელად მისდიონ ამ წესებს, თანაც ისე, არც არაფერი დაუმატონ და არც მოაკლონ. ჩამოთვალეს ახალი აღთქმის ყველა საიდუმლო, ხოტბა შეასხეს მორწმუნე მეფეს, ვინც კრება მოიწვია და შეიმუშავეს 15 წესი, ანუ კანონი, რომლებიც მოკლედ ასე ჟღერს:

„1. ...პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელთმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირუველისა მის მწყემსთ მთავრისანი, განვკუეთენით და უცხო ვყუენით მღდელობისაგან; ნაცულად მათთა სხუანი დავადგინენით, რომელსა ჰასაკისაგან და საქმეთაგანცა აქუნდა წამებაჲ.

2. ამას თანა სულ მოკლებაჲცა ხელთ დასხმადთა, ვითარცა უწესო და უკანონო დავსხენით და განვაწესეთ, რათა ამიერიდგან არღარა ვინ იკადროს ქმნად, თჳნიერ ვითარ იგი განაწესებს კანონი; რამეთუ ეპისკოპოსი 35 წლისა, მღდელი 30 წლისა, დიაკონი 25 წლისა და წიგნის მკითხველი 8 წლისა, ხელთდასხმულ იქმნებოდიან. ამასთანაცა სხუაცა უწესო წესი ხელთ დასხმათა და დახსნად განვაჩინეთ, ვითარმცა მასვე და ერთსა დღესა, ხელნი დაესხნეს ვისმე.

3. წესი ხელთ დასხმადთა სრულებისაჲ... ეგრეთვე კურთხევაჲ ეკლესიისა და დამყარება საკუთრხევლისა და წმიდა ყოფა ღმერთ მყოფელისა მიჰრონისა, ეგრეთ აღესრულებოდედ, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოხსენებულისა მამისა გიორგი მთაწმინდელისათა დაწერილ არს.

4. ქრთამისათჳს და საფასისა, რომლისა მიიღებენ ხელთ დამსხმელნი ხელთ დასხმადთაგან, რომლისა ქმნაჲ ამიერიდგან ნურღარამცა ვის უკადრებიეს, რათა არა იგიცა შევსძინოთ, ვითარმედ შეიჩუენოს ვითარცა სვიმონ მოგჳ პეტრე მოციქულისაგან და ნუმცა მიიღებენ რაჲთურთიით ნურარას ნუ ოდეს, ნუცა პირველ ხელთ დასხმისა, ნუცა თვით მას ხელთ დასხმასა შინა, ნუცა შემდგომად ხელთ დასხმისა.

5. სამღუდელოთა ჭურჭელსა და ღუთისა და შეწირულთა სიწიდეთათჳს, რომელ არნ ბარძიმ, ფეშხუმი სამწერობელნი და სხვა... არა ვის კელეწიფოს კმარებად მისსა არა რად. არცა ტყუეთა სახსრათ, დაღათუ ცუდადცა და უხმარად მდებარე იყუნენ.

6. თვინიერ ეკლესიისა და საკურთხევლისა არცა ნათლისცემაჲ შესაძლებელ არს, არცა გჳრგჳნთა კურთხევაჲ. წმიდათა საიდუმლოთა ზიარება უხმს მას დღესა, რომელსა იკურთხნენ უეჭუელად.

7. ამიერიდგან არღარა ეკურთხეოდინ გჳრგჳნი ჩჩჳლთა ქალ — ყრმათა. ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროჲსი, ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა.

8. კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან, ხორ-ეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ, მღვდელი ანუ დიაკონი შიშითა მღუთისათა ემცნებოდედ მას. ფლობად და დაცვად ყოველთავე საქრისტიანოს წესთა, რათა არა რა მათგანი განსცდეს ქრთამისთვის არცა რა განყიდოს ვეცხლად.

9. ვინაიდგან მოძღუარად წოდებულთა არს სიმრავლე და დიდი თუ იყოს მონასტერი, მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისათვის დიდთა მონასტერთა შინა ორ — ორი, ხოლო მცირედთა თჳითო ყრმა იყოს მოძღუარი. უძღოდელსა არა ხელეწიფებოდის განმკითხველობად სულთა.

10. ნუმცა მონასტერთა შინა შექმნათ სავაჭროთა ერის კრებათა, ნუმცა რა სხუა სამოქალაქო და სოფლიო წესი ქმნილ არს მონასტერსა შინა.

11. ერთსა საკურთხეველსა და მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა, მრავალთა სულთათვის, მრავალთა მღდელთა მიერ ქმნაჲ წმიდისა ჟამის წირვისაჲ უწესო არს. თავად საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისა საეპისკოპოსოისა გინა მონასტერისასა, ერთისა არა ვისთვის წეს არს ჟამის წირვად არა ოდეს, არც ცოცხლისა, არცა მიცუალებულისათჳს თჳნიერ აღაპთა და სულისა სახსენებლად, განჩინებულთა დღეთაჲსა, არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემომწირველთა და ერთბაშად ყოველთა

ქრისტეანთა ჯერ არს ჟამის წირვა; ხოლო ერთისა კაცისათჳს, ანუ ერთისა სულისათვის ეგუტერთა სადმე შინა ჯერ არს თჳთეულისა ხუცესისაგან ჟამის წირვაჲ.

12. რომელნიცა ღუთის მავნებლობითისა მის წუალებისაგან ხაჩავცართაჲსა, რომელ არიან სომეხნი, მართალსა და უზაკუელსა სარწმუნოებასა მიუხდებოდინ და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ და ბიწსა მას წუალებასა ერთბუნებიანთა და ერთისა მოქმედებისა ღუთაებისაგან და კაცებისა შეზავებულისა და არცა საღმრთოისა, არცა კაცობრივისა, არამედ, შერეულისა რაისამე და უცხოისი ქრისტეს ჭეშმარიტისა ღუთისა ჩუენისა ზედა სიჩქურით მეტყველთასა შევარჩუენებად ვითარ იგი არს საპატრიარქოი საყდარი ანტიოქიისაჲ და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოვლისა აღმოსავლეთისანი.

13. არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწუალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეუღლდნენ, ვინაიდგან ყოველნი მართლმადიდებელნი ტაძარ არნ ღუთისაჲ, ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ტაძარ არს ეშმაკისა.

14. რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და დედაკაცი, ნუ უკუჱ შეირაცხნენ ნახევარ მემრუშედ ცოლქმრად, ვინაიდგან სხუსა იხსენების სახელი და სხუა წარმოდგომი არს მუნ;

15. განკვეთა და საშინელი სასჯელი ელის მას, ვინც ჩაიდენს ღვთის მოძაგებულს ცოდვას უბილწესის საძაგელებისა სოდომელთასა“[1].

რათა კარგად დაარწმუნოს ქრისტიანები ამ ცოდვის საშინელებაში, კრება დიდხანს ჩერდება მასზე და მოჰყავს მრავალი მაგალითი, თუ როგორ დასაჯა ღმერთმა ერები, რომლებიც ამგვარ ამბავში იყვნენ გახვეულნი.

რუის-ურბნისის კრება ქვეყნისათვის დიდად სასიკეთო მოვლენა იყო და თუ მან სასურველი ნაყოფი გამოიღო, ამას მეფე დავითის სიფხიზლეს უნდა ვუმადლოდეთ. დაუღალავმა მეფემ ზრუნვა არ მოაკლო ქვეყნის არც ერთ ფენას, არამარტო მტრის მიერ შემუსვრილი ეკლესიები და მონასტრები აღაშენა, არამედ მრავალი ახალიც. მადლიერმა ხალხმა ამ საქმიანობისათვის მას აღმაშენებელი უწოდა. სამართლიანობამ ყველას პატივისცემა მოუპოვა. ჩვენ ვნახეთ, რა სავალალო დღეში იყო საქართველო დავითამდე. აი, რას წერს „ქართლის ცხოვრება“ სამეფოში მომხდარი ცვლილებების შესახებ:

„და კუალად მღდელთ-მთავართა, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა ესევე სახჱ ექმნა წესიერებად და გზად ყოველთა სათნოებათა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ

1 იხ. ჟორდანია, ქრონიკები, ტფილისი, 1897, ტ. II, გვ. 54-68.



ქუთაისის ეკლესია (X ს.), (ბაგრატის ტაძარი)[1].

1 ბაგრატ III-ემ დაიწყო ქუთაისის ტაძრის (1003) შენება და მისმა მომდევ[...] მეფემ, ბაგრატ IV-ემ, დაამთავრა. ქართველმა არქიტექტორებმა დაიწყეს მი[...] შენება და ბერძნებმა დაასრულეს. ამ ტაძრისაგან მხოლოდ დიდებული ნანგრევე[...]

სლვად, ვინათგან უწყოდიან არარას დაფარულობა წინაშე მისსა, და მის მიერ ქმნა სათნოებისა, და ბაგემა არაწმიდათა და უწესოთა საქმეთა, რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ

---

დარჩენილი. ვინაიდან იგი ქართული შუა საუკუნეების არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, ჩვენ აქ ვათავსებთ მის ფოტოს და ვუმატებთ მოგზაურ დიუბუა დე მონპერეს აღწერილობას:

„ეკლესია აგებულია ბიზანტიური ანუ რომანული ჯვრის ფორმით. დიდი ნავი აბსიდითურთ 112 ფუტის სიგრძე და 26 ფუტის სიგანეა, გვერდითა ნავები კი 41 ფუტის სიგრძე და 12 ფუტის სიგანე. დიდი ნავის აბსიდა ნახევარწრიულია, ისევე როგორც გვერდითა ნავების შესაბამისი სამკვეთლოები. ორი დიდი ნახევარწრიული ნიში ამთავრებს ჯვრის მკლავებს აბსიდის პროპორციის შესაბამისად, რაც ეკლესიის ყველაზე უფრო განიერ ადგილას 83 ფუტს შეადგენს.

ჯვრის ცენტრში ოთხ რვაკუთხა სვეტს ეყრდნობა გუმბათი, რომლის დიამეტრი მხოლოდ 26 ფუტია. საძირკვლად აღებულია 7 ფუტის და 3 ციდის დიამეტრის მქონე უზარმაზარი ტამბურები, რომლებზეც ასვენია შვიდფუტიანი პიედესტალები ტამბურების ჩათვლით. თითოეულ პიედესტალზე მოდის სვეტის ნამდვილი საძირკველი, 2 ფუტის სიმაღლისა, რომელიც შორიდან იონიური საძირკვლის მსგავსია. მის ზემოთ აღმართულია რვაკუთხა სვეტი, 2 ფუტის და 3 ციდის სიგანისა, 17 ფუტის სიმაღლისა და კაპიტელით დაგვირგვინებული, რომელიც 2 ფუტისა და 3 ციდის სიმაღლეა; მთლიანად სვეტის სიმაღლე 28 ფუტი და 2 ციდა გამოდის.

კაპიტელები (სვეტისთავები) უფრო საჩინო მხრიდან შემკულია ცხოველთა გამოსახულებებით, ძირითადად ირმებთან მებრძოლი ვეფხვებით, გარეული ვირებით და ა.შ. მობლაგვებულ კუთხეებზე გამოუსახავთ სფინქსის მსგავსი არსებები, ადამიანის თავიანი ფრინველები საყელოებით, რომელთაც ბრჭყალებში უჭერიათ გველები, ან მტრედები. ნაკლებად საჩინო ადგილებზე მხოლოდ ორნამენტებია გამოკვეთილი.

ამ სვეტებზე მოდის 22 ფუტიანი უბრალო პილასტრები, რომელთაც ეყრდნობა ოთხი დიდი წრიული თაღი, რომლებიც ზიდავენ გუმბათს. ამ რკალების თაღის ფუძე 62 ფუტის სიმაღლეზეა იატაკიდან.

გვერდითი ნავები, როგორც ბიჭვინთაში, ორადაა გაყოფილი 31 ფუტის სიმაღლეზე, სადაც იწყება კატექუმენთა გალერეები. ინტერიერის ყველა თაღი წრიული იყო. დიდი აბსიდის ორივე მხარე ეყრდნობოდა საკმაოდ მდიდრულად დამუშავებულ ორ პატარა სვეტს. ჩანს, რომ შიგნიდან ეკლესია გალესილი ყოფილა და მოხატული ფრესკებით: მათი კვალი ოდნავ-ღა მოჩანს.

ბიზანტიური სტილი ბატონობდა ამ ეკლესიის შიგნით, ეს ეხება ფორმასაც და შემკულობასაც. მაგრამ ამ შენობის ექსტერიერის სტილი და პროპორციები მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. ფასადის ორივე მხარეს აგებული იყო ფრთები, ანუ ოთხკუთხა კოშკები კიევის წმინდა სოფიას ლავრის ეკლესიების მსგავსად. ამ ორ კოშკს შუა სიერცე წარმოადგენდა პორტიკს, რომელიც სამი თაღოვანი კარით იღებოდა: დიდი — შუაში, პატარები — გვერდით; ისინი შემკული იყო უმდიდრესი ორნამენტული სიუხვით. 1835 წლის გაზაფხულზე იგი ჩაინგრა დიდი წვიმების შედეგად, ჩემს ქუთაისში ჩასვლამდე რამდენიმე თვით ადრე.

არაჩვეულებრივი გვეჩვენება, რომ მიუხედავად მთელს შენობაში წრიული თაღის გაბატონებისა, მაინც არის ცდა პორტიკისა და შესასვლელი კარების შემთხვევაში ისრისებური თაღის გამოყენებისა, რაც ორმაგ და სამმაგ გოთურ სვეტებთან ერთად ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ჩვენს რომელიმე ძველ ეკლესიაში შევდივართ. არაბესკები და სხვადასხვა მცენარეული ორნამენტები, რომლებიც თაღებზე, კარნიზებზე, კარის სარტყელებზე და პილასტრებზეა ამოკვეთილი, უფაქიზეს ნამუშევარს წარმოადგენს.

მაგრამ ყველაზე ფასეული არქიტექტურის დიდებულების თვალსაზრისით მაინც აღმოსავლეთის ფასადია. ბიზანტიურ და რომანულ ეკლესიებში სამი ნახევარწრიული აბსიდის აშენებისას ცდილობენ, რომ ექსტერიერი თანადობაში ყოფილიყო ინტერიერთან და შედეგად, როგორც პაიერნის, ნეუშატელის, ბიჭვინთის, გელათის ეკლესიებში, ვღებულობთ სამ ნახევარწრიულ გამოსასვლელს, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ შენობის სამკაული გახლავთ". Voyage autour du Caucase, ტ. I, გვ. 413-416.

მკჳდარი და ვერ რომელი პაცივი და ახაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად: რამეთუ ყოველთა, კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თჳთ მათ მებაჟეთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიში და მმართებელ გზათა საღმრთოთა და მშჳდობისათა.

ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერვინ ადვილ წარმართის ეგრეთ“[1].

დავითმა არც ინტელექტუალური ცხოვრება დატოვა რეფორმის გარეშე. მან ხელი მოჰკიდა სკოლებს, რომლებიც ყველგან აღადგინა. რათა მეცნიერებაში საქართველოს წინსვლა უზრუნველეყო, იგი ხშირად აგზავნიდა ბიზანტიურ ქვეყნებში ახალგაზრდებს ცოდნის გასაღრმავებლად. მაგრამ მალე მტერმა შეაჩერა მისი აღდგენითი მოღვაწეობა.

## IV. — თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ქართველთა გაუთავებელი ომები მათ წინააღმდეგ

არაბთა ძალაუფლება შესუსტდა და ისინი განდევნეს საქართველოდან, მაგრამ მალე მათი ადგილი დაიკავეს თურქ-სელჩუკებმა, არაბებზე არანაკლებ სასტიკმა და ბარბაროსმა ხალხმა. ისტორია გვასწავლის, რომ თურქ-სელჩუკები ისლამის ისეთივე მხურვალე პროპაგანდისტები და ქრისტიანობის ისეთივე ფანატიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ, როგორც მათი წინამორბედები. ქრისტიანობას მათ სასტიკი ომი გამოუცხადეს და სომხეთი და საქართველო ააოხრეს. საქართველოს უბედურებათა ახალი ერა დაატყდა თავს და დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა მუჰამედის ველურ მოციქულთა წინააღმდეგ. რადგანაც ეს ომები ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობები იყო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აქ მათი სურათი აღვადგინოთ. ავტორები სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ ამ ომების შესახებ, მაგრამ ძირითადად ყველა ერთ აზრს იზიარებს. მოვიყვანთ იმ ავტორთა გამონათქვამებს, რომლებიც ჩვენი აზრით უფრო ზუსტია.

სელჩუკებმა საქართველოს განადგურება დავით II-ის ტახტზე ასვლამდე დაიწყეს, მაგალითად, 1049 და 1058[2] წლებში, მაგრამ 1072 წელს მათ განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას. აღმოსავლელ ავტორთა მიხედვით,

„... აზერბაიჯანის სულთანმა ალფ-არსლანმა მთელი საქართველო დაიპყრო, თავისუფლება წაართვა მის მცხოვრებთ და დიდებულები აიძულა,

1 Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 375-376; იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 355-356.

2 Deguignes, Histoire générale des Huns, ტ. II, გვ. 192-195.

ჯაჭვები და საყელოები მოეცილებინათ და მონობის ნიშნად ყურზე ცხენის ნალი ჩამოეკიდებინათ, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ მრავალმა მათგანმა ამ შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად ისლამი მიიღო. მაგრამ მათში რჩებოდა საკმაოდ ბევრი ციხესიმაგრე, სადაც თავი ჰქონდათ შეფარებული სარწმუნოების და მეფის ერთგულებს. ალფ-არსლანმა საქმის დასრულება თავის ვაჟს მალიქ-შაჰს მიანდო. მალიქ-შაჰის მიერ გამართული ბრძოლებიდან ყველაზე აღსანიშნავია მარიამ ნიშინის ციხესიმაგრის ალყა, რომელსაც ეს სახელი ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისა და ეკლესიის გამო დაერქვა. ციხესიმაგრე მდებარეობდა ზღვის შუაგულში. მალიქ-შაჰმა აარჩია საუკეთესო მეომრები და მიუახლოვდა ციხეს, მაგრამ ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ყოველივე მიმოფანტა. ქარიშხალს ისეთი მძლავრი მიწისძვრა მოჰყვა, ქრისტიანებმაც და თურქებმაც იფიქრეს, ჩვენი აღსასრულის დღე დადგაო; გალავნის ნაწილი დაინგრა. როდესაც ქარიშხალი ჩადგა, თურქები დანგრეული კედლის მხრიდან შევიდნენ ციხეში და იერიშით აიღეს იგი. სახელგანთქმული მონასტერი, სადაც ყოველთვის დიდძალი ხალხი იყრიდა თავს, დანგრეულ იქნა“[1].

1088 წელს თურქები კვლავ შემოესივნენ საქართველოს, აიღეს დედაქალაქი თბილისი, რომელიც საკმაოდ დიდხანს დარჩა მათ ხელში. საქართველოს მეფე და მთავრები იძულებული გახდნენ, მტერს გარიდებოდნენ კავკასიონის ვიწრო ხეობებსა და დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში[2].

ამ შემოსევების შესახებ მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, სადაც კარგად ჩანს ქვეყნის მთელი უიმედობა. აი, რას გვიამბობს იგი:

„თურქნი... მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი.

და დღესა ივანობისასა მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსვლამდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიდეს, თუ სადა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და კურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა.

და განგრძელდა ესევითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა; რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოკრდა ქუეყანა და ტყუედ გარდაიქცა, და

1 Deguignes, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 211-212.

2 Cedrenus, Annales sive Historiae, Paris, 1647, ტ. II, გვ. 822.

ნაცვლად ჴაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა, და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჴრებათასა. რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თჳსთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა. და მღდელნი რომელნიმე თჳთ შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მახჳლითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღერივნეს მეუფისათა თანა. და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩჳლნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მმრბოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყვლნი ქუეყანისანი"[1].

მეფე დავით II-ს წილად ხვდა, გაეძევებინა მტერი და გაეთავისუფლებინა ქრისტიანები ურჯულოთა ულლისაგან. მან და მისმა მემკვიდრეებმა დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში საშინელი ბრძოლები გადაიტანეს სელჩუკთა წინააღმდეგ.

იმავე „ქართლის ცხოვრების" მიხედვით 1110 წელს მუსლიმანთა დიდი არმია მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში. მეფე ერთი მუჭა რაზმით შეეგება მტერს, სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა იგი და უკან დაახევინა. ქართველებმა ასევე დაამარცხეს და განდევნეს თურქები 1115 და 1118 წლებში[2].

1120—1121 წლების ომების შესახებ ვამჯობინებთ სხვადასხვა ავტორის ციტირებას, ვინაიდან მათი მონათხრობი განსხვავებულია. აი, არაბი მწერლის, ქამილის მონათხრობი:

„ქართველები შეიჭრნენ მუსლიმანთა ქვეყნებში. დიდი ხანია, რაც ისინი დროდადრო უტევდნენ ისლამის მიწებს, მაგრამ სულთან მელიქ-შაჰის მეფობისა და მისი ძის მუჰამედის ზეობის დასასრულამდე ისინი თავს იკავებდნენ. 514 წ. ჰიჯრის მიხედვით (რაც უდრის 1120–21 წლებს) მათ იარაღი აიღეს ხელში ყივჩაღებთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ერთად. მალე შეიკრიბნენ ამირები, რომელნიც მახლობელ მხარეებს განაგებდნენ. მათ შორის გამოირჩეოდნენ ამირა ილღაზი, დობეიზი, მთავარი თოღრული და მისი ათაბაგი კუნტოღდი. მუსლიმანები შეერთდნენ და მიაღწიეს თბილისს. ძალიან ბევრნი იყვნენ. მათი რიცხვი 30000-ს აღწევდა. დაიწყო ბრძოლა. შუა ბრძოლაში ქართველთა მწყობრს 200 ყივჩაღი გამოეყო; მუსლიმანებმა იფიქრეს, რომ ისინი დანებებას აპირებდნენ, და ზომები არ მიიღეს თავის დასაცავად. ყივჩაღებმა შეაღწიეს მუსლიმანთა ჯარის შუაგულში და ისრები დაუშინეს თურქებს. მუსლიმანთა რიგები აირია; ჯარის უკანა ნაწილებმა იფიქრეს, არმია განადგურდაო, და თავს გაქცევით უშველეს; მალე მთელი ლაშქარი მათ მიჰყვა. ისეთი არევ-დარევა შეიქმნა, მეომრები ერთმანეთს აწყდებოდნენ. მათ შორის ბევრი დაიღუპა. ურწმუნოებმა ათი ფარსანგის

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 347-348. იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, 319—320 გვ.

2 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 359.

მანძილზე მისდიეს გაქცეულთ, ხოცავდნენ და ატყვევებდნენ მათ. უმრავლესობა გაანადგურეს; 4000 კაცი ტყვედ წაიყვანეს.

ქართველები დაბრუნდნენ და მუსლიმანთა მიწების დაპყრობა დაიწყეს. იმავე დროს, ალყა შემოარტყეს თბილისს და მძლავრი იერიში მიიტანეს მასზე. ქალაქის დამცველ ჯარს ძალიან გაუჭირდა. ალყა მომდევნო წლამდე გაგრძელდა და ქალაქი ძალით აიღეს ქართველებმა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდათ, ქალაქის



მანგლისის ეკლესია (XI ს.).

მცხოვრებლებმა ქალაქის ყადი და მოლა გაგზავნეს ქართველებთან მოსალაპარაკებლად. ქართველებმა არაფრის მოსმენა არ ისურვეს და ცოცხლად დაწვეს ორივე დეპუტაცია. ისინი ძალით შეიჭრნენ ქალაქში და ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბეს.

უბედურებას გადარჩენილი რამდენიმე მუსლიმანი ბაღდადში ჩავიდა შეწყალებისა და დახმარების სათხოვნელად... მაჰმუდი აზერბაიჯანის გზას გაუდგა, საიდანაც ჯარები დასძრა ქართველების წინააღმდეგ"[1].

სხვა არაბი მწერალი იმავე ომის შესახებ განსხვავებულად მოგვითხრობს:

1 Kamil–Altevarykh, Recueil des historiens des Croisa des, Historiens orientaux, Paris, 1872, გვ. 331-332 (extrait).– იხ. Deguignes, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 241.

„სელჩუკთა სულთანმა თაღულმა ქართველთა და მათი მეფის დავითის წინააღმდეგ (1121 წ.) დახმარება სთხოვა ამირ ილღაზ ორტოყის ძეს, რომელიც სათავეში ჩაუდგა მრავალრიცხოვან ჯარს; მას თან ახლდა სამაყას ვაჟი დობეიზი. მუსლიმანები, რომლებიც თავიდან იმარჯვებდნენ, მტერს გამოუდევნენ (კილიკიის) ვიწროებში, მაგრამ მოულოდნელად ქართველთა შემოტევამ ისინი გაფანტა და დიდი ზარალიც განიცადეს. მრავალი ამოწყდა, მრავალი ტყვედ ჩავარდა. დობეიზი, რომელმაც ამ ბრძოლაში 300000 დინარის ზარალი ნახა, საღ-სალამათი დაბრუნდა მარდანში ილღაზის თანხლებით"[1].

სომეხი მწერალი მათე ედესელი იმავე ომის შესახებ ასე მოგვითხრობს:

„ამირა ღაზიმ მაქის ქვეყნიდან თურქთა ორ მირიადით შეაღწია 1121 წელს საქართველოში და ერთ მხარეში ტყვედ ჩაიგდო ხალხი. ეს ამბავი რომ გაიგო მეფე დავითმა, თავისი ლაშქარი გაგზავნა, რომელიც თავს დაესხა თურქებს და 30000 თურქი მოსრა. ამის პასუხად თურქების 200000-იანი ლაშქარი დაიძრა საქართველოს წინააღმდეგ. დავითი 60000 კაცით დახვდა მათ, იერიში მიიტანა თურქთა არმიაზე და 8 დღის განმავლობაში 40000 გაანადგურა"[2].

უცნაური რამ არის: ჯვაროსნული ომების თანამედროვე დასავლეთის (ევროპელი) მწერლები ამ ომს ისე დაწვრილებით აღწერენ, როგორც ამას აღმოსავლეთის მწერლები ვერ ახერხებენ. აი, ერთი ასეთი მონათხრობი:

„ილღაზიმ თურქმენებისა და არაბებისგან შემდგარი ძალზე მრავალრიცხოვანი ჯარი შეკრიბა და ამდენი ხალხის სათავეში დადგომით გაამაყებულმა ხორასანის სულთნებთან ერთად გადაწყვიტა, მეფე დავითის წინააღმდეგ დაძრულიყო, რათა მისი სიკვდილის ან ტახტიდან ჩამოგდებისას თავად დარჩენოდა მთლიანად და უდავოდ იერუსალიმიცა და ანტიოქიაც იქ ქრისტიანთა ამოჟლეტის შემდეგ. მაგრამ სანამ იგი ქედმაღლურად მიიწევდა წინ, ღვთის რისხვამ მთელი გეგმები ჩაუფუშა. იმავე დღეს, როდესაც სულთანი და ილღაზი 600000 კაცის თანხლებით შედიოდნენ მეფე დავითის ქვეყანაში მისი დაპყრობის მიზნით, წმინდა ჯვრის ძალით განმტკიცებულმა დავითმა თავისი 40000 მეომარი, რომელთა შორის იყვნენ მიდიელები და ქრისტიანები, უსიერი ტყით დაფარულ ორ მთას შორის განალაგა. იგი იმ ხეობაში გაჩერდა,

1 Recueil... Historiens orientaux, Extrait de la Chronique d'Alep, ტ.III, გვ. 628.

2 Recueil... Documents arméniéns, Paris, 1869, ტ.I, გვ. 128.

საიდანაც ცნობების მიხედვით მტრის შემოჭრას ელოდებოდა. მეფემ ასე მიმართა ლაშქარს: წინ, ქრისტეს მხედარნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად ისე ვიბრძოლებთ, როგორც უნდა ვიბრძოლოთ, დავამარცხებთ არა მარტო სატანათა უთვალავ დამქაშს, არამედ თვით სატანებსაც. მინდა ერთი აზრი გაგიზიაროთ, რომელიც დაგვეხმარება, ჩვენი ღირსების დაცვასა და გამარჯვებაში. აღვაპყროთ ხელები ზეცისკენ და აღვუთქვათ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომ უმალ დავეცემით ბრძოლის ველზე, ვიდრე გავიქცევით, ხოლო რათა ჩვენს თავს თვითონვე მოვუსპოთ უკანდახევის საშუალება, კიდევაც რომ გვინდოდეს, ხის დიდი მორებით ჩავხერგოთ ყელი, რომლითაც ხეობაში შემოვედით: ამრიგად, უშიშრად შევებათ პირისპირ მტერს, რომელიც ბედავს ჩვენთან შებრძოლებას. ამ დიდებული მეფის, ჭეშმარიტი და სრულყოფილი ქრისტიანის წინადადება შეაქეს, მიიღეს და შეასრულეს.

მეფემ არმია დროის დაუკარგავად განალაგა საბრძოლველად და თავში დაუყენა პირადი დაცვის 200 მეომარი ფრანკი[1], რომელთაც პირველი დარტყმა უნდა განეხორციელებინათ. მალე ხეობის მეორე შემოსასვლელიდან იარაღის საშინელი ჟღარუნი და ცხენების თქარათქური მოისმა. დაინახეს მოფრიალე ბაირაღები, მთებსა და ხევებს უბედურების მაუწყებელი სხვადასხვა საკრავის ხმა მოეფინა. დავითი იცდიდა ქრისტიანული მორჩილებით, უცქერდა ამ ველური ურდოების შემოჭრას, ვაჟკაცურად ამხნევებდა თავისიანებს და არწმუნებდა, წმინდა ჯვრის დახმარებით პატარა ძალაც საკმარისია ურჯულოთა მუსრად გასაფანტავადო. ეს სიტყვები დამთავრებულიც არა ჰქონდა, რომ მტრის ურიცხვმა ლაშქარმა იხუვლა და საშინელი ხმაურით გამოექანა ქართველებისკენ. მაგრამ პირველივე შეტევის დროს, უფლის მადლით დაბრმავებულნი, ფრანკი მეომრების დარტყმის მსხვერპლი გახდნენ და უწესრიგოდ გაიქცნენ უკან. ქრისტიანებმა და მიდიელებმა ამოჟლიტეს ისინი, რაზეც მოგვითხრობენ ამ ომის სანდო თვითმხილველნი. 3 დღის განმავლობაში დავითის მახვილით შეიმუსრა 400000 კაცი. რაც შეეხება ილღაზის, იგი თავში დაიჭრა, თითქმის ყველა თავისიანი დაეღუპა, მაგრამ ბოლოს მცირერიცხოვანი ამალით უიარაღოდ, შიმშილისაგან ცოცხალ-მკვდარმა ძლივს მიაღწია თავის ქვეყანას არაბთა მეფის დობეიზის დახმარებით“[2].

როდესაც თურქები მარცხდებოდნენ, და მათ ჩვენი ქვეყნიდან განდევნიდნენ ხოლმე, სულაც არ ყრიდნენ იარაღს და არ იშლიდნენ ქრისტიანობის მოსპობის განზრახვას, მხოლოდ რამდენიმე ხანს

---

1 Francigenas.

2 **Galterii Cancellarii Antiocheni**, Bella Antiochena, 1121; Recueil des Historiens des Croisades. Auteurs occidentaux, Paris, 1895, ტ. V, გვ. 130—132. იხ. Muralt, Essai de chronographie byzantine, St.-Pétersbourg, 1871, ტ. II, გვ. 123.

იცდიდნენ, რათა კვლავ მომზადებულიყვნენ და ძალებისთვის მოეყარათ თავი ახალი ლაშქრობის წამოსაწყებად. ქართველებმა თურქთა ზრახვები კარგად იცოდნენ და ხშირად თვითონ უტევდნენ მათ თავიანთ ქალაქებში, როდესაც ხელსაყრელ დროს შეარჩევდნენ და საკუთარ ძალებშიც ეჭვი არ ეპარებოდათ. აი, როგორ აღწერს იგივე არაბი ავტორი ქართველთა ერთ-ერთ შემოსევას:

„იმავე წელს (1123) ქართველებმა დიდი ზიანი მიაყენეს მუსლიმანურ ოლქებს. მოსახლეობამ დიდი ტანჯვა განიცადა მათი შემოსევების შედეგად, განსაკუთრებით დარუბანდსა და შირვანში. სულთანი მეზობლად, ბაღის შუაგულში იყო დაბანაკებული, ქართველები იარაღით დაესხნენ მას თავს. ამ შეტევამ ძლიერ შეაშინა სულთანის არმია. ნიზამ-ალ-მულქის ძემ, ვაზირმა შემს-ალ-მულქ-ოსმანმა უკანდახევა ურჩია სულთანს. ჯარმა მთელი ღამე შიშში გაატარა. საბედნიეროდ, ღმერთმა ისლამისაკენ გადმოიხედა; მან უთანხმოება შეიტანა ქართველებსა და ყივჩაღებს შორის. იმავე ღამეს ისინი ერთად წავიდნენ, მაგრამ გაგვეცალნენ, ვითარცა ლტოლვილნი“[1].

უნდა ვივარაუდოთ, რომ 1123-24 წლებში კიდევ ყოფილა ერთი ომი. მათე ედესელი მის შესახებ ასე მოგვითხრობს:

„საქართველოს მეფემ დავითმა (1123) გაანადგურა 60000 სპარსელი. აი, როგორ: სულთანმა ხანცაგმა აფხაზეთში 90000 კაცის გადასაყვანად მდინარე კურზე (მტკვარი) გააკეთებინა ხომალდების ხიდი. ეს რომ გაიგო დავითმა, გაგზავნა ჯარი, დაანგრევინა ხიდი და ურჯულოთა მთელი არმია ნაწილ-ნაწილ ააჩეხინა“[2].

თურქებს ამ დიდმა დამარცხებამ გული არ გაუტეხა, უფრო განრისხდნენ და მუსლიმანმა ყველა მთავარმა შურისძიების ფიცი დადო. ყოველი მხრიდან მათ დიდი ჯარი შემოკრიბეს და საქართველოსაკენ გამოემართნენ. მაგრამ მოვუსმინოთ ისევ ამ ავტორს:

„იმავე წელს (1125) სპარსელთა სარდალმა, აღმოსავლეთის ამირამ, სუკმანის ძემ იბრაჰიმმა და განჯის ამირამ, არტუკის ძის სუკმანის ძემ, დავუდმა დიდი ჯარი შეკრიბეს. ბევრმა სხვა ამირამ შეუერთა მათ თავისი ჯარი და ყველა ერთად საქართველოსაკენ დაიძრა. ამ ქვეყნის მმართველმა, რომელიც მათ გზაში შეეგება, ამოჟლიტა ისინი, გააქცია და ადრინდელ შემთხვევებზე უფრო მკაცრად დასაჯა. მან სპარსელთა

1 Recueil des historiens de Croisades, Auteurs orientaux, ტ. I, გვ. 353-354.

2 იქვ, Documents Arméniens, ტ. I, გვ. 136.

ჯარებს ხუთი დღის განმავლობაში სდია და მათი სისხლით მორწყა მთები და ველები"[1].

როდესაც დავით მეფემ მუსლიმანები თავისი სამეფოს ყოველი კუთხიდან განდევნა, ბრწყინვალე გამარჯვებებით გამხნევებულმა ისურვა თავის მეზობლებს, სომხებს დახმარებოდა, რომლებიც არანაკლებ შევიწროებული იყვნენ თურქების მიერ. იმავე მათე ედესელთან ვკითხულობთ, რომ 1125 წელს დავითმა სომხეთის დედაქალაქი ანისი აიღო და სპარსელები სასტიკად გაანადგურა. მათი მსხვერპლი 20000-ს აღწევდა[2].

## V. – მეფე დავითის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა ქართველებთან სომხების შეერთების მიზნით

ვინაიდან დავით მეფე მეტად ღვთისმოსავი იყო და არაფერს იშურებდა ეკლესიის განსადიდებლად, შეეცადა შემოეერთებინა განდგომილი სომხები, რომელთაც მრავალ სამსახურს უწევდა. კრებაზე მოიწვია ქართველი და სომეხი სამღვდელო პირები, რათა განეხილათ უთანხმოების პუნქტები. „ქართლის ცხოვრებამ" შემოგვინახა ამ კრების შესახებ ჩანაწერი, რომელიც აქ მოგვყავს:

„ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი, ყოვლად მოროცთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავთა თჳსთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა. და მოაკსენეს, რათამცა ყო ბრძანებითა მისითა კრება და ყვესმცა სიტყვის-გება და გამოძიება სჯულისა: უკუეთუ იძლივნენ სომეხნი, და იქმნენ თანაერთკმა სჯულისა და თჳსი სჯული შეაჩუენონ; ხოლო უკუეთუ სძლიონ სომეხთა, ეყოდენ მიემადლოს, რათა არღარა გვწოდდეთ მწვალებლად და არცა შეგაჩუენებდეთ.

მაშინ მოუწოდა მეფემანცა იოანეს, კათალიკოზსა ქართლისასა და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მოძღუართა, და არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა შრომათა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა.

ყვეს უკუე სიტყვის-გება ურთიერთას ცისკრითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე, და ვერას უძლეს დამოლოებად. რამეთუ იყო ორკერძოვე ბლევის მოყურება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა. რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა, რომელ-ესე შეეწყინა მეფესა და რქუა მათ: „თქუენ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩუენ

1 იქვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

2 იქვე, დასახ.ნაშრომი, გვ. 140, იხ. M.Tchamitch,Hist.d'Arménie,Venise,1785, ტ. III, გვ. 44.

ვერა-რას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი. და ესე საცნაურ არს თქუენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა, ვითარცა მკჳდრობათა შინა აღზრდილი. ამისთჳსცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო თქუენ".



წმინდა დავით II, საქართველოს მეფე (XII ს.), საბინინის მიხედვით.

ესე რა თქუა, იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელსა ღმერთი მისცემდა უეჭუელად პირსა მისსა. ესოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, აჴსნათა საკჳრველთა მიერ წინადაუდგრომელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა, ვითარცა მეგჳპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა.

ესე მწვალებელნი და ესოდენ ზარგაჴდილ ყვნა და ყოვლად უღონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძლეულება თჳსი ამისთა ოდენ მეტყუელთა, ვითარმედ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა მრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი". და ესრეთ ფრიად მამრალობელნი თავისანი მოიქცეს სირცხვლეულნი, არღარა ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესცა"[1].

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 376-377; „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 356-357.

უფრო გვიან ჩვენ ვნახავთ, რომ დავით მეფის მემკვიდრეებმაც ვერ შეძლეს ასერიგად სასურველი ერთიანობის მიღწევა. ამ მარცხის მიუხედავად, დავითს წყალობა ოდნავადაც არ მოუკლია სომეხთათვის.

ამ დიდებული მეფის სიკვდილის თარიღი დაუდგენელია, ალბათ, 1125 წელს გარდაიცვალა. საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა და მის დღედ 26 იანვარი დააწესა. რელიგიისა და სამშობლოს ამ თავდადებული დამცველის სიკვდილის შემდეგ ურჯულოებმა გაორკეცებით მოინდომეს საქართველოს განადგურება და დავით მეფის მემკვიდრეებს არაერთი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. ისინიც დავით მეფესავით მამაცურად და მხნედ ებრძოდნენ მომხდურთ.

დემეტრეს, დავითის ძის (1125-1154) მეფობის დროს რამდენიმე ომი მოხდა, მაგრამ ისტორიკოსები მხოლოდ ერთ მათგანს გამოყოფენ, რომლის დროსაც, 1153-54 წლებში, ქართველებმა თურქები დაამარცხეს და დაატყვევეს არზრუმის გამგებელი სალიკი.

## VI. – მეფე გიორგი III-ის მიერ ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება

დემეტრეს ძის, გულადი მეფის გიორგი III-ის (1156-1184) დროს, ომები უფრო გახშირდა და გამძაფრდა. თავისი პაპის მსგავსად ისიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა მტერს. არაბი მწერლები ასე მოგვითხრობენ გიორგის ერთ-ერთი ომის შესახებ:

„(1161 წ. აგვისტო). ქართველები შეიკრიბნენ თავისი მეფის მეთაურობით და დაიძრნენ ქალაქ ანისისაკენ, არანში. ისინი დაეუფლნენ ამ ქალაქს და ბევრი ხალხი გაანადგურეს. ხლათის მთავარს, სოკმან იბრაჰიმის ძეს შაჰ-არმენს მიმართეს დასახმარებლად და მან ჯარი შეკრიბა. შაჰ-არმენი დაიძრა ქართველების წინააღმდეგ. ქართველები მის შესახვედრად გამოემართნენ და ბრძოლა გაჩაღდა. მუსლიმანები აირ-დაირივნენ, მათი უმრავლესობა დაიღუპა, ბევრი ტყვედ ჩავარდა. შაჰ-არმენი ძლივს გაბრუნდა. მან თავისი ლაშქრიდან მხოლოდ 400 მხედარი გადაარჩინა.

იმავე წელს (1161) მოხდა ბრძოლა ქართველებსა და არზრუმის მთავარ სალტუკ ალ-მელიქს შორის. სალტუკი და მისი ჯარი გააქციეს, თვით სალტუკი ტყვედ ჩავარდა. სალტუკის და შაჰ-მანე ხლათის მთავარს, იბრაჰიმის ძეს შაჰ-არმენ სუკმანს ჰყავდა ცოლად. შაჰ-მანემ საქართველოს მეფეს დიდებული ძღვენი გაუგზავნა და შეევედრა ძმის დაბრუნებას გამოსასყიდის ფასად. საქართველოს მეფემ გაუშვა სალტუკი, რომელიც თავის ქვეყანაში დაბრუნდა“[1].

---

1 Recueil des Historiens des Croisades, Auteurs orientaux, ტ. I, გვ. 522. — იხ. Deguignes, იქვე, ტ. II, გვ. 262-263.

სომეხ ავტორებთან თითქოს ვხვდებით ამ ომის აღწერას, მაგრამ რადგანაც მათი თხრობა განსხვავებულია, მიგვაჩნია, რომ საქმე ეხება იმავე წელს მომხდარ სხვა ომს, ან იმავე ომის გაგრძელებას. მართლაც, არაბი ავტორები 1161 წლის ომს აგვისტოს თვეში აღწერენ, მაშინ, როდესაც სომხები ოქტომბერზე მიუთითებენ. მოგვყავს აქ შემდეგი ტექსტი:

„ოქტომბრის თვეში (1161) სულთან I-ის ძის ამირ-იბრაჰიმის ძემ ამირა ამირ-მირანმა, რომელიც ფლობდა ხლათის, არჭეშის, გიშის, დოგორდოვის და მანაზკერტის მხარეებს, თავისი სიმამრის არლადინის მეთაურობით საკმაოდ დიდი არმია გაგზავნა საქართველოში. იმ დროს საქართველოს მამაცი მეფე გიორგი თურქთა მიწების ასაოხრებლად ემზადებოდა. ორი ჯარი ერთმანეთს შეხვდა ოლთისთან და ცხარე ბრძოლა გაიმართა. გაიმარჯვეს ქართველებმა; მათ გააქციეს ურწმუნოები, ბევრი ხალხი დახოცეს და უფრო მეტი ტყვედ ჩაიგდეს, რომელთა შორის იყო 300 თურქი მეთაური“[1].

სომეხი ავტორები მოგვითხრობენ, რომ 1163 წელს ქართველებმა აიღეს დვინი, სომხეთის ცნობილი ქალაქი, იქ ბევრი სპარსელი გაჟლიტეს და ქრისტიანების ძვლებით და სისხლით აშენებული მინარეთი დაანგრიეს[2].

ეს ნაწყვეტი კი ეწინააღმდეგება არაბ ავტორთა მონათხრობს, რომლებიც აგვიწერენ მცირე გამარჯვების შემდეგ ქართველთა დიდ დამარცხებას:

„(1162 წ.) მრავალმა ქართველმა მოიყარა თავი (30000) და დაიძრა მუსლიმანთა მხარეებისაკენ, კერძოდ, აზერბაიჯანის ქალაქ დვინისაკენ. მათ იგი აიღეს, გაძარცვეს, გაჟლიტეს ქალაქის 2000 მცხოვრები, დაატყვევეს ქალები, ხელთ ჩაიგდეს უამრავი ტყვე... როდესაც დვინის აღების ამბავმა შემს ედდინ ილდეღუზამდე, აზერბაიჯანის, ჯებელის და ისპაჰანის პატრონამდე მიაღწია, მან თავისი ჯარი შეკრიბა... მას სხვა მმართველებიც შეუერთდნენ. ისინი სათავეში ჩაუდგნენ საკმაოდ დიდ არმიას, რომლის მებრძოლთა რიცხვი 50000-ს აჭარბებდა. არმია საქართველოსკენ დაიძრა (1163 წლის იანვარ-თებერვალში), გაძარცვა ქვეყანა, დაატყვევა კაცები, ქალები და ბავშვები. შებრძოლებისას ორივე მხარე მეტად მედგრად იბრძოდა და დიდი სიმამაცე გამოიჩინა. ომი ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. საბოლოოდ მუსლიმებმა გაიმარჯვეს. ბევრი

1 Recueil des Historiens des Croisades, Historiens Arméniens, ტ. I, გვ 195-196.

2 იქვე, გვ. 356.

ქართველი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა. მათი დამარცხების მიზეზი ის იყო, რომ ერთ-ერთი მათგანი ეახლა ილდეღუზს, მიიღო ისლამი და შესთავაზა: „მომეცი ჯარი, მე მას ჩემთვის ცნობილი გზით წავიყვან და შევცვლი ქართველთა განლაგებას ისე, რომ ისინი ვერაფერს გაიგებენ“. ილდეღუზმა ერთგულების ფიცი დაადებინა ამ კაცს, მისი მეთაურობით გაგზავნა ჯარის ნაწილი და შეუთანხმდა, თუ რომელ დღეს შეუერთდებოდა იგი ქართველებს. დანიშნულ დღეს მუსლიმანებმა ბრძოლა დაუწყეს ქართველებს. გახურებული ომის დროს გამუსლიმანებული ქართველი თავისი ჯარით გამოჩნდა. მან შესძახა – ალაჰ აკბარ (დიდ არს ალაჰი)! და უკნიდან შეუტია ქართველებს. ეს უკანასკნელნი აირ-დაირივნენ; ბევრი მათგანი მოკლეს და ტყვედ ჩაიგდეს, მუსლიმანებმა აურაცხელი ნადავლი იგდეს ხელთ. ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთი მრავალრიცხოვნობის გამო გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ღმერთმა ეს იმედი მოუშალა. მუსლიმანებმა სამი დღე-ღამე სდიეს მათ, ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ. ბოლოს გამარჯვებულნი შინ დაბრუნდნენ“[1].

თუკი სამუელ ანელს, იმ წელიწადს მომხდარი ომის თვითმხილველ მოწმეს, მოვუსმენთ, პირიქით, ქართველებს ბრწყინვალედ გაუმარჯვიათ თურქებზე. აი, რას ამბობს იგი:

„1163 წლის 8 თებერვალს, ქართველთა მეფემ ანისი აიღო. აგვისტოს დასაწყისში 70000-იანი ლაშქრით დაამარცხა შაჰ-არმენის 80000-იანი ლაშქარი. ჩვენ ვართ ამ მარცხის ცოცხალი მოწმე. 23000 კაცი ჩავარდა ტყვედ, თუ არ ჩავთვლით დახოცილებს“[2].

ჩვენი აზრით ამ მწერალთა ცნობების განსხვავებანი რომ შევაჯეროთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართველებმა ჯერ ანისი და დვინი აიღეს და შემდგომ დამარცხდნენ. გიორგი მეფემ კიდევ არაერთი ომი გადაიხადა სელჩუკთა წინააღმდეგ და ბევრჯერ დიდი და სისხლისმღვრელი მარცხი მიაყენა მათ.

## VII. – თამარ მეფის მიერ მოწვეული კრება და მისი მეცადინეობა სომეხთა შესაერთებლად

გიორგის შემდეგ, დაახლოებით 1184 წელს, ტახტზე ავიდა მისი ქალიშვილი თამარი, საქართველოს ყველაზე უფრო ბრწყინვალე დედოფალი, და იმეფა 1211 წლამდე. იგი ერთგულად მისდევდა

1 იქვე, Auteurs orientaux, ტ. I, გვ. 526-527.

2 იქვე, Documents arméniens, ტ. I, გვ. 454.

წინაპართა ნაკვალევს ქრისტიანობის დაცვისა და თავისი ქვეყნის აყვავების საქმეში.

თურქ-სელჩუკებმა, ისევე როგორც არაბებმა, ვერ მოახერხეს ქრისტიანობის მოსპობა საქართველოში, მაგრამ მათ შემოსევებს მაინც მძიმე შედეგები მოჰქონდა. დავით II-ის მიერ ჩატარებული კრების შემდეგ სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე დისციპლინა ისევ მოირღვა, კორუფციამ შეაღწია სამღვდელოებასა და ხალხში და მტრის მიერ დათესილი განხეთქილება მოედო უფლის სამწყსოს. ბრძენი და მორწმუნე დედოფალი სერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს და მოაწვევინა კრება, რათა ეშველა მდგომარეობისათვის. მოვუსმინოთ „ქართლის ცხოვრებას“:

„ⴞⴍⴊⴍ ⴑⴟⴓⴊⴇⴀⴇⴣⴑ ⴑⴓⴊⴈⴇⴇⴀ ⴋⴄⴍⴐⴄ ⴉⴍⴌⴑⴒⴀⴌⴒⴈⴌⴄ ⴈⴕⴋⴌⴄⴁⴍⴃⴀ ⴃⴀ ⴋⴈⴑⴄⴁⴐⴅⴄ ⴠⴂⴍⴐⴍⴅⴌⴄⴁⴃⴀ ⴃⴀⴜⴗⴄⴁⴀⴑⴀ ⴑⴀⴖⴋⴐⴇⴍⴑⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴇⴀⴑⴀ, ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴈⴜⴗⴍ ⴀⴖⴊⴄⴑⴅⴀⴢ ⴍⴐⴎⴈⴐⴑⴀ ⴋⴀⴞⴅⴈⴊⴑⴀ ⴋⴍⴑⴀⴑⴐⴅⴄⴊⴀⴢ ⴇⴄⴑⴊⴇⴀ ⴋⴍⴐⴍⴒⴇⴀ ⴃⴀ ⴈⴌⴄⴁⴀ, ⴐⴀⴇⴀ ⴈⴕⴋⴌⴀⴑ ⴘⴄⴗⴐⴀ ⴃⴀ ⴂⴀⴋⴍⴐⴙⴄⴅⴀ ⴃⴈⴃⴇⴀ ⴋⴀⴇ ⴃⴀ ⴋⴑⴍⴔⴊⴈⴍ ⴉⴐⴄⴁⴀⴇⴀ.

ⴎⴈⴐⴅⴄⴊⴀⴢ ⴀⴖⴋⴍⴓⴜⴍⴃⴀ ⴜⴋⴈⴃⴈⴇ ⴕⴀⴊⴀⴕⴈⴇ ⴈⴄⴐⴓⴑⴀⴊⴄⴋⴈⴇ ⴌⴈⴉⴍⴊⴀⴍⴆⴑ ⴂⴓⴊⴀⴋⴄⴐⴈⴑⴛⴄⴑⴀ, ⴐⴍⴋⴄⴊⴑⴀ ⴑⴈⴋⴃⴀⴁⴊⴈⴑⴀ ⴛⴀⴊⴈⴇⴀ ⴄⴟⴋⴌⴀ ⴕⴀⴐⴇⴊⴈⴑⴀ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴍⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ. ⴄⴑⴄ ⴐⴀ ⴋⴍⴈⴗⴅⴀⴌⴀ, ⴘⴄⴋⴍⴉⴐⴈⴁⴌⴀ ⴗⴍⴅⴄⴊⴌⴈ ⴑⴀⴋⴄⴔⴍⴑⴀ ⴇⴅⴈⴑⴈⴑⴀ ⴋⴖⴅⴃⴄⴊⴇ-ⴋⴍⴛⴖⴓⴀⴐⴌⴈ, ⴋⴍⴌⴀⴆⴍⴌⴌⴈ ⴃⴀ ⴋⴄⴓⴃⴀⴁⴌⴍⴄⴌⴈ, ⴉⴀⴚⴌⴈ ⴋⴄⴚⴌⴈⴄⴐⴌⴈ ⴑⴟⴓⴊⴈⴑⴀ ⴑⴀⴖⴋⴐⴇⴍⴑⴀⴌⴈ ⴃⴀ ⴋⴍⴑⴜⴐⴀⴔⴄ ⴈⴗⴍ, ⴐⴀⴇⴀ ⴋⴀⴐⴇⴊ-ⴋⴀⴃⴈⴃⴄⴁⴊⴍⴁⴀⴑⴀ ⴆⴄⴃⴀ ⴘⴄⴋⴍⴇⴄⴑⴈⴊⴌⴈ ⴇⴄⴑⴊⴌⴈ ⴋⴍⴐⴍⴒⴌⴈ ⴀⴖⴋⴍⴔ-ⴞⴓⴐⴌⴄⴑ ⴑⴀⴋⴄⴔⴍⴑⴀⴂⴀⴌ ⴇⴣⴈⴑⴈⴑⴀ. ⴐⴍⴋⴄⴊⴈ-ⴄⴑⴄ ⴀⴃⴐⴄ ⴂⴀⴌⴄⴋⴀⴐⴟⴓⴀ ⴑⴀⴞⴍⴄⴁⴈⴑⴀ ⴉⴄⴇⴈⴊⴈⴑⴀ ⴋⴕⴍⴌⴄⴁⴄⴊⴑⴀ.

ⴞⴍⴊⴍ ⴘⴄⴋⴍ-ⴐⴀ-ⴉⴐⴁⴄⴑ ⴍⴐⴈⴑⴀⴅⴄ ⴑⴀⴋⴇⴀⴅⴐⴍⴑⴀ ⴄⴎⴈⴑⴉⴍⴎⴍⴑⴌⴈ, ⴐⴍⴋⴄⴊⴇⴀ ⴎⴈⴐⴀⴢ ⴀⴕⴓⴌⴃⴀ ⴆⴄⴋⴍ ⴋⴍⴤⴑⴄⴌⴄⴁⴓⴊⴈ ⴌⴈⴉⴍⴊⴀⴍⴑ, ⴋⴑⴂⴀⴅⴑⴈ ⴑⴄⴞⴌⴈⴑⴀ ⴇⴣⴈⴑⴈⴑⴀ, ⴃⴀ ⴀⴌⴒⴍⴌⴈ ⴕⴓⴇⴀⴇⴄⴊⴈ ⴑⴀⴖⴈⴐⴈⴑ-ⴛⴄ, ⴃⴈⴃⴀⴢ ⴂⴀⴌⴇⴕⴋⴓⴊⴈ ⴑⴀⴇⴌⴍⴄⴁⴀⴇⴀ ⴘⴈⴌⴀ ⴃⴀ ⴛⴊⴈⴄⴐⴈ ⴑⴀⴕⴋⴈⴇ ⴃⴀ ⴑⴈⴒⴗⴅⴈⴇ, ⴋⴈⴄⴂⴄⴁⴍⴃⴀ ⴋⴀⴇ ⴇⴀⴋⴀⴐ ⴃⴈⴃⴈⴇⴀ ⴑⴈⴋⴃⴀⴁⴊⴈⴇⴀ, ⴅⴈⴇⴀⴐⴚⴀ ⴉⴀⴚⴈ ⴃⴀ ⴀⴐⴀ ⴋⴄⴔⴄ, ⴅⴈⴇⴀⴐ ⴀⴌⴂⴄⴊⴍⴆⴇⴀ ⴃⴀ ⴀⴐⴀ ⴉⴀⴚⴇⴀ. ⴘⴄⴈⴉⴐⴈⴁⴌⴀ ⴗⴍⴅⴄⴊⴌⴈ ⴄⴐⴇⴑⴀ ⴑⴀⴃⴂⴓⴐⴑⴀ ⴃⴀ ⴃⴀⴑⴞⴌⴀ ⴑⴀⴗⴃⴐⴄⴁⴈⴇⴀ, ⴞⴍⴊⴍ ⴇⴣⴇ ⴃⴀⴟⴃⴀ ⴘⴍⴐⴈⴑ ⴋⴀⴇⴑⴀ ⴋⴀⴐⴒⴍⴢ ⴃⴀ ⴀⴐⴀ ⴋⴄⴔⴍⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴄⴑⴐⴄⴇ ⴄⴓⴁⴌⴄⴁⴍⴃⴀ:

„ⴠⴍⴈ ⴜⴋⴈⴃⴀⴌⴍ ⴋⴀⴋⴀⴌⴍ, ⴇⴕⴓⴄⴌ ⴖⴋⴐⴇⴈⴑⴀ ⴋⴈⴄⴐ ⴂⴀⴌⴙⴈⴌⴄⴁⴓⴊ ⴞⴀⴐⴇ ⴋⴍⴛⴖⴓⴐⴀⴢ ⴙⴓⴄⴌⴃⴀ ⴃⴀ ⴋⴋⴀⴐⴇⴄⴁⴊⴀⴢ ⴜⴋⴈⴃⴀⴑⴀ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀⴑⴀ ⴃⴀ ⴇⴀⴌⴀ ⴂⴀⴚ ⴑⴈⴒⴗⴣⴑ ⴋⴈⴚⴄⴋⴀ ⴑⴓⴊⴇⴀⴇⴣⴑ ⴙⴓⴄⴌⴇⴀ. ⴂⴀⴋⴍⴈⴛⴈⴄⴇ ⴗⴍⴅⴄⴊⴈ ⴉⴄⴇⴈⴊⴀⴢ ⴃⴀ ⴃⴀⴀⴋⴒⴉⴈⴚⴄⴇ ⴋⴀⴐⴇⴀⴊⴈ, ⴞⴍⴊⴍ ⴂⴀⴌⴉⴀⴃⴄⴇ ⴂⴓⴊⴀⴐⴛⴌⴈⴊⴈ. ⴈⴜⴗⴄⴇ ⴙⴄⴋ ⴆⴄⴃⴀ, ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴋⴀⴐⴀⴅⴀⴌⴃⴈ ⴄⴑⴄ ⴋⴄⴔⴍⴁⴈⴑⴀ ⴀⴐⴑ ⴃⴀ ⴀⴐⴀ ⴖⴋⴐⴇⴈⴑ ⴋⴁⴐⴛⴍⴊⴍⴁⴈⴑⴀ. ⴌⴓ ⴇⴓⴀⴊ-ⴀⴞⴓⴀⴋⴇ ⴋⴇⴀⴅⴀⴐⴇⴀ ⴑⴈⴋⴃⴈⴃⴐⴈⴑⴀⴇⴅⴈⴑ, ⴌⴓⴚⴀ ⴂⴊⴀⴞⴀⴉⴇⴀ ⴓⴃⴄⴁ – ⴠⴗⴍⴔⴇ ⴑⴈⴋⴚⴈⴐⴈⴑⴀⴇⴅⴈⴑ. ⴇⴕⴅⴄⴌ ⴑⴈⴒⴗⴅⴈⴇⴀ, ⴞⴍⴊⴍ ⴋⴄ ⴑⴀⴕⴋⴈⴇ: ⴇⴕⴓⴄⴌ ⴑⴜⴀⴅⴊⴈⴇ, ⴞⴍⴊⴍ ⴋⴄ ⴂⴀⴌⴑⴜⴀⴅⴊⴈⴇ; ⴇⴕⴓⴄⴌ ⴜⴓⴐⴇⴈⴇ, ⴞⴍⴊⴍ ⴋⴄ

განწურთით, ზოგად ჴელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათა არ ზოგად ვიზღვნეთ: თქუენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“.

ესმნეს რა სიტყუანი ესე ყოველსა მას კრებულსა მამათასა, მადლობდეს ღმერთსა და თანად მეფესა ღმრთივ-განბრძნობილსა. ჯდა უკუე თამარ მცირედ-ჟამ შორის მათსა, მერმე მოიღო კურთხევა მათგან და წარვიდა პალატად თჳსად.

ხოლო წინამძღუართა კრებისათა ნიკოლაოს და ანტონი, რომელნი ვითარ პირველმეტყუელნი მთიებნი უბდოდეს მომრგუალებასა ცაებრისა მის ვარსკულავთა კრებულისასა, არ ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართ-უხუცესობა მოევერაგა უფლისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს, რომელ ადრე თჳთ განაყენა სასჯელმან ღმრთისამან. ხოლო სხუანი ვინმე ეპისკოპოსნი შეიცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიაონი წესნი განმართნეს უდებთა მიერ და ჴსნილნი“[1].

მეტად დასანანია, რომ ამ კრების ოქმებს ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი უნდა ჩატარებულიყო თამარის მეფობის პირველ წლებში.

თამარიც შეეცადა, თავის მხრივ, სომეხთა შემოერთებას და მოიწვია სომეხი და ქართველი სამღვდელოების კრება განხეთქილების შესახებ საკამათოდ, მაგრამ არც მის ცდას მოჰყოლია წარმატება.

თავის წინამორბედთა მსგავსად თამარიც მედგრად ებრძოდა მუსლიმანებს, რომელნიც არ წყვეტდნენ ქრისტიანების დევნას. აქ არ ჩამოვთვლით მისი მეფობის პერიოდში მომხდარ ომებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ 1200—1211 წლებში მრავალი ომი გადაიხადა და ხშირად დიდ ზიანს აყენებდა, სასტიკად ამარცხებდა ურწმუნოებს[2]. მან დაპყრობითი ომების არე თავის წინამორბედებზე უფრო გააფართოვა.

თუ ამ მონათხრობში ხაზი გავუსვით ქართველებსა და მუსლიმანებს შორის მომხდარ ომებს, ეს იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, რამდენი იტანჯეს ურწმუნოთაგან ქართველებმა რწმენის გულისათვის. არც ერთ ერს, ესპანელთა ჩათვლით, არ უბრძოლია ამდენი მუჰამედის სასტიკ მოციქულთა წინააღმდეგ.

---

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 405-406; იხ. „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 117-118.

2 იხ. Recueil des Historiens des Croisades, Auteurs orientaux, ტ.I, გვ. 85-86, Journal Asiatique, სერია IV, 1849, ტ. I, გვ. 507-522: Saint-Martin, Memoires Historiques et Géographiques sur l'Arménie, Paris, 1818 და 1819, ტ. I, გვ. 381-382; ტ.II, გვ. 101, 247, 249, 252; Deguignes, Histoire générale des Huns, ტ. II, II ნაწილი, გვ. 249.

ქართველთა წამება ამით არ დასრულებულა. მათ კიდევ დიდხანს მოუხდათ ბრძოლა ქრისტეს გაავთრებული მტრების წინააღმდეგ. ამას შემდგომ თავებში ვიხილავთ.

რადგანაც ტრადიცია იშვიათ, საოცარ, კლდეში ნაკვეთ ქალაქ ვარძიას მიაწერს, რომ თამარის განსასვენებელი იყო, რომ იქ უყვარდა მას დასვენება, როდესაც ამის საშუალება ჰქონდა, დავამთავროთ ეს თავი ვარძიის რეპროდუქციით და დიუბუა დე მონპერესეული აღწერით:



ვარძია, კლდეში ნაკვეთი ქალაქი.

„როდესაც ციცაბო კლდის ძირს მივადექით, საიდანაც მრავალრიცხოვანი გამოქვაბული იწყება, კლდეში გამოკვეთილ კიბისებურ საფეხურებზე დავადგით ფეხი და ისე ავედით ამ კედელზე.

გამოქვაბულთა მრავალი სართული უნდა გაიარო, სანამ იმ

გამოქვაბულთან მიხვიდოდ, სადაც მიწისქვეშა გასასვლელებია და მთავარი ნაგებობანი, რომლებიც ქუჩის მაგიერ, ·წინ წამოწეული ადგილის გასწვრივაა განლაგებული. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც პირველი შეხედვისთანავე იპყრობს ყურადღებას, არის ˙დიდი ეკლესია. გადმოცემით იგი თამარმა ააშენებინა და გამოაკვეთინა კლდეში. ეკლესია ერთადერთი შენობაა, რომელსაც თლილი ქვით ნაგები ფასადი აქვს. ის ორი, თაღზე დაყრდნობილი ძალიან ვიწრო პორტიკისაგან შედგება, ორი კარი აქვს შესასვლელად და მთლიანად გამოკვეთილია თეთრი და ნაცრისფერი გამაგრებული ვულკანური ქანებისაგან შედგენილ კლდეში. ეს მოთეთრო კლდე 200 ფუტის სიმაღლისაა და კვეთს ლავისა და შავი ლაპილის უზარმაზარ ფენებს, რომლებიც კლდის თავზეა.

ეკლესიის ნავი დაახლოებით 40 ფუტის სიმაღლისაა; ყველგან იგრძნობა უბრალოება; არც ორნამენტები შეიმჩნევა, არც კვეთილობა მხოლოდ კედლებია მოხატული. გეგმა მერძნულია; ნახევარწრიული ამსიდის შუაგულში დადებული უხეში ქვა კანკელის მაგივრობას სწევს; შორიდან მოსული მღვდელი განსაზღვრულ დღეებში, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ წირავს, აქ ამ დროს იკრიბებიან მორწმუნენი. წლის განმავლობაში დროდადრო სალოცავად, სათხოვნელად მოდის ხალხი, ვინაიდან ეკლესია მეტად წმინდა ადგილად მიაჩნიათ, თავიანთ შესაწირავს, სანთლის თუ ფულის სახით, კანკელთან ტოვებენ და შესაწირავს არავინ ჰკიდებს ხელს.

ეკლესიას განსაკუთრებული მოწიწებით იმიტომ ეკიდებიან და იმიტომაა ის სახელგანთქმული, რომ აქ არსებობდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი და თამარ მეფის საფლავი, რომლის გაძარცული და დაზიანებული ნაშთებიც მე ვიხილე ეკლესიის უკან მდებარე სამკვეთლოში. თავიდან ღუმელი მეგონა ჩაშავებული ფერისა და ფორმის გამო. იგი ცალკე დგას ეკლესიის კარებსა და ამსიდას შორის, სიგანით 6-7 ფუტია, სიგრძით 10 ფუტი. ისე ჩანს, თითქოს იქ შესვლა შეიძლებოდა და სხეული დასვენებული იყო ნიადაგის ქვეშ გაკვეთებულ თხრილში. გარედან პრიალა აგურით იყო მოპირკეთებული, რაც ჩვეულებრივ ღუმელის იერს აძლევდა მას.

სამკვეთლოს სიღრმეში არის მიწისქვეშა გასასვლელი, მას ზედა სართულში მივყავართ, სადაც ადამიანთა მოთმინებამ პირველის მსგავსი დიდი ეკლესია გამოკვეთა. ეს ეკლესია პირველზე მაღალია სამოციოდე ფუტით. ეკლესიის ქვემოთ, მიწისქვეშა გასასვლელი ვიწრო დერეფანში ჩადის, სადაც დგას საწნახლები. ეს გასასვლელი გამოუყენებელია, ვინაიდან ქვა-ღორღით არის სავსე.

ქორედის მოპირდაპირე მხარეს კარი უკავშირდება სამზარეულოს თუ დერეფნის მსგავს ვრცელ შენობას. აქედან კიბით შეიძლება ასვლა სხვა სადგომში, რომელსაც გადმოცემით საწოლ ოთახად იყენებდნენ საქართველოს მეფენი, როდესაც ვარძიაში ჩამოდიოდნენ ოთახი გადაჰყურებდა თამარ მეფის საფლავს. იქ სინათლე ეკლესიის ორი სარკმლიდან

შემოდიოდა. ეკლესიიდან როდესაც გამოვედი და მარცხნივ მოვუხვიე, კლდეში გამოკვეთილი კარით თამარ მეფის სადგომში აღმოვჩნდი, სადგომი კლდის შვერილის გასწვრივ არის მოთავსებული, წინ ათიოდე გამოქვაბული აქვს, რომლებიც სადგომის ეზო გახლავთ. დედოფალს ჰქონდა საზაფხულო და საზამთრო სახლები. პატარა პორტიკით ფართო დარბაზში შევდივართ. დარბაზი 30 ფუტის სიგრძისა და 20 ფუტის სიგანისაა და მრგვალთაღოვანი ჭერი აქვს. აქ ყურადღებას იქცევს ქართული ყაიდის ვიწრო ტახტი, ისეთივე, როგორიც არქეოპოლისის მეფეთა ძველ სასახლეში ვნახე. სიღრმეში დიდი წალოა საწოლისათვის და ორივე მხარეს უფრო პატარა წალოები. სულ ესაა დარბაზის მთელი მორთულობა. ორი სარკმელი საშუალოდ ანათებს მას. ერთ-ერთი სარკმლის წინ გამოკვეთილი იყო ცირკულარული ღუმელი, რომელშიც ნაკვერჩხლებს ჰქონდათ და ოთახს ათბობდნენ. დარბაზის სიღრმეში არსებულ კარს გასახდელთან მივყავართ. ეს უკანასკნელი გადის კამინეტში, სადაც დედოფალს შეეძლო წირვა მოესმინა პატარა სარკმლიდან, რომელიც საოჯახო სამლოცველოს გადაჰყურებდა. სამლოცველო მომცრო, მოხატული შენობა იყო. დარბაზის კარი შიგნიდან მჭიდროდ იკეტებოდა ხის ურდულებით, ისევე, როგორც დღესაც იკეტება იმერეთის ეკლესიები.

ზაფხულის სადგომი ზამთრისაზე უფრო მაღლა მდებარეობდა: იქ კიბით შეიძლებოდა ასვლა. კიბის დამახასიათებელი ნიშანი იყო, რომ პირველი საფეხური 4 ფუტის სიმაღლისა ჰქონდა. გაზაფხულის ბინაც თაღოვანი იყო, წალოებიანი, პატარა ოთახიც ჰქონდა. მისი ღია წინა ნაწილი მთლიანად გადიოდა ხის აივანზე. აქედან მოჩანდა მთელი მტკვრის ხეობა ტერასებზე გაშენებული ბაღებითა და ვენახებითურთ. აი, რა მცირედით კმაყოფილდებოდა დასვენების წუთებში ძლიერი დედოფალი, რომელმაც კავკასიის მთიანეთის ყველა ხალხი დაიმორჩილა და ქრისტიანობას აზიარა. არც ორნამენტი, არც ქანდაკება, უბრალო ხაზები; ეს გამოქვაბულთა სასახლეებს დიდად განასხვავებდა უფლისციხის მდიდრულად მორთულ გამოქვაბულებისაგან, რომლებიც უფრო გვიან ვინახულე გორის მახლობლად.

ეკლესიის მეორე მხარეს კიდევ ბევრი სადგომი დავათვალიერე; ისინი უფრო უბრალონი გახლავთ, ვიდრე დედოფლისა, და თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავს. ყველგან მრგვალი ან ოდნავ დაქანებული თაღია გამოყენებული. ერთ-ერთი გამოქვაბულის სიღრმეში ამოჩქეფს ცივი წყარო, უხვი და გემრიელი, რომელსაც ირგვლივ ყველა ხმარობდა: მისი ტემპერატურა ამ ვულკანურ ქანებში $9^{0}$-ია.

გამოქვაბულთა წყება თავდება კლდის ზეგანით, რომელზეც საკმაო ადგილია. ქუთაისის კათედრალური ტაძრის მსგავსად, კუთხეებით და გამოძერწილი ორნამენტებით დამშვენებული კლდის სილუეტი მეტად წარმტაცია გამოქვაბულების შუაგულში და კლდის წვერზე. იგი გამოყენებული იყო როგორც შესასვლელი ქალაქის მეორე ნაწილისა, რომელიც კლდის გაგრძელებაზე იყო გამოკვეთილი; ჩემს ნახატზე მას ვერ ვხედავთ.

მოთეთრო კედლებში უამრავი გამოქვაბულია გამოკვეთილი; ზოგი სახლოსნო იყო, ზოგი-მაღაზია, ზოგი-საჯინიბო; ზოგიერთი დიდ მინას ქმნიდა. კლდის გარღვეულ ადგილას აღმართული ყოფილა ციხე, რომლის კვალი აღარ ჩანს; გვიჩვენებენ მხოლოდ, სად იყო კარი.

ბოლოს, აქედან რამდენიმე ნაბიჯზე, შევედით მესამე ეკლესიაში, რომელიც, ეტყობა, უძველესია ვარძიის ეკლესიათაგან. ისიც კლდეშია ნაკვეთი, მაგრამ სხვებს ვერ შეედრება დიდებულებით. მე დიდხანს ვერთობოდი მრავალრიცხოვანი ფრესკის ყურებით; აქამდე არსად მინახავს უკეთესად შენახული ძველი ბიზანტიური სკოლა ერთფეროვანი კოლო-რიტით, მკაცრი კონტურებით, გამხდარი და ხმელი ფორმებით; ყველა წარწერა ბერძნული იყო. მე ვნახე გუმბათი, რომელზეც ღვთისმშობლის გამოსახულებაა, თითქმის გადმოღებული გელათის მოზაიკიდან; მისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მარიამს ორივე მკლავი გაშლილი აქვს, ხელში კი ისე, თითქოს მთელი ქვეყანა უნდა აკურთხოს. მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებიც არ აკლია. გუმბათის ყელს გარშემო ბერძნული შემოკლებული წარწერა ამკობს, როგორც გელათში, და ყრმა იესოს თითები ისევე აქვს მოკეცილი, როგორც გელათსა და ნიკორწმინდაში...

აი, ვარძია, როგორიც მე ვნახე. დღეს, უთვალავ თაღებქვეშ ადამიანის ხმა არ ისმის, მიტოვებულ კანკელებთან მღვდლები არ წირავენ, თამარის საფლავთან შუქი არ არის, ცარიელ სამრეკლოში არ ისმის ზარის ნაღვლიანი ხმა. ამ უძველესი ქალაქის სახელწოდებაც კი წაშლილია თანამედროვე რუკებზე, ამაოდ დავშვრებით მის ძებნაში. საცხოვრებელი ადგილებიდან დაშორებამ იგი დაავიწყა ხალხს. ვარძიის სახელი იხსენიება მხოლოდ ძველ ქრონიკებში, განსაკუთრებით, თურქების წინააღმდეგ ყვარყვარე და მანუჩარ ათაბაგთა ბრძოლის ამსახველ ანალებში. ქართველებმა ვარძია აიღეს და დაიბრუნეს. ალფ-არსლანმა ვარძია დაიპყრო 1064 წელს ყარსისა და ანისის აღების წინ, სამახსოვრო ექსპედიციის დროს; ამ ომების ისტორიკოსი მას სილ-ვარდს უწოდებს"[1].

---

1 Dubois de Monpéreux, Voyage autour du Caucase, ტ.II, გვ. 217-24. — იხ. Brosset, Voyage archéologique, II. მოხსენება, გვ. 160—165.

# ᲗᲐᲕᲘ XII

# სამონასტრო ცხოვრების განვითარება ქართველთა შორის

შინაარსი. — I. სამონასტრო ცხოვრების დასაწყისი. იოანე ასური მონასტერს აარსებს ზადენის მთაზე. შიოს მონასტერი. — II. ქართული სავალობლები. — III. გელათის მონასტერი.—IV. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში და პილიგრიმთა ცნობები მის შესახებ. — V. სხვა ქართული მონასტრები პალესტინასა და ბიზანტიის იმპერიაში. — VI. ქართული მონასტერი ათონის მთაზე. თორნიკე ბერი და სკლიაროსის აჯანყება. — VII. ექვთიმე ბერი და მისი ღვაწლი. გიორგი მთაწმინდელი და მისი ღვაწლი. — VIII. ექვთიმესა და გიორგის მიერ ნათარგმნი წიგნები. — IX. საქართველოს მონასტერთა ჩამოთვლა. — X. ულუმბოს მონასტრის შეწირულებათა წიგნი. საფარის მონასტრის წარწერა. —XI. ბერთა სულისკვეთება და საქმენი. მრავალი მონასტრის გაქრობა. ქართული ხელოვნება.

## I. — ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲐᲡᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲐᲐᲠᲡᲔᲑᲡ ᲖᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ. ᲨᲘᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ

სამონასტრო ცხოვრება, რომელიც თვით ეკლესიის მსგავსად ძველთაძველია, ყოველთვის იყო მისი ყველაზე უფრო მტკიცე დასაყრდენი და ქრისტიანობის წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. სამონასტრო ცხოვრების წყალობაა, რომ სახარებაში აღწერილი სათნოებანი მეტად განივრცო და მსოფლიომ შეინარჩუნა ქრისტიანული ცივილიზაცია. ამ უდიდეს მადლს არც ქართული ეკლესია ყოფილა მოკლებული. იგი თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე მოწმე გახდა სამონასტრო ცხოვრების აყვავებისა, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო არ შეგვიძლია მტკიცება, რომ IV და V საუკუნეებში უკვე ასე იყო.

საფიქრებელია, სამონასტრო ცხოვრება V საუკუნეზე გვიან არ უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან კონსტანტინოპოლიდან ან ანტიოქიიდან

გამოგზავნილ მოძღვართ არ შეეძლოთ ჭეშმარიტი რწმენის გავრცელების ასეთი მძლავრი საშუალების უგულებელყოფა. უეჭველია, VI საუკუნეში სამონასტრო ცხოვრება უკვე დუღდა და გადმოდუღდა.

IX თავში ჩვენ ვნახეთ, რომ ამ საუკუნეში სირიიდან ჩამოსულმა ცამეტმა მისიონერმა საქართველოში რამდენიმე მონასტერი დააარსა. მათი ხელმძღვანელობით რელიგიურმა ცხოვრებამ არნახულ წარმატებას მიაღწია. ყოველი მხრიდან ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა, რათა სახარების მცნებათა საიდუმლოებას ზიარებოდა და ცხოვრებაში გამოეყენებინა. სირიელ მამათა მოწაფეების ზრუნვით მონასტრები გამრავლდა და თვით მეფეებმაც აღარ დააყოვნეს მონაწილეობის მიღება მათ შენებაში.

ამ სავანეთა შორის ყველაზე ცნობილი იყო იოანეს, დავითისა და შიოს მონასტრები, რომლებიც არა მხოლოდ ქრისტიანული სათნოების, არამედ ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის კერებიც გახდა.

მისიის მეთაური, იოანე, როგორც უკვე ვთქვით, დამკვიდრდა ზადენის მთაზე, რის გამოც მიიღო ზედაზნელის წოდება, ისევე როგორც ზედაზნის მონასტერმა. თბილისის საეკლესიო მუზეუმის ძველი ხელნაწერი (№160) შეიცავს ამ მონასტრის არქიმანდრიტთა სახელებს, შემდეგი რიგით: იოანე († 580), დიაკონი ელია († 591), იოსები († 615), ამბა ვაჰმანი († 650), ამბა ბენი († 700); ამბა თუალი († 731), სამოელ დიდი († 739), მამაი († 762), რომელმაც მონასტრის წინამძღვრობა კათალიკოსად ყოფნის დროსაც შეინარჩუნა († 776), გრიგოლი († 800), იონა († 815), გაბრიელი († 830), თეოდორე († 870), იოანე, წამებული სარკინოზთა მიერ († 882), ქურდისი († 891), ჭოროხი († 901), კვირიკე († 916), შიო († 919), მიქაელი, დიაკონთა საცხოვრებლის აშენებელი († 943), მიქაელი, სასაფლაოს ტერიტორიაზე პატარა სამლოცველოს აშენებელი († 946), ზაქარია, რომელმაც გააფართოვა ეკლესია († 950), იოანე († 952), ომარი († 959), სამოელი († 979)[1].

ამ პიროვნებათა შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება.

მიუხედავად ამისა, ცხადია, ზედაზნის მონასტერმა X საუკუნემდე ძლიერ დიდი გავლენა მოახდინა ქართულ ეკლესიაზე და მას მრავალი კათალიკოსი შესძინა.

ზედაზნის მონასტერმა XII საუკუნემდე იარსება; სელჩუკების მიერ შემუსვრილი იგი ველარ აღდგა ნანგრევებიდან.

სირიელ მამათა მიერ დაარსებული, ჩვენამდე მოღწეული მონასტ-

---

1 ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 73, 74.

რებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დავით გარეჯელის და შიო მღვიმელის მონასტრები, რომლებიც რამდენიმე ასეულ და ზოგჯერ ათასეულ ბერსაც კი ითვლიდა. თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მათ მრავალი ბედუკუღმართობა დაატყდა თავს, მაგრამ ყველა განსაცდელს გადაურჩნენ.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მეფე ფარსმან VI-მ (542-557) შიოს მონასტერს დიდძალი ვერცხლი, ძვირფასი ლითონი, მიწა და სხვა ქონება შესწირა. მომდევნო საუკუნეებში ბევრმა მთავარმა და მეფემ მიბაძა მას და საოცრად გაამდიდრა ეს სავანე, რასაც ჩვენამდე მოღწეული სიგელები მოწმობენ.

მოგვიანებით საქართველოში გაჩნდა სხვადასხვა თვალსაზრისით არანაკლებ შესანიშნავი სხვა მონასტრები. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ განთქმული სავანეები: კალმახი, პარხალი, იშხანი, ხანძთა და შატბერდი, რომლებიც ქრისტიანობის მტრებმა მთლიანად დაანგრიეს. საკმაოდ რთულია მათი ადგილმდებარეობის დაზუსტება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს მონასტრები დასავლეთ საქართველოში, ჭოროხის აუზში მდებარეობდა.

ხსენებული მონასტრების არსებობის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ძველი ხელნაწერიდან ვიცით, რომლებიც შემთხვევით გადაურჩა ბედუკუღმართობას, ასე ხშირად რომ ატყდებოდა თავს ამ მხარეს. თბილისის საეკლესიო მუზეუმში და სხვაგან დაცული ხელნაწერები, რომლებსაც სახელი წარმომავლობის მიხედვით ჰქვიათ, გვამცნობენ, დღეს აღარარსებულ ამ მონასტრებში რა გაცხოველებით და ნაყოფიერად მუშაობდნენ ბერები. ამ საბუთებში X საუკუნის ბევრ სახელს ვხვდებით. ასეთებია, მაგალითად: დაჩი, ეპისკოპოსი ანტონი, ეპისკოპოსი სტეფანე, იოანე, დავითი, მიქაელი, გრიგოლი და მრავალნი სხვანი. ისინი სხვადასხვა მონასტრებში იღვწოდნენ, როგორც გადამწერლები, მთარგმნელები და მწერლები. დროს რომ ჩვენამდე მოეტანა მათი ნაწერები, ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უმდიდრესი იქნებოდა მსოფლიოში.

## II. – ქართული საგალობლები

ერთ-ერთი იმ ხელნაწერთაგანი, რომლებშიც ქართული საგალობლებია შემონახული, ღირსია განსაკუთრებული მოხსენიებისა. ეს გახლავთ საგალობელთა დიდი კრებული[1], 544 გვერდის მოცულობით, შექმნილი X საუკუნეში ბერის, მიქაელ მოდრეკილის მიერ შატბერდის მონასტერში. კრებულის თავში მოთავსებულია ჰიმნოგრაფ იოანე მტბევარის პორტრეტი. ეს წიგნი საშუალებას გვაძლევს, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ქართულ საეკლესიო საგალობლებს.

1 წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერი №425.

თავისი ქვეყნისა და ჰავის სიმშვენიერით მადლცხებულ ქართველებს სიმღერისადმი სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ქართველთა მთავარი თვისებაა მხიარულება[1], რაც მათთვის ბუნებრივია და უშუალოდ გიბიძგებს ამღერდე. ამაო იქნებოდა, საქართველოში საგალობელთა შექმნის დაწყების თარიღი გვეძებნა. ამ სიმღერას შეჩვეულმა ხალხმა ქრისტეს რჯულზე მოქცევის შემდეგაც შეინარჩუნა ის ტონი და კილო, რომელსაც წარმართული კულტის დროს იყენებდა.



იოანე მტბევარი, ტბეთის ეპისკოპოსი, X საუკუნის ხელნაწერის მიხედვით.

ქართველების პირველმა მოძღვრებმა, რადგანაც ხალხის ტრადიციული საგალობლები ვერ დაივიწყეს, ამ საგალობლებს სიტყვები შეუცვალეს და ამგვარად იყენებდნენ საეკლესიო ლოცვებსა და ცერემონიებში. ამიტომაც საერო სიმღერა თითქმის არ გამოირჩევა ლიტურგიული გალობისაგან და ამის გამო ლიტურგიული გალობა თვით ქრისტიანობის ასაკისაა საქართველოში. იგი ძლიერ განსხვავდება ბერძენთა მელანქოლიური საგალობლებისაგან. აქვს ოთხი ძირითადი და ოთხი დამატებითი კილო. უპირველეს ყოვლისა, მარტივი და მელოდიურია; ამჟღავნებს ღრმა რელიგიურ გრძნობას. ამ გალობის მელოდიებში გალობს არა ხელოვნება, არამედ ღვთიური სიყვარულით აღმოდებული და ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისათვის მზადმყოფი გული.

ვინაიდან ქართული საეკლესიო გალობა ეფუძნება ქართულ ხალხურ სიმღერას, რომელთანაც იგი მჭიდროდაა დაკავშირებული, საჭიროა აღინიშნოს, რომ არც ბერძენთა და არც სხვა რომელიმე ერის საგალობელს არავითარი ზემოქმედება მასზე არ მოუხდენია, გარდა ებრაული საგალობლისა, რომელმაც ნაწილობრივ იქონია გავლენა საქართველოში დამკვიდრებულ ებრაელთა მრავალრიცხოვნობის გამო.

ქართველი მამები არ შემოიფარგლნენ აღმოსავლური ეკლესიის ჰიმნების თარგმნით. ისინი თვითონაც თხზავდნენ საგალობლებს, განსაკუთრებით ქართველი წმინდანებისადმი მიძღვნილთ, იამბის,

1 „მათი დაუშრეტელი მხიარულების წყალობით, ცხოვრებას თვით ულარიბესთა შორისაც კი არაფერი აქვს მწუხარე და ნაღვლიანი“. E. Chantre, Recherches antropol. dans le Caucase, ტ. IV, გვ. 34.

აკროსტიქის ან სხვა ფორმით და ეს ხდებოდა დიდი ხნით ადრე იოანე დამასკელამდე, რომელმაც აღმოსავლეთის ეკლესია ლიტურგიული საგალობლებით გაამდიდრა. ქართველი მამები ქმნიდნენ საგალობლებს აგრეთვე წმინდა საიდუმლოთათვის, სადაც გამოხატავდნენ ყველა კათოლიკურ დოგმას. აი, ამის ნიმუში:



გელათის ეკლესია, ქუთაისის მახლობლად (XI ს.).

„დაუსაბამოისაგან მამისა პირველ საუკუნეთა უწინარეს შობილო ღმრთისა სიტყუაო მხოლოო, არსებაო უსხეულოო, ძალაო აუხსნელო, ბუნებაო შეუქმნელო.

თვით მიუწდომელი და გარშეუწერელი ქმნილება გარდამო და ქუეყანად სასიერებით და შეიმოსნა ჴორცნი. მშჳდად მიეცა ტანჯვას ტანჯულთათჳს.



გელათის ეკლესია, ქუთაისის მახლობლად (XI ს.)

უბიწო, აღმაღლდი ჴორცითა ჯუარსა ზედა ჩუენთჳს, ჰრაჲ უცოდველი დამშჭუალული ღმრთისა მაღლისა. გადმოსდინდა ჭრილობებიდან სისხლი და წყალი და უბიწოთა სისხლითა განუგუწმიდენ ცოდვათაგან".

მიქაელ მოდრეკილის ზემოთ მოხსენიებული საგალობელთა კრებული შეიცავს ქართველ სამღვდელო პირთა მიერ შეთხზულ IX და თვით VIII საუკუნეზე უადრეს მრავალ საგალობელს. ასეთია სააღდგომო დღესასწაულის ჰიმნები. მათი სიძველე ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ახალ საბუთს იძლევა. მართლაც, ქართული ეკლესია რომ დამოუკიდებელი, ანუ ავტოკეფალური არ ყოფილიყო, ვერ შეძლებდა საკუთარი ლიტურგიული საგალობლებისა თუ ჰიმნების შექმნას, და ალბათ იძულებული იქნებოდა, იმ ეკლესიის საგალობლებით ესარგებლა, რომლის ქვეშევრდომიც გახდებოდა.

## III. – გელათის მონასტერი

საქართველოში მეცნიერებისა და კულტურის მეორე კერა იყო ქალაქ ქუთაისის მახლობლად მშვენიერი ჭალით გარშემორტყმულ ბორცვზე მდებარე გელათის ცნობილი სავანე. იგი X საუკუნეში დააარსა მეფე ბაგრატ III-მ (1014). ბაგრატ IV-მ (1072) გელათის სავანე გააფართოვა. სავანის დიდი ეზო უკავია ერთ ხაზზე განლაგებულ სამ ეკლესიას. შუაში აღმართულია მათ შორის უდიდესი ტაძარი, რომლის რეპროდუქციასაც აქ გთავაზობთ. ტაძარი ფართოა და ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. მასზე გაცილებით პატარა წმინდა გიორგის ეკლესია აღმოსავლეთითაა, ხოლო სამივეთაგან უმცირესი წმინდა ნიკოლოზის ეკლესია დასავლეთის მხარეს, მთავარი ფასადის წინ. იმ შენიშვნის მიხედვით, რომელიც თბილისის საეკლესიო მუზეუმში დაცულმა №186 ხელნაწერმა შემოგვინახა, დიდი ეკლესიის მშენებლობა მეფე დავით II აღმაშენებლის დროს უნდა დაწყებულიყო 1106 წელს. საკურთხევლის აფსიდა შემკულია შესანიშნავი ბიზანტიური მოზაიკით, იმპერატორ ალექსი კომნენის (1081-1118) შეწირულობით, რომელიც გამოსახავს სამ დიდ ფიგურას ოქროს ფონზე. შუაში ღვთისმშობელს, თავისი ლურჯი სამოსელის ნაკეცებზე, ხელში უჭირავს ოქროთი მოსილი ყრმა იესო, რომელსაც მარჯვენა ხელი აღმართული აქვს საკურთხებლად. მარიამის მარჯვნივ არის მთავარანგელოზი გაბრიელი. მოგვიანებით ეს ეკლესია ეპისკოპოსის რეზიდენცია გახდა.

მოვუსმინოთ ე.შანტრს, რომელმაც დაათვალიერა ეს ცნობილი ძეგლი.

„მეგრელნი და იმერნი, ორივე ბერძნული რიტუალის მიმდევარი ქრისტიანები, უღრმესი თაყვანისცემით არიან გამსჭვალულნი გელათის მონასტრისადმი. მის თაყვანისმცემელთა მიერ დატოვებული მრავალრიცხოვანი აღწერის მიუხედავად, არ შეგვიძლია დუმილით ავუაროთ გვერდი

ქართველ ქრისტიანთა ამ ძველ ეროვნულ ტაძარს. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ იგი ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მონასტერია; ქუთაისიდან დაახლოებით ათი ვერსის მანძილზე მდებარეობს, დამრკოლებებით აღსავსე და ძნელსავალი გზებით მივდივართ ამ დიდებულ ნაგებობასა და მის მონასტერთან, რომელიც ტყეებით დაფარული მთების მვერილზე ამაყად აღმართულა. XI საუკუნის ბოლოს, ბიჭვინთის ცნობილი ტაძრის გეგმის მიხედვით (რომელიც იუსტინიანეს ეპოქით თარიღდება), ბაგრატიონი მეფის, დავით მეორის მიერ აშენებული თუ აღდგენილი გელათი წმინდა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს მიეძღვნა, რაზედაც მისი სახელიც მიგვანიშნებს – გელათი, ანუ გენათი, ბერძნულის დამახინჯებული ფორმა. მონასტრის დიდ ეზოში სამი ეკლესიაა აღმართული: შუაში –ღვთისმშობლის ეკლესია, აღმოსავლეთით – წმინდა გიორგისა და დასავლეთით – წმინდა ნიკოლოზისა. ცენტრში ამოჩუხჩუხებს პატარა წყარო, რომლის წყალიც აქაური ბერების თქმით სამკურნალო ღირსებებით გამოირჩევა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძირითადად მათი ღვინის ჩაციებას ხმარდება. ცენტრალური ეკლესია ამ მხარის ბიზანტიური არქიტექტურის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნიმუშია. კარიბჭე და სარკმლები ელეგანტური ქანდაკებებითაა შემკული; საკურთხევლის თაღი მორთულია ოქროს



სამკარელი გელათის განძეულიდან (შუა ნაწილი).

ფონზე შესრულებული მშვენიერი მინანქრული მოზაიკით, რომელიც გამოსახავს ღვთისმშობელსა და ყრმა იესოს, გაბრიელ და მიქელ მთავარანგელოზებს შორის. როგორც ჩანს, ხელოვნების ეს ნიმუშები მეფე დავით II-სათვის იმპერატორ ალექსი კომნენს უწყალობებია. კიდეები დაფარულია ნაწილობრივ დაზიანებული ფრესკებით, რომლებიც უეჭველად მინანქრიელ ან გვერდულ ოსტატთა ნახელავია. თუმცა არაფერი ღირსშესანიშნავი მათ არ გააჩნიათ, მაინც საინტერესონი არიან, რადგანაც გვაწვდიან ცნობებს იმერეთის მეფეებისა და ეპისკოპოსების ძველებური ჩაცმულობის შესახებ. გარდა ამისა, ეს ეკლესია მორთულია სხვადასხვა ისტორიული ფაქტის ამსახველი სურათებით. აქვე ვამჩნევთ მაჯაღლო ოქროს დიდ ჭედურ ტრიპტიქებს. კანკელი, რომელიც კარგად არის შენახული, გვთავაზობს მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების ბალიან ძველ და ლამაზ გამოსახულებებს. ცხადია, ისინი მინანქრული ხელოვნების ოქროს ხანას ეკუთვნის. მასიური ოქროთი თუ ვერცხლით ნაჭედი ზოგიერთი მათგანი შემკულია ძვირფასი თვლებით.



სამკარედო გულანის გარეკანიდან (ფრთები).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს რამდენიმე მინიატურა წმინდანთა გამოსახულებით მერმნულწარწერიან ცისრულ მინანქარზე. განძეულში არის დიდი მხატვრული ღირებულების კიდევ სხვა რამდენიმე ნივთი, რომელთა შორის ზოგიერთი ჭეშმარიტი შედევრია და მინანქრულ ხელოვნებაზე ჩვენს აზრს უფრო ამაღლებს. საეკლესიო საცავში მეტად საყურადღებო კოლექციაა. ეკლესიის

ამ მინაშენში, აღმოსავლური ბერების უმრავლესობისათვის დამახასიათებელ უწესრიგობასა და უსუფთაობაში ინახება მინიატურებით შემკული ძვირფასი ხელნაწერები. მათ შორის არის X საუკუნის სახარებათა დიდებული ხელნაწერები. რომელთა ყდა ტიხრული მინანქრებითაა მორთული. ისინი ამგვარი- სახის ნამუშევართა საუკეთესო ნიმუშია. საგანძურის უმნიშვნელოვანესი ნივთია სამარტვილე, რომელშიც ჩაკეცილია კავკასიაში წმინდა ანდრიას მიერ ჩამოტანილი ღვთისმშობლის ნაკვთების ანაბეჭდიანი გარდამოხსნა. ალბათ, სწორედ ამ რელიკვიის პატივსაცემადაა აგებული ეს მონასტერი. სპეციალურ კარადაში ინახება იმერეთის ყოფილ მეფეთა სამოსელი, შემკული ძვირფასი თვლებით, აგრეთვე ლიტურგიული ნივთები, რომელთა შორის აღსანიშნავია ეპისკოპოსთა მოსასხამები და მიტრები“[1].

ვინაიდან გელათი ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლია, მოვიყვანთ აგრეთვე მოგზაურ დიუბუა დე მონპერესეულ აღწერილობას:

„მე გაოცებული დავრჩი, როდესა ამ მშვენიერი ნაგებობის (გელათი) ფერხთით აღმოვჩნდი, რომლის ნახვასაც სრულიად არ მოველოდი ველურ კლდეებში. ძლიერ ახლო მანძილიდან დანახული ეს ეკლესია აგებს ჩვენს თვალში მთავარ ნავზე მიჯრილი მრავალრიცხოვანი სამლოცველოსა და დერეფნის გამო. მასზე, ისევე როგორც მთელ მონასტერზე, უკეთესად ვიმსჯელებთ, თუკი ზემოდან, კლდეებიდან გადმოვხედავთ, საიდანაც მე იგი ჩავიხატე.

სტილი ქუთაისის კათედრალური ტაძრის ანალოგიურია; მაგრამ ჩუქურთმები აქ უფრო ძუნწადაა გამოყენებული. დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამი დიდი ფასადი, რომლებიც ბიზანტიურ ჯვარს ქმნის, აგრეთვე შემკულია ცრუ თაღებითა და ბრტყელი ნიშებით, რომლებშიც სამ-სამი სარკმელია დატანებული, მათ შორის შუა უდიდესია.

სვეტისთავები, ქვედა ნაწილი და ჩუქურთმები, რომლებშიც ეს ცრუ თაღებია ჩასმული, ქუთაისის ტაძრის მიბაძვითაა გაკეთებული. მაგრამ არც სარკმლებზე და არც ლავგარდანზე ჩუქურთმები სრულიად არ არის.

საკურთხევლის ფასადი მოკლებულია იმ დიდებულებასა და სიმშვენიერეს, რაც ქუთაისის ტაძარს აქვს. ნაცვლად იმისა, რომ გაემეორებინათ ეს დიდი, ლამაზი, კუთხოვანი ნიშები, სამი აფსიდა გამოხატეს სამი ნახევარწრიული გამოსასვლელით, როგორც ბიჭვინთაში, რომლის ტაძრის ანალოგიითაა დაგეგმილი შიდა სივრცე, გარდა მთავარი ნავისა, რომელიც უფრო მოკლეთაღიანია. ეს გასაგებია, თუ

1 Recherches antropologiques dans le Caucase, ტ. IV, გვ. 67-69.

ვიცით, რომ ბიჭვინთის პატრიარქი იმავე დროს გელათის მოძღვარიც იყო. ეკლესიის სვეტზე, პატრიარქის პორტრეტის ქვეშ ვკითხულობთ წარწერას: „ნეტარი ზაქარია, გელათის დიდი ეკლესიის არქიეპისკოპოსი და აფხაზეთ-ქართლის პატრიარქი დიდ ბიჭვინთაში".

ინტერიერი არ გვთავაზობს ბიჭვინთის ტაძარზე მეტ არქიტექტურულ ორნამენტებს. დიდი შესასვლელი არ არის მასზე უფრო მდიდრული და კონტრასტს ქმნის ქუთაისის კათედრალის ჩამონგრეული პორტიკის დიდებულებასთან.

ეკლესიის ცენტრი განათებულია საუცხოო გუმბათით. აქედან უნდა ვიმსჯელოთ ეფექტზე, რომელსაც გარედან ახდენს ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ქართული გუმბათი თავისი უხვად დეკორირებული თორმეტი დიდი სარკმლით.

ისევე, როგორც ქუთაისში, მთელი ნაგებობა აშენებულია არა გრანიტით, არამედ მოყვითალო ნაცრისფერი, მკვრივი კირქვის შემცველი თლილი ქვით, რომელიც ჩინებულია მშენებლობისათვის"[1].

მეფეები, რომელთაც არ აკმაყოფილებდათ ამ მონასტრის მხოლოდ თავიანთი სიუხვით გამდიდრება, ამქვეყნიურ დიდებაზე უარის თქმის შემდეგ ხშირად ალიკვეცებოდნენ ხოლმე ბერად გელათში, რათა რელიგიური ცხოვრებით ეცხოვრათ, რასაც გვამცნობს ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერი დავით II-ის ძის, მეფე დემეტრეს შესახებ.[2]

ეს გრანდიოზული ძეგლი ისევ ადგილზე დგას და მნახველთა აღტაცებას იწვევს. XVI საუკუნეში იგი ქუთაისის არქიეპისკოპოსის, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის რეზიდენცია და იმავე დროს, სიძველეთა და საარქივო დოკუმენტების საცავი გახდა. იყო ქართველ მეფეთა საძვალეც დავით II-დან მონღოლთა ეპოქამდე.

სამწუხაროდ, ამ მონასტრის ბერების ლიტერატურულ პროდუქციას ჩვენამდე არ მოუღწევია.

## IV. – ჯვრის მონასტერი იერუსალიმში და პილიგრიმთა ცნობები მის შესახებ

მხოლოდ საქართველოში კი არა, მის ფარგლებს გარეთაც ვითარდებოდა სამონასტრო ცხოვრება და მრავლდებოდა ეკლესიები, განსაკუთრებით პალესტინაში.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ, VI საუკუნის დასაწყისში, ორი ქართული მონასტერი აღადგინა: ერთი იერუსალიმში

1 Voyage autour du Caucase, ტ.II, გვ. 183-184 — იხ. Brosset, Voyage archéologique, IX მოხსენება, გვ. 8 და ა.შ.

2 თბილისის საეკლესიო მუზეუმის №186 ხელნაწერი.

და მეორე — მის მახლობლად, რომ IV და V საუკუნეებში ორი გამოჩენილი ქართველი, ევაგრე და პეტრე, სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა და მრავალი მონასტერი დააარსა წმინდა მიწაზე[1].

გადმოცემის მიხედვით, რომლის უარყოფისათვის არავითარი საბაბი არა გვაქვს, წმინდა ნინომ პირველი ქრისტიანი მეფე, მირიანი, შეაგულიანა იმპერატორ კონსტანტინეს სანახავად წასულიყო. იქიდან იგი იერუსალიმისაკენ უნდა გამგზავრებულიყო, სადაც ჯვრის ქართული მონასტრის ასაშენებელ ადგილს შეიძენდა[2]. მაშასადამე, ქართვე-



წმინდა ჯვრის ქართული მონასტერი იერუსალიმში.

1 **Procope, De Aedificiis,** წიგნი V, თავი IX, გვ. 467; იხ. **Migne, P.G.,** ტ. LXXVII, სვ. 521, 1383; ტ. LXXXV, სვ. 1152; ტ. LXXXVI, სვ. 2513, 2521.

2 „იერუსალიმიდან ნახევარი საათის სავალზე წმინდა ჯვრის ბერძნული მონასტერი. მისი დაარსება მიეწერება დედოფალ ელენეს. სხვა გადმოცემა ამ ამბავს მიაწერს საქართველოს პირველ ქრისტიან დედოფალ მეფეს მირიანს (265-342), ეკლესიის შიდა კარიბჭეზე გამოსახული სამი მეფიდან ერთ-ერთს. ყველა შემთხვევაში, მონასტრის დაარსება ისლამის წინა ეპოქას ეკუთვნის. XI საუკუნის შუა წლებში ეკლესია აღადგინეს და ჯვაროსნული ომების დროს ქართველების ხელთ იყო. ბიბარის მეფობაში (1260—1277) ის სხვათა ხელში გადავიდა, მაგრამ 1305 წელს ძველ პატრონებს დაუბრუნდა. 1644 წელს მონასტერი რესტავრირებულ იქნა ერთ-ერთი მათი მეფის, ლეონ დადიანის მიერ. მოგვიანებით, როგორც ყველა ქართული მონასტერი, ისიც ვალებში ჩაეფლო. მას მრავალი სატანჯველი შეხვდა არაბთაგან". იხ. **Baedeker,** Palestine et Syrie, Leipzig, 1906, გვ. 88.

ლთა დამკვიდრება იერუსალიმში IV საუკუნით თარიღდება. ჩვენ სხვა დეტალები არ მოგვეპოვება, მაგრამ უეჭველია, V საუკუნეში ქართველებს უკვე ჰქონდათ იქ მონასტერი, რომელიც იმპერატორ იუსტინიანეს უნდა აღედგინა VI საუკუნეში. იერუსალიმის მონასტერი ქართველების შეხვედრის ადგილად გადაიქცა და ბევრმა სწავლულმა მოჰკიდა ხელი საეკლესიო წიგნების თარგმნას მის კედლებში თავისი ეროვნული ეკლესიის გასამდიდრებლად. შესაძლებელია, V საუკუნეში უკვე დაწყებული ჰქონდათ წმიდა წერილის თარგმნა, ვინაიდან X საუკუნის მწერლები უძველეს თარგმანებად „იერუსალიმში ნათარგმნ ოთხთავს“ მოიხსენიებენ. იერუსალიმში ქართველები იცავდნენ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს, რომლებიც ქართულ ეკლესიაში XI საუკუნემდე იყო მიღებული.

აი, ზოგიერთი პიროვნების სახელი, რომელთაც თავი გამოიჩინეს ჯვრის მონასტერში მოღვაწეობით და რომელთა კვალიც შემორჩა ძველ ხელნაწერებს: დავით და სტეფანე, შესაძლოა V ან VI საუკუნის მოღვაწენი; კიმენი — VI ს.; მიქაელ ციქრილი (sic — რედ). — VIII ან IX ს-ში; წმინდა ილარიონი — IX ს.; წმინდა კონსტანტინე წამებული, რომელმაც თავისი ქონება IX ს. მონასტერს შესწირა; მიქაელ დვალი — X ს.; ექვთიმე გრძელი — X ს.; გიორგი ოშკელი — IX–X სს.; იოანე და არსენი — XI ს.; ეფრემ დიდი — XI ს.; გაბრიელი და იოანე — XI ს.; ეფრემ ოშკელი — XI ს.; გერმანე ეზდაველიძე — XI ს.; სტეფანე — XI ს.; გრიგოლ, დიაკონი — XI ს.; ვლასი, არქიმანდრიტი — XI ს.

პროფესორმა ცაგარელმა კრებულში[1] (პალესტინის რუსული საზოგადოების ჟურნალი) გამოაქვეყნა კატალოგი, სადაც იძლევა იერუსალიმის მონასტერში დაცული 147 ქართული ხელნაწერის ნუსხას; ხელნაწერთა უმრავლესობა იქვეა დაწერილი.

ერთ-ერთ ხელნაწერში არის ცნობა, რომელიც იუწყება, რომ ბერმა პროხორემ 1039—1059 წლებში ააშენა ჯვრის მონასტერი ბაგრატ მეფის სახსრებით. ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ ლაპარაკია რესტავრაციაზე და არა აშენებაზე, ვინაიდან მონასტერი ამ თარიღამდე გაცილებით ადრე მოქმედებდა. აი, ძველ ავტორთა რამდენიმე პასაჟი მონასტრისა და იერუსალიმში მცხოვრებ ქართველთა შესახებ:

„ქართველების მიერ გამოგზავნილი ელჩი მოვიდა (1192-1193) და დაიწყო სასულიერო დაწესებულებათა სიის შედგენა, რომლებიც ამ ხალხს ეკუთვნოდა იერუსალიმში და რომლებიც მას სურდა კარგად მოვლილი ყოფილიყო. ქართველები ჩიოდნენ, რომ ჩამორთმეული ჰქონდათ მონასტრები და სულთნის შემწეობას ითხოვდნენ, რათა ეს

---

1 Православный Палестинский Сборникъ, Санкт–Петербург, 1883, ტ. IV, გვ. 144-191.

ადგილებში მათი მმართველობისათვის დაემორჩილებინათ"[1].

„მახლობლად არის ადგილი, სადაც, გადმოცემით, გაიზარდა ცხოველმყოფელი ჯვრის ხე. ახლა კი მშვენიერი ეკლესია დგას ზედ



იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის
ფრესკა – ქართველი ბერების გამოსახულებები.

მიშენებული მონასტრითურთ, სადაც ქართველი სქიზმატიკოსი ქრისტიანი ბერები ცხოვრობენ"[2].

1 Recueil des Historiens des Croisades, Historiens orientaux, Paris, 1884, ტ.III, გვ. 345.

2 Rec. des Hist. des Croisades, Historiens occidentaux, Paris, 1869, ტ.II, გვ. 503.

„ქართველები, რომლებიც იმ მონასტერში ცხოვრობენ, საიდანაც ჯვრის ერთი ნაწილი იქნა წამოღებული, ანჟანად წოდებული ქვეყნიდან არიან... მის მახლობლად არის ადგილი, საიდანაც ნაძვილი ჯვარი ყოფილა მოსხეპილი. ქვეყანა, საიდანაც ისინი იყვნენ, იწოდებოდა ანჟიდ“ (დაახლ. 1229)[1].

„ზღვისგაღმა მდებარე მორეული ქვეყნებიდან მოდიოდა ხალხი უფლის საფლავთან[2] და დადგინდა, რომ არსებობს ცხრა კანონი ანუ ცხრა საგანგებო რიტუალი, რომელთა მიხედვითაც სალოცავად წამოსული მოძღვრები აღნიშნავენ, თითოეული თავისებურად, საღვთო საიდუმლოებებს უფლის საფლავთან... ამ რიტუალთა შორის მეხუთეა ქართველებისა და აფინიელთა (აბაზების) რიტუალი, რომლებიც სომხეთის იქით, დიდ ტერიტორიაზე ცხოვრობენ; იქაურ სასულიერო პირებს მრგვალი ტონზურა აქვთ, ხოლო ერისკაცებს ოთხკუთხედი“[3].

„ამჟამად[4] წმინდა მიწაზე დედამიწის ზურგზე არსებული ყველა ერის წარმომადგენელი არის და თითოეული მათგანი თავისი ქვეყნის ადათებსა და რიტუალებს იცავს. აქ მცხოვრები ერებიდან ყველაზე უფრო სახელგანთქმულნი არიან ლათინები, სარკინოზები, სირიელები, ბერძნები, სომხები, ქართველები“[5]

„ნესტორიანები, იაკობიტები, ქართველები, მარონიტები ცხოვრობენ იქ (წმინდა მიწაზე) და რწმენით ქრისტიანები არიან. ისინი იმისდა მიუხედავად, რომ ეს სახელები ერეტიკოსებმა უწოდეს, რომლებიც ალბათ მათი უფროსები და მბრძანებლები იყვნენ, მაინც არ არიან მწვალებლები ამჟამად. მე ვიყავი მათთან, დავაკვირდი მათ ცხოვრებასა და რწმენას და რამდენადაც შევძელი აღქმა, ჭეშმარიტად ეს არის მეტად ღვთისმოშიში და უბრალო ხალხი, რომელიც იცავს ზომიერებას, მარხვას, აცვია უხეში ტანსაცმელი და ისე სამაგალითოდ იქცევა, მსგავსი არაფერი მინახავს რომის ეკლესიის მსახურთა შორის. მარხვის განმავლობაში არც ზეთს ეკარებიან, არც თევზს; უდიდესი მოკრძალებით ესწრებიან წმინდა წირვებს და მხურვალე სიყვარულით უსმენენ ღვთის სიტყვას“[6].

„მართლაც, უფლის საფლავის წმინდა ტაძარში მრავალი ერია, რომელთაგანაც თითოეულს თავისი ცალკე სამლოცველო აქვს და წმინდა მიწასა და მის მოსაზღვრე რაიონებში მრავალ მონასტერს ფლობს,

---

1 Guillaume de Tyr, დასახ. ნაშრომი, გვ. 504.

2 1234 წ.

3 Albéric des Trois Fontaines, Chronica, dans H.Pertz, Monumenta Germanicae historica, Hanovre, 1874, ტ. XXIII.

4 1283 წელს.

5 Brocardus, Descriptio Terrae Sanctae, Magdeburg, 1587, მოხსენება I, თავი 2, § 1, F.D.E.

6 იქვე, § 6.

ვინაიდან ისინი ქრისტეს განსხვავებული წესით ემსახურებიან. მეექვსე ამ ეროვნებათაგანი ქართველები არიან. მათი სახელწოდება წმინდა გიორგისაგან მოდის, რადგანაც ისინი მეომარი ხალხია და თაყვანს სცემენ მას, როგორც პატრონს. ქართველები აღმოსავლეთში ცხოვრობენ და წირვაში ბერძნულ ენას იყენებენ. სამღვდელოებას მრგვალი ტონზურა აქვს, ხოლო მორწმუნეებს — ოთხკუთხედი. როდესაც სალოცავად მიდიან იერუსალიმს, გადასახადს კი არ უხდიან სულთანს, არამედ მედიდურად მორთულ ერთ და ორკუზიან აქლემებს და ცხენებზე ამხედრებულნი გაშლილი ბაირაღებით შედიან იერუსალიმში. მათი ქალები ისევე კარგად არიან შეიარაღებულნი, როგორც მამაკაცები. თურქების მსგავსად, ერთი წყრთის სიმაღლე ვარცხნილობას ატარებენ. სულთანს და თურქეთის იმპერატორს მათი დიდი შიში აქვთ“.[1]

ნიკოლოზ რაძივილი, რომელიც იერუსალიმს 1583 წელს ეწვია, მას შემდეგნაირად აღწერს:

„აქედან ერთ-ნახევარი ლიეს მანძილზე მეტად ძნელსავალი გზით მივაღწიეთ გზის მარცხნივ მდებარე წმინდა ჯვრის მონასტერს. ბერძნები მას წმინდა მთავარანგელოზს უწოდებენ; ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთვნის და იმ უწყების ნაწილად ითვლება, რომლის ეპისკოპოსიც ბინადრობს აქ. გადმოცემით, ჯვრის მონასტერი იმ ადგილზეა აშენებული, საიდანაც ქრისტეს ჯვრის ზეთისხილის ხე მოგლიჯეს. დიდი სამსხვერპლოს ქვეშ გვიჩვენებენ კლდეში არსებულ ორმოს, საიდანაც იგი ამოძირკვეს. კათოლიკეები და აღმოსავლელნი დიდი მოწიწებით გარემოსავენ ამ ადგილს. მას მიეწერება შვიდი და შვიდჯერ ორმოცი წლის ცოდვების შენდობის უნარი. დიდი საკურთხევლის მარჯვნივ კათოლიკეების პატარა საკურთხეველია, სადაც წელიწადში ერთხელ მსხვერპლს სწირავენ... მაგრამ, ვინაიდან ქართველები განაგებდნენ გოლგოთის მთას მთლიანად, ვითარცა სამსხვერპლოს, ისე, რომ ტაძარში სალოცავი ადგილი არ ჰქონდათ, და სომხებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ, კათოლიკეები შეუთანხმდნენ ქართველებს, გარკვეული ფულადი თანხის საფასურად (ქართველები კი თავის მხრივ კათოლიკეებს მოელაპარაკნენ), მათთვის დაეთმოთ გოლგოთის მთის ეს ნახევარი, რომელზედაც ქრისტე ჯვარს აცვეს, ხოლო კათოლიკეები თავის მხრივ ქართველებს დაუთმობდნენ ზედა ღერეფნის მესამედში, რომელიც მდებარეობდა აბისინიელთა და სიროელთათვის განკუთვნილი ნაწილის ზემოთ. მართლაც, ამ ღერეფანში ქართველებსა და სომხებს აქვთ თავიანთი სამლოცველოები, რომლებშიც ტაძრის გარეთ მდებარე ხის კიბეებით შეიძლება ასვლა. ასეთი გაცვლა ხელსაყრელი იყო კათოლიკეთათვის, ვინაიდან მათ ეკუთვნით გოლგოთის მთის ნახევარი და ზემო ღერეფნის ორი მესამედი, რომელიც

1 **Bartolomaei de Salignaco, Itinerarium Hierosol.**, 1522 წ., ტ. VIII, თავი I, დასახ. ნაშრომი.

მეცად ვრცელი და ფართოა და მათთვის მაინცდამაინც აუცილებელი არ არის, მაგრამ სულ ერთია ინახავენ. ეს გაცვლა მაშინ მედგა, როდესაც იერუსალიმი ეგვიპტელთა სულთნის ხელთ იყო"[1].

სხვა მოგზაური (1598) უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს:

„ჯვრის (გოლგოთის მთა) საკურთხეველთან ლათინ ბერებს სრულიად აკრძალული აქვთ წმინდა დღესასწაულების აღნიშვნა, რადგანაც ბერძნული რიტუალის მიმდევარი ამ საკურთხევლის მფლობელი ქართველი ბერები ამის უფლებას არ აძლევენ. ბერძნები ფიქრობენ, რომ მათი ეკლესიები შეიბილწება, თუკი ლათინები იქ აღასრულებენ საიდუმლოებებს... ჯვრისა და ჯვარცმის ადგილები, მართალია, ორ სამლოცველოდაა დაყოფილი, მაგრამ ერთი შეხედვით აღიქმება, როგორც „opus mussivum" თაღის ქვეშ... თუ ხიარულს მარჯვნივ (წმინდა საფლავიდან) ჩრდილოეთისაკენ გავაგრძელებთ, მივადგებით ქართველთა ოთახებსა და სამლოცველოებს. ჩრდილოეთისაკენ მიქცეული მხარე ქართველებს ეკუთვნის, ხოლო სამხრეთისაკენ — ფრანცისკელ ბერებს. რადგანაც ქართველებსა და ბერძნებს ერთი და იგივე რიტუალი აქვთ, ისინი გოლგოთის ეკლესიაში წირავენ და ამ სახლისა და გოლგოთის მთის სხვა სამლოცველოს გარდა ამჟამად მთის ნახევარსაც ფლობენ. ქართველები, რომლებსაც სპარსელებთან საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა აქვთ, თურქების მოსისხლე მტრები არიან. როგორც კი ომის საშინელება იფეთქებს თურქებსა და სპარსელებს შორის, ქართველები ყოველთვის სპარსელებს ეხმარებიან, მოედებიან თურქეთის იმპერიას და შეუბრალებლად აოხრებენ მის სოფლებს. ასე გადაურჩნენ ქართველები აქამდე მუსლიმანთა უღელს და თუმცა თურქები ხშირად დასხმიან თავს, ვერასოდეს მოახერხეს მათი დამორჩილება და დამონება. ქართველები მამაცურად იცავდნენ თავიანთ საზღვრებს, თურქების სასტიკი იერიშები შეუპოვარი და უდრეკი ვაჟკაცობით მოიგერიეს; ამიტომაც დღემდე, თუმცა ყოველი მხრიდან მარმაროსებით არიან გარემოცულნი და მთელი დედამიწის ოთხი უძლიერესი იმპერიის შუა მოქცეულნი (თურქეთი, სპარსეთი, თათრები და მოსკოვი), რომელთაც ერთი სული აქვთ მათი ქვეყნის დაპყრობისა, კვლავ იმავე რელიგიის მეფეს ემორჩილებიან და აღმოსავლეთის ქრისტიანთაგან ერთადერთნი სარგებლობენ თავისუფლებით, რაც მოიპოვეს, როგორც გაუტეხელი მამაცობის უმაღლო მოწმობა ამდენი საუკუნის განმავლობაში. ქართველები კი არ უფრთხიან თურქებს, უფრო თურქებს აქვთ მათი შიში. ქაიროს სულთნის საგანგებო ნებართვისა და იმპერიაში მისი

1 N.C.Radzivil, Hicrosolimitana Peregrinatio, Brunsberg, 1601, გვ. 98, 121-122.

მემკვიდრის, თურქეთის იმპერატორის დამოწმებული პრივილეგიის წყალობით ყოველ წელიწადს, რომლისაც აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანთა მსგავსად ქართველები იერუსალიმში მიდიან ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად, ქრისტიანთა შორის ერთადერთნი, მრავალრიცხოვანი შემადგენლობით მეომრებივით ჯარად მიდიან, სამხედრო ალმებით შედიან



საბაწმინდის ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად.

ქალაქში, ბაჟის გარეშე და წმინდა ადგილებს აფრიალებული ბაირაღებით ნახულობენ... მათ წმინდა ბასილის ორდენის ბევრი ეპისკოპოსი და ბერი ჰყავთ და თუმცა ისე არ სძულთ რომის ეკლესიის დოქტრინა, როგორც ბერძნებს, წმინდა წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში მაინც ბერძენთა ადათებს იცავენ“[1].

1 Joannes Cotovicus, Itinerarium Hierosolymitanum, Anvers, 1619, გვ. 168-169, 184-185, 200—201. — იხ. Bernardin Surius, Voyage de Ierusalem, Bruxelles, 1666, გვ. 142-143.

„იერუსალიმიდან ერთ მილზე, სამხრეთსა და დასავლეთს შორის მდებარეობს წმინდა ჯვრის მონასტერი. მასში ქართველი ბერები ცხოვრობენ. ამ ეკლესიაში, დიდი საკურთხევლის ქვეშ ხაროა, სადაც წმინდა ჯვრის ერთ-ერთი ხე ყოფილა; მე ვინახულე ეს მონასტერი (1420 წ.) და ჩავიხედე ამ ხაროში... ნუბიელთა სამლოცველოს გვერდით, წმინდა საფლავის ადგილას ქართველთა მეორე სამლოცველოა“[1].



მოზაიკა, რომელიც ფარავს გოლგოთაზე აღმართული ჯვრის ორმოს.
შუა საუკუნეების ქართული ნამუშევარი.

ჯვრის მონასტრის გარდა იერუსალიმში და მის ახლოს ქართველებს კიდევ მრავალი მონასტერი ჰქონდათ. მაგალითად, წმინდა ნიკოლოზის, საბაწმინდის, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის, ბეთლემის გამოქვაბულის, წმინდა აბრამის, წმინდა ბასილისა და

1 Liber peregrinationis Fratris Jacobi de Verona, dans Revue de l'Orient Latin, 1895 წ., ტ.III, გვ. 191 და 222.

1072-1080 წლებში ქართველთა მიერ აშენებული მონასტერი, წმინდა იაკობის ალფესის ძის წამების ადგილზე, რომელიც ამჟამად სომხებს უკავიათ, თუმცა უცნობია, რომელი წლიდან დაეპატრონენ ისინი მას. ვიცით, რომ 1656 წელს, პორტას განჩინებით, ამ უკანასკნელთა საზარალოდ, ბერძნებს მიეკუთვნათ იგი და ამან დიდი დავა გამოიწვია მათ შორის. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა უპირატესობა სომხებს დარჩათ და დღემდე იქ ბატონ-პატრონნი არიან[1].

## V. — სხვა ქართული მონასტრები პალესტინასა და ბიზანტიის იმპერიაში

ქართველები მთელ პალესტინაში დამკვიდრდნენ, სადაც დააარსეს სხვა განთქმული მონასტრები იმ მიზნით, რომ რელიგიურ ცხოვრებასთან ერთად საეკლესიო მეცნიერებაც განევითარებინათ და ქართული ეკლესია აღმოსავლეთის ყველა ძირითად ეკლესიასთან დაეკავშირებინათ.

ჩვენ ძალზე ცოტა ვიცით ამ მრავალრიცხოვან სავანეთა შესახებ. ძველ ქართულ ხელნაწერებში ხშირად მოიხსენიება წმინდა სამუელის სავანე მდ. იორდანის აუზში, კრანიას მონასტერი, წმინდა კოზმას და დამიანეს მონასტერი, მღვიმის მონასტერი, კალიპსოს მონასტერი ანტიოქიის მახლობლად, წმინდა მინას მონასტერი სინას მთაზე, ეზრასა და კასტანას მონასტერი შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად და ბოლოს, წმინდა სვიმეონის მონასტერი. ვფიქრობთ, წმინდა სვიმეონის მონასტრის წარმოშობა ან დაარსება დაკავშირებული უნდა იყოს უჩვეულო გარემოებებთან, რომელთა შესახებაც ცნობილი მელქიტი ნიკონი, რომელიც 1060—1088 წლებში სირიაში მოღვაწეობდა და არაბულ ენაზე წერდა, ასე მოგვითხრობს:

„წმინდა სვიმეონ სასწაულთმოქმედის (სიმეონ მესვეტე უმცროსი, 521-596), ჩინებული მრჩევლის ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ მრავალნი, კაცნი თუ ქალნი, მასთან აღმოსავლეთიდან ჯვრითურთ მოდიოდნენ და ეგალობდნენ სულიწმიდას, რომელიც მას მფარველობდა და თან ახლდა. როდესაც ისინი მონასტერში მოვიდნენ, სულიწმიდამ ჰკითხა თავის მსახურ სიმეონს: ყველას იცნობ, ვინც შენთან მოვიდა? ესენი ქართველები არიან; შენთან ჩემი სახელით მოდიან და კვლავაც

1 Tchamitch, Histoire de l'Arménie, ტ.III, გვ. 666.

მოვლენ ღრმა რწმენითა და დიდი ღვთისმოსაობით. თუკი ისინი შენის ქომაგობით სნეულებათაგან განიკურნებიან, თავიანთ ქვეყანაში შენს სახელს დიდებით შემოსავენ და შენს მაგალითზე აღზრდიან ქართველ მორწმუნეთ. ზოგიერთი მათგანი შენს ცხოვრებას მიბაძავს და ამგვარად დიდ სარგებლობას მოუტანს სარწმუნოებას. ამ ხილვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქართველთა დიდი ჯგუფი მოვიდა მასთან ისე, როგორც ზემოთაა აღწერილი და მათ შორის ბევრი სწრაფად განიკურნა სხვადასხვა დაავადებისაგან ან გათავისუფლდა ეშმაკის ცდუნებისაგან. ამდენი სასწაულის ნახვის შემდეგ ბევრმა სთხოვა სიმეონს, მონასტერში მასთან დარჩენის ნება დაერთო. წმინდა სიმეონმა შეისმინა მათი ვედრება და რაკი იცოდა, ეს ღვთის ნება იყო, ისინი დარჩნენ მასთან, რათა ბერებივით ეცხოვრათ“[1].

მომდევნო საუკუნეებში ჩვენ კვლავ ვხედავთ სირიაში დაფუძნებულ ქართველებს. სირიის ალაპების წიგნში, 1160 წლის გასწვრივ ვკითხულობთ:

„სამა ქართველის ძეთა, იოსებ და იოანეს მიერ „კასსალ“-ის, არამეულ ენაზე „პარად“-ად წოდებულის შეწირულება, რომელიც მდებარეობს წმინდა მოსეს მთის ძირას (არამეულად „ქეპამ“), რომელიც მათ მამას იერუსალიმის მეფემ, სახელად ბოდუენ II-მ უბოძა“[2].

1283 წ. პილიგრიმი ბროკარდუსი წერს:

„ლიბანის მოსახლეობა სხვადასხვა ხალხისგან შედგება: სომხებისგან, ბერძნებისგან, ნესტორიანებისგან, იაკობიტებისა და ქართველებისგან, რომლებიც ქრისტიანები არიან ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომაული ეკლესიის მორჩილნი“[3].

შუა საუკუნეებში ანტიოქია და მისი მიდამოები ქართველთა ძირითადი შესაკრები ადგილი გახდა. აქ ბევრმა მათგანმა დაიდო ბინა. რადგანაც ქართული ეკლესია დიდი ხნის წინ განთავისუფლდა ანტიოქიის გავლენისაგან, ქართველებმა ისურვეს, იმავე პრივილეგიით ესარგებლათ და ამ ქალაქის პატრიარქს უარი უთხრეს მორჩილებაზე. მათთვის რომ თავია-

1 Bibl. Vat., Cod. Arab., № 76, გვ. 368.

2 Revue de l Orient Latin 1895 წ., ტ. III, გვ. 53.

3 Brocardus, Descriptio Terrae Sanctae, ნაწ. I, თავი 3, § 5, ფურც. 5.

ნთი მოვალეობა მოეგონებინათ, საჭირო გახდა საქმეში უმაღლესი ავტორიტეტის ჩარევა.

პაპმა გრიგოლ IX-მ 1239 წელს ქართველებსა და სხვა ხალხებს, რომლებიც ქართველთა მსგავსად იქცეოდნენ, ასეთი წერილი მისწერა:

„ქალაქ ანტიოქიისა და მისი ეპარქიის მერძენ, სომეხ და ქართველ მოძღვრებსა და სამღვდელო პირებს.

ჩვენ უდიდესი გაოცებით შევიტყვეთ ჩვენი პატივცემული ძმისგან, ანტიოქიის პატრიარქისაგან, რომ თუმცა მის ეპარქიაში ხართ დაფუძნებული და განთავისუფლების პრივილეგიას არ ეძებთ, მაინც არ ემორჩილებით, როგორც მას თქვენგან ეკუთვნის, როგორც თქვენს მამასა და სულიერ მოძღვარს. ამიტომაც, რადგან მიგვაჩნია, რომ კანონიერი ძალაუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ნაკლები დანაშაული არ არის და რომ ამბოხი თითქმის კერპთაყვანისმცე-მლობას უდრის, გიბრძანებთ და კატეგორიულად გირჩევთ, ღვთისმორჩილების სათნოების სახელით პატრიარქსა და ანტიოქიის ეკლესიას დაემორჩილოთ და ღირსი პატივი მიაგოთ ისე, რომ არავითარი პირობა არ ჩააქსოვოთ ამ აქტში, რამდენი ხანიც უნდა იყოს გასული ამ უთანხმოებიდან. არადა, თუკი ამას არ დათანხმდებით, დავამტკიცებთ და ღვთის ძალით უყოყმანოდ ავასრულებთ განაჩენს, რომელიც მეამბოხეთადმი იქნება გამოტა-ნილი. გაცემულია, როგორც სხვა სიგელები (ლატრანს, ივლისის კალენდების 6, ჩვენი პონტიფიკატობის XII წელს)“[1].

პალესტინის ქართული მონასტრები მრავალი საუკუნის განმავლობაში ყვაოდა, სანამ ისლამი არ გაძლიერდა; ამის შემდეგ ისინი ერთიმეორის მიყოლებით გაუქმდა, გარდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა, რომელმაც ყველაზე მეტ ხანს იარსება, მაგრამ მოგვიანებით ქართველებს ხელიდან გამოეცალა. ამჟამად იგი ბერძნებს ეკუთვნის.

ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზეც ბევრგან იყო ქართული მონასტრები, სადაც ბერები სამშობლოს საკეთილდღეოდ ისევე გულმხურვალედ ილვწოდნენ, როგორც პალესტინაში. სხვათა შორის ჩვენ ვიცნობთ გიალის მონასტერს, მონასტრებს კუნძულ კვიპროსზე, კუნძულ კრეტაზე, ოლიმპოს მთაზე, თესალონიკის მონასტერს, კონსტანტინოპოლის მონასტერს, რომლის მფარველიც

1 Laterani VI kalendas Julii, Anno XII. Archives Vaticanes Reg. 19, ფურც. 40, №199.



წმინდა ილარიონი (IX ს.), საბინინის მიხედვით.

წმინდა ანასტასი იყო, და რომანის მონასტერს. აი, რას ვკითხულობთ ამ უკანასკნელის დაარსების შესახებ ქართველ წმინდანთა ცხოვრებებში:

„წმინდა ილარიონი კახეთიდან წავიდა იერუსალიმს და პალესტინაში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. მან მერმე დატოვა სამშობლო ორ ქართველთან ერთად, რათა ოლიმპოს მთაზე ასულიყო, სადაც სამი სხვა თანამემამულე შეუერთდა; 5 წლის შემდეგ, წმინდა ილარიონი კონსტანტინოპოლს გაემართა, შემდეგ თესალონიკს, შემდეგ რომს, სადაც ორი წელი გაატარა და დაბრუნდა თესალონიკში.: 3 წელი დაჰყო მან ამ ქალაქში და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 882 წლის 19 ნოემბერს, იმპერატორ ბასილი მაკედონელის (866-886) მმართველობის დროს. ამ უკანასკნელმა წმინდა ილარიონის ნაწილები წამოაღებინა თესალონიკიდან და ოლიმპოს მთიდან ჩამოაყვანინა ჯერ კიდევ ცოცხალი მისი ორი მოწაფე, შემდეგ კონსტანტინოპოლის მახლობლად, რომანის ხეობაში, სოსთენად წოდებულ ადგილას ააშენებინა მონასტერი მოციქულთა ეკლესიითურთ, რომელიც მას მიეძღვნა 9 ნოემბერს და სადაც ლარნაკი წმინდანის ნეშტით მიასვენეს იმპერატორის ვაჟებმა ლეონმა და ალექსანდრემ“[1].

## VI. – ქართული მონასტერი ათონის მთაზე. თორნიკე ბერი და სკლიაროსის აჯანყება

ბიზანტიის იმპერიის ქართულ მონასტრებს შორის ყველაზე სახელგანთქმული იყო ათონის მთის მონასტერი, დაარსებული X საუკუნეში და ცნობილი ივირონის სახელწოდებით. ვფიქრობთ, საჭიროა, ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდეთ მის შესახებ.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, თითქოს ეს სავანე დააარსეს ბერძენმა კეისრებმა და რომის იმპერატორის, ლეკაპენეს მეუღლემ, თეოფანომ[2]. ისინი ერთმანეთში ურევენ დაარსებას და შეწირულებას ქართველი ბერებისათვის ამ უკანასკნელთა მიერ.

საკითხის გასარკვევად საუკეთესო წყაროა ათონის მთის 1074 წლის ხელნაწერი, თბილისში გამოცემული 1901 წელს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ხშირად ვისარგებლებთ ამ ხელნაწერით, რათა ნათელი მოვფინოთ ამ ამბავს.

---

1 ხელნაწერი №170 თბილისის საეკლესიო მუზეუმისა, გვ. 271-293.

2 იხ. V.Langlois, Géographie de Ptolémée, Paris, 1867, CF, 16; . Journal du Ministère de l'Instruction publique de St-Pétersburg, 1848, ტ. LVIII, გვ. 55.

ხელნაწერის მიხედვით ივირონის (იბერთა) ათონის მთის მონასტრის ნამდვილი დამაარსებელია ქართველი მეფის, დავით კურაპალატის, კარის ერთ-ერთი დიდებული, იოანე.

ყოველგვარი სათნოებით შემკულმა იოანემ, რომელსაც შეეძლო დიდი თანამდებობა დაეკავებინა, უარი თქვა ამქვეყნიურ სიამეზე და ოლიმპოს მთას შეაფარა თავი, რათა ბერული ცხოვრება დაეწყო. მოგვიანებით, მისი გამგზავრების შემდეგ, მეფე დავითმა ბერძენ იმპერატორ რომანოზს მძევლად გაუგზავნა ექვთიმე, იოანეს ვაჟი, რამდენიმე სხვა კეთილშობილ ყმაწვილთან ერთად. როდესაც ეს ამბავი შეიტყო, განმარტოებული იოანე კონსტანტინოპოლს ჩავიდა და იმპერატორს შეევედრა მისთვის დაებრუნებინა შვილი. იმპერატორმა, რომელსაც სმენოდა ამ ახალი ბერის სახელგანთქმულობისა და ღირსებების შესახებ, დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ბედნიერი იოანე ექვთიმესთან ერთად დაბრუნდა ოლიმპოზე და ორივე შეუდგა თვითგვემითა და სათნოებით აღსავსე სამონასტრო ცხოვრებას. მიუხედავად მათი სიფრთხილისა, სახელი სწრაფად გაუვარდათ და მახლობლად მცხოვრებთა დიდი პატივისცემა მოიპოვეს. რათა პატივისაგან თავი დაეღწიათ, დატოვეს ოლიმპო და თავი შეაფარეს ათონის მთას, სიწმინდით ცნობილი დიდი ათანასე ქართველის მონასტერს.[1] ისინი ათანასესთან დარჩნენ ორ წელზე მეტ ხანს, მორჩილებით ცხოვრობდნენ და სხვა რელიგიურ სათნოებას იცავდნენ.

იმავე ხანაში საქართველოს მეფის, დავითის ერთ-ერთმა ყველაზე სახელოვანმა სარდალმა თორნიკემ ასევე ზურგი აქცია ამ ქვეყანას და სამონასტრო ცხოვრება დაიწყო. ვინაიდან თორნიკეს უკვე გაგონილი ჰქონდა იოანეს და ექვთიმეს სამაგალითო ქცევის ამბავი, აღარ დააყოვნა, მათ შეერთებოდა ათონის მთაზე, სადაც ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიწმინდეში. მათი სახელი მალე გახმაურდა მთელ საქართველოში და მრავალრიცხოვანი თანამემამულე გამოეშურა ამ ცნობილი პიროვნებებისაკენ, რათა მათი მოწაფეები გამხდარიყვნენ. მორწმუნეთა ასეთი მოზღვავების გამო იოანე, ექვთიმე და თორნიკე თავიანთ მასწავლებელ ათანასეს მისივე თანხმობით განშორდნენ ერთი მილის მანძილზე და ააშენეს წმინდა იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები, სადაც გააორკეცეს სიბეჯითე და მორწმუნეობა, მაგრამ თორნიკე მალე იძულებული გახდა დაეთმო სასურველი მარტოობა.

---

1 იხ. ბერძნული ხელნაწერი №346 მოსკოვის სინოდის * (საპატრიარქო) ბიბლიოთეკისა.

ამ დროისათვის, (ვკითხულობთ ხელნაწერში, გვ. 11-12), როცა სკლიაროსი (სკლეროსი) ბერძენთა ხელისუფალს აუჯანყდა და იმპერიის კონტინენტური ნაწილის მფლობელი გახდა, კონსტანტინოპოლში ჩაკეტილი იმპერატორი და მისი მეუღლე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ. ასეთ მდგომარეობამდე მისულებმა, გაიფიქრეს: დავით კურაპალატის გარდა, სხვა დამხმარე ჩვენ არა გვყავსო, და მას სასწრაფოდ მისწერეს წერილები. მათ თორნიკე ქართველი, რომელიც წმინდა მთაზე იყო დამკვიდრებული, დავით კურაპალატთან გაგზავნეს დახმარების სათხოვნელად. ამ ამბით კურაპალატი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. როდესაც იმპერატორის წერილები მიიღო და თორნიკესაგან შეიტყო, რაც ხდებოდა, მასთან ერთად გადაწყვიტა, ჯარები გაეგზავნა ბერძნებისათვის და მათი სარდლობა თორნიკეს ჩააბარა. თორნიკემ ბერძენთა იმპერატორს თავისი და კურაპალატის წერილები მიაწოდინა და შეატყობინა კურაპალატის გადაწყვეტილება მისთვის დახმარების გაწევის თაობაზე; იმპერატორმა დავითს ბერძენთა ქვეყნის ზემოთ მდებარე მიწები უბოძა, რათა მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ესარგებლა ამ მიწებით. შემდეგ თორნიკეს მისწერა, მინდობოდა მას და მაშინვე ეთხოვა დავითისთვის, მტრისაგან ეხსნა, სამაგიეროდ ჰპირდებოდა, რომ მტრისაგან აკრეფილი მთელი ნადავლი მისი საკუთრება იქნებოდა.

და აი, თორნიკე დავითისაგან მიღებული თორმეტი ათასი რჩეული მეომრის თანხლებით შეება მტერს, ქრისტეს დახმარებით დაამარცხა სკლიაროსი და სპარსეთის საზღვრებამდე მისდია. შემდეგ დაატყვევა ყველა ბერძენი ამბოხებული მთავარი და დაეპატრონა მათ ქონებას. იმპერატორის დაპირების თანახმად, თორნიკემ თავისთვის დაიტოვა ამ აურაცხელი სიმდიდრის ნაწილი, ხოლო დანარჩენი მეომრებს მისცა. დაბრუნებისას, ეახლა მეფე დავითს და მადლობა უძღვნა[1]. აქედან იმპერატორთან გასწია, რომელმაც დიდი პატივით მიიღო და წყალობით აღავსო. ამ მრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თორნიკე სასწრაფოდ გაეშურა თავის ათონის მთის მონასტერში, სადაც მამებმა აუწერელი სიხარულით მიიღეს და სადაც მორჩილებითა და სათნოებით აღსავსე ცხოვრება განაგრძო, ხოლო თავისი გამარჯვების ნაყოფი, უდიდესი სიმდიდრე იოანე მერს გადასცა.

---

1 ცნობილი მონასტრის, ზარზმის ერთ-ერთი სამლოცველოს კარზე არის ვინმე იოანეს, ამ ომის მონაწილის წარწერა: „სახელითა ღვთისათა და წმიდისა ღვთისმშობლისა მეოხებითა, მე ივანე, ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდა ეგვტერი. მას ჟამსა ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დაეით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა. სკლიაროსი გავაქციეთ. მე მას ქვეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანი, ადგილსა რომელსა ჰქვიან სარვენისი, მუნ ეს უშენა ტახტი". იხ. Brosset, Voyage archéologique dans la Géorgie, II მოხსენება, გვ. 134. ბიზანტიელი ავტორები ბარდა სკლიაროსის აჯანყებას და მარცხს 979 წლით ათარიღებენ. იხ. Edouard de Muralt, Essai de Chronographie byzantine, St.-Pétersbourg, 1855, გვ. 564.

რადგანაც ათონის მონასტერში ჩამოსულ ქართველთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მამებმა კიდევ ერთი მონასტერი და ერთი ეკლესია ააშენეს პორტის ღვთისმშობლის სახელზე, შესასვლელის წინ დადებული სასწაულებრივი ხატის გამო[1]. მათ არაფერი დაიშურეს, რათა ყველანაირად გაედიდებინათ და გაეშვენიერებინათ ეს მონასტერი. ყველაფერი გაკეთდა მათი ხარჯითა და თორნიკეს მიერ მოპოვებული სიმდიდრით. სწორედ ეს მონასტერი გახდა სახელგანთქმული და მიიღო ივირონის მონასტრის სახელწოდება. მისი შემოსავლის უზრუნველსაყოფად მამებმა იმპერატორ ბასილი II-ს მიწები და სოფლები სთხოვეს. ბასილ II-მ გაწეული სამსახური გაითვალისწინა და მამებს თხოვნა შეუსრულა. მოგვიანებით ქართველ მეფეებსაც არ მოუკლიათ წყალობა ამ მონასტრისათვის.

## VII. – ექვთიმე ბერი და მისი ღვაწლი. გიორგი მთაწმინდელი და მისი ღვაწლი

მამა იოანეს მმართველობის დროს ივირონის მონასტერი ძლიერ აყვავდა და სამონასტრო ცხოვრებამ ღრმა ფესვები გაიდგა ქართველთა შორის. მაგრამ მისი პირველი წინამძღვრის სიკვდილმა ეს კერა დიდად დაამწუხრა. ქართულმა ეკლესიამ მამა იოანე წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენებელ დღედ 12 ივლისი დააწესა. წინამძღვრობის ტვირთი იოანეს ვაჟმა ექვთიმემ იკისრა.

ექვთიმეს სახელი გაუთქვა არა მხოლოდ მისმა ასკეტურმა ცხოვრებამ და სამონასტრო დისციპლინის დაცვამ, არამედ აგრეთვე მის მიერ გაწეულმა დიდმა ღვაწლმა საეკლესიო წიგნების თარგმნის საქმეში, წიგნებისა, რომლებითაც მან ქართული ეკლესია გაამდიდრა.

ექვთიმე ბავშვობიდანვე გაიწაფა ბერძნულ ენაში და თავისი მამის, იოანეს ვედრებით ძლიერ ახალგაზრდამ დაიწყო წიგნების თარგმნა. ვერ შეაქცევინა ზურგი ამ სამუშაოსათვის თოთხმეტი წლის მანძილზე სამას სასულიერო პირზე ზრუნვამაც კი. მთელი არსებით რომ ჩართულიყო სამუშაოში, უარი თქვა წინამძღვრობაზე და თავისი ადგილი მამა გიორგის დაუთმო.

ასეთმა დიდმა სამუშაოებმა ექვთიმეს ახალი ქრიზოსტომოსის, ქართველთა განმანათლებლის სახელი მოუტანა. ექვთიმეს ბიოგრაფი ზემოთ ხსენებულ ათონის მთის ხელნაწერში მის მიერ თარგმნილ 30-ზე მეტ წიგნს ჩამოთვლის, რომელთა სიას უფრო ქვევით მოვიყვანთ სხვა თარგმანებთან ერთად. ასეთი შრომით აღსავსე ცხოვრების შემდეგ ექვთიმემ 1088 წელს, 65 წლისამ, დაასრულა მოღვაწეობა. იგი

1 გადმოცემის მიხედვით, ეს ხატი, რომელიც ხატმებრძოლთა დევნას გადაურჩა, ზღვიდან უნდა იყოს ამოღებული და ათონის მთაზე მოტანილი ქართველი ბერის გაბრიელის მიერ, რომელიც აქ დიდი ხნით ადრე ცხოვრობდა.



წმინდა იოანე, გაბრიელი და ექვთიმე, ათონის მთის
ქართველი ბერები .(XI ს.), საბინინის მიხედვით.

ქართულმა ეკლესიამ წმინდა მამად შერაცხა და მისი დღე 13 მაისს აღინიშნება.

მალე ექვთიმეს გამოუჩნდა მიმდევარი, რომელიც არც წმინდანობით ჩამოუვარდებოდა, არც განსწავლულობით და არც შრომისუნარიანობით. ეს იყო ცნობილი გიორგი (არა ის, რომელიც ზემოთ ვახსენეთ), მეტსახელად მთაწმინდელი, ვინც ყველაზე უფრო დიდი სამსახური გაუწია თავის ერსა და ეკლესიას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საჭიროა, აქ ცოტა უფრო დაწვრილებით მოგითხროთ მისი ბიოგრაფია იმავე ხელნაწერის მიხედვით.

გიორგი, მთაწმინდელად წოდებული, დაიბადა დაახლოებით 1014 წელს საქართველოში, თრიალეთში, სამცხის მკვიდრთა, იაკობისა და მარიამის, ოჯახში.

25 წლის გიორგი (1039) სქემით შეიმოსა დიდი ილარიონ თუალელის, თავისი პირველი მასწავლებლის ხელით. შემდეგ საიდუმლოდ დასტოვა თავისი სავანე, რათა სალოცავად წასულიყო წმინდა ადგილებში; თავი შეაფარა ჯერ შავ მთას, ანტიოქიის მახლობლად, და იქ გიორგი დაყუდებულის მოწაფე გახდა. გიორგიმ სამი წელი დაყო რომანაწმინდას მონასტერში განმარტოებით, შეიმოსა სქემით და (მიახლოებით 1044 წ.) გზას გაუდგა იერუსალიმისაკენ. იქიდან უკან დაბრუნდა, მაგრამ გიორგი შეყენებულმა დაარწმუნა, რომ წმინდა ექვთიმეს საქმის გასაგრძელებლად წასულიყო ათონის მთაზე. ამგვარად, გიორგი ამ ქართულ მონასტერში ალიკვეცა და იქ შვიდი წელი დაყო. გიორგი შეყენებულმა შავი მთიდან ერთ-ერთი თავისი მოწაფე, თეოდორე გამოუგზავნა, რათა მისთვის შთაენერგა, მღვდელი გამხდარიყო და ხელი მიეყო ლიტერატურული მუშაობისთვის. სწორედ მაშინ შეუდგა გიორგი წმინდა წიგნების თარგმნას. 1051 წელს, იბერიელთა იმ მონასტრის წინამძღვარი გახდა, რომელსაც მანამდე უძღვებოდნენ წმინდა იოანე, მისი ვაჟი წმინდა ექვთიმე, გიორგი, ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ნათესავთაგანი, რომენ არგირის თანამედროვე, გიორგი ახალი, იმპერატორის თანამედროვე (ან მიქაელ IV პაფლაგონელისა, 1034-1041, ან მიქაელ V კალაპატოსისა, 1041-1042). გიორგიმ წამოაღებინა წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან წმინდა ექვთიმეს ნაწილები, რათა მთავარ ეკლესიაში დაესვენებინა წმინდა იოანეს ნაწილებთან ერთად, რომლებიც ადრე მთავარანგელოზების ეკლესიაში იმყოფებოდა. ამავე ადგილას მოათავსა მან ნინოწმინდის ეპისკოპოსის, ნეტარი არსენისა და ბერი იოანე გრძელის ძის ნაწილები, რომელიც თავდაპირველად სოხასტერის სავანეში, წმინდა სიმეონის ეკლესიაში იყო. ყველა ამ ღვთისმოსავმა განდეგილმა დიდი მონაწილეობა მიიღო წმინდა ექვთიმეს მუშაობაში. თავისი მონასტერი რომ შეეკეთებინა, გიორგიმ იმპერატორ კონსტანტინე მონომახს მიმართა, რომელიც მოწყალედ მოეკიდა მის თხოვნას, ფულით

დაეხმარა და გასწია ხარჯები ეკლესიის სახურავისა და გუმბათის აღსადგენად.

გიორგი გადადგა იბერიელთა სავანის წინამძღვრობიდან, ყველა თავისი ხელნაწერი აქ დატოვა და დაბრუნდა შავ მთაზე. ანტიოქიაში მას შეხვდა ქართველთა დედოფალი მარიამი, რომელსაც იერუსალიმს სურდა წასვლა, მაგრამ რადგანაც ეს სარკინოზთა იქ ყოფნის გამო ვერ მოახერხა, გიორგის დაავალა მისი შესაწირავნი წაეღო. ანტიოქიაში გიორგი შეხვდა მამა პროხორეს, ქართველს, რომელიც ძალზე მოუცლელი იყო ჯვრის მონასტრის მშენებლობის გამო და რომელმაც შესთხოვა თავისი ლიტერატურული შრომების ერთი ნაწილი ამ წმინდა თავშესაფარისთვის შეეწირა. მამა პროხორეს სურვილის დაუყოვნებლივ შესრულება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, „თვენი და მარხვანის" წიგნები გიორგის მოწაფეებმა მართლაც დაუთმეს ჯვრის მონასტერს.

ამასობაში გიორგი აგრძელებდა საეკლესიო წიგნების თარგმნას, რადგანაც იგი მხოლოდ ათონის მთაზე ან შავ მთაზე კი არ ასრულებდა ამ საქმეს, არამედ აგრეთვე სელიმბრიაში, ანტიოქიაში, სვიმონწმიდასა და ბოლოს, კალიპოსის მონასტერში, სადაც იმჟამად იმყოფებოდა.

გიორგის წიგნები გადაწერა წმინდა იოანე პეტრიწმა. ეს წიგნები ისე დიდი ღირსებისა იყო, ყველა მონასტერს სურდა, მათი ნუსხები ჰქონოდა. მაგალითად, ანტონმა, ერისკაცობაში ლიპარიტად წოდებულმა, აფხაზეთის ბარლამწმიდის მონასტრის წინამძღვარმა, თავს იდო, თვითონ გადაეწერა ეს წიგნები და შრომა აენაზღაურებინა წმინდა მთარგმნელისათვის.

სირიაში, სვიმონწმიდის მონასტერში 60 ქართველი სასულიერო პირი იმყოფებოდა. სხვა ეროვნების ბერებმა ქართველებს ბრალი დასდეს ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის წინაშე, რომ რწმენა მთლიანად მართლმადიდებლური არ ჰქონდათ, რათა გაეძევებინათ და მათ ქონებას დაპატრონებოდნენ. პატრიარქმა ქართველებს წირვა აუკრძალა. გიორგიმ ეს ამბავი რომ გაიგო, პატრიარქთან გაემართა და შეძლო დაემტკიცებინა თანამემამულეთა რწმენის სიწმინდე. მალე ქართველთა მტრებს თავიანთი საჩივარი და ცილისწამება თავადვე სამარცხვინოდ შეუბრუნდა.

ქართველთა მტრებმა თავი სრულიადაც არ მიიჩნიეს დამარცხებულად და თეოდოსის მოახსენეს, რომ მიუხედავად მცირერიცხოვნობისა და უმეცრებისა, ქართველები ითვისებენ უფლებას, თვითონ დაასხან ხელი კათალიკოსს და თავის ეპისკოპოსებს, თუმცა ქრისტიანობა საქართველოში მოციქულის მიერ არ არის შეტანილი და ანტიოქიის ეპარქიასთან მეზობლობამ ისინი ამ ქალაქის პატრიარქს უნდა დაუმორჩილოსო. გიორგიმ მათ პასუხი იმით გასცა, რომ მოითხოვა, მოეტანათ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამოციქულო მოგზაურობათა წიგნი. პატრიარქის ბრძანებით მას წიგნი მიუტანა ქართველმა



წმინდა გიორგი მთაწმინდელი (XI ს.), საბინინის მიხედვით.

თეოფილემ, რომელიც მოგვიანებით ტარსის მიტროპოლიტი გახდა; ამ წიგნის საშუალებით გიორგიმ დაამტკიცა, რომ საქართველო მოაქცია ანდრიამ; რომ დასავლეთ საქართველოში, ნიკოფსიაში არის თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთის, სიმონ კანანელის საფლავი; რომ საქარ-

თველო ისე დაცული იყო ყოველგვარი მწვალებლური აზრისაგან, როცა ერთხანს საბერძნეთში მართლმადიდებლობა თითქმის ჩაქრა, იოანე გუთელი საქართველოში, მცხეთაში ჩამოვიდა, რათა ეპისკოპოსად ეკურთხებინათ, როგორც ამის შესახებ დიდ სვინაქსარშია მოთხრობილი.

მოგვიანებით გიორგი საქართველოში ჩამოვიდა, სადაც ხუთი წელი გაატარა. იგი ცდილობდა, საზოგადოების ყველა ფენაში გარდაექმნა წეს-ჩვეულებანი. ყველგან მოფინა თავისი სიკეთის მადლი. როცა დატოვა სამშობლო, თან წაიყვანა ოცდაოთხი ობოლი, რათა მათთვის განათლება მიეცა. გიორგიმ კონსტანტინოპოლს მიაშურა, სადაც იმპერატორმა კონსტანტინე XI დუკამ (1059—1067) ფრიად ღირსეულად მიიღო. აქ გიორგის შემთხვევა მიეცა, დაერწმუნებინა იმპერატორი, თუ რაოდენი სიწმინდით არის შენახული ქრისტიანული სარწმუნოება საქართველოში ამ ქვეყნის მოქცევიდან მოკიდებული დღემდე.

შემდეგ, იმპერატორის თხოვნით, გიორგიმ მას აუხსნა, რომ ბერძნები საფუარიანი პურით წირავდნენ სიფრთხილისა და მორჩილების გამო, რადგანაც მრავალგზის მოსცხეს ჩირქი ერესით, მაშინ, როდესაც ლათინები დღესასწაულობდნენ ისე, როგორც უფალმა დაგვიწესა და როგორც მოციქულთა შორის მთავარმა, პეტრემ გააკეთა, იმის ნიშნად, რომ მათი რწმენა წმინდა და აუმღვრეველი იყო, ისეთივე, როგორიც იესო ქრისტემ და მისმა მოწაფეებმა იქადაგეს.

სამი დღის შემდეგ, გიორგი ავად გახდა. პეტრე და პავლე მოციქულების დღესასწაულის წინადღეს, ოთხშაბათს, როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, იმპერატორის ნახვა ითხოვა. იმპერატორი ვაჟიშვილთან ერთად ეწვია ფილოპატროსის ველზე და თვითონ იკისრა ზრუნვა იმ ოცდაოთხ ყმაწვილზე, რომლებიც გიორგიმ საქართველოდან ჩამოიყვანა იბერიელთა მონასტრისათვის. მეორე დღეს გიორგიმ სული უფალს მიაბარა. იდგა 1066 წელი.

ქართველი ბერის, პეტრეს ვედრების შედეგად იმპერატორმა ორი ქრიზობულა გამოსცა: ერთი — რათა იბერიელთა მონასტრის ხელშეუხებლობა დაემტკიცებინა, მეორე — რათა გიორგის მიერ შერჩეული ყმაწვილები იქ აღზრდილიყვნენ.

გიორგის ცხედარი ათონის მთაზე წაასვენეს და პეტრესა და მონასტრის წინამძღვრის, გიორგი ოლთისელის ბრძანებით ეკლესიაში, წმინდა ექვთიმეს საფლავის მახლობლად დაკრძალეს.

გიორგი მთაწმინდელს იხსენიებენ 27 ივნისს. ყოველი ქართველი მას პატივს მიაგებს როგორც ერთ-ერთ ისეთ ადამიანს, რომელმაც ყველაზე დიდი სამსახური გაუწია ქართულ ეკლესიას. გიორგის მრავალრიცხოვანი თარგმანით სავსე იყო თითქმის ყველა ქართული

მონასტერი. მისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა ის, რომ წმინდა ექვთიმეს შემდეგ შეამოწმა, შეასწორა და განაახლა საღვთო წერილის ძველი თარგმანი, რომელიც დროთა განმავლობაში მრავალრიცხოვან გადამწერისაგან იყო შერყვნილი.

## VIII. – ექვთიმესა და გიორგის მიერ ნათარგმნი წიგნები

ჩვენ აქ ვიძლევით ექვთიმეს, გიორგის და ზოგიერთი სხვა ქართველი სასულიერო პირის მიერ ნათარგმნი წიგნების სიას.

ათონის მთის ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა სია, შედგენილი 1836 წელს მამა ილარიონის, სოლომონ II-ის მოძღვრის მიერ.

### I. წმინდა მამათა ნაშრომები ზოგადად

1. სიტყუა სწავლისა და მოძღვრებისა, თქმული წმიდისა გრიგოლ ნოსელისა; 2. მისივე თქმული: დისა თჳსისა ცხოვრება; 3. მისივე: ძიება სულისათჳს, დისა თჳსისა მაკრინასა; 4. მისივე: თარგმანება „მომიხსენენისა"; 5. ეპისტოლე არმონიოს მიმართ, თუ რაჲ არს აღთქმა ქრისტეანისა მიმართ და ძალი და სახელი მისი"; 6. მისივე: ეპისტოლე არმონიოს, და კესარიონ და ულუმპიოს მოღვაწეთა მიმართ „სისრულისათჳს და რათა უწყოდით, თუ ვითარი ჯერ-არს, რათა იყოს ჭეშმარიტი ქრისტეანე"; 7. მისივე თქმული: მკვდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა; 8. მისივე: შესხმა მელეტი მთავარ ეპისკოპოსისა ანტიოქიას; 9. მისივე: შესხმა თეოდორეს დიდისა მოწამისა; 10. მისივე: შესხმა ორმეოცთა წმიდათა მოწამეთა; 11. თქმული ნექტარი კონსტანტინეპოლელ მთავარ ეპისკოპოზისა; 12. თქმული ათანასე ალექსანდრიელისა „სასწაულისა მისთჳს, რომელი იქმნა პატიოსნისა ხატისა მიერ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა"; 13. გრიგოლ ნოსელისა თქმული „შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა"; 14. მისივე: შესხმა წმიდისა სტეფანე პირველ მოწამისა; 15. მისივე: შესხმა წმიდისა ეფრემ ასურისა; 16. „ცხოვრებისათჳს და სასწაულთა წმიდისა გრიგორი საკჳრველთ მოქმედისა ნეოკესარიად ეპისკოპოსისა"; 17. დიდისა ბასილისა თქმული „ექუსთა დღეთათჳს".

### II. წმინდა იოანე ოქროპირის შრომები

1. თქმული იოანე ოქროპირისა „სიტყჳსა მისთჳს", ვითარმედ: „ქრისტე აღმოსავალი აღმოსავალთა"; 2. მისივე: „აკაკისათჳს წმიდისა" და „მწყემსისა და ცხოვარისა" და „კრეტ-საბმელისათჳს და სალხინებელისა"; 3. მისივე: ომლია (ომილია) და ერთარსისა სამებისათჳს; 4. ომლია (ომილია) სარწმუნოებისათჳს; 5. მისივე: იგავისა მისთჳს „მეკრებელთა ტალანტთა თანამდებისა და ასისა დრაკნისა მიმხდელისა" და ყოვლად „ყოვლისა ცოდვისა ძვირის ხსენება უძვირეს არს";

## III. სვინაქსარნი

1. წამება წმიდისა სტეფანე პირუელ მოწამისა და არხიდიაკონისა. 2. პოვნა ნაწილთა სტეფანესთა; 3. აღმოყვანება ნაწილთა სტეფანესთა; 4. თქმული გრიგოლ ხუცისა სტეფანესთჳს; 5. ქება სტეფანესი და კად ქება სტეფანესივე; 6. ხსენება პეტრესა და პავლესი; 7. წამება პავლე მოციქულისა; 8. ცხოვრება დიონისი არიოპაგელისა; 9. ეპისტოლე დიონოსი არიოპაგელისა; 10. წამება პეტრესი და პავლესი; 11. წამება იაკობ მოციქულისა, ძმისა იოანე მახარებლისა; 12. წამება წმიდისა მასილ, ლამელ ეპისკოპოზისა; 13. წამება წმიდისა ამოჲსა; 14. ნათლისღება ამოჲსა.; 15. ქება წმიდისა ამოჲსა; 16. ცხოვრება მამათა სინაელთა; 17. წამება წმიდისა მამილასი; 18. წამება წმიდათა სიუვსიპეთა; 19. წამება წმიდისა ანტონი რავახისა; 20. წამება წმიდისა ტიმოთე მოციქულისა; 21. წამება წმიდისა ტიმოთესი და მავრასი; 22. წამება წმიდისა კვიროს და იოანესი; 23. წამება წმიდის მოასი; 24. წამება წმიდის ევსეღნისი; 25. წამება წმიდისა ივლიანე ემეწელისა; 26. ცხოვრება წმიდისა თეოდოსისი; 27. წამება წმიდისა თეოდორესი; 28. ცხოვრება წმიდისა ეფროსინესი; 29. წამება ცხრათა ძმათა კოლაელთა; 30. წამება წმიდისა დავით დუნელისა, რომელ არს მტკვრის ხევსამინა; 31. მარტვილობა წმიდისა ივლიანესი; 32. წამება წმიდათა ორმეოცთა; 33. ქება წმიდათა ორმეოცთა; 34. წამება წმიდისა ფილეკტემენისა; 35. წამება წმიდისა მიქაელ მონაზონისა; 36. წამება ვარდანისა; 37. წამება ხომისა; 38. წამება წმიდათა მესევეველთა და ჩუენება მეფისა კოსტანტინესი; 39. წმიდისა სააკ პერთევისა აღსრულება; 40. წმიდისა იზიდ მოზიდისა; 41. წამება წმიდათა მღვდელთ-მოძღვართა სომხითისათა: არისტაკესი, ორთანესი, ისაკესი და გრიგორისი და დანიელისი; 42. წამება წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისი; 43. ქება წმიდისა გიორგისი; 44. წამება წმიდისა ლონგინოს ასისთავისა; 45. წამება წმიდისა მარკოს მახარობელისა; 46. წამება სენედუხთ დედოფლისა; 47. წამება ფილემონ მენესტოვისა; 48. წმიდისა რომანოზ ახლისა მოწამისა; 49. წმიდისა დავით და ტაკიჭანისა; 50. წამება წმიდისა თალელეოზისა; 51. წამება წმიდისა კივარიანესი; 52. წამება წმიდისა ქრისტეფორესი; 53. წამება ეონონისა; 54. წამება ლეონტისა; 55. წამება წმიდისა მამაჲსი.; 56. წამება წმიდისა ფოკასი; 57. წამება გიორგი ზღროვარისა; 58. წამება ნერსე მთავარ-ეპისკოპოსისა; 59. წამება გულადუხტისა; 60. წამება წმიდათა სტაქოს, პროვოს და ანდრონიკესი; 61. წამება ეგნატი ანტიოქელისა; 62. წმიდის თეოდორეს სასწაულნი; 63. კოზმან და დამიანესი; 64. წმიდის ევსტატის ცხოვრება; 65. წმიდის დიმიტრის წამება და სასწაულნი; 66. წმიდის მერკვირის წამება; 67. წმიდის ეკატერინასი; 68. წმიდის მარმარესი; 69. წმიდის მარინესი; 70. წმიდის ირინასი; 71. წამება წმიდათა მოწამეთა; ტარახოს, პრავო და ანდრონიკესი; 72. წამება: ნაზარისი, გროვაზისი, პროტაზისი

და კულასისი; 73. ცხოვრება და წამება ლუკან მღუდელ-მოწამისა; 74. ლუკა მეციქულის მოსახსენებელი; 75. წამება წმიდისა ანდრიასი, რომელ არს კრიცეს; 76. წამება წმიდისა ფართზისა და მასთანათა; 77. წამება დიდისა მოწამისა არცემისი; 78. წამება წმიდისა არათასი და მისთანათა; 79. ცხოვრება ამბერკი იერაპოლის ეპისკოპოსისა; 80. წამება წმიდათა მოწამეთა მარკიანე და მარცვირისი; 81. ცხოვრება და მოქალაქობა ანასცასია რომისა; 82. ცხოვრება წმიდისა მამისა აბრაამისა; 83. წამება წმიდათა ზინობ მღვდელ-მოწამისა და ზინობია დისა მისისა; 84. ცხოვრება წმიდისა სვიმეონ მანდრელისა; 85. წმიდისა მღვდელ-მოწამისა ანთიმოსის ცხოვრება; 86. ღვაწლი წმიდისა მამისა ანცითქელისა; 87. წამება წმიდათა მოწამეთა: ევდოქსიოს, რომილოს, ზინონის და მაკარისა – ღვაწლი წმიდისა მოწამისა სოზონისი. – საკითხავი შობისა ყოვლად – წმიდისა ღვთის მშობლისა.

## IV. სვინაქსართა სხვა ფრაგმენტები

1. ცხოვრება და მოღვაწება თეოდორა ალექსანდრიელისა. წამება წმიდათა დედათა: მინადორა, მიტროდორა და ნიმფოდორასი; 2. საქმე და მიცვალება წმიდისა კორნილიე ასისთავისა; 3. საკითხავი ცხოველს მყოფელისა ამაღლებისა; 4. წამება წმიდისა ნიკიტასი; 5. წმიდისა ევფემია დიდებულისა; 6. წამება წმიდათა დიდებულთა დედათა სოფიო და ასულთა მისთა; 7. წამება წმიდათა მოწამეთა ევსტათისი და ძეთა მისთა: 8. შესხმა წმიდისა ფოკასი: 9. ღვაწლი წმიდისა თეკლასი; 10. ცხოვრება ევფროსინესი; 11. შესხმა წმიდისა დიდებულისა იოანე ღვთის მეტყველისა; 12. წამება წმიდისა კალისტრატესი და მოყვასთა მისთა; 13. ცხოვრება წმიდისა აღმსარებელისა ხარიტონისი; 14. ცხოვრება და მოღვაწეობა კვირიაკოს განშორებულისა; 15. ცხოვრება წმიდისა მღვდელმოწამისა გრიგოლ სომხეთის ეპისკოპოსისა; 16. თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა „მეორე მოსვლისათვის უფლისა“; 17. თქმული წმიდისა კირილე მთავარეპისკოპოსისა „სინანულისათვის“; 18. მისივე კირილესი „მარხვათათჳს“; 19. „საკითხავი მღვდელთ მოძღვართა“, თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა; 20. წმიდისა ეფრემისა თქმული „სინანულისათჳს“; 21. მისივე „სასჯელისათჳს და სიყვარულისა“; 22. იოანე ოქროპირის ცხოვრება; 23. სიმეონ მესვეტის ცხოვრება და მოქალაქობა; 24. ცხოვრება წმიდისა ბარლამისა, რომელი მთასა კავკასიასა შინა იყო; 25. სწავლანი წმიდისა დოროთესი მრავალი და კეთილი.

## V. რელიგიური კრებულები

1. „სვინდისისათჳს“; 2. და კვალად: „რათა არა მივენდვნეთ განზრახვასა და გულის ხმის ყოფასა ჩუენსა“; 3. მისივე „თავისა თჳსის“. განმართლებისათჳს“; 4. მისივე „ცუდილისათჳს“; 5.



VII–VIII საუკუნეების ქართული ხელნაწერის ნიმუში.



VII–VIII საუკუნის ქართული ხელნაწერის ნიმუში.

მისივე„გამოსვლისათჳს სოფლად“; 6. მისივე „რათა ვისწრაფოთ მოწყუედად ვნებათა“ ; 7. მისივე „შიშისათჳს საუკუნეთასა“; 8. მისივე „რათა მადლობით მოვითმენდეთ განსაცდელსა“; 9. მისივე „აღშენებისათჳს სულისა“; 10. მისივე „რომელსა აქვნდეს უსტიგნოჲსა“; 11. მისივე „უხუცესთა მიმართ მონასტრისათა თუ ვითარ ჯერ არს ბრძანებაჲ ძმისა, და კუალად მათ ვითარ უხმს მორჩილებაჲ“; 12. „წმიდათა მარხვათათჳს“ სწავლა; 13. მისივე „კითხვა მიგებაჲ“; 14. მისივე „სწავლანი შუენიერნი“; 15. თქმული დიდისა ბასილისა „მიცვალებისათჳს ყოვლად, წმიდისა დედოფლისა ჩუენისა, ღუთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა“; 16. ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ონოფრე განშორებულისა და სხვათა მეუდაბნოეთა, რომელნი იხილნა ნეტარმან მან პაფნოტ.; 17. ცხოვრებაჲ ბაგრატ ტავრომელთა მღვდელთ-მოძღვრისა; 18. სასწაული წმიდისა მოწამისა დიმიტრისი; 19. სასწაული პირველი მარინოსისთჳს ეპარხოსისა; თქმული წმიდისა კლემენტოს რომთა პაპისა: ვითარ სახედ დაემოწაფა წმიდას პეტრე მოციქულსა; 21. გამოკრებულნი სადა თუ სიტყუანი წმიდათა მამათანი, რომლისა სმენა ხოლო სანატრელ არს და აღმასრულებელი სამგზის სანატრელ; 2ხ. წამება მისვე წმიდისა კლემენტოსი; 23. წამება წმიდისა ევსტატისი, აქვსენტისი, ევგენისი, მარდარისი და ორესტისი; 24. დამადების თარგმანი, თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა: 25. წმინდა ბასილის კომენტარი „ექვსთა დღეთათჳს“;

## VI. ეკლესიის მამათა შრომები და რელიგიური კრებულები

1. იოანე ოქროპირის კომენტარები ძველი და ახალი აღთქმის შესახებ; 2. კრძალულებით სმენისათჳს საღმრთოთა სიტყვათასა და გულის მოდგინედ წურთისათჳს. 3. სიმდაბლისათჳს; 4. ვითარმედ „უხმს ქრისტეანესა საქმეთაცა კეთილთა მოგებად“; 5. ვითარმედ „არა ჯერ არს სხვათა სათნოებასა მინდობად, არამედ თავით თჳსით მოღუაწებაჲ“; 6. ვითარმედ „კეთილ არს საღმრთო იგი გლოვა მოროტ არს სიცილი და ფრიად მავნებელ არს თეატრთა და სახიობათა“; 7. წმიდათა საიდუმლოთა კრძალულებით ზიარებისათჳს და მოწყალებისათჳს და სილტოლვისათვის სახიობათაგან; 8. ცხოვრებისათვის მონაზონთასა; 9. ვერცხლის მოყვარეობისათვის; 10. სინანულისათვის ცოდვათასა და მოცვისათჳს; 11. საუკუნოჲსა მის სასჯელისათჳს; 12. ვითარმედ „ქრისტეანემან, უკეთუ არა აჩვენოს მოქალაქობა სათნოჲ,. უმეტესად იტანჯოს“; 13. რათა არა პირთა მეტყუელთასა ვხედვიდეთ, არამედ სიტყვათა მათთა გულის ხმა ვყოფდეთ და სასუფეველისათჳს და სატანჯველთა მათთათვის მერმეთა; 14. ვითარმედ „ჯერ არს მარადის ხსენება ცოდვათა ჩვენთა დავედრება ღუთისა, რათა შეგვინდოს“; 15. სათნოდ ღუთისა მოქალაქობისათჳს; 16. რათა მსწრაფლ ვიყვნეთ დამარხვად მცნებათა ქრისტესთა; 17. ფიცისათჳს; 18. რათა მსწრაფლ დავეგებოდეთ და შეუნდობდეთ ურთიერთარს

ყველსავე მრავალსა; 19. ძვირის უხსენებლობისათჳს და წესიერად დგომისათჳს ეკლესიასა შინა; 20. მოწყალებისათჳს; 21. რათა სურვილ ვიყუნეთ კეთილთა საქმეთა მიმართ და მოუწყინებლად ვევედრებოდეთ ღმერთსა პოვნად წყალობისა; 22. ვითარმედ „უმჯობეს ჯოჯოხეთისა არს გამოვრდომა იგი სასუფეველისაგან"; 23. ვითარმედ „კეთილნი საქმენი უაღრესად მრწყინვალე ყოფენ კაცსა, ვიდრეღა დიდება სოფლისა"; 24. ვითარმედ „მოქმედნი სათნოებისა მარადის უშიშ არიან, ხოლო ცოდვასა შინა მყოფსა ყოვლისაგანვე ეშინის"; 25. ვითარმედ „ჯერ არს მარადის მადლობა ღუთისა"; 26. ვითარმედ „არა უხმს მდგომარესა, ვიდრე აღსასრულამდე მინდობა თავისა თჳსისა, არცა რომელი დაეცეს უხმს სასოწარკუეთილება"; 27. ვითარმედ „ცოდვასა შინა მყოფნი არა რაჲთ განყოფილ არიან მკუდართაგან"; 28. ვითარმედ „კაცი უფლებული ცოდვათაგან, არა რაჲთ განყოფილ არს ეშმაკეულისაგან"; 29. ვითარმედ „სიმშვიდით ჯერ არს მხილება და განმართლება ცოდვილთა და არა რისხვით"; 30. წმიდათა მოციქულთა და მოწამეთათჳს; 31. ვითარმედ „არა ჯერ არს უზომოდ გლოვა მიცვალებულთათჳს, არამედ ლოცვა მათთჳს და ჟამის წირვა"; 32. ვითარმედ „წინამძღვართა ეკლესიისათა აწცა წესი მოციქულთა უპყრიეს და ვითარმედ სათნოება უაღრეს არს საწაულთა"; 33. მოთმინებისათჳს განსაცდელთასა და სახიობისა მოხსენებული; 34. ვითარმედ „ჯეროვნად განგებულ არს ხრწნილება ესე გუამთა ჩუენთა, რამეთუ უკეთუმცა ესე არა ეგრეთ იყო მრავალიმცა უჯეროება იქმნა სოფელსა შინა"; 35. სიმშვიდისათჳს და რათა მოსწრაფე ვიყუნეთ ძლევად ვნებათა; 36. რათა გვეშინოდეს საუკუნოსა სასჯელისაგან; 37. უღელი სიმართლისა სუბუქ არს და მცირე, ცოდვა მძიმე და ბოროტ; 38. ვითარმედ „ესე არს ჭეშმარიტი დღესასწაულობა, განშორება ბოროტთაგან და ქმნა სათნოებისა" და კუალად „შურისათჳს სწავლა"; 39. ხსენებისათჳს ცოდვათა ჩუენთასა და სინანულისათჳს; 40. რათა ვიღვაწოთ არა ვნებად, არცა ძვირის ზრახვად მოყვასთა; 41. შიშისათჳს საუკუნოთა სატანჯველთა; 42. რათა მოსწრაფე ვიყვნეთ ყოველთა სათნოებათა მოგებად და სივლტოლად შვებისაგან; 43. ვითარმედ „ქვრივის საქმე და ჭირვეულთა წყალობა ქრისტესა მიიწევის"; 44. ვითარმედ „სათნოება უაღრეს არს ყოველთა, რამეთუ უმეტესად მისგან განმრწყინდეს წმიდანი"; 45. გულის ხმის ყოფისათჳს წერილთასა; 46. პატიოსნისა მის თავისათჳს ნათლის მცემელისა და რათა ვივლტოდეთ მემღერეთაგან; 47. რათა სულიერნი საქმენი გვაქუნდენ შინაგან და ხორციელნი გარეწარად; 48. თუ ვითარ შეიძინების სული, ანუ ვითარ განიწმინდების და კუალად დიდისა სასყიდლისა მომატყვებელ გვექმნებიან მაჭირვებელნი ჩუენნი; 49. ვითარმედ „არა ჯერ არს შიში შეცვალებისათჳს საქმეთა ამისა ცხოვრებისა"; 50. რათა ვქადაგებდეთ ჯვარცმისათჳს ქრისტესსა და საცოდ ჩვენდა გვაქვნდეს ჯვარი წმიდაჲ მისი; და ვითარმედ „სახიერებისათჳს უფლისა"; 51. ქება მონაზონთა, რომელნი მარადის გლოვასა შინა არიან; 52. მეორედ მოსულისათჳს და „ვახშმისათჳს"; 53. ამპარტავნებისათჳს; 55. ვითარმედ „ჯერ არს

მოღვაწება ფრიადი ცხოვრებისათჳს ძმათასა"; 56. სიყვარულისათჳს ჭეშმარიტისა; 57. ძჳრის ხსენებისათჳს; 58. ძჳრ უხსენებლობისათჳს; 59. უმანკოებისათჳს; 60. სიმდაბლისათჳს; 61. საღმრთოჲსა მოქალაქობისათჳს; 62. მერმისა მის სასჯელისათჳს; 63. მონაზონთა ცხოვრებისათჳს და მათისა მის მჴედრობისათჳს; 64. ზუაობისათჳს და მაჩუჱნებლობისათჳს; 65. მრავლობა მათი, რომელნი გუამთა მათთა ამკობენ და სულსა უგულებელს ყოფენ და „რათა არა განვიცდიდეთ ქმნულ კეთილობასა პირთასა"; 66. რათა აქავე ვისწრაფოთ კურნებაჲ წყლულებისა სულთა ჩუენთასა; 67. მათ მიმართ, რომელნი იტყჳან: „თუ შობასა კაცთასა, ანუ ვარსკულავთა ქცევასა შეუდგეს საქმენი სოფლისანი"; 68. დღისა მისთჳს საშინელისა და „რომელნი მცირისა შრომისათჳს დააკლდებიან კეთილთა მათ საუკუნეთა"; 69. ზიარებისათჳს წმიდათა საიდუმლოთა; 70. ანგარებისათჳს; 71. რათა ვბაძვიდეთ სიმშჳდესა და ძჳრ-უხსენებლობასა ქრისტესსა, რომელმან ყოველივე დუმილით თავს იდვა; 72. რათა არ უგულებელსვყოფდეთ მცირეთა ცოდვათა, რამეთუ მარადის ეშმაკი მცირეთაგან იწყებს მრბოლაჲ ჩუენდა და ესრეთ დიდთა ცოდვათა შთაგუაგდებს; 73. მადლობისათჳს ღმრთისა და სიყვარულისათჳს მისისა; 74. კეთილად მოქალაქობისა და უპოვარებისათჳს.

## VII. — სვინაქსარნი და რელიგიური კრებულები

1. და კუალად წმიდათა მამათა ცხოვრება: იოანეს და ევთიმესი მთარგმნელისა წმიდისა და გიორგის ქართველთა; 2. სამოციქულოს თარგმანიც რაოდენიმე იპოვება და დავითნისაცა მცირე; 3. გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათჳს თქმული"; 4. მაქსიმე აღმსარებელის წიგნი „განკაცებისათჳს უფლისა ღმრთისა იესო ქრისტესი"; 6. ცხოვრება წმიდისა სამასი; 6. ცხოვრება წმიდისა სპირიდონ საკვირველთმოქმედისა; 7. მოსახსენებელი დანიელ წინასწარმეტყველისა და წმიდათა სამთაყრმათა; 8. წამება წმიდისა მღუდელ მოწამის ელევთერისი; 9. წამება ონიფანტესი; 10. წამება სემასტიანესი და მოყვასთა მისთა; 11. წამება ივლიანესი; 12. წამება ანასტასიასი; 13. წამება ათთა მოწამეთა კრიტელთა; 14. ღვაწლი წმიდისა მოწამისა ევგენიასი და მშობელთა მისთა; 15. ცხოვრება ღირსისა თეოდორე პირდაწერილისა და თეოფანე ძმისა მისისა; 16. წამება წმიდათა ინდი და დომნასი და ორთა მევრთასა ნიკომიდიას შინა; 17. ცხოვრება მარკელე არხიმანდრიტისა დაუძინებელთა მონასტრისა; 18. ცხოვრება მელანია რომაელისა; 19. საკითხავი შობისათჳს — დაწყება თავისა: „რაჟამს ზაფხული მოიწიოს"... 20. საკითხავი მიგებებისა; 21. საკითხავი ბლასისი; 22. საკითხავი ალექსი კაცისა ღმრთისა; 23. საკითხავი დაუჯდომლობისა; 24. საკითხავი დიდისა შაბათისა — თავი დაწყება: „რა არს ესე დღეს დუმილი მრავალი"... 25. საკითხავი წმიდისა კჳრიაკისა ზადიკისა „იოსებისათჳს და აღშენებისათჳს წმიდისა ეკლესიისა"; 26. საკითხავი

კჳრიაკესა უწინარეს სულის წმიდის მოსვლისა; 27. საკითხავი წმიდისა პეტრე ათონელისა; 28. საკითხავი სულისა ხორციელსა შაბათსა; 29. საკითხავი წმიდისა და ნათლითშემოსილისა პასქისა და კვალად სხვა საკითხავი მასაჲსი და ძეთა მისთა, თუესა აგვისტოსა 21-სა; 30. საკითხავი გიორგი ნიკომიდელისა, თქმული დიდისა პარასკევისა; 31. თქმული იოანე კლემექსისა: სწავლანი მონაზონთანი და ყოველთა ქრისტეანეთა, თავი ი; 32. „მამათა ცხოვრება“ განმანათლებელი მსმენელთათჳს, თავი 26; 33. გრიგოლ რომთა პაპის ცხოვრება; რომელსა ეწოდების დიალოღოსი; 34. ცხოვრება დიდისა ბასილისა, გრიგორი ღუთის მეტყველისა მიერ თქმული; 35. გრიგორი ღუთის მეტყველის ცხოვრება; 36. საკჳრველებათათჳს წმიდისა მთავარანგელოზისა; 37. ცხოვრება წმიდისა ნიკოლაოზისა; 38. წმიდის ანდრია მოციქულის მიმოსვლისათჳს; 39. წამება თეოდორე სტრატილატისა; 40. ისააკ განშორებულის წიგნი: „სამონაზვნო სწავლაჲ“; 42. დიდი სწავლაჲ სადაყუდებულო და სამონაზვნო; 43. ანდრია კრიტელის თქმული: ამაოებისათჳს კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულთათჳს; 44. თეოფანეს თქმული: „მცნებათა ღუთისათა დაცვისათჳს“; 45. კითხვა-მიგება; 46. სწავლა ესაია ხუცისა; 47. თქმული კასიანე რომთა პაპისა „რვათა მათ გულის სიტყვათათჳს ბოროტთა: ნაყროვნებისა, სიძვისა, ვერცხლის მოყვარებისა, რისხვისა, მწუხარებისა, მოწყინებისა, ცუდად მზვაობრობისა და ამპარტავნებისათჳს“; 49. წმიდისა მაკარისი წიგნი.

## VIII. — სხვა რელიგიური კრებულები

1. დაბადება არს წმიდისა ევთიმის თარგმნილი; 2. დიდი ვასილის თქმული ფსალმუნის თარგმანება რაოდენიმე; 3. კოზმან და დამიანეს ცხოვრება; 4. წამება წმიდათა აკჳილინე, პიგასი და მისთანათა; 5. წამება გალაკტიონ და ეპისტიმასი; 6. ცხოვრება წმიდისა პავლე აღმსარებლისა ალექსანდრიელისა; 7. ცხოვრება წმიდისა იოანე მოწყალისა; 8. წმიდისა ეფრემ ასურის წიგნი მრავალი; 9. „მამათა ცხოვრება“, „სწავლანი სამონაზვნოთანი“[1].

ათონის მთის ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკა ადრე მეტად მდიდარი იყო ქართული და ბერძნული ხელნაწერებით, მის არქივებში დაცული იყო იმპერატორთა ქრიზობულები, პატრიარქთა და მრავალ-რიცხოვან მთავართა აქტები, რომელთა შორის უძველესი მხოლოდ X საუკუნისა გახლდათ.

რამდენჯერმე ნახსენები ხელნაწერისა და რამდენიმე სხვა ძველი „კოდექსის“ მიხედვით, ჩვენ ვიცით ათონის მთის მონასტრის რამდენიმე იღუმენის სახელი: იოანე, პირველი ბერი (998), ექვთიმე (1012), გიორგი (1012-1030), გიორგი (1031), იოანე (1035-1036), არსენი

1 Journal Asiatique, სერია VI, 1867, ტ. I; გვ. 333-350.

(1036-1039), ნიკოლოზი (1040), თეოდორე (1050—1058), გიორგი მთაწმინდელი (1059—1066), გიორგი ოლთისელი (1074), ბასილი, გრიგოლი, ნიკოლოზ პეტრიწონელი, იოანე (1168), პავლე (1185), გიორგი, მიქაელი, ევგენი.

დაარსების დღიდან ამ მონასტერში ცხოვრობდნენ ქართველი ბერები; დასაშვები იყო ბერძნების სამსახურიც, მაგრამ მხოლოდ აუცილებლობის გამო, რათა ჰყოლოდათ ამ მხარის კარგად მცოდნე პიროვნებები. ბერძნებმა თავიდანვე ცუდი თვალით შეხედეს ქართული მონასტრის კეთილდღეობას და ბოლოს, XVI საუკუნეში მიაღწიეს იმას, რომ თვითონ დაეუფლნენ მას და მის ურიცხვ სიმდიდრეს. ქართველებმა სცადეს მონასტრის დაბრუნება, მაგრამ მათ ცდას წარმატება არ მოჰყოლია[1].

რელიგიური ცხოვრების განვრცობა გრძელდებოდა თითქმის ყველა საუკუნის განმავლობაში. ეს მტკიცდება იმ მრავალრიცხოვანი მონასტრის ნაშთით თუ მოგონებით, რომლებიც წინათ ამკობდნენ და ამშვენიერებდნენ სრულიად საქართველოს.

## IX. – საქართველოს მონასტერთა ჩამოთვლა

ჩვენ იმ საზღვრების გადალახვა მოგვიწევდა, რომლებითაც თავიდან შემოვიფარგლეთ, თუკი ამ მონასტერთა დაწვრილებით აღწერას მოვინდომებდით. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ მათ რიცხვს აღვნიშნავთ და სახელწოდებებს მოვიყვანთ იმ გეოგრაფიული აღწერილობის მიხედვით, რომელიც 1745 წელს ქართველმა ბატონიშვილმა ვახუშტიმ შეადგინა და 1842 წელს ბროსემ გამოსცა სანკტ-პეტერბურგში.

### სამცხის მონასტერთა აღწერილობა

ბოცოსწყალსა და ქვაბლოვანისწყალს შორის, ხვანასა და უდეს შორის, არს მთა წარსრული გურიის მთიდამ აღმოსავლეთით. ამ მთასა შინა არს ვანას მონასტერი, შვენიერი, კეთილ-ნაგები, და მუნვე ქვაბნი გამოკვეთილნი, დიდ-დიდნი, კლდესა შინა, და აწ უქმნი.

... წურწყუმის ზეით, ჯაყისწყალზედ, არს ყველის-ციხე, მრავალჯერ შემუსვრილი და აწ ოჴერი. ყველს ზეით, მთაში, არს ზარზმას მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს და აწ უქმი (გვ. 89).

1 ამ მონასტრის მიმთვისებელი ბერძნები მუდმივად ცდილობენ, ქართველთა იქ ყოფნის მრავალრიცხოვანი და ღრმა ნაკვალევის წაშლას. ისინი ბარბაროსულად სპობენ ქართულ ენაზე არსებულ ძვირფას ხელნაწერებს და ქართველი პიროვნებების ამსახველ ფრესკებს. ამასვე სჩადიან იერუსალიმის განთქმულ ჯვრის ქართულ მონასტერშიც (იხ. ქართული გაზეთი „ივერია“, №26, 1900).

ზემო-ოშორას ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, დიდკეთილად ნაგები და აწ ცარიელი (გვ. 91).

ასპინძის ჴევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი



ფიტარეთის ეკლესია (IX ს.).

უგუნბათო, შვენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით, და აწ ცალიერი (გვ. 93).

დადეშს არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შვენიერს ადგილს შენი, აწ ცალიერი.

ქარზამეთს არს მონასტერი გუნბათიანი, მდიდრად შენი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერი.

ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი, სენაკ-პალატებითურთ, და მას შინა აღშენებული და მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლისა წესიერებითა. დაფლულ არიან და მეფე გიორგი, ოე მეფე კონსტანტინე და სხვანიცა. არამედ აწ ცალიერი (გვ. 93—95).

ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთასავე, არს მონასტერი ნათლის-მცემლისა, ამას შინა იყო კორხი ნათლის-მცემლისა; და იყო დიდ-ქელოვნებით ქმნილი და დაშენებული. ამისნი შედეგნი იგ — მონასტერნი და თავი იყო, სადა ესვენა კორხი. იდგნენ მონაზონნი მოწესენი მრავალნი, და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიო წესითა და მამულთა შეწირულობითა, და აწცა არს დიდ-შენებულებანი, არამედ უქმ-ცარიელ არს. ამას უწოდებენ ოპიზის მონასტერად, რომელი აღაშენა მეორედ გურგენ, აშოტ დიდის კურატპალატის ძემ, და დაეფლა თვითცა მას შინა (გვ. 113).

ამას ზეით არს მონასტერი ჰუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს, და აწ ცალიერ არს (გვ. 147).

ლუკუნის მთის ქვემორ არს სამკრით მონასტერი წითელ-ეკლესია, წითლის ქვით შენებულობისათვის, შვენიერი, აწ ცალიერ არს.

ჯანდირს არს მონასტერი ეგრეთივე და აწ ცალიერი (გვ. 155).

მდინარე ქცის პირს... არს მონასტერი ფიტარეთს, მშვენიერ-ნაშენი, გუნბათიანი, მშვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი... ტორნის კევზედ, სამღერეთს ზეით, გვიანას არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის — სამარას. მას ქვემორ მონასტერი, ქციის კრამსა შინა, პირღებულს, კლდე გამოკვეთილი, დიდითა შენობითა. და ყოვლით შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფისა ქმნილისა (გვ. 165).

ციხე ორბეთის ძირს, ქციის პირს, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ (გვ.167).

მდინარე თორთომის ნაპირას და ისპირის მთის კალთაზე „არს ეკლესია მონასტერი ხახულისა, ყოვლად-წმიდის ღუთის-მშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად გებული, შვენიერს კარგს ადგილს. ეს აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან“ — 937 წელს (გვ. 125).

## ქართლის მონასტერთა აღწერილობა

(ლორის ციხის) ზემორ არს მონასტერი მცირე, გარნა დიდ-შენი, ქობერისა.... კვალად დასავლით ამისა არს მონასტერი ძელი— ჭეშმარიტისა, შვენიერი, ბერდუჯის მდინარესა ზედა... აქა არს, მაღალ კლდესა შინა, ქვაბნი მრავალნი, და მას ქვაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი ძველნი, არამედ, კაცთა აუსვლელობით, უხმარ არიან (გვ. 149).

პირის-პირ ახტალისა, აღმოსავლით, ბერდუჯის მთასა შინა არს მონასტერი, ორი, რომელი ერთი კელს კვალად ჭკვიან პყოფს, და მეორეს შინა დის წყარო, და უკჱთუ ასვას ბრაზიან-ცოფიანსა, ორმოცის დღის წინათვე, ვერღარას ავნებს ბრაზი კბენილსა კაცსა (გვ. 143).

პირის-პირ ბოლნისის ეკლესიისა არს მონასტერი წუღრუღა-შენს,



კოჯრის მონასტერი (XII ს.).

გუნბათიანი, შვენიერად ნაშენი, შვენიერს ადგილს, და აწ უქმ არს (გვ. 145).

ხოლო გუდარეხს არს მონასტერი უგუნბათო, ბენდერის მთის ძირს, ფრიად შვენიერი, შვენიერს ადგილს მრავალნი შენობანი, ზის წინამძღვარი (გვ. 173).

მდინარე ასურეთის კევსა შინა არს მონასტერი კაბენისა, ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შვენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ (გვ. 175).

ტფილისის ჩრდილოთ... მდინარე სკვირეთის... შესართავსა ზედა არს ლურჯმონასტერი... ამას ქვეით, სამკრით, ყოვლად წმიდის მონასტერი ბეთანია, გუნბათიანი, მაგარს ადგილს, თამარ მეფის აღშენებული, აწ ხუცის სამარ (გვ. 177).

გარეჯის მთას არს მონასტერნი კლდესა შინა გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი. ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი. ნათლის მცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავით —გარეჯის არქიმანდრიტი, ბერთ-უბანს წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი ვიდრე მწარე-წყლამდე, და მოწესითა სავსენი. ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი... არს ეკლესიანი შემკულნი და დახატულნი ძველთგანვე. მონასტრადქმნილი არს იგ მამათაგანისა დავითისაგან (ერთ-ერთი სირიელი მამისაგან, რომელიც ცამეტნი იყვნენ) (გვ. 181-183).

კვალად დასავლით, ტფილისის ახლოს, იშიტუტრუქის კლდესა შინა არს მონასტერი მთა-წმიდისა, და აწ ცალიერი.

ტფილისიდამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი. კვალად ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯ-მონასტერი, ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო, დიდი, აწ ხუცის სამარ (გვ. 193).

მას ზეით, მცხეთის ხიდის სამკრით, არს მონასტერი ახალ-ქალაქური, ყოვლადწმიდისა, უგუნბათო, კეთილს ადგილს, იდგნენ მოწესენი.

... ნიჩბისს არს შენობა დიდი და მონასტერი მცირე (წმიდა ნიკოლოზის) აწ ხუცის სამარ (გვ. 195).

ქვათახევს არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუნბათიანი, მშვენიერ-ნაშენი, ზის არქიმანდრიტი და არს ადგილი შემკული. ამას შინა შეპყარა ლანგთემურ მოწესენი და შეასხა ევანნი (რომელნი იტყოდნენ: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვექლარუნებიან“) და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ქელნი, ფერკნი, თავნი და გვამნი. არავინ შევალს ფექცემული, არამედ ფექშიშველნი, სიწმინდისათჳს... წინარეხის აღმოსავლით და გომიჯვრის ზეით არს მონასტერი ლავრა, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს და აწ უქმად...

მდინარე თეძმის ნაპირას მტკვრის კიდეს, არს მონასტერი ყოვლად წმიდისა გუნბათიანი დიდი, მეტეხი, კეთილ-შენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო (გვ. 195-197).

ამის ზეით ეკლესია გუნბათიანი ერთა-წმიდისა, სასწაულთ-მოქმედი— ამის სამკრით, ზემოთ, მდინარესა ზედა არს, კორკონს (ღვთიშობელი) მონასტერი გუნბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუალს ადგილს (ზის წინამძღვარი) (გვ. 199). ატენის სამკრით არს მონასტერი სიონი, გუნბათიანი, კეთილნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოზს, ახტალის მაგიერ, ვინათგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი. ხოლო სიონის პირის-პირ დანახვისის ძირში, არს მონასტერი ნათლის-მცემლისა (გვ. 201).

ხევდურეთის დასავლეთით არს მონასტერი ყინცვისს, წმიდის ნიკოლაოზისა, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად ნაშენი, მაღალს ადგილას ზედა, ზის წინამძღვარი. ამის სამჴრით, მთასა შინა, არს სარკეს მონასტერი უგუნბათო, ფრიად კეთილ-ნაშენი, და აწ უქმი. საცხენისის მთასთან არის მონასტერი ჴამისა და აწ ხუცის სამარს (გვ. 203).

გუჯარეთს ქვეით არს მონასტერი ქოზიფას, უგუნბათო, კეთილ-შენი, მთასა შინა და აწ უქმი... მძორეთის ჩრდილოთ, გორას იქით და სამწვერისის ზეით, არს მონასტერი ყოვლად-წმიდისა წრომს, გუნბათიანი, შვენიერი სოფის კენჭი ჩაწყობილ-დახატული და ხუცის სამარ (გვ. 205).

ნაღვარევს ზეით არს მონასტერი ყოვლად-წმიდისა და აწ უქმი (გვ. 223).

არაგვის მეორე ნაპირას... არს მყინვარის კალთას ზედა, მონასტერი სამებისა, გუნბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯუარი, შვენიერ-ნაშენი, შვენიერს ადგილს... კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი, უდაბნოდ, და აწ ცალიერი (გვ. 227-229).

ხოლო ოძის ზეით არს მონასტერი ხოფა, იოანე ნათლისმცემლისა უგუნბათო, დიდ-შენი კეთილად, და აწ ცალიერი (გვ. 231).

... კვალად შერთულს ზეით, დის-ლიახვზედ, არს მეღვრეკისს მონასტერი უგუნბათო (გვ. 253).

რუისის დასავლით არს დვანის წყალი. ეს გამოსდის თირის მონასტრიდამ წარსულს მთას... მტკვრის ჩრდილოთ, ამ მდინარის აღმოსავლით არს ბრეთს მონასტერი უგუნბათო, რომელი ქმნა პიროს იგ მამათაგანმან, და დაფლულ არს იგიცა მუნვე. არს აწ ხუცის ამარ (გვ. 267).

ამის ჩრდილოთ და ამ წყლის დასავლით კიდესა არს დირბს მონასტერი, სადაც ზის არქიმანდრიტი იჺრუსალემის ჯვარის მონასტრისა. არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა და ყოველს საქართველოსა შინა არს მამული მისი და ფლობს ესე, და მოსავალს გზანის ვერცხლად იჺრუსალემს... წუნარის კევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს. დგანან მთა-წმიდის მონოზონნი ბერძენნი (გვ. 263).

ავლევს ზეით, ფცის წყლის აღმოსავლით, არს ოქონას მონასტერი დიდი, გუნბათიანი, არამედ უცხო არს... დასავლით მეტეხისა და ფცის წყლისა არს თიღვას ჯვარის მონასტერი, რომელ აღაშენა ასულმან აღმაშენებლისაგან თამარ, გუნბათიანი, დიდ-შვენიერი, კეთილად ნაშენი. შენობანი გარემოს მრავალნი, და აწ ხუცის სამარს... მუხაურს ზეით არს მონასტერი ოჟორისა: უგუნბათო და აწ ხუცის ამარად (გვ. 265).

ალს ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდ-შენი, მიქელ იგ მამათაგანის ქმნილ, და დაფლული არს მიქელი მუნვე ზის წინამძღვარი (გვ. 267).



ოპიზის ეკლესია (IX ს.)

სურამს ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლად-წმიდისა უგუნბათო, დიდ-შენი, აწ ხუცის ამარად (გვ. 269).

## კახეთის მონასტერთა აღწერილობა

ბოდავს არს მონასტერი გუნბათიანი, დიდ-შენი, შვენიერს ადგილს, და აწ ცარიელი... ამას ქვეით ერთვის არაგვს ნოკორნის კევი, ... ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, დიდი. ესე აღაშენა მდ მეფემან არჩილ II-მ (668-718) და ყო მონასტრად. შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ (გვ. 299).

მარტყოფის წყლის კევსა ზედა არს სამჴრით ეკლესია ღუთაებისა, გუნბათიანი, დიდ-შენი, გარ ზღუდე-გოდლოსანი, მზგავსი ციხისა, კეთილს შვენიერს ადგილს. აქ დაადგრა იგ მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე, ხოლო თჳთ მცირედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ (გვ. 303).

არს ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, კარგს ადგილს, არამედ მათ (ლეკთა) გამო უქმი (გვ. 307).

კვალად ხორნაბუჯის ჩრდილოთ არს ხირსას მონასტერი, რომელიც ჰყო იგ მამათაგანმან წმიდამან სტეფანემ, დიდ კეთილ-შენ. დაფლულ არს მუნვე წმიდა სტეფანე. ზის წინამძღვარი (გვ. 311).

ბედიყრისწყალზედ არს სტეფანწმიდა მონასტერი, მამათგან ანუ წმიდის ეფთვიმესაგან აღშენებული (გვ. 313).

ალაზანს მოერთვის თურდოს-კევი, გამომდინარე შუამთიდამ. ამ კევის სათავეს ზეით მთაში არს შუამთის მონასტერი კეთილი, გუნბათიანი, ზის წინამძღვარი და უწოდებენ მოძღვართმოძღვარს (გვ. 317).

იყალთოს კევზედ, კახეთის მთის კალთას, არს იყალთოს მონასტერი, კეთილშენი, გუნბათიანი, ქმნული იგ მამათაგანის წმიდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე, და წმიდა არსენცა (გვ. 319).

მარილისის დასავლით მთაში არს, ქაჩალაურს, მონასტერი კეთილი, და აწ ცარიელი. ამის სამჴრით არს მონასტერი წმიდის მარინესი, ფრიად შვენიერ-კეთილნაგები. ამის დასავლით არს კვალად მონასტერი გუნბათიანი, დიდ-შენი, ყოვლად-წმიდისა, ცხრა-კარად წოდებული, შვენიერ ადგილს და აწ ხუცის ამარ (გვ. 321).

## იმერეთის მონასტერთა აღწერილობა

ამაღლების კევი გამოსდის ფერსათს. ამასზედ არს მონასტერი ამაღლებას, დიდი, გუნბათიან არა, შვენიერს ადგილს, და აწ ხუცის ამარად (გვ. 355).

მოწამეთასთან... არს მონასტერი უგუნბათო, შვენიერი, კეთილს ადგილს. სხენან აქა ტაგრუცთა შინა მოწამენი ქრისტესნი დავით და კონსტანტინე, მდებარენი აწცა ჴორცითავე, რომელნი აწამა მურვან ყრუმ, უზისთ წინამძღვარი (გვ. 357).

ყვირილის ჩრდილოთ კერძ კიდეზედ არს მღვიმე, კლდე დიდი,

გამოკვეთილი და მასშინა მონასტერი უგუნბათო, წითლის ბრწყინვალის ქვით შენი (გვ. 369).

სორის-კევზედ... არს მონასტერი უგუნბათო, დიდი, კეთილშენი,აწ ხუცის ამარად (გვ. 379).

**X. – ულუმბოს მონასტრის შეწირულებათა წიგნი.
საფარის მონასტრის წარწერა**

რათა ძალიან არ გაგვიგრძელდეს თხრობა, ჩვენ აღარ ჩამოვთვლით საქართველოს სხვა კუთხეთა მონასტრებს. მაგრამ მაინც მართებულად მიგვაჩნია აქ მოვიყვანოთ ულუმბოს მონასტრის შეწირულებათა სიგელი, რადგან იგი ყოველმხრივ საინტერესოდ გვეჩვენება:

„... თქუენ ყოვლად წმიდისა ულუმბოსა ღვთისმშობელსა, მე თქუენთა ცვა-ფარვათა სასოებით მვედრებელმან, ღმრთისა და მეფეთაგან დიდად მეწყალებულთა-მან ამირეჯიბმან ქუცნამან, კელვყავ შენებად უდაბნოსა ამის თქუენისა მას ჟამსა, ოდეს უღმრთოსა დემურს სრულიად აღეოკრა და უმკვდრო ექმნა საქართველო და წარეცყუენნეს ყოვლნი მონასტერნი და უმეტესად ყოვლთასა უდაბნო ესე თქუენი, რომელ სამირკუელიცა არა დაშთომილ იყო ამისთჳსცა მინდობილმან შეწევნათა შენთამან, დაღაცა თუ უღირს ვიყავ საქმედ, ვიგულს-მოდგინე შემართებლად ახლად სამირკუელის-საფუძელის მთაგდებასა და შეკრებად განშენებულისა და უკმარ ქმნილისა, ვინადგან მასმიოდა მისა თქუენისა და მეფისა და ღმრთისა მრძანებათაგან, ვითარმედ გლახაკმან ამან უფროს ამათ ყოველთასა დადვა ფასის საცავსა ამას ზედა (რომელმან. ღარიბობისაგან წვლილი დასდვა შესაწირავსა)... ამისთჳსცა გევედრები, რათა მეოხებითა შენითა (ულუმბოს ღვთისმშობლისათა) წარემართოს საქმე ესე ჩემ მიერ კელყოფით და საუკუნოსა მას შექმნას შემწე დღესა ჭირისა ჩემისასა და სოფელსა ამას წარუმართოს პირმშოსა ამას ძესა ჩემსა რამინს და ძმათა მისთა, და კუალად გევედრები, კურთხეულო ყოვლად წმიდაო, რათა კურთხევა და წყალობა შენი იყოს ნათესავით ნათესავადმდე ჩუენზედა ამინ.

– და განვაჩინეთ აღაპნი ცხრა დღე თუთ ჩემთჳს, ექვსი დღე ძისა ჩემისა რამინისთჳს, ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსასათჳს, ორი დღე რძლისა ანნასთჳს, ორი დღე მამისა ჩემისა ცუარისათჳს, ერთი დღე ძიძისა ალექსანდრე რამინისათჳს, ორი დღე პაპის ჩემის ქურციკისათჳს, სამი დღე მეფის ალექსანდრესათჳს, ორი დღე მეფის კონსტანტინესთჳს, ერთი დღე დედოფლის ნათიასთჳს, ორი დღე გიორგი-მეფისა, ერთი დღე რუსუდან-მეფისა, ერთი დღე ქურციკის მეუღლისა. ესე მცვიცე ჩუენ ნებითა და შეწევნითა აწ ვინცა და რამანცა ადამის ნათესავმან ეს ჩუენი შეწირული და გარიგებული.. მოგკმალოს მათდამცა ნუქმად განიკითხჳს ცოდვათა ჩუენთათჳს... არა

შეგვწირავს არა ნაწყალობელი მეფეთაგან, არა ნაძალადევი ამხანაგთაგან და მეზობელთაგან, არა ნაპარევი ქუეყნისაგან. რამეცა შევსწირე ნასისხლი და ნაჯილდოვები, ნამზითჳ, ნასყიდი და საუპატიოდ აღებული.

— როდეს ფალავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ მეფემა ალექსანდრემა შეხუთა ალი, ორნი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დაჰჴადეს და მზით დაცვნეს ალინჯას. აიღეს (ალი) მისად სანუქფოდ. კიდევ შეგჳწყალნა ჩუენ და ჩუენგან აშენებული ალი ისრევე გჳბოძა. შევსწირეთ მათ წამებულთათჳს გამოღმა ალი მაქის მესამედი, წაკუაძის სარგოს გარეთ რაც შეწირულს სიგელში ეწეროს იმ გუარად; დავდევით ულუმბისა ღვთისმშობლის მეგარი ოთხმოცი, ლიტრა ზეთი, ორორი ზურგიელი, მიწისგან მეხუთედი მოდი, მთელმან მამულმან ოც-და-ოთხი კოკა საულუმბოს კოკათა, სხუა არა ეთხოებოდეს რა. ჩიჯანს მისი სამოურაო არ დააკლდებოდეს. ულაყი აქათ თბილისამდი და იქით ქუთაისამდი. აწე ვინცა მაშალოს, მათ წამებულთათჳსმცა იგი განიკითხჳს.

შევსწირეთ წაღვლი ნასყიდი და ნამზითჳ მხეიძისაგან. შევსწირეთ ოდეს წარგჳჩინა თჳთ და ამისად რუსუდან მეფემან (1245 წ.) ლაშქარსა სპარსისასა და გაგუჳმარჯუა; მინდორს შევიბენით და ამოვსწყჳდეთ, მოვართჳთ დროშა და თაჯი თჳთვან მაღლის სულთნისა და გჳყო წყალობა და გჳბოძა ჯილდოდ რაც ვიაჯეთ. ლომინაძისგან გამოტანებული მზითევი ბებისჩემისათჳს წირქუალი და ზოდი მონასტრისა, ჩუენისა მოსაჴსენებლად და შესაწირავად მსხუერპლისა ჩუენისა ყოვლად წმიდისათჳნ ნაოჴარი სოფლები ლოდორა, ლიჩი და გოლისი, უწლევი, მომოვინი, მროლოსანი და აბჳსი, და რაც გამოსაღები და მეგარი გაგუჳჩინოს, მოძღუართ მოძღუარს მიუმარემდეს. თორმეტს საუფლოს დღეს ჟამს გჳწირევდეს საულუმბოს მღუდლითა და კარგაღებულს აღაპს გარდაიჴდიდეს. და დროშაცა შევსწირეთ მეხოიშნესა ჩუენსა და თაჯი მრავალძალსა. მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო! ნუ ვინ გაგჳცუდებთ ჭირნახულსა ამას ჩუენსა, ნუ ვინ მოგჳშლით აღაპსა და შეწირულსა ამას ჩუენსა. რამეთუ აღვესრულენით მეფეთა ჩუენთათჳს და დავსთხიეთ სისხლი ჩუენი. გადიდებასთჳს (მამულისა და სამეფოსა). რამანცა ადამის ნათესავმან ეს ჩუენგან შეწირული და აღაპი მოგჳშალოს... შერისხდი, პატიოსანო ულუმბსა ღმრთისმშობელო...

მე ნათესავთა უნარჩევესმან ამირეჯიბმან ქუცნამან ვიგულისჴმე და ვიგულსმოდგინე, როდეს პაპას ჩემსა ლაშქართა თავსა დიდად შეწყალებულსა მატონს ქუცნას დემეტრისგან მიწის სწორად გასწორებული ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტერი აღუშენა და თჳსი აღაპი და წირვა განუჩინა.

მოიწია ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა ჴელმწიფე სპარსეთისა და იუმნა წარგმზავნა ელჩად კონსტანტიპოლის. ვიყიდე ქუემო მრება კლიმიჩაძისაგან და შევსწირე პატიოსანსა ულუმბსა ღმრთისმშობელსა და განუჩინე აღაპი ჩემი და ჩემი შჳლის რამინისთჳნ საღუალაშენი

ჩიცალაძისაგან კუჭაძისათჳს მისყიდული ახალდამისათჳს მომცა, ვითაცა ახალდამა კუჭაძისგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლოდ ახალდამა თუმანიშვილსავე მისცა, ძუელთაგან მათი ყოფილიყო.

მესამედ რომე მოველ კონსტანტიპოლით, კახეთით დედოფალი ნათია ვით უმედო ქმნილ იყო და შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღმრთისმშობელსა და მიეცა ძე, მოუტანა საქონელი ურიცხჳ. ჩემდა მოსულამდე მიძას ჩემს ალუქმარს (ალურმარს?) მიეყიდნა ღოღეთი და შეეწირა ულუმბის ღმრთისმშობლისათჳს. ვიწყინე და არ ვიკადრე განსყიდვა მამულისა, მივეც საქონელი ურიცხჳ და დავიხსენ სოფელი ღოღეთი და არცაღა გამოვსწირე. განუახლე გუჯარი. ახლავე განუჩინე ალაპი ერთი დედოფლისა ნათიასათჳს. აიღებდნენ მეხუთედსა მოდსა და ერთსა გუთანსა ჩუენსა შეინახავდნენ. რომელიცა გამოვიდოდეს მიუტანდნენ ულუმბას; და მოძღვუართ მოძღუარი, რომელსაცა დღეს ამ სჳნაქსარსა შინა ეწეროს, ალაპს გარდაიჴდიდეს ღოღურის მოდისაგან, ზოგს მონაზონს მისცემდით და მოგზაურს აჭმევდით.

არის ულუმბისა ღმრთისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი სრულიად მაქის მესამედი, ორი კუამლი შიგ ალში ნასყიდი ურიემი, ალისთავს სრულობით უწლევი, სრულობით მომოკინი, მროლოსანი, იძსი, სამი კუამლი ნამახცევს, ორი კუამლი დუმაცხოს აძურის წისქჳლისათჳს ფლეველთ თჳთო კოდი პურნი, თჳთო კოკა ღჳნო საალაპოდ, ორი კუამლი სცჳოცას მხეიძისგან მზითევს გარდაისად, წაღული სრულიად, ღოღეთი სრულიად სალულამენი სრულიად, ქუემომრეძა სრულიად, ფრცული ღალა ათისთავი გოგომასშვილმან და კოკაჲსშვილმან, მეგარა რა-რიგათაც ნუსხაში ეწეროს სამი კუამლი ზემომრეძას, ორი ამანოს, ორი აცუაცს; ერთის დღის საალაპო პური და ღჳნო ქალეთური, ერთი ალაპი მაღრაძემ უნდა გარდაიჴადოს, ერთი კუამლი კაცი თავისთჳს შემოწირული, დოდორა, ლიჩი, გოლისი, ხეფინისჴევი, – რაც ნუსხაში ეწეროს მუშაობა და ალაპი. გუჯარა და ჭრუჭულას მუა რაც საალაპო გაგუეჩინოს, ასანიძე მამია და ჯანიმეგ უნდა მოვიდეს. კათალიკოზის ჯუარი მცხეთის ჯუარს და წარვიდეს ულუმბისა ღმრთისმშობლის მამათ მთავარი. აიღოს სარჯულო და სახუცო და დრამა. ორი წილი მოძღუართმოძღუარსა, მესამედი კათალიკოზსა მოამაროს, მიცუალებამდე სხუაჲ სჳლი (სახელი?) არა აქუს. და რომელმანცა მცხეთას დასაფლავება მოინდომოს, ნიშანი კათალიკოზისა არის; და თუ ულუმბას დაესაფლაოს, ერთი ცხენი და ერთი წასახურავი კათალიკოზისა არის და საწირავი და ნიშანი მოძღუართ-მოძღურისა არის“ [1].

1 **Brosset**, Rapports sur un voyage archéologique dans la Georgie, VI მოხსენება, St–Pétersbourg, 1851, გვ. 44-49 ქრონიკები, 1892, გვ. 208-213.



წმინდა საბას ეკლესია საფარაში (XIII ს.)[1].

1 „ტრადიცია მანუჩარ ათაბაგს მიაწერს საფარის მონასტრის მთავარი ეკლესიის აშენებას. ეკლესიის მისასვლელი მეტად თვალწარმტაცია, როდესაც ქვემოდან უდგებით და კარს გადავლახავთ, იგი წარმოგვიდგება ციცაბო კლდის პირას გზის ბოლოში აღმართული. გეგმით ტაძარი გელათს წააგავს, მაგრამ სარკმელთა მორთულობა, მათი არშია-საპირეები უფრო მდიდრული და კარგად დამუშავებულია. შესანიშნავად აგებული გუმბათი რვა ნამდვილ და „ყრუ" ანუ ცრუ სარკმელს შეიცავს.

რამდენიმე სამრეკლო ეკვრის ამ ეკლესიას: ამას გარდა, ირგვლივაც არიან გაბნეული პატარა სამლოცველოები; უმრავლესობა საგვარეულო სამარხებს წარმოადგენდა და აქ არის საფლავები და აკლდამები ქართული წარწერებით... ძნელი სანახავია უფრო მშვენიერი რამ, ვიდრე მწვანე ფერის რბილი ჯიშის ქვისაგან გამოკვეთილი მოაჯირიანი კანკელი, მისი საყრდენი ექვსი სვეტი თავისი ჩუქურთმებით დახვეწილი ხელოვნების ნიმუშია.

სვეტებს შორის ადგილი უჭირავს ოთხ ბარელიეფს, რომლებიც გამოსახავენ ხარებას, მირქმას და საღვთო წერილის სხვა სიუჟეტებს; ეს ბარელიეფები დიდი გემოვნებითაა შესრულებული, რამაც გამოცა ამ ნაკლებად პლასტიკურ ქვეყანაში; ფიგურები მეტად პროპორციულია და გამომსახველი; კარგად შერჩეული ქვის მასალა აძლიერებს შთაბეჭდილებას... შიდა კედლები ყველგან დაფარულია საკმაოდ კარგი ფრესკებით...

უფრო ადრინდელი ეკლესია ამჟამინდელიდან ორ ნაბიჯზე მდებარეობს. აქ სუფთად გათლილი მოწითალო, სოსანისფერი და მოყვითალო რბილი ქვა

აი, კიდევ, არანაკლებ საინტერესო სხვა ამგვარივე დოკუმენტი. ეს არის საფარის მონასტრის დასავლეთ კარიბჭის თავზე ამოკვეთილი წარწერა:

„სახელითა ღჳთისათა შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღთისმშობლისათა წმიდისა სამასით, მე, იოანე სულკურთხეულმა ღავისა შვილმან დაოჭირელმან სრულსა ცნობასა ზედა მეუფემან მოვაკსენე წმიდასა სამას ციხისჯვარელსა მამული ჩემი და უკლებლად ციხითა, ეკლესიითა წყლით, ტყით, ჭალით, სეფით, ყანით, ვენახით, წისქვილით, ყოვლისფერითა არავინ ამცილემლი მამასა ჩემსათა დაეწერა, მე დიდი მე ჭამა არ ვემართლემოდე ზითვისაგან კიდე კეთილნი. მიწანი არ დამიკლენ პატრონმან მონასტრისამან, მონაწილემან. ვინცა მამული ჩემი წმიდას სამას დააკლოს, ჩემითამცა მრალთ ზღვას. სამას ორგულომასა შიგან სულნი ამისი მეტია რათა დაწერილი ყოვლი მეტია ლა. ზემო რომელ კართა ზედა დამიწერია ალაპი გვიკვეთეს. ხაუკუნოდ ვინ შეცვალოს კრულმცა არს ღთის პირთა.

უფალო ღმერთო შეიწირენ კარნი ესე ვითარცა მწვლილნი ქვრივისანი მწირისა გიორგი მალესგან შეუნდვენ ღმერთმან“[1].

დასახელებულ მონასტერთა დიდი ნაწილი აღარ არსებობს: ქრისტიანობის მტერმა აღგავა ისინი პირისაგან მიწისა; ბევრი მათგანიც ამ გეოგრაფიული აღწერის შედგენამდე გაქრა.

შევნიშნავთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ძველი ხელნაწერების უმრავლესობა უცხოეთის ქართულ მონასტრებს შემორჩა, თვით საქართველოს მონასტრებში კი ცოტა რამ მოიპოვება. აქედან ისეთი დასკვნა კი არ უნდა გავაკეთოთ, თითქოს ამ მრავალრიცხოვან სავანის მკვიდრნი პასიურობდნენ. კიდევ ერთხელ ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის განუწყვეტელი დარბევანი, რომელთაც საქართველო განიცდიდა[2], საზღვარგარეთის ქართული მონასტრები კი უფრო დაცულნი იყვნენ ამგვარი უბედურებისაგან და შეძლეს შეენარჩუნებინათ მათივე ნაღვაწის დიდი ნაწილი.

---

გამოყენებული საშენ მასალად“. Dubois de Monpéreux, Voyage autour du Caucase, ტ. II, გვ. 295, 297-298. აი, კიდევ ამ ეკლესიის წარწერა: „სახელითა ღვთისათა, მე საფარის მოძღვარმან გრიგოლ ნაფშუნის ძემან, აქა დამკვიდრებულთა წმიდათა ძმათა, აღვაშენე მცირედი ესე ეგვტერი, საკსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა, რათა ღმერთმან მეოხებითა წმიდისა და უდაბნოთ განმანათლებისა საბასაჲთა, დღესა მას დიდსა განკითხვისასა, მიკსნას მე მარცხენათაგან, და მარჯვენათა მათ მისთა თანა აღმრიცხოს: ამისა აღმაშენებელსა გრიგოლს შეუნდვენ ღმერთმან“. Brosset, Voyage archéologique, II მოხსენება, გვ. 127.

1 Brosset, დასახ. ნაშრ., II, მოხსენება, გვ. 125.

2 მაგალითად, „კავთისხევის მდიდარი ბიბლიოთეკა დაიღუპა: ეს იყო რამდენიმე ასეული ხელნაწერი, რომლებიც თათრების მოსვლისას მიწაში ჩაფლეს და დიდი ხნის შემდეგ ამოიღეს, უკვე დაზიანებული. ამ ამბავს მხოლოდ რამდენიმე აქტი გადაურჩა“. Brosset, Voyage Archéologique dans la Géorgie, II მოხსენება, გვ. 38.

## XI. — ბერთა სულისკვეთება და საქმენი. მრავალი მონასტრის გაქრობა. ქართული ხელოვნება

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია, შევჩერდეთ იმაზე, თუ რა აიძულებდა ქართველ ბერებს დასახლებულიყვნენ ამ მრავალრიცხოვან მონასტერში. თბილისის საეკლესიო მუზეუმის ძველი ხელნაწერები, ისევე როგორც პეტერბურგში დაცული ხელნაწერები, რომლებიც ამ სასულიერო პირთა ცხოვრებას გადმოგვცემენ, გვიმტკიცებენ, რომ ისინი სამონასტრო ცხოვრებას მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის იწყებდნენ, გაქცეოდნენ ამქვეყნიურ ამაოებას, გამოესყიდათ ცოდვანი, უფრო ფართოდ გაეშალათ ქრისტიანული ქველმოქმედება, გაევრცელებინათ სახარების მცნებანი, დაბოლოს, ლოცვა აღევლინათ და უფრო მეტად მიახლოებოდნენ უფალს.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში შეიძლება რაიმე უკადრისი მომხდარიყო ამ მონასტრებში, მაგრამ ეს გამონაკლისი იქნება, რაც ყველგან და ყოველთვისაა შესაძლებელი.

ქართველთა შორის ბერობის ფართო გავრცელება მუდმივი დევნის პირობებში ამ ხალხის ღრმად მორწმუნე სულის დამამტკიცებელი საბუთია. შედარებით პატარა ქვეყანაში მონასტრების ასეთი უხვი რაოდენობით არსებობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ცხოველი და ღრმა რწმენით.

ამ თავს ვამთავრებთ კომპეტენტური ავტორების პასაჟებით ქართული ხელოვნების შესახებ, რომელსაც ბერებმა დიდი ამაგი დასდეს სხვადასხვა სახით.

„VII–XII საუკუნეებში განვითარდა ქართული ხელოვნება, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ აგრეთვე ბერძნულ-ქართული და რომელმაც აპოგეას თამარის მეფობის დროს მიაღწია. XI საუკუნე საქართველოსათვის ერთგვარი თავისებური რენესანსია და განსაკუთრებული თვისებები აქვს. არქიტექტურაში ხუროთმოძღვრებმა გაიმეორეს ბიზანტიური მოდელები ისე, რომ ზუსტი ასლი კი არ გადაუღიათ, არამედ თავიანთი შთაგონების მიხედვით გადაასხვაფერეს. დამოუკიდებლობა და ფანტაზია მათ გამოავლინეს, ძირითადად, როგორც ორნამენტის ოსტატებმა, ბიზანტიური, სპარსული და არაბული მოტივების კარგი შეხამებით, მაგრამ ძირითადად სასანიანთა ეპოქის სპარსულმა ხელოვნებამ შთააგონა ქართული ხელოვნება და უეჭველია, IX ს-დან დაწყებული, კავკასიას ჰყავდა დახელოვნებული ოსტატთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელნიც ძალებს სცდიდნენ ოქრომჭედლობაში, ფერწერასა და მინანქარში. VII საუკუნით თარიღდება ქართული ორნამენტის უძველესი ნიმუშები.

კავკასიის ბიზანტიური ეკლესიების შემკულობის ნივთებს შორის დიდი რაოდენობით არის ხატები. ამჟამად მთელ რუსეთში ფართოდ

გავრცელებული „იკონები“, რომლებიც შეიძლება წარმოშობით საქართველოდან იყოს“[1].

“ვფიქრობ, საჭიროა კავკასიაში წასვლა, რათა აღმოვაჩინოთ ლითონში ნაჭედი ხაცის უძველესი ნიმუში. იმერეთში, ქუთაისის მახლობლად, გელათის მონასტერში თაყვანს სცემენ ხეზე გამოსახულ ღვთისმშობელს, რომელსაც ცრიპცქის ცენტრალური პანო უჭირავს. ჩანს მხოლოდ სახე და ხელები, დანარჩენი ჭედური ლითონის ფირფიცაზეა, რომელიც მოწყინავს ძვირფასი თვლებით, მარგალიცით, ლალით, ცოპაზითა და ალმასით, რაც რამდენიმე მილიონის ღირებულებისაა. გვერდითა ჩარჩოები შემკულია ჭედურობით, ფილიგრანით და ციხრული მინანქრებით (დაახლოებით 75), რომლებიც გარემოცულია მცაღ მდიდრული და გემოვნებით ნაკეთი მარგალიცებით. მინანქრები მიზანცურია. ისინი გამოსახავენ იესო ქრისცეს, წმინდა ქალწულს, ანგელოზებს და სხვადასხვა წმინდანს მთელი ცანით ან მიუსცის სახით. ღვთელი კარედის ქვედა ნაწილში არის წარწერები ისეთ ძველქართულ ენაზე, რომ ქართველ წერა-კითხვის მცოდნეთ მათი ამოკითხვა არ შეუძლიათ“[2].

---

1 E.Chantre Recherches antropologique dans le Caucase, ტ. III, გვ. 127-128.

2 Ch. de Linas, Origine de l'orfèvrerie, ტ. II, გვ. 471.

## თავი XIII

# ქართული ეკლესიის კათალიკოსთა ნუსხა

შინაარსი. — I. კათალიკოსთა ზუსტი ნუსხის დადგენის შეუძლებლობა. რუს მწერალთა უზუსტობანი. — II. კათალიკოსობის დაწესება ქართული გადმოცემის მიხედვით და უცხოეთიდან მოსული პირველი კათალიკოსები. — III. კათალიკოსი ქართველთაგან. — IV. მეექვსე საეკლესიო კრების მიერ ქართული ეკლესიისთვის ე.წ. პრივილეგიების მინიჭების შესახებ. — V. ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა. — VI. ზოგიერთი მომდევნო კათალიკოსის ზეობის დაუდგენელი თარიღები. — VII. მელქისედეკ კათალიკოსის საეკლესიო ღვაწლი. — VIII. სხვა თვალსაჩინო კათალიკოსები. — IX. კათალიკოსი არსენ III და მისი ღვაწლი. კათალიკოსი ნიკოლოზ II და მისი ღვაწლი. — X. ზოგიერთი მომდევნო კათალიკოსის ზეობის დაუდგენელი თარიღები. კუმურდოს ეპისკოპოსის მიერ კათალიკოსის უზენაესობის აღიარება. — XI. იმ კათალიკოსთა ნუსხა, რომელთა შესახებაც ცოტა რამ არის ცნობილი. კათალიკოსთა სიმრავლე. — XII. კათალიკოსის არჩევა და მისი ოურისდიქციის ფარგლები. — XIII. მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიის სიმდიდრე. — XIV. პროპაგანდისა და ურბან VIII-ის წერილები კათალიკოს ზაქარიასადმი. — XV. ღომენტი IV-ის, ნიკოლოზ VI-სა და ნიკოლოზ VII-ს შესახებ არსებული დოკუმენტები. — XVI. კათალიკოს ანტონ I-ის არჩევა, მისი შრომები, მოქცევა, განდევნა და საქართველოში დაბრუნება. — XVII. რუსეთის მთავრობისა და წმინდა სინოდის მოქმედება ქართული ეკლესიის საკათალიკოსოს გასაუქმებლად. ამ ეკლესიის ქონების დატაცება რუსი ეგზარხოსებისა და მთავრობის მიერ. — XVIII. ქართველი ეპისკოპოსების მოხსენება წმინდა სინოდისადმი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პირველი ასწლეულის გამო. — XIX. სამღვდელოებისა და ქართველი ერის განმეორებითი მიმართვა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამგვარი მოთხოვნების მოთავეთა დასჯა. — XX. დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო. ანტიოქიის პატრიარქთა ხრიკები თავიანთ განმგებლობაში ქართული ეკლესიის დასაბრუნებლად. — XXI. მთავარი და კათალიკოსი მალაქია. ურბან VIII-ის წერილი. დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სხვა კათალიკოსი. — XXII. გრიგოლ კათალიკოსი მისიონერებს ითხოვს ერთობის დასამყარებლად. კლემენტ XI-ის წერილი. კათალიკოსი ბესარიონ, მისი მრწამსი. — XXIII. საქართველოს კათალიკოსთა და ეპარქიათა ნუსხა.

## I. — კათალიკოსთა ზუსტი ნუსხის დადგენის შეუძლებლობა. რუს მწერალთა უზუსტობანი

განზრახული არა გვაქვს, ყველა კათალიკოსის მოღვაწეობისა და ქრონოლოგიის სრული სურათი შემოგთავაზოთ[1]. ეს განუხორციელებელი სურვილი იქნებოდა, რადგან მათი ავთენტიკური ნუსხა არ არსებობს. კათალიკოსთა სახელებისა და რაოდენობის დასადგენად იძულებულნი ვართ, მივმართოთ მრავალ წყაროს, გავეცნოთ სიგელ-გუჯრებს, წარწერებსა და უცხოელი მწერლების ცნობებსაც კი.

რაც შეეხება თარიღებს, ერთხელ და საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიის საწყისი პერიოდის ქრონოლოგია იმთავითვე ბუნდოვანი იყო იმ ომებისა და საერთო უბედურებების გამო, რომლებიც განუწყვეტლივ ატყდებოდა თავს ქვეყანას. ამგვარად, ჩვენ მიერ მოწოდებული წლები ყოველთვის უეჭველი როდია, მაგრამ მაინც შევეცდებით შევჩერდეთ ყველაზე უტყუარ თარიღებზე.

სანამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ ამ საკითხთან დაკავშირებით რუს მწერალთა უზუსტობანი. 1802 წელს, წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულმა საეკლესიო აკადემიამ გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველოს ისტორიული აღწერილობა“, სადაც ვკითხულობთ:

„XI ს-მდე საქართველოს დღევანდელივით დამოუკიდებელი კათალიკოსი როდი ჰყავდა. ქართული სამღვდელოების წინამძღვრად მიაჩნდათ მცხეთის არქიეპისკოპოსი. XI ს-ის საქართველოს მეფემ, რომელიც არქიეპისკოპოსით უკმაყოფილო იყო, კონსტანტინოპოლის იმპერატორსა და პატრიარქს სთხოვა, გამოეგზავნა სამღვდელო პირი, ვისაც შემდგომში კათალიკოსად განაწესებდა. ანტიოქიის საპატრიარქო საყდარი, რომელსაც აქამდე საქართველო ემორჩილებოდა, ლათინებმა დაიპყრეს“[2].

შემდგომში სხვა რუსმა მწერლებმაც გაიმეორეს ეს სიტყვები ისე, რომ არავითარ წყაროს არ უთითებდნენ. თუმც ასეთ წყაროს ვერც

1 ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის აღსანიშნავად ქართველი მწერლები არ ანსხვავებენ ორ ტერმინს — „კათალიკოსსა“ და „პატრიარქს“, მაგრამ საეკლესიო სამართლისთვის მხოლოდ ტერმინი „კათალიკოსი“ მართებული.

2 Историческое изображение Грузии, გვ. 51.

26. მ. თამარაშვილი

მიაგნებდნენ. ეს ფრაზა კი აშკარად იმ მიზნით იყო შეთხზული, რომ უმნიშვნელო გაეხადათ და ადვილად გაეუქმებინათ ქართული ეკლესიის საკათალიკოსო, რათა შემდგომში მოსკოვის ეკლესიისთვის დაექვემდებარებინათ.

## II. – კათალიკოსობის დაწესება ქართული გადმოცემის მიხედვით და უცხოეთიდან მოსული პირველი კათალიკოსები

საქართველოში კათალიკოსობის დაწესების შესახებ უცხოელი მწერლების უშუალო მოწმობანი არ გაგვაჩნია, არსებობს მხოლოდ მყარი და ერთსულოვანი ადგილობრივი გადმოცემა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, იგი უნდა გვაკმაყოფილებდეს.

ამ გადმოცემის მიხედვით, როგორც IX თავში ვნახეთ, კათალიკოსობა დაწესდა მეფე ვახტანგ გორგასლის მეფობისას (446-499). ამის დასადასტურებლად იმავე თავში მოვიხსენიეთ ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ბალსამონი, რომლის მტკიცებითაც ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე II-მ (471), სინოდის გადაწყვეტილებით იბერიის ეპისკოპოსი დამოუკიდებლად ცნო.

ძველი ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“[1] კათალიკოსის დასმამდე ასახელებს 13 არქიეპისკოპოსს: 1. იოანე, მირიან მეფის ზეობისას (265-342); 2. იაკობი, ბაქარ I-ის ზეობისას (342-364)“ 3. იობი, მირდატ III-ის ზეობისას (364-379); 4. ელია, თრდატის ზეობისას (393-405); 5. სიმეონ, ფარსმან IV-ის ზეობისას (403-408); 6. იონა, არჩილ I-ის ზეობისას (410—434); იმავე მეფის დროს: 7. გრიგოლ, 8. ბასილი, 9. მობიდაგე 10. იოანე; 11. გლონქორ, მირდატის დროს; 12. იოველ, 13. მიქაელ, ვახტანგის ზეობისას. უკანასკნელი არქიეპისკოპოსი მიქაელი მეფესთან უთანხმოების გამო კონსტანტინოპოლში გააგზავნეს განსასჯელად და ვახტანგმა იმპერატორს სხვა ეპისკოპოსი სთხოვა კათალიკოსის ტიტულით. იმპერატორმა უშუამდგომლა მას ანტიოქიის პატრიარქთან, რომელმაც ბიზანტიის ბრძანებით ბერი პეტრე აკურთხა კათალიკოსად და საქართველოში წარმოავლინა. ეს არის მყარი ტრადიცია, რომელიც მეორდება როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“, თარიღი კი არსად მითითებული არ არის. ცხადია, პეტრეს კათალიკოსად 471 წლის შემდეგ ვერ დანიშნავდნენ, რადგან ანტიოქიის პატრიარქი პეტრე (ფულონი), რომელმაც ქართული ეკლესია დამოუკიდებლად ცნო, 471 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, ჩვენი ფიქრით ქართული ეკლესიის ცალკე გამოყოფა უნდა ემთხვეოდეს კათალიკოსის ხელდასხმას. სხვანაირად

1 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 22-39.

არც ერთსა და არც მეორე ამბავს აზრი არ ექნებოდა. ასეთია კათალიკოსობის დასაწყისი საქართველოში.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვით ამ პირველი კათალიკოსის ზეობის ხანგრძლივობაზე. ზოგიერთ ავტორს, ყოველგვარი საბუთის გარეშე, მისი ცხოვრება 510 წლამდე მიჰყავს.

პეტრეს მემკვიდრეა მეორე კათალიკოსი სამოელი, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით მეფე დაჩის ზეობისას (499—514 წწ.) ცხოვრობდა. იგივე წყარო, რომელიც ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია, იქვე ასახელებს კათალიკოს პეტრეს და მის შემცვლელ სამოელს ბაკურ მეფის ზეობისას (ალბათ, 514-დან 528 წ-მდე).

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ორივე პეტრე, ისევე როგორც ორივე სამოელი, ერთი და იგივე პიროვნებაა. აი, როგორ ხსნის მატიანე ამ ფაქტს: როდესაც პირველი კათალიკოსი პეტრე ქალკედონის კრების გამო სომხეთში მოგზაურობდა, კათალიკოსად დროებით დანიშნეს სამოელი. უკან დაბრუნების შემდეგ პეტრე ისევ გახდა კათალიკოსი, მისი სიკვდილის შემდეგ კი იმავე სამოელმა შეცვალა[1], მაგრამ ეს განმარტება სრულიად არ გვაკმაყოფილებს.

ცნობილია, რომ საყოველთაო წესის მიხედვით კათალიკოსს, ისევე როგორც ეპისკოპოსს, მთელი სიცოცხლის ვადით ირჩევენ. კათალიკოსის შეცვლა მხოლოდ მისი ნებაყოფლობით გადადგომის ან ძალზე სერიოზული ცოდვის გამო იქნებოდა შესაძლებელი. პეტრეს უბრალო მოგზაურობის გამო კი ნამდვილად ვერ აირჩევდნენ სხვა კათალიკოსს. მაშასადამე, თუ ქრონიკა ორჯერ ასახელებს პეტრეს და ორჯერვე სამოელს, ეს ნიშნავს, რომ ორივე პეტრე და ორივე სამოელი სხვადასხვა პიროვნებები არიან. ამის საფუძველზე, ჩვენ მათ ოთხ სხვადასხვა კათალიკოსად მივიჩნევთ.

მათ შემდეგ, ფარსმან V-ის ზეობისას, კათალიკოსია თავფაჩაგ (დაახლ. 528-542). ამავე მეფის დროს ასევე ასახელებენ მეათე კათალიკოსს ჩიმაგას. ეს კი მშვენივრად ამტკიცებს ჩვენ მიერ პეტრესა და სამოელის თაობაზე ზემოთ გამოთქმულ აზრს.

## III. — კათალიკოსი ქართველთაგან

ფარსმან VI მეფობისას (542-547) კათალიკოსად იჯდა მცხეთელი ქართველი დასაბა (ალბათ, საბა). ამიერიდან კათალიკოსობა მცხეთის ორი სახლის ხვედრად იქცა. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება".

„ხოლო ითხოვეს იუსტინიანესგან ქართველთა, რათა დასხდემოდნენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველთანი, რამეთუ მთვიდოდიან კათალი-

1 იხ. კარბელაშვილი, ქართული ეკლესიის იერარქია, თბილისი, 1904, გვ. 34.

კოსნი საბერძნეთით. ხოლო იუსტინიანე დაწერა წიგნი და დაბეჭდა თჳსითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველთანი, და აქუნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა“[1].

ერთ-ერთი მწერალი ამტკიცებს, რომ იმპერატორმა ქართველებს ასეთი პრივილეგია მიანიჭა იმ სამსახურისათვის, რაც მათ აბაზგიაში მთიელების წინააღმდეგ ბრძოლისას გაუწიეს[2].

ეს გარემოება კი იმის დამადასტურებელიცაა, რომ ეკლესიის წინამძღოლთ დასაბამიდან ამ დრომდე საქართველოში ბიზანტიის იმპერიიდან ავლენდნენ და არა სომხეთიდან.

იმავე მეფის დროს დასახელებულია აგრეთვე კათალიკოსი ევლალე („ქართლის ცხოვრების“ ევლავიოსი). როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სწორედ მისი ზეობისას ჩამოვიდა საქართველოში 13 ასურელი მამა.

ბაკურ III-ის ზეობისას (557-570), სამოელ III-ის და სვიმონ-პეტრეს გარდა კათალიკოსი მაკარიც იყო. ქრონიკის მიხედვით ამ მეფის ზეობისას საქართველოს სამეფო წყვეტს არსებობას — სპარსელებმა ქვეყნის დაპყრობისთანავე წაართვეს ქართველ მეფეებს ხელისუფლება.

ხსენებული სვიმონ-პეტრე ის კვირიონია, რომელზედაც საუბარი გვქონდა მეათე თავში. მას შემდეგ, რაც სომეხ მწვალებლებს წინ აღუდგა, იგი სამუდამოდ განეყო მათ და რომის პაპის, გრიგოლ დიდის ეპისტოლე მიიღო. უეჭველია, სვიმონ-პეტრე ამ პაპის ზეობისას, 590—604 წლებში ცხოვრობდა.

სვიმონ-პეტრეს შემდეგ კათალიკოსად იყო სამოელ IV, მაგრამ ვერ დაგვიზუსტებია, რომელი მეფის ზეობისას კათალიკოსობდა იგი. ქრონიკის მიხედვით კი სამოელ IV გვარამ კურაპალატის (ერისთავის) გამთავრებამდე კათალიკოსობდა, ალბათ 575 და 600 წლებს შორის. გვარამ კურაპალატმა კათალიკოსებად აირჩია სამოელ V და ბართლომე. ბართლომე ერისმთავარ სტეფანოზის დროს მეორეჯერ აირჩიეს კათალიკოსად. სწორედ იმხანად ჰერაკლე კეისარი (610—642) სპარსელებთან საბრძოლველად შემოვიდა საქართველოში. ბართლომე, როგორც ჩანს, გადააყენეს გარკვეულ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, იმპერატორის წასვლის შემდეგ კი ერისმთავარმა სტეფანოზმა მას კვლავ მიანიჭა კათალიკოსობა. ადარნასე ერისმთავრის დროს (დაახლ. 619—639) ქრონიკა ასახელებს სამ კათალიკოსს: იონას, ბაბილასა და თაბორს, თაბორი მოხსენიებულია ლაპიდარულ წარწერაში, რომელიც

1. Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 202. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბილისი, 1955 წ. გვ. 207.

2. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 52.

შესრულებული უნდა იყოს 639—663 წლებს შორის[1].

თაბორს ცვლიან კათალიკოსი სამოელ VI და ევნონი ერისმთავარ სტეფანოზ II-ის დროს, რომელსაც 639—663 წწ. უნდა ემთავრა. მათ შემდეგ ქრონიკა პირდაპირ გვთავაზობს კათალიკოსთა ნუსხას[2]; ეს კათალიკოსები არიან: თავფაჩაგ (II), ევლალე (II), იოველ, სამოველ (II), გეორგი, კვირიონ (II), იზიდ-ბოზიდ, თევ. პეტრე (III), მამაი, იოვანე (II), გრიგოლ, კლემენტოს, სარმეან, თალალე, სამოველ (VIII), კვირილე, გრიგოლ (II), სამოველ (IX), გეორგი (II), გაბრიელ, ილარიონ, არსენი (I), ევსუქი, ბასილი, მიქაელ, დავით, არსენი (II). ამ ქრონიკის მიხედვით, პირველი ცხრა კათალიკოსი, ე.ი. თავფაჩაგ II-დან პეტრე III-მდე, ცოლიანი ყოფილა[3].

ზემოხსენებულ კათალიკოსთა ზეობის მიახლოებითი თარიღის დადგენაც კი ძალზე ძნელია,რადგან არსად არის ნახსენები, თუ ვისი მეფობის წლებში კათალიკოსობდნენ ისინი. მიუხედავად ამისა, ეს ნუსხა X საუკუნეს მაინც არ უნდა გადმოსცდეს.

სანამ ზოგიერთი კათალიკოსის ზეობის თარიღს დავადგენდეთ, განვიხილოთ ქართული ეკლესიის განვითარების ეტაპები.

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართული ეკლესიის სათავეში მხოლოდ არქიეპისკოპოსები იდგნენ. დაახლოებით 471 წლისთვის ანტიოქიის საპატრიარქომ ეს ეკლესია დამოუკიდებლად ცნო და მისი საჭეთმპყრობელი აღიყვანა კათალიკოსად, მაგრამ მიუხედავად ამ პრივილეგიისა, ქართული ეკლესიის წინამძღოლები ჯერ კიდევ ანტიოქიაში ხელდასხმული უცხოელები იყვნენ. ეს წესიც დაახლოებით ერთ საუკუნემდე გაგრძელდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-სა და „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ იმპერატორ იუსტინიანეს დროს (527-565) მოიპოვა უფლება, ნაცვლად უცხოელებისა კათალიკოსის ტახტზე აეყვანა ქართველები. მაგრამ კათალიკოსი მაინც ანტიოქიის პატრიარქს უნდა ეკურთხებინა და ეს წესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა[4].

1 იხ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 69—70.

2 კათალიკოსების რიგი შესწორებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ნუსხის მიხედვით (რედ.).

3 ეკლესიის საყოველთაო ჩვეულებისამებრ დაქორწინებული ეპისკოპოსები ეყრებოდნენ მეუღლეებს და სამუდამოდ ამბობდნენ უარს ქორწინებაზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ასე მოიქცა 9 დაქორწინებული კათალიკოსიც, თორემ ანტიოქიის პატრიარქი მათ არ აკურთხებდა კათალიკოსად.

4 „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ამ პერიოდში მეფე ასახელებდა კანდიდატურებს. იხ. Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 214. არჩევნების წესისათვის იხ. ქვემოთ.

## IV. – მეექვსე საეკლესიო კრების მიერ ქართული ეკლესიისათვის ე.წ. პრივილეგიების მინიჭების შესახებ

„ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილი იხსენიებს მეექვსე საეკლესიო კრების დადგენილებას, რომელშიც საუბარია ქართული ეკლესიის შესახებ. აი,რას ვკითხულობთ იქ:

„ამისა შემდგომად გარდაჴდეს რაოდენიმე წელნი, ქრისტეს აქეთ ქ~ნჳ (650 წ. სინამდვილეში 680,-მ.თ.) იქმნა კრება მეექუსე, რ~ო (160 წ.) წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლის შინა, მეათსამმეტესა წელსა პოღონატი კოსტანტინეს მეფობისასა, რომელი იყო მამა იუსტინიანესი, რომლისა წინამძღუარ იყვნეს თეოდორე და გიორგი ხუცესნი და იოანე დიაკონი, ადგილის-მცველნი აღათონ ჰრომთა პაპისანი, და გიორგი კოსტანტინეპოლელი, თეოფანე ანტიოქელი. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათჳს, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიაქონი. და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიაქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თჳსსა ქართლსა, გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა. „მისთჳს მიგჳთვლია საქართველოს ეკლესიანი, მას ჰმონებდენ, და მის ჴელ ქუეშე იყვნენ, და სჯულსა მისსა ერჩდენ, და მისგან იმწყსებოდენ და მიგჳცემია ჴელმწიფება შეკრვისა და განჴსნისა; რომელი შეკრას, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნას ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა. ხოლო პირველითგან ანტიოქიის კრებისა მიერ განპატიოსნებულყო, და ამ კრებისა მიერ დაგჳმტკიცებია პატრიაქად, რამეთუ ნუ იქმნებინ მიტროპოლიტი, ნუცა ეპისკოპოსი კათალიკოსისა შეუნდობრად. ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს კათალიკოსისა წინააღდგომა, მთავარძალითა, კათალიკოსისა უკითხავად და შეუნდობლად, ანუ იკურთხოს მეფე გინა მთავარნი, ანუ მთავარეპისკოპოსნი და მიტროპოლიტ-ეპისკოპოსნი, განიკუეთენ, ხოლო ოდესცა ენებოს შემზადებადა კურთხევა მირონისა, აკურთხოს თჳსსა ეკლესიასა“[1].

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეულ ამ საეკლესიო კრების დადგენილებებში არაფერია ნათქვამი ქართულ

---

1 **Brosset**, დასახ. ნაშრ. გვ. 235-236. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I. გვ. 231-232.

ეკლესიაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ეკლესიისთვის ასეთი პრივილეგია პირველი კათალიკოსის დანიშვნისთანავე უნდა მიენიჭებინათ. ამრიგად, ჩვენი აზრით, ეს ნაწყვეტი აპოკრიფულია და მოგვიანებითაა შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“.

## V. – ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა

საქართველოს სრული სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობა მხოლოდ VIII ს-ში მიენიჭა. ამის დამადასტურებელი საბუთები ჩვენ არ გვაკლია.



თბილისის კათალიკოსის მიტრები.

აი, რას გვიამბობს ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებული XI საუკუნის მწერალი, მელქიტი ბერი ნიკონი:

„ისტორიის ერთ წიგნში აღმოვაჩინე, რომ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმისა (741-775) და ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს (744-751) ორი ქართველი ბერი მოვიდა ანტიოქიას და აცნობა პატრიარქს უკათალიკოსოდ დარჩენილ ქართველ ქრისტიანთა ჩაგრული და საჯალალო მდგომარეობა. მართლაც, ანტიოქიის პატრიარქის ნეტარი ანასტასი მოწამის (610) (ან ესტატეს) დროიდან მათ არ ჰყოლიათ კათალიკოსი

გზების სიძნელისა და მუსლიმანთა შიშის გამო. მაშინ პატრიარქმა თეოფილაქტემ მოიწვია სინოდი, სადაც წერილობით დააწესა შემდეგი: სინოდს მართებულად მიაჩნია, რომ ქართველმა ეპისკოპოსებმა აკურთხონ თავიანთი კათალიკოსი: ჯერ ჩაატარონ არჩევნები ფარული კენჭისყრით და ის, რომელსაც ექნება ხმათა უმრავლესობა და რომლითაც ყველანი კმაყოფილი დარჩებიან, იკურთხოს ეპისკოპოსთა მიერ კათალიკოსად. ეს განცხადება რომ ჭეშმარიტი ყოფილიყო, სინოდმა მას წერილობითი სახე მისცა და აკურთხა არქიეპისკოპოსი მარნამე, ერთ-ერთი იქ ჩასულ ორ ბერთაგან... მაშინ ქართული ეკლესია მხოლოდ გადასახადს უხდიდა და იხსენიებდა პატრიარქს“[1].

იმავეს, თითქმის სიტყვასიტყვით, ვკითხულობთ XI ს-ის მწერლის ეფრემ მცირეს ნაწერებში, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაშია“ ასევე შეტანილი[2].

ამგვარი მსგავსება კი იმის დამამტკიცებელია, რომ ორივე მწერალმა ერთი და იმავე წყაროთი ისარგებლა[3].

აქ თავს იჩენს ერთი სიძნელე. თუ მართლაც პატრიარქ ანასტასი მოწამიდან (†599) პატრიარქ თეოფილაქტემდე (744-751) საქართველოს კათალიკოსი არა ჰყოლია, რა უნდა ვიფიქროთ მაშინ ძველი ქრონიკის მიერ დასახელებული და ჩვენ მიერ ზემოჩამოთვლილი ამდენი კათალიკოსის შესახებ?

აღსანიშნავია,რომ ამ ქრონიკის ორი რედაქცია არსებობს: პირველი, შედარებით ძველი და მნიშვნელოვანი მოიცავს დროს სამოელ VI-სა და ევნონამდე, რომლებიც ერისმთავარ სტეფანოზ II-ის ზეობისას 639—663 წწ.-ში კათალიკოსობდნენ. ამ რედაქციაში არავითარი გაუგებრობა არ არის და ხსენებულ კათალიკოსებამდე არაფერი გვაქვს სადავო. მეორე რედაქცია კი უფრო გვიანია და ბუნდოვანი. იგი ამ კათალიკოსთა ჩამოთვლის შემდეგ გვთავაზობს მეფეთა და კათალიკოსთა ნუსხას ისე, რომ დროსა და გარემოებაზე არ მიუთითებს. ჩვენთვის არც ეს ქრონიკაა დიდად მნიშვნელოვანი.

ამგვარად, ნიკონის ნაამბობის მიხედვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ საქართველოში კათალიკოსობა შეწყვეტილი იყო გარკვეული დროით.

ერთ ხელნაწერში[4] აღწერილია წმინდა მირონის კურთხევის

---

1 ვატიკანის ბიბლიოთეკა. არაბული ფონდი, №76, გვ. 367.

2 **Brosset**, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 229.

3 **Vincent de Beauvais**, რომელიც 1190—1264 წწ. ცხოვრობდა, დასახლებით ასევე ჰყვება ამ ფაქტს თავის ნაშრომში: ტSpeculum Historiale, ტ. II, წიგნი III, თავი 96, სვ. 1265.

4 წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა, თბ., №352.



აწყურის ეკლესია (XII ს.)[1]

1 „აწყური, რომელიც ლია დაბას მოგვაგონებს, დაცულია ციხესიმაგრით... ციხე ისევეა შემორჩენილი, როგორც ქართველებმა დასტოვეს — ნაკურთხი, როგორც ყველგან, ეკლესიითურთ... სხვათა შორის აწყურის ღვთისმშობელს სასწაულთმოქმედების გამო შორს ჰქონდა სახელი განთქმული. 1486 წელს ხატი იაყუბ ხანმა გაიტაცა და მორწმუნეებს საშინელი უბედურება დაატეხა თავს, მაგრამ ეს ხატი მორწმუნეებმა მალე უკან დაიბრუნეს. ათაბაგმა მანუჩარმა ხატი დიდძალ თანხად ბარათაანთაგან იყიდა და ხელახლა მოათავსა ტაძარში... ღვთისმშობელს აქ განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს, დაახლოებით ისევე, როგორც ალოხის ღვთისმშობელს ესპანელები. აწყურის ეკლესიის საბოლოოდ დანგრევის შემდეგ, ჩვენთვის უცნობია, რა ბედი ეწია ამ ხატს.

ჩუქურთმები ჩინებულად არის ნაძერწი: პატრონიკეს შვერილი ქმნის ნახევარ დეკაგონს. რამდენიმე ფრესკის წყალობით, რომლებიც საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი, შეგვიძლია ვიმსჯელოთ სტილზე, რომელიც ბიზანტიურს მოგვაგონებს. პირველი ესკიზი წითლად იყო შესრულებული კედელზე, რომელიც შემდგომ თაბაშირით დაფარეს, რათა საბოლოოდ დაეხატათ ზედ. შედარებით ძველი ეკლესია გამოიყენეს ამ უკანასკნელის ასაგებად, მისი ძველი ქანდაკებები კი დაამახინჯეს და უბრალო საამშენებლო ქვებად გამოიყენეს. ამგვარად აღდგენილი ეს ეკლესია დღეს თავის მხრივ სხვა ნაგებობათა აღსადგენად გვეხმარება, დაბისა და ციხესიმაგრის ყოველ კუთხეში კი მისი ლამაზი სარკმლებისა და კარნიზების ფრაგმენტები გვხვდება“. **Dubois de Monpéreux**, Voyage autour du Caucase, ტ. II, გვ. 333, 334, 336.

ცერემონია, რომელიც შემოიღო მიქაელ კათალიკოსმა, არჩილ მეფის ზეობისას, 668-718 წწ.-ში. ჩვენი აზრით კი, ქართველებისათვის მირონის კურთხევის უფლება უფრო 744-751 წწ.-ში უნდა მიენიჭებინათ, მაშინ, როცა ქართულმა ეკლესიამ კათალიკოსის საქართველოში კურთხევის ნებართვა მიიღო. ამგვარად, ამ რიტუალის შესრულებას არჩილ მეფის ზეობით ვერ დავათარიღებთ.

## VI. – ზოგიერთი მომდევნო კათალიკოსის ზეობის დაუდგენელი თარიღები

ზემოხსენებულ კათალიკოსთა შორის ორი არსენ კათალიკოსის სახელს ვხვდებით. მათგან პირველი ისტორიისათვის უცნობია. ის კათალიკოსად უნდა ყოფილიყო დაახლოებით IX ს-ის ბოლოს. კათალიკოსი არსენ II კი შედარებით უფრო ცნობილია ჩვენამდე მოღწეული მისი შრომების წყალობით.

ერთ-ერთი ხელნაწერის[1] მიხედვით არსენ II საქართველოში ჩამოსულ ასურელ მამათა ცხოვრებების შემკრებია. იგი წმინდა შიოს მონასტერში ცხოვრობდა, სადაც დაწერა წმინდანთა საგალობლები და სომხებისა და ქართველების სარწმუნოებრივი განყოფის ისტორია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი ნაწერების წყალობით, არსენ II სხვადასხვა ხელნაწერში მოხსენიებულია როგორც დიდი, ღვთაებრივი და განმანათლებელი. არსენ II-ის ზეობა იწყება დაახლოებით 946 წლიდან[2] და გრძელდება 976 წლამდე.

X ს-ის[3] ერთ-ერთი ხელნაწერი შეიცავს კათალიკოს სამოელის წერილს, სადაც მისი უწმინდესობა ვინმე იოანეს უბრძანებს ახლახან წამებული აბოს ცხოვრების აღწერას. დღემდე ვერ შეძლეს ამ წერილის დათარიღება, მიუხედავად იმისა, რომ, ვარაუდით, კათალიკოსი სამოელი XI ს-ის დასაწყისში ცხოვრობდა.

სხვა ხელნაწერი[4] ზედაზნის მონასტრის მღვდლებს შორის იხსენიებს ვინმე მამაის, რომელიც კათალიკოსის ტახტზე 15 წელი უნდა მჯდარიყო. კათალიკოსი VIII ს-ში ცხოვრობდა, მისი ზეობის თარიღი კი ჯერაც დაუზუსტებელია. ერთ-ერთი ხელნაწერი კათალიკოს კლემენტისაც ასახელებს და მას წმინდანებში იხსენიებს[5]. სწორედ კლემენტის უნდა აეშენებინა წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. მასაც VIII ს-ში უნდა ეცხოვრა.

---

1 თბილისის საეკლესიო მუზეუმი, №160, გვ. 223.

2 ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 311.

3 თბილისის საეკლესიო მუზეუმი, №19.

4 იქვე, №160.

5 თბილისის საეკლესიო მუზეუმი, №170.

თბილისის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის წარწერა თავის აღმშენებლად IX ს-ის კათალიკოსს, ბასილს მიიჩნევს. სწორედ ამ კათალიკოსმა შეადგინა წმინდანთა ცხოვრების კრებული.

ერთ-ერთი საინტერესო ხელნაწერი გვაცნობს კათალიკოს სიმეონს. ეს ხელნაწერი შეიცავს წმინდა იაკობის ჟამისწირვას და აგვიწერს კათალიკოსების, ეპისკოპოსებისა და მღვდლების კურთხევის წესს. ხელნაწერი თავად კათალიკოსმა სიმეონმა გადაწერა, და მასში ხშირად საკუთარ თავსაც იხსენიებს. ამ ხელნაწერს IX ს-ს მიაკუთვნებენ[1].

იერუსალიმის მეტაფრასი 947 წლისთვის ასახელებს კათალიკოს მიქაელს[2], რომელიც ზემოხსენებულ ბასილსა და არსენზე ადრე უნდა ყოფილიყო კათალიკოსად.

## VII. – მელქისედეკ კათალიკოსის საეკლესიო ღვაწლი

მელქისედეკ კათალიკოსისაგან ბევრი სიგელ-გუჯარი შემოგვრჩა. მელქისედეკ კათალიკოსის სახელს ხშირად ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში" მისი დამსახურების გამო. იმპერატორ ბასილ II-სა (976-1025) და კონსტანტინე IX-ს (976-1023) დროს მელქისედეკ კათალიკოსი კონსტანტიოპოლს გაემგზავრა. „ქართლის ცხოვრება" ასე გვიყვება მის მოგზაურობას:

„მოკუდა კათალიკოზი სჳმონ და დასუა ამან მეფემან დიდებულთა კაცთა შვილი მეცჳისი და გაზრდილი თჳსი მელქისედეკ კათალიკოზ-პატრიაქად, ხოლო ესე წმიდაჲ მეფეჲ წარვიდა ბერძენთა მეფისა ბასილის წინაშე კოსტანტინეპოლედ, რათა შეეწიოს. რამეთუ იყო დიდი ესე კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სუეტი-ცხოველი, რომელი ვახტანგ გორგასალს აღეშენა, დაძუელებულ იყო და ჟამთა შლილობით გარეშემო სტოანი და მჯენი დაქცეულ იყო, და აღარავინ იყო მწე აღშენებად და არცარავის ძალ-ედვა აღშენება მისი, და მივიდა და მიუთხრა ყოველი შეუძლებლობა ქართველთა და სათხოველი თჳსი.

მაშინ მეფემან ბასილი მოსცა მონასტერი კესტორია, რომელსარე სოფელი აქუს, განძი და შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, და ყოველივე სამღვდელთმთავრო და სამღდელო სამკაული, წარმოვიდა და მოიწია ქუეყანასავე თჳსსა ქართლად და სამეუფოდ ქალაქად მცხეთად, და იწყო შენებად გარეთითა მჭითა და გარეშემოთა სტოითა მოქმნითა და ზედა დამურვითა, და ყოველი განასრულა. და მიმადლა ღმერთმან განახლება მცხეთის ქალაქისაცა, და შეამკო დიდი კათოლიკე

1 თბილისის საეკლესიო მუზეუმი №86; იხ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, 1889, გვ. 221-322.

2 ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 86.

სამოციქულო ეკლესია სვეტი-ცხოველი ყოვლითა სამკაულობითა, ოქროთა და ვერცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და შესჭედა სვეტი-ცხოველი ოქროთა და ვერცხლითა და შესჭედა წმიდა საკურთხეველი ოქროთა და ვერცხლითა, თუალითა და მარგალიტითა; და მოჭედა კანკელი და კარნი საკურთხევლისანი ოქროთა და ვერცხლითა; და შექმნა წმიდა სამარტვილო ოქროთა და ვერცხლითა, თუალითა და მარგალიტითა; და შექმნა ძელ-ნი ცხოვრებისანი ორნი თუალითა და მარგალიტითა და დაასვენა ყოველთა წმიდათა ნაწილნი აურაცხელნი და ძელი ცხოვრებისა სხუაჲ მოჭედილნი ხატნი თუალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვერცხლითა შემკულნი, რიცხვით ორმოცდათხუთმეტი, წიგნნი მოჭედილ-მოუჭედელნი, რომელ თვითან აღაწერინა და დასდვა, ჯუმლაჲ ოცდახუთი"[1].

ეს ის ეპოქაა, როდესაც არაბებმა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად, მთლიანად გაძარცვეს საქართველო და გაზიდეს ყველაფერი, რაც კი მას ძვირფასი ებადა. ქვეყანას ძალა აღარ შესწევდა დამოუკიდებლად ალმდგარიყო. სხვა რომ არა, მთავარი ტაძრის აღდგენას მაინც სჭირდებოდა იმპერიის დახმარება. სწორედ ამიტომ განიზრახა კათალიკოსმა კონსტანტინოპოლში გამგზავრება და ამ მოგზაურობით უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე მოელოდა.

ბაგრატ მეფის 1040 წლის სიგელი დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ ილვწოდა მელქისედეკ კათალიკოსი მცხეთის ეკლესიის უწინდელი დიდების აღსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ მისი აღსაყდრების დღე აღნიშნული არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა XI ს-ის დასაწყისში, ან, შესაძლოა X ს-ის ბოლოს.

როგორც ამ მონათხრობიდან ჩანს, მელქისედეკამდე კათალიკოსობდა სიმეონი, მისი უშუალო მემკვიდრე კი კათალიკოსი ოქროპირი იყო. ოქროპირი 1042 წლის სიგელშია მოხსენიებული. ოქროპირმა განაგრძო მისი წინამორბედის წამოწყებული საქმე — ააშენა და აღადგინა მრავალი ეკლესია[2].

ოქროპირის მომდევნო კათალიკოსად „ქართლის ცხოვრება" გიორგის (III)[3] ასახელებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობის სხვა კვალი არ გაგვაჩნია.

თბილისის სინოდალური კანტორის სიგელი №66 ადასტურებს საფარელი კათალიკოსის გაბრიელის არსებობას, მის შემცვლელად კი „ქართლის ცხოვრება" გიორგის ასახელებს.

ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ამ გუჯართაგანი 1073 წლით თარიღდება.

---

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 301-302; იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 282.

2 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 316.

3 იქვე, გვ. 335.

შემდეგი კათალიკოსია იოანე საფარელი. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ 1103 წ. რუის-ურბნისში ჩატარებული საეკლესიო კრების შესახებ. ამ კრებას იოანე საფარელმა თვითონ უხელმძღვანელა და აქტიური მონაწილეობა მიიღო მასში. კათალიკოსი იოანე ილვწოდა ეროვნული ტრადიციების აღსადგენად და იმ აურაცხელი ჭრილობის მოსაშუშებლად, რომლებიც ურწმუნოთა ხანგრძლივმა თარეშმა მოუმრავლა საქართველოს. სულიერი თვალსაზრისით კათალიკოსმა იოანემ დიდი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს, რისთვისაც სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ სულიერი აღმდგენელი. ამ დიდი ღვაწლის გამო იოანეს ხშირად იხსენიებენ ძველი მწერლები[1].

ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია კათალიკოსი ბასილი (მეორე კათალიკოსი, რომელსაც ეს სახელი ჰქვია) და ეპიფანე[2]. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ცნობები არა გვაქვს ბასილისა და ეპიფანეს ზეობის თარიღის დასადგენად, მაინც უეჭველად მიგვაჩნია მათი კათალიკოსად ყოფნა XII ს-ის დამდეგს.

შემდგომ უნდა მოვიხსენიოთ კათალიკოსი ნიკოლოზი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი შრომებით, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, რას აკეთებდა თავისი ზეობისას, მეფე გიორგის დროს (1156-1184). 1170 წ. ნიკოლოზმა თავმდაბლობის გამო უარი თქვა კათალიკოსობაზე და წავიდა ათონის მთაზე, შემდეგ იერუსალიმის მონასტერში[3]. ათონის მთის მონასტერს უხვი საჩუქრები უწყალობა და იქ მთავარანგელოზის ეკლესიაც კი ააგო, რასაც მის მოსახსენებლად დაწესებული აღაპი მოწმობს. ნიკოლოზმა დაგვიტოვა ნაწერები სვეტი-ცხოველისა და წმინდა კვართის სასწაულთა შესახებ და მათი შესხმანი[4].

იმ დროს, როცა სახელგანთქმული თამარ დედოფალი (1184-1211) ტახტზე ავიდა, მაშინდელი კათალიკოსის, მიქაელის მიზეზით ეკლესიაში დიდი უწესრიგობა სუფევდა. „ქართლის ცხოვრება“ მიქაელს განსაკუთრებით საყვედურობს წარმოუდგენელ სიძუნწეს[5].

მას შემდეგ, რაც სამეფო ყოველმხრივ აღაყვავა, დედოფალი თამარი შეეცადა, ქართული ეკლესიისთვის უწინდელი დიდება დაებრუნებინა და საეკლესიო საკითხების მოსაგვარებლად კრება მოეწვია. იერუსალიმიდან კათალიკოსყოფილი ნიკოლოზი ჩამოიყვანა, რომელსაც დიდად აფასებდა, და კრების წარმართვა დააკისრა. მიქაელ

1 თბილისის საეკლესიო მუზეუმი, №№160 და 170.

2 იქვე, № 94.

3 იხ. Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 406

4 თბილისის საეკლესიო მუზეუმი, სვინაქსარი, №48.

5 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 406.

კათალიკოსს სჯაში სულ არ მიუღია მონაწილეობა, რადგან კრება ძირითადად მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს გმობდა. ამასობაში მიქაელი გარდაიცვალა, მაგრამ, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, მისი სიკვდილი არავის დანანებია, რადგან ყველას სძულდა.

ამის შემდეგ დედოფალმა კათალიკოსობა ანდო თეოდორეს[1], დაახლოებით 1186-1187 წლებში. მრავალ სიგელ-გუჯარში ვხვდებით კათალიკოს თეოდორეს ხელრთვასა და დამტკიცებას. თამარ დედოფლის 1189 წლის სიგელის მტკიცებით ნაწილში ის ამბობს:

„მეცა გლახაკი ქრისტეს მიერ კათალიკოსი თეოდორე მოწამე და დამამტკიცებელი ვარ, ვინ და რამანცა გუარმან კაცმან რასაც ჟამსა, რაისაცა მიზეზის მოღებითა კელ-ყოს შლად და ქცევად ამას მრძანებასა და გაგებულსა, კრულმცა არს პირველად დაუსაბამოისა ღუთისა პირითა, ათ-ორმეტთა მოციქულთა ჯუარითა, შვიდთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა კათოლიკე ეკლესიისა (მადლითა), შენ ღვთივ აღმართებულის სუეტისა ცხოველის მადლითა, ყოველთა პატრიარქთა ჯუარითა მღვდელთ-მთავრთათა და ჩემ გლახაკისაცა ჯუარითა, ვინ მტკიცე [ყოს], აკურთხენ ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან[2].

ხსენებულ თეოდორეს მის კათალიკოსად დანიშვნამდეც ვხვდებით თამარ დედოფლის გვერდით, გამუდმებით მლოცველს ურჯულოთა წინააღმდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლაშქრობისას. ჩვენთვის უცნობია, რამდენ ხანს გაგრძელდა მისი ზეობა.

თამარის მეფობაშივე კათალიკოსად აირჩიეს იოანე (IV), კაცი, რომელიც, „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, წმინდანივით ცხოვრობდა და აღვსილი იყო ღვთაებრივი სულით[3]. მისი ზეობისას შედგა კიდევ ერთი საეკლესიო კრება, რომელსაც ქართველებისა და სომხების შეერთება ჰქონდა განზრახული. ამ კრების შესახებ „ქართლის ცხოვრება“ საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის, რომელთა აქ მოყვანაც ზედმეტად მიგვაჩნია. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ ქართველებმა სომხები დაარწმუნეს თავიანთ შეცდომებში და საქვეყნოდ შეარცხვინეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. მხოლოდ ზაქარია ამირსპასალარის ძმამ, ივანემ, აღიარა ჭეშმარიტება და რამდენიმე კაცთან ერთად მიიღო მართლმადიდებლობა, სხვებს კი მართლმადიდებლობის ზიზღი და ძაგება არ მოუშლიათ და დღესაც ამ გზას ადგანან.

1. Brosset, Histoire de la Géorgie, გვ. 423, 460.

2 ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ 75.

3 Brosset, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 450.

## IX. – კათალიკოსი არსენ III და მისი ღვაწლი, კათალიკოსი ნიკოლოზ II და მისი ღვაწლი

არსენ კათალიკოსი (III) ბევრ ძველ ხელნაწერშია მოხსენიებული. მისი აღსაყდრების თარიღი კი არსად არის აღნიშნული. თუმცა ვარაუდობენ, რომ კათალიკოსი იყო 1218-1226[1] წლებში. ამ ხელნაწერების მიხედვით არსენ კათალიკოსი ცნობილია, როგორც საღვთისმეტყველო წიგნების მთარგმნელი და ქართული ეკლესიის განმანათლებელი. მან შექმნა აგრეთვე წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლები.

არსენ კათალიკოსის ზეობისას და, შესაძლოა, მისი რჩევითაც რუსუდან დედოფალმა (1223-1247) მიმოწერა დაიწყო პაპ ჰონორიუს III-სა და. გრიგოლ IX-სთან. ამ მიმოწერას ქვევით გაგაცნობთ. ჩვენ ხელთ გვაქვს არსენ კათალიკოსის რამდენიმე სიგელი, რომლებშიც კრულვის იმავე სიტყვებს იყენებს, რაც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ. სიგელში ახსენებს ხუთ პატრიარქს, მათ შორის პაპსაც. მოგვიანებით არსენმა უარი თქვა კათალიკოსობაზე და წმინდა შიოს მონასტერს შეაფარა თავი.

არსენის უშუალო შემცვლელია კათალიკოსი გიორგი (IV), რომელიც მხოლოდ სიგელებშია მოხსენიებული[2].

XIII საუკუნეში მონღოლებმა მრავალჯერ დაარბიეს და აოხრეს საქართველო, როგორც ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. დაიპყრეს ქვეყანა და თვითნებურად დაიწყეს მისი მართვა. სწორედ ამ საზოგადო უბედურების ჟამს მოღვაწეობდა კათალიკოსი ნიკოლოზი (II), რომელიც რუსუდან დედოფლის თქმით უაღრესად ღირსეული კაცი იყო და ასეთ პირობებში მისი მწყემსობა თანდათანობით უნაყოფო ხდებოდა.

მონღოლთა ემისრები ხარკს ადებდნენ ეკლესიებსა და მონასტრებს, ქვეყნის დიდებულები კი ვერაფერს ხდებოდნენ, რადგან თვითონაც უცხოელი მბრძანებლების ტირანიის მსხვერპლი იყვნენ. დამპყრობთა ბოროტების აღსაკვეთად კათალიკოსმა განიზრახა, მონღოლეთში გამგზავრებულიყო. აი, რას მოგვითხრობს ამ მოგზაურობის შესახებ „ქართლის ცხოვრება“:

„ამისთჳს წარვიდა ულოს წინაშე კათალიკოსი ნიკოლოზ, კაცი მხილველი სულითა, ანგელოზთა მიმსგავსი, და მრავალთა მოღუაწეთა შინა საკჳრველი, მართლმადიდებელი, ბრძენი და თუალ-უხუავად მამხილებელი მეფეთა და მთავართა, რამეთუ იყო უმანკოება და, არავის თუალნი აქუნდის, იხილა რა ყაენმან, განჰკჳრდა ფრიად და ხილვასა

1 იხ. ჟორდანია, ქრონიკები, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
2 იხ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

შესახედავსა მისსა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქრისტეანე-თასა, თვნიერ არქუანთა; და ვითარ პატივ-სცა, დაუწერეს იერლაყი, რომელ არს წიგნი შეწყალებისა, შეუქმნეს და მოსცეს მანად ჯუარნი ოქროსანი და შეუმკუნა თვალითა და მარგალიტითა, და უბოძა ერთი თუთ კათალიკოზსა და ერთი მოძღუარისა ვარძიისასა, რომელი თანა ჰყვა კათალიკოზსა და არგანიცა იგი ოქროთა შემკული მოანიჭა კათალიკოზსა ოდენ, ჯუარიანი იგიცა, და ესრეთ პატივითა წარმოავლინეს, და დაიცვნა ყოველნი საყდარნი და მონასტერნი“[1].

კათალიკოსს დაახლოებით 1245 წელს უნდა ემოგზაურა.

ჩვენ მის მიერ დამტკიცებული რამდენიმე სიგელი გვაქვს. აი, 1259 წლით დათარიღებული ერთი სიგელის ნაწყვეტი:

„ჩუენცა გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა ზეგარდამოსრულთა უმიწოთა დედისა მისის კელითა შეთელილის კუართის საუფლოჲს მიერ და სუეტის ცხოველის მეექუსისა პატრიარქის და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოჲს კათალიკოზი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარვსწერ. შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ მადლითა კათოლიკე ეკლესიისა და მუნ შინა ღვთივ აღმართებულისა სუეტის ცხოველის და... მის ანტიოქიის და ღმერთ მყოფელის მიჰრონისა და კვართისა საუფლოჲსა მადლითა და ყოველთა პატრიარქთა, ქათალიკოზთა და ეპისკოპოზთა მართლმადიდებელთა მადლითა და სარწმუნოებითა და ჩუენ გლახაკისა ჯუარითა, ამინ“[2].

ჯერ კიდევ კათალიკოს ნიკოლოზის ზეობისას, 1280 წელს თბილისში მოიწვიეს ეპისკოპოსთა კრება საეკლესიო ქონების დამტა-ცებლის, მეფე დიმიტრი II-ის (1273-1289) სამხილებლად, მაგრამ კრება ვერაფერს გახდა. კათალიკოსმა ნიკოლოზმა კი განაგრძო მეფის უწესობის მხილება, რომელიც უსჯულო დამპყრობელთა გზას ადგა და აუტანლად ავიწროებდა ეკლესიას. „ქართლის ცხოვრება“ მოგვი-თხრობს, თუ როგორ დაამთავრა ცხოვრების სარბიელი ამ დაუცხრო-მელმა და მხნე მოძღვარმა:

„აქამომდე მეფე დიმიტრი, კეთილად მმართებელი, სკიპტრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართებელი, სისრულისაგან მცირედ მიდრკა,

1. Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 541-542; იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. II, თბილისი, 1955, გვ. 224.

2 ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 142.

და აღერია წარმართთა. და ისწავნა საქმენი მათნი, უმღერმისა და სიმჭისა, ·გულის-სიცქუსა უკანა შემდგომელმან მოიყვანნა ცოლნი სამნი, ერთი მექას ასული, და სხუა რომელი დედათა შეაცთუნეს სოლომონისებრ, და ურიცხუთა კეთილთა მიერ აღვსებული მცირედ სიმოროცედ მიდრკა, რომლისათჳსცა ნიკოლოზ კათალიკოსი განრისხებული უთქმიდაკე და ამხილებდა მრავლად, და ვერ არწმუნა. ამისთჳს დაუცევა კათალიკოსობა, და კელითა თჳსითა აკურთხა ჯუარისმცკრთველი მეფისა ამრაჰამ კათალიკოსად და თჳთ წარვიდა მამულად თჳსად, მოხუცებული, და მუნ იყოფოდა, მრავლითა მოღუაწებითა, მარხვითა, მღჳძარებითა და გლახაკთ მოწყალებითა, და სავსე სათნოებითა ცკრთითა უფლისა მიმართ მიიცვალა“[1].

კათალიკოსი აბრაამი საკმაოდ კარგად არის ცნობილი ისტორიაში. იგი ცდილობდა გაჰყოლოდა თავისი წინამორბედის კვალს. აბრამ კათალიკოსი თან ახლდა დემეტრეს მონღოლეთში, რათა მეფისგან განრისხებული ბარბაროსი მბრძანებელი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერ იხსნა მეფის სიცოცხლე. 1294 წელს კათალიკოსმა საქართველოს მეფედ აკურთხა დავით VI (1292-1310). შემდგომში კი როგორღაც შეძლო მშვიდობის აღდგენა ამ მეფესა და მონღოლთა ჯარის სარდალ ყაზანს შორის[2].

## X. – ზოგიერთ მომდევნო კათალიკოსის ზეობის დაუდგენელი თარიღები. კუმურდოს ეპისკოპოსის მიერ კათალიკოსის უზენაესობის აღიარება

მეფე გიორგი V ბრწყინვალეს ზეობისას (1318-1346) ცნობილია ორი კათალიკოსი: კათალიკოსი ექვთიმე და მისი მომდევნო — ბასილი (III). მათზე ისტორიამ ცნობები არ შემოგვინახა, მაგრამ მიუხედავად ამ დუმილისა, ჩვენი აზრით, ორივე კათალიკოსმა დიდი სამსახური გაუწია თავის ქვეყანას, რადგან მეფე გიორგი იმ დიდ მონარქთაგანი იყო, რომლებმაც სხვადასხვა ეპოქაში ნანგრევებიდან აღადგინეს საქართველო და მას უწინდელი დიდება დაუბრუნეს. მეფეს თავის კეთილი წამოწყებებისას არ შეიძლებოდა ზემოხსენებულ კათალიკოსებზე უკეთესი მრჩევლები და თანამზრახველნი ჰყოლოდა. მართლაც, მეფე გიორგის მიერ შექმნილ „ძეგლის-დების“ შესავალში ვკითხულობთ, რომ კათალიკოსი ექვთიმეც „ძეგლის-დების“ ერთ-ერთი მთავარი შემდგენელი იყო.

1. Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 599, იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 232.

2 დასახ. ნაშრ:, გვ. 612 და 619.

ამ დროიდან, ე.ი. 1346 წლიდან XV ს-ის შუა წლებამდე, „ქართლის ცხოვრებაში“ ბევრი ცარიელი ადგილია, მცირეოდენი ცნობები კი, რომლებსაც ის გვაწვდის, ბუნდოვანი.

ხსენებულ პერიოდში, თათრები დაუსრულებლივ იკლებენ საქართველოს. მათი შემოსევები განსაკუთრებით მძაფრდება დაუნდობელი ტამერლანის (თემურლენგის, 1336-1405) დროს, რომელმაც მრავალჯერ ააოხრა საქართველო. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო ვერაფერს გეტყვით მაშინდელ სულიერ წინამძღვარზე. ისტორიის ამ მონაკვეთს კი შემდეგ თავში გაგაცნობთ.

1377 წელს მეფე გიორგის სიგელში მოხსენიებულია კათალიკოსი ნიკოლოზი (III), რომელიც ისევე უცნობია ისტორიისათვის, როგორც მეფე გიორგი. მაგრამ ვინაიდან ამ სიგელზე ეჭვმისატანი მიზეზი არა გვაქვს, ვერ გაგვიბედავს, უარვყოთ მისი არსებობა. 1393 წლით დათარიღებული იმავე მეფე გიორგის სხვა სიგელში ქებით არის მოხსენიებული კათალიკოსი გიორგი (V), რომელიც ასევე უცნობია ისტორიისათვის. მის სახელს, 1398 წელს, ერთ-ერთი დიდებულის სიგელშიც ვხვდებით; 1399 წელს, იმავე მეფე გიორგი VII-ის ზეობისას (1395-1407), ჩნდება კათალიკოსი ელიოზი (I), რომელსაც მრავალი სიგელი იხსენიებს 1419 წლამდე. ელიოზმა უარი თქვა კათალიკოსობაზე. იგი შეცვალა მიქაელმა (III), რომელსაც დოკუმენტების მიხედვით კათალიკოსის ტიტული ჰქონდა 1428 წლამდე. მხოლოდ ამ წლის სიგელებში ვხვდებით ალექსანდრე მეფის (1413-1442) შვილს, კათალიკოს დავითს (II).

შემდგომ გუჯრებში მრავალჯერ იხსენიება კათალიკოსი თეოდორე (II) (1429—1438). თეოდორეს შემდეგ, 1429 წლის დოკუმენტებში ვხვდებით სხვა დავითს (III). 1441-1446 წლის სიგელებში კათალიკოსი შიო ავსებს სიცარიელეს. ამის შემდეგ, 1447 წლიდან 1459 წლამდე,ისევ კათალიკოსი დავითია, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, ეს ზემოხსენებული დავითია თუ სხვა კათალიკოსი. ამაში დასაეჭვებელი საბუთები კი ნამდვილად გვაქვს, რადგან იმ დროს კათალიკოსებს საკმაოდ ხშირად ცვლიდნენ საკუთარი სურვილით ან რაიმე მოტივით. ზოგჯერ კი გარემოებათა შესაბამისად ზოგიერთი კათალიკოსყოფილი წართმეულ საყდარს იბრუნებდა. რადგან ამ შემთხვევაში მსგავსი ცვლილებების არავითარი საბუთი არა გვაქვს, ამიტომ ვფიქრობთ, უკანასკნელი დავითი სხვა კათალიკოსია.

აი, მორჩილების ანუ ერთობის დოკუმენტი, რომელიც სამცხის სამთავროში შემავალმა კუმურდოს ეპისკოპოსმა, ივანე ლასურის ძემ მიართვა დავით კათალიკოსს, მაშინ, როცა ამ სამთავროს სხვა ეპისკოპოსები, ანტიოქიის პატრიარქის წაქეზებით, არ ცნობდნენ მცხეთის კათალიკოსის უზენაესობას.

„აწ დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული, მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიკსენებდეთ. ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყვნენ, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ეპისკოპოზთა გუერდი ჟამი არა ვწიროთ და არცა მათსა სამწყსოსა უწიროთ, სადამდის თქუენგან აკსნითობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუივიდეს. ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიყუნეთ და თუ ყუარყუარე მაწყუერლობა ანუ სხუა რამე კელი გუაძლიოს და დაგუპაცრიჯოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და რაზედაცა, უწყრემით, თქუენისა საყდრისა წესითა იგი ისრევე არა დაგუერვოს რაგვარაც თქუენ და თქუენსა საყდარს გმართებს, მით წესითა, სხუა კელი არა გამოვართოთ და არცა რა ვინდომოთ თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად. თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველნი.

ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს, მძლუნენი და მოსამსახურენი, ესე ასრე გაგითაოთ ღმერთმან, მამამან, ძემან და წმიდამან სულმან და იმა საშინელმან ხატმან კუმუროდსამან და რასაცა მიზეზისათვის ესე აღთქმა ვიცრუოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ, ღმრთისა და მისთა წმიდათასა და კათოლიკე ეკლესიისაგან განვისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძუირის მოქმედნი, და ვინცა, ანუ სამწყსომან, ანუ სხუამან ვინ კაცმან, შეიწყნაროს, იგიმცა კაცი კრულია ღმრთისა დაუსაბამოსა პირითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, სადამდის თქუენვე არა შემიწყალოთ“[1].

ამ ძუნწი ცნობების გარდა, არაფერი მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს ხსენებულმა კათალიკოსებმა ეკლესიისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ. მართლაც, იმდროინდელი ისტორია მხოლოდ თათრების მიერ დატრიალებულ აურაცხელ უბედურებას აგვიწერს. თათართა განდევნის შემდეგ კი, ქართველი მეფეები, განსაკუთრებით ალექსანდრე (1413-1442), შეუდგნენ საყდრებისა და შემუსრული ეკლესიების აღდგენას. ეკლესიების აღდგენაში ზოგიერთ ზემოჩამოთვლილ კათალიკოსსაც უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა.

## XI. – იმ კათალიკოსთა ნუსხა, რომელთა შესახებაც ცოტა რამ არის ცნობილი. კათალიკოსთა სიმრავლე

აი, იმ კათალიკოსთა სახელები, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა ეპოქაში წარჩინებულ პირთა მიერ გაცემულ სიგელებში: მარკოზი,

1. Brosset, Histoire de la Géorgie, II ნაწ. II ნაკვეთი, St-Pétersbourg, 1857, გვ. 466-467; იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 268; ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI), გვ. 25-27.

1460—1464; დავით (V), 1466-1479; ევაგრე (I), 1488; აბრაამ აბალაკი, 1492-1499; ეფრემ (I), 1498-1500; ევაგრე (II), 1499—1502, დოროთეოს (I), 1503-1516; იოანე (V), 1516-1517; ბასილ (IV), 1518-1529; მელქისედეკ (II), 1532-1549; იოანე (VI), 1534-1558; სიმონ (I), 1544-1548; ნიკოლოზ (IV), 1552; დომენტი (I), 1557-1560; ნიკოლოზ (V), 1562-1597; ევდემოზ (I), 1578; დოროთეოს (II), 1583-1585; დომენტი (II), 1595-1602; ზებედე, 1610; იოანე (VII), 1610—1615; ქრისტეფორე (I), 1622-1660; ზაქარია, 1624; ეს კათალიკოსი 1633 წელს, სპარსელების მოახლოებისას, იძულებული შეიქნა, თეიმურაზ მეფესთან ერთად დასავლეთ საქართველოს შეხიზნებოდა. ევდემოზ (II), 1634, რომელიც 1642 წელს რენეგატმა მეფემ, როსტომმა მოაკვლევინა; დომენტი (III), 1660—1675; დავით (VI), 1672; ნიკოლოზ (VI), მცხეთის ეკლესიის აღმდგენელი, 1676-1693; იოანე (VIII), 1688-1699; ბესარიონ, 1724-1735; დომენტი (IV), 1705-1742; ნიკოლოზ (VII), 1742, რომელიც 1744 წელს მოკლეს; ანტონ (I), 1744-1788, რომელიც 1755 წელს განდევნეს კათოლიკური რწმენის აღიარების გამო, 1763 წელს კი აღადგინეს; იოსებ, 1755-1763; ანტონ (II), მეფე ერეკლეს ვაჟი, უკანასკნელი კათალიკოსი, (1788-1811), რომელიც რუსეთში გაგზავნეს და შეცვალეს ეგზარხოსით.

ქართველ ავტორთა მიერ წარმოდგენილი კათალიკოსთა ნუსხები ყოველთვის როდი შეესაბამება ერთმანეთს; ერთნი ასახელებენ 60 კათალიკოსს, მეორენი კი — 120-ს.[1] ამ გაუგებრობის გამო, ჩვენს ნუსხაში მხოლოდ ის კათალიკოსები შევიყვანეთ, რომელთა უტყუარობაშიც ეჭვი არ გვეპარება.

ჩვენ მიერ მოყვანილ ნუსხაში ერთ პერიოდში ზოგჯერ სულ არ ვხვდებით კათალიკოსს, ზოგჯერ კი ერთის ნაცვლად რამდენიმეა. იმის გამო, რომ მოკლებულნი ვართ საჭირო მასალას, არც ამ ცარიელი ადგილების შევსება ძალგვიძს და არც თარიღებისა და კათალიკოსთა რიცხვის აბსოლუტური სიზუსტით წარმოდგენა.

ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მეფეები თავიანთი ჭირვეულობის, ხშირად კი გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო, ხსნიდნენ ან ცვლიდნენ კათალიკოსებს და ბუნებრივია, ვინც უსამართლოდ იყო გადაყენებული, მეფეს აღარ ემორჩილებოდა და მისი განდგომილი ხდებოდა. აი, სიგელი, რომელიც შესაძლოა კათალიკოს მალაქიას (1532-1549) ეძლეოდეს და რომელშიც ნათლად ჩანს, რომ კათალიკოსების გადაყენება იშვიათი არ იყო:

---

1 იხ. ვახუშტი. საქართველოს ისტორია; ვატიკანის ბიბლიოთეკა, ბორჯიას ფონდები, ქართული ხელნაწერები, N1; ჯანაშვილი, ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1886;. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890; კარბელაშვილი, საქართველოს ეკლესიის იერარქია, თბ., 1904.

„ჩუენ... მეფემან ლეონ და მეცხედრემან ჩუენმან... დედოფალმან თინათინ და ძეთა ჩუენთა: პატრონმა ალექსანდრე, ელიმირზა, კონსტანტინე, თეიმურაზ, ქაიხოსრო, ვახტანგ, ერეკლე და მაგრათ ესე... წიგნი... მოგაკსენეთ (მცხეთას)... და ქართლის კათალიკოზს მალაქიას... ასე რომე... დღეის უკანის რაიც ასრე საკანუნო იყოს, რომე ჩუენი რჯული არ მოგუეცემდეს, თქუენად ნება-დაურთავად არც ვის ქალი მივსცეთ და არც ვისი ჩუენ მოვიყუანოთ და ჩუენსა მატონობამიგა ვინც საკანონო საქმე ქნას ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ მცირემან, რუსხუშულ ვყოთ და თქუენცა გამოგანახოთ და არცა ჩუენთა კართა მოუშუათ, სანამდისი თქუენ შენდობა არ მისცეთ და რაიცა საყდარზედა ეპისკოპოსი არ იჯდეს და გარდადგომილიყოს, არცა იმას ჟამი ვაწირვინოთ... და რაც საყდრისა გუჯრემი იყოს... მოვიკითხოთ... გაგიგონოთ...“[1].

### XII. — კათალიკოსის არჩევა და მისი იურისდიქციის ფარგლები

კათალიკოსს ქვეყნის სულიერ მეუფედ რაცხდნენ, რასაც მრავალი დოკუმენტი ცხადყოფს. ვახტანგ VI-ის ქართული სამართლის წიგნის XXV მუხლი მას მეფის თანასწორად მიიჩნევს:

„მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი კორცის ჴელმწიფე არის და მეორე – სულისა, კურთხევა და პატივიც ღრმთისაგან და კაცთაგან სწორე აქვთ. დასტურ, მეფეს უფროსს პატივს სცემენ, მაგრამე კორციელის შიშით იქმონენ, ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორად დაგვიწერია“.[2]

მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მეფეებს ცუდად მოპყრობოდნენ, გადაეყენებინათ და თვითნებურად განედევნათ კათალიკოსები. თუმცა არც ეს კათალიკოსები გვევლინებოდნენ ყოველთვის ერის მხსნელებად. ხშირად ისინი არც იყვნენ კანონიერი წესით არჩეულნი. მეფეებს კათალიკოსად სურვილისამებრ ხშირად მეფის ან დიდებულთა ოჯახის სრულიად უღირსი პირებიც კი ჰყავდათ. ცხადია, ამის გამო წმინდა სულიერი ინტერესები სავსებით უყურადღებოდ რჩებოდა. მოძღვრებსა და მაღალი წრის სამღვდელოებას ნაცვლად იმისა, რომ სულსა და

1 ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 390. დოკუმენტი, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, შედარებით მოკლეა, ვიდრე მ. თამარაშვილის გამოქვეყნებული ტექსტის ფრანგული თარგმანი (რედ.).

2 Brosset, Histoire de la Géorgie, შესავალი, St–Pétersbourg, 1858, გვ. CXIII; იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 488.

საეკლესიო საქმეებზე ეზრუნათ, პოლიტიკასა და სამხედრო საქმეებშიც კი ერეოდნენ. ხშირად სხვა ქვეყნის მეფეთა კარზე ელჩებად და შუამავლებადაც კი გვევლინებიან. მაგრამ, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ზნედაცემულობისა, კათალიკოსთა იურისდიქცია მაინც ძალიან ფართოდ იყო გაწშტოებული; ხელთ ეპყრათ როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლება. მთელი ქართული მოსახლეობა და თვით ლაშქარიც მათ აბსოლუტურ ძალაუფლებას ემორჩილებოდა. ეს მდგომარეობა კარგად არის ასახული ქვემოთ მოყვანილ ორ სიგელში:

„ⴑⴀⴂⴀⴐⴄⴟⴍ ⴋⴀⴋⴓⴊⴈⴑ ⴘⴄⴋⴍⴑⴀⴅⴊⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴌⴀⴞⴄⴅⴀⴐⴑ ⴓⴃⴀⴁⴌⴍ ⴀⴈⴖⴄⴁⴃⴀ ⴃⴀ ⴌⴀⴞⴄⴅⴀⴐⴑ ⴋⴚⴞⴄⴇⴀ. ⴑⴀⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴍ ⴋⴀⴋⴓⴊⴘⴈ ⴐⴀⴚ ⴑⴀⴞⴄⴊⴋⴜⴈⴔⴍ ⴑⴀⴋⴑⴀⴞⴓⴐⴈ ⴂⴀⴋⴍⴅⴈⴃⴍⴃⴄⴑ, ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴈⴑ ⴉⴀⴚⴄⴁⴈ ⴀⴈⴖⴄⴁⴃⴄⴌ ⴃⴀ ⴋⴄⴔⴈⴑ ⴋⴍⴞⴄⴊⴄⴌⴈ ⴌⴓ ⴘⴄⴅⴊⴄⴌ... ⴐⴍⴂⴍⴐⴀⴇⴀⴚ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴈⴑ ⴊⴀⴘⴕⴀⴐⴇⴀⴌ ⴑⴞⴅⴀⴑ ⴑⴀⴐⴃⴊⴄⴁⴑⴀ ⴃⴀ ⴑⴎⴀⴑⴀⴊⴀⴐⴄⴁⴑ ⴤⴄⴊⴈ ⴀⴐ ⴠⴕⴍⴌⴄⴁⴈⴀ, ⴊⴀⴘⴕⴀⴐ-ⴌⴀⴃⴈⴐⴍⴁⴀⴑ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴑ ⴞⴊⴄⴁⴈⴀⴌ, ⴈⴑⴄⴅⴄ ⴀⴞⴊⴃⴄⴌ ⴃⴀ ⴇⴓ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴈ ⴀⴐ ⴈⴗⴍⴑ, ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴈⴑ ⴑⴀⴐⴃⴀⴊⴑ ⴈⴀⴞⴊⴌⴄⴌ... ⴅⴈⴌⴚ ⴑⴀⴋⴚⴞⴄⴇⴍ ⴟⴀⴐⴈⴀ ⴕⴀⴐⴇⴊⴑⴀ ⴃⴀ ⴉⴀⴞⴄⴇⴘⴈ, ⴑⴓⴊⴗⴅⴄⴊⴀ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴑ ⴈⴀⴞⴊⴄⴁⴍⴃⴄⴌ; ⴇⴓ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴈ ⴀⴐ ⴈⴗⴍⴑ-ⴈⴋⴈⴑ ⴑⴀⴐⴃⴀⴊⴑ... ⴐⴍⴃⴄⴑⴀⴚ ⴅⴀⴞⴚⴀⴌⴂ ⴂⴍⴐⴂⴀⴑⴀⴊⴑ ⴋⴚⴞⴄⴇⴀⴑ... ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀ ⴑⴅⴄⴒⴈ-ⴚⴞⴍⴅⴄⴊⴆⴄ ⴀⴖⴓⴘⴄⴌⴄⴁⴈⴀ ⴃⴀ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴆⴈ ⴋⴀⴑ ⴆⴄⴃⴀ ⴎⴀⴒⴐⴈⴀⴐⴕⴀⴃ ⴂⴀⴌⴓⴜⴄⴑⴄⴁⴈⴀ... ⴃⴀ ⴋⴄⴄⴕⴅⴑⴄⴑ ⴉⴐⴄⴁⴀⴘⴈ ⴉⴍⴌⴑⴒⴀⴌⴒⴈⴌⴄ ⴎⴀⴊⴍⴌⴀⴒⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴅⴈⴃⴄⴅ ⴉⴍⴌⴑⴒⴀⴌⴒⴈⴌⴄ ⴃⴀ ⴑⴞⴅⴀⴇⴀ ⴀⴌⴒⴈⴍⴕⴈⴑ ⴉⴐⴄⴁⴀⴘⴈⴚ ⴋⴈⴓⴚⴈⴀⴇ ⴑⴀⴋⴜⴗⴑⴍⴃ ⴃⴀ ⴤⴄⴊⴕⴅⴄⴘ ⴇⴔⴈⴊⴈⴑⴑ ⴆⴄⴋⴍ ⴃⴀ ⴕⴅⴄⴋⴍ ⴕⴀⴐⴇⴊ-ⴉⴀⴞⴄⴇⴈ, ⴀⴊⴅⴀⴌⴈⴀ, ⴘⴀⴕⴈⴑⴈ, ⴘⴈⴐⴅⴀⴌⴈ,ⴃⴀⴐⴓⴁⴀⴌⴃⴈⴑ ⴆⴖⴅⴀⴋⴃⴈ, ⴃⴀⴐⴓⴁⴀⴌⴃⴈⴃⴀⴋ ⴜⴀⴋⴍⴑⴅⴊⴈⴇ ⴋⴇⴈⴑ ⴀⴊⴀⴂⴄⴁⴈ ⴍⴅⴑⴄⴇⴈⴑ ⴑⴀⴋⴆⴖⴅⴐⴀⴋⴃⴈⴑ, ⴑⴀⴋⴀⴐⴀⴇⴈⴀⴌⴍ, ⴑⴍⴋⴞⴄⴇⴈ, ⴒⴀⴘⴈⴐⴈ, ⴇⴐⴈⴀⴊⴄⴇⴈ, ⴟⴀⴅⴀⴞⴄⴇⴈ, ⴗⴀⴈⴗⴓⴊⴈ, ⴋⴈⴑⴈ ⴂⴀⴐⴄⴋⴀⴋⴍ ⴃⴀ ⴈⴀⴊⴀⴇⴈ, ⴉⴀⴐⴈ ⴃⴀ ⴈⴋⴈⴑⴈ ⴂⴀⴐⴄⴋⴀⴋⴍ, ⴀⴌⴈⴑⴈ (ⴃⴀ) ⴈⴀⴊⴀⴇⴈ ⴀⴆⴐⴓⴋⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍⴑ ⴑⴀⴋⴆⴖⴅⴀⴐⴑ ⴈⴕⴈⴇ ⴆⴄⴋⴍ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍ, ⴐⴍⴋⴄⴊ ⴀⴐⴑ ⴑⴀⴋⴚⴞⴄⴇ-ⴑⴀⴀⴇⴀⴁⴀⴂⴍ, ⴒⴀⴍ, ⴔⴀⴐⴞⴈⴀⴌⴈ, ⴇⴍⴐⴇⴍⴋⴈ, ⴍⴊⴇⴈⴑⴈ, ⴔⴀⴌⴄⴉⴈ (ⴃⴀ) ⴈⴋⴈⴑⴈ ⴂⴀⴐⴄⴋⴄⴋⴍ ⴃⴀ ⴈⴀⴊⴀⴇⴈ, ⴊⴈⴂⴀⴌⴈⴑⴤⴄⴅⴈ, ⴀⴐⴇⴅⴈⴌⴈ, ⴘⴀⴅⴘⴄⴇⴈ, ⴉⴍⴊⴀ, ⴉⴊⴀⴐⴟⴄⴇⴈ, ⴀⴝⴀⴐⴀ, ⴕⴍⴁⴓⴊⴄⴇⴈⴀⴌⴈ, ⴃⴀ ⴈⴋⴈⴑⴈ ⴂⴀⴐⴄⴋⴄⴋⴍ, ⴀⴞⴀⴊⴚⴈⴞⴄ ⴃⴀ ⴀⴜⴗⴓⴐⴈ ⴃⴀ ⴈⴋⴈⴑⴈ ⴂⴀⴐⴄⴋⴄⴋⴍ ⴃⴀ ⴈⴀⴊⴀⴇⴈ, ⴍⴅⴑⴄⴇⴈ ⴑⴐⴓⴊⴈⴀⴃ ⴙⴄⴐⴕⴄⴆⴈⴑ ⴃⴀ ⴑⴅⴀⴌⴄⴇⴈⴑ ⴑⴀⴋⴆⴖⴅⴐⴀⴋⴃⴈⴑ ⴃⴀ ⴋⴀⴑ ⴘⴈⴌⴀ ⴓⴃⴀⴁⴌⴍ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀⴌⴈ...

ⴋⴈⴒⴐⴍⴎⴍⴊⴈⴒⴌⴈ ⴃⴀ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀⴌⴌⴈ... ⴙⴓⴄⴌⴚ ⴋⴉⴅⴈⴃⴐⴀⴃ ⴂⴉⴁⴍⴛⴄⴁⴈⴀ: ⴑⴀⴋⴜⴗⴑⴍ ⴀⴐⴆⴐⴓⴋⴈⴑⴀ ⴄⴞⴊⴀ ⴤⴄⴊⴇ ⴀⴐ ⴂⴅⴈⴝⴈⴐⴀⴅⴑ... ⴃⴀ ⴆⴄⴋⴍ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍ, ⴐⴍⴋⴄⴊ ⴀⴐⴑ ⴑⴀⴋⴚⴞⴄ-ⴑⴀⴀⴇⴀⴁⴀⴂⴍ...“[1].

“ⴕ. ⴙⴓⴄⴌ ⴤⴄⴊⴋⴜⴈⴔⴄⴋ, ⴋⴄⴔⴄⴋ ⴀⴊⴄⴕⴑⴀⴌⴃⴐⴄⴋ ⴄⴑⴄ ⴜⴈⴂⴌⴈ ⴋⴍⴂⴀⴐⴇⴅⴈⴇ ⴇⴕⴓⴄⴌ, ⴙⴓⴄⴌⴑ ⴑⴀⴑⴍⴄⴁⴀⴑ ⴃⴀ ⴑⴈⴕⴀⴃⴓⴊⴑ ⴑⴅⴄⴒⴈⴑ ⴚⴞⴍⴅⴄⴊⴑⴀ, ⴃⴀ ⴉⴅⴀⴐⴇⴈⴑⴀ

1 **Brosset**, Histoire de la Géorgie, შესავალი, გვ. CX–CXII7 გამოქვეყნებული ტექსტი შემოკლებით მოთავსებულია ჟორდანიას „ქრონიკებში“, ტ. II, გვ. 453.

საუფლოსა, და მირონსა წმინდასა და სულისა ჩუენისა მეოხსა კათალიკოზს მასილს, ასე და ამა პირსა ზედა, რომე: რაც თქუენი ყმა იყოს ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოს, სომხეთს თუ საბარათიანოს, ტრიალეთზედა თუ იმერეთს, ლაშქარსა და ნადირობას თქვენი ყმა თქუენ ნუ გაგეყრებით — თქუენ ბრძანდებოდეთ, თქვენ გიახლოსთ და თუ თქუენ არ ბრძანდებოდეთ, თქუენი სარდალი და დარბაისელნი იყუნენ, მათ იახლნენ, სხვას სარდლებსა და ამირსპასალარს ჴელი ნუ აქუს თქუენს ყმასთან ნურცავინ გაგყრის თქუენს აზნაურშვილსა და გლეხს, ყუელა ჩუენს დროშაზედ უნდა იქნებოდნენ ქორონიკონს მი. მეფეთ-მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ".[1]

ძნელია იმის ამოცნობა, თუ როდის დაიწერა პირველი გუჯარი, მეორე კი 1362 წლით თარიღდება.

## XIII. — მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიის სიმდიდრე

მცხეთის საკათალიკოსო ტაძარს უდიდესი სიმდიდრე ჰქონდა, რომლის მმართველი და დამოუკიდებელი მფლობელი თვით კათალიკოსი იყო. იგი მამულებს ძირითადად შეწირულებებით იფართოებდა[2], რომელთაც ყოველი მეფე ტახტზე ასვლისას უმტკიცებდა ეკლესიას. შეწირულების ბევრმა სიგელმა მოაღწია ჩვენამდე. აქ მოვიყვანთ ერთ-ერთ დოკუმენტს, სადაც მეფე ეკლესიას უმტკიცებს მის უწინდელ კუთვნილებას:

„ღვთის წყალობით, ჩვენ ალექსანდრე I, მეფე სრულიად საქართველოსი ქართლის, კახეთისა და იმერეთისა, მფლობელი სამცხის,

---

1 ხელნ. ინსტ. ფ. H 1721. XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტ. დოკუმენტი, თბ., 1964.

2 „ისევე როგორც ყველგან, კავკასიაშიც, შუა საუკუნეებში — უცხო ტომთა შემოსევების ომების, შინაური ბრძოლების, ყოველნაირი გასაჭირის დროს, ეკლესიამ ისარგებლა ერთთა გულუბრყვილო რწმენით და მეორეთა მეტ-ნაკლებად გულწრფელი მონანიებით.

ზოგჯერ ჭეშმარიტი მოწოდება საშკაროსგან განდგომილ მდიდარ მომნანიებლებს აძებნინებდა თავშესაფარს რელიგიის წიაღში და განა მათი ვალი არ იყო, გამოუსადეგარი სიმდიდრე კეთილ საქმეში გამოეყენებინათ? დროდადრო ზოგიერთი სინდისდამძიმებული ძლიერი ამა ქვეყნისა ცდილობდა, სამღვდელოების მიმართ ხელგაშლილობა და სიუხვე გამოეჩინა, რათა წარსული მიტევებოდა და მომავალში ზეციური მფარველობა მოეპოვებინა. ამას ემატებოდა მეფეთა და დედოფალთა ძღვენი, შესაწირავები ტახტზე ასვლისას, დღესასწაულებზე, დიდებულთა სტუმრობანი, მომლოცველობა, ქონება, მემკვიდრეობები; აღადგინეთ მთელი წარსული თავისი სოციალური ფენებითა და ჩვეულებებით, ღვთისმოშიშობითა და ცრურწმენით, მიაგეთ სამღვდელოებას ადგილ-მამულთა სიმდიდრე, თავისი შემოსავლით, ავტორიტეტით, პატივით, თავის წარმოჩენით ხანგრძლივი პროცესებისა და პომპეზური ცერემონიების დროს და საუკუნეთა განმავლობაში მონასტრებში დაგროვილი მთელი ამ სიმდიდრის ისტორია თვითონვე ახსნის ყოველივეს". J. Mourier, L'Art religieux au Caucase, Paris, 1887, გვ. 43-44.

ოდიშის, გურიის, სვანეთის, შაქის, შირვანის სამთავროებისა.

ჩვენ განვაახლეთ ჩვენს წინაპარ მეფეთა მიერ დაცოვემული წერილები და მეწირულობები: ძველი მეწირულობებს ხელახლა გწირავთ შენ, ღვთისა დარო, წმინდა და დიდო კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიავ, მასში აღმართულო სვეტო ცხოველო, უფლისა კვართო, უკვდავებისა წყაროვ მირონო[1]. ტფილისის ქალაქს ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარნი, ქულბაქნი და ბაჟნი თ^სითა შესავლითა; ავლაბარს მონასტერი მეტეხის ყოვლად წმიდისა მისის მამულითა, ავლაბრითა და ავლაბრის ჭალითა; მტკურის პირს სოფელი და კონი და ახალ-უბანი; ქალაქს ვაჭრებითა კრწანისი, სოფელი მინდისი; სოფელი წავკისი მათითა სამზღურითა და მეორე წავკისი მახრაღაჯითა, ხეკორძითა და მეტეხს რაც მეტოქია; დიღომს რაც მცხეთისაა გლეხნი, მამულნი და ზვარნი; ლიხს ხუთი კომლი კაცი; სოფელი წინუბანი და სათოვლე მთა; სოფელი ქუამნი; სოფელი უპიტი; სოფელი თელოვანი; სოფელი ბაღლაანი და ფაფანი; სოფელი ნაქულბაქევი, სოფელი მუხათ-გვერდი; სოფელი კარსანი; სოფელი ქართლი; მონასტერი არმაზისა ციხითა, შესავლითა და ბაჟითა; სოფელი მარტაცი; სოფელი ციხე-დიდი; სოფელი ძეგვი; სოფელი სასხორი; მონასტერი ლავრა და ქულივიძენი; წინარეჱს მონასტერი ყოვლად წმიდისა საქადაგო მათითა მამულითა; სოფელი ორმეთი, მონასტერი მალემწისა; სოფელი გუდალეთი და სოფელი ეზატი; დიდგორზე სოფელი მოხისი; სოფელი ნიამი; სოფელი გომი; სოფელი ჩოჩეთი და სოფელი მეტეხი; ჭკირის კომლი კაცი შვიდი; სოფელი გრაკალი და ატენს რაც მცხეთისაა – ეკლესია, ციხე, გლეხნი, მამული და აგარაკნი; ხვედურეთს სოფელი ცოლოთი; ხვედურეთს შვიდი საკომლო, იმერ-კევს სოფელი სარკის წმიდის გიორგისა მათითა მამულითა და მარჯანიძენი; სამწევრისს ზევით სოფელი სანემული; ნუას სამხარაძენი[2].

ამით ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ყოვლის სათხოვრისა და გამოსაღებისაგან. არა ეთხოებოდეს რა, არ ეწერებოდეს არაოდეს და არასა ჟამსა შიგან არა დიდი ხათათრო ულუფა, არ წერილი საწერო მუდამი ულუფა, არამეჯინიბეთა, არაბაზიერთა, არა ახოსაძართა, არა მებალეთა, არა ულაყი ეთხოებოდეს, არა საკლავის შემნახავნი, არა სამზარეულოს შეშის მზიდავნი და არა წყლის მზიდავნი და რაც კაცისაგან გაიგონების და ანუ მწიგნობრისაგან დაიწერების. ამასთანა არა ეთხოებოდეს და არა ეწერებოდეს არაფერი და არა სათხოვარი არა და არავის რა საქმე უც მცხეთისა შესავალსა შიგან არა კარით ჩვენით

---

1 **Brosset**, Histoire de la Géorgie, შესავალი, გვ. CXVI–CXXI. (ტექსტის ეს ნაწილი ჩვენი თარგმნილია. (მთარგმ.).

2 **Brosset**, Histoire de la Géorgie, გვ. CXVI–CXXI. ტექსტის ეს ნაწილი ამოღებულია თ. ჟორდანიას ქრონიკებიდან, ტ. II, გვ. 195-196. (მთარგმ.).

წარვლენილთა მოსაქმეთა და მოასილთა და არა სხვისა ადგილისა მოურავთა ვინცა მცხეთისა საქონებელსა ახლო იახლოს, არას დამადებელსა და არას ნათესავსა კაცსა არა საქმე უც მცხეთის შესავალსა თანა, არა პური და არა ღვინო, არა ზროხა, საკლავი, არა სამუშაო, ამასთანა არა და ვითა არავინ ღირსა ვერცა ვინ მკადრე არს მცვიცე ამ მრძანებასა ამას ჩვენისა მოშლასა აგრე უცილებლად ყოვლის კაცისაგან მოგახსენეთ თქვენ, დიდსა და ცათა მომაძავსა, ახალსა იერუსალიმსა და სამკვიდრებელსა ჩვენსა დიდ ქილაქსა, მცხეთას კათოლიკე ეკლესიასა და მას შინა სვეცსა ღ(მრ)თივ აღმართებულსა, კვართსა სამეუფოსა და მირონსა ღმრთმყოფელსა და თვით საუფლოსა ხაცსა ღმრთისასა კელთ-უქმნელსა წარსამართებლად მეფობისა ჩუჱნისა და განგრძელობისათჳს დღეთა ჩუჱნთასა და ნუგეშინისსა-ცემულად ცოდვილისა სულისა ჩუჱნისა დღესა მას საშინელსა და ზარისსახდელსა რათა გვთხოო წინაშე მსაჯულისა დაგვიცუნე ორკერძვე მცერისა სამრქუთა ყოველთავე სავნებელთაგან და აჰა შენ, წმიდაო მღვდელთმთავართ მთავარო,პატრიოსანო და მიმსგავსებულო და თანამე-სამამეო წმიდათა მღუდელთ-მოძღვართა მასილი და გრიგოლის, ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქო დომენტი, ვითარცა ჩვენგან ასრე დამცვიცებულსა და განთავისუფლებულსა მართებს ეგრეთ მვედრებელ მექმენ ღმრთის მიერ მოსაცევებლად ცოდვათა ჩუენთა და ნუმცა დავიწყებულ ვიქმნებით ლოცვათა და ვედრებათა შინა თქვენთა და აწე ვინცა და რამანცა კაცმან ანუ დიაცმან, ანუ მძლავრმან, მძლავრობით ანუ უქვედაესმან რჩომისათვის შესცვალოს და კელყოს ამის დაშლად და ქცევად და რაცა ამაშიგან მცხეთის საქონებელი მამული დაგვიწერიან მისდა გამოხვებად ანუ ვინ იუროს ანუ მოციქულ შეექმნას, ანუ რასაცა მიზეზისა შემოღებითა შეცვალოს, იგიმცა იცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა, ზრახავსმცა დაუსაბამო ღმერთი, მამა, ძე და სული ცხოველი. უკეთუ მეფემან` შეცვალოს დედოფალო-დედოფალთა შენ, იგი შესცვალე დიდებისაგან შენისა და ძისა შენისა და ვინცა და რამანცა გვარმან კაცმან და ანუ დიაცმან მოიგონოს და შესცვალოს ანუ საქმით ისაქმოს, ანუ თვით თავისთვის, ანუ სხვისათვის აღიხოცენ და მოისპენ ქვეყნით სახსენებელი მისი. კრულმცა არის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, შემცა ედების მრწოლა კაენისა, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან და ამირონისი, ნესტორ და ორიგინესანამცა არს სამკვიდრებელი სულისა მისისა და მასზედამცა დაესრულების ხმა ოცი ჯუარცმისა, რომელი თქუეს სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა და ასდამერვისა ფსალმუნისა წყევა მას ზედამცა დასდების და ვინ დაამცვიცოს ღმერთმან ყოველი მისი გაგებული მცვიცედ იყოს“[1].

---

1 **Brosset,** Histoire de la Géorgie, შესავალი, St–Pétersbourg, 1858, გვ. CXVI–CXXI. იხ. ცენტრალური არქივი, ფ. 1449, ს. 1312.

კათალიკოსს სიმდიდრის შეძენაში სასულიერო გამოსაღებიც ეხმარებოდა. როცა ვინმე ხალხის წინაშე შესცოდებდა ან ქორწინებას თან ახლდა რაიმე საეკლესიო დაბრკოლება, დამნაშავე, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო, წარუდგებოდა კათალიკოსს და შეწყალებას ითხოვდა, შემდეგ ეკლესიას უძრავ-მოძრავ ქონებას შესწირავდა თავისი შესაძლებლობისა და დანაშაულის სერიოზულობის შესაბამისად.

ჩვენ არ შევუდგებით ამ შეწირულებათა აღწერას. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი ამ კათალიკოსთაგან, თუმცა მატერიალურად აღვსილი იყო, მაინც ნაკლებად ზრუნავდა სასულიერო საკითხებზე. სწორედ ამან განაპირობა ქართული ეკლესიის დაუძლურება დაახლოებით შუა საუკუნეებიდან XIX ს-მდე. ქართულ ეკლესიას უკვე აღარ გააჩნდა ის უჩვეულო ძალა, რომელიც მას დაარსებიდან კიდევ მრავალი საუკუნის მანძილზე ასულდგმულებდა.

## XIV. – პროპაგანდისა და ურბან VIII-ის წერილები კათალიკოს ზაქარიასადმი

კათალიკოსთა შესახებ ისტორიამ თითქმის მხოლოდ სიგელ-გუჯრები შემოგვინახა. მათზე ძალიან ძუნწი ცნობები გვაქვს. აი, ის ცოტა რამ, რაც ვიცით. კათალიკოს ზაქარიას ზეობისას საქართველოში გამოაგზავნეს თეატინელი მისიონერები, რომელთაც კათალიკოსი გულთბილად შეხვდა და კათოლიკური მრწამსის ქადაგების ნება დართო. ზაქარიამ წერილიც კი მისწერა პაპ ურბან VIII-ს. აღუწერა ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც სპარსელებმა[1] ჩააგდეს საქართველო და დახმარება სთხოვა იავარქმნილი ეკლესიების აღსადგენად. პაპმა და პროპაგანდამ პასუხად მოსწერეს წერილი. აი, პროპაგანდის წერილი:

„საქართველოს პატრიარქს

პროპაგანდის კრების კარდინალებმა თეატინელ მოძღვართა მანდატური მისიონის წარმატება და საზოგადოდ მათი ყველა კაი ამბავი ჩასთვალეს ცხად ნიშნად იმისა, რომ მაგ მისიონს ყოვლისმპყრობელი ღმერთი განსაკუთრებით სწყალობდა. ამათ იმედი ჰქონდათ, მანდატური ერიც მიიღებდა მისიონერებს პატივით და სიყვარულით, მაგრამ ის კი არ ეგონათ, რომ თქვენი მეუფება ეგოდენ პატივსა და სიყვარულს აღმოუჩენდა. ამიტომ ჩვენმა ბატონმა კარდინალებმა ინებეს, რათა განსაკუთრებითი მადლობა მომეხსენებინა თქვენთვის მათი სახელით, რასაც სიხარულით ვასრულებ ამ წერილის საშუალებით. თქვენმა

1 Arch. de la Propag., ორიგინალი დაცულია Lettere di lingua straniera–ში, ტ. CLXXX, ფ. 12, თარგმანი დაცულია Lettere del Levante e dell'Asia, ტ. CXV, გვ. 394 და 397.

ქცევამ ისინი დაარწმუნა, რომ სავსებით ზრუნავთ თქვენდამი მინდობილი ერის ცხონებისათვის; ამიტომ ინებეს გამოგზავნა თეატინელთა პატრის იოსებ ჯუდიჩის და არქანჯელო ლამბერტისა, რათა არა მარტო მოუარონ სულიერად მაგ ერსა, არამედ, სიკვდილის, ანუ სხვა რამ უბედურების შემთხვევის დროს, დაიჭირონ მანდ მყოფი მისიონერების ადგილი. მაშ კეთილ ინებეთ, ნახეთ ესენი და სიამოვნებით მოუსმინეთ, ეგრეთვე ხელი შეუწყეთ, რათა შეიძლონ ღვთის სამსახურის მანდ უფრო ადვილად შესრულება. ესეთი თქვენი შემწეობა დიდად სათნო საყოფელი იქნება პაპისათვის და ჩვენთა ბატონთა კარდინალთათვის, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად სათნო საყოფელი იქნება ღვთისათვის. ვავალებ ზემოხსენებულ მამებს, პირადად უფრო მეტი რამ მოგახსენონ. რომით. 31 აგვისტოს, 1630 წ. „[1].

აქვე მოგვყავს წერილში ნახსენები პაპის ეპისტოლე:

„პაპი ურბან მერვე.

ზაქარიას, მთელის იმერეთის მიტროპოლიტად წოდებულს,

პატიოსანო ძმაო, მრწყინავდეს მაგ ერის გულთა შინა ქრისტე, მზე სიმართლისა. განიხარეთ მართალთა კრებულთან ერთად, ვინაიდგან სააზიო ივერიაში გამოჩნდნენ ყვავილნი ღვთის მადლისანი. ვსასოებთ, მანდეთკენ, მალე დამწიფდეს ნაყოფი, რომელიც იქნება ტკბილი მაგეთა ჩვენთათვის და ღირსი ანგელოსთა ტაბლაზე მისართმევათ. მაგ შორეული პროვინციიდგან მობრუნებული ჩვენი საყვარელი შვილი პიეტრო ავიტაბილე თეატინელი მღვდელი, დიდის სიხარულით და მოციქულებრივის სიყვარულით მივიღეთ და მოვუსმინეთ. გვაუწყა, მანდ, ღვთის შემწეობით მოვლენილ რომის ეკლესიის მღვდელთათვის მეფესა და მიტროპოლიტს რა დიდი შემწეობა აღმოუჩენიათ. ვევედრებით სახიერ ღმერთს, რომელიც შემოკრებს განბნეულ ისრაელის ერს, რათა, როგორც დაიწყო, ისე თვითვე შეასრულოს და ვატიკანის მთა-წმიდას შემოუერთოს ივერიის მეფე და ერი. ვინაიდან უფალმა ეს ადგილი აირჩია სარწმუნოების ტაძრად, რათა მღვდელმთავრის კლიტით გაეღოს ზეციური სასუფევლის კარი მორწმუნე ერთა. ყოველთა ტომთა დედაქალაქი რომი ელოდება ნუგეშისცემა მიიღოს თქვენი სამეფოსაგან; თქვენი სახელი კიდეც განითქვა მთელს იტალიაში. დიდად განიხარეს კარდინალთა კრებამ, გვირგვინოსან მეფეთა და კათოლიკე ეკლესიის ყველა რჩეულთა, როდესაც შეიტყვეს, რომ საქართველოში თქვენის მეთაურობით ეკლესია დაარსდა ჩვენის მღვდლებისა. ეგ ეკლესია იქნება სამკვიდრებელი არა მარტო ზეციერთა სათნოებათა, რომელნიც ქვეყანას ბედნიერებას მიანიჭებენ, არამედ მანდედგან მუდამ აღავლენენ ზეცად მეფეთა მფარველ ლოცვას,

1 Arch. de la Propag., Lettere della S. Congregatione, ტ. X, ფ. 96. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", თბ., 1902, გვ. 115.

რათა მოუპოვონ ანგელოსთა გუნდთა შემწეობა და რათა ორკეცად გაიმარჯვოთ: სძლიოთ მტერთა და აგრეთვე გულის თქმათა, გვნებავს, ესევე პატრი პიეტრო თქვენთან მომრბანდეს, რათა მოგახსენოთ ჩვენი თქვენდასაკეთილდღეოდ ზრუნვა. ეს პატრი ღირსია, ქართველებმა, რაც შეიძლება, პატივი სცენ, რადგან თქვენის ცხოვნებისათვის სტოვებს თავის ხამშობლოს და ივიწყებს თავის ნათესაობას. მისგანვე სცნოთ მიზეზსა თუ რატომ არ მოჰყავს თან ამ საშიშო გზაში თქვენ მიერ ნათხოვნი მკურნალები და მხატვარნი. დიდათ ვნატრობთ, ყველაფერში ენდოთ, და, რაც შეგიძლიათ, შეეწიოთ. სიკეთეს ღმერთი გადაგიხდით, რადგან თვითვე მრძანებს, რომ ვინც ჩემს მღვდლებს სიკეთეს მიაგებენ და უცხოთ შეიწყნარებენ, მე თვითონ შემიწყნარებენო. უკეთუ თქვენს მფარველობას არ მოაკლებთ მანდ მყოფთ თეატინელ და ავგუსტინიან მღვდლებსაც, რომლებიც სათნოებით შემკულნი და სიყვარულით აღჭურვილნი არიან, მაშინ შეიქმნებით ღირსი ღვთის მოწყალებისა. ვსთხოვთ მოწყალე ღმერთს თქვენსა და საქართველოს სამეფოს ბედნიერებას და აგრეთვე კათოლიკე სარწმუნოების გაძლიერებას. რომით, 21 ივნისს, 1631 წ. მღვდელთმთავრობის მერვე წელსა“[1].

### XV. – დომენტი IV-ს, ნიკოლოზ VI-სა და ნიკოლოზ VII-ის შესახებ არსებული დოკუმენტები

კათალიკოს დომენტი III-ის შესახებ ხელთა გვაქვს ეს ორი წარწერა:

ანჩისხატის ეკლესიის სამრეკლოზე (თბილისი).

„ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან მატონიშვილმან კათალიკოზი დომენტი, აღვაშენე სამრეკლო და განვაახლე საყდარი ესე, სულისა ჩემისა საოხად, მეფობისა ქართლისსა შაჰ-ნავაზისსა, ქკს, ცნიგ 363. 1675“.[2]

“აღამს აქეთ შვიდი ათას ას ოთხმოცდა ხამსა ქრისტეს აქეთ ათას ექვსას სამოც და ცხრას (წაიკითხე 1676) ქკს ცნიდ (364) ჩვენ დავით-სოლომონის ტომნი, ძმა მეფისა სახელ-აღმატებით საქებულისა ვახტანგისა და მიძა კახთა მეფისა არჩილისა, მე კათალიკოზი დომენტი, ჭეშმარიტი ერთგული ქრისტეს განკაცებისა, განვედ დაუდგრომლისა სოფლისა ამისაგან, და მდებარე არს გვამი ჩემი აქ. ჩვენც ვიყვენით მსგავსნი თქვენნი და აწ ესე ვიქმენით. ღვთის გულისათვის, შენდობით მოგიხსენებდეთ, რათა ღმერთმა თქვენც შეგინდვნეს. ამინ. მეფობასა

1 ლათინური ტექსტი მოთავსებულია — C.Galanus, Conciliatio Ecclesiae Armenae cum Romana, ტ. I, გვ. 138-139; B. Ferro, Istoria delle Missioni de Chierici Regolari, Rome, 1704, ტ. II, გვ. 118-119. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 120—121.

2 Brosset, Voyage archéologique, V მოხსენება, გვ. 27.

მეფეთ მეფის ძმის-წულისა ჩვენისა გიორგისა აღიწერა"[1].

აი, კათალიკოს ნიკოლოზის წერილი მოსკოვის პატრიარქ იოაკიმისადმი, რომელშიაც რეკომენდაციას აძლევს არჩილ მეფეს, ვის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი:

„დიდო მღვდელ-მთავარო იოაკიმ...

უფალო პატრიარქო, ბატონო იოაკიმ, დიდისა საქართველოსა მაკურთხეველო, ქართლისა, კახეთისა, სამცხისა-საათაბაგოსა მწყემსო და საჭეთმპყრობელო, დედაქალაქისა მცხეთისა, რომელსა შინა მკვიდრ არს კუართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხალენი ელიასი, კათალიკოზი ნიკოლოზ...

მერმე, ჩვენი ქვეყანა და ჩვენნი ქრისტიანენი და საყდარნი და მონასტერნი დიდად ბალადამართებული შეიქმნა ურჯულოთა აგარიანთა ხელისაგან და მრავალი უწესური და ავი საქმე მოინდომეს საქნელად ამდონი ავი საქმე ჩვენის რჯულისა ვერ დაითმინა და არც ამათ ურჯულოთა ბრძანებას დაემონა და მომართა დიდს მეფესა, დიდს კელმწიფესა, დიდს კნიაზსა თეოდორე ალექსის შვილსა, დიდისა და ცოტას, თეთრის რუსეთის მამით, პაპით მპყრობელსა და მისის დიდის იმედითა და ზურგით წამოვიდა ბატონი მეფე არჩილ ვახტანგის შვილი იმერეთისა და კახეთისა, კელმწიფე თეოდორე ალექსის შვილს სოფელმან აღარ დააცალა და მეუფემ საუფეველში მისცვალა. აწე, რადგან მისივე ბრძანება და იმედი ჰქონდა და დაემარემინა მომართა თქვენს დიდს კელმწიფეთ, დიდს მეფეთ, დიდს კნიაზთ ივანე ალექსის შვილთა, პეტრე ალექსის შვილთა...

თავად ეგ მართლმადიდებელი მეფე, ბატონი არჩილ ვახტანგის შვილი, თქვენი მაღლის მონდომებელი და თქვენი სულიერი შვილი არის, და მერმე, მართლმორწმუნე და მართლმადიდებელი მეფე, ბატონი გიორგი, ვახტანგის შვილი, ბატონი ქართლისა, ბატონი სამცხე-საათაბაგოსა, ბატონი ლორესა და სომხეთისა; თქვენ იცით და თქვენმა დიდმა, პატიოსანმა თავმა რასაც მაგასა და ამაზე და მაგის ქვეყნებსა და ამის ქვეყნებს ქრისტიანობის სჯულის ზურგსა და იმედს მოსცემ და ამისგან უფრო ამთონი ქრისტიანის გაურჯულოებასა და დაკარგვას მოარჩენთ და დაიხსნით. სხვას ჩვენს სიტყვას არქიმანდრიტი, პაპა ლავრენტი მოგახსენებს, მეუფეო. ადამს აქეთ, შვიდი ათას ას ოთხმოც და თხუთმეტსა (1687) თვესსა ივლისს იე(15). კათალიკოზი ნიკოლოზ"[2].

ვახტანგ VI-ის ძმამ, კათალიკოსმა დომენტი IV-მ (1705-1742) დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკის წარმართვაში.

1 იქვე, I მოხსენება, გვ. 31.

2 Brosset Mélanges asiatiques, ტ. II, გვ. 228-229, ქვემო იხილე „Переписка Грузинских царей с российскими государями"—ში, С.Петербург, 1861.

თავდაპირველად იგი სპარსეთს გაემგზავრა, რათა ტახტზე ასვლამდე მაჰმადიანობა მიეღო. მართლაც, სპარსეთის შაჰი საქართველოს მეფეებს მხოლოდ გამაჰმადიანების შემდეგ აძლევდა ტახტზე ასვლის უფლებას. ზოგიერთი იძულებული ხდებოდა, გარეგნულად მაინც დამორჩილებოდა ამ გარემოებას. სპარსეთში ჩასულ კათალიკოსს იქ მყოფმა კარმელიტმა მამებმა არა მარტო შეაცვლევინეს აზრი, არამედ განაწყვეს კიდეც იგი კათოლიკურ ეკლესიასთან შესაერთებლად. სწორედ ამიტომ კათალიკოსმა ერთობის წერილი მისწერა პაპს. სამწუხაროდ, ვერ ვიპოვეთ ეს დოკუმენტი და მხოლოდ შინაარსს მოგაწვდით. პროპაგანდის პასუხი კი ხელთა გვაქვს:[1]

"ბატონს საქართველოს პატრიარქს, 24 იანვარს 1711.

პაპს დიდად სათნო ეყო თქვენი დიდებულების წიგნი, რომლითაც აცხადებთ თქვენს დიდ წადილსა კათოლიკე სარწმუნოების აღსარებისათვის, ეგრეთვე რომის საყდრისადმი თქვენს მორჩილებას და პატივისცემას, რაის გამო მათმა უწმიდესობამ დიდად აქო ეგ თქვენი სურვილი და მოწადინება და მასთანვე თავისი მამობრივის სიყვარულით და კეთილმნებლობით შეგაგულიანებთ, რათა მტკიცედ იქონიოთ ეგ თქვენი საქებელი წადილი და მომზადებულად და გუნებურად ხელი მოაწეროთ კათოლიკე სარწმუნოების სიმბოლოს, რომელსაც ამ წერილთანვე გაახლებთ; ამნაირად ყოვლის შეცთომილების მხრივ უშიშრად იქმნებით და მორწმუნებით შეუდგებით მოძღვრებას სამოციქულო საყდრისას, რომელიც არის პირველი კათედრა და ყოველთა ეკლესიათა დედა და მოძღვარი. არა მარტო თქვენ შეუდგებით მტკიცედ

---

1 „მისი უწმინდესობა თქვენს უდიდებულესობებს უგზავნის წერილებს მიღებულს საქართველოს პატრიარქისგან და მისი ძმის,V ხოსრო მირზასგან, რომელიც სპარსეთის მეფის ფავორიტი და ისპაჰანის მსაჯული გახლდათ. პატრიარქი წერს, რომ იცის და სცნობს რომის ეკლესიის პრიმატობას და წმ. პეტრესა და ქრისტეს ყველა ნამდვილი მიმდევრის, ე.ი. რომის პაპისა და ყველა სხვა პატრიარქისა და საეკლესიო პრელატის უპირატესობას. წერს, რომ დაემორჩილება მის უწმინდესობას და რომაულ ეკლესიას, ოღონდ ისე, რომ ეს რწმენა მთლიანად არ ექვემდებარებოდეს მის ძალაუფლებას. და სანამ სპარსეთის მეფის კარზე იქნება, ამას უმალავებს სხვებსაც და დააჩქარებს მისგან განდგომას, არასოდეს მიიღებს მაჰმადიანობას და ეცდება, რაც შეიძლება მალე გაიქცეს რომში, რათა მისმა უწმინდესობამ აზიაროს სარწმუნოებას და ბოლოს ითხოვს მის ლოცვა-კურთხევას". Arch. de la Propag., Acta S. Congregationis de Prop. Fide. – 1708 წ. გვ. 462. №30.

ღვთისმშობლის გამოსახულების უკანა მხარეს ვკითხულობთ წარწერას: „ქ. ჩვენ შენ მიერ მინდობილმან და ძისა შენისა მსასოებელმან და შენ მიერვე ყოვლის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად დადგინებულმან, მეფეთ-მეფის სახლის შვილმან, პატრონმან დომენტიმ მოვაჭედინე ხატი ესე სასოსა ჩემისა, შენ ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა. შენ აღხოცენ ცოდვანი ჩემნი, უბიწოო ქალწულო, დედოფალო, მეოხ მეყავ დღესა მას დიდსა განკითხვისასა!, ამინ, ქორონიკონს ტუვ-396-708." Brosset, Voyage archéologique, I მოხსენება, გვ. 39.

და შეურყევლად ამ მოძღვრებას, არამედ, ვითარცა მოითხოვს მწყემსებრივი მოვალეობა, სხვებსაც ასწავლით ყველანაირის საშუალებით, რაოდენათაც შესაძლო არის. ესეც უწყოდეთ, რომ დიდი ცოდვა იქნება თუ დაუცევეთ დევნულობის შიშით თქვენზე მინდობილი ქრისტეს სამწყსო, ვინაიდგან წერილ არს: „მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დასდვის ცხოვართათჳს“. უკეთუ როდისმე აცყდეს დევნულება და ერის სულიერმა სარგებლობამ მოითხოვოს თქვენი თავის განრიდება, მაშინ თქვენც, იმ ზოგიერთის წმიდანების მაგალითისამებრ, დროებით ახლო ქვეყნებში სადმე მიეფარეთ, რათა იქიდან განსაცდელში მყოფ თქვენს სამწყსოს როგორმე შეეწიოთ და კიდეც მიხედოთ, ნახოთ, როდესაც საშუალება მოგეცემათ. მაგრამ თუ მტრის მიერ დევნულებამ იქამდე მიაწიოს, რომ მაგ მხარეს უშიშრად ვეღარსად შეგეძლოთ დგომა, მაშინ მოდით რომს, სადაც თქვენდამი სავსე სიყვარულით პაპი ეგრეთის სახიერებით მიგიღებთ, როგორათაც სხვა ყველა ეპისკოპოსს, რომლებიც მოდიან ქვეყნის ყოველ მხრიდან. ამასთანავე პაპი დიდის სიყვარულით განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. ხოლო მეც ვევედრები ყოვლის მპყრობელ ღმერთსა, რათა თქვენი დიდებულება უვნებლად მევრხანს ცოცხლობდეს“[1].

ჩვენი აზრით, ამ წერილმა კათალიკოსს სპარსეთში ვერ მოუსწრო, რადგან კათალიკოსი დომენტი მალე დაბრუნდა საქართველოში და განაგრძო თავისი ნაკისრი ტვირთის შესრულება[2]. ჩვენთვის უცნობია, თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას კათოლიკური რწმენის გავრცელებაში, რადგან ისტორია და კაპუცინი მისიონერები არაფერს გადმოგვცემენ ამის შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ მოგვიანებით, 1724 წელს, ქვეყნის სავალალო მდგომარეობის შესამსუბუქებლად კათალიკოსი დომენტი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, სადაც რამდენიმე წელი პატიმრობაში დაჰყო, შემდეგ კი საქართველოში დაბრუნებისთანავე გარდაიცვალა.

კათალიკოს დომენტის შემცვლელ ნიკოლოზ VII (1742-1744) შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ მფარველობდა საქართველოს კათოლიკურ მისიას. პაპ ბენედიქტე XIV-სადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ნიკოლოზ კათალიკოსი უკვე რომის მიმდევარი იყო, აი, ეს წერილიც:

---

1 Arch. de la Propag., Lettere della S. Congregatione, ტ. C, ფ. 16; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902, გვ. 307-308.

2 თუმცა 1713-1716 წწ. ფრანგი მისიონერების მიერ სპარსეთიდან საფრანგეთში მიწერილ მრავალ მოხსენებაში ვკითხულობთ, თითქოს საქართველოს პატრიარქს მიუწერია შაჰისთვის, რომ ის მიიღებდა მაჰმადიანობას იმ შემთხვევაში, თუ მისცემდნენ საქართველოს სამეფოს. როგორც კი ქართველებს შეუტყვიათ პატრიარქის ამგვარი განზრახვები, მათ ის ჩაუმწყვდევიათ ციხეში. მართალია, პატრიარქის სახელი არ არის ნახსენები ამ მოხსენებებში, მაგრამ ჩვენი აზრით, საუბარი უნდა იყოს ამავე პატრიარქის ანუ კათალიკოს დომენტის შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივები პარიზში, Perse, ტ. III, ფ. 170, 227, ტ. IV. ფ. 46.

„უმრწყინვალესო, უძლიერესო უმეტეს ყოვლისა ქებისა, ვინაიდგან ქვეყნთა მფლობელთა და მთავართა შორის არავინ არს უმაღლესი თქვენზედ, რომელმაც სასუფევლის კლიტესთან ერთად ზეცით მიიღეთ უმაღლესი ძალა შეკვრისა და გახსნისა და ეგრეთვე მოგენდოთ მთელის სოფლისათვის ზრუნვა, და რომლისაგან ძლიერნი ამა ქვეყნისანი მრწიან და ცდილობენ ითხოვონ მოწყალებას და შენდობას. ამ თქვენს ესრეთ მაღალს ღირსებას, ჩვენ მორჩილნი და მდაბალნი, თუმცა სხეულით დაშორებულნი, გარნა გულით ახლოს მყოფნი და თქვენთან შეერთებულნი მოკრძალვით და სიყვარულით ვეთაყვანებით, კდემით ვემთხვევით თქვენს წმინდა ფერხთა და ვითხოვთ თქვენგან ჩვენის ცოდვების შენდობას.

დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში კათოლიკების საჭიროებისათვის თქვენი ეკლესია აშენდა და თქვენი პატრი-კაპუცინები ცხოვრობენ. ჭეშმარიტად ამათ დიდი შრომა მიიღეს, მრავალი შემცდარნი ცხოვარნი უფლის სამწყსოს შეუერთეს და ესრეთ დიდ სულგრძელებით და პატივით მოუპყრეს კათოლიკე წმიდა სარწმუნოებას. გარნა ამ საქართველოს პროვინციაში სომხებმა გაიმარჯვეს; კათოლიკე სარწმუნოების გამო თქვენი პატრები დაატყვევეს, გალახეს და ეგოდენად უსამართლოდ სდევნეს, რომ უარესის ქმნა თითქმის აღარ შეიძლებოდა; ეკლესია, წმიდა ჯვრები და წმიდა ხატები შეაგინეს და ფეხ-ქვეშ გათელეს; რომელსაც მთავრობამ ეკლესია და სახლი ჩამოართვა, სომხებმა აქ თქვენი პატრები მეტ ხანს აღარ დააყენეს, არამედ აქედან განდევნეს. ყველა კათოლიკები, თუ მამაკაცები, თუ დედაკაცები დაატყვევეს, სცემეს და ეგოდენად აწვალეს, რომ უარესის ქმნა აღარ შეიძლება: ყველა მათი ქონება აიღეს და სარწმუნოებაც უარაყოფინეს. აწ ჩვენ დიდად გვედრებით ამ ქვეყნისგან ნუ განაშორებთ თქვენის მოწყალების ხელსა, იმედის მოციქულე კათოლიკეებითურთ ნუ დაუთმობთ მწვალებლებს და ჩვენც ნუ მოგვაშორებთ კაპუცინებსა. გვედრებით თქვენს ხელმწიფებას, შეგვეწიოთ და ჩვენი ცრემლით შეერთებული ვედრება შეიწყნაროთ, ჩვენი შეწევნა და ნუგეშისცემა თქვენთვის ძნელი არ არის, ამიტომ ნუ აიღებთ ხელს ნურც ჩვენზე და ნურც ჩვენ უბედურ ქვეყანაზე. ეგრეთვე შეეწიეთ ამ ხსენებულ პატრებსაც და ნუ ინებებთ, რომ წმიდა ეკლესიის მცნების გამო სამუდამოდ გაშორდნენ აქაურობას და ესრედ დაიღუპნენ ერთიანად იმედნი კათოლიკები, დანარჩენს ამავე თქვენივე პატრები მოგახსენებენ.

კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი“[1].

ამგვარ მოძღვარს, უდავოდ, დიდი წვლილი უნდა შეეტანა კათოლიკური რწმენის გავრცელებაში. მაგრამ, საუბედუროდ, მისი ზეობა ძალზე ხანმოკლე გამოდგა. ისტორია მოგვითხრობს, რომ ნიკოლოზ კათალიკოსი 1744 წელს მოკლეს ჩვენთვის უცნობი მიზეზით. ასე გაცრუვდა მის კეთილგანწყობაზე დამყარებული ყოველგვარი იმედი.

---

1 ლათ. ტექსტი მოთავსებულია წიგნში — Michel de Tuglo (de Zug), Bullarium Capuccinorum, Rome. 1752, ტ. VII, გვ. 248; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 358.

## XVI.– კათალიკოს ანტონ I-ის არჩევა, მისი შრომები, მოქცევა, განდევნა და საქართველოში დაბრუნება

ნიკოლოზ VII-ის კვალს გაჰყვა მისი მემკვიდრე, კათალიკოსი ანტონ I, 1744-1788. შესაძლოა, სწორედ ეს დიდი ნიჭის კათალიკოსი ამოდგომოდა მხარში კათოლიკურ ეკლესიას, ჯოჯოხეთურ ძალებს რომ არ წამოეწყოთ მისი სასტიკი დევნა.

აი, რას გადმოგვცემს ისტორია ანტონ I კათალიკოსად არჩევის, უფრო სწორად, დანიშვნის გამო:

„თეიმურაზ მეფემ კათალიკოსის ტახტზე აღიყვანა ქუთათელი ეპისკოპოსი უფლისწული ანტონი. ღირსი პატრიარქის დომენტის სიკვდილის შემდეგ თბილისში შეკრებილ ეპისკოპოსებს, სამღვდელოებასა და ხალხს სურდა ანტონის პატრიარქად არჩევა, მაგრამ მან უარი განაცხადა. ანტონს სასახლეშივე მოართვეს მიტრა, ჯვარი, კვერთხი და შესამოსელი; ამ ინსიგნიებით და მანტიით შემოსილმა ანტონმა დასტოვა სასახლე. მას წინ გალობით მიუძღოდა სამღვდელოება, რომელიც საკმეველს აკმევდა, უკან კი მიჰყვებოდნენ საეკლესიო სამოსით შემოსილი რამდენიმე დიაკვანი და კახეთის ღვთისმოსავი, თავდადებული მეფე ერეკლე, რომელმაც ანტონი თავის კარისკაცებთან ერთად მის რეზიდენციამდე მიაცილა. საპატრიარქო ტახტზე აღიყვანეს სათნო ანტონი, ეს ღირსებით აღსავსე კაცი, ორმაგად მანათობელი ლამპარი, აბრაამის კურთხევის მომხრე, იაკობის სამთავრობობებული, ლევიტელთა მოდგმის საყრდენი, სჯულის ერთგული დამცველი, ეკლესიის მშვენება, მცნებათა განმახორციელებელი, რამდენიმე დღის შემდეგ ანტონი ჩავიდა მცხეთაში ხელდასასხმელად და მისი დიდება შორს გავრცელდა“[1].

ანტონის ზეობის დასაწყისში ქართული ეკლესია, გაუთავებელი ომებისა და მზარდი კორუფციის შედეგად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც ისტორია მოგვითხრობს, სწორედ ამ ეკლესიის განწმენდასა და აღდგენას შეალია ანტონ კათალიკოსმა მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია.

„მართლმორწმუნე მეფემ და სათნოების საფუძველმა პატრიარქმა ცხოველი გულმოდგინებით დაიწყეს ქრისტიანული კანონებისა და ღვთის მსახურების წმინდა რელიგიური წესების ძიება ქართლში, ქრისტიანი მეფე დიდი ხანია არა მჯდარა ამ ქვეყნის ტახტზე[2]. აგარიანთა ხანგრძლივი ბატონობის დროს მართლმადიდებლობის ადათ-წესები

1 Brosset, Histoire moderne de la Géorgie, II ნაწ. II ნაკვეთი, გვ. 88-89.

2 როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVI ს-დან მოყოლებული, ქართველი მეფეები ტახტის შესანარჩუნებლად იძულებული იყვნენ, გარეგნულად მაინც უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე.

შეირყვნა, ერთნი, სისხლით ნათესაობის უგულებელყოფით, მეორენი კი თავაშვებულობით, დაუპირისპირდნენ წმინდა სახარებას. ზოგიერთმა მღვდელმა მიივიწყა თავისი წესნი და ეკლესიის კანონები, ქართლის მცხოვრებნი მრავალი ცოდვით შეიმოსნენ. რომელსაც ქართლ-კახეთის ეპისკოპოსნი შეჰკრიბნენ, მეფე პატრიარქ ანტონის რეზიდენციაში მივიდა. შემდგომში იქ მთელმა სამღვდელოებამ მოიყარა თავი, მაცხოვნებელი ჯვრით ხელში, გადაშალეს წმინდა სახარება და კანონთა წიგნი. ეს საყოველთაო საეკლესიო კრება შედგა ტფილისში... თვეში (sic). საშინელ ცოდვათა განხილვის შემდეგ, ქრისტიანობის მყარ და შეურყეველ საფუძვლად აღიარეს მოციქულთა და წმინდა მამათა კანონები, რომლებიც მათ თხზულებებშია დაცული. მეტიც, მალზე აქტიურად შეუდგნენ ვახტანგ მეფის სტამბის მოძიებასა და ამოქმედებას. სტამბა მეფემ ვლახეთიდან ჩამოატანინა. მისი სიკვდილის შემდეგ ქართლში მას არ უმუშავია. უფლისწულ ანტონს, ამ ქრისტიანული მრწამსის აღმდგენელ ღვთისმოსავ პატრიარქს, თავის გარჯაში მხარს უჭერდა მეფე ერეკლე. სტამბამ აღადგინეს ქართლი წიგნებით ავსო"[1].



კათალიკოსი ანტონ I (1744-1788)
ძველი მხატვრობა.

ანტონ კათალიკოსი წინამორბედების მსგავსად საქართველოში კათოლიკურ მისიას მფარველობდა. მას შემდეგ, რაც ის მრავალჯერ დაიცვა ბერძნებისა და სომხებისაგან, თავი გამოაცხადა კათოლიკედ და იმისთვის, რომ საქართველო სარწმუნოებით მთლიანად რომისთვის შეეერთებინა, აქტიურად დაიწყო მორწმუნეთა შორის ჭეშმარიტი რწმენის გავრცელება.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ წაქეზებულმა თეიმურაზ მეფემ კი ანტონ კათალიკოსის მთელი გეგმები ჩაშალა, უფლება აჰყარა მას და ქვეყნიდან განდევნა, აი, რას მოგვითხრობს წერილი, რომელიც საქართველოში მყოფმა პატრმა ჯულიო ბონავენტურა ტრენტოელმა 1757 წ. წარუდგინა პროპაგანდას:

1 Brosset, Histoire moderne de la Géorgie, II ნაწ., II ნაკვეთი, გვ. 140.

„მოხსენება იმ დევნულებისა, რომელიც 12 დეკემბერს 1755 წ. საქართველოს დედაქალაქ ტფილისში დაეწყეს იმავე სამეფოს მისიონერებს და კათოლიკეებს.

აწინდელის კირილე მონაზონი პატრიარქის წინამოსაყდრე ავიდა თუ არა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საყდარსა, ვერ მოისვენა და ყოვლანაირი საშუალება იხმარა, რათა კაპუცინები საქართველოს ყველა ადგილებიდან გაედევნეთ. ამიტომ ყოველ წლივ კონსტანტინეპოლიდგან გზავნიდა ორ მონაზონს, რომელნიც მოწყალების მთხოვრების მიზეზით, ყველგან ჩვენ წინააღმდეგ არიგებდნენ თვით პატრიარქის ხელმოწერილ ცირკულიარ წერილებს. 1753 წელს კი კარგად გაიმარჯვა და გააძევნინა ჩვენი თავი რაჭის ჩვენი ახალი მონასტრიდგან, რომელიც კავკასთა მთებშია. ამით გაამაყდა, რადგან არ დახვდა იქ ძლიერი წინააღმდეგობა, თუმცა უარს ჰყოფდა იქ ჩვენ წინააღმდეგ კაცების გამოგზავნას, ამიტომ მოუხშირა კაცებისა და წერილების გამოგზავნას, ისე რომ თავის საწადელს ეწია.

დევნულობის დრომდე ჩვენ გვიცავდა კათალიკოსი ანუ ქართველთა პატრიარქი, რომელიც თავის თავს ყოველასაგან დამოუკიდებლად რაცხავდა. რადგან კაის თვალით გვიყურებდა, მისდამი გამოგზავნილს წერილებს ჰფარავდა და კონსტანტინეპოლელ მონაზონებს საქართველოდგან ტკბილის სიტყვებით ისტუმრებდა. ამ კათალიკოსმა, ღვთის მადლით აღძრულმა, მიიღო წმიდა სარწმუნოება და ჩვენის მისიონერის გორის უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარწმუნოება. რადგან თვითონ სცნო ჭეშმარიტება, ძალიან ცდილობდა, სხვებისათვისაც ეცნობებინა. ამნაირად ერთი თავადის ქალს, რომელიც ერთხელ მისი სულიერი შვილი იყო, ჩააგონა და შეუერთა კიდეც წმიდა ეკლესიას. რა დასნეულდა ის დედაკაცი, მოვიდნენ მის სანახავად ნათესავები, მეგობრები და სხ. მათ შორის იყო ეგრეთვე ასული თეიმურაზ მეფისა, რომელსაც უპყრია საქართველოს უდიდესი ნაწილი. არ ვიცი რა აზრით აღძრულმა ავადმყოფმა წამოიძახა ამის მსგავსი სიტყვები: „ჰოი, რომის წმიდა პაპავ, ილოცეთ ჩემთვის, რომ ეგოდენ ხანს ცრუ მორწმუნების სიბნელეში ვიყავი". მეტიც არ უნდოდა მეფის ასულს, შეეტყო რომ ქალბატონი კათოლიკე იყო. მაშინვე მიუბრუნდა და უთხრა იქ დამსწრეთ: ოჰ, ნახეთ ესეც ფრანგი ყოფილა. მაშ კარგი, მობრუნდება მამაჩემი ომიდგან ლეკების წინააღმდეგ და მაშინ ვნახავთ. მართლაც მობრუნდა თუ არა ტფილისს მეფე მამა მისი, შეატყობინა რაც მომხდარიყო. იფიქრა, თუ ვისი წყალობით უნდა წარმომდგარიყო ეს და ეჭვი შეიტანა პატრიარქზედ, რადგან იცოდა, რომ ის ქალი იმისი სულიერი შვილი იყო. ვერც კაპუცინები მივიდოდნენ მის სახლში, საქართველოს განაპირზე იყო. ეჭვი უფრო იმიტომ შეიტანა, რომ წინათვე შეეტყო პატრიარქის ნამდვილად გაკათოლიკება.

ამ ამბის კარგად გამოსარკვევად მეფემ და მისმა მოძღვარმა რამეთიმ მოიმიზეზეს და მიაგზავნეს ერთი მონაზონი, რომელმაც მეტი ეჭვი მოიგონა სარწმუნოების შესახებ და მივიდა პატრიარქთან ასახსნელად.

პატრიარქს თავი ისე მოაჩვენა,ვითომც დიდად კმაყოფილი ყოფილიყოს მისის სიტყვა-პასუხისა და აზრებისა; მერმე მობრუნდა და ყოველივე აცნობა მეფეს და მის მობლვარს.

მეფემ რა მოისმინა ყველაფერი ცრუ მონაზონისაგან, განრისხდა. მაშინვე შეკრიბა არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და მონაზონების უფროსები ტფილისში. რა შეიკრიბნენ, მეფისა და კრების სახელით, მიუგზავნეს ორი ეპისკოპოსი პატრიარქს საკითხავათ, თუ რომელ სარწმუნოებას მისდევდა. პასუხის ნაცვლად შემოუთვალა, რომ თვით კრებაზე მივიდოდა, ვითარცა მათი უფროსი. გარნა მეფემ და კრებამ ნება არ მისცეს შიშის გამო, რომ თავის თანდასწრებით არ შეერცხვინა მოწინააღმდეგენი და ესრე გამარჯვებული არ გასულიყო შესაკრებელიდან, სადაც მისი დასჯა უნდოდათ. ამიტომ კვალად მიგზავნეს ორი ეპისკოპოსი და ჰკითხეს, თუ რომელ სარწმუნოებას აღიარებდა, მეორეჯერ დიდის სიმხნით უპასუხა, რომის კათოლიკე ვარ და ვისაც ცხონება უნდა, უეჭველად უნდა მიიღოს და დაიცვას ეს სარწმუნოებათ. ასეთმა პასუხმა უმეტესად განარისხა მეფე და პატრიარქის მტერნი, რომელთაც მაშინათვე ახადეს ლირსება. მერის რასმე შეპირდნენ, დაემუქრნენ კიდევაც, რათა მოეზიდათ თავიანთკენ, მაგრამ მისი სიმტკიცე ვერ შეარყიეს. ამიტომ ერთ სოფელში გაგზავნეს, გარნა პირადად კი არავითარი უპატიურობა მიაყენეს, იმ მოსაზრებით,რომ ამით არ განერისხებინათ მისი სახლობა და ნათესავები, რომლებისაც თვით მეფესაც ეშინოდა. ხოლო ქართველებმა თავიანთი ჯავრი ამოიყარეს სამ კათოლიკე სასულიერო პირზე, რომელნიც პატრიარქს ახლდნენ. სამი დღე ქალაქის მთელ ქუჩებსა და მოედნებში აცარეს ყოველნაირი შეურაცხყოფით და პატივაყრილნი, ეგრეთვე სიმრაზით ეგონათ გალახეს ორი კათოლიკე დედაკაცი, რომ მეცი სიმწარისაგან ორივე სამი დღის შემდეგ მიიცვალა.

ამ ამბავზე საქართველოს ყველა ადგილებიდგან შემოიკრიბნენ მეფის ნაცვლები და მსაჯულები, რომელნიც უმეტესად სქიზმატიკი სომხები არიან. იმათ უფრო შეაგულიანეს მეფე ჩვენს წინააღმდეგ, მევრი ელაპარაკნენ, მევრს ეცადნენ და დიდი ფულიც მისცეს მეფეს ჩვენს გასადევნელად. მოლოს მოგვივიდა ბრძანება ჩვენის განძევებისა მის სამფლობელოდან და აღარც ბიგვიღო თავისთან.

კონსტანტინეპოლელი მერძნის მონაზონები, რომელთაგანი ერთი ეპისკოპოსი იყო, უერმე ტფილისის ახლოს იყვნენ ფარულად. რა წამსაც გამოვედით ერთი მხრიდან, იმ წამსვე შევიდნენ ქალაქში მეორე მხრით, ეკლესიაში საჯაროდ წაიკითხეს თავიანთი პატრიარქის წერილები, დაანგრიეს მთავარი ტრაპეზი, თავიანთებურად ეკლესია აკურთხეს და ჩაამარხეს ერთ ქართველ მღვდელს, რათა მოეკლათ. ხოლო ჩვენი მეორე ეკლესია გორისა მეფემ მისცა იქაურ არქიეპისკოპოსს. რაჭიდგანაც ხუთ ორი წლის წინეთ გამოგვდევნეს, ეხლა ქართლში აღარაფერი დაგვრჩა“[1].

---

1 Arch. de la Propag., Monte Caucaso, ტ. II, №72, იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 373-375.

ანტონ კათალიკოსი, რომელსაც აღარ დაედგომებოდა საქართველოში, რუსეთს გაემგზავრა, სადაც დედოფალმა დიდი პატივით მიიღო და ვლადიმირისა და იერაპოლისის არქიეპისკოპოსად განაწესა.

რუსული სინოდის წინაშე ანტონმა განაცხადა თავისი უცოდველობა, ე.ი. ის, რომ იზიარებდა აღმოსავლეთის ეკლესიის მრწამსს და უარყოფდა ყველაფერს, რის გამოც ეს უკანასკნელი მსჯავრსა სდებდა. შინაგანად კი მაინც კათოლიკე დარჩა, რადგან გადასახლებაში მიწყალეს შესახებ დაწერილ წიგნში გულახდილად აღიარებს პაპის უპირატესობას.

შემდგომში კათალიკოსის ტახტზე აიყვანეს ვინმე იოსები (1755-1763), რომელიც არც განსწავლულობით გამოირჩეოდა და რომელსაც არც არაფერი ნიშანდობლივი რამ გაუკეთებია. თუმცა მისი ზეობისას მეფე ერეკლემ ეპისკოპოსთა კრება მოიწვია სამღვდელოების მიერ შერყეული დისციპლინის განსამტკიცებლად. თავად მეფემ კრებას წარუდგინა კანონმდებლობის 11 მუხლი, რომლებიც ერთხმად მოიწონეს[1].

თეიმურაზ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა ერეკლემ ანტონ კათალიკოსი რუსეთიდან გამოიხმო და შესაფერი პატივით დაუბრუნა ჩამორთმეული კათალიკოსობა. პოლიტიკური მოსაზრებების გამო ანტონი უწინდელივით თავს კათოლიკედ აღარ წარმოაჩენდა, პირიქით, კათოლიციზმის მტრადაც მოჰქონდა თავი. გულის სიღრმეში კი ისევ რომაულ მრწამსს იზიარებდა და მისიონერთა გადმოცემით, 1788 წელს სასიკვდილო სარეცელზე აღიარა ამ რწმენის უპირატესობა[2].

ანტონ კათალიკოსი პირველი შეეცადა რუსულ ეკლესიასთან დაახლოებასა და მისი ზოგიერთი წესის შემოღებას საქართველოში. ანტონ კათალიკოსი სინოდის წევრადაც კი იყო არჩეული. მან მრავალი

---

1 იხ. თბილისის საეკლესიო მუზეუმი, №856.

2 აი., ანტონ კათალიკოსის საფლავის ეპიტაფია: „საფლავს ამას შინა მდებარე არს საქართველოს მეფის იესეს ძე, კათალიკოზი ანტონი, მცხეთისა და ყოვლის საქართველოისა და ჩლუენი უწმინდესის სინოდისა, რომელმანც შეამკო ეკლესია საქართველოისა სრულითა ტიბიკონითა და საეკკლესიოთა ცერემონიითა, განაშვენა ენა ქართველთა კეთილითა მჭევრ-მეტყველობითა, და ღრამმატიკა და წიგნნი საფილოსოფოსონი და სამღვრთოს-მეტყუელნი რაოდენიმე თჳთ ჰქმნა, და რაოდენიმე გარდმოიღო სხვადასხვა ენათგან ქართუმლთა ენასა ზედა და ესევითარითა შრომითა დიდითა განმაშვენებელ ქართულისა ენისა და ეკკლესიათა მიიცვალა, სავალალოდ დიდად საზოგადოებისად, წელსა ჩღპც-სა (1788), თუესა მარტსა ა-სა".

ქართველთ ერთ ექმნა მეორედ ოქროპირად,

პავლედ მქუხარედ, უმეცარ განაპირად,

გრიგორად მღაღად, მგმობთა განმანაპირად,

აქუნდა რა იყო, ქრისტეს-გან დანაპირად,

დაუტევა სამწყსო, ღვთისადმი შენაპირად".

Brosset, Voyage archéologique, II მოხსენება, გვ. 23.

ნაშრომი დაგვიტოვა, დიდად განავითარა სასულიერო სწავლება და ყველგან სემინარიები და სკოლები დააარსა.

1788 წელს ანტონ კათალიკოსი შეცვალა ერეკლე მეფის შვილმა, ანტონ II-მ, რომელმაც სასულიერო განათლება სანკტ-პეტერბურგში მიიღო, სადაც 1784 წელს მამამისის თხოვნით აკურთხეს ეპისკოპოსად. რუსების საქართველოში შემოსვლამდე (1800) ანტონ II დამოუკიდებლად მართავდა ქართულ ეკლესიას. ამის შემდეგ კი მრავალგვარი დაბრკოლება შეუქმნეს. ანტონის ავტორიტეტი შესუსტდა, ხოლო მისი კათალიკოსობა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

## XVII. – რუსეთის მთავრობისა და წმინდა სინოდის მოქმედება ქართული ეკლესიის საკათალიკოსოს გასაუქმებლად. ამ ეკლესიის ქონების დატაცება რუსი ეგზარხოსებისა და მთავრობის მიერ

მას შემდეგ, რაც საქართველო იმპერიის პროვინციად აქცია, რუსეთის მთავრობას უკვე აღარ შეეძლო აეტანა ქართული ეკლესიისა და მისი კათალიკოსის დამოუკიდებლობა, რომელთაც შესაძლოა რამდენადმე დაეჩრდილათ წმ. სინოდის პრესტიჟი. ამის გამო იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 10 ივნისს წერილი მისწერა ანტონ კათალიკოსს, დაჰპირდა მისი ღირსების შეულახაობას წმ. სინოდის ავტორიტეტის მეშვეობით და მიიპატიჟა რუსეთში, სადაც მისი საკადრისი პატივით იცხოვრებდა, მიიღებდა პენსიას და ამასთანავე, დაიკავებდა მეხუთე ადგილს წმ. სინოდში[1].

ამგვარად, რუსეთის მთავრობა როგორც სასულიერო, ასევე საერო მმართველობაში ერთი და იმავე მეთოდით ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ, რაც განიმტკიცა მდგომარეობა ქვეყანაში (1811), რუსეთის მთავრობამ გააუქმა ამ მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოსობა, მისი უკანასკნელი კათალიკოსი ანტონ II კი რუსეთში გაგზავნა, რათა იქ დაელია თავისი დღენი. ანტონი გარდაიცვალა რუსეთში 1828 წელს. მორწმუნეთა გრძნობები რომ არ შეელახა, მთავრობამ კათალიკოსის მაგივრად ქართველი ეგზარქოსი დანიშნა, მაგრამ სულ მალე, სამი წლის შემდეგ, იგი შეცვალა რუსი ეგზარქოსით; ეს ეგზარქოსები დღემდე განაგებენ ქართულ ეკლესიას.

წმინდა სინოდის დახმარებით მთავრობამ მოსპო ქართული ეკლესია, მრავალრიცხოვანი საეპისკოპოსოს რიცხვი ოთხამდე დაიყვანა, ეკლესიას ჩამოაშორა და ნელ-ნელა გადაასახლა კიდეც ის თავდადებული სამღვდელო-სასულიერო პირები, რომლებიც მრევლის სიყვარულით სარგებლობდნენ, ხოლო მათ მაგივრად რუსი სამღვდელოება დააყენა;

1. იხ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერი №1491.

რუს სამღვდელოებაში კი ბევრი იყო ყოველმხრივ გახრწნილი და ზნედაცემული, ხშირად ურწმუნოც კი. სწორედ მათ გაინაწილეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები.

სინამდვილეში სასულიერო სამოსში პოლიციისა და ბიუროკრატიის აგენტები იმალებოდნენ. მართლმადიდებლობის სახელით ამ ახალმა მოციქულებმა თავდაპირველად ეკლესიიდან ეროვნული ენა განდევნეს, შეცვალეს ძველსლავურით, შემდეგ კი ყოველმხრივ ცდილობდნენ ქართველების დამცირებასა და დაშთენილი ეროვნული სულის მოსპობას. რაც უფრო გულმოდგინედ ანადგურებდა რუსი სამღვდელოება ეკლესიას, მით მეტად აჯილდოებდა და პატივს სცემდა მას მთავრობა. სავსებით ნათელია, რა ვნება მიაყენეს მათ ქართულ ეკლესიას.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის ნაწილს, რომელიც, რუსული გაზეთების მიხედვით გადმოგვცემს, როგორ განაგებდნენ რუსი ეგზარქოსები ამ ძირძველ ეკლესიას.

„ვინმე ქართველმა რომ მოინდომოს ნამდვილი ისტორიის დაწერა რუს ეგზარქოს-უზურპატორთა მოქმედების შესახებ, რუსებს პირისახეზე სირცხვილის ალმური აუვათ. რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმისთვის კი არ მოდიოდნენ, რომ ეპატრონათ იქაური ეკლესიისათვის, არამედ იმისთვის, რომ გაეძარცვათ და გაეყვლიფათ უძველესი ივერიის ეკლესიის ქონება, ძალით აღმოეფხვრათ ქართული ენა და შემდეგ ნაძარცვ ქონებითა და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში. ასე მოიქცა ევსევი, რომელმაც 200.000 მანეთი დაუტოვა თავის მემკვიდრეებს, და პავლეც, რომელმაც კვერთხით ხელში დასწყევლა ივერიის ეკლესია და თვითონაც თავის მიერ დაწყევლილ ხალხს გაექცა საქართველოდან.

სინოდმა აუწერელი ვნებისა და ბოროტების მეტი არაფერი მისცა ქართულ ეკლესიას. მისთვის ეს ეკლესია ნამდვილი ბარბაროსული ქვეყანა იყო. სინოდის მოხელეებმა მტკვარში გადაყარეს ყველა კანონი და დადგენილებანი შესახებ ქართული ეკლესიისა, დასწვეს აურაცხელი უძველესი საეკლესიო დოკუმენტი; რაც დარჩა პეტერბურგში წაიღეს და მთელს ივერიის ეკლესიასაც ავტოკეფალია წაართვეს. მათ მოსპეს 25 ეპარქია, რომელთა შორის ზოგი 15 საუკუნის განმავლობაში არსებობდა. გაანადგურეს მრავალი მონასტერი და ქართული საეკლესიო მამულებიც ხაზინას გადასცეს.

გარყვნილი ეგზარქოსი თეოფილაქტე პირდაპირ ახრჩობდა ქართველებს და იქამდის მივიდა, რომ შეეხო წმინდა ნინოს საფლავსაც; მაგრამ ღმერთმა აღარ დააცალა და იქვე საფლავთან ამოართვა სული; ეგზარქოსმა ევგენი ბაჟანოვმა მონასტრები და ეკლესიები დაქურდა; ისიდორემ ქართულ ეკლესიებს მამულები წაართვა. ეგზარქოსმა ევსევი ილინსკიმ, რომელიც მეტად გახრწნილი, თავაშვებული და ქალის მოყვარე

ადამიანი იყო, გაყიდა ქართველ კათალიკოსთა უძვირფასესი სამოსელი, ხატებსა და სამოსლებს ძვირფასი თვლები ჩამოხსნა და მონაწილეობა მიიღო გელათის მონასტრის სამოსლების დატაცებაში. ეგზარქოსმა ევსევიმ რამდენიმე ასი ათასი მანეთი იშოვა. იმის ეგზარქოსობის დროს კი ქართულ ეკლესიას ორი მილიონი მანეთის ნივთი დაეკარგა. ამის გამო თავად-აზნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 8 ივნისს 1887 წელს ეგზარქოსს წერილი მისწერა და შეუთვალა, მოდიში უნდა მოიხადოთ ქართველი ერის წინაშეო, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. დონდუკოვ-კორსაკოვმა ეგზარქოსის თხოვნით ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა. მალე ყიფიანი პეტერბურგში გაიწვიეს საქმის გამოსაკვლევად. მაგრამ იგი მოკლეს იმ სასტუმროში, სადაც ცხოვრობდა. მოსყიდული მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

1870 წლამდის გელათის მონასტერს აუარებელი სიმდიდრე ჰქონდა. იმ დროს გელათში ინახებოდა უძველესი, მე-11 საუკუნის ქართული სახარება ოქროს ყდით იშვიათის და საუცხოვო მაიოლიკებით. ეს სახარება ეგზარქოსის ნებართვით წაიღო ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა, რომელმაც ოქრო ჩამოხსნა და ვერცხლის ყდა გააკეთებინა. ეხლა წინანდელი ოქროს ყდა ინახება პეტერბურგის სტროგანოვის მუზეუმში, რომელსაც იგი გრაფმა პანინმა გადასცა.

ამ ყდაში ინგლისელები იძლეოდნენ ერთ მილიონ მანეთს. ამავე ეკლესიაში ინახებოდა იმერეთის კათალიკოსთა საპატრიარქო სამოსელი, რომელიც სტამბულის ალემამდის იყო გაკეთებული და ძალიან ძვირად ღირდა, ამ სამოსელიდან გადაადნეს 8 გირვანქა ოქრო, ხოლო მარგალიტებიდან და ფირუზებიდან ქალებს სამკერდულები გაუკეთეს. გელათის მონასტერი გაძარცვეს პანინმა და ლევაშოვმა ეგზარქოსის ნებართვით. ამავე ხანებში ამავე ეგზარქოსის ნებართვით სიონის უძვირფასეს ტაძრიდან დაიკარგა აურაცხელი სიმდიდრე, ოქრო, რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა ძვირფასი ქვა. ასეთივე დღე დააყენეს მცხეთისა, ალავერდისა, მოდმისა, ნინოწმინდისა, იოანე ნათლისმცემლისა, ჯუმათისა, შემოქმედისა და სხვა მონასტრებსა და ტაძრებს.

რამდენიმე წლის წინათ სიონის ტაძრიდან გრაფმა მორინსკიმ ეგზარქოსის ნებართვით მრავალი ძველი ხელნაწერი წაიღო. გელათის მონასტრიდან დაიკარგა საპატრიარქო თვალ-მარგალიტით შემკული მიტრა, რომელსაც ამშვენებდა მეფე ვახტანგის გვირგვინის ბრილიანტის ჯვარი. ვახტანგმა ეს იშვიათი და საუცხოვო ბრილიანტები სპარსეთიდან ომის დროს იშოვა. პავლეს დროს მეტეხის ტაძრიდან დაიკარგა ხუთი ათას თუმნად ღირებული მეტეხის ხატი, რომელიც წინად სამკლიტურში ინახებოდა. 1891 წელს ეს ხატი ამავე ეკლესიის სახურავის ქვეშ იპოვეს, მაგრამ ზედ აღარაფერი ჰქონდა. იმავე ეგზარქოსის დროს სიონიდან დაიკარგა ძვირფასი ნინოწმინდის ღვთისმშობლის ხატი, პალადიმ ერთ სომეხ მხატვარს ნება დართო საქართველოს მონასტრე-

მიდან მრავალი ხატი წაიღო და გაყიდა... რუსეთის მთავრობამ საქართველოს 137.600.000 მანეთის ქონება წაართვა“[1].

## XVIII. – ქართველი ეპისკოპოსების მოხსენება წმინდა სინოდისადმი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ასწლეულის გამო

ქართულმა სამღვდელოებამ, რომელიც ხედავდა ქართული ეკლესიის შეურაცხყოფას, რწმენის შესუსტებასა და მორწმუნეთა ეკლესიისგან დაშორებას, მაშინვე შესჩივლა წმ. სინოდს და შეევედრა ამ სისტემის შემსუბუქებას. ჩვეულებისამებრ, ასეთი ჩივილი უშედეგოდ რჩებოდა. ზოგჯერ კი წმინდა სინოდი სჯიდა კიდეც ამგვარი მოთხოვნების ავტორებს, რადგან ისინი ქართული ეკლესიის კეთილდღეობისთვის მებრძოლებად მიაჩნდა.

1901 წელი, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის ასი წლისთავი, ოთხმა ქართველმა ეპისკოპოსმა ხელსაყრელ ვითარებად მიიჩნია ქართული ეკლესიისათვის წყალობის მოსაპოვებლად. თავიანთ მოხსენებაში მათ თხოვნით მიმართეს წმინდა სინოდს, რომ სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული სასულიერო ისტორიის კათედრა დაეარსებინათ, მაგრამ ეს თხოვნა წმ. სინოდმა ყურად არ იღო. ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს:

„სახარებამ, რომელიც პირველად წმინდა მოციქულებმა ანდრიამ, სვიმონ კანანელმა და მათემ, შემდეგ კი საქართველოს განმანათლებელმა წმ. ნინომ იქადაგა, ნაყოფი გამოიღო. ქართველი ერი გაქრისტიანდა და ეს კავშირი მაცხოვართან განამტკიცა ნათლისღებით მტკვარში, ქართულ იორდანეში. ეს მოხდა ქრ.წ.აღ. IV ს-ში. ასე თარიღდება ქართული ეკლესიის დაარსება. ამ ეკლესიამ, რომელმაც ავტოკეფალია შეინარჩუნა XIX ს-მდე, ე.ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, კაცობრიობის ისტორიაში შეასრულა თავისი უმაღლესი და უწმინდესი მისია; მის მიერ გაწეული სამსახური სულ უფრო და უფრო იპყრობს დღევანდელ მეცნიერთა ყურადღებას. ისინი დიდად აფასებენ, ქედს იხრიან ქართული ეკლესიის წინაშე და სწავლობენ მას. ქართულმა ეკლესიამ, ისევე როგორც ქართველმა ერმა, მსოფლიო ეკლესიასაც დიდი სამსახური გაუწია. მისი დაუღალავი და მშობლიური ზრუნვით ივერიელებმა განამტკიცეს ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტება, მოიცილეს თავიანთი წარმართული ცრურწმენები, გამოიღვიძეს და ირწმუნეს მამა ღმერთი, ძე ღმერთისა და სული წმიდა. ჩვენი მაცხოვრის მცნებებს თავგამოდებით, გულწრფელად და თავდადებით მიჰყვებოდნენ და მათი წყალობით ეზიარნენ ნათელ ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს: მოწყალებას, სულგრძე-

1 ისარი. თბ., 1907, №110.

ლობას, სტუმართმოყვარეობას, საყოველთაო ძმობას, მოყვასის სიყვარულს. ლოცულობდნენ სუსტებისა და ჩაგრულებისთვის და ღმერთისთვის და ღმერთის სახელისთვის სურდათ, შეეწირათ არა მხოლოდ ქონება, არამედ ღვთისათვის ცხოვრების სიკეთეც. ქართველი ხალხის ცნობილი მატიანის ყოველი ფურცელი ამის ნათელი დამადასტურებელია. იარაღით ხელში და ჯვრით მკერდზე 16 საუკუნის განმავლობაში გმირულად იბრძოდა ცისკენ ღვთისმოსავად თვალაპყრობილი ხალხი იმ იმედით, რომ სამუდამო ხსნასა და ბედნიერ, უკვდავ ცხოვრებას მოიპოვებდა.

თავიანთი მართლმადიდებლური ეკლესიის კეთილისმყოფელი გავლენის შედეგად, ქართველებმა შეიგნეს სწავლის სარგებლობა და აუცილებლობა, რომელიც პროგრესისა და კულტურის ძლიერი იარაღია. ქრისტიანობის მიღებისთანავე მათ მთელი საქართველო სკოლების ქსელით დაფარეს, რომელთაც უზარმაზარი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდათ. ამ სკოლებში ბევრი თვალსაჩინო თეოლოგი, ეგზეგეტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, მჭევრმეტყველი მისიონერი და საეკლესიო პოეტი გაიზარდა, რომლებიც შემდგომში ღირსებითა და დიდებით ემსახურებოდნენ თავიანთ სამშობლოს და სარგებლობა მოჰქონდათ მისთვის.

ამ გამოჩენილ პიროვნებათა შორის უნდა დავასახელოთ: წმ. მურვანოსი, ექვთიმე ათონელი, იოანე ბოლნელი, კათალიკოსი არსენ I, იოანე პეტრიწი, იოანე ჭიმჭიმელი – „ღვთაებრივი ფილოსოფოსი“, ნიკოლოზ მროველი, „ქრისტიან ფილოსოფოსად და ეკლესიათა მანათობლად“ წოდებული, ლეონტი და ანტონ მროველები, ალავერდელი ეპისკოპოსი ანტონ ჭყონდიდელი, რომელმაც მჭევრმეტყველური ქადაგებით გაამრავლა ქრისტეს სამწყსო ურიცხვი თავმდაბალი მსახურებით; ბოლოს, დიდი პოეტები არსენი, გიორგი მთაწმინდელი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი, აბდულ მავთელი და ბევრი სხვა, რომლებიც თავიანთი შრომებითა და ქრისტიანული ცხოვრებით იმსახურებენ, წარმოჩენილნი იყვნენ მსოფლიო ისტორიაში.

ეს ყველაფერი ნათლად გამოხატავს, თუ რარიგ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო ამ დიდებული ეკლესიის მოღვაწეობა. ქართველ ხალხს, საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლობისა და რწმენის შესანარჩუნებლად უხდებოდა ბრძოლა აურაცხელი და ველური მტრის წინააღმდეგ. არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ის იყო ერთადერთი ქრისტიანი ერი კავკასიის ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც მანათობელი, უხვად ჰფენდა ნათელს მის გარშემო მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს: აფხაზებს, ოსებს, ლეკებს, ჩეჩნებს, უდებს და ბევრ სხვას.

ქართული ეკლესია თავის კეთილშობილურ მისიას ასეთი პატივითა და ღირსებით მხოლოდ კავკასიაში როდი ასრულებდა. მისი საგანმანათლებლო არეალი უფრო ფართო იყო და სცდებოდა კავკასიის ფარგლებს, ისტორია მოგვითხრობს, რომ ათონის მთის ივირონის მონასტერში, სინას მთაზე და პალესტინაში, ძველად ქართული თეოლოგიური სკოლები იყო, რომელთაც იმდროისთვის ცნობილი ბიბლიოთეკები ჰქონდა

მაშასადამე, ეს განმანათლებლური გავლენა აუცილებელი იყო სლავებისთვისაც კი. გავლენა იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ, როგორც ბრესლავის რუსული და პოლონური ენების პროფესორი, დოქტორი არიხტი ამტკიცებს, სლავური ანბანის მეტი ასო უდავოდ ქართული ანბანიდანაა (ასომთავრული)[1] ნასესხები. ამასთანავე, ძალზე გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ალექსი მეფის საკანონმდებლო კოდექსის ავტორებმა ისარგებლეს ქართულ კანონთა კრებულით, რადგანაც ამ მეფის კოდექსში მეტია ისეთი მუხლი, რომლითაც რუსები სარგებლობდნენ და რომლებიც ქართველების მუხლების მსგავსია, ბიზანტიურ კანონმდებლობაში კი არ არსებობდა.

ქართული ეკლესიის ნაყოფიერი და ცხოველმყოფელი ღვაწლი, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა მის შვილებს, აქ როდი მთავრდება: თუ ქართველებმა, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე სასტიკი, სისხლიანი პოლიტიკური ქარიშხლები და გაუთავებელი ომები გადაიტანეს, შესძლეს აქამდე შეენარჩუნებინათ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლად, სისრულით და პირვანდელი სიწმინდით ექადაგათ ქრისტიანული მრწამსი, თუ დღეს ისინი თავიანთ საკუთარ ენაზე მეტყველებენ, თუ კაცობრიობის დიდ ოჯახში ისინი ითვლებიან ჯერ კიდევ ძლიერ ერად, ყველაფერი ეს უდავოდ ქართული ეკლესიის დამსახურებაა. ქრისტიანობამ განამტკიცა ქართველი ხალხის სხვადასხვა ტომები და ყველა ქრისტეს დროშის ქვეშ გააერთიანა. მხარი დაუჭირა კავკასიაში ამდენი ტომის, ენისა და სარწმუნოების დამოუკიდებელ არსებობას. ქრისტიანობა დამკვიდრდა საქართველოში, ქრისტეს ჯვარი იქცა ქართველების ეროვნულობისა და ისტორიული ცხოვრების სიმბოლოდ და ემბლემად. ამგვარად, საუკუნეთა მსვლელობაში, საქართველოს ცხოვრება განუწყვეტელი მარტიროლოგია — სამაგალითო დრამაა ისტორიისა.

ქართული ეკლესიის გავლენა მის შვილებზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წერდა: „საქართველოს ისტორია თვით ქრისტიანობის ისტორიით განისაზღვრება. ქრისტიანობას ქართველი ერის სულიერ და საერო განვითარებაში ძირითადი ადგილი უკავია და მასთან ერთად იმ ტომთა განვითარებაშიც, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ქართველებთან“.

ქართული ლიტერატურა, რომელსაც ძველი ბელეტრისტიკის მსგავსად რელიგიური ხასიათი ჰქონდა, ძირითადად გონებაჭვრეტითი თეოლოგიური, პოლემიკური და ასკეტური მორალის შესახებ ნაშრომებისაგან შედგებოდა. ფილოსოფიის საარსებო წყარო საღვთო წერილი იყო და მასში შეიმჩნევა „გამოცხადების“ დოქტრინების კვალი. ქართული ხელოვნება თავს იჩენს

1 Dr. R. Von Arickt. Ist die Aenhlichkeit des glagolitischen mit dem grusinischen Alphabet Zufall? Leipzig, 1895.

დიდებული ძეგლებით, რომელთა სილამაზე და სტილი, ფრესკების ელეგანტურობა და მოზაიკა დღესაც იწვევს მნახველთა აღფრთოვანებასა და აღტაცებას. ქართული მხატვრობა ძირითადად წმინდანთა სახეებსა და ბიბლიურ სიუჟეტებს წარმოსახავს.

სამოქალაქო ისტორია, რომელიც ერების ბედს ზოგჯერ დამსჯელი და ზოგჯერ მწყალობელი განგების თვალსაზრისით აფასებდა, ქართველი ერის ბრძოლას თავიანთი ეკლესიისთვის მიიჩნევდა წმინდა მოქმედებად, თავდადებად ღმერთის სადიდებლად, ღმერთისა, რომელიც მას მადლს ფენდა და იღებდა მას თავის ღვთაებრივ წიაღში.

და ბოლოს, თავიანთ ეკლესიას უნდა უმადლოდნენ ქართველები ორ ანბანს — ნუსხა-ხუცურსა და ასო-მთავრულს. წარმართობის ხანაში, რომელიც აბრკოლებდა ქართველთა მორალურ და ინტელექტუალურ წინსვლას, მათი გონებრივი ჰორიზონტი ფართო არ იყო, მათი აზროვნება ყალიბდებოდა არსებობის ვიწრო არეალში, რადგან ქართულ ენაში არ იყო არც გამოთქმები და არც სიტყვები აბსტრაქტული, ფილოსოფიური და რელიგიური აზრების გადმოსაცემად. როდესაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო, ხალხის სულიერი ჰორიზონტი გაფართოვდა. მაგრამ ფილოსოფიური დოგმები და მორალი მათთვის მისაწვდომი რომ გამხდარიყო, უნდა ეზრუნათ ქართული ენის განვითარებისთვის. ეს ამოცანა შეასრულეს ეკლესიის დაუღალავმა მსახურებმა — ბერებმა. მათი წყალობით ქართულმა ენამ შეიძინა ურიცხვი სიტყვა აბსტრაქტულ და სულიერ ცნებათა გადმოსაცემად. სწორედ ამის გამო ქართულ ენას სრული უფლება აქვს სხვა ცივილიზებულ ძველ ენათა შორის ჩადგეს. ასეთია ცნობილი ენათმეცნიერის, გაცეგრიას თვალსაზრისი.

მოკლედ, საქართველოს ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებაში ვხედავთ ეკლესიის ძლიერ გავლენას, რომელიც იმდენად ძლავრი იყო, რომ ყოველდღიური ცხოვრების მოვლენები ჩვეულებისამებრ დაკავშირებული იყო წმინდა ეკლესიასთან, მაშინ როცა ყველა ქრისტიანი ერი წელიწადის თვეებს წარმართული წარმოშობის რომაულ სახელებს არქმევს, ივერიელები მათ ქრისტიანულ სახელებს უწოდებენ. ამგვარად, ივნისს ჰქვია ივანობის თვე, რადგან ამ თვის 24-ს იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულია; ივლისს — კვირიკობისთვე, ორი წმინდა წამებულის კვირიკეს და ივლიტას პატივსაცემად; აგვისტოს თვეს — მარიამობისთვე, მარიამის პატივსაცემად, რომლის დღესასწაული 15 აგვისტოსაა; ნოემბერს ჰქვია გიორგობის თვე, რადგან 10 ნოემბერს ქართული ეკლესია იხსენებს იმ სატანჯველს, რომელიც ამ დიდმა მარტვილმა გადაიტანა. დეკემბერს ჰქვია ქრისტეს შობის თვე, ან უბრალოდ ქრისტეს თვე, ქრისტეშობის თვე და ა.შ.

ქართულმა ეკლესიამ და ქართველმა ერმა არანაკლებ მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიას, მას შემდეგ, რაც მართლმადიდებლური მრწამსი გავრცელდა ივერიელთა შორის, ქართულმა ეკლესიამ იგი გულმოდგინედ შეინახა, პირველყოფილი

სიწმინდითა და უმანკოებით საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. ვერც მოგვების ცდებმა მიმქრალი ცეცხლთაყვანისმცემლობის აღდგენისა, ვერც მონღოლთა, თურქთა, სპარსთა და კავკასიელ მთიელთა სასტიკმა შემოსევებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მედკრულ საქართველოს, ნაცარტუტად აქცევდნენ წმინდა საკურთხევლებსა და ბერების მშვიდობიან სამყოფლებს, საშინლად აწამებდნენ ქრისტიანებს, ვერც არიანელთა მაცდურმა ცდებმა (ანტიოქიაში საეკლესიო განხეთქილების დროს) ამ ეკლესიის სწორი გზიდან ასაცდენად, ვერც ალმანურმა წვალებამ, რომელმაც ყოველგვარი ღონე იხმარა საქართველოში მიმდევართა გასაჩენად, ვერც სომეხთა გამოყოფამ ბერძნულ-ქართული ეკლესიიდან და მათმა ცდებმა ჩვენი ეროვნული ეკლესიის გადასაბირებლად, ვერც მწვალებლობებმა და სახელმწიფო გადატრიალებებმა, რომლებმაც შეარყიეს აღმოსავლეთი, ვერც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გამართულმა გამუდმებულმა ბრძოლამ, რომელიც ეკლესიების სქიზმით დამთავრდა, ერთი სიტყვით, ვერანაირმა ამქვეყნიურმა ძალამ ვერ შეძლო დაემსხვრია ქართული ეკლესიის ურყევი და გმირული თავდადება წმინდა და ჭეშმარიტი რწმენისათვის.

ისტორიკოსი პროკოპი, ველიზერის სენატორი და მდივანი ადასტურებს ამას და ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ ადრე ქართველი ქრისტიანები სპარს მეფეთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ისინი მაინც ყველაზე სწორად იცავენ წმინდა მცნებებსა და წესს". ამასვე ამბობს ქართველების შესახებ ნუანდრე (1540): „ქართველებმა, რომლებიც აღიარებდნენ უზენაეს მოძღვრებას, შეუსუსტებლად მოიტანეს იგი მრავალი და ძლიერი მტრის მიუხედავად. ამგვარად, ჩვენი მაცხოვრის ღვთაებრივი სიტყვები: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას"[1], აირეკლა ქართული ეკლესიის მოწამეთა ბედში. მართლაც, წარსულის ყველა ომში, ეს ეკლესია მისი ეპისკოპოსებისა და ივერიელ მიტროპოლიტთა წინამძღოლობით, ქრისტეს დროშითა და იარაღით ხელში, თავდადებით და მამაცურად იცავდა ქრისტიანულ რწმენას მონღოლებისა და მაჰმადიანებისგან, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ, აღეგავათ იგი პირისაგან მიწისა. ცნობილია, რომ ჯვაროსნობიდან მოყოლებული იმ ხალხთა შორის, რომლებიც ქრისტეს საფლავის განთავისუფლებას ცდილობდნენ, იყვნენ ქართველებიც, ეს მარადისი ჯვაროსნები კურთხეულნი თავიანთი ეკლესიის მიერ. თამარ დედოფალმა დააარსა ტრაპიზონის იმპერია იმ მიზნით, რომ ყურადღების ქვეშ ყოლოდა მუსლიმანური სამყარო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი მტრობას დაუწყებდნენ ქრისტიანებსა და წმინდა ადგილებს, იარაღით დაეცვა წმ. ტაძრები. მაგრამ კონსტანტინეპოლის, ბიზანტიის

---

1 მათე, 16, 18.

იმპერიის, ტრაპიზონისა და დანუბის აყვავებული სლავური სამეფოების დაცემის შემდეგ ქართველები დარჩნენ ყველა სხვა ხალხთა შორის ერთადერთ დამოუკიდებელ ქრისტიანებად. ისინი გვევლინებიან ქრისტი-ანობის დამცველად მუსლიმანთაგან, რადგან იმ დროს რუსი ხალხი დღევანდელივით ძლიერი არ იყო. ამიტომ ქართული ეკლესია ხშირად ლოცავდა თავის მამაც და თავდადებულ შვილებს, რომლებიც სამშობლოს გარეთაც იარაღით იცავდნენ სარწმუნოებას მუსლიმანთაგან.

თავისი რწმენისადმი ქართველთა უდიდესმა თავდადებამ რამდენიმე მაჰმადიანი დესპოტიც კი მოხიბლა, რომლებმაც იწყეს ქართული ეკლესიის პატივისცემა. არაბები, თურქები, სპარსელები კავკასიის და მცირე აზიის ყველა ქრისტიან ხალხს, ქართველებს, გურჯებს უწოდებდნენ.

იმისთვის,რომ ცხადვყოთ, თუ როგორი ავტორიტეტითა და პატივი-სცემით სარგებლობდა ქართული ეკლესია შუა საუკუნეებში, სხვადასხვა კონფლიქტისა და სქიზმის პერიოდში, საკმარისია აღვნიშნოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ როდესაც იოანე გოთემმა ეპისკოპოსად აირჩიეს და კონსტანტინოპოლში ჩავიდა ხელდასასხმელად, იქ ხატმებ-რძოლეობა იყო გაჩაღებული. მაშინ იოანემ გადაწყვიტა საქართველოში ჩასვლა, სადაც იგი ეპისკოპოსად აკურთხა ქართველმა კათალიკოსმა იოანემ მცხეთის საპატრიარქო ტაძარში (750). ქართულმა ეკლესიამ ესოდენ ძლიერი გავლენა იმით მოიპოვა, რომ მუდამ იცავდა და ინარჩუნებდა წმ. მოძღვრებას სხვადასხვა რელიგიის გარემოცვაში. სამართლიანია მოსკოვის მიტროპოლიტის, ფილარეტის შეხედულება ქართულ ეკლესიაზე, აი, რას ამბობს იგი: „ქართული ეკლესია, რომელიც დაარსდა IV ს-ში და დამოუკიდებელი იყო რუსეთის ეკლესიასთან შეერთებამდე, განზე იდგა იმ კონფლიქტებისაგან, რომელიც სხვა ეკლესიებს შორის არსებობდა, რამაც მას შესაძლებლობა მისცა დღემდე თავისი მრწამსის ერთგული დარჩენილიყო“. ამ ერთგულებას მხოლოდ მაშინ ჩავწვდებით, თუ გავითვალისწინებთ როგორი იყო მთელი ეკლესია ძველად და რომ სწორედ იქიდან მომდინარეობს დღევანდელი ქართული ეკლესიაც.

ასევე ყურადღებას იმსახურებს ისტორიკოსისა და მოგზაურის მურავიოვის მოწმობა, ვინაიდან ისიც ამტკიცებს ქართული ეკლესიის სიწმინდესა და თვითმყოფადობას: „როდესაც ქართული ეკლესია, – ამბობს ის, – რომელიც IV ს-დან დამოუკიდებელი იყო, შეუერთდა რუსულს, ამ ორ ეკლესიას შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილა დოგმებში, ისევე როგორც მასა და კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის საპატრიარქო ეკლესიებს შორის. აგრეთვე, მოლდავეთის, ვლახეთის, სერბიის, შავი მთის, ტრანსილვანიის, ილირიის და საერთოდ მთელი სლავეთის ეკლესიებს შორის“. საეკლესიო ისტორიის ღრმა მცოდნე, კიევის თეოლოგიური აკადემიის დამსახურებული პროფესორი, აწ განსვენებული ჟ.ჟ.მალიშევსკი, ხშირად ამბობდა:

„ქართული ეკლესია მრავალრიცხოვანი ძვირფასი ქვით არის შემკული, მან ღირსებით განვლო მთელი თავისი ისტორიული გზა". ეს ყველაფერი იმით აიხსნება, რომ თავისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ქართული ეკლესია არასდროს ყოფილა ამღვრეული ყალბი დოქტრინებით, მწვალებლობებითა და სქიზმებით. ასე მტკიცე და შეურყეველი რჩებოდა იგი მუდამ.

მაგრამ ეს ეკლესია მხოლოდ წმინდა სარწმუნოებას როდი იცავდა. თავისი მრავალრიცხოვანი მტრის დასამარცხებლად მას ძლიერი ციხესიმაგრე, ე.ი. მონასტრები ჰქონდა, რომელშიც ღვთისმოსავი და თავმდაბალი ადამიანები ცხოვრობდნენ. მათ უარი თქვეს ამა ქვეყნის სიამოვნებებზე და მთლიანად მიეცნენ საღმრთო კანონიკურ მსახურებას. ეს ბერები, რომლებიც შორს იყვნენ ხმაურიანი და მაცდუნებელი სამყაროსგან, სწუხდნენ მყუდრო საკნებში ერთმორწმუნეების სასტიკ გასაჭირზე, აღვივებდნენ ქართველებში ეროვნულ თვითშეგნებას, ამტკიცებდნენ ხალხის მეხსიერებაში სარწმუნოების დოგმებსა და ქრისტიანულ ღვთისმოსაობას, ამხნევებდნენ მერყევებს და სთავაზობდნენ სულიერ საზრდოსა და მორალურ მხარდაჭერას, აშორებდნენ ხალხს ისლამს და აზიარებდნენ ჭეშმარიტებას მათ, ვინც შორს იყო მისგან.

ამ ბერებმა მონასტრების გვერდით დააარსეს სკოლები, რომლებიც ავრცელებდნენ ხალხში რწმენასა და ჭეშმარიტ ღვთისმოსაობას, რაც გარეშე ერეციკულ გავლენას ძლიერ დამრკოლებას უქმნიდა. გარდა ამისა, იმ მიზნით, რომ ივერთა ქვეყანაში სარწმუნოება განემტკიცებინათ, ეს ღვთისმოსავი განდეგილები თარგმნიდნენ და ავრცელებდნენ კლასიკურ და ქრისტიან მწერალთა ნაშრომებს, და ბოლოს მეცნიერებითა და ხელოვნებითაც დაინტერესდნენ და გაამდიდრეს ისინი შესანიშნავი ნაშრომებით.

იმ ბნელ პერიოდში, როცა საქართველოს ძლიერი და ველური მტრები ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ყველაფერს, რაც კი გზაზე ხვდებოდათ, როცა გრანდიოზული ტაძრები ფერფლად იქცა და განადგურდა, როცა ხეობები და მინდორ-ველი უხვად მოირწყა მარტვილთა სისხლით, რომელნიც თავიანთი სამშობლოსა და რწმენის დასაცავად დაიხოცნენ, როცა თითქოს ცა მზად იყო ჩამოსაქცევად და დედამიწა შესარყევად საწყალობელთა სიმრავლით, სწორედ ამ დროს ქართველი ბერები ახერხებდნენ საკუთარ თავთან ერთად გადაერჩინათ წმინდა ნივთები, ძველი ხელნაწერები, მრავალი დოკუმენტი და ლტოლვილიყვნენ მათ შესანახად ხშირი ტყეებით დაფარულ ხეობებში. ასე ხელშეუხებლად ინახავდნენ ისინი ეროვნულ ტრადიციებსა და საღვთო წერილებს. მიუხედავად ხელმოკლეობისა, რწმენისთვის ტანჯვაც კი ქართველ ბერებს ბედნიერებად მიაჩნდათ და მხოლოდ ეროვნული საუნჯის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ, რათა უზრუნველეყოთ თანამემამულეების სიმშვიდე და განათლება. ასე მოიტანეს და შეინარჩუნეს დღემდე ყველა ხელნაწერი, სვინაქსარი და ეროვნული ისტორიის დოკუმენტი, როგორც ცოცხალი

მოწმობა რწმენისთვის ქართველების მტკიცე და უდრეკი თავდადებისა. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ერი და საერთოდ კაცობრიობა დიდად მადლიერი უნდა იყოს ამ დაუცხრომელი და ფხიზელი ბერებისა, რომელთა ღვაწლის აღნუსხვა შეუძლებელია. მათი წყალობით, ქართულმა ეკლესიამ შეძლო შეენარჩუნებინა მრავალი ნაშრომი, რომელიც ძველი ბერძნული ლიტერატურიდან თარგმნილია ქართულად და რომელთა დედნებიც ქრისტიანული და თეოლოგიური მეცნიერებებისთვის დაკარგულია. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სხვა ქართული თარგმანებიც მნიშვნელოვანია ბერძნული ეკლესიის მამათა ზოგიერთ იმ ნაშრომთა აღსადგენად და შესამოწმებლად, რომლებმაც ჩვენამდე დამახინჯებულად და ინტერპოლაციებით მოაღწიეს.

სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს ყველა საეკლესიო ძეგლი, ხელნაწერი, ათასობით ძვირფასი ნივთი, რომლებიც მართერად აღუდგნენ წინ ბარბაროსებს. რასაკვირველია, ბევრი ძეგლი გაანადგურეს მონღოლებმა, თურქებმა, სპარსელებმა, მთიელებმა, თუ ქრისტიანობისა და ცივილიზაციის სხვა მტრებმა, ბევრიც ხალხის დაუდევრობით დაიკარგა, დანარჩენი კი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ბარბაროსების შიშით ჩამარხეს და დამალეს ბერებმა. მაგრამ მაინც რჩება მრავალი ხელნაწერი, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავთ ქართული ლიტერატურის მცოდნეები აზრის სიღრმით, სიზუსტით, სიუხვით, პოლემიკის ორიგინალობით, მასალის მრავალმხრივობითა და ენციკლოპედიური ხასიათით.

რამდენი ძვირფასი ქართული ხელნაწერი, სხვადასხვა დროს სიძველეთა მოყვარულების მიერ ევროპის საჯარო ბიბლიოთეკებსა თუ მუზეუმებში გატანილი, აკვირვებს ევროპელ მეცნიერს მასალის სიმდიდრითა და მრავალსახეობით, სტილის სილამაზითა და ნაწერის კალიგრაფიული დახვეწილობით! რუსული ეკლესიის იერარქებიც, მათ შორის ცნობილი თეოლოგი და ბიზანტინისტი, ბოლოს ეპისკოპოსი ჩერნიგოვისა, პორფირე უსპენსკი (1885), ქართულ სიძველეებს ყოველთვის შესაფერისი ყურადღებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, რადგანაც, მათი აზრით, ისინი გამოხატავდნენ ქართველი ხალხის სიყვარულსა და თავდადებას ეკლესიისა და რელიგიისათვის.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ქართული ხელნაწერები დღემდე ცუდად არის შესწავლილი. მაშინ, როცა კავკასიაში დამყარებული სიმშვიდე, უსაფრთხოება და სოციალური ვითარება ესოდენ ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეცნიერო მუშაობისთვის! ამიტომ კარგი იქნება, თუ უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება შექმნის სპეციალურ დაწესებულებას ყველა ამ მნიშვნელოვანი და სასარგებლო დოკუმენტის შესაკრებად.

ამ მოხსენების ბოლოს, ჩვენ, მემკვიდრეები იმ იბერიელი ბერებისა, რომელნიც ძე ღმრთისას დაუძლეველი მახვილით საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ სარწმუნოებისათვის, რომლებმაც იგი ძვირფასი წიგნების მდიდარ მემკვიდრეობასთან ერთად ხელშეუხებლად გადმოგვცეს, ვითვალისწინებთ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავს, 1901

წ. 18 იანვარს და მიგვაჩნია, რომ ჩვენი პირველი და უწმინდესი ვალია მოწიწებით შევევედროთ მმართველ წმ. სინოდს, ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად, პეტერბურგის თეოლოგიის აკადემიაში დააარსოს ქართული საეკლესიო ისტორიის დამოუკიდებელი კათედრა, სადაც შეისწავლიან ხელნაწერებს, საეკლესიო არქეოლოგიურ ძეგლებსა და ყველაფერს, რაც კი ქართულ ეკლესიას ეხება.

ეს ნაშრომები ახალი ცნობებით გაამდიდრებენ თეოლოგიურ და საეკლესიო ლიტერატურას და ნათელს მოჰფენენ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ ფურცლებს".

## XIX. — სამღვდელოებისა და ქართველი ერის განმეორებითი მიმართვა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამგვარი მოთხოვნების მოთავეთა დასჯა

თავისუფლების სიომ რომ დაჰბერა რუსეთის იმპერიაში, ქართველებმა ეს მომენტი ხელსაყრელად მიიჩნიეს ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღსადგენად და მრავალჯერ მიმართეს იმპერატორსა და წმ. სინოდს. სამღვდელოების ხმას ერიც შეუერთდა. 1905 წლის 11 ოქტომბერს ქართველმა დიდებულებმაც ასევე მიმართეს კავკასიის მეფის ნაცვალს შემდეგი წერილობითი თხოვნით და სთხოვეს, ეს დოკუმენტი სრულიად რუსეთის იმპერატორისათვის გადაეცა:

„თქვენო მრწყინვალებავ, თექვსმეტი საუკუნეა ივერიის ხალხი თაყვანსა სცემს წმინდა ჯვარს უფლისას. მტერი, მტერი მძიმე განსაცდელი და უბედურება გამოიარა ამ ხალხმა სარწმუნოების გულისათვის, მთელის საუკუნეების განმავლობაში ქართველობა აღმოსავლეთ ქვეყნების მპყრობელთა ულმობელი უღლის ქვეშ ჰკვნესოდა, ითმენდა სისასტიკეს. მაგრამ ივერიის ეკლესია მაინც შეურყეველი და ცხოველი იყო. ძლიერი იყო სული და უძლეველი ძალა მისი, დამყარებული მწყემსთა და სამწყსოთა შორის მტკიცე ერთობაზე, დიდებული და ქებულია წამებულთა სისხლით მორწყული ის გზა, რომელზედაც შეუდრეკლად მიჰყავდა ქართველი ხალხი და ამხნევებდა, ანუგეშებდა და უთითებდა ქრისტიანობის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიზნისა და იდეალებისაკენ. მაგრამ გავიდა უკანასკნელი ასი წელი, როდესაც ქართული ეკლესიის მედ-იდმალს განაგებდნენ რუსის ექსარხოსები და რასა ვხედავთ ეხლა? სარწმუნოება მოკლულია ქართველს ხალხში, ინდიფერენტიზმმა მოიცვა ყველა ნაწილი მცხოვრებთა, რომელმაც დაიბუდა თვით მორწმუნეთა გულშიაც. ეკლესიები ცარიელია დიდს საუფლო დღესასწაულებშიაც კი; ეკლესიები თითქმის ყოველდღე იძარცვებიან, რაც წარსულ საუკუნეებში არ ნახულა და არ გაგონილა. მრევლი უარს უცხადებს მღვდელს და აღარ უხდის არაფერს საეკლესიო

სამღვთო წესის შესრულებისათვის და ზოგიერთს ადგილებში სრულიადაც უარჰყოფენ მას. საქართველოს სამღვდელოება, უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყენებული, წერილობით თუ დეპუტაციების პირით, საქართველოს ეგზარხოსს უცხადებს, რომ შიმშილით სიკვდილი მოელის და თუ მთავრობამ არ უზრუნველჰყო იგი, იძულებული იქნება უარ-ჰყოს მწყემსთმსახურება და დაუბრუნდეს ერისკაცობას და საერისკაცო საქმით გამონახონ თვით არსებობისთვის საჭირო საზრდო. ერთის სიტყვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამჟამად საშინელ სულთმობრძავის მდგომარეობაშია. ესა ხდება მაშინ, როდესაც ეკლესიის სხვა ხალხს სარწმუნოებაც მტკიცედ აქვს დაცული და სამღვდელოებაც უზრუნველ-ყოფილი. რა არის მიზეზი საქართველოს ეკლესიის ასე დაცემისა? რა არის მიზეზი სარწმუნოების განქრობისა ქართველებში, იმ ქართველებში, რომლებზედაც ბიზანციის შესანიშნავი ისტორიკოსი პროკოპი კეისარიისა ამბობს: „ივერიელნი ყველა ხალხებზე უკეთ ინახავენ წესს ქრისტიანობრივ სარწმუნოებისას". მიზეზი ის არის, რომ ივერიის ეკლესიას წაერთვა ყოველივე ის, რითაც ცოცხალი და ძლიერი იყო იგი და რითაც სცოცხლობდნენ კავკასიის სხვა ერების ეკლესიები. შესწყდა სიცოცხლის ძარღვი, განქრა კავშირი ეკლესიასა და მის მეთაურს შორის, კავშირი, რომელიც მტკიცედ დამყარებული იყო შთამომავლობისა, ენისა, გადმოცემათა და სულიერ მშობლიურ ერთობაზე, წაერთვა თვითმმართველობა, გაუქმდა საეროვნო წესი, რომელიც ქვაკუთხედი იყო ორგანიზაციისა, ამჟამად საქართველოს ეკლესიას აღარ ჰყავს მეთაური, აღარ აქვს კანონიერი ავტოკეფალია. ეხლანდელი მეთაურნი უცხონი არიან ივერიის ეკლესიისათვის; უცხონი არიან ეხლანდელი მწყემსნიც, აღზრდილები ხალხის წინააღმდეგ მიმართულებაში. ესენი მოკლებულნი არიან ნიჭს სიტყვიერებისას მშობლიურ ენაზე და ხალხის თვალში წარმოადგენენ მხოლოდ სასულიერო უწყების მოხელეთ. ამ გვარ პირობებში ეკლესია უნდა დაცემულიყო და აკი მართლაც დაეცა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის სახსნელად საჭიროა მიეცეს თავისუფალი სიცოცხლე, დაუბრუნდეს ძველი კანონიერი მართვა-გამგეობა, სრულად დაუბრუნდეს ხალხის მიერ არჩეული კათალიკოსი სრულის უფლებითა და ვალდებულებით, ივერიის ეკლესიის გამოსაბრუნებლად სხვა გზა არ არის. ესეთი რეფორმა შესძლებს მხოლოდ შეასწოროს ასის წლის უსამართლობა და ამასთანავე ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურის ერთობის განმტკიცებას, რადგან ეს ერთობა ისე ძლიერად არასფრით არ სუსტდება, როგორც მათი, რომ ქართველი ხალხი მოკლებულია იმ დიდს უფლებას, რომლითაც სავსებით სარგებლობენ მეზობელი ხალხები.

თქვენო მრწყინვალებავ! განზრახული ავტონომია კავკასიის ეკლესიისა და მიტროპოლიის მეთაურობით ვერ დააკმაყოფილებს ქართველ ერს, რომელიც გულმოკლულად მიეგება ამ ამბავს და სცნო, რომ ამ ცვლილებით მოესპობა საქართველოს ეკლესიას მრავალსაუკუნოების

არსებობის უკანასკნელი კვალიც; არა, მხოლოდ საჭიროა აღდგენილ იქმნეს საქართველოში საკათალიკოსო უფლებანი და აი, ამიტომ ჩვენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილნი, წევრნი საქართველოს ეკლესიისა, ვთხოვთ თქვენს ბრწყინვალებას, აღმოუჩინოთ ძლიერი დახმარება ამ შუამდგომლობას, რომელიც აღძრა ამერ-იმერეთის სამღვდელოებამ მისის იმპერატორობით უდიდებულესობისა და უწმ. სინოდის წინაშე, რომ აღდგენილ იქნას ივერიის ეკლესიის ავტოკეფალური უფლებანი, ამორჩეული კათალიკოზის მეთაურობით. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თქვენი ავტორიტეტული და სამართლიანი გამოქომაგება შეწყნარებული იქმნება ხელმწიფე იმპერატორის მიერ და დაუბრუნდება საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ისე, როგორც მხოლოდ თქვენი შუამდგომლობისამებრ დაუბრუნდა სომხეთა ავტოკეფალურ ეკლესიას მამულები და ნაციონალური საეკლესიო სამრევლო სკოლები. განახლება საქართველოს ეკლესიისა სხვა რეფორმებთან ერთად, რომელთაც მოუთმენლად მოელის ხალხი, ჩვენს ქვეყანას წაიყვანს იმ მშვიდობიანობისაკენ“[1].

მაგრამ თხოვნაზე ხელისმომწერთ იმედი არ გაუმართლდათ. მოჩვენებითად, წმ. სინოდმა ეს საკითხი განსახილველად გადასცა 20 კაცისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც ქართველების ყველაზე დაუძინებელი მტრები შედიოდნენ. მართალია, ამ კომისიაში ორი ქართველიც იყო, მაგრამ მათ ყოველ სხდომაზე როდი იწვევდნენ. ისინი იქ მხოლოდ იმიტომ იყვნენ, რომ ვითარცა დამნაშავენი წარმსდგარიყვნენ სამსჯავროს წინაშე და აეხსნათ თავიანთი მოქმედება, ანუ თავმდაბალი მოთხოვნა. ბუნებრივია, კომისიამ უგულვებელყო საკითხი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

წმ. სინოდმა მეამბოხედ ცნო ყველა, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მოთხოვნაში და მოთავენი დაუსჯელად არ დატოვა. მან განსაკუთრებით ჯავრი იყარა ამ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის მოთავეებზე. თავდაპირველად სამშობლოდან რუსეთში გააძევა ქართველი სწავლული ეპისკოპოსი კირიონი, ეგზარხოსის ყოფილი ქორეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ გამოგონილი სხვადასხვა ბრალდების საბაბით იგი რუსულ მონასტერში გამოკეტა. ამასთანავე დამოუკიდებლობის მეორე მოთავის იმერეთის მღვდელ ლეონიდე ოქროპირიძის უსამართლო დევნა დაიწყო.

წმ. სინოდის ამ უსასტიკესი მოქმედებით სასოწარკვეთილ ქართველ ერს მღვდლები მხოლოდ პოლიციელებად მიაჩნდა. სწორედ ამის გამო დაშორდა ეკლესიას და დაკარგა რწმენა, რომელსაც დაუცხრომელი განსაცდელის ჟამსაც კი ინარჩუნებდა.

1 იხ. ცნობის ფურცელი, თბ., 1905, №2932.



კირიონი, ქართველი ეპისკოპოსი, ეგზარქოსის უწინდელი ქორეპისკოპოსი, რუსეთში გადასახლებული 1909 წელს.[1]

1 ეპისკოპოსმა კირიონმა შემდეგი თხოვნით მიმართა სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონს: „უწმინდ. სინოდის ბრძანებით, კურიაჟსკის მონასტრიდან გადამიყვანეს სანაქსარის უდაბნოში. ადვილად მიხვდებოდა ყველა, რომ ჩემ გადაყვანას

დღეს დამოუკიდებლობადაკარგული, უწინდელ დიდებასა და ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებული ქართული ეკლესია დაკნინების გზას ადგას.

## XX. – დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო. ანტიოქიის პატრიარქთა ხრიკები თავიანთ განმგებლობაში ქართული ეკლესიის დასაბრუნებლად

სანამ ამ თავს დავასრულებდეთ, გვინდა რამდენიმე სიტყვით მოგითხროთ აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს შესახებ.

ძველად აფხაზეთის სახელწოდებაში იგულისხმებოდა მთელი დასავლეთ საქართველო — იმერეთი, სამეგრელო, გურია, სამცხე, სვანეთი და საკუთრივ აფხაზეთი.

ბიჭვინთის ტაძარი წარმოადგენდა მთავარ ეკლესიას, რომელიც კათალიკოსის რეზიდენციად იყო მიჩნეული. ამ ეკლესიის რეპროდუქცია ჩვენ ზემოთ მოგაწოდეთ. მის დაფუძნებას ერთნი წმ. ანდრიას მიაწერენ, მეორენი კი — იმპერატორ იუსტინიანეს VI საუკუნეში.

აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობა ბევრად უფრო ბუნდოვანია, ვიდრე მცხეთის საკათალიკოსოსი. ჩვენ არ გაგვაჩნია უტყუარი საბუთები არც მისი დაწესების ეპოქის, არც მისი თანმხლები ვითარებებისა და არც კათალიკოსების რიცხვის შესახებ. დრომ შთანთქა ამ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლებსაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ,რადგან აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობას იმიტომ ჰქონდა აზრი, რომ მცხეთის საკათალიკოსოს უპირისპირდებოდა. მართლაც, მცხეთის კათალიკოსი იყო მთელი საქართველოს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს, სულიერი წინამძღვარი. ვინაიდან მთელ ქართველობას ერთი რწმენა ასულდგმულებდა, მას უნდა ჰყოლოდა ერთი სულიერი მწყემსი, ეს ერთიანობა იქ ქრისტიანობის შემოსვლიდან მრავალი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა, მაშინაც კი, როცა არც სამეფო არსებობდა და არც პოლიტიკური მთლიანობა. მაშასადამე, საეკლესიო გაყოფის მთავარი მიზეზი პოლიტიკური განხეთქილება არ უნდა ყოფილიყო და ამის საბაბი სხვაგან უნდა მოვიძიოთ.

---

სანაქსარის უდაბნოში ჰქონდა ხასიათი სასტიკი სასჯელისა, არაფერი არ ვიცი, ვიყავი თუ არა გასამართლებული, მაგრამ ყოველს სასამართლოში ბრალდებულმა იცის, რა ბრალსა სდებენ და რისთვის ასამართლებენ. ჩემთვის ამ შემთხვევაში ეს კანონი დაირღვა. მე მოვიხადე სასჯელი და დღემდე არ ვიცი, ან ვინ არიან ჩემი ბრალმდებელნი, ან რაში მდებენ ბრალს. მაშინ, როდესაც „კანონი არ სჯის არავის, თუ ჯერ არ განიკითხავს მას. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უწმინდესობას, ნება დამრთოთ გავიცნო ის მიწერ-მოწერა, რომელიც შემეხება მე და აგრეთვე გავიცნო მოხსენება უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის დირექტორის ბ-ნ იაცკევიჩისა ჩემს შესახებ“. გაზ. დროება. 1910 წ. №45.

ანტიოქიის პატრიარქები, როგორც ჩანს, ძლიერ ნანობდნენ, რომ საქართველოს ეკლესია გაუსხლტათ იურისდიქციის ფარგლებიდან და ყოველნაირად ცდილობდნენ, ისევ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ. რადგან ამ საქმის მთლიანად განხორციელება ძალზე ძნელი იყო, ლამობდნენ, ნაწილობრივ მაინც აესრულებინათ განზრახვა. მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური დაყოფა დაეხმარებოდათ დასახული მიზნის განხორციელებაში და საამისოდ ეპისტოლეებსა და ემისრებს იშველიებდნენ, მაგალითად მათ რამდენჯერმე შეძლეს სამცხის მხარის ეპისკოპოსი კათალიკოსისაგან გაენაპირებინათ. ამას ამტკიცებს ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ეპისკოპოსის წერილი, რომელშიც ის კათალიკოსის უზენაესობას აღიარებს.

ჩვენ ხელთა გვაქვს სამცხის ეპისკოპოსების რამდენიმე წერილობითი საბუთი, რომლებშიც ისინი მცხეთის კათალიკოსს შესჩივიან, როგორ იყვნენ ცდუნებულნი ბერძენი ემისრების მიერ, და ჰპირდებიან, რომ არც პატრიარქის წერილებს და არც მის გამოგზავნილ პირებს —მღვდლებსა და ეპისკოპოსებს — აღარ მიიღებენ და არც ანტიოქიის პატრიარქს მოიხსენებენ[1].

გვაქვს აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქის, დოროთეოს II-ის ან III-ის (1484-1523) მიერ არაბულად დაწერილი სიგელი (მას თან ახლავს ქართული თარგმანი), რომელშიც სამცხის მთავარს მზეჭაბუკს მიმართავს. ის ხოტბას ასხამს მთავარსა და სამთავროს ყველა ეპისკოპოსს, საქართველოს მეფეს კი ორგულსა და ულვთოს უწოდებს, რათა მეფესა და ამ მთავარს შორის არსებული უთანხმოება გააღრმავოს[2].

სწორედ ამგვარი მეცადინეობით გამოყვეს მათ დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო და დაიწყეს თავიანთ გავლენაში მისი მოქცევა.

პოლიტიკურმა უთანხმოებებმაც ასევე შეუწყო ხელი ამ გაყოფას. ამ მხრის მთავრები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფის გავლენისაგან განთავისუფლდნენ, ცდილობდნენ, ეკლესიაც დამოუკიდებელი ჰქონოდათ. ასე დაარსდა დასავლეთ საქართველოს, ე.ი. აფხაზეთის საკათალიკოსო ანტიოქიის პატრიარქის მხარდაჭერითა და გავლენით, როგორც გვიანი ისტორიული ცნობები მეტყველებენ. მაგრამ ამ მოვლენის ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. დასავლეთის პირველი კათალიკოსი არსენია, რომელმაც ეს ტიტული 1390 წელს მიიღო. მისი უშუალო მემკვიდრის შესახებ კი არაფერი ვიცით, თუკი ის საერთოდ არსებობდა.

შედარებით მოგვიანებით, ანტიოქიის პატრიარქის მიქაელის

1 იხ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 227, 267-269, 315.

2 იქვე, გვ. 316-317.

(რომელიც დასავლეთ საქართველოში ჩამოდის საეკლესიო საკითხების მოსაწესრიგებლად) წერილობით საბუთში ვხვდებით კათალიკოს იოაკიმს. ეს საბუთი დაუთარიღებელია, მაგრამ იქ მოხსენიებულია იმერეთის მეფე ბაგრატი (1455-1474) და სამეგრელოს მთავარი შამადავლე დადიანი (1470—1474), რომელთა დროსაც პატრიარქი ჩამოვიდა და დაიწერა ხსენებული საბუთი. მაშასადამე, საუბარია მიქაელ IV ან მიქაელ V-ის შესახებ. საბუთი მრავალ მუხლს შეიცავს და კათალიკოსი იოაკიმი მხოლოდ მასში იხსენიება. იგი მოგვითხრობს, რომ პატრიარქმა აკურთხა და აფხაზეთის ტახტზე დასვა იოაკიმი; იოაკიმს დიდი ხოტბა შეასხა და მორწმუნეებს ურჩია, მას დამორჩილებოდნენ. შემდეგ უსაშინლესი ანათემითა და ეკლესიიდან მოკვეთით კრძალავს უკანონო ქორწინებას, მარხვის გატეხვას და სხვა მსგავს ცოდვას[1].

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, 1664-1665 და 1669 წწ.-ში საქართველოში იმყოფებოდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III[2], რომელიც მოსაჩვენებლად რომის ეკლესიას შეუერთდა 1661 წ.-მდე და ამავე დროს შეეცადა, განევრცო თავისი იურისდიქცია მთელ საქართველოზე ცდუნებათა დათრგუნვისა და მთელი ხალხისა და სამღვდელოების დამოძღვრის გზით[3].

1519 წელს, აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია ანუ მალაქიონი გელათის მონასტერს აძლევს სიგელს, რომელშიც აფუძნებს გელათის საეპისკოპოსოს, ხოლო ეპისკოპოსად მელქისედეკს ნიშნავს. სიგელში მალაქია თავს იხსენიებს ეპისკოპოსთა ეპისკოპოსად, აღმოსავლეთისა და მთელი ჩრდილოეთ აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად. მის დოკუმენტთაგან ერთი 1533 წლით თარიღდება. მალაქიას უეჭველად 1519 —დან 1533 წ.-მდე უნდა ეკათალიკოსა.

1558-1578 წლების საბუთებში ვხვდებით კათალიკოს ევდემონის სახელს. გელათის მონასტერში შენახული წმინდა ღვთისმშობლის ხატის წარწერა ამბობს, რომ ხატი კათალიკოსმა ევდემონმა შეაკეთებინა და შეამკო, იმავე მონასტერში შენახულ ერთ ხელნაწერში კათალიკოსი ევდემონი ამგვარად არის მოხსენიებული:

---

1 იხ. ჟორდანია. ქრონიკები, II, გვ. 294-297.

2 იქვე, გვ. 482.

3 უკან დაბრუნებისას მაკარიოსმა არაბულად დაწერა მცირე მოცულობის „ქართველთა მოქცევის ისტორია", რომელიც ინახება ვატიკანის ბიბლიოთეკაში (№ 689. ვატიკანი. არაბ.). 1905 წელს, ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით ქ-მა ოლგა ლებედევამ მაკარიოსის ნაშრომი ფრანგული თარგმანითურთ გამოაქვეყნა რომში. მაკარიოსი თავის ისტორიაში აზვიადებს იმ დარღვევებსა და უწესრიგობას, რაც უნახავს ან აულაგმავს საქართველოში, შესაძლოა, იმ მიზნით, რომ ამით საკუთარი მოციქულობის მნიშვნელობა დიდად წარმოსახოს.

„... ღირსი ხსენებისა და მუშაკი საღვთოისა სჯულისა, სიმდაბლითა და სიწმიდითა ღმერთშემოსილქმნილი... სიბრძნითა სულიერითა და



მაკარიოს III ზაიმი, ანტიოქიის მელქიტი პატრიარქი (1643-1672), მოსკოვის ნოროვის ბიბლიოთეკის არაბული ხელნაწერის მიხედვით.

კორციელითა ზესთა ამაღლებული, მნათობი ქართველთა, სახე და კანონი მონაზონებისა, მწყემსი მწყემსთა... ლამპარი... მზე... გმირი...

კათალიკოსი ამხაზთა... ნეტარი ევდემონ... ამზეგრძელომე"[1].

ჩვენი აზრით, კათალიკოსი ევდემონი ასე მაღალფარდოვნად უნდა შეეფასებინათ იმ 23 საეკლესიო კანონის გამო, რომელიც მის სახელს ატარებს და შეტანილია ვახტანგ VI სამართლის წიგნის მეოთხე ნაწილში[2].

ბუნებრივია, ეს კანონები წერილობით უნდა მიეღოთ საეკლესიო კრებაზე, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, სად და როდის ჩატარდა კრება.

გელათის ეკლესიაში, კათალიკოს ევდემონის საფლავზე ასეთი ეპიტაფიაა ამოკვეთილი:

„ქრისტე, განუსუენე სულსა მონისა შენისასა აფხაზეთის კათალიკოზს ევდემონ ჩხეტიძეს და მე დამარხულმან საფლავთა შინა მეფეთასა დავახატვინე საყდარი ესე და შევამკე ხატი ბიჭვინთისა ღვთისმშობელი სახსენებლად სულისა ჩემისა, ამინ"[3].

ზემოხსენებულ კანონებში ვხვდებით კათალიკოს ექვთიმეს ხელრთვასაც. ექვთიმეს უნდა შეეცვალა ევდემონ კათალიკოსი, მაგრამ მისი არჩევის თარიღი ჩვენთვის უცნობია; ცნობილია მხოლოდ, რომ 1605 წელს გარდაიცვალა.

გელათის მონასტრის ერთ-ერთი წარწერა ამბობს, რომ კათალიკოს ექვთიმეს მითითებით გადაიწერა ბევრი ისეთი საეკლესიო წიგნი, რომელმაც შემდგომში გაამდიდრა ეკლესიები.

## XXI. – მთავარი და კათალიკოსი მალაქია. ურბან VIII-ის წერილი. დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სხვა კათალიკოსი

მალაქია მრავალ სიგელშია მოხსენიებული. იგი დაახლოებით 1605 წელს უნდა აერჩიათ კათალიკოსად.

კათალიკოსი მალაქია მხოლოდ სულიერი მწყემსი კი არა, გურიის მთავარიც გახლდათ. კარგი თვალით უყურებდა კათოლიკურ ეკლესიას და, როგორც კი თეატინელ მისიონერთა აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსვლა და კეთილისყოფანი შეიტყო, მაშინვე ჩამოაყვანინა ისინი თავის სამთავროში. ხოლო მისიონერებმა მიართვეს პაპის წერილი, რომელიც მას ჩამოუტანეს ქართველ მეფე-მთავრებისთვის განკუთვნილ სხვა წერილებთან ერთად.

აი, რას გადმოგვცემს ეს წერილი:

---

1 ჟორდანია, ქრონიკები, 1897, წიგნი II, გვ. 406.

2 ამ კოდექსის ხელნაწერი ინახება პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქართული ხელნაწერები, №24.

3 Brosset. Voyage archéologique, IX მოხსენება, გვ. 44.

„პაპი ურბანო VIII

**ქართველ გურიელ მთავარს,**

**კეთილშობილო მთავარო, მშვიდობა და ღვთიური მადლის ნათელი!**

რომის ეკლესიის მღვდლები საქართველოს მხარეს მოდიან არა მწყურვალნი ოქროსი, რომელმაც უწინ, როგორც მოგვითხრობენ, საბერძნეთის გმირ არგონავტებს დაატოვებინა ეგეოსის ზღვის ნაპირები და მოიყვანა რიონის მდინარესთან საარაკო საშიშარის გზებით. ჩვენი წარმოგზავნილი მღვდლები სტოვებენ თავიანთ ქვეყანას, რომლის პოხიერებას და სახელგანთქმულობას შეუძლიან მგზავრები მიიზიდოს; არც უშინდებიან ეგრეთ შორეულ მგზავრობის დიდ გაჭირვებას უიარაღოდ და უჯაროდ მოდიან მანდეთ არა იმისთვის, რომ შეიძინონ სიმდიდრე, არამედ ხალხის ცხონებისათვის იზრუნონ. ეს არის მათი ერთადერთი ნატვრა, ამიტომ ღირსნი არიან, რომ პატივით მიიღოთ თქვენს სამრძანებელში: გადაავლეთ თვალი ძველ დროებს, ნუთუ შეგიძლიათ ჰპოვოთ მისთანა ბარბაროსი ერი, მის სასიკეთოდ მოსულთ მტრულად და ულმობლად მოპყრობოდეს? თქვენ კარგად უწყით, რომ პატივი თქვენის ღირსებისა დამყარებულია დიდების ნატვრასა, კეთილის ქმნასა და უმანკოთა მფარველობაზედ. ამიტომ ჩვენც ვპირდებით, რომ თქვენმა წარჩინებულებამ მათ ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს, რადგან თქვენის დიდების აღმატებისათვის საშრომელად მოდიან. უკეთუ ეს აღასრულეთ, (იმედი გვაქვს, ჩვენი მოლოდინი ამაო არ შეიქმნეს), სახელგანთქმულობა თქვენის მთავრობისა, მსწრაფლ გარდმოივლის კავკასიის მთებს, შავ ზღვას, მოაწევს რომამდე და მიიღებს შესხმას. ამას კი მსოფლიო დედაქალაქის ერი უძღვნის მთავართა, რომლებიც ღირსნი გახდებიან სამოციქულო საყდრის მიერ. ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ მაგ თქვენის სიკეთისა და მფარველობისათვის ვითარ სასყიდელს მოგაგებსთ მეფეთა მსაჯული ქრისტე, რომელსაც ჰნებავს, მშვენიერ იყვნენ მშვიდობის მყოფელთა ფერხნი და რომელიც სათავისოდ მიითვლის, რასაც უცხოთა მიაგებენ. ქრისტე, რომელსაც რომა ემსახურება, იდიდების ეგრეთვე მთავართა და მეფეთა სამსახურით და პატივით. გარდა ამისა, თავისი მოქალაქობით რომის ეკლესიას შეუძლია ყველას სთხოვოს თვისთა მორწმუნეთა მფარველობა, ვინაიდგან აქ ყველა უცხოთა სტუმრობა მიღებულია და ყველას შეუძლია ეწიოს იერარქიულ მაღალ ხარისხს. აქ, კაცთა ნათესავის დედაქალაქში, ბევრი უცხო ტომის ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ისე არიან ყველანი თითქოს თავიანთ სამშობლოში იყვნენ: ამას ერთპირად ყველანი მოწმობენ. თქვენი კეთილშობილება დაავალებს ამ ქალაქს, უკეთუ თქვენის" კეთილისმყოფელობით მანდ გამოგზავნილმა რომაელმა მოძღვრებმა საქართველო მიიჩნიეს თავიანთ მამულად და არა უცხო ქვეყნად. აწ შეგიძლიათ მოუსმინოთ მაგათ, ვითარცა ჩვენი თქვენდამი სიყვარულის მოწმეთა. მარადის ვთხოვთ ღმერთსა თქვენს დაცვას და დაფარვას და

თქვენის ერის კეთილდღეობას. რომით 4 ივლისსა, 1626, მღვდელთმთავრობის მესამე წელსა"[1].

კათალიკოსმა მისიონერები დროებით საკუთარ სასახლეში მოათავსა, შემდეგ მისცა სახლი და ყველაფერი, რაც კი მათ ესაჭიროებოდათ. მისიონერები თავიანთ წერილებში უსაზღვრო ხოტბას ასხამენ კათალიკოსს და თავიანთ მფარველსა და ყველაზე გამორჩეულ კეთილისმყოფელს უწოდებენ. კათალიკოსმა მისიონერებს წყალობა მიაგო და ყოველნაირი პირობა შეუქმნა, რომ მის სამწყსოში კათოლიკური მრწამსი გაევრცელებინათ. მთელ სამთავროს რომ რომაული რწმენა არ უღიარებია, ეს ბერძენი სამღვდელოების ბრალია, რომელიც განუწყვეტლივ ეწინააღმდეგებოდა მისიონერებს.

თეატინელი მამების ნაწერებში არ არის აღნიშნული, გულწრფელად აღიარებდა თუ არა კათალიკოსი მალაქია კათოლიკურ რწმენას. მიუხედავად ამისა, ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი რომის ეკლესიის ერთგული იყო: როცა 1639 წელს მისიონერების ხელში სულს ლევდა, პაპის მედალს ამბორს უყოფდა. გთავაზობთ მის პორტრეტს, რომელიც შესრულებულია 1634-1639 წწ.-ში, მისი ახლობელი, თეატინელი ქრისტეფორე კასტელის მიერ.

მალაქიას შემდეგ კათალიკოსი გახდა მაქსიმე, რომლის აღსაყდრების თარიღი ჩვენთვის უცნობია. ხელნაწერების რამდენიმე მინაწერის მიხედვით იგი 1657 წელს გარდაიცვალა.

მისიონერები 1658 წელს იხსენიებენ ნიკოლოზ კათალიკოსს, რომელიც კათოლიკურ მრწამსს რომში ზიარებია. ნიკოლოზის აღსაყდრების თარიღიც არ ვიცით, ვინაიდან ჩვენთვის ცნობილ ქართულ ხელნაწერებში მისი სახელის კვალი არა ჩანს, თუმცა მისიონერები ზოგჯერ იხსენიებენ ვინმე ბერმონაზონ ნიკოლოზს; მას რომში პავლე V-ის (1605-1621) და გრიგოლ XV-ის (1621-1623) ზეობისას უნდა ესწავლა, შემდგომ სამეგრელოს მთავრის სახლთუხუცესი[2] გახდა. ეს ის ბერი უნდა იყოს, რომელიც სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა დასვა კათალიკოსად, ხოლო ლევან

1 ტექსტი მოთავსებულია — გ.გალანის დასახ. ნაშრომში, გვ. 123-124, და ბ. ზერის დასახ. ნაშრომში, გვ. 47.იხ. მ. თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 151-152.

2 „თავარს თავისი სახლთუხუცესი ჰყავს, ვინმე ნიკოლოზ ქართველი, წმ. ბასილის ორდენის ბერი, რომელიც რომში იყო პავლე V-ისა და გრიგოლ XV-ის წმინდა ხსენების დროს. შესაძლოა, რომში სხვა სახელით იცნობენ... 1631 წლის 1 მაისი. კაფა" — Arch. de la Propag., Lettere' di Polonia, Russia, Illirico, Valachia, Georgia, ecc., ტ. LXXIII, გვ. 219. იხ. იქვე, Persia, Georgia, Mengrelia, ტ. CCIX, გვ. 439 და ა.შ.



მალაქია-კათალიკოსი დასავლეთ საქართველოსი და მთავარი გურიისა (1605-1639), თეატინელი პატრი კასტელის ნახატი.[1]

1 რელიკვიებით შემკული ხატის უკანა მხარეს, რომელიც მცხეთის ეკლესიას მიეკუთვნება და რომელსაც კათალიკოსი მკერდზე იდებდა ქადაგებისას, ვკითხულობთ: „სვეტო ღვთივ აღმართებულო, კვართო საუფლოო და მირონო წმიდაო, ჯვარო ქრისტეს ღვთისა ჩვენისაო. შეამკევ და შეაჭედინე კუბო ესე სვეტის-ცხოველისა,

დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ნიკოლოზით უკმაყოფილო მთავარმა ლიპარტიანმა გადააყენა და ციხეში ჩასვა[1].

1656-1659 წლით დათარიღებულ წარწერებში მოხსენიებულია კათალიკოსი ზაქარია. 1659 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, კათალიკოსად დასვეს სვიმონი. ქუთაისის მახლობლად როკითის ეკლესიის კედელზე ვკითხულობთ:

„ჵჲა, შენ ყოველთა ზედა მხედველისა, ხილულისა და უხილავისა ყოვლისმპყრობელისა ღმრთისაჲ მხოლოდ შობილო ძეო! თანა მეროთმელო ცხოველს მყოფელისა სულისაო მაცხოვარო! ჩუენ, ცვათარ-ჯათა შენთა მონდობილმან, და მოსავმან, დიდისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა, ბიჭვინთისა ემმაზისა საჭეთმპყრობელმან, კათალიკოზ-ქე-თათელმან ჩხუმიმემან სვიმეონ, აღვაშენეთ ფაბარი ესე მაცხოვრისა, – რომლის, სახსრად და საოხად სულისა ჩუენისა, ამენ. ქრონიკონს ცმთ“[2].

1666 წელს სვიმონ კათალიკოსი გარდაიცვალა, იმავე წელს იგი შეცვალა ევდემონმა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზით ევდემონი 1675 წელს გადააყენეს.

ამასთანავე, ამ ნაშრომის VI თავში, სამეგრელოს ქართველ

---

საქადაგე ხატისა, ჩვენ ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათოლიკოსმან გურიელმან მალაქია, ამ სოფელთა დღეთა ჩვენთა სიგრძისათვის და პატრონებისა ჩვენისა წარსამართებლად საუკუნოსა ამას საოხად და სახსრად სულისა ჩვენისათვის. მას ჟამსა, ოდეს შაჰაბაზმა ყეენმა კახეთი და ქართლი აღაოხრა, კახეთისა და ქართლის ბატონები ორივე ლიხეთის მთას აქეთ გარდმოვიდნენ და ჩვენ ვიხილეთ და ქართლის კათოლიკოზი იოანე ჩვენთან მოვიდა აქ, ჩვენთან მიიცვალა და რაც საკათალიკოზო იარაღი დარჩა, ზაქარია კათალიკოზს მივაბარეთ. ეს საქადაგე ხატია, სურა, ბარქაში, აქ დარჩა და თუ მართლად საქართველო შეიქნას, იპრიანოს ღმერთმან, ჩვენ მიეასვენოთ იმის საყდარსა და სხვაც მრავალი შევწიროთ და ვინც ჩვენს უკან სვეტს-ცხოველს დაუჭიროს, ჩემის ცოდვის პასუხი მეორედ მოსვლასა მან გასცეს, ვინც დაუჭიროს და მცხეთას არ მიასვენოს, მის კათოლიკოზს არ მიაბაროს". Brosset, Vuyage Archéologique, მოხსენება I, გვ. 36-37.

1 „ ... თუმცა შემდეგ ჩვენ სასულიერო პირებმა მთავრობის შეცვლასთან დაკავშირებით აქ დავკარგეთ კათოლიკე პატრიარქი, სახელად ნიკოლოზი, დიდად კეთილშობილი ქართველი, რომელიც დაახლოებით ოცდაათი წლის წინ უბრალო ბერად მოვიდა რომში და ეზიარა სარწმუნოებას. უწმინდესი მამა ურბანო მას ძალიან კარგი თვალით უყურებდა და გამორჩეულად უყვარდა. ნიკოლოზი ძალიან უყვარდა დადიანს და შემდეგ სამეგრელოსა და აფხაზეთის პატრიარქად დანიშნა, მაგრამ მთავართან რაღაც უსიამოვნება მოსვლია და არც ლიპარტიანის ჯგუფში იყო. ამიტომ გადააყენეს და ციხეში ჩასვეს. პატრიარქად დანიშნეს მისი მიმდევარი ეპისკოპოსი, კეთილშობილი ქართველი, რომელთანაც ვცდილობთ დაახლოებასა და დამეგობრებას..." სამეგრელო, 1658 წლის 8 ივნისი. 'ანდრეა ბორომეო". იქვე, Asia, Georgia, Mengrelia, ტ. CCIX, გვ. 11.

2 იხ. ვ. სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X–XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო (ხელნაწერი). თბ., 1972, გვ. 329. №268.

კათალიკოსთა ძრწამსის გადმოცემისას მოყვანილი ბეჭდის ლეგენდაში, ვკითხულობთ ილარიონის სახელს. აქ გამოსახულ ილარიონს ხელში ჯვარი უჭირავს. კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი დე ნოენტელი, 1672 წლის 16 ივლისს, სამეგრელოში მყოფ თეატინელ მისიონერ პატრ ძამპის ავალებს, ხელთ იგდოს რწმენის ეს დოკუმენტი და ამტკიცებს, რომ ილარიონი ამ სამთავროს ეპისკოპოსთა წინამძღოლის სახელია და კათალიკოსს უწოდებენ[1]. ამ ცნობის გარდა, ილარიონის შესახებ ჩვენ არაფერი გაგვაჩნია.

1682 წელს დავით კათალიკოსი რამდენიმე გლეხს სწირავს ერთ-ერთ ეკლესიას. იგივე მეორდება 1685 წელსაც. დავითის გარდაცვალების თარიღი უცნობია, მხოლოდ 1696 წლის სიგელში ვხვდებით გრიგოლ კათალიკოსის ბეჭედს. შესაძლოა, ეს წინა კათალიკოსის გარდაცვალების და მომდევნო კათალიკოსის ხელდასხმის თარიღია.

ნიკოლოზ კათალიკოსი, რომელიც დაახლოებით 1705 წელს დასვეს ტახტზე, სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა დაითხოვა, ვინაიდან ბრალს სდებდა საეკლესიო კანონების დარღვევაში. ნიკოლოზ კათალიკოსს მიაწერენ ბიბლიის ერთ-ერთ კომენტარს.

## XXII. – გრიგოლ კათალიკოსი მისიონერებს ითხოვს ერთობის დასამყარებლად. კლემენტ XI-ის წერილი. კათალიკოსი ბესარიონი. მისი მრწამსი

ნიკოლოზ კათალიკოსს ცვლის გრიგოლი. მისი აღსაყდრების თარიღი უცნობია, მაგრამ ცხადია, 1713 წელს უკვე კათალიკოსად იჯდა, რადგან ამ პერიოდში მისიონერ რიშარს, რომელმაც საბას თანხლებით გაიარა სამეგრელოში, დაავალა თავისი სამთავროებისათვის მისიონერების გამოგზავნა. აი, რას ამბობს გრიგოლის შესახებ რიშარი, ფრანგი მოხელე ტორსისადმი 1713 წლის 17 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან მიწერილ წერილში:

„სამეგრელოსა და სხვა პროვინციების პატრიარქი შავ ზღვამდე წამოგვყვა. წინეთ ამ პატრიარქმა ბევრ გზის გამომიცხადა კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების სურვილი. მთხოვა, გამომეგზავნა მისიონრები სამი ადგილისათვის, რადგან უნდოდა დაეყენებინა სამეგრელოსა, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში. ამას აზრად აქვს სარწმუნოება „განავრცელოს ჩერქეზთა შორისაც და ეგრეთვე სხვა მახლობელ პროვინციებში, სადაც სულ წარმართები არიან. ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენს საუბარს და შეაგულიანა პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ

1 პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, სომხური №67.

წამოჰყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოვგზავნიდი“[1].

ჩვენ აგრეთვე ხელთა გვაქვს პაპის, კლემენტ XI-ის წერილი, რომელშიაც პაპი კათალიკოსს წარუდგენს ახალ მისიონერებს:

„პატივცემულს ჩვენს ძმასა სამეგრელოს პატრიარქს,
პაპი კლემენტ XI

პატივცემულო ძმაო, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი.

ვინაიდგან ჩვენის მწყემსმთავრის ვალდებულების გამო მოვალე ვართ მამობრივი მზრუნველობა ვიქონიოთ მთელის ქვეყნის ყველა ქრისტიანეებისათვის, ამიტომ სხვას არა ვნატრობთ, მით უმეტეს, რომ ყველა თვითეული მათგანი შეუდგეს ჭეშმარიტს საუკუნო ცხოვრების გზას. აწ აქედან შეგიძლიათ იგულისხმოთ, თუ როგორ გულმოდგინედ გევედრებით, რათა მოციქულებრივი მისიონერები, რომლებიც ამ მოკლე დროში მანდეთ უნდა გამოვგზავნოთ, გულკეთილად დაიფაროთ და თქვენის მფარველობით შეუწყოთ მათ კეთილისთვის შრომას. ვითარცა დაგვარწმუნეს, თქვენს პატიოსნებასა და სიმართლის მოყვარეობაზედ, რომ მზად ხართ ყველა უხვად მიანიჭოთ, ამიტომ დიდად ვიმედოვნებთ, რადესაც მათ აღმოუჩენთ თქვენს უხვ შეწყობას, მაშინ ამითი ჰყოფთ თქვენის ვალდებულების ღირსეულ საქმეს, ჩვენთვისაც მეტად სასიამოვნო და სათნო საყოფელი იქნება ეგა და ეგრეთვე თქვენდამი მონდობილის ერისათვისაც შეიქმნება ფრიად სასარგებლო. აწ მხურვალედ ვევედრებით ყოვლის ხიკეთის მომნიჭებელ უფალსა, რათა თქვენს ძმობას მიჰმადლოს ყოველი ბედნიერება და ჰყოს თვისის მოწყალებით, რომ სანთელი ფერხთა შენთა იყოს სიტყვა შენი და ნათელი ადგილთა შენთა. რომით, 7 მაისისა, 1715“[2].

გრიგოლმა დიდი როლი ითამაშა იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი გარდაცვალების თარიღად 1742 წელია მიჩნეული.

გრიგოლი შეცვალა კათალიკოსმა გერმანემ, რომელიც დაახლოებით 1750 წლამდე უნდა ყოფილიყო კათალიკოსად.

კაპუცინ მისიონერთა ნაწერებიდან ცნობილია ბესარიონ კათალიკოსი, რომელიც დიდად მფარველობდა მათ. შემდგომში, კაპუცინ მამათა ხელში ბესარიონმა გულწრფელად აღიარა კათოლიკური მრწამსი. ეს აღიარება, რომელიც ქართულადაა დაწერილი და დამტკიცებულია ბესარიონის ბეჭდით, რომში გაიგზავნა. მასში ერთ-ერთი კაპუცინი მამის დასტურიცაა.

---

1 პარიზის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივები, Perse, ტ. III, ფ. 78, იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902, გვ. 313.

2 Arch. se la Propag., Monte Caucaso, Georgia, ტ.II, №12. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902, გვ. 332-333.

„ⴑⴀⴞⴄⴊⴈⴇⴀ ⴓⴔⴊⴈⴑⴀⴇⴀ. ⴀⴋⴈⴌ, ⴋⴄ, ⴕⴅⴄⴋⴍⴐⴄ ⴞⴄⴊⴈⴑ ⴋⴍⴋⴜⴄⴐⴈ, ⴜⴋⴈⴃⴀ ⴔⴐⴀⴌⴙⴈⴑⴉⴄⴑ ⴜⴄⴑⴈⴑ ⴉⴀⴎⴓⴚⴈⴌⴄⴁⴈⴑⴀ ⴜⴋⴈⴃⴀ ⴉⴐⴄⴁⴈⴑ ⴋⴐⴛⴀⴌⴄⴁⴈⴇ ⴉⴀⴅⴉⴀⴑⴈⴈⴑ ⴋⴇⴄⴁⴘⴈ ⴂⴀⴋⴍⴂⴆⴀⴅⴌⴈⴊⴈ ⴋⴈⴑⴈⴍⴌⴄⴐⴈ, ⴅⴋⴍⴜⴋⴍⴁ ⴃⴀ ⴐⴀⴍⴃⴌⴀⴃⴀⴚ ⴑⴀⴝⴈⴐⴍⴀ, ⴂⴓⴊⴆⴄ ⴞⴄⴊⴈⴑ ⴃⴀⴃⴄⴁⴈⴇ, ⴅⴀⴋⴒⴉⴈⴚⴄⴁ, ⴐⴍⴋ ⴋⴀⴇⴋⴀ ⴗⴍⴅⴊⴀⴃ ⴓⴑⴀⴋⴖⴅⴃⴄⴊⴍⴄⴑⴍⴁⴀⴋ, ⴐⴀⴝⴈⴑ, ⴉⴍⴊⴞⴈⴃⴈⴑ, ⴍⴃⴈⴘⴈⴑ ⴃⴀ ⴀⴔⴞⴀⴆⴄⴇⴈⴑ ⴕⴅⴄⴗⴌⴄⴁⴈⴑ ⴋⴀⴒⴍⴌⴋⴀ ⴉⴀⴇⴀⴊⴈⴉⴍⴑⴋⴀ ⴃⴀ ⴄⴂⴐⴄⴇⴅⴄ ⴋⴀⴇⴋⴀ ⴋⴐⴜⴗⴈⴌⴅⴀⴊⴄⴁⴀⴋ ⴐⴍⴑⴒⴍⴋ ⴐⴀⴝⴈⴑ ⴋⴇⴀⴅⴀⴐⴋⴀ ⴂⴓⴊⴋⴞⴓⴐⴅⴀⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴋⴀⴐⴇⴄⴁⴓⴊⴀⴃ ⴀⴖⴈⴀⴐⴄⴑ ⴄⴑ ⴂⴀⴌⴑⴀⴆⴖⴅⴐⴓⴊⴈ ⴑⴀⴐⴜⴋⴓⴌⴍⴄⴁⴈⴑ ⴑⴈⴋⴁⴍⴊⴍ, ⴐⴍⴋⴄⴊⴈⴚ ⴙⴄⴋⴑ ⴜⴈⴌⴀⴘⴄ ⴜⴀⴈⴉⴈⴇⴞⴀ ⴗⴍⴅⴊⴀⴃ ⴎⴀⴒⴈⴅⴚⴄⴋⴓⴊⴋⴀ ⴆⴄⴋⴍⴇ ⴞⴑⴄⴌⴄⴁⴓⴊ ⴁⴄⴑⴀⴐⴈⴍⴌⴋⴀ. ⴙⴄⴋⴇⴀⴌ ⴃⴀⴋⴑⴜⴐⴄ ⴈⴗⴅⴌⴄⴌ ⴀⴞⴀⴊⴈ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄ ⴔⴐⴈⴀⴃ ⴎⴀⴒⴈⴅⴚⴄⴋⴓⴊⴈ ⴑⴒⴄⴔⴀⴌⴄ ⴜⴋⴈⴃⴀ ⴁⴀⴑⴈⴊⴈⴑ ⴜⴄⴑⴈⴑ ⴋⴍⴌⴀⴆⴍⴌⴈ ⴃⴀ ⴙⴄⴋⴈ ⴀⴋⴞⴀⴌⴀⴂⴈ ⴛⴋⴀ ⴊⴀⴅⴐⴄⴌⴚⴈ ⴎⴊⴀⴙⴈⴌⴄⴊⴈ. ⴐⴀⴃⴂⴀⴌ ⴄⴑ ⴗⴍⴅⴄⴊⴈ ⴋⴍⴞⴑⴄⴌⴄⴁⴓⴊⴈ ⴝⴄⴘⴋⴀⴐⴈⴒⴈⴀ, ⴀⴋⴈⴑⴇⴅⴈⴑ ⴄⴑ ⴜⴄⴐⴈⴊⴈ ⴃⴀⴅⴜⴄⴐⴄ ⴃⴀ ⴙⴄⴋⴈ ⴑⴀⴉⴓⴇⴀⴐⴈ ⴞⴄⴊⴈ ⴋⴍⴅⴀⴜⴄⴐⴄ ⴍⴌⴈⴑ ⴙⴅⴄⴌⴑ ⴀⴞⴀⴊⴑ ⴋⴍⴌⴀⴑⴒⴄⴐⴘⴈ, 29 ⴋⴀⴈⴑⴈⴑⴀ, 1751 ⴜ. – ⴋⴄ ⴛⴋⴀ ⴈⴄⴐⴍⴌⴈⴋⴄ ⴋⴀⴐⴈⴀ ⴌⴓⴐⴑⴈⴀⴄⴊⴈ ⴉⴀⴎⴓⴚⴈⴌⴈ ⴋⴈⴑⴈⴍⴌⴄⴐⴈ. ⴅⴈⴇⴀⴐⴚ ⴆⴄⴋⴍⴇ ⴑⴀⴉⴓⴇⴀⴐⴈ ⴞⴄⴊⴈⴇ“[1].

ბესარიონის კათალიკოსობა 1757 წლამდე გრძელდებოდა. შემდეგ კი, როცა თავის ძმასთან, რაჭის ერისთავ როსტომთან ერთად ჩაერია იმდროინდელ აწეწილ პოლიტიკაში, იმერეთის მეფემ, სოლომონმა დაითხოვა და იძულებული გახდა, სამეგრელოსთვის შეეფარებინა თავი. 1761 წელს ბესარიონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემდეგ სოლომონ მეფემ კათალიკოსად დასვა თავისი ძმა იოსები, რომლის ზეობამ, ალბათ, 1776 წლამდე გასტანა. 1776 წელს აირჩიეს უკანასკნელი კათალიკოსი მაქსიმე. 1769 წელს სოლომონ მეფემ მაქსიმე რუსეთში ელჩად გაგზავნა იმ მიზეზით, რომ მუსლიმანი დამპყრობლების წინააღმდეგ დახმარება ეთხოვა. იგი კიევში გარდაიცვალა მეორე ელჩობისას, 1795 წელს.

ვინაიდან მთავრები თავიანთი ჭირვეულობის გამო ხშირად ცვლიდნენ და ითხოვდნენ კათალიკოსებს, ზოგჯერ მათ სამთავროებში ერთდროულად ორი ან სამი კათალიკოსი ჰყავდათ. ჩვენ აქ მხოლოდ ის კათალიკოსები დავასახელეთ, რომელთა არსებობაშიც დარწმუნებულნი ვართ.

## XXIII. – საქართველოს კათალიკოსთა და ეპარქიათა ნუსხა

ამ თავის ბოლოს შემოგთავაზებთ კათალიკოსთა ნუსხას. თარიღები, რომლებსაც აქ მივუთითებთ ძველი ხელნაწერების, დოკუმენტებისა და წარწერების მიხედვით, ყოველთვის ზუსტი როდია. გულმოდგინე ძიების

1 Arch. de la Propag., Scritture non riferite, Giorgia, ტ. III, იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902, გვ. 366-367.

შემდეგ საეჭვო თარიღებიდან ისინი შევარჩიეთ, რომლებიც უფრო სანდოდ მივიჩნიეთ[1].

## კათალიკოსთა ნუსხა

1. პეტრე I, 471
2. სამოელ I, 513-528
3. პეტრე II
4. სამოელ II
5. თავფეჩაღ 528-542
6. ჩიმაღ
7. ღასამა 542-557
8. ევლალე 555-557
9. მაკარი 557-570
10. სიმონ – პეტრე ანუ კირონი 590-604
11. სამოელ III
12. სამოელ IV
13. სამოელ V
14. ბართლომე, 610-642
15. იოანე I
16. ბაბილა
17. თაბორი
18. სამოელ VI
19. ევნონი, 634-663
20. თავფეჩაღ II
21. ევლალე II
22. იოველ
23. სამოელ VII
24. გიორგი I
25. კირიონ II
26. იზიდ-ბოზიდი
27. თეოდორე
28. პეტრე III
29. მამაი
30. იოანე II
31. გრიგოლ I
32. კლემენტოს
33. სარმეანე
34. თალალე
35. სამოელ VIII
36. კირილე
37. გრიგოლ II
38. სამოელ IX
39. გიორგი II
40. გაბრიელ I
41. ილარიონ
42. არსენი I

1 როდესაც მხოლოდ ერთი თარიღია მითითებული, ის ან მათი ზეობის დასაწყისს აღნიშნავს ან დასასრულს, ან მათი ზეობისას განხორციელებულ რაიმე მნიშვნელოვანი აქტის თარიღს.

43. ევსტქი
44. ბასილი I
45. მიქაელ I, 947
46. დავით I
47. არსენი II, 946-976
48. სამოელ X
49. სვიმონ
50. მელქისედეკ I, 1035
51. ოქროპირი, 1042
52. გიორგი III
53. გაბრიელ II, 1037
54. იოანე III, 1105
55. ბასილი II
56. ეპიფანე
57. ნიკოლოზ I, 1170
58. მიქაელ II, 1185
59. თეოდორე I, 1186
60. იოანე IV
61. არსენ III, 1218-1226
62. გიორგი IV, 1226
63. ნიკოლოზ II, 1245-1282
64. აბრაამ I, 1282
65. ექვთიმე
66. ბასილი III, 1318-1346
67. ნიკოლოზ III, 1337
68. გიორგი V, 1393-1398
69. ელიოზ I, 1399-1419
70. მიქაელ III, 1419-1428
71. დავით II, 1428
72. თეოდორე II, 1429-1438
73. დავით III, 1439
74. შიო I, 1441-1446
75. დავით IV, 1447-1456
76. მარკოზ 1460-1464
77. დავით V, 1466-1479
78. ევაგრე I, 1488
79. აბრაამ აბალაკი, 1492-1499
80. ეფრემ I, 1498-1500
81. ევაგრე II, 1499-1502
82. დოროთეოს I, 1503-1516
83. იოანე V, 1516-1517
84. ბასილი IV, 1518-1529
85. მელქისედეკ II, 1524-1540
86. იოანე VI, 1534-1558
87. სიმონ I, 1544-1548
88. ნიკოლოზ IV, 1552
89. დომენტი I, 1557-1560
90. ნიკოლოზ V, 1562-1597
91. ევდემოს I, 1578
92. დოროთეოზ II, 1583-1585
93. დომენტი II, 1583-1602
94. ზებედე, 1610
95. იოანე VII, 1610-1615
96. ქრისტეფორე I, 1622-1662
97. ზაქარია I, 1624-1633
98. ევდემოს II, 1634-1649
99. დომენტი III, 1660-1675
100. დავით VI, 1672
101. ნიკოლოზ VI, 1676-1693
102. იოანე VIII, 1688-1699
103. ბესარიონ, 1724-1735
104. დომენტი IV, 1705-1742
105. ნიკოლოზ VII, 1742-1744
106. ანტონ I, 1744-1788
107. იოსებ, 1755-1763
108. ანტონ II, 1788-1811

## დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა ნუსხა

1. არსენი, 1390
2. იოაკიმე, 1470-1474
3. მალაქია I, 1519-1533
4. ევდემოს I, 1558-1578
5. მალაქია II, 1605-1639
6. მაქსიმე, 1640-1657
7. ზაქარია, 1656-1659
8. სვიმონ, 1659-1666
9. ევდემონ II, 1666-1675
10. ილარიონ, 1672
11. დავით, 1682-1696
12. გრიგოლ I, 1696
13. ნიკოლოზ, 1705
14. გრიგოლ II, 1712-1742
15. გერმანე, 1742-1750
16. მესარიონ, 1750-1761
17. იოსებ, 1761-1776
18. მაქსიმე II, 1776-1795

## ქართველი ეგზარქოსი

1. ვარლამ ერისთავი, 1811-1817

## რუსი ეგზარქოსები

1. თეოფილაქტე რუსანოვი, 1817-1821
2. იონა ვასილევსკი, 1821-1832
3. მოსე ბოგდანოვ-პლატონოვი, 1832-1834
4. ევგენი ბაჟენოვი, 1834-1844
5. ისიდორ ნიკოლსკი, 1844-1858
6. ევსევი ილინსკი, 1858-1877
7. იოანიკ რუდნევი, 1867-1882
8. პავლე ლებედევი, 1882-1887
9. პალადი რაევი, 1887-1892
10. ვლადიმერ ბოგოიავლენსკი, 1892-1898
11. ფლაბიანე გოროდეცკი, 1898-1903
12. ალექსანდრე ოპოცკი, 1901-1905
13. ნიკოლოზი, 1905-1906
14. ნიკონი, 1906-1908
15. ინოკენტი, 1910

ვინაიდან ეპისკოპოსებს რეზიდენცია, ჩვეულებისამებრ, მონასტერში ჰქონდათ, ამის გამო ძველ საეპისკოპოსოთა უმრავლესობა სოფლებსა და მთებში იყო მოთავსებული. ეპისკოპოსებსა და ეპარქიებს სახელწოდება ერქმეოდათ ეპისკოპოსთა რეზიდენციის, ან იმ წმინდანთა სახელის მიხედვით, რომელთაც საკათედრო ტაძარი განეკუთვნებოდა. ჩვენ აქ შემოგთავაზებთ თეატინელ ა. ლამბერტის მიერ შედგენილ სიას[1]. იგი საქართველოში 1630—1649 წწ.-ში იმყოფებოდა და არა მარტო იცნობდა ქართველ ეპისკოპოსთა უმრავლესობას, არამედ ბევრი კათოლიკურ მრწამსზედაც კი მოაქცია.

---

[1] Sacra Storia dei Colchi (Colchide Sacra), Naples, 1657, გვ. 27-35.

# აღმოსავლეთ საქართველო

## ქართლის ეპარქიები

1. პეტრე და პავლე წმინდა მოციქულების სახელობის მცხეთის საპატრიარქო ტაძარი.

| ტ ა ძ რ ე ბ ი | ე პ ა რ ქ ი ე ბ ი |
|---|---|
| 2. წმ. არტემის | წალკელი |
| 3. წმ. გიორგის | იასირელი |
| 4. წმ. ღვთისმშობლის | მანელი |
| 5. წმ. იოანე ოქროპირის | კუკუზელი |
| 6. წმ. ანტონის | პამფუკელი |
| 7. წმ. ხარების | ახტალელი |
| 8. წმ. სტეფანეს | ნახიდურელი |
| 9. მიძინების | მოლნელი (ტექსტ.მონელი) |
| 10. ორმეოც მოწამეთა | სინისკაველი |
| 11. წმ. ღვთისმშობლის | თმილელი |
| 12. წმ. ღვთისმშობლის | მანგლელი (ტექსტ. მაგანელი) |
| 13. წმ. მაცხოვრის | სამიტროპოლიტო |
| 14. წმ. ჯვრის | გერგეტელი |
| 15. წმ. ღვთისმშობლის | ციხელი |
| 16. წმ. მაცხოვრის | სამთავნელი (ტექსტ. სანთა-მლელ) |
| 17. წმ. ექვთიმე წამებულის | ნიქოზელი |
| 18. წმ. სტეფანეს | ურბნელი |
| 19. წმ. ღვთისმშობლის | ნოზუელი |
| 20. წმ. ღვთისმშობლის | მროველი (ტექსტ. რუელი) |
| 21. წმ. ევსტათის | ერთაწმინდელი |

## კახეთის ეპარქიები

| ტ ა ძ რ ე ბ ი | ე პ ა რ ქ ი ე ბ ი |
|---|---|
| 1. წმ. გიორგის (საარქიეპისკოპოსო) | ალავერდელი |
| 2. წმ. იოანე ნათლისმცემლის | ზედაზნელი |
| 3. წმ. ჯვრის | ჯვარელი |
| 4. წმ. სამების | სამებელი |

| | |
|---|---|
| 5. წმ. სუდარის | რუსთველი |
| 6. წმ. გიორგის | მარტყოფელი |
| 7. წმ. გიორგის | ხარჭაშნელი (ტექსტ. კათა-ცნელი) |
| 8. წმ. თადეოზის | პეზნარელი |
| 9. წმ. ღვთისმშობლის | ნეკრესელი |
| 10. წმ. ღვთისმშობლის | ჭიარამელი |
| 11. წმ. ნინოს | მოდმელი |
| 12. წმ. სტეფანეს | ლერზელი |
| 13. ამაღლების | კანელი |
| 14. წმ. იოსებ არიმათიელის | არიმათელი |
| 15. წმ. იაკობის | ქიზიყელი |
| 16. წმ. გიორგის | კამალელი |
| 17. წმ. ღვთისმშობლის | გაენათელი (ტექსტ. გაემათელი) |
| 18. წმ. სამების | ნინოწმინდელი |
| 19. წმ. დემეტრეს | შაქელი (ტექსტ. მექელი) |
| 20. წმ. მაცხოვრის | ვეჯინელი (ტექსტ. ვიქინელი) |

## სამცხის ეპარქიები

| ტ ა ძ რ ე ბ ი | ე პ ა რ ქ ი ე ბ ი |
|---|---|
| 1. წმ. იოანე მახარებლის | სხალტელი |
| 2. წმ. ღვთისმშობლის | ევფრატელი |
| 3. წმ. მიქაელ მთავარან-გელოზის | აზილაკელი |
| 4. წმ. სუდარის | ანჩელი |
| 5. წმ. იოანე ნათლისმცემლის | სხალტმელი |
| 6. წმ. ღვთისმშობლის | ტმელი |
| 7. წმ. მოციქულთა | სურწყალელი |
| 8. წმ. ღვთისმშობლის | მაწყვერელი |
| 9. წმ. ღვთისმშობლის | დადაშნელი |
| 10. წმ. ღვთისმშობლის | ქარელი |
| 11. წმ. ღვთისმშობლის | ანელი |
| 12. წმ. ღვთისმშობლის | იშხნელი |
| 13. წმ. ანდრიას | ისპირელი |
| 14. წმ. ბართლომეს | ართვინელი (ტექსტ. არ-თონელი) |

| | |
|---|---|
| 15. წმ. ბართლომეს | ისკმელი |
| 16. წმ. პეტრეს | ოლთელი (ტექსტ: ორთელი) |
| 17. წმ. თომას | არზრუმელი |
| 18. წმ. ღვთისმშობლის | კუმურდოელი |
| 19. წმ. ღვთისმშობლის | ერუშნელი (ტექსტ. ურუშმელი) |

## დასავლეთ საქართველო

### სამეგრელოს ეპარქიები

| ტ ა ძ რ ე ბ ი | ე პ ა რ ქ ი ე ბ ი |
|---|---|
| 1. წმ. ღვთისმშობლის | დრანდელი (ტექსტ. დანდურელი) |
| 2. წმ. მიქაელ მთავარანგელოზის | ცაგარელი (ტექსტ. კაჭელი) |
| 3. წმ. ღვთისმშობლის | მოქველი |
| 4. წმ. ღვთისმშობლის | მედიელი |
| 5. წმ. ღვთისმშობლის | ცაიშელი |
| 6. წმ. გიორგის, წმ. ღვთისმშობლის | წიფურიასელი |
| 7. წმ. ღვთისმშობლის | ხოფელი |
| 8. წმ. გიორგის | ომუჭელი |
| 9. წმ. მოწამეთა | ჭყონდიდელი |
| 10. ფერისცვალების | სკალინჯაყელი |

### აფხაზეთის ეპარქიები

| ტ ა ძ რ ე ბ ი | ე პ ა რ ქ ი ე ბ ი |
|---|---|
| 1. წმ. ანდრიას | (მიჭვინთა) დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის რეზიდენცია |
| 2. ფერისცვალების (საარქიეპისკოპოსო) | ჯიქელი |
| 3. წმ. ღვთისმშობლის | მლაელი[1] |
| 4. წმ. მოციქულთა სიმონისა და იუდასი | ანაკოფიელი |

1 ასეა ტექსტში (რედ.).

## გურიის ეპარქიები

| ტ ა ძ რ ე ბ ი | ე პ ა რ ქ ი ე ბ ი |
|---|---|
| 1. წმ. მაცხოვრის | შემოქმედელი |
| 2. წმ. ღვთისმშობლის | მლაელი[1] |
| 3. წმ. იოანე ნათლისმცემლის | ნინოწმინდელი |

როდესაც მისიონერი ლამბერტი ამ ნუსხას ადგენდა, ეპარქიათა უმრავლესობა უკვე აღარ არსებობდა, მხოლოდ მათი სახელწოდებაღა იყო შემორჩენილი. დღესდღეობით მათგან მხოლოდ ხუთია დარჩენილი. ამდენი საეპისკოპოსო რეზიდენციის გაქრობა დამადასტურებელი საბუთია იმ აურაცხელი ომისა და კატასტროფისა, რომლებიც თავს დაატყდა საქართველოს და რომლებმაც თითქმის უდაბნოდ აქციეს უწინ აყვავებული და დასახლებული მრავალი პროვინცია. არაბთა და სელჩუკთა შემოსევების შემდეგ, რომელთა შესახებაც წინა თავში გიამბეთ, ვისაუბრებთ მონღოლთა, სპარსთა და თურქთა მიერ საქართველოს დაპყრობაზე.

1 ასეა ტექსტში (რედ.).

# თავი XIV

## მონღოლთა შემოსევა. კათოლიკური მისიის პირველი პერიოდი (XII–XVI საუკუნეები)

შინაარსი — I. საქართველოს კავშირი დასავლეთთან. რუსუდან დედოფლისა და მხედართმთავარ ივანეს წერილები, გაგზავნილი პაპ ჰონორიუს III-სთან. პაპ ჰონორიუს III-ის პასუხი დედოფალსა და მხედართმთავარს. — II. მონღოლთა შემოსევა. ქართული ეკლესიის პასტორობა, რაც გამოიწვია რომთან კავშირის სისუსტემ. გრიგოლ IX-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან, და პირველ მისიონერთა მივლენა. მონღოლთა ხელახალი გამოჩენა. გრიგოლ IX-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფეებთან. — III. ნიკოლოზ IV-ის წერილები, გაგზავნილი დემეტრე მეფესა და საქართველოს კათალიკოსთან. მისიონერთა გაგზავნა. ქართველები იძულებულნი არიან, მორჩილად დათანხმდნენ მონღოლთა ბატონობას. ამ ბატონობის დამღუპველი შედეგები. დემეტრე მეფე თავს სწირავს ქვეყანას. — IV. მონღოლთა ჯარი, რომლის შემადგენლობაში ქართველებიც არიან, წმინდა ადგილებიდან სულთანს დევნის და ქართველები იერუსალიმის მფლობელნი ხდებიან. მონღოლთა ერთი ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა ქრისტიანობის მოსასპობად. გიორგი მეფის გამარჯვება. — V. მისიონერთა მოღვაწეობა. იოანე XXII-ის წერილი. კათოლიკობის აღმავლობა. ქართველი წამებულები. იოანე XXII-ის ბულა თბილისში ლათინური საეპისკოპოსოს დასაფუძნებლად და პირველ ლათინ ეპისკოპოსად იოანე ფლორენციელის დანიშვნა. იოანე XXII-ის მეორე წერილი, გაგზავნილი მეფე გიორგისთან. — VI. კლემენტ VI-ის წერილი გაგზავნილი ბერთრანდო კოლეტთან, მის წარსადგენად თბილისის საეპისკოპოსოში. ინოკენტი ბერთრამს ასახელებს თბილისის ეპისკოპოსად. საქართველოს სხვა ეპისკოპოსები. — VII. თემურლენგის მიერ საქართველოს გაპარტახება. ქვეყნის აღდგენა. — VIII. კალიქსტო III-ის მიერ ქართველი ხალხისათვის მიწერილი წერილი. ნუნციუს ლუი ბოლონიელის მიერ აღმოსავლეთის ელჩების წაყვანა რომში პაპთან თურქების წინააღმდეგ კავშირის დასამყარებლად. ქართველი მთავრის წერილი, გაგზავნილი ბურგუნდიის ჰერცოგთან. — IX. ალექსანდრე VI-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან. ამ პაპის მეორე წერილი საქართველოს ელჩის წარსადგენად-

— X. პავლე III-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან, და თავისი ნუნციუსის გაგზავნა საქართველოში. — XI. მეფე სიმონის წერილი, გაგზავნილი პაპთან. ქართველთა ერთგულება პოლკოვნიკ როტიუს ანგარიში.

ქართულ ეკლესიას ახალი ერა დაუდგა. ეს ხანა აღსანიშნავია არა მარტო იმით, რომ გაჩნდნენ ახალი მტრები, რომელთა რისხვა თავს დაატყდა საქართველოს, არამედ იმ პირდაპირი კავშირ-ურთიერთობებით, რაც პაპებთან და დასავლელ მისიონერებთან დაამყარეს ქართველებმა.

## I. — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲗᲐᲜ. ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲞᲐ ᲰᲝᲜᲝᲠᲘᲣᲡ III-ᲡᲗᲐᲜ. ᲞᲐᲞᲐ ᲰᲝᲜᲝᲠᲘᲣᲡ III-ᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡ

არ ვიცით, რა კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს პაპთან და დასავლეთთან XIII საუკუნემდე, მაგრამ ამ დროიდან მოყოლებული შეგვიძლია მასზე წარმოდგენა შევიქმნათ ჩვენამდე მოღწეული რამდენიმე საბუთის მეშვეობით. ისე კი, ცხადია, ევროპაში ძველადაც ექნებოდათ გაგებული ქართველთა სიმამაცისა და ქრისტიანობისათვის თავდადების ამბავი.

სწორედ ამას მოწმობს ვენსან დე ბოვეს შემდეგი ტექსტი:

„ქართველთა საელჩოსგან ჩვენს თანამემამულეებს. დამიეტას აღებამ ისინი აღაფრთოვანა და გააოცა. ამ ქალაქის აღების შესახებ მთელს ქვეყანაში გავარდნილმა ხმამ ქართველებს უბიძგა, ქრისტიანთა ბანაკში გაეგზავნათ წერილი, რომელშიც წერდნენ: ამ მოვლენამ მათი ხალხი აღავსო გულისტკივილით, ან კიდევ უფრო მეტად, სასიკეთო სირცხვილით. როდესაც მათმა მეფემ მოუხმო მთავრებს, ხალხმა გადაწყვიტა და დაიფიცა, ალყა შემოერტყათ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქისთვის, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ქართველებისთვის სამარცხვინო იყო იმის ხილვა, თუ როგორ გადმოლახეს ფრანგებმა საშიშროებით აღსავსე უკიდეგანო ზღვა, მოვიდნენ ქვეყნის დასალიერიდან და ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს ეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი, როდესაც თვითონ; ვისთვისაც უფრო ადვილი იქნებოდა სპარსელებთან შებრძოლება, იარაღით აღჭურვილნი არ იპყრობდნენ დამასკოს ან რომელიმე სხვა ცნობილ ადგილს. ქართველები მართლაც ქრისტეს თაყვანისმცემელი ხალხია, ბერძნულ წესს იცავენ, სპარსელთა მეზობლად ცხოვრობენ და შორს არიან აღთქმული მიწისაგან; მათი ტერიტორია გადაჭიმულია თითქმის კასპიის მთებამდე. მამაკაცები მებრძოლნი არიან, თავზე ტონზურა აქვთ, სასულიერო პირებს — მრგვალი, ხოლო საეროებს — ოთხკუთხედი. წარჩინებული ქალები განსწავლულნი არიან საომარ ხელოვნებაში. როცა მამაკაცები საომარ

მწყობრში ემზადებიან მტერთან შესაბრძოლებლად, ერთი ლუკმით სცლიან წყალგარეულ ღვინით სავსე პატარა მათარას და ამის შემდეგ მაშინვე მამაცურად მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგეზე"[1].

პაპმა ჰონორიუს III-მ თავისი ელჩის მეშვეობით, რომელიც დამიეტში იმყოფებოდა, მხურვალედ მოუწოდა ქართველებს და სთხოვა, ჯვაროსნებს წმინდა ადგილების გამოხსნაში დახმარებოდნენ. ეს დაედო საფუძვლად საქართველოს დედოფლის რუსუდანის მიერ ჰონორიუს III-თან გაგზავნილ წერილს:

**„უწმიდესს პაპს, მამას და ყველა ქრისტიანის მთავარს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხევალი და ასული უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებით.**

როგორც უდიდესი და უმაღლესი მბრძანებლით, ისე ღმრთისაგან იმედი მაქვს, უფალმა შეგისრულოსთ ყოველი თქვენი გულითადი ნატვრა. უკუეთუ თქვენდამი წარმოგზავნილი წერილის გამო ჩვენთვის გულმოწყალე ხართ და იკითხავთ ჩვენს ამბავს, ვაუწყებთ თქვენს სიწმინდეს, რომ ძმა ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო. აწ ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენ ქვეშევრდომ ქრისტიანეთათვის. დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანეთის შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც მტრონი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს

1 Fragmenta de Rebus Orientalibus, თავი 97, dans Reineri Reinericci, Chronicon Hierosolym., ტ. I, გვ. 153. იხ. Pertz, Monumenta Germaniae historica, ტ. XXIII, გვ. 911. მეორე არანაკლებ საინტერესო იმდროინდელი ცნობა ეკუთვნის ი. ვიტრიაკოს: „გარდა ამისა, აღმოსავლეთის მხარეში ძალზე მეომარი სხვა ქრისტიანი ხალხიც ცხოვრობს, ბრძოლაში გამობრძმედილი, მამაცი, ძლიერი, უზარმაზარი ლაშქრის პატრონი. სარკინოზებისათვის ძალიან საშიში არიან, სპარსელების, მიდიელებისა და ასირიელებისთვისაც, რომელთა შორის ცხოვრობენ; ყოველი მხრიდან ურწმუნოებით გარშემორტყმულნი, ძალიან ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაბმულან მათთან. ამ ხალხებს გეორგიანებს უწოდებენ იმიტომ, რომ წმინდა გიორგის, რომელიც მფარველად და დამცველად ჰყავთ ურწმუნო ტომებთან ბრძოლაში (იგი თითქოსდა წინამძღოლობს მათ), სხვა წმინდანებს შორის გამორჩეულად სცემენ პატივს და ეთაყვანებიან. ეს ხალხი საღვთო წიგნებისათვის ბერძნულ სიტყვებს იყენებს, რიტუალებში ბერძნულ წესებს იცავს, მის სამღვდელოებას მრგვალი გვირგვინი აქვს, საერო კი — ოთხკუთხა. როცა უფლის საფლავის მოსანახულებლად მიემგზავრებიან, არავითარ ბაჟს არ იხდიან, წმინდა ქალაქს გაშლილი დროშებით უახლოვდებიან. სარკინოზებს ვერ წარმოუდგენიათ დააბრკოლონ ისინი, თუ, ვთქვათ, სამშობლოში დაბრუნებისას სხვა მეზობელ სარკინოზებს ბაჟს არ გადაუხდიან. ესენი (ქართველები) აღშფოთებულნი დაემუქრნენ დამასკოს მთავარს კორადინუსს იმიტომ, რომ მათი ნების გარეშე იერუსალიმის კედლის დანგრევა განიზრახეს, როცა ლათინებმა ქალაქ დამიეტს ალყა შემოარტყეს" (1218). Jacobus de Vitriaco, Historia Hierosolimitana, № LXXIX, Gesta Dei per Francos–ში, ტ. II, გვ. 1095.

იქნება თქვენც შეიტყუთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, შევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდგან გავდევნეთ: აი ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით.

ხოლო აწ დიდათ განვიხარეთ, რა შევიტყუთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმიდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, სადაც თქვენ ინებებთ. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამისთვის ვევედრებით და ვსთხოვთ თქვენს უწმინდესობას, რათა მოგვწეროთ და გვიბოძოთ თქვენი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მყოფ ქრისტიანებს. ამ წერილის მომტანს, ჩვენს საყვარელ დავითს, ანის ეპისკოპოზს, ისე ერწმუნეთ ყველაფერში, ვითომც ჩვენის პირისგან გვსმენოდეთ. თქვენთა წმიდა ლოცვათა შინა მოგვიხსენიეთ“[1].

ამ წერილთან ერთად გაგზავნილი იყო მეორე წერილიც — ამირსპასალარ ივანე მხარგრძელისა, რომელიც წარმოშობით ქურთი იყო და სომხურ სარწმუნოებას აღიარებდა, მაგრამ თამარის მეფობის დროს მოწვეული საეკლესიო კრების შემდგომ ქართველთა სარწმუნოება მიიღო. მოგვყავს საბუთიც:

**„უწმიდესს მამას და წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს მთელს საქრისტიანოს მთავარს, მე ივანე, კაცი მორჩილი, მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარი, უმდაბლესად თავს დაგიკრავთ და მოგესალმებით.**

უკეთუ ჩემს ამბავს იკითხავთ, თქვენის წმიდა კურთხევით კარგად გახლავართ. გაუწყებთ, რომ ჩემი მაცონი მეფე მიიცვალა და მის ადგილს თქვენის ლოცვა-კურთხევის მადლითა და ძალით სხვა ავირჩიეთ მეფედ. თქვენმა წმიდა და მართლბრძანებამ, რომელიც დამიეტში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვივლინეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. ხოლო როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ რა ჯარი, ცხენოსნები, სურსათი და ვაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნელად და წმიდა ადგილების დასახსნელად, ამ დროს თათარნი, ჯვართ წარმმღვანებელნი, შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსიათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს. ხოლო შემდგომ რა ვსცანით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ, თქვენის ლოცვის ძალით და წმიდა

1 ლათინური ტექსტი იხ. Raynaldi, ტ. I, 1224 წ. № XVII–XVIII, გვ. 534; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“,თბ., 1902 წ. გვ. 7-8.

ჯვრის შემწეობით წინ აღვუდექით, 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ,
ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდგან გავდევნეთ.
ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ვერ შევასრულეთ თქვენი ბრძანება
თქვენის ელჩის მიერ გამოცხადებული. გარნა დიდათ განვიხარეთ, რა
შევიტყვეთ, რომ გიბრძანებიათ იმპერატორისა და დასავლეთის სხვა
ქრისტიანებისათვის, რათა წამოვიდენ წმიდა ადგილების დასახსნელად.
აწ გაუწყებთ, რომ თქვენს ბრძანებას ველით და მზათ გახლავართ
მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად; მე თვით
მზად ვარ წმიდა ადგილების დასახსნელად წავიდე ორმოცი ათასი
მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ. მზგავსადვე გაუწყებთ, რომ როგორც
მე, ეგრეთვე ჩვენის ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა.
სხვათაშორის, ვევედრები თქვენს უწმინდესობას, რომ გვიბოძოთ თქვენი
კურთხევა თუ ჩვენ და თუ ჩვენს ქვეყანას, რათა თქვენი კურთხევით
და ღვთის მადლით კარგად ვიბრძოლოთ უფლის ბრძოლა. გთხოვთ ამ
წიგნის მომტანს, მამა დავითს, ჩვენს ეპისკოპოსს ერწმუნოთ ისე,
როგორც ჩვენ, ყველაფერში, რასაც ჩვენის მხრით მოგახსენებსთ. ჩემი
ძმისწული შანშე, მატონი თხუთმეტის დიდის ქალაქისა, უმდაბლესად
თავს გიკრავსთ და ითხოვს თქვენს კურთხევას“[1].

პაპმა ორივეს უპასუხა შემდეგი წერილებით:

დედოფალ რუსუდანს,

„მამობრივის სახიერებით მივიღეთ და გულმოდგინებით ყურად ვიღეთ
თქვენი უმაღლესობის წერილი, სავსე მხურვალე მორწმუნეობის
სუნელებით, უფლისამიერ დიდათ განვიხარეთ თქვენის ერთგულებით
ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი
ყოველთა ქრისტიანეთა. გვასიამოვნა აგრეთვე თქვენმა კეთილმა
სურვილმა წმიდა ადგილების დახსნისამ, იმ ადგილებისამ, სადაც
გამოუთქმელის სიყვარულით ჯვარზედ სიკვდილი ინება უფალმა იესო
ქრისტემ კაცთა ნათესავის სამარადისო სიკვდილისაგან დახსნისა და
ცხონებისათვის. ხოლო თქვენის ნეტარხსენებულის ძმის, საქართველოს
მეფის, სიკვდილის გამო გიბრალებთ მამობრივის გულისწვითა;
ამასთანავე გაგვახარა იმ ამბავმა, რომ მისი სამეფო თქვენ
მშვიდობიანად ჩაგიბარებიათ, ვითარცა გვაუწყეთ თქვენის წერილით.
ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელშია სამეფონი და ძალნი მათნი,
რათა თქვენ და თქვენი სამეფო ერთად დაგიცვათ თავის სარწმუნოებასა
და ერთგულებაზე და ეგრეთვე მოგმადლოთ ყოველი სიკეთე და
დაგიფაროთ. თუმცა კი ხორციელად შორს ვართ, გარნა თქვენთან
ვიმყოფებით სულითა და გონების თვალით გხედავთ თქვენა და თქვენის
სამეფოის ქრისტიანებს; მასთანვე გვახარებს თქვენი მორწმუნეობა,
რომელიც გაქვთ უფლის იესო ქრისტეს სარწმუნოებისადმი და რომელიც
დიდად სათნო-საყოფელია, რადგან მას იცავთ ურწმუნოთა შორის,

---

1 ლათინური ტექსტი იხ. Raynaldi, ტ. I, 1224 წ. № XIX–XX, გვ. 535; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902, გვ. 7-8.

რომლებთანაც ცხოვრობთ, და მრწყინავთ, როგორც ნათელი სიბნელეში და შროშანი ეკლებში; ამიტომ მოელოდეთ თქვენის სარწმუნოების ბედნიერ აღსასრულს, თქვენის სულის ცხონებას. რაის გამო შევაგულიანებთ უფლის მიერ თქვენს ხელმწიფებას, რათა მტკიცედ სდგეთ აღთქმაზედ ქრისტესსა, რომელმაცა თქვა: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“; მის აღსარებასა და მისი წმიდა სახელის ქებაში მტკიცედ იყავით, ეგრეთვე თქვენის კეთილის მაგალითით მხნედ დაიცავით თქვენნი ქვეშევრდომნიც, რათა მათთან ერთად ამ წარმავალის ცხოვრების შემდგომ, მოიპოვოთ საუკუნო სასუფეველი.

შესახებ იმისა, რომ გსურსთ შეიტყოთ დრო წასვლისა ჩვენის ქრისტეს მიერ საყვარელის შვილის ფრედერიკო მრწყინვალის, რომის იმპერატორისა და სიცილიის მეფისა, რათა თქვენც თქვენის მხედრობით შეეწიოთ წმიდა ადგილების დახსნის დროს, მოხარული ვართ თქვენის კეთილის განზრახვისა და გაუწყებთ ამ წერილით, რომ ეს იმპერატორი დიდის ძალით შეიჭურვა და მომავლის წმიდა იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის შემდგომ ერთის წლით მიდის მტრის სამზადისით და თან მიჰყავს აურიცხველი მორწმუნე ერი წმიდა ადგილების დასახსნელად. უფლისა მიერ გაგონებთ და გამხნევებთ, რომ, თანახმად თქვენის საქებურის დაპირებისა, ეცადოთ და ისე მოამზადოთ თქვენი მხედრობა, რათა თქვენის დიდებულების შესაბამისი სამსახური მიაგოთ იესო ქრისტესა. ამ დიდისა და წმიდა საქმისთვის თუ თქვენ და თუ თქვენნი ქვეშევრდომნი რაოდნათაც კარგად, ნებიერად და გულმოდგინებით მოემზადებით, ეგოდნათ დიდს სასყიდელს მიიღებთ უფლისაგან. ამიტომ ვაუწყებთ თქვენს ერთგულებას, რომ ვინც ამ ბრძოლაში (ჯვაროსნობაში – მ.თ.) მიიღებენ მონაწილეობას, ან თვით წავლენ, ან სხვას გაგზავნიან, ან ფულით შეეწევიან და ან სხვისი ხარჯით წავლენ, მათ ყოველთა ვანიჭებთ მოციქულებრივის შენდობით ყველა ცოდვის მოტევებას, უკეთუ ჭეშმარიტად შეინანებენ და აღსარებას იტყვიან.

აწ თქვენი ეს წიგნი წააკითხეთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, რომელთაც, თქვენის თხოვნისამებრ, ვანიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას და გპირდებით თქვენა და მათ ჩვენს პატივისცემას და მფარველობას, როდესაც კი საჭირო იქნება და როგორათაც შეჰფერის სამოციქულო საყდარსა. გაცემულია ლ'ატრანში, მაისის მეოთხე იდებს ჩვენი პატრიარქობის მერვე წელს (12 მაისს, 1224)“[1].

წერილი ივანესადმი შემდეგნაირად არის დაწერილი:

**„სახელოვან ივანეს, საქართველოს მხედართმთავარს.**

უფლისა მიერ განვიხარეთ მამობრივის გულკეთილობით, მივიღეთ რა შენი კეთილშობილების წერილი . და ვსცანით თუ შენი საუკეთესო

1 ლათინური ტექსტი იხ. Raunaldi, ტ. I, 1224 წ. № XXI–XXII, გვ. 535-536. ანალიზისთვის Potthast, Regesta Pontificum Romanorum, Berlin, 1873, № 7242, გვ. 625; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბ., 1902, გვ. 9-10.

ამბავი და თუ მხურვალე და საქებელი წადილი წმიდა ადგილების დახსნისათვის დახმარების აღმოჩენისა. ამიტომ გაუწყებთ, რომ ყველაფერი მართალია, რაც კი შეგიტყვიათ ჩვენის ქრისტეს მიერ საყვარელი შვილის რომის იმპერატორისა და სიცილიის მეფის, ფრედერიკო მრწყინვალის, განზრახვისა წმიდა ადგილებში წასასვლელად. იგივე იმპერატორი უკვე დიდსულოვნებით და მშვენიერად მომზადებულია იქ წასასვლელად. ამ მოციქულებრივის წერილით ვასმენთ და გულმოდგინებით ვამხნევებთ შენს კეთილშობილებას, რათა, შენის მშვენიერის და საქებელის დაპირებისამებრ, ისე მოემზადო მთელის შენის მხედრობით, როგორც შეშვენის შენს დიდებულებას, რომ შეეწიო ქრისტიანეთა მხედრობას და სათანადო სამსახური მიაგო იესო ქრისტეს. სცანი, რომ თუ შენ და თუ შენნი ქვეშევრდომნი უფლისა მიერ გვიყვარს და დიდად გვიხარის შენი სარწმუნოება და სასოება, ეგრეთვე მზათ ვართ, რომ, რაც კი საჭირო იქნება, სამოციქულო საყდრის შემწეობა და პატივი აღმოგიჩინოთ. გაკურთხებთ მოციქულებრივის კურთხევითა არა მარტო შენ, არამედ ყველა შენთა ქვეშევრდომთაცა, და მეტადრე შენს ძმისწულს შანშესა, რომლისათვისაც კურთხევა მთხოვე. 12 მაისისა, 1224"[1].

მთელი ეს მშვენიერი ალთქმანი და გამხნევებანი გააქარწყლა მეტად მძიმე მოვლენათა მსვლელობამ[2].

ქართველებს ეგონათ, რომ ახალ მტერზე მოპოვებულმა გამარჯვებამ მათ საბოლოო თავისუფლება მოუტანა, მაგრამ მძიმე გამოცდილებამ მალე გამოიყვანა ისინი ცდომილებიდან.

ქართველები არ იყვნენ ჩვეულნი ხანგრძლივ და მყარ მშვიდობას; ეს ბედნიერი ვითარება მათ ცუდადაც კი გამოიყენეს. მეფე გიორგი IV-მ (1212-1223) ვერ შეძლო სახელმწიფოსთვის კეთილდღეობის შენარჩუნება, რაც მისი სახელოვანი დედის თამარის მეფობისას სუფევდა, რომელმაც მოხარკედ გაიხადა მთელი თავისი მეზობელი მტრები.

სიცოცხლის ბოლოს გიორგი IV-მ სწორ გზას გადაუხვია და დაივიწყა ქრისტიანული მოვალეობები. მეფის ქცევამ სამღვდელოება აიძულა, მკაცრად ესაყვედურა მისთვის:

„... შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი, და მოაკსენებდეს: არა ჯერ არს, რათა მკევალი გესუას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული პირი ქრისტესი პავლე; ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ, ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს

1 Arch. Vat., Reg. Vat. 12. № 435, ფურც. 190; ანალიზისთვის იხ. Pressutti, Regesta Honorii Papae III, Rome. ტ. II, 1895, №4980; იხ. Raynaldi, ტ. I, 1224 წ, № XXII, გვ. 536; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის",თბ., 1902 გვ. 567.

2 იხ. Michaud, Biographie universelle, Paris, 1825, ტ. XXXIX, გვ. 113-118.

ღმერთმან". ხოლო მეფესა არ ენება, არც ესმინა... მშვიდობა იყო სამეფოსა შინა მისსა, და შექცეულ იყო სმასა და ჭამასა..."[1].

## II. – მონღოლთა შემოსევა. ქართული ეკლესიის პასიურობა, რაც გამოიწვია რომთან კავშირის სისუსტემ. გრიგოლ IX-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან, და პირველ მისიონერთა მივლენა. მონღოლთა ხელახალი გამოჩენა. გრიგოლ IX-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფეებთან

სამეფო კარის დიდებულნი მეფეს ბაძავდნენ. პატიოსანი ხალხი განზე დგებოდა, რათა ამ გახრწნილების მოწმენი არ ყოფილიყვნენ. მალე გამოჩნდნენ პაპისათვის მიწერილ წერილებში აღნიშნული თათრებიც.

თათრებმა[2] — თურქების, მონღოლთა და ჩინელთა ბრბომ ჩინგიზ-ხანის, აზიის განთქმული დამპყრობლის მეთაურობით — ყოველივეს მუსრი გაავლეს, რაც გზაზე შეხვდათ. ისინი საქართველოში პირველად შემოვიდნენ, როგორც ქრისტიანები, მოტყუებით, თითქოს უფალს დაევალებინოს იერუსალიმიდან პილიგრიმობა, რამაც შეცდომაში შეიყვანა ქართველები და ვერ გაარკვიეს მათი ვინაობა. მიუხედავად ამისა, მონღოლთა ამ პირველმა თავდასხმამ (1120—1121) ისეთ სასოწარკვეთილებაში ვერ ჩააგდო საქართველო, როგორც შემდგომმა შემოსევებმა[3].

რუსუდან დედოფალი ახალი გამეფებული იყო თავისი ძმის გიორგი IV–ის შემდეგ (რუსუდანი მეფობდა 1223-დან 1247 წლამდე), როდესაც დიდი უბედურებები დაატყდა თავს მის სამეფოს.

1 „ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 156.

2 სიტყვები „მონღოლები" და „თათრები" წინათ იხმარებოდა განურჩევლად ერთმანეთის მაგივრად, რადგან მონღოლთა სამეფოს მოსახლეობა ძირითადად შედგებოდა სამი რასისაგან: თვითონ მონღოლების, თათრების ანუ თურქებისა და ჩინელებისაგან. იხ. La Grande Encyclopédie, Paris, S. XXIV, გვ. 64—92; ტ. XXX, გვ. 973.

3 ამ პირველ შემოსევათა შესახებ ჩვენ მაინც მოგვეპოვება შემდეგი დეტალები: „ქართველთა რბევა.

1220 წ. თათრები საქართველოში შევიდნენ, დაიწყეს მისი დარბევა.. რადგან თათრებს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ, რომ ნიშნად დიდებისა და გამარჯვებისა და იმის დასტურად, რამდენი იყო დალუპულთა რიცხვი, ათას მოკლულთაგან ერთს (ათასის აღსანიშნავად) თავდაღმა, ფეხებაჭიმულს გამორჩეულ ადგილას ჰკიდებდნენ. საქართველოს დედაქალაქის თბილისის აოხრებისას დაღუპულთაგან (რიცხვი) რომ დაემოწმებინათ, შვიდი კაცი იქვე თავდაღმა, ფეხებაშვერილი შვიდ სხვადასხვა, შესამჩნევ ადგილას ჩამოკიდეს; ცოტაც იმავე ქალაქში თათართა მოსვლამდე იქნა მოკლული ხვარაზმელთაგან: როგორც უკვე ვთქვით, შვიდი ათასზე მეტი კაცი იქნა მოკლული. შემდგომ იქ ძალიან ბევრი დაიხოცა, დაიწყო საშინელი შიმშილობა". Vincent de Beauvais, Speculum historiae, Venise, 1624, ტ. II, თავი 95, სვ. 1265.



წმინდა იოანე მახარებლის ეკლესია ზარზმაში, აგებული 1045 წელს[1].

1 „ეს თლილი ქვის დიდი და შესანიშნავი შენობა, დაახლოებით წმინდა საბას ეკლესიის (საფარაში) მოდელზეა აგებული და მდებარეობს შემაღლებულ ადგილზე ჯაკის წყლის (ქაბლიანის) მარჯვენა მხარეს. მას სამი ნავი აქვს და მდიდრული გუმბათი ადგას თავზე. ჩრდილოეთის კედელთან ლამაზი ეკვდერი იყო, რომელსაც დღეს თლილი ქვის პერანგი აღარ ფარავს; სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დგას ცოტათი ამაღლებული სამრეკლო, რომელსაც ძალიან მოხდენილი კონსტრუქცია აქვს და შედარებით შემონახულია. სამრეკლოს აღმოსავლეთის კედელზე ვკითხულობთ ამ საინტერესო წარწერას: „წ. აღაშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა

ჯალალედინმა, ხორასნის სულთანმა დაასუსტა მონღოლები, რომლებიც მას ებრძოდნენ, შეაგროვა ლაშქარი და შეუდგა ქრისტიანების ჟლეტას და ამოწყვეტას; 1226-დან 1230 წლამდე არ შეუწყვეტია თვითონ, თუ თავისი სარდლების მეშვეობით საქართველოს არაერთგზის აოხრება და ეკლესიების დამხობა.

ჯალალედინის მეომრები ისე ულმობელნი იყვნენ, არც ქალები ეცოდებოდათ და არც ძუძუმწოვარა ბავშვები. „ქართლის ცხოვრება" სავსეა გულსაკლავი ამბებით. ვფიქრობთ, უნდა მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი მათგანი. დავიწყებთ ერთი ახალციხელი ქართველის წამებით:

„ხოლო შალვა წარიდგინა სულტან ჯალალდინსა წინაშე, რომელი იცნეს ნახჭევნელთა და ადარბადაგანელთა, და მოაჴსენეს სულტანსა ახოვნება და წყობათა შინა სიქველე მისი. ხოლო მან არა მოკლა, არამედ თჳსთა თანა იპყრა დიდითა პატივითა, და მიანიჭნა ქალაქნი ადარბადაგანისანი, და თავადთა თჳსთა თანა პატივ სცა. ხოლო შემდგომად წელიწადისა ერთისა მოიკლა სულტნისა მიერ არა დატევებისათჳს სჯულისა.

აიძულებდა დატევებასა სჯულისასა, და უქადაგებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა. ხოლო მან უსმინა, არცა აღირჩია წუთ ჟამისა ამის პატივი, არცა უარყო სახელი ქრისტესი. კუალად სულტანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა, არამედ იგი გარემიაქცევდა სიტყუათა მისთა. კუალად სულტანი ექადოდა მრავალფერითა სატანჯველითა და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მწარითა სიკუდილითა განიყვანა საწუთროსაგან წმიდა შალვა, და მოწამობისა გჳრგჳნითა შემკული აღვიდა წინაშე ქრისტესა".

„აქა მეგულების დადუმებად, რომელ სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილითა გულისათა. რამეთუ ესეოდენ მძჳნვარედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩჩჳლნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცჳდიან და რომელსამე ტჳნი დაეთხიის, და უკანის დედანი მოიკლოდიან; მერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭამუკნი დაეკუეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტჳნი კაცთა, დედათა, მერთა, ჩჩჳლთა თმა და სისხლი, თავი მკართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა

---

იოანე მახარებლისსა ნებითა ღმრთისათა და ბრძანებითა ყოვლის ქუეყანისა სახელ განთქმულისა აგარიანთა პირის დამყოფელისა ხურციძისა პატრონისა ფარსმანისითა, სულსა მისსა განუსვენეს და შეუნდნეს ღმერთმან, მლოცველთ მოსავართმოსავრობასა ხურციძისა პატრონის მაწყუერელისა სერაპიონისსა, ქორონიკონს სდე. (1045)". Brosset, Voyage archéologique, II მოხსენება, გვ. 132-133 (წარწერის ტექსტი მოყვანილია ვ.ბერიძის „სამცხის ხუროთმოძღვრების" მიხედვით, თბ., 1955 წ., გვ. 125). ამ ეკლესიის სხვა წარწერა იხ. ზემოთ (თავი XII § VI).

N.B. — ძალიან ვწუხვართ, რომ ამ ნაშრომში ვერ შევძელით შეგვეტანა საქართველოს ყველა ძველი ტაძრის დიდებული ნანგრევების რეპროდუქცია. ვერ მოვახერხეთ ყველას მოპოვება.

მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო. არა ჰყოფდეს წყალობასა, რამეთუ რომელნიმე დანითა იღლიასა დასობილნი, სხუანი მკერდსა დაცემითა, რომელნიმე მუცელსა და ზურგსა განიგმირებოდეს.

ჵი სალმობიერი ღაღადი და დიდი ღაღადი ცრემლთა! ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ჴმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარი შეკრებიან, და კუალად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკუდარ მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა, და არცა თუ დაფლვასა მიწასა შინა ღირს ჰყოფდეს. ეკლესიანი და ყოველნი პატიოსანნი სამსხუერპლონი შეურაცხ იქმნებოდეს, და პატიოსანნი მღდელნი ეკლესიათა შინა თჳთ ხატთა და ჯუართა თანა, შეიმუსრვოდეს.

და ესევითარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცემელთა“.

„რამეთუ ხატი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა, რომელი სიონს მკჳდრ იყო, მრძანა მოყვანებად და კიდისა შესავალსა დადებად პირაღმართ, და მრძანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დაცევება სჯულისა, უკეთუ არა ჰყონ, წარკუეთა თავთა. და ვითარ აღასრულებდეს მრძანებულსა ამას, მოჰყვანდეს მამაკაცნი დედათა თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად. მრავალთა უკუე მრწყინვალე ძლევა აჩუენეს არა თავს-დებად შეურაცხებად წმიდათა ხატთა და დაცევებად სჯულისა. ხოლო მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა მიიღეს გჳრგჳნი წამებისა, რომლისა აღარაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათჳს, რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ ათ ბევრ აღიწია რიცხვი მოკლულთა“[1].

თუმცა ქართული ეკლესიის შესახებ განსაკუთრებული ცნობები არ მოგვეპოვება, რადგან აღნიშნული დროიდან მოყოლებული ისტორიკოსები მხოლოდ ქვეყნის თავს დამტყდარ უბედურებებს აღწერენ, ამ ნაღვლიანი სურათის მიხედვით ადვილი წარმოსადგენია, რა საცოდავ დღეში იმყოფებოდა იგი.

სწორედ ამ გამწვავებულ პირობებში შემოდგეს პირველად ფეხი საქართველოში მისიონერებმა. ჩვენ არ ვიცით მათი მოსვლის ზუსტი თარიღი, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ 1230 წელს. არიან შემოსულნი.

აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, როდის გამოეყო ქართული ეკლესია კათოლიკურს: ეს ბერძნულ ეკლესიასთან ერთად მოხდა, თუ უფრო გვიან? ამ საკითხის გადასაჭრელად არ გაგვაჩნია არც ერთი დამადასტურებელი საბუთი არც ქართველ მწერლებთან და არც უცხოელ ავტორებთან. საჭირო საბუთის უქონლობის გამო ვერ ვივარაუდებთ, რომ

1 „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 170—171, 175-176, 177-178. იხ. Saint-Martin, Mémoire historique et géographique sur l'Arménie, ტ. II, გვ. 259; Lebeau, Histoire du Bas-Empire, ტ. XVII, გვ. 453.

ქართველნი იმავე დროს გამოეყვნენ, როცა ბერძნები.

მართლაც ბერძნული სქიზმა, ფოტიუსის მიერ 858 წელს დაწყებული და 1054 წელს მიქელ კერულარიოსის მიერ დასრულებული, შედეგია ძალაუფლებისკენ ცალკეული პირების სწრაფვისა და დოგმატური რიგის საკითხები მხოლოდ საბაბი იყო. ქართველ ხალხს ხომ არ შეეძლო გაეზიარებინა რომის ეკლესიის მიმართ ბერძენთა მტრული განწყობილება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბერძენთა გამოყოფის მიზეზი დოგმატური საკითხები იქნებოდა, ქართველები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ მათ უთანხმოებებში, რადგან ხანგრძლივ ომებში იყვნენ ჩაბმულნი.

ბერძნებს არ შეეძლოთ, კვლავაც განეგრძოთ თავიანთ სქიზმაში ქართველთა ჩათრევა, რადგან ქართული ეკლესია უკვე დიდი ხანია დამოუკიდებელი იყო და აღარ ექვემდებარებოდა ბერძენ პატრიარქთა იურისდიქციას. თანაც ისტორიას არ შემოუნახავს ქართველი ლათინების რომაული ეკლესიის მიმართ სიძულვილის, ან მტრული დამოკიდებულების არავითარი კვალი. მაშასადამე, ამ ეპოქაში ქართველთა გამოყოფას არავითარი მოტივი არ ექნებოდა[1].

ბერძნებმა პაპების სახელები გამოყოფისთანავე ამოშალეს თავიანთი დიპტიქიდან, მაშინ როცა ქართველებმა XII საუკუნის დასასრულამდე გააგრძელეს პაპების დასახელება ხუთი პატრიარქის ჩამოთვლისას, თუ მოხმობისას, რაც გვიმტკიცებს, რომ არ მიაჩნდათ თავი პაპისაგან გამოყოფილად, პირიქით, ცნობდნენ მას ისევე, როგორც დანარჩენ ოთხ აღმოსავლელ პატრიარქს[2].

სწორედ ქართულ ეკლესიასა და რომს შორის ურთიერთკავშირის სისუსტემ განაპირობა კათოლიკური ეკლესიისაგან ქართულის გამოყოფა. ჩვენ სხვა მიზეზს ვერ მივაწერთ ამ გამოყოფას, თუ უფრო განცალკევებას, რომელიც მხოლოდ XIII საუკუნის შუა წლებისათვის შეინიშნება.

მართლაც ჰონორიუს III-ს, როდესაც საქართველოს დედოფალს 1224 წელს წერილს წერს, ქართული ეკლესია გამოყოფილად არ მიაჩნია, რადგან მას და მის ქვეშევრდომებს სამოციქულო ინდულგენციებს სთავაზობს, რომლებსაც ეკლესია, ჩვეულებრივ, მხოლოდ თავის უნიონიტებს აძლევს. არც პაპი გრიგოლ IX აღნიშნავს ქართველთა გამოყოფას 1233 წელს საქართველოს მეფისათვის გაგზავნილ შემდეგ ბულაში:

1 მართლაც 1220 წლამდე დასავლელ მწერლებს ქართველები კათოლიკეებად მიაჩნიათ. — იხ. Pertz, Monumenta Germaniae historica, ტ. XXIII, გვ. 911. პოგზაური პიეტრო დელა ვალე ამ საკითხის შესახებ შემდეგ აზრს გამოთქვამს: „რაც შეეხება სარწმუნოებას, თუ დავეყრდნობით ბარონიუსის შენიშვნებს რომაულ მარტიროლოგში (15 დეკემბერი) და სხვა ავტორებს, ქართველები არასოდეს ჩამოშორებიან კათოლიკურ რწმენას". Viaggi, Bologna, 1677, II მოხსენება, გვ. 122

2 იხ. Brosset, Histoire moderne de la Géorgie, ტ. II, გვ. 457; ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, გვ. 162, 205; ტ. II, გვ. 140, 142, 152.

„საქართველოს უმრწყინვალესს მეფეს.

რადგან ყველა ძალა გამომდინარეობს ყოვლის მპყრობელის უფლისაგან და ყოველი მისი ნამოქმედარი კეთილია, ამიტომ მეფენი ამაოდ არ ატარებენ მახვილსა, არამედ იგინი სჯიან უღმრთოთა და შურს იძიებენ მათზე, ვინც შეურაცხყოფენ გამჩენსა, იგინივე მორწმუნეთა კეთილ მოქმედებას აქებენ და ზრუნვენ მათი კეთილად დაცვისათვის. ამ წიგნის მომტანმა მინორიტების ორდენის მღვდელ-მონაზონმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა იაკობ რუსანელმა გვიამბო, რომ თქვენ დიდების ტახტსა, რომელზედაც ახვედით, ღვთის ხელიდგან მიღებულადა სთვლით და პატივისცემით ეპყრობით ამის ძმათა მონაზონებსაც, უფროს ერთად მათი მოღვაწეობის ნიჭს დიდათ აფასებთ, რადგან, როგორათაც მოიმედე ვართ, კარგად უწყით, რომ იგი, რომელიც მდაბალთა და მცირეთა მოხედავს და იცავს, არცხვენს სიმოროტეს მწვალებელთა ამნაირი მცირე პირებითა, რომ უფალი აბრწყინებს კათოლიკე ეკლესიას სხვა და სხვა სასწაულებით, რათა ეგონათ უფრო მომეტებულად აღამაღლოს პატივით და დიდებით, რაოდენადაც გლახაკნი, მდაბალნი და მარტივნი იქმნებიან. უკეთუ გნებავთ, მეფევ, მიიღოთ მართალთა და წინასწარმეტყველთა სასყიდელი იმ ზეციერის მეუფისაგან, რომელიც ცეცხლით მოსასვლელ არს განსჯად ცოცხალთა და მკვდართა, და რომელიც თავისად ითვლის, რასაც ერთ მის მცირეთაგანს უყოფენ, ამიტომ იტვირთეთ მათი ნაკლებულობა და თქვენს შემწეობას ნუ მოაკლებთ. ამაზე გულმოდგინებით ვევედრებით, ვაუწყებთ და შევაგულიანებთ თქვენს ხელმწიფებას; ეგრეთვე თქვენის ცოდვებისათვის შენდობის მისაღებად ამ მოციქულებრივის წერილით გავალებთ, რათა სახიერებით მიიღოთ და სიყვარულით შეიწყნაროთ თუ ეს ჩვენი ერთგული საყვარელი შვილი და თუ მისნი თანაძმა მონაზონნი, რომელთაც ნებით სიგლახაკე უტვირთიათ, რათა ქრისტეს გულისათვის სამსახური მიაგონ იმათ, ვინც ღმერთს არ სცნობენ, თუმცა კი მის სახელს ამაოდ იხსენიებენ; ეგრეთვე მათში აღიდეთ იგი, რომელმაც ტყვეობისაგან ჩვენ დასახსნელად და თავის მემკვიდრე შვილად შესარიცხად, მოგვანიჭა თავი თვისი. გაცემულია ლატრანს, 11 აპრილსა, მღვდელთ-მთავრობის მეშვიდე წელიწადსა (1233 წ.)“[1].

ამ წერილიდან ჩანს, რომ მისიონერები ქართველებთან კი არ იყვნენ გაგზავნილი, არამედ ურჯულოებთან, გარს რომ ეხვეოდნენ საქართველოს.

მონღოლები მალე დაბრუნდნენ. ისინი ხელახლა შემოიჭრნენ საქართველოში 1236 წელს 40 000 კაცით, კალიასავით მოედვნენ მთელს ქვეყანასო, წერს „ქართლის ცხოვრება“. ამ სისხლისმღვრელი გამანადგურებლების ხელში აღარც სიმშვიდე იყო, აღარც სახსრები

1 Arch. Vat., Reg. Vat. 17, ფურც. 6. ანალიზისთვის იხ. Potthast, № 9141, L. Auvray, Les Registres de Grégoire IX, Paris, ტ. I, 1896, სვ. 692, №1217; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ტბ. 1902. გვ. 12-13.

და აღარც ნუგეში, ისე დაუზოგავად იქცეოდნენ. ჟლეტდნენ კაცებს, ქალებს და ტყვედ მიჰყავდათ ორივე სქესის ულამაზესი ახალგაზრდები. მთელი საქართველო მათ ძალაუფლებას ემორჩილებოდა[1].

სწორედ ამ სავალალო სიტუაციაში რუსუდან დედოფალმა, რომელსაც მიმოწერა ჰქონდა ჰონორიუს III-თან, განიზრახა მიემართა გრიგოლ IX-თვის. დედოფლის წერილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ პაპის პასუხიდან ჩანს, რომ რუსუდანი მას შველას სთხოვდა ველური მონღოლების წინააღმდეგ, რომელთაც დაიპყრეს საქართველო, და ჰპირდებოდა, თავისი ქვეშევრდომებითურთ შეერთებოდა კათოლიკურ ეკლესიას. მხოლოდ ამ წერილშია პირველად ლაპარაკი ქართველთა გამოყოფის შესახებ. პაპმა, რადგან დახმარების გაწევა არ შეეძლო, რუსუდანს და მის ვაჟს გრძელი, დამრიგებლური და მამობრივი წერილი გაუგზავნა. საჭიროდ მიგვაჩნია ამ წერილის მთლიანად მოყვანა:

**„ბრწყინვალე რუსუდანს და მის შვილს დავითს, საქართველოს დედოფალს და მეფეს.**

ყოვლად მაღალის ხელთა ქმნილება საკვირველი მზე, რომელიც ანათებს მთელს ქვეყანას...რომელმანც მზესა შინა დასდგა კარავი თვისი და ვითარცა სიძე, რა გამოვალნ ეზოით თვისით ქალწულისა, იხარებდეს იგი, ვითარცა გმირი სრბად გზასა, მან შთაღვარა გულთა თქვენთა თავისი ნათლის მრწყინვალება, მოგაშორათ სიბნელის შეცთომილება და უხვად მოგანიჭათ მადლი თვისი ცნობისა, რათა განკვირვებით სჭვრეტდეთ ყოვლის მპყრობელის მამის დიდებასა, ეთაყვანებოდეთ მის ძის საუკუნო სიბრძნესა და იყვნეთ გამსჭვალულნი ორივეს შემაერთებელის სულიწმიდის სიყვარულით; და ესე არს დედოფალი ყოველთა სათნოებათა, რათა ჟამიერის ცხოვრების შემდგომ ღირს იყვნეთ საუკუნო დიდებაში ცხადად ხილვისა ღვთისა, რომელსაც აწ კათოლიკე სარწმუნოებით, ვითარცა დაფარულს, სარკეში ხედავთ. იმ დიდებაში, სადაც არავითარი სიბნელეა, მართალნი ღვთის წინაშე მრწყინვენ, როგორც მზე. იქ არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი ნაკლებულობა მოიპოვება, არამედ ყოველი სიუხვე, რასაც კი მართალნი ინატრებენ, რადგან ღმერთმა თავის მოსავთ განუმზადა ყოველი ბედნიერება, რომელიც თვალს არ უნახავს, და რომელსაც კაცის გონება ვერ მისწვდება. ამიტომ საყვარელნო შვილნო, დიდად გვიხარის, რომ ღვთის სიტყვა გიცვნიათ და სარწმუნოება თქვენს ქვეყანაში ეკლესიის დაფუძნებიდგანვე შეურყევლად დარჩენილა, როგორათაც თქვენვე გვაუწყებთ წერილით. კვალად გვიხარის, რომ ძემან ღვთისამან, თავისი ზეციერის წყალობით, გაგაცნოთ თავისი წმიდა სახელი, რათა თვისი დიდებულის სახიერების მონაწილე გყოთ სავსებით. აწ ვინ არ შეიყვარებს და არა თაყვანსა სცემს ესრედ სახიერ ღმერთსა, რომელმანც შეჰქმნა კაცი მიწისაგან, რომ თავისის დიდების მონაწილე ჰყოს, რომელმანც

---

1 იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 186-189; Lebeau, Histoire de Bas-Empire, ტ. XVII, გვ. 454; Journal Asiatique, სერია II, 1833 წ., ტ. II, გვ. 200.

ტყვეობიდგან გამოსახსნელად ადამის ტომისა მოავლინა ძე თვისი მონის სახით ქვეყანაზედ ჯვარსაცმელად და სასიკვდილოდ? ვინ არ შეიყვარებს და არა თაყვანსა სცემს ისეთ უფალს, რომელიც კაცს სხვა არაფერს სთხოვს, თვინიერ იმისა, რომ მართალი და მოწყალე იყოს, ჰყოს სხვა კეთილი საქმენი, შეიყვაროს თავისი გამჩენი სულით და გულით, ეშინოდეს მისი და დაიცვას მტკიცედ მისი მცნება? მზგავსადვე თქვენც მოგვილოცეთ ჩვენც და სხვა დანარჩენ ქრისტიანეთა, რომ ქრისტეს სარწმუნოებამ ჩვენამდინაც მოაწია, და აწ ვადიდებთ ღმერთსა, როგორათაც ჯერ არს, და ვსასოებთ საუკუნო ცხოვრების მოპოვებას. ესრეთ თქვენი ჩვენთან მოსული და ჩვენი თქვენთან წარმოგზავნილი წიგნებით ურთიერთად სულიერის შვებით განვიხაროთ, რომ ქრისტეს სარწმუნოება თქვენსა და ჩვენს შორის იდიდების. ხოლო ჩვენი სიამოვნება შეასუსტა და სიხარული გაგვიმწარა იმ ამბავმა, რომელიც გვაუწყეთ თქვენის წერილით, რომ კათოლიკე სარწმუნოების მტერნი თათარნი შემოსულან თქვენს სამეფოში და დიდი ვნება მიუყენებიათ თქვენთვის. გარნა ვინუგეშეთ იმითი, რომ თუმცა პირველში მტრისაგან დაძლეულხართ, მერმე კი დაგიძლევიათ, სამოლოო გამარჯვება თქვენ დაგრჩენიათ და თქვენის მავნებელის მტრისათვის დიდი ზარალი მიგიციათ. ჯერ არს, რომ თქვენც ჩვენ შეგვიბრალოთ, რადგან სარწმუნოების მტერი ჩვენც ძლიერ გვდევნის. გარდა იმისა, რომ სარკინოზები ესპანეთსა და სირიაში სდევნიან კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგიერთნი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განდგომილნი წინ აღგვიდგნენ, რაც კი შეეძლოთ დაუწყეს ღვთის ეკლესიას დევნა, უნდათ ახალი მწვალებლობის დამყარება და ცდილობენ მოსპონ ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელმაც უნდა დაიხსნას და აცხოვნოს ადამის ნათესავი. შეიძლება, ღმერთმან განგებ მოავლინა ესრეთი განსაცდელი, რადგან, როგორც ცეცხლი ოქროს გასწმენდს, ესე იგი ზოგჯერ მოროტთა საშუალებით გამოსცდის კეთილთა, რათა კარგად გამოცხადდეს მათი მდგნეობა და სიმხნევე და აღმოხოცოს მათი გულითგან ყოველივე მწიკვლი ცოდვისა; როგორათაც სუფთა პური არ შეიქმნების, თუ ჯერ ხორბალი ღეწვით არ განშორდების ჩალას, ეგრეთვე უფალი თავისი ტაძრის ასაშენებლად არ მიიღებს ქვათა, თუ წინათ კარგად გაწმენდილნი და გათლილნი არ არიან. ამნაირად გამოცდილნი და გაწმედილნი მართალნი მიიღებენ საუკუნო სასყიდელს და მოიპოვებენ საუკუნო ცხოვრებას. ვინაიდგან ისრაელის ერმა მაშინვე კი არ დაიმკვიდრა აღთქმის ქვეყანა, არამედ ბევრ ხანს უდაბნოში იარა და მხოლოდ მტერზედ ბევრგზის გამარჯვების შემდგომ ეღირსა მის დაპატრონებას. გარნა ვსასოებთ, რომ მაცხოვარმა, ამ ღელვის შემდგომ, მოგვანიჭოს მშვიდობა და დათრგუნოს სამოციქულო საყდრის მტერნი. აწ. საყვარელნო შვილნო, ნუღარ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწევნელად თათრების წინააღმდეგ. სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მანდეთ ჩვენს მხედრობას. ამ თქვენმა ამბავმა ძლივს მოაწია ჩვენამდე. ქრისტიანე სარწმუნოების დაცვისათვის დაუცხრომელად ვეომებით მტერსა იტალიასა, სირიასა და ესპანეთში. ამიტომ აღარ შეგვიძლია დაგეხმაროთ. რაკი

სხვაფრივ ვერ შევიძლებთ თქვენი შეწევნა, ამიტომ ვინებეთ ამ წერილის გამოგზავნა, რათა ამითი კარგად სცნოთ ჩვენი თქვენდამი სიყვარული, რომელიც ვერ გამოგიცხადეთ თქვენშიერ ნათხოვნის შემწეობის მიცემით.

ხოლო რაიც შეეხება იმას, რომ თხოულობთ ჩვენთან შეერთებას, ამაზედ დიდად ვაქებთ თქვენს დიდებულებას; უკეთუ აქამდე თქვენი ცხონების სისრულეს რამე აკლდა, აწ თქვენი შეერთება სრულყოფს მას და მასთანვე აგვირგვინებს ჩვენს სიხარულსაც, რომლის მიზეზი თქვენ ხართ. კათოლიკე ეკლესია, სძალი ქრისტესი, ერთ არს; ქრისტემ მოციქულთა მთავარს პეტრეს მისცა სიმართლე გახსნისა და შეკვრისა; ეგრეთვე მარტო პეტრე უჩვენა,როდესაც სთქვა: „ამა კლდეზედ აღვაშენო ეკლესია ჩემიო". რადგან მხოლოდ პეტრე უჩვენა და მხოლოდ ერთი ეკლესია დაასახელა იესო ქრისტემ, ამითი მან ცხადად აღკრძალა სხვა და სხვა ეკლესიები დაფუძნება და ეკლესიისათვის მრავალ მწყემს-მთავართა დადგენა. ამისთვის იყო, რომ უბრძანა პეტრეს, რათა დამწყსოს სამუდამოდ ცხოვარნი თვისნი და შემოჰკრიბოს ეკლესიაში თუ ურიანი და თუ წარმართნი, რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს. ამავე საგანს, რა გონების თვალით სჭვრეტდა ეზეკიელ წინასწარმეტყველი, სთქვა ცხადად, რომ უფალი ყოველთა ძეთა ისრაელთაგან, ესე იგი ღვთისადმი მოქცეულთაგან, შეადგენს ერთს მხოლოდ ერსა და ერთს მხოლოდ სამეფოს, რომლის მმართველი იქნება მარტო ერთი მეფე. ამითი უფალი ცხადად უკრძალავს მრავალ ეკლესიათა დაფუძნებას და მრავალ მწყემსთა დადგენას. არც ბუნების კანონი იგუებს, რომ ერთს სხეულს ებას მრავალი თავი და მრავალ სხეულთა ებას ერთი თავი. თუმცაკი სხვა და სხვა ერნი კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებენ, მაგრამ ყველა ისინი შეადგენენ ერთს მხოლოდ ეკლესიას, ვინაიდგან ყველანი მდაბლად ემორჩილებიან ერთსა და იმავე თავსა, რომელიც არის ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე. ხოლო ვინც ამ ერთი თავის ნასხამნი არ არიან, უთუოდ, როგორც ერთი საოცარი არსი, წარემართებიან წარწყმედის გზასა, რადგან, როგორც ქრისტე არ განიყოფების და ღვთაება არ განაწილდების, ეგრეთვე ქრისტემ, ზეცად ამაღლების დროს, მხოლოდ ერთი თავისი მონაცვლე დაუტევა ქვეყანაზედ. ამიტომ საჭიროა ამას დაემორჩილონ ყველა ტომის მთავარნი, თუკი უნდათ ქრისტეს ეკუთვნოდენ. ამითი ჩვენს ძმებს და ეპისკოპოსებს სრულებით არ ავხდით იმ პატივს, რომლის ღირსნიც ისინი არიან, რადგან აღვიარებთ ღვთისა და სამოციქულო საყდრის წარმომადგენლად ყველა იმ ეპისკოპოსთ, რომლებიც ხალხის სულიერად მოვლის შრომაში მონაწილეობის მისაღებად მოწოდებულნი არიან წმიდა პეტრესა და მის მოსაყდრისაგან. ამიტომ საყვარელნო შვილნო, საჭიროა ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე, რომის პაპი სცნოთ თქვენ და ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, როგორც მამა და ჩვენი სარწმუნოების მწყემსი. შეუერთდით მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ. დაემორჩილენით მას ყველაფერში, რაც კი შეეხება თქვენის სულის ცხონებას. ამის მეტს თქვენგან არაფერს ვითხოვთ. კაცს მარტო იმასა ვთხოვთ, ღვთისა ეშინოდეს, იგი შეიყვაროს ყოვლითა გულითა და ვლიდეს მისის სიმართლის თანახმად. ვინც ამ მხრივ ჩვენი ურჩი იქნება, ის სწორედ კეთილი სული არ უნდა იყოს. რაგინდ

ძლიერი მეფე იყოს, მორჩილებით არ დაემცირდება არც ხელმწიფება და არც ღირსება, არამედ ყოველი ძალა და უფლება მოემატება. ვინაიდგან ერს მხოლოდ ისინი მართავენ კარგად, ვინც ღმერთს თავს მოუმდაბლებენ და ერთგულად ემსახურებიან, ამიტომ იესო ქრისტეს დათხეულისა და დაუფასებელი სისხლის პატივისათვის ვაუწყებთ, ვაგონებთ და ვთხოვთ თქვენს დიდებულებასა, რათა შე მოუერთდეთ რომის ეკლესიას, მის მწყემსს დაემორჩილოთ და ამ სამოციქულო საყდრის მორჩილება მიაღებინოთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთაც. თქვენის შრომით აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის ორკეცად დაიმკვიდრებთ სასუფეველის გვირგვინსა. თქვენც კარგად უწყით და ზემოთ ჩვენც მოვიხსენიეთ, რომ უფალმა მარტო პეტრეს ჩააბარა სასუფეველის კლიტენი, ამიტომ სასუფეველის კარი გაეღება მხოლოდ იმათ, ვინც პეტრესი და მისი მოსაყდრის მორჩილნი იქნებიან. ამის გამო ვგზავნით თქვენთან მოქადაგეთა წესის ძმათა უგუიჩინოს, იაკობს, ბენევენტოს, რუმინოს, პეტრეს, ბერნარდეს, ლამბერტის და გვიბარდოს, რომელნიც ძლიერნი არიან სიტყვითა და საქმით, რომელთა შორის ბრწყინავს კეთილი ცხოვრება და მოძღვრება, რადგან რასაც სხვას სიტყვით ასწავლიან, მას ჯერ თვით საქმით ასრულებენ. მაშ მიიღეთ იგინი სახიერებით, როგორც ქრისტეს მიერ მოვლინებულნი და გულმოდგინებით ისმინეთ ყოველი მათი მოძღვრება. გაცემულია ლატრანში იანვრის 13, მღვდელთ მთავრობის 13 წელსა (1240)"[1].

არ ვიცით, რა შედეგი მოჰყვა პაპის მშვენიერ წერილს. დროთ არ შემოგვინახა არც ერთი სხვა საბუთი ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისიონერები კარგად მიიღეს, რადგან 1240 წელს დომინიკანელებმა თბილისში პირველი მონასტერი დააარსეს, როგორც თავიანთი მისიის ცენტრი, საიდანაც ისინი მიდიოდნენ ურჯულო ქვეყნებში სახარების საქადაგოდ[2].

ამ ეპოქიდან მოყოლებული საქართველოს ისტორია მხოლოდ და მხოლოდ განადგურების, ულეტის, ბრძოლის, შემოსევათა გრძელი რიგია. ამიტომ არაფერი ვიცით ქართული ეკლესიის შესახებ. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსს ვახუშტის ცნობაში ვკითხულობთ:

---

1 Reg. Vat. 19, № 198, ფურც. 142. ლათინური ტექსტი გამოქვეყნებულია ნაწილ-ნაწილ, იხ. Raynaldi, ტ. II, 1240 წ., № XXXIX–XLIII გვ. 247-8 და L. Auvray, იქვე, XI fascicule, სვ. 162-163, №5022; ნახსენებია პოტჰასთან (Potthast, №10841); მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 14-15.

2 „ძმა გვიჩარდო კრემონელმა იცოდა თათარია ზნე-ჩვეულებანი, რაც ქართველთაგან შეესწავლია, რომელთა შორის, მათ ქალაქ ტრიპოლისში, სამმო სახლში შვიდი წლის მანძილზე იმყოფებოდა". Vincent de Beauvais, Speculum historiale, ტ. II, წიგნი XXXI, თავი 42, სვ. 1300. — იხ. Voyage de Ascelin et ses compagnons vers les Tartares, Paris, 1634, გვ. 444; Jacques Echard, Scriptores Ordinis Praedicatorum, Paris, 1719, ტ. I, I მოხსენება, გვ. 122; Rubruquis, Voyage en Tartarie en 1253–1257, dans Bergeron, Relation des voyages en Tartarie, Paris, 1634, გვ. 280—284.

„თეატრის მატიანის მწერალი სწერს. ამ ჩვენს წერილს სომეხთ ორბუნების წვალებასა და სხუათა ზედა წინააღუდგებოდნენ ძლიერად გიორგიელნი. რომლისათჳს უმეტეს განეშორნენ ურთიერთს. რომელსა ჩუენი მატიანე არა მოიხსენებს ვგონებ ამ ჟამის უცალოებისათჳს, ეგებ ეკლესიის მატიანეში იყოს სადმე თქუენ იხილეთ“[1].

## III. – ნიკოლოზ IV-ის წერილები, გაგზავნილი დემეტრე მეფესა და საქართველოს კათალიკოსთან. მისიონერთა გაგზავნა. ქართველები იძულებულნი არიან, მორჩილად დათანხმდნენ მონღოლთა ბატონობას. ამ ბატონობის დამღუპველი შედეგები. დემეტრე მეფე თავს სწირავს ქვეყანას

საქართველოში დატრიალებულმა გაუთავებელმა უბედურებამ ვერ შეუშალა ხელი პაპებს მისიონერთა[2] გამოგზავნასა და მეფეებთან და კათალიკოსებთან მიმოწერაში. სხვათა შორის გვაქვს ნიკოლოზ IV-ის შემდეგი სამი წერილი:

„დემეტრეს, ქართველთა მეფეს.

ქრისტეს მიერ საყვარელი შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

თუმცა კი უღირსნი ვართ, მაგრამ ამ ქვეყანაზედ მონაცვლედ ვითვლებით იმ უმაღლესის მწყემსისა, რომელმაც თავისის სამწყსოსათვის თავი თვისი დასდვა და ნებით იტვირთა მწარე სიკვდილი მტრის ხელითგან ჩვენ დასახსნელად. ამიტომ ჩვენც ვნატრობთ ყველას ცხონებას, ვზრუნავთ გულმოდგინებით და ყოვლის ღონისძიებით ვცდილობთ, რათა მორწმუნეთა სულთა, შემდგომ სააქაოს ცხოვრებისა, დაიმკვიდრონ ზეცას საუკუნო სასუფეველი. რადგან კათოლიკე სარწმუნოება, რომელსაც აღიარებს და ასწავლის რომის ეკლესია, ამზადებს ზეცის გზასა და უღებს ცხოვრების კარსა მორწმუნეთა, ამიტომ იესო ქრისტეს სახელით გულმოდგინედ შევაგულიანებთ და ვიწვევთ თქვენს ხელმწიფებას, რათა მიაქციოთ ყურადღება უფალს, შეუდგეთ ერთგულებით სარწმუნოებისა და საუკუნო ცხოვრების საქმესა; დაიცვათ მორწმუნებით ქრისტეს სჯული, გულმხურვალებით და მართლმკვეთელობით განაგრძოთ ეკლესიის ერთობა; ეგრეთვე არ შესწყვიტოთ ყოველი კეთილ-მოქმედება, რომელიც სათნო ეყოფის უფალსა, რათა დღითი დღე წარიმატოთ ღვთის მსახურებაში და ამნაირად ღვთის შეწევნით მოიპოვოთ საუკუნო ბედნიერება. რადგანაც თქვენს ხელმწიფებას გულწრფელად პატივსა ვცემთ და გვიყვარს უფლისამიერ, ვნატრობთ თქვენს საუკუნო ცხოვრებას. ამიტომ თქვენ და ყოველ თქვენ

---

1 „ქართლის ცხოვრება“, ტომი IV; ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1973, გვ. 217.

2 იხ. Hyacinthe Sbaralea, Bullarium Franciscanorum, Rome., 1749, ტ. I, გვ. 100, 102, 103, 205, 360, 362-364; ტ. II, გვ. 285; ტ. IV, გვ. 276-285.

ქვეშევრდომთ ვუგზავნით ჩვენს კურთხევას თქვენის ცოდვების მისატევებლად. გაცემულია რიეტში, 11 ივლისს, მღვდელთმთავრობის მეორე წელსა (1289)"[1].

აი, მეორე წერილი:

„პატიოსან ძმას, საქართველოს პატრიარქს.

მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

რადგან ზეციერმა მეუფემ, რომლის ღვთაებრივი განგება მართავს ზეციერთა და ქვეყნიერთა არსთა, აღგვიყვანა სამოციქულო საყდარსა, ამიტომ დიდად ვნატრობთ, რომ ყველა მოკვდავთა ვლონ საუკუნო ცხოვრების გზით და იმოქმედონ ისე, როგორც სათნო ეყოფის მაღალსა ღმერთსა, რათა მით ღირსნი გახდენ სულის ცხონებისა.

ვინაიდგან სულზედ უმშვენიერესი, სანატრელი და ძვირფასი არა არის რა, თვით მთელი ქვეყნის შეძენაც კაცს არაფრად გამოადგება, უკეთუ იგი წარიწყმედს სულსა, ვითარცა მოწმობს სახარება. ამიტომ დიდის სიფრთხილით ვცდილობთ და ვზრუნავთ, რომ ქვეყნის ყველა ერთა ქრისტე უფალთან ერთად იომონ მისივე სარწმუნოებისათვის, რომელსაც ასწავლის და მტკიცედ იცავს რომის ეკლესია და რომლითაც უმზადებს გზას და უღებს სამუდამო ბედნიერების კარსა. ეგრეთვე იმედი გვაქვს, თქვენც, რომელსაც, როგორც მოგვითხრეს, დიდძალი ერი გყავთ, დიდის გულმოდგინებით იზრუნოთ და ეცადოთ, რათა ეგ ერი კეთილის საქმის აღსრულებით სათნო შეიქმნას თავისი გამჩენისა და ღირსი გახდეს საუკუნო ცხოვრებისა; ამას იგი ვერ მოიპოვებს, თუ არ დაიცვა სარწმუნოება, რომელიც განსწმენდს შემცოდეს და წარხოცს ცოდვათა. ამიტომ იესო ქრისტეს მიერ მამობრივის სიყვარულით გიწვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, აღიარებს რომის ეკლესია. სძლიეთ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან შეერთების დროს გამოგიჩნდეთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ, მხნედ მოუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც; უფლისაგან ეგოდნათ უფრო დიდს სასყიდელს მიიღებთ, რაოდენათაც თქვენის მაგალითით მეტს შემოუერთებთ, ვინაიდგან უწყით, რომ ქვეშევრდომნი ადვილად მიჰბაძავენ თავიანთი მწყემსების მაგალითსა. იმედი გვაქვს და დარწმუნებულიც ვართ, ჩვენი სურვილი კარგად დააკმაყოფილოთ და თქვენი ერი წარმართოთ ერთობის გზასა, რადგან ამ წიგნის მომტანმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა, მინორიტების მონაზონმა იოანე მონთეკორვინელმა მოგვითხრა თქვენი მრავალი შესანიშნავი მოქმედება, რომლის მოსმენით განვიხარეთ. მაშ პატივით მიიღეთ ეს სასარგებლო რჩევა და უსმინეთ ქრისტეს მონაცვლეს; ეცადეთ და იღვაწეთ გამჩენის დიდებისა და პატივისათვის, რათა ღირსებით სავსე უფრო სათნო საყოფელი შეიქმნეთ მის თვალთა წინაშე. გარდა ამისა, გულმოდგინებით გავედრებთ

1 Reg. Vat. 44, № 53, ფურც. 313 v., inter ep. curiales; დასახელებული ე-ლანგლუასთან. (E.Langlois) Reg. de Nicolas IV, Paris, ტ. II, 1893, № 2238, გვ. 393; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის". გვ. 19-20.

ხსენებულ მონაზონს და მისთა ამხანაგთა და გთხოვთ განსაკუთრებულის ყურადღებით და გულკეთილობით მოეპყრათ, რათა თქვენის შემწეობით ზურგ-გამაგრებულთ ადვილათ და ნაყოფიერად შეიძლონ ღვთის სამსახური ქრისტეს სახელის სადიდებლად. კარგად და სიადვილით რომ შეიძლოთ სხვების გაწვრთნა ხსენებულ ქრისტეს სარწმუნოებაში, ამიტომ სარწმუნოების მუხლებს აქვე აღვნიშნავთ... გაცემულია რიეტში 7 ივლისს, მღვდელთმთავრობის მეორე წელსა (1289)“[1].

ეს სახელგანთქმული პატრიარქი იყო კათალიკოსი აბრაამი, ვის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. ჩვენ არ ვიცით პაპის მოწვევის შედეგი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ წერილმა მიზანს მიაღწია.

აი, მესამე წერილიც:

**„დემეტრეს იბერთა ბრწყინვალე მეფეს.**

... მუდამ მზრუნველნი ქრისტიანების საკეთილდღეოდ, დიდად ვნატრობთ და ვცდილობთ ღვთის შემწეობით წმიდა ადგილების ხელმეორედ დახსნას; ამასვე უნდა ნატრობდენ და ცდილობდენ ყველა კათოლიკე ხელმწიფენი და მთელის ქვეყნის მთავრებიც; ეს საღვთო საქმე, რომელიც შეეხება მთელს ქრისტიანობას, უნდა იყოს მათი პირველი საზრუნველი, და შეწევნითა ღვთისათა, უნდა ხმარობდენ ყოველ საშუალებას მის კეთილად დასამთავრებლად. ამიტომ იესო ქრისტეს სახელით და მისის პატივისათვის შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელ შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენის ცდით და ეგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე ღვთის სადიდებლად, ყველა ქრისტიანების სასიქადულოდ და თქვენ საუკუნო გასაბედნიერებლად. იმედი გვაქვს, ამ საქმეში ყოველნაირი საშუალება მიიღოთ და გულმოდგინებით ეცადოთ, რათა საუკუნო ბედნიერების ღირსნი შეიქმნეთ; ჩვენც უფლისამიერ მუდამ ვაქებთ თქვენს მოსწრაფებას და მეცადინეობას. წერილის მომტანნი, ჩვენნი საყვარელნი შვილნი გვილელმო ხერიოლი და მათე თიათინელი, მინორიტების წესის მონაზონნი, ამ საქმის შესახებ ყოველ ჩვენს აზრს მოახსენებენ თქვენს ხელმწიფებას; ენდეთ მათ, რადგან მაგ ადგილებში სარწმუნოების საქმე მაგათთვის მიგვინდვია. გაიცა ორვიეტოს მახლობლად პირველ სექტემბერს, მღვდელთმთავრობის მეოთხე წელსა (1291)“[2].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფე დემეტრე, ვისაც ეს წერილი გაეგზავნა, უკვე ორი წლის გარდაცვლილი იყო. ამიტომ მის ვაჟს,

---

1 Langlois, Reg. de Nicolas IV, ტ. I, № 2221, გვ. 391. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 21.

2 Arch. Vat., Reg. Vat. 46, № 66, ფურც. 178-179; დასახელებულია პოტასთან № 23797 და ლანგლუასთან, Reg. de Nicolas IV, ტ. II, გვ. 904, № 6810: იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 574-575.

დავით VI-ს (1292-1310), უნდა მიელო პაპის მხურვალე მოწოდება.

ქართველებმა ვერ დააღწიეს თავი მონღოლებს, მორჩილად მიიღეს მათი ქვეშევრდომობა და მოხარკედ გაუხდნენ. მონღოლმა მთავრებმა ქართველებს გარკვეული თავისუფლება დაუტოვეს ქრისტიანული სარწმუნოების მხრივ, მაგრამ თვითონ სრული უფლება მოიპოვეს, დაესახელებინათ ქართველთა მეფე, რომელსაც თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით ირჩევდნენ. საქართველოზე ბატონობის გასამტკიცებლად, უფრო კი მის დასასუსტებლად, ქვეყანა ორ სამეფოდ გაყვეს.

მონღოლებმა ქართველთა სიმამაცე რომ ნახეს, თავიანთ ჯარებში მეომრებად შეიყვანეს. მართლაც ქართველები მედგრად იბრძოდნენ და სწორედ ამას უნდა უმადლოდნენ ძირითადად მონღოლები თურქებზე არაერთ გამარჯვებას[1]. თვით პაპები აღნიშნავდნენ და აფასებდნენ ქართველთა ღირსებას; ამიტომ წერდა ნიკოლოზ IV საქართველოს მეფეს და მხურვალედ მოუწოდებდა მას იარაღით ებრძოლა წმინდა მიწის გასათავისუფლებლად. ქართველთა შეუდრეკელი სიმამაცე ყველა ურჯულოს შიშის ზარს სცემდა[2].

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რა გულისმომკვლელი შედეგი მოჰყვა არაბთა ბატონობას საქართველოში. მონღოლთა ბატონობაც არანაკლებ დამღუპველი აღმოჩნდა. მონღოლთა ტირანიის გამო ქართველებმა კვლავ დაიწყეს მათი ბილწი ჩვეულებების მიბაძვა და მართალ გზას გადაუხვიეს. ქრისტიანობა მთლად არ უარყვეს, მაგრამ სამღვდელოებას უგულებელყოფდნენ და ეკლესიის ავლა-დიდებას ეპატრონებოდნენ. ქართველთა მეფე დემეტრე II-ც კი ხალხს სამწუხარო მაგალითს აძლევდა. გარდა იმისა, რომ ცუდად იქცეოდა, საეკლესიო ქონებას ითვისებდა და თავის ფავორიტებს ურიგებდა. ეპისკოპოსებმა ვეღარ გაუძლეს ამ სავალალო მდგომარეობას, შეიკრიბნენ თბილისში (დაახლოებით 1280—1282 წლებში) და მეფეს თხოვნით მიმართეს. ისინი დაჟინებით ილაშქრებდნენ მეფისა და მისი მთავრების მომხვეჭელობის წინააღმდეგ. მეფეს ღვთის რისხვით ემუქრებოდნენ, მოუწოდებდნენ, ეკლესიისათვის ქონება დაებრუნებინა, პატივი ეცა ღვთის მსახურთათვის და თავისი წინაპრებივით სწორი გზით ევლო. ეპისკოპოსებმა მეფეს გამოუცხადეს, თუ მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, შეაჩერებდნენ ყველა საეკლესიო სამსახურს, აღარ მიაღებინებდნენ ზიარებას მორწმუნეებს და ეკლესიებს დახურავდნენ[3].

ამ დროისათვის არა მარტო საერო პირები, სამღვდელოებაც

---

1 იხ. Archives de l'Orient latin, ტ. I, გვ. 639; Barhebraeus, Chronicon Syriacum. გვ. 592.

2 იხ. Bartholomaei de Salignaco. Itinerarium Hierosol.. Magdebourg. 1587. ტ. VIII, თავი I, et Archives de L'Orient latin, Paris, 1881, ტ. II, გვ. 369.

3 იხ. ჟორდანია, ქრონიკები. ტ. II, გვ. 162-166.

ცოდავდა. „ქართლის ცხოვრება“ ორიოდ სიტყვით ამის მძიმე სურათს გვიხატავს:

„რამეთუ იყო მღდელთ-მთავარი და მღდელი ლაღ-ამპარტავან, ანგარ-მოროტისმყოფელ, უწესო და ვითარ განვამრავლოთ სიტყუა, რამეთუ იყვნენ ყოვლით კერძო მოროტ“[1].

სავარაუდოა, რომ ეპისკოპოსთა საყვედურს კარგი შედეგი მოჰყვა, რადგან ამის შემდეგ მეფემ მსხვერპლად გაიღო სიცოცხლე, რათა ქვეყანა დიდი რბევისაგან ეხსნა.

მონღოლთა აუტანელი უღლის თავიდან ასაცილებლად, თუ კიდევ სხვა მოტივით, დემეტრე II-მ აიმხედრა არღუნ-ყაენი, რომელმაც მას ურდოში მისვლა უბრძანა თავისი საქციელის განსამარტავად. დემეტრე II მიხვდა, რომ ურდოში გარდუვალი სიკვდილი ელოდა. მიუხედავად ამისა, უყოყმანოდ გაემგზავრა. მანამდე კი მოიწვია კათალიკოსი აბრაამი, ეპისკოპოსები, მონასტერთა უხუცესები, სამეფოს ყველა დიდებული და ამ სიტყვებით მიმართა:

„ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა, ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მბლავრებასა შინა თათართასა, და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან, და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა (თქუენითა) წარვმართე მეფობა, და აქამომდე მშჳდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ მოროტის ყოფასა ჩემთჳს, თუ არა წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ბეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოჴრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუენითა განაგეთ საქმე ესე, რამეთუ მე ესრეთ ვგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფელ თანა-გუაც წარსლვა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჳრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ ნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს“[2].

1 „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 277.

2 „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 287-288.

თავყრილობა პირველად დემეტრე II–ის გამგზავრების წინააღმდეგი იყო, ბოლოს კი მის დაყინებულ თხოვნას დაჰყვნენ. კათალიკოსი აბრაამი თვითონ ახლდა მეფეს, როცა იგი მონღოლთა მეთაურის წინაშე წარდგა, მაგრამ ვერ შეძლო, მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა. 1289 წელს დემეტრე მეფეს თავი მოჰკვეთეს, რის გამოც ხალხმა თავდადებული შეარქვა. თუმცა ქართველები მონღოლთა მეხარკეებად დარჩნენ და აგრძელებდნენ მათ ჯარში სამსახურს, დროშად ჯვარი მიჰქონდათ ურწმუნოთა ლაშქარში.

## IV. — მონღოლთა ჯარი, რომლის შემადგენლობაში ქართველებიც არიან, წმინდა ადგილებიდან სულთანს დევნის და ქართველები იერუსალიმის მფლობელნი ხდებიან. მონღოლთა ერთი ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა ქრისტიანობის მოსასპობად. გიორგი მეფის გამარჯვება

1299 წელს მონღოლებმა მრავალრიცხოვან ქართველ მეომრებთან ერთად სასტიკად დაამარცხეს ეგვიპტის სულთანი[1] და გაათავისუფლეს წმინდა ადგილები. სიმამაცისათვის ქართველებს ჯილდოდ არგუნეს იერუსალიმი, რომლის პატრონებიც გახდნენ 1300 წელს, მაგრამ მხოლოდ ერთი წლით[2].

იერუსალიმის დაკავების შემდგომ ქართველები წმინდა საფლავის მფლობელნიც გახდნენ, რომელსაც შემდეგაც, გარკვეული დროის განმავლობაში, ერთგულად უვლიდნენ[3].

თითქოს მონღოლთა მიერ საქართველოს გაუთავებელი აოხრება

1 Archives de l'Orient latin, Paris, 1881, ტ. I, გვ. 645, 649.

2 „როცა პლაცენტელმა მეზღვაურებმა ეს მოისმინეს, ზღვის გაღმა ქვეყნებზე მოსმენილი ხმა გაავრცელეს. ცხადია, იმაზე, როგორ გაიმარჯვა ქარზანმა, თათართა მეფემ სომხეთისა და საქართველოს მეფეებთან ერთად სულთანსა და სარკინოზებზე დამასკოსთან და ბაბილონთან, და როგორ დაუბრუნა ქარზანმა სომხეთის მეფეს სარკინოზებისაგან წართმეული, როგორ გადასცა მეფის ძმას სირიის სამეფო, საქართველოს მეფეს — იერუსალიმის სამეფო. ამგვარად, წმინდა მიწის დიდი ნაწილი უკვე ქრისტიანების ხელში გადავიდა ამ წელს (1300) თათართა მეოხებით. ამ დროიდან კვიპროსის მეფე და დანარჩენი ქრისტიანები ერთობ ბაქიბუქობდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი წელი ეპყრათ მიცემული სამეფოები, ვინაიდან სულთანმა ისინი გააძევა". Recueil des Historiens des Gaules et de la France, Paris, 1894, ტ. XXI, გვ. 636. — იხ. Ricoldo de Monte Croce, Relatio, édit. Laurent, გვ. 121 და ა.შ.; Raynaldi, Ann. eccl., ტ. XIV, 1299 წ., № XLIII; S.Antonin, Historiarum in tribus tomis discretarum, Lyon, 1527. III ნაწ., tit. 20, თავი 8, § 8.

3 „იერუსალიმი წმინდა ქალაქი, არავინ იფიქროს, რომ ვინმემ შეძლოს საფლავიდან რაიმეს გატანა, რადგან კოშკებითაა შემორტყმული და დიდი ურდულებით ჩაკეტილი, გასაღებები კი ქართველებსა აქვთ. ისინი საფლავს ისე უვლიან, რომ საფლავის ერთ ნამცეცსაც არ გაცვლიან მრავალ ოქროზე". De Itinere Terre Sancte. Archives de l'Orient latin, ტ. II, გვ. 353.

საკმარისი არ ყოფილიყო, 1301 წელს თურქები მოულოდნელად შემოესივნენ 60000 მეომრითურთ სამცხეში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სადაც მრავლად გაჟლიტეს ქრისტიანები[1].

რამდენიმე ქრისტიანობის მოძულე სარკინოზმა მონღოლთა სუვერენს ჩააგონა, რომ მტერზე ვერ გაიმარჯვებდა და მისი მეფობა წარმატებული არ იქნებოდა, თუ ქრისტიანებს თავიანთ რელიგიას არ მოუშლიდა და ეკლესიებს არ დაუნგრევდა. ამიტომ მონღოლთა სუვერენმა ჯარი გაგზავნა საქართველოში ეკლესიების დასანგრევად. ჯარს მეფე და მოსახლეობა უნდა აეძულებინა, ქრისტიანობას გადადგომოდნენ. თავდასხმას, ვახტანგ III (1301-1307) სულ არ შეუშინებია. თავისი მეომრები ამ დიდებული სიტყვით გაამხნევა:

„კაცნო, ძმანო და ერთ-რჯულნო, და ქრისტეს ღმრთისა ჭეშმარიტად აღმსარებელნო! უწყით სჯული მამათა მიერ, და გასმიეს ქადაგება წმიდათა მოციქულთა, და უწყით ღუაწლნი და ახოვნებანი მოწამეთანი, და გიხილვან თუალითა თქუენითა ტაძარსა შინა მათსა ურიცხუნი სასწაულნი, და გასმიეს სახარებასა შინა უტყუელისა პირისა, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“, და კუალად: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჳრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“. და აწ ნუ შესძრწუნდებით, და წარვიდეთ ყაენს წინაშე, და დავდვათ სული ჩუენი მისთჳს, რომელმან დადვა სული თჳსი ჩუენთჳს. პირველად ჩუენ მივსცნეთ თავნი ჩუენნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნება ღმრთისა, და მან დაიცვას სამწყსო თჳსი“.

ვითარ ესმა სპათა ვახტანგისათა, სიხარულით შეიწყნარეს ბრძანებული მისი, და მყის წარემართნეს ურდოსა, და მივიდეს ყაენს წინაშე. ხოლო ყაენი განკჳრდა მისლვასა მეფისასა, და მივიდეს კარსა ყაენისასა, და მუკლნი დაიდგნეს, და რქუა მეფემან კმითა მაღლითა: „ისმინე, მაღალო და ძლიერო ყაენო, მოვიდა ბრძანება, რათა ყოველთა ქრისტიანეთა დაუტეოთ სჯული ჩუენი. აწ ისმინე: მედნიერთა პაპათა და მამათა თქუენთა ჰმონა და მსახურა პაპამან და მამამან ჩუენმან ამით სჯულითა, და აროდეს გუასმიეს, თუ სჯული ქართველთა ავი არს, არამედ უწარჩინებულეს ვყოფილვართ ყოველთაგან. და სპარსთა სჯული უფროს საძაგლად შეერაცხა პირველთა ყაენთა. ამისთჳსცა იგინი მოსწყუდნეს, რამეთუ იყვნეს მწამლველ და მამათ-მავალ და კაცის-მკვლელ. და აწ თუ სიტყუასა სპარსთასა ისმენ, ყაენო, მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი შენს წინაშე არიან, და მე მზა ვარ სიკუდილად სჯულისათჳს ქრისტეანობისა, და მერმე ესე ყოველნი, შენს წინაშე მყოფნი ქრისტეანენი, აჰა თავნი ჩუენნი წარგუკუეთენ“. და წარუპყრაცა ქედი. და ვითარ ესმა ყაენსა სიტყუა ესე, განკჳრდა და პატივ-სცა მეფესა, და სიტყუთა ტკბილითა აღადგინა, და შეინანა, და ამრალა რომელთა აქმნევინეს“[2].

1 იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 310—311.

2 „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 321-322.

ცოტა ხნის შემდეგ არაბ-ხანი შემოიჭრა საქართველოში მოსახლეობის გასამაჰმადიანებლად. ვახტანგი შეეცადა, მისთვის გული მოელბო, მაგრამ არაბმა ვახტანგი 1307 წელს მოაკვლევინა[1], რადგან ვერ შეძლო მოედრიკა.

მეფე გიორგი V-მ, ბრწყინვალედ წოდებულმა (1318-1346) ისარგებლა საქართველოს დამპყრობლების, სპარსეთის მონღოლთა შესუსტებით და თავისი სამეფო აღადგინა. მან დაამარცხა მონღოლები და სამეფოს საზღვრებიდან განდევნა. გიორგი V-ის ბრწყინვალე მეფობა, მთლიანად გამარჯვებებით აღსავსე, 1346 წელს დასრულდა.

## V. – მისიონერთა მოღვაწეობა. იოანე XXII-ის წერილი. კათოლიკობის აღმავლობა. ქართველი წამებულები. იოანე XXII-ის ბულა თბილისში ლათინური საეპისკოპოსოს დასაფუძნებლად და პირველ ლათინ ეპისკოპოსად იოანე ფლორენციელის დანიშვნა. იოანე XXII-ის მეორე წერილი, გაგზავნილი მეფე გიორგისთან

XIV საუკუნის დამდეგს პაპებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს საქართველოს და არაერთი მისიონერი გაგზავნეს იქ. მეფე გიორგის გამარჯვებამ ურჯულოებზე და მისმა ბედნიერმა მეფობამ პაპი იოანე XXII-ის ყურადღება მიიპყრო და იგი შეეცადა აღედგინა ქართველების კავშირი რომის ეკლესიასთან. მეფეს ვრცელი წერილი მისწერა, რომელშიც რომის ეკლესიის უპირატესობისა და პირველობის დასაბუთების შემდეგ ასეთ აზრს ავითარებს:

„გიორგის, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს და მის თავადებს.

... ყველა აქედან ცხადად ჩანს, რომ ყოველი საჭირო კითხვის განსამარტებლად უნდა მიმართონ ხოლმე პეტრეს საყდარსა, რომელზედაც, არა ჩვენი ღირსების წყალობით, არამედ ღვთიურის მადლის შეწევნით აღვედით. ამიტომ დიდად ვწუხვართ, რა ვხედავთ,რომ ამ დიდებულის გვამის თავისაგან ზოგიერთი ნაწილი ჩამოშორებულია; ესე იგი ვხედავთ, რომ თქვენს ეკლესიას მონაწილეობა არა აქვს თვისი სულიერი თავის ცხოვრებასთან, რადგან მისგან განშორებულა და არ ემორჩილება. ვინაიდგან ღვთის მონათა მსახურნი ვართ, იმ ღვთისა, რომელსაც წარწყმედა არავისი ჰნებავს, ვნატრობთ მოუპოვოთ ყველას საუკუნო ცხოვრება. ამიტომ თქვენა და თქვენს ქვეშევრდომს ერს წყალობის თვალით გიყურებთ, როგორათაც პავლე მოციქული, რომელმაც რა უწყოდა კარგად, რომ ღვთის წინაშე ყველა თანასწორი იყო, მიაგო როგორც უძლურთა, ისე ძლიერთა ყოველივე, რათა ყველანი შეეძინა

1 F. Dubois de Monpereux, Voyage autour du Caucase, ტ. II, გვ.

ღვთისათვის. აწ გევედრებით და უფლის იესო ქრისტეს სახელს გაფიცებთ, რათა რომის წმიდა ეკლესიასთან შემოერთება აღარ დააყოვნოთ; არც ჩასთვალოთ უბრალო რაიმე ჩვენი მოწოდება შემოერთებისა; ეს მოწოდება ამ დღეებში ვყავით ღვთის ჩაგონებით და ჩვენის ძმების რჩევით. იგინი დიდად მონატრულნი არიან და სურთ თქვენი და თქვენის ერის განათლება. თქვენი მოწვევა არა უსაფუძვლოა, არამედ დამყარებული საღმრთო წერილზედ.

უწყოდეთ, რომ სრულებით არ ვეძებთ თქვენს ქონებას, არამედ აზრად გვაქვს მხოლოდ თქვენის სულის ცხონება; არც გვინდა თქვენი ძლიერების დამცირება და თქვენი პატივის აყრა. არამედ ვნატრობთ, რაოდნათაც შეგვიძლია ღვთის მიერ, უფრო აღვამაღლოთ და განვაძლიეროთ თქვენი ძლიერება და პატივი. იესო ქრისტეს შეწევნით ჩვენი სიყვარული თქვენდამი უფრო გაძლიერდება, უკეთუ მოთმინებით და გულმოდგინებით მოუსმინეთ შემოერთების საქმეში ჩვენგან წარმოვლენილ პირებს და შემოუერთდებით კათოლიკე ეკლესიას, თქვენ მთავარნო და წინამძღვარნო ერისანო, რომლებისაგანაც განირჩევით თქვენის სიბრძნითა. მაშინ შეიქმნებით უპირველესი ერი იმ ყველა ტომთა შორის, რომელნიც ქრისტესადმი მოქცევად არიან. უკეთუ თქვენ მოიმიზეზეთ, რომ ეს შემოერთება თვინიერ მსოფლიო კრებისა შეუძლებელიაო, ჩვენც მოგახსენებთ, რომ მზად ვართ მოვახდინოთ ესრეთი კრება,უკეთუ მოითხოვთ თქვენ და თქვენმა ეპისკოპოსებმა; ამის გამო დიდის სიამოვნებით და პატივით მიგიღებთ თქვენ და ყველა თქვენ მიერ წარმოგზავნილ პირებსა, რათა შევუერთოთ ეკლესიას თავისი ნაწილი. მაშინ ამ შეერთების შესრულების დროს გამოვიღებთ ახალს სამოსს, დავკლავთ წამებულ ზვარაკთა, გავუმართავთ მსოფლიო წვეულებას ყველა მორწმუნებსა; ეგრეთვე სიხარულით ვუმახარობლებთ, რომ, ვითარცა ვაზმა ნაყოფიერმა, თავისი უწინდელი მრწყინვალება შეიმოსა კათოლიკე ეკლესიამ, რომლის შვილნი, მსხდომარენი გარემე ტაბლისა და მომლოდინენი ჟამისა, რომ მიეგებნენ თავიანთ მაცხოვარს უფალს იესო ქრისტესა, ემზგავსებიან აყვავებულის ზეთის ხილის შტოსა.

ამიტომ შევაგულიანებთ თქვენს გულმოდგინებასა და გთხოვთ ყოვლის მპყრობელის ღვთისა და იესო ქრისტეს სახელით, რათა სიხარულით მიიღოთ და კარგად მოეპყრათ ამ წერილის მომტანთ, ჩვენს საყვარელ შვილებს, მინორიტების წესის მონაზონთა, რომელნიც არიან სათნონი, გაწვრთნილნი ღვთის სჯულში, გამოცდილნი საქმეში, მიმბაძავნი მაცხოვრის სიმდაბლისა და რომელნიც შეიქმნებიან თქვენთვის დიდად სასარგებლონი. მიიღეთ იგინი ღვთისა და ჩვენი პატივისათვის, ისეთის გულმოდგინებით მოუსმინეთ, თითქო თვით ჩვენგან მოგესმინოსთ და მტკიცედ ირწმუნეთ, რასაც მოგახსენებენ ჩვენ მაგივრად. უკეთუ გვცოდნოდა, რომ თქვენთვის უფრო სათნო საყოფელი იქნებოდა რომელიმე ეპისკოპოსი, ან რომელიმე გავლენიანი უმაღლესი პირი, უეჭველად, მას წარმოგივლინებდით. მაშ, მოილაპარაკეთ მაგათთან მშვიდობიანის ერთობის შესახებ, ეგრეთვე იზრუნეთ ყველაზე მათი საჭიროებისა და წასვლა-მოსვლისათვის, რათა ადვილად შეიძლონ

თათრებთან და სხვა ცდმის ერთან მისვლა. ავინიონით. 15 ოქტომბერს, მღვდელთ-მთავრობის მეექვსე წელსა (1321)“[1].

საბუთების უქონლობის გამო არ ვიცით, როგორ უპასუხეს მეფემ და მისმა მთავრებმა პაპის მოწოდებას. ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ მეფე გიორგი V-ს, განსაკუთრებით თავისი მეფობის დასაწყისში, სრულებით არ ეცალა, რადგან მტრის განდევნაზე, მშვიდობის დამყარებასა და ქვეყნის მოწესრიგებაზე ზრუნავდა. ამიტომ არ შეეძლო ეკლესიათა შეერთების საკითხზე ეფიქრა. მაგრამ, უეჭველია, კათოლიკობას, განსაკუთრებით ამ საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დიდი წარმატება ჰქონდა, ისე დიდი, რომ ბევრი ქართველი არა მარტო კათოლიკე ხდებოდა, არამედ ეზიარებოდა მისიონერთა რელიგიურ ცხოვრებას; მისიონერებთან ერთად დადიოდნენ ურწმუნოთა ქვეყნებში, ქადაგებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას და სისხლს ღვრიდნენ იესო ქრისტესათვის. ვიცით ერთი ქართველის, თბილისელი ძმის, დემეტრეს, გმირული წამების ამბავი, რომელმაც მინორიტების წესი მიიღო და თავის ევროპელ მოყვასებთან ერთად ინდოეთს გაემგზავრა. იგი თანაში აწამეს 1321 წელს[2].

დროს რომ არ მოესპო ძველი ნაწერები, იქ მრავალ ამგვარ ფაქტს ამოვიკითხავდით, მაგრამ კათოლიკობის მნიშვნელოვან წარმატებას საქართველოში მოწმობს იოანე XXII-ის საპატრიარქო დოკუმენტები.

იოანე XXII-მ მას შემდეგ, რაც მისიონერთაგან ზემოხსენებული წარმატების ამბავი შეიტყო, 1328 წელს გააუქმა ბულით „რექს რეგუმ ალტისიმუს“[3] სმირნის საეპისკოპოსო, თურქების მიერ შევიწროებული, და გადაიტანა თბილისში. მომდევნო წელს თბილისი ეპისკოპოსის სატახტო ქალაქად აქცია შემდეგი ბულის საფუძველზე:

---

1 ლათინური ტექსტებისთვის იხ. Io XXII; Reg. Vat. 62, ფურც. 5 V, ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნებულია წიგნში: Raynaldi, ტ. V, 1321 წ. №№VIII, IX, გვ. 154-155; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 29—31 გვ.

2 „1321 წ. აპრილის იდებში დიდებულ წმინდა სულთმოფენობის ამავე წელს (1321) V იდებში აპრილის, მეხუთე დღესასწაულს, ბზობის წინ, ოთხი ცნობილი ზეციის მოწყობნი მცირეთა ორდენიდან — ძმა თომას ტოლენტელი, ...ძმა იაკობ პადუელი... ძმა პეტრე სენელი... და ძმა დემეტრე — საერო პირი, თბილისელი, ეროვნებით ქართველი, მათთა თარჯიმანი, ვინც ბრწყინვალედ იცოდა აღმოსავლური ენები, ეწამნენ ინდოეთის მხარეში... თანაში, მათი დიდებული თავგანწირვა და დიდი ტანჯვა მრავალმა კალამმა შეამკო. აღმოსავლეთიდან გაგზავნილ მეგობრულ ბარათებში თანამოგზაურებმა ფ.იორდანემ, ფრანცისკუს პიზანმა (ორივე მქადაგებელთა ორდენს ეკუთვნოდა) და ფ.პეტრე ტურელმა აღწერეს ეს ამბავი“. Luca Wadding, Annales Minorum, Rome, 1731, ტ. VI, გვ. 353. — იხ. F. De Gubernatis, Orbis Seraphicus. De Missionibus inter infideles, Rome, 1689, ტ. I, გვ. 437-445.

3 Arch. Vat., Io. XXII com. Reg. Vat. 92, № 3114, ფურც. 110.

„... ბევრი ხანი არ არის, რაც დიდის სიხარულით ვსცანით სარწმუნო მოხსენებიდგან, რომ მრავალნი დომინიკიანნი, სავსენი სარწმუნოებრივის გულმოდგინებითა და აგრეთვე კაცთა ცხონების სურვილითა უფროსთა ნება-დართვით წასულან ქართველების სამეფოში, სადაც დიდი ხალხი ცხოვრობს. იმ ქვეყნის უმეტესი ნაწილი დაუვლიათ დიდის შრომით და იქვე უცხოვრიათ რამდენსამე წელიწადს; გულმოდგინებით ღვთის სიტყვა უქადაგებიათ ერისათვის, რომელიც გაუწვრთნიათ სიტკბოებით, რაის გამო ბევრი მათგანი კათოლიკე სარწმუნოებაზედ მოუქცევიათ და ესრეთ შემოუყვანიათ დაუბნელებელს წმიდა სარწმუნოების ნათელში. იმ ადგილის მორწმუნენი დარწმუნებულნი არიან და მტკიცედაც სასოებენ, რომ თუ ზემოხსენებულ მონაზონთა დაუცხრომელად განაგრძეს სახარების ქადაგება იმ ერში, როგორც აქამდე საქებურად იღვწოდენ, უეჭველად უდიდესი რიცხვი იმ ერთა მოიქცეს და მიიღოს კათოლიკე სარწმუნოებაო. თუმცა კი უღირსნი, მაგრამ ნეტარის პეტრეს მოსაყდრე და ამ ქვეყანაზედ ქრისტეს მონაცვლე, დიდად მოხარული ვიქმენით ამდენის ხალხის მოქცევისა და ღმერთს მადლობის მსხვერპლი შევსწირეთ. რადგან ესრეთი სასარგებლო საქმე დიდათ სათნო საყოფელია ღვთისა, ჩვენც ვავედრებთ და ვანიჭებთ მას ყოველ ჩვენს მოციქულებრივ მფარველობას, აგრეთვე გვნებავს მისი წარმატება და აღორძინება. ამიტომ შემდგომ დიდის აწონდაწონისა და ჩვენ ძმებთან ერთად გულმოდგინე მოლაპარაკებისა, აგრეთვე მათი რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით, იმავე სამეფოში მყოფს, განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერ ქალაქს ტფილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად ღვთის საქმად-სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, მცხოვრებთა აწმყო და მომავლის ბედნიერებისათვის და სხვა და სხვა საჩინო მიზეზების გამო, რამაც გადაგვაწყვეტინა ასე მოვქცეულიყავით. აგრეთვე გვნებავს, რომ მომავალშიაც ყოველთვის ეწოდებოდეს ესევე სახელი: ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი. მზგავსადვე ზემოთ ხსენებულ ძმათა რჩევით და ჩვენის უფლებით დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ეკლესია, რომელსაც ვანიჭებთ საეპისკოპოსო ტიტულსა. ღვთის შეწევნით, მალეც მოვუვლენთ ღირსსა და საკუთარ მწყემსსა. ინებოს ზეციერმა სიძემ, რათა თვით წინ უძღოდეს და ჰფარვიდეს იმ ეკლესიას. მაშ არავის შეეძლოს წინააღმდეგად მოექცეს ჩვენ მიერ განწესებულ, მინიჭებულ დადგენილებასა. ავინიონით, ჱ თებერვალს, ჩვენი მღვდელთ-მთავრობის მეთოთხმეტე წელსა (1329)“[1].

პაპამ დაუყოვნებლივ დანიშნა თბილისის ახალი საეპისკოპოსო ცენტრის ეპისკოპოსი. იგი იმ მისიონერთა შორის შეარჩია, ვისაც ადრე საქართველოში ემოღვაწა და იქ მრავალნი მოექცია კათოლიკობაზე. ასეთი პიროვნება აღმოჩნდა დომინიკელი იოანე ფლორენციელი. პაპამ იოანე თბილისის პირველ ღირსეულ ლათინ ეპისკოპოსად მიიჩნია და ეს წერილი აახლა:

1 Arch. vat. Io. XXII, com. Reg. Vat. 94, № 938; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 33-34.

„ჩვენს საყვარელს შვილს, იოანე ფლორენციელს, ტფილისის ეპისკოპოსს. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

დიდის ღონისძიებით ვცდილობთ, ვშრომობთ და ღვთის შემწეობით ვხმარობთ ყოველ საშუალებას დასაკმაყოფილებლად იმ საჭიროებათა, რომელნიც სათანადოდ ხელს შეუწყობენ კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებას, ღვთის სამსახურის გაძლიერებას და ერის ცხონების წარმატებას. უეჭველად მოსალოდნელი და დასაჯერებელია, რომ ეს ყოველივე ადვილად შესრულდეს, როდესაც ეკლესიების მწყემსნი და მმართველნი არიან ნიჭიერნი და მზრუნველნი, ძლიერნი საქმითა და სიტყვითა, ერისათვის სამაგალითონი უმანკო ცხოვრებითა და როდესაც დაუცხრომლად ღვთიური სიტყვის ქადაგებით ამზადებენ და ამტკიცებენ მორწმუნეებს ღვთიური დიდების ცნობაზეც და ცდილობენ, რათა მათდამი მინდობილი ეკლესიანი მწყსონ, უწინამძღვრონ საუკეთესოდ და ჰმართონ სამედნიეროდ. კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, ღვთის სახელის მსახურების წარსამატებლად და სხვა საპატიო მიზეზთა გამო, ამ მოლო დროებში, ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით, ქართველთა სამეფოს შესანიშნავი ქალაქი ტფილისი განვაწესეთ საეპისკოპოსო ქალაქად, თავისივე სახელი შევარჩინეთ და გვნებავს, მომავალშიაც ეწოდებოდეს ესევე სახელი „ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი“. ზემოთ ხსენებულის რჩევით და უფლებით დავადგინეთ, იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ეკლესია, რომელსაც ექნება საეპისკოპოსო ღირსება და ტიტული. იმავე ეკლესიამ რომ თავისი საკუთარის მწყემსის პატივით განიხაროს და განსცხრეს თავის სასიძოს სიტკბოებით, გულ-მოდგინებით განვიზრახეთ იმ კათედრაზედ დავნიშნოთ ღირსეული, შესაფერი და პატიოსანი პირი. ამ საგანზედ ჩვენ ძმებთან კარგად რჩევა-გამოლაპარაკების შემდგომ, ჩვენს ყურადღებას მოგაპყ-რობთ თქვენ, რომელიც ხართ დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონი, განსწავლული საღვთო საგნებში და კარგად მცნობი იმ ქვეყნის გარემოებისა, ვინაიდგან იქ ყოფილხართ და ყველაფერი ზედმიწევნით შეგიტყვიათ; როგორც მოგვითხრეს, თქვენის ქადაგებით იქ მრავალნი მორწმუნენი მოგიქცევიათ და იესო ქრისტესთვის შეგიძენიათ; სხვათა შორის ამ ხარისხს ღირს გყოფსთ თქვენივე გულმოდგინება, წმიდა ცხოვრება, ზნეობრივი მოკრძალულება, საქმეში გამოცდილება და სხვა თქვენი სათნოებანი, როგორათაც სხვებმაც დაგვარწმუნეს. ყოველი გარემოების შეტყობის შემდგომ, ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის უფლებით, გირჩევთ და გნიშნავთ ეპისკოპოსად და მწყემსად ხსენებულის ეკლესიისა და გაძლევთ სიმართლეს განაგოთ იგი თუ სულიერისა და თუ ხორციელის მხრით. დიდად დარწმუნებული ვართ, როგორც აქამდე იმოქმედეთ, ღვთის შემწეობით გააძლიეროთ თქვენდამი მონდობილი ეკლესია და განავრცელოთ თქვენის მეცადინეობითა და შრომით, ეგრეთვე ღვთიურ მცნებაში გასწვრთნათ, ჰმართოთ თქვენის ერთგულებისა და სიფხიზლისათვის მონდობილი სამწყსო, როგორც აქამომდე აღგისრულებიათ თქვენი მოვალეობა იმ ადგილებში თქვენის ქადაგებით. მიიღეთ მაშ უღელი უფლისა, ესოდენ მსუბუქი და ტკბილი მდამალთათვის, ღვთისავე სიყვარულისათვის მოხავლელად, შეიწყნარეთ უფლის სამწყსო, იფხიზლეთ მისთვის ყოვლის გულმოდგინებით და დაიცავით იგი თქვენის ზრუნვით, რათა მტერმა ვერას მხრით შესძლოს

მისი ვნება. უკეთუ ეს ყოველივე ერთგულებით აღასრულეთ და დაიცავით სარწმუნოებაში თქვენზე მინდობილნი ერნი, რა ჟამს მოვალს უფალი და გპოვებს ესრეთ მომქმედს და მცირეზე სარწმუნოს, მაშინ იგი დაგადგენთ უმრავლესზე და შეგიყვანთ შვების სანატრელს სამკვიდრებელში. ავინიონით 7 თებერვალს, მღვდელთ მთავრობის მეთოთხმეტე წელსა (1329)“[1].

პაპმა მაშინვე მისწერა ერთი წერილი ყველა მორწმუნეს, და მეორე — თბილისის ეპარქიის სამღვდელოებას, სადაც მათ მოუწოდებდა, კარგად მიეღოთ ახალი ეპისკოპოსი და მისთვის დაეჯერებინათ[2].

მან აგრეთვე მეორეჯერ მისწერა მეფე გიორგის და ხელახლა შესთავაზა ერთობა. აი, ეს წერილიც:

**„საქართველოს დიდებულ მეფეს, მშვიდობა და მადლი თქვენთან, რათა შემდგომ მოგენიჭოთ საუკუნო ბედნიერება.**

დიდად ვნატრობთ, ზეციერმა მადლმა თავისის სხივით განანათლოს ყველა სიკვდილის შვილნი, რომლებიც ძე ღვთისამ იესო ქრისტემ გამოისყიდა თავისი სისხლით; ვნატრობთ ერის ცხონებას და ვცდილობთ უკუვაქციოთ მანქანება იმ უწინდელი მტრისა, რომელიც არა ცხრება და ცდილობს ადამის ტომს ავნოს; ვცდილობთ, რათა დაიმკვიდრონ საუკუნო ბედნიერების დიდება, რომელსაც კაცთა გონება ვერ მისწვდების და რომელიც განუმზადა თავის მოსავთა მაცხოვარმან ჩვენმან, წყარომ ყოვლის ნიჭისამან. გარნა მარადის ვფიქრობთ და გულმხურვალებით ვევედრებით ღმერთსა, რათა შეამციროს განწვალება ყველა ქრისტიანეთა შორის და მოსპოს მათგან ყველანაირი სიბნელის შეცდომა, რათა სარწმუნოებამ და სიყვარულმა გაიმარჯვოს და მორწმუნეთა გონება აღარ დაუბნელდეს; და ეგრეთვე, რათა მსოფლიო წმიდა კათოლიკე ეკლესია ჭეშმარიტ სარწმუნოებაში დაშთეს მხოლოდის მწყემსის მმართველობის ქვეშ, რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს და ესრეთ ყოველნი მორწმუნენი ბედნიერად ეწიონ საუკუნო ბედნიერებას. ამიტომ თქვენს დიდებულებას გულმოდგინებით ვაუწყებთ, შევაგულიანებთ და ვევედრებით უფლის იესო ქრისტეს სახელით და მისი დათხეულის სისხლის პატივისათვის, რომ მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ამას, რაიცა თქვენს ღირსებას, დიდებას და სახელს მეტად აღამაღლებს, და ეცადოთ თქვენ და თქვენნი ქვეშევრდომნი ერნი შეუერთდეთ იმავე მსოფლიო კათოლიკე ეკლესიას, რომლის გარეშე არც მადლის მოპოვება შეიძლება და არც ცხონება. მაშ, ეცადეთ და თქვენის ერითურთ შემოუერთდით წმიდა რომის ეკლესიას სამარადისოდ და დაურღვეველის ერთობით. მოცემული ავინიონით, 1329“[3].

---

1 Arch. Vat., Io. XXII com. Reg. Vat. 95, № 44; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 35-36.

2 იხ. იქვე, Reg. Vat. 95, № 33.

3 ლათინური ტექსტი იხ. Raynaldi, ტ. V, 1329 წ. № XCV, გვ. 464; იხ მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 38.

არ ვიცით, რა მოჰყვა ამ შემაგულიანებელ წერილს. მეფე მთელი თავისი ხალხით თუ ოფიციალურად არ შეუერთდა რომის ეკლესიას, ყოველ შემთხვევაში, დიდად მფარველობდა კათოლიკური მისიის გავრცელებას, რადგან მისი მეფობის დროს განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ საქართველოში დომინიკელი თუ ფრანცისკელი მისიონერები.

იმ დროის საბუთების უქონლობის გამო არც თბილისის პირველი ლათინი ეპისკოპოსის შესახებ გვაქვს დაწვრილებითი ცნობები, თუმცა საეპისკოპოსო 19 წლის განმავლობაში არსებობდა. მხოლოდ რამდენიმე მწერალმა დაგვიტოვა ორიოდ სიტყვა ამ თავგამოდებული მისიონერის ხანგრძლივი ეპისკოპოსობის შესახებ:

„ყოვლად განათლებულმა იოანე პატრმა, საქართველოში ტფილისის ეპისკოპოსმა, თავისი წესის ძმა-მონაზონებთან ერთად, დაუღალავად იშრომა ქართველების შემოსაერთებლად (გასაკათოლიკებლად)... ამ ერის გასაწვრთნელად კათოლიკე სარწმუნოებაში ბევრი წიგნი თარგმნა ქართულ ენაზე“[1].

შეგვიძლია დავუმატოთ, რომ იოანე პატრის საქმე სულ წინ მიდიოდა, როგორც ამას გვიჩვენებს საბუთები, რომელთაც ქვემოთ გავეცნობით. თავისი ძმობის წევრთა გარდა დომინიკელებზე არანაკლებ თავგამოდებული ბევრი ფრანცისკელი ედგა მას მხარში[2].

## VI. – კლემენტ VI-ის წერილი გაგზავნილი ბერთრანდო კოლეტთან, მის წარსადგენად თბილისის საეპისკოპოსოში. ინოკენტი ბერთრამს ასახელებს თბილისის ეპისკოპოსად. საქართველოს სხვა ეპისკოპოსები

სიკვდილის შემდეგ იგი (იოანე ფლორენციელი) შეცვალა ბერთრანდო კოლეტმა, რომელიც კლემენტ VI-მ დანიშნა ამ წერილით:

**„ჩვენს საყვარელს შვილს ბერთრანდო კოლეტს, ტფილისის ეპისკოპოსს. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.**

თუმცა ღირსნი, მაგრამ დადგენილი ღვთის განგებით მსოფლიო ეკლესიის მმართველად, ვფიქრობთ ქვეყნის ყველა ეკლესიების კეთილ-

1 P. F. Charles de Saint-Vincent, L'anée Dominicaine, Amiens, 1702, გვ. CVII. — იხ. Galanus, Conciliato Ecclesiae Armenae cum Romana, ტ. III, გვ. 527.

2 „იოანე ფლორენციელმა დროულად ისარგებლა თავისი ორდენისა და წმ ფრანცისკის ორდენის ზოგიერთი რელიგიური პირის თანამშრომლობით, რათა მიეზიდ ერთის მხრივ ქართველები, ხოლო მეორეს მხრივ, ურწმუნოები... მთელი თავის ეპისკოპოსობის მანძილზე (19 წლის ასაკიდან ეპისკოპოსი იყო), იგი ერთნაირ შეიყვარეს ქართველებმა და ურწმუნოებმაც, რომლებიც გარს ეხვეოდნენ“. Henrio Storia Universale delle Missioni cattoliche, Turin, 1746, ტ. I, გვ. 125.

დღეობისათვის, რაოდენათაც ღმერთი შეგვაძლებინებს. ხოლო უფრო მომეცემულად ვზრუნავთ იმ ეკლესიებისთვის, რომელთაც საკუთარი მწყემსები დააკლდათ, და სამწუხაროდ, დაქვრივებულან: ვცდილობთ, მათ მწყემსად დაინიშნონ ღირსეული პირნი, რომელთაც სურვილი ჰქონდეთ, იცოდენ და შეეძლოთ მათი კარგად მართვა და შეიქმნენ მათთვის სასარგებლონი. ამ უკანასკნელ დროებში სარწმუნო მოხსენე-ბიდგან ვცანით, რომ ტფილისის ეკლესიას დააკლდა მწყემსი სიკვდილის გამო ნეტარხსენებულის იოანე ტფილელი ეპისკოპოსისა, რომელიც გარდაიცვალა რომს გარეთ. გამსჭვალულნი მამობრივის გრძნობით, არ ვინებებთ, რათა ის ეკლესია დიდხანს დარჩეს უმწყემსოდ, არამედ ვნატრობთ დაუდგინოთ ტფილისის ეკლესიას ერთი მწყემსი, რომელმაც იცოდეს, უნდოდეს და შეიძლოს მისი დაფარვა მტერთაგან და ყველა მისი უფლების დაცვა და წარმატება. ამიტომ, ჩვენ ძმებთან ერთად ჯეროვანის გამოძიების შემდგომ, ჩვენს ყურადღებას მოგაპყრობთ თქვენ, დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონს, განსწავლულს, ცხოვრებით და ზნეობით პატიოსანს, სასულიერო საგნებში გამოცდილს და საქვეყნო საქმეებში ბრძენს და ეგრეთვე შემკობილს სხვა სათნოებით, როგორათაც დაგვარწმუნეს სარწმუნო პირებმა. შემდგომ ყველაფრის გამოკითხვისა, ძმათა ჩვენთა რჩევით და ჩვენის მოციქულებრივი სრულის ხელმწიფებით გირჩევთ ტფილისის ეკლესიისათვის, რადგან სათნოსაყოფელი ხართ. ამიტომ გნიშნავთ იმ ეკლესიის მწყემსად და ეპისკოპოსად და ერთიან გაბარებთ მის ყველა მმართველობას, როგორც სასულიეროს, ისე სახორციელოს. იმედი გვაქვს, ტფილისის ეკლესია წარმართოთ სასარგებლოდ და ბედნიერად თქვენის ერთგულის მზრუნველობით და შემწეობითა ღვთისათა, რომლისაგან მომდინარეობს ყოველი ნიჭი. მაშ, მიიღეთ პატივით უფლის უღელი, რომელიც გებლევათ და სიმდაბლით მოუდრიკეთ ქედი მის ტკბილ ტვირთსა; მოუარეთ გულმოდგინებით ტფილისის ეკლესიას, გასწრთვენით უფლის სამწყსო, თქვენს მზრუნ-ველობაზე დავედრებული, და შეამკეთ იგი თქვენის სიტყვისა და საქმის სწავლებით. იმედია, ტფილისის ეკლესიამ განიხაროს, რომ ჩაჰბარდა ფრთხილ მწყემსს და ერთგულს მმართველს; თქვენი სახელიც განითქვას ყველგან და, გარდა საუკუნო სასყიდლისა, ჩვენგანაც მიიღოთ უხვი კურთხევა და დაიმსახუროთ სამოციქულო საყდრის პატივიც. 9 იანვარს, ავინიონით მოცემული, მღვდელთ მთავრობის მეშვიდე წელსა (1349)“[1].

მოგვეპოვება ამავე პაპის მიერ ერთდროულად გაგზავნილი კიდევ ოთხი წერილი, ერთი თბილისის კათედრალური ტაძრის კაპიტულთან, მეორე სამღვდელოებასთან, მესამე ხალხთან და მეოთხე ამ ეკლესიის მრევლთან. ეს საბუთები გვიჩვენებს, დროის მცირე მონაკვეთში რა ფართოდ და სწრაფად გავრცელდა კათოლიკური რწმენა საქართვე-

1 Arch. Vat., Clem. VI com. Reg. Vat. 188, № 171, ფურც. 105. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 39—40.

ლიში, როცა აქ მშვიდობა სუფევდა მამაცი გიორგი V-ის მეფობის ხანაში.

უფრო გვიან ეპისკოპოსი ბერთრანდო ამპურიაში გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა ბერთრამი ინოკენტ VI-ის ამ წერილით:

„**პატივცემულ ძმას ბერთრამოს, ტფილისის ეპისკოპოსს,** მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. მწყემსებრივი მოვალეობა, რომელიც ღვთის განგებით მივიღეთ, გვაიძულებს გულმოდგინებით ვიფიქროთ ქვეყნის ყველა ეკლესიებისათვის, რომელთათვის მსოფლიო ზრუნვა მონდობილი გვაქვს და მეტადრე იმ ეკლესიებისათვის, რომელთაც აღარ ჰყავთ მწყემსი, რათა მათზე მწყემსად დადგენილ იქმნენ ერთგულნი პირნი, რომელთაც შეეძლოთ და იცოდნენ მათი საუკეთესოდ მართვა სასულიეროს, თუ სახორციელოს მხრით. ამ უკანასკნელ დროში ტფილისის ეკლესიას მოაკლდა მწყემსი, რადგან ჩვენის ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით პატივცემული ჩვენი ძმა ბერთრანდო გავათავისუფლეთ იმ მოვალეობისაგან, რომელიც აკავშირებდა ტფილისის ეკლესიასთან, როგორც მის ეპისკოპოსს სამოციქულო საყდრის ბრძანებით დადგენილსა; მასთანვე საჭიროდ შევრაცხეთ და გადავიყვანეთ იგი ამპურიენის ეკლესიის ეპისკოპოსად, რადგან იმ ეკლესიას აღარ ჰყავდა საკუთარი ეპისკოპოსი. ხანამ ტფილისის ეკლესიას მოაკლდებოდა მწყემსი, საჭიროდ დავინახეთ და წინათვე დავადგინეთ, როდესაც მოაკლდებოდა, ჩვენს გარდა იქ არავის დაენიშნა მწყემსი; მსგავსათვე ვჰყავით სხვა კათედრალთათვის და განვაწესეთ,რომ უჯერო ყოფილიყო, უკეთუ ვინმე, რაგინდ შეძლების მქონე პირიც ყოფილიყო იგი, ამის შესახებ რასმე დაადგენდა ცნობით, ანუ უმეცრებით. ჩვენი მამობრივი მზრუნველობა იძულებულ გვყოფს, დიდ ხანს არ დავტოვოთ ტფილისის ეკლესია მწუხარე და მწყემსს მოკლებული. შემდგომ ჩვენ ძმებთან კარგად მოლაპარაკებისა და გამოძიებისა ტფილისის ეკლესიისათვის კარგისა და სასარგებლო პირის დანიშვნის შესახებ, ჩვენი ყურადღება მოგაქციეთ თქვენ, დომინიკიანების წესის მღვდელ-მონაზონს, გამსჭვალულს სარწმუნოების წადიერებით, მეცნიერებაში განსწავლულს, სასულიერო საგნებში ცხოვრებით პატიოსანს, სახორციელო საქმეებში შორსმჭვრეტელს და შემკულს სხვა ღირსებათა და სათნოებათა მიერ, როგორათაც დაგვარწმუნეს. შემდგომ ყველაფრის კარგად გამოძიებისა და დაფიქრებისა, აგრეთვე ჩვენი ძმების რჩევით და ჩვენის მოციქულებრივის სრულის უფლებით დაგნიშნეთ და გაგამწესეთ ტფილისის ეკლესიის ეპისკოპოსად და მწყემსად და გამარებთ იმავე ეკლესიის სრულ მმართველობის უფლებას, როგორც სასულიერო, ისე სახორციელო საქმეებში. მასთანვე დავადგინეთ, ჩვენმა პატივცემულმა ძმამ გვიდონმა პორტუენსის ეპისკოპოსმა გცხოთ ეპისკოპოსად რომში. ვსასოებთ უფლისადმი, რომელიც თავის მოსავთ ანიჭებს ყოველ მადლსა და სასყიდელს, იმავე ტფილისის ეკლესიას თქვენის ფხიზლის მეცადინეობით, წინამძღვრობით, აგრეთვე თქვენის კეთილის მმართველობით გაუძღვეთ სასარგებლოდ და ნაყოფიერად ღვთის შეწევნით, რაის გამო ამ მოციქულებრივის წერილით გიბრძანებთ, ჩვენის ლოცვა-კურთხევით წახვიდეთ ხსენებულ ტფილისის ეკლესიაში, იკისროთ მისთვის ზრუნვა, მართოთ გულმოდგინებით, მორწმუნებით და სიბრძნით, რათა

ტფილისის ეკლესიამ განიხაროს, რომ ჩაჰბარდა იგი წინდახედულ მმართველს და ერთგულ მოღვაწეს. ასეთის მოქცევით, გარდა საუკუნო სასყიდლისა, ღირსი გახდებით ჩვენი უხვი პატივისცემისაც. ბოძებულია ავინიონის ეპარქიაში 12 აპრილს, ჩვენი მღვდელთ მთავრობის მეოთხე წელსა (1356)"[1].

ამ პაპის მიერ კაპიტულისათვის, სამღვდელოებისა და თბილისის ეპარქიისათვის მიწერილი წერილები მიზნად ისახავს მათთვის ახალი ეპისკოპოსის წარდგენას.

დასავლეთის დიდი სქიზმის (1378-1449) დამღუპველი შედეგები საქართველომაც იგრძნო. ეპისკოპოსი ბერთრამი, რომელიც რომის პაპს, ურბან VI-ს მიემხრო, ავინიონის პაპმა კლემენტ VII-მ გადააყენა და შეცვალა თავისი მომხრით, წმ. ფრანცისკის წესის მონაზვნით ანრი რაპზით[2]. მაგრამ უფრო გვიან ბერთრამი ისევ განამწესეს ეპისკოპოსად თბილისში, სადაც გარდაიცვალა 1391 წელს. ამავე წელს ბონიფაციუს IX-მ თბილისის ეპისკოპოსად დომინიკელი ლეონარდო დე ვილიაკი დანიშნა[3].

დე ვილიაკის შემდეგ თბილისის ეპისკოპოსად იყო ვინმე იოანე, ოღონდ არ ვიცით მისი დანიშვნის თარიღი. მარტინ V-მ 1425 წელს იოანეს საყდარი სან-მიშელელ დომინიკელ იოანეს გადააბარა[4]. ნიკოლოზ V-მ 1450 წელს თბილისის ეპისკოპოსად დანიშნა სხვა დომინიკელი, ალექსანდრე; პიუს II-მ 1462 წელს ამ საყდრის ღირსეულ მემკვიდრედ წამოაყენა ვინმე ანრი ვონსტი, ფრანცისკელი. პაპმა პავლე II-მ 1469 წლის 10 ივლისს ეპისკოპოსად დანიშნა ავგუსტინელი იოანე იმინკი[5]. ალექსანდრე VI-მ 1493 წელს გარდაცვლილი იოანეს ადგილას დანიშნა ფრანცისკელი ალბერ ანჟელი, რომელიც 1507 წლის 29 აპრილს შეცვალა ასევე ფრანცისკელმა, დორტმუნდელმა იოანე შნაიდერმა[6]. ამ საბუთების გარდა არაფერი მოგვეპოვება თბილისში თოთხმეტი ეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ. ამიტომ არა ვიცით რა იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება შეძლეს მათ საქართველოში კათოლიკური ეკლესიის საკეთილდღეოდ.

საქართველოში მიმდინარე გაუთავებელი ომების გამო ლათინი ეპისკოპოსები ვეღარ მოღვაწეობდნენ თბილისში. ამგვარად ეპისკოპოსი

---

1 Arch. Vat., Inn. VI com. Reg. Av. 134, ფურც. 61 v-62; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 42-43.

2 Arch. Vat., Clem. VII com. Reg. Av. 228, ფურც. 39.

3 იქვე. Reg. Lat. Bonif. IX, II წ. წიგნი 17, ფურც. 168.

4 Arch. Vat., Reg. Lat. Mart. V, წიგნი 22, ფურც. 207.

5 იხ. Fontana, Sacrum Theatrum Dominicanum, Rome, 1666, ტ. II, გვ. 305; Arch. Vat., Obligationes, ტ. 83, ფურც. 13.

6 Arch. Vat., Reg. Lat. Alex. VI, I წ., წიგნი I, ფურც 213. იხ. C. Eubel, Hierarchia Catholica Medii Aevi, Ratisbonne, 1898, ტ. I, გვ. 501-502; ტ. II, 1901. გვ. 274.

იქცა მხოლოდ ტიტულად; შემდგომ ეს ხარისხი აამაღლეს და აქციეს არქიეპისკოპოსის წოდებად[1]. უნდა ითქვას, რომ პაპებს ამ ორი საუკუნის მანძილზე საქართველოში მისიონერთა გაგზავნა არ შეუწყვეტიათ[2].

ჩვენ მიერ მოკლედ მიმოხილულ ამ ეპოქაში (1300-დან 1439 წლამდე) არაფერი ვიცით ქართული ეკლესიის შესახებ, თუმცა იგი მეტად საკეთილო გამოდგა კათოლიკური მისიისათვის. „ქართლის ცხოვრებაში" მხოლოდ ორიოდ სიტყვით არის მოთხრობილი, როგორ შეკრიბა გიორგი V ბრწყინვალემ კათალიკოსები და ეპისკოპოსები, რომელთაც სამღვდელოებისა და საეკლესიო წესების რეფორმა მოახდინეს. როცა მორწმუნენი თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ, აღიკვეთა უწესრიგობა, რაც ალბათ ურჯულოთა ბატონობას მოჰყვა[3].

## VII. — თემურლენგის მიერ საქართველოს გაპარტახება. ქვეყნის აღდგენა

მშვიდობიანობამ, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს მეფობის შემდეგ სუფევდა მის ქვეყანასა და ეკლესიაში, დიდხანს როდი გასტანა. გიორგი V-ის სიკვდილის შემდეგ მტრებმა საქართველოს დაპყრობა დაიწყეს და მისმა მემკვიდრეებმა ხან შეძლეს და ხან ვერა მტერთან გამკლავება. მალე საქართველოს ქრისტიანობის ყველაზე თავგამოდებული და საშიში მტერი, დიდი თათარი დამპყრობელი თემურლენგი (1336-1405) მოადგა და ბევრჯერ დაატეხა მას არნახული უბედურება[4]. "ქართლის ცხოვრება" აღწერს ამ ახალი ულისაგან ნაწვნევ ჭირ-ვარამს. მოვიყვანთ რამდენიმე ეპიზოდს:

(თემურმა) „გარემოელო თრიალეთი და სამარათიანო, საშინელებითა და ზარითა დიდითა, ქორონიკონ ქრისტეს აქეთ ჩ~ტჟგ (1393)[5].
რამეთუ ვის ძალ-ედვა წინააღმდგომაჲ მისა? რამეთუ ჰყვა მანაჲ

1 Moroni, Dizionario di erudizione ecclesiastica, Venise, ტ. LXXV, 1860, გვ. 179.

2 იხ. Arch. Vat., Reg. Vat. 250, ფურც. 154; L. Wadding, Annales Minorum, ტ. VIII, გვ. 213, 230; ტ. XI, გვ. 97; ტ. XII, გვ. 143.

3 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 648-649. იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 323-324.

4 La Vie de Timour Leng, par Cherif—ed—Din, თარგმნილი პეტი დე ლა კრუას მიერ. Paris, 1722, სავსეა ამ საშინელი დამპყრობლის მიერ საქართველოში ჩადენილი არნახული დაუნდობლობის ამსახველი დეტალებით. ამ სევდიან თემაზე იხ. ასევე Biographie universelle Michaud, ტ. XVII, გვ. 143-144 და ტ. XLIV, გვ. 459—486.

5 თემურლენგმა პირველად აათხრა საქართველო 1386 წელს.

და სიმრავლე სპათა ურიცხჳ, რომელსა ვერ იტევდენ მთანი და ველნი და ყოველნივე არენი და სანახებ(ნ)ი საქართველოსანი, და მოსრნა ყოველივე თრიალეთი, სამარათიანო, და გარემონი, მკჳდრნი მათ ადგილთანი წარმოსტყუენნა, და შემუსრნა ყოველნივე სიმაგრენი, ციხენი და გოდოლნი. და არა დაშთა დაბანი, რომელნი სრულიად არა აღაოჴრნა.

რამეთუ არაოდეს მოწევნულ არს ჭირი ესევითარი საქართველოსა ზედა, რომელი მან მოაწია.

მაშინ სცნა რა საქმე ესე მეფემან ბაგრატ, მწუხარე იქმნა ფრიად, და ეძიებდა ღონესა რასამე საქმისასა, რამეთუ ვერ ძალ-ედვა წინააღდგომა მისი. ხოლო შევიდა ციხესა ტფილისისასა.

მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა სამწევრისს. და ოდეს ესმა მოსლვა ტფილისს თემურისა, მაშინ აღიყარა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით.

მაშინ ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა მეხუშისასა დედაწულითა და ჯოგითა, და თანა ჰყვა კათალიკოზი ელიოზ ყოვლითა საყდრის შვილითურთ, და ხიზნითა და ჯოგითა და ცხვრითა, და გამაგრდა მას შინა.

და ვითარცა ესმა საქმე ესე ლანგ-თემურს, წინააღდგომა და სიმაგრე, ეგრეთ ჰგონებდა თჳთ მისლვასა და მორჩილებასა მეფისა ბაგრატისასა, ვითარცა მორჩილ ექმნა ათაბაგი და სხუანიცა მრავალნი. მაშინ ფრიად განრისხნა მძლავრი იგი ზუავი და ამპარტავანი. მივიდა და გარე მოადგა ციხესა ტფილისისასა, და უბრძანა სპასპეტთა და სპასალართა თჳსთა ყოველთავე ბრძოლა ძლიერი, და განწირვა თავთა მათთა.

ხოლო რომელნიმე დიდებულნი თავადნი ქართლისანი არა იყვნენ ციხესა მას შინა მეფისა ბაგრატის თანა, არამედ წარსულ იყვნეს თჳს-თჳსად სახიზარსა და სიმაგრესა შინა, და რომელნიმე თანა ჰყვეს რჩეულნი ჭაბუკნი, რომელნი სამარადისოდ თანა ჰყვებოდეს მეფესა.

ხოლო მოიცვა მძლავრმან ლანგ-თემურ სრულიად გარემონი ტფილისისანი, და უბრძანა სიმრავლესა მანაკთა თჳსთასა აღება ციხისა და შემუსრვა ზღუდეთა ციხისათა.

მაშინ მეფემან ბაგრატ (1360–1395) დიდად მინდობილმან და მსასოებელმან მოწყალებათა ღმრთისათამან, განიგულა წინაგანწყობა მათი, მეტყუელმან ესრეთ: „ფრიად უმჯობეს არს და სანატრელ სიკუდილი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, ვიდრეღა-რა მორჩილებასა და იძულებით შეპყრობასა მძლავრისა მის მიერ“. და ესრეთ შეიჭურა ჯაჭუ-ჭური ქრისტეს სარწმუნოებისა, და გამოვიდა შემთხუევად და ბრძოლად ლანგთემურისა.

ესე აღიფარეს და მიეტევნეს ციხესა მას ტფილისისასა. და ესრეთ მძლავრებით შემუსრეს და აღიღეს ციხე იგი, და იავარ ჰყვეს სრულიად შინაგან მყოფნი ციხესა მას შინა: და რომელნიმე მოსრნეს, და რომელნიმე ტყუე ყვეს.

მაშინ შეიპყრეს თჳთ მეფე ბაგრატ და დედოფალი ანნა, და მის თანა მყოფნი ქართველნი ყოველნივე. და განიხარა ლანგ-თემურ შეპყრობისა მისისათჳს, და პყრობილ ჰყო მეფე ბაგრატ. და სრულიად

მის თანა მყოფნი ქართველნიცა. და თჳთ დაიპყრა ციხე, და შეაყენნა მას შინა სპანი თჳსნი. ხოლო აიძულა მეფესა ბაგრატს სჯული მაჰმადისა ლანგ-თემურ, და აღუთქმიდა ნიჭთა დიდთა, და პატივსა ძმებრივსა, და კუალადვე მინიჭებასა სამეფოსა თჳსისასა. ლიქნითა სიტყუათათა მქონე იყო პყრობად სჯულისა მისისა, და არა მორჩილ იქმნა ყოვლადვე, რამეთუ მტკიცე იყო სარწმუნოებასა თჳსსა ზედა მეფე ბაგრატ“.

„დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძვლადმდე მისა (ეუბნებოდა თემური თავის ჯარისკაცებსა და სარდალს). ხოლო მხცოვანთა მამათა და დედათა, და უფროსღა სამღდელოთაგან რომელნიცა შეიპყრან, მოსრან ყოველნივე პირითა მახჳლისათა, და სხუანი წარტყუენნონ და ტყუე ჰყონ, და მოწჳან ცეცხლითა წმიდანი ეკლესიანი, და ყოველნივე დაბანი და შენობანი ქართლისანი“.

„...1393 წ... მიიწივნეს ქუაბთაკევს, და იგიცა მოიცვეს და წარმოსტყუენეს. და ყვეს მრავალი ბოროტი გარეშე წმიდისა ეკლესიისა, და ინებეს წმიდისა მის ეკლესიისა ცეცხლითა დაწვა და დარღუევა, რამეთუ შინაგან ტაძრისა მის შელტოლვილ იყვნეს ყოველნივე მუნ მყოფნი, წმიდანი მღდელნი, დიაკონნი და ფირჩოსანნი, მღდელ-მონაზონნი, გლახაკნი და უღონონი დავრდომილნი, და დედანი მონაზონნი, რომელნი მდგომ იყვნეს აზნაურთა და თავადთა ასულნი და დედანი.

ხოლო ესე ყოველნივე მონაზონნი გამოიყვანნა და შეახსნა სამეჩანგო შესახსმელნი, და დაჰკიდნა ექუანნი და ზარნი და ფერჴისა დაამბევინა, ათამაშა და ამღერა. და ერთმან ვინმე მონაზონმა აღმოთქუა: „ვაჲ ჩუენს დედაბრობასა, ეს რა გუექღარუნებიან“. ამისა შემდგომად რომელნიცა ინებეს, წარიყვანეს, და რომელთა არა დაუტევეს სჯული ქრისტესი და ურჩ იქმნენ მათ და გლახაკნი და დავრდომილნი რომელნიცა იყვნეს, მათ ყოველთა შეუკრნეს ჴელნი და ფერჴნი, და დააწყვეს საშუალ ეკლესიისა, რამეთუ იყო ჴმა მათი ვაებისა და ოჴრებისა, ვითარცა ქუხილი ცისა. ხოლო მათ ყოველთა, უკეთურებითა აღსავსეთა, აღაგზნეს შიგან და გარეშე ტაძრისა მის აღატყინეს ცეცხლი მძლავრი, და დაწჳეს ტაძარი იგი ქუაბთაკევისა ღმრთისმშობელისა, და მას შინა მყოფნი“[1].

ზემოთ მოყვანილი ამბის მიხედვით, ამ ბრძოლებში თემურს ყოველთვის ამოძრავებდა მაჰმადის რჯულის გავრცელების სურვილი. ამიტომ ყოველნაირად ტანჯავდა მათ, ვინც უარს არ ამბობდა ქრისტიანობაზე. უთვალავი ტანჯვა-წამება გადაატანინა ტირანმა საქართველოსა და მის მცხოვრებლებს. სიკვდილს რომ არ მოეღო ბოლო თემურლენგისა და მისი უსამართლობისათვის, იგი მთლად დაანგრევდა, ან ქრისტიანობაზე უარს ათქმევინებდა მთელ საქართველოს. ბოლოს, თემურლენგის სიკვდილის შემდეგ, ქვეყნად სიცოცხლე აღდგა. მცხოვრებლებმა, რომლებიც ტირანს გადაურჩნენ, მიატოვეს ღრმა გამოქვაბულები, ციცაბო კლდეები, მიუწვდომელი ადგილები,

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 652-657. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II. გვ. 449—450, 451; 452-453.

სადაც თავი ჰქონდათ შეფარებული, და სამშობლოს ჭრილობების მოშუშებას შეუდგნენ. სწორედ ამ საერთო გაპარტახების პერიოდში ავიდა ტახტზე ალექსანდრე I (1413-1442). ალექსანდრემ მას შემდეგ, რაც თავისი ხალხი დააშოშმინა და დააიმედა, რომ მშვიდობა იქნებოდა ქვეყნად, ხელი მოჰკიდა არა მარტო ეკლესიების,არამედ მთელი ქვეყნის აღდგენას. „ქართლის ცხოვრებამ" იგი კეთილი სიტყვით მოიხსენა. აი, რას ამბობს მატიანე ალექსანდრეზე:

„ⴃⴀ ⴀⴋⴀⴌ ⴋⴄⴔⴄⴋⴀⴌ ⴂⴀⴐⴃⴀⴋⴀⴒⴀ ⴑⴞⴓⴀⴇⴀ ⴋⴄⴔⴄⴇⴀ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍⴑⴀⴇⴀ. ⴃⴀ ⴈⴗⴍ ⴉⴀⴚⴈ ⴑⴀⴞⴈⴄⴐⴈ ⴃⴀ ⴑⴜⴀⴅⴊⴓⴊⴈ ⴗⴍⴅⴊⴈⴑⴀⴅⴄ ⴑⴀⴖⴋⴐⴇⴍⴑⴀ ⴃⴀ ⴑⴀⴄⴐⴍⴑⴀ ⴆⴌⴄⴍⴁⴈⴇⴀ ⴀⴖⴑⴀⴅⴑⴄ. ⴃⴀ ⴂⴓⴊⴈ ⴓⴇⴕⴋⴈⴃⴀ ⴉⴓⴀⴊⴀⴃⴂⴄⴁⴀⴃ ⴎⴈⴐⴅⴄⴊⴑⴀⴅⴄ ⴑⴀⴆⴍⴋⴑⴀ ⴆⴄⴃⴀ ⴋⴍⴗⴅⴀⴌⴄⴁⴀⴃ ⴜⴋⴈⴃⴀⴇⴀ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀⴇⴀⴇⴣⴑ ⴃⴀ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍⴑⴀ. ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴈⴗⴍ ⴋⴀⴘⴈⴌ ⴗⴍⴅⴄⴊⴈ ⴄⴑⴄ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍ ⴓⴑⴟⴓⴊⴍⴑⴀ ⴇⴄⴋⴓⴐⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴓⴌⴓⴂⴄⴘⴈⴌⴈⴑⴚⴄⴋⴍⴃ ⴂⴀⴌⴑⴐⴓⴊⴈ, ⴃⴀ ⴑⴐⴓⴊⴈⴀⴃ ⴀⴍⴤⴐⴄⴁⴓⴊⴈ ⴃⴄⴃⴀ-ⴕⴀⴊⴀⴕⴈ ⴋⴚⴞⴄⴇⴀ ⴃⴀ ⴃⴈⴃⴈ ⴜⴋⴈⴃⴀ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀ, ⴃⴀ ⴄⴂⴐⴄⴇⴅⴄ ⴗⴍⴅⴄⴊⴌⴈⴅⴄ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴀⴌⴈ, ⴑⴀⴗⴃⴀⴐⴌⴈ ⴃⴀ ⴚⴈⴞⴄⴌⴈ ⴗⴍⴅⴄⴊⴌⴈⴅⴄ ⴑⴐⴓⴊⴈⴀⴃ ⴑⴀⴔⴓⴛⴅⴊⴈⴇⴓⴐⴇ ⴃⴀⴄⴕⴚⴈⴀ ⴃⴀ ⴋⴍⴄⴍⴤⴐⴄⴁⴈⴌⴀ, ⴃⴀ ⴗⴍⴅⴄⴊⴌⴈ ⴑⴓⴊⴌⴈ ⴕⴐⴈⴑⴒⴄⴀⴌⴄⴌⴈ ⴃⴄⴃⴀⴜⴓⴊⴈⴇⴓⴐⴇ ⴒⴗⴓⴄ ⴄⴕⴋⴌⴀ. ⴄⴑⴄ ⴈⴀⴅⴀⴐ-ⴌⴀⴕⴋⴀⴐ ⴕⴀⴐⴇⴊⴆⴄ ⴋⴄⴔⴄ ⴈⴕⴋⴌⴀ.

ⴀⴋⴈⴑ ⴋⴄⴔⴍⴁⴀⴋⴃⴄ ⴋⴓⴃⴀⴋⴈ ⴒⴗⴓⴄⴌⴅⴀ, ⴐⴁⴄⴅⴀ ⴃⴀ ⴋⴍⴍⴤⴐⴄⴁⴀ ⴠⴕⴍⴌⴃⴀ ⴕⴓⴄⴗⴀⴌⴀⴑⴀ ⴙⴓⴄⴌⴑⴀ, ⴐⴍⴋⴄⴊ ⴕⴀⴐⴇⴊⴈ ⴃⴈⴃⴀⴃ ⴘⴄⴋⴚⴈⴐⴄⴁⴓⴊ ⴈⴗⴍ ⴋⴐⴀⴅⴊⴈⴑ ⴒⴗⴓⴄⴌⴅⴈⴑⴀ ⴃⴀ ⴐⴁⴄⴅⴈⴑⴀⴂⴀⴌ, ⴃⴀ ⴀⴐⴀ ⴑⴀⴃⴀⴇ ⴀⴖⴓⴙⴌⴃⴀⴇ ⴌⴓⴂⴄⴘⴈⴌⴈⴑⴋⴚⴄⴋⴄⴊⴌⴈ, ⴅⴈⴃⴐⴄⴋⴃⴈⴑ ⴀⴐⴀ ⴋⴄⴔⴄ ⴈⴕⴋⴌⴀ ⴃⴈⴃⴈ ⴀⴊⴄⴕⴑⴀⴌⴃⴐⴄ. ⴀⴋⴀⴌ ⴈⴜⴗⴍ ⴁⴐⴛⴍⴊⴀ ⴓⴑⴟⴓⴊⴍⴇⴀ ⴋⴀⴇ, ⴃⴀ ⴋⴐⴀⴅⴊⴈⴑⴀ ⴁⴐⴛⴍⴊⴈⴇⴀ ⴃⴀ ⴆⴄⴂⴀⴐⴃⴋⴍ ⴘⴄⴋⴜⴄⴍⴁⴈⴇⴀ ⴂⴀⴌⴀⴑⴞⴌⴀ ⴗⴍⴅⴄⴊⴌⴈ ⴓⴑⴟⴓⴊⴍⴌⴈ ⴑⴀⴆⴖⴅⴀⴐⴇⴀⴂⴀⴌ ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍⴑⴀⴇⴀ"[1].

მართლაც, მოგვეპოვება მრავალი სიგელ-გუჯარი და წარწერა, რომლებიც მეფე ალექსანდრეს კეთილ საქმეებს გვაუწყებენ. ბედნიერი მეფობის შემდეგ ალექსანდრემ სამეფო თავის შვილებს დაუტოვა და ბერად აღიკვეცა ათანასეს სახელით.

## VIII. – კალიქსტო III-ის მიერ ქართველი ხალხისათვის მიწერილი წერილი. ნუნციუს ლუი ბოლონიელის მიერ აღმოსავლეთის ელჩების წაყვანა რომში პაპათან თურქების წინააღმდეგ კავშირის დასამყარებლად. ქართველი მთავრის წერილი, გაგზავნილი ბურგუნდიის ჰერცოგთან.

კათოლიკობა ყოველგვარი არეულობის დროსაც კი არსებობდა საქართველოში, ხოლო მშვიდობიან დროს დიდი წარმატება ჰქონდა[2].

1 Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. I, გვ. 679. იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 473.

2 ქართველების მონაწილეობა მიიღეს ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, თუმცა არ არის ცნობილი მოაწერეს თუ არა ხელი ერთობის დეკრეტს. მსოფლიო საეკლესიო კრების მემატიანე ამ აზრის შესახებ არაფერს ამბობს გარდა ამისა:

ამას მოწმობს კლემენტ III-ის მიერ ამ ქვეყნის მორწმუნეთათვის გაგზავნილი შემდეგი წერილი:

**„ჩვენს საყვარელ შვილთ, ყოველ ქრისტიანე მორწმუნეთ, რომლებიც ფრანგებად იწოდებიან და რომლებიც სპარსეთსა[2] და საქართველოში ცხოვრობენ. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.**

დამრწმუნდა რა ჩვენი საყვარელი შვილი. წმ. ფრანცისკეს წესისა მონაზონი ლუდოვიკე, რომელიც გასულ წელს თქვენთან იყო ჩვენ ნუნციოდ, მოგვახსენა, რომ რიცხვით მრავალი ერი აღიარებთ ქრისტიანე-კათოლიკე სარწმუნოებას. დიდად ერთგული ხართ სამოციქულო საყდრისა, რომელზედაც უღირსნი დადგენილ ვართ, და იცავთ კათოლიკე ყველა წესებს, როგორათაც გვაუწყეს ზემოხსენებული წესის მონაზონთა. ასე, რომ სრულიად მისდევთ რომის ეკლესიის დავედრებასა და ჩვეულებას. ამის მოსმენაზედ სიხარულით აღვივსენით და მადლობა შევსწირეთ ღმერთსა, რომლის წყალობითაც ეგოდენ მარმართსთა და ურწმუნოთა სიმრავლით გარემოცულთა, სცანით გზა ჭეშმარიტებისა და საუკუნო ცხოვრებისა და მტკიცედ მისდევთ. ჩვენმა ნუნციომ მოგვახსენა კვალად ერთი თქვენი სათხოვარი, სახელდობრ: თხოულობთ, თქვენს უფროსად და წინამძღვრად ვისაც თქვენ აირჩევთ ჩვენთაგანს (ევროპელს) ანუ თქვენთაგანს (მანდაურს), დავამტკიცოთ იგი. სიამოვნებით თანხმობას გიცხადებთ, იმ პირობით კი, არჩეული პირი პატიოსანი, მეცნიერებასა, წესებსა და ქრისტიანურს ზნეობაში კარგად გაწვრთნილი იყოს და არჩევის შემდგომ, რაც შეიძლოს მალე, წამოვიდეს სამოციქულო საყდრის მოსახილავად და წმიდათა პეტრეს და პავლეს საფლავის მოსალოცავად და თან წამოიყვანოს რამდენიმე მანდაური პირიც, რათა უკეთესად გაწვრთნილნი, კეთილი მაგალითებით აღსავსენი და ქრისტიანის სახელსა და სარწმუნოებაზე განმტკიცებულნი, გამობრუნდენ თავიანთ სამშობლოში. გარდა ამისა, გავედრებთ ხსენებულ ძმა ლუდოვიკეს, ჩვენს ნუნციოს, რომელიც ქრისტეს სარწმუნოების გულისთვის სხვადასხვა ადგილებში უნდა წავიდეს, შეეწიოთ თქვენის რჩევით და მფარველობით, რათა შეიძლოს შესრულება ჩვენ მიერ

„იბერიის მიტროპოლიტი, ელჩი იბერიის მეფისა... ბერძენთა უმაღლესი საეკლესიო პირნი სხდებოდნენ იმპერატორის ტრიბუნის გვერდით მდებარე სკამზე, მიწასთან ახლოს... იბერიის მეფის ჰქონდა ორატორი, სხვებისაგან განსხვავებული მორთულობის, ძვირფასი ქვებით შემკული და ოქროთი მოოჭვილი...", Horatius Iustinianus, Acta Concilii Florentini, Rome, 1638, გვ. 72-73.

2 აქ სიტყვა სპარსეთი შეცდომით ან განზრახ ნახმარია აღმოსავლეთ საქართველოს მაგიერად. ჩვენ ქვემოთ ვნახეთ, რომ ამ პირობებში აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იწოდებოდა სპარსეთის მეფედ, შესაძლოა იმიტომ, რომ განდევნილი იყო თავისი სატახტო ქალაქიდან სხვა მეფის მიერ და აქეთ-იქით დაძრწოდა თავის ჯართან ერთად, ან კიდევ იმიტომ, რომ ამ სამეფოში მისი მეფობის ხანაში სპარსეთის არაერთი პროვინცია შედიოდა.

მინდობილის საქმისა. რომით, 19 დეკემბერს, მღვდელთ მთავრობის მესამე წელსა (1457)“[1].

„ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს საქართველოს ერთ გამოუსწორებელ ნაკლს, რაც თითქმის ყოველთვის მისი განადგურების ძირითდი მიზეზი გახლდათ. ეს იყო ქართველ მთავართა შორის განხეთქილება და უთანხმოება. მართლაც ყოველთვის, როცა საქართველო აღიდგენდა მშვიდობას, მას შემდეგ, რაც დაამარცხებდა ან განდევნიდა მტერს, უთანხმოება იფეთქებდა ხოლმე ქვეყნის შიგნით. მთავრები ერთმანეთს ებრძოდნენ და ასუსტებდნენ. ამით სარგებლობდა მტერი ომის გასაჩაღებლად და მათ დასამარცხებლად.

სწორედ ასე არეული დახვდა საქართველო პაპის ნუნციუსს, რომლის შესახებაც გვექნება საუბარი. ნუნციუსმა მშვიდობა აღადგინა მთავართა შორის და მათი საერთო მტრის, თურქეთის წინააღმდეგ გააერთიანა. მოკლე ვადაში იგი, აღმოსავლეთის შემოვლის შემდეგ, რომში დაბრუნდა აღმოსავლელ ელჩებთან ერთად და თავისი მისიის ანგარიში ჩააბარა კალიქსტო III-ის შემცვლელ პიუს II-ს. პიუს II-მ მადლობის გამოსახატავად შემდეგი რესკრიპტი გაუგზავნა ნუნციუსს:

„საყვარელ შვილს ლუდოვიკე ბოლონიელს, ჩვენს ნუნციოს.

სარწმუნო მოხსენებიდგან ვსცანით, რომ ჩვენთა წინა მოსაყდრეთა ნიკოლოზ V და კალიქსტო III რომის პაპთა მიერ თქვენ წარიგზავნებით ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანებრივის სარწმუნოებისა და სამოციქულო საყდრის პატივის საქმეთა გამო; მღვდელთმთავრები, მეფენი და ეგრეთვე ქრისტიანე ერი, რომლებიც ცხოვრებენ ურწმუნოთა შორის, მრავლად ნახეთ იქა, განამტკიცეთ და განაძლიერეთ სარწმუნოებაში, რაოდნათაც კი შეგეძლოთ; ნეტარ სახსენებელ კალიქსტო პაპს მოუტანეთ ზოგიერთი მათგანის სანუგეშო პასუხი, საითგანაც ცხადად ჩანს, რომ კვალად მრავლად არიან მეფენი და ერნი კათოლიკე ქრისტიანენი, რომლებიც რომის ეკლესიას პატივს სცემენ, აღიარებენ, სწამთ და კიდეც ქადაგებენ, რომის პაპი სააქაოს ქრისტეს ნაცვალი და პეტრე მოციქულის მოსაყდრეა; მათ შორის არიან... ეგრეთვე ქართველთ კათალიკოსი, მეფე სპარსეთისა[2], მეფე ქართველებისა, მეფე სამეგრელოსი, იმპერატორი ტრაპეზუნტისა და ეგრეთვე სპარსეთის ერი, რომლებიც ეკლესიის წესსა და დოგმატებზე შეერთებულნი არიან და რომლებიც დიდ პატივს სცემენ წმინდა ფრანცისკეს მონაზონებს...

1 ლათინური ტექსტი იხ. **Raynaldi**, ტ. X. 1457 წ. გვ. 125-126, № LXVII; იხ. **Platina, Le vite de'Pontefici**, Venise, 1730, გვ. 229; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 50—51.

2 აქ იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მეფე; როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ.

1458 წ. 4 ოქტომბერს, მღვდელთ მთავრობის პირველ წელსა"[1].

რადგან პაპმა კალიქსტო III-მ საქართველოს კათალიკოსებისათვის გაგზავნილ წერილში მათ სულიერი წინამძღვრის ამორჩევის უფლება უბოძა, კათოლიკებმა სულიერ მამად ეს ნუნციუსი აირჩიეს. ნუნციუსმა წარუდგინა პაპს მასთან ერთად ჩამოსული ელჩები. მათ პაპს შემდეგი სიტყვებით მიმართეს:

„თქვენ წარმოგზავნეთ ჩვენდამო მინორიტების წესის მოლოზნილი ლუდოვიკე, რომელმაც მოგვახსენა, რომ თქვენ წახვედით მანტუის ქრისტიანებთან კრების მოსახდენად, რათა მუჰამედს, ოსმალების იმპერატორს, ომი დაუწყოთ და ნატრობთ ჩვენმა მთავრებმაც აზიაში ომი აუტეხონ, როდესაც ევროპაში შეებმით. ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს, რადგან მათ სძულთ ოსმალები და თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ ისე, როგორც ქრისტეს ნაცვალსა: მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის. ჩვენს მთავრებს ერთმანეთში მძულვარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და აწ მზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ. 120.000 მეომარნი მზად არიან ეომონ მუჰამედ იმპერატორს აზიაში, ვიდრე ჰელესპონტამდე, თრაკიამდე და ბოსფორამდე, როდესაც თქვენ ინებებთ და თუ თქვენც დასავლეთელებთან ერთად ეომებით ოსმალებს. ამიტომ წარმოგვიგზავნეს და ეგრეთვე მისთვის, რათა ვემთხვიოთ თქვენთა ფერხთა, ვითარცა ამ ქვეყანაზე ღვთის ნაცვლისას. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ჩვენთან შეერთებულნი არიან მენდიან აფხაზეთისა და სამეგრელოს მეფე, მაგრაც მეფე ივერიელებისა, რომლებსაც აწ უწოდებენ გიორგიანებს და მანია (მამია) გურიის მთავარი... აწ მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ ლუდოვიკე, რომელმაც აქ მოგვიყვანა, დაადგინოთ პატრიარქად იმათზე, ვინც აღმოსავლეთში რომის წესს მისდევენ და თქვენ საყდართან შეერთებულნი არიან"[2].

პაპმა მოუსმინა და მხურვალედ შეაქო მთავართა მიერ კეთილშობილური საქმის წამოწყების კარგი განზრახვა, მაგრამ ჩიოდა, რომ ვერ შეძლო მანტუის შეკრებაზე ქრისტიან მთავართა გაერთიანება თურქების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ამასთანავე პაპმა ნათქვამს დაუმატა, რომ ეს მთავრები უარზე აღარ იქნებოდნენ, როდესაც შეიტყობდნენ აღმოსავლელ მთავართა ერთობის ამბავს. ამიტომ პაპმა ნუნციუსი და მასთან ერთად ჩამოსული ელჩები საფრანგეთის მეფესთან და ბურგუნდიის ჰერცოგთან გაგზავნა თურქებთან ომის გაჩაღების დასაჩქარებლად. ამავე

---

1 ლათინური ტექსტი იხ. Wadding, Annales Minorum, ტ. XIII, გვ. 60; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 51-52.

2 Wadding, Annales Minorum, ტ. XIII, გვ. 154; იხ. მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 61-62.

დროს მათივე თხოვნით მამამთავრად ლუდოვიკო ბოლონიელი დაუნიშნა[1].

პაპის წარგზავნილებმა სამი წერილი წაუღეს ბურგუნდიის ჰერცოგს: ტრაპიზონის იმპერატორისა, საქართველოს მეფისა და საქართველოს მთიანეთის მთავრისა. რადგან ეს წერილები ბევრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მოვიყვანთ მხოლოდ ერთს:

**„ყოვლად ბრწყინვალე ბურგუნდიის დუკას, მე, გორგორა[2] საქართველოს მთავარი, სიყვარულით მოგიკითხავ.**

დიდად ვნატრობ თქვენს დამეგობრებას, რადგან შევიტყვე, რომ ძლიერ მორწმუნე ქრისტიანე ხართ და მარადის ნატრობთ ჰქმნათ იმისთანა შესანიშნავი საქმე, რომელიც შეეხება ჩვენის წმიდა სარწმუნოების პატივსა და დიდებას, როგორათაც ესა ჰყვეს თქვენთა წინაპართა. მეც ქრისტიანე ვარ და ამ უწმიდესი სარწმუნოების დასაცველად და მისი დიდებისათვის მზად ვარ თავი დავსდვა; ამიტომ ჩემ წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა. მამიჩემის სიკვდილის შემდგომ ხშირად მომიხდა მათთან ომი და, ღვთის მადლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი მათი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიანე მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე. ხოლო აწ მატონი ჩვენი პატრიარქის ლუდოვიკეს ბრძანებით შევურიგდი ყველა ჩემს მეზობელს ქრისტიანე მთავრებსა და გადავწყვიტე, მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ, როგორათაც დავპირდი ჩვენს მატონ პატრიარქს. თვით მევე უნდა წავუძღვე ჩემს 20.000 ცხენოსანს საომრად ურწმუნოთა წინააღმდეგ. ამის ადვილად აღსრულებისათვის, არა მარტო შევურიგდი, არამედ პირობაც შევკარი და კავშირი დავადგინე ამ ქვეყნის ყველა ქრისტიანე მთავრებთან, რათა ესეთის ჩვენის შეერთებულის ძალით შევებათ და ვძლიოთ ოსმალთა, რომელთაც დაიპყრეს კონსტანტინეპოლი, ხოლო კავშირი ჰყავით: მე, გიორგი სპარსეთის მეფემ[3], დავით ტრაპეზუნტის იმპერატორმა, მენდიან სამეგრელოს მეფემან, რამია ანოკასიის (აფხაზეთის) მთავარმა და მერდემეგ მცირე სომხეთის მატონმა. ამათ გარდა ჩვენი მოკავშირენი სხვანიც არიან. ის მოკავშირენი, თუმცა ურწმუნონი არიან, მაგრამ ძლიერ მთავრებად ითვლებიან და დიდი მტრები არიან კონსტანტინეპო-

1 იხ. Raynaldi, ტ. X, 1460 წ., № CI–CIII, გვ. 257-8: Fleury, Histoire Ecclesiastique, Paris, ტ. XXII. 1730, გვ. 124.

2 კვარკვარე II, 1451-1466.

3 ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიტყვა „სპარსეთი" გულისხმობს აღმოსავლეთ საქართველოს, რადგან ეს მეფე, გიორგი VIII (1453-1469), სახელგანთქმული მეფის ალექსანდრე I-ის (1432-1445) ძე იყო, რომელმაც თემურლენგის მიერ აოხრებული საქართველო აღადგინა.

ლელი თურქებისა. ისინი არიან შემდეგნი: ყარამან, ძველი მმართველის ისმაილ-ბეგის შვილი, და ჰასანბეგ, უწინდელი ყარაილუკის შვილი. რადგან ჰასანბეგ აქეთ მხარეს კონსტანტინოპოლელი თურქების საზღვარზედ არის, დაგვპირდა, რომ გზა მოგვცეს, რათა ანატოლია დავიპყრათ და თვითონაც უნდა მოვიდეს ჩვენთან ყოველი თავის ჯარით ასაღებად ბურსა ქალაქისა, რომლის დაპყრობაც თვითონ უნდა. ესეთი კავშირი მასთან იმ პირობით დავდევით, რომ მუდამ იქმნეს ქრისტიანების დიდი მეგობარი; ეგრეთვე უკეთუ თქვენ ლათინის მთავრები და ერი წამოხვალთ იერუსალემის წმიდა ადგილების დასაპყრობლად, ის ვალდებულია ყოველნაირად შეგეწიოთ თქვენ, რაოდენათაც კი შეუძლია. აგერ 50 წელიწადია, ესეთი მშვიდობა და ერთობა, რომელიც აწ ვყავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში. ეს ვყავით ჩვენის ბატონის პატრიარქის ბრძანებით და ჩაგონებით და ეგრეთვე თანახმად წერილისა ბატონის პაპისა, რომელმაც მოგვწერა და გვაუწყა, რომ მან თავის ქალაქში ყველა ლათინის მთავრები უნდა შეკრიბოს და რჩევა ჰქმნას, რათა მოემზადონ ურწმუნოებთან საომრად. ხოლო დიდათ ვნატრობთ, რომ თქვენც შემოგვიერთდეთ ამის აღსასრულებლად. ამიტომ ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნით ჩვენს ელჩებს, ყველა ლათინის მთავრებთან და უფროს ერთად თქვენთან, რადგან შევიტყვეთ, რომ დიდი ხანია ძლიერ ნატრობთ წმიდა ადგილების დაპყრობას. აწ ჩვენის ელჩებისაგან სცნობთ, თუ ჩვენ ყველანი რაოდნათ მოწადინებულნი ვართ ამ სარწმუნოების საქმეში და თუ მისთვის რა გავაკეთეთ ამ დროებში. კვალად დიდად ვნატრობთ და გევედრებით, ჩვენს ელჩებს ყველაფერი კარგად შეატყობინოთ, თუ მზად ხართ ჯვაროსანთა ომის დასაწყებად, რათა მათაც გვაცნობონ, თუ რა დროს უნდა შევიჭურვნეთ საომრად. ამასაც გპირდებით, რომ ერთის ზაფხულის განმავლობაშივე დავიპყრობთ მთლად ანატოლია და ყველა ქვეყნები, რომელიც კონსტანტინოპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები, რომელიც სამერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ დაგიტოვოთ; მისი აღება ადვილი იქმნება, რადგან, როდესაც ოსმალეთი ესე ორ ჯარს შუა მოექცევა, ვეღარ გაუძალდება, მალე დაიძლევა და ამნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ. ამიტომ სხვა ყველა ლათინის მთავრებზე უმეტესად თქვენ გევედრებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ და ხელიდგან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა, რომელსაც გაძლევთ; არც დამცირებად მიიჩნიოთ ჩვენი მომხრეობა, ვინაიდგან ყველაფერი დაგვიტოვებია და სარწმუნოების სასარგებლო საქმეს დავდგომივართ. უკეთუ აწ დაიზარებთ და ყურადღებას არ მოაქცევთ ამას (რაც ღმერთმა ნუ ინებოს), მაშინ სრულებით აღარაფერს ვიქმთ, რადგან იმ პირობით შევერთდით ურწმუნოებთან საომრად, უკეთუ თქვენც, მთავარნი ლათინნი ჩვენთან შეერთებულ იქმნებით: თვინიერ ამისა ყოველი ჩვენი ხელშეკრულობა უქმია; რადგან ყველა ჩვენი რჩევა და გარდაწყვეტილება დამყარებულია

ბატონი პაპის წერილზე, რომელიც ჩვენმა ბატონმა პატრიარქმა მოგვიტანა და რომელიც მის ნამდვილ წერილად მიგვაჩნია. დასასრულ უწყოდეთ კარგად, რომ, თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გაარიგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შეიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ხართ. თუმცა მეტი რამ მინდოდა მომეწერა, მაგრამ ეს კმარა, ზოგსაც ჩემი ელჩი მოგახსენებს. უსმინეთ. ყველაფერი უეჭველად. ეგრეთვე დაგავედრებ მას. ქრისტეს მიერ მბრძანებლობდეთ მშვიდობით. დაიწერა ქარეციხეს (ახალციხეს), 1459 წ. ნოემბერს“[1].

პაპის წარგზავნილები შეხვდნენ ფილიპე კეთილს — ბურგუნდიის ჰერცოგს და საფრანგეთის მეფეს შარლ VII-ს, მაგრამ ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერაფერს გამორჩნენ, ისინი მოწმენი გახდნენ შარლ VII-ის სიკვდილისა და 1461 წელს ლუი XI-ის მეფედ კურთხევისა. ლუი XI-მაც უარი თქვა თურქების წინააღმდეგ ომის წამოწყებაზე. ამგვარად, პაპის წარგზავნილები სამშობლოში მთლად იმედგაცრუებულნი დაბრუნდნენ[2].

ზოგიერთმა მწერალმა თაღლითობა დასწამა ლუი ბოლონიელს, რომელმაც ელჩები წაიყვანა. ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია ეს ბრალდება. ლუდოვიკო ბოლონიელი ნამდვილად იყო არა მარტო კალიქსტო III-ის და პიუს II-ის ნუნციუსი, არამედ აგრეთვე პავლე II-ს ნუნციუსი 1465 წელს და სიქსტ IV-სა-1476 წელს. მათ ლუდოვიკო ბოლონიელს მნიშვნელოვანი მისია მიანდეს თათარი მეფეებისა და სპარსეთის მეფის წინაშე[3].

მიუხედავად ამისა, ქართველ მეფეებს უარი არ უთქვამთ ქრისტიანთა შეერთებული ძალებით თურქეთზე ლაშქრობის გეგმებზე. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობს დასავლეთის მეფეებთან

---

1 Aeneas Sylvius, Cosmographia ou Rerum uliquc gestarum descriptio, Venise, 1544, წიგნი I, გვ. 849; იხ. გვ. 850; მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 57-59.

2 იხ. De Barante, Histoire des ducs de Bourgagne, Paris, 1829, ტ. VIII, გვ. 121-128.

3 იხ. Wadding, Annales minorum, ტ. XIII, გვ. 154. ქართველებს არასოდეს ასვენებდა სპარსეთი, რომლის ხალხიც არ უშვებდა ხელიდან ხელსაყრელ შემთხვევას, რომ თავს დასხმოდნენ საქართველოს. მაგალითად, ჯოვანი მარია ანჯოლელო, თვითმხილველი მოწმე, მოგვითხრობს, რომ 1477 წელს ასამბეი ვითომ თურქებს უნდა შებრძოლებოდა 40 000 მეომრით, სინამდვილეში კი საქართველო გააევერანა და აიღო თბილისი. Ramusio, Viaggi et navigazione, ტ. II, გვ. 70, 110. ხოლო ისმაელმა, სპარსეთის მეფემ მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს მიდიისა და სომხეთის ერთი ნაწილიდან თურქების განდევნის შემდეგ დაიწყო საქართველოს დაპყრობა. ქართველი ქალის, კემსკის ისტორია და თავგადასავალი, გვ. 27.

ურთიერთობის დამყარებას გიორგი VIII-ის ვაჟი, ზემოხსენებული კონსტანტინე III (1469—1505). მისი მამა ჯერ ცოცხალი იყო, 1465 წელს, როცა კონსტანტინე III-მ წერილი მისწერა იზაბელას, ესპანეთის დედოფალს, სადაც გამარჯვებებს ულოცავდა და სთავაზობდა ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებას თურქების წინააღმდეგ[1].

## IX. — ალექსანდრე VI-ს წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან. ამ პაპის მეორე წერილი საქართველოს ელჩის წარსადგენად

უფრო გვიან კონსტანტინე III-მ მიმართა პაპ ალექსანდრე VI-ს. წერილი მისწერა და ელჩი გაუგზავნა კათოლიკურ ეკლესიასთან კავშირის გასაახლებლად და თურქებთან ომის გასაჩაღებლად. ეს წერილი არ გაგვაჩნია, თუმცა მოგვეპოვება ალექსანდრე VI-ის პასუხი:

**„ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელ შვილს კონსტანტინეს, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.**

თქვენის ელჩის, საყვარელის შვილის, ნილოს მონაზონისაგან მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენდამი აცხადებს უდიდეს ერთგულებას და პატივისცემას და აგრეთვე გვილოცავთ და ყოვლისშემძლე ღმერთს მადლობას სწირავთ იმ გამარჯვებისათვის, რომელიც დარჩათ ჩვენთა სახელოვან[2] შვილთა ესპანეთის მეფეს და დედოფალს ურწმუნოთა წინააღმდეგ, აგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გადაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით და თქვენის მხედრობითურთ, რათა დავიხსნათ ეგოდენი დაჩაგრული ქრისტიანე და დავიბრუნოთ გაუპატიურებული ტაძრები. ამიტომ გამოუთქმელის სიხარულით გავიხარენით და ყოვლისშემძლე ღმერთს, რაოდნათაც ძალ გვედვა, მადლობა შევსწირეთ, რომ თქვენს ხელმწიფებას გამოუჩენია სარწმუნოების ეგრეთი ერთგულება და სიყვარული, რადგან სავსებით ეთანხმება ჩვენს აზრსა და სურვილსა ქრისტიანე სარწმუნოების დაცვისათვის; მასთანვე კვიხარის ქრისტიანეთა გაძლიერება, ვინაიდგან უმეტესად სხვას არას ვნატრობთ, დღე და ღამე სხვას არას ვფიქრობთ მას გარდა, რომ ვპოვოთ რამ საშუალება ჩვენის სარწმუნოების სასარგებლოდ, რაისა გამო მუდამ ვფხიზლობთ და ყველა ღონისძიებას ვხმარობთ. მასთანვე იმედი გვაქვს, კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა და აგრეთვე სხვა ადგილის საპატრიარქოებიც დავიხსნათ, რადგან აქაური ქრისტიანე მთავრები ამას შემოგვპირდენ. გარნა, სამწუხაროდ, ბევრმა სულის

1 Brosset. Histoire moderne de la Géorgie. ტ. II. მიხსენება I გვ. 407-409.

2 აქ. იგულისხმება გრენადის აღება (1492 წ.).

მცერმა, ჩვენის ნაცვრის და სასარგებლო რჩევის წინააღმდეგ, იმ მთავართა შორის განხეთქილების ღვარძლი დასთესა. მაგრამ, ქრისტეს შეწევნით, იმედი გვაქვს, მალე შევარიგოთ და ესე ყოველივე ჩვენი ცდა მივაქციოთ წინააღმდეგ სარწმუნოების მტერთა, რომლებისაც არ გვეშინია და წმიდა ჯვრის დროშის წინამძღვრობით, იმედი გვაქვს, მათზე სრულიად გავიმარჯვოთ. ამ სურვილით მუდამ გამსჭვალული ვიყავით და მეტადრე ახლა უმეტესად ვართ, რადგან დავრწმუნდით, რომ ქრისტეს სადიდებლად დიდად ერთგული და წადიერი ხართ.

აწ რაოდენიც შეგვიძლია უფლისაგან შეგაგულიანებთ, რათა მტკიცედ სდგეთ და არ ულალატოთ თქვენს საქებურს წადილს და შეაგულიანოთ ყველა თქვენი ქვეშევრდომნი და აგრეთვე უბრძანოთ მათ,რომ თქვენი წმიდა განძრახვის ასასრულებლად მოგეხმარონ და დაგემორჩილონ.

რადგან საუკუნო ცხოვრებისათვის საჭიროა, ყველა ქრისტიანნი სარწმუნოების საქმეში შეუერთდენ და დაემორჩილონ ეკლესიას რომისას, სადაც ქრისტე უფალმა და მისმა მოადგილემ პეტრე მოციქულმა თავი და საყდარი დაადგინეს ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ უდიდესად მოხარული ვართ, რომ თქვენმა დიდებულებამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას მიაქცია ყურადღება და რაც ამ სარწმუნოების წრფელ დაცვას შეეხება, თხოულობთ ჩვენგან და სამოციქულო საყდრისაგან, რომელიც არის თავი ყოველთა ქრისტიანეთა. რადგან თქვენის ორატორის ნილოსის პირით მევედრებით, თქვენს დიდებულებას გამოუგზავნო სარწმუნოების შესახებ გარდაწყვეტილება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის, ნეტარ ხსენებულის პაპის ევგენიოს მეოთხის დროს იქმნა დადგენილი ფლორენციის კრებაზე და რომელსაც მსოფლიო ეკლესია თუ ლათინისა და თუ ბერძნისა ეთანხმება, რათა თქვენ და თქვენი სამეფო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ საუკუნო ცხოვრებისა და აქაც გაიმარჯვოთ სარწმუნოების მტრებზე; რადგან უწყით,რომ მოციქულის თქმულისამებრ, თვინიერ სარწმუნოებისა შეუძლებელია კაცი ღმერთს სათნო ეყოს, ამიტომ აწ ხსენებულის კრების გარდაწყვეტილებას ჩვენს ტყვიით დაბეჭდილ წერილთან ერთად გიგზავნით. მასთანვე გთხოვთ გამოაცხადოთ იგი ყველა თქვენს პროვინციაში და ბრძანოთ მისი დაცვა. ვინაიდგან, როგორც ჭეშმარიტის ძისა მიერ ღვთისა იესო ქრისტესა ყველა შეერთებული ვართ, ეგრეთვე ვიყვნეთ შეერთებულნი, დავიცვათ რა მისი მცნებანი და მოძღვრება, რომელიც თავისი ნაცვლისა და მის მოსაყდრეთა მიერ გამოგვიცხადა, ამიტომ ვხასოებთ,რომ, უკუთუ დაიცავთ ამ ერთობას, მტერთა მანქანებამ ვეღარა გავნოთ, რადგან გაძლიერებული იქმნებით მის მიერ, რომელიც სძლევს მთავრობათა. ეგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნით თქვენს მრწყინვალებას ძღვენთათვის, რომელნიც გამოგვიგზავნეთ და დიდის სიამოვნებით მივიღეთ. მათ ვიხმართ, როდესაც შემთხვევა მოგვეცემა, ვითარცა ვრცლად მოუახსენეთ ჩვენს საყვარელს შვილს ნილოსსა. ეგრეთვე სხვა რაც მოგვახსენა, ყველაფრის სიტყვით პასუხი მივეცით. რომით. 1496 წ. 10 ივლისსა, ჩვენის მღვდელთმთავრობის მეოთხე წელსა“[1].

---

1 ლათინური ტექსტი იხ. Raynaldi, ტ. XI, 1496 წ., № XXI, გვ. 269—270; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 64, 65, 66.

ქართველი მეფის წარგზავნილს პაპმა შემდეგი წერილი მისცა, გზაზე რომ თავისუფლად გაეტარებინათ:

„პაპი ალექსანდრე VI, ყველას და თვითეულს და სხ.მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა. ქრისტეს მიერ საყვარელმა ჩვენმა შვილმა კონსტანტინემ, ქართველთა სახელოვანმა მეფემ, ვითარცა კათოლიკემ და ყოვლად მორწმუნე ქრისტიანემ, გამოგზავნა თავის ორატორად წმიდა მასილის წესის მონაზონი საყვარელი შვილი ნილოს, რათა მოეძღვნა ჩვენთვის და სამოციქულო საყდრისათვის თავისი თაყვანის-ცემა და ერთგულება. აწ ხსენებული ორატორი მრუნდება რა უკან, თავის მეფესთან, ვნატრობთ ყოველგან თავისუფალი გზა მიეცეს. ამიტომ გთხოვთ თქვენ და საგანგებოთ ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომ კაპიტანთ, ჩვენის ჯარის უფროსთ, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიის კაპიტულოთა და ყველა წესის მონაზონთა,რათა ნება მისცეთ, ზემოხსენებულმა ძმამ ნილოსმა ყველა თავისი მარგით და თანამხლე-ბლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა, მობრუნება, დადგომა, გავლა და ღამით დარჩენა ყველა გზებსა, ნავთსადგურებსა, ხიდებსა და ქვეყნებში, როგორც ჩვენს სამფლობელოში, ისე თქვენსაში და ხარჯი არაფერი გადაახდევინოთ. მსგავსადვე გევედრებით, რათა, უფლის პატივისათვის, სიყვარულით მოეპყრათ და თუ საჭიროებამ მოითხოვოს, გააცანოთ გზის-მცველნი და თანამხლებელნი. ეგრეთვე გვნებავს, ყველა ძმათა და მონაზონთა მიიღონ ესენი თავიანთ მონასტერში და იზრუნონ ყოველი მათი საჭიროებისათვის ისე, რომ კმაყოფილი დავრჩეთ და ვაქოთ მათი ამაგი. ვუბრძანებთ ყოველს და თვითეულს ჩვენს და წმიდა რომის ეკლესიის ქვეშევრდომ ძმათა და მონაზონთა, მიუხედავათ ჩვენის ბრძანებისა და აკრძალვისა, მიიღოთ ხსენებული მონაზონი ნილოს ყველა თავისი მხლებლებით ჩვენს ქალაქებსა და ქვეყნებში და მოეპყრათ ყოვლადის გულკეთილობით.

უფრო ხალისით რომ აღასრულოთ ესე ყოველი და მოიჭირნახულოთ თქვენი სულისათვისაც, ამიტომ ღვთის მოწყალებით და ნეტართა პეტრესა და პავლეს უფლებითა, 200 დღის სასჯელს (საკანონს) მივუტევებთ მათ, ვინც მიიღებენ ამათ და აღმოუჩენენ გზაში ყველანაირს დახმარებას. ამ წერილს ერთი წლის ვადა აქვს. რომით, 5 ივნისისა, 1496 წ“[1].

1230 წლიდან 1500 წლამდე მისიონერები საქართველოში უფრო ხშირად და თითქმის უწყვეტად მოდიოდნენ ქვეყანაში არსებული ვითარების შესაბამისად, მაგრამ შემდეგ არათუ მათი კვალი ჩანს, არამედ მოგზაურებსაც კი ვერ ვხვდებით, რომლებიც წინათ ჩამოდი-ოდნენ საქართველოში. მიზეზი ის იყო, რომ თურქები მართლაც

1 Archives Vaticanes, Reg. Vat. 873, ფურც. 367; იხ. მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 67.

უახლოვდებოდნენ საქართველოს, ყოველი მხრიდან გარს ერტყმოდნენ და ევროპის გზებს უღობავდნენ. ამ განცალკევებამ ქართველებს მაინც არ გაუქარწყლა პაპის ტახტის პატივისცემა და კათოლიკობის სიყვარული.

## X. – პავლე III-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან, და თავისი ნუნციუსის გაგზავნა საქართველოში

სწორედ ევროპელ მისიონერთა საქართველოში არყოფნის დროს დომინიკელები[1] შემოვიდნენ სომხეთიდან და მათი ადგილი დაიკავეს. სომხებს თურქების მხრიდან არ ჰქონდათ ისეთივე დაბრკოლება, როგორც ქართველებს, მათ თავისუფლად შეეძლოთ საქართველოში ჩასვლა და ევროპაში მოგზაურობაც კი. ამას მოწმობს შემდეგი ბულა:

„პავლე მესამე. ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელს შვილს ლუარსაბს, ქართველთ ქალაქებისა და სამეფოს ბრწყინვალე მეფეს[2]. მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. მევრი სარწმუნო მოხსენებიდგან შევიტყვეთ, რომ თუმცა ძლიერ შორსა ხართ, მაგრამ რომის ეკლესიას სიყვარულით პატივს სცემთ და გულმხურვალედ აღიარებთ მას ყველა ეკლესიების თავად; ეგრეთვე ქრისტეს ნაცვლად და მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ გვცნობთ თუ ჩვენ და თუ რომის ეკლესიის სხვა ჩვენ წინამოსაყდრე მწყემსებს. მსგავსადვე თქვენისა ესევე სწამთ ქრისტეს მიერ საყვარელ შვილთ თქვენ მეზობლებს პატრიაქ ქოქათისას (მაგრაც ქუთაისის მეფე), ლეონ ბაგამისას (აწ-გიორგისძე ლევან კახეთის მეფე) და გორგორა ხელციხელს (ყვარყვარე ახალციხელი) ქართველთა ქალაქთა და სამეფოთ მრწყინვალე მეფეთა. ეს რა ვსცანით დიდათ განვიხარეთ უფლისადმი და მის უზენაესობას მადლობა შევსწირეთ, რომ წმიდა ემბაზში განათლებულის ქრისტეს სარწმუნოების აღსარებაში ეგოდენ ხნიდგან მტკიცედ დაუცევხართ და კვალად გიცავთ თქვენ ოთხ უდიდეს მეფეთ, ვითარცა ქრისტეს სარწმუნოების უძლიერეს გმირთა ეგოდენ ურწმუნოთა შორის, რომლებისაგანაც ყველა მხრით გარემოცული ხართ. უწყოდეთ, ფრიად საყვარელნო შვილნო, რომ თვით იმავე მეუფეთა მეუფემ და უფალთ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რომელმაც მოგანიჭათ ეგ სამთავრონი, სწორეთ მანვე ჩააწვეთა თქვენს გულში ამ სარწმუნოების ნათელი, რათა გეცნათ წმიდა პეტრესი და რომის ეკლესიის უპირატესობა. რადგან თვით მან, რომელ არს მღვდელი უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისა, რომელსაც მოსცა მამამან ხელთა მისთა ყოველი და დაუქვემდებარა ფერხთა მისთა ცა და ქვეყანა, თვით მან დაადგინა ნათესავთა და მთავართა ზედა რომის ეკლესიის და სამოციქულო საყდრის უმწვერვალესი მღვდელთ-მთავარი, რომელიც განაწესა თავის

1 ისინი სომხურზე გადასული ლათინური წესის ბერმონაზვნები იყვნენ და დომინიკელთა ორდენის ერთ მხარეს ქმნიდნენ.

2 მეფობდა 1534-1558 წლებში.

მონაცვლედ წმიდა პეტრეს მიერ, რათა აღმოფხვრას, დაამხოს, განაბნიოს და გაჰფანტოს ყველა, რაც კი იმავე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს წმიდა სარწმუნოების წინააღმდეგია და ასე თუ ისე ავნებს მისსავე მორწმუნეთა საუკუნო ცხოვრებას; ეგრეთვე მოსცა მას, რათა აღაშენოს და დანერგოს ყოველი, რაც კი ადამის შვილთა ცხონებას შეეხება და უფლისავე ჩაგონებით შეუერთოს მის სამწყსოს თავისის პატიოსანის სისხლით დახსნილი ის ცხოვარნიც, რომელთაც ამ უმწვერვალესის მწყემსის მზრუნველობა მოაკლდათ უფრო ადგილის სიშორის გამო, ვიდრე მათი გულგრილობის მიზეზით. ქრისტეს ამ ერთად ერთ სამწყსოში ვნატრობთ თუ თქვენს და სხვათა ქართველთ მეფეების შემოსვლას თუ თქვენისა და თუ მათისა და მთელის თქვენი ერის სულის საცხონებლად. ამიტომ, რაოდენათაც კი ძალგვიძს, უფლისა მიერ შეგაგულიანებთ, რათა, როგორათაც ერთი ღმერთია და ერთი ნათლისღება, ესრეთვე ჩვენი ყველას სარწმუნოება ერთი იყოს ქრისტეს სამწყსოსა და წმიდა დედა კათოლიკე ეკლესიის ერთობაში, რათა ჩვენის შეწევნით ადვილათ ეწიოთ ამ ბედნიერებას. როგორც შვენის კეთილ მამასა და მწყემსსა; ღმერთს დიდს მადლობას ვწირავთ ამ შემთხვევის მოცემისათვის,რომ ჩვენის წერილით ყველას გამოგიცხადოთ ჩვენი მამობრივი სიყვარული ჩვენთა საყვარელთა დომინიკესა და ბაპტისტის გულმხურვალე ქვემევრდობობის საშუალებით, რომელ არიან წმიდა დომინიკეს წესისა დიდი სომხეთის ქალაქ ნახჩევნიდგან. როგორც შევიტყვეთ, ბაპტისტა თქვენი ბრწყინვალების ნაცნობი და საყვარელი მეგობარი ყოფილა, როგორც მისივე წესის სხვა მამებიც, რომლებიც თქვენს სამფლობელო ქალაქში ღვთის მსახურებას ასრულებენ. რა ბრუნდებოდენ თავიანთ სამშობლოში ვუბრძანეთ, მოგართვან ჩვენი წერილი და მასთანვე ჩვენი მოციქულებრივი კურთხევაც, რომელსაც, მინდობილნი ყოვლისმპყრობელ ღმერთსა და წმიდათა მოციქულთა პეტრესა და პავლეს შეძლებაზე, განიჭებთ თქვენ, სხვა ქართველთ მეფეთა და მთელს თქვენს ერს. ამავე წერილით უფლისა მიერ შევაგულიანებთ თქვენს ხელმწიფებას და ვთხოვთ, რათა შვილებრივის გულმოდგინებით მიიღოთ ჩვენი კეთილი სურვილი და ჩვენი სასარგებლო ჩაგონება; ეგრეთვე, რათა გულკეთილად უსმინოთ დომინიკეს და ბაპტისტის და მიიღოთ სარწმუნოდ ყველა მათი სიტყვა თქვენისა და თქვენი ერის საუკუნო ცხოვრებისათვის. დასასრულ, როგორათაც იქცევიან სხვა ქრისტიანე მეფე და მთავრები, ეგრეთვე თქვენც იმავე სულთა ცხონებისა და წმიდა პეტრეს პატივისათვის წარმოგზავნეთ ჩვენთან თქვენი ორატორები (ელჩები), რომლების საშუალებითაც თუ თქვენი თავი და თუ მთელი თქვენი ერი რომის წმიდა მსოფლიო ეკლესიას და მის მწყემსს მოუძღვნით გულმხურვალებით და მის შვილებად გამოცხადდით, ამავენაირად შეაგულიანეთ ზემოხსენებული თქვენი მეზობელი, სამი დანარჩენი ქართველთა მეფენიც, რათა მათაც თქვენ ორატორებთან ერთად გამოგზავნონ თავიანთი ორატორებიც, მათი საშუალებით მიუძღვნან თავიანთი მორჩილება რომის მსოფლიო ეკლესიას და ჩვენ, მის მწყემსსა. უკეთუ თქვენც საჭიროდ დაინახოთ, სხვა მეფეთაც გაუგზავნეთ ამ წერილის თითო პირი. თქვენს ორატორებს მამობრივის გულკეთილობით მივიღებთ ჩვენის მხრითაც. შემდგომ ღვთის შეწევნით წარმოგივლენთ ჩვენს ნუნციებსაც (ელჩებს), რომელთა

საშუალებითაც მიიღებთ ყველა საჭირო სწავლას, რათა უშიშრად საუკუნო ცხოვრების გზით მოიპოვოთ ზეციერი სასუფეველი, რაის გამო თქვენის ნაცვრისამებრ, განიჭებთ უფლისამიერ ნიჭთა, განსაკუთრებულ წყალობათა და სულიერ ძღვენთა, რაოდენის შეძენაც კი შეგიძლიათ უფლის შეწევნით, რათა უფრო გაგიადვილდეთ სულის ცხონება და შემდგომ დაიმკვიდროთ ზეციერი სუფევა, რომლის ღირსიც გყოთ საუკუნოდ კურთხეულმა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან. რომით, 1545 წ. ივნისის 17, მღვდელმთავრობის მეთერთმეტე წელსა"[1].

მოყვანილი საბუთი კარგად მოწმობს ჩვენს ნათქვამს, რომ საქართველოს არ შეიძლებოდა სდომებოდა რომაელთა ეკლესიისგან გამოყოფა; თუ იგი გამოყოფილი აღმოჩნდა, ეს იმ განმარტოებული მდგომარეობის ბრალი იყო, რომელიც ქრისტიანობის ყველაზე დაუძინებელმა მტრებმა შეუქმნეს.

არ გაგვაჩნია იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ქართველ მეფეებს პაპისათვის გაეგზავნოთ თავიანთი ელჩები; თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რადგან თავის ბულაში, პავლე III ლუარსაბ მეფეს ჰპირდებოდა მისი ელჩების ჩამოსვლისთანავე თავისი ნუნციუსის გამოგზავნას. ერთი წლის შემდეგ კი ჩვენ ვხედავთ, რომ პაპი საქართველოს მეფეებს თავის ნუნციუსს უგზავნის; როგორც ჩანს, საქართველოს ელჩები ჩავიდნენ რომში. თავის ნუნციუსს პაპმა ეს წერილი გაატანა:

**„პაპი პავლე მესამე. პატივცემულს ძმას სტეფანეს, ნახჩევნის არქიეპისკოპოსს,** მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა... აწ, ვითარცა თუ თქვენი და თუ სხვა სარწმუნო მოხსენებიდგან ვსცანით, რომ ქრისტესმიერ ჩვენი საყვარელი შვილი ლუარსაბ, მაგრაც ქუთათელი, ლეონ ბაგამელი და ყვარყვარე ახალციხელი ქართველთა სამთავროთა მრწყინვალე მეფენი, სულიწმიდის მადლის ჩაგონებით, აღიარებენ ყველა ეკლესიის თავად რომის წმიდა ეკლესიას და ჩვენც და ყველა ჩვენს წინა მოსაყდრეთ რომის მღვდელმთავრებს გულმხურვალებით და პატივისცემით გვარარცხვენ იესო ქრისტეს მონაცვლედ და მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ; გულით მოწადინებულნი არიან მრთლად თავისის ერითურთ მიიღონ წმიდა კათოლიკე სარწმუნოება რომის ეკლესიის დოგმატების თანახმად, როგორათაც თუ თქვენის ქადაგებით და თუ სხვა დომინიკიანების წესის ძმათა ქადაგებით და ღვთის შეწევნით მოგიმზადებიათ ამისათვის. ეგრეთვე თავიანთის გარდაწყვეტილების დასამტკიცებლად, ქრისტეს სარწმუნოების აღსარებისა და მისი ამაღლების ნიშნად, თავიანთ სამეფოებში დაუწყიათ ეკლესიების და მონასტრების აშენება ღვთის სახელის საქებ-სადიდებლად. იმ სამთავროებში რომ გაიგზავნებოდნენ, იმისთანა პირნი, რომელთაც შეეძლოთ სიყვარულის და კათოლიკე სარწმუნოების შთანერგვა მეფეთა და ერთა გულში და მოფენა სახარების მოძღვრებისა, უეჭველად და

1 Arch.Vat., Paul. III, 11–12 წ., ტ. V, წიგნი 245, ფურც. 104; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 71, 72, 73.

დიდის სიადვილით შეუერთდებოდნენ ისინი რომის ეკლესიას და მიიღებდნენ უხვად სულიერს ნაყოფს, რაიცა შეიქმნება დიდად სანუგეშო სხვა ქრისტიანე მორწმუნეთათვის. ვინაიდგან დიდად მონატრე ვართ უფლის აგარაკის გამშვენებისა და ყოველ მხრივ მისთა ცხოვართა გამრავლებისა და ვჰნებავს იმ მეფეთა და ერთა კეთილის წადილის აღსრულება და შეწევნა, ეგრეთვე პატივით და ნიჭით დაჯილდოება თქვენიც, ამიტომ ჩვენის სრულის ნებით და არა თქვენის, ანუ სხვების თხოვნით, ჩვენის გულმოწყალებით გნიშნავთ თქვენ, იმავე წესის მონაზონს, ჩვენს და სამოციქულო საყდრის ნუნციოდ და ორატორად და გგზავნით ხსენებულ მეფეებთან და მათ თვითეულს სამთავროსა და სამფლობელოში; ეგრეთვე ამ წერილის ძალით განიჭებთ იმ ყველა პრივილეგიათა და სიმართლეთა, რომელნიც კანონის მიერ, ანუ ჩვეულებით აქვთ და ექმნებათ მომავალში ყველა ჩვენსა და სამოციქულო საყდრის ნუნციებს და ორატორებს, ვიდრე ჩვენი და ამ სამოციქულო საყდრის სურვილია... რომით, 1546 წ. ივნისის 30, მღვდელთ-მთავრობის მეთორმეტე წელსა"[1].

ჩვენ არ ვიცით, რა მოიმოქმედეს ამ ნუნციუსმა და მისმა თანამოძმეებმა საქართველოში. ვიცით მხოლოდ, რომ ომები აქ ჩვეულებისამებრ კიდევ გრძელდებოდა და მეფე ლუარსაბი, რომელსაც პავლე III-მ წერილი მისწერა, სულ ურჯულოებს ებრძოდა, რათა ისინი თავისი სამფლობელოდან განედევნა და ხელი შეეშალა ქვეშევრდომთა შორის ქრისტიანობის მოსპობისათვის. სპარსელებთან ბრძოლაში მეფე ლუარსაბი ბრძოლის ველზე დაიღუპა. ქართულმა ეკლესიამ იგი მოწამედ შერაცხა[2].

## XI. — მეფე სიმონის წერილი, გაგზავნილი პაპთან. ქართველთა ერთგულება. პოლკოვნიკ როტიეს ანგარიში

ლუარსაბის ვაჟი სიმონ I (1558-1600) მამაზე არანაკლებ მამაცურად ებრძოდა ურჯულოებს და არანაკლები მოწიწებით ეპყრობოდა პაპს. მისგანაც რომის პაპისათვის გაგზავნილი მხოლოდ ერთი წერილი შემოგვრჩა, სადაც პაპს თავის ამბავს მოუთხრობს. აი, ეს დოკუმენტი:

„სიმონ, წყალობითა ღვთისათა, მეფე ქართველთა, სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა. ყოვლად მაღალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპსა, რომელიც ხართ ოქროს ნაღარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულო ორღანო. პეტრეო მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამაღლდა მესამე ცამდე და მოისმი

1 Arch. Vat., Paul. III, 11–12 წ., ტ. V, წიგნი 245, ფურც. 286: იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 74,75.

2 იხ. Brosset, Histoire moderne de la Géorgie, ტ. II, I მოხსენება, გვ. 29—31.

კაცთაგან გამოუთქმელი სიტყუანი; მქადაგო ყოვლისა ქუეყნისა, მნათობო ეკლესიათა, სადა იპოვებიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულის რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მანათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიბისტრო, წინასწარმეტყველო მეფეთა, ბატონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმიდესო პაპო, დაბლად მუხლმოდრეკილი ვეამბორებით თქვენს წმიდა მარჯვენასა. კურთხეულ იყოს მამა ღმერთი, ძე და სული წმიდა ყოვლად წმიდა უბიწო ღვთისმშობლისა თანა. მივიღეთ თქვენი უწმიდესი და პატიოსანი წერილი, რომელიც მოგვიტანა ეჩმიაწინელმა ტერ იაკობმა, დიდის სკვიტის პროკურატორმა[1]. რადგან მისი წაკითხვა არ შეგვეძლო, მანვე პირად მოგვითხრა,რაიც დიდათ სათნო გვეყო. განუზომელად განვიხარეთ თქვენის უპატიოსნესობისა და წმიდა მეუფების გამო, რომ ხართ მეფეთა სამკაული, გამარჯვება და დიდება; რაის გამო დიდათ გულნებიერი მადლობა შევსწირეთ ყოვლისმპყრობელ ღმერთსა, დედოფალსა ჩვენსა ღვთის მშობელსა ქალწულს მარიამსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა. ინებოს და მოგვანიჭოს ყოვლად ძლიერმა ღმერთმა ჩვენ და ყოველ ქრისტიანეთა უდიდესი ძლიერება და მრავალი გამარჯვება უსჯულო აგარიანთა ზედა; ეგრეთვე თუ ჩვენ და თუ ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანეთ აღგვიმაღლოს იმედი, ნუგეშინისცემა და დიდება და არცხვინოს იგინი,რომელნიც არ აღიარებენ ჭეშმარიტ სარწმუნოებასა. ვევედრებით ყოვლადსახიერ ღმერთსა, დაიცვას თქვენი უწმინდესობის დიდი საბრძა-ნებელი და თქვენის წმიდა ლოცვით ჩვენც გვიხსნას მტერთა უსამართლობისაგან.

ეგრეთვე ვაუწყებ თქვენს სიწმიდესა, რომ ნეტარმა მამაჩემმა, წმიდა მეფე ლუარსაბმა, როგორც შეიტყობდა თქვენი სიწმიდეცა, სარწმუნოებისათვის გვირგვინი მიიღო ღვთისაგან, ვინაიდგან იესო ქრისტეს სიყვარულის გამო მოიკლა ბრძოლაში უსჯულოთა აგარიან-თაგან; მან ირჩია თავისი სისხლის დაღვრა და წამება, ვიდრე მათი ბოროტი ნების ასრულება. ამის შემდგომ, ღვთის შეწევნით, ჩვენ მივიღეთ ტახტი ჩვენის მამისა და მას აქეთ დღე და ღამე არ მოგვისვენია არაოდეს ომისაგან თვით ავდრებშიაც კი. რა ბრძოლა,, შეწუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის; დავწყლულდით ომში,ტყვედ დაგვიჭირეს სპარსელებმა[2] და ჩაგვაგდეს საპყრობილეში. გარნა ღვთის ნებით და შეწევნით, ეგრეთვე თქვენის ლოცვითა, გავთავისუფლდით ტყვეობისაგან და კვალად ავედით ჩვენს ტახტზე და ხელახლავ დავიწყეთ ომი; მრავალგზის შევებით ოსმალებს. ვგონებთ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ? მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ. ჩემ თავს გავსწირავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ჩვილ შვილსაც; დავღვრი ჩემს სისხლსა, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის; ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე და არაოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ

1 ბევრი ვეძებეთ, მაგრამ აქ მოხსენიებული წერილი ვერ ვიპოვეთ.

2 იხ. Histoire et les Aventaes de Kemski géorgienne, გვ. 28.

დაღვარა ჩემთვის. აწ, ყოვლად უწმიდესო მამაო, რადგან ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მოეცით ძალა და შეწევნა ქრისტიანეთა ერთა და დაიხსენით; ღმერთი სამაგიეროდ მოგაგებთ ზეციერ სასუფეველსა. ვიდრე ცოცხალ ვართ, ღვთის შეწევნით და თქვენის წმიდა ლოცვის ძალით, არაოდეს აღვასრულებთ აგარიანთ ნებას. მაგრამ არ ვიცით, მომავალში რა მოგველის და რა იქმნება. ამიტომ ვშიშობთ, სახიერება სირეგვნედ არ გარდაიქცეს და უსჯულოებაში არ ჩავცვივდეთ. ამიტომ მოვახსენებ თქვენს უწმინდესობას, შეეწიეთ, უყავთ წყალობა ქრისტიანებს და დაიხსენით უსჯულოთა ხელთაგან. გვედრები და გთხოვ, თქვენს წმიდა ლოცვებში ნურასდროს დაგვივიწყებთ. ეგრეთვე ნუ დაივიწყებთ ჩვენთან მოწერას, რათა ვიცოდეთ თქვენი და თქვენის კეთილის ქრისტიანე ერის კარგი ამბავი. ჩვენი გულის ყველა ნაცვრას მღვდელი ცერ იაკობ მოახსენებს თქვენს სიწმიდესა. თქვენი წმიდა ლოცვა იყოს მარადის ჩვენთან. სულით და გულით თქვენი მეგობარი. ამინ. წელსა 7104, ქრისტეს აქეთ 1546, 9 ინდიქტიონსა“[1].

ეს თარიღი მცდარია; უნდა იყოს 1578 წელი, სიმონ I-ის სპარსელებისაგან განთავისუფლების შემდეგ.

საბოლოოდ მეფე სიმონი კვლავ ჩავარდა ტყვედ, ამჯერად თურქების ხელში, რომელთა წინააღმდეგ ომი ჰქონდა გაჩაღებული მშვიდობისა და ქრისტიანობისათვის. 1600 წელს იგი კონსტანტინოპოლში წაიყვანეს, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა საპყრობილეში და სიცოცხლეც ციხეში დაასრულა.

როცა ქართული ეკლესია თითქმის განადგურებული ჩანდა, კათოლიკური მისია, ომებისა და მუდმივი გაპარტახების მიუხედავად იფურჩქნებოდა და თავის ქსელს აფართოებდა.

ის რამდენიმე საბუთი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ზუსტად მოწმობს ქართველთა ერთგულებას ქრისტიანობისადმი, განსაკუთრებით პაპის ტახტის მიმართ მათი ხელმწიფის მოწიწებას, რაც მემკვიდრეობითად გადაიქცა და მამიდან შვილზე გადადიოდა. ვერაგ მტერს რომ ცოტა ხნით მაინც ეცლია ქართველებისათვის, ისინი კათოლიკური ეკლესიის დიდი წუგეში იქნებოდნენ.

ამ თავის დასასრულს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავიხსენოთ რამდენიმე მონაკვეთი ბელგიელი პოლკოვნიკის, როტიეს მიერ საქართველოდან დაბრუნების შემდეგ დაწერილი მოხსენებიდან. როტიემ რამდენიმე წელი დაჰყო საქართველოში და ეს ანგარიში 1819 წლის 2 იანვარს წარუდგინა პროპაგანდას სათაურით „საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ“:

1 Thoma a Jesu Ordinis Carmelitarum Discalceatorum, De procuranda salute omnium Gentium schismaticorum, Anvers, 1613, წიგნი VII, თავი 21, გვ. 410—411. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ.

„... მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ნაწილ-ნაწილ იყო დაპყრობილი სპარსელების მიერ, რომლებმაც მას დიდი უბედურება დაატეხეს თავს. სპარსელებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქართველებს, განსაკუთრებით მათ სარწმუნოებას, რომელსაც სასტიკად დევნიდნენ. სპარსელები მხოლოდ 642 წლისათვის განდევნა სტეფანოზ I-მა. მიუხედავად ამისა, სიმშვიდე საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან იმავე საუკუნის დამდეგს მაჰმადის მიმდევრებმა, სახელწოდებით ხალიფებმა, რაც მაჰმადის ვიკარს ნიშნავს, იარაღის ძალით ყოველი მხრიდან დაატეხეს უბედურება ქართველებს. საქართველო მათ ბატონობას დაემორჩილა. სპარსეთმა, რომელიც ასე სასტიკად დევნიდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ეს დიდი სამეფო წინააღმდეგობის გარეშე დაიპყრო, რადგან დაყოფილი საქართველო კარგია დახვდა მტერს; სპარსეთიდან საქართველოში გამოგზავნეს მაჰმადის ერთ-ერთი ძმისწული, სახელად მურვანი, ყრუდ წოდებული; მურვანმა მეტად სხვადასხვა საშუალებით მიეზიდა სამეფო გვარის ორი წარმომადგენელი, სახელად დავითი და კონსტანტინე და აიძულა ისინი, ქრისტიანობას გადადგომოდნენ, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ მათ მხოლოდ გარეგნულად უარყვეს რელიგია[1], მისი მუქარის თავიდან ასაცილებლად, ცოტა ხნის შემდეგ არაადამიანურად მოაკვლევინა ორივე. მურვანმა საქართველოში ყოველგვარი საშინელება ჩაიდინა, ეკლესიებს ანადგურებდა, ყველაფერს სპობდა, რასაც ქრისტიანის სახელი ერქვა. მეფე მირმა, რომელიც მეფობდა იმ დროს, ვეღარ გაუძლო ასეთ არნახულ ძალებსა და ფანატიკურ მებრძოლებს და კავკასიაში გადაიხიზნა თავის სამღვდელოებასთან, ქვეყნის დიდებულებთან, ჯარისა და ხალხის ერთ ნაწილთან ერთად; თავისი ჯარის ნაწილებით დაიკავა კლდოვანი და ძლიერ პოზიციაში განალაგა ისინი. მეფე იქ წინააღმდეგობას უწევდა სპარსელებს, სანამ მტერს საკვები არ გაუთავდა და იძულებული არ შეიქნა, უკან დაეხია და საქართველო დაეტოვებინა. ამის შემდეგ მეფე მირი მცხეთაში დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა; ტახტზე ავიდა არჩილ II სტეფანოზის ძე. საქართველო ცოტა ხნით დამშვიდდა, მაგრამ ძლივს ძალა მოიკრიბა თუ არა, ახალი შემოსევის საშიშროების წინაშე დადგა. VIII საუკუნის დასაწყისისათვის მაჰმადის მეორე მთამომავალმა გამ გამ ასიმმა ხელახლა დაიპყრო საქართველო და ხმლით აიძულებდა ხალხს ქრისტიანობის დაგმობას. ეშმაკობით შეიპყრო არჩილი და არც მუქარა დაიშურა და არც დაპირებანი მის გასამაჰმადიანებლად, მაგრამ ეს მეფე ერთგული დარჩა და ტანჯვა-წამებით სიკვდილი არჩია 718 წელს ქრისტეს შემდეგ. ქართულ და ბერძნულ ეკლესიებში არჩილი წამებულად არის წოდებული. იმავე საუკუნის ბოლოს ვინმე სარკინოზი

1 ეს არ არის სწორი, რადგან XI თავში ვნახეთ, რომ დავითისა და კონსტანტინეს არასოდეს უთქვამთ უარი ქრისტიანობაზე. მოსაწყენებლადაც კი.

სახელად აბულ-კასიმი კვლავ შემოესია საქართველოს ასაოხრებლად. მან სხვათა შორის ასზე მეტი კაცი დაატყვევა, მათ შორის მთავრები და დიდებულებიც; ტყვეები გაუგზავნა სპარსეთის შაჰს, რომელიც ამაოდ ეცადა, მათთვის სარწმუნოებაზე უარი ეთქმევინებინა. სამეფო გვარის მთავარმა, სახელად გობრონმა, ტყვეებს სიმტკიცისა და გაბედულობის მაგალითი უჩვენა. ფანატიკოსმა ტირანმა ისინი ყველანი მახვილით შემუსრა.

საქართველო დიდხანს ტკბებოდა სრული სიმშვიდით ბერძენ იმპერატორთა დახმარებითა და მფარველობით, რამაც ხელი შეუწყო ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში[1] ურჯულოთა ყოველგვარი ცდის ჩაშლას.

მე-11 საუკუნის ბოლოსა და მე-12 საუკუნის დამდეგს ურჯულოებმა არაერთხელ მძლავრად შემოუტიეს საქართველოს, მაგრამ საბედნიეროდ, მათ ხელი შეუშალა მეფე დავით II-მ. დავით II-მ სხვათა შორის გაანადგურა არაბთა მთავარი დურბეზი, რომელიც სარკინოზების ჯარით თავს დაესხა საქართველოს. ამ მეფეს დიდ პატივს სცემენ საქართველოში. ეკლესიათა აღმაშენებელს უწოდებენ. ეს სწორიც არის,რადგან ამ ნაგებობათა უმეტესობა როგორც ქართლში, ასევე იმერეთშიც დავით II-ის მეფობის დროინდელია. სწორედ ამ დროს მთლად მოეღო ბოლო ცეცხლთაყვანისმცემლობას[2], და ქრისტიანული რელიგია გაბატონდა. საუბედუროდ, ქართველი სამღვდელოება უკვე გახრწნილი იყო საზიზღარი ფოტიუსის მიერ, რომელმაც ქართველებს[3], ასევე ბერძნებსა და რუსებს ჩააგონა ლათინური ეკლესიისაგან გამოყოფის იდეა.

დავით II გარდაიცვალა 1130 წელს და დაასაფლავეს მისივე დაარსებულ გელათის მშვენიერ მონასტერში, ქუთაისის მახლობლად. დავით II-ის საფლავის გვერდით დღემდე შემორჩა განთქმული დერბენდის რკინის კარის ნაწილი, რომელიც მან მოხსნა, როდესაც ეს ქალაქი ურჯულოთაგან დაიხსნა.

აქ მხოლოდ ის შემთხვევები მოვიხსენიეთ, რომელთაც ძირითადად მიზნად ჰქონდათ დასახული ქრისტიანული რელიგიის დაგმობა[4], და ჩვენს მიზანს დავმორჩილებოდით, რომ ჩამოგვეთვალა მთელი რიგი ომები და დაპყრობები, თვით ბერძენი იმპერატორების მიერ წამოწყებული, საკმარისი იქნება მკითხველს დავანახოთ, რომ ქვეყანა, რომლის რელიგიის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას შევეცადეთ, პირველი

1 როგორც ვნახეთ, საქართველოს დიდი პერიოდის მანძილზე თითქმის არც ერთხელ არ უგრძვნია ნამდვილი მოსვენება. ქვემოთ ავტორი თვითონვე ეწინააღმდეგება თავის თავს.

2 ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოში წარმართობის უკანასკნელი ნაშთი მოსპო იმპერატორმა ჰერაკლემ.

3 ქართველებს არ ეცალათ ბერძნებთან საკინკლაოდ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

4 ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, რომ ურჯულოთა ყველა თავდასხმა გამოწვეული იყო ქრისტიანული რელიგიის სიძულვილით.

საუკუნეებიდან დღემდე, უწყვეტლივ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, უობრად არც ერთხელ არ ყოფილა, რამაც არა მარტო მისი წინსვლა შეაფერხა, არამედ ხელი შეუწყო ქართული და სომხური სამღვდელოების ღრმა უმეცრებას, რომელშიც ისინი დღემდე იმყოფებიან. მათ უკვე შეითვისეს და მიიღეს ის შეცდომები, რაც აშორებთ ნამდვილ რელიგიას და ეკლესიას.

გასული საუკუნის შუა წლებში ღმერთმა გამოუგზავნა ქართველებს ერთი პატრიარქი, რომელმაც თითქმის შეუერთა ისინი კათოლიკურ ეკლესიას, მაგრამ შემდგომ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ, თუ რამ შეაფერხა იგი ამ მისასალმებელი საქმის განხორციელებისას.

თუ სპარსელები და თუ ოსმალები ხშირ-ხშირად ესეოდენ საქართველოს ჩვენ დრომდე, აოხრებდნენ ქვეყანას და ხოცავდნენ ხალხს, მევრგზის და დიდის ხნობით დასცოვეს ეს ერი (ქართველი კათოლიკები) მოკლებული თავიანთ მწყემსებს და იმ მცირე რიცხვმა კათოლიკეთა, რომელნიც ლათინის ეკლესიის მორწმუნედ დარჩნენ, სარწმუნოებაში შეურყვნელად გასძლეს თავიანთისავე ერისკაცთა წვრთნა-დარიგების მეოხებით; იმათ თავიანთი სარწმუნოება ამნაირი საშუალებით დაიცვეს ზოგჯერ მთელის ერთი საუკუნის განმავლობაში, ისე რომ თავიანთ კათოლიკე მოძღვართ ერთსაც ვერ ნახავდენ ხოლმე, რომელთაც შესძლებოდათ მათი განმტკიცება სარწმუნოებაში[1].

მხოლოდ მე-13 საუკუნეში მიიზიდა გენუელები შავმა ზღვამ სავაჭროდ. ამ მორწმუნეებმა მიიღეს ის სულიერი დახმარება, რასაც დიდხანს იყვნენ მოკლებულნი; მღვდლები არა მარტო საქართველოში ჩამოდიოდნენ, არამედ კავკასიაშიც შეაღწიეს, სადაც მათ ნამდვილი რელიგიის აყვავებას შეუწყვეს ხელი: თვით აბაზებმაც კი, რომელნიც დღეს კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდნენ, კარგად მიიღეს ისინი.

გორში აქვთ მეთხუთმეტე საუკუნის საბუთები სახლების ნასყიდობისა. სხვათა შორის შესანიშნავია ისიც, რომ ტფილისის ქუჩას უწინ ფრანგების ქუჩა რქმევია. იქ დღესაც ვხედავთ ერთის წისქვილის ახლოს ნანგრევებსა, რომელთა შორის მოიპოვება ერთი დიდი ქვა, რაზედაც იქაური მცხოვრებნი სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ, როდესაც მათ აცივ-აცხელებთ. ამბობენ, რომ იმ ადგილს აშენებული იყო კათოლიკების ეკლესიაო, რომელშიაც იყვნენ გენუელი პატრები და რომელიც ოსმალებმა მთლად გაანადგურესო[2].

მთებში მევრ მიტოვებულ ეკლესიასა და სალოცავს ვხვდებით, ზოგი ჯერ კიდევ კარგად არის შენახული; მოსახლეობას ისინი წმინდად მიაჩნია და ამბობენ, რომ ამ ეკლესიათაგან ზოგიერთში ინახება პერგამენტზე დაწერილი ლათინური რიტუალის წიგნები. ამაზედ რომ ეს წიგნები აქვთ შენახული, ნამდვილი ამბავია. ამაზედ ხანდახან იქ ჩასულ უცხოელებს აჩვენებენ ხოლმე მათ და ეუბნებიან, ესენი ჩვენი წინაპრების

1 ამ აბზაცის თარგმანისათვის იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 70.

2 ამ აბზაცის თარგმანი იხ. იქვე.

წმინდა წიგნებია და როცა მოვა მღვდელი, რომელიც მათ წაიკითხავს შეძლებს, მის მოძღვრებას მივიღებთო. ერთხელ ამაზებს ერთი მოლა გამოეცხადა. ამაზებმა უჩვენეს წიგნები, მაგრამ მოლამ გადამალა ისინი და ვერ წაიკითხა. ამის შემდეგ ამაზებმა დაასკვნეს,რომ მათი წინაპრები არასოდეს ყოფილან მაჰმადიანები და გადაწყვიტეს, არასოდეს მიეღოთ ყურანი. მართალია, თურქები დიდი ხანია ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რათა ამაზები თავის სარწმუნოებაზე მოაქციონ, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. გენუელთა სახელს ამაზები კარგად იცნობენ, ახლაც შეიძლება მთებში ვიხილოთ რამდენიმე დანგრეული ციხესიმაგრე, რომელიც მათ ეკავათ"[1].

საკვირველია, რომ ავტორი არაფერს ამბობს მონღოლთა შემოსევების შესახებ, რომლებიც არაბთა და სხვა ურჯულოთა შემოსევებზე არანაკლებ ხშირი და დამაქცეველი იყო.

1 Arch. de la Propag.. Scritture riferite nei Congressi, Giorgia, ტ. V. 1 ფურ.. 1819.

# თ ა ვ ი XV

## თურქთა და სპარსთა ახალი შემოსევები. კათოლიკური მისიის ბოლო პერიოდი. თეატინელთა მისია 1626 წ.-დან 1700 წ.-მდე

შინაარსი. — I. ქართული ეკლესიის გამოუსწორებელი დანაკარგი. ორი დიდი ურწმუნო იმპერია ერთმანეთს ედავება საქართველოს. თურქების შემოსევა და ქართველთა ამოჟლეტა. II. — ქვეყნის აოხრება სპარსთა მიერ და ქართველთა დიდად მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება სპარსეთში. III. — კახეთის დედოფლის — ქეთევანის წამება. IV. — დედოფლის მოძღვრის წამება. V. — სპარსელთა მიერ წამებული სხვა ქართველები. მათი ბატონობის მძიმე შედეგები. VI. — ქართველები იწვევენ მისიონერთა ძებნას. იეზუიტ მამათა, საქართველოს პირველ მისიონერთა წერილები. VII. — დომინიკელ მამათა მოხსენებები. VIII. — თეატინელთა მისიის დასაწყისი. პროპაგანდის წერილი, გაგზავნილი საქართველოს კათალიკოსთან. ურბან VIII-ის წერილი გაგზავნილი მეფე თეიმურაზთან. IX. — ნიკოლოზ ირბახი — თეიმურაზის დესპანი რომში; მეფის წერილი პაპს. ნიკოლოზ ირბახის მიერ წმინდა რეზიდენციაში წარდგენილი თხოვნა. ურბან VIII-ის წერილები გაგზავნილი ესპანეთისა და საქართველოს მეფეებთან. X. — თეატინელთა ჩამოსვლა საქართველოში. მათი მიღება მეფის მიერ. მათი ღვაწლი. XI. — ნიკოლოზ ირბახის დაბრუნება საქართველოში. მისი მცდელობა უნიის მისაღწევად. თეიმურაზის წერილი ურბან VIII-ს. პროპაგანდა გზავნის სხვა მისიონერებსაც და წერილებს უგზავნის საქართველოს მეფესა და ნიკოლოზ ირბახს. XII. — თეატინელ პიეტრო ავიტაბილეს დაბრუნება რომში და მისი მოხსენება საქართველოს შესახებ. ავიტაბილეს დაბრუნება საქართველოში და ურბან VIII-ის წერილი საქართველოს მეფეს. პროპაგანდის წერილი კათალიკოს ზაქარიას. მეფის სიხარბე; მისი გულის აცრუება მისიონერებზე. მეფის გაქცევა, სპარსთა შემოსევა. XIII. — ისპაანის ლათინი ეპისკოპოსის იერისდიქცია და პროპაგანდის კოლეჯის დაარსება საქართველოს მისიონისათვის. XIV. — თეატინელთა მოღვაწეობა და მათი ახალი მისიონი სამეგრელოში. ურბან VIII-ის წერილი სამეგრელოს მთავარს. XV. — თეატინელთა ახალი მისია გურიაში და კათოლიკობის წარმატება. თავადის ასულ ელენეს მოქცევა და მისი

სიმტკიცე კათოლიკობაში. მთავარ-კათალიკოსის გარდაცვალება და მისი მემკვიდრის ავი ზრახვები. XVI. – ახალი მისია იმერეთში. ურბან VIII-ის წერილი, გაგზავნილი აქაურ მეფესთან. ბერძენ პატრიარქთა გაგულისება; საქართველოში ალექსანდრიის პატრიარქ ნიკიფორეს გამოგზავნა მისიონერთა გასადევნად. იმერეთის მისიის მიტოვება. XVII. – მისიონერთა საქმიანობა სამეგრელოში და მათი გარჯა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. მისიონერები ამხელენ ნათლისღების ნაკლოვანებას და თავიდან ნათლავენ ბავშვებს. XVIII. – მოქცევა ორი არქიეპისკოპოსისა და მთავარ დადიანისა. მთავარი დადიანი ურბან VIII-ს უგზავნის პატრ დი ჯუდიჩეს, რომელსაც მასთან აქვს წერილი. სამეგრელოს მისიის წარმატება. XIX. – თეატინელები ტოვებენ საქართველოს მისიონერთა სიმცირის გამო.

## I. – ქართული ეკლესიის გამოუსწორებელი დანაკარგი. ორი დიდი ურწმუნო იმპერია ერთმანეთს ედავება საქართველოს. თურქების შემოსევა და ქართველთა აწიოკება.

ჩვენ ვნახეთ,რომ ქართული ეკლესია ყოველთვის ასე თუ ისე იმარჯვებდა იმ მრავალრიცხოვანი შემოსევისა და ომის ქარტეხილში, რომელთაც საქართველოს თავს ატეხდა ქრისტიანობის დაუძინებელი მტრები საუკუნეების მანძილზე. ასეთი დიდებული წარსულის საფუძველზე მოსალოდნელი იყო, რომ ქართული ეკლესია ბოლოს და ბოლოს ხანგრძლივ სიმშვიდეს მოიპოვეებდა, ანდა, თუ უბედურება ეწეოდა, არნახულ გამარჯვებას მიაღწევდა. სამწუხაროდ, სულ პირიქით მოხდა. მართალია, იგი საბოლოოდ არ განადგურებულა, მაგრამ ახალ გაჭირვებათა შემდგომ, სულს დაფავდა, დასახიჩრდა და ლამის აღესრულა. დაკარგა ბევრი კუთხე, მტრებმა რომ გამოგლიჯეს და ვერასოდეს ველარ დაიბრუნა, ამასთან, ათასობით ყმაწვილი; აი, ასეთ დღეში იყო ქართული ეკლესია XVI საუკუნიდან დღემდე.

ჩვენ სწრაფად მიმოვიხილავთ ჯერ თურქებისა და სპარსელების შემოსევას, შემდეგ უფრო ვრცლად შევჩერდებით კათოლიკური მისიის სხვადასხვა წარმომადგენელთა მოღვაწეობაზე.

თურქეთისა და სპარსეთის ორი დიდი ურწმუნო იმპერია, რომელთაც უკვე ურთიერთდაუზოგავი მტრობა ყოფდა ერთმანეთისაგან, ერთიმეორის დათრგუნვას ცდილობდა. XVI საუკუნეში ეს მტრობა გამწვავდა და ზღვარს მიაღწია. ზემოხსენებულ იმპერიათა აზრით, საბოლოოდ გაიმარჯვებდა ის იმპერია, რომელიც საქართველოს ტერიტორიას დაიპყრობდა. მაშასადამე, საქართველო თურქეთსა და სპარსეთს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. ეს ორი სახელმწიფო იმასაც ფიქრობდა, რომ საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებდნენ, თუ

იქ ქრისტიანული რელიგია იქნებოდა. ამრიგად, ადვილი წარმოსადგენია ის საშინელებანი, რაც ამ ბარბაროსმა ერებმა საქართველოს დაატეხეს თავს.

როცა თურქებმა კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის ბერძნული იმპერიები დაამხეს, ვეღარაფერმა შეძლო მათი დამანგრეველი სვლის შეჩერება. განსაკუთრებით აღმოსავლეთისაკენ. ისინი სწრაფად მიიწევდნენ წინ, საქართველოსაკენ. ქართველებმა ჯარების სიმცირის გამო ბევრი ბრძოლა წააგეს ურიცხვ მტერთან.

ენით აუწერელი სიმამაცით დაიცვეს ქართველებმა თავიანთი რწმენა და სამშობლო, მშობლიური მიწის თითოეული გოჯი, მაგრამ განუწყვეტელი შემოსევების დროს ბოლოს და ბოლოს მტრის სიმრავლით დაიჯაბნენ.

1577 წელს თურქებმა დასავლეთ საქართველოში შეაღწიეს; გზადაგზა ყველაფერი დაანგრიეს, გაანადგურეს, ამასთანავე ფანატიკურად შეეცადნენ ხმალამოღებულებს გაევრცელებინათ თავიანთი რელიგია[1]. ბევრმა ქართველმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მათ და არაერთმა გმირულად დაღვარა სისხლი ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამ დროის მოწამეთა რიცხვი დიდი უნდა იყოს, რამეთუ დამპყრობლების მიერ განადგურებული ქალაქები და სოფლები უთვალავია. საკმაოდ ბევრმა ქრისტიანმა გაქცევა მოახერხა.

ზოგიერთმა ქართველმა, სამწუხაროდ, სისუსტე გამოიჩინა, სამარცხვინოდ უარყო ქრისტიანობა, თუმცა ზოგჯერ მხოლოდ გარეგნულად, და მაჰმადიანობა აღიარა. თურქებმა საქართველოს ამ კუთხეში ჯერ ხალხი საერთოდ ამოჟლიტეს, შემდეგ კი დაიმორჩილეს, ეკლესიები გაძარცვეს და მეჩეთებად აქციეს. განადგურებული ძეგლების ნარჩენები მრავალმეტყველად სდებენ ბრალს თურქთა დაუნდობლობასა და ტირანიას. დასავლეთ საქართველოს ფართო და მნიშვნელოვანი მხარის — სამცხის (მესხეთი ანუ მოსხიკი, როგორც ძველად ეწოდებოდა) ხელში ჩაგდების შემდეგ თურქებმა იქ ქრისტიანობაც აღმოფხვრეს. დღესაც კი ათასობით აქაური მცხოვრები, მიუხედავად იმისა, შენარჩუნებული აქვთ ქართულ ენაზე მეტყველება და იცავენ თუ არა ქართულ ადათებს, მუსლიმანია. ნაკლებად საიმედოა ამ რჯულგამოცვლილთა კვლავ მოქცევა ქრისტიანებად, რადგან მათ ძლივს ახსოვთ თავიანთი თავდაპირველი რელიგია, გარდა ამისა, ამ კუთხის დიდი ნაწილი ახლაც თურქეთის ხელშია.

აი, რას ამბობს ამ უბედურთა შესახებ მოგზაური დიუბუა, რომელიც მათ ქვეყანას ესტუმრა:

---

1 ი.თომას მინადოიმ, რომელიც ექიმად ახლდა თურქთა ჯარს, 1577-1585 წწ.-ში, ეს ომი შემდეგ წიგნებში აღწერა: Historia della guerra fra Turchi et Parsiani, Turin, 1588. იხ. G. de Hammer, Storia dell'Inpero Osmano, Venise, 1830, ტ. XIII, გვ. 103, 131.

„აქაური მცხოვრებლები, მიუხედავად მაჰმადიანობისა, ლაპარაკობდნენ ქართულად და ამავე დროს ესმოდათ თურქული. ესენი საათაბაგოს (იგივე სამცხე) ის ძველი ქართველები არიან, რომლებიც 1625 წ.-ს, საფარ ფაშამ აიძულა, მაჰმადიანობა მიეღოთ. საფარ ფაშას შვილი იუსუფ ფაშა და შვილიშვილი როსტომი, მასზე უფრო ულმობელნი, სასტიკად ექცეოდნენ ქართველებს, რათა საბოლოოდ მოექციათ მაჰმადის სჯულზე; საკვირველია, რომ თურქები ძალს მხოლოდ ქართველებს ატანდნენ და არა სომხებს. სულთანმა სომხებს რწმენის გარკვეული თავისუფლება მიანიჭა"[1].

ზემოაღნიშნულ 1625 წლამდე საკმაოდ ბევრმა სამცხელმა კათოლიკემ მიიღო სომხური წესი, რადგან კარგად ხედავდნენ, რომ მეზობელ სომხებს რწმენის შესაცვლელად ძალას არ ატანდნენ. მათ ამგვარად შეძლეს თავიანთი რწმენისა და სიცოცხლის გადარჩენა. დღეს კი, რადგან ეს იძულება აღარ არსებობს, ალბათ ისურვებდნენ, დაბრუნებოდნენ ქართულ ან ლათინურ რწმენას, რომელიც საქართველოში XIII საუკუნიდან არსებობს.

## II. — ქვეყნის აოხრება სპარსთა მიერ და ქართველთა დიდად მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება სპარსეთში

თავის მხრივ არც სპარსეთი იჩენდა ნაკლებ სისასტიკესა და სიბეჯითეს თავისი შემაძრწუნებელი განზრახვის აღსასრულებლად. ეს

1 Dubois de Monpéreux, Voyage autour du Caucase, Paris, 1839, ტ. I, გვ. 299.

თურქებმა რელიგიის თავისუფლება სომხებს იმიტომ მიანიჭეს, რომ ისინი ხშირად მოენეების როლს ასრულებდნენ, რასაც ადასტურებს ისტორიის მიერ შემონახული მრავალი ფაქტი. აი, ერთ-ერთი მათგანი XV საუკუნის ერთი მოგზაურის მიერ მოთხრობილი:

„ოტომანებს უკვე შეატყობინეს აქაური გრანდიოზული საბრძოლო მზადების ამბავი და ვიცი, რომ ყველაფერი უწყიან, რაც მათ წინააღმდეგაა მიმართული. ყოველივეს მათი სომეხი ჯაშუშები აკეთებენ. ეს საშინელი ხალხი სპარსეთისა და ჩვენი დაუძინებელი მტერია. თქვენ იცით, რომ სომხები თურქებმა მოისყიდეს, სომხებმა ტრაპიზონი და თქვენი იმპერია მაჰმადიანებს ჩაუგდეს ხელში: გასცეს თქვენი მამა ტრაპიზონის იმპერატორი და მთლიანად ამოწყვიტეს თქვენი ოჯახი. სიძუნწე მათი რელიგიაა, მონობა — მათი ინსტინქტი. ისინი სულ ჰარამხანაში არიან, როგორც ვაჭრები და შუამავლები. ზოგჯერ კეთილშობილთა ყალბ ტიტულებს ყიდულობენ და მას აფარებენ თავს დასავლეთში; რაღაც მოჩვენებითი დიდებულებით მეგობრებს იჩენენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სრულიად ადვილად გაიგონ ყოველივე, რაც სახელმწიფოსა და ჩვენი სარწმუნოების მტრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. და თუმცა მთავრობის შეუვალი საიდუმლოს გამოტანა ადვილი არ არის, ისინი მაინც ხშირად ახერხებენ მნიშვნელოვანი საიდუმლოებების ოტომანებისთვის შეტყობინებას, რომელთა მიწაზეც თავიანთ ბინებს და სარფიან სამსახურს ეწევიან. სულთანს უკვე აცნობეს ბიზანტიისა და ვენეციის რესპუბლიკის დიდი მზადებებისა და ყველა სახელმწიფოში ხელშეკრულებებისა და ელჩების გაგზავნის ამბავი". Caterin Zeno, Storia delle sue aventure in Persia (1471), Venise, 1783, გვ. 35-36.

განზრახვა გულისხმობდა აღმოსავლეთ საქართველოს დარბევას, რათა საკადრისად დახვედროდა სპარსეთი ძლიერ მტერს, რომელიც სულ უფრო უახლოვდებოდა მის საზღვრებს. ამგვარად, ორმა ბარბაროსმა, თავიანთ წინამორბედთა კვალდაკვალ, პირისაგან მიწისა აღგავეს წარსულში ხალხით, ბუნებრივი რესურსებითა და ძეგლებით მდიდარი ქვეყანა[1].

სპარსეთის შაჰები მუდამ ჯიჯგნიდნენ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს. დიდად საუბედუროდ, ამ დროისათვის სპარსეთის ხელმწიფე იყო აბას დიდი (1557-1628), რომელიც ტირანობითა და ქრისტიანობისადმი სიძულვილით ბევრად აღემატებოდა თავის წინამორბედებს.[2] ზემოთ მოხსენიებული უბედურებანი ვერც კი შეედრება საშინელებას, რაც ამ ტირანმა ქართულ ეკლესიასა და ქართველ ერს დაატეხა თავს.

თავისი დამპყრობლური ზრახვების უკეთ განხორციელების მიზნით აბას დიდი ქართველ თავადთა შორის უნდობლობას თესავდა და მათ ერთმანეთთან საომრად აქეზებდა. აი, მისი ვერაგობის ერთი მაგალითი:

„ამ დროს შაჰ-აბასი წერდა ყაზახის ხანს: „შეაგროვე ახლომახლო ჯარები და თავს დაეცი მეფე ლუარსაბს, მოკალი და მისი თავი გამომიგზავნე". ის იმავეს წერდა მეფეს, რომელმაც სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი, დაესხა ხანს, მოკლა და მისი თავი ყაენს გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა ჯილდოდ მას ძვირფასი საჩუქრები გადასცა; ამგვარად მოქმედებდა შაჰი, რათა მეფის ძალ-ღონე მოესინჯა"[3].

შაჰ-აბასი მრავალჯერ შეიჭრა დიდი ჯარით საქართველოში, მახვილით გადაუარა მცხოვრებლებს და სპარსეთში გადაასახლა ცოცხლად დარჩენილთა დიდი ნაწილი, მეტადრე კახეთიდან, რათა ადვილად დაეტოვებინებინა მათთვის ქრისტიანობა, ხოლო ქართველე-

1 „იბერიის უმეტესი ნაწილი ქალაქებსა და მოსახლეობას ეკავა. აქ იყო ალიზის სახლები, სხვადასხვა სახის წარმოება, ნაგებობები, მოედნები და სამხედრო აღჭურვილობა". Pie II, Asiae Europaeque descriptio, Venlse, 1534, გვ. 50.

2 იხ. Relation des grandes guerres et victoires obtenues par le Roy de Perse, Cha Abbas, Rouen, 1646. დაწერილი ანტუან დე გოვეა პორტუგალელის მიერ, რომელიც ჯერ დესპანი იყო, ხოლო შემდეგ მისიონერი სპარსეთში 1610 წლიდან.

3 Brosset, Histoire moderne de la Géorgie, ტ. II, ნაწ. I, გვ. 49.

ბის ნაცვლად იქ სპარსელები და სომხები დაასახლა, უკეთ რომ განემტკიცებინა თავისი ბატონობა[1].

ავტორები სხვადასხვა აზრისანი არიან გადასახლებულ ქართველთა ზუსტი რაოდენობის შესახებ.

„როცა თურქებმა დატოვეს საქართველო, ვკითხულობთ „კემსკი ქართველის ისტორიასა და თავგადასავალში", – აბასი დაბრუნდა საქართველოში ჯარით, ააშენებინა ციხესიმაგრეები და ორმოცდაათ ათას ოჯახზე მეტი გადაასახლა შირვანისა და მაზანდარანის პროვინციებში და სომხეთში, ხოლო მათ ადგილას სპარსები და სომხები დაასახლა"[2].

გამბა წერს, რომ 1618 წ-ს, როცა შაჰ-აბასმა ხელში ჩაიგდო საქართველო თურქების შემდეგ, რომლებიც იქ დაახლოებით ოცი წელი მატონობდნენ, ოთხმოცი ათასი ოჯახი, ანუ დაახლოებით 500 000 სული წაასხა სპარსეთში და ყველაზე მორეულ პროვინციებში მიმოფანტა[3].

ჩვენი აზრით, ამ საკითხში ყველაზე სარწმუნოა თეატინელი პატრი ჯუსტო პრატო, რომელიც ხსენებული მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მისიონერად წავიდა სისხლით მორწყულ ადგილებში. საქართველოს შესახებ ის 1633 წლის 16 ოქტომბერს პროპაგანდას გრძელი მოხსენება მისწერა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ გადასახლებულ ქართველთა რიცხვი 60 000 ოჯახს შეადგენდა, და რომ ამ ქვეყანაში თითოეული ოჯახი სულ მცირე ოც სულს ითვლიდა[4].

---

1 „მაჰმადიანური ცრუ სარწმუნოების ფიცხელი მოშურნე სპარსეთის მეფე 1617 წელს შეეცადა ქართველი და მეზობელი პროვინციების თავადები, მის მიერ მზაკვრობით შეპყრობილნი, პირფერობითა თუ მუქარით, ქრისტეს სჯულის უარყოფაზე დაეყოლიებინა და ამგვარად მთელს მხარეში მაჰმადიანობა დაემკვიდრებინა. როცა ვერაფერს გახდა, თავადთა წმინდა სიმტკიცით გამძვინვარებულმა ისინი თვისტომებთან ერთად ამოხოცა. ამათ შორის გაბრწყინდა მეტადრე მარიამ დედოფლის შეუდრეკელი მხნეობა. მრავალი ცდუნებით გამოიცადა იგი, მაგრამ ავგუსტინელ პატრთა გამხნევების წყალობით მარად მტკიცედ რჩებოდა სარწმუნოებაში და მარტვილობის რჩეული გვირგვინი დაიდგა". D. De Gubernatis, Orbis Seraphicus De Missionibus inter infideles, Rome, 1689, ტ. I, გვ. 437-445. დედოფალი მარიამი, რომელიც აქ არის დასახელებული, არ მოიხსენიება ისტორიაში. როგორც ჩანს, ლაპარაკია ქეთევან დედოფალზე, რომელსაც შემდეგ შევეხებით.

2 Histoire et les Aventures de Kemski géorgienne, Paris, 1697, გვ. 25.

3 Voyage dans la Russie, Paris, 1826, ტ. II, გვ. 184. იხ. Chopin, Univers pittoresque, ტ. II, გვ. 29.

4 „დღეს მთელი სპარსეთი სავსეა რენეგატი ქართველებით და მათ ხელშია მმართველი სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილი, თანაც თვით სპარსეთის მეფეც ქართველი ქრისტიანი ქალის ვაჟია. 20 წლის წინ შაჰ-აბასმა საქართველო დაარბია, იქიდან 60 000 ოჯახი წაიყვანა, თითოეული ოჯახი კი სულ ცოტა 20 სულისაგან შედგებოდა, და ამ ხალხით გაამდიდრა სპარსეთი. ახლა მათმა უმრავლესობამ უარი თქვა საკუთარ სარწმუნოებაზე, განსაკუთრებით კი შვილებმა, რომლებმაც ცოტა რამ იცოდნენ თავიანთი სარწმუნოების შესახებ. როგორც შევნიშნეთ, ჯარში ორივე ნაწილს შეადგენდნენ რენეგატი ქართველები და სომხები, ხოლო საუკეთესო თანამდებობები, თვით სარდლის ჩათვლით, რენეგატ ქართველებს უკავიათ". Arch. de la Propag., Persia, Giorgia, Mengrelia e Tartaria, ტ. CCIX, გვ. 331-332.

ჯუსტო პრატოს აზრით, შაჰ-აბასს სპარსეთში უნდა წაეყვანა დაახლოებით 1.200000 ყველა წოდების ქართველი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ქვეყანაში, თითოეული ოჯახი, დღესაც საშუალოდ თხუთმეტ სულს ითვლის. ქართველთა იძულებითი გადასახლების თარიღად 1614, 1615, 1617 წლებია მიჩნეული.

ცნობილმა რომაელმა პატრიციუსმა პიეტრო დელა ვალემ თავისი თვალით იხილა საცოდავ დღეში ჩავარდნილი ქართველები სპარსეთში, სადაც თვითონ 1619—1622 წლებში იმყოფებოდა. მას ქართველებთან დიდი ურთიერთობა ჰქონდა და არა მარტო ნათლია გახდა ზოგიერთი ქართველისა, არამედ ცოლადაც კი შეირთო ახალგაზრდა ქართველი ტყვექალი, რომელიც სპარსელებისაგან იყიდა. პიეტრო დელა ვალე ვრცლად ლაპარაკობს ქართველებზე თავის „საინტერესო მოგზაურობაში"[1]. აი, როგორ აგვიწერს ქართველთა ამ უდიდეს გადასახლებას საქართველოს შესახებ დაწერილ მოხსენებაში, რომელიც ურბან VIII-ს წარუდგინა 1625 წელს:

„...1613 წელს, თუ არ ვცდები, გაუფრთხილებლად, სპარსეთის მეფე ძლიერი ჯარით შეიჭრა საქართველოში იმ საბაბით, რომ თეიმურაზმა მისი ნებართვის გარეშე ცოლად შეირთო შარკაზხანის მეფის ასული, ლუარსაბის და, რომლის ცოლობა ადრე მას აღუთქვეს. როცა სპარსეთის მეფე საქართველოს საზღვრებს მიუახლოვდა, თეიმურაზსა და ლუარსაბს შეუთვალა თავის ბანაკში ხლებოდნენ, გაეხსენებინათ ეს ამბავი და ქალიც მიეყვანათ. თეიმურაზის ქორწინება უნდა გაუქმებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხნის წინ ექორწინა მას; თითქოს რაც მუსულმანებთან ჩვეულებრივ ამბად იყო მიჩნეული, ქართველებშიც ნებადართული ყოფილიყოს. ქართველი მეფეები მოულოდნელად შეიპყრეს... ბოლოს, დაახლოებით 1621 წელს, უბედური ლუარსაბი მშვილდისარით მოაშთვეს იმავე ციხესიმაგრეში, სადაც ის ტყვედ იმყოფებოდა... შემდეგ იოლად დაატოვებინეს ქართველებს სახლები (ადვილი წარმოსადგენია, თუ რა არეულობას გამოიწვევდა მთლიანად ერთი კუთხის გადასახლება): კაცები, ქალები, კეთილშობილები და მდაბიონი, დიდები და პატარები, ყველა ასაკისა და მდგომარეობის ხალხი, იმ სარჩო-საბადებელთან ერთად, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, შაჰ-აბასმა წინ გაიგდო და სწრაფად გაუდგა გზას თავისი ქვეყნისაკენ, სალ-სალამათად ჩაიყვანა ისინი თავის სამფლობელოში და საქართველოდან ყველაზე უფრო შორს მდებარე უკაცრიელ პროვინციებში დაასახლა. ამიტომ დღეს კირმანი ანუ კარმანია, მაზანდარანი კასპიის ზღვასთან და ბევრი სხვა ადგილი სავსეა ქართველებით და ჩერქეზებით... მათი უმრავლესობა დღესაც ქრისტიანია, მაგრამ მეტად დაუხვეწავი ფორ-

1 იხ. **Pietro Della Valle, Viaggi, Bologne,** ტ. **II, 1687,** გვ. **198-537.**

მით,რადგან არც მღვდლები ჰყავთ და არც მოძღვრები, რომლებიც გადასახლებულთა განათლებაზე იზრუნებდნენ, ხოლო ვინც ჰყავთ, ვერ აუდიან ამდენ სხვადასხვა ადგილებს მიმოფანტულ ხალხს, ანდა ისეთი უმეცარნი არიან, არავითარი სარგებლობის მოტანა არ ძალუძთ... ყოველ მაღალი მდგომარეობის კაცს ცოლად ქართველი ქალი უნდა, რადგან ქართველები მეტად ლამაზი ჯიშის ხალხია. თვით მეფის სასახლეც კი სავსეა ქართველთა ქალებითა და კაცებით, რადგან მეფე სხვას არავის იმსახურებს. ამ საცოდავებმა, რომლებიც მონებად ჩამოიყვანეს, ან ძალდატანებით, ან ცდუნების შედეგად, უარყვეს თავიანთი რწმენა, ანდა ისე იქცევიან, თითქოს უარყვეს: მე ბევრს ვიცნობდი, რომელნიც ჩუმად თავიანთი რწმენის ერთგულნი იყვნენ, რადგან სამწუხაროდ შეცდომით სჯეროდათ, რომ ღვთისათვის ესეც საკმარისი იყო. ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა ყველაფერ იმის მოყოლას,რაც ამ საცოდავთა გადასახლებას მოჰყვა: ვინ მოთვლის ამდენ მკვლელობას, ტანჯვით აღსრულებას, ძარცვას, გაუპატიურებას, ძალმომრეობას, სასოწარკვეთას, მშობლების ხელითვე დამხრჩვალ ან წყალში გადაყრილ ბავშვს. ბევრი ბავშვი მოჰგლიჯეს დედის მკერდს და ჯერ კიდევ უსუსურნი გზებზე დაყარეს მხეცების შესაჭმელად, ბევრი მათგანი კი ცხენებსა და აქლემებს ჩაუყარეს ფეხებში, მთელი დღე რომ მათ გვამებს თელავდნენ; ბევრი ვაჟი დააცილეს მამას, ცოლი-ქმარს, დები-ძმებს, სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნეს და ერთმანეთის ნახვის ყველა იმედი მოუსპეს; ბანაკში ქალებსა და კაცებს ცხოველებზე საგრძნობლად იაფად ყიდდნენ, რადგან ძალიან ბევრნი იყვნენ. ვინ იცის, კიდევ რამდენია მსგავსი ფაქტი, რომელიც უდიდეს თანაგრძნობას იმსახურებს"[1].

ქართულმა ეკლესიამ აღმოსავლეთ საქართველოში უდიდესი და გამოუსწორებელი დანაკლისი განიცადა, მაგრამ მაინც შეძლო თავი ენუგეშებინა თავისი შვილების, მათ შორის მეფისა და დედოფლის მარტვილობით, რომლებიც წმინდანებად შერაცხა. შაჰ-აბასმა მოტყუებით შეიპყრო ლუარსაბი (1605-1616) და სპარსეთში წაიყვანა, სადაც დიდხანს ჰყავდა დატყვევებული, შემდეგ კი მოაკვლევინა. ისტორია ასე ყვება მისი წამების ამბავს[2].

„შაჰ-აბასმა ლუარსაბს მოსთხოვა, უარყო ქრისტიანობა. მეფემ უარი განაცხადა. მაშინ შაჰმა პირმოთნეობა, ლამაზი დაპირებები და მუქარა გამოიყენა; მეფემ კი ღირსებით სავსე წინააღმდეგობის გაწევის გამო თავისუფლება დაკარგა. ლუარსაბი შეუერთდა სათაყვანებელი

1 Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, ფურც. 102 და ა.შ.

2 იხ. იქვე, №13; Bartolomeo Ferro, Istoria delle Missioni de'chierici Regolari, Rome, 1704, ტ. I, გვ. 92 და შემდ.

უფლის სისხლსა და ხორცს და ააცირა მთავრები, როგორც საქართველოში მიცვალებულის წინაშე ხდება ხოლმე. დე, ჩემი სულის გზაც ეს იყოს, ეუბნებოდა მათ გალობით. შაჰ-აბასმა მეფე გულამ-ყალას ციხეში გაგზავნა შირაზში, იქ დაატყვევა, მაგრამ რადგან მეფის რწმენა ვერ განელდა, შაჰ-აბასმა კაცი მიუგზავნა ციხეში, რომელსაც მისი დახრჩობა დაავალა მშვილდის ლარით, გულამ-ყალაში 1622 წელს. ლუარსაბი წამებულად იქნა შერაცხილი“[1].

## III. — კახეთის დედოფლის — ქეთევანის წამება

კიდევ უფრო ცნობილია კახეთის დედოფლის, სახელგანთქმული მეფის — თეიმურაზის — დედის, ქეთევანის წამება.

ქეთევანიც შაჰ-აბასმა წაიყვანა სპარსეთს სხვა ქართველებთან ერთად, სადაც ტყვედ იყო რამდენიმე წელი. შაჰი აიძულებდა მას უარეყო ქრისტე, მაგრამ ქეთევანი მედგრად ეწინააღმდეგებოდა. შირაზში თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში ქეთევანი სულიერად გაამხნევეს კარმელიტმა მამებმა, რომლებმაც არ მოაკლეს წმინდა შეგონებები. ქეთევანი სხვადასხვა მეთოდებით აწამეს სპარსელებმა სიმტკიცის გამო. მან მამაცურად აიტანა ტანჯვა და ბოლოს დიდებით აღესრულა 1624 წლის 22 სექტემბერს. აი, თარგმანი წერილისა, რომელიც დედოფლის სიკვდილს შეეხება და რომელიც ავგუსტინელმა ბერებმა პროპაგანდას გაუგზავნეს 1640 წელს:

„ქეთევან დედოფლის შირაზში ჩაყვანის შემდეგ იქ მყოფი ძმა ამბრუაზი დაუახლოვდა მას და მის თანმხლებ დაახლოებით ორმოც კაცს. დედოფალი დადიოდა მესაზე ძმა ამბრუაზის ეკლესიაში და ამჟღავნებდა კათოლიკური რელიგიისადმი მიდრეკილებას. მან შეუთვალა ძმა ამბრუაზს, ჩემი მხლებლები აღდგომის წინა მარხვის დროს აზიარეო. ხოლო წმინდა მამა ავგუსტინეს დღესასწაულზე მას თავისი სამლოცველოდან სურათები, შანდლები და ნოხები გაუგზავნა ეკლესიის შესამკობად, აგრეთვე ერთი კანდელაკიც. მაშინ, როდესაც ძმა ამბრუაზს უკვე იმედი ჰქონდა, რომ თავისი შრომის ნაყოფს მოიმკიდა და ამ ხალხს მოაქცევდა, სპარსეთის შაჰმა რამდენიმე მრჩეველი შირაზს გაგზავნა და მათი პირით ქეთევან დედოფალს შეუთვალა, მაჰმადიანობა მიეღო, რის შემდეგაც ცოლად შეირთავდა და დიდძალი სიმდიდრითაც დაასაჩუქრებდა. ხოლო თუ უარს ეტყოდა, საშინელი ტანჯვით მოაკლევინებდა. დედოფალმა უპასუხა, არაფრის დიდებით არ მივატოვებ ჩვენი უფლის, ქრისტეს რწმენას, და არც ჩემს პატიოსნებას ვულალატებ, რაც ქვეყნად არსებულ ყველა განძს მირჩევნიაო.

1 **Brossel**, Histoire moderne de la Géorgie, ტ. II, ნაწ. I, გვ. 51; იხ. Pietro Della Valle, Viaggi, ტ. II, გვ. 203, 454 და ზემოთ დამოწმებული მისი ცნობა.



სპარსელთა მიერ წამებული ქეთევანის პორტრეტი, 1624. საბინინის ნახატი.

ვეზირები შეევედრნენ დედოფალს, თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი წამება და შეებრალებინა თავისი ნაზი სხეული, მაგრამ რაკი სიმტკიცე ვერ შეარყიეს, უთხრეს, მომზადებულიყო საწამებლად, დედოფალმა კი

ნემართვა ითხოვა, ელოცა. როცა ამაზე დათანხმდნენ, თავის სამლოცველოში შევიდა, მუხლი მოიყარა და შესთხოვა ჩვენს უფალ ღმერთს, შეეწყალებინა, რომ შემლებოდა სარწმუნოებისათვის ყველა ტანჯვა აეტანა. ამის შემდეგ დედოფალი სამლოცველოდან გამოვიდა და ვეზირებს უთხრა, შეესრულებინათ შაჰის ბრძანება. ვეზირებმა კიდევ ერთხელ შესთხოვეს, თავი დაეზოგა, რომ მისი ქალური სუსტი არსება საზიზღარი სიკვდილით არ დასჯილიყო. დედოფალმა კი უპასუხა, ამაოდ მთხოვთ გადარწმუნებასო. შაჰის ვეზირებმა უკვე დაანთეს ცეცხლი და შიგ რკინის მაშები ჩააწყვეს, რომლებიც ძალიან გაახურეს, დედოფალი გააშიშვლეს და ყელიდან წელამდე ცხელი მაშებით ულმობლად ააგლიჯეს ნაზი ხორცები, სანამ სულთმობრძავი ძირს არ დაეცა, თუმცა მაინც მხნედ და მტკიცედ აგრძელებდა დიდი ღმერთის მოხმობას. როცა დედოფალი მიწაზე დაეცა, შაჰის ვეზირებმა აიღეს ნაკვერჩხლები და ზედ დააყარეს, ბოლოს კი მშვილდის ლარით მოაშთვეს. უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფალი ცაში იმყოფება და ტკბება ღვთის მიერ მოძემული დიდებით, რადგან მიუხედავად თავისი მართლმადიდებლობისა, დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული წმინდა კათოლიკური ეკლესიისა და ყველა ლათინელის მიმართ, რასაც მათივე მეშვეობით ამჟღავნებდა. ისე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენთან, წარმოუდგენელია წინააღმდეგი ყოფილიყო კათოლიკური ეკლესიისა. ამ ქვეყნის ხალხებში ხმა გავრცელდა, რომ მის საფლავს მრწყინვალე შუქი დაეცა“[1].

---

1 Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №14. იხ. A. Lamberti, Sacra Istoria dei Colchi, Naples, 1657, გვ. 64-65; C.Castelli, Descriptio originis missionum Theatinorum in Regno Giorgia, პალერმოს საქალაქო ბიბლიოთეკა, აღმოსავლური კოლექცია, ხელნაწ. 94, გვ. 228-229.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი სხვა მოხსენებიდან, რომელიც პროპაგანდას წარუდგინა თეატინელმა პატრმა მოსქომ 1628 წ-ს. თვითონ მას ეს ამბავი გაგონილი ჰქონია ერთი ქართველი ელჩისგან, რომელიც რომში 1626 წ-ს ჩამოსულა:

„შეურაცხყოფილმა და განრისხებულმა სპარსელმა მოაყვანინა თეიმურაზის დედა, ქეთევანი, რომელიც მრავალი წელი დატყვევებული ჰყავდა. როცა ქეთევანი დაატყვევეს, თეიმურაზი კონსტანტინოპოლს შეეხიზნა. სპარსელი ქეთევანისგან მოითხოვდა გათურქებას, ან სიკვდილს. ქეთევანმა მიუგო, როგორც აქამდე შევინარჩუნე ქრისტიანობა, ასევე ქრისტიანად მინდა სიკვდილიო. წმ. ტერეზას ფეხშიშველა ბერს დაუძახეს და ქეთევანმა მას აღსარება უთხრა მთელი რიტუალის დაცვით. შემდეგ მეფემ ბრძანა, გაეშიშვლებინათ ქეთევანი, მისთვის ორი ნახვრეტი გაეკეთებინათ მხრებზე და ჩაერჭოთ ორი ანთებული ჩირაღდანი. ამის შემდეგ აქლემზე შესვეს და ქალაქისკენ წაიყვანეს. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ ადუღებული ზეთით სავსე ქვაბში ჩასვეს. სპილენძის ჭურჭელი ჩამოაცვეს თავზე და ასე განუტევა სული. თეიმურაზმა ძალიან განიცადა დედის სიკვდილი, მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ დედამისმა ქრისტიანობის შენარჩუნებით ტირანზე გაიმარჯვა“. Arch. de la Propag., Tartaria, Soria, Persia e Giorgia, ტ. CXLVII, გვ. 189.

მესამე, ნაკლებად საინტერესო მოხსენება, რომელიც ქეთევან დედოფალს ეხება, ურბან VIII-ს წარუდგინა პიეტრო დელა ვალემ 1627 წ-ს, იგი ინახება იმავე არქივში: ტ. I, №13, იხ. აგრეთვე Viaggi, ტ. II, გვ. 200, 495-496, 502—507, 526, 530, 537.

როგორც ამ მონათხრობიდან ჩანს, ქეთევან დედოფალი შეგვიძლია კათოლიკური ეკლესიის მარტვილად მივიჩნიოთ, რადგან ჩვენი კათოლიკე მისიონერების წყალობით მძიმე წამებას გაუძლო. ქართული ეკლესია მისი ხსენების დღეს ზეიმობს 13 სექტემბერს[1].

## IV. – დედოფლის მოძღვრის წამება

ტყვეთა შორის ბევრი მღვდელი და საეკლესიო პირი იყო, რომელთაგანაც ერთი არ ტოვებდა დედოფლის სახლს. ეს გახლდათ მისი მოძღვარი. სპარსელები ვერ იტანდნენ მოძღვრის იქ ყოფნას, ამიტომ გამოუგონეს დანაშაულობანი, რათა მისი მოკვლის, ან განდევნის საბაბი ჰქონოდათ. პიეტრო დელა ვალე ამას გვამცნობს პროპაგანდისადმი მიწერილ თავის მოხსენებაში, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი, მაგრამ ყველაზე უფრო სრული დეტალები ამ მსხვერპლად შეწირულის შესახებ ეკუთვნის ერთ პორტუგალიელ ელჩს, თვითმხილველ მოწმეს. აი, ესენიც:

„დედოფლის სამსახურში მყოფ პირებს შორის იყო ერთი ეკლესიის მსახური, წმინდა ბასილის ორდენის წევრი, სახელად მოსე, რომელიც თავშეკავებული მეტყველებით, თავმდაბლობითა და ნამდვილი ღვთისმოსავის გარეგნობით ძალიან ჰგავდა ძველი ეკლესიის ბერებს, რადგანაც მას, გარდა გარეგნული ნიშნებისა, ემჩნეოდა ცხოვრების სიწმინდე და საქციელის სისადავე, რაც ესოდენ მისაბაძია ჩვენი ევროპელი ბერებისათვის... ელჩი ჯერ არ იყო ჩასული შირაზში (1619), როცა გაიგო შესაბრალისი სიკვდილი მოსესი, რომელიც გახლდათ ის პატიოსანი სასულიერო პირი, დედოფლის, თეიმურაზ ხანის დედის, მოძღვარი, რომელზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ და რომელიც შაჰმა მოაკვლევინა რამდენიმე თვის წინ. იმ სახლის მახლობლად, სადაც დედოფალი და მისი მოძღვარი ცხოვრობდნენ, იყო სხვა სახლიც, რომელიც ვეზირს, ანუ შაჰის მდივანს – ასანბეგს ეჭირა. ასანბეგი წარმოშობით სპარსი იყო და ცოლად ჰყავდა მდიდარი თურქმანი ქალი; ქალი, სიახალგაზრდავის მიუხედავად, განათხოვარი ყოფილიყო. მან განსაკუთრებულად დაიახლოვა დედოფლის კარზე მყოფი ქართველი ქალები და თვით დედოფალიც, რამაც სპარსელებს აფიქრებინა, რომ ის სათნო მოძღვარსაც დაუკავშირდა. სახლის ყველა ბინადარი ასაბუთებდა ამას, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, თითქოს ეს ურთიერთობა თურქმანმა ქალმა გააბა. ქმარი, რომელიც გაფრთხილებული იყო, ეჭვიანობდა და როცა შეამჩნია, ცოლი თანდათან შორდებოდა, ერთ დილას ყასიდად შაჰთან წავიდა, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა ხუთი თუ ექვსი მეომრის თანხლებით, მოძღვრის ოთახში შევიდა, რადგან ორივე სახლს ერთი შესასვლელი ჰქონდა, და

1 Brosset, Histoire moderne de la Géorgie, ტ. II, ნაწ. I, გვ. 166.

როცა დაინახა ნახევრად გახდილი მოძღვარი, რადგან ძალიან ცხელოდა, მას ხმლით შეუტია, მოკვლა დაუპირა; მოძღვარმა კი ხმალი ხელიდან გამოგლიჯა და ნაცვლად იმისა, რომ თვითონ გამოეყენებინა, ფანჯრიდან გადააგდო, ხოლო თვითონ ჯარისკაცებს ჩაბარდა. ასანბეგმა წარმოიდგინა, თითქოს ცოლი მათი სახლების გამყოფ დაბალ კედელზე გადაძვრა და თავს უშველა, აიღო ერთ-ერთი ჯარისკაცის ხმალი, ცოლი მოაძებნინა და მოკლა. შაჰმა კი მოსე მაშინვე თავიანთი სახლის წინ დიდ მოედანზე გააყვანინა და შეეცადა, თავის რელიგიაზე ხელი აეღებინებინა, სანაცვლოდ დაბრალებული დანაშაულის პატიებას დაჰპირდა, თანაც დიდი თანხა შესთავაზა. მოსემ ეს არ მოისურვა, მტკიცედ დადგა ქრისტეს სჯულზე, რასაც საქვეყნოდაც აცხადებდა, ვიდრე ქვით არ ჩაქოლეს და ხმლებით არ აკუწეს. ასე მოგვითხრობენ სპარსელები ამ ისტორიას. თუმცა სხვანი იმასაც ამბობენ, თითქოს მოძღვარს მართლა შეუსწრეს ქალთან. ხოლო ებრაელებმა ელჩს მოახსენეს: ამ ღვთისმოსავი მოძღვრის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ ასანბეგს ცოლის ქონების ხელში ჩაგდება უნდოდა, რასაც სხვა გზით ვერ შეძლებდა. ამიტომ მოიმიზეზა ცოლის და მოძღვრის მიერ ჩადენილი შეთხზული დანაშაული. ეს მოძღვარი თამარაზ ხანის ორ ჯაქს ზრდიდა ქრისტიანული სარწმუნოებით და, როგორც ჩანდა, მისი სიკვდილის შემდეგ მათაც აიძულებდნენ მაჰმადიანობის მიღებას, რაც მეფესა და შაჰს ძალიან უნდოდა"[1].

მოძღვრის წამება, როგორც ჩანს, არ არის ქართული ეკლესიისათვის ცნობილი, რადგან ამ ამბავს არავითარი კვალი არ დაუმჩნევია მის ტრადიციებზე და არც მის ლიტურგიაზე. სხვათა შორის, ყველა ტანჯვა-წამებამ, რაც საქართველოს მტრისაგან გადახდა, შვა უამრავი მარტვილი, რომელთაც სისხლი დაღვარეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უარი არ თქვეს ქრისტეს სარწმუნოებაზე. ზოგიერთი მათგანის სახელი ალბათ მხოლოდ ღვთისათვის არის ცნობილი.

შაჰ-აბას პირველის მემკვიდრეებმა გააგრძელეს საქართველოს ნგრევა და იქ ქრისტიანობის აღმოხვრა.

## V. – სპარსელთა მიერ წამებული სხვა ქართველები. მათი ბატონობის ეპოქის შედეგები

ქართული ეკლესია 18 სექტემბერს აღნიშნავს ბიძინა, შალვა და ელიზბარის ხსოვნის დღეს, რომელნიც ეწამნენ 1659 წელს, შაჰ-აბას მეორის დროს. რადგან შაჰ-აბასის ბრძანებით სპარსელები ყოველ

1 Figveroa D.Garcias de Silvia, L'Ambassade en Perse, de 1617 à 1627, Paris, 1667, გვ. 134, 346–347.



ელიზბარ, შალვა და ბიძინა — ქართველი ერისთავები, რომლებიც 1661 წელს აწამეს სპარსელებმა. საბინინის ნახატი.

ღონეს ხმარობდნენ, განსაკუთრებით კი კახეთში, რომ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა და დაენგრიათ ეკლესიები, სამმა ერისთავმა — ბიძინამ,

შალვამ და ელიზბარმა, გაერთიანებული ძალებით მძლავრად შეუტიეს დამპყრობლებს, გაანადგურეს და მოახერხეს კახეთის განთავისუფლება მათი ტირანიისაგან. სამწუხაროდ, შაჰმა სულ მალე შური იძია ერისთავებზე, შეიპყრო ისინი და შეეცადა, აეძულებინა ქრისტიანობაზე უარი ეთქვათ, ხოლო სანაცვლოდ პატიება და ჯილდო აღუთქვა, მაგრამ სამივე მტკიცედ დარჩა თავის რწმენაზე და გამოაცხადეს, მზად ვართ, ყოველგვარ ტანჯვას გავუძლოთ ღვთის სადიდებლადო. ამიტომაც ისინი წამებით მოკლეს[1].

როგორც ყოველთვის, მაჰმადიანთა ბატონობამ ძალზე სავალალო შედეგები გამოიღო. სპარსელებმა და ზოგიერთმა რენეგატმა ქართველმა საქართველოში შემოიტანეს უზნეობა და გარყვნილება, რის წყალობითაც ძლიერ დასუსტდა რწმენა, იმგვარი ვითარება შეიქმნა, უკვე სირცხვილად მიაჩნდათ ღვთისმსახურება. ყველაზე უარესი ის იყო, რომ სამღვდელოება ისე გადაგვარდა და დაეცა, ეკლესიის წინამძღვრები აღარც კი წითლდებოდნენ, როცა დამპყრობთა უზნეო საქმიანობაში მონაწილეობდნენ.

საქართველო მთლიანად და ქართული ეკლესია XVII საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის შუახანებამდე ნამდვილად სავალალო დღეში იყო[2].

სპარსელები მაჰმადიანობის გავრცელების გარდა, ქვეყანაზე გაბატონების მიზნით იმ პიროვნებებს ადგამდნენ გვირგვინს, რომლებიც თავიანთი ნების მორჩილად ეჩვენებოდათ. სწრაფად იშორებდნენ თავადებს, რომელთაც რაღაც სიკეთის მოტანა შეეძლოთ სამშობლოსათვის, ანდა მათ ერთმანეთზე აქეზებდნენ, რის გამოც იწყებოდა შინაგანი წინააღმდეგობები და ერთნიც და მეორენიც ილუპებოდნენ.

თურქები არანაკლებ საშინლად ავიწროებდნენ როგორც დასავლეთ საქართველოს, რომლის აბსოლუტური ბატონ-პატრონებიც იყვნენ, ასევე აღმოსავლეთსაც, სადაც სპარსელთა ბატონობას და გავლენას ებრძოდნენ. საქართველოს მეფეებს ისე ცვლიდნენ, როგორც უბრალო მოხელეებს. ესაა ეპოქა ომების, შემოსევების, განხეთქილების, ღალატის, გადატრიალებებისა და დაცემისა.

ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ქართველ მეფეთა უმრავლესობა, პატივმოყვარე, რენეგატი მეფენი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ასევე ავიწროებდნენ თავიანთ ქვეყანას და განსაკუთრებით ქართულ ეკლესიას. როგორც კი ხელში იგდებდნენ ძალაუფლებას, მაშინვე თავიდან იშორებდნენ კანონიერ კათალიკოსებს და კარგ ეპისკოპოსებს,

1 იხ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 599 და შემდ.

2 იხ. **Brosset,** Histoire moderne de la Géorgie, ტ. II, ნაწ. I, გვ. 66-79.

რომ აღარ ჰყოლოდათ თავიანთი თავაშვებულობის შემზღუდველები, და მათ თავისი ხალხით ცვლიდნენ[1].

რადგან ქართული ეკლესია საინტერესოს აღარაფერს გვთავაზობს, მას აღარ შევეხებით, რათა საგანგებოდ შევჩერდეთ საქართველოში კათოლიკურ მისიაზე, რის შესახებაც დიდი რაოდენობის მასალა შევკრიბეთ, თუმცა მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია, ან ჯერ კიდევ მისაკვლევია.

## VI. – ქართველები ითხოვენ მისიონერთა ძებნას. იეზუიტ მამათა, საქართველოს პირველ მისიონერთა წერილები

როგორც ზემოთ ითქვა, XV საუკუნის შუა ხანიდან XVII საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში არ იყვნენ კათოლიკე მისიონერები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ XVI საუკუნის იმ მოკლე პერიოდს, როცა საქართველოში შემოვიდა სომეხ კათოლიკეთა ძმობა, რათა სულიერი დახმარება გაეწიათ მიტოვებულ მორწმუნეთათვის. ამ დახმარების საჭიროება აშკარად იგრძნობოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისიონერები მსოფლიოს ყველა კუთხეში იგზავნებოდნენ, ამ საწყალ ქვეყანაზე აღარავინ ფიქრობდა. ამიტომ ქართველებმა თვითონ დაიწყეს მისიონერთა ძებნა. XVII საუკუნის დასაწყისში ქართველმა თავადებმა მიმართეს სპარსეთში მყოფ მისიონერებს, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. სწორედ ამის შესახებ გვიამბობს ერთი პორტუგალიელი მისიონერი:

„მანუჩარ ხან მთავარმა, რომელიც ქართველების ერთი სამთავროს პატრონია, ესრედ მითხრა ისპაჰანში, დიდათ მოხარული ვიქნები, უკეთუ რავდენიმე თქვენი მღვდელი წამომყვება ჩემს სამეფოში და თუ ერთ მკურნალსაც თან წამოიყვანს უფრო დიდად პატივცემული იქნებიანო. იმავე დროს პატრი მელქიორი დეზანქი, მეფის პალატში (სპარსეთში) ყოფნის დროს, დაჰპირდა წაჰყოლოდა ალექსანდრე მეფეს, საქართველოს ერთ მთავართაგანს, მაგრამ ლუდოვიკო პერეირე დელჩერდა, რომელიც (ისპანიიდან) ელჩად იყო სპარსეთს გაგზავნილი, არ დათანხმდა მის წასვლას, რადგან არ უნდოდა მოშორება“[2].

---

1 იხ. Brosset, მითით. ნაშრომი, გვ. 88—97.

აი, ასეთი ფაქტების ერთი მაგალითი: „როცა ვხედავთ, რომ სპარსეთის შაჰი თავიდან იცილებს ქართველ პატრიარქს, რადგან პატრიარქი თავისი ღირსებისათვის შეუფერებლად მიიჩნევს პირველი ქალის იძულებით მაჰმადიანად გამოცხადებულ ქალთან ბრძოლ ხანს, უკვე გასაგები ხდება საქართველოს ქრისტიანთა მორალური და პოლიტიკური დაცემა, სპარსეთის ვასალობის ბოლო წლებში". Journal Asiatique, XIII სერია, 1869, ტ. XIII, გვ. 81.

2 Antoine de Govvea, Relation des Grandes guerres et victoires obtenues par le Roy de Perse cha Abbas, გვ. 477. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 83—84.

დასავლეთ საქართველოს თავადებსაც არანაკლებად აინტერესებდათ მისიონერების ჩამოყვანა. ერთ-ერთმა მათგანმა, თავადმა დადიანმა, რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი, თავის ელჩს დაავალა კონსტანტინოპოლში მისიონერები მოენახა და მასთან ჩამოეყვანა. ელჩმა ეს მოახერხა იეზუიტი მამების თანადგომით[1]. მამა ლუდოვიკე გრანჯერიო ერთ მორჩილთან ერთად სამეგრელოს გაემგზავრა. ის ძალიან დაიტანჯა გზაში, განსაკუთრებით ქართველ თავადებსა და თურქეთს შორის კიდევ დაუმთავრებელი ომის გამო. სამეგრელოდან მამა ლუიმ 1615 წლის 2 მაისს თავის გენერალს საინტერესო წერილი გაუგზავნა, რომლის ნაწილიც აქ მოგვყავს.

„რაოდენ მოწყალებასაც ვპოულობდით, ყველას მათ ვაძლევდით იმ საწყალ ქრისტიანთათვის, რომლებიც მაჰმადიანობაზე გადადიოდნენ, რათა ხარჯის გადახდა თავიდან აეცილებინათ... ჩვენის მეგობრების რჩევით ფაშასთან წავედით და ვსთხოვეთ ყურადეღო ჩვენი ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიაც ჩაგვაგდო ესოდენმა მოულოდნელმა დაბრკოლებამ, და ჩვენთვის სამეგრელოში შესვლის ნება მოეცა, როგორც ამას თვით შეჰპირებოდა საფრანგეთის ელჩს, ან არა და კაცი გამოეყოლებინა, რათა უშიშრად სხვა მგზავრებთან ერთად გამოვბრუნებულიყავით კონსტანტინეპოლს. ჩვენმა სიტყვებმა გული მოულბო, მაგრამ ამასთანავე გამოგვიცხადა, რომ სულთანმა მიბრძანა: არავინ შეუშვა სამეგრელოში, ვიდრე მშვიდობის საქმე არ დაბოლოვდებაო. ხოლო სიამოვნებით კი მოგვცა პასპორტი, რათა კონსტანტინეპოლს გავბრუნებულიყავით. მაგრამ განგებამ სულ სხვანაირად დაატრიალა ჩვენი საქმე. როდესაც ერთი პატარა ნავის კაპიტანთან მოვილაპარაკეთ, უეცრად მოვიდა გურიელის მოამბე, რომელმაც ზავის ჩამოგდება და ხარჯის გადახდის თანხმობა გამოაცხადა. ეს ზავი წმიდა ლუჩიას დღეობას (13 დეკემბერს) საქართველოს ნავსადგურ ბათუმში შეკრეს მთავარმა და ფაშას გამოგზავნილმა კაცმა. ამ ამბავმა განზრახვა გამოგვაცვლევინა. მეორედ კიდევ მივმართეთ ფაშას. მან ახლა უფრო კარგი გულით

---

1 „კონსტანტინოპოლიდან დაიწყო მეგრელებსა და ქართველებში გასაგზავნი მისიონის მოღვაწეობა... რადგან მეგრელთა მეფე წინათ ნატრობდა ლათინ მოძღვრებს; ეს სურვილი ჩვენებს განუცხადა პირითა თავისის ელჩისა, რომელიც 1614 წ. ოსმალეთის პალატში მოვიდა საჭირო საქმეებისა და მეტადრე მეგრელთა და ოსმალთ შუა სამუდამო მშვიდობის დასამყარებლად. ჩვენმა მამებმა ეს წინადადება სიხარულით მიიღეს, ასეთი კარგი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და შეჰპირდნენ ელჩს, დაუყოვნებლივ გზას დადგომოდნენ და, რაც შეიძლება, მალე მისულიყვნენ მეფესთან. ეს მოხდა შუაკაცობით უქრისტიანესის მეფის ელჩის ბარო სანსიუსისა, რომელმაც ამ შესანიშნავის მისიონის დასამყარებლად საჭირო ხარჯიც მოგვცა. მისი რჩევით, პატრი ლუდოვიკე გრანჯერიო და მასთან ერთად მორჩილი ძმა 1614 წ. წაჰყვნენ ელჩს, რომელმაც ამის გამო უფრო ჩქარა გაათავა საქმენი". Iosephus Iuvenicius Historiae Soc. Iesu, ნაწ. V, Rome, ტ. XVII, 1710 წ. გვ. 428; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 134.

მივიდოთ, ვიდრე წინათ, მთარქვლობა გამოგვიცხადა და ნება მოგვცა, სადაც გვინდოდა, იქ წავსულიყავით. ზედ წმიდა თომა კანცთრბერის დღეობას (29 დეკემბერს), შვიდი თვის მგზავრობის შემდგომ, იმავე ნავით, რომლითაც კონსცანცინოპოლს უნდა გავმრუნებულიყავით, გამოვიარეთ ხელმარჯვე გონიის კონცხი, რომელსაც დიდი ხანია ვუმზერდით, ორი დღის შემდგომ მშვიდობით მოვედით საქართველოს ქალაქ საცყეპელაში (Satcapella). ზღვის პირას სიართულის დროს ჩვენთან ქართველები მოვიდნენ, მათ შორის იყო გურიელის ვეზირი, მხედართმთავარი მისი ჯარისა და გამგებელი ამ მხარისა. როცა დაგვიბახა ვეზირმა, ცხენიდგან გადმოხცა და იმ ქვეყნის ჩვეულებისამებრ, დაიჩოქა ცალის მუხლით და მეცის-მეცად მეგობრულად მოგვესალმა; ჩვენც დიდის მოწიწებით მაგიერი სალამი მივეცით. მაშინვე მიწაზედ გვერდით მოგვისხა და გამოგვკითხა, საიდან მოვდიოდით, ან სად მივდიოდით. რა გაიგო, ფრანგები ვიყავით და დადიანთან მივდიოდით, გვთხოვა, ჯერ გურიელი გვენახა. ცხენებიც მოგვცა იქ წასასვლელად. მადლობა მოვახსენეთ გულკეთილობისათვის და დავპირდით, რომ საცყეპლაში ლაზისცანის არქიეპისკოპოსს ვნახავთ თუ არა, დიდის სიამოვნებით მივალთ და მთავარსაც ვნახავთ, უკეთუ გვეცოდინება, რომ ჩვენი ნახვა ესიამოვნება-თქო. იმან მოგვიწონა ჩვენი გადაწყვეცილება და წავიდა. ღამე ზღვის პირას გავაცარეთ. მეორე დღეს წავედით სანახავად მიცროპოლიცისა, რომელიც მცირედ, მაგრამ გულითადად გაგვიმასპინძლდა. ამასთბაში გურიელმა ჩვენი მასპინძელი მიცროპოლიცი მიიწვია, რათა შომას მასთან ყოფილიყო მწირველად. ისიც წავიდა და შეგვპირდა, თქვენის მოსვლის ამბავს მთავარს ვაცნობებ და თუ ისურვა თქვენი ნახვა, მეორე დღესვე შეგატყობინებთო. თავისი სიცყვა აასრულა კიდეც. დაგვიბარეს გურიელთან. მოვიდა ვეზირის კაცი, რომელსაც ჩვენი მიწვევა ჰქონდა დაბარებული, თან მოიყვანა ცხენები და წაგვიყვანა მაილეთს (Baylet), სადაც მთავარი თავისი სახლობით და კარისკაცებით შომას ეგებებოდა. მაგრამ თვით გურიელი დაგვიხვდა მახლობლად, სხვა სახლში, სადაც სანადიროდ ჩამობრძანებულიყო. შეიცყო თუ არა ჩვენი მისვლა, მაშინვე დაგვიბარა ერთ დარბაზში, სადაც თავის ქვეშევრდობებს ასამართლებდა. დიდის მოწიწებით მივესალმეთ, ის კი წამოდგა ცახციდან, თავ-შიშველი წინ მოგვეგება, დაიჩოქა ცალი მუხლით და ისე სალამი მოგვცა. შემდგომ თვითონ და მისი მხლებლებიც გვეამბორნენ და გვერდით მოგვისხა. მრავალ რამ გვკითხა და ჩვენც ყველაფრის პასუხი მივეცით. მერე გვთხოვა, მისი სახლობისათვის გველოცნა. გამოვესალმეთ მთავარსა და წავედით მაილეთს, სადაც თხუთმეცი დღის განმავლობაში დიდის გულკეთილობით მოგვეპყრა. მთავარი მეცად ზრდილია (რაც იშვიათია ამ მხარეს) და დიდი პაცივისმცემელია რომის ეკლესიისა და მისის მთავრის პაპისა. საჯაროდ ამბობს, რომ მიზანცის იმპერია და კონსცანცინეპოლის საეპისკოპოსო საყდარი იმიცომ დაემხო, რომ არ

ინდომეს რომის წმიდა მღვდელმთავრის მორჩილება და აკი ღმერთმაც იმიტომ დასაჯა; წმიდა პეტრემ მიიღო კლიტენი სასუფევლისანი. პაპი არის მამა ყოველთა მორწმუნეთა, ამიტომ ყველანი მისი მორჩილი უნდა იყვნენო. როდესაც ლაპარაკი ამაზედ ჩამოვარდა, ვთხოვე, ნება მომეცით, თქვენი აზრი პაპს შევატყობინო-მეთქი. დიდის სიამოვნებით, მომიგო და თანაც მთხოვა, პაპისათვის მიმეწერა და მის მაგიერ მეთხოვნა ცოდვების შენდობა. თანაც დასძინა, წერილითვე აღსარებასაც ვიტყვით. მაგრამ მე ავუხსენი, რომ ამნაირად არც აღსარება შეიძლება და არც ცოდვების მოტევება-მეთქი. პაპმა სწორედ იმიტომ გამოგვგზავნა შორს ქვეყნებში, ხალხს ცოდვები მოვანანიებინოთ-მეთქი. ამისი მთავარმა იგივე მითხრა, რაც ფილიპეს კანდაკის დედოფლის საჭურისმა უთხრა: „აჰა წყალი; რაღას აყოვნებ ჩემს მონათვლას?" მითხრა, თუ აგრეა, ახლავე ვიტყვი აღსარებასო. მალე მოენის საშუალებით თითქმის მთელის თავისი ცხოვრების აღსარება მითხრა. იქნებ მკითხოთ, ჩვენის სარწმუნოების შემწეობამოკლებულ მთავარს საიდგან აქვს ასეთი ქრისტიანული გრძნობაო. მეც პავლე მოციქულის სიტყვებს მცირედად შევცვლი და ისე გიპასუხებთ: ერთმა ქართველმა მონაზონმა, რომელმაც 12 წლიწადი გაატარა რომაში, დასთესა კეთილი თესლი ამ ნაყოფიერ მიწაზედ, რომელსაც ახლა ჩვენ ვრწყავთ და ნაყოფს ვალებინებთ ღვთის კურთხევით. რა გაიარა ნათლიღების დღესასწაულმა, გურიელმა, როგორც იყო, დიდის გაჭირვებით ნება მოგვცა, წავსულიყავით. არ ინდომა ჩვენი დაჭერა, რადგან დავპირდით, კვალად მოვალთ და უკეთუ ინებებთ, რამდენსამე ჩვენებურ მოძღვარს დავიმარებთ თქვენს ქვეყანაში დასარჩენადო. ამაზე გვითხრა: „არათუ დიდად სასიამოვნოა ჩემთვის ეგ თქვენი დაპირება, არამედ გპირდებით, რომ დიდის პატივით მივიღებ, მივცემ სახლს, ეკლესიას და ყველაფერს, რაც კი დასჭირდებათ საცხოვრებლად". წამოსვლის დროს ფული შემოგვაძლია, მაგრამ არ გამოვართვით, რაც ძლიერ ეამა და ჩვენი ძმობის საზოგადოება მთელი თავისი დარბაისელების წინაშე იმ ზომამდე აქო, ამ ამბავმა მოაწია ოსმალებამდე, რომლებმაც, თავიანთი მხრით, სამეგრელოში დიდი სახელი გაგვითქვეს. გურიელმა ასე გაგვისტუმრა სატყეპელას დიდი პატივით და მეგობრულად; ეგრეთვე ერთი კაცი გაგვაყოლა, რომ იქიდან პატარა ნავით წავეყვანეთ სამეგრელოში მის სიმამრთან კორტუგასთან (Cortuga), დადიანის პირველ ვეზირთან. გარნა, რადგან ეს კაცი ჩვენთან წამოსვლას ახანებდა და რადგან კარგი დარიც იყო, სამ თებერვალს სატყეპელადგან წავედით იმ ოსმალებთან ერთად, რომლებიც შუა კაცნი იყვნენ ზავის ჩამოგდების საქმეში და ჩვენიც დიდი ერთგულნი. იმავე დღეს შევედით რიონში, სამეგრელოს უმთავრეს მდინარეში, მეორე დღეს მივედით ერვინხანს (Erainchan (Heraclee)). დადიანს და მიტროპოლიტ-კათალიკოსს ვაცნობეთ ჩვენი და ეგრეთვე ზავის მედიატორეთა მოსვლა. რა მივიღეთ პასუხი, მალე გავემგზავრეთ მარგულასკენ

(Margoula), სადაც უნდა მოსულიყო მთავარი, და აჰა, ცხრა თვის შემდგომ ძლივს მოლოდ მოვლენ ჩვენს მგზავრობას, რომლის დროს იმდენი ღლვა და ყოველგვარი შეწუხება გამოვიარეთ. იმ დროს დადიანი მეცად გართული იყო თუ ნადირობაში, თუ კონსტანტინეპოლს გასაგზავნის ხარჯის მომზადებაში. იგი ძლიერ დააჯავა აგრეთვე თევრიზ ხანის მოსვლამ (Thebris–Khan – ქართველი მთავარია, რომელიც შარშან სპარსეთის მეფემ თავისი სამრძანებლიდგან განდევნა). ამას დაერთო მთვნის უყოლობა, რაის გამო კარგა ხანს დაგვიანდა მთავრის ნახვა. იმ დროის განმავლობაში ოსმალები გვეწვოდენ, რაც გვჭიროდა, და თავიანთ სარჩოს შუა გვიყოფდენ. დადიანის ნახვის შემთხვევას რომ ვეძებდით, ისე შევხვდით გურიელის სიმამრს კორცუგას, რომელსაც გურიელი დადიანთან თავის გასაცნობელ წერილებს აცანდა. კორცუგა შემოგვპირდა, ფიქრი ნურაფრისა გაქვსთ, სამეგრელოს მთავარს მოველაპარაკები თქვენს შესახებ, იმან კარგად იცის, თუ რა პატივი სცა კონსტანტინეპოლში საფრანგეთის ელჩმა მისს წარმომადგენელსაო. აგრეთვე იმ დროს გავიცანით მაკარიოზი (Mochavorio), კათოლიკე ეპისკოპოსი, კაცი მრბენი და კორცუგასავით დიდი გავლენის პატრონი. მთვნის საშუალებით ჩვენი საზოგადოება გავაცანით. ამგვარადვე მოვიქეცით თევრიზ ხანთან, რომელსაც ერთხელ ეკლესიაში შევხვდით მისი ქვეყნის მიტროპოლიტთან, რომელმაც თავის სანახავად მიგვიწვია. ყველას საშინლად უკვირდა, რომ ევროპის ნაყოფიერის ადგილებისათვის თავი დაგვენებებია და მათი უდაბური ქვეყანა აგვერჩია. თანაც, როგორც ამათთვის ოსმალებს უთქვამსთ, რაიმე იმედი სასყიდლისა და გასამრჯელოსი არა გვქონდა. ჩვენი ქცევა დიდ თავგანწირულებად მიაჩნდათ. ამიტომ, სანამ დადიანს ნახავდენ, გადაწყვიტეს, კარგად მივეღეთ და ელჩსაც დაახლოვებოდნენ და ამ აზრით ძღვენი გაუგზავნეს კონსტანტინეპოლს. მავრის (Mauri) ეპისკოპოსმა მიგვიწვია თავის ეპარქიაში, რომელიც ღვთის მშობლის სათარველ ქვეშეა. ჩვენც გადავსწყვიტეთ იქ წავსულიყავით იმის შემდგომ, როდესაც ვნახავდით დადიანს და მიძამის ლიპარიტს (Liparita), რომელიც დადიანის მცირეწლოვანების დროს სამთავროს მართავდა. შემდგომ დადიანი ვნახეთ. მან გვითხრა თქვენი მევრი კარგი გამიგონია, ძალიან მიხარია თქვენი მოსვლაო, ვიცი რისთვისაც მოსულხართო და ერთ თავისუფალ დღეს უფრო დიდხანს მოგელაპარაკებით დასავლეთის საქმეთა, საფრანგეთის მეფისა და მისი კონსტანტინოპოლელი ელჩის შესახებო. მერე დაგვპირდა, რაც გნებავსთ, ყველაფერს აგისრულებთო, და დაუმატა, თქვენს თავს მაკარიოზს ჩავაბარებო. გამოვესალმეთ მთავარს, მასთან მყოფს კორცუგას და გამოვბრუნდით ეპისკოპოსთან. იქ დავესწარით ერთ ნადიმს, რომელიც ეპისკოპოსს თევრიზ ხანის, მისი მიტროპოლიტის და ყველა მისი მხლებლების პატივისაცემლად გაემართა. სხვა დროს უფრო ვრცლად გესაუბრებით ამ ერის ზნე-ჩვეულებასა და მათი ცხოვრების შესახებ,

ახლა კი იმას მოგახსენებ, რომ თევრიზ ხანმა მიცროპოლიცმა და მოკათოლიკოზმ თავიანთი კერძის ერთი ნაწილი ჩვენ გვითავაზეს, რაც იმათში დიდის წყალობის ნიშანია. თევრიზ ხანმა თავის ახლოს დაგვსხა და მერე რამ გამოგვკითხა. რადგან აქ ჩვეულებად აქვთ სუფრაზე იმღერონ ხოლმე, ამიცომ, როგორც წინათ გურიელმა, ისე ახლა ამანაც გვთხოვა, გვეგალობა. როგორც გურიელმა, ისე არც ამან შეიწყნარა ჩვენი უარი. ჩვენც ვიგალობეთ „პანჯელინგვა, უგალობდეთ ენაო"; ჩვენი გალობა დამსწრეთ ძალიან მოეწონათ. სუფრა დავცოვეთ, რადგან აქ წესია, ჭამა-სმა შუა ღამეს გადააცილონ ხოლმე. ახლა ჩვენ ეპისკოპოს მაკარიოზთან ვართ. ამან ძლიერ მოიწადინა და უნდა აგვიშენოს მალე სახლი და ეკლესია. თვითონვე კისრულობს, რაც გვჭირია, ყველაფერი გვიშოვნოს. ახლა ჩვენს დროს ერთიან ვანდომებთ მეგრული ენისა და ამ მხარის კილოკავების შესწავლას. იმედი გვაქვს ღვთისა, ჩვენმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს. აწ ეპისკოპოს მაკარიოზს და კონსცანცინოპოლში მყოფ ჩვენს საფრანგეთის ელჩს ვუგზავნით ჩვენს მოენეს და წერილებს თუ თავისთვის და თუ ევროპაში მყოფი ჩვენის მამებისათვის, რათა სცნან ქვეყნის რომელ ნაწილში ვცხოვრობთ, შეგვეწიონ და პირველად მოგვაწოდონ ის ნივთები, რომლებიც აქ ფულის ადგილას გადის, რადგან აქ ფულს არ ხმარობენ; მერე თვითონაც მოვიდნენ და შრომაში შეგვეწიონ. იმედი გვაქვს, თავის დროზე უხვად მივიღოთ თქვენის შრომის ნაყოფი. გთხოვთ, უფალს შეავედროთ და ეგრეთვე ჩვენი საზოგადოების ლოცვას უფლის ეს ახალი ვენახი და აგრეთვე მისი შემმუშავებელნი მუშაკნი. ჩემო ყოვლად ღირსო მამაო დავშთები თქვენი..."[1]

სამწუხაროდ, ამ მისიონის საქმიანობა არ გაგრძელებულა, რადგან იეზუიტებმა ვერ შეძლეს იქ სხვა პირთა გაგზავნა სასტიკი ომების გამო. მალე ერთ-ერთი მამა შავმა ჭირმა იმსხვერპლა. მოგვიანებით კი მეორე კონსტანტინოპოლში დაბრუნდა[2].

## VII. – დომინიკელ მამათა მოხსენებანი

ცოტა ხნის შემდეგ, 1624 წელს, პროპაგანდამ ოთხი დომინიკელი გაგზავნა აღმოსავლეთში, ალბათ, იქაური ვითარების გასაგებად. ერთი მათგანი, პატრი ჯოვანი დე ლუკა დასავლეთ საქართველოში წავიდა და მთელი ეს მხარე შემოიარა. პატრი ყველგან კარგად მიიღეს. ჯოვანი დე ლუკამ ქართველი მთავრები დაარწმუნა, რომ მოახერხებდა,

1 P. Auguste Carayon, Documents inédits concernant la Compagnie de Jésus, Poitiers, ტ. XX, 1869, გვ. 252, 254, 262. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 137-142.

2 იხ. Pietro della Valle, Viaggi, ტ. II, გვ. 210.

მათთან მისიონერები გამოეგზავნათ და თვითონაც დაბრუნებულიყო[1], მაგრამ მისი დაპირება არ ასრულებულა და არც თვითონ გამოჩენილა.

მანამდე კი სპარსეთიდან მომავალმა მამა პაოლო მარია დე ფაენცამ საქართველოში გამოიარა და რომში საუკეთესო შთაბეჭდილებებით დაბრუნდა. იქ მან მოკლე მოხსენება წარადგინა, რომელიც მოგვიანებით ნეაპოლში გამოიცა. აი, ისიც:

„მე ნეტარის რომის პაპის წარმომადგენელი, ელჩი ამაზ უძლიერესის სპარსეთის მეფის წინაშე, ვიყავი საქართველოში 1616 წ. ივნისის და ივლისის თვეებში. იქ რაც შევნიშნე შესახებ ქვეყნისა, მცხოვრებთ ბუნებისა, მათი სარწმუნოებისა და მათი კეთილი მომზადებისა მწყემსის (პაპის) უფროსობის აღსაარებლად, აქ მოვიხსენიე ძლიერ მარტივად... კაცები თეთრი არიან და მშვენიერი სახისა, საკმაოდ პატიოსანი ზნეობა აქვთ; თურქულად აცვიათ, თითქმის ყველას ტანისამოსი აბრეშუმისა აქვს, რადგან აბრეშუმი ბლომად იშოვება იქ; ძლიერ მკვირცხლი ნიჭი აქვთ და გულადნი არიან.

დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან; ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ მშვილდ-ისარი და ისართსაწყობი.

ქართველები ყველა ქრისტიანენი არიან ბერძნის ტიპიკონისა, აქვთ მშვენიერი ეკლესიები, ჩვენებურის მსგავსი, მაგრამ არა დიდრონი და აქვთ საშუალო ზომის სამრეკლო და ზარები.

მარტო მღვდლებმა და განათლებულმა პირებმა იციან ბერძნული წერა-კითხვა და ენა, თურქულს თითქმის ყველანი ლაპარაკობენ, მაგრამ მათი საკუთარი და ბუნებითი ენა ქართულია, რომელიც, ვგონებ, ძლიერ ადვილათ შეისწავლოს კაცმა. რამდენიმე ასო აქვთ ჩვენებურის ასოების მსგავსი. მათი გამოთქმა, ვგონებ, ცოტათი განსხვავდებოდეს ჩვენებურის გამოთქმისაგან.

ძლიერ დიდი პატივისცემა აქვს ჩვენი უნეტარესის რომის პაპისა, რომელსაც აღიარებენ ამ ქვეყანაზე ქრისტეს მონაცვლედ. ამ პატივის დასამტკიცებლად მე ვითარცა პაპის სახელით სპარსეთის მეფესთან რომიდან მოსულ მღვდელს ესრეთი მორჩილება გამომიცხადეს:

1. ხელებსა და ფეხებზე მაკოცეს; 2. გულმოდგინედ მთხოვეს კურთხევა თავიანთვის, თავიანთი შვილებისა, მამულისა და საქონლისათვის; 3. ჩემთან აღსარების თქმას ნატრობდნენ, მაგრამ არ დავთანხმდი; 4. დიდ პატივად რაცხდნენ, როცა წავიდოდი მათ ეკლესიაში,

1 იხ. Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mingrella e Tartaria, ტ. CCIX, ფურც. 439 და ა.შ.

სადაც იძულებულ ვიყავი მუდამ ხელი გამეშვირა, რომ ეკოცნათ მღვდლებს, კაცებს და დედაკაცებს; 5. ჩემთვის ალერსის გამოცხადებას ერთმანეთს არ აცდიდენ; 6. სარწმუნოების შესახებ ბევრი საეჭვო რამე მკითხეს, რასაც ჩვენში დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ, გაკვირვებით და სარწმუნოებით ისმენდენ ჩემს პასუხს; 7. ზოგიერთი თავიანთი ჩადენილი საქმე გამიმჟღავნეს და როდესაც ჩემგან სცნეს, რომ ცუდათ ექმნათ, მაშინვე სიმდაბლით შენდობა მომთხოვეს და უნდოდათ მათთვის შესაფერი საკანონო მიმეცა; 8. ვამხილე რა ზოგიერთი მათი ცრუ-მორწმუნეობა, შეცთომილება, მაშინვე ადვილად მოიშალეს.

მათმა მღვდლებმა არა ერთხელ მითხრეს მათში გავრცელებული ერთი წინასწარმეტყველება: რომაელი ქრისტიანები, რომლებსაც დიდ ბედნიერად რაცხვენ, უნდა მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაშიო. ეს წინასწარმეტყველება მათ წინაპრებს გაულექსავთ და ჩემს წინაშე რამდენიმე გზის იგალობეს.

მრავალ გზის მითხრეს, რომ თქვენი მღვდლები ჩვენში რომ მოვიდნენ, მაშინვე მივცემთ ეკლესიებს, სახლებს და სხვა ყველაფერსო. უზომო წყალობად ჩასთვლიან, რომ ჩვენ ვუქადაგოთ და შვილები გავუწვრთნათ.

ამ ცოტა გარემოებისაგან შეუძლია კაცმა სცნოს, თუ რა დიდი იმედი უნდა გვქონდეს მათში კათოლიკე სარწმუნოების წარმატებისათვის“[1].

მიუხედავად ასეთი წერილისა, არ ჩანს, რომ ანგარიში გაუწიეს საქართველოს მდგომარეობას. საქართველო კათოლიკური მისიის კეთილმოქმედების მიღმა რჩებოდა და მისთვის სულიერი დახმარება მხოლოდ დიდი სირთულეების გადალახვით ხერხდებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ დომინიკელმა მამა გრეგორიო ორსინომ, რომელსაც შემოვლილი ჰქონდა აღმოსავლეთი, 1626 წლის 9 დეკემბერს პროპაგანდას საქართველოზე ვრცელი და მნიშვნელოვანი მოხსენება წარუდგინა. მოგვყავს ადგილები ამ წერილიდან:

„ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება ძლიერ ადვილ საქმედ მიმაჩნია და აი, რატომ: 1. რადგან ადვილად დასაყვავებელი, მორჩილი, უბრალო და კარგი მდგომარეობის ხალხი არიან; 2. რადგან სამოციქულო რომის წმინდა საყდარს რამდენიმე გზის

1 Sincera relatione de'regni della Georgia, del R.P. Maestro F. Paolo Maria da Faenza, Naples, 1621. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 84-85.

მორჩილებისა, გულმხურვალებისა და ერთგულების გრძნობით სავსე წიგნი მოსწერეს; 3. ესევე გულ-მხურვალება სამოციქულო საყდრისადმი გავლილ წლებში, ესე იგი 1613 წ. კახეთის მეფე თეიმურაზმა და სხვა ქართველმა თავადებმა დაუმტკიცეს პორტუგალელ პატივცემულ პატრ გვილელმოს წმიდა ავგუსტინეს წესისა და წმიდა ელისეს კასტელანს პატრ იოანე თადეოს კარმელიტანს, რომელიც დღესაც ცოცხალია. ორთავეს იქ ეკლესიები და ადგილები მისცეს საცხოვრებლად. ხსენებულმა მთავრებმა ამ პატრებს სთხოვეს საიდუმლოს მიღება, მათთან აღსარება თქვეს და ეზიარნენ მათისავე ხელით. ესრეთ საქართველოში აღასრულეს ყველა წესი და ტიპიკონი კათოლიკური სარწმუნოებისა, თუმცა ხსენებულმა მონაზონებმა იქ ვერ დაამყარეს თავიანთი სახლი და ეკლესია აბაზ სპარსეთის მეფის მიერ ატეხილი სამწუხარო ომის მიზეზით, რადგან მათი იქ მოსვლის ცოტა ხნის შემდგომ მოხდა ომი და აბაზმა მრავალი ქართველთაგანი დაატყვევა, გადაასახლა და იქაურობა ერთიან მოაოხრა, რის გამო ღვთისმოსავი და მამაცი თეიმურაზ მეფე თავის დიდებულებიანად ილტოდა; 4. კათოლიკური სარწმუნოების ადვილად გავრცელება მით უფრო დასაჯერებელია, რომ ქართველები მეტად ღვთისმოშიშნი არიან, სარწმუნოების ერთგული მსახურნი, მოსავნი ღვთისმშობლისა, მთავარ მოციქულთა პეტრესი და პავლესი და სხვა წმიდათა, მეტადრე წმიდა გიორგისა, რომელსაც განსაკუთრებით თაყვანს სცემენ... მთელ მსოფლიოში, სადაც კი სარწმუნოების გავრცელება საჭიროა, ხსენებული ქართველების ქვეყანა პირველი უნდა იყოს, ამიტომ მე ყველაზედ უმცირესი სამოციქულო მისიონერთაგანი სიმდაბლით და დიდის თხოვნით ვავედრებ მას ჩვენს უწმიდეს უფალს პაპს ურბან მერვეს და პროპაგანდა ფიდეს წმიდა კონგრეგაციას, რადგან ქართველი ერი დიდად ღირსია სამოციქულო საყდრის მადლისა და წყალობისა... ზემოხსენებული მიზეზების გამო, ესე იგი, რომ დიდი პატივი აქვთ პეტრესი და პავლესი, რომისა და რომის პაპისა“[1].

ცოტა ხნის შემდეგ პიეტრო დელა ვალემ, რომელიც მრავალგზის იქნა უკვე მოხსენიებული, ურბან VIII-ს წარუდგინა ვრცელი მოხსენება, სადაც აღწერა, თუ რა განსაცდელი გადაიტანეს ქართველებმა ურჯულოთა მხრიდან და მხურვალედ მოუწოდა პაპს,

1 Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mengrelia, ტ. CCIX, ფურცელი 31. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 86-87.

მოციქულებრივი მოწყალება გაეღო და მათთვის მისიონერები გაეგზავნ[1]. მისი თხოვნა ბოლოს აღსრულებული იქნა.

### VIII. – თეატინელთა მისიის დასაწყისი. პროპაგანდის წერილი გაგზავნილი საქართველოს კათალიკოსთან. ურბან VIII-ის წერილი, გაგზავნილი მეფე თეიმურაზთან

ამდენი ტანჯვისა და დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად გადაწყდა, დაეკმაყოფილებინათ საქართველოს სულიერი მოთხოვნები. პროპაგანდამ ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ ნასწავლი და ბეჯითი თეატინელი ბერები შეარჩია და გადაწყვიტა, საქართველოში სამი მისიონერი გაეგზავნა პატრი პიეტრო ავიტაბილეს ხელმძღვანელობით, რომელსაც ასეთი წერილი გაუგზავნა:

„მათ ღირსებას პიეტრო ავიტაბილეს, თეატინელების მონაზონს.

პროპაგანდის კრებამ, 4 მაისისამ, განიხილა თქვენი წერილი და გამოიძია თქვენი ამხანაგების ვინაობა, აგრეთვე მიიღო თქვენი უფროსი გენერლისაგან კარგი მოწმობა თქვენის და თქვენის ამხანაგების ნიჭიერებისა და კარგი თვისების შესახებ. ამიტომ ბატონმა კარდინალებმა გადაწყვიტეს, თქვენის ამხანაგებითურთ გაგზავნონ ქართველებთან, რომელთა შესახებ მ.პიეტრო დელა ვალემ ბევრი რამ მოგვითხრო, მეტადრე გვაუწყა, რომ კარგად მომზადებულნი არიან წმიდა სამოციქულო

---

1 „ქართველებთან კი ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი, რადგან აქვთ სახელმწიფო, ჰყავთ თავისი ერის წარმომადგენელი მეფე, აქვთ სარწმუნოება და მეფე მართავს აღმოსავლური წესის მიხედვით, გაცილებით დესპოტურად და უფლებამოსილებით, ვიდრე ჩვენი, ევროპის მეფეები. ამიტომ, თუ მეფის მხრიდან გვექნება მხარდაჭერა, ვიმედოვნებთ, დიდ შედეგებს მივაღწევთ ამ ქვეყანაში. ამრიგად, მათი გარდაქმნა ადვილია, თუ თვითონაც შეეცდებიან მგზნებარედ და თან ჩვენგან გაგზავნილი შესაფერისი ადამიანებიც გაანათლებენ, რომლებიც წავლენ, იცხოვრებენ იქ და მათ ენას შეისწავლიან. არ ვიცი, აქამდე რატომ არ გაუმართლათ (შეიძლება იმიტომ, რომ ნაკლებად იცნობენ ევროპაში, ან ენის გამო, რომელიც ასევე ნაკლებადაა ჩვენთვის ცნობილი). აქამდე წმ. საყდარი დიდი გულმოდგინებით ეცადა აღმოსავლეთის ყველა სხვა ხალხის მოქცევას, რისთვისაც ერთობ დაიხარჯა ბერძნებთან და სხვებთან, ქართველებზე კი დღემდე არავის უფიქრია ჯეროვნად, თუმცა ისინი არც უფრო შორეულები და არც უფრო ძნელად საურთიერთონი არიან, ვიდრე სხვები, თან არც ღმერთისთვის არიან ნაკლებად ძვირფასები და არც რომაული ეკლესიის წინაშე აკლიათ დამსახურება. გულგრილობამ, რაც, სიმართლე რომ ვთქვა, ჩვენიანებმა გამოიჩინეს ქართველებთან დაკავშირებით აქამდე, და ამავე დროს იმან, რომ კარგად ვიცნობ მათ ცხოვრებას, მიბიძგა, ამ ერის მრავალი შვილის მიმართ მეგობრობისა სულიერი ნათესაობის გამო, თავი ვალდებულად მივიჩნია თქვენი უწმინდესობისათვის ამეწერა ამ ხალხის მდგომარეობა და საჭიროებანი, რაც უკვე გავაკეთე კიდეც. გარდა ამისა, როგორც ყველა წერილში, ახლაც გევედრებით, შეეწიოთ მათ, და ახლა რაც მეტად იქნებიან სხვა შეცდომებისგან დაზღვეულნი, მით მეტი იქნება თქვენი უწმინდესობის დამსახურება ღვთის წინაშე, ხოლო დიდება — ხალხის მიმართ“. Arch.de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №13 — იხ. Pietro Della Valle, Viaggi, ტ. II, გვ. 204.

საყდართან შესაერთებლად. აწ შეგიძლიათ თქვენის ამხანაგებითურთ წასასვლელად მოემზადოთ ლოცვითა და თავგანწირულებით წმიდა მისიონისათვის; შეგიძლიათ მათაც უჩვენოთ ამ წერილის ერთი პირი. როცა აქ მოხვალთ, თანახმად თქვენი უფროსის ბრძანებისა, რომელსაც აქამდე მიიღებდით კიდეც, ხსენებული პიეტრო მოგცემთ შესაფერს და საჭირო დარიგებას. ჩვენც მოგცემთ თავის გასაცნობელ წიგნს, ყველა საჭირო უფლებას და ნივთებს და მაშინვე გაგისტუმრებთ ხსენებულის მისიონისათვის. ღმერთსა ვთხოვ, გაკურთხოს და გარდმოგივლინოს თავისი წმიდა მადლი. რომით, 9 მაისისა, 1626 წ.“[1].

რომიდან გაგზავნილ მისიონერებს სხვათა შორის გაატანეს ორი წერილი — ერთი მიტროპოლიტთან, ანუ საქართველოს კათოლიკოსთან, და მეორე მეფე თეიმურაზთან. აი, ეს ტექსტიც:

„დასავლეთის,[2] ქართველთა მიტროპოლიტს.

თქვენი ყოვლად მრწყინვალე უსამღვდელოესობავ.

პროპაგანდის კრების ბატონმა კარდინალებმა სხვა და სხვა მოხსენებიდან და ამ ბოლო დროს წერილიდან, რაც წარმოადგინა დომინიკანელმა ანჯელო ჩითადინელმა, რომელიც დიდი ხანი არ არის მანდ იყო, სცნეს დიდი სიყვარული ქართველთ ერისა რომის წმიდა ეკლესიისა და სამოციქულო საყდრისადმი, რომელზედაც ჯდა მთავარმოციქული დიდებული პეტრე და განსაკუთრებული ერთგულება, რომელიც აქვთ რომში დასვენებულის იმავე წმიდა პეტრესა და პავლეს ნაწილებისადმი. რადგანაც კარდინალებსა სურთ ამ სიყვარულისათვის ქართველთ ერს მიაგონ სამსახური, როგორათაც იმავე ერს მიაგეს ნეტარხსენებულმა რომის მღვდელთმთავრებმა პიუს მეორემ და პავლე მესამემ, ამიტომ გადასწყვიტეს გამოგზავნონ სამი მღვდელი — პატრი პიეტრო ავიტაბილე, პატრი ფრანჩისკე აპრილე და პატრი ჯაკომო სტეფანო, რათა მოვიდნენ, ნახონ თქვენი მეუფება, ვითარცა სასულიერო მთავარი მაგავე ერისა და გაგიზიარონ სხვა და სხვა განზრახვა მოქმედებისა თქვენის ერის და თქვენის სულის ცხონებისათვის. ხოლო, უკეთუ თქვენთვის სათნო საყოფელი იქმნეს ამ აზრით მათი ნახვა, მოუსმინეთ და ერწმუნეთ ყველაფერში, რაც კი მოგახსენოთ ბატონი კარდინალების მხრივ. გარდა ამისა თქვენს მფარველობას ავედრებენ ხსენებულ მღვდლებს და დიდად გთხოვენ, რაოდენათაც შესაძლებელია, ადვილად მოუპოვოთ სადგომი სახლი და ეკლესია, რათა შეიძლონ წირვა-ლოცვა და ყოვლი სულიერის მსახურების აღსრულება, რაც კი შეეხება სულის ცხონებას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რაც სიკეთეს

1 Arch. de la Propag., Lettere della S. Cong., ტ. V, ფურც. 92. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 89.

2 აზრის მიხედვით უნდა იყოს აღმოსავლეთის.

ხსენებულ მღვდლებს მიაგებთ, კარდინალები ისე ჩასთვლიან, ვითომც იმათთვის მიგეგოთ და მზად იქნებიან, როცა კი საჭირო იქნება, თქვენს მეუფებას სამსახური გაუწიონ. ღმერთს სთხოვენ თქვენთვის ყოველგვარს ბედნიერებას. რომით, 20 ივნისს, 1626 წ.“[1].

მეფესთან გაგზავნილი წერილი ასეთი გახლდათ:

**„პაპი ურბანო VIII, თეიმურაზს, კახეთის მეფეს:**

კეთილშობილო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი. საქართველო, ეგრეთ უხვი თვალუწვდენის ტყეებით და დამშვენებულის ჭირნახულით, მალე მოირწყვის დაუშრეტელი წყაროს წყლით, უკეთუ გამოიღო ნაყოფი, რომელსაც ევროპა და რომი მოელის. ჩვენ გვრწამს მომავალი მისი ბედნიერება. გიგზავნით ღვთიურ მეცნიერებაში განსწავლულ მღვდლებს, რომლებიც სხვას არას ნატრობენ, თუ არა ერის გაბედნიერებას. უკეთუ ესენი თქვენს ქვეყანაში დაადგინეთ, თქვენი მამობრივი მფარველობა არ მოაკლეთ და თუ თქვენმა ერმაც გულმოდგინებით მოუსმინა მათ სიყვარულით სავსე სიტყვები, მაშინ ჩვენთა მეფეთა საპატიო და ეგოდენთა გვართა სამკვიდრებელი რომის ქალაქი დიდად და უზომოდ დავალებული იქნება თქვენგან. იტალიისათვის დიდად სასიქადულოა, რომ კახეთის მეფემ მოუსმინოს რჩევა მღვდლებს, რომელთაც უნდათ განამზადონ გზანი უფლისანი და წრფელჰყონ ალაგნი მისნი. როგორა გგონიათ, კეთილშობილო მეფევ? განა ცოტა რამეა ის სიკეთე, რასაც ჩვენი მღვდლები თქვენის დიდებულებისაგან მოელიან, ეგრეთვე რომის ქება და უმაღლესი მწყემსის მომადლიერება? უკეთუ თქვენი უმაღლესი ნიჭი ნატრობს დიდებას, ცხადია, არაფერს დაზოგავთ, რათა თქვენი სახელი იქოს და იდიდოს ქრისტიანების დედაქალაქსა და ყველა ტომთა საერთო სამშობლოში. რადგან თქვენის სამსახურით, რომელსაც მოგვაგებთ, ღირსი შეიქმნებით ყოვლის მპყრობელის განსაკუთრებულის მფარველობისა, იმ ყოვლის მპყრობელისა, რომელიც თავისად რაცხს ყველა სამსახურს, რასაც კი მიაგებენ უცხოთა და გლახაკთა, ეგრეთვე ჩვენც დაუცხრომელად ვილოცავთ უფლის მიმართ, რათა გაგიღოს ზეცის კარი, გიწინამძღვროს თავისი სჯულის გზით და შემდგომ მოგაგოს უკვდავების და გამარჯვების სუფევა. თქვენი ერიც დიდად კმაყოფილი დარჩება ამ მღვდლებისგან, რადგან ესენი ევროპიდან აზიას იმიტომ კი არ მოდიან, სიმდიდრე, ანუ შეძლება რომ შეიძინონ, არამედ მათი მიზანი და ნატვრა მარტო ერის ბედნიერება და მეფეთათვის დიდების შეძენაა. ოჰ, რაოდნათ ბედნიერ შეიქმნებით, უკეთუ ეცდებით, რომ თქვენმა ქვეშევრდომმა ერმა მოისმინოს მათი სასარგებლო მოძღვრება, რომელიც ამოღებული აქვთ ქრისტეს მკერდიდგან, და რომელსაც შეუძლია კაცი ანგელოზად აქციოს და ქვეყანა სასუფევლად

1 Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. V, ფურცელი 121; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 90.

შეცვალოს. რომამდე მოაწია ყველა თქვენის უბედურების ამბავმა და მასთანვე მოგვითხრეს საოცარი და შეუდარებელი სიმხნე, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ. ეგრეთვე ვუწყით, თუ რაოდენი სიმტკიცე სარწმუნოებისა გამოიჩინა ღვთისმოსავმა დედა თქვენმა, რომელმაც ქრისტიანობაზე ხელის აღებას თავისი სამეფოს დაკარგვა და სიკვდილი არჩია. მაშ, ეგოდნათ განთქმულის დედის შვილო და ეგოდენთა განსაცდელთა მძლეველო, მოუსმინეთ ჩვენს მღვდლებს ყოველი რჩევა, რომელსაც მოგახსენებენ სარწმუნოების სახელით და რომელიც შეიქმნება მშვენიერი სამკაული თქვენის განუდრეკელი მხნეობისა. ხოლო ჩვენის სამოციქულო კრებულით ჩვენც დიდად აღვამაღლებთ თქვენს სახელს და ვევედრებით ღმერთს, რომ მოსცეს მხნეობა და ძლევა მოსილება თქვენს მხედრობას, რათა გამარჯვებული ქვეყნიერს მტრებზე, გვირგვინოსანი წარსდგეთ საუკუნო ბედნიერების მამულში, რომით, 4 ივლისს, 1626 წ.“[1].

### IX. – ნიკოლოზ ირბახი – თეიმურაზის დესპანი რომში; მეფის წერილი პაპს. ნიკოლოზ ირბახის მიერ წმინდა რეზიდენციაში წარდგენილი თხოვნა; ურბან VIII-ის წერილები, გაგზავნილი ესპანეთისა და საქართველოს მეფეებთან

სანამ ეს მისიონერები მესინაში იმყოფებოდნენ და თავიანთი მისიის შესასრულებლად წასვლას ელოდებოდნენ, ამ ქალაქში ჩამოვიდა ქართველი ბერი ნიკოლოზ ირბახი, რომელიც პაპ ურბან VIII-სთან და ევროპის სხვა მმართველებთან ელჩად გამოგზავნა მეფე თეიმურაზმა. ელჩს მეკავშირეობა და დახმარება უნდა ეთხოვა თურქი და სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ნიკოლოზ ირბახის ჩამოსვლამ დიდად გაახარა მისიონერები. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ ელჩისადმი კეთილმოსურნეობა გამოეხატათ და ეკითხებოდნენ ქვეყნის შესახებ, სადაც თვითონ მიდიოდნენ. ნიკოლოზ ირბახმაც ერთობ ისიამოვნა, როცა ნახა ასე მოწადინებული კაცები, რომლებიც მეტად მძიმე მოგზაურობისათვის ემზადებოდნენ, რათა მისი თანამემამულეებისათვის სულიერი დახმარება გაეწიათ.[2]

შემდეგ ირბახი ესპანეთს გაემგზავრა, სადაც კარგად მიიღეს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია მისი მისიის შედეგები. შემდეგ რომში ჩავიდა და პაპ ურბან VIII-ს წარუდგინა წერილი მეფე თეიმურაზისა, რომელსაც პაპმა ცოტა ხნის წინათ ზემოთ მოყვანილი წერილი მისწერა. აი, თეიმურაზის წერილი:

---

1 ლათინური ტექსტი კ. გალანუსთან, Conciliatio Ecclesiae Armenae cum Romana, ტ. I, გვ. 121-122. J. Silos, Historia Clericorum Regularium, Rome, ტ. II, 1655, გვ. 578; B.Ferro, Istoria delle Missioni de'Chierici Regolari, ტ. I, გვ. 48; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 90—92.

2 იხ. Silos, დასახ. ნაშრ. გვ. 583, ა. შ., A. Lamberti, Istoria Sacra dei Colchi, Naples, 1657. გვ. 62, ა. შ.; Bartolomeo Ferro, დას. ნაშრ., გვ. 53.

„რომის დიდს მწყემსსა.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, აღვიარებთ და თაყვანს ვცემთ იმავე ერთარსებას, ერთს ღვთაებას და ერთს სუფევასა. სიხარულით სავსე მოგმართავთ და ვისწრაფვით თქვენის სიწმინდისადმი, რადგან სარწმუნოება და სწავლა-მოძღვრება, რომელიც



ნიკოლოზ ირბახი, ქართველი ბერი, რომელიც მეფე თეიმურაზმა გაგზავნა რომის პაპთან და ევროპის მეფეებთან 1626-1629 წწ.-ში. პატრი კასტელის ნახატი.

მოციქულებმა ასწავლეს, განუხრწნელად დავიცევით და ეგრეთვე ჯვალად აღვიდით ჩვენს ივერიის სამეფო ტახტზე. აღმოსავლეთიდგან გწერთ რომს, საიდგანაც, როგორც მზე, დიდად მრწყინავთ და ანათებთ მთელს ქვეყანას და, ვითარცა ქერაბიმი და სერაბიმი, სჭვრეტთ ყოვლად წმიდა

სამეფოსა, უფროთვე ჰქონდეთ სრულად ნათელს, რომელსაც ღვთის მიერ ღებულობთ: თქვენ ხართ პატრონი ქრისტესი და საფუძველი სარწმუნოებისა, რაც წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ჰქადაგეს, თქვენ ყოველი უწყით. პეტრემ განასწავლა სოფელი და განამტკიცა. ესევე ძალაუფლება გაძლევსთ თქვენ, აღჭურვილი ერთისა და იმავე ძალითა თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი. ამ წერილით მოკრძალებულნი წარვსდგებით თქვენს წინაშე და რიდითა და მისალმებით ვემთხვევით თქვენს მოციქულებრივ ფეხთა, ვინაიდგან ყველას უკვდავების წყალს ასმევთ საუკუნო ცხოვრებისათვის. ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას, რადგან თქვენ ხართ სვეტი სარწმუნოებისა, მთავარი მთელი ქვეყნისა და უპირველესი საყდარი ყოველთა. დარწმუნებული ვართ, რაც უნდა გთხოვოთ, ყოველსავე სიამოვნებით მოგვანიჭებთ. ღვთის შეწევნით და თქვენის უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით მივიღეთ მეფობა. აწ გთხოვთ, თქვენის მრძანებით დაგვამტკიცოთ. ჩვენც ჩვენის მხრივ გპირდებით, მორჩილებას და პატივისცემას. ოსმალებთან და სპარსელებთან მუდამ უთანხმოება გვაქვს და ხშირადაც ჩხუბი მოგვდის მათთან, მაგრამ ღვთის შეწევნით არცერთ მათგანს დავემორჩილეთ. მხოლოდ თქვენი ქვეშევრდომნი ვართ, რაც გნებავთ, გვიბრძანეთ და ყველაფერს აღვასრულებთ. როგორათაც ღმერთი მამაა ყველა არსთა, მსგავსათვე თქვენც ხართ მამა ყოველთა მორწმუნეთა. თქვენის შუამდგომლობით მსურს დაკავშირება ესპანეთის მეფესთან. ამის შესახებ მას მივწერეთ; ამიტომ გევედრებით და გთხოვთ, თქვენც ეცადოთ, რათა იგი დათანხმდეს. მღვდელი ნიკიფორე მოგართმევთ ამ წერილს, რომელიც აღვწერეთ ძლიერ მარტივად. აწ ჩვენი უდიდესი ნატვრა ეს არის, რომ შევიქმნეთ სათნო საყოფელი თქვენის უწმიდესობისა. თქვენ ხართ პირველი საყდარი და გაქვთ უსაზღვრო ხელმწიფება. გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგემორჩილებით. ქართლით, 20 ნოემბერს, 1622“.[1]

თეატინელ ბერთა რეკომენდაციით ქართველი ელჩი კარგად მიიღეს რომში, მაგრამ არ მოინდომეს მისი თხოვნის მოსმენა, სანამ ის თავის რწმენას არ დაადასტურებდა. ამიტომ სთხოვეს, ჯერ ეს საქმე შეესრულებინა[2], რის შემდეგაც ელჩმა თავისი მოთხოვნები ასე

1 ლათინური ტექსტისთვის იხ. Silos, გვ. 584; B.Ferro, დასახ. ნაშრ., გვ. 54; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 93, 94.

2 „და თან არ უნდა გაიკვირვოს ახლანდელი მეფის თეოფილეს (თეიმურაზის— რედ.) მიერ გამოგზავნილმა ელჩმა ნიკიფორემ, თუკი სამოციქულო საყდარს სურს, რომ სანამ გაუგზავნიდნენ საბუთებს, ის მათ სარწმუნოებას ეზიაროს. წმ. კონგრეგაციის არქივში დაცულ საბუთებში ქართველების შესახებ არაფერია ნათქვამი მათ შეცდომებზე, პირიქით, ნათლად ჩანს, რა თავდადებული იყო ეს ხალხი სამოციქულო საყდრისა და პაპისა“. Arch. de la Propag., Lettere dell'Illiria, Tartaria, Siria, Persia, e Giorgia, ტ. CXLVII, ფ. 188. C.Castelli, Descriptio originis Missionum Theatinorum in Regno Giorgiae Colchidae.

ჩამოაყალიბა: იბერიის მეფის წარგზავნილი, წმინდა ნიკიფორე[1] მის უწმინდესობას შესთხოვს:

1. მისმა უწმინდესობამან უპასუხოს იმერიის მეფის წერილს, კანონიერად ცნოს და დაამტკიცოს იგი იმერიის მეფედ. თუ მის უწმინდესობას ეჭვები გაუჩნდება, შეუძლია ადგილზე გაგზავნოს ვინმე ჭეშმარიტების დასადგენად.

2. მისმა უწმინდესობამან წერილი მისწეროს და ახსნა უბოძოს იმერიის მეფეს, იგი რომის ეკლესიის შვილად მიიღოს, როგორც კათოლიკე უფლისწული.

3. მისმა უწმინდესობამან მისწეროს მის უდიდებულესობა ესპანეთის მეფეს და შეავედროს იმერიის ხელმწიფე, აწ უკვე ვაჟიშვილი პაპისა.

4. მისმა უწმინდესობამან უბოძოს მამა ნიკიფორეს საერთო პასპორტი და შეავედროს იმპერატორსა და პოლონეთის მეფეს, ვის ქვეყანაზეც გაივლის იგი, როცა იმერიაში დაბრუნდება. ამას გარდა, მისმა უწმინდესობამან უნდა მისწეროს აგრეთვე ნეაპოლის ყოფილ მეფეს, რომელსაც ესპანეთის მეფისგან ნაბრძანები აქვს, დაეხმაროს ნიკიფორეს და იგი რაც შეიძლება ჩქარა გაამგზავროს"[2].

პაპის წმიდა საყდარმა არ მოისურვა მოვლენათა დაჩქარება. ჯერ გადაწყვიტეს, უკეთესად შეესწავლათ ქართველი მეფე და მისი ელჩი. პროპაგანდამ ვენეციისა და ფლორენციის ნუნციუსებსა და პიზას არქიეპისკოპოსს სთხოვა, ცნობები შეეკრიბათ.[3] ვენეციელმა ნუნციუსმა ქალაქში სპარსეთიდან ჩამოსული რამდენიმე სომეხი მონახა. ისინი მორიდებულად მოჰყვნენ იმას, რაც იცოდნენ. ნუნციუსმა სწრაფად გადასცა სომხების ნათქვამი პროპაგანდას.

ამასობაში ქართველი ელჩი თავის ენას ასწავლიდა თეატინელ ბერებს, მათვე დააარსებინა პროპაგანდაში ქართული გამომცემლობა და ქართულად გამოაცემინა ლოცვათა პატარა წიგნი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი[4]. ამის შემდეგ პროპაგანდას გაშვება სთხოვა. წმინდა მამამ მრავალი მისი საქებარი წერილი გაუგზავნა ევროპის ხელმწიფეებს, რომელთა ქვეყნებში ნიკოლოზ ირბახს უნდა გაევლო. აი, ერთ-ერთი მათგანი ესპანეთის მეფისადმი მიწერილი:

1 ქართულად ნიკოლოზი.

2 Arch. de la Propag., Lettere dell'Illiria, Tartaria, Siria, Persia e Giorgia, ტ. CXLVII, ფურცელი 192.

3 იქვე, Lettere della S.C., ტ. VII, გვ. 103, 129.

4 Dittionario Giorgiano e Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M.R.P.D. NiceforoIrbachi, Giorgiano, Monaco di S. Basilio, Rome, 1629.

„ქრისტესმიერ ჩვენს ფრიად საყვარელს შვილს ესპანეთის კათოლიკე მეფეს ფილიპეს, პაპი ურბან VIII.

ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. ჩვენი საყვარელი შვილი ნიკიფორე ირბახი, წმიდა ბასილის წესის მონაზონი, საქართველოს მეფის ელჩი, როგორც თქვენის წერილიდგან მტკიცდება, ღირსია ქრისტიანე მეფეთა მფარველობისა. რადგანაც რომში იყო საქართველოს მეფისა და სარწმუნოების საქმის გამო, რაოდნათაც შემეძლო, მწყემსებრივი მზრუნველობა და მამობრივი სიყვარული გამოვუცხადეთ. ახლა ბრუნდება თავის ქვეყანაში და ჩვენ ჩვენის მოციქულებრივის წერილით ვავედრებთ ყველა მთავარს, რომლების პროვინციებშიაც უნდა გაიაროს. ჩვენ არ ვინებთ აქიდგან ისე გაგვესტუმრებინა, რომ ჩვენი მღვდელთმთავრული გულკეთილობა არ გამოგვეცხადებინა პირისათვის, რომელსაც თქვენმა დიდებულებამ მოუწონა და ურჩია ეს კეთილი და დიდი მგზავრობა. რომით, 18 ნოემბერს 1628, მღვდელთმთავრობის მეექვსე წელსა“[1].

ქართველ მეფეს კი მისმა უწმინდესობამ ასეთი წერილი გაუგზავნა:

**„პაპი ურბან მერვე. საყვარელს შვილს, საქართველოს მეფეს, თეიმურაზ ხანს.**

უძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი.

ქვეყნიერ მთავრობათა, რომელნიც საუკუნო მეფის მოხარკენი არიან, სუსტი საფუძველი აქვთ, უკეთუ არ არიან დამყარებულნი იმ შეურყეველ კლდეზე, რომელსაც ვერ სძლევენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი, როგორადაც დაუმტკიცა ყოვლად ძლიერმა უფალმან. ამისთვის ქრისტიანე ხელმწიფენი, რომელთაც კარგად იციან საუკუნო ცხოვრების მეცნიერება და ამ ზეციერის მეცნიერებით ჰმართვენ თავიანთ სამეფოს, გამარჯვებით დაგვირგვინებულნი მოდიან რომის მღვდელთმთავრის მოციქულებრივ ფერხთა სამთხვევლად და უცხადებენ თავიანთ შვილობრივს მორჩილებას. ძალნი ზეცისანი ამხედრებულან ახალი მთავრობის დასაცველად, ვინაიდგან თქვენს ხელმწიფებას აწ სურს ჩარიცხოს თავი კათოლიკე მეფეთა კრებაში. ჭეშმარიტად ღვთიური სახიერება ევლინება საქართველოს და ამისი ცხადი ნიშანიც ის არის, რომ ამ ბოლო დროს, ვითარცა მფარველნი ანგელოზნი, მოგევლინათ მოძღვარნი და მოგიტანეს საუკუნო სიბრძნის რჩევანი. ღმერთი, რომელიც გაბნეულ ისრაელს შეჰკრებს და გაჰკურნებს ყველა ტომთა, აღარასოდეს მოგაკლებთ თავის მოწყალებას. ამისთვის ჩვენც მამობრივის სიყვარულით მივიღეთ საყვარელი შვილი წმიდა ბასილის მონაზონი ნიკიფორე ირბახი, რომელიც თქვენი წერილით მოგვივლინეთ თქვენ მოწმედ და თქვენის პირობის თავდებად.

1 Arch. Vat., ურბან VIII-ის VI წელი. Epistolae ad Principes, ფურც. 73. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 96.

ხოლო აწ სიმდაბლით ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელთ არის გული მეფეთა, რათა სანატრელი დასასრული მოსცეს თქვენის უმაღლესობის კეთილს განზრახვას, რაოდენათაც შეიძლება, მალე შეხვიდეთ რომის დედა ეკლესიის წიაღსა მოვლენილის ანგელოზების წინამძღვრობით. გვნებავს თქვენი ახსნა ყოვლის საეკლესიო დაბრკოლებისგან და ეგრეთვე ზიარგყოთ ეკლესიის ყოველი შენდობისა, ვითარცა მოზიარენი არიან ხოლმე ყველანი შეერთებულნი საიდუმლოებით წმიდა პეტრეს მოსაყდრე პაპებთან. ამ სულიერ წყალობას განიჭებთ ხელითა ჩვენის პატივცემულის ძმის მირის ეპისკოპოსისათა, რომელიც აწ უნდა დამკვიდრდეს ნახჩევანის ეპარქიაში. უკეთუ ვერ მოვიდა, მაშინ მის მაგიერობას გასწევენ თეატინელი წესის მღვდლები, რომლებიც უკვე წარმოვგზავნეთ თქვენს ქვეყანაში სახარების საქადაგებლად. თუ ვინიცობაა ამ მღვდლებმაც თქვენამდე ვერ მოაღწიეს სხვა და სხვა დაბრკოლებათა გამო, მაშინ განკარგულებას მოვახდენთ, რომ სპარსეთიდან მოვიდნენ ავგუსტინელთა წესის, ანუ კარმელიტთა მონაზონები, რომლების საშუალებითაც ჩაითვლებით ღვთის რჩეულ შვილთა რიცხვში. როდესაც მათ წინაშე, ჩვეულებისამებრ, კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებთ და თქვენ მიერ გამოცხადებულის მორჩილების მოწმობას ჩვენდამი წარმოგზავნით, მაშინ, მოციქულებრივის ძალით, რომლითაც ყოვლის შემძლებელი მეფეთა მსაჯული სამეფოთა სცვლის და ამტკიცებს, ჩვენის მღვდელთ მთავრულის კურთხევით და დიდებით დაგამტკიცებთ მეფედ. ეგრეთვე ვეცდებით დაგიმეგობროთ ძმურის სიყვარულით ქრისტიანე ხელმწიფენი და მეტადრე ესპანეთის მეფე, რომლის მეგობრობასაც ნატრობთ. პროპაგანდის კარდინალთა კრებამ თვით ნიკიფორეს აუწყა, რაც უმთავრესად თქვენის დიდებულებისაგან მოითხოვება და რასაც რომი მოელის თქვენგან. მიუცილებლად საჭიროა იგულმოდგინოთ და იზრუნოთ, რათა ეპისკოპოსთა და მღვდელთა, რომლებიც საქართველოში ერს უვლიან სულიერად, იარონ ერთად უფლის სახლში და თქვენთან ერთად სცნონ პეტრე მოციქულის უპირატესობა და პატივი სცენ ეკლესიის ხილულ თავს, რომელიც ზის რომის საყდარსა. ჩვენ ამის უკეთეს საშუალებას არას ვხედავთ საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად და არც ამის უსაჭიროესს, რომ მიიღოთ ზეციური მფარველობა. ჩვენის მღვდელთ მთავრულის უფლების დიდებად ჩვენის სამწყსოს ცხონება მიგვაჩნია; ამიტომ დიდად მოხარული და გამარჯვებული ვიქნებით და ნიადაგ ვაქებ-ვადიდებთ ზეციერ მამას, თუ გვეღირსა შეტყობა და შეთვისება მოციქულებრივის სიყვარულით თქვენებრ დიდებით და სიმხნით განთქმულის მეფისა; მაშინ შეგამკობთ ყოვლის სულიერი სიკეთით, რომელსაც კათოლიკე მეფენი სააქაო მფლობელობის სახელზე უფრო მეტად აფასებენ. რომით, 2 დეკემბერს 1628"[1].

1 ლათინური ტექსტისთვის იხ. B.Ferro, ზემოთ ციტ., გვ. 108. იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" გვ. 97—98.

პროპაგანდამ სარეკომენდაციოდ წერილი მისცა ნიკოლოზ ირბახს სხვადასხვა ნუნციუსისათვის, აგრეთვე გაატანა მითითებანი რწმენის შესახებ, რაც საჭირო იყო უნიისათვის[1]. ნიკოლოზ ირბახი შეუდგა მოგზაურობას და მოიარა ბევრი ქვეყანა. პაპისა და პროპაგანდის რეკომენდაციათა წყალობით ვენის[2] და ვარშავის ნუნციუსებმა იგი დიდი ყურადღებითა და კეთილმოსურნეობით მიიღეს, შეხვედრები მოუხერხეს მეფეებთან, რომლებთანაც ისინი იყვნენ აკრედიტებულნი, მაგრამ არ ვიცით, რა შედეგები მოჰყვა ამ ნაბიჯებს[3].

## X. – თეატინელთა ჩამოსვლა საქართველოში. მათი მიღება მეფის მიერ. მათი ღვაწლი

მრავალი საფრთხისა და ტანჯვის შემდეგ, რომელთა აღწერაც უსარგებლოდ მიგვაჩნია, რომიდან წარმოგზავნილი თეატინელი მისიონერები საქართველოში, გორში ჩამოვიდნენ, დაახლოებით 1628 წ-ის 14 დეკემბერს. ქვეყანა მათ დანგრეული დახვდათ, ჯერ კიდევ სპარსელთა გამანადგურებელი კვალი არ წაშლილიყო. ამ სამწუხარო სანახაობამ მისიონერები ძალიან დაადონა.

მეფე თეიმურაზი სოფელში იმყოფებოდა. მისიონერებმაც იქ მიაკითხეს და საჩუქრები და პაპის წერილი მიართვეს. მეფემ, თავადებით გარშემორტყმულმა, მისიონერები ერთობ კეთილგანწყობით მიიღო და დიდი სიმპათიებიც გამოხატა მათდამი. თეატინელები კიდევ რამდენიმე დღე დატოვეს იქ, მათთან ერთად უსხდნენ მაგიდას და შინაურულადაც ესაუბრებოდნენ. ბოლოს

---

1 იხ. Arch. de la Propag., Lettere dell'Illiria, Tartaria, Persia e Giorgia, ტ. CXLVII, გვ. 192. და Lettere della S.C., ტ. VII, გვ. 143.

2 იხ. Arch. de la Propag., Lettere di Germania e di Boemia, ტ. LXX, 1629, გვ. 64,68.

3 „აქ მოვიდა მამა ნიკიფორე ირბახი, ქართველი. როგორც კი შემატყობინა ჩამოსვლის ამბავი, მის წამოსაყვანად ჩემი ბინიდან მაშინვე რამდენიმე კაცი გავაგზავნე ეტლებით, რადგან აქედან ცოტა შორს დამდგარიყო. მამა ნიკიფორე ჩვენთან დავაბინავე და თავაზიანობითა და სიყვარულით სავსე სტუმართმოყვარეობა არ მოგვიკლია მისთვის. შევახვედრე მის უდიდებულესობას, თან გავაყოლე პატივსაცემი ხალხი და გავაგზავნე ყველა მთავარ მოხელესთან, ვისთანაც შეხვედრა და საუბარი სურდა. გამგზავრებისას მივეცით საგზალი და ეტლი რამდენიმე დღით. ვეცადე, წმინდა კონგრეგაციის სურვილებისთვის მეპასუხა; მათ გამომიგზავნეს სარეკომენდაციო წერილი. როგორც ჩანს, ჩემით კმაყოფილი გაემგზავრა, რადგან აქ ყოფნისას წმ. კონგრეგაციიდან განუწყვეტლივ იღებდა წყალობასა და პატივისცემას და განსაკუთრებით კრძალვით იხსენიებდა თქვენგან მიღებულ წყალობებს. როცა მიემგზავრებოდა, დამიტოვა დამატებითი წერილები, რომლებსაც ჩემს სხვა წერილთან ერთად გიგზავნით... ვარშავა, 14 აპრილი 1629 ... სელევკიის არქიეპისკოპოსი". იქვე. წერილები უნგრეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, კოლონიიდან, ამბურგიდან, ალზასიდან და პალატინატიდან, ტ. LVII, გვ. 64. იხ. იქვე, გვ. 63 და 65.

მეფემ მისიონერებს გორში ერთი სახლი უბოძა და ერთიც პატარა ეკლესია, სპარსელების მიერ გავერანებული[1].

ამავე წელს თეატინელ მამათა ჩამოსვლამდე, სპარსეთიდან დაბრუნდა მამა ამბროზიო ავგუსტინელი და მეფე თეიმურაზს მისი დედის, ქეთევანის რელიკვიები ჩაუტანა, რაზეც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მეფემ დიდი პატივით და მადლობით მიიღო მამა ამბროზიო და მისცა ყველაფერი, რაც კი მას სჭირდებოდა იქ დასაფუძნებლად[2].

---

1 „... ამრიგად, მეფესთან რომ წავედით, მან დიდი სიყვარულით მიგვიღო და პატრიარქთან ერთად, რომელიც იმ დროს მასთან იყო, დიდი პატივი გვცა. ნება დაგვრთეს, აგვემოქმედებინა ეკლესია და ყველა ჩვენი ღვთისმსახურება აღგვესრულებინა ისე, როგორც ამას ვასრულებთ იტალიაში. გვიწყალობა აგრეთვე ხორბალი, ღვინო და ხორცი და ისევ გორში გაგვიშვა, თან გვითხრა, რომ მოვიდოდა და იქ უკეთ მოგვაწყობდა. ამრიგად, ჩავედით გორში, სადაც საცხოვრებლად გვაქვს ერთი პატარა სახლი და ამჟამად იქა ვართ. ახლა ველოდებით, როდის მოვა მეფე და მოგვცემს ეკლესიას, როგორც დაგვპირდა. მეფემ დაწერა საპასუხო წერილი რომის პაპისადმი და მადლობას უხდის ჩვენი გამოგზავნისათვის. ასევე პირდება სხვების, რომელნიც მომავალში ჩამოვლენ, სიყვარულით მიღებას. მან ეს წერილი გადასცა დომინიკელ პატრს, რომელიც აქ გახლდა და რომელიც დაპირდა ამ წერილის წაღებას რომში, სადაც მალე უნდა მისულიყო... მეორე წერილი კი მისწერა ფიდეს პროპაგანდის კონგრეგაციას... მეფე და პატრიარქი კარგი კაცები არიან და აქვთ კეთილი ზრახვები. ხალხი არის გამგონი, ადვილად დამყოლი. ბერძნებისაგან განსხვავებით, ლათინები არ ეზიზღებათ და ალერსითა და საჩუქრებით დიდ ნაყოფს მოვიწევთ... Da Gori, 3 Maggio 1629, Don Pietro, C.R.". Archiv. Des Pères Théatins à Rome, S. Andrea della Valle, Lettere dei Missionarii, № 9, C.

2 „უნეტარესო მამაო, კარგა ხანია, რაც ჩვენი აღმსარებლობის ძმები წინამძღვართა ბრძანებისამებრ საქართველოში დამკვიდრებას ცდილობენ, რათა, ვითარცა სხვაგან, აქაც მოიღონ სულიერი ნაყოფი. ძმა ჩვენი გვილელმი (კურთხეულ არს მისი ხსოვნა მრავალი ღვაწლის გამო, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და წმიდა ნაწილთა გულმოდგინე ძიების საქმეში მიუძღვის) აქ 20 წლის წინათ ჩამოვიდა და სიხარულით მიიღო ამ მხარის უზენაესმა პატრიარქმა. შემდეგ, როცა აღმსარებლობითი მოვალეობის გამო ისპაჰანში მოუხდა გამგზავრება, პატრიარქმა თხოვნით მიმართა, კვლავ მასთან დაბრუნებულიყო. უკან რომ ბრუნდებოდა, თურქები დაედევნენ, რომელთაც ხშირად ამხელდა ხოლმე სარწმუნოებრივ კამათში. მათგან ოტებისას მრავალი ჭრილობისაგან დატანჯულმა ნეტარად განისვენა. თუ რა დიდებული იყო მისი სიკვდილი უფლის წინაშე დაუფარავად განეცხადა ქალაქის მოსახლეობას, რომელიც გარდაცვალებიდან სამ ღამეს ცხედარზე ზეცით გადმოსულ და ყოველმხრით გაბრწყინებულ ნათლის სხივებს უჭვრეტდა. ამიტომ სომხებიც უაღრეს პატივს სცემდნენ. მის საფლავზეც მოდიოდნენ სალოცავად, როგორც ამას იმ დღეებში ჩვენთან მოსული და თვითმხილველი თეატინელი ძმები მოწმობენ. ძმობის წევრთა გულებში კი დარჩა აღსასრულებელი საქმისაკენ სწრაფვის მხურვალე ნაკვერცხალი, რომელსაც პირველად ამ პატიოსანმა მამამ აღუპყრა ხელი. მაგრამ ამ მხარეში მოძალებული ომიანობის საფრთხემ მეტად დააბრკოლა ძმობის წევრნი და ველარ განაგეს აქაურობა თავიანთი სურვილისამებრ. ბოლოს, ყოვლად სახიერმა ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა და უკანასკნელ ჟამს გზა გამოგვიჩინა: ჩვენთან განისვენებდნენ პატიოსანი ძვლები ქართველთა მეფის თეიმურაზის დედისა, სარწმუნოებისა და უბიწოების დასაცავად სპარსეთის მეფისაგან სასტიკი ტანჯვა და უმშვენიერესი სიკვდილი რომ ერგუნა. ეს შენს ნეტარებას დომინიკელი ძმის გრიგოლ ურსინუსის მიერ მოეხსენა.

მისიონერები მყისვე შეუდგნენ ადგილობრივი ენის შესწავლას, ქადაგებას და სამედიცინო ხელოვნებასაც კი მიჰყვეს ხელი, რაც ძალიან საჭირო იყო მაშინ, ექიმების სპარსეთში გადასახლებისა და იმ მრავალრიცხოვან დაავადებათა გამო, რომლებიც ხანგრძლივმა ომებმა გამოიწვია.

ხალხმა დაიწყო მისიონერებთან სიარული. გულმოწყალეობამ, სიბეჯითემ, უანგარობამ და მედიცინის ცოდნამ დიდად გაუთქვეს მათ სახელი; მისიონერებმა მალე მოიპოვეს საყოველთაო პატივისცემა და ნდობა. ყოველი მხრიდან ელტვოდნენ, რათა მოესმინათ მათთვის და ზიარებოდნენ მათ მიერ უხვად გაღებულ სულიერსა თუ ხორციელ მსახურებას.

მაგრამ მისიონერთა მოღვაწეობამ მეტად მაინც მეფე გააოცა. მისიონერთა მიერ თავის ქვეშევრდომთა ჭირ-ვარამის გაქარვებით აღტაცებულმა ისინი სასახლეში მოიწვია და სთხოვა, მოერჩინათ დედოფალი, მისი მეუღლე, რომელიც სპარსელი ექიმების აზრით არ განიკურნებოდა. მისიონერებმა დედოფალს მკურნალობა დაუწყეს და

სპარსეთთან დაზავების შემდეგ მეფემ მრავალგზის მიმართა თხოვნით სპარსეთის ხელმწიფეს გამოეგზავნა მისთვის დედის დარჩენილი ნეშტი. ვინაიდან ამგვარი საშუალება მოგვეცა, პროვინციის ხელმძღვანელთა ბრძანების თანახმად, ძველბი ქალაქ ისპაჰანიდან წამოვიდეთ და 1627 წლის 22 აგვისტოს გზას დავადექით. მგზავრობისას მძიმე სენი შეგვეყარა და სვლა ველარ შევძელით. მოვიმაგრდით თუ არა, ისევ ისპაჰანში დავბრუნდით. შემდგომ ამისა, როცა ძმობის სამი წევრი ხელმეორედ შევუდექით გზას, ერთი ჩვენგანს, რომელსაც უფროსობა ეკისრებოდა, კვლავ მოერია უძლურება და იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. მე კი, ერთი თანამგზავრის, მორჩილი ძმის, თანხლებით 1628 წლის 30 მაისს ცოცხალ-მკვდარმა მივაღწიე ამ მხარეს, რადგან გზაში არც თოვლი და არც სხვა რამ გასაჭირი დაგვაკლდა. მეფე თეიმურაზი უზომოდ გაახარა დედის ნაწილთა ჩამოტანამ. უმალ დიდი სიტკბოებით მიგვიღო უხუცეს პატრიარქთან ერთად და მრავალი პატივი მოგვაგო. ორივესაგან მოგვეცა ტაძრის აგებისა და ღვთის სიტყვის ქადაგების უფლება და ქალაქ გორს დავსახლდით, რადგან აქ დიდძალი ხალხი იყრის თავს. მრავალჯერ მისაუბრია მეფესთან. როცა დავინახე, რომ სიამოვნებით ისმენდა ჩემ სიტყვებს, არ შევეპუე მის ფრთხილ მოქცევას, არც მომავალში შევეპუები, რათა ცნოს შენი ძლევამოსილება, სათანადო მორჩილება გამოიჩინოს და რომის წმინდა ეკლესიის შვილი გახდეს. ვფიქრობ, ამგვარი განწყობილება უკვე ჩაისახა მის სულში. ღვთის შეწევნით არ ვეჭვობ, რომ შევძლებ ამ საქმის აღსრულებას. მანამ კი დავშვრებით ამ დასხმულ ვენახში თქვენი უწმიდესობის მიერ გამწესებულ თეატინელ მამებთან ერთად, რომელთაგან, ვისაც კი შევხვდი, თავი არავისთვის დაუზოგავს. სახოებით შევყურებ უფალს, რათა ღვთაებრივი მადლის შეწევნითა და ჩვენი დაუდგრომელი მუშაკობით შეგვეძინოს უზღვავი სიჭარბე სულიერი ნაყოფისა. ხოლო შენ, უნეტარესო მამაო, ნუ მოგვაკლებ შენს უწმინდეს კურთხევას. ამას შევევედრებ მხურვალედ შენს სახიერებას, ვიდრე დავადგები დედამიწაზე და თაყვანისცემით კვლავინდებურად მივემთხვევი შენს წმინდა ტერფებს.

ყოვლისშემძლე ღვთისადმი ვღაღადებ, უმოლხინესი გყოს შენ ამ ქვეყნად და უნეტარესი ცათა სასუფეველში. ქ. გორიდან, 1629 წლის 27 აპრილი". Arch. de la Propag., Lettere di Levante et dell'Asia, ტ. CXV, ფურცელი 408, იხ. ამდაგვარი წერილი პროპაგანდის მისამართით, ფ. 409, აგრეთვე ტ. CXCIV, Indie e Giappone, 64 გვ., და ა. შ. ავგუსტინელ მამათა გრძელი რელაცია პროპაგანდისადმი გაგზავნილი.

მალე გამოაჯანსაღეს უფრო თავიანთი ლოცვებით, ვიდრე საექიმო ხელოვნებით. ეს სწრაფი განკურნება ყველამ უჩვეულო მოვლენად და ღვთის წყალობად მიიჩნია.

მეფემ მადლი მოახსენა უფალს მის ქვეყანაში კომისა და დამიანეს მსგავსი ხალხის გამოგზავნისთვის. დედოფლის განკურნების ამბავი მალე ყველგან გავრცელდა და მოსახლეობაში ნდობა და პატივი ამ საყვარელ მამათა მიმართ გაორმაგდა. მათ დიდი პატივით უსმენდნენ, რადგან ხედავდნენ, რომ იმას ახორციელებდნენ, რასაც ქადაგებდნენ[1].

როცა თეატინელები საქართველოში ჩამოვიდნენ, აქ დახვდათ ბერძენი მღვდლები, რომლებიც 600 000 ეკიუს იღებდნენ წლიურად წმინდა საფლავის მსახურებისათვის[2]. თეატინელთა ჩამოსვლით უკმაყოფილო ბერძენმა მღვდლებმა მათ ძვირად ხსენება დაუწყეს და ჯიბრში ჩაუდგნენ, მაგრამ რადგან ხალხი და სახელმწიფო მისიონერთა მხარეზე იყვნენ, ბერძენი მღვდლების მაქინაციებს წარმატება არ მოჰყოლია. იერუსალიმის პატრიარქმა მისწერა კიდევაც მეფე თეიმურაზს, განედევნა მისიონერები თავისი სამფლობელოებიდან[3].

## XI. – ნიკოლოზ ირბახის დაბრუნება საქართველოში. მისი ეცდელობა უნიის მისაღწევად. თეიმურაზის წერილი ურბან VIII-ს. პროპაგანდა გზავნის სხვა მისიონერებსაც და წერილებს უგზავნის საქართველოს მეფესა და ნიკოლოზ ირბახს

1629 წელს ელჩი ნიკოლოზ ირბახი საქართველოში დაბრუნდა და მეფეს მოახსენა თავისი მისიის შესახებ. მოუთხრო აგრეთვე იმ მფარველობაზე, რასაც თეატინელთა მხრიდან გრძნობდა. მაშინ მეფემ მოაყვანინა თეატინელი მამები და ბოდიში მოუხადა, რომ საკადრისად არ ექცეოდა. ამ დროიდან მეტ ყურადღებას იჩენდა მათ მიმართ. ნიკოლოზ ირბახის დაბრუნებამ დიდი სამსახური გაუწია მისიონერებს, რადგან ყველგან ლაპარაკობდა იმ სიკეთეზე, რითაც აღავსეს ევროპაში, განსაკუთრებით თეატინელებმა. მეფის მიბაძვით ხალხმაც შეიყვარა მისიონერები და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მათ. მისიის ასეთ ბედნიერ დასაწყისს ძალიან უხვი ნაყოფი უნდა გამოეღო.

ნიკოლოზი პროპაგანდის რჩევით საქართველოში ჩამოსვლისთანავე შეეცადა მეფეს რომაულ ეკლესიასთან უნიაზე მოლაპარაკებოდა. შემდეგ რომს მისწერა ყველაფერი, რაც მოიმოქმედა. ჩვენ არ ვუწყით,

---

[1] იხ. Arch. de la Propag., Lettere del Levante e dell'Asia, ტ. CXV, გვ. 403; B. Ferro, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 101.

[2] Arch. de la Propag., Persia, Giorgia, Mengrelia e Tartaria, ტ. VII, ფურც. 209.

[3] იქვე, ფურც. 350; იხ., პროპაგანდის არქივი, თეატინელთა წერილები ანდრეა დელა ვალესადმი რომში, Lettere dei Missionarii, № 9, C.; B. Ferro, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

რითი დასრულდა ნიკოლოზის მცდელობა, რადგან მისი წერილი ვერ ვიპოვეთ. ის კი ვიცით, რომ პროპაგანდამ სასწრაფოდ დიდი მადლობა გადაუხადა პაპისა და კარდინალთა სახელით და ურჩია, გაეგრძელებინა თავისი საქმეები სულთა სადიდებლად[1].

მეფე ძლიერ ყოყმანობდა და სახალხოდ ვერ აღიარებდა ამ სარწმუნოებას, რადგან ეშინოდა აჯანყების საფუძველი არ მიეცა თავისი დიდებულებისათვის, რომელთაგან ზოგიერთი ამბოხების საბაბს ეძებდა. გარდა ამისა, ბერძენი ბერები ხალხში ათასგვარ ჭორს ავრცელებდნენ ლათინთა და რომაული ეკლესიის წინააღმდეგ. ამიტომ მეფემ ვერ გადაწყვიტა ეს საქმე და უფრო შესაფერისი დროისათვის გადასდო. ვარაუდობენ, რომ თვითონ ამ რწმენას ფარულად იზიარებდა[2].

მეფემ უმალვე უპასუხა პაპს და აცნობა მისიონერთა მშვიდობით ჩამოსვლის ამბავი, დაუდასტურა თავისი მადლიერება და ამავე დროს დაარწმუნა, რომ მხარს დაუჭერდა მათ მისიას. მეფის წერილი ასე გახლდათ შედგენილი:

**„ჩვენ ბატონს ურბან მერვეს, უმაღლესს მწყემსსა.**
**თეიმურაზ ხან, ივერიელთა მეფე.**

დიდ მადლობას ვუძღვნით თქვენს უწმიდესობას თქვენის ლოცვა--კურთხევისათვის. მივიღეთ თქვენის უწმიდესობის წერილი პადრი პიეტრო და პადრი ჯაკომო თეატინელი მონაზონებისაგან. როგორც იყო ამ ხანებში ესენი მშვიდობით მოვიდენ აქ, ვითარცა სანატრელ იყო. ჩვენც

---

1 „მამა ნიკოლოზ ირბახს.

თქვენი სეკრეტართან, ოქტომბრის 22-ს, მოწერილი წიგნი განიხილეს კარდინალების პროპაგანდის კრებაზე, რომელსაც დაესწრო მათი უწმინდესობაც. პაპმა და კარდინალებმა დიდად განიხარეს, რომ მანდ მშვიდობით ჩასულხართ; ეგრეთვე გაიხარეს, რა სცნეს თქვენი მოღვაწეობა მაგ მეფისა და მისი მინისტრების წინაშე მათ სულთა ცხონებისათვის, თქვენმა ღვაწლმა სავსებით გაამართლა ის მოლოდინი, რომელიც ამათ ჰქონდათ თქვენ შესახებ. ამიტომ საჭიროა არ დასცხრეთ და იმავე გულმოდგინებით იშრომოთ, ვიდრე შეერთების საქმე დასრულდებოდეს ისე, როგორსაც ნატრობს მათი უწმინდესობა და პროპაგანდა ღვთის სადიდებლად და მთელის იმ ერის საცხონებლად. ამიტომ ღმერთს ევედრებიან თქვენთვის, რათა მოგანიჭოსთ წყალობა თვისი; დარწმუნებული იყავით, რომ თქვენის კეთილის შრომისათვის ზეცას მიიღებთ დიდ სასყიდელსა. რომით, 1 ივნისისა, 1630". — Arch. de la Propag., Lettere volgari delle S.C., ტ. X, ფ. 52. იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", 1902, გვ. 106.

2 „მაშინ ამ ძალიან ფრთხილმა მეფემ იფიქრა, რომ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად აჯობებდა ყველაფერი მალულად გაეკეთებინა. ამიტომ რომაული რწმენის მსახურებას საიდუმლოდ ასრულებდა და ასევე ფარულად გამოაცხადა თავი რომის ეკლესიის მორჩილად. ამგვარად, თავისი მფარველობით ხელს უწყობდა საკუთარ სამეფოში მყოფი რომაელი კათოლიკების ორდენის გაძლიერებას მანამ, სანამ ხალხი ბოლომდე შეისისხლხორცებდა ამ რწმენის დოგმებს და შეძლებდა მეტი გონივრული სიფრთხილით სახალხოდ ქადაგებას". B. Ferro, ზემოთ ციტ., ტ. I, გვ. 109.

ეს მამები დიდის სიამოვნებით და წმიდა ამბორისყოფით მივიღეთ და მივაგეთ ყოველნაირი პატივი: არ დავზოგეთ არავითარი სამსახური, რაც კი მათ ეჭირებოდათ. ეგრეთვე ვუბოძეთ საუკეთესო ადგილი თავიანთ სადგომად და ერთი ეკლესიაც, რათა თავისუფლად იყვნენ და ღმერთი ადიდონ დღე და ღამ ღვთის ტაძარში; ყველა ჩვენ ქვეშევრდომთაც ვაცნობეთ ჩვენი სურვილი, რომ გვნებავს ამ მამებმა უშიშრად და თავისუფლად აღასრულონ ღვთის მსახურება თავიანთი სჯულისა და წესისამებრ, რათა არავინ გაბედოს მათი შეურაცხყოფა და რაიმე ვნების მიყენება. მასთანვე, ვუბრძანეთ ყველას, რომ მათ მოეპყრან კრძალვით, გულუხვად ემსახურონ და აღმოუჩინონ შემწეობა, რათა უფრო ადვილად ემსახურონ ღმერთსა და ილოცონ ჩვენთვის.

რაიცა შეეხება, უნეტარესო მამაო, თქვენს წერილსა, რომლითაც გვითვლით, ჩვენის ერთიერთ გულმოდგინედ და მორჩილებით მოვუსმინოთ ამ მამებს მოძღვრება, მტკიცედ და შეურყევლად დავრჩეთ ქრისტეს სარწმუნოებისა და უფლის გზაზედ, ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ ყოვლის მპყრობელ ღმერთს მუდამ ჟამ მადლობას ვწირავთ, რადგან დიდი კონსტანტინეს დროიდგან, ვიდრე აქამდე, ქრისტეს სარწმუნოება და მისი სიყვარული ისე შეუცვლელად დავიცევით, თითქოს ღვთის მიერ ჩვენს გულში ღრმად აღბეჭდილი ყოფილიყოს ის სიყვარული და ის სარწმუნოება. მართალია, ჩვენი სამეფო 1614 წლიდგან, ვიდრე 1628 წლამდე ხელში ჩაუვარდათ უწყალო სპარსელებს, რომელთაც ერთიან მოაოხრეს და ყოვლგვარი უბედურება შეამთხვიეს, მაგრამ მაინც კი სარწმუნოება შეურყევლად და მტკიცედ დაიცვა. ჩვენც დიდად ვიმეცადინეთ, რათა არავითარი მწვალებლობის შეცდომილება შემოერეოდა ჩვენს სარწმუნოებას. ეგრეთვე დიდი სასოება გვაქვს ღვთისა, რომ ამავე სარწმუნოებაში მტკიცედ დავრჩეთ და განუხრწნელად დავიცვათ იგი, ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე. ამას ვსასოებთ მეტადრე ახლა, როცა ღვთის წყალობით და თქვენის უწმიდესობის მამობრივის ლოცვა-კურთხევით მშვიდობიანად ვიმყოფებით ჩვენს სამეფოში. აი, ეს ქრისტიანე სარწმუნოება იყო მიზეზი იმისა, რომ ერთხელ დედა ჩვენი წავიდა სპარსეთის მეფესთან სათხოვნელად[1], რომ ყველა მის ხელში ჩავარდნილ ქართველებს, რომლებსაც სარწმუნოება უარეყოთ, შესძლებოდათ თავისუფლად და უშიშრად დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და შესდგომოდნენ თავიანთ უწინდელ სარწმუნოებას. მაგრამ, საუბედუროდ, სულ სხვა მოხდა; იმ უსჯულო სპარსელების მეფემ, რა ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ხორცის სიწმიდისა და სარწმუნოებისათვის, ჯერ დაატყვევა, შემდგომ თუ ჩემზე და თუ დედაჩემზე გამრაზებულ-გამძვინვარებულმა მეფემ და მისმა ულმობელმა ერმა მწარედ დაუწყეს ტანჯვა მას და ასე დატანჯულმა სული განუტევა. ერთი წელიწადია,

1 თეიმურაზის დედის — დედოფლის შაჰთან გამგზავრების მოტივად მწერლები ასახელებენ მის სურვილს, როგორმე დაეშოშმინებინა შაჰი, რომელიც განრისხებული იყო თეიმურაზზე.

რაც ისპაჰანიდან წმიდა ავგუსტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი: მივეცით მამული, რათა საცხოვრებლად საკმაო შემოსავალი ჰქონდეს. ეგრეთვე ვუბოძეთ ადგილი, რათა შესაფერი ეკლესია აიშენოს და როგორც სასუფეველის სავანეში, მუდამ ილოცოს ჩვენთვის.

რაც შეეხება ჩვენის სამეფოს აწმყო მდგომარეობას, ძლიერ სამწუხაროა. თვით ეს თეათინელი მამებიც თვალით ხედვენ თუ ხისა და თუ ქვის შენობათა ნანგრევებსა. ამის შესახებ ყველაფერს თვითვე მოახსენებენ თქვენს უწმიდესობას. მაგრამ ყველაზე უფრო სატირელ მდგომარეობაში ჩვენი ეკლესიებია, რადგან მტრებმა არა მარტო წაიღეს ძვირფასი წმიდა ჭურჭლები,არამედ ყველა შესამოსლები, სამკაულები და თვით ხატებიც კი წაიღეს და ასე ერთიან გაძარცვეს. ამის გამო დიდად ვევედრებით თქვენს უნეტარესობას, ხსენებულ მამებს უბოძოთ ყველა ის, რაც ეჭირებათ თავიანთი ეკლესიის საჭიროებისათვის და შესამკობლად, რათა უმეტესის სიადვილით გაეხსნათ გზა სანატრელის შეერთებისათვის. დასასრულ, უკეთუ ჩვენში თქვენი უწმინდესობისათვის რაიმე სამსახურის მიგება შეგვიძლია, გთხოვთ გვიბრძანოთ და,რაც კი შეგვიძლია, ვეცდებით ყოველივე მაშინვე აღვასრულოთ, რათა. სიკეთისათვის მაგიერი მოგაგოთ. 5 იანვარს, 1629 წ."[1].

მეფემ პროპაგანდასაც მისწერა დაახლოებით ასეთივე შინაარსის წერილი[2]. კათალიკოსმა ზაქარიამაც დაწერა აგრეთვე ორი წერილი, პროპაგანდისა და რომის პაპის სახელზე. რადგან ისინი თითქმის ისეთივეა, როგორც მეფის წერილები, ჩვენ მათ აქ არ მოვიყვანთ[3].

მეფისა და მისიონერთა წერილებმა დიდი სიხარული გამოიწვია რომში. დაიწყეს ახალ მუშაკთა ძებნა, რომ დაეკმაყოფილებინათ მისიის მოთხოვნები. საქართველოში გასაგზავნად ამოირჩიეს თეატინელი მამები — ნეაპოლელი არქანჯელო ლამბერტი და მილანელი ჯუზეპე დი ჯუდიჩე. პროპაგანდამ ისინი საქართველოში 1630 წ-ის 31 აგვისტოს გაგზავნა და თან გაატანა მრავალი წერილი. მეფესთან გაგზავნილი წერილი ასეთი იყო:

„ივერიის ანუ გიორგიანების მეფეს.

ჩვენმა წმიდა პაპმა და პროპაგანდის კარდინალებმა, თქვენ მიერ

1 ამ წერილის იტალიური თარგმანი იხ. პროპაგანდის არქივში: Lettere del Levante e dell'Asia, ტ. CXV, ფურც. 396; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 107, 108, 109. ანალოგიური წერილი გაეგზავნა პროპაგანდას, იხ. ფურც. 397.

2 იქვე, ფურც. 395.

3 იქვე, ფურც. 394, 397.

გამოცხადებულ გულკეთილ პატივსა და შეწყნარებაში, რომლითაც მიიღეთ მანდ მოსული თეატინელი პადრე პიეტრო და მისი ამხანაგი, სცნეს უწინდელი დიდი ხნის სიყვარული, რომელიც ქართველ ერს აქვს წმიდა სამოციქულო საყდრისადმი, და ეგრეთვე ის პატივი, რომელიც აქვს თქვენს ხელმწიფებას ამავე საყდრისა და ხსენებული პროპაგანდის კრებისადმი, ვინაიდგან ასე უფრო იმისთვის მოუპყარით, რათა უმეტესად შესწევნოდათ მაგ მოძღვრებს. თქვენი საქციელი უფრო შესანიშნავი იმითაა, რომ ეს ჰყავით თქვენის სამეფოს თვით ისეთი არეულ-დარეულობის დროს, როდესაც მოსალოდნელი არც კი იყო, რომ ასეთის გულკეთილობის თვალი გქონოდათ. პაპმა და პროპაგანდამ რა სცნეს თქვენი მეგობრული საქციელი, დიდად კმაყოფილი დარჩნენ და პაპმა სამადლობელოდ ინება თქვენთან განსაკუთრებულის წიგნის გამოგზავნა და პროპაგანდამ თქვენი ხელმწიფებისადმი დიდის მადლობის მოხსენება. ალბათ ღვთის განგებითაა, რომ ხსენებულ მამათა მისიონს ასე კეთილად დაუხვდნენ, რათა იმათაც ანუგეშონ და სულიერი შემწეობა აღმოუჩინონ ერს, რომელიც ეგოდენ შეწუხებაშია. ამიტომ პაპმა და პროპაგანდამ ინებეს ამ მისიონერებს ორიც მიუმატონ პადრე ჯოზეფო ჯუდიჩი და პადრე არქანჯელო ლამბერტი, რომლებიც არიან ცხოვრებით და ზნეობით სამაგალითონი, გაწვრთნილნი სხვა და სხვა საგნებში და უმეტესად საღვთისმეტყველოში მეტად დახელოვნებულნი. ამიტომ ესენი შეიძლებენ მაგ ორი მოძღვრის მაგივრობა გასწიონ და საჭირო სულიერი სამსახური გაუწიონ მაგ ძველ საქრისტიანოსა, თუ ვინიცობაა მათ ხიფდილი, ანუ სხვა რამ დიდი უბედურება ეწიათ, რაც აგრე მოსალოდნელია ამ ჩვენს საწუთრო ცხოვრებაში. აწ ჯერ არს, რომ თქვენმა ხელმწიფებამ მიხედოს სახიერების თვალით არა მარტო მათ დიდის ხნის მგზავრობისაგან შეწუხებას, არამედ იმ სიყვარულსაც, რომლითაც სამოციქულო საყდარი ჰგზავნის მათ, მხოლოდ იმ აზრით, რომ მაგ ერის სულთა შეეწივნენ და გაუადვილონ განხორციელება იმ წმიდა მიზნისა, რომლისათვისაც წმიდა კრება მუდამ ფხიზლობს და შრომობს. დარწმუნებული მრძანდებოდეთ, რომ თქვენის ხელმწიფების ესრეთ ქველმოქმედების საქმეს ყოვლისშემპყრობელი ღმერთი დააგვირგვინებს ჯილდოებით სააქაოს წინაშე ყოველთა ქრისტიანეთა და შემდგომ საუკუნო ცხოვრებაშიაც; ეგრეთვე სამოციქულო საყდარიც თქვენ მარადის მადლობით მოგიხსენიებთ. დანარჩენს კრების მაგიერ მოგახსენებენ ხსენებულივე მისიონერები. რომით, 31 აგვისტოს, 1630"[1].

მეორე წერილი კი კათალიკოსის სახელზე იყო. ჩვენ ის მოვიყვანეთ XIII თავში.[2] მესამე, დაახლოებით მსგავსი შინაარსის წერილი,

1 Arch. de la Propag., Lettere volgari della S.C., ტ. X, ფურც. 95. იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 112-113.

2 იქვე, ფურც. 372.

გაეგზავნა საქართველოს მიტროპოლიტს[1]. მეოთხე წერილი — ბერ ნიკოლოზს (ნიკიფორე):

**„მამა ნიკიფორე ირბახს.**

**ვინაიდგან პროპაგანდის კრებამ კარგად დაიხსომა თქვენი ბრძნული მოქმედება და განსაკუთრებული გულმოდგინება, რაიცა აქ ყოფნის დროს გამოიჩინეთ საქმეთა წარმოებაში, მანდ მისიონის დასახმარებლად გზავნის რა თეატინელ მამებს პატრ ჯოზეფო ჯუდიჩის და არქანჯელო ლამბერტის, ისარგებლა ამ შემთხვევით და ინება გაგახსენოსთ თავისი თქვენდამი პატივისცემა და სიყვარული; მასთანვე გავედრებს ამ მამებს და გთხოვს, თქვენც ხელი შეუწყოთ მათ მოძღვრებას და ერთგულება, რათა მაგ სამეფოში შეიძინოთ ერი და მიაგოთ სამსახური წმიდა საყდარსა, რომლის პატივისათვისაც თავს იდევით ეგრეთი შორი და განსაცდელიანი მგზავრობა და რომელმაც თქვენი სახელი საქებური გახადა. მათვე ვანდობ, რათა პირადად ყოველივე მოგახსენონ. რომით, 31 აგვისტოს. 1630 წ.“[2].**

**XII. – თეატინელ პიეტრო ავიტაბილეს დაბრუნება რომში და მისი მოხსენება საქართველოს შესახებ. ავიტაბილეს დაბრუნება საქართველოში და ურბან VIII-ის წერილი საქართველოს მეფეს. პროპაგანდის წერილი კათალიკოს ზაქარიას. მეფის სიხარბე; მისი გულის აცრუება მისიონერებზე. მეფის გაქცევა, სპარსთა შემოსევა**

ამ მისიონერთა გამგზავრების ამბავი ჯერ არ იცოდნენ საქართველოში, ხოლო მისიონერები, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ, ფიქრობდნენ, რომ მათ მიერ რომში გაგზავნილ წერილებში კარგად არ ჩანდა, რა დღეში იყვნენ და ამ ვენახოვან მხარეში ღვთისმსახურებს არ გამოგზავნიდნენ. ამიტომ აუცილებლად თვითონ უნდა წასულიყვნენ რომში, რათა იქ კარგად მოეთხროთ მისიის შესახებ. ხოლო რაკი მოგზაურობა ძნელი იყო და არ ჰყავდათ თანამოძმენი, რომლებიც საქართველოში მათ საქმიანობას გააგრძელებდნენ, ხელს იღებდნენ განზრახვაზე. მეფესაც სურდა, რომის პაპისთვის ეცნობებინათ მისიონერთა მიმართ მისი კეთილგანწყობილების ამბავი, აგრეთვე მიზეზები, რომელთა გამოც ვერ ბედავდა წმინდა საყდრის მიერ შემოთავაზებული რწმენის აღიარებას. ბოლოს, ბევრი ყოყმანის შემდეგ, პატრი პიეტრო ავიტაბილე აირჩიეს მარადიულ ქალაქში გასაგზავნად. მეფემ პიეტრო ავიტაბილეს დაავალა, რომში წასულიყო, როგორც თავისი წარგზავნილი და მისი სალამი გადაეცა წმინდა მამისათვის, თავის მხრივ კი მოეყოლა საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ.

1. Arch. de la Propag., Lettere volgari della S. C., ტ. X ფურც. 97.
2. Arch. de la Propag., Lettere volgari della S.C., ტ. X, ფურც. 98 . .

პიეტრო ავიტაბალე მაშინვე გაუდგა გზას, მალტაში იგი შეხვდა ზემოხსენებულ ორ მისიონერს, რომელნიც საქართველოსაკენ მოეშურებოდნენ. პიეტრო ავიტაბილე კარგად მიიღეს რომში. მისმა მონათხრობმა ყველა დააინტერესა. პიეტრო ავიტაბილემ პაპს წარუდ-




თეიმურაზ I, საქართველოს მეფე (1605-1663), ქეთევან წამებულის ვაჟი. პატრი კასტელის ნახატი.

გინა ვრცელი მოხსენება, სადაც აღწერდა საქართველოს პოლიტიკურ და რელიგიურ მდგომარეობას[1]. მოხსენებაში აღნიშნა ყველა ცდომილება, რასაც ქართველებს მიაწერდნენ, აღნიშნა, რომ ეს იყო აღმოსავლური ლიტურგიისთვის დამახასიათებელი ქმედება, მაგალითად, ზიარება და მირონცხება ჩვილ ბავშვთა მონათვლის შემდეგ, მაშინვე კონსელებრაცია, მრავალი მღვდლის შეკრება ეპისკოპოსის

1 ორიგინალი ინახება ვატიკანის არქივში, ბორგეზეს ფონდებში, სერია I, ტ. CDLXIX, ფურც. 7-12, 1632; გამოცემულია კგალანოს მიერ, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 131 და ა.შ., შდრ. **Silos**, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 563-566; **Ferro**, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 112-114.

საზეიმო წირვაზე და ა.შ. სხვა დოკუმენტში[1] კი ხოტბას ასხამდა მეფეს და ასე აღწერდა მის პორტრეტს:

„1. თეიმურაზის ერთგულება რომის მამამთავრისადმი, ეგოდენია, რომ, როცა შეიტყო თავის სამეფოში მოსვლა მის მიერ წარგზავნილი მღვდლებისა ერის სულიერად აღზრდისათვის, გამოუთქმელის სიხარულით აღივსო და მიიღო იგინი დიდის პატივით. კათოლიკე სარწმუნოებისადმი თავისი მიდრეკილება იმითი გამოაცხადა, რომ, როდესაც იქ მყოფმა ბერძნებმა რომაელების სახელი გაიგონეს, დაიწყეს შფოთი და უნდოდათ სწრაფად განედევნებინათ მისიონერები მთელი სამეფოდგან, მხნედ დაიფარა პატრები ბერძნებისაგან, ზოგს მათგანს ძლიერ დაემუქრა და ზოგიც დასაჯა; ერთხელ ისე გაცხარდა, რომ ხელი დაიდო ხმალზედ და ამოძრობას უპირებდა, თანაც დაიძახა: მირჩევნია თქვენ ყველა აქ მყოფი ბერძნები ამოგწყვიტოთ, ვიდრე ერთი ამ მონაზონთაგანი გავდევნო ჩემი სამეფოდგანო. ბოლოს იმ ბერძნებს მწვალებლები უწოდა.

2. მეტად დიდი ნიჭიერი და განსწავლული კაცია; კარგად იცის ძველი და ახალი აღთქმა (საღვთო წერილი), კრებათა და წმიდა მამათა წერილებიც.

3. ბერძნებს, თუმცა წინათ მისთვის ერჩიათ, რომ ჩვენთან არ ებჭო სული წმიდის გამომავლობის შესახებ და თან ეთქვათ, რომ ისინი, ესე იგი ჩვენ, ფილოსოფიაში ძლიერ გამოცდილი არიანო, ამიტომ ადვილად შეუძლიათ მოატყუონ კაცი თავიანთის ფილოსოფიურის ბჭობითა; მაგრამ დიდის სიამოვნებით ბჭობდა ხან ჩვენთან და ხან ბერძნებთან. ერთხელ სთხოვა ბერძნებს, რათა მისთვის განემარტათ ლათინებს სულიწმიდის გამომავლობა როგორ სწამთო; როცა განუმარტეს, მაშინ უთხრა: სწორედ მეც ეგრე მწამს და კარგად რომ სცნობდეთ და გესმოდესთ ის, რასაც ასწავლით, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენც ლათინების აზრისა იქნებოდითო.

4. ლათინებზე მეტად მაღალისა და კარგი აზრის არის, მათ სახელს დიდის მოწიწებით ახსენებს ხოლმე და მათ უწოდებს სახარების და ღვთის სამსახურის ერთგულ და ჭეშმარიტ დამცველებს. ხალხს ავედრებს წმიდა საიდუმლოთა ხშირად მიღებას და ყოველდღივ წმიდა წირვას ესწრება. ძლიერ უკვირს, რომ კათოლიკეები ისე მტკიცე და თავგანწირულნი არიან ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებისათვის და რომ მზად არიან ამისათვის თავი დასდონ და სისხლი დაღვარონ ხოლმე.

5. ვინაიდან დედამისი იმდენად კეთილმორწმუნე იყო, რომ სპარსეთის მეფის ბრძანებით სარწმუნოების გამო სისხლი დაღვარა საკვირველის მხნეობით, ამიტომ დიდი იმედია, ესეც განათლდეს ზეციერის მადლით, რათა დაუტევოს ძველი შეცდომილების გზა და თავისი ერითურთ

1 გამოცემულია უთარიღოდ სილოსის მიერ, ციტ. ნაშრ., ტ. II, გვ. 601-602.

შეუერთდეს რომის ეკლესიას. იმდენად უფრო მოსალოდნელია, რომ ღვთის განგებულებით რომაელი მისიონერები მოვიდნენ ამის სამთავროში იმ დროს, როდესაც იქაურობა მთლად გავერანებული იყო, და როდესაც კაცობრივი სიბრძნე ურჩევდა საქართველოს სხვა სამთავროებში მოსულიყვნენ, ვიდრე მის სამეფოში.

6. ამ საერთო შეერთების იმედს ისიც გვაძლევს, რომ მისი ერის უმეტესი ნაწილი ძლიერ მიდრეკილია კათოლიკობისა და რომის წესებისადმი, ასე რომ, როდესაც ჩვენს ქადაგებას ისმენენ და წირვა-ლოცვას ესწრებიან, ცრემლ მორეულნი ყურად იღებენ ამ ეკლესიის წესებს და მისი სიყვარულით აღტაცებულნი არიან. მათი მთავარი სურვილია რომაული ადათის ეკლესიის აგება, სადაც შეეძლებათ თავშეყრა“[1].

პატრი პიეტრო ავიტაბილე ეცადა და ბოლოს თავისას მიაღწია: დაეხმარნენ მის მისიას, აგრეთვე მიანიჭეს მრავალი პრივილეგია, რათა ნაყოფიერად განეგრძო წმინდა საქმე[2].

როცა პიეტრო ავიტაბილე საქართველოში ბრუნდებოდა, ბევრი წერილი გამოიტანეს, მათ შორის ერთი პაპისა, მიწერილი მეფისადმი:

**„პაპი ურბან მერვე ივერიის მეფეს.**

ბრწყინვალე და უძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის წყალობის ნათელი.

თქვენი სახელგანთქმულობა და თქვენის შესანიშნავის გამარჯვების ხმა თქვენის ქვეყნის საზღვრებს გამოსცდა, გამოიარა ევროპის ქვეყნები, ხმელთაშუა ზღვის მღელვარე ტალღები და მოაწია რომის მღვდელმთავრამდე, რომელიც დიდად ანუგეშა. თქვენი დიდებულება კარგად ხედავს, რომ თქვენი სამთავრო ახალისა და ზეციური სიმტკიცით შეიჭურვა და აღარც მოაკლდება მას ანგელოზთა გუნდის შემწეობა, ვინაიდგან ვატიკანის მღვდლები სიხარულით მოდიან მანდეთკენ ხალხის საცხონებლად მოღვაწეობისათვის. სარწმუნოება, რომელსაც ისინი ჰქადაგებენ, არის მფარველი მეფეთა და მაცხოვნებელი ერთა. უკეთუ, სამედნიეროდ, ეს სარწმუნოება მოეფინა მთელს თქვენს პროვინციებს, მაშინ ნახავთ, მძვინვარება მოისპოს, მშვიდობა დამყარდეს, არეულობა დაცხრეს და გულისთქმანი დაწყნარდნენ. თქვენი წიგნის მომტანმა ჩვენმა საყვარელმა შვილმა პატრმა პიეტრო ავიტაბილემ დაგვარწმუნა, რომ თქვენს ხელმწიფებას მოახსენებს ყოველ რჩევას და დარიგებას, ჩაგონებულს ზეციურის სიბრძნის მიერ. აწ ვთხოვთ მოწყალე ღმერთს, აკურთხოს

---

1 Silos, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 601–602, იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 109–111.

2 კონსტანტინე ხელს უწყობდა მას; მან წმინდა ნინოს თხოვნით, რომელიც საქართველოს მოციქული იყო, საქართველოში გამოგზავნა მღვდლები, როგორც უკვე ვნახეთ VIII თავში.

თქვენი მეფობის სკიპტრა, მისმა ყოვლისმპყრობელმა მკლავმა განაძლიეროს თქვენი ხმალი და თქვენი მხედრობა და გაამარჯვებინოს, როგორც უწინ გაამარჯვებინა დიდს კონსტანტინეს, რომელსაც ივერია თავის სარწმუნოებრივის განათლების მიზეზად სცნობს[1]. რა დაუწყო პატივისცემა სამღვდელოებამ, მაშინვე იხილა ცაში თავისი გამარჯვების ნიშანი, წმიდა ჯვარი, რომლის ძალითაც განამხნია მცერნი და რომელსაც ეკლესია თაყვანს სცემს და დაუსვენებია რომის მამამთავრის გვირგვინზედ. როდის გვეღირსება თქვენ გეამბოროთ, ვითარცა განსწავლულს კონსტანტინე მეორეს? როდის გამობრწყინდება სიხარულისა და ცხოვრების დღე, რომ წარმოგვიკლინოთ თქვენი ღვთისმოშიში ელჩები, რათა თქვენ ბაგიერ გვემთხვიონ მეფეთა ამბორით გაკეთილშობილებულ მოციქულებრივ ფერხთა? როდის იქმნება, რომ კათოლიკე უძლიერესთა მეფეთა თავიანთი სულიერი ძმა გიწოდონ? მაშ, ნუღარ აყოვნებთ, სძლიეთ ყოველ სიბნელესა. როგორც უწინ ივერიის სამეფო იყო თეატრი თქვენის გამარჯვებისა, ისე ახლა ვატიკანი შეიქმნას ტაძრად თქვენი სარწმუნოებისა. რომი დიდის აღტაცებით მიიღებს თქვენს სანატრელ ელჩებს, როდესაც აქ წმიდა პეტრესადმი მორჩილების გამოსაცხადებლად მოვლენ,იმ პეტრესადმი, რომელსაც შეჰყავს მეფენი საუკუნო ბედნიერებისა და გამარჯვების სასუფეველში. იმედი გვაქვს, ჩვენი ცხოველი ნატვრა აღგვისრულოს ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა, რომელსაც ლოცვათა შინა დაუცხრომლად გავედრებთ თქვენა და თქვენს სამეფოსა. ამიტომ გვნებავს ისევ მობრუნდეს თქვენთან მღვდელი პიეტრო ავიტაბილე, რომელიც, როგორათაც სცნობთ, აღვსილია სიყვარულით და სახარებრივის გულმოდგინებით და რომელსაც, იმედია, არ მოაკლოთ თქვენი მფარველობა, რადგან თქვენის დიდებულებისათვის არავითარ შეწუხებას ერიდება და კისრულობს ასეთის განსაცდელით აღსავსე მგზავრობას. თუ ეს და თუ მანდ მყოფნი თეატინელი და ავგუსტინიანების პატრები მართლაც რომ ღირსნი არიან თქვენი დიდებულების წყალობისა. მათ დასტოვეს ყოველი სიკეთით სავსე თავიანთი სამშობლო, ნათესავები, საყვარელი მეგობრები და მანდეთ წამოვიდნენ არა იმისთვის,რომ შეჰკრიბონ ქვეყნიერი სიმდიდრე და ისიამოვნონ, არამედ იმისთვის, რომ ჯოჯოხეთებრივ მგლებს გამოსტაცონ პირიდგან თქვენის ერის სულნი და შეუერთონ ქრისტეს სარწმუნოებას. იგივე პატრი პიეტრო თქვენს დიდებულებას უფრო ვრცლად მოახსენებს ყოველ ჩვენს აზრსა. ღმერთსა ვსთხოვთ, მოგმადლოსთ სულის წმიდის ნიჭით სავსე ბედნიერება. რომით. 21 ივნისს, 1631, მღვდელმთავრობის მერვე წელსა“[2].

1 შდრ. Ferro, დასახ. ნაშრ., გვ. 116-117.

2 Ferro, დასახ. ნაშრ., გვ. 177. ლათინური ტექსტისთვის იხ. C.Galanus, დასახ. ნაშრ., გვ. 137-138; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 117, 118, 119.

პაპმა კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა კათალიკოს ზაქარიას. ჩვენ ის უკვე მოვიყვანეთ ზემოთ.

პროპაგანდამაც მოინდომა წერილების გატანება პიეტროსთვის. აი, მეფისადმი მიწერილი ბარათი:

„ივერიის მეფეს თეიმურაზს.

თეატინელმა პატრმა პიეტრო ავიტაბილემ პროპაგანდის კრებას მოახსენა, რომ თქვენს ხელმწიფებას კეთილ ენებებია და მისა და მის ამხანაგთათვის დიდი პატივი და სიკეთე მიუგია. ამის შეტყობაზე დიდად განიხარეს ბატონმა კარდინალებმა. ამიტომ ინებეს ამ წერილით მოგახსენოთ უდიდესი მადლობა. ეგრეთვე იმედი აქვთ თქვენის პატიოსნებისა, კვალად გამოიჩინოთ გულმოდგინება და არ მოაკლოთ თქვენი წყალობა მაგ სამოციქულო მისიონს. ამისათვის ევედრებიან ღმერთს, რათა ამ სიკეთისათვის მოგაგოთ ფრიად უხვი სასყიდელი, შეგირჩინოთ ეგ გულკეთილობა და სიყვარული. მაგ თქვენი სიყვარულის გამო ეს მოძღვარნი კისრულობენ ესეთს შორს მგზავრობას, ყველანაირ შეწუხებას და განსაცდელს, რათა სამაგიერო მოგაგონ. ეგრეთვე დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ბატონი კარდინალები მარადის დავალებულ იქმნებიან თქვენგან და ეცდებიან მოგაგონ მაგიერი თქვენის ხელმწიფების შესაფერისი სამსახური, თუ სულიერად და თუ ხორციელად. რომით, 17 მაისისა, 1631"[1].

ერთი წერილი კი გაუგზავნეს ქართველ ბერს ნიკოლოზ ირბახს. მას პროპაგანდა მადლობას უხდიდა იმ სიკეთისათვის, რაც პატრების მიმართ გამოიჩინა, აგრეთვე იმ მუშაობისათვის, რაც კათოლიკური რწმენის გასავრცელებლად გასწია, და სთხოვდა, კვლავ გაეგრძელებინა თავისი მისია[2]. მესამე წერილი, დაახლოებით ასეთივე გაუგზავნეს მიტროპოლიტს ანუ საქართველოს კათალიკოსს[3].

მამა პიეტრომ მოახერხა აგრეთვე საქართველოში წამოეყვანა ოთხი სხვა თეატინელი პატრი — ვინჩენცო კარაფა, ქრისტეფორე კასტელი, ანტონიო ჯარდინა, ჯუსტო პრატო — და ორი მორჩილი. ისინი ძალიან კარგად მიიღო მეფემ, ისევე როგორც მამები — ლამბერტი და დი ჯუდიჩე, რომელნიც მათზე რამდენიმე თვით ადრე ჩავიდნენ. თეატინელები დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ მოღვაწეობას, რომ გაევრცელებინათ კათოლიკური რწმენა და გაენათლებინათ ადამიანები, რომლებიც ყოველი მხრიდან მიეშურებოდნენ მათ მოსასმენად და სურდათ, მათგან ყოველი სიკეთე მიეღოთ. გარდა ამისა, მოამრავლეს მისიის რეზიდენციები.

1 Arch. de Pa Propag., Lettere volgari della S.C., ტ. XI, ფურც. 56; მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 119—120.

2 იხ. ზემოთ დასახ., ფურც. 55.

3. იხ. იქვე, ფურც. 57.

ყველაფერი სასურველი გზით მიდიოდა და მისიის დიდი შედეგების იმედი ჰქონდათ, მაგრამ კარგ დასაწყისს ცუდი ბოლო მოჰყვა. მალე მეფემ შეიცვალა დამოკიდებულება მისიონერთა მიმართ. პიეტრო აველაბილესა და მისი თანამგზავრების ჩამოსვლის შემდეგ ხმა დაირხა, თითქოს მათ ევროპიდან დიდი ფული ჩამოიტანეს. ამ ხმამ მეფის ყურამდეც მიაღწია. სიძუნწემ და ხელმოკლეობამ მეფე აიძულა, პატრებისათვის 13.000 პიასტრი მოეთხოვა. ამით ამცნო მათ თავისი უიმედო მდგომარეობა. ასეთი გაუგონარი თხოვნით გაოცებულმა მისიონერებმა შეუთვალეს, ცოტა ფული, რაც მისიისათვის შევაგროვეთ, თურქებმა და სომხებმა წაგვგლიჯესო.

მეფემ არ დაუჯერა პატრებს და დაჟინებით მოითხოვა ფული. მაშინ პატრებმა უთხრეს, მართალია, ორჯერ გაგვძარცვეს გზაში, მაგრამ მზად ვართ, მოგცეთ ის, რაც ჯერ კიდევ დაგვრჩენიაო. ახლა კი ირწმუნა მეფემ პატრების გულწრფელობა და ბოდიში მოიხადა, თუმცა მათდამი ძველებური კეთილგანწყობა და მეგობრული დამოკიდებულება გაუნელდა და მისი თანაგრძნობა კათოლიკური რწმენისადმი თანდათან შესუსტდა. ამავე დროს, თითქოს პირიქით, ცუდად დაუწყო მოპყრობა თავის ქვეშევრდომებს. შემდეგ კი გადაწყვიტა, სპარსელებს ჯიბრში ჩასდგომოდა. შური რომ ეძია მათზე, განჯის პროვინცია იქაური ხანის თანხმობით გაანადგურა, მაგრამ ძვირად დაუჯდა სითამამე.

როცა შაჰმა განჯის აოხრება გაიგო, გაბრაზებულმა 130 000 კაციანი ძლიერი ლაშქარი გამოგზავნა ქართველი რენეგატის როსტომ ხანის მეთაურობით. თეიმურაზს აღარ შეეძლო შეეკრიბა ლაშქარი მძლავრ მტერს რომ შებრძოლებოდა, რადგან თავისი საქციელით ბევრი დიდებული გაანაწყენა და იძულებული გახდა, ერთი მუჭა ხალხითა და ოჯახითურთ გაქცეულიყო სიძესთან, იმერეთის მეფესთან, ვისთანაც საცოდავად დაასრულა სიცოცხლე და ტახტი აღარ დაუბრუნებია. ასე მიაყენა ჩრდილი თეიმურაზმა თავის გამარჯვებებს და დიდებას[1].

სპარსელთა ლაშქარი, რადგან არანაირი წინააღმდეგობა არ დახვდა, იოლად შეიჭრა საქართველოში და შევიდა ქალაქ გორში. სპარსელებმა მთელი ჯარი აამუშავეს და 44 დღის განმავლობაში აღადგინეს გორის ციხე, რათა შეძლებოდათ გამკლავებოდნენ თეიმურაზ მეფეს, თუ იგი სამეფოს დაბრუნებას დააპირებდა. შემდეგ ხსენებული როსტომ ხანი შაჰმა საქართველოს მეფედ გამოაცხადა, ხოლო მან რეზიდენციად თბილისი გაიხადა. როსტომმა დაარწმუნა თეატინელი პატრები, რომ დაიცავდა მათ და თავისუფლებას შეუნარჩუნებდა წმინდა საქმის

---

1 იხ. წმ. ანდრეა დელა ვალეს თეატინელ მამათა არქივი რომში, № 9, Lettere dei Missionarii, Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mengrelia e Tartaria, ტ. CCIX, ფურც. 331-334, 338, 349---354; Ferro, დასხ. ნაშრ., ტ. I, გვ. 172-176, 187-191.

გასაგრძელებლად, მაგრამ შემდგომში, შესაძლოა ბერძნებისა და სომხების ხელშეწყობით, დიდი უხერხულობანი შეექმნათ მისიონერ მამებს ერთი ახალგაზრდა ქართველის გამო, რომელიც არა მარტო კათოლიკე, არამედ თეატინელი სამღვდელო პირიც გახდა, როცა უარი



თეიმურაზ I საქართველოს მეფე მეუღლითურთ. ორივემ იმერეთს შეაფარა თავი, როცა სპარსეთის 123000 კაციანმა ჯარმა მეფის სამფლობელო დაიკავა 1663 წ. პატრი კასტელის ნახატი.

თქვა ადრე დანიშნულ ქართველ ქალთან ქორწინებაზე. ალბათ, დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს ამ ახალმორჩილსაც და თეატინელ მამებსაც, ბერ ნიკოლოზ ირბახს რომ არ დაეცვა ისინი თავისი

ავტორიტეტის წყალობით. ეს ახალგაზრდა ქართველი, ანდრია, თავის თეატინელ ძმებთან ერთად, შემდეგ ინდოეთში წავიდა და გარდაიცვალა გოაში, სადაც თავისი წმინდა საქმეთი და სიკეთით სახელი მოიხვეჭა[1].

## XIII. – ისპაანის ლათინი ეპისკოპოსის იურისდიქცია და პროპაგანდის კოლეჯის დაარსება საქართველოს მისიონისათვის

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ (XV ს.), გაუთავებელი ომების გამო, ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაში იყვნენ ქართველი კათოლიკენი საეპისკოპოსო იურისდიქციის თვალსაზრისით, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, ეს იურისდიქცია არასოდეს შეწყვეტილა. 1633 წელს კი პროპაგანდამ საქართველო ისპაანის ლათინი ეპისკოპოსის იურისდიქციას დაუმორჩილა. ამ თანამდებობაზე პროპაგანდამ მამა ჯოვანი ტადეო დაასახელა და მას მამა ტიმოთეო ფეხშემოსილი კარმელიტი გაუგზავნა კოადიუტორის მემკვიდრეობის უფლებით, პროპაგანდამ ეს გადაწყვეტილება საქართველოს მისიონერებს გააგებინა, რათა ამ ეპისკოპოსისთვის მიემართათ თავიანთი სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.[2]

---

1 „ამა წელს, 1641-ს, გოაში, ინდოეთის მთავარ ქალაქში, გარდაიცვალა ანდრია ლოპამონი, მოდგმით ქართველი, მორჩილთა წესის ძმა, რომელსაც განსაკუთრებული უბიწოების, ძლიერი აღმსარებლობის, საქები მხნეობისა და სათნოების სხვა სამკაულთა გამო ჩვენგან ამის ჯეროვანი სიტყვიერი დასტური ეკუთვნის. ანდრია ერთ-ერთი პირველი იყო იმათ შორის, ვინც აღმოსავლეთის იბერიაში შეუდგა ახლად ჩასულ ჩვენ ხალხს და ადვილად მიიღო კათოლიკური სარწმუნოება. იმ დროს იგი თექვსმეტი წლის ყმაწვილიც არ იყო. ჩვენებმა იმთავითვე დაინახეს მასში სათნოების მიხედვის შესაფერი ნიჭი. მათ სახეებზე აღბეჭდილი სიმშვიდით, კდემამოსილებითა და ზნის სისპეტაკით ყმაწვილმა იოლად ცნო მათი სულები". J. Silos, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 265-266 — ვრცლადაა აღწერილი მისი ტანჯვა საქართველოში და მოგზაურობა ინდოეთში. იხ. თეატინელ მამათა არქივი: Lettere dei Missionari, № 9, C; B. Ferro, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 304-5.

2 „საქართველოში მყოფ ავგუსტიანელებისა და თეატინელების უფროს მამებს. პროპაგანდის კრების რჩევით პაპმა ისპაჰანში ეპისკოპოსად განაწესა პატრი იოანე თადეოზ და თანაშემწედ და შემდეგში მისვე მოსაყდრედ მისცა პატრი ტიმოთე კარმელიტანი; ეგრეთვე მიანიჭა მას მრავალი უფლება და ძალა, რათა მოიხმაროს თუ სპარსეთის სამთავროსა და თუ საქართველოს სამეფოს ქრისტიანების დასახმარებლად. ბატონმა კარდინალებმა ინებეს, გაუწყოთ თქვენ და თქვენ მამებსაც, რათა მაგ ერის სასიკეთოდ და თქვენის მისიონის საჭიროებისათვის მიმართოთ ხსენებულ ეპისკოპოსს. მას ნაბრძანები აქვს, შეგეწიოთ მაგ მისიონში და მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საეპისკოპოსო ღირსების უფლება. რომით, 5 იანვარს, 1633 წ." Arch. de la Propag., Lettere volgari della S.C. di Propag., ტ. XIII, გვ. 4; იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", 1902, გვ. 130.



გორის ციხე. იგი 44 დღეში ხელახლა ააშენა სპარსეთის 123 000 კაციანმა ჯარმა საქართველოში შემოსევისთანავე, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ მეფე თეიმურაზისათვის 1663 წ. პატრი კასტელის ნახატი.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მოვლენა, რომელსაც არასოდეს დავიჯერებდით,რომ არ გვენახა დოკუმენტები. საქმე ეხება რომში ცნობილ პროპაგანდის საერთაშორისო კოლეჯის დაარსებას, რისი საბაბიც საქართველო ყოფილა.

როცა მამა პიეტრო ავიტაბილე რომში პირველად დაბრუნდა საქართველოდან, სხვათა შორის დასვა საკითხი სასწრაფოდ და აუცილებლად დაარსებულიყო კოლეჯი, სადაც განათლდებოდნენ ახალგაზრდა ქართველები, რომ მათ შეძლებოდათ, ნაყოფიერად ემოღვაწათ თავიანთი ერის სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პიეტრო ავიტაბილეს მტკიცედ დაუჭირა მხარი რომაელმა პატრიციუსმა პიეტრო დელა ვალემ, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ და რომელმაც თავისი სახლი გადასცა საქართველოს მისიონს[1].

ასეთი მნიშვნელოვანი და დიდი საქმის მოსაგვარებლად ერთი მაღალი წრის კერძო პირის ინიციატივა არ კმაროდა; საჭირო იყო აგრეთვე სასულიერო პირთა ჩარევა. რომაელი თეატინელები სერიოზულად მოეკიდნენ საკითხს. ამის თაობაზე ხშირად ელაპარაკებოდნენ მაგისტრ ჟან-ბაპტისტ დე ვივეს, ესპანეთის ელჩს, ძალიან ღვთისნიერ და მდიდარ კაცს, აკითხებდნენ საქათრველოს მისიონერთა წერილებს. მალე მაგისტრმა ისე ირწმუნა კოლეჯის დაარსების აუცილებლობა, თავისი სასახლე და ქონება დათმო საამისოდ და თავის მოძღვარს, თეატინელ გისლიერიოს დაავალა, საჭირო წესდება შეედგინა, შემდეგ ურბან VIII-ის ძმამ, კარდინალმა ანტონიო ბარბერინიმ გააფართოვა კოლეჯი და ურბან VIII-მ ის

---

1 „დიდად პატივცემულო მამაო:

„საქართველოს წმინდა მისიონისთვის ძალიან სასარგებლო იქნება კონსტანტინოპოლთან კავშირი მცირე ხარჯითა და რაც შეიძლება მალე. წმ. მისიონი დარწმუნებულია, რომ იქ მცხოვრები პატრები ქართველებს გულთბილად მიიღებენ და შეეწევიან თავიანთ სასულიერო თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში. წმ. საყდარიც მოგებული დარჩება და ამგვარად კონსტანტინოპოლის გზით შეძლებენ პატარა ბიჭების გაგზავნას რომის იმ კოლეჯში აღსაზრდელად, რომლის დაარსებაც ქართველი ახალგაზრდობისათვის ამ წმ. მისიონის ინიციატორმა, ბატონმა პიეტრო დელა ვალემ განიზრახა, რის შესახებაც მას არაერთხელ უმსჯელია ჩემთან ერთად, თუ როგორ, ან რა გზით იქნებოდა შესაძლებელი ახალგაზრდების გაგზავნა... ალეპო, 8 იანვარი, 1636". მღვ. დონ პიეტრო, თეატინელ მამათა არქივები, წმ. ანდრეა დელა ვალესადმი რომში, Lettere dei Missionarii, №9. C.

კანონიერად ცნო 1641 წ-ის ეპისტოლეთი[1]. კოლეჯის გახსნისთანავე მოითხოვეს,რომ იქ პირველები ქართველები მიეღოთ[2], შემდეგშიც შეინახეს მათთვის ორი ადგილი, მაგრამ ხშირად ამ ადგილებს სხვა ერის წარმომადგენლები იკავებდნენ.

---

1 „პროპაგანდა ფიდეს ურბანოს კოლეჯის დაარსება და თეატინელი მამების მოღვაწეობა ამ კოლეჯში.

თეატინელი პატრი დონ მიქელი გისლერიო იყო არა მარტო მოძღვარი, არამედ ფრიად პატივცემული ესპანელის დონ ჯან ბატისტა დე ვივესის მრჩეველი და ხელმძღვანელი. დონ ჯან დე ვივესს ჰქონდა საკუთარი სასახლე, სადაც ახლა პროპაგანდა ფიდეს კოლეჯია. პატრი გისლერიო მას ყველა იმ წერილს აკითხებდა, რომელსაც თეატინელი მისიონერები საქართველოში (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო — მთარგმნელის შენიშვნა), კოლხეთსა და გურიაში აგზავნიდნენ და ერთად განიხილავდნენ, როგორ ჰყოლოდათ ურწმუნოთა ტერიტორიაზე მისიონერების გარდა ადგილობრივი მორწმუნეები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სარწმუნოების გავრცელებას. როცა თეატინელი პატრი დონ პიეტრო ავიტაბილე კოლხეთიდან რომში დაბრუნდა, ვივესს კიდევ უფრო დიდი სურვილი გაუჩნდა, დახმარებოდა ქართველი ახალგაზრდების განათლებას და გისლერიოსთან ერთად გადაწყვიტა, თავისი სასახლე კოლეჯისთვის გადაეცა, ხოლო მთელი თავისი ქონება ახალგაზრდების დასახმარებლად გამოეყენებინა. მან გისლერიოს კანონებისა და წესების დადგენა და მათი გონიერულად და გულმოდგინედ შესრულება დაავალა. თავის ანდერძში ამ დიდი საქმის გაუმჯობესებისა და სრულყოფის იდეა მის მწყემსთმთავრობას, ურბან VIII-ს გადასცა, ხოლო კოლეჯზე ზრუნვა და მისი ორგანიზება თეატინელ პატრებს დააკისრა.

ურბან VIII-ს ძმამ, კარდინალმა სანტ. ონოფრიო ანტონიო ბარბერინიმ კოლეჯის გაფართოება მოინდომა. მან იყიდა სახლი ამ კუნძულზე და ამ დიდ მშენებლობაზე ზრუნვა და ზედამხედველობა დაავალა საერო პირს თეატინელ პიეტრო პაოლო განდოლფოს, რომელიც თვითონ ხელმძღვანელობდა სამუშაოს და ფულს უხდიდა ხელოსნებსა და მუშებს. ამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ კარდინალი ბარბერინი ფიქრობდა თეატინელებისთვის ჩაებარებინა მთელი ადმინისტრაცია, ახალგაზრდობის აღზრდისა და საშემოსავლო საქმე. ეს აზრი კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა ვივესს ანდერძში წაიკითხა, რომ თვითონ ვივესს თეატინელებისთვის მიუნდვია ეს საქმე, თუმცა თავიდან მათ უარი უთქვამთ. ურბან VIII-მ თავისი ეპისტოლეთი: „აღზრდა პროპაგანდის კოლეჯში“ 1641 წ. 23 მარტი, საბოლოო ბიძგი მისცა ამ საქმეს, ხოლო თეატინელებმა მზრუნველობა თვითონ იკისრეს. პირველ რექტორად დაინიშნა პატრი დონ მარკო რომანო, ხოლო ლიტერატურისა და მეცნიერებათა მასწავლებლებად — თეატინელები; რომანო თავისი დამსახურებათა გამო საეპისკოპოსოში დააწინაურეს“. იგივე არქივები, ზემოთ ციტ. იხ. B. Ferro, ზემოთ. ციტ. ტ. I, გვ. 402-410.

2 „ყოვლადწარჩინებულო, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, როგორც შევიტყვე, მის უმაღლესობას, ბატონ კარდინალ წმ. ონოფრიოს ქართველი ვაჟების მიღება სურს ახალ სემინარიაში. როცა გურიის რეზიდენციიდან ოდიშის რეზიდენციაში მიმიწვიეს, სხვადასხვა რამესთან ერთად ჩვენ მიერ მონათლული და თავისუფალი ოთხი ვაჟი წავიყვანე.ისინი კარგად არიან მომზადებულები მის ყოვლადუწმინდესობასთან სახლებლად, მაგრამ ვერ წამოვიდნენ და ვერც წამოვლენ მანამ, სანამ თქვენი უმაღლესობა ვინმეს არ გამოაგზავნის მათ წასაყვანად. ამიტომ ამ წერილს მოგართმევთ ძმა ფრანჩესკო პისტიკა, ნიჭიერი და ამ მხარეების კარგად მცოდნე ადამიანი, რომელიც გაიღებს მოწყალებას და თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას სამსახურს გაუწევს ამ საქმეში... სამეგრელოდან, 30 ოქტომბერი, 1624. მდ. დონ ქრისტეფორე კასტელი“. Arch. de la Propag., Lettere di Mengrelia, etc., ტ. CXXIII, გვ. 8. იხ. იქვე, Lettere della Sacra Congregazione, ტ. XVIII, გვ. 5.

## XIV. – თეატინელთა მოღვაწეობა და მათი ახალი მისიონი სამეგრელოში. ურბან VIII-ის წერილი სამეგრელოს მთავარს

პატრები რამდენიმე წელს ბეჯითად ემსახურნენ ამ ხალხის სულიერ კეთილდღეობას. მათ ჩამოიყვანეს ბევრი თავიანთი კოლეგა, რომლებიც ასევე ერთგულად ემსახურებოდნენ მისიას. ბოლოს ჩამოსულთა შორის აღსანიშნავია ორი, რომლებიც თავიანთი ნაწერებით გახდნენ ცნობილნი. მამა კლემენტე გალანო და მამა ფრანცისკო მაჯო. პირველი საქართველოში ყოფნის რამდენიმე წლის შემდეგ წავიდა კონსტანტინოპოლში და შეუდგა სომხური ენისა და სომხური ეკლესიის ისტორიის შესწავლას[1]. იქ დააარსა სემინარი სომეხთათვის და შემდეგ 1650 წ.-ს რომში გამოაქვეყნა შრომა სამ ტომად სათაურით: „სომხური ეკლესიის ერთობა რომაულთან", ლათინურად და სომხურად, სადაც ლაპარაკია საქართველოზეც. მამა ფ.მაჯო თავის მხრივ ქართულის სწავლას შეუდგა და 1670 წელს რომში გამოაქვეყნა ქართული ენის გრამატიკა. ნაშრომში მოკლედ ჩართო კატეხიზისი და ბოლოს დაურთო პატარა თურქული გრამატიკა და სომხური ანბანი. ეს ნაშრომი სავსეა შეცდომებით და ნაკლებად ღირებულია.

თეატინელმა მამებმა ნამდვილად მოციქულებრივი სიბეჯითით განაგრძეს უფლის ვენახის მოვლა, მაგრამ მოვლენებმა დიდად შეუშალეს ხელი იმ სულიერ წინსვლას, რასაც ისინი იმედით ელოდნენ. ჯერ შავმა ჭირმა დახოცა მისიონერები. ავგუსტინელთა სახლში ეპიდემიამ არავინ დაინდო. სხვა მხრივ, ომები და თავდასხმები მათ უკვე სიმშვიდეს ურღვევდა, რენეგატი მეფისა კიდევ არა სწამდათ რა. პატრებმა დაკარგეს მხნეობა და მიხვდნენ, რომ თავიანთი რეზიდენცია სხვაგან უნდა გადაეტანათ, მაგრამ სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, თავიანთი მოღვაწეობის გაფართოებით მონიჭებული სიხარული იგემეს.

რენეგატი მეფის როსტომის ქორწილზე გორში მთავარ დადიანის ელჩები ჩამოვიდნენ სამეგრელოდან (დასავლეთ საქართველო) და როცა თავიანთი თვალით ნახეს მისიონერთა საქმიანობა, ითხოვეს, სამეგრელოს მთავართან ორი მამა გაეგზავნათ; იქ მათ კარგად მიიღებენო, თქვეს. ბერმა ნიკოლოზმა (ნიკიფორე), რომელიც სპარსთა შემოსვლის შემდეგ სამეგრელოში გაიხიზნა და ელჩებთან ერთად დაბრუნდა ქართლში, იგივე თხოვნა გაუმეორა მისიონერებს და მხარდაჭერას დაჰპირდა. მისიონერებს არ შეეძლოთ უარის თქმა. მისიისათვის მამა ლამბერტი და მამა დი ჯუდიჩე აირჩიეს, რომლებიც ელჩებთან ერთად 1633 წ. სამეგრელოს გაემგზავრნენ. მისიონერები გულთბილად მიიღო მთავარმა და დიდი პატივი და მხარდაჭერა აღუთქვა. მისიონერებმა

1 იხ. **A. Lamberti**, Sacra Istoria dei Colchi, Naples, 1657, გვ. 370—377.



ლევან დადიანი, სამეგრელოს მთავარი (1611-1657). მას მეორე ჰანიბალს უწოდებდნენ მრავალრიცხოვან გამარჯვებათა გამო. პატრი კასტელის ნახატი.

მთავრის კეთილგანწყობა რომ დაინახეს, პაპის წერილი მიართვეს,[1] რომელიც თან ჩამოეტანათ საქართველოში პირველად ჩამოსვლისას. აი ის წერილიც:

**„პაპი ურბან მერვე.**
**ოდიშის ქართველ მთავარს.**

თქვენო კეთილშობილებავ. მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. მღვდლებს, რომლებსაც ვგზავნით საქართველოში, იმედი აქვთ ჰპოვონ კავკასიის მთებზე კარმელის მთის სიბრწყინვალე და რიონის ნაპირად იორდანიის მდინარე, უკეთუ თქვენმა კეთილშობილებამ მფარველობა გაუწია და ანუგეშა. ყველა ნათესავთა სამშობლო რომიც, რომელსაც ძლიერნი მეფენი პატივს სცემენ და თავიანთ სარწმუნოებრივ ვალს უხდიან, როგორც საქრისტიანოს დედაქალაქს, გპირდება თავის მხრივაც ტიბრის პირად ვატიკანში პატივი სცეს თქვენ სახელს, უკეთუ ამ სამსახურით ანუგეშეთ ეკლესია. აწ აზიის მთავარს ვერც ევროპა სთხოვს უკეთეს ნიშანს დიდსულოვნობისას, რომელიც უნდა გამოიჩინოს მღვდლების მიმართ, რომელთაც დაივიწყეს ყველა სიამოვნება, უკუაგდეს შიში ყოვლის განსაცდელისა და არჩიეს თქვენი სამეფო თავიანთ საკუთარ სამშობლოსა. მანდ იმიტომ კი არ მოდიან, ქონება და სიმდიდრე შეიძინონ, არა, ღვთის მადლით, მათ ესეთი საცთურიანი გზა უარყვეს, რათა დაემორჩილონ ბრძანებას უფლისას. მოდიან მარტო იმისთვის, რომ ხალხს სულიერი ხსნა მიანიჭონ. ამ სულთა ცხონებაზეა დამყარებული რომის მღვდელმთავრის დიდებაც. არათუ სარწმუნოება, არამედ თვით კაცობრივი გრძნობაც არ ექმნება, ვინც სიყვარულით არ მიიღებს ამ მღვდლებს, რომელნიც მოდიან ეგრეთ შორეულ სამთავროში, რათა თქვენის ბედნიერებისათვის იშრომონ. ყველაგან მიღებულია, რომ სიყვარულისა და სარწმუნოების ნიშნად კაცმა უკუაგდოს თავისი საკუთარი ინტერესები და იზრუნოს მოყვასის სიკეთისათვის. იქიდგან შეგიძლიათ სცნოთ, თუ რა რიგ უყვარხართ რომის ეკლესიას,რომ მანდ ამ სიშორიდგან მოდიან და თქვენი სახელგანთქმულობისაც არაფერი გაუგონიათ. ამათი მანდ მოსვლის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ქართველთა ერს და მთავრებს მოუპოვონ წყალობა ღვთისა და შესძინონ საუკუნო სიმდიდრე. მგზავრობის სიძნელე, მტრების მახე, ზღვის ღელვა, თქვენის ცხონებისათვის ყოველივე თავის სარჯელად მიიღეს. ესრეთნი პირნი თხოულობენ თქვენი კეთილშობილებისაგან შემწეობას და ქართველთა ერის დახმარებას. ამის თხოვნა ვინებეთ თქვენგან ამ მოციქულებრივის წერილით, რათა ჩვენი მღვდელმთავრული სიყვარულის ნიშნად დარჩეს თქვენთან. რა მაგათ პატივით მიიღებთ და მოუსმენთ სახიერებით, მაშინვე თქვენი სახელი საქებურ შეიქმნების აქ, საცა მთელი ქვეყანა მოდის. მასთანვე თქვენს მთავრობას გააბრწყინებს და გააბედნიერებს მოწყალე ღმერთი, რომელიც თქვენგან ასეთს საქმეს თხოულობს. თქვენთვის ამ მადლს ვთხოვთ მას და ვნატრობთ, სული

1 „... როცა ზუგდიდში თავადის სასახლეში დავბინავდით, ის იქვე შინაურულად გვექცეოდა, თქვენი უწმინდესობის წერილები მივართვით. ეს ძალიან ესიამოვნა და დაგვპირდა, რომ კაცს გაგზავნიდა იტალიაში, რომელსაც პაპთან მისაკითხ წერილებს გაატანდა... ოდიში, 20 ივნისი, 1634. მღვ. დონ არქანჯელო". Arch. de la Propag.. Persia, Georgia, Mingrelia e Tartaria, ტ. CCIX, გვ. 361.



იგივე მთავარი ლევან დადიანი, სუვერენის მორთულობით[1].
პატრი კასტელის ნახატი.

[1] ქართველ მეფეებს სურათებზე ჩვეულებისამებრ ეკლესია უჭირავთ იმის ნიშნად, რომ ღვთისმოსავნი, რელიგიის დამცველნი და ტაძართა აღმშენებელნი არიან.



მთავარ ლევან დადიანის სასახლე ზუგდიდში. გარედან შემკულია ირმის რქებით და ტახის კბილებით. პატრი კასტელის ნახატი.

წმიდის ნათელმა განანათლოს თქვენი კეთილმომილემა, რათა დაიმკვიდროთ ზეცას მისი უდიდესი მეფობა, ვიდრე ამ ქვეყანაზე გაქვთ. რომით, 4 ივლისისა 1626 წ. ჩვენი მღვდელთმთავრობის მესამე წელსა“[1].

## XV. — თეატინელთა ახალი მისია გურიაში და კათოლიკობის წარმატება. თავადის ასულ ელენეს მოქცევა და მისი სიმტკიცე კათოლიკობაში. მთავარ-კათალიკოსის გარდაცვალება და მისი მემკვიდრის ავი ზრახვები

ეს ორი ბერი სამეგრელოში დასახლდა და მათი კეთილი საქმეების ამბავი უმალ ყველგან გავრცელდა, გურიის მთავრის ყურამდეც კი მიაღწია. გურიის მთავარი ამავე დროს მთელი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსიც იყო, მანაც ისურვა, მისიონერები მის ქვეყანაშიც ჩასულიყვნენ ხალხის საკეთილდღეოდ. 1634 წელს მთავარმა ორი ეპისკოპოსის შუამდგომლობით მოითხოვა ისინი. ეწვია კიდევაც ორი მამა: ანტონიო ჯარდინა და ქრისტეფორე კასტელი, რომლებიც გორიდან მასთან გადმოვიდნენ.

თეატინელები გორში აღარ დარჩენილან. მამა პიეტრო ავიტაბილემ გაიგო, რომ ხოტბას ასხამდნენ ავგუსტინელთა მისიას ინდოეთში. თითქოს საქართველოს დიდი მისიონი არა ყოფნიდაო, ახალი მისიის ჩამოყალიბება ისურვა ამ მხარეში — ინდოეთში. ითხოვა უფლება და მიიღო კიდევაც უზენაესი დასტური. 1638 წელს დატოვა საქართველო და ინდოეთს წავიდა სხვებთან ერთად. თან ახლდა ქართველი ღვთისმსახურიც — ანდრიაც, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ამის შედეგად თეატინელი მამები, მრევლის ნაკლებობის გამო, იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ გორის პირველი მისიონი,რომელიც ასე კარგად დააფუძნეს[2]. მისიონთა ასეთი გაფართოება შეესაბამებოდა არა მათ ძალებს,არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მათ სიბეჯითეს. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ კიდევ ერთ არანაკლებ დამღუპველ შედეგს მათი დაუდევრობისას.

ორი პატრი შესანიშნავად მიიღო გურიის კათალიკოსმა. ჩასვლისას კათალიკოსს გადასცეს ურბან VIII-ის წერილი, რომელიც პაპის სხვა წერილებთან ერთად ჩამოიტანეს , ეს წერილები ჩვენ უკვე ჩავრთეთ კათალიკოსთათვის მიძღვნილ თავში. კათალიკოსმა პატრები თავისი სასახლის მახლობლად დაასახლა, რათა ადვილად შეძლებოდა მათი ხშირად ნახვა; აგრეთვე აუშენა პატარა ხის ეკლესია. ეკლესია

1 ლათინური ტექსტი იხ. C.Galanus, გვ. 122-123, J. Silos, გვ. 577. B.Ferro, გვ. 47. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 169—170.

2 იხ. Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mengrelia e Tartaria, ტ. CCIX, ფურც. 391.

პატრებმა ნახატებითა და ორნამენტებით შეამკეს[1] მათ დაიწყეს ქადაგება და დიდი შვება მისცეს მოსახლეობას, რომელიც ყოველი მხრიდან მოეშურებოდა მამებისკენ.

ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მამებს აქაც გადაეღობნენ თავიანთი დიდი მტრები — ბერძენი მღვდლები, რომლებმაც მძვინვარე ომი გამოუცხადეს. ბერძნების სიძულვილი ისე გამძაფრდა, დაწვეს მისიონერთა სახლი, რადგან იმედოვნებდნენ, ისინი იქ ამოეხოცათ, მაგრამ მამებმა სიფრთხილითა და ღვთისმოსაობით შეძლეს ბერძნების მზაკვრობის თავიდან აცილება. ამით იქაური მოსახლეობისა და სამღვდელოების კიდევ უფრო მეტი პატივი მოიხვეჭეს. კათალიკოსმა მამებს ყველა საშუალება მისცა, ადამიანები გაენათლებინათ და მათი წეს-ჩვეულებანი შეეცვალათ ამ მიზნით. პატრებმა დააარსეს სკოლა, სადაც ბავშვებს კათოლიკურ რწმენასა და ლიტერატურას აზიარებდნენ[2].

რომში დაწერილ იმავე ბარათში, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, პიეტრო ავიტაბილე ამტკიცებს, რომ მამა ანტონიო ჯარდინამ გურიაში

---

1 მამა ავიტაბილემ 1638 წ.-ს რომში გაგზავნა წერილი, რომელშიც აღწერდა გურულ სახლს: „ჩვენი სახლი მდებარეობს მთავრის ბაღში და რადგან ის ახლა არ იყენებს ბაღს და არც ცოლ-შვილი ჰყავს, ეს ბაღი ტყედ გადააქცია. სახლის ფანჯრები ტყეს გადაჰყურებს. ადგილი არაჩვეულებრივია, მაგრამ მაინცდამაინც არ მომწონს. მეშინია, რომ სხვა თავადი თუ მოვიდა, სახლს ჩამოგვართმევს, არადა, ყოველ შემთხვევაში, ის ყოველთვის უდავოდ სავსე იქნება ქალებითა და ბავშვებით, რომელთაც აქ ყოფნა გასართობად ენდომებათ, რადგან სახლში სხვა არაფერი ექნებათ გასაკეთებელი. აქვე არის ერთი პატარა ხის ეკლესია, რომელიც გამხმარი ბალახითაა დაფარული და თან ფაქიზად მორთული, რაც კი შესაძლებელია. ყველა პატრისთვის გამოყოფილი ერთი ოთახი იმავე მასალისგანაა გაკეთებული, რისგანაც სახლის ყველა საქმიანობისთვის განკუთვნილი ოთახი. დანარჩენი ორი ოთახი ოჯახისთვისაა. ჰყავთ ბევრი შვილი, რომლებსაც კათოლიკურად ზრდიან, და ამ მოკლე ხანში, რაც აქ ვცხოვრობ, მათ კითხვა დავაწყებინე. მთავარმა მსახურები შემომთავაზა, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავ, და გარწმუნებთ, რომ მხოლოდ მისადმი და მისი ხალხისადმი სიყვარულმა ჩამომიყვანა ასეთი წვალებით ამ მხარეში, რომელიც ამ მოგზაურობაზე კიდევ უფრო საშალალოა. დიდის პატივისცემით გიგზავნით წყალობას". Arch. de la Propag., ზემოთ ციტ., გვ. 393.

2 „წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ ამისთანა კეთილისმყოფელის მთავრის ხელში რაოდენი სიკეთე უნდა მოეტანათ თეატინელ მონაზონებს თავიანთი სწავლა-ქადაგებით. იქვე დააარსეს სკოლა, ბავშვები ზოგი თვით მთავარმა აჩუქა, ზოგი ბატონებმა მისცეს და ზოგიც თვითი გამოარჩიეს იმ მშობლებს, რომლებსაც ბავშვების აღზრდა არ შეეძლოთ, რათა იგინი თათრებისათვის არ მიეყიდათ. ამათ დაუწყეს სწავლება საქრისტიანო და სამეცნიერო საგნებისა. ძნელად წარმოსადგენია, თუ რაოდენი გამობრივი სიყვარული უჩვენა ამ მთავარმა, რაოდენი მოწყალება უყო პატრებს; ესრეთი მფარველობა მათ შვიდი წელიწადი, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაუწია; მამების რიცხვი შვიდამდე მიიყვანა, მათ მუდამ პატივს სცემდა, ეწეოდა და მტრების წინააღმდეგ იფარავდა". C. Galanus, Conciliatio Ecclesiae Armenae, ტ. III, გვ. 169. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 155-156.

ისეთი მოღვაწეობა გააჩაღა, სამარადისო ქების ღირსია. იქ ისე უყვარდათ, სიკვდილის შემდეგ მის ხსენებაზე ცრემლი ერეოდათ და ყველა წმინდანად მიიჩნევდაო.

ანტონიო ჯარდინამ გურიაში ბევრი მოაქცია და კათოლიკობის მტერი ბერძენი გააჩუმა. ქართული გრამატიკა დაუწერა მის მიერ დაარსებული სკოლის ბავშვებს. თავისი ღირსებებითა და მოციქულებრივი სიბეჯითით ისეთი ძვირფასი პიროვნება გახდა კათოლიკოს-მთავრისათვის, რომ როცა მთავარმა სამეგრელოში მოგზაურობისას მისი ავადმყოფობის ამბავი გაიგო, ეახლა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ მოშორებია.

კოლეგის გარდაცვალების შემდეგ მამა ქრისტეფორე კასტელიმ მარტომ დიდი წარმატებით გააგრძელა მისია. ჩვენ მხოლოდ ორ მნიშვნელოვან ფაქტს მოვიყვანთ, რომლებიც მაშინ მოხდა.[1]

იყო ერთი იტალიელი ექიმი, ფერიდონი, რომელიც უწინ თურქებს ტყვედ ჩავარდნოდა და მუსულმანური სარწმუნოება მიეღო. იგი გურიის მთავრის ელჩებმა კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანეს, რათა მთავრის ჯანმრთელობაზე ეზრუნა. თავისი ცოდნით ფერიდონიმ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა არა მარტო მთავრის კარზე, არამედ მთელ იმ მხარეში. პატრებმა რომ ექიმის ამბავი გაიგეს, განუწყვეტლივ საყვედურობდნენ, რად განუდექი ქრისტიანობასო. ექიმმა კი შეცოდების აღიარების ნაცვლად პატრებს მძვინვარე ომი გამოუცხადა, რაც ხელს უშლიდა კათოლიკობის გავრცელებას. ბოლოს და ბოლოს, სამი წლის შემდეგ, პატრების მოთმინებამ და ღვთისმოსაობამ იზეიმა. იტალიელი ექიმი მგლიდან მარტო კრავად კი არა, ნამდვილ მოციქულად გადაიქცა. საჯაროდ მოინანია ყოველივე და ბოდიში მოიხადა იმათ წინაშე ვისაც წინათ შეურაცხყოფა მიაყენა, ან ჩხუბი აუტეხა. შემდეგ ხელი მიჰყო კათოლიკური რწმენის ქადაგებას, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ წმინდანებრ დაასრულა სიცოცხლე. მის მოქცევას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელ პროვინციაში და ერთობ შეუწყო ხელი კათოლიკობის გავრცელებას[2].

კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი მოქცევა, რასაც მამა ქრისტეფორე კასტელიმ შეუწყო ხელი, იყო მოქცევა, ქართველი

---

1 „გურიის მთავარმა, მალაქია პატრიარქმა, რა შეიტყო მისი სნეულების ამბავი, საჩქაროდ წაიყვანა მის სანახავად და მძიმე სნეულს შეეწია და თავისი ხარჯით თუ წამალი თუ სხვა, რაც კი საჭირო იყო, ყველაფერი უშოვა. ერთი სიტყვით, ამ დიდად გულკეთილმა მთავარმა არაფერი დაზოგა, ყოველი საშუალება იხმარა მის გასაკურნებლად. რა მიიცვალა, წესი აუგო, როგორც მღვდელთმთავართა ჩვეულება იყო“... De Scriptoribus Clericorum Regularium, Palermo. 1733, გვ. 51. A. Lamberti, Colchide Sacra, გვ. 311-331, Naples, 1657. იხ. მ. თამარაშვილი, “ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 158.

2 იხ. Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mengrelia e Tartaria, ტ. CCIX, ფურც. 400 და შემდ., Lettere di Mengrelia, ტ. CXXIII, ფურც. 3; B. Ferro, დასახ. ნაშრ. ტ. 1, გვ. 701—707. C. M. Cottono, De Scriptoribus Clericorum Regularium, გვ. 92.

*...a Orientales Principes ... qu... ...
...mentum datur ab ipsis in manibus filiorum maxime in ...
...tatibus suis filiorumque spem ponis in orationibus nostr...
... Patrum quam Graecorum sacerdotum ...*




ერისთავის ასული — ელენე ათაბეგი — მოიქცა კათოლიკურ რწმენაზე, ძალით გაგზავნეს სპარსეთში, რათა დედოფლად მოელენოდა იქაურობას (1633—1638). პატრი კასტელის ნახატი.

თავადის ასულისა, რომელიც შემდეგ სპარსეთის დედოფალი გახდა.

ქართველმა თავადმა, რომელსაც თურქებმა მამულები აუოხრეს, სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად მაჰმადიანობა მიიღო, მაგრამ არ უნდოდა, იგივე უბედურება შეყროდა თავის ულამაზეს ქალიშვილს; თურქების კლანჭებიდან რომ დაეხსნა, ნათესავს — კათალიკოსს, გურიის მთავარს მიაბარა, თან სთხოვა, ქრისტიანულად აღეზარდა, ხოლო შემდეგ რომელიმე ქართველი თავადისთვის მიეთხოვებინა.

თავადის ასული, ელენე, პატრების სახლის ახლოს ცხოვრობდა და ხშირად დადიოდა მათთან. პატრებმა ელენე განანათლეს და მოკლე ხანში მხურვალე კათოლიკედ აქციეს. თავადის ასულის მშვენიერების ამბავმა კონსტანტინოპოლის სულთნამდე და სპარსეთის შაჰამდე მიაღწია. თითოეულმა მათგანმა მისი ცოლად შერთვა მოისურვა. ელენემ წინააღმდეგობა გაუწია უსჯულოებს, გადაწყვიტა, უარი ეთქვა მიწიერ სიამოვნებებზე, დიდებაზე და წყნარად ეცხოვრა კათოლიკური რწმენით. კათალიკოსმა, პასუხისმგებლობისთვის რომ აერიდებინა თავი, ელენე სამეგრელოს მთავარს, ლევან დადიანს გაუგზავნა. დადიანმა თავისი მფარველი კალთა გადააფარა და შეეცადა, სპარსეთის შაჰისთვის მიეთხოვებინა. ქალიშვილს აზრი არ შეუცვლია, ჯიუტად ამბობდა უარს ურჯულოსთან ქორწინებაზე.

დადიანი ყველანაირად ატანდა ძალას ქალიშვილს, მაგრამ ვერ შესძლო მისი სიმტკიცე შეერყია. მიუხედავად ელენეს წინააღმდეგობისა და მწუხარებისა, მთავარმა იგი მოტყუებით და ძალდატანებით მაინც გაუგზავნა სპარსეთის შაჰს, რომლის მეუღლეც უნდა გამხდარიყო. ქალიშვილმა ის მაინც შეძლო, კათოლიკედ დარჩენილიყო, და შაჰიც დაეთანხმა, თავისი მოძღვარი მამა ქრისტეფორე კასტელი თან წაეყვანა. პროპაგანდამ კი უფლება არ მისცა ღვთის მსახურს ელენეს სურვილი შეესრულებინა[1]. სამეგრელოს მთავარმაც არ დაანება წასვლა[2]. წმინდა

---

1 Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. XXI, ფურცელი 258;

2 „სხვა რამეც მოიმოქმედა ქრისტეფორემ უმაღლესი მოწონების ღირსი. სახელდობრ, ღვთისმოშიშობისა და ზნეობის საყოველთაო საქებრად განანათლა მან მესხებისა და ლაზების მთავრის ათაბაგის ქალიშვილი ელენე. ეს წარჩინებული თავადის ქალი მამამ პატრიარქ მალაქიას ჩააბარა, რათა თურქთა თავდასხმებისაგან დაეცვა, ვიდრე ვითარება არ შეიცვლებოდა და ქალს რომელიმე ქართველ ქრისტიან თავადს არ მიათხოვებდნენ. ელენემ პატრიარქის პალატში ყოფნისას იოლად იპოვა გზა კასტელისაკენ, რომელსაც ამ ბაღში დაედო ბინა; ხშირად ნახულობდა და დიდი გულისყურითა და წყურვილით ისმენდა მის საღვთო სწავლა-დარიგებას, რამაც თავადის ქალი ქრისტეს სიყვარულითა და ქველნიერების უარყოფით აღანთო. ქალიშვილი ღვთისმოსავი კაცისადმი ისეთი თაყვანისცემითა და სიკეთით განეწყო, სთხოვა, მისი სულიერი მოძღვარი გამხდარიყო და მიაღწია კიდეც საწადელს. შემდგომში კასტელის მითითებითა და დარიგებით ქრისტიანული რწმენა და ღვთისმოშიშობა ცხოვრების მთავარ მიზნად გაიხადა. პატრის მიერ გამხნევებულმა და შეგულიანებულმა მტკიცედ უარყო სპარსეთის მეფის, შაჰ-აბაზად წოდებულის, მიერ შეთავაზებული ქორწინება, თუმცა ამისთვის ბევრი გასაჭირი გადახდა. იმას შიშობდა ქრისტეს მიერ გმირი ქალწული, რომ ურწმუნო მეფესთან შეუღლებით ქრისტეს სარწმუნოება არ დაეკარგა. ამიტომ მედგრად და ურყევად იდგა თავის არჩევანზე. მაგრამ ღვთაებრივმა ნებამ სხვაგვარად განაგო: ელენე მოტყუებითა და ძალმომრეობით სპარსეთს გაიტაცეს და იქ მეფეზე დააქორწინეს. ასე კი მოხდა, მაგრამ ქრისტეს რწმენა გულიდან არასოდეს ამოუგდია. ისიც კი მოახერხა, რომ მეუღლე მეფისაგან თანხმობა მიეღო, რათა მას იმხანად სამეგრელოს მთავართან ლევან დადიანთან მყოფი ქრისტეფორე სპარსეთს მიეწვია". C.M. Cottono, De Scriptoribus Clericorum Regularium, გვ. 93—94; შდრ. A. Lamberti, Istoria Sacra dei Colchi, გვ. 342-347. Silos, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 303-305; Arch. de la Propag., Lettere di Mengrelia, და სხვ., ტ. CXXIII, ფურცელი 9; B. Ferro, – დასახ. ნაშრ. ტ. I, გვ. 721-728.

მამამ მაშინ ქართულად დაწერა შრომა „სინაზე ღვთიური სიყვარულისა“ და ელენეს გაუგზავნა. ჩვენ გთავაზობთ დედოფალ ელენეს პორტრეტს, რომელიც თვით მამა კასტელიმ დახატა[1].

კათალიკოსი მალაქია სიკვდილამდე მფარველობდა მისიონს, როგორც კი შეეძლო. მართალია, არ გაგვაჩნია დოკუმენტი, რომელიც მის მიერ კათოლიკური რწმენის მიღებას მიუთითებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, უკან არ დაიხევდა და რომაულ ეკლესიასაც შეუერთდებოდა, რადგან მხურვალედ ცდილობდა კათოლიკური რწმენის გავრცელებას თავის სამთავროში. მამა კასტელიმ ქართულად შეადგინა სხვა შრომაც — „ფიქრები ქრისტეს ვნებაზე“ — და კათალიკოსს მიუძღვნა. იგივე კასტელი რომს 1642 წელს წერდა, რომ ეს კათალიკოსი 1639 წელს მის ხელში გარდაიცვალა, რის დროსაც პიუს V-ის ოქროს მედალი ეჭირა[2].

კათალიკოსის სიკვდილმა ფრიად შეაწუხა წმინდა მამები და ძლიერ შეუშალა ხელი მისიონს. კათალიკოსის მემკვიდრემ, მთავარმა ვახტანგმა, რომელიც კარგი თვალით არ უყურებდა მისიონერებს, როგორც კი ძალაუფლება იგდო ხელთ, მაშინვე დაიწყო წმინდა მამების შევიწროება, წაართვა მთელი ქონება, რაც წინამორბედმა კათალიკოსმა მათ უბოძა, თანაც ხელს უშლიდა, სამთავროდან წასულიყვნენ.

მამა კასტელი ერთ მორჩილთან ერთად დარჩა, მაგრამ გადაწყვიტა, მიეტოვებინა მისიონი. მან სამეგრელოს მთავრის დადიანის დახმარებით მოახერხა აქედან წასვლა. მოსახლეობის დიდი გულისტკივილის მიუხედავად, მამა კასტელი შეუერთდა თავის კოლეგებს სამეგრელოში, სადაც მამა ლამბერტი და კიდევ სხვანი დიდ სიკეთეს თესავდნენ და ყველას ხიბლავდნენ თავიანთი სიბეჯითითა და ღვთისმოსაობით.

## XVI. — ახალი მისია იმერეთში. ურბან VIII-ის წერილი, გაგზავნილი აქაურ მეფესთან. ბერძენ პატრიარქთა გაგულისება; საქართველოში ალექსანდრიის პატრიარქ ნიკიფორეს გამოგზავნა მისიონერთა გასადევნად. იმერეთის მისიის მიტოვება

იმერეთის მეფეს, ალექსანდრეს, დიდი ხანია სურდა, მისიონერები ჰყოლოდა, მაგრამ საწადელს ვერ ისრულებდა საქართველოში მათი

1 მამა კასტელი კარგი მხატვარი იყო. მან საქართველოში ნანახი ყველა ძეგლი და პიროვნება ჩაიხატა. მისი ძვირფასი ნახატები დაცულია ოთხ ტომად პალერმოს საჯარო ბიბლიოთეკაში 92, 93, 94, 95 ნომრებით, აღმოსავლური ფონდი. ჩვენ კასტელის 137 ნახატი გადავაღებინეთ, ზოგიერთი მათგანი ამ ნაშრომში ჩაერთეთ მისივე წარწერებითურთ.

2 იხ. Arch. de la Propag., Lettere di Mengrelia, და სხვ., ტ. CXXIII, ფურც. 4; იმის გამო, რომ არ შეგვიძლია უფრო ვრცლად ვილაპარაკოთ ამ მისიონის შესახებ, ვუთითებთ წყაროებს: Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mengrelia e Tartaria, ტ. CCIX; A. **Lamberti**, Istoria Sacra dei Colchi, გვ. 342-348; **B. Ferro**, დასახ. ნაშრ., გვ. 678-732. ზემოთ ჩვენ უკვე მოვათავსეთ ამ კათალიკოსის პორტრეტი.

მცირერიცხოვნობის გამო. როგორც კი გაიგო, მამა კასტელიმ გურიის მისია დატოვა და სამეგრელოში გადავიდაო, სასწრაფოდ მისწერა



გურიის მთავარი ვახტანგი 1639 წელს.
პატრი კასტელის ნახატი.

წერილი მთავარ დადიანს, და სთხოვა, მასთან გაეგზავნა პატრი კასტელი იმ პირობით, რომ გარკვეული დროის შემდეგ უკან

დააბრუნებდა. წერილი მისწერა აგრეთვე პატრ ქრისტეფორე კასტელისაც და სთხოვა, დაუყოვნებლივ ჩასულიყო მასთან. ვერც მთავარმა და ვერც წმ. მამამ უარი ვერ უთხრეს მონარქს. ჩვენ ზუსტად არ ვიცით როდის, მაგრამ აშკარაა, თეატინელმა მამებმა საქართველოში ჩამოსვლისას მეფეს პაპ ურბან VIII-ის ეს წერილი გაუგზავნეს:

„ურბან VIII. ქართველ იმერეთის მთავარს.

კეთილშობილო მთავარო, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი.

თქვენის კეთილშობილების სახელი, რომელსაც პატივს სცემენ ერნი კავკასიის მთებიდგან დაწყებული, ვიდრე კასპიის ზღვამდე, უცნობი არ არის ვატიკანის მთავრობისა და საქრისტიანოს მამისათვის. ამის გამოა, რომ გაახლებთ წერილს, რათა დავიმსახუროთ თქვენი პატივისცემა და გამოგიცხადოთ ჩვენი სიყვარული. გვსურს, თქვენის კეთილშობილებისაგან რომლისამე შესანიშნავის კეთილის საქმით ერთ დღეს დავალებულ შეიქმნას რომის ქალაქი, რომელიც ყველა ტომთა სამშობლო და ღვთაებრივის მოძღვრების მასწავლებელია და რომელსაც ევროპის უძლიერესთა მეფეთა ქრისტიანებრივის მორჩილების ხარკი მიუძღვნეს. ესევე მეფენი იხდიან თავიანთ სამეფო გვირგვინს და რომის მღვდელთმთავრის მოციქულებრივ ფერხთა კდემით ემთხვევიან. განა მარტო ესენი? თვით აზიის შორეული ქვეყნის მთავრებმა სპარსეთის მეფეებმა მოგვმართეს და გვთხოვეს მეგობრობა; ეგრეთვე იმ დიდად დაშორებულმა იაპონიამაც, ამ ჩვენს საუკუნეში, წარმოგზავნა დიდის დიდებით ელჩი, რათა ამ მოციქულებრივის მთავრისათვის მიეძღვნა პატივისცემა თავის შორს მყოფი მთავრებისა. ჩვენი ძალა და ქება უფალია, და რომის საყდრის უფლებაც მონიჭებულია მისი ყოვლად შემძლებელის სახიერებისაგან. გარნა ამ საეკლესიო მთავრობას ვალად აქვს, იშრომოს ცხონებისათვის ამ სოფლისა, რომელიც იღუპება, და მფარველობა გაუწიოს კაცთა ნათესავსა. ამ უმაღლესი და დიდებული სამოციქულო საყდრიდგან ვსჭვრეტთ მთელს ქვეყანას, საცა კი ცხოვრობენ ადამიანნი, ვცდილობთ გავუღოთ მათ სასუფევლის კარი და მასთანვე მოვუვლინოთ მეომარ ანგელოზთა გუნდი. ამას არა ვყოფთ მარტო ნატვრით, ვინაიდგან შეეხება ღვთის სახელის დიდებას, არამედ დღე და ღამ ვფიქრობთ და ვეძებთ სათანადო საშუალებასა; რის გამო თვით მტერნიც იძულებულნი ხდებიან აღიარონ, რომ რომის საყდარი ზრუნავს ეგრეთვე დიდათ დაშორებულ ტომთა ბედნიერებისათვის. ამ მწყემსებრივის სიყვარულის წადილის განსახორციელებლად მოიპოვებიან ისეთი მღვდლები, რომლებიც ირჩევენ ხოლმე შორს ქვეყანაში მწირობას, ვიდრე შემტკბობ მამულსა. კეთილის სურვილით გამსჭვალულნი გადადიან მაღალ მთებს, ებრძვიან ზღვის ტალღებს, არ უშინდებიან და შედიან თვით მხეცთა სამყოფში და არც ერიდებიან კაცთა უწყალობას. სხვათა სულთა ცხონებისათვის საშრომელად თავს არა ზოგვენ და ეგოდენ

განსაცდელში ცვივიან. ნუთუ მოიპოვება სადმე ისეთი მარმარილოსი ერი, რომელმაც ესენი, ვითარცა უცხო ქვეყნიდგან მოსულნი, სიყვარულით არ მიიღოს და არ გაუმასპინძლდეს? ესენი არ ეძებენ არც სიმდიდრეს




ალექსანდრე — იმერეთის მეფე (1639—1660). პატრი კასტელის ნახატი.

და არც მთლომელობას ნაცრომენ: ამათ გამარჯვებაც ის მიაჩნიათ, რომ თავიანთი სიკვდილით მოუპოვონ ბედნიერება ერთა, ხოლო მათ მთავრებს დიდება. მტრის უღმრთოებამ იმ ზომამდე ვერასოდეს მიაღწევს, რომ მათ ჩაუნერგოს სიძულვილი, რადგან მათ უყვართ თვით თავიანთი

მტერნიც და ვინც მათ სიკვდილს დაუპირებენ, იმათთვისაც სთხოვენ ღმერთს საუკუნო შუენიერებას. ესრეთის აზრებით არიან გამსჭვალულნი ეს მღვდელმონაზვნები, რომლებსაც აქ ვგზავნით ქართველების ქვეყანაში.



იგივე ალექსანდრე მეფე, სამეფო სამოსელში. პატრი კასტელის ნახატი.

ვსცანით რა თქვენი კეთილშობილება თავის გვირგვინის სიმტკიცე დიდების მოპოვებას და უმანკოთა მფარველობას რაცხს, იმედი გვაქვს, ჩვენს მღვდლებს მიაგოთ სიკეთე. ამით თქვენ ამაგს დასდებთ რომსა და მისს მღვდელმთავარსა, ხოლო იგინი ჩვენ გვანუგეშებენ ასეთის

ამბის მიწერით. ასეთის გულმოწყალებით თვით ღმერთსაც დაავალებთ, რომელიც თავის ზეციერის საუნჯისაგან უხვად მოგანიჭებს სასყიდელსა. ვინ იცის, რაოდენ გზის დაიწყეს დიდხელოვან მეფეთ ომი, რათა თავიანთი სახელი სხვა უცხო ტომთა შორისაც განეთქვათ. თქვენი სიკეთის დამხსომებელი რომიც გპირდებათ უხვად დაასაჩუქროს თქვენი დიდებულება. იმერეთისა და მამიაჩუკის მეფევ, უკეთუ ამ მღვდლებს მოუსმინეთ, თქვენი მფარველობა აღმოუჩინეთ და მიუშვით, რომ ქართველთა ქვეყანაში მოჰფინონ საღვთო სიტყვის თესლი, დარწმუნებული იყავით, თქვენს სახელს მოხარული რომი კურთხევით მოიხსენიებს. ხოლო მეფეთა მამა და სარწმუნოების მცველი რომის პაპი, თავის სამოციქულო კრებასა და სამღვდელო ქალაქთან ერთად, ევედრება ღმერთს, თქვენ კეთილშობილებას დაუმორჩილოს ერნი და მიანიჭოს ზეციერი კურთხევა, რათა თქვენისთანა მთავარმა მიიღოს უხვად ცხოვრების ნაყოფი და სანატრელის ბედნიერების სასყიდელი. რომით, 4 ივლისს 1626, ჩვენი მღვდელმთავრობის მესამე წელსა“[1].

როგორც კი მთავარი წასვლაზე დაეთანხმა, მამა ქრისტეფორე კასტელი მაშინვე გაუდგა გზას მეფის ელჩთან ერთად. ქუთაისში, სამეფო ქალაქში ჩასულს ბრწყინვალედ შეხვდა მეფე თავისი ამალითურთ საგანგებოდ მორთულ სასახლეში. მეორე დღეს ოქროთი და ძვირფასი თვლებით მორთულ ცხენზე შესვა თავმდაბალი მისიონერი და დიდებულებთან ერთად მოატარა ქალაქი და ციხე-კოშკი. შემდეგ სასახლის მახლობლად დაასახლა და მასთან ერთად შეუდგა პაპობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებისა შესწავლას, ბოლოს კი მფარველობას და დახმარებას დაჰპირდა.

ამდენი პატივით გარემოსილი წმინდა მამა მაშინვე შეუდგა მოღვაწეობას. დაიწყო იმერეთის შემოვლა, მოსახლეობაში ქადაგებდა და ადამიანებს დარდებს უმსუბუქებდა. რადგან მარტო იყო და ყველგან ყოფნას ვერ მოახერხებდა, სადაც კი მისი დახმარება საჭირო იქნებოდა, მეფემ წმინდა მამის სახლის ახლოს მრავალი სახლი ააშენა, რომლებიც დაერ[illegible] სახლების მაგივრობას გასწევდნენ, ხოლო მისიონერის [illegible] ბოდა, ყველა სნეულზე ეზრუნა. წმინდა მამას ყოველი მხრიდან ელტვოდნენ დარიგებისა და დახმარებისათვის. მან მონათლა ბაგრატი, მეფის ვაჟი და მემკვიდრე, მეფის ქალიშვილის ბავშვები. მისიონერმა სახელი გაითქვა და დიდი პატივით

---

1 ლათინური ტექსტისთვის იხ. C.Galanus, დასახ. ნაშრომი, გვ. 124-125; J. Silos, დასახ. ნაშრომი, გვ. 576-577; B. Ferro, დასახ. ნაშრომი, გვ. 46. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 212-214.

ეპყრობოდნენ, მის შეგონებებს ერთობ მოწიწებით ისმენდნენ[1].

---

1 მაგრამ კასტელის ცოტა ხნით ადრე იბერიის მეფემ ალექსანდრემ ელჩი ნასადორი გაუგზავნა და თავისთან მიიწვია. პატრმაც თანხმობა განუცხადა. წავიდა იმ მოსაზრებით გადაწყვიტა, რომ იმედი ჰქონდა, იბერიაში მეტი სულთა ჭირნახული მოეკრიფა, ვიდრე სპარსეთში. სასწრაფოდ მოემზადა და მაისის თვეში ხსენებულ ნასადორისთან ერთად სულ 4 დღის მგზავრობის შემდეგ სრულიად იბერიის დედაქალაქს კოტატისს (ქუტაისს) ჩავიდა. ის საუცხოო თავაზიანობით მიიღეს. სასტუმრო ოთახის გარდა, რომელიც მეფის სურვილით საგანგებო ბრწყინვალებით იყო მორთული, მასპინძლის მიერ გამოვლენილი სხვაგვარი პატივისცემაც აშკარად აღემატებოდა ჩვეულებრივს. მეფემ იმ დღესვე მოიხმო თავისთან, რა დღესაც ჩავიდა; ბრძანა, სასახლეში ძვირფასი ნაკეთობის სპარსული ხალიჩები დაეგოთ და ყველა შადრევანი აემოქმედებინათ. დიდების აღსამატებლად კარზე წარჩინებულები მოიწვია და თავადაც ძვირფას სამოსელში გამოეწყო. რა დაინახა მომავალი სტუმარი, ადგა, დიდი სიყვარულით გადაეხვია და მეტად საპატიო ადგილზე დასვა. მერმე სიტყვით მიმართა და თქვა, რომ საკუთარი სურვილის ახდენა თვითონვე გააჭიანურა. ახლა კი სამართლიანად მიაჩნია, თავადაც დატკბეს ეგოდენ გამორჩეული კაცის სათნოებით, რომლის ხელოვნება უკვე მრავალი წელია დიდი ნაყოფიერებით ემსახურება ერს სხვა ქართველ მთავართა სამფლობელოებში. შემდეგ მიყვნენ სხვადასხვა საკითხზე საუბარს — ჯერ რომის პაპის ძალაუფლებაზე იმსჯელეს, მერე — ევროპის მეფეებზე. ბოლოს მეფემ ბრძანა, სტუმარი მის მოსასვენებელ ოთახში წაეყვანათ. მეორე დღეს ნასადორი, რამდენიმე წარჩინებულთან ერთად, პატრს ეახლა და მეფის სახელით აუწყა, ოქრომკედითა და თვალმარგალიტით მოკაზმულ ცხენზე ამხედრებულიყო, რათა მათთან ერთად ქალაქი კოტატისი შემოევლო. პატრი შეეწინააღმდეგა: ჩემ სიმდაბლეს არ შეჰფერის მეფური დიდებულებაო. რაკი უარი გადაჭრით განაცხადა: ამგვარი ფუფუნება სარწმუნოებრივ აღთქმას სავსებით ეწინააღმდეგებაო, მისი უარი მეფეს მოახსენეს. მაგრამ მეფემ არ დაიშალა. კვლავ სთხოვა: ეს პატივი ძალზე მცირეა და მიეცი შენ თავს უფლება მორთმეულ ცხენზე ამხედრებისო. ისიც მეტი თავმდაბლობით დაეთანხმა. ჯერ ქალაქი მოატარეს, შემდეგ ციხეც უჩვენეს და პატრმა ორივე დიდად მოიწონა. მეფე პატივს არ აკლებდა. ხშირად იწვევდა სადილად; მასთან არჩევდა სამეფო საქმეებს; დედოფალთან ერთად წირვას ესწრებოდა და ფარული სნეულების მკურნალობაც მხოლოდ მისი ხელით უნდოდა. მეფემ კასტელის წმინდანთა ხატებისა და სხვადასხვა სურათის დახატვაც უბრძანა. პატრისაგან საგანგებოდ მიიღო, აგრეთვე თავად მისი და დედოფლის გამოსახულებები ძვირფას ტანისამოსში, რომლებიც ცოცხალი, ნატიფი ფუნჯით იყო ნახატი. მეფეს სიხარულს ანიჭებდა ქრისტეფორეს პიროვნება, მისი გამოცდილება, ცხოვრების წესი, სარწმუნოებრივი შური და ყოველივე ამის გამო პატრს „მიჯნურს“ უწოდებდა. ის კი იმგვარად ემსახურებოდა, რომ ამით ყურადღება ოდნავადაც არ დაკლებოდა ხალხს, ეხმარებოდა მას და, როგორც შეეძლო, მუდამ მასზე ზრუნავდა: ყოველთვის ღვთის სიტყვას უქადაგებდა, ბავშვებსა და მოზრდილებს ხელმეორედ ნათლავდა, თუკი რწმუნდებოდა, რომ ისინი არასწორად იყვნენ მონათლულნი; ხშირად აკითხავდა უძლურებს, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა, და საქმით დახმარებას უწევდა. ავადმყოფისათვის გაჭირვებისთანავე რომ გაეწია სასწრაფო დახმარება, მეფეს თანხმობა ჩამოართვა, თავის სამყოფელთან სასნეულოს მსგავსად ფაცხები დაედგა.

მადლის ამგვარ სარბიელზე დაყო თითქმის ექვსი წელი და ამ დროის განმავლობაში მთებსა და კავკასიის ფერდობებსაც ეწვია. აქ, უკიდურესი გაჭირვებისა და გზაუვალობის მიუხედავად, ნათელი სახარებისა არაოდეს დაჩრდილულა. ქრისტეს შეწევნით გამხნევებული რწმენის მარცვალს თესავდა ხალხში, რის შედეგადაც ბევრი კერპთაყვანისმცემელი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია და ნათლისღებით განწმინდა. შემდეგ კოლხეთის მთავრის ლევან დადიანის დაჟინებული თხოვნით, ხსენებულ პროვინციაში დაბრუნდა და ოდიშში დასახლდა“. Cajetanus Maria Cottono, De Scriptoribus Clericorum Regularium, გვ. 94—95.

მეფე და ხალხი რომ ასე ექცეოდნენ ლათინ მისიონერს, ამან გააღიზიანა ბერძენი ბერები, რომლებიც იმერეთში საკმაოდ იყვნენ. ამ ქართველთა პარაზიტებმა როცა დაინახეს, ხალხში სახელი უტყდებოდათ, განგაში ატეხეს თავიანთ პატრიარქებთან, რომლებმაც, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რაც მისიონერებმა მოიმოქმედეს საქართვე-



პატრი კასტელი ხელმეორედ ნათლავს იმერეთის მეფის მემკვიდრეს, ბაგრატს. მისივე ნახატი.

ლოს სხვა პროვინციებში კათოლიკური სარწმუნოებისათვის. კარგად იცოდნენ აგრეთვე, რომ წერილები, თხოვნა და მუქარა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა და ალექსანდრიის პატრიარქი ნიკიფორე კონსტანტინოპოლში ჩავიდა.

კონსტანტინოპოლში სერიოზულად იმსჯელეს და გადაწყვიტეს, ვინმე გაეგზავნათ საქართველოში, რომ საქმე ერთხელ და სამუდამოდ



პატრი კასტელი, თეატინელი მისიონერი, მეფე ალექსანდრეს ცხენზე ამხედრებული, თავადებით გარშემორტყმული, ათვალიერებს ქუთაისს (1646). მისივე ნახატი.

მოეგვარებინათ. ალექსანდრიის პატრიარქი დიდი ამალითურთ ჩამოვიდა ქუთაისში. მეფე მისი წოდების შესაბამისი პატივით შეხვდა. პატრიარქმა მეფეს ჩამოსვლის მიზეზი აუწყა და შეეცადა, მისთვის დაემტკიცებინა, რომ კარგი საქციელი არ იყო ლათინი მღვდლის მიღება, მისი ამდენი

პატივისცემა და ტაძრის დათმობა კათოლიკური ეკლესიის განსადიდებლად, რადგან ყველაფერ ამას მართლმადიდებლური სარწმუნოების შესუსტება მოჰყვებოდა. მოსთხოვა, მისიონერი თავისი ქვეყნიდან გაეშვა. მეფემ უპასუხა, რომ ეს იყო ღვთისნიერი კაცი, მოწყალე და



პატრი კასტელი ერთგულებას ეფიცება ალექსანდრეს, იმერეთის მეფეს; მეფე დახმარებას და მფარველობას ჰპირდება მას. მისივე ნახატი.

ბევრი რამის მცოდნე, რომ არასოდეს უნახავს, ამდენი სიკეთე დაეთესოთ ბერძენ ბერებს, რამდენსაც იგი თესდა მის ხალხში, რომ არ შეეძლო ქვეყნისთვის ასე საჭირო და სასარგებლო ადამიანი გაეძევებინა. რაკი პატრიარქმა მეფის სიმტკიცე ვერ გატეხა, აღარ

ჩააცივდა და სხვა საშუალება გამონახა. რამდენჯერმე გაესაუბრა წმინდა მამას, იმ იმედით, რომ დაარწმუნებდა შეცდომაში, რაც უფრო გააადვილებდა მის გაგდებას. მამა კასტელიმ, რომლის მხარეზეც იყო სიმართლე და ქველმოქმედება, პატრიარქი ჩააჩუმა. იგი ყოველთვის იმარჯვებდა ხოლმე კამათში. რადგან პატრიარქმა ბილწი მიზნის განხორციელება ვერ შეძლო, იმის შიშით, რომ ხალხს არ შეძულებოდა,



პატრი კასტელი ესწრება ქართველ მხედართა შეჯიბრს. მისივე ნახატი.

დარცხვენილი და დამცირებული გაბრუნდა უკან. ამ ამბავმა კიდევ უფრო აამაღლა მისიონერის სახელი და ხელი შეუწყო მისი სამოციქულო საქმიანობის წარმატებას.

როგორც გვახსოვს, მეფემ სულ რამდენიმე ხნით სთხოვა პატრი კასტელი მთავარ დადიანს და დაჰპირდა, რომ უკან დაუბრუნებდა,

როგორც კი ჭრილობა მოურჩებოდა, მაგრამ აზრი შეიცვალა და გადაწყვიტა, არასოდეს მოეცილებინა თავიდან ასეთი ქვეშევრდომი. როცა მთავარმა დადიანმა ეს ამბავი გაიგო, მეფეს ელჩი გაუგზავნა



პატრი კასტელი ორი ერისთავის თანხლებით ბრუნდება სამეგრელოში მთავარ დადიანის თხოვნით (1649 წ.). მისივე ნახატი.

და მისიონერის დაბრუნება მოსთხოვა. ალექსანდრემ უარი უთხრა. გაბრაზებულმა დადიანმა სასწრაფოდ აფრინა უკან იგივე ელჩი და მეფესა და მის შიკრიკს დაემუქრა. ალექსანდრემ, რომელიც უკვე

ერთხელ დამარცხდა მთავართან ბრძოლაში, აღარ მოინდომა გაჯიბრებოდა მას, თან უნდოდა, ქვეყანა ახალი უბედურებისაგან გადაერჩინა, და უგულოდ დათანხმდა მისიონერის წასვლაზე. რადგან კასტელიმ ვერ შეძლო, თავის ადგილზე თანამოძმე მოეყვანა, იძულებული გახდა, მიეტოვებინა ეს მისიონი, სადაც სულ ცოტა დროში თავისი შრომით ასეთი უხვი მოსავალი მოიმკა. პატრის წასვლამ მთელი სამეფო ძალიან დაამწუხრა. მეფემ ისეთივე პატივით გაისტუმრა, როგორც მიიღო, თან გააყოლა სასახლის კარის ორი დიდებული, მთავარს კი ბოდიში შეუთვალა წმინდა მამის შეყოვნებისათვის[1].

ეს უკვე მესამე მისიონი იყო, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში თეატინელმა მამებმა მსახურთა ნაკლებობის გამო მიატოვეს. მოგვიანებით მეფე ისევ შეეცადა ლათინ მისიონერთა მოხმობას, მაგრამ იმავე მიზეზის გამო ვერაფერი გააწყო[2].

## XVII. – ᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲢᲧᲕᲔᲗᲐ ᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲔᲜ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲦᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲗᲚᲐᲕᲔᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

სამეგრელოში დაბრუნებული პატრი კასტელი პატრებს — ლამბერტის და ჯუდიჩეს უერთდება — მოსახლეობის საკეთილდღეო საქმიანობაში. ამ ორ სასულიერო პირს იქ უკვე დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი თავიანთი ქველმოქმედებით. მთავარმა, რომელმაც პატრები კარგად მიიღო, მათ წიფურიაში მშვენიერი ეკლესია მისცა სარეზიდენციოდ და თორმეტი ბავშვი — კათოლიკურ წესზე აღსაზრდელად[3].

პატრებმა ბეჯითად დაიწყეს ამ მიტოვებული, ველური ადგილის დამუშავება და მხნედ შეუტიეს იქაურთა შეცდომებსა და შეცოდებებს. მათ მიერ განხორციელებული საქმეები დიდზე დიდია და დაუფასებელი, როგორც სულიერი, ისე დროის თვალსაზრისით. ჩვენ გვინდა მხოლოდ ორი მათგანი აღვნიშნოთ.

ტყვის სყიდვა სამეგრელოში უკვე საზიზღარ ჩვეულებად იყო ქცეული. ბატონები პირუტყვებივით ყიდნენ თავიანთ ყმებს, უფრო საშინელი ის გახლდათ, მშობლებიც არ ამბობდნენ უარს ამ შემზარავ ვაჭრობაზე: ზოგჯერ იმიტომ, რომ შვილები დაეხსნათ თავიანთი

---

1 იხ. Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mingrelia e Tartaria, ტ. CCX, ფურც. 204; **J.Silos**, დასახ. ნაშრ., ტ. III, გვ. 305; **B. Ferro**, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 733-734.

2 პატრი კასტელი თავისი ერთ-ერთი პორტრეტის მინაწერში იმერეთის მეფე ალექსანდრეზე ამბობს, რომ მეფემ წერილები მისწერა პაპსაც, პროპაგანდასაც და ტოსკანის მთავარსაც, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით ამ წერილების პოვნა.

3 იხ. **A. Lamberti**, Istoria Sacra dei Colchi, გვ. 323 და ა.შ.



თეატინელ მისიონერთა რეზიდენცია არგვეთში, იმერეთის სამეფოში.
პატრი კასტელის ნახატი.

ბატონების ტირანიისაგან, ზოგჯერ კი სიღარიბისგან თავდასაღწევად პირმშოებს ურჯულოებზე ყიდიდნენ[1].

სამეგრელოს მცხოვრებლები, მათდა საუბედუროდ, ბუნებას არაჩვეულებრივი სილამაზით დაეჯილდოებინა, რის გამოც მათ ყველგან

1 იხ. ჟისკე, Relazione della Colchide, გვ. 186 და ა.შ.

დაეძებდნენ[1]. თურქები აქ ოთხივ მხრიდან მოეშურებოდნენ და ყოველ წელს სულ მცირე ორი ათასი ორივე სქესის და ყველა ასაკის ადამიანი მიჰყავდათ — ან იტაცებდნენ, ან ყიდულობდნენ.

ეს მარტო სამეგრელოდან. ბერძნები, იმის ნაცვლად რომ საცოდავ ქრისტიანებს დახმარებოდნენ, ზურგი ექციათ ამ საზიზღრობისათვის, პირიქით იქცეოდნენ და სარგებლობასაც ნახულობდნენ. მოსახლეობას არწმუნებდნენ, ჩვენ მიერ ნაყიდი მონები ჩვენ და ჩვენს მეგობარ ქრისტიანებს გამოადგებიან, მათ ქრისტიანულ რჯულს შევუნარჩუნებთო. ამიტომ იაფად ყიდულობდნენ მონებს და შემდეგ თურქეთში დაბრუნებულები თურქებზე ყიდდნენ“[2].

მისიონერებმა ამისთანა უწესობას ომი გამოუცხადეს. მოციქულებრივი საქმით შთაგონებულნი ქადაგებდნენ, ამ კრიმინალურ ვითარებას წინ აღდგომოდნენ, ცდილობდნენ, ყველასათვის ჩაენერგათ ადამიანური ღირსების გრძნობა, განსაკუთრებით კი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ თავიანთ მსგავსებს აიძულებდნენ, ადამიანობის რწმენა დაეკარგათ, უშიშრად უსაყვედურეს სისასტიკე დიდებსა და პატარებს. მათ შეგონებებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

მისიონერთა თხოვნით მთავარმა აკრძალა ტყვის სყიდვა. მთავრის

---

1 „ქართველთა სისხლი ყველაზე მშვენიერია აღმოსავლეთში, და მე ვიტყოდი, მთელს მსოფლიოშიც. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია უშნო სახე. არც ქალი და არც კაცი არ მინახავს ულამაზო. პირიქით, ანგელოზური სახეები შემხვდა მხოლოდ. ბუნებამ სწორედ ამ ქვეყნის ქალების უმრავლესობა დააჯილდოვა იმ გრაციოზულობით, რაც სხვაგან არსად მინახავს..., ვერავინ დახატავს ისეთ მომხიბლავ სახეებს და ისეთ ლამაზ ტანს, როგორიც ქართველ ქალებს აქვთ“. Chardin, Voyage en Perse, ტ. 1, გვ. 123.

2 „არ შეიძლება ყველაფერ ამას მწარე ამოოხვრის გარეშე შეხედო, მოუსმინო და შემდეგ გულგრილად აღწერო, რადგან დღეს ამ შიდა ბაზრის მთავარი ვაჭრები ზემოთ ხსენებული პატრები არიან; უნდა ითქვას, რომ ისინი ისე მონდომებით მოქმედებენ საბრალო ქართველების რწმენაზე, ზოგჯერ უპირისპირდებიან კიდეც ლათინებს, რომლებიც ცდილობენ, ქართველები მარადიული ხსნისკენ მიმავალ გზაზე დააყენონ. და არა მხოლოდ ამას სჩადიან: საზიზღრად ექცევიან ქართველებს და წარმოუდგენელი სიცრუით სავსე მათი პირიდან დაუსრულებლივ ამოდის გინება. როცა ბერძნებმა შეამჩნიეს, რომ ქართველები თურქებისგან გაცილებით მეტ თანხას იღებდნენ თავიანთი თანამემამულეების საფასურად, ვიდრე ქრისტიანებისგან, ქრისტიანებს კი მხოლოდ ეს მიაჩნიათ ერთმორწმუნე ხალხის ყველაზე უფრო სერიოზულ ცოდვად, თვალთმაქცობითა და სხვადასხვა ხრიკებით თვითონ იწყებენ ადამიანთა ყიდვა-გაყიდვას, თან ხალხს არწმუნებენ, თითქოს საკუთარ სახლში, ანდა ნათესავებთან და მეგობრებთან სამუშაოდ მიჰყავთ ისინი, სინამდვილეში ძალიან დიდ ფასად აძლევენ თურქებს. ბერძენთა სასულიერო პირები, მიტროპოლიტები და პატრიარქები ყოველ-დღე არიან თვითმხილველნი, ან მსმენელნი ასეთი ამბებისა. ისინი ყველანაირ ხერხს მიმართავენ იმ იმედით, რომ ორივე მხრიდან, როგორც გამყიდველისგან, ისე მყიდველისგან, რაც შეიძლება მეტი თანხა მოიგონ... მღ. დონ პიეტრო, კონსტანტინოპოლი, 1638 წ., 10 სექტემბერი“. Arch. de la Propag., Persia, Georgia, ა.შ., ტ. CCIX, გვ. 393-394. ბერძნების მიბაძვით სომეხი ვაჭრებიც ყიდულობდნენ ქართველ მონებს. იხ. იგივე არქივებში, Scritture riferite, Glorgia, ტ. 1, №22.

თითქმის ყველა ქვეშევრდომმა მოინანია და უარყო ეს სამარცხვინო ვაჭრობა; ბევრმა ითავა მონათა გამოსყიდვა თავიანთი შეცდომების გამოსწორების მიზნით[1].

მეორე, არანაკლებ სერიოზული ბოროტმოქმედება, რაც სამეგრელოში გავრცელდა, იყო ის, რომ აქ ნათლისღება არ არსებობდა. ეს უმეტესწილად მღვდლების უვიცობის ბრალია. ხელნაწერთა სახით არსებული ძველი კურთხევანი დროთა განმავლობაში, ზოგჯერ უვიცი გადამწერების წყალობით, დამახინჯდა. ამ წიგნთა უმრავლესობაში ნათლისღების წესი გაქრა. ეს შეცდომა მეტ-ნაკლებად საერთო იყო და იმ დროინდელი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. როცა მისიონერმა მამებმა ეს ნაკლი აღმოაჩინეს, ყოველნაირად შეეცადნენ, საქმისთვის ეშველათ. ამ საკითხზე კამათი გაუმართეს, მღვდლებსა და ეპისკოპოსებს და ხშირად არწმუნებდნენ მათ შეცდომაში. შემდეგ გადაწყვიტეს, მოხელენი გაენათლებინათ და აუცილებელი წესი ქართულ ენაზე გაევრცელებინათ. მართალია, წარსულის უკუღმართობის გამოსასწორებლად თავდაპირველად ბავშვების აშკარად ხელახლა მონათვლას ვერ ბედავდნენ, მაგრამ მკურნალობის მომიზეზებით ფარულად ნათლავდნენ ხოლმე მათ. შემდეგ აშკარადაც დაიწყეს ბავშვების მონათვლა. ასევე მონათ-

---

1 „ჩვენმა ქადაგებამ ნაყოფი გამოიღო ბევრ დიდ თავადაზნაურთა სახლებში, რადგან ვინც არა ჰყიდდა ყმებს, უფრო განმტკიცდა და გადაწყვიტა, არაოდეს გაჰყიდოს, რაგინდ ბევრი ფული დასჭირდეთ; ხოლო ვინც ბევრს ჰყიდდა, ზოგმა სულ დასთმო, ზოგმა ცოტა, ზოგმაც დააპირა გაყიდვისათვის თავი დაენებებინა. ასეთი პირების რიცხვში ღირსია დავასახელოთ ამ პროვინციის ზოგიერთი შესანიშნავი მთავართაგანი, რომლებიც ჩვენი დიდი კეთილისმყოფელები არიან, მაგალითად როსტომ ჩხოტუა, რომლის დედას შიგიში სჭირდა და ბევრ გზის გავკურნეთ; სქირია მიქელა აჲის სენით შვიდი წლის ავადმყოფი, რომელიც ქინაქინით გავკურნეთ ოცდაათ დღეში; მისი ძმა კაკა, რომელიც გავკურნეთ სხვა და სხვა სნეულებისაგან. ამან არა მარტო გადაწყვიტა, აღარ გაჰყიდოს თავისი ყმები, არამედ აღსარებაც სთქვას და შეინანოს, რომ აქამდე ყმებს ჰყიდდა; ქორთუაძე, ნათესავი მიცვალებული დედოფლისა, რომელიც ბევრ გზის ავად იყო, ისე რომ, მისი მორჩენის იმედი აღარავისა ჰქონდა და ჩვენგან განიკურნა. უწინ ჩვეულებად ჰქონდა მრავალი ყმაწვილის გაყიდვა, წრეულს კი ეცადა დაეხსნა ზოგიერთი გაყიდულები.

ჩვენი ცხოვრების წესის მიმართ თავისი რწმენისა და თავდადების გამოსახატავად, გარდა ადრე გაღებული ბევრი წყალობისა მისიონერების მიმართ, ის ყმაწვილების მოცემასაც დაგვპირდა... მთელმა სამეგრელომ შესანიშნავად მიიღო ჩვენი ქადაგება განსაკუთრებით იმ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რაც წელს ყმაწვილების თურქეთში გაგზავნას უნდა მოეტანა. ჩვენი სახლი ასეთი ყმაწვილების თავშესაფრად იქცა. მშობლები შვილებს გვიგზავნიან იმ იმედით, რომ დავიცავთ და ვიზრუნებთ მათზე, თან იციან, რომ ეს ძალიან მოეწონებათ მთავარსა და აქაურ დიდებულებს. ოდიშიდან, 1640 წ. 20 სექტემბერი. პატრი იოსებ ჯუდიჩი". Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mingrelia e Tartaria, ტ. CCIX, გვ. 399. თარგმანისათვის იხ. მ. თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 179—180.

ლეს ზოგიერთი მღვდელი და ეპისკოპოსი, რომელთაც ამ პირობით ანიჭებდნენ წმინდა ორდენის — კათოლიკე ეპისკოპოსის წოდებას. ამგვარად, მისიონერებმა სულიერად გადაახალისეს თითქმის მთელი მხარე და მონათლეს მრავალი ბავშვი და ყრმა[1]. ხოლო მათ, ვინც ყურს არ ათხოვებდა წმინდა მამათა ქადაგებას, მედიცინის მეშვეობით იზიდავდნენ. ზოგიერთმა უარი თქვა ხელახლა მონათვლაზე ჯერ ერთი იმიტომ, რომ სწორად მიიჩნევდნენ თავიანთ პირველ ნათლობას,მეორეც იმიტომ, რომ არაფრად აგდებდნენ მისიონერთა სიტყვებს, მაგრამ როცა ავად ხდებოდნენ, მისიონერებს უხმობდნენ სამკურნალოდ და ამ დროს ისინიც ადვილად არწმუნებდნენ ხელახლა მონათვლის საჭიროებაში. მთავარ დადიანს, რომელიც მამათა ნებას დაჰყვა და თავიდან მოინათლა, მრავალმა მიბაძა, განსაკუთრებით დიდებულებმა. თვით მთავრის მეუღლეც ხელახლა მოინათლა[2].

---

1 „ბევრი სხვაც ილვაწა 26 წლის მანძილზე ქრისტეს რჩეულმა, გულმხურვალე მსახურმა (კასტელიმ) სარწმუნოების წარსამატებლად და სულსარგებელად, რითაც ხელი შეუწყო იბერიასა და საქართველოში სიყვარულის სარწმუნოების გავრცელებას. ზემოხსენებულთა გარდა, ათი ათასამდე კაცი მოინათლა, რადგან, სხვა ბერძნულ ცდომილებებთან ერთად, ისიც შეიტყო, რომ ესენი ნათლისცემის აღსრულებისას საჭირო სიტყვებს არ წარმოთქვამდნენ. ამ მოსაზრებით, როცა კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ბავშვებს თუ მოზრდილებს იტაცებდა და სასწრაფოდ ხელმეორედ ნათლავდა". Caitanus M. Cottono, De Scriptoribus Clericorum Regularium, გვ. 96.

2 „ყოველი ღონე იხმარეს, რათა მოზრდილები დაერწმუნებინათ, რომ მათ არ აქვთ მიღებული ნათლისღების საიდუმლოება. ბოლოს გაჭრა სარწმუნოებრივი შერით წაქეზებამ. ბევრმა უსმინა რჩევას და უძველესი კაცობრივი ცოდვისაგან გამოხსნა ხელახალ ნათლისღებას მიანდო. ამათ შორის იყო რამდენიმე ეპისკოპოსი და საკმაოდ ბევრი წარჩინებულთა წრიდან. ნათელიღო აგრეთვე მეფის უპირველესმა მოხელემ, ე.წ. ვეზირმა, თითქმის მთელი თავისი სახლეულითურთ. არამცირედი გულმოდგინება გამოიჩინა დედოფალმაც. ზეციური ემბაზისაგან დედოფლის განმპეტაკება რომ იხილეს, ბევრი იძულებული გახდა მისი მაგალითისათვის მიებაძა. შემდეგ იყვნენ ისეთებიც, ვინც სხვათა მტკიცე გადაწყვეტილებას ყბადაღებით ექადნებოდნენ. მაგრამ როცა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, ისევ პატრებს მოუხმეს და მათგან ლათინური წესით მონათვლა ითხოვეს. თავად სამღვდელოებაც გათვითცნობიერდა, ვისი უმეცრებითაც მოხდა ამ ბოროტების გავრცელება: ქართულად ითარგმნა ნათლისცემისათვის სავალდებულო სათქმელი და მღვდლებს გადაეცა, რათა მათ ეს საიდუმლო ამიერიდან საერთო საეკლესიო წესის თანახმად აღესრულებინათ". J. Silos, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 631; Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mengrelia, Mesopotamia, Tartaria, ტ. CCX, გვ. 204; „ეს მთავარი (ლევან დადიანი) წინაპართა აღმსარებლობით იყო დაბრკოლებული. მაგრამ,როგორც ზემოთ ვთქვით, საბოლოოდ ყური ათხოვა ჩვენს სწავლა-დარიგებას, მეტადრე როცა არქანჯელო ლამბერტისაგან შეიტყო, რომ მისმა ბერძნებმა კანონიერად არ სცნეს ნათელი. მაშინ მთავარმა ნება დართო პატრს იგი ლათინური წესისამებრ მოენათლა". J. Silos, Rome, 1666, ტ. III, გვ. 392 — მამა ანჯელო ვერონელიმ თეატინელმა, მას შემდეგ, რაც წაიკითხა საქართველოს მისიონერთა მოხსენებები, შეადგინა თეოლოგიური შრომა ნათლისღებაზე და გამოაქვეყნა სათაურით: „Quaestiones morales et Tractatus de Apostolicis Missionibus. Romae, 1656.

## XVIII. — მოქცევა ორი არქიეპისკოპოსისა და მთავარ დადიანისა. მთავარი დადიანი ურბან VIII-ს უგზავნის პატრ დი ჯუდიჩეს, რომელსაც მასთან ატანს წერილს. სამეგრელოს მისიის წარმატება

მისიის წარმატებას ხელი შეუწყო ორი არქიეპისკოპოსის მოქცევამ. ერთი მათგანი იყო ტრაპიზონის ბერძენი არქიეპისკოპოსი, მაკარი, რომელიც თავის თანმხლებ ბერძენ ბერებთან ერთად საქართველოს კუთხეებში ფულს კრებდა და იერუსალიმში, ან სხვა საპატრიარქოებში აგზავნიდა. პატრები მას ჯერ გორში შეხვდნენ, აღმოსავლეთ საქართველოში, შემდეგ კი — სამეგრელოში. ტრაპიზონის არქიეპისკოპოსი მისიონერთა ერთ-ერთი მძვინვარე მტერი იყო. მიუხედავად ამისა, მისიონერებმა ბევრი იღვაწეს მოთმინებით, ერუდიციითა და გულმოწყალებით და ბოლოს შეძლეს მისი მოქცევა კათოლიკობაზე. ახლად მოქცეული მალე ბეჯით მოციქულად იქცა, შეუერთდა პატრებს და დაიწყო კათოლიკური რწმენის გავრცელება. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ პატრებმა ის რომში გაგზავნეს, რომ მუხლი მოეყარა პაპის წინაშე[1].

შემდეგ არქიეპისკოპოსი იყო ალავერდელი, ქართველი, რომელიც აგრეთვე გორში იმყოფებოდა, ხოლო სპარსთა შემოსვლის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეგრელოში გადავიდა. იგი ათონის მთაზე იყო გაზრდილი და აღვსილი ყველა იმ ცრურწმენით და სიძულვილით, რაც ბერძნებს ლათინთა მიმართ ჰქონდათ.

ალავერდელი დიდ პატივს სცემდა მისიონერებს განსწავლულობის გამო, მაგრამ მათი დიდი მოწინააღმდეგე იყო რწმენის საკითხში. გარდა ამისა, თვითონაც იგივე აზრი ჰქონდა, რაც პატრებს ნათლისღების ნაკლოვანების შესახებ. პატრებმა არაფერი დაიშურეს,რომ ალავერდელი მოექციათ და დაჟინებითა და გულმოწყალებით გამარჯვებასაც მიაღწიეს. შემდეგ ალავერდელი არა მარტო მათი ახლო მეგობარი, არამედ დიდი კეთილისმსურველიც გახდა. უკვე აღარ შეეძლო მისიონერებს განშორებოდა, ისე სიამოვნებდა მათთან საუბარი სულიერ საკითხებზე. მისიონერებს გულუბრყვილოდ ეუბნებოდა, წინათ თუ გდევნიდით, გდევნიდით მხოლოდ ღვთის სადიდებლად, როგორც უწინ სავლე სდევნიდა ეკლესიასო. ბოლოს, ავადმყოფობის დროს მოიხმო ისინი სასთუმალთან, მორჩილად მიიღო ზიარება და ხმამაღლა გამოა-

---

1 იხ. Arch. de la Propag., Lettere della Mengrelia, და ა.შ. ტ. CXXIII, ფურც. 7.

ცხადა, პეტრე და პაელე მოციქულების მიერ ნასწავლი რწმენით მინდა მოვკვდეო, და სულიც მიაბარა ღმერთს[1].

არანაკლები ძალ-ღონე მოახმარეს პატრებმა ლევან დადიანს, როცა ის თავიდან მონათლეს, კათოლიკური დოგმები შეასწავლეს და აღიარებინეს, რომ პაპი იყო წმინდა პეტრეს მიმდევარი და ქრისტეს ნაცვალი. ბოლოს შეახსენეს, მოვალე ხარ, პაპის წერილს უპასუხოო, მთავარმა გადაწყვიტა, არა მარტო წერილი მიეწერა პაპისათვის, არამედ ელჩიც გაეგზავნა მასთან თავისი შვილებრივი ერთგულების დასამტკიცებლად, ელჩს პაპისთვის მთავრის პატივისცემა უნდა გამოეხატა და მისი სამთავროს შესახებ მოეთხრო. ამ საქმის აღსასრულებლად მთავარმა უახლოესი მეგობარი და მრჩეველი პატრი დი ჯუდიჩე აირჩია და დაავალა, პაპისთვის საჩუქრად ორი ბავშვი მიეგვარა, თან წერილი გადაეცა. პატრი 1644 წელს ჩავიდა რომში და პაპს ეს წერილი მიართვა:

„უბედნიერეს მამას, ურბან VIII-ს, მუხლმოყრილი გცემთ თაყვანს.

ათი წლია,რაც დი ჯუდიჩე და არქანჯელო ჩამოვიდნენ ჩვენში და გადმომცეს თქვენი ძვირფასი მარათი. მაშინვე გვინდოდა პასუხის

1 „მას შემდეგ, რაც ვუზირი დავარწმუნეთ, რომ ჩვენებურად მონათლულიყო, ალავერდელი ისე მოიხიბლა ჩვენით, რომ ძველი ზიზღი მთლიანად სიყვარულით შეცვალა. ხშირად გვეპატიჟებოდა თავისთან. და მას მერე, რაც მრავალი დღე დავყავით მასთან და დიდი პატივიც გვცა, დამშვიდობებისას აღიარა, რომ თვითონ ისევე გვდევნიდა, როგორც სავლე ეკლესიას. მაგრამ მხოლოდ ღვთისმოსაობა აიძულებდა ასე მოქცეულიყო, რადგან ბერძნებს ცუდი წარმოდგენა შეუქმნიათ ჩვენს შესახებ მისთვის. იგი ძალიან უწყინარი და წესიერი კაცი იყო. არასოდეს არავის გაუგია ავგი მასზე. თავისი გარეგნობითა და ქცევით კარგ მაგალითს აძლევდა ყველას, ვისაც კი ხვდებოდა. იცოდა მშვიდი და მოკრძალებული საუბარი, ლოცვისას — გულმოდგინება; მკაცრად იცავდა მარხვას და ძალიან ხელგაშლილად ეხმარებოდა ღარიბებს, თურქებისგან შესყიდულ ყმაწვილებს ისე ზრდიდა თავის სახლში, როგორც სემინარიაში, და თან ისე მკაცრად, რომ რელიგიური ორდენის ახალბედები გეგონებოდათ. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ წმ. მთაზე აღზრდილი ყმაწვილები ბავშვობიდან იმ შხამით იყვნენ ნასაზრდოები, რომელიც ბერძნებს აქვთ ლათინების მიმართ. მაგრამ შემდეგ ჩვენთან ურთიერთობისას თანდათან დაადგნენ ჭეშმარიტების გზას და მათთვის ერთადერთი კმაყოფილება ჩვენთან საუბარი გახლდათ. ამ დროს გაირკვა ბევრი საკითხი, რაშიც ბერძნები ჩვეულებრივ გვეპირისპირდებოდნენ. გავაგებინეთ, რომ ყველაფერი იყო სიცრუე, რასაც ბერძნები ლათინების მიმართ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულების გამო იგონებდნენ, და რადგან აგვიხსნა, რომ მისთვის უდიდეს სირთულეს სულიწმიდის მამისა და ძისაგან გამოსვლის საკითხი წარმოადგენდა, კარგად გავაგებინეთ ყველა ის მიზეზი, რის გამოც გვწამს იგი. მან ძალიან კარგად გაიგო ეს და, მართალია, აშკარად არ გამოუთქვამს თავისი აზრი, არავითარი ეჭვი არ არის, რომ უკვე დაადგა ჭეშმარიტების გზას. შემდეგ კი ავად გახდა, როგორც ჩანს, უკანასკნელად, და კაცი გამოგვიგზავნა, რომ მასთან მივსულიყავით. აღსასრულის მოახლოებისას დიდის ღვთისმოსაობით მიიღო ყველა ზიარება და საჯაროდ გამოაცხადა, რომ უნდოდა მომკვდარიყო იმ რწმენით, რომელიც წმ. მოციქულებმა პეტრემ და პავლემ ასწავლეს და ცოტა ხნის შემდეგ აღესრულა". A. Lamberti, Istoria Sacra dei Colchi, გვ. 353-354. — იხ. J. Silos, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 631.

გამოგზავნა, მაგრამ ქვეყნის მძიმე მდგომარეობამ, რაზეც დაწვრილებით დი ჯუდიჩე მოგახსენებთ, ხელი შეგვიშალა მოვალეობის შესრულებაში. ამიტომ დავაგვიანეთ წერილის გამოგზავნა. ამჟერად ცოტა სული მოვითქვით, მას მერე, რაც დავიმორჩილეთ ღვთის წყალობით მტრები, აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრები. მამა ჯუდიჩის ხელით საჩუქრად გიგზავნით ორ მავშვს და გთხოვთ კურთხევას. ჩვენ დიდი პატივით მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი მამები, ვუბოძეთ მათ მშვენიერი ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, მსახურები, საკმარისი სანოვაგე, რადგან ისინი გახლავან კეთილი მღვდლები და დიდად ვართ დავალებული მათი გამოგზავნისათვის. ჩვენ შესანიშნავად მოგვეხსენება, რომ თქვენ მთელ მსოფლიოს მართავთ, რომ ხართ წმინდა პეტრეს მემკვიდრე და მაცხოვრის ნაცვალი. ამიტომაც გვსურს, რომ ჩვენც გვპატრონობდეთ და გვმფარველობდეთ. ჩვენში არ არიან შალის, ან აბრეშუმის მქსოვლები, რომელთა ნახელავიც საშუალებას მისცემდა ჩვენს ქვეშევრდომთ ტანისამოსის შოვნისას, რადგან ეს უკანასკნელნი ხშირად იძულებით ყიდიან თავიანთ ნავებს თურქებზე და ამით სულსა და ხორც საფრთხეში იგდებენ, რაც შეუწყნარებელია და ბუნებისათვის საძრახისი. გევედრებით, გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ხელოსნები, რომ მათმა ნახელავმა და დახმარებამ თავიდან აგვაცილოს მსგავსი საშინელებანი. ღვთის წინაშე გპირდებით, რომ მათ მივიღებთ პატივით და სურვილის მიხედვით ამოვურჩევთ სადგომებს და მსახურებს, მიწებს და ყველაფერ იმას, რაც საჭირო იქნება შეძლებული და მშვიდი ცხოვრებისათვის. უფრო მეტიც, სამებაა მოწმე და ღვთის მასთან ერთობა, რომ ამ ხელოსნებს ძალას არაფერში დავატანთ; დავიტოვებთ მათ, ვისაც სურვილი ექნება, ხოლო ვინც მოინდომებს უკან დაბრუნებას, ან სხვაგან წასვლას, ძალით არ გავაჩერებთ. რათა ღვთის კურთხევა და მისი უსაზღვრო მოწყალება დარჩეს ჩვენთან ისევე, როგორც თქვენი, ღვთის რჩეულის, ლოცვა და კურთხევა. იყოს ასე. ქრისტეს მოსვლის 1142 წელი (ალმათ, 1643). ოქტომბერი, დადიანი“[1].

პაპმა მთავრის თხოვნა გაითვალისწინა და ბრძანება გასცა,

1 „1645 წლის 23 იანვარი. კრება, პირველი საკითხი. უწარჩინებულესმა მეუფე კარდინალმა კაპონიომ დამსწრეთ განმეორებით მოახსენა მთავარ დადიანის წერილი, რის გამოც კრებამ უფლის წმინდა სახელით განაჩინა: დაიძებნოს ბამბისა და აბრეშუმის დამზადებაში დახელოვნებული მორწმუნენი კაპუცინელთა და წმ. ფრანცისკის რეფორმატორთა შორის, რომელთაც სურვილი ექნებათ გაემგზავრონ სამეგრელოს თეატინელ მისიონერებთან ერთად, რათა მთავრის დაჟინებითი თხოვნით გაწვრთნან მისი ერი დასახელებულ ხელოვნებებში. ამასთანავე, მოკლე ხანში დაიწეროს პასუხი ზემოხსენებულ წერილზე, რომელიც კრებისა და მისიონთა წარდგინებით შეატყობინებს ხსენებულ მთავარს მორწმუნეთა შესახებ“. Arch. de la Propag., Lettere di Polonia, Russia, Moscoria, Valachia, Moldavia, Palestina, Soria, Armenia, Persia e Tartaria, ტ. LXII, ფურცელი 109. — ამ დოკუმენტის მეორე მხარეზე ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: „Fu ordinato che si leggesse questa lettera par esteso nella congreg. inanzi a Sua Sartitá“.

კაპუცინებსა და წმინდა ფრანცისკელებს შორის ისეთი სასულიერო პირები მოეძებნათ, რომელთაც ქსოვილის დამზადება ეცოდინებოდათ, რომ ისინი თეატინელებთან ერთად სამეგრელოში გაეგზავნათ. შემდეგ მთავარს ეპისტოლეთი უპასუხა, მადლობა გადაუხადა და მისიონერებიც აურჩია[1]. ბავშვები პროპაგანდის კოლეჯში მიაბარეს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კათოლიკური რწმენა გაევრცელებინათ.

პატრი დი ჯუდიჩე რომიდან წამოსვლის შემდეგ კონსტანტინოპოლში თურქებმა შეიპყრეს. იგი სარწმუნოებისათვის დიდი წამების შემდეგ საპყრობილეში გარდაიცვალა. თავისი ელჩის სიკვდილის ცნობამ მთავარი დადიანი ღრმად დაამწუხრა, მაგრამ სხვა ორი პატრის ჩამოსვლამ ასე თუ ისე დაამშვიდა.

მისიონერებმა მომზადებული ნიადაგის განაყოფიერება და კათოლიკური რწმენის გავრცელება გააგრძელეს, ხალხს საექიმო დახმარებას უწევდნენ, რისი საჭიროებაც ყველგან იყო. მთავრის მაგალითით თითქმის ყველა ალმერთებდა პატრებს, მიყვებოდა მათ მოძღვრებას და აქებდა მათ სიქველეს. მრავალი ერთმანეთის მსგავსი მოხსენებიდან ჩვენ მოვიყვანთ ნაწყვეტებს მისიონერთა მიერ რომში 1640 წელს გაგზავნილი წერილიდან.

„ამ მხარეში ყველა მთავარი, მდიდარი თუ ღარიბი, ჯერ არნახულ წმინდანებად და მოციქულებად მიგვიჩნევს. მაგრამ ჰგონიათ, ბერძნების წყალობით, რომ ჩვენი რწმენა მათგან განსხვავებულია. არიან ისეთებიც, რომლებიც ხედავენ ჩვენი ცხოვრების წესს და მოღვაწეობას და გულწრფელად აღიარებენ, რომ მხოლოდ ჩვენი რწმენაა ნამდვილი, ყველა სხვა კი – ყალბი; რომ ყველაზე ნამდვილი და საყოველთაო მწყემსია რომის პაპი; რომ მხოლოდ ჩვენი რწმენის მქონეთ აქვთ ორი თვალი ღვთაებრივისა და კაცებრივის გასარჩევად, მაშინ როცა სხვა მოკვდავთ მხოლოდ ცალი თვალი აქვთ და ბნელში დადიან. წელს ჩვენმა მწყალობელმა, განსწავლულმა და ფრიად წარჩინებულმა კაცმა, მარძიმ ვაჩნაძემ, სახალხოდ აღიარა, რომ რომის პაპი არის წმინდა პეტრეს ნამდვილი მემკვიდრე და ყველა ქრისტიანის წინამძღოლი. მან თავისი საქციელით დაამტკიცა პაპის მიმართ დიდი პატივისცემა. მამუჩა იამელუკამ, მთავარ დადიანის სიძემ, საჯაროდ გამოაცხადა,რომ ჩვენი მამები მისდევენ ქრისტეს ნამდვილ რჯულს, ხოლო ის და მისი თანამემამულეები მცდარ გზაზე დგანან. მაკუ სელიამ, დიდმა აზნაურმა და ჩვენმა კეთილისმყოფელმა ისე დააფასა ჩვენი რწმენა,რომ ავადმყოფობის ჟამს ერთ ჩვენ მამას ლოცვები ათქმევინა, თან ორი წირვაც გადაახდევინა მის სახელზე და ისეთი გასამრჯელო შეაძლია,

---

1 Arch. de la Propag., Collectanea scriptorum ab an. 1625–1656, სხვადასხვა, ტ. VI, ფურც. 217.

რომ ჩვენმა მამამ ამ საქციელის გამო სულ არაფერი არ გამოართვა. იმისათვის, რომ არაფერი ეთქვა დამალი წოდების მიერ წარმომადგენელზე, გიორგი მიხელიას მეუღლეზე, რომელიც ძლიერი თავადია, ხოლო მეუღლე მისი დადიანის დეიდაა, ჩვენ ორ მისიონერს უთხრა, რომ ჩვენი რელიგიის მსახურები ნამდვილი ღვთის მსახურები არიან, მათი რელიგიის მსახურთაგან განსხვავებით...“[1].

ამ საქმეში პროგრესი სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა. სამწუხაროდ, 1657 წელს მთავარ დადიანის გარდაცვალებამ, ვინც ძლიერ შეუწყო ხელი კათოლიკობის გავრცელებას, დიდი ზიანი მიაყენა მისიას. სხვა სამთავროების მთავრებმა, აქამდე დადიანის შიშით რომ გაყუჩებულნი იყვნენ, შური იძიეს წინანდელი დამარცხებისათვის და სამეგრელო აოხრეს. ეს უბედურებანი მისიასაც დაეტყო. დადიანის მემკვიდრეები შეძლებისდაგვარად შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას. ძალიან უყვარდათ პატრები, უსმენდნენ მათ მოძღვრებას და ყველაფერში ხელს უწყობდნენ, ერთი მათგანი პატრებს წირვაზეც ემსახურებოდა[2].

ადგილის სიმცირე გვაიძულებს გამოვტოვოთ დიდი რაოდენობის დოკუმენტები სამეგრელოს მისიის შესახებ, რათა შემდეგ ადგილი დავუთმოთ კაპუცინთა მისიას[3]. უნდა ითქვას, რომ სამეგრელოს მისია მალე დასუსტდა მსახურთა ნაკლებობის გამო[4].

---

1 Arch. de la Propag., Persia, Georgia, Mingrelia e Tartarie, ტ. CCIX, ფურც. 400.

2 პროპაგანდის მდივანმა წერილი მისწერა 1658 წლის 1 ივლისს მამა ბორომეოს, სამეგრელოს მისიის პრეფექტს და მიულოცა მისი მისიის წარმატება. Lettere della Sacra Congregazione, ტ. XI, ფურც. 381.

3 სამეგრელოს მისიის შესახებ იხილეთ შემდეგი საბუთები: Arch. de la Propag., Lettere di Barbaria..., Persia..., Armenia, ტ. CXIX, Persia, Georgia, Mengrelia e Tartaria, ტ. CCX და CCCXVI, Ferro, დასახ. ნაშრომი, გვ. 323-607.

4 უკვე 1655 წელს პროპაგანდა უჩიოდა მსახურთა ნაკლებობას და აკი სწერდა 27 ოქტომბერს პატრ ა. ლამბერტის, რომელიც საქართველოდან 16 წლის შემდეგ დაბრუნდა:

„სამეგრელოსა და საქართველოს მისიონები, ისევე როგორც აღმოსავლეთ ინდოეთის სამღვდელოთა მისიონები, მათი წევრების ნაკლებობის გამო ქრებიან. არც აქამდე მოუტანია სარგებლობა გახშირებულ ღვთისმსახურებას, რაც პროპაგანდა ფიდეს, ამ წმინდა კონგრეგაციის წინამძღვარს, ჩაუტარებია. იგი ყოველთვის ბოდიშს იხდიდა იმისთვის, რომ წევრების ნაკლებობის გამო ვერ ზრუნავდა საკუთარი სარწმუნოების ყველაზე უფრო კეთილშობილურ და ღირსეულ სამსახურზე, რაც სამოციქულო მისიონერებს უნდა გაეწიათ სულთა მოქცევისათვის. თქვენო პატიოსნებავ, თქვენ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მონდომებითა და შეუდგრანად ემსახურეთ მათ და იცნობთ მრევლის სხვადასხვა წევრის დადებით განწყობილებას მისიონერების სამუშაოს მიმართ, კარგი იქნება უახლოეს მომავალში ისევ აქ გადმოხვიდეთ, რათა შეძლოთ თქვენი ღვთისმოშიში აზრების გადაცემა და გარდუვალი საშიშროების დროულად თავიდან აცილებაში მიიღოთ მონაწილეობა. თქვენო პატიოსნებავ, თქვენი გულმოდგინება მაიმედებს, რომ მაშინვე შეასრულებთ, რასაც ვისურვებთ ამ ხალხის სახსნელად საღმრთო სამსახურისათვის“. Lettere della S. Congregazione, ტ. XXX, გვ. 111.

## XIX. — თეატინელები ტოვებენ საქართველოს მისიონერთა სიმცირის გამო

როგორც ვთქვით, ყოველი სამთავროდან თხოულობდნენ მისიონერებს, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ისინი ძალიან ცოტანი იყვნენ და ისე მოუცლელნი, სხვაგან ვერ მიდიოდნენ. გარდა ამისა, არც მთავრები, რომლებთანაც მისიონერები იმყოფებოდნენ, მათ სხვაგან წასვლის უფლებას არ აძლევდნენ. სხვა სამთავროებში გადასვლისას ნება რომ დაერთოთ, მისიონერები იქ ნამდვილად ძლიერ შეუშლიდნენ ხელს ხშირ ომებსა და ძმათა კვლას. თანაც, ინდოეთის მისიონის გამო, თეატინელ პატრებს დიდად უჭირდათ მისიონერთა შოვნა სამეგრელოსათვის. ამიტომ ამ დიდ მისიონში ხშირად მხოლოდ ერთი ან ორი პატრი იმყოფებოდა.

პატრი გალანო, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ და რომელიც კონსტანტინოპოლში მისიონის ხელმძღვანელად იყო, განუწყვეტლივ სთხოვდა მისიონერთა გაგზავნას ხან პროპაგანდას, ხან თავის ორდენს, მაგრამ ამაოდ. 1660 წელს პროპაგანდას სთხოვა, საქართველოში სხვა ორდენის ბერები გაეგზავნა, რადგან მისი ორდენი ველარ ახერხებდა მისიონერთა საკმარისი რაოდენობით მოკრებას[1]. პროპაგანდა კი, რომელიც მხედველობაში იღებდა დიდ საქმეებს, რაც თეატინელმა

1 „პატრი გალანოს მიერ საქართველოს მისიონის შესახებ დაწერილი მოხსენებები ყოვლად წარჩინებული ბატონი ალბერიჩისთვის.

სამეგრელოსა და საქართველოს მისიონის პრეფექტი თეატინელი პატრი ანდრეა ბორომეო, რომელიც ამჟამად მხოლოდ სამეგრელოში ცხოვრობს მუდმივად, საქართველოს სხვა პროვინციებშიც მიუწვევიათ ბევრჯერ და განსაკუთრებით კი იმ ქართველ თავადს, რომელიც იმერეთის პროვინციის ქალაქ ბასარჩუკში (ქუთაისში) ცხოვრობს. მას სურდა თავისი ამხანაგები, ლათინი სასულიერო პირები გაეგზავნა იმერეთის სოფლებში საცხოვრებლად, ძირითადად კი — სამეფო ქალაქ ბასარჩუკში და თან მათ ბინითა და კვებით უზრუნველყოფას აღუთქვამდა. ასეთი დიდი მოთხოვნილება გამოწვეულია იმით, რომ ლათინი სასულიერო პირები იქ მიაჩნდათ უანგაროებად, მოწყალედ, შრომისმოყვარედ და მედიცინის ხელოვნებაში გამოცდილებად. ისინი უანგაროდ, სიამოვნებით ეხმარებიან ყველა გაჭირვებულს და განსაკუთრებით ავადმყოფს. და რადგან ამ პროვინციებში ექიმი არ არის, ისინი დიდად სასურველები არიან ყველასთვის, განსაკუთრებით კი დიდგვაროვანთათვის, რომლებიც უფრო მეტ ფასს ანიჭებენ თავიანთ სიცოცხლეს.

ზემოთ ხსენებულმა პატრმა ბევრჯერ სთხოვა წმ. კონგრეგაციას და თეატინელთა ორდენს კიდევ გამოეგზავნათ სხვა თეატინელი ამხანაგები და დაეკმაყოფილებინათ აღნიშნული პროვინციების სურვილი, რადგან სამეგრელოში მას მხოლოდ ორი ამხანაგი ჰყავდა: ერთი მღვდელი და ერთიც ერისკაცი. ვერც ვერასდროს შეძლო მათი მოყვანა, რადგან მის რელიგიას მრევლი აკლდა. დიდი ნაწილი თურმე ინფექციური დაავადებით გარდაცვლილა, ნაწილი ინდოეთის მისიონში მოღვაწეობს და სხვებსაც ეძებენ. ამიტომ სასურველია, წმ. კონგრეგაციამ საქართველოს სამეფოში გამოგზავნოს კაპუცინელ პატრთა სხვა მისიონი თავისი პრეფექტით, რადგან ზემოხსენებული პატრი ბორომეო მზად არის მათ უშუამდგომლოს და დაეხმაროს ყველაფერში, რაც აქ მოწყობისთვის დასჭირდებათ". Arch. de la Propag., Asia e Cipro, ტ. CCXXVIII, გვ. 33. იხ. B. Ferro, გვ. 533-დან 568-მდე.

მამებმა საქართველოში განახორციელეს, ყოყმანობდა ამ გზისთვის მიემართა. ამიტომაც თეატინელთა წინამძღვარს არაერთხელ გაუგზავნა ასეთი ბრძანება:

„ცვლამ იზრუნოს რეგულარულ სასულიერო პირთა მისიონზე სამეგრელოსა და საქართველოსათვის. ამასთანავე, უწმინდესი წინამძღვრის ნებართვით, თუკი ამაზე მისი უწმინდესობის თანხმობა იქნა, მისიონი დაემორჩილოს ადრე დადგენილ პირობას: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო მისიონის გაგზავნა შეუძლებელი აღმოჩნდა, საქართველოს გაეგზავნოს იტალიელი კაპუცინები, ხოლო სამეგრელოს – ნებისმიერი რეგულარული სასულიერო პირი“[1].

მატერიალური უძლურობის გამო, ასეთი მკაცრი ბრძანებების მიუხედავად, სასურველი შედეგი არ ჩანდა. ეს მისიონი ისე გაცოდვილდა, რომ ზოგჯერ არცერთი მისიონერი აღარ ჰყავდა ხოლმე. 1691 წელს უკანასკნელად მიაელინეს ორი თეატინელი მამა. ისინიც მალე გაქრნენ და ასე დიდებულად დაწყებული თეატინელ მამათა მისია საბოლოოდ შეწყდა XVII ს-ის ბოლოს.

მართალია, გვიმძიმს ეს სამწუხარო ამბავი, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა დიდი პატივი ვცეთ ამ მამებს მათი დაუღალავი და ნამდვილად მოციქულებრივი შრომისათვის და უსაზღვრო მოწყალებისა და დიდი განსწავლულობისათვის. თუმცა დიდხანს არ დარჩენილან საქართველოში, დროის ამ მცირე მონაკვეთში მაინც ბევრი სიკეთე დათესეს, დიდი სამსახური გაუწიეს ქვეყანას, ამავე დროს არქივები და ბიბლიოთეკები გაავსეს ნაწერებით, რაც მათ მემკვიდრეებს არ გაუკეთებიათ.

---

[1] Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №12, იხ. Lettere della Sacra Congregazione, ტ. XXXIII, გვ. 29—30.

# თავი XVI

# პროპაგანდა ფიდეს მისიონი. კაპუცინები საქართველოში 1661-1845 წწ.

შინაარსი. — I. პროპაგანდა საქართველოს მისიონს კაპუცინ პატრებს ანდობს. მისიონერების გამომგზავრება; მათი ჩამოსვლა; წერილები, რომლებშიც მისიონერები საქართველოში თავიანთი დაბინავების ამბავს იტყობინებიან. — II. კაპუცინ პატრი კარლოს დაბრუნება რომში; საქართველოს მეფის წერილი, გაგზავნილი პაპ ალექსანდრე VII-სთან. პროპაგანდის პასუხი. — III. ახალი მისიონერების გამოგზავნა; მისიონის წარმატება და პატრ ბერნარდეს მოხსენება პროპაგანდას. ქართველი ახალგაზრდების გაგზავნა რომში ურბანოს კოლეჯში. — IV. გიორგი მეფისა და ექვთიმე არქიეპისკოპოსის გაკათოლიკება; პაპთან გაგზავნილი მათი წერილები. პაპისა და პროპაგანდის პასუხები. — V. ბარძიმ ერისთავის გაკათოლიკება და პაპთან გაგზავნილი მისი წერილები. პაპის პასუხი. სხვა ქართველ დიდგვაროვანთა გაკათოლიკება. —VI. თავად საბას გაკათოლიკება. პაპთან გაგზავნილი მისი წერილი. მისიონერ რიშარს საბა საფრანგეთში მიჰყავს და მის შესახებ წერილით მოახსენებს საფრანგეთის მინისტრ ტორსის. საბა წერილს სწერს პროპაგანდას; პროპაგანდა უპასუხებს და რეკომენდაციას უწევს პარიზში პაპის ელჩთან. მოხსენებითი წერილები საფრანგეთის მთავრობას. ლუი XIV ღებულობს საბას, რომელიც მიემგზავრება რომს, შეხვდება პაპს და მოხსენებას წარუდგენს პროპაგანდას. საბა ახერხებს, პაპმა ეპისტოლე მისწეროს ვახტანგ მეფეს. საბას დაბრუნება საქართველოში და პაპის ეპისტოლე. — VII. კათოლიკობის შემდგომი წინსვლა და მისი დევნა სომეხთაგან. მისიონერების წერილები ამის თაობაზე. —VIII. კათოლიკობის აღმავლობა. სხვა ქართველი თავადების გაკათოლიკება. პროპაგანდის მისალოცი წერილი გაკათოლიკებული ქართველები პაპს სთხოვენ მდევნელებისაგან დაცვას. პროპაგანდის პასუხი. ქართველი თავადები თავიანთ თვისტომ ქრისტეფორეს, გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს რომში გზავნიან. ეს თავადები ისევ ითხოვენ რომის მფარველობას ხელახალი დევნის გამო. — IX. ისპაანის ლათინი ეპისკოპოსი ჩამოდის თბილისში და

იქ თავის მთავარ ვიკარად ერთ კაპუცინ პატრს ნიშნავს. პატრების წინამძღვრის უკმაყოფილება. მისიონერები ითხოვენ ეპისკოპოსის დანიშვნას საქართველოში. ეპისკოპოსობა ძლიერ უშლის ხელს კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში. – X. მისიონის გაფართოება დასავლეთ საქართველოში. ორი კათალიკოსისა და სხვა წარჩინებულთა გაკათოლიკება. მისიონის დევნა. თეიმურაზ მეფე მისიონერებს ეკლესიას ართმევს და მათ სამეფოდან აძევებს. მისი მემკვიდრე ერეკლე მისიონერებს კვლავ მოუხმობს. პაპი კლემენტ XIV ერეკლეს მადლობას უხდის და სთხოვს მისიონის შემწეობას. – XI. კავკასიის მთიელთა წმინდა იოანე ნათლისმცემლის პატრების ახალი მისიონი. პაპ კლემენტ XIII-ის ეპისტოლე პატრებს. ამ მისიონის წარუმატებლობა. – XII. ახალციხის მისიონი. სომხები ატყვევებენ და ქონებას ართმევენ მისიონერებსა და კათოლიკე მღვდლებს. პაპ პიუს VI-ის წერილი სოლომონ იმერთა მეფეს. – XIII. სომხები ერეკლე მეფეს ფულით ხიბლავენ და ულმობლად სდევნიან კათოლიკეებს. ერეკლე ევროპის სახელმწიფოების დახმარებას ეძიებს და ბოლოს რუსეთს უკავშირდება. საქართველოს აოხრება სპარსელების მიერ. – XIV. მოგილიოვის არქიეპისკოპოსის უკანონო ჩარევა საქართველოს კათოლიკეთა საქმეში. თბილისის ეკლესიის რეკონსტრუქცია. იმერეთის მეფე და ერეკლეს ვაჟები პროპაგანდას სთხოვენ, პატრი ნიკოლოზი საქართველოში დატოვოს. პროპაგანდის პასუხი. – XV. მისიონერების ნაკლებობა. მოხსენება მისიონების შესახებ. სომეხი მღვდლების ცდები მისიონერთა განსადევნად. – XVI. მოხსენებანი ლიონის სარწმუნოების პროპაგანდაში. რუსეთის მთავრობის მიერ მისიონერების გაძევება. კათოლიკეთა მდგომარეობა.

ამ თავში, ისევე როგორც წინამავალში, თხრობა ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, არ გამოვუდგებით მრავალი საბუთის დამოწმებას და ხშირად თავსაც შევიკავებთ ყოველგვარი კომენტარისგან. ამოვარჩევთ მხოლოდ ყველაზე უმთავრესებს, რომლებიც ჩვენზე უკეთესად იმეტყველებენ.

## I. – პროპაგანდა საქართველოს მისიონს კაპუცინ პატრებს ანდობს. მისიონერების გამომგზავრება; მათი ჩამოსვლა; წერილები, რომლებშიც მისიონერები საქართველოში თავიანთი დაბინავების ამბავს იტყობინებიან

პროპაგანდამ დიდი ხანია იცოდა ქართველი ხალხის კეთილგანწყობილება კათოლიკური სარწმუნოებისა და მისიონისადმი. ისიც იცოდა, რომ ქართველი ხალხი და მისი მესვეურნი გამუდმებით და ამაოდ მიმართავდნენ სამეგრელოში განმარტოებულ თეატინელ პატრებს, მისიონერები გვჭირდებაო. პროპაგანდას არ შეეძლო, გულგრილად მოპკიდებოდა ამ მიმართვას და ბევრი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, საქართველოში კაპუცინთა ორდენის ბერები გამოეგზავნა, სამეგრელოს მისიონი კი მთლიანად თეატინელი პატრების ხელში დატოვა. აი, რა დაადგინა პროპაგანდამ 1661 წლის 13 ივნისის დეკრეტით:

„წმინდა კრებამ კაპუცინი პატრების მისიონების უფროსად საქართვე-ლოში შვიდი წლის ვადით დანიშნა პატრი ბონავენტურა სორენცელი და აღჭურვა რწმუნებულებითა და უფლებამოსილებით, თავისი მისიონის პატრებს აუწყოს, რომ წმინდა კრება სწორედ მათ აგზავნის საქართველოში ერთად ან ნაწილ-ნაწილ და არა სხვებს, რათა იმოღვაწონ როგორც მისიონისათვის მიზანშეწონილ ყველა ადგილას, ასევე სხვაგანაც იმ დრომდე, ვიდრე ამის საჭიროება იქნება უფალი ღმერთისთვის. წმინდა კრებამ აღჭურვა პატრი ბონავენტურა სორენცელი უფლებამოსილებით, უკან გაიწვიოს მისიონერები ან განაზომიეროს მათი მოქმედებანი, თუკი ამის აუცილებლობა შეიქნება; მაგრამ, ამავე დროს, წმინდა კრება უკრძალავს როგორც თითოეულ მისიონერს, ასევე მათ უფროსსაც ყოველგვარ საქმიანობას თავიანთი მისიონის საზღვრებს გარეთ. წმინდა კრება ნებას აძლევს მისიონერებს და მათ უფროსს, იმავე უფლებით გაავრცელონ თავიანთი საქმიანობა სამეგრელოს მეზობელ მისიონზე, თუკი ეს უკანასკნელი მისიონერთა გამგზავრების ან ნაკლებობის გამო მოკლებული იქნება საჭირო შველას სულების ხსნის საქმეში“[1].

რადგან საქართველო ძალიან გააღარიბა გამუდმებულმა ომმა და ნგრევა-გაჩანაგებამ, პროპაგანდამ, დიდი ხარჯი რომ არ ჰქონოდა, მისიონერებად აქ სწორედ ის ბერები გამოგზავნა, რომლებიც ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ღატაკური ცხოვრებით. ვფიქრობთ, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ წმინდა კონგრეგაციამ საქართველოში მისიონერებად სწორედ კაპუცინები მოავლინა. მაგრამ ფაქტებმა, შეიძლება ეს ქვეყანაში იმ დროს არსებული განსაკუთრებული მწვავე მდგომარეობით აიხსნას, სრულიად ვერ გაამართლეს წმინდა კონგრეგაციის ვარაუდი; მისიონერები ხშირად სთხოვდნენ პროპაგანდას შემწეობას, პროპაგანდაც ასევე ხშირად უარს ამბობდა იმ თანხის გაღებაზე, რასაც მისიონერები მოითხოვდნენ; ამას მრავალი საბუთი მოწმობს[2].

საქართველოში გაგზავნილ მისიონერთა პირველი ჯგუფი ხუთი პატრისა და ორი კათოლიკე ძმისგან შედგებოდა. პროპაგანდამ მრავალი სარეკომენდაციო წერილი გამოატანა მათ, რომ მოგზაურობისას გამოე-ყენებინათ, მაგრამ არც ერთი ეს წერილი ქართველ მეფე-მთავრებს არ განეკუთვნებოდა ალბათ იმიტომ, რომ იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, მაჰმადიანი იყო.

ამ მისიონის მოღვაწეობა სვებედნიერად არ დაწყებულა. ერთ-ერთი მისიონერი იზმირში ჩასვლისთანავე გარდაიცვალა; პატრების წინამძ-

1 ლათინური ტექსტი იხ. Michael A Tuglo, Bullarium Capuccinorum ტ. VII, გვ 237.

2 იხ. Arch. de la Propag., Asia, Giorgia e Mengrelia, ტ. CCXXIX, გვ. 192

ღვარი სამეგრელოში ცხენიდან გადმოვარდა და მდინარეში დაიხრჩო. ამ ამბით შეშინებული მეორე პატრი იმავე გემით, რომლითაც სამეგრელოში მოვიდა, უკან გაბრუნდა. იტალიიდან წამოსვლისას მისიონერები ორ ჯგუფად გაიყვნენ. მეორე ჯგუფი, თურქებსა და ქართველებს შორის ატეხილი ომის გამო, იძულებული გახდა, სპარსეთის გავლით შორი გზა მოევლო. ბოლოს, მრავალი გაჭირვების შემდეგ, 1663 წლის დამდეგს, სამი პატრისაგან შემდგარი მისიონერთა ეს ჯგუფი თბილისს მოვიდა.

თბილისის ეპისკოპოსმა მისიონერები თავისთან მიიღო. შემდეგ მეფის მკურნალმა ეპიფანემ, ბერძენმა კათოლიკემ, რომელსაც რომში ესწავლა, ისინი თავის სახლში წაიყვანა და გვარიანად დაეხმარა. ბოლოს მეფესაც წარუდგინა. მეფემ მისიონერები დიდი პატივით მიიღო და ორი სახლიც უბოძა; ერთი — წირვა-ლოცვის შესასრულებლად, მეორე — საცხოვრებლად. რაც მთავარია, პატრებს ნებართვა მისცეს, შეუზღუდველად შესდგომოდნენ ღვთისმსახურებას. სამლოცველოს გახსნისთანავე ხალხი უმალ მიაწყდა ეკლესიას; სხვათა შორის აქ იყვნენ თვით უფლისწული და მეფის ასული.

თბილისში მისიონის დაარსებას ქართველი ხალხი ფრიად კეთილად შეხვდა. პატრებსაც იმედი მიეცათ, რომ წარმატებას მიაღწევდნენ. მათ მრავალი წერილი გაგზავნეს რომს, რომლებშიც თავიანთ მოსვლა-დაბინავების ამბავს იტყობინებოდნენ და აღწერდნენ ქვეყანას[1].

1 აი, რამდენიმე ნაწყვეტი ერთ-ერთი წერილიდან: „... (მრავალი სიძნელის გადატანის შემდეგ) ვენახულეთ მეფესა, დედოფალს, კათალიკოსს და სხვა მთავრებსა. დავაარსეთ სახლი და ახალი მისიონი. თუმცა ეს ქართველი მეფე განამხედრებულია, მაგრამ მაინც ძლიერ კარგად მიგვიღო, ორი სახლი მოგვცა, რათა ერთში ჩვენ დავდგეთ და მეორეში პატარა ეკლესია მოვათავსოთ (დღეს აქ ვიკრიბებით და ვწირავთ სახალხოდ, რითაც მთელი ქალაქი კმაყოფილია. რასაც აქ იმჩნევენ და ჩვენი ესოდენ სერიოზული დამოკიდებულება ამ წირვისადმი, მათ ისე ალამაღლებთ, თვითონ დედოფალი ჩვენი წირვის მოსმენის შემდეგ შინ დაბრუნებული, საშინლად განიცდიდა თავისი იმ ზერელე დამოკიდებულებას, რასაც მისი მღვდლები იჩენენ წირვის მიმართ. თავიდან დიდ სიძნელეს წავაწყდით; ჩვენი განსხვავებული ჩაცმულობის გამო ხალხს ისე ვეზიზღებოდით, სახეში გვაფურთხებდნენ და ჩვენთან ურთიერთობის ეშინოდათ. ახლა როცა გაგვიცნეს, არათუ ეშინიათ ჩვენი და ბოროტებად მიაჩნიათ, არამედ ჩვენს წირვასაც ისმენენ, რასაც სულ ვატარებთ ეკლესიაში. ხალხი პატივს გვცემს, მეფეც გვაფასებს და უნდა, ყველამ გვცეს პატივი). როდესაც კარგად შევისწავლით ქართულ ენას და ქადაგებას შევიძლებთ, იმედი მაქვს, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღოს ჩვენმა შრომამ... თბილისი, 23 ოქტომბერი, 1663... პატრი სერაფინო მელიკოკელი". Arch. de la Propag., Scritture riferite, Asia, Georgia e Mengrelia, ტ. CCXXIX, გვ. 78. — იხ. იქვე, იმავე პატრის სხვა წერილები, გვ. 46, 49, 60, 63. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", 1902, გვ. 224. (თარგმანი ნ. ხმალაძისაა).

## II. — კაპუცინ პატრი კარლოს დაბრუნება რომში; საქართველოს მეფის წერილი, გაგზავნილი პაპ ალექსანდრე VII-სთან; პროპაგანდის პასუხი

კაპუცინებს მალე გამოელიათ რომიდან წამოღებული ქონება და უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდნენ. ჯერ კიდევ არ იყვნენ ისე გაშინაურებულნი ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომ არსებობისთვის აუცილებელი რამ ეთხოვათ. ვერც ადვილად შეძლებდნენ, რომიდან საჭირო დახმარება მიეღოთ. ამიტომ პატრ კარლო მარია სან-მარინე-ოელოს დაავალეს, მარადიულ ქალაქში გაბრუნებულიყო შემწეობისა და ახალი მისიონერების სათხოვნელად. როგორც კი მეფემ ეს ამბავი გაიგო, თავისთან იხმო პატრი და ბევრი რამ დაავალა რომში გადასაცემად. წერილიც გაატანა უზენაეს სამღვდელოსთან. სასახლის მკურნალმა ანდრია-ეპიფანემ მეფის წერილი ლათინურად თარგმნა და თვითონვე სარეკომენდაციო წერილი გაატანა პატრს პროპაგანდისთვის გადასაცემად. აი, რას წერს მეფე:

„მაღლითა და წყალობით ღვთისაითა, ჩვენ იესეიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატოანი ძლიერი და მფლობელი საქართველოსი, ღვთის გვირგვინოსანი მეფე შაჰნავაზ; დიდსა, მარადის დიდებულსა, ღვთისაგან ეგრეთ პატივ მოსილს და გაძლიერებულს, რომლის უძლიერესი არავინ არის, მტერთაგან უძლეველს, ღვთის მოწყალებით უდიდეს ყოველ პატრიარქთა ზედა წმიდა პეტრეს მოსაყდრეს, მთელ ქვეყანაზედ სიმართლის დამცველს, მთელი ქვეყნის ქრისტიანების მთავარს, ყოველთა მაღალ ღირსებათა მქონეთა უფრო ღირსეულს, სამგზის გვირგვინით დაგვირგვინებულს, შემკობილს რომის დიდ პაპთა სახელით, მამათ მთავართა მამას და ბატონს, დამოუკიდებელს და უმაღლეს ბატონს ალექსანდრე მეშვიდეს ჩვენის მსახურების და პატივის ნატვრის სიმდაბლით ვაუწყებთ, დიდება ყოვლად მოწყალე ღმერთსა, რომ თქვენის პატიოსანის სახელის დიდებულებისა და თქვენი კარგად მყოფობის ამბავმა ჩვენს ყურამდის მოაღწია, ვინაიდგან თქვენმა უნეტარესმა საყდარმა ქვეყანაზედ მოჰფინა თქვენის უძლიერესობის ნათელი და იცავს მას უვნებლად. გარდა ამისა, თქვენი მდაბალი მღვდლები, რომლებიც მონაზონებრივ ცხოვრობენ, ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ; ჩვენც, თქვენდა მსახურებად და საამებლად, ვუბოძეთ სადგომი და კარგად მოვეპყარით. მათ აღაშენეს ეკლესია, სადაც ადიდებენ ღმერთსა და ლოცულობენ თქვენი უნეტარესობის სიმრთელისათვის. გარნა დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ამით თქვენი ბრძანება აღარ მიუღიათ, რის გამო ერთი მათგანი, კარლო მარია, მოდის მანდ, თქვენს წმინდა ფერხთ ემთხვიოს და ჩვენი ამბავი მოგახსენოთ. ჭეშმარიტად ვნატრობთ, თქვენ გაამოთ, ამისათვის დიდად

გვედრებით, გვიბრძანეთ რა სამსახურის მოგება შეგვიძლია, ნუ დაგვივიწყებთ. 1664 წელი“[1].

ამ პატრის მოგზაურობის საბოლოო შედეგის შესახებ არაფერი ვიცით. გვაქვს მხოლოდ მისი ერთი წერილი, 1665 წლის 22 ივლისს მიწერილი თავისი უზენაესი პროკურორისადმი[2]. აქ პატრი კარლო მარია უკმაყოფილებას გამოთქვამს პროპაგანდის მიმართ, რომელმაც თურმე ყურად არ იღო მისი თხოვნა და საჭირო დახმარება არ გაუწია. ამბობს, რომ მისიონს მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება, როცა წმინდა კონგრეგაცია რვა მისიონერს მისცემს და თითოეული მათგანისათვის წინასწარ, სულ ცოტა ორი წლის სარჩოდ 25 პიასტრს გაიღებს წელიწადში, ამის გარდა 100 პიასტრს თითოეულის სამგზავროდ და 500 პიასტრს მისიონის მიერ ადრე აღებული ვალების გასასტუმრებლად[3]. სავარაუდოა, რომ პატრ კარლოს დიდი ნაწილი მოთხოვნებისა შეასრულეს, რადგან პროპრაგანდას მაშინვე გაუცია ბრძანება, თეატინელ ბერებს მისთვის მისიონის აუცილებელი ხარჯების შესახებ ეცნობებინათ. პროპაგანდამ საქართველოს მეფესაც მისწერა წერილი, რომელშიც მადლობას უხდიდა მისიონერების ხელშეწყობისათვის და სთხოვდა, მფარველობა და შემწეობა არ მოეკლო მისიონისთვის[4].

როგორც ჩანს, დახმარება, რაც პატრ კარლოს რომში აღმოუჩინეს, არ ეყო თბილისის მისიონს, რადგან საქართველოში დაბრუნებიდან

1 ლათინური ტექსტი, ცხადია, ორიგინალიდან გადმოთარგმნილი, პროპაგანდის არქივშია. Asia, Giorgia e Mengrelia, ტ. CCXXIX, ფ. 4. იხ. Michael A Tugio, Bullarium Capuccinorum, ტ. VII, გვ. 238-239. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 228-229.

2 იხ. Arch. de la Propag., Asia, Giorgia, Mengrelia, ტ. CCXXIX, გვ. 68.

3 იხ. იქვე. გვ. 102.

4 „ტფილისის მეფეს. 10 ოქტომბერს 1665 წ.

მანდაური ერის სულიერი საჭიროებისათვის პროპაგანდის წმიდა კრება გზავნის ახალ მისიონერებს. ამ შემთხვევის გამო კარდინალები მავალებენ, რათა მათის სახელით მიეუძღვნა უდიდესი მადლობა თქვენს დიდებულებას ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მანდაურის მისიონისთვის მიგინიჭებიათ და რაცა არა ერთხელ გვაუწყეს მანდ მყოფმა მისიონერებმა. ამნაირმა თქვენმა მოპყრობამ გაამხნევა ეს მონაზონები, რათა შესდგომოდენ დიდს და ძნელ მგზავრობას, მასთანვე დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მათი მისწრაფება თქვენთვის დიდად სათნო საყოფელი იქნება, მათი ესრეთი შრომა დაგარწმუნებთ, რომ მათ მარტო ოდენ სიკეთის მოტანა სწადიათ და მხოლოდ ერის სულიერად მოვლა-პატრონობისათვის ზრუნვენ. ამის გამო კარდინალები დიდად გევედრებენ მათ, რათა ყოველნაირი შეწევნა აღმოუჩინოთ ყოველთვის, როდესაც კი საჭირო იქმნეს თქვენი გულ-მოწყალე მფარველობა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი ესრეთი საქციელი ღირსეული და დიდად სათნო-საყოფელი იქმნება ღვთის წინაშე. ეგრეთვე პროპაგანდის წმიდა კრებაც მეტად დავალებული იქმნება თქვენგან ყოველის სიკეთის გამო, რომელსაც თქვენის უმაღლესობის გულკეთილობით მიაგებთ ხსენებულ მონაზვნებს. დასასრულ ხელთ გემთხვევით“. იქვე, ტ. LII. (იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902, გვ. 231-232).

ცოტა ხნის შემდეგ იგი ხელმეორედ გაგზავნეს რომში საჭირო შემწეობის სათხოვნელად; თან გაატანეს ექვსივე კაპუცინი პატრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი თხოვნა-შუამდგომლობა სხვა, ახალი მისიონების დაარსების საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ, იმიტომ, რომ მათ დაარსებას მრავალი ქართველი მთავარი მოითხოვდა (1867 წლის 28 თებერვალი)[1]. და აი, პატრი კარლო ხელმეორედ დაადგა ევროპისკენ მიმავალ გზას, მაგრამ, როგორც კი არზრუმს ჩავიდა, ავად გახდა. გზის გაგრძელება ველარ გაბედა და რომში მიმავალ ერთ დომინიკელ პატრს დაავალა პროპაგანდისთვის გადაეცა მისიონის თხოვნა. თვითონაც დაწერა წერილი, რომელშიც წმინდა კონგრეგაციას ემუდარებოდა, უმწეოდ არ მიეტოვებინა ასე კარგად ფეხადგმული თბილისის მისიონი. წერილში პატრი კარლო იუწყებოდა, რომ შესაძლო იყო ქართული ეკლესიის კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანება, რომ კაპუცინი პატრი გაბრიელი, სპარსეთში მყოფი მისიონერი, მოლაპარაკებას მართავდა ამ საკითხზე[2].

ჩვენ არ გაგვაჩნია სხვა დაწერილებითი ცნობები ამ შესანიშნავი თაოსნობის შესახებ, რომელსაც მაშინ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. შეიძლება ამის მიზეზი იყო საქართველოში გამუდმებული მძვინვარე ომი.

---

1 იხ. Arch. de la Propag., Asia, Giorgia e Mengrelia, ტ. CCXXIX, გვ. 148.

2 „დიდის გულმოდგინებით გევედრები თქვენს უმაღლესობას, მოგვეცით რაიმე შემწეობა იმ საბრალო მისიონისათვის, რომელიც აღმოსავლეთის მისიონებში ყველაზე უფრო ნაყოფიერია... პატრი გაბრიელს და ყველა პატრს ამ დროს მოლაპარაკება აქვსთ საქართველოს ეკლესიის ლათინის ეკლესიასთან შეერთების შესახებ. იმედია ცოტა ხანში დიდი სარგებელი მოვიტანოთ. ამიტომ ნუ ინებებთ, ამდენმა შრომამ ფუჭად ჩაგვიაროს. იესო ქრისტეს წყლულების პატივისათვის გევედრები, შეეწიეთ ამ მისიონს, რადგან, თუ არ თქვენის შემწეობით, შეუძლებელია აქ ცხოვრება; სიგლახაკის გამო ყმებსა ჰყიდიან და იმითი სცხოვრობენ. უკეთუ ინებებთ და მოიღებთ თქვენს მოწყალებას ქართველ ერზედ, თავსა ვსდებ სამუდამო საცხოვრებლად ამ მხარეს და აქვე სასიკვდილოდ... (იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 232-233). ახლავე უნდა შემატყობინოთ ორიოდ სიტყვით თქვენი აზრი ამის შესახებ; საამისოდ ორი წერილი გამოგზავნეთ იზმირსა და ალეპოში, რადგან იტალიაში ჩამოსასვლელად ან ერთ, ან მეორე პორტში ვიქნები. ვბრუნდები საქართველოში, რადგან მხოლოდ იმას ვნატრობ, აქ ვემსახურო წმინდა კონგრეგაციას და ამ ნაყოფიერ მისიონს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს მიერ პრეფექტის დანიშვნას, რადგან კარგი არ არის ილუმენის გარეშე ყოფნა... არზრუმი თურქეთში, 1666 წლის 10 დეკემბერი. საქართველოს კაპუცინელი მისიონერი პატრი კარლო სან მარინოდან“. იქვე, Asia, Giorgia e Mengrelia, ტ. CCXXIX, გვ. 132.

ქართველების განზრახვა რომის ეკლესიასთან გაერთიანების შესახებ აღნიშნულია აგრეთვე ერთი მოგზაურის მიერ, რომელიც სპარსეთს იმყოფებოდა 1672-1676 წლებში, Petrus Bedik, Cehil sutum seu Explicatio Theatri Quadraginta Columnarum in Perside, Leopoli, 1678, გვ. 430, 437.

## III. – ახალი მისიონერების გამოგზავნა; მისიონის წარმატება და პატრ ბერნარდეს მოხსენება პროპაგანდას. ქართველი ახალგაზრდების გაგზავნა რომში ურბანის კოლეჯში

საქართველოს და რომს შორის მისიონერების მიმოსვლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. პროპაგანდამ მისიონს საჭირო შემწეობა აღმოუჩინა და საქართველოში ექვსი ახალი მისიონერი გამოგზავნა. მისიონის უფროსს დაავალა, რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა შეერჩია პროპაგანდის ურბანის კოლეჯში გასაგზავნად, რათა მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნებულთ თანამემამულეებს შორის კათოლიკური სარწმუნოების სიკეთე ეთესათ[1].

მისიონის წარმატება აშკარა იყო. მკურნალობამ კი, რომლის უფლება პროპაგანდის ნებართვით მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში ჰქონდათ მისიონერებს, საბოლოოდ გაუხსნა მათ ყველა კარი[2]. მალე სკოლაც დააარსეს ყმაწვილთათვის და შეუდგნენ მათ წვრთნას კათოლიკური სარწმუნოებით[3]. სამუშაო დიდი გახლდათ. რომიდან თუმცა ხშირად აგზავნიდნენ ახალ მისიონერებს, მათი რიცხვი მუდამ მოთხოვნილებაზე ნაკლები იყო.

მისიონერებმა პირველ წერილებში მრავალ საკითხზე სთხოვეს პროპაგანდას ახსნა-განმარტება. პროპაგანდამაც სასწრაფოდ გამოუგზავნა მათ საჭირო პასუხი[4].

პატრებმა ააშენეს, თუმცა ეს მათთვის იოლი საქმე არ ყოფილა,

---

1 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. LII, გვ. 209 და ა.შ., ტ. LV, გვ. 39.

2 იქვე.

3 იხ. იქვე, Asia, Giorgia e Mengrelia, Scritture riferite, ტ. CCXXIX, გვ. 149.

4 აი, რამდენიმე კითხვა-პასუხი: „I. საჭიროა თუ არა, კათოლიკურ სარწმუნოებას ნაზიარებმა და ისევე სქიზმატურ წესს მიბრუნებულმა ქართველმა გაიმეოროს ის აღსარებები, რომლებიც სქიზმაში ყოფნისას უთქვამს, მას შემდეგ, რაც ის ხელახლა მიემიხვეეა კათოლიკურ სარწმუნოებას? II. ვინაიდან საქართველოში უამრავი ენაა და მისიონერები ყველას შესწავლას ვერ შეძლებენ, გასარკვევი რჩება, როგორ უნდა მოვიქცეთ აღსარების მიღების დროს? III. არიან თუ არა სქიზმატიკოს ეპისკოპოსთაგან ნაკურთხი სომეხი და ქართველი მღვდლები ნამდვილად ნაკურთხნი?

წმ. კონგრეგაციის პასუხი I კითხვაზე: აღსარებები უნდა ითქვას ხელახლა. პასუხი II კითხვაზე: მისიონერებმა გასამხნევებლად მომნანიებელ პირთა, რომელთაც მათი ნათქვამი არ ესმით, უნდა მიმართონ თარჯიმანს. თუ ისინი უარყოფენ მისიონერის მიერ დასმულ კითხვებს, მაშინ თარჯიმნის მეშვეობით სხვა ცოდვები მაინც უნდა აღიარონ, დანარჩენი — თავის დაქნევითა და მინიშნებით. თუ არაფრის გამხელას მოინდომებენ, თარჯიმნის წინაშე თქვან აღსარება მინიშნებით, თავის დაქნევით და ყოველგვარი გამოსადეგი ხერხით, როგორც ამას მუნჯები აკეთებენ. პასუხი III კითხვაზე: ისინი ნამდვილად ნაკურთხნი არიან, ოღონდ, კლემენტ VIII-ის დადგენილების მიხედვით სანდონი არ არიან წესების შესრულებისას“. Michael A Tugio, Bullarium Capuccinorum, ტ. VII, გვ. 239. იხ. Arch. de la Propag., Asia, Giorgia e Mengrelia, ტ. CCXXIX, გვ. 107.

ეკლესია, რომელიც დღითიდღე იზიდავდა ხალხს[1]. მისიონის წარმატებაც სულ იზრდებოდა. როდესაც მისიონერებმა ქართული ენა შეისწავლეს და უკეთ გაეცნენ ქვეყანას, უფრო ახლობელნი გახდნენ ადგილობრივ მცხოვრებთათვის და უფრო მეტი სიკეთის თესვა შეძლეს. თავიანთ სკოლაში ქართული ენის გარდა ასწავლიდნენ იტალიურს და ლათინურ ენასაც კი. მისიონერების წირვა ურიცხვ ხალხს იზიდავდა და მათ ქადაგებას სამხსნელ-სასიკეთო ძალა ჰქონდა. ამიტომ კათოლიკური სარწმუნოების მიღება გახშირდა. მისიონერებმა ქართულად თარგმნეს ბელარმინოს კატეხიზისი და პროპაგანდას სთხოვეს მისი დაბეჭდვა[2].

მისიონერების მოციქულობა მარტო ქალაქ თბილისით არ იფარგლებოდა: ისინი ხშირად გარეუბნებში გადიოდნენ სულთა განსაწმენდად და კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. თავიანთი წარმა-

---

1 იხ. იქვე, Atti della S.C., 3 აგვისტო, 1671 წ. გვ. 260.

2 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. LXI, გვ. 112. ძალიან დაგვიანდა ამ კატეხიზისის დაბეჭდვა. მხოლოდ 1681 წელს დაიბეჭდა რომში, როცა მისი მთარგმნელი პატრი ბერნარდე მისიონიდან უკვე გაბრუნებული იყო. წიგნის სათაურია „საქრისტიანო მოძღვრება სიმოვლებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელისა კაპუჩინი და მქადაგებელი და ღმრთის მეტყველი იტალიურის ენისაგან მხედრული ქართულის ენითა". სხვადასხვა აპრობაციებს შორის ვკითხულობთ აი, რას: „მე ზალინ ენიბეგი ქართველი პირველი კათოლიკე, მოწავე ტფილისში მყოფ მისიონერი კაფუცინებისა, სადაც სპარსეთის მეფის მოადგიერე ზის, რომელთანაც ვიყავი და ვარ მოენე და მდივანი ქართულის, სომხურის, სპარსულის, თათრულის და იტალიანურის ენისა, ვამოწმებ, რომ ღვთისმეტყველი პატრების შემწეობით და წმიდა კრების სეკრეტარ ეპისკოპოსის ჩიბოს ბრძანებით, წავიკითხე და გარდავიკითხე ყოვლანაირი სიფრთხილით ეს წიგნი, შედგენილი სამოციქულო მისიონერი პატივცემული მამა ბერნარდე მარია ნეაპოლელისაგან, არაფერი ვპოვე წინააღმდეგ რომის კათოლიკე სარწმუნოებისა, ანუ კეთილის ზნეობისა, რადგან სიტყვა-სიტყვა ნათარგმნია კარდინალ ბელარმინოს პატარა საქრისტიანო მოძღვრებიდან ქართულს ენაზედ. ეს ამ სამეფოში ძრიელ დიდათ სასარგებლო იქნება, რადგან საიდუმლოების შესახებ ცნობები სულ არეულ-დარეულია და ვერც ხელთნაწერით დაუკმაყოფილებიათ ეგოდენი პროვინციების საჭიროებისათვის, ამისთვის დიდათ საჭიროდ ვრაცხავ, რომ ეს დაიბეჭდოს" (მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 255-256).

პატრი ბერნარდე იყო ერთ-ერთი საუკეთესო სასულიერო პირი, რომელიც კაპუცინების წმინდა კონგრეგაციამ საქართველოში გამოაგზავნა. მან არა მხოლოდ გადაწერა მრავალი ქართული წიგნი, არამედ ქართველებისთვის დიალოგის სახით დაწერა ერთი წიგნი სარწმუნოების საკითხებზე როგორც ქართულად, ასევე იტალიურად. გადათარგმნა აგრეთვე ერთი ნაწარმოები წმინდა ფრანჩესკო სალელზე. ტორ დელ გრეკოში, კაპუცინების ძველ მონასტერში, ინახება ამ პატრის მრავალი ქართული ხელნაწერი.

ტების შესახებ მისიონერებმა არაერთგზის აცნობეს პროპაგანდას[1]. პატრმა ბერნარდე ნეაპოლელმა, პროპაგანდისთვის მისიონის დიდი წარმატებანი რომ ეჩვენებინა, რომში ვრცელი მოხსენება გაგზავნა (1672 ან 1673 წწ.), რომელშიც აღწერა ქვეყანა და კაპუცინების საქმიანობა. გამოვყოფთ რამდენიმე ადგილს ამ მოხსენებიდან:

„ათი წელიწადია, რაც თქვენის ყოვლად უმაღლესობის ბრძანებით კაპუცინები წამოვიდნენ საქართველოს კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. მთელი დროის განმავლობაში ღვთის ძლიერებამ ისე დააგვირგვინა მათი შრომა, რომ დიდად საბრახისი იქნება ეს ამბავი დაფარული დარჩეს. მისი გამოქვეყნება შეეწევა ღვთის დიდების გამობრწყინებას და ამასთანავე შეიქმნება თქვენის ყოვლად უმაღლესობისთვის ერთი საშუალება, როდესაც ამა ყველას სცნობთ, კარგად მართოთ ეს მისიონი და გაუძღვეთ მის წარმატებას... ამ დროს წამლობის მიზეზით, კაპუცინები ეცადნენ და მიიგეს თბილელი ეპისკოპოსის გული, ისევე როგორც უკვე მოგებული ჰქონდათ კათალიკოსისა. ერთთან და მეორესთან, აგრეთვე დანარჩენ საეკლესიო პირებთან დაიწყეს ხშირად

1 „ახალად გავმართე სკოლა, რომელიც წარსულ წელს დაიკეტა საქართველოს კათოლიკოსის ბრძანებით (თურმე ჩვენი ეკლესიის აშენების გამო დიდი საჩუქარი უნდოდა). შიგ ყმაწვილები ბლომად გვყავს. ყმაწვილებს ვასწავლით ქართულს, იტალიურს და ლათინურს, ეგრეთვე ყოველდღივ ვუხსნით საქრისტიანო მოძღვრებას. გარდა ამისა, მათ ყოველკვირაობით ეკლესიაში ვამეორებინებთ ნასწავლ მოძღვრებას, რასაც დიდი ხალხი ესწრება. დილით, თუ ღამით ვამ-კანონს ხორითი ვასრულებთ და წირვასაც ვგალობთ დიდის დიდებით. ვქადაგებთ ეკლესიაში და ეგრეთვე გარეთაც, როდესაც მარჯვე დრო მოგვეცემა და ხალხის მოქცევის იმედი გვაქვს. გამუდმებით ბაასი გვაქვს მეტადრე სომხების და ქართველების მონაზონებთან და ეპისკოპოსებთან. ბაასი ხშირად უნაყოფოდ არ რჩება. ერთმა ჩვენგანმა ქართულად სთარგმნა რომის კათეხიზმო და მალე დაასრულებს. გვინდა დავაბეჭდინოთ მათ წმინდა კრებას. მრავალნი გაენდვნენ და მრავალნი კიდევ ენდობიან და ეზიარებიან ჩვენთან, მაგრამ ფარულად, რადგან თავიანთი ეპისკოპოსების ეშინიათ. ერთი თავისი ნებით მოვიდა გასულ თვეში. ეგრეთვე სწორედ ამ დილასაც მოვიდა აღსარებისთვის ორი დედაკაცი, რომელსაც უკვე ვათქმევინე. ჯერ კათეხიზმო ვასწავლე, და, რადგან მათი მიღებული ნათლობების სიწამდვილის ეჭვი მქონდა, შემდგომ თურმით მოვნათლე იმ დროს, როცა ამ განდობილს ერთი ქალიშვილი მოუნათლავ. დღე რო გამოხდა, ჩემთან აღსარება სთქვა ფარულად ერთი ქართველი ეპისკოპოსის ძმამ. ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის ხარების დღეს ჩვენთან ერთმა არაბმა აღსარება სთქვა და ეზიარა. აგერ სამი დღეა გორიდგან მომწერა პატრი იოსებ კორსომ, რომ ის მახლობლად ოსეთის მთის გვერდობზე მისულა, რათა შეეტყო იმ ქვეყნებში ქადაგება შეიძლებოდა თუ არა; იქ დარჩენილა ათი დღე ერთი სოფლის ბატონის საწამებლად, კიდეც მოუნათლავს· მოგზაურში ჩვენთან აღსარების ოქმას შეპპირებიან. სოფლებში, სადაც ხშირად დავიარებით საექიმოდ, დიდი სარგებლობა მოგვაქვს, რადგან ბავშვებს ვნათლავთ, მათ მშობლებს ვწვრთნით და გლეხკაცებსაც აღსარებას ვათქმევინებთ. რამდენიმე ოჯახი ყველა თავიანთი შეილებითურთ გავაკათოლიკეთ. 3 ცხადათ და დანარჩენი ფარულად. იმათ ჩვენს ეკლესიაში დიდის ამბით მოვუნათლეთ ერთი ქალიშვილი შაბათ დღეს... ტფილისი, 30 მარტს. 1671 წ. პატრი სერაფინო მელიკოველი" (1). Arch., de la Propag., Scritture riferite, Georgia, ტ. I, №27. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 237-238.

ბჭობა. შემდგომ ბევრი და მრავალგზის ილაპარაკეს რომის პაპის ხელმწიფების და უპირატესობის თაობაზე... უდიდესი ნდობა და რწმუნება დავიმსახურეთ მეფის სასახლეში; უფრო მეტად ჩვენი ხორცის სიწმინდის სახელგანთქმულობამ კარები გაგვიღო დედოფლის სასახლისა, რომელიც სხვებისთვის დახშულია; იქ თავისუფლად შესვლა, დედაკაცებთან სხვის დაუსწრებლად ლაპარაკი შეგვეძლო, თუ ვინმე შემოგვესწრებოდა ეჭვი არავის ებადებოდა. მეფე გვაქცევდა უდიდეს ყურადღებას და გვიცხადებდა უდიდეს პატივისცემას; ერთი დიდი სახლი და ბაღი მოგვცა. ჩვენი სინდისიერება და მეცნიერება ერს დიდად სწამდა და ამიტომ ივერიელების და ქართველების[1] სათნო საყოფელი ვიყავით, ამათგან რამდენიმე კიდეც იყო ჩვენს სარწმუნოებასთან შემოერთებული, როდესაც კათალიკოსმა დევნა დაგვიწყო. შემდგომ, რა მოგვივიდა რამდენჯერმე შემწეობა და აგრეთვე ახალი მისიონერები, ავაშენეთ საჯარო ეკლესია, მანამდე კი კერძოდა გვქონდა. ამის აშენების დროს კათალიკოსს საჩუქარი არაფერი მივეცით, თუმცა ჩვეულებად აქვს ყველას უმრ[illegible]ანოს ხოლმე და გამოართვას ეკლესიის აშენების დროს, თვით სომხებსაც, რომლებიც მასზე დამოკიდებულნი არ არიან. ჩვენს წინააღმდეგ ყველა ღონისძიება იხმარა; ჯერ ხალხს აუკრძალა ჩვენთან ბავშვების მობარება და ჩვენს ეკლესიაში მოსვლა; შემდგომ მივიდა მეფესთან და ბევრი ეცადა, გავედევნეთ მთელი ივერიიდან. ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნილებმა მოვილაპარაკეთ, მეფეზე კათალიკოსის დიდ ზემოქმედებას სხვა ვერაფრით ვეწინააღმდეგებოდით, რათა სამწუხარო შედეგი აგვეცილებინა თავიდან, თუ არ მეფისავე გულკეთილობით, რომელიც მას ჰქონდა ჩვენდამი; ეს მისი გულკეთილობაც მერყეობდა ნათესაობის გამო, რადგან იგი კათალიკოსის ძმის (ან დის) წულია. გარდა ამისა, ჩვენის დიდის გაჭირვების შესამსუბუქებლად გადავწყვიტეთ ექიმობით მოგვეპოვებინა ღონისძიება. ამან ძლიერ დაგვიმცირა სახელი და აგრეთვე ბევრის მეგობრობაც მოგვაკლო. მაგრამ მეფის გულმოწყალებამ სძლია და ჩვენმა განუწყვეტელმა სამსახურმა გაიმარჯვა კათალიკოსის მრისხანებაზე. იგი გარეგნულად შეგვირიგდა და ამით ვითომ დაჰფარა თავისი მტრობა და ლათინთა სარწმუნოების მიმართ სიძულვარე. იტალიიდან მოსულმა შემწეობამ მალე გვიშველა, დავიწყეთ უსასყიდლოდ კურნება; სკოლაც კვლავად გავაღეთ, რადგან დაკეტილი იყო ბავშვების წასვლის გამო. შემდგომ დავიწყეთ ეკლესიაში ჟამ-კანონთა თქმა, ღამით გალობა და თუ დიდისა და თუ პატარა მარხვის დაცვა, რომლებიც აქეთ ძლიერ ბევრი იციან... ამ საშუალებით, შემდეგ დიდ მარხვაში დიდი ხალხი მოვიზიდეთ და გულმოდგინეთ ვუქადაგებდით, რადგან საზოგადოდ ეს ერი დიდი მოსურნეა ღვთის სიტყვის მოსმენისა. ამ დროს ჩვენი ყოველი შრომა ძლიერ კარგად წავიდა. ას კაცამდე, თუ მეტი

1 რომელიც სინამდვილეში ერთი და იმავე ერს წარმოადგენს.

თუ ტფილისსა და თუ გორში მოვიდა ჩვენთან და აღსარება თქვა; სხვა ბევრმა ჩვენი სარწმუნოება აღიარა და დაიწყო საიდუმლოს ხშირად მიღება, თუმცა კი ფარულად, შიშის გამო.

ამნაირად იქმნა ჩვენის მისიონის დასაწყისი და წარმატება. ახლა საქმე ისეა წასული, რომ ყველაფერი იმედს გვაძლევს, სარწმუნოება დიდ წარმატების გზას დაადგეს, განსაკუთრებით ვიდრე ეხლანდელი მეფე ცოცხალია. ეხლა გვაქვს ორი სახლი და ორი ეკლესია. ერთი ტფილისსა, სადაც კაპუცინები კათოლიკური სარწმუნოების პირველი დესპანები არიან და ერთი გორში, ისიც არა ფარულად, არამედ აშკარად ყველას წინაშე (რაც იშვიათია აღმოსავლეთში)... მესამე სახლიც გვქონდა იმერეთში ქუთაისსა, მაგრამ ომებისა და ეგრეთვე ცხოვრებისათვის საჭირო ღონისძიების უქონლობის გამო თავი დავანებეთ; ხოლო ისევე შევიძენთ, როდესაც შეძლება გვექნება. ამას გარდა, გურულები და ოსები გვიწვევენ იმათთან წასასვლელად: პირველნი იმიტომ, რომ მღვდლები ჰყავდეთ, ხოლო მეორეთ მკურნალები სჭირიათ...

მარტო ეს არ არის: თავიდან თუ სასაცილო და სამასხარო ვიყავით, ეხლა მთელის სამღვდელოებისაგან, მიუხედავად ჩვენდამი სიძულვილისა, დიდათ პატივცემული ვართ ჩვენის მეცნიერების გამო. ამიტომ მღვდლები, ეპისკოპოსები და თვით კათალიკოსიც, როცა გაუჭირდებათ სულ რჩევას გვთხოვენ. ხალხსაც, რომელმაც შეიტყო ჩვენი უანგარობა, დიდად უკვირს, რომ ეგრეთ შორიდგან მოსულნი აქ თავგანწირულად ვშრომობთ სულთა ცხონებისათვის და სასყიდელს კი არ დავეძებთ. ეხლა გარდა იმ მცირედი რიცხვისა, რომელიც ღმერთმა გამოირჩია ყოველ ოჯახში, გარდა ერთის ურიის ჩამომავალ აბრაჰამ იმერიელი მღვდლისა, რამდენიმე ოჯახი მთლიანად თავიანთი ყმებით აღიარებენ კათოლიკე სარწმუნოებას, ზოგი ფარულად და ზოგი დაუფარავად.

სწავლის დროს მავშვებს ვწვრთნით სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაში. მაგრამ თავიანთი ხასიათის სისუსტისა და თუ მათის მშობლების სიხარბის გამო, ისწავლიან თუ არა ქართულ წერა-კითხვას და რა მოიზრდებიან, მიდიან სკოლიდან და ქუჩებში ყოველგვარ მორთულ ჩვეულებას ითვისებენ. ამ სენის საწინააღმდეგოდ, რადგან კარგა ხანია სულდათ ლათინურის და იტალიურის სწავლა, დავაწყებინეთ გრამატიკის სწავლება ამ ენებზე; გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ როდესაც მათ იტალიური იციან, მაშინ ვერც თავიანთი ამხანაგების დაცინვა და ვერც თავიანთი მშობლების სიმკაცრე მათ ვერ აშორებს ჩვენგან და სარწმუნოებისგან... იმერეთში ერთი სოფლის მატონთან პატრმა ანჯელო-ვიტერბიელმა გაატარა ცოტა ხანი მკურნალობის გამო; მისი დარიგებისა და კარგი ყოფა-ქცევის მიზეზით დაიმარეს იოსებ კორსელი. თავისი მეცადინეობით მიაღებინა კათოლიკე სარწმუნოება, რომელიც წინათვე გაეცნო არა მარტო მრავალ წევრს იმ კეთილშობილი ოჯახისას, არამედ მრავალ გლეხთაც, რომელთაც სარწმუნოება აღიარეს; ასიოდე კაცი მას გაეცნო და ერთგულადაც დარჩნენ... მრავალმა სხვამაც,

რომელიც სულ არ იყო, ან კარგად არ იყო მონათლული, დიდის ამბით მიიღო ნათლისღება, თუმცა მშობლები არ იყვნენ თანახმა. ამას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ თერთმეტი წლის განმავლობაში, რაც ჩვენი პატრები საქართველოში არიან, ათას სულზე მეტი ხელახლივ წესჩვეულებისამებრ მონათლეს ზოგი კერძოდ და ზოგი საჯაროდ, რადგან წესიერად არ იყვნენ მონათლულნი.

ეგრეთვე ტფილისში ჩვენ მიერ ფარულად განსწავლული კათოლიკები წინათ ვერ ბედავდნენ გამოცხადებით აღესრულებინათ კათოლიკობა, გულში კი ჰქონდათ ჩანერგილი, მაგრამ მაინც ჰფარავდნენ თავიანთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ახლა სარწმუნოების წარმატება ეგოდენ შესანიშნავია, რომ სულ აღარაფრად ვრაცხთ, რაც უწინ დიდ რამედ მიგვაჩნდა. კაცს ეგონება უწინდელი დრო მარტო თესვის დრო იყო, ახლა კი მკისაა... გარდა იმისა, რომ, როგორც კი შემთხვევა მოგვეცემა, ხშირად ვუქადაგებთ ერსა, უკანასკნელ დიდმარხვიდან ეკლესიაში ზეპირად ბავშვებს რიგრიგობით ვაბეორებინებთ საქრისტიანო მოძღვრებას ბელარმინესგან შედგენილს, რომელიც ერთმა ჩვენთაგანმა თარგმნა ქართულად. მოძღვარი შემდგომ უფრო ვრცლად უმარტავს კატეხიზმის წესზედ. უწინარეს ამ წვრთნისა, იმავე ენაზედ ამბობენ ღვთისმშობლის „სავარდის“ ლოცვას და მის საიდუმლოს თავებს კითხულობენ. თავისი სიახლით, მრწყინვალებით და დიდებულებით ეს ცერემონია მუდამ დიდ ხალხს იზიდავს. ხოლო ერი უფრო დიდ განცვიფრებაში იმან მოიყვანა, რომ ღვთისმშობლის მიძინების დღეს, პირველ გზობის მოისმინა ბავშვის ქადაგება მარიამის დიდებასა და ხელმწიფებაზედ. სოფლებში წამლობის დროს მრავალი დავიყოლიეთ, კარგად ჩავაგონეთ და დავატოვებინეთ თავიანთებური შეცთომილებანი, თუმცა კი თავიანთი ჩვეულებისდაგვარ მუდამ მჭობდნენ. ამ უკანასკნელთა შორის მოიპოვება ერთი დიდად შესანიშნავი პირი არდაბელი, რომელსაც აქვს ნათესაობა დიდ ოჯახებთან, პირველ ერისთავებთან და თვით მეფესთანაც. ამან თავისი მამის ეპისკოპოსის ბრძანებას ყურადღება არ მიაქცია, ჯერ გორში მოვიდა ჩვენთან და შემდგომ ტფილისში, დიდის სიხარულით და მოწადინებით დაუტევა აღმოსავლეთულების შეცთომილება და შემოგვიერთდა. ამის საშუალებით დიდი იმედი გვაქვს, რომ კათოლიკე სარწმუნოება ძლიერ გავრცელდეს...“[1].

მისიონერები შემდგომშიაც კვლავ მანუგეშებელ ამბებს აცნობებდნენ პროპაგანდას. მისიონის წარმატების შესახებ პატრი იოსებ ანტონი 1675 წლის 1 ოქტომბერს გაგზავნილ ერთ-ერთ თავის

1 Journal Asiatique. სერია II, 1832, ტ. II, გვ. 193-218. იხ. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №43. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902, გვ. 238-242.

წერილში წერდა, რომ მან მოიარა მთელს აზიაში ინდოეთამდე არსებული ყველა მისიონი და ყველაზე უფრო ნაყოფიერად საქართველოს მისიონი სცნო[1].

პატრი ბერნარდეც, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, ასევე იმეორებდა რომში გაგზავნილ წერილებში, აღმოსავლეთში პროპაგანდის მიერ დაარსებულ ყველა მისიონს შორის საქართველოს მისიონი ყველაზე საუკეთესოაო. ეს ფაქტი შეიძლებოდა ახსნილიყო ამ ქვეყანაში არსებული რელიგიური კულტის თავისუფლებით ან უბრალოდ აქ მცხოვრები ხალხის ბუნებით, რომელიც ყველაზე უფრო განვითარებული, ყველაზე უფრო კეთილშობილი იყო და დიდი ნიჭითაც გამოირჩეოდა აღმოსავლეთის ხალხებს შორის. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა უფრო მომზადებული, შეეთვისებინა კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტება[2].

ომი, საქართველოს ეს განუშორებელი, მარადიული უბედურება, მისიონერთა შვების და იმედის შემფერხებელიც გახლდათ, თუმცა ამის გამო მხნეობა არასოდეს დაუკარგავთ. ზებუნებრივი ძალით შთაგონებულნი, ისეთ ერთგულებას იჩენდნენ თავიანთი მისიონების მიმართ, მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ, ვიდრე მიეტოვებინათ ვაზი, რომელსაც ასეთი რუდუნებით ასაზრდოებდნენ[3].

რადგან პროპაგანდა ხშირად ითხოვდა ქართველი ახალგაზრდების გაგზავნას ურბანოს კოლეჯში, მისიონერებმა მას აცნობეს, რა სიძნელეები ელობებოდათ წინ, არა მხოლოდ მგზავრობის დიდი ხარჯის, არამედ უფრო იმ ხიფათ-საშიშროების სახით, ყმაწვილებს რომ ელოდათ გზაში: თურქები, რომელთა მიწა-წყალზე აუცილებლად უნდა გაევლოთ, ყმაწვილებს ხშირად იტაცებდნენ და მონებად აქცევდნენ. ამიტომ რომში მათი გაგზავნის ნაცვლად მისიონერებმა პროპაგანდას სთხოვეს ახალგაზრდების თვით საქართველოში აღზრდა-წვრთნა მისივე ხელმძღვანელობით და იმავე ხარჯით, რაც მგზავრობას და რომში მათ შენახვას დასჭირდებოდა[4]. ამ საკითხზე სხვა ცნობა არ მოგვეპოვება; ის კი ცხადია, რომ მისიონერების წინადადებას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან რომში ურბანოს კოლეჯში ქართველი ახალგაზრდების გაგზავნა ძველებურად გრძელდებოდა[5].

როგორც კი ომი შეწყდა და საქართველოში მშვიდობა დამყარდა,

---

1 იხ. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №38.

2 იქვე, ციტირებულ ადგილას, №42.

3 „... მისიონს არასოდეს ემუქრებოდა ასეთი საშიშროება, საკმარისია ითქვას, რომ ღმერთის გარდა არავითარი შეწევნის იმედი არა გვაქვს, რადგან თურქეთისა და სპარსეთის მხრიდან მუდმივ ველით ომის საფრთხეს. მაგრამ აქ ნამდვილ მორწმუნეებთან მშვიდად და თანხმობით ვცხოვრობთ. გადაწყვეტილება ყველას ერთი გვაქვს, მისიონისთვის თავის განებებას სიცოცხლის დაკარგვას ვამჯობინებთ და მხოლოდ იმისთვის, რომ გავექცეთ თურქ სულთანის შემოსევას, გაეიხიზნებით სადაც ღმერთი გაგვიძღვება, ან ერევანში და, ან სამეგრელოში", იქვე, №38.

4 იხ. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №42.

5 იხ. Lettere della S.C., ტ. LXVIII, გვ. 23, ტ. LXX, გვ. 62, ტ. LXXVII, გვ. 58; ტ. LXXXVI, გვ. 295; ტ. XCI, გვ. 120.

მისიონის საქმიანობამაც ფრთები გაშალა და მალე მას ისეთი წარმატებები მოჰყვა, უკვე ბჭობა დაიწყეს ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების თაობაზე. ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი მაღალი წოდების რომელიმე უწარჩინებულეს პირს უნდა განეხილა. საქართველოს მისიონერ პატრებს შორის კი არც ერთი არ იყო მაღალი საეკლესიო წოდებისა. ამიტომ კაპუცინებმა ერთ-ერთი თავისიანი გაგზავნეს სპარსეთს სამოციქულო რწმუნებულის, ეპისკოპოს ფრანჩესკო პიკეტის ჩამოსაყვანად (1684 წ.). სამწუხაროდ, არც ეს მოხერხდა: მეუფე პიკეტი ისე დაუძლურებულიყო, ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა და საკითხი რომის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის მთლიანი კავშირის შესახებ გადაუჭრელი დარჩა; ნაწილობრივი კავშირი კი კვლავ გრძელდებოდა.[1]

## IV. – გიორგი მეფისა და ექვთიმე არქიეპისკოპოსის გაკათოლიკება; პაპთან გაგზავნილი მათი წერილები. პაპისა და პროპაგანდის პასუხები

მისიონერები მუდამ წერდნენ რომს თავიანთი საქმიანობის შედეგებზე და აცნობებდნენ, დაახლოებით რამდენი ქართველი გაკათოლიკდა. ამ ქართველთა შორის იყო მეფე გიორგი, ვისმა გაკათოლიკებამაც ყველაზე მეტად გაამხნევა მისიონერები. მეფე გიორგი შვილი გახლდათ მეფისა, რომელმაც მისიონერები თბილისში მიიღო, სახლები უბოძა და მოწყალებით აავსო. იგი მამამისივით რენეგატი იყო, გარეგნულად მაინც. რენეგატობას კი სპარსელები ძალად უყენებდნენ ქართველებს პირობად, რომლის მეშვეობით შეეძლოთ მათ საქართველოს ტახტზე ასვლა. გიორგი მეფე ბავშვობიდანვე დიდ სიყვარულს იჩენდა მისიონერი პატრებისადმი, არც ტახტზე ასვლის (1677 წ.) შემდეგ განელებია ეს დამოკიდებულება. ჩვენ არ ვიცით ზუსტი თარიღი გიორგი მეფის გაკათოლიკებისა, მაგრამ 1684 წელს, ეტყობა, უკვე კათოლიკე იყო, რადგან პატრი ჯუზეპე ამავე წლის 7 ნოემბერს რომში გაგზავნილ წერილში ისე მოიხსენიებს, როგორც თავის საყვარელ სულიერ შვილს[2]. როცა მეფე გიორგიმ გაიგო,

1 იქვე: „გაულილ მარტის ხუთს პატრი ჯუსტინო ლივორნელი ისპაჰანს გავგზავნეთ მე და მეფემ, რათა აქ მოეყვანა ეპისკოპოსი ფრანჩესკე პიკეტი სასარგებლოდ ამ მისიონისა, რადგან ქართველ ბატონებს მოლაპარაკება აქვსთ და უნდათ შეერთება რომის კათოლიკე ეკლესიასთან. ტფილისი 2 იანვარს 1685 წ., პატრი იოსები ბოგოინანელი". იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 260. იქვე, Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №88.

2 „მეფემ კერძოდ დამავალა, რომელსაც თქვენს მაღალს ღირსებას მოვსწერ, ყოველთვის კდემით მოვახსენოთ მოკითხვა ანუ ხელს კოცნა და გთხოვო თქვენი ამბავი და მისიონერების გამოგზავნა. აწ გულმოდგინეთ ვასრულებ ამ დავალებას ყოვლად ღირსეულის მეფისას, რომელიც ჩვენი დიდად საყვარელი შვილია; იმედი მაქვს თქვენთვისაც სათნო-საყოფელი იქმნეს". Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia ტ. I, №86. იხ. მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ 259. მაგრამ მაინც, როგორც ეს ერთი დოკუმენტიდან ჩანს, მეფე გიორგის კათოლიკობა 1686 წლის 7 დეკემბერს უნდა მიეღო. იქვე, Acta S.C., 3 თებერვალი, 1696, გვ. 23.

კაპუცინებმა რომს ჩემი გაკათოლიკების ამბავი მისწერესო, თვითონაც ისურვა გაეგზავნა წერილი, პატრ ანჯელო ფილინელს დაავალა, წაეღო იგი, რომის უზენაეს მღვდელმთავარს ფეხთ მთხვეოდა და ეთქვა, რომ მეფე გიორგი, როგორც მისი სულიერი შვილი, მოწიწებას და თაყვანისცემას უცხადებდა. აი, რას წერს პაპ ინოკენტი XI-ს:

„ყველა მეცნიერთა შორის გამორჩენილო, საესეო სულის წმიდის მადლითა, ღვთიური ტახტის ხმაო მოქადაგეთა შორის, მოციქულო მსგავსო და თანასწორო დიდებათა და სამღვდელო ღირსებათა, სვეტო აღმართებულო და მსგავსად მრწყინვალე ვარსკვლავისა, ქვეყნის განმანათლებელო, სიწმინდის რჩეულო ჭურო და მოციქულთა საუნჯეო, ცხოველო ტახტო და სახარების მქადაგთა სათხეველო, მწყემსო უკეთილესო და დიდის რომის მღვდელთ მთავარო, ღვთის მიერ უნეტარესო მამაო, ინოჩენციო XI პაპო. მეორედ აღმოშობილი ყოვლად წმიდა სამებაში, წარვსდგები თქვენს წინაშე მართლმადიდებელი ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარებით მე, თქვენი მონა და სულიერი შვილი, ჩამომავალი ღვთის მიერ კურთხეულ ბაგრატიონთ მეფეთა, საქართველოს სამეფოს მპყრობელი, მეფეთა მეფე გიორგი, სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს წმინდა სამეფო მარჯვენას, რომელიც აღმაღლებული ჰფენს ნათელსა, ჰყოფს სასწაულთ და ჰფანტავს მტერთა და შიშითა და ბრწოლით თქვენს წინაშე მოვიდრეკ მუხლთა, გამსჭვალული მტკიცე სიყვარულითა. ამ წერილით მსურს გამოგიცხადო ჩემი გულის სურვილი: გვნებავდა ჩვენი კაცი გამოგვეგზავნა, მაგრამ თუ სიშორის და თუ გზის აღურაცხელი განსაცდელის გამო ვერ გამოვგზავნეთ; გვნებავდა ასევე პატრი ჯუსტინოს წარმოვლენა, მაგრამ ამის გამოგზავნით მონასტერი მარტო დარჩებოდა. ამიტომ ავირჩიეთ პატრი ანჯელო, რომელსაც გიგზავნით და მოვახსენებთ თქვენს სიწმიდესა, რომ არა თუ ახლა, არამედ დიდის ხნიდან თქვენი სიყვარული ჩვენს გულს ჩანერგილია, ჩვენი კურთხეული მამის დროიდანვე თქვენი სიყვარული ჩემში დამყარებულია; ამაზე ჰკითხეთ თქვენს პატრებს, რომლებიც გამოგვიგზავნეთ. ახლა ამას მოგახსენებთ, რომ მიმიღოთ მეც თქვენს შვილად, ეგრედ როგორც გყავთ სხვა გვირგვინოსანნი მეფენი. ასევე ამასაც ვაუწყებ თქვენს სიწმიდესა, რომ მხოლოდ ერთი პირმშო შვილი მყავს, სახელად ბაგრატი, რომელს არის ჩემი უმთავრესი ტახტი და გვირგვინი, ქება და დიდება, ესა და სხვა, რაც კი მაქვს ღვთის მოწყალებით და თქვენის ლოცვა-კურთხევით, მინდა რომ ღვთისაგან კურთხეულის თქვენის ტახტის ქვეშევრდომი იყოს; ამისთვის გთხოვ, რომ ეს ჩემი პირმშოც აიყვანოთ თქვენს შვილად. ათას გზის კურთხეულიყოს ღმერთი, რომ იცავს და აძლიერებს ჭეშმარიტ კათოლიკე ქრისტიანებს, ეგრეთვე გვფარვიდეს ჩვენც ყველას ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი მარიამი... მისი მფარველობით და თქვენი ლოცვა-კურ-

თხოვის წყალობითაა, რომ ღმერთმა შეიბრალა ქრისტიანები და გაათავისუფლა ისინი ურწმუნოთა ჩაგვრისაგან; ასევე აწ მან მოგვცეს იმედი მათგან დახსნისა თქვენის სასწაულთმოქმედ მარჯვენის შემწეობით. თქვენ გვირგვინოსან მეფეთა დიდსა და მრავალ გამარჯვების ამბები ჩვენს სამეფომდე აღწევენ. ჩვენ და ჩვენი სამეფო დიდ შვებას და სიხარულში ვართ და მუდამ ვევედრებით ღმერთს (და ყოვლად წმიდა სამებას), რათა უფრო განაძლიეროს თქვენი კურთხეული მარჯვენა და ჭეშმარიტად კათოლიკებს და ხსენებულ პატრიოსან მართლმადიდებელ მეფეთ მიანიჭოს მტრებზე გამარჯვება. ასევე ამას მოვახსენებთ თქვენს სიწმიდეს: ჩვენ და ჩვენი სამეფო ვემორჩილებით სპარსეთის მეფეს, თვინიერ მისი ბრძანებისა არაფერი შეგვიძლია. გარნა მსგავსად თქვენის საყვარელი შვილებისა, გვირგვინოსან მეფეებისა, რომლებიც მუდამ ჟამს ურწმუნოებს ებრძვიან და მათზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევითა ჩვენცა ვძლევთ ამ ურწმუნოთა. ნეტავ ღმერთმა და ღვთის მშობელმა შეგვაძლებინოს, რომა ჩვენმა სამეფომაც მიაგოს ზიანი თქვენთა მტერთა, თქვენ გემსახუროთ და თქვენ მორჩილ მეფეებთან ერთად შევიარაღდეთ. ესეც ცანით, რომ ჩვენი სამეფო, ჩვენი ბრძანების ქვეშ მყოფნი და მთელი ჩვენი საქართველოს მხედრობა მზად ვართ და მოველით თქვენს ბრძანებას; რასაც თქვენის ლოცვა-კურთხევით გვიბრძანებთ, მზადა ვართ შევასრულოთ. ეს არის ჩვენი ნატვრა. ჩვენს თქვენს ერთგულ შვილობაზე ნურაფერს ეჭვს შეიტანთ. თუმცა კი შორს ვართ, მაგრამ დიდათ ვნატრობთ თქვენს ნახვას. ჩვენი სარწმუნოების აღიარება ვჰყავით პატრი ჯუსტინეს წინაშე, რომელიც ჩვენი სულიერი მამა არის: რასაც ეს გვიბრძანებს, ყველაფერს შევასრულებთ. 1687 წლის 29 აპრილი, ჩვენი მეფობის მეათე წელსა. გიორგი მეფე“[1].

დაახლოებით ამგვარი წერილი გაუგზავნა მეფემ პროპაგანდასაც.

კათოლიკობა მარტო გიორგი მეფეს არ მიუღია. ბევრმა მიბაძა მას, მათ შორის თვით საქართველოს არქიეპისკოპოსმა ექვთიმემ, რომელმაც ასევე დაავალა პატრ ანჯელოს რომის პაპისთვის ეს წერილი გადაეცა:

**„უწმიდესო მამაო, ინოჩენციო XI, რომის მღვდელ-მთავარო პაპო,**

დიდი ხნიდან სავსე სიბრძნითა და მეცნიერებითა, მრავალფეროვან ვარდით შემკობილო ღვთისმეტყველო, თაფლის მსგავსად ყველას სამედნიეროდ საუკეთესოდ მომდინარევ, ქვეყნის ყველა მხარეს სიკეთის მომფენო, ღვთის სიყვარულის მოზიარეთა ზედა სიბრძნის მრწყინვალე

1 ორიგინალი, მეფის ბეჭედდასმული, დაცულია პროპაგანდის არქივებში, Scritture originali riferite, ტ. 4, 3 თებერვალი, დამატება I. თარგმანი იტალიურ ენაზე დაცულია ვატიკანის არქივებში. Lettere di Principi, ტ. CXVI, გვ. 114. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 266-268.

მაგევ და მთელის ღვთისმეტყველო წყაროვ, ორპირიანმახვილო, რომელიც განჰკვეთ მტერთა და ამხელ მღვდელ-მონაზონთა, ცხონების გზის ყოველდღივ სისრულით მასწავლებელო, მწეო დიდთა და პატარათა, დასაწყისიდანვე გამტკიცებულო ეკლესიის მრწყინვალე სვეტო, დადგინებულო ჭეშმარიტო მწყემსო და მოძღვარო ყოველთა ქრისტიანთა, მათი სიკეთის გამაძლიერებელო და მოციქულთა თანასწორო, შეურყვნელო ტახტო და დიდის რომის ქალაქის მფლობელო, უნეტარესო მეთერთმეტე ინოჩენციო. თქვენს წინაშე წამდგარი სარწმუნოების აღიარებით ვეამბორები თქვენს წმიდას, უნეტარეს და სამეფო მარჯვენას, მე თქვენის უწმიდესობის და უფლის ჩვენისა იესო ქრისტეს მონა, ექვთიმე არქიეპისკოპოსი მთელი საქართველოს ღვთიური დიდი ეკლესიისა, რომელიც არს მისი განმანათლებელი და დამცველი წმიდა კვართისა. სიმდაბლით წარვსდგები თქვენს წინაშე მიწაზე მთხვევით და სიამოვნებით მივესალმებით თქვენს დიდებულებას. ამას ვყოფთ არა მარტო გარეგნულად, ხორციელად, არამედ სულითაც, რომელიც თქვენის სიყვარულით სავსე გვაქვს, თუმცა კი შორს ვიმყოფებით. ჩვენი მაცხოვრის მრძანებისამებრ, რომელმაც სთქვა: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი, ჭეშმარიტად გეტყვი შენ: შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და მოგცენ შენ კლიტენი სასუფევლისა ცათასანიო.

შენ ხარ მწყემსი საყვარელი! და ეს ჭეშმარიტების სიტყვა თქვენ გეკუთვნით. ჰოი მწყემსო ჭეშმარიტებისა და სიმართლისაო, ცოდვაში ჩავარდნილ უძლურთა აღმადგინებელო და მათ მტვირთველო, რომელ უძლურთაგანაც მსგავსად სხვა თქვენ მორჩილ და მდაბალ მორწმუნებისა, ჰყოფთ ერთ სამწყსოსა; ეს არს თქვენი ხმა, რომელიც უნდა მოისმინოს მთელმა ქვეყანამ. ხოლო მე თქვენი სულიერი შვილი, თქვენი სიყვარულისა მოწყურებული თქვენ არასდროს გაგშორდებით. ამასაც მოგახსენებთ, რომ ღვთისაგან კურთხეული ჩვენი მეფე გიორგი, საქართველოს ყველა ეპისკოპოსნი, მღვდელნი, მონაზონნი და ერისკაცნი დიდათ მოხარულნი არიან თქვენს გაძლიერებასა და თქვენი მტრების დამარცხებაზე[1]. ამისთვის ვევედრებით ღმერთს, რომ უმეტესად გაგაძლიეროთ და აღამაღლოს თქვენი მარჯვენა, ეგრეთვე უყოს თქვენთა შვილთა მთავრებსაც, რომლებიც თქვენი მორჩილნი და ერთგულნი არიან. ჩვენი ამბავი ყველა კარგად იციან თქვენმა გამოგზავნილმა პატრებმა. ამისთვის ჩვენი პატრი ჯუსტინო წიგნით გაუწყებთ და პატრი ანჯელოც პირად მოგახსენებთ, ვითარცა გაუწყათ ჩვენმა მეფემ. ყველას მოხსენება ჭეშმარიტი და დამტკიცებულია. 1 მაისი, 1687 წ. გიორგის მეფობის მეათე წელს“[2].

1 აქ უნდა იგულისხმებოდეს თურქებზე გამარჯვება ვენაში.

2 ქართული ორიგინალი იტალიური თარგმანითურთ ისევე, როგორც მეფის წერილი, ზემოთ მოხსენიებულ ტომებშია და გამოვაქვეყნეთ ჩვენ უკვე დასახელებულ ნაშრომში, გვ. 268-270.

მეფის ძმამ და ბევრმა მღვდელმა ასევე აღიარა და მიიღო კათოლიკური რჯული[1], მათი გაკათოლიკების ამბავმა, განსაკუთრებით მათმა წერილებმა რომის დიდად აამა. პაპმა სასწრაფოდ უპასუხა ზემოთ მოყვანილ წერილებს. აი, გიორგი მეფისათვის გაგზავნილი მისი ორი ეპისტოლე:

„პაპი ინოჩენციო XI

ქრისტეს მიერ ჩვენს დიდად საყვარელ შვილ გიორგის, აზიის ივერიის ბრწყინვალე მეფეს.

ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

გამოუთქმელის აღტაცებით ვსცანით თუ თქვენის დიდებულების წერილიდგან და თუ ჩვენ საყვარელ შვილის პატრი ანჯელოს ფილინელის მიერ, რომელიც წარმოგვივლინეთ, რომ ღვთის მადლის შეწევნით დაუტევეთ მაჰმადიანთა რჯული და წრფელი გულით აღიარეთ კათოლიკე სარწმუნოება. ვინაიდგან ჩვენი მწყემსმთავრის მოვალეობის უმთავრესი ზრუნვა არის იესო ქრისტეს პატიოსანის სისხლით დახსნილთა სულთა ცხონება, ამიტომ ისე არაფერს შეეძლო ჩვენთვის ნუგეში ეცა, როგორც გვანუგეშა თქვენის მოქცევის ამბავმა, რადგან ამ თქვენს მოქცევას დიდად ვაფასებთ და იმედი გვაქვს, რომ მაგ თქვენის მაგალითით დღიდან დღე უფრო განეფინოს ეს ჩვენი სარწმუნოება. ღირსეულ ქებას შევასხამთ რა მაგ თქვენს წარჩინებულ მოქმედებას, თქვენს დიდებულებას კათოლიკე ეკლესიის წიაღსა შინა შევიწყნარებთ და გრაცხთ თქვენც ჩვენს მორწმუნე და ქვეშევრდომ მეფეთა შორის; ეგრეთვე არ დავსცხრებით და გულით ვევედრებით ყოვლთა სიკეთეთა მომნიჭებელ ღმერთსა, რათა თავისი დაუშრეტელი სიყვარულის საუნჯიდან მოგაგოთ შესაფერი სასყიდელი მაგ თქვენის წარჩინებულ ღირსებისათვის. თქვენდამი ჩვენს სიყვარულის შესახებ მეტს რასმე მოგახსენებს ხსენებული პატრი ანჯელო, რომელიც კვლავ მანდეთ მრუნდება და

1 „პატრი ჯუსტინომ კათოლიკობაზე გადაიყვანა საქართველოს მეფე გიორგი, მისი ძმა ლევანითურთ, რომელიც არის პირველი მინისტრი მთელის სამეფოსი, ეგრეთვე მათი უსამღვდელოესობა ექვთიმე საქართველოს არქიეპისკოპოსი თავისი რამდენიმე მღვდლითურთ; ყველამ მათ აღსარებითა და წერილით სცნეს მსოფლიო ეკლესიის თავად და ამ ქვეყანაზე ქრისტეს მონაცვლედ რომის პაპი ინოჩენციო მეთერთმეტე, რომელსაც სრულიად დაექვევრდომნენ. გარნა ის ორი წარჩინებული პირი არ დასჯერდა გაკათოლიკების კერძოდ გამოცხადებას და ხუთი თვის შემდგომ გაგზავნეს რომში თავიანთ მოციქულად პატრი ანჯელო ფილინელი და თან გაატანეს პაპთან წიგნები, რათა მათის სახელით, მის ტახტის წინაშე წამდგარი ფეხზე მთხვეოდა და მათი უმდაბლესი მორჩილება მიეძღვნა პაპისათვის". Missionari Toscani, ტ. I, გვ. 737. ეს ხელნაწერი დაცულია პროპაგანდა ფიდეს ორდენის კაპუცინების მონასტერში, მონტუგში, ფლორენციის მახლობლად. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 263.

რომელსაც დიდათ გავედრებთ. აწ ქრისტეს მიერ ჩვენო საყვარელო შვილო, თქვენს დიდებულებას გულმხურვალე მოციქულებრივ კურთხევას ვანიჭებთ. რომით, 14 მაისისა 1688 წ. მღვდელთ-მთავრობის მეთორმეტე წელს"[1].

აი, პაპის მეორე ეპისტოლეც:

„პაპი ინოჩენციო XI

ქრისტეს მიერ უსაყვარლესო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. რა განვიცადეთ გამოუთქმელის სიხარულით, რომ თქვენმა დიდებულებამ, შემკულმა არა მარტო ბუნებრივის უზომო ნიჭითა, არამედ უმეტესად ღვთიური ზეგარდმო მადლით განათლებულმა, დაუტევა ძველი შეცთომის სიბნელე და სცნო ნათელი კათოლიკე ჭეშმარიტების, ვაკურთხებთ და დიდ მადლობას ვსწირავთ უფლის ჩვენი იესო ქრისტეს ზეციურ მამასა, რომელმაც თავის გამოუთქმელის სახიერების წყალობით მოგიყვანათ თქვენ საუკუნო ცხოვრების გზაზე. ამიტომ ჩვენც იძულებული ვართ გამოგიცხადოთ ჩვენი მამობრივი სიყვარული რომლითამე ძღვნითა თქვენდა სულიერ ნუგეშად და სულის ცხოვნების შესაწევნად. საჭიროდ ვსცანით მივუძღვნათ თქვენს დიდებულებას საუკეთესო ხელოვნებით შემკობილი და ვერცხლით შემოჭედილი ღვთისმშობლის ხარების ხატი, რომლის ჩარჩოც აბანოზის ხისა არის; გარდავეცით ჩვენს საყვარელ შვილს პატრ ანჯელო ფილინელს, წმიდა ფრანჩისკეს ორდენის კაპუცინს, რომელიც ჩვენ წარმოგვიგზავნეთ, რათა მანდ მობრუნებისთანავე გარდმოგცეს თქვენ. ვინაიდგან გვსურს, რომ მუდამ დღე აღემატოს გულმხურვალება თქვენისავე სულის საცხონებლად, ამიტომ განიჭებთ ამ შემდეგ სულიერ წყალობას: ვიდრემდინ ეს ხსენებული ხატი თქვენთან გექნებათ, როდესაც იტყვით წმიდა ქალწული მარიამის ანუ მიცვალებულთა ჟამ-კანონს, შვიდი სინანულის ფსალმუნით, „სავარდოს" მესამე ნაწილს, ანუ რომელსამე საავადმყოფოში სნეულთა სანახავად წახვალთ, შეეწევით ქრისტეს გლახაკთ, რაოდენ გზისაც შეასრულებთ ამ დასახელებულ რომელსამე ლოცვას და მასთანვე გულით შენანებულ აღსარებას იტყვით უფროსისაგან განწესებულ მღვდელთან და ეზიარებით კვირა ან უქმე დღეს, და ილოცავთ მწვალებლობისა და განყრილობის მოსასპობლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, ქრისტიანე მთავრებში ერთობის დასაცველად და წმიდა დედა-ეკლესიის საჭიროებისათვის, კვირაში ერთგზის მიიღებთ თქვენი ყველა ცოდვების სრულ შენდობას; გარდა ამისა, არასრულ შენდობას მიიღებთ, უკეთუ რომელიმე პარასკევს, უფლის ყოვლადწმიდა ვნების პატივისათვის, იმარხულებთ

1 ტექსტი გამოქვეყნებულია Michael A Tugio, Bullarium Capuccinorum-ში, ტ. VII, გვ. 240; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 271.

და იმავე დღეს ან მომავალ კვირას გაენდობით და ეზიარებით და ზემოთ ხსენებულისამებრ ილოცავთ; რაოდენ გზისაც გულისცანჯვის გამობიებას იქმთ ცოდვათა შენანებით და პირობის დადებით, ყოველ გზის მიღებით ათი წლის და ორმოცეულს შენდობას, უკეთუ ამ გამობიებას განაგრძობთ ყოველ დღივ ერთი თვის განმავლობაში და მოლოს გაენდობით და ეზიარებით, მსგავსადვე მიიღებთ სრულ შენდობას; გარდა ამისა, უკეთუ ყოვლადწმიდის სამების პატივისათვის იცყვით სამს „მამაო ჩვენო“ და სამ „გიხაროდენს“, ანუ ხუთს, იესო ქრისტეს ხუთი წყლულების პატივისათვის რომელსამე ცოდვის გასწორებისაგან პირობის დადებით, ანუ მოისმენთ წირვას თვით უქმე დღეებში ან თუ შეასრულებთ ზემოთ აღნიშნულთაგან რომელსამე საგანს, მიიღებთ ყოველ გზის ათი წლის და ორმოცეულს შენდობას. ხოლო სიკვდილის დროს ჭეშმარიტად მონანებული, ვითარცა ზემოთ, აღსარებას იცყვით და ეზიარებით, თუ შეგიძლიათ, თუ არა პირით ანუ გულმხურვალებით და შენანებული გამოსთქვამთ იესოს სახელს, მსგავსადვე მიიღებთ სრულ შენდობას; დასასრულ ყველა ეს ხსენებული შენდობანი შეგიძლიათ მიიღოთ მორწმუნე მიცვალებულთა შესაწყნელად. რომი, 22 მაისისა 1688 წ. ჩვენი მღვდელ-მთავრობის მეთორმეცე წელს“[1].

პაპის ეპისტოლე არქიეპისკოპოს ექვთიმეს:

„პაპი ინოჩენციო XI
აზიის ივერიის სამეფოს არქიეპისკოპოსს ექვთიმეს

პაციოსანო ძმაო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა.

სიცყვით ვერ გამოგვითქვამს ის სიხარული, რომელიც ვიგრძენით, რა ვსცანით ჩვენ საყვარელის შვილის კაპუცინი პაცრი ანჯელო ფილინელისა და თქვენის წერილისგან, რომ თქვენ ხელი წმიდის წინამძღვრობით მიგიღიათ, როგორც ჯერ არს, კათოლიკე სარწმუნოება და შემოერთებულხართ ხელითა და გულით ამ წმიდა საყდართან, რომელიც არს მობღვარი და დედა სხვა ყველა ეკლესიებისა. აწ მაღლობას ვწირავთ ღვთის სახიერებას, რომ თქვენზე ესრეთი მოწყალება მიიღო და თქვენ უფლისა მიერ მღვდელ-მთავრულის სიყვარულით გეთხვევით; ეგრეთვე ყოვლს შემთხვევით ვისარგებლებთ,რომ გამოვაქვეყნოთ, თუ რაოდენ შესანიშნავი და დიდი ნაყოფი მიიღო კათოლიკე ეკლესიამ აზიის ივერიის სამეფოში. აწ ჯერ არს სავსებით გაამართლოთ ყველა ჩვენი მოლოდინი, რომელსაც გვაძლევს თქვენი ერთგულება; ეცადეთ ყველა თქვენი ღონისძიებით ამავე ეკლესიის გავრცელებისა და დიდებისათვის მაგ ერში, რომელიც მუდამ თვალწინ გვყავს. ამ ხსენებულ პაცრ

1 მონტუგის კაპუცინელ პაპების არქივი, ხელნაწერი — Missionari Toscani, იტალიური თარგმანისათვის იხ. P. Rocco Da Cesinale, Storia delle Missioni dei Cappucini, Rome, ტ. III, 1873, გვ. 364-365; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 271-272.

ანჯელის მივანდობთ, რომ ვრცლად ყველა ჩვენი აზრი და სურვილი მოგახსენოთ. ისევე გადმოგცემთ ჩვენი სიყვარულის წინდსა, რომელიც შესაფერისია თქვენი სამსახურისა. მასთანვე სამარადისოდ განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. რომით. 14 მაისისა 1688 წ. ჩვენი მღვდელთ-მთავრობის მეთორმეტე წელსა“[1].

პროპაგანდამაც, თავის მხრივ, მეფე გიორგის ეს წერილი მოსწერა:

3 აპრილი 1688წ.

„საქართველოს მეფეს

არც ჩვენი წმინდა მამისათვის და არც ამ პროპაგანდის წმიდა კრებისათვის იქნებოდა იმაზე სასიამოვნო, რაც თქვენის დიდებულების და პატრი ჯუსტინო ლივორნელის წერილებიდან სცნს, რომ თქვენ გიცნიათ ჭეშმარიტება და თქვენის შვილითურთ აღიარებთ კათოლიკე სარწმუნოებას; ეგრეთვე ისა, რომ, მაგ თქვენის მაგალითით, ვინც თქვენს სამეფოში ჭეშმარიტ გზისაგან დაშორებულნი იყვნენ, ახლა სიადვილით შემოდიან წმიდა დედა-ეკლესიის წიაღში. თქვენის უმაღლესობის სახელით გამოგზავნილი პატრი ანჯელო ფილინელი პაპმა რა დიდის სიყვარულით მიიღო, ამას სცნობთ მისივე წერილიდან[2]. ახლა მათ უმაღლეს მამა-კარდინალებს სხვა აღარა სანატრელი აქვთ, თუ არა ეს, ევედრონ თქვენს დიდებულებას, რათა ყველანაირი თქვენის ერთგულებით შეუდგეთ მაგ თქვენს დაწყებულ საქმეს როგორც შეგიძლიათ; დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ასეთი მოქცევით მუდამ მოიპოვებთ თქვენთვის და თქვენის სამეფოსთვის ყოველგვარ ბედნიერებას და შემდგომ ზეცას მიიღებთ საუკუნო სასყიდელსა. ბატონ კარდინალებთან ერთად ყოვლისშემძლესა ღმერთსა ვსთხოვ თავისი მადლი არ მოაკლოს თქვენს დიდებულებას“[3].

პროპაგანდამ თბილისის მისიონის წინამძღვარს წერილი მისწერა, მისიონერთა ღვთისმსახურების დიდი წარმატება მიულოცა და გაუგზავნა სარწმუნოების კანონები, რათა მას ჩასწვდომოდნენ ისინი, ვინც კათოლიკურ რჯულს ეზიარა.

---

1 Arch. Vat., Epistolae ad Principes, ტ. LXXVIII, გვ. 52. გამოქვეყნებული J. Berthier, Innocentii P.P.XI Epistolae ad Principes. Rome, ტ. II, 1895, გვ. 397. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 270.

2 უეჭველად ეს 14 მაისით დათარიღებული ეპისტოლე გაეგზავნა გიორგი მეფეს. Arch. Vat., იქვე, გვ. 51, გამოქვეყნებულია Michael A Tucio, Bullarium Capuccinorum, ტ. VII, გვ. 240 და ბერტერიერთან, ზემოთ ციტ. გვ. 396-397.

3 Arch. de la Propag., Lettere della S. Congregazione, ტ. LXXVII, ფ. 31. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 273.

## V. — ბარძიმ ერისთავის გაკათოლიკება და პაპთან გაგზავნილი მისი წერილები. პაპის პასუხი. სხვა ქართველ დიდგვაროვანთა გაკათოლიკება

მეფეს ბევრმა მიჰბაძა და გაკათოლიკდა. ახლად მოქცეულთა შორის უნდა აღვნიშნოთ ბარძიმ ერისთავი, რომლის გაკათოლიკებას საყოველთაო სიხარული და აღტაცება მოჰყვა. დავიმოწმებთ რამდენიმე ადგილს წერილებიდან, რომლებიც მისიონერებმა გაგზავნეს რომში ამ ქართველი მთავრის შესახებ.

„უწმინდესო და დიდად პატივცემულო პაპო,

ღვთის განსაკუთრებულის შემწეობით ამ ჩვენი მისიონის წარმატება იმდენად დიდია, რომ არავის შეუძლია მასზე რაიმე ეჭვის შეტანა. ამისათვის მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, რომ გაუწყო ეს, რათა თქვენის გონიერებით სასოების გაძლიერების საშუალება მოგვცეთ, როგორსაც მოველით და მოგვაწოდოთ საჭირო დახმარება ამ საბრალო ქვეყნისათვის, რომელიც მართლა დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. უწყოდეთ, რომ ამ ჩვენ დიდად გულმოდგინე, ახალ კათოლიკე მდივანბეგს ჯერ ჩემთან ბევრ გზის ჰქონდა ვრცელი ლაპარაკი კათოლიკე სარწმუნოების და სულიერ საკითხავთა შესახებ, შემდეგ რა კარგად სცნო ყოველივე და გამოიძია ყველა ძალა თავის მიერ ახლად აღსარებულის სარწმუნოებისა, მიიწვია თავისი მღვდლები ბერძნის (ტომით ქართველები – მ.თ.) ტიპიკონისა, იმდენად ჩააგონა და ისე შეაყვარა მათ რომის ეკლესია, რომ არა თუ აღიარეს იმათაც რომის ეკლესიის სარწმუნოება, არამედ მასთან ერთად საქვეყნოდ გამოაცხადეს მისი გამოსარჩლება და დაცვა სომხების წინააღმდეგ. ჭეშმარიტად უნდა მოგახსენოთ, რომ ღმერთს დიდად უყვარს ეს თავისი სძალი, წმიდა ეკლესია, ვინაიდან გაჭირვებაში მოუვლენს მას კეთილ ანგელოზთა მისსავე დასაცველად; ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ ამ მთავარს ნამდვილი მშვიდობის ანგელოზი, რადგან ჭეშმარიტი შვილია ეკლესიისა და დიდად მოყვარე და მდაბალი მონა პაპისა. ამ 7 წლის წინათ, როდესაც მთელი ქალაქი ჩვენს წინააღმდეგ ამდგარი იყო და უნდოდა ჩვენი ეკლესიის და სახლის დაქცევა, მან, რადგან კაპუცინები უყვარდა, ლტოლვილ მეფეზე უკეთესად დაგვიცვა, დიდი სიმხნე გამოიჩინა; ხალხი ძალით განაშორა და მთელი არეულობა დააწყნარა; ახლაც როგორც ერთი მოციქულებრივი კაცი ისე იქცევა ჩვენის პატივის ასამაღლებლად და კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. ასეთ უბედურ დროებაში ჩვენთვის სწორედ ასეთი ძლიერი მფარველი იყო საჭირო. სომხების პატრიარქმა საქართველოში მყოფ თავის მონაცვლეს, ვიკარიოზს, რომელიც ტფილისში სომხების უფროსია, უბრძანა, რათა გამოეძია და დაესაჯა, ვინც კათოლიკები იყვნენ და ჩვენს ეკლესიაში მოდიოდნენ. ის (ბარძიმ ერისთავი) წინააღმდეგი გაუხდა და არა მარტო ხელი შეუშალა ასეთი საქმე ექმნათ ჩვენთვის, პირიქით, ჩვენი თავიც კი შეაყვარა, შემდგომ, მეფით და ყველა თავადთან ერთად მოვიდა ჩვენს ეკლესიაში, გალობიან წირვას დაესწრო და დიდი

სიყვარული გამოგვიცხადა... ტფილისი, 18 მარტი, 1690. კაპუცინი ჯულიო ქრემონელი"[1]...

ამ ქართველი მთავრის შესახებ მისიონერებმა მრავალგზის გაგზავნეს რომს ანალოგიური მოხსენებანი, რომლებშიც მოუთხრობდნენ მის თავდადებას კათოლიკური სარწმუნოებისადმი და იმედს გამოთქვამდნენ მთელი საქართველოს რომის ეკლესიასთან მომავალი გაერთიანების, საქართველოს კათოლიკური ეკლესიის სამოთხედ გადაქცევის შესაძლებლობის შესახებ[2].

1 Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. 1, №108. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 278-279.

2 „კვლავ ტკბილის უფლის სახიერებამ ინება ჩემი და პატრი სილვესტრეს ნუგეშისცემა სწორედ ამ არეულ-დარეულობის დროს, რომელშიც იპოვება საბრალო საქართველო, ვინაიდგან პაპის მორჩილებაში შევიდა ყველაზე უფრო შესანიშნავი პირი ამ სამეფოში. ამისთვის აღტაცებით გაუწყებ ამას და მასთანვე გევედრები, რომ თქვენც თანამონაწილეობა მიიღოთ ამ საქმეში. ამით თქვენს მისიონებსა დიდი პატივი მიენიჭება, რომის ეკლესია აღმაღლდება და ქრისტეს სარწმუნოება იდიდების, რადგან ახლა მთელს ივერიის სამეფოში განეფინება. აწ საჭიროა, უწყოდეთ, რომ ეს პირი სახელად ბარძიმი, რომელიც ეხლა შეუერთე წმიდა რომის ეკლესიას, არის ერთი უძლიერესი და უწარჩინებულესი საქართველოს მთავართაგანი და აქვს დიდი სამთავრო, სავსე მეომარი ხალხით; ეგრეთვე არის უკეთილშობილესი და ძრიელ დაახლოვებული ნათესავი მეფისა, რომელიც განიელტო. ამ ჟამად ეს ჰფლობს და მასთანვე არის მდივანბეგი, რის გამო აწინდელ მეფის შემდეგ ეს პირველი პირი არის. ისიც უნდა ვსთქვა, რომ ცოტათი წილი ამასაც უდევს იმაში,რომ საქართველო გიორგი მეფეს აუჯანყდა. გიორგიც მეტად განრისხებულა მასზედ. ეს ბარძიმი რადგან საკმაოდ მსასოებელი და გულისხმიერია, რა სცნო თუ რანაირის უსამართლობით ეპყრობიან სპარსელები საქართველოს და თუ რა მოელის მას მომავალში, ამისათვის დიდათ ნატრობს, არა მარტო თავისგან, არამედ თვით მთელი სამეფოსგანაც მოაშოროს ეს მათი სამარცხვინო უღელი, აღმოფხვრას ერისგან განხრწნილობა, შეცთომილობა, ცრუმორწმუნება და ურწმუნობა, და დანერგოს ყველგან იესო ქრისტეს ნამდვილი და ჭეშმარიტი სარწმუნოება. ამის გამო დიდათ შეიყვარა პაპი და ჩვენც გვევედრა, რომ მიგვეღო იგი წმინდა ეკლესიის მართალის შვილების რიცხვში. კიდეაც შევასრულეთ. მისი მიღებით დიდათ ვინუგეშეთ და მეტის სიხარულით ცრემლებსაც ვღვრიდით, რადგან ვხედავდით ესრეთ ძრიელ მთავარს, რომლისაც ყველას ეშინია, დიდათ თავს იმდაბლებდა და თუ ჩვენ და თუ კათოლიკე ეკლესიას დიდს სიყვარულს უცხადებდა; ეგრეთვე მეტად მოწადინებულია, რომ ყველგან მთლად აღმოფხვრას მაჰმადიანობა და შეცთომილება. როდესაც შევასრულეთ წესი მისი შეერთებისა, გვევედრა,რომ მიგვეწერა პაპისათვის, რათა მასაც ენებებინა და მიელო იგი წმიდა რომის ეკკლესიის შვილად, ვინაიდგან მის ტახტსა, რომელსაც ღვთის ტახტად უწოდებს და წმიდა პეტრესი სრული ქვეშევრდომია ყოველნაირის სიმდაბლით, მორჩილობით და სიყვარულით, და ითხოვს მის წმიდა კურთხევას, რათა, მისი და ღვთის კურთხევით გაძლიერებულმა, შეიძლოს და შეასრულოს თავისი წმიდა და გულმხურვალე წადილი, ესე იგი მთელი სამეფო შეუერთოს კათოლიკე ეკკლესიას. ტფილისი. 18 მარტს, 1690. პატრი ჯულიო ქრემონელი, კაპუცინი პროფექტს". იქვე, №107. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 275-276.

„პატრი პრეფექტის წერილიდან შეიტყობთ, ან ალბათ შეიტყობდით უკვე, საქართველოს მეფის შემდეგ პირველი თავადის, ბარძიმ ერისთავის ბედნიერი მოქცევის ამბავს, რომელიც ჩვენდა სარწმუნოების ექვსჯერ, თუ შვიდჯერ აღიარების შემდეგ ეამბორა წიგნს, რამდენიმეჯერ დადო იგი თავზე და თან ამბობდა: აქ დაწერილია ნამდვილი სიმართლე...

„ვფიქრობ, რომ ამ ბატონის მოქცევა უდიდეს სიკეთეს მოუტანს ამ მხარეებში კათოლიციზმის წინსვლას, რადგან იგი გააკეთებს ყველაფერს, რასაც პაპი უბრძანებს... მარტი, 1690". იქვე, №109.

მაგრამ ყველა ეს ქება-დიდება არაფერია იმასთან შედარებით, რაც თვით ამ მთავარმა გამოხატა რომის პაპთან გაგზავნილ თავის ორ წერილში, რომლებიც მოწმობენ მის უსაზღვრო ნდობას, მორჩილებას და თაყვანისცემას კათოლიკური სარწმუნოებისადმი. აი, ეს ორი დოკუმენტიც:

„მწყემსთა მწყემსს და მამათა მამას, ინოჩენციო XI-ს

სახსოვრად იყოს წინაშე ყველა ქრისტიანების ბატონისა და მთავრისა, რომელიც სამწყსოს საუკეთესო მცველია და რომლის წინაშე მტაცებელი მგელი ვერასდროს შეიძლებს მიახლოებას. თქვენ ხართ ქრისტეს სჯულის და ზნეობის მთავარი, თქვენ მართავთ ერს თანახმად შვიდის კრებისა და უზიარებთ მათ შვიდთა საიდუმლოთა მადლსა. უმაღლესმა მწყემსმა, ღმერთმა, ღირსეულად აგირჩიათ ამ მორწმუნების წყაროსათვის, რომელიც ტკბილად მომდინარეობს და რომლისთვისაც ამბობს წმიდა სახარება: „მე ვარ წყალი ცხოველი, რომელნი სუმდენ ჩემგან, აღარა სწყუროდენ უკუნისამდენ". შენ ხარ ხე კეთილი, რომელიც მისცემს ნაყოფსა ტკბილსა; შენ ხარ უფალი და მთავარი. ახალი წმიდა მოციქული პეტრე, რომლისადმი მოგიწოდა შეუცდომელმა სიტყვამ: „შენ ხარ კლდე და ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას"; შენ ხარ ახალი იოანე ოქროპირი, ბასილი კესარიელი და მოადგილე დიდისა კლემენტისა და სილიბისტრესი. შენ ოთხ მახარებელთანა შესადარებელო და მათო თანამსგავსო, შენი ხმა განისმის ქვეყნის კიდით-კიდემდე და შენის მოწოდებით მოდიან ერნი სარწმუნოებაზე. შენ ხარ დიდი იმედი და მფარველი შენდამი შემოხიზნულთა, ვითარცა გოდოლი დაუძლეველი. შენ ხარ იგი, რომლისათვისაც ითქვა: „მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცანი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ". შენ ხარ ჩემი უფალი, ჩემი მოძღვარი, ჩემი მამა და ჩემი მთავარი. ვითარცა სახედ ჰსურის ირემსა წყაროთა მიმართ, ეგრე ჰსურის სულსა ჩემსა შენდამი, მე ვარ ცოდვილი და დატვირთული სიბოროტით, ვითარცა მეზვერე ანუ ის მონა, რომელსაც მიეტევნენ ათი დრაკანი, რადგან ვერ შეიძლო მისი გარდახდა. აწ ვისწრაფი შენდამი და გევედრები, ჰოი ყოველთა ქრისტიანეთა სასოებაო, საქებელო, დიდებულო, დიადო და მრწყინვალეო, ამაღლებულო და გაძლიერებულო; შენ ხარ მთესველი მართლმადიდებლის სარწმუნოების თესლისა და აღმომფხვრელი ღვარძლისა ქრისტიანების გულთაგან; შენ ხარ თავი და მთავარი ქრისტეს სარწმუნოებისა. მე ვარ შენი ცხოვარი ვნებული მგელთაგან, რომელთაც უნდათ ჩემი შთანთქმა. მტკიცედ მრწამს უმანკო ღვთისმშობელი მარიამი და მისი საყვარელი ძე, მისი ხარება, შობა, ტაძრად მიყვანება, თაბორზე ფერისცვალება, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება, იერუსალიმში შესვლა, მისი ვნება, ჯვარცმა, დასაფლავება, მკვდრეთით აღდგომა, ზეცას ამაღლება და

სულიწმიდის მოფენა მოციქულთა ზედა, რომელთა თავსა განიყვენ ენანი ცეცხლისანი. მე ვარ შენი ერთგული შვილი ჭეშმარიტად შვიდი კრების აღმსარებელი; პირველი ნიკეისა, მეორე ეფესოსი, მესამე კონსტანტინეპოლისა, მეოთხე ქალკედონიისა და სამნი დანარჩენნი, რომელიც მოხდა ნიკეასა და კონსტანტინეპოლში. მრწამსს შვიდი საიდუმლო: ნათლისღება, მირონცხება, აღსარება, ზიარება, მღვდლის კურთხევა, გვირგვინის კურთხევა და უკანასკნელი ზეთის ცხება. ქვემევრდომი შვილი ვარ და მორწმუნე სამოციქულო და კათოლიკე ეკლესიისა. შეგვაერთე შენს სამწყსოსა და გვიხსნ ჩვენ ამ ისმაელიტელების ნაშობ ბოროტ მგელთაგან. გარდმოავლინეთ ამ ჩვენ ცოდვილთა თავსა თქვენის მარჯვენის კურთხევა. ჩვენ ვსასოებთ თქვენს მოწყალებაზე და ვართ აღმასრულებელნი თქვენის სარწმუნოებისა და წესისა, ამის გამო მუხლმოყრილნი მიწამდე თავს დაგიკრავთ. ჰოი ხვეტო და ქრისტიანების მეურყეველო საფუძველო! შენზე მინდობილობამ დაგვიხსნა. ამიტომ მარადის თქვენი ერთგული ვიქნებით და მომლოდინე თქვენის წყალობისა, ეგრეთვე ვევედრებით ქრისტე უფალს, რომ აღგვისრულოს ყოველი თქვენი ნატვრა და დაცულ იქმნას თქვენი ბრძანება. აწ ჩვენო ბატონო მთავარო, მოველით თქვენს ბრძანებას და თქვენს წყალობას. როდესაც ამ ჩვენს მხარეს და ქვეყანას მოაღწევენ თქვენი წმიდა სიტყვა და პატიოსანი ბრძანებანი, მაშინვე შევუდგებით მათ აღსრულებას და ვიტყვით დავითთან: „წარმართენ ლოცვანი ჩემნი, ვითარცა საკმეველი შენს წინაშე". გვიხსენ ჩვენ წარწყმედისაგან, ვითარცა იხსნა პავლემ მორწმუნე ერი, ანუ ვითარცა მირელმა ნიკოლოზმა სამი უმანკო ყმაწვილი სიკვდილისაგან. ჩვენს გულსა და თვალთ შენდამი მოვაქცევთ და ვიმედოვნებთ შენის სახიერებისგან და მოველით შენს პატიოსანს წერილს და ბრძანებას. რასაც გვიბრძანებთ, ყველას აღვასრულებთ, ჩვენო ბატონო, ილოცეთ ჩვენთვის, რათა უმედურად არ წავსწყმდეთ, ჩვენო მამაო, უფალო ბატონო. ამინ. შეგვიწყნარებია და აღვიარებთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ყველა კრებას; ეგრეთვე აღვიარებთ და შევიწყნარებთ წმიდა სახარების ბრძანებათა. ამიტომ ვართ შენი ერნი და შენი სამწყსოს ცხოვარნი. შევცდით, აწ გვიპოვეთ და შენის ძალით გამოგვიხსენით მგლის პირისაგან, როგორათაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ აღმოიხსნა ქვესკნელიდგან ადამი, შეიტკბო და მიუყვანა მამაზეციერს, ეგრეთვე შენც, ბატონო, მოგვიპოვე ჩვენ ცოდვილნი, ნუ დაგვივიწყებთ და ნუ დაგვტოვებთ. ბრძენს ერთი სიტყვაც ეყოფა. აწ მოველით შენს სიტყვას და მივიღებთ თუ არა შენს ბრძანებას, მაშინვე აღვასრულებთ. დაიწერა ქრისტეს აქეთ 1 იანვარს 1690 წ."[1].

1 იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 281-283.

აი, მისი მეორე წერილიც:

„დიდება ღმერთსა, უნეტარესო მამაო,

აჰა, შენთა წმიდა ფერხთა წინაშე ერთი დიდი ცოდვილი, სახელად ბარძიმი, საქართველოს ერისთავი, გარნა აქამდინ თვინიერ რჩევისა ვიყავი მოტყუილებული და სიბნელეში გართხმული ჩვენის ეპისკოპოსების სიცრუით და უმეცრებით. უმეცრებით ცთომილ ვიყავ ჭეშმარიტების გზისგან, გარნა აწ ღვთის მადლითა და წყალობით, ეგრეთვე ტფილისში მყოფის შენი პატრების მოძღვრებით და კეთილის მაგალითით ვსცანი ჩემი შეცთომილება და მივიღე კათოლიკე სარწმუნოება, რომელი სარწმუნოებაც სულის წმიდის ჭეშმარიტი სიტყვა არის. აწ დიდად მოხარული სიბნელისაგან გამოსვლითა ყოვლადის კდემით, სიმდაბლით და გულმხურვალებით ვემხობი შენის პატიოსნის საყდრის წინაშე. თუმცა ტფილისის მისიონის უფროსის წინაშე სულით-გულით და ცრემლთა ფრქვევით უარვყავი ჩემი უწინდელი შეცთომილება; გარნა აწ თქვენი სიწმინდის წინაშეც მათ კვალად უარვყოფ და სამუდამოდ ვშორდები, რადგან ჭეშმარიტად და სიმტკიცით ვსცანით, რომ შენ ხარ ჭეშმარიტი იესო ქრისტეს მონაცვლე და უწმიდესი პეტრეს მოსაყდრე, სასუფევლის კლიტეთამქონე, ყველა მორწმუნეთა მამა, წინამძღვარი და მოძღვარი. ამიტომ გთხოვთ მიმიღოთ მე ვითარცა თქვენი მდაბალი მონა. მეც გპირდები, რომ რასაც ინებებთ, ყველა აღვასრულო წმიდა კათოლიკე ეკლესიის ასამაღლებლად, იესო ქრისტეს პატივისთვის და თქვენს სამსახურებლად; მზად ვარ ამისათვის სისხლიც დავღვარო. კვალად თქვენს წმიდა და სამოციქულო საყდარს შევსწირავ ჩემს თავს, ჩემს სახლობას და მთელს ჩემს ქვეშევრდომ ერსა. აწ სხვა არაფერს მოველი, თუ არ თქვენს წმიდა კურთხევას და რჩევას, რათა სულით და გულით წმიდა კათოლიკე ეკლესიის გავრცელებასა და განძლიერებას შევუდგე, რადგან ეხლა შეიქმნა იგი ჩემი უსაყვარლესი დედა“[1].

ამ წერილის საპასუხოდ პროპაგანდა 1690 წლის 20 ნოემბერს წერილს უგზავნის თბილისის პატრების წინამძღვარს, მისიონის დიდ გამარჯვებას ულოცავს, გამოთქვამს კმაყოფილებას და, რაც მთავარია, აცნობებს რა სიამოვნება განუცდია პაპს ამ ამბის გაგებით[2]. უფრო მოგვიანებით კი თვით პაპი უგზავნის ბარძიმ ერისთავს შემდეგ წერილს:

**„პაპი ინოჩენციო XII**

**ჩვენს საყვარელ შვილს, კეთილშობილ კაცს, საქართველოს თავად ბარძიმს.**

1 ამ ორი ტექსტის ორიგინალი დაცულია პროპაგანდის არქივში, Scritture originali, ტ. CVIII, 20 ნოემბერი, დანართი 16. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 283. ლათინური თარგმანი მიქაელ ტუჯიოელთან, ციტ. ადგ. გვ. 241-243. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 283.

2 იხ. Arch. de la Propag.. Lettere della S.C., ტ. LXXIX, გვ. 48. იხ. მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 283.

ⴑⴀⴗⴅⴀⴐⴄⴊⴍ ⴘⴅⴈⴊⴍ, ⴉⴄⴇⴈⴊⴘⴍⴁⴈⴊⴍ, ⴋⴘⴅⴈⴃⴍⴁⴀ ⴃⴀ ⴋⴍⴚⴈⴕⴓⴊⴄⴁⴐⴈⴅⴈ ⴉⴓⴐⴇⴞⴄⴅⴀ. ⴘⴄⴅⴈⴒⴗⴅⴄⴇ, ⴐⴍⴋ ⴖⴅⴇⴈⴑ ⴋⴀⴃⴊⴈⴑ ⴘⴄⴜⴄⴅⴌⴈⴇ, ⴃⴀⴂⴈⴒⴍⴅⴄⴁⴈⴀⴇ ⴈⴑ ⴘⴄⴚⴇⴍⴋⴈⴊⴄⴁⴀⴌⴈ, ⴐⴀⴘⴈⴀⴚ ⴘⴍⴁⴈⴊ ⴃⴀ ⴀⴖⴆⴐⴃⴈⴊ ⴈⴗⴀⴅⴈⴇ ⴃⴀ ⴋⴈⴂⴈⴖⴈⴀⴇ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄ ⴑⴀⴐⴜⴋⴓⴌⴍⴄⴁⴀ; ⴐⴍⴋⴊⴈⴑ ⴂⴀⴐⴄⴇ ⴘⴄⴓⴛⴊⴄⴁⴄⴊⴈⴀ ⴚⴞⴍⴌⴄⴁⴀ ⴃⴀ ⴑⴀⴅⴑⴄ ⴞⴀⴐⴇ ⴂⴓⴊⴋⴍⴃⴂⴈⴌⴄⴁⴈⴇⴀ, ⴐⴀⴇⴀ ⴃⴀⴈⴚⴅⴀⴇ ⴃⴀ ⴂⴀⴌⴀⴅⴐⴚⴍⴇ ⴄⴑⴄⴅⴄ ⴑⴀⴐⴜⴋⴓⴌⴍⴄⴁⴀ. ⴋⴀⴑⴇⴀⴌⴅⴄ ⴅⴑⴚⴀⴌⴈⴇ,ⴐⴍⴋ ⴑⴕⴈⴆⴋⴀⴒⴈⴉⴍⴑⴄⴁⴈⴑ ⴋⴈⴄⴐ ⴂⴀⴋⴀⴐⴇⴓⴊ ⴔⴈⴚⴞⴄⴊⴈⴑ ⴃⴄⴅⴌⴈⴊⴍⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴋⴞⴌⴄⴃ ⴃⴀⴂⴈⴔⴀⴐⴀⴅⴇ ⴑⴀⴋⴍⴚⴈⴕⴓⴊⴍ ⴋⴈⴑⴈⴍⴌⴄⴐⴈ ⴉⴀⴎⴓⴚⴈⴌⴄⴁⴈ ⴃⴀ ⴄⴂⴐⴄⴇⴅⴄ ⴈⴑⴈⴌⴈ, ⴐⴍⴋⴊⴄⴁⴑⴀⴚ ⴇⴕⴅⴄⴌⴈⴑ ⴋⴈⴋⴀⴛⴅⴈⴇ ⴋⴈⴓⴖⴈⴀⴇ ⴈⴂⴈⴅⴄ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄ ⴑⴀⴐⴜⴋⴓⴌⴍⴄⴁⴀ. ⴑⴀⴇⴌⴍⴃ ⴅⴐⴀⴚⴞⴇ, ⴐⴍⴋ ⴀⴋ ⴜⴄⴐⴈⴊⴈⴇ ⴙⴅⴄⴌⴈ ⴃⴈⴃⴈ ⴋⴀⴃⴊⴍⴁⴀ ⴂⴀⴋⴍⴂⴈⴚⴞⴀⴃⴍⴇ, ⴐⴀⴇⴀ ⴀⴋⴌⴀⴈⴐⴀⴃ ⴐⴍⴂⴍⴐⴋⴄ ⴅⴓⴎⴀⴑⴓⴞⴍⴇ ⴋⴀⴂ ⴇⴕⴅⴄⴌⴑ ⴓⴃⴈⴃⴄⴑ ⴖⴈⴐⴑⴄⴁⴀⴑ. ⴋⴀⴑⴇⴀⴌⴅⴄ, ⴐⴍⴂⴍⴐⴚ ⴈⴋⴄⴃⴈ ⴂⴅⴀⴕⴅⴑ, ⴓⴄⴝⴅⴄⴊⴈⴀ, ⴓⴔⴐⴍ ⴘⴄⴂⴓⴊⴈⴀⴌⴃⴄⴇ ⴃⴀ ⴘⴄⴄⴜⴈⴍⴇ ⴃⴀⴓⴚⴞⴐⴍⴋⴄⴊⴀⴃ ⴞⴑⴄⴌⴄⴁⴓⴊ ⴋⴈⴑⴈⴍⴌⴄⴐⴄⴁⴑ ⴃⴀ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄⴁⴑ. ⴐⴀⴇⴀ ⴀⴋ ⴋⴈⴆⴀⴌⴑ ⴄⴜⴈⴍⴇ, ⴑⴀⴝⴈⴐⴍⴃ ⴅⴐⴀⴚⴞⴇ ⴘⴄⴓⴄⴐⴇⴃⴄⴇ ⴂⴈⴍⴐⴂⴈ ⴋⴄⴔⴄⴑ. ⴀⴋⴈⴇⴈ ⴙⴅⴄⴌ ⴃⴈⴃⴀⴃ ⴂⴅⴀⴑⴈⴀⴋⴍⴅⴌⴄⴁⴇ, ⴋⴀⴑⴇⴀⴌⴅⴄ ⴄⴚⴀⴃⴄⴇ, ⴐⴍⴋ ⴃⴀⴓⴐⴖⴅⴄⴅⴊⴀⴃ ⴃⴀⴈⴚⴅⴀⴇ ⴄⴂ ⴋⴄⴂⴍⴁⴐⴍⴁⴀ. ⴀⴋⴈⴑ ⴈⴋⴄⴃⴈ ⴂⴅⴀⴕⴅⴑ ⴃⴀ ⴗⴍⴅⴊⴈⴑ ⴑⴈⴉⴄⴇⴈⴑ ⴋⴍⴋⴌⴈⴝⴄⴁⴄⴊ ⴖⴋⴄⴐⴇⴑ ⴅⴑⴇⴞⴍⴅⴇ ⴇⴕⴅⴄⴌⴈ ⴉⴄⴇⴈⴊⴘⴍⴁⴈⴊⴍⴁⴈⴑⴀⴇⴅⴈⴑ ⴓⴞⴅⴀⴃ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴑⴓⴊⴈⴄⴐⴑ ⴃⴀ ⴞⴀⴜⴓⴇⴐⴍ ⴑⴈⴉⴄⴇⴄⴑ. ⴋⴀⴑⴇⴀⴌⴅⴄ ⴙⴅⴄⴌⴈⴑ ⴋⴀⴋⴄⴁⴐⴈⴅⴈⴑ ⴑⴈⴗⴅⴀⴐⴓⴊⴈⴇ ⴂⴀⴌⴈⴝⴄⴁⴇ ⴋⴍⴚⴈⴕⴓⴊⴄⴁⴐⴈⴅ ⴉⴓⴐⴇⴞⴄⴅⴀⴑ. ⴐⴍⴋⴈⴇ, 7 ⴇⴄⴁⴄⴐⴅⴀⴊⴑ, 1692 ⴜⴄⴊⴑⴀ. ⴙⴅⴄⴌⴈ ⴋⴖⴅⴃⴄⴊ-ⴋⴇⴀⴅⴐⴍⴁⴈⴑ ⴋⴄⴍⴐⴄ ⴜⴄⴊⴑ“[1].

იმ დროს, როცა კათოლიციზმს ყველაფერი უდიდეს წარმატებას აღუთქვამდა, ანუ ამ ქვეყნის ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებას მოასწავებდა, სპარსელების ვერაგობის შედეგად საქართველოში გადატრიალება მოხდა. გიორგი მეფე, რომელიც დიდი ხანია მტარვალებისგან თავის დაღწევას ცდილობდა, იძულებული გახდა, გაქცეულიყო და სამეფო ტახტი სხვისთვის დაეთმო. მოგვიანებით ის სპარსეთში გამოიძახეს, საიდანაც მონღოლეთის მახლობლად, ყანდაარს გაგზავნეს როგორც მეფისნაცვალი. მეფე გიორგი ბოლომდე გულმხურვალე კათოლიკე დარჩა. გვერდიდან არასოდეს იშორებდა ორ კაპუცინ პატრს. 1711 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში მზაკვრული ღალატის მსხვერპლი გახდა. სიკვდილის წინადღეს თურმე ზიარება მიიღო[2]. გიორგის ძმისწულმა და მემკვიდრემ ხოსრო-ხანმა (ხოსრო-მირზა), ისპაანის დიდ მსაჯულად ყოფნის დროს მასავით ჯერ მაჰმადიანობა მიიღო, შემდეგ დაგმო ეს სარწმუნოება და თვითონაც კათოლიკობას ეზიარა. 1708 წელს პაპს თავისი გაკათოლიკების ამბავი მისწერა. 1711 წლის 24 იანვარს პროპაგანდამ პასუხი გამოუგზავნა, თან

1 ლათინური ტექსტი მიქაელ ტუჯიოელის დასახ. ნაშრომი, ციტ. ადგ. გვ. 241. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 287-288.

2 იხ. **P.T. Krusinski**, Tragica vertentis belli Persici historia, Lemberg, 1740, გვ. 273.

ათანადო დარიგებები მოაყოლა[1]. სპარსეთში მყოფი საფრანგეთის კონსული მინისტრთან გაგზავნილ წერილში სხვა ამბებთან ერთად ამ ქართველი მეფის შესახებ იუწყებოდა:

„სარდალი ხოსრო-ხანი ძმისწული იყო გიორგი-ხანისა (გიორგი მეფე), რომელიც მისსავე კარავში მოაშთომინა მირვეის. ერთიც და მეორეც ქართველები და რომის კათოლიკენი იყვნენ. ხოსრო კათოლიკური სარწმუნოების სიყვარულით ისე იყო ანთებული, როდესაც ყანდაარს გარშემო ჯარი ერტყა, თავის კარავში წირვას ასრულებინებდა; ამისთვის მას მუდამ თან ჰყავდა სამი ფრანგი მონაზონი“[2].

ამ ქართველი მეფის წერილთან ერთად რომს გაიგზავნა მისი ძმის, ზემოხსენებული საქართველოს პატრიარქის დომენტის[3] წერილი.

დაახლოებით იმავე დროს, 1708 წელს, პაპმა კიდევ ერთი მორჩილების წერილი მიიღო საქართველოს მეფე ლევანისაგან, რომელიც პატრიარქ დომენტისა და ხსენებული ხოსრო-მირზას მამა იყო. ისიც ასევე, თავისი მტრების მზაკვრობის გამო სპარსეთს იმყოფებოდა როგორც მძევალი. წერილში მეფე ლევანი თავის თავს „მთელი სპარსეთის უზენაეს მსაჯულს და საქართველოს მეფეს“ უწოდებს. სამეფო წილად ხვდა თავისი ძმის — გიორგის განდევნის შემდეგ. ისიც ასევე აიძულეს მაჰმადიანობა მიეღო, მაგრამ მალე დაგმო სარწმუნოება და კათოლიკობას ეზიარა. სწორედ ამის შესახებ წერდა ის პაპს[4].

ლევან მეფის წერილზე რომიდან გამოგზავნილი პასუხი ვერ აღმოვაჩინეთ, შეიძლება იმიტომ, რომ ამის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა — 1709 წელს[5].

---

1 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. C, გვ. 17 და 21. იხ. Acta S.C., 1708, №30, გვ. 462, იქვე, ტ. XCVII, გვ. 212.

2 Mémoire sur la révolution de Perse, Paris, საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს არქივები, ტ. VI, გვ. 346.

3 იხ. XIII თავი, გვ. 375-377.

4 „მისი უწმინდესობა თქვენს უნეტარესობას უგზავნის ვინმე ლევანის მიერ მიწერილ წერილს. ეს გახლავთ მთელი სპარსეთის უმაღლესი მსაჯული და საქართველოს მეფე. იგი ჩვენს ბატონს აცნობებს, რომ სპარსეთის შაჰთან დაახლოებული მტრები დევნიან, იქ თავისი ძმის მძევლად იმყოფება, რომელიც შაჰის ვასალურ საქართველოში მეფობდა. ასეთი დევნის თავიდან აცილების მიზნით თავი გარეგნულად თურქად მოაქვს, თუმცა მას მერე, რაც საქართველოში კაპუცინი მისიონერი მამების შეწევნით შეიცნო თავისი და აგრეთვე ბერძნების შეცდომები, რომლებმაც მის ერშიც იჩინეს თავი, აღიარებს ჭეშმარიტ კათოლიკურ სარწმუნოებას, თავს რომის ეკლესიისა და პაპის მორჩილ შვილად აცხადებს და მისგან თავისი შეცდომების მიტევებასა და ლოცვა-კურთხევას ითხოვს..“ Arch. de la Propag., Acta S. Congregationis de Propag., 1708, № 31. Giorgia, 26 ნოემბერი, თებერვალი, გვ. 679.

5 იხ. Brosset, Histoire moderne de la Géorgie, II ნაწილი, II ნაკვეთი, გვ. 11-12 და 30.

აქ ასევე უნდა მოვიხსენიოთ გიორგი მეფის ერთ-ერთი ძმა, სახელად არჩილი — იმერთა მეფე, რომელიც, მტრების მიერ გაძევებული, მოსკოვს ჩადის და 1688 წელს ერთ იეზუიტ პატრს ავალებს, რომს მისწეროს, მის სამეფოში გამოგზავნონ მისიონერები, რადგან სურს, გაკათოლიკება და ამ მიზნისთვის მზად არის ელჩიც კი გაუგზავნოს პაპს[1]. არჩილ მეფის თხოვნის შედეგად ორი იეზუიტი, დაახლოებით 1690 წელს[2], მოემართება იმერეთს, მაგრამ რა მოიმოქმედეს მათ იმერეთში, არაფერი ვიცით.

საქართველოს ხელისუფალთა ხშირმა ცვლილებამ ბარძიმ ერისთავს შესაძლებლობა არ მისცა თავისი დიდი ხნის საწადელი განეხორციელებინა — მთელი საქართველო რომის კათოლიკურ ეკლესიასთან გაეერთიანებინა. თავი მაინც არასოდეს დაუზოგავს, სიცოცხლის ბოლომდე გულმხურვალე კათოლიკე დარჩა და რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა ჭეშმარიტი რჯულის საქადაგებლად.

## VI. — თავად საბას გაკათოლიკება. პაპთან გაგზავნილი მისი წერილი. მისიონერ რიშარს საბა საფრანგეთში მიჰყავს და მის შესახებ წერილით მოახსენებს საფრანგეთის მინისტრ ტორსის. საბა წერილს სწერს პროპაგანდას; პროპაგანდა უპასუხებს და რეკომენდაციას უწევს პარიზში პაპის ელჩთან. მოხსენებითი წერილები საფრანგეთის მთავრობას. ლუი XIV ღებულობს საბას, რომელიც მიემგზავრება რომს, შეხვდება პაპს და მოხსენებას წარუდგენს პროპაგანდას. საბა ახერხებს, პაპმა ეპისტოლე მისწეროს ვახტანგ მეფეს. საბას დაბრუნება საქართველოში და პაპის ეპისტოლე

მიუხედავად უამრავი სიძნელისა, რასაც ქვეყანაში არსებული მუდმივი პოლიტიკური ძვრები უქმნიდა მისიონს, კათოლიკურ სარწმუნოებას კვლავაც ღებულობდნენ, განსაკუთრებით ქართველი დიდებულები. აქ უნდა მოვიხსენიოთ ერთი მათგანი, რომლის გაკათოლიკების ამბავი არა მარტო საქართველოში, ევროპაშიც გახდა ცნობილი, რადგანაც კათოლიკური სარწმუნოების მიღების შემდეგ მან ბევრი სამეფო კარი მოიარა, რომ სარწმუნოებასა და თავისი ქვეყანას გამოდგომოდა. ეს კაცი გახლდათ თავადი სულხანი (ბერობაში „საბა“),

1 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. LXXVIII, გვ. 63; Ph, Avril Voyage en divers Etats d'Europe et d'Asie, გვ. 277.

2 იხ. იქვე, Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №116, Carlos Sommervogel, S.J., Bibliothèque de la Compagnie de Jésus, Paris, ტ. III, 1892, გვ. 1621.

ორბელიანების[1] სახელგანთქმული გვარის შთამომავალი, განთქმული განსწავლულობითა და სისპეტაკით. ის მთელს საქართველოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა.

დაწერილებითი ცნობები საბას კათოლიკედ მოქცევის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ პროპაგანდისადმი 1714 წელს წარდგენილი ერთი მოხსენების მიხედვით კათოლიკობა 1701 წლისთვის უნდა მიეღო[2]. უფრო თავისუფლად რომ ელიარებინა ეს სარწმუნოება, უზარმაზარი ადგილ-მამულები დაუტოვა ძმებს, ცოლსაც კი გაშორდა და ბერად შედგა წმინდა ბასილის წესით, რომელიც მაშინ იყო გავრცელებული საქართველოში. სხვადასხვა არქივში მრავალი საბუთი შევკრიბეთ იმ კავშირ-ურთიერთობის შესახებ, რომელიც რომთან და საფრანგეთის მეფესთან ჰქონდა, აქ უმთავრესებს დავიმოწმებთ.

აი, საბას პირველი წერილი, რომელიც პაპ კლემენტ XI-ს გაუგზავნა:

**„წმინდა პაპასა რომისასა, მეათერთმეტეს კლემენტოსს.**

ზეცისა სასუფეველისა კლიტეთა მპყრობელსა ქვეყანასა ზედა წმიდათა შესაკრებელთა თავსა, თავისა მის მოციქულისა პეტრეს მოსაყდრესა, იესოს ქრისტეს სისხლით მოსყიდულთა ცხოვართა მართალსა მწყემსსა, წმიდათა უაღრესსა ცრემლით და შევრდომით აღუარებ ყოველთა ცოდვათა და ვევედრები წმიდათა ფერხთა მთხვეველი მეუღლითურთ ჩემით, მინდობილნი მაღლისა მაგათისანი, რათა ცოდუათა ჩუენთა სიმრავლეთა აღკოცაჲ ევედროს ღმერთსა და წმიდა კურთხევა მათი მოგვფინოს და ლოცვა ყოს ჩუენ უღირსთათვის,რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა ზედა შეურყეველად. სიტყვით და საქმით. უწყით რამეთუ შენ გაქუს ხელმწიფება მიტევებად ცოდვათა, რომელიც მოგცა განჴსნა და შეკვრა იესო ქრისტემან.

თქვენის მაღლის მფარველობითა და უხილავ მტერსა ზედა მომეხმარე, თუ არა ხილულს მტერს ჩემზედ არა შეუძლია რა.

---

1 ორბელიანები ჩინური სამეფო გვარის ჩამომავლები არიან. ერთი ამბოხების დროს, ჩვენს ერამდე რამდენიმე საუკუნის წინ, ისინი თავიანთი ქვეყნიდან გაიქცნენ და საქართველოში მოვიდნენ. მათმა მამამთავრებმა ქართველებს დიდი დახმარება გაუწიეს სპარსელებთან ბრძოლაში. საქართველოს მეფემ მადლიერების ნიშნად მათ მთავარსარდლის წოდება უბოძა, შემდგომში კიდევ სხვა წყალობანი; ამრიგად, მეფის შემდეგ საქართველოში ყველაზე უფრო პატივცემული პირნი ორბელიანები იყვნენ. ისინი დასახლდნენ ორბეთს, საიდანაც მომდინარეობს მათი გვარი. მოგვიანებით, X საუკუნეში, ორბელიანთა ერთი შტო გადასახლდა სომხეთს, საქართველოში პოლიტიკური ძვრების გამო. იხ. Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. 1, გვ. 29 და მომდევნო გვერდები. Additions, გვ. 213. Saint–Martin, Mémoires sur l'Arménie, ტ. II, გვ. 191 და მომდევნო გვერდები.

2 იხ. Arch. de la Propag., Acta S.C., 1714 წ. №32, Georgia, გვ. 442.

ოღონდ ეს ვინცავინ აქ მართმადიდებელნი არიან ამათზედ თქვენი ლოცვა და საქმითაც მოხმარება იყოს ხილულის მტრებისგან დიდ ჭირს არიან. ყოველთ ცოდვილთ უღირსი ორბელისშვილი სულხან ყოფილი მონაზონი საბა, მიწა ფერხთა თქვენთა 1709 წ. აგვისტოს 11“[1].

ეს ქართველი თავადი სურვილით იწვოდა, თანამემამულეები კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექცია, რომელზეც თვითონ ფრიად გულმხურვალედ მოექცა. როგორც ბერი, თავს განსაკუთრებულად გრძნობდა მოვალედ, თითოეული ქართველი ჭეშმარიტი ეკლესიისთვის ეზიარებინა, მაგრამ მარტო არ შეეძლო ამ დიდი საქმის განხორციელება. რაკი ხედავდა, საქართველოში კაპუცინები ცოტანი იყვნენ და საკმაო უნარი არ ჰქონდათ ჭეშმარიტებას მოწყურებული ქართველი ხალხი დაეკმაყოფილებინათ, სულ იმას ფიქრობდა, რა ეღონა თანამემამულეთა საკეთილდღეოდ, ამ მიზნის ხორცშესხმა კი შეუძლებელი იქნებოდა, თუ მუდმივად საქართველოში დარჩებოდა. საბა გრძნობდა, რომ საჭირო იყო, სამშობლოს გარეთ ემოქმედა და აი, ეს ბედნიერი დღეც დადგა.

წმიდა ლაზარეს წესის ერთი მონაზონი, რიშარი, რომელიც მისიონერად იმყოფებოდა სპარსეთში, შაჰის დავალებით საფრანგეთს მიემგზავრებოდა მნიშვნელოვანი საქმეებისათვის. გზად საქართველოში გამოიარა და ინახულა ბერმონაზონი საბა მისი დისწულის, საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის დავალებით, რომელიც იმ დროს სპარსეთს ჰყავდათ, რადგან არ ისურვა ქრისტეს რჯულს განდგომოდა[2]. საბამ სურვილი გაუმჟღავნა რიშარს და ევროპაში წაყვანა სთხოვა. რიშარიც დათანხმდა იმ მეგობრობისა და სიკეთის სანაცვლოდ, რაც საბამ გამოიჩინა მის მიმართ. საბა გაჰყვა მისიონერ რიშარს. თავი ისე ეჭირა, თითქოს მხოლოდ შავ ზღვამდე აცილებდა სტუმარს, რადგან იცოდა, თავისიანები ხელს შეუშლიდნენ (ვინაიდან მეფე ტყვედ იყო და მეფის ოჯახზე ზრუნვა საბას ევალებოდა, ქვეყნის მნიშვნელოვან საქმეებსაც ის განაგებდა). საბას მაინც გაუგეს განზრახვა და ყოველნაირად ეცადნენ, უკან დაებრუნებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მტკიცე იყო საბას გადაწყვეტილება. როდესაც სამეგრელოს მივიდნენ, საბამ თავისი მოგზაურობის ამბავი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს გაანდო. კათალიკოსს დიდი ხანია სურდა კათოლიკური სარწმუნოების მიღება. ამიტომ შეევედრა საბას, ისე მოეხერხებინა, რამდენიმე მისიონერი მისთვისაც გამოეგზავნათ დასავლეთ საქართველოში, რომელთა დახმარებით მასთან

1 ორიგინალი იტალიურ თარგმანითურთ დაცულია პროპაგანდის არქივებში. Scritture non riferite, Monte Caucaso – Georgia, ტ. II, №2, იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 311-312.

2 რეგენტი იყო 1703 წლიდან 1718 წლამდე, ხოლო მეფე — 1719 წლიდან 1739 წლამდე.

ერთად ყველა მორწმუნე რომის კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდებოდა. როგორც XIII თავში ვნახეთ, კათალიკოსმა მიზანშეწონილად ცნო, საბასთვის საკუთარი წარმომადგენელი — თავისი მდივანი ბერი — გაეყოლებინა, და სამივენი თავიანთი



ბერი საბა ორბელიანი, სანკტ-პეტერბურგის აკადემიაში დაცული ქართული ხელნაწერის მიხედვით.

მხლებლებითურთ გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლს. ამ ქალაქიდან მისიონერმა რიშარმა საბას საქმიანობაზე საფრანგეთის მინისტრს ეს წერილი მისწერა:

„მინისტრ ტორსის,

მოწყალეო ხელმწიფევ... ერევნიდან წაველ საქართველოში, ტფილისს, საცა მფლობელადაა ძმა ვახტანგ მეფისა, რომელიც არის ისპაჰანს; ორი კვირა თავისთან დამიჭირა, შემდგომ რამდენიმე აფიცერი მომცა, რათა გამომყოლოდნენ შავ ზღვამდე. რა გავიარე გორში, იქ დამხვდა სულხან-საბა, ბიძა საქართველოს მეფისა. რამდენიმე წელიწადია, რაც მონაზონობის სამოსელი შეიმოსა წმიდა ბასილის წესით. მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი საკუთრება იყო. ამიტომ ჰყო, რათა უფრო ადვილად აღეარებინა კათოლიკე სარწმუნოება.

ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი ოჯახი. ამისთვის ისეთს პატივს სცემენ და ისე უყვარსთ, როგორც საკუთარი მამა. ეგრეთვე მთელ საქართველოსაც მამად მიაჩნია. ისპაჰანიდგან მიიღო თავისი წერილის პასუხი, რომელიც ხელმწიფემ კეთილინება და გამოუგზავნა. რაც მისმა საფრანგეთის მიმართ სიყვარულმა ჩააგონა, ყოველი პატივი მცა. შემდგომ მევრის აფიცრებით და მოსამსახურეებით შავ ზღვამდე გამომყვა სამეგრელოს გზით. ამ დროს ამან ვახტანგისგან წერილი მიიღო და გამომიცხადა, რომ დიდი ხანია ხელმწიფის (ლუდოვიკოს) ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არც მექნებაო და ამიტომ მთხოვა, თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან რაც ამაგი მისიონებს მივაგე, თუ დამიფასო, თან წამიყვანეო.

მისმა მხლებლებმა შეიტყეს მისი განზრახვა თუ არა, მაშინვე აცნობეს დედოფალს, რომელმაც სასწრაფოდ ოცდაათზე მეტი შიკრიკი გამოუგზავნა და ეგრეთვე ის მატონები მამულებისა, სადაც უნდა გაგვევლო.

დედოფლის, ახალგაზრდა მაქარის, ვახტანგის პირველი შვილის და ზოგიერთი აფიცრების წერილებმა გული მეტად აუჩვილა ამ თავადს. ისინი უცხადებდნენ, რომ დედოფალმა რა შეიტყო თქვენის წასვლის ამბავი, მეტის ტირილით სიკვდილის პირად არისო. თავადმა ყველა ანუგეშა, მალე დავბრუნდებიო და განვაგრძეთ ჩვენი მგზავრობა.

სამეგრელოს და სხვა პროვინციების პატრიარქი შავ ზღვამდე წამოგვყვა. წინათ ამ პატრიარქმა მევრგზის გამომიცხადა კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების სურვილი. მთხოვა გამომეგზავნა მისიონერები სამი ადგილისათვის, რადგან უნდოდა დაეყენებინა სამეგრელოსა, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში. ამას აზრად აქვს სარწმუნოება განავრცელოს ჩერქეზთა შორისაც და ეგრეთვე სხვა მახლობელ პროვინციებში, სადაც სულ წარმართები არიან. ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენს საუბარს და შეაგულიანა პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ წამოჰყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოვგზავნიდი. მისივე რჩევით, ერთი კარგი ადვილი გზა ვიპოვეთ ჩვენ ვაჭარ ფრანგებისათვის,

რომლებიც ისურვებენ კონსტანტინოპოლიდან შავის ზღვით საქართველოსა და სპარსეთს წასვლას.

მოვედით რა კონსტანტინეპოლს, მატონი სულხან საბა და ეს მონაზონი მივიყვანე მატონ დეზალიერთან ელჩთან, რომელმაც მეტის მეტი გულკეთილობით მიიღო და საბაც დარწმუნდა, რომ რაც გაეგონა კონსტანტინეპოლში მყოფის საფრანგეთის ელჩის დიდებისა, სულ მართალი ყოფილაო. ყველაფერმა განაკვირვა იგი. მაგრამ ძალიან გაეხარდა, როდესაც ჩვენი საბრალო ტყვე-ფრანგები, რომლებიც ელჩმა ისე კარგად მიიღო. მათმა დახსნამ ძლიერ გაახარა საბა, უფრო იმიტომ, რომ ზემო ქართლში, საუბედუროდ ჩვეულებად აქვთ ერთმანეთი თათრებს მიჰყიდონ ხოლმე. მატონმა დეზალიერმა თავის სასახლეში ბინა მოგვცა და პირველ ხელსაყრელ შემთხვევაშივე გამოგვისტუმრებს... ჟ.რიშარდი, მისიონერი, კონსტანტინეპოლი 17 ნოემბერს 1713 წ".[1]

როდესაც რიშარი, საბა და დავითი გემით მივიდნენ მარსელში, რიშარმა საფრანგეთის მინისტრს ტორსის ეს მეორე წერილი გაუგზავნა:

„მოწყალეო ხელმწიფევ,

მგზავრობამ ეგოდენათ დამღალა, რომ იძულებული გავხდი ერთი სხვა საიმედო პირის საშუალებით მომეწერა თქვენის დიდებულებისათვის და მეუწყებინა,რომ იანვრის 23-ში მოვედით მარსელს მე და წმიდა ბასილის წესის მონაზონი საბა-სულხანი, ბიძა საქართველოს მეფისა. ამას მოაქვს პასუხი იმ წერილებისა, რომელიც კეთილ ინება და მისწერა ხელმწიფემ და თქვენმა დიდებულებამ.

მატონმა არნუმ კეთილინება და ისეთის პატივით მიიღო, როგორათაც მოითხოვს ამისი ჩამომავლობა და ღირსება. იმანაც იმნაირივე პატივი სცა, როგორც კონსტანტინეპოლში მატონმა დეზალიერმა... იმედი მაქვს, რომ მატონი არნუ თქვენს დიდებულებას უკვე აცნობებდა აქ მატონ სულხან-საბას მოსვლას და მის ნატვრას მეფის ნახვისას, რის გამო მარსელში მეტხანს დარჩენა არ უნდა. გარნა დიდათ მაფიქრებს მგზავრობისგან მისი დაღალვა, მისი ხანში შესულობა, ზამთრის სუსხი და ეგრეთვე მომავალი დიდმარხვა, რომელიც კიდევაც დაწყებული იქნება, ვიდრე თქვენი ბრძანება მოვიდოდეს. გარნა ისე მოვიქცევი, როგორც თვით ინებებს და ჩემის მხრით, რაც შემიძლია, სითრთხილის ზომებს ვიხმარ, რათა გზაში ავად არ გახდეს.

ვგონებ, თქვენს დიდებულებას მატონი დეზალიერი აუწყებდა, რომ ამ მატონს სამეგრელოდან წამოჰყვა ერთი მონაზონი, რომელმაც თავისი პატრიარქის ბრძანებისამებრ უნდა წაიყვანოს ფრანგი მისიონერები თავის ქვეყანაში; მათ პატრიარქი მისცემს სამ სახლს – ერთს სამეგრელოში, ერთს აბაშიძეებთან (იმერეთში) და მესამესაც აფხაზეთში,

1 საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივები პარიზში, ტ. III, გვ. 78-80. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 312-313.

სადაც წარმართები არიან და მეზობლადაც წარმართი ჩერქეზები ჰყავთ.
სამეგრელოში ამ პატრიარქთან 40 დღეს დავრჩი. ძლიერ კაი ხასიათის და გონიერი კაცია. კათოლიკე სარწმუნოების სიყვარულით და ეგრეთვე ჩემის პატივისცემით მევრგზის მეხვეწა, რათა მისთვის მომეყვანა მისიონერები. მეც მის მრავალგზის განმეორებულ ვედრებას უარი ვეღარ ვუთხარი და ამიტომ ვიკისრე ეს მონდომილობა. მას რა ვაცნობე ეს ჩემი თანხმობა, მომანდო წამომეყვანა ხსენებული მონაზონი, რომელსაც ძალიან ენდომა და დიდი იმედიცა აქვს, რომ ამან შეისწავლოს ჩვენი ენა და შემდგომ ასწავლოს თავისი ენა იმ მისიონერებს, რომლებიც ამას წაჰყვებიან... ჟ.რიმარდი. მარსელი. 1 თებერვალი 1714 წ.“[1]

თავის მხრივ საბამ მარსელიდან პროპაგანდის წინამძღვარ კარდინალს ეს წერილი მისწერა:

„დიდსა და ღირსს უფალსა!

დიდებულო, ვიცი რომ თქვენ ვერ მიცნობთ. მე თქუენის სამსახურის ღირსი, სულხან-საბა ორბელიანი, წმიდისა ბასილის მონაზონთაგანი, სიწმიდისა თქვენისა მოხსენებას ვიკადრებ. თქვენს ღირსეულებას რომ პატრი კაპუჩინები ჩვენს ქვეყანას გამოეგზავნა, მათგან შევიტყვე, რომ თქუენ მართლის სარწმუნოების გამრავლებას დიაღ ცდილობთ ჩუენს ქვეყანას. ამისათვის დიდად მადლს გარდავიხდი და თქუენს სიწმიდეს თაყვანსა ვსცემ სრულ ქართველიანად.

რადგან მაღალსა და დიდად ქრისტიანს დიდებულს ფრანცისის მეფეს ჩვენის მეფისათვის წიგნი მოეწერა, მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ. მერმე ამისი ნდომა მაქვს, რომ უფროსად წმიდისა პაპისა ფეხს კოცნა მეღირსოს; მაგის ბრძანებით უფრო მეტი პატრები გაიგზავნოს, რომ ჩვენს ქვეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს. იმისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანცისის დიდი მეფე ჩვენი მეფის მოხმარებას ეცადოს. რომ თავის უნდომლად აჯამშია და ის თავის ქვეყანას მოვიდეს. მისი საქმე ვიცი გუნებით და სიყვარულით ახლოა ამ წმიდა რჯულზე. და მალე ის გაამრავლებს.

ეს ვიცი თუ უფროსად წმიდა მამა ჩვენი თავის შვილს ფრანცისის მეფეს ტკბილად ასწავლის და ფრანცისის მეფე მოინდომებს, ჩუენს მეფეს უშველება. თუ ამ წყალობას გვიზამთ, ჩუენთვის დიდი საქმე იქნება, რომ მე მოვალე ვარ ქართველთათვის.

1 იქვე, გვ. 93. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 314-315.

ღირსო პატრო უფროსო იაჯინთო, წმიდის ტერეზიას პატრების მთავარო, მარჩილიას დამხვდა. თავის მონასტერში დამაყენა და დიდად ხელი შემიწყო. ჩუენგან რა სამსახური გაეწყობა, მადლს მოვახსენებ. შევიტყე, რომ თქვენი ღირსი ძმა ყოფილა, რადგან ასე კარგა დამხვდა. ჩუენ წიგნი მას პატიოსანს მივეც, რომ თქუენს სანატრელს კელს მიერთვას. თქუენს ნეტარელს თავს ვეხვეწები, რომ უფროსად წმიდის პაპის შენდობა გვიშოვნოთ და გვიმთბოთ. 1714 წ. მარტის 11"[1].

საბას თხოვნა მხედველობაში მიიღეს რომში და ყველაფერი შეუსრულეს. პროპაგანდამ მას ეს წერილი გამოუგზავნა:

**„მამა სულხან-საბას, წმიდა ბასილის მონაზონს,**

გავლილი თვის 11-ის თქვენმა მოწერილმა წიგნმა დიდათ გამახარა, რადგან ვსცანი მით თქვენი მისწრაფება გასავრცელებლად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელიც უკვე მიგიღიათ და გინდათ განავრცელოთ იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეშე პროვინციებშიც. ყოველივე ეს ვაუწყე მატონ კარდინალებს, რომლებიც დიდად გავედრემენ და მზად არიან ყველა შემწეობა აღმოგვიჩინონ თქვენის კეთილის სურვილის შესასრულებლად. ამიტომ აქ მოგელიან, რათა თქვენის პირით მოისმინონ ყველაფერი და იხმარონ ყოველნაირი შესაფერი და საჭირო საშუალება ამ წმიდა აზრის განსახორციელებლად. აწ მათი უწმინდესობა პაპიცა, თქვენის თხოვნისამებრ, სთხოვს თავის ქრისტიანეს მეფეს, რათა საქართველოს მეფეს შეეწიოს. პაპის წერილს ვუგზავნით პარიჟში მყოფ ნუნციოს, რათა მან თქვენ გადმოგცეთ და თქვენის ხელით მიართვათ მათ ხელმწიფეს, მასთანვე ამავე ნუნციოს დაგავედრეთ თქვენ და თქვენი საქმე, ამიტომ იმედი გქონდეთ, რომ მაგ მთავრობის წინაშე დაგეხმაროს ყოველნაირად. მასთანვე დიდად გამეხარდა, რომ როგორც თქვენ თვითონ იწერებით, ფეხშიშველ კარმელიტანების უფროსისაგან მიგიღიათ ეგოდენი პატივი. ამნაირის ქცევით იმან აღასრულა თავისი მოვალეობა, რომელიცა ჰქონდა თქვენის ღირსების წინაშე. დასასრულ, გთხოვთ მომიხსენიოთ თქვენს ლოცვაში"[2].

---

1 ორიგინალი ლათინური თარგმანითურთ დაცულია პროპაგანდის არქივებში, Scritture non riferite, Monte Caucaso–Georgia, ტ. II, №2. იხ. Arch. Vat., Lettere di Principi, ტ. CCXV, გვ. 99. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 315.

2 Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CII, გვ. 93. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 318.

პროპაგანდამ ნუნციუსსაც გაუგზავნა სარეკომენდაციო წერილი[1]. პროპაგანდის ნუნციუსისა და განსაკუთრებით პაპის ასეთი შუამდგომლობის შემდეგ საბას თხოვნის ასრულება შესაძლებელი გახდა. პარიზში, სადაც საბა 1714 წლის აპრილის დამდეგს ჩავიდა, განსაკუთრებული შეხვედრა მოუწყვეს და ყოველგვარი პატივით და ყურადღებით აღავსეს[2]. მისი ჩამოსვლის გამო, ამავე თვის 25 რიცხვში, მთავრობას ეს მოხსენება წარუდგინეს:

„რომის კათოლიკური სარწმუნოების, ასევე ვაჭრობის საქმის დაფუძნება საქართველოს და მის მეზობლად მცხოვრებ ხალხში განადიდებს ჩვენი ხელმწიფის ძლიერებას, ხელს შეუწყობს საფრანგეთის ვაჭრობას ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით – თურქეთთან და სპარსეთთან.

თუმცა სულხან-საბა საფრანგეთს მისულა საკუთრივ თაოსნობით, მისმა წინადადებებმა და მოსაზრებებმა წარმოგვიჩინეს ის აზრი, რომ

---

1 იქვე, გვ. 94. აი, ეპისტოლე, უფრო სწორედ, ზემოხსენებული წერილი:

„ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელ შვილს ლუდოვიკს, ფრანგთა უქრისტიანეს მეფეს, პაპი კლემენტე XI.

ქრისტეს მიერ ჩვენო ფრიად საყვარელო შვილო, მშვიდობა. მთელმა საქრისტიანომ უწყის თუ მუდამ როგორ მზად ხართ, სადაც კი კათოლიკე სარწმუნოების დასაცველად და გასავრცელებლად მოითხოვების თქვენი გავლენა. ხშირად გვიქია და დაგვივედრებია ესეთი თქვენი წარჩინებული და ძველებური თვისება. ამიტომ სრულიად ეჭვი არა გვაქვს, რომ აღსწრაფებით და სიამოვნებით თქვენის ძლიერის მფარველობის ქვეშ მიიღოთ და თქვენი შეშწეობა აღმოუჩინოთ საქართველოს მეფეს, რომელიც ამ ჟამად სპარსეთის მეფის მიერ დატყვევებულია. როგორათაც ეხცანით, თუ ეს მეფე თავის სამშობლოში დაბრუნდა თავისუფლად, ცხადად აღმოუჩენს თავის გულკეთილობას კათოლიკებს და გულმოდგინებით მათ ყველანაირად შეეწევა და დიდი იმედიცა გვაქვს, რომ იქ კათოლიკე სარწმუნოება, ღვთის შეშწეობით, აღორძინდეს და დღითი-დღე წარემატოს. ამას დაწვრილებით სცნობთ წმიდა ბასილის წესის მონაზონის, ჩვენის საყვარელის შვილის, საბა სულხან ორბელიანისგან, რომელიც ნათესავია საქართველოს მეფისა და რომელიც გადმოგცემსთ ამ წერილს. აღგზნებული ღვთიურის სასოებით, მდაბლად და დიდის ვედრებით მოითხოვს თქვენს სამეფო მფარველობას. აწ დიდად ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, რომ ჩვეულებრივის სახიერებით მოუსმინოთ მას და აღმოუჩინოთ ყოველგვარი შეშწეობა ხსენებული მეფის განსათავისუფლებლად. ჭეშმარიტად ეს საქმე დიდად ღირსია თქვენის წარჩინებულის გულმხურვალებისა; ამით ჩვენ მეტად გვასიამოვნებთ და ღმერთიც გადღეგრძელებთ, ყველაზედ უმეტესად გაგაბედნიერებთ აქ და შემდგომ მოგაგებთ საუკუნო სასყიდელსა, რადგან ეს საქმე განსაკუთრებით შეეხება ღვთის დიდების საქმეს. აწ, ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო შვილო, ჩვენის მწყემსებრივის სიყვარულის ნიშნად სიამოვნებით განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. რომი, 13 აპრილი, 1714". Arch. Vat., Epistolae ad Principes, ტ. XC, გვ. 51. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 320.

2 „ქართველი თავადი, რომელიც ბოლო დროს ამ სამეფო კარზე იმყოფება, მეფის მთელი ოჯახის შემოსვლის შემდეგ, ამ დილას უფალ სამოციქულო (საყდრის) ნუნციოსაც ეწვია". Arch. Vat., Nunziatura di Francia, ტ. CCXXVII, 25 აპრილი, 1714 წ.

საქართველოსთან კავშირი დიდად შეუწყობს ხელს რომაული კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას, საყოველთაოდ განადიდებს ჩვენს საქმეს და ქვეყანას მოჰფენს ჩვენი ხელმწიფის ძლიერებას და სახიერებას, რომლის ჭეშმარიტი მიზანია თვისი გულმოდგინებით და მხურვალებით შეეწიოს გაჭირვებაში ჩავარდნილ მეფეთ და ასეთი მოქმედებით განადიდოს თავისი ქვეყნის ვაჭრობის საქმეც და ძირს დასცეს ჰოლანდიელნი...

როგორც ჩანს, სულხან-საბას საქართველოში გავლენა აქვს ხალხსა და მეფის სასახლეზე. ასევე, ეტყობა, რომ დიდი სასოება აქვს კათოლიკე სარწმუნოებისა და უნდა მიაღებინოს ეს სარწმუნოება თავის ქვეყნის მთელ ერს, რომელიც რომისგან განყრილიაო. თვითონ 22 წელიწადია, რაც კათოლიკობა მიიღო და შემდგომ გახდა მონაზონი, რათა უფრო თავისუფლად იღვაწოს შეერთებისათვის, ამიტომაც იმ სიშორიდან მოვიდა საფრანგეთს, რომ მოიპოვოს მისიონერები. საქართველოს პატრიარქი, რომელიც იმავე დროს პატრიარქია აფხაზეთისა, იმერლებისა და გურულებისა, რომელნიც სულ სხვადასხვა ხალხნი არიან, ამავე აზრით მას მიემხრო. ამ პატრიარქს უნდა ჯერ თვითონ შეისწავლოს კათოლიკობა და შემდგომ რომის ეკლესიას შეუერთოს ყველა ეს ქვეყნები. ისინი ამბობენ, რომ საქართველოს მეფე ვახტანგი ძლიერ ნატრობს მიიღოს და თვით მისცეს მაგალითი თავის ქვეშევრდომებს. გარდა ამისა ეს მეფე თავისი მეუღლის საშუალებით დაკავშირებულია სამ მთავართან, რომლებიც ჩერქეზეთს განაგებენ და რომლებიც ძმები არიან. ამის გამო შემდეგში ადვილი იქნება მოქცევა ამათი ქვეშევრდომებისა, რომლებსაც ვრცელი და მიუდგომელი ადგილი უკავიათ კავკასიონის მთების იქეთა მხარეს. ღრმად დასაჯერი და მოსალოდნელია ამ ერთა შეძენა. მით უფრო ადვილია, რადგან ეს ხალხი პატიოსანი, მშვიდი, ზრდილი, უცხოების ძლიერ პატივისმცემელი და შემწყნარებელია და არც ერთ სარწმუნოებას არ ადგანან: ზოგი ქრისტიანად უწოდებს თავს, ზოგი მაჰმადიანად და არც ერთმა და არც მეორემ იცის, თუ რა არის ის სარწმუნოება, რომელსაც თვითონ ვითომ აღიარებს. შეიძლება ითქვას, რომ ნელ-ნელა, ეს ერი მოაქციოს იმ კაცმა, რომელიც ახლა საფრანგეთშია. ეს საქმე ძლიერ ადვილია, ამიტომ ყურადუღებელი არ უნდა დარჩეს. ამის დასაწყობად და სისრულეში მოსაყვანად საჭიროა მხოლოდ საკმაო რიცხვი კარგად გამორჩეული მისიონერებისა, რომელთაც სხვა არაფერი უნდა ებიონ, თუ არ თავიანთი მისიონის კარგად აღსრულება. ცხადია, მარტო ეს მიზანი ჭეშმარიტად ღირსია მეფის დიდებისა, მისი გულმოდგინებისა და მხურვალებისა...“[1].

1 პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივები, Perse, ტ. III, გვ. 129; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 323-324.

ამ მოხსენებას მოსდევს თხრობა ვაჭრობის შესახებ საქართველოში და სხვაგან. თავის მხრივ, საბამაც წარუდგინა საფრანგეთის მინისტრს, გრაფ პონშანტრს მოხსენება მეფე ლუი XIV-თვის გადასაცემად.

„საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია, საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ დაბრუნდა თავის სამთავროში, ქართველები არა მარტო ქრისტიანედ დარჩებიან, არამედ კიდევ შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღთქვა, რომ მობრუნდება თავის სამშობლოში თუ არა, კათოლიკობა მიიღოს, რადგან იგი ამ თავის უბედურებას აწერს იმას,რომ აქამდე შეაყენა კათოლიკობის მიღება. მეფე ამას გარდა ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა.

რადგან ვუწყი, რომ საფრანგეთის დიდი იმპერატორი იმიტომ უჩენს თავის მფარველობას სარწმუნოებისათვის დევნილ მეფეებს, რათა განჰფინოს მთელ ქვეყანაზე ის სარწმუნოება, რომელსაც თვით ეგოდენის გულმხურვალებით აღიარებს, ამიტომ მეც ვუჩვენებ მას, თუ რაოდენ ადვილია კათოლიკედ მოქცევა მთელის ოცდაოთხის პროვინციისა, რომლებიც სავსე არიან ერით და ეგრეთვე მეზობელ სამთავროებსაც, რომლებიც წარმართობას მისცემიან.

აი, მხოლოდ ამ ერის ცხოვნების გამოა, რომ მე ვიკისრე ეს დიდი მგზავრობა, მოველ და ვემხობი ეკლესიის პირმშო შვილის ფერხთა წინაშე. იმედი მაქვს, რომ წერილმა წადილსა გვწიოს და დაავალოთ ყეინს, რათა თქვენის ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველოში გაგზავნოს. უკეთუ შეჰპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამო ყეინს დაავალებენ, რომ მალე აღასრულოს.

ამნაირი საშუალებით ვერავინ გაიგებს, თუ რა დახმარების აღმოჩენა ეწადა თქვენს იმპერატორობას; ხოლო ამის ასრულებას მიანდობთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულებად აქვთ ხოლმე, რომ, რომელსამე საქმის შესასრულებლად, ჯერ შეჰპირდებიან მარტო წერილით და არაფერს მისცემენ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ აასრულებენ. ამიტომ სპარსეთის გავლენიან პირთ ჯერ არაფერი უნდა მიეცეთ, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად.

დავასახელოთ, თუ რა გვარი დახმარება იქმნება საჭირო. საჭიროა 300.000 ეკიუ და კიდევ კმარა. მაგრამ საქართველოს მეფემ რა ჰქმნა ისეთი,. რომ ღირსი გახდეს ამ წყალობისა? ეს ერთი ქრისტიანე მეფეა და, იმის საბუთად, რომ ისიც ღირსია დახმარებისა, ასახელებს ბევრს მეფეებს და მთავრებს, რომელთაც სხვა და სხვა უბედურების დროს შეეწია და კვლავაც ეწევა ეგოდენის დიდებით მათი უქრისტიანესი

ხელმწიფემა. გარდა ამისა, ეს მეფე დიდათ ნატრობს თავის ერის ცხონებისათვის, გულწრფელად მიჰბაძოს კეთილ მაგალითს დიდებულ და მეტად გულუხვის ხელმწიფისას, რომელსაც სთხოვს შემწეობას. ხოლო ვერ მიბაძავს, უკეთუ მისი ძლიერი მფარველობა არ ექმნა.

გარდა ამ წყალობისა, რომელსაც ვახტანგისათვის ვთხოვ საფრანგეთის უძლიერეს იმპერატორს, კვალად მინდა მოვახსენო მას ყოვლად მდაბალი სათხოვარი სამეგრელოს პატრიარქისა. ამ ეპისკოპოსს მე დიდი ხანია ვიცნობ სათნო კაცად; როცა მის სამშობლოში გამოვიარე, დიდის ვედრებით მევედრა, რათა რვა ან ათი მისიონერი ვთხოვო მათ ხელმწიფემას, რომელიც ცნობილია მთელს აღმოსავლეთში ყველა მისიონერის მფარველად და შემწედ.

ამ პატრიარქის აზრი ეს არის, რომ შეუერთდეს წმიდა საყდარსა და მისიონერებთან ერთად ეცადოს აფხაზების მოქცევას. იმის საბუთად, რომ ყოველსავე ამას გულწრფელად მთხოვდა, თან გამომაყოლა მონაზონი დავით, რომელსაც ის უზომოდ ენდობა, ამან უნდა მიუყვანოს მას მისიონერები, რომელთა გამოგზავნასაც მოელის მათი ხელმწიფობის გულკეთილობისაგან... იმედის და მოწყალების თვალით გადახედოს ეგოდენ გაჭირვებულ მხარეებს (პროვინციებს). მას ადვილად შეუძლია ამათგან ზოგს გააცნოს ჭეშმარიტი ღმერთი და ზოგიც ეკლესიის მორჩილი გახადოს.

ამ აზრის განსახორციელებლად ყველაზე მეტად ბუნებრივი და, შეგვიძლია ვსთქვათ, ერთად ერთი საშუალება ის არის, ვახტანგი დაბრუნდეს თავის სამეფოში. რადგან მას იჭერენ ისპაჰანში სპარსეთის მოწინავე პირნი, რომელთაც ყეინი თავის ნებაზე დაჰყავთ და აგონებენ, თუ თავისი სარგებლობა უნდა, არ გაუშვას ვახტანგი საქართველოში. ამიტომ საჭიროა იმ პირთა გულის მოგება, რის ქმნაც შეიძლება საჩუქრებით. ხოლო ამ საჩუქრების მიცემა ვახტანგს არ შეუძლია იმიტომ, რომ ცოტა ხანია, რაც მეფობს და დიდი ხარჯიც მოუვიდა.

თავისი გულმოდგინებისა და სახიერების გავლენით თუ აწ ინებებს ყოვლად ქრისტიანე ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს, საუკეთესო საშუალება ამისი სისრულეში მოყვანისათვის ის არის,რომ ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისათვის საჭირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეიძლოს სპარსელთ მოწინავე პირთა გულის მოგება. ასევე სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც აქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა ჰქონდესთ“[1].

1 Journal Asiatique, სერია II, 1832 წ. ტ. IX, გვ. 347-351. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 321-322.

არ გაგვაჩნია დაწერილებითი ცნობები საფრანგეთის მეფის მიერ საბას პირველი მიღების შესახებ. მეორე მიღების დროს საბამ მეფეს პაპის ეპისტოლე გადასცა და ეს სიტყვა წარმოთქვა:

„პატივი გვაქვს მივართვათ თქვენს ხელმწიფებას წერილი, რომელიც ჩვენმა წმიდა პაპმა კეთილინება და გამოგზავნა საქართველოს მეფის ვახტანგის სასარგებლოდ. მათი უწმიდესობა ამითი ჩვენ ძვირფას შემთხვევას გვაძლევს, რათა მეორე გზის წარვსდგეთ თქვენის მეფობის ტახტის წინაშე, რაის ნებაც კეთილ ინებეთ და გვიბოძეთ. ამ თქვენი მოწყალების განმეორება საკმაოა ჩვენს დასავალებლად, რათა მარა[დ] გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონოთ ეს ჩვენი მოგზაურობა, რომ ღვთის ნებით სხვა აღარც ერთი სასარგებლო ნაყოფი მო[...]ს.

რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განვაცხადოთ, რომ ღირსი გ[...]დით დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან [...]კვებს და აოცებს, ვინაიდგან ჩვენის თვალით ვიხილეთ თქვ[...] დიად ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და მრ[...]ნვალება, არამედ ღვთის სარწმუნოება და სასოებაც.

დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, [რ]ომ თქვენი ხელმწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მ[ფ]არველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშიაც, როგორიც არის ჩვენი [ქვე]ყანა“[1].

საბას შესახებ არსებული ერთი მოხსენებიდან [ვგ]ებულობთ, რომ საფრანგეთის მეფეს მისი რამდენიმე თხოვნიდ[ან] მხოლოდ ორი შეუსმენია: ვახტანგ მეფის ტყვეობიდან დახსნა დ[ა] საქართველოში 12 მისიონერის გაგზავნა. მისიონერების თაობაზ[ე] მეფეს საბასთვის ურჩევია, ჯერ მის უწმინდესობას, რომის პაპს მოლაპარაკებოდა და ყველაფრის შესრულება აღუთქვა, რასაც პა[პ]ი მიუთითებდა[2]. ამის შემდეგ საბა რომს გაემგზავრა. მოგზაურობი[ს] ხარჯები საფრანგეთის მთავრობამ თვითონ იკისრა და საბას [ე]ს წერილიც გაატანა პროპაგანდასთან საშუამდგომლოდ:

„მაქვს პატივი მოვახსენოთ თქვენს უმაღლესობას, რომ ქართველი თავადი სულხან-საბა, წმიდა ბასილის წესის მონაზონი, ამ წერილის მომტანი არის მოსული სახახლეში, რომ თხოვოს მეფეს საქართველოს მეფის სახელით ლათინის წესის მისიონერები, რათა ისინი თავის ქვეყანაში წაიყვანოს. მისმა უდიდებულესობამ მიიღო გადაწყვეტილება აღასრულოს ყველა, რასაც პაპი დაადგენს საქართველოში მისიონერების გაგზავნის შესახებ და მანდ აგზავნის ამ მიზნით. უმდაბლესად გევედრებით თქვენის მფარველობით და შეწევნით განსაკუთრებულის პატივით მიიღოთ ეს მონაზონი.

1 იქვე, გვ. 354.

2 იხ. პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივები, Perse, ტ. III, გვ. 129.

დიდი სიამოვნებით ვსარგებლობ ამ შემთხვევით და ვაუწყებ თქვენს უმაღლესობას ჩემს ერთგულებას და უსაზღვრო პატივისცემას.

მარსელით, 30 მაისი 1714 წ.

თქვენი უმაღლესობის უმდაბლესი და უმორჩილესი მსახური პონშანტრი"[1].

საბა რომში 1714 წლის 10 ივლისს ჩავიდა. საფრანგეთის მინისტრის შუამდგომლობის წყალობით პაპმა, კარდინალებმა და თავადებმა საბა დიდი პატივით მიიღეს.[2] პროპაგანდამ 1714 წლის 25 ივლისს მინისტრ პონშანტრს საკმაოდ ვრცელი წერილით უპასუხა, რომელშიც მადლობას ხდიდა საბას მფარველობისა და ყველა სიკეთისათვის, რაც ქართველი ვადისთვის მიუგია, და აცნობებდა, რომის პაპიც საბას გამორჩეული პა ვით შეხვდა და ყველა მისი თხოვნა ყურად იღო. წერილის ბოლოს პრო განდა მინისტრს აუწყებდა, რომ მისი უწმინდესობა, რომის პაპი ეპის ლეს უგზავნიდა ყოვლად უქრისტიანეს საფრანგეთის მეფეს, რათა ს სასწრაფო ღონისძიებანი ეხმარა სპარსეთის მეფის კარზე მყოფი რთველი მეფის დასახსნელად[3].

საბამ როპაგანდას ვრცელი წერილობითი მოხსენება წარუდგინა თავისი მ ის შესახებ, აუწყა, საფრანგეთსა და რომში ჩემი მოგზაურობი მიზანია კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება მთელ საქართველო და ქართველი მეფის ტყვეობიდან განთავისუფლება საფრანგეთის ეფის შუამავლობითო.

საბა მოხსენებაში მიუთითებდა, რომ სამეგრელოს პატრიარქს განზრახული ჰქონდა, მისიონერთა საშუალებით ჯერ თავისი თავი, ხოლო შემდეგ თავისი მრევლის ყველა მორწმუნე გაეკათოლიკებინა. საქართველოს ახალ მისიონებისთვის პარიზის მისიონის ფრანგ პატრებს და იეზუიტ ამებს ითხოვდა, ფრანგ პატრებს — სემინარიის, ხოლო იეზუიტებს — კოლეჯის გასახსნელად. წინამძღვრად ლათინური წესის ეპისკოპოსი უნდოდა, რომელიც სრული გამგებელი იქნებოდა მთელი ქრისტიანული საქართველოსი. ბოლოს იხსენიებდა საფრანგეთის მეფეს, ვინც საქართველოში ახალი მისიონების დაწესებისა და შენახვის ხარჯებს დაჰპირდა; ითხოვდა, პაპს ეპისტოლე გაეგზავნა საფრანგეთის მეფისთვის, რათა მადლიერება გამოეხატა მისი ასეთი კეთილშობილური საქციელის გამო.[4]

1 Arch. de la Propag., Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №7.

2 „714 წლის 10 ივლისს საფრანგეთის გემით, ზღვით რომს ჩავიდა საქართველოს მეფის ბიძა, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა. აქ იგი უზენაეს პონტიფექსს, სხვადასხვა კარდინალსა და მთავარს დიდის პატივით მიუღიათ". Missionarii Toscani, ხელნაწერი, ტ. II.

3 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CIII, გვ. 185; მეორე, 1714 წლის 26 ივლისით დათარიღებული ეპისტოლე — იხ. Arch. Vat., Reg., Lat., Clement XI, XIV წელი, გვ. 99.

4 იხ. Arch. de la Propag., Acta S.C., 1714, №32, გვ. 442.

საბამ მოახერხა, პაპს არა მხოლოდ ეს ეპისტოლე გაეგზავნა, ვახტანგ მეფისათვის მიეწერა, რომ იგი მუდამ ასევე შეუპოვრად მდგარიყო თავის გადაწყვეტილებაზე, არ მიეღო მაჰმადიანობა. აი, ეს ეპისტოლეც:

„კლემენტე XI
**ბრწყინვალე და უძლიერეს ვახტანგს, აზიელ იბერიის მეფეს.**

მრწყინვალე და უძლეველო მეფე, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. არ შეგვიძლია სიტყვით გამოვაცხადოთ, თუ რაოდნად გაგვახარა ამ წარჩინებულ ქალაქში მოსვლით ჩვენმა საყვარელმა შვილმა, საბა-სულხან წმიდა ბასილის მონაზონმა და თქვენმა ნათესავმა. მეტი რამ გვიამბო ისეთი, რაც მაგ მხარეში კათოლიკე სარწმუნოების წარმატებას ხელს შეუწყობს. რა ვსცანით თქვენი დატყვევება სპარსეთის მთავრობისაგან, ძლიერ შევწუხდით, ვინაიდგან თქვენი ძლიერი და განუწყვეტელი დახმარება კათოლიკე სარწმუნოებას დიდად შეეწევა. ამისთვის ჩვენც არაფერი დავზოგეთ, ყოველი ღონე ვიღონეთ, რათა თქვენ გეღირსოთ მალე განთავისუფლება და თქვენს სამთავროში მობრუნება, ვითარცა ამას ვრცლად მოგახსენებს ეს ხსენებული მონაზონი. აწ უფლისა მიერ მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებთ, რათა ყოველი მწუხარება და სატანჯველი, რომელიც ხშირად შეგემთხვევა ამ ცრემლის ხევში, მოთმინებითა და მხნედ იტვირთოთ და ამნაირად მაგ მწუხარებისგან გამოიღებთ ნაყოფს. თუმცა კარგად ვუწყით, რომ თქვენ არ გჭირიათ გამხნევება. რათა მსგავსად თქვენ წინაპართა, კათოლიკე სარწმუნოება, მისი აღმსარებელნი და მისი მოძღვარნი დაიფაროთ და შეეწიოთ მათ. გარნა, რადგან ეს ჩვენთვის მწყემსებრივის ვალდებულების უმთავრესი საზრუნველია, ამისთვის სულ არ დავდუმდებით, არამედ დიდად დაგავედრებთ და გთხოვთ, რაც თქვენის ნებით ჰყოფთ მათ სასარგებლოდ, ინებეთ მისი ქმნა ჩვენ გამო, რათა უფრო გულმოდგინებით იყოს. ვინაიდგან ვსცანით, რომ თქვენი ხელმწიფება დიდათ მოწადინებული ყოფილა კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების და აღთქმაც დაუდვია, ამის გამო ჩვენც გირჩევთ, რათა დაუყოვნებლივ აღასრულოთ ეგ თქვენი სასარგებლო და საჭირო სურვილი, რომ მით მიაგოთ ღმერთს,რაც აღუთქვით. უკეთუ ეს აღასრულოთ, თქვენის სულის საუკუნო ცხონება უზრუნველჰყოთ. ეგრეთვე ჩვენც თქვენდამი მამობრივის სიყვარულის გამოცხადება არ შევწყვიტოთ და რითაც კი შეგვიძლია, ყოველთვის შეგეწიოთ. აწ სიმდაბლით ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელთ არიან გულნი მეფეთანი, რათა სრულჰყოს თქვენში ის საქმე, რომელიც დაიწყო, განამტკიცოს და დიდხანს უვნებლად გაცოცხლოთ და მოგანიჭოთ ცხოვრების ყოველგვარი ბედნიერება.

რომით, 17 აგვისტოს 1714, ჩვენი მღვდელმთავრობის მეთოთხმეტე წელსა"[1].

[1] Arch. Vat., Epistolae ad Principes, ტ. CX, გვ. 107-108. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 326-327.

დიდად საეჭვოა, ამ ეპისტოლეს ვახტანგ მეფემდე მიეღწიოს, ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ უფრო მკაცრად დაუწყეს თვალთვალი ქართველ მეფეს, გამუდმებით აძალებდნენ ძალას მაჰმადიანობა მიეღო; ამავე დროს უცხადებდნენ, სამშობლოში დაბრუნებულს თავისუფლად შეეძლება სურვილისამებრ ის სარწმუნოება აღიაროს, რომელსაც მოისურვებსო. სპარსეთში ტყვედ მყოფი ვახტანგ მეფე დიდად წუხდა მის სამშობლოში გამეფებული არეულობის გამო. განსაკუთრებით ის სტკენდა გულს, რომ საფრანგეთიდან არაფერი ისმოდა მისი ტყვეობიდან დახსნის თაობაზე. ბოლოს დაკარგა მხნეობა და 1717 წელს დათანხმდა გამაჰმადიანებულიყო, მაგრამ მხოლოდ მოსაჩვენებლად[1]. საქართველოში დაბრუნდა თუ არა, ხელახლა აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება და, შესაძლებელია, კათოლიკობასაც მიემხრო, რასაც ის ორი წერილი გვაფიქრებინებს, რომლებიც პაპს და გერმანიის იმპერატორს გაუგზავნა, როცა საქართველოს ისევ დაემუქრნენ თურქები.

საბას მიერ პროპაგანდისათვის შეთავაზებული წინადადება — საქართველოს ახალ მისიონებში სხვა წესის ბერები გაეგზავნათ და არა კაპუცინები, არ ესიამოვნა კაპუცინების წინამძღვარს და განაცხადა, ერთბაშად იმდენი ბერი გაეგზავნათ საქართველოში, რამდენიც საჭირო იყო[2]. როგორც ჩანს, საბას დაჟინებით მოუთხოვია თავისი; პროპაგანდასაც კეთილგანწყობით მიუღია მისი წინადადება. მიუხედავად ამისა, კაპუცინების წინამძღვარს ხელი რომ შეეშალა საქართველოში სხვა წესის მისიონერთა და არა კაპუცინების გაგზავნისათვის, ერთბაშად თავისი 12 მისიონერი გამოყო იქ წასასვლელად. ამით უკმაყოფილო დარჩენილა როგორც საბა, ასევე პროპაგანდა. მართალია, კაპუცინების წინამძღვარს მხარი არ დაუჭირეს, მაგრამ არც არაფერი მიიღეს მხედველობაში და გადაწყვიტეს, საქართველოში სულ სხვა მისიონერები გაეგზვანათ, რასაც ის საბუთები მოწმობს, რომლებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ. საბას რომში ყოფნის დროს საბოლოოდ არაფერი გადაუწყვეტიათ ამ საკითხზე; მაგრამ იგი სავსებით დაარწმუნეს, რომ ყველა სურვილს შეუსრულებდნენ, რასაც თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ ითხოვდა. 1714 წლის სექტემბრის დამდეგს საბამ დატოვა რომი და საქართველოსკენ გამოემართა. გზად ფლორენციაში გაიარა, სადაც დიდი ჰერცოგი კოზიმო III გულითადი პატივით შეხვდა. ფლორენციაში რამდენიმე დღე დაჰყო[3], შემდეგ სიცილია განვლო და კონსტანტინოპოლს ჩავიდა. აქ საფრანგეთის ელჩმა მიიღო. საბა მასთან

1 იხ. Arch. de la Propag., Acta S. Congregationis, 1717 წლის 19 ივლისი, №17. Giorgia, გვ. 231; იქვე, Persia. Mesopotamia, Armenia, 1719 წ., №25, გვ. 185.

2 იხ. Arch. de la Propag., Acta S.C., 1714 წ. №32, Giorgia, გვ. 442.

3 იხ. Settimanni, Diario Fiorentino, ტ. XV, 1713–1723 წწ., გვ. 116, ფლორენციის სახელმწიფო არქივი.

დარჩა ახალი მისიონერების მოლოდინში, რომლებიც საქართველოში უნდა წაეყვანა.

პარიზში საბა წმინდა ლაზარეს მონასტერში ცხოვრობდა. აქ დაუმეგობრდა მისიონის წინამძღვარს, რომელიც დაჰპირდა, საქართველოში ჩემს მონაზვნებს გამოვგზავნი, თუ პროპაგანდა დათანხმდაო. რომში წინამძღვრის წინადადებას კეთილგანწყობით შეხვდნენ. 1715 წლის 8 აპრილს პროპაგანდამ წერილი მისწერა პარიზში სამისიონო კონგრეგაციის წინამძღვარს და აუწყა, ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ კარდინალები და განსაკუთრებით პაპი, როდესაც თქვენი თანხმობა გაიგეს სამეგრელოს მისიონთან დაკავშირებითო.[1] მალე წინამძღვარს პაპმაც გაუგზავნა ეპისტოლე, შეუქო გადაწყვეტილება და მოუწოდა, საქართველოში ისეთი რჩეული მისიონერები გაეგზავნა, რომლებიც უკეთესად შეძლებდნენ მოსახლეობის სათანადოდ განსწავლას[2]. იმავე დროს რომის პაპმა ეპისტოლე გაუგზავნა საბასაც, რომელიც მაშინ კონსტანტინოპოლს იმყოფებოდა. აი, ეს ეპისტოლეც:

**„ჩვენს საყვარელ შვილს, წმიდა ბასილის წესის მონაზონს, საქართველოს თავად სულხან-საბას,**
**პაპი კლემენტე XI**

**საყვარელო შვილო მონაზონო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა, თანახმად შენის ნაწერისა და თხოვნისა, გადაწყვიტეთ გამოვგზავნოთ ამ მოკლე ხანში მოციქულებრივი მისიონერები მაგ**

1 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CIV, გვ. 61.

2 „საყვარელ შვილს იოანე ბონეს, კონგრეგაციის მისიონის მთავარ წინამძღვარს, პაპი კლემენტ XI.

საყვარელო შვილო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა. ჩვენს მწყემსებრივ მსახურებაში არა გვაქვს მასზე ხანიერი და სანუკვარი ნატვრა, ვიდრე ურწმუნოთა შორის სახარების საქადაგებლად უწმინდესი და სიმძიმით ყოველთა ზედა აღმატებული სახელისათვის, ჭეშმარიტ მოციქულებრივ და ყოვლგნით ღირსეულ კაცთა შერჩევა. უთუოდ, იქედანაც შეიძლება კარგად შეიტყო, თუ რაოდენ ბრწყინვალედ ვრაცხთ შენს კონგრეგაციას, რომ აფრიკისა და ბორბონის კუნძულის გარდა, მას სამეგრელოსა და მიმდებარე ახლო პროვინციათა სამოციქულო მისიონებიც მივანდეთ. შენ, რომელსაც ამ კონგრეგაციის მესვეურობა გაბარია, არათუ ოდენ მას მიესწრაფვი, რომ განგვიმტკიცო მაღალი აზრი, არამედ, რათა ფრიად წარიმატოს მისმა საზღვრებმა. ღვთისმოშიშობის გულისთვის ყოველი ძალით ილვაწე ამ საწყალობელ უცხო ტომთათვის, რათა მათ შენი ძალმოსილებით ამოუბრწყინდეს უზენაესი ნათელი ჭეშმარიტი რწმენისა და განდიდდეს იქ სახელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამასთანავე, გმართებს იცოდე უტყუარად, თუ სად შეუდგება ამ მხარეებში წარგზავნილი შენი მუშაკი, ვითარცა გუჯერა, კეთილმსახურებისა და სულთა ცხონების შურით აღესილი, ერის განსწავლას მრთელი და უბიწო მოძღვრებით. არა ოდენ ცოურ საფარს ქვეშ წარვავლენთ ამათ, არამედ ჩვენი და ამ წმინდა საყდრის მუდმივი შეწევნით, ხოლო შენ, საყვარელო შვილო, უცვალებლად გაძლევთ ჩვენს მოციქულებრივ კურთხევას. რომი, 7 მაისი, 1715“. Arch. de la Propag., Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №10.

მხარეს. თუმცა დიდათ დარწმუნებული ვართ შენს მხურვალებაში, რომლისაც მრავალნაირი და წარჩინებული ნიშნები გვიჩვენე ამ მრწყინვალე ქალაქში ყოფნის დროს და მზად ხარ შეეწიო, მაინც კი კვალად და კვალად დიდის თხოვნით, დაგავედრებთ მათ, რათა შენი გულკეთილობის ნაყოფი უჩვენო და შენი ძლიერი მფარველობა არ მოაკლო. უწყოდე, რომ ჩვენთვის მეტად სათნო საყოფელი იქნება და მევრს გვასიამოვნებ ყველა იმ სამსახურით, რასაც შენის გულკეთილობით და პატრიოსნებით მიაგებთ მათ, რომ შეიძლონ ყველა თავიანთი მოციქულებრივი სამსახურის აღსრულება. როდესაც შემთხვევა მოგვეცემა, კიდეც გამოგიცხადებთ ჩვენს მადლობას. აწ, დაუცხრომლად ვევედრებით მოწყალე ღმერთსა, რათა ნაყოფიერ ჰყოს ამ მისიონის წმიდა მოღვაწეობა და შენც წარგიმატოს ზეციური მადლი და მასთანვე მოგანიჭოს ყოველი ბედნიერება. ჩვენი მამობრივის სიყვარულის ნიშნად განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. რომით, 7 მაისისა 1715 წ.“[1].

თავის მხრივ პროპაგანდამაც გაუგზავნა საბას წერილი; ეს წერილი გვიმოწმებს, რა ახლო ურთიერთობა დაემყარებინა საბას ამ კონგრეგაციასთან, რომელსაც თავის ქვეყნის მდგომარეობას აცნობებდა.[2]

არანაკლებ მეგობრული მიმოწერა ჰქონდა საბას საფრანგეთის

---

1 Arch. de la Propag., Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, n. 11; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 332. მეორე ანალოგიური ეპისტოლე გაეგზავნა სამეგრელოს პატრიარქს, როგორც ეს ენახეთ მე-13 თავში კათალიკოსების შესახებ.

2 „ბატონ სულხან საბას, 30 ივლისი, 1715.

ამ წმიდა კრებას ძრიელ ესიამოვნა თქვენი მშვიდობით მისვლა მაგ ქალაქში, ეგრეთვე რა სცნო თქვენი ეგრედ კარგად მიღება და მოპყრობა უქრისტიანესის მეფის ელჩის მიერ. კარდინალებმა და მეც თქვენთან ერთად განვიხარეთ მაგ ამბითა. თქვენი მშვიდობის ამბავი ვაუწყე პაპსაც; მანაც განიხარა და გამოაცხადა განსაკუთრებული მამობრივი სიყვარული და პატივი, რომელიც აქვს თქვენდამი. ეგრეთვე პაპი და კარდინალები ძრიელ შესწუხდენ, როცა გაიგეს, რომ საქართველოს მეფის ვახტანგის ძმას მთავრობა ხელში ჩაუგდია და ამით ვახტანგის საქმე აურ-დაურევია; გარნა იმედია, რომ სპარსეთის მეფის წინაშე უქრისტიანესი ხელმწიფის გავლენიანი შუამდგომლობით, გარემოება შეიცვალოს და ეგ ქვეყანა ჩაჰბარდეს თავის კანონიერს მთავარს.

ხოლო მისი, რომ კაპუცინების უფროსმა საქართველოში გაგზავნა ესეთ უხერხო დროს ეგრედ მრავალი მისიონერი ერთად, იგი ღირსია შებრალებისა, რადგან მოიქცა ამნაირად იმ აზრით, რომ სასწრაფოდ და გულმოდგინედ აღესრულებინა თავისი მოვალეობა მისიონერების საჩქაროდ გაგზავნისა. თქვენი წასვლა ეგრეთ მოულოდნელი შემთხვევის გამო,რომ არ შეგვულიანებულიყო, მაშინ ამნაირი მოქცევისათვის ღირსი იქნებოდა ქებისა. აწ მისიონერებს დიდად დავავედრებ თქვენს მფარველობას, რათა თქვენის შემწეობით შეიძლონ მოტანა იმ უდიდესი ნაყოფისა, რომელსაც მოველით მათის შრომისაგან. დავშთები თქვენი სამსახურის მონატრე“. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CIV, გვ. 139. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 333.

მინისტრ გრაფ პონშანტრთან, ვისაც დაწვრილებით აუწყებდა თავისი მოგზაურობის ამბებს[1].

როცა ყველაფერი მზად იყო წმინდა ლაზარეს (პარიზის) მისიონერების საქართველოში გამოსაგზავნად, სწორედ ამ დროს, 1715 წლის აგვისტოში გარდაიცვალა ლუი XIV. მისმა გარდაცვალებამ ერთიანად არია რომის, საფრანგეთის მთავრობისა და საბას გეგმები საქართველოს მისიონისა და ვახტანგ მეფის განთავისუფლების თაობაზე[2]. საფრანგეთში მისიონსა და მეფის განთავისუფლებაზე მეტად აღარ ყოფილა ლაპარაკი, საბა კი კონსტანტინოპოლში მოთმინებით ელოდა ახალ ფრანგ მისიონერებს საქართველოში წამოსაყვანად; ბოლოს, როცა სავსებით დაკარგა იმედი, მიელო ის, რასაც ასე დიდსულოვნად შეჰპირდნენ, დაღონებული წამოვიდა საქართველოში კაპუცინ პატრებთან ერთად[3].

სამეგრელოს მისიონზე კი ამის შემდეგ არც უფიქრიათ და ეს მხარე სამუდამოდ დარჩა კათოლიკე მისიონერების გარეშე. გულმოდგინე პატრიარქმაც, ვინც ამდენი ილვაწა, რათა თავისი ქვეშევრდომნი კათოლიკური ეკლესიისთვის შეერთებინა, ვერსაიდან ჩამოიყვანა სახარების მსახურნი, რომელთაც ასე გულმხურვალედ დაეძებდა. აღარავინ გაუწოდა ხელი, არც კაპუცინებმა, წინათ შემწეობას რომ სთავაზობდნენ ამ ახალ საქმეში, ამრიგად, მისიონი, რომელიც აგრერიგად იყო გარემოცული დაპირებებით, დარჩა თავმინებებული, მიტოვებული და საბოლოოდ მოისპო.

## VII. – კათოლიკობის შემდგომი წინსვლა და მისი დევნა სომეხთაგან. მისიონერების წერილები ამის თაობაზე

ბერ-მონაზონ საბას საქართველოში დაბრუნებისთანავე კათოლიკობამ ახალ წარმატებებს მიაღწია, რადგან საბა · თან ჩამოყვანილ კაპუცინელ პატრებთან ერთად მთელ ქვეყანაში შეუდგა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას, რომელსაც თვითონ ფრიად გულმხურვალედ ეზიარა. საბას მოციქულებრივ გულმოდგინებას, ბუნებრივია, იმათი რისხვა მოჰყვა, ვინც ასეთივე კეთილგანწყობით არ ეკიდებოდა კათოლიკურ სარწმუნოებას.

---

1 იხ. პარიზი, საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, Perse, ტ. II, გვ. 199 და მომდევნო გვერდები ტ III, გვ 78 და მომდევნო გვ. ტ IV, გვ. 46 და მომდევნო გვ.

2 Arch. Vat., Lettere di Particolari, ტ. CXCVI.

3 „....სამისიონო კონგრეგაციის უმაღლესმა პატრმა 1715 წლის 8 აპრილს შეგვატყობინა, რომ აწ გარდაცვლილმა, დიდად ღვთისმოსავმა მეფემ თავს იდო ყოველწლიურად სამი ათასი ლირის გაცემა საჩუქრად, და ეს იქნებოდა სამეგრელოს მისიონის ფონდი, რისთვისაც აღნიშნული კონგრეგაციიდან მაშინვე გაიგზავნა საბუთები, 6 მღვდელი და სამი საერო პირი...“ Arch. de la Propag., Acta S.C., 1716 წ. №12, Giorgia, გვ. 327. იხ. იქვე, 1715, №17, Mengrelia, გვ. 172.

ქართველებმა და განსაკუთრებით სომხებმა საშინელი დევნა დაუწყეს საბასა და კათოლიკობას[1].

ჩვენ აქამდე არაფერი გვითქვამს დევნაზე, თუმცა იგი არაერთგზის გაუჩაღებიათ. ამაზე მოკლედ ვილაპარაკებთ, რაკი არ შეგვიძლია მოვიყვანოთ ყველა საბუთი, გაგაცნობთ მხოლოდ მათგან უმნიშვნელოვანესს. დავიმოწმებთ რამდენიმე ტექსტს.

ყველა დროის მისიონერთა ერთსულოვანი აღიარებით, ყველაზე უფრო გააფთრებული და შეურიგებელი მტრები, რომლებიც ოდესმე ჰყოლია საქართველოში კათოლიკურ რელიგიას, სომხები იყვნენ[2]. მართალია, ზოგჯერ ქართველებიც სდევნიდნენ მას, მაგრამ მეტად იშვიათად, ისიც მხოლოდ ბერძნებისა და განსაკუთრებით სომხების შეგულიანებით. უფრო ხშირად ქართველები იცავდნენ კათოლიკეებს სომხებისგან, რასაც ქვემოთ დამოწმებული საბუთები ამტკიცებს.

ჩვენ ზემოთ გაუწყეთ, რომ საქართველში სომხების იმიგრაცია[3] განსაკუთრებით შაჰ-აბას დიდის მეფობის დროს (1557-1628) დაიწყო და 1830 წლამდე გაგრძელდა[4]. ქართველები მათ ყოველთვის ძმურად მასპინძლობდნენ, თვითონ კი ძალიან ხშირად მაინც მადლიერნი არ იყვნენ თავიანთი მასპინძლებისა[5].

ასევე გაუწყეთ, რომ საქართველოში კაპუცინების მოსვლის პირველ წლებში კათალიკოსმა მათი სკოლა დახურა, რადგან ვერ მიიღო ის

1 „... პატრმა სულხან-საბამ, საქართველოს მეფის ბიძამ დიდის მონდომებით დაიწყო მის მიერ უკვე აღიარებული კათოლიკური სარწმუნოების განვითარებისთვის ზრუნვა, რასაც მისი სასტიკი დევნა მოჰყვა..." Arch. de la Propag., Acta S.C., 1717 წ. №24. Giorgia, გვ. 295.

2 „... პატრმა პრეფექტმა დაასკვნა, რომ ამ მხარეში წმ. სარწმუნოებას ყველაზე დიდი მტრები სომხების სახით ჰყავს, რომლებიც, როცა ევროპაში იმყოფებიან, კათოლიკე ქრისტიანებად მოაქვთ თავი, სინამდვილეში კი სამშობლოში დაბრუნებულები თავიანთი ხალხის თვალში კათოლიკურ სარწმუნოებას დასცინიან და ავტორიტეტს ულახავენ..." იქვე, 1709 წ. №43. Armenia, Giorgia, გვ. 203.

3 იქვე, 479.

4 „... უკანასკნელ ხანს სპარსელებმა გაზარდეს თბილისი, მთავარი ქალაქი. იგი მთლიანად სომხებით დაასახლეს, და რაღაც ვაჭრობაც შემოიღეს..." Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. 1, №38. იხ. C. Galanus, Conciliatio Eccl. Armenae cum Romana, ტ. 1, გვ. 120; Histoire et les Aventures de Kemski géorgienne, გვ. 24; Eugène Flandin, Revue des Deux–Mondes, Paris, წელი 1851, ტ. IV, გვ. 586, 660. Gamba, Voyage dans la Russie, ტომი II, გვ. 160; Dulaurier, Société Arménienne du XIX siècle, Revue des Deux–Mondes, 1851. ტომი II, გვ. 660, წელი 1854, ტ. VI, გვ. 217; Klaproth, Mémoires relatifs à l'Asie, ტ. I, Paris, 1826-1828, გვ. 226; Voyage dans la Russie, ტ. II, გვ. 160; E. Reclus, Nouvelle géographie universelle, ტ. IX, გვ. 338.

5 Brosset, Voyage Archéologique, მოხსენება, Saint-Pétersbourg, 1850, გვ. 62; გაზეთი „Ivéria", 1899 წ. №№149, 154, 239; 1900 წ. №№98, 122, 155; 1901 წ., №184 და 273.

ძლევენი, რომელიც წესისამებრ მისთვის უნდა ებოძებინათ ახალი ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით. არ შეიძლება ამას დევნა ვუწოდოთ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან კაპუცინებმა კათალიკოსი მალე დაამშვიდეს და თავიანთი სკოლაც ისევ გაახსნევინეს[1].

სომხები ყოველთვის მისიონერთა ყველაზე ულმობელ მტრებად გვევლინებოდნენ. მიუხედავად უსაზღვრო თავდადებისა და კეთილგანწყობისა, რასაც მისიონერები ყველას მიმართ იჩენდნენ, ვერა და ვერ შეძლეს სომხების გულში სიძულვილი ჩაექროთ.

საქართველოში კაპუცინების დაბინავებიდან ცოტა ხნის შემდეგ, სამღვდელოებამ განგაში ატეხა, მისიონერებს აუმხედრდა, კაპუცინებს გაშმაგებით დაუწყო დევნა და თბილისიდან გაძევებაც დაუპირა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ისინი მეფემ დაიცვა და სომხების მზაკვრული განზრახვის აღსრულებას ხელი შეუშალა[2].

სომხებს ამის შემდეგაც არ დაუყრიათ ფარ-ხმალი. მართალია, ყოველთვის ვერ ახერხებდნენ თავიანთი ზრახვების განხორციელებას, მაგრამ როგორც კი საშუალება გაუჩნდებოდათ, მაშინვე ხელს სჭიდებდნენ, რომ მისიონისთვის ყოველნაირად ევნოთ. ერთი მოგზაური ამგვარად აგვიწერს სომხების საქციელს:

„ჩვენი მისიონერები აღტაცებას იწვევენ თავიანთი მეცნიერებით, გულმოდგინებითა და დიდსულოვნებით, მაგრამ სქიზმატიკოსები (სომხები) თავიანთი ფულით სპობენ იმას, რასაც ეს მოციქულებრივი მსახურნი მტკიცედ აშენებენ. ასე კარგად დაწყებული და აყვავებული მისიონები დაიქცევა, თუ ღმერთმა არ შეცვალა სქიზმატიკოსთა გული. ამ უბედურებს არაფერი ისე არ აშინებთ, როგორც ჩვენი მღვდლების წარმატება და ამ ქვეყნის ხელისუფალთ შთააგონებენ, რომ მეტად საშიშია ლათინების გამრავლება მათ სამეფოში, რომ თითქოსდა ჩვენს მისიონერებს ქრისტიანი მთავრების მიმართ მტრული ზრახვანი უდევთ გულში, რომ ისინი, ვინაიდან პაპისა და სხვა ქრისტიან მეფეთა ერთგულნი არიან, ჯაშუშებად უნდა მიიჩნიონ, რომ რელიგიის საფარველით მოვიდნენ ქვეყნის სამხედრო ძლიერების გასაგებად და ხალხს მხოლოდ ამბოხებასა და არეულობას შთააგონებენ, ხოლო ევროპის ყველაზე ძლევამოსილი მეფენი იმიტომ არიან დაინტერესებულნი მისიონერთა ბედ-იღბლით, ეს მისიონერები საიდუმლო ემისრებად ემსახურებიან თავიანთ დამპყრობლურ საქმეში.

1 იხ. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №27.

2 „... ზემოხსენებული ვარდაპეტები და სხვა სომეხი მღვდლები თბილისშიც სდევნიდნენ მისიონერებს და ამ მეფეს რომ არ დაეცვა ისინი, აუცილებლად განდევნიდნენ თბილისიდან...“ Arch. de la Propag., Acta S.C., 1669, №20 b, Giorgia, გვ. 257.

ყველა ამ ყალბმა არგუმენტმა, რომლებიც ფულით ჯიბეს უფრო განმტკიცებული, მუსლიმანებიც გააძლიერა და მიუხედავად რეკომენდაციებისა მისიონერებს აიძულებენ, ქვეყანა დატოვონ“[1].

რადგან მეფე და სხვა ქართველი წარჩინებულნი კეთილგანწყობით ექცეოდნენ მისიონერებს, სომხები შეეცადნენ, ისინი მოესყიდათ და მიაღწიეს იმას, რომ ვინც კათოლიკურ ეკლესიაში შესვლას გაბედავდა, მეფისთვის და საქართველოს პატრიარქისთვის ჯარიმა — 200 პიასტრი უნდა გადაეხადა. ამრიგად, რაკი მეფე გადმოიბირეს, სომხები იმედოვნებდნენ, მისიონერებიც გაეძევებინათ და მათი ეკლესია დაექციათ, მაგრამ მეფე კვლავ წინ აღუდგა სომხებს და მტრებისგან დაიცვა მისიონერები[2].

სომხები თითქმის განუწყვეტლივ ასე იქცეოდნენ, ერთ წუთსაც არ აცდენდნენ, რომ თავს არ დასხმოდნენ კათოლიკებს. საბედნიეროდ, მისიონერებს ძლიერი მფარველები ჰყავდათ მეფისა და უფლისწულის

---

1 იხ. Pitton de Tournefort, Relatlo d'un voyage au Levant, Amsterdam, 1718 წ., ტ. II, გვ. 166.

2 „თქვენს უაღმატებულესობას უნდა მოვახსენო ერთი დევნულობა, რომელიც აღდგომის უკან სომხებმა დაგვიწყეს: ისარგებლეს იმ შემთხვევით, რომ ახალი მისიონერები აღარ მოდიოდნენ, რაც ჩვენ უკანასკნელ მდგომარეობაში გვაყენებდა; ეგრეთვე რა ნახეს, რომ სააღდგომოდ ჩვენთან 60 კაცზე მეტი გაენდნენ და გაკათოლიკების ეჭვი შეიტანეს მათზე, სომხების მღვდლებმა და ერის კაცებმა კრება ჰყვეს წინააღმდეგ მისიონისა, რათა ან ჩვენ გაგვედევნეთ საქართველოდგან და ან ჩვენი ეკლესია დაენგრიათ. ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ვერ შეისრულებდენ წადილს, წერილით დაადგინეს, რომ ყველას, ჩვენს ეკლესიაში მომსვლელებს გადაეხადათ 200 პიასტრი მეფისა და ქართველების პატრიარქისათვის; მაგრამ ღვთის წყალობით თავიანთი ბოროტი განზრახვა ვერ შეასრულეს, რადგან კურთხეულმა უფალმა იმისთანა გული მისცა ამ ქართველთა მეფეს, თუმცა კი გამაჰმადიანებულია, რომ კრინტიც არ დასძრა სომხების სასარგებლოდ: საკმარისი იქნებოდა მარტო ერთი სიტყვა ეთქვა, რომ ჩვენი ეკლესია ერთიანად დაენგრიათ. ამნაირად, იმის წყალობით, რომ მისიონერებმა მოსვლა დააგვიანეს, აქაურმა მისიონმა დიდი გაჭირვება გამოიარა... პატრი იოსებ ბორგოინანელი. ტფილისი. 15 მაისისა, 1679 წ.“. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №153. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 252.

„... ჭეშმარიტების მტერმა კათოლიკობის მოწინააღმდეგე ვართაპეტს უბიძგა აქ მოსულიყო. იგი უდიდეს სისულელეებს ქადაგებს და ქალაქი ჩვენს წინააღმდეგ აამხედრა. წავიდნენ მეფესთან და უამრავი ოქრო შესთავაზეს, თუ საქართველოდან გაგვაძევებდა და მათ უფლებას მისცემდა, გაკათოლიკებულ სომხებს გასწორებოდნენ. მაგრამ გულმოწყალე ღმერთმა ამ მეფის გულში, თუმცა იგი თურქი (გამაჰმადიანებული) გახლდათ, აღძრა ჩვენდამი სიყვარული, დაგვიცვა და ნება არავის მისცა, რამე ევნო ჩვენთვის, ან სხვა საბრალო კათოლიკებისთვის... თბილისი, 1683 წლის 22 მარტი, პატრი იოსებ ბორგოინანელი.“. იქვე №79. იხ. იქვე, №64 და 81. ამ გამუდმებულმა დევნამ ტოსკანის დიდი ჰერცოგის კოზმო III-ის ყურადღება მიიპყრო, 1688 წლის 26 ნოემბერს მან წერილი მისწერა მეფე გიორგის და შეავედრა მისიონერები. იხ. ფლორენციის სახელმწიფო არქივი, Lettere e minute, გვ. 818. №1028.

სახით, უფლისწულისა, რომელმაც 1677 წელს მეფე შეცვალა[1].

ერთ წელიწადს, შავი ჭირის გამო, მეფე და დიდებულნი თბილისს განერიდნენ. სომხებმა ამით ისარგებლეს და კათოლიკეებს და მისიონერებს განუკითხავად დაუწყეს რბევა, ქვებით ჩაქოლვაც მოუნდომეს, შეეცადნენ მათი ეკლესიისა და სახლის დანგრევას. როცა ეს გაავებული ბრბო თავისი ნამოქმედარით ტკბებოდა, მისიონერების დასახმარებლად მოვიდა თავადი ბარძიმი, რომლის გაკათოლიკებაზე ზემოთ ვისაუბრეთ. თავადი ბარძიმი გაბედულად გამოესარჩლა მისიონერებს და ალაგმა სომხების სიშმაგე. მას მისიონი გაკათოლიკებამდეც მრავალჯერ დაუცავს[2]. სომხებს კათოლიკეების სიძულვილი სრულებით არ განელებიათ. რაც უფრო ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა მისიონი, მით უფრო ძლიერდებოდა სომხების სიძულვილიც, მათ თავხედობას საზღვარი აღარ ჰქონდა. ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა არეულობამაც ხელი შეუწყო სომხებს. როგორც კი მისიონერთა მფარველი გიორგი მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს, მაშინვე თავს დაესხნენ მისიონს და ერთიანად აიკლეს. ეს იყო მისიონერთა ყველაზე ულმობელი და საკმაოდ ხანგრძლივი (1697 წლიდან 1799 წლამდე)[3] დევნა, რასაც დიდად გამოეხმაურა ევროპა. რომიდან

1 „... მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მისიონის მიმართ დღემდე შეიმჩნეოდა ჯოჯოხეთური ცოფი მის გასანადგურებლად და დასანგრევად, ღმერთს მადლობას ვწირავ,რომ თავისი ღვთაებრივი დახმარების წყალობით სულ უფრო საოცრად გაიფურჩქნა ის, როგორც ღვთის რწმენაში, ასევე მრავალრიცხოვან გაკათოლიკებულ ადამიანში. მეტიც, საზიზღარი ვარდაპეტი, რომელმაც შვიდი წლის წინ თითქმის სულ მოსპო საბრალო მისიონი, ახლაც იმ მიზნით მოვიდა, მთლიანად გაენადგურებინა იგი და 300 სკუდზე მეტი დახარჯა, რომ დიდებულები მხარში ამოდგომოდნენ, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. პირიქით, მისმა მოქმედებამ კიდევ მეტად გაანოყიერა ნიადაგი მისიონის ასაყვავებლად... თბილისი. 30 აგვისტო, 1690. პატრი ჯულიო ქრემონელი". Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №111. იხ. Lettere della S.C., ტ. LXXXI, გვ. 78 .

2 იხ. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №121-130. Acta S.C., 1692 წ. №24, გვ. 69. Giorgia, D. Carli, Missionario Il Moro, Bassano, 1687, გვ. 295-296.

3 „...ახლა მოგახსენებ ცუდ ამბავს ამ ბედკრული მისიონის უბედურებაზე. მხედველობაში მაქვს ის, რომ წელს კათოლიკობის მტრებმა ისეთი სასტიკი დევნა დაგვიწყეს, რომლის მსგავსი არასოდეს გვინახავს, თან ისე დაუზოგველი და მძაფრი დევნა, მხოლოდ ღვთიურ ძალას შეუძლია ჩვენი ხსნა. მოკლედ, დევნა ასეთია: კათოლიკური სარწმუნოების მტერი სომხები ვერ ითმენენ, რომ ჩვენს ეკლესიაში ასე ხშირად დადიან ჩვენი კათოლიკეები...ტფილისი, 20 ივნისი, 1698. ამადეო ბრეშელი". Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. I, №124. იხ. იქვე №127.

„... თუმცა პატივცემულმა ანჩირის ეპისკოპოსმა გამოგვიტანა ჩვენდა სასარგებლოდ მეტად კარგი ფირმანი (შაჰის ბრძანება), რომლითაც საგანგებოთ ყველას ებრძანება, ფრანგები არ შეაწუხონ, გარნა ტფილელი მწვალებელი სომხები ამ ფირმანითაც არ ცხრებიან, ახალ-ახალ რამეს იგონებენ ჩვენისა და კათოლიკების შესაწუხებლად. ტფილისში მცხოვრები ერთი ვართაპეტი, სახელად მესროფ, დღე ყოველ სხვა არაფერს შვრება, თუ არ მას, რომ სწყევლის პაპს, ყველა მეფეებს და რომის კათოლიკეებს; ეგრეთვე ერსაც ურჩევს ასე ჰქმნას; მასთანვე ჩვენის დიდ შეურაცხყოფისთვის, შეადგინა ერთი ეშმაკებრივი ლოცვა, რომელსაც ტფილისის ყველა ეკლესიებში დილა-საღამოს ლოცვის დროს ათქმევინებს..." იქვე, №129. II. იხ. მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 303-304.

მაშივნე აფრინეს მოციქული სპარსეთის მეფის კარზე[1]. რომის პაპმა თავისი ელჩების მეშვეობით თხოვა ევროპის სახელმწიფოებს, სარეკომენდაციო წერილები გაეგზავნათ შაჰთან საქართველოს მისიონის დასაცავად[2]. ამგვარად, მისიონერების დევნა შეწყდა, თითქოს მშვიდობა დამყარდა, მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

სომხებმა მალე გამონახეს საშუალება, არად ჩააგდეთ ყველა პრივილეგია, რომლებიც კათოლიკეებს მიანიჭეს, შეძლეს, გაეუქმებინათ სპარსეთის მთავრობის ბრძანება მისიონერებისა და კათოლიკეების შევიწროების აკრძალვის შესახებ, პოლიტიკური არეულობითაც ისარგებლეს და კვლავ განაახლეს კათოლიკეების ჩვეულებრივი რბევა-შევიწროება. აღსანიშნავია, რომ ახლა სომხებმა ქართველების გადმობირებაც მოახერხეს და ისინიც აიყოლიეს კათოლიკეების დევნაში. მისიონერებმა ამ დევნის შესახებ ვრცელი მოხსენებანი გაგზავნეს რომში[3].

---

1 „... სპარსეთის სამეფოში (განჯაში) რამდენიმე წელი დავყავი, როგორც სამოციქულო მისიონერმა და იქ ბარბაროსებისა და სქიზმატიკოსთაგან დიდი უბედურება და ტანჯვა ვიწვნიე. ამ მისიონერების პრეფექტის, ფრიად პატივცემული პატრის, სილვესტრო პენიკოლას ბრძანებით და ერთდროულად ყველა იქაური კაპუცინის თხოვნით რომში ჩამოვედი, რათა პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციისთვის მომეხსენებინა მისიონთა საჭიროების შესახებ. ამ მიზნით რომში რომ ვიმყოფებოდი, აქ მოვიდა ზემოხსენებული პრეფექტი პატრისა და სხვა მისიონერების წერილები, რომლებიც სომეხი სქიზმატიკოსების მიერ ორი მისიონის (ერთი თბილისშია, საქართველოში, მეორე — სპარსეთის სამეფოში, განჯაში) სასტიკი დევნის ამბავს იუწყებოდნენ. ეს დევნა მისიონების სრული განადგურებით უნდა დამთავრებულიყო. აღისრულებოდნენ კიდეც სომხები თავიანთ საზარელ წადილს, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს თავისი სახიერებით ქართველებისა და თურქების გულში საბრალო კაპუცინი მისიონერებისადმი თანაგრძნობა არ აღეძრა. მიუხედავად იმისა, რომ სომხები ცოტათი დაშოშმინდნენ, ფულით მაინც მოახერხეს თბილისის ეკლესიის დახურვა, ხოლო იქ გამორჩენა სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა ყველა კათოლიკეს..." P. Raphaël du Mans Estat de la Perse., Paris, 1890 გვ. 376–377.

2 იხ. Arch. de la Propag. Lettere della S.C., ტ. LXXXVIII, გვ. 7,8. 106, 108, 189; ტ. LXXXIX, გვ. 320, ტ. CX, გვ. 122.

3 „... მაშ ასე, თქვენს უდიდებულესობებს მინდა ვაუწყო, რომ თბილისის ამ მისიონს, რომელიც 48 წლის წინ დაარსდა, არასოდეს განუცდია ისეთი სასტიკი და ხანგრძლივი დევნა, როგორსაც ახლა განიცდის, რადგან არასოდეს ჰყოლია იმდენი მტერი, რამდენიც ახლა ჰყავს, თუ წარსულში მხოლოდ სომხები დევნიდნენ, ახლა ქართველები და ბერძნებიც მტრობენ. ქართველები და ბერძნები ისე მოექცნენ სომეხი ერეტიკოსების გავლენის ქვეშ, ჩვენსა და ჩვენს კათოლიკეთა წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ამრიგად, ყველას მიერ მოძულებულნი და შეურაცხყოფილნი გახლავართ... ბერძნების შესახებ გეტყვით, რომ ერთმა ბერძენმა მღვდელმა თავისი შხამიანი პირიდან იმდენი ლვარძლი ამოანთხია ჩვენსა და კათოლიკობის წინააღმდეგ, ქართველები და სომხებიც წააქეზა, იგივე გაეკეთებინათ. მეტიც, მისი რჩევით იერუსალიმელმა ბერძენმა პატრიარქმა კონსტანტინოპოლიდან წერილები მოსწერა მეფეს და ქალაქის სხვა მთავრებს, სადაც კატეგორიულად მოითხოვდა ამ ქალაქიდან ევროპელი პატრების, როგორც ხალხების მაცდუნებლებისა და მომტყუებლების გაძევებას... თბილისი, 15 აპრილი, 1708. ძმა რეჯინალდო ლენტინელი". Arch. de la Propag., Scritture originali riferite, ტ. DLXVI, №43.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კათოლიკების დევნა კიდევ უფრო გაძლიერდა ერთი სომეხის — ისრაელ ორის მიზეზითაც. ისრაელ ორმა ევროპაში იმოგზაურა, სადაც დიდებულებს თავი გულმხურვალე კათოლიკედ მოაჩვენა. მოახერხა, ევროპის მეფეებისაგან და თვით პაპისგან სარეკომენდაციო წერილები მიეღო სპარსეთში კათოლიკეთა შესაწევნად. როდესაც სპარსეთში ჩავიდა, იქაურებს ევროპის სახელმწიფოთა მოციქულად წარუდგა. შემდეგ ერეტიკოს სომხებს დაუკავშირდა და კათოლიკობას საშინელი დევნა დაუწყო[1].

კათოლიკეთა დარბევა, როგორც ჩანს, 1711 წელსაც გრძელდებოდა, რადგან სწორედ ამ პერიოდში წერენ საფრანგეთში:

„მატონი აგატოფოლისის ეპისკოპოსი, ბაბილონის კოადიუტორი, საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1711 წლის 3 აგვისტოს დაწერილ თავის უკანასკნელ წერილებში ამბობს, რომ დიდად შეჭირვებული იხილა ყველა კათოლიკე; რომ ფრანგმა მისიონერებმა მას აცნობეს, შაჰ-სეფმა სომხებს იმ ბრძანების საწინააღმდეგო ბრძანება გაუგზავნა, რაც მიშელს ჰქონდა და მისიონერთა სასარგებლო იყო; რომ ამ ახალი ბრძანებით გათამამებულმა სქიზმატიკოსებმა უკვე მოასწრეს სასტიკად მოპყრობოდნენ რამდენიმე მისიონერს, თანაც მათი ყველა ნაგებობის დანგრევას აპირებდნენ“[2].

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ახალ მისიონერებთან ერთად საბას ჩამოსვლას საქართველოში 1717 წელს კათოლიკეთა ხელახალი დევნა მოჰყვა. ბოლო დევნამ ერთობ გადააჭარბა სისასტიკით ყველა ადრინდელ დევნას, რადგან მასში ქართველები მონაწილეობდნენ, ან თვალი დახუჭეს ყოველივეზე და სავსებით მიუშვეს ნებაზე სომხები, რათა ყველაფერი გაეკეთებინათ, რასაც მოისურვებდნენ. ჩვენ გვინდა

1 „ბატონს საფრანგეთის ელჩს კონსტანტინეპოლში, 4 აპრილს, 1709.

ამ ჟამად ჩვენი წმიდა კათოლიკე სარწმუნოება ძრიელ დიდ განსაცდელშია სპარსეთის სამთავროში. ამის მიზეზია უღმრთო მოქმედება ერთი სომხისა, რომელსაც ჰქვიან ისრაელ ორი და რომელმაც ამ რავდენისამე წლის წინად ევროპაში ყველას მეტად გულმხურვალე კათოლიკედ მოაჩვენა თავისი თავი და ამის წყალობით ბევრს ქრისტიანე მეფეს და განსაკუთრებით პაპს წერილები გამოართვა სპარსეთის მეფისათვის, რომლისათვისაც ვითომ შეღავათი უნდა ეთხოვა იმ მხარეში მყოფ კათოლიკეთათვის. გარნა ახლა თუ წმიდა კრებამ და თუ პაპმა დიდის მწუხარებით გაიგეს, რომ ის კაცი რა მისულა სპარსეთს თავისი თავი ქრისტიან მეფეთა და პაპის ელჩად ალუიარებია; მერმე დაკავშირებია ეჩმიაწინის სქიზმატიკე პატრიარქსა და ყოველის ღონისძიებით ცდილობს, კათოლიკე სარწმუნოების ერთიანად მოსპობას და ამიტომ საშინელი დევნა დაუწყვია“... Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. XCVIII, გვ. 37. — იხ. იქვე, Miscellance Varie, ტ. X, გვ. 180 და მომდევნო; T. Krusinski, Tragica vertentis belli Persici historia, გვ. 524-529. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 310.

2 საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს არქივი პარიზში, Perse, ტ. III, გვ. 17.

აქ მთლიანად მოვიყვანოთ ერთი მისიონერის წერილი, რომელიც ამ დევნას ეხება:

„ამ ქვეყნის ამბავი საკმაოდ სატირალია. გავლილის წლის სექტემბერში, ჩვენი ტფილისის მისიონი, ეგონათ შვენიერი და დიდებული ღვთისა და კაცის წინაშე, სომხების სიმრავლით, თუ სულ არ გაოხრდა, უკანასკნელ მდგომარეობაში ჩაყენებულა. ღვთის და რომის საყდრისაგან გადამდგარნი არ დაკმაყოფილდნენ ჩვენის მონასტრის საფუძვლიანად დაქცევას, იმ მონასტრისა, რომელსაც ჰყავდა 13 მონაზონი, არამედ მისცვივდნენ ეკლესიასაც. რაკი ის დღე ვერ დააყენეს როგორიც სახლს და რადგან შენობა მაგარი იყო, ბევრ ადგილას ცეცხლი წაუკიდეს და გამოსწვეს; მერმე გაუჭირვებლად შევიდნენ შიგ, რადგან ამ დროს ორი პატრის მეტი იქ არ იყო. ტრაპეზი ერთიან დაანგრიეს, ყველა ხატი ნაკუწ-ნაკუწ დასჭრეს, ჯვრები და ჯვარცმები დაამტვრიეს; ერთმა უბოროტესმა ამოიღო ხმალი და შემოუქნია ერთს შვენიერს და დიდად ძლიერსა ღვთის მშობლის ხატსა, მაგრამ, დახე სასწაულს, სანამ ხატს მოხვდებოდა, ხმალი შუაზე გადატყდა. რა ნახა ეს ბოროტმა და გაშმაგებულმა სომეხმა, ნაცვლად შენანებისა, უფრო გაკერპდა, აიღო ერთი დიდი დანა და ბევრ ადგილას დასჭრა წმიდა ღვთისმშობლის ხატი. ამით არ დასრულდა მათი ურიული სიბრაზე. ამ სომხებზე შეიძლება ვთქვათ, რომ ურიებზედ უარესნი არიან. შემდგომ ღვთის დედას შეურაცხყოფისა, მიესივნენ მის ძესა, ხანჯლით გამოგლიჯეს ტაკუკის კარები, გამოიღეს წმიდა ზიარების კოლოფი, რომელიც ხანჯლით ორად გაჩეხეს და წმიდა ზიარება მიწაზედ მოაპნიეს და დაიწყეს ზედ ხტუნვა და მღერა; ზოგმაც წირვის შესამოსი ჩაიცვა და ისე დაიწყო თამაში, მათი ფეხქვეშ ქელა და დაფხრეწა და ამნაირად იქცეოდნენ, ვიდრე კარგად დაიღლებოდნენ. შემდგომ რა უღმრთოებმაც ვერ უყვეს ცოცხლებს, ის მიაყენეს მკვდრებს; შევიდნენ აკლდამაში, სადაც ოთხუთმეტი დღის დასაფლავებული იყო ერთი ჩვენი პატრი, წინამძღვრად ნამყოფი, უღმრთოდ და უწყალოდ შეურაცხჰყვეს და გამოსვლის შემდგომ შიგ გამოამწყვდიეს ერთი ძაღლი, რათა დამშეულს შეეჭამა ეს მკვდარი პატრი. მეტს აღარ გავაგრძელებ ამის აღწერას, რათა უმეტესი ზიზღი არ მოგგვაროთ. ახლა ჩვენი საბრალო პატრები დარჩნენ უმონასტროდ და უეკლესიოდ და დგანან ერთ პატარა სახლში. რომში ნამყოფ ბატონ საბაზე განრისხებულ ქართველებს, თუმცა ასეთი მკრეხელობა და უღმრთო დევნულება არ ჩაუდენიათ, მაგრამ კი წააქეზეს სომხები და ეს ჩაადენინეს.

ეს სომხები თაყვანს სცემენ წმიდა ზიარებას და შემდგომ მას ფეხით თელენ, პატივს სცემენ წმიდა ხატებს და შემდგომ მათ ფხრეწენ; პატივს სცემენ ეკლესიას და შიგ კი მკრეხელობას ჰყოფენ და ანგრევენ. ასეთია სარწმუნოება ამ სქიზმატიკოს-მწვალებლის სომხებისა. ასეთი

უწყალობის ქმნა არ შეეძლოთ, ქართველებს რომ ნება არ მიეცათ. აწ ნახეთ, თუ მართალი არ არის, რომ საბრალო მისიონერები არიან დასჯილნი მხეცებში. თუმცა, კაცი ღვთის მტრებისგან ამაზე მეტს არაფერს უნდა მოელოდეს, მაგრამ დიდად სამწუხაროა საბრალო მონაზვნისთვის, როცა ხედავს წმიდა ზიარების ფეხით თელვას, წმიდა ხატების აოხრებას მათგან, რომლებსაც თავიანთი თავი ქრისტიანად მოაქვსთ და ურწმუნო უღმრთოები კი არიან. თავიანთ თავს კათოლიკედ აჩვენებენ, ხოლო როცა აქ ბრუნდებიან, იკვეხნიან, რომ იტალიაში ეგოდენი ზიარება ვსჭამეთ. არ ვიცი ეს სასჯელი ღმერთმა მოგვივლინა ჩემი უღირსობის გამო, თუ იმიტომ, რომ მწუხარებისაგან მომკვდარ-ვიყავ, იქ რომ ვყოფილიყავი და მენახა ასეთი მკრეხელობის მოქმედება წინაამდეგ წმიდა ზიარებისა და ღვთისმშობლის; გარნა მე უკვე ტფილისიდგან წამოსული ვიყავი ერთი თვის წინეთ, რადგან თავრიზს დამიბარეს ერთი ჩვენის ფრანგის პატრის გამო, რომელსაც ამხანაგი მოჰკვდომოდა და თვითონაც, რადგან სნეული იყო, შიშობდა საიდუმლოების მიუღებლად არ მომკვდარიყო. ამიტომ არ დავსწრებივარ იმ სატირალ ტრაგედიას, რომელიც უყვეს ღმერთსა და რომის ეკლესიას სქიზმატიკის მწვალებელმა სომხებმა. ამ უღმრთოების მოსამოქმედებლად ისინი აღძრეს მათმა უბედურმა პატრიარქმა და ერთმა სომხის ეპისკოპოსმა, რომელმაც სწავლა რომში მიიღო. აქაური სხვა ამბავი არ არის რა იმის მეტი, თუ არ ის, რომ მგონია წრეულსაც ჟამი ისევ გაჩნდეს, როგორც ამ ხუთი წლის წინათ იყო. თავრიზი, 18 აპრილი 1718 წელი. პატრი ანჯელო პოპილი“[1].

რომმა როგორც კი გაიგო ამ საშინელი დევნის შესახებ, მაშინვე მიმართა სპარსეთის მეფეს. პაპის თხოვნით ევროპის რამდენიმე მეფემ შაჰს მისწერა, დახმარებოდნენ კათოლიკეებს და ბრძანება გაეცა, მათთვის აენაზღაურებინათ ზარალი, რაშიც ამ საშინელი მძვინვარების დროს მიაყენეს[2]. ვახტანგ მეფეც დაბრუნდა თავის სამეფოში და, როგორც ყოველთვის, ახლაც დაიცვა კათოლიკეები, რისთვისაც რომმა დიდი მადლობა შესწირა[3]. ასევე ბერმონაზონმა საბამ, მისიონერთა თავკაცმა, მოთმინებითა და გამბედაობით იმდენი გააკეთა, რომ კათოლიკეთა დევნა ალაგმა[4].

---

1 Missionaril Toscani, ნაწილი II, გვ. 762 და სხვ. ხელნაწერი დაცულია მონტუგის კაპუცინებთან, ფლორენციასთან ახლოს. იხ. Arch. de la Propag., Acta S.C., 1718 წელი, №12, Georgia, გვ. 585; Lettere della S.C., ტ. CVI, გვ. 174 და 333. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 335-336.

2 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CVIII, გვ. 19, 41, 377, 383, 490; ტ. CIX, გვ. 19, 119, 568.

3 იხ. იქვე, Lettere della S.C., ტ. CVIII, გვ. 368, 377; ტ. CIX, გვ. 389

4 იხ. იქვე. Lettere della S.C., ტ. CVII, გვ. 335.

სომხების მიერ კათოლიკეთა სამტროდ დატრიალებული ქარიშხლის შემდეგ საბა ხელახლა შეუდგა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას. გააკათოლიკა თავისი ყველა ქვეშევრდომი, თავისი ოჯახის წევრები და ნათესაობა, აგრეთვე ბევრი სხვა ქართველიც, ყველა ფენის წარმომადგენელი, მაგრამ პოლიტიკურმა არეულობამ ხელი შეუშალა ბოლომდე განეხორციელებინა მიზანი — მთელი საქართველოს გაკათოლიკება. ძმათა შორის განხეთქილებას და შუღლს თურქებთან ომი მოჰყვა[1]. ვახტანგ მეფე იძულებული გახდა, სამეფო დაეტოვებინა. მან საქართველოს სხვადასხვა სამთავროებს მიაშურა, ბოლოს კი, 1724 წელს, თავადთა მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს შეაფარა თავი. ვახტანგ მეფეს გაჰყვა ბერმონაზონი საბაც, რომელმაც ამდენი გააკეთა კათოლიკური სარწმუნოებისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ საბამ რუსეთში დაასრულა ღირსეული ცხოვრება. ვახტანგ მეფეც რუსეთს გარდაიცვალა 1738 წელს. მის სიკვდილს ერთი კაპუცინი პატრი დასწრებია[2].

## VIII. – კათოლიკობის აღმავლობა. სხვა ქართველი თავადების გაკათოლიკება. პროპაგანდის მისალოცი წერილი. გაკათოლიკებული ქართველები პაპს სთხოვენ მდევნელებისაგან დაცვას. პროპაგანდის პასუხი. ქართველი თავადები თავიანთ თვისტომ ქრისტეფორეს, გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს რომში გზავნიან. ეს თავადები ისევ ითხოვენ რომის მფარველობას ხელახალი დევნის გამო

საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის განუწყვეტელი ცვლილების მიუხედავად, მისიონი არა მარტო ღონეს იკრებდა, არამედ ფრთებს შლიდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეშიც, სახელდობრ — იმერეთსა და ახალციხეში, რომელიც იმ დროს თურქებს ეკავათ[3].

ქართველი დიდგვაროვანნი ხშირად კათოლიკდებოდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა საბუთი არ მოგვეპოვება, მაგრამ ისინი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, მოწმობენ, რომ გაკათოლიკებული დიდებულნი საკმაოდ ბევრნი იყვნენ. მათ შორის უნდა დავასახელოთ ძმები ორბელიანები: ივანე და ვახტანგი. მათ კათოლიკობის მიღების შემდეგ რომის პაპისთვის წერილი მიუწერიათ. სამწუხაროდ, ეს წერილი ვერ აღმოვაჩინეთ. მოვიყვანთ მხოლოდ პასუხს, რომელიც პროპაგანდამ გამოუგზავნა ძმებს:

---

1 იხ. იქვე, Lettere della S.C., ტ. CIX, გვ. 839, ტ. CXIX, გვ. 86; ტ. CXI, გვ. 132.

2 იქვე, Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №44.

3 იქვე, Lettere della Sacra Congregazione, ტ. XCIX, გვ. 133; ტ. CIII, გვ. 457; Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №24.

„ტფილისსა, 20 თებერვალს 1734 წ.

წარჩინებულ ორბელიანთ ოჯახის კეთილშობილ კათოლიკეებს.

მეტისმეტად ანუგეშა და ასიამოვნა წმიდა კრება მანდ მყოფის მისიონერი კაპუცინი პატრის ანჯელო პოპიელის წერილმა, რომლითაც მას აუწყა თქვენს შესახებ, თუ როგორ მხურვალე გულმოდგინებით მიგიღიათ კათოლიკე სარწმუნოება, რომელიც საბედნიეროდ გიცნიათ ღვთის შეწევნით და კიდეც დიდის გრძნობით აღიარებთ მას. ეს ჩვენი ბატონი კარდინალები დიდად გევედრებიან, დაიცვათ ეგ თქვენი გულმხურვალება და კეთილი მაგალითი, რომელსაც ეგრეთ ცხადად და მხნედ აძლევთ თქვენ საკუთარს გვარს, რათა ეგენიც დაადგნენ თქვენს კვალს და ჭეშმარიტი სარწმუნოება იცნონ. მასთანვე ესენი ევედრებიან ღმერთსა, რათა აღგავსოთ თქვენ მარადის ზეციერის უხვის მადლითა, რომ შეიძლოთ გაიმრავლოთ თქვენი სასყიდელი და სხვებიც შემოუერთოთ ამ წმიდა ეკლესიას, რომლის გარეთ ცხონების იმედი ამაოა. წმიდა კრებამ ასეთი საბედნიერო ამბავი სიმდაბლით მოახსენა პაპსა, რომელმაც დიდის და უზომო სიამოვნებით მოისმინა; ამიტომ ამ სიხარულის გამო მოგანიჭათ თავისი მწყემსებრივი კურთხევა და ნატრობს, რომ ეს კურთხევა შეიქმნას თქვენთვის შემაგულიანებელი, რათა მარადის მტკიცედ დაიცვათ ეგ თქვენი კეთილი გარდაწყვეტილება, რომელსაც დაადექით თქვენდა სასარგებლოდ და პაპის და ამ კრების სანუგეშოდ. ამ წერილით გაუწყებ ყოველსავე ამას, ეგრეთვე ვსთხოვ ღმერთსა,რომ აღგისრულოთ ყოველი თქვენი კეთილი ნატვრა და მოგანიჭოთ ყოველი ბედნიერება"[1].

საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას მუდამ აბრკოლებდა მისი დევნა. თავად ორბელიანებს თუმცა დიდი ძალაუფლება ჰქონდათ, მრავალი ქვეშევრდომი და ყმა ჰყავდათ, ძალიან აწუხებდნენ კათოლიკობის მტრები, ამიტომ იძულებულნი გახდნენ, რომის პაპისთვის მიემართათ დახმარებისთვის და მას ეს წერილი გაუგზავნეს:

„ნეტარო მამაო, მაღალსა მის და ზენა აღმატებულისა და უზენაესსა, ყოველთასა ჭეშმარიტსა, მონაცვლესა მეუფისა ქრისტესა და მისსავე პირველ მოსაყდრესა, ზესკნელთა და ღმრთისა სფერისა იმის სოფლის და ქვესკნელთაცა მოურნესა,რომლისაგან დიან წყარონი უხვად მომდინარენი, მოტევებისა და შენდობისანი. გარემომცველნი სამგვრგვლიანოსა ჴმელთანი, კლიტეთა მპყრობელსა სასუფევლისასა, რომლისა ჴელმწიფებითა განეხრან ბჭენი საუკუნოისა ცხოვრებისანი.

1 Arch. de la Propag., Lettere della Sacra Congregazione, ტ. CXXXIX, გვ. 44. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 346.

მორწმუნეთა მართალ მორწმუნეთათვის და დაიკმვიანვე არ მეარველთა მისთათვის კლდესა მეურყევლად, დაფუძნებულსა, რომელსა ვერ ვერად შეარყევენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი, რომლისა უფლებ-მწყემსობ-განმგეობითა აღმართებულ არს ჯვარი-ცხოველი ზედა ყოველსა ქვეყანასა და რომლისა ქადაგებითა მოუდრკების მუკლი მხურვალედ ყოველთა ცომთა და ენათანი უფლისა იესოს და აღუარებენ მჯდომარესა ცათა უმაღლეს უვრცელესსა. ერთსა წმიდასა და კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა, დედისა მის და დედოფლისა, აღმოსავალ-სამხარ-დასავლისათა. მამისა ყოველთა ადამიერთა დაშენებულთა ხმელთა ეპიფანისათა და მხურვალედ მომძიებელისა და მზრუნველსა მათსა უფალსა უფალთასა.

მათის ქრისცეს მსგავსი სიმდაბლით შვილად კადნიერი ქმნილნი მცირე მონანი და მკურვალედ მორწმუნენი დიდისა შიშითა და მრწოლით წმიდასა და მშვიდობასა მახარებელთა ფერხთა მდუღარისა ცრემლითა განწმენდისა მომლოდინენი, გონებისა განზრახვითა მრავლისა სავედრისა სიცყვითა თაყვანებით სათხეველსა ჩვენსა სულისა და ხორცთასა და მდიდარ ვიქნებით უცყუელისა სასოებითა, ჰე, მაღალო და ნეცარო მამაო, ვითარცა სულნი სახსნადნი ქვესკნელიანი შენგან ელიან გამოხსნასა და შენ ხარ გამომხსნელი. ეგერთვე შეგვიწყალენ დიდითა ამათა ჭირთა და განსაცთელთა შინა მყოფნი და კეთილად შეიწყნარენ ვედრებანი ჩვენნი, შორიელთა და განწირულთა მონათანი და მოიხსენენ სიცყვანი ჩვენნი. აჰა, წარმოგვივლინებდეს ეპისკოპოსი ქვეყანისა ჩვენისა წინაშე დიდებულებისა შენისა და ჩვენნი საქმენი ყოველნი პირითა ამისითა. მრწყინვალებამან მეუფებისა თქვენისამან შეისმინენ და ვითარცა ჯერ იჩინოს უცთომელმან შვილმან, შვილ-მოყვარეობამან სახიერებისა მამისამან, ეგრეთ იყავნ“.

ეს წერილი დათარიღებული არ არის; ზედ დართულ იტალიურ თარგმანს აქვს თარიღი: 1741 წლის 15 სექტემბერი.

ძმებმა ორბელიანებმა დაახლოებით ასეთივე წერილი პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტსაც გაუგზავნეს. წერილში ძმები იუწყებიან, რომ ძალიან შეავიწროვეს სპარსელებმა, თურქებმა და ლეკებმა[1].

პროპაგანდის კარდინალ-პრეფექტმა პეტრამ სასწრაფოდ გაუგზავნა მათ შემდეგი წერილი:

**„დიდათ მოწყალეო ბატონებო, საქართველოს თავადებო!**

ჩვენმა მაცონმა პაპმა, მენედიქცე XIV, ღვთისგან დღეგრძელებულმა მიიღო ცფილისიდან გამოგზავნილი 15 სექცემბერს 1741 წლისა თქვენი

1 ამ ორი წერილის ორიგინალი დაცულია პროპაგანდის არქივში, Monte Caucaso Giorgia, Scritture non riferite, ტ. II, №28. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 349—350.

წერილი, რომელიც მოიტანა მათმა უსამღვდელოესობამ ქართველ–კათოლიკე ეპისკოპოსმა, რომელსაც აქ მოვიდა წმიდა ადგილების მოსალოცავად და პაპისადმი თავისი მორჩილების გამოსაცხადებლად. პაპმა თავის ჩვეულებრივის მამობრივის სიყვარულით მიიღო ხსენებული ეპისკოპოსი და მიანიჭა მეტი წყალობა და სულიერი ძალა, ეგრეთვე წმიდა ჯვრის ნაწილი და ნაკურთხი კრავები. შეუძლია თქვენც გადმოგცეთ მისი რამდენიმე ნაწილი. მასთანვე ვეცადეთ,რომ ეს აქ პროპაგანდის კრების ხარჯით ყოფილიყო და მივეცით გზის ხარჯიც, თუმცა ხსენებულ კრებას არ შეეძლო ადვილად ამ ხარჯის გაწევა, რადგან თვითონაც გაჭირვებულ მდგომარეობაშია. პაპმა კეთილინება და მე, პრეფექტს, მიბრძანა, თქვენთვის მომეწერა,რომ ხსენებულ კრებას დაავალა, ზომა მიიღონ, რათა შეგისრულოთ ნათხოვარი, რომელიც თქვენს წერილში გამოაცხადეთ, და აღმოგიჩინოთ ყოველნაირი მფარველობა, როგორათაც მოხსენდა ხსენებულ ეპისკოპოსს, საშუალებით ერთის მოენისა, რომელმაც მანდატური ენა და გარემოება კარგად იცის და რომელიც არის ამ პროპაგანდის კოლეგიის მოწაფე. ეს აქ მომავალშიც დარჩება, რომ მანდატურის კათოლიკების მზრუნველი იქნება და ყველა ღონისძიებით ეცადოს ანუგეშოს ეს ტომი და დაუკმაყოფილოს ყველა თხოვნა, რაც აქამდე ჰყო ამ ტომმა ან რასაც შემდგომში წარმოადგენს. ამ წიგნის თქვენდამი მოწერით ვასრულებ პაპის პატიოსან ბრძანებას და გარწმუნებ, რომ იგი თქვენ და ყველა თქვენის ტომის კათოლიკებს განიჭებს მამობრივის სიყვარულით სავსე კურთხევას. ეგრეთვე გარწმუნებ თქვენის წერილის მიღებას და მასთანვე პაპთან ერთად გიცხადებ ჩემს პატივისცემას, რომელიც მაქვს თქვენს გვარსა და კათოლიკებზედ, როგორათაც სხვა დროებშიც მოგწერე“[1].

ეს წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ უეჭველია 1742 წელს უნდა იყოს დაწერილი.

წერილებში მოხსენიებული ეპისკოპოსი ქრისტეფორე, ქართველი კათოლიკე, რომელიც თავადმა ორბელიანებმა რომს გაგზავნეს, ორბელიანთა გვარს ეკუთვნოდა. მას კათოლიკობა 1730—1734 წლებში უნდა მიეღო.

ეტყობა, ეპისკოპოს ქრისტეფორესაც დიდი ტანჯვა-წვალება უგემნია კათოლიკობის მტერთაგან. ერთი წერილი, რომელიც იზმირიდან გაუგზავნია პროპაგანდის კონგრეგაციისთვის, გვაუწყებს,რომ სომეხთა პატრიარქის ბრძანებით მისთვის მთელი ქონება ჩამოურთმევიათ და ქვეყნიდან გაუძევებიათ. ეპისკოპოს ქრისტეფორესაც იგივე ბედი ხვდომია წილად, რაც ზემოთ

1 Arch. de la Propag., Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №30. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 351-352.

მოხსენებულ ძმებ ორბელიანებს[1]. მეორე წერილში, რომელიც ლივორნოდან არის გაგზავნილ ეპისკოპოს ქრისტეფორეს იქ ჩასვლასთან დაკავშირებით, ნათქვამია,რომ მას დიდი მოწიწებითა და სიყვარულით ექცეოდნენ მთელ საქართველოში, რომ ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული პატრიარქი დომენტიც დიდად აფასებდა და ტყვეობაში ყოფნის დროს მან სწორედ ეპისკოპოს ქრისტეფორეს ანდო ქართული ეკლესიის მართვა-გამგებლობა[2].

რომში ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ ნახა ერთი ქართველი, პროპა-

---

1 „პატივი მაქვს თქვენის მეუფების უმაღლესობას ვაუწყო, რომ სმირნაში მოვიდა მათი ბრწყინვალება ტფილისის არქიეპისკოპოსი ქრისტეფორე ყაფლანიანი (ორბელიანთ ხშირად ყაფლანიანთაც ეძახდნენ — მ.თ.) როცა გამომჟღავნებულა, რომ იგი კათოლიკე იყო, სქიზმატიკ სომეხთა პატრიარქს დაუწყია მისთვის სასტიკი დევნა, ჩამოურთმევინებია ყველა მისი ქონება და გაუძევებინებია საქართველოდგან; ეგრეთვე ამავე მიზეზის გამო გაულარიბებიათ კეთილშობილნი ორნი ძმანი კათოლიკენი იოანე და ვახტანგ, ორბელიანთ წარჩინებულის გვარისა, რომელსაც პროპაგანდა კარგად იცნობს. სანუგეშებლად და შესაწევნელად იმ საშწუხარო მდგომარეობაში, რომელშიც ყოველ შეშწეობას მოკლებული იმყოფებოდა ეს ღირსეული ეპისკოპოსი, აქაური ვაჭრებში ჩამოუკრიფე მოწყალება და ეგრეთვე მოუხერხე, რომ უსასყიდლოდ ემგზავრა, ვიდრე ლივორნამდინ, საიდანაც მოვა თქვენ ფერხთა წინაშე... სმირნა, 1 ივნისს, 1742, თქვენი მდაბალი მონა ირონიმე ლანცა, სმირნის სამოციქულო ვიკარია". იქვე, №41, იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 352.

2 „... გასულ თვეს ლივორნოს ლაზარეთში მოვიდა წმინდა ბასილის ორდენის თბილისის ეპისკოპოსი, ჩვენი კათოლიკე ბატონი ქრისტეფორე თომანიანტი, რომელსაც პატრიარქის შემდეგ მეორე ადგილი უკავია საეკლესიო ორდენში. ის რომში მიდის ჩვენი წმინდა სარწმუნოების საკეთილდღეოდ და თან მიაქვს ფრიად პატივცემული პატრის, ნიკოლო ჯირჯენტელის სარეკომენდაციო წერილები. ისიც გახლავთ ამ წმინდა მისიონების პრეფექტი და თქვენი უდიდებულესობისა და წმინდა კონგრეგაციის მორჩილი. მე ვიცნობ ზემოხსენებული პრელატის დამსახურებას და როცა შევიტყვე მისი ჩამოსვლის ამბავი, თავი ვალდებულად ვცანი, როგორც თქვენი უდიდებულესობის მორჩილი სამოციქულო მისიონერი, და მეტიც, რომელმაც ათი წელი დავყავი ამ მხარეში იმავე თანამდებობაზე, თქვენი უდიდებულესობისთვის მეცნობებინა და ამავე დროს მეთხოვა, კეთილი სურვილებით მიელოთ ზემოხსენებული პრელატი, ვინც თქვენი უდიდებულესობის წინაშე წარსდგება, და ასევე კეთილი ინებოთ და დაეხმაროთ, როცა მივა ბატონ კარდინალებთან, რომელთაც ამ წმინდა კონგრეგაციაში ადგილი უკავიათ. იგი ნამდვილად ღირსეული პრელატია თავისი კარგი თვისებების გამო, რისთვისაც უყვარს არა მარტო თავის ქართველ პატრიარქს, ვინც მას აფასებს და თვალისჩინივით უფრთხილდება, არამედ ყველა ქართველ მთავარსა და ბატონს და არა მარტო საქართველოსი[1], არამედ იმერეთისა და კახეთისაც, ამ ქართული პროვინციების და როცა ზემოხსენებული ქართველი პატრიარქი პოლიტიკური მიზეზების გამო კონსტანტინოპოლში დააკავეს თურქებმა, რომლებსაც ამ დროს ეპყრათ საქართველო, მაშინ ხსენებულმა პატრიარქმა თავის ვიკარად დანიშნა ზემოხსენებული პრელატი და გაუგზავნა საბუთები იმისთვის, რომ ეზრუნა მის საშწყსოზე, რათა ამით ზოგიერთი პატივმოყვარესათვის, რომელთაც შეიძლება მოესურვებინათ ეს თანამდებობა, ხელი შეეშალა... ვოლტერა, 3 სექტემბერი, 1742. ძმა ანჯიოლ მარია ვოლტერადან". იქვე, №38.

---

1 იგულისხმება „ქართლი" (მთარგმ.).

განდის კოლეჯის მოსწავლე[1], რომელმაც დიდი დახმარება გაუწია და თავის სახელით პროპაგანდის კონგრეგაციას შემდეგი მოხსენება წარუდგინა:

მე, ტფილელი ანტონ ქადაკანთი, პროპაგანდის კოლეგიის მოწაფე, ვიცნობ წმიდა ბასილის მოწესეს მათ უსამღვდელოესობას ქართველ ქრისტეფორე ტფილისის ეპისკოპოსს. ჯერ ისევ მღვდელი იყო, როდესაც მიიღო კათოლიკობა პატრი ანჯელო პოპიელის საშუალებით, ყველა ჩვენის კათოლიკების თხოვნით ანტიოქიის პატრიარქმა კირილემ დანიშნა იგი ეპისკოპოსად. მას შემდეგ ხუთი წელიწადია. აწ აქეთ იმიტომ წამოვიდა, რომ დიდათ ნატრობდა რომში მოსვლას, პაპის ფერხთა მოხვევას, წმიდა ადგილების მოლოცვას და მოხსენებას, ეგრეთვე, იმ უბედურებისას,რომელშიაც ყველა მისი სამრევლო ხელქვეითი კათოლიკე ჩავარდა. ამის გამო უძველესის ორბელიანთ გვარის ორ თავადთა, ამისავე კათოლიკე ნათესავთა, რომლებსაც ათი წელიწადია, რაც კარდინალმა პრეფექტომ მისწერა და მიულოცა კათოლიკობის მიღება თავიანთ ხელქვეითებთან ერთად, გამოატანეს წერილი კარდინალ პრეფექტოსთან; ამის შესამოწმებლად ეპისკოპოსს გამოატანეს ეგრეთვე კარდინალის იგივე მიწერილი წიგნიც. სხვა თავის გასაცნობელ წიგნებთან ერთად ამ თავადებმა პაპთანაც გამოატანეს წერილი. ეს ხსენებული ეპისკოპოსი ნატრობს მოახსენოს წმიდა კრებას, რაკი ქართველ ტომს ორი ადგილი აქვს კოლეგიაში, გაუჭირვებლად მიიღებოდენ ხოლმე, როდესაც კათოლიკე ეპისკოპოსი და სამეგრელოს კაპუცინები, საქართველოს მისიონერები გამოგზავნიან ახალგაზრდებსა, თუმცა იქაური უდიდესი საჭიროება მოითხოვს უფრო მეტის შეწყნარებას.

ეგრეთვე სურს მოახსენოს წმიდა კრებას და თვით პაპსაც ქართველთა ერის საჭიროება, რათა რომში თავისი საკუთარი სახლი ჰქონდეთ, როგორათაც აქვთ სხვა ტომთა, ვითარცა ამას შეჰპირდა ნეტარხსენებული პაპი კლემენტი მეთორმეტე. ეს სახლი დიდად შეეწევა საქართველოს მისიონს.

ეს ეპისკოპოსი საჩქაროდ წავა, რა ნახავს წმიდა კრებას და პაპსა, რადგან ძლიერ ეჩქარება დაბრუნდეს თავის ეპარქიაში, რათა ანუგეშოს თავისი დაღონებული კათოლიკები.

საქართველოდან წამოვიდა პირველ ოქტომბერს 1741 წელს შავი ზღვით, მივიდა კონსტანტინეპოლში, იქიდან სმირნაში და შემდგომ ლივორნაში...“[2].

---

1 იხ. Registro degli alunni del Collegio Urbano, ტ. I, გვ. 325. ეს ნუსხა შეიცავს ქართველი მოსწავლეების გვარებს, რომლებიც აღიზარდნენ პროპაგანდის კოლეჯში 1646 წლიდან 1891 წლამდე.

2 Arch. de la Propag., Monte Caucaso, Giorgia, ტ. I, №44; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 353-354.

იმ დროს, როცა ეპისკოპოსი ქრისტეფორე რომში იყო, ან თავისი ქვეყნის სულიერი ინტერესებისთვის მოგზაურობდა, საქართველოში ჯერ კიდევ გოდებდნენ წინა დევნის ავბედით შედეგებზე. სომხები კი მაინც არ ისვენებდნენ და კვლავ წამოიწყეს კათოლიკეთა უწინდელზე უარესი აწიოკება. მიაღწიეს კიდევაც საწადელს: დახურეს თბილისის კათოლიკური ეკლესია, სამეფოდან გააძევეს მისიონერები და შეუდგნენ გაკათოლიკებულთა შევიწროება-დარბევას. თავადი ორბელიანები არ დაელოდნენ ეპისკოპოს ქრისტეფორეს ჩამოსვლას და პროპაგანდას წერილი გაუგზავნეს, რომელშიც სასწრაფო შველას და მისიონერების მობრუნებას ითხოვდნენ. აი, ის წერილი:

„ყოვლად წარჩინებულო, ფრიად პატივცემულო და უმაღლესო, ღვთისაგან რჩეულო, წმიდა კრების უფროსო, ჩვენო მამაო და ჩვენო მფარველო.

თქვენი სულიერი შვილები, ყველა ერთად, თქვენს მარჯვენას ვეამბორებით და თქვენს უმაღლესობას ვაუწყებთ მას, რაც უკვე წმიდა კათოლიკე ეკლესიის კრებამ იცის, ესე იგი, თუ რა დიდი ხანია, რაც ყველა ჩვენის ნათესავებით და ოჯახებით სამედნიეროდ თქვენი მორჩილნი ვართ და ჩვენთან ერთად ჩვენი საქართველოს ბევრი მამაკაცები და დედაკაცები. გავლილს წელს (1741) მანდ წარმოგივლინეთ ჩვენი ეპისკოპოსი ქრისტეფორე, რომლის საშუალებითაც გაუწყეთ ყოველი ჩვენი საჭიროება და მასთანვე ყველა ის მწუხარება, რომელიც გამოვიარეთ მწვალებელთა და ურწმუნოთაგან. დარწმუნებული ვართ, რომ აქამდე ის ყველაფერს მოგახსენებდათ, გარდა მისი მშვიდობით მანდ მოსვლისა არავითარი ამბავი შეგვიტყვია. აწ გაუწყებთ, რომ 1742 წელს სომხებმა ჩვენს საქართველოში მარჯვე დრო ჰპოვეს და შეისრულეს ბოროტი წადილი. ჩვენი პატრი-კაპუცინები დაიჭირეს და მრავალნაირად აწვალეს და დასჭრეს! მართალია არ დაუხოცავთ, მაგრამ ყველანაირ კი სტანჯეს; ეკლესია, წმიდა ჯვარი და წმიდა ხატები შეაგინეს. ეკლესია ჩამოართვეს და კაპუცინებს ჩვენს პროვინციაში ცხოვრების ნება აღარ მისცეს, არამედ აქედან განდევნეს. გარდა ამისა, აქ რამდენი კათოლიკეც ჰპოვეს ორისავე სქესისა, დაიჭირეს, უწყალოდ გალახეს, მათი ქონება აიკლეს და ძალით თავიანთ სარწმუნოებაზე გადაიყვანეს. აწ ტირილით გევედრებით და გაფიცებთ ღვთის სიყვარულისათვის, რომ ეს ყოველი ჩვენი ამბავი წმიდა მამას მოახსენოთ და ნუ ინებებთ ეგოდენ სულთა დაკარგვას. უკაფუცინებოდ დარჩენა არ შეგვიძლია. კარგა ხანია ეგოდენი კათოლიკები დავრჩით გაუნდობელ-უზიარებელნი; ბევრი კაცი მოკვდა თვინიერ სულის შემწეობისა და ბევრი ბავშვი მოუნათლავი. აღისწრაფეთ ჩვენს შესაწევნად და გვიშუამავლეთ წინაშე უწმიდესი პაპისა. იმდენ ქრისტიანე კათოლიკეთ ნუ ჩააგდებთ ეშმაკის ხელში. ჩვენ მივიღეთ კათოლიკე სარწმუნოება პატრი კაპუცინების ქადაგებით, ახლა თუ დავრჩით

უკაპუცინებოდ და უეკლესიოდ, არ ვიცით როგორი ქრისტიანნი შევიქნებით, ინებოს ღმერთმა, რომ ეს არასდროს მოხდეს. ეს დევნულება მარტო სომხებმა ასტეხეს. აწ უწყოდეთ, რომ ჩვენი მწუხარება და ტირილი უფრო უმეტესია ამაზე, რაც აქ მოგახსენეთ. ამისას დანარჩენს გაუწყებენ ხსენებული პატრები. თქვენი უმდაბლესი მონანი ორბელიანთი ყველა ნათესავებით. 1742 წ.“[1].

სხვა ქართველმა თავადმა, რომელსაც ძმებ ორბელიანებზე ნაკლები გავლენა არ ჰქონდა საქართველოში, ამავე საკითხზე პაპს ასეთი წერილი გაუგზავნა:

„ბენედიქტე XIV-ს,

უბრწყინვალესო, უძლიერესო უმეტეს ყოვლისა ქებისა, ვინაიდგან ქვეყნიერ მფლობელთა და მთავართა შორის არავინ არს უმაღლესი თქვენზედ, რომელმაც სასუფევლის კლიტესთან ერთად ზეცით მიიღეთ უმაღლესი ძალა შეკვრისა და გახსნისა და ეგრეთვე მოგენდოთ მთელის სოფლისათვის ზრუნვა, და რომლისაგან ძლიერნი ქვეყნისანი ძრწიან და ცოდვილნი ითხოვენ მოწყალებას და შენდობას. ამ თქვენს ესრეთ მაღალს ღირსებას ჩვენ მორჩილნი და მდაბალნი, თუმცა სხეულით დაშორებულნი, გარნა გულით ახლოს მყოფნი და თქვენთან შეერთებულნი მოკრძალვით და სიყვარულით ვეთაყვანებით. კდემით ვემთხვევით თქვენს წმიდა ფერხთა და ვითხოვთ თქვენგან ჩვენის ცოდვების შენდობას.

დიდი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში, კათოლიკების საჭიროებისათვის, თქვენი ეკლესია აშენდა და თქვენი პატრი-კაპუცინები ცხოვრობენ. ჭეშმარიტად ამათ დიდი შრომა მიიღეს, ბევრი შემცდარნი ცხოვარნი უფლის სამწყსოს შეუერთეს და ესრეთ დიდ-სულოვნობით და პატივით მოუპოვეს კათოლიკე წმიდა სარწმუნოებას. გარნა ამ საქართველოს პროვინციაში სომხებმა გაიმარჯვეს. კათოლიკე სარწმუნოების გამო თქვენი პატრები დაატყვევეს, გალახეს და ეგოდნათ უსამართლოდ სდევნეს, რომ უარესის ქმნა თითქმის აღარ შეიძლებოდა. ეკლესია, წმინდა ჯვრები და წმიდა ხატები შეაგინეს და ფეხ-ქვეშ გათელეს. როდესაც მთავრობამ ეკლესია და სახლი ჩამოართვა, სომხებმა აქ თქვენი პატრები ბევრ ხანს აღარ დააყენეს, არამედ აქედან განდევნეს. ყველა კათოლიკები, თუ მამაკაცები, თუ დედაკაცები დაატყვევეს, სცემეს და ეგოდნათ აწვალეს, რომ უარესის თქმა აღარ შეიძლება. ყველა მათი ქონება აიკლეს და სარწმუნოებაც უარაყოფინეს. აწ ჩვენ დიდად გვევედრებით ამ ქვეყნისაგან ნუ განაშორებთ თქვენის მოწყალების

1 იხ. იქვე, №43. ამ წერილის ლათინური თარგმანი მოთავსებულია მიქაელ ტუჯიოელის კაპუცინთა ბულებში — Michael A Tugio, Bullarium Capuccinorum, ტ. VII, გვ. 359. ჩვენ ვერ შევძელით ორიგინალის პოვნა; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 359—360.

ხელსა, იმდენის მოქცეული კათოლიკებითურთ ნუ დაეთმობთ მწყალე-ბლებს და ჩვენც ნუ მოგვაშორებთ კაპუცინებსა. ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, შეგვეწიოთ და ჩვენი ცრემლით შერეული ვედრება შეიწყნაროთ. ჩვენი შეწევნა და ნუგეშისცემა თქვენთვის ძნელი არ არის, ამიტომ ნუ აიღებთ ხელს ნურც ჩვენზე და ნურც ჩვენ უბედურ ქვეყანაზე. აგრეთვე შეეწიეთ ამ ხსენებულ პატრებსაც და ნუ ინებებთ, რომ წმიდა ეკლესიის მტრების გამო სამუდამოდ გაშორდნენ აქაურობას და ესრეთ დაიღუპნენ ერთიანად იმდენი კათოლიკეები. დანარჩენს თქვენი პატრები მოგახსენებენ: უმდაბლესი მონა თქვენს მონათა შორის მეფის პირველი ამილახორი (1742 წ.)“[1].

საქართველოს პატრიარქმაც აუწყა პაპს ამ დევნის შესახებ და სთხოვა შემწეობა და კაპუცინების უკან დაბრუნება, როგორც უკვე მოგახსენეთ კათალიკოსებისადმი მიძღვნილ თავში.

ამ დევნის შემდეგ, რომელმაც თითქმის მთლიანად მოსპო ყველაფერი, რაც მისიონერებმა კათოლიკური სარწმუნოებისათვის გააკეთეს, გაძევე-ბულმა კაპუცინებმა რომში პატრი ნიკოლო მარია ბორჯოლელი სან-სეპო-ლქრო გაგზავნეს დახმარების სათხოვნელად. პატრი გზაში ძალიან დაიღალა და მოსალოდნელობლად რამდენიმე ხნით შეჩერდა კონსტანტი-ნოპოლში, იქიდან, 1742 წლის 17 აგვისტოს, რომში გაგზავნა ვრცელი მოხსენება, რომელშიც დევნის ამბავს იუწყება. ჩვენ სქოლიოში ვათავსებთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს ამ მოხსენებიდან[2].

რომში ძალიან შეწუხდნენ. პაპმა კიდევ ერთხელ მიმართა თხოვნით ევროპის სახელმწიფოებს, ჩარეულიყვნენ ამ საქმის სასიკეთოდ და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მიეღწია საქართველოში კათოლიკეთა დევნის შეწყვეტისა და მათი თავისუფლების უზრუნველყოფისათვის[3].

---

1 თარგმანი ლათინურ ენაზე, იქვე, გვ. 249; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 358-359.

2 „... აწ მიზეზი იმ ქვეყნიდან ჩემი წამოსვლისა ისაა, რომ საუბედუროდ დავკარგეთ ტფილისის მისიონი, ამ 1742 წლის მარტის დამლევს და აპრილის დამდეგს მწვალებელმა სომხებმა დაგვიწყეს მკაცრი დევნა. ჩვენი მონასტერი და ეკლესია სპარსეთის თათრებს ერთიან აკლებინეს, ტფილისში მყოფი მონაზონები დაგვამწყვდიეს, გაგვლახეს და ათასნაირი ტანჯვა მოგვაყენეს, ისე,რომ აღარავის გვეგონა, თუ კიდევ ვიცოცხლებდით; გარდა ამისა, შეუბრალებლად და უწყალოდ გალახეს ყველა სომხის კათოლიკები, რომელთაც მოინდომეს მტკიცედ დარჩენა წმიდა კათოლიკე სარწმუნო-ებაში; ბარბაროსულად წაართვეს ყველაფერი, რაც კი გააჩნდათ; ეს არ აკმარეს, არამედ ბევრის ცემის შემდეგ ალევარებინეს ევტიქეს შემცდარი სარწმუნოება და აწყევლინეს პაპი წმიდა ლეონ დიდი. ამას არ დასჯერდნენ და ბოლოს ჩვენც ძალით გაგვდევნეს ტფილისიდამ... ტფილისში დარჩნენ მარტო ქართველი კათოლიკები, რომლების წინააღმდეგ სომხების მეხანათობრიუმა სიცოფეშ ვერაფერი გააწყო...“ Arch. de la Propag., Scritture non riferite, Romania, ტ. VIII. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 357.

3 იხ. [illegible] Lettere della S.C., ტ. CLVII, გვ. 286; ტ. CLVIII, გვ. 91, 119; ტ. CLIX, გვ. 166, 168, 170; ტ. CLX, გვ. 117, 119, 127.

## IX — ისპაანის ლათინი ეპისკოპოსი ჩამოდის თბილისში და იქ თავის მთავარ ვიკარად ერთ კაპუცინ პატრს ნიშნავს. პატრების წინამძღვრის უკმაყოფილება. მისიონერები ითხოვენ ეპისკოპოსის დანიშვნას საქართველოში. ეპისკოპოსობა ძლიერ უშლის ხელს კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში

რამდენიმე თვის შემდეგ კაპუცინები თბილისში დაბრუნდნენ და დაეპატრონენ თავიანთ სახლსა და ეკლესიას. კათოლიკეთა დევნა გარეგნულად თითქოს შეწყდა, სინამდვილეში კი სომხებს არასოდეს უფიქრიათ თავი დაენებებინათ მისიონერების საწინააღმდეგო საქმიანობისათვის[1].

ისპაანის ლათინი ეპისკოპოსი, რომლის იურისდიქციაში საქართველოც შედიოდა, თბილისში ჩამოვიდა და რომ გაიგო, აქ კათოლიკე ეპისკოპოსის ყოფნა უკიდურესად აუცილებელი იყო, თავის ვიკარად ერთი კაპუცინი პატრი ნიკოლო ჯირჯენტელი დანიშნა. მისიონის წინამძღვარი პატრი კლაუდიო ამ დროს ევროპაში იმყოფებოდა, როდესაც თბილისში დაბრუნდა ეს ამბავი შეიტყო, საშინლად იწყინა, დატოვა ქალაქი და ახალციხის მისიონს მიაშურა. რასაკვირველია, მისიონის უფროსის ეს საქციელი კათოლიკეებს არ მოეწონათ. ყოველივე მისწერეს პროპაგანდას, აცნობეს საქმის ვითარება და სთხოვეს, ისპაანის ეპისკოპოსის მიერ ვიკარად დანიშნული კანდიდატი დაემტკიცებინა, ხოლო პატრი კლაუდიოს ადგილას მისიონის წინამძღვრად სხვა დაენიშნა[2].

სამწუხაროდ, საეპისკოპოსოს ვიკარად დანიშნული პატრი ნიკოლოც არ მოიქცა მართებულად: არც უცდია, შეერიგებინა განაწყენებული პატრი კლაუდიო, რაც მოხდა, არაფრად ჩააგდო, მისიონის უფროსად ყოფნის დროს თავის უფლებებსაც საკმაოდ გადააჭარბა. თბილისში ისე ააშენა ახალი ეკლესია, პროპაგანდისთვის არ უცნობებია, ხოლო ხარჯები რომ დაეფარა, პროპაგანდის დაუკითხავად გაყიდა ქველმოქმედების მიერ ეკლესიისთვის შეწირული სახლები და დუქნები. პროპაგანდამ დაგმო პატრი ნიკოლის საქციელი, ისპაანის ეპისკოპოსს მისწერა, დაეზუსტებინა პროპაგანდისთვის გაგზავნილი ცნობები და თუ ყველაფერი სიმართლეს შეესაბამებოდა, მისი დანიშნული ვიკარი

---

1 იხ. იქვე, Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №52.

2 Arch. de la Propag., Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №59.

აეძულებინა, იტალიაში დაბრუნებულიყო[1].

პროპაგანდის ეს კატეგორიული მოთხოვნა არ მიიღეს მხედველობაში, რადგან პატრი ნიკოლო ისევ განაგრძობდა ვიკარის მოვალეობის ასრულებას. თვით ეპისკოპოსიც, რომლის რეზიდენცია საქართველოდან საკმაოდ შორს იყო, პროპაგანდის ბრძანებას არ გამოეხმაურა. ამიტომ 1749 წლის 9 აგვისტოს პროპაგანდამ ხელმეორედ უბრძანა, ემოქმედა და აეკრძალა კაპუცინების ვიკარად დანიშვნა[2].

მსგავს ვითარებას უეჭველად შეიძლებოდა ავბედითი შედეგები მოჰყოლოდა მისიონში როგორც კათოლიკური სარწმუნოებისთვის, ასევე მორწმუნეთათვის.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ქართველმა ბერმა საბამ რომს სთხოვა, ლათინი ეპისკოპოსი დაენიშნა საქართველოში, და რომ ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან გარდაიცვალა ლუი XIV (რომელმაც სამეგრელოში ახალი მისიონის დაარსების საქმესაც დაუჭირა მხარი). ეპისკოპოსი კი აუცილებლად სჭირდებოდა საქართველოს როგორც მისიონერებისთვის, ასევე მორწმუნეთათვის.

ამიტომ კაპუცინმა პატრმა პიერ მარიო ბორჯოელმა სან-სეპოლქრომ 1750 წელს პროპაგანდას გაუგზავნა მოხსენება,რომელშიც მრავალი საბუთი მოიყვანა საქართველოში ეპისკოპოსის დანიშვნის აუცილებ-

1 „1748 წლის 17 აგვისტო

მონსინიორ ისპაანის ეპისკოპოსს.

წმინდა კონგრეგაციამ მიიღო ცნობა, რომ პატრმა ნიკოლო ჯირჯენტელმა, წარსულში საქართველოს კაპუცინი მამების მისიონის პრეფექტმა, რომელიც თქვენმა უწმინდესობამ ზემოხსენებულ ქვეყანაში ვიკარად დანიშნა, თავისი ავტორიტეტი გამოიყენა და ქალაქ თბილისში ახალი ეკლესიის აშენება განიზრახა. ამ მიზნით ყოვლად წინდაუხედავად და ზემოხსენებული კონგრეგაციისაგან ნებადაურთველად გაყიდა რამდენიმე სახლი და ქულბაქი, რომლებიც კეთილისმყოფელ მორწმუნე ადამიანებს ანდერძით დაეტოვებინათ ამ მისიონების შესანარჩუნებლად. ვფიქრობთ, ეს სულ არ იყო აუცილებელი, რადგან უმცირესი ხარჯებიც ეყოფოდა ამ ძველი ეკლესიის რესტავრაციას.

ამის გამო მათ უმაღლესობებს, ჩემს ბატონებს სწადიათ, თქვენი უწმინდესობა დასჯერდეს ამ პროტესტის შემოწმებას და როცა მიიჩნევს, რომ ხსენებულმა ვიკარმა ბოროტად გამოიყენა თავისი მდგომარეობა, ვინაიდან იმოქმედა ზემოხსენებული ფორმით და არ დაიცვა სამსახურებრივი სუბორდინაცია, ე.ი. დღევანდელი მისი უფროსის, პრეფექტის ნებართვის გარეშე იმოქმედა, წმინდა კონგრეგაციის სახელითა და კატეგორიული ბრძანებით უნდა მოითხოვოთ მისი უკან, თავის პროვინციაში დაბრუნება. ყოველივე ამის შემდეგ მათი უმაღლესობების მპართველობა და მეც, ველით თქვენგან პასუხს და მითითებას იმის შესახებ, როგორ მოვიქცეთ". იქვე, Lettere della S.C., ტ. CLXXI, გვ. 191.

2 იხ. Lettere della S.C., ტ. CLXXIII, გვ. 156.

ლობის შესახებ[1], მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ასე სანატრელი ეპისკოპოსი არ დაუნიშნავთ და ადვილი გასაგებია, რარიგ ავნო კათოლიკურ სარწმუნოებას ამ სამუდამო ნაკლმა.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ საქართველოში კაპუცინების მოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოლაპარაკება დაიწყეს ეკლესიების გაერთიანებაზე, ერთი მისიონერი სპარსეთსაც გაგზავნეს ლათინი ეპისკოპოსის ჩამოსაყვანად და ამ საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად. რადგან ლათინმა ეპისკოპოსმა საქართველოში ჩამოსვლა ვერ შეძლო, მის დაუსწრებლად მოლაპარაკებას არავითარი წარმატება არ ჰქონია. საქართველოში მუდმივად რომ ყოფილიყო კათოლიკე ეპისკოპოსი, უფრო რეალური იქნებოდა ადრე თუ გვიან ქართული ეკლესიისა და კათოლიკური ეკლესიის საბოლოოდ გაერთიანება.

საქართველოში კათოლიკე ეპისკოპოსი რომ არ იყო, სომხები ჩვენში ამიტომ დევნიდნენ განუწყვეტლივ კათოლიკებს. სპარსეთშიც იყვნენ მისიონერები და სომხები იქაც სდევნიდნენ მათ, მაგრამ არა ასე ხშირად და ასე ულმობლად, რადგან სპარსეთში მუდმივად იმყოფებოდა კათოლიკე ეპისკოპოსი, ვის ძალასა და უფლებამოსილებას ყველა პატივს სცემდა, თვით სპარსეთის მთავრობაც. როგორც კი ჭეშმარიტი სარწმუნოების მტრები სპარსეთში შფოთვას იწყებდნენ, ეპისკოპოსი მაშინვე ეწინააღმდეგებოდა მათ და პროტესტს უცხადებდა ხელისუფლებას, რომელიც ეპისკოპოსის წოდების პატივისცემის ნიშნად ყურად იღებდა ყველაფერს, რასაც ის მისგან ითხოვდა. სპარსეთში მყოფ ეპისკოპოსს იმდენი ძალაუფლება ჰქონდა, რამდენჯერმე საქართველოს კათოლიკეებსაც გამოექომაგა და ხელი შეუწყო აქ მშვიდობის დამყარებას. საქართველოს კაპუცინები, რასაკვირველია, ყველაფერს

---

1 „რადგან ისპაანის ეპისკოპოსის ეპარქიაზე დაქვემდებარებული საქართველოს მისიონი საქართველოს შიდა ნაწილშია: გორი, თბილისი, განჯა, კავკასიონის ქედი, ხოლო აქეთ ახალციხე მისი შემოგარენითურთ, რომელიც კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის ეპარქიაში შედის, ამ ადგილებს შორის არსებული დიდი მანძილის გამო ზემოხსენებულ ეპისკოპოსებს არ შეუძლიათ მათთვის დაქვემდებარებული ეპარქიების შემოვლა. მაშასადამე, ჩვენი მისიონერი მამების მიერ მონათლულები მოკლებულნი არიან კონფირმაციის საიდუმლოებას. ამ მოტივით, მთელი ხალხის სახელით, ჩვენი კათოლიკეების მეთაურებმა წერილები გაუგზავნეს როგორც წმინდა კონგრეგაციას, ასევე ფრიად პატივცემულ მთავარ პროკურატორს. პროკურატორს ისინი სთხოვენ, საქართველოს ხსენებული მისიონის ეპისკოპოსად აუცილებლად დაინიშნოს თვით საქართველოში მცხოვრები პირი, რადგან ჩვენი მისიონების უავტორიტეტობა შედეგია იმისა, რომ ჩვენი კათოლიკეები მოკლებულნი არიან კონფირმაციის საიდუმლოებას და უფრო ძნელად ხდებიან კათოლიკეები. გამოუსწორებელი ერეტიკოსები კი გაუთავებლად კიცხავენ ჩვენს მონათლულ კათოლიკეებს, რომლებიც არ არიან ნამდვილად მონათლულები, რადგან ამ ზიარებას მოკლებულნი არიან. თავიანთი უცოდინრობის გამო ერთმანეთში ურევენ ნათლისღების საიდუმლოსა და კონფირმაციის საიდუმლოს... ყოველივე ამის გამო ასეთი მისიონისათვის აუცილებელია, გამოიძებნოს ერთი კარგი ეპისკოპოსი, თუ სურთ ღირსეულად დაიცვან და განავითარონ კათოლიკური სარწმუნოება ამ მისიონში. მაგრამ ეპისკოპოსი ლათინი უნდა იყოს, რომ ერეტიკოსების შიში არ ჰქონდეს, ვინაიდან მისიონში პორტასა და ირანის შაჰის მიერ იქნება დამტკიცებული...“ Arch de la Propag., Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №63.

აკეთებდნენ, რაც შეეძლოთ, მაგრამ მათ ისეთ პატივს არ სცემდნენ. კიდევ უფრო ნაკლებად ისმენდნენ მათ ღაღადებას, რადგან თვითონ მხოლოდ უბრალო მღვდლები იყვნენ, მოწინააღმდეგე მხარე კი სრულ საეკლესიო იერარქიას ფლობდა, ამიტომ ყველაზე ახდენდა გავლენას და ძალიან ხშირად არარად აქცევდა მისიონერთა გარჯას.

1633 წელს, მართალია, საქართველოს კათოლიკეებზე ზრუნვა ისპაანის ლათინ ეპისკოპოსს მიანდეს, მაგრამ საქართველოდან ისპაანამდე ისე შორი გზა იყო (მას 15-20 დღე უნდებოდნენ), ეპისკოპოსი ძალიან იშვიათად თუ განიზრახავდა ხანგრძლივ და ხიფათით სავსე მოგზაურობას. ამრიგად, XVII საუკუნის განმავლობაში საქართველოში ეპისკოპოსის მოსვლის ვერავითარ კვალს ვერ ვპოულობთ. XVIII საუკუნეში ის სამჯერ თუ ოთხჯერ ესტუმრა საქართველოს, ხოლო XIX საუკუნეში საერთოდ არ ჩამოსულა. მხოლოდ 1903 წელს ჩამოვიდა ბათუმში ახალი ეკლესიის კურთხევასთან დაკავშირებით. 1847 წლიდან საქართველო ტირასპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციას დაუმორჩილეს. ამ ეპისკოპოსის რეზიდენცია სარატოვში იყო, რომელიც საქართველოდან დაახლოებით 1800 კმ-ით არის დაშორებული.

ისპაანის ეპისკოპოსი საქართველოს საეპარქიოს შემოვლის დროს დიდ სიძნელეებს რომ არ წაწყდომოდა, ახალციხე თავისი ოლქებითურთ, რომელიც იმ დროს თურქეთს ემორჩილებოდა, ეპისკოპოსის გამგებლობიდან გამოაცალკევეს და კონსტანტინოპოლის სამოციქულო რეზიდენტს მიანდეს. 1742 წელს პროპაგანდამ დეკრეტი გამოსცა ამ დადგენილების დასამტკიცებლად[1], მაგრამ ამან საქმე კი არ

1 „ამა წლის 15 აპრილს კვირინუსის სამოციქულო პალატაში მოეწყო საკუთრივ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საკითხებისადმი მიძღვნილი პროპაგანდა ფიდეს კრება, რომელსაც ჩვენი უწმინდესი მეუფე ესწრებოდა. კრებამ სხვათა შორის მიიღო შემდეგი დადგენილებაც: დაზუსტდეს საზღვრები და განაპირა ტერიტორიები, რომელთა შიგნითაც პატრიარქის ნაცვალი აღასრულებს კანონიერ იურისდიქციას. მიუხედავად ამისა, ახლანდელი ვითარების გათვალისწინებით, იმ ცვალებადობის გათვალისწინებით, რაზეცაა დამოკიდებული მოვლენათა მსვლელობა, აზიის უმეტეს ნაწილში ოტომანის პორტასა და სპარსეთის იმპერიის დამპყრობლური ომების გამო, მისმა უწმინდესობამ სიფრთხილის დასაცავად ბრძანა და განაწესა: ხსენებულმა სამოციქულო ნაცვალმა კანონიერი იურისდიქცია აღასრულოს ყველგან, მისი უწმინდესობისა და სამოციქულო საყდრის ახალ განწესებამდე, სახელდობრ: ცალკეულ პროვინციებში, ქვეყნებში, ქალაქებსა თუ მხარეებში, რომლებიც თურქებს უპყრია და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით იქ, სადაც თავად მას ან სამოციქულო ნაცვლობის პატივდებულ მის წინამოსაყდრეებს აღუსრულებიათ კანონიერი იურისდიქცია. ვიდრე საქმე სხვაგვარად გარიგდება, ზოგიერთი პროვინცია, ქვეყანა, ქალაქი თუ მხარე, ახლა რომ სპარსეთი განაგებს, თურქთა ხელთ აღმოჩნდება და მათი ეპისკოპოსები, რომლებიც იმ დრომდე კანონიერ იურისდიქციას აღასრულებდნენ, ამიერიდან მრავალ დაბრკოლებას წააწყდებიან. ამ შემთხვევაში ხსენებულ ტერიტორიაზე კანონიერ იურისდიქციას აღასრულებს სამოციქულო ნაცვალი. ხოლო თუ ამის საპირისპიროდ რომელიმე ქვეყანა, ქალაქი და ა.შ. სპარსთა ხელში მოექცევა, ზემოხსენებული იურისდიქცია უახლოეს კათოლიკე მღვდელმთავარს გადაეცემა. ამრიგად, სიფრთხილის დაცვით მას იმდენჯერ შევინარჩუნებთ, რამდენჯერაც მოხდება იმ სახის შენაცვლება, რაზეც ზემოთ ითქვა“. იხ. Arch. de la Propag., Scritture non riferlte, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №29.

გამოასწორა და გააუმჯობესა, პირიქით, ამ ქვეყნის კათოლიკეების მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც ეს მხარე სამოციქულო რეზიდენტის გამგებლობაში გადავიდა, არც ერთი მათგანი იქ არ გამოჩენილა და დაიწყო დაუსრულებელი, საუკუნოვანი არეულობა თვით სამღვდელოებაში — მორწმუნეებსა და სამღვდელოებას, კაპუცინებსა და სამღვდელოებას შორის. კონსტანტინოპოლის სამოციქულო რეზიდენტები კი გაუგონარი სიადვილით, პაიპარად ხსნიდნენ ან ნიშნავდნენ თავიანთ პრო-ვიკარებს ახალციხეში, მოწინააღმდეგე მხარის სულ უბრალო მითითებებით. ამ არაზუსტი, წინასწარ განზრახული და არაობიექტური მითითება-მოხსენებების გამო ვერ გამოინახა ერთი ქმედითი და უტყუარი გზა სარწმუნოების სასარგებლოდ, რაც სულ უკან-უკან სწევდა საქართველოში ჭეშმარიტი რწმენის გავრცელების საქმეს. 1742 წლიდან დაწყებული პროპაგანდის არქივები, ასევე კაპუცინების არქივები რომში სავსეა ამ საკითხთან დაკავშირებული სამწუხარო ფაქტებით.

საერთოდ ყველგან და ყოველთვის საეპისკოპოსო ტიტული და ძალაუფლება ყველაზე ქმედითი და უტყუარი საშუალება იყო რელიგიის დასაცავად და გასავრცელებლად. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ უეპისკოპოსობაც ერთ-ერთი მიზეზი იყო საქართველოში მისიონების წარუმატებლობისა. ეს ქვეყანა დღესაც ამავე მდგომარეობაშია. როგორც უკვე ვთქვით, იგი ტირასპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციას ექვემდებარება. ამ ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი კი, როგორც ვიცით, ქ.სარატოვში, რუსეთშია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1757 წელს კაპუცინებმა რომიდან მიიღეს ნებართვა, საზეიმო წირვის დროს ქართულ ენაზე ეგალობათ სამოციქულო სახარება „დიდება“ და „მრწამსი“. უფრო მოგვიანებით, 1784 წელს, ამის უფლება მიეცა იმ ქართველებსაც, რომლებიც სომხურ წესს მისდევდნენ[1].

## X. — მისიონის გაფართოება დასავლეთ საქართველოში. ორი კათალიკოსისა და სხვა წარჩინებულთა გაკათოლიკება. მისიონის დევნა. თეიმურაზ მეფე მისიონერებს ეკლესიას ართმევს და მათ სამეფოდან აძევებს. მისი მემკვიდრე ერეკლე მისიონერებს კვლავ მოუხმობს. პაპი კლემენტ XIV ერეკლეს მადლობას უხდის და სთხოვს მისიონის შემწეობას

ძმები ორბელიანები, რომელთა წერილებს ზემოთ გავეცანით, თავიანთი ნათესავის ბერმონაზონ საბას მაგალითისამებრ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტ მოციქულებად იქცნენ.

1 „სახარებისა და ეპისტოლეს გალობის დროს ქართულ ენაზე ლათინურ წირვაში შეიტანებ, რომ 1784 წლის 16 აგვისტოს კონგრეგაციას აცნობეს, თუ რას იტყობინებოდა კონსტანტინოპოლის სამოციქულო ვიკარი: „რადგან ახალციხის კაპუცინი მამები ლათინური წესით ასრულებენ წირვას, ხალხისთვის რომ გასაგები იყოს

ერთი ძმა დასავლეთ საქართველოში — იმერეთის სამეფოში წავიდა და კათოლიკობა მიაღებინა კათალიკოს ბესარიონს (რომლის შესახებაც კათალიკოსებისადმი მიძღვნილ თავში ვილაპარაკეთ)[1], თვით იმერეთის მეფეს — ალექსანდრეს, რაჭის ერისთავ როსტომს, კათალიკოს ბესარიონის ძმას და ბევრ სხვას[2]. კაპუცინმა პატრებმა იმერეთის სამეფოში მისიონიც დააარსეს. კათოლიკური სარწმუნოება იქ სწრაფად გავრცელდა და ამან კათოლიკობის მტრების რისხვა გამოიწვია. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა სასწრაფოდ გაგზავნა იმერეთში სამი ბერძენი ბერი, რომელთაც წერილები გამოატანა მისიონერების გასაძევებლად. ამ ემისრებმა იმდენი გააკეთეს, არა მარტო გააძევეს მისიონერები იმერეთის სამეფოდან, არამედ მათი ეკლესიაც დაქციეს და ხატები დალეწეს[3].

ამ გამარჯვების შემდეგ ბერძენი ბერები თბილისს გამოემართნენ, რათა იქიდანაც გაეძევებინათ კაპუცინები. კათალიკოს ანტონ I-ს, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ, საიდუმლოდ ჰქონდა მიღებული კათოლიკური სარწმუნოება, ამიტომ მან ბერძნები ცარიელი დაპირებებით გაისტუმრა. არც მეფემ შეისმინა ბერძნების თხოვნა. სომხებსაც, რომლებიც მუდამ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ ემტროთ მისიონერებისათვის, მეტი რა უნდოდათ. სცადეს, კათალიკოსი ანტონი ოქროთი მოესყიდათ და 51 000 ეკიუ შესთავაზეს, რათა მისიონერები გაეგდო

---

ლოცვები, ეპისტოლე და სახარება, რომელიც ლათინურ ენაზე იკითხება, იმავეს ქართულ ენაზე იმეორებენ. ეპისკოპოსი აქვე უმატებდა, თუ როგორ სურდა ახალციხესა და მის შემოგარენში მცხოვრებ ხალხს, თავის გასანათლებლად და სანუგეშებლად სომხურ ენაზე ლოცვების, ეპისტოლესა და სახარების წაკითხვის შემდეგ ხალხურ ენაზე გაემეორებინათ ისინი მათ მღვდლებს. ამიტომ ისმება კითხვა: „ხომ არ უნდა მიეცეს ამ სომხურ სამღვდელოებას იმის უფლება, რომ ლოცვა, ეპისტოლე და სახარება ქართულ ენაზე გაიმეოროს?“ მათმა უმაღლესობებმა უპასუხეს: „შეიძლება, ოღონდ წმ. მსახურების 1757 წლის დადგენილების თანახმად“.

წმ. სამსახურის მიერ გამოცემული დეკრეტი ასეთია: „... ხუთშაბათობით, 1757 წლის 27 იანვარსა და 10 თებერვალს, მოწვეულ კრებებზე, რომელთაც მისი უწმინდესობა არ დასწრებია, საქართველოს მისიის პრეფექტმა ყოვლადმაღალ ინკვიზიტორ პატრებს განსახილველი საკითხები გააცნო. ისინი თავდაპირველად გადაეცა პროპაგანდა ფიდეს წმ. კრებას, ხოლო მის მიერ წესისამებრ გადასაწყვეტად წმ. მსახურების უზენაეს კრებას გადაეგზავნა. საკითხები, სახელდობრ, შემდეგი შინაარსისაა... ამ მხარეში ლათინურ წესზე წირვისას მიღებულია, რომ მწირველმა მღვდელმა ლათინურ ენაზე ეპისტოლესა და სახარების ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ იგივე საჯაროდ წაიკითხოს ქართულ, ანდა სომხურ ენაზე. ამისათვის საჭიროა სწავლა. ეს დასაშვებია იმ პირობით, თუ ეპისტოლეებსა და სახარებას, რომის წმ. ეკლესიის წესის თანახმად, პირველად ლათინურად წაიკითხავენ, აგრეთვე, იმ პირობით,რომ ქართულად და სომხურად იგივე ეპისტოლეები და სახარება იქნება წაკითხული და ლათინურ ვულგა ტასა და ბერძნულს სიტყვასიტყვით დაემთხვევა“. წმ. მსახურთა დადგენილებები, ხუთშაბათი, 1757 წ. 27 იანვარი. — იხ. კაპუცინთა არქივი ტრაპიზონში.

1 იხ. გვ. 407.

2 Arch. de la Propag., Miscellanee varie, ტ. I, რვეული XIII.

3 იხ. იქვე. Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №63.

ან ეკლესია მაინც ჩამოერთმია მათთვის. კათალიკოსმა სომხებს უპასუხა, კაპუცინებისთვის სასაყვედურო არაფერი მაქვსო. ამიტომ არც შეეძლო, მათთვის რაიმე ევნო, და შეთავაზებულ ფულზე უარი განაცხადა. მაშინ სომხებმა სხვა საშუალებებს მიმართეს, მაგრამ ამჯერად ვერ შეძლეს თავიანთი ზრახვების განხორციელება[1].

1750—1755 წლებში კათოლიკურმა რელიგიამ მიუხედავად იმ დიდი სიძნელისა, რაც თავს ატყდებოდა მას, თბილისში დიდ წარმატებას მიაღწია. კათალიკოს ანტონის გარდა საკმაოდ ბევრი ქართველი შეუერთდა კათოლიკურ ეკლესიას, მათ შორის მრავალი მღვდელი და მონაზონი, აგრეთვე 60 თავადი[2]. ყოველივე ეს ქართული ეკლესიის კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანების უტყუარ წინაპირობას ქმნიდა, მაგრამ კათოლიკური რწმენის მტრებმა დაამხეს ყველაფერი,რაც აქამდე

---

1 „1753 წ. სომხებმა დაუწყეს პატრებს წინააღმდეგობა, მათი მთავარი ალა მელიქი მოვიდა ტფილისის ქართველ პატრიარქთან და წარუდგინა ერთი ქისა სავსე 500 თუმნით, რომელიც ჩვენებურს 52,000 სკუდს უდრის და სთხოვა, რომ პატრებს თუ არ განდევნით, ეკლესია მაინც ჩამოართვითო. მაგრამ პატრიარქმა უპასუხა: არაფერი მაქვს პატრების წინააღმდეგ და ასეთ უსამართლობას ვერ ვუზამ და ამიტომ ეს ფული ისევ თქვენთვის შეინახეთო. ესრე შერცხვენილი გაისტუმრა.

ამავე 1753 წელს ეჩმიაწინიდან ტფილისს ჩამოვიდა ერთი სომხის ვართაპეტი. მისი მოსვლის რავდენსამე დღის შემდგომ, სომხებმა დაიწყეს მისიონერების წინააღმდეგ ცუდი ლაპარაკი, სადაც კი შეხვდებოდათ, ასე ეჩუქრებოდნენ. დაიცადეთ ორი თვე კიდევ და მერე ნახავთ რასაც გიზამთო! მისიონერები ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ იმათთან რა უნდოდათ; ბოლოს კი დაინახეს მათი მახე. ჩვენსას მოვიდა ქართველი პატრიარქი და სთქვა, რომ ახალ მოსულმა ვართაპეტმა თხოვნა მომცა, რომ სარწმუნოების საქმისათვის გესაუბროთ: ამიტომ სადილთ უკან ჩემთან მოდით, სადაც თავადების თანდასწრებით კრება იქნებაო. ამის მოსმენა პატრებს გაეხარდათ, რადგან ესვიდენ შეუცდომელ ჭეშმარიტებას რომელიც დაპირდა: „როდესაც წარსდგეთ წინაშე მეფეთა და სხე". თუმცა მომზადებულნი არ იყვნენ, მაგრამ ღვთის წყალობასა და შეეწეობაზე მინდობილთ ადვილად გამოუცხადეს თანხმობა. ხოლო წყალობა ღვთისა უკვე გამოცხადდა, ვინაიდგან ბჭობის დროს სომხის ვართაპეტი ისე დამდაბლდა და დაიძლია, რომ ვეღარაფერი პასუხის მიცემა შეიძლო და ისე შერცხვენილი წავიდა.

ხმა გაავრცელეს, ვითომ სომხების ვართაპეტი პატრების აზრისა გამხდარიყოს, რის გამო ხალხი ისე გამხეცდა ჩვენ წინააღმდეგ, რომ მთავარი იძულებული გახდა ჩვენთვის თავისი კაცები გამოეყოლებინა, რათა მათ წინააღმდეგ დავეფარეთ და სახლამდინ მივეცილებინეთ; მაინც კი გზაში დაგვიშინეს ქვა, ტალახი და სხვა მსგავსი შეურაცხება მოგვაყენეს. ასეთის უპატიურების მოყენება დიდ ხანს არ დაიმალეს, მაგრამ სირცხვილი ისევ მათვე დარჩათ. თქვენ უმაღლესობას აქიდან შეუძლია სცნოს, თუ რაოდნად საჭიროა იმ მხარეში იგზავნებოდეს კარგად გასწავლილი მონაზონები, რადგან იქ ყოველთვინ საჭიროა ბჭობა.

თუმცა ცოტად თუ ბევრად დაწყნარდენ სომხები, მაგრამ გულიდან არ ამოიხოცეს ჩვენი მტრობა და მუდამ ნატრობდენ ჩვენს იქიდან განდევნას. რადგან ვერ შეისრულეს თავიანთი ბოროტი წადილი, ვერც ფულით და ვერც ბჭობით, ამიტომ მიმართეს სხვა მანქანებას, რომელიც, მართალაც, ყველაზედ უფრო ძლიერი შეიქმნა". Arch. de la Propag., Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, p, II, №69. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 368-369.

2 იხ. იქვე, №71.

გაკეთდა ამ დიდად სასიკეთო საქმისთვის. კათოლიკურ სარწმუნოებას ისე დაუწყეს დევნა, ერთობ გადააჭარბეს წინათ გაჩაღებულ დევნას. სომხებისა და ბერძნების მიერ წაქეზებულმა საქართველოს მეფემ მისიონერებს ეკლესია ჩამოართვა და ისინი სამეფოდან გააძევა, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ კათალიკოსებისადმი მიძღვნილ თავში.

პროპაგანდამ როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, პარიზში და ვენაში პაპის ელჩების, აგრეთვე კონსტანტინოპოლის სამოციქულო რწმუნებულის მეშვეობით მიმართა საფრანგეთის, ავსტრიისა და ოსმალეთის მთავრობებს, რათა მისიონერები ხელახლა ჩაეყვანათ საქართველოში და მათთვის ეკლესია დაებრუნებინათ[1] ქვემოთ ვათავსებთ საფრანგეთის მთავრობის პასუხს, რომელიც პარიზში პაპის ელჩმა მიიღო და პროპაგანდას გაუგზავნა:

„ბატონმა კავალიერ ვერძენმა მიიღო ბრძანება,რათა დიდი ყურადღება მიაქციოს საქართველოში მყოფ რაჭის, განჯის, ტფილისის და გორის კაპუცინ მისიონერებს, რომელთა სასარგებლოდ ბატონმა ნუნციომ ოქტომბერში წარმოადგინა მოხსენება. ეს ელჩი იუწყება, რომ საქართველოს ის ნაწილი, საიდანაც განიდევნენ კაპუცინები, სულთანს არ ექვემდებარება. გარდა ამისა, პორტა სრულებით არ არის მოწადინებული მისიონერებს ხელი შეუწყოს. ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა იმასაც გაჭირვებით თანხმდება, რომ კათოლიკე სარწმუნოება დაცულ იქნას მარტო იმ ადგილს, სადაც ოსმალეთის მიერ დაპყრობამდე არსებობდა ესეთი სარწმუნოება, და აგრეთვე ზღვის ნაპირებზე, სადაც ფრანგები ცხოვრობენ. ოსმალეთის მთავრობა წინააღმდეგია, რომ მისი ქვეშევრდომნი, ბერძნის ტიპიკონისანი, გადაიყვანონ ლათინის ტიპიკონზე. ამის ასაკრძალავად გამოსცა სასტიკი ბრძანებანი.

ახალციხეში შეხიზნული კაპუცინებისათვის ბატონმა ვერძენმა ძლივს შეიძლო განახლება იმ ბრძანებისა, რომელიც მათ უშიშარ-ჰყოფს გავლენისაგან კერძო მოხელეთა, რომლებსაც უნდოდათ გადაეხდევინები-ნათ ის ხარჯი, რაც ერთმევათ ოსმალეთის არამაჰმადიან ქვეშევრდომებს. აგრეთვე მოუპოვა მათ კარგი რეკომენდაცია აქაურ ფაშასთან, რათა მათ კარგი სამსახური გაუწიოს. ელჩი ამის მეტს ვერას იზამს ამ მონაზონებისათვის. სხვა ყოველი ცდა,რომ მათ დაუბრუნდეთ ყველა ადგილი, საიდანაც განიდევნენ, სრულებით ამაოა, და შეიძლება მავნებელიც იყოს. პარიზი, 20 მარტს 1758 წ.“[2].

რამდენიმე წლის შემდეგ კაპუცინებმა თბილისში ჩასვლა შეძლეს და კელავინდებურად შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, თუმცა ეკლესია ვერ დაიბრუნეს. მეფე ერეკლე, რომელმაც ტახტი

1 იხ. Arch. de la Propag., №73. Lettere della S.C., ტ. CLXXXVIII, გვ. 213-214; ტ. CXC, გვ. 236, 251.

2 იქვე, Scritture non riferite, Monte Caucaso, Giorgia, ტ. II, №76; იქვე, Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №69, Relation du Colonel Rottiers; თარგმანისთვის იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 375-376.

მისიონერების სამეფოდან გაძევების შემდეგ მიიღო თავის მამისგან — თეიმურაზისგან, მათ ბევრჯერ შეჰპირდა ეკლესიის დაბრუნებას[1]. მეფე ერეკლე მფარველობდა მისიონებს და დიდი ყურადღებით ექცეოდა კაპუცინებს, რომ აენაზღაურებინა ის დანაკლისი, რაც მისიონერებს უკანასკნელი დევნის დროს ხვდათ წილად, ამიტომ პაპმა მეფე ერეკლეს შემდეგი ეპისტოლე გამოუგზავნა.

„პაპი კლემენტე XIV.

მრწყინვალეს და უმაღლესს საქართველოს მეფეს ერეკლეს.

მრწყინვალე და უმაღლესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. ძლიერ მოხარული ვართ, რომ ჩვენის მღვდელთმთავრობის დასაწყისშივე გვეძლევა შემთხვევა მოვწეროთ თქვენს ხელმწიფებას, რომლის გულუხვობისა და უზომო მხნეობის ქებანი მოგვდის ჩვენთა მოძღვართა წერილებით და რომლის სახელგანთქმულობამ და ამბავი განუწყვეტლივ გვეწყება. პირველად უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ, რომ თქვენის მეტად განთქმულის გულკეთილობით ეწევით და იფარავთ ყველას, ვინც ჩვენთან სარწმუნოებით შეერთებულნი, ჩვენი ქვეშევრდომნი და მორჩილნი არიან. შემდგომ, გამხნევებული იმავე თქვენის გულკეთილობით და დაიმედებულნი, გთხოვთ და გევედრებით, რომ მომავალშიაც ყველა თქვენის ღონისძიებით დაიცვათ და დაიფაროთ მცირის წინააღმდეგ თქვენს სამეფოში მყოფი ყველა კათოლიკე და მეცადინე პატრი კაპუცინები, რომლებიც სარწმუნოების გამო მანდეთ არიან წამოსულნი. ესენი სიმდიდრეს არავის უყოფენ. არამედ სათნოებას იცვენ და ავრცელებენ ღვთის მრძანებასა და სჯულსა; ყველას სიყვარულით ეპყრობიან და საზოგადოების მშვიდობისა და სიწყნარისათვის შრომობენ.

გარნა მცირედი არ სცხრებიან, მათ წინააღმდეგ ძალასა და მძლავრობასა ხმარობენ და ხშირად მათ ჰსცემენ კიდეცა. ვერას დროს ველარ შეიძლებდენ მანდ მობრუნებას, უკეთუ კაცთმოყვარეობით და მფარველობით არ შეეწეოდით. ამ კაპუცინებს იმედი აქვთ, თქვენის ძლიერის მფარველობით უშიშრად და უვნებლად შეიძლონ მანდ ყოფნა და არც სცდებიან, რის გამო უმეტესად ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, რათა კვლავაც დაიფაროთ და შემწეობა არ მოაკლოთ. ესეთი თქვენი მოქმედება თქვენთვის არასდროს შეიქმნება სანანელი. დარწმუნებული მრძანდებოდეთ, რასაც კი მაგათ მიაგებთ, ისე ჩათვალოთ, ვითომც ჩვენთვის გექნათ, რის გამო თქვენი მადლიერი და მომხსენებელი ვიქნებით და მას კიდევ გამოგიცხადებთ, როდესაც შემთხვევა მოგვეცემა შემდგომში. ეგრეთვე გარწმუნებთ, რომ თქვენს წარჩინებულს თვისებას აღვიარებთ და დიდათაც ვაფასებთ; მასთანავე ყოვლის მპყრობელ ღმერთსაც ვევედრებით, დაგიცვათ უვნებლად, ყოველი სიკეთე მოგანიჭოთ და ჭეშმარიტი საუკუნო ბედნიერებაც მოგამადლოთ. რომი, 23 აგვისტოს 1769, ჩვენი მღვდელ-მთავრობის პირველ წელს“[2].

1 იხ. იქვე, ტ. II, №80, 82, 85.

2 Arch. Vat., Epistolae ad Principes, ტ. CLXV, ფ. 235, იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 386-387.

## XI. – ႩႠႥႩႠႱႨႨႱ ႫႧႨႤႪႧႠ ႼႫႨႬႣႠ ႨႭႠႬႤ ႬႠႧႪႨႱႫႺႤႫႪႨႱ ႮႠႲႰႤႡႨႱ ႠႾႠႪႨ ႫႨႱႨႭႬႨ. ႮႠႮႠ ႩႪႤႫႤႬႲ XIII–ႨႱ ႤႮႨႱႲႭႪႤ ႮႠႲႰႤႡႱ. ႠႫ ႫႨႱႨႭႬႨႱ ႼႠႰႳႫႠႲႤႡႪႭႡႠ

პროპაგანდამ განიზრახა ახალი მისიონი დაეარსებინა კავკასიის მთიელთათვის, რომელთა უმრავლესობა ქართველები იყვნენ და მისიონი წმინდა იოანე ნათლისმცემლის კონგრეგაციის მიმდევარ ბერებს ანდო. კავკასიაში სხვა კონგრეგაციის სამღვდელოთა გამოგზავნის განზრახვა არ მოეწონათ საქართველოში დაფუძნებულ კაპუცინებს და მისიონის წინამძღვრის მოადგილემ პროპაგანდას ახალი მისიონერებისადმი შურით აღსავსე წერილი გაუგზავნა. პროპაგანდა ამ წერილმა აღაშფოთა და ავტორს მკაცრი, საყვედურებით სავსე წერილი მისწერა[1]. მან მალე შეადგინა ახალი მისიონი, რომელსაც წინამძღვრად წმინდა იოანე ნათლისმცემლის კონგრეგაციის პატრი ჯანი სტეფანე განდოლფო დაუნიშნა. პროპაგანდამ უარი არ თქვა იმ დიდ ხარჯზე, რასაც ახალი მისიონის დაარსება მოითხოვდა, და იგი ყველა აუცილებელი სახსრით უზრუნველყო[2]. ამის გარდა, მისიონერებს კავკასიის ხალხისადმი მიმართული პაპის ეს ეპისტოლე გამოატანა:

„ⴎⴀⴒⴈⴅⴚⴄⴋⴓⴊ ⴄⴐⴈⴑ ⴇⴀⴅ-ⴉⴀⴚⴇⴀ ⴃⴀ ⴉⴀⴅⴉⴀⴑⴈⴈⴑ ⴗⴍⴅⴄⴊⴇⴀ ⴋⴚⴞⴍⴅⴐⴄⴁⴇⴀ.
ⴎⴀⴎⴈ ⴉⴊⴄⴋⴄⴌⴒⴄ ⴋⴄⴚⴀⴋⴄⴒⴄ. ⴎⴀⴒⴈⴅⴚⴄⴋⴓⴊⴌⴍ ⴂⴅⴀⴋⴌⴍ, ⴋⴘⴅⴈⴃⴍⴁⴀ ⴃⴀ ⴆⴄⴚⴈⴄⴐⴈ ⴋⴀⴃⴊⴈ.

---

1 „ახალციხე, 15 ნოემბერი, 1760

საქართველოს კაპუცინი მისიონერების ვიცე-პრეფექტს,

მამა ლეონარდო ვიტერბოელს

ამ წმინდა კონგრეგაციაზე შეხლა-შემოხლის გარეშე არ განხილულა ვიცე-პრეფექტის მიმდინარე წლის პირველი აპრილით დათარიღებული წერილი, სადაც ითხოვდა ენის კულტურის მცოდნე ახალი მისიონერების გამოგზავნას და ამავე დროს დიდი შურით ეკიდებოდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის მღვდლების ჩამოსვლას, რომლებიც ცდილობდნენ აშკარად ეცნობებინათ ყველასათვის, რომ ის (ვიცე-პრეფექტი) სინამდვილეში მოკლებულია სამოციქულო სულის გულმოდგინებასა და მოწყალებას, რამაც ყველა უნდა აამოძრავოს და იმიტომაა მიწვეული წმ. მისიონების სამსახურში, რომ მისიონს სურს მისიონერთა გამრავლება და არა განდევნა ამ ქვეყნიდან, სადაც მოსავალი ასე უხვია. მოცილეობისა და ქედმაღლობის გრძნობა მას იქამდე მიიყვანს, შეიძლება ჩამოერთვას გვირგვინი, რომელიც მისმა შრომით მოიპოვება. ამრიგად, ძალიან გვეშინია, მართლაც უსარგებლო არ აღმოჩნდეს მისი სამსახური და ეს არ გახდეს ნათელი ნიშანი იმისა, რომ უფალს არ სურს ამ ხალხების ხსნა თქვენი დახმარებით. პატრი ჯიროლამო ნორჩაელი იმავე მიზეზით გაემგზავრა კონსტანტინოპოლიდან წმ. კონგრეგაციის უნებართვოდ და მიღებულ იქნება დამსახურებისამებრ, რადგან წმ. კონგრეგაციას ბრძანებებიც მიუცია უკვე მთავარი პროკურატორისათვის..." Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CXCVI. გვ. 433.

2 იხ. Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CXCII, გვ. 414, ტ. CXCIV, გვ. 158, ტ. CCII, გვ-ბი: 62—63, 118, 171, 181, 236, 340—241, 436. 543, 550; ტ. CCIII, გვ-ბი: 13, 20, 26, 121.

რომის მღვდელთ მთავრებმა, რომელთა სულიერ მზრუნველობას მინდობილი აქვს მრთლად კაცთან ნათესავის ცხოვრება, დიდი ხანია მას აქეთ, რაც კი სცნეს, თქვენნი წინაპარნი უწინ კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებდენ, ცდა არ დაუკლიათ, რათა ამავე სარწმუნოების მოძღვართა მიერ აეხილებინათ თქვენთვის თვალი, გამოეყვანათ იმ სიბნელისაგან, რომელშიაც ვლით და ნათლოან გზას წარემართეთ, რაის გამო მრავალ გზის მოგივლინესთ მოციქულებრივი კაცები, რომელთაც თქვენში სულიერი მოძღვრების მიფენით უნდა მიეღოთ თავიანთი შრომის უხვი ნაყოფი, ესე იგი, თქვენი სულის ცხონება, ხოლო ღმერთმა თავისი მიუწდომელის სიბრძნის განგებით, რა კი ჯერეთ არ ინება ჩვენთა წინა მოსაყდრეთა ცდის სავსებით სისრულეში მოყვანა, აწ ჩვენ, მისის მოწყალების სასოებით დავადგინეთ თქვენდამი წარმოვგზავნოთ სხვა ახალი მოძღვარნი, რომელნიც ქრისტიანებრივის სარწმუნოების განფენისა და თქვენთა სულთა ცხონების კეთილის სურვილით ეგოდნათ გამსჭვალულნი არიან, რომ არ უშინდებიან და უკან არ იხევენ არც გზის სიშორისა და სიძნელის, არც იმ დიდი და მრავალი განსაცდელის გამო, რომელიც მოელისთ ამისთანა შორეული მგზავრობის დროს. ამიტომ კვალად და კვალად შეგაგულიანებთ და გევედრებით, რათა ეს მოძღვრები სახიერებით და სიტკბოებით მიიღოთ, გულმოდგინებით მოუსმინოთ და სიმშვიდით შეიწყნაროთ მათი სიტყვა იმავე სარწმუნოებისათვის, რომლითაც შესაძლებელია თქვენი სულის ცხონება და რომლის გარეშე არა არის ცხოვრება. აწ დიდის გულმხურვალებით ვევედრებით ღმერთსა, რათა თავისის მადლის ნათლით განანათლოს თქვენი გონება, აღძრას თქვენი გული და მოგანიჭოთ ნათელი ჭეშმარიტების ცნობისა. რომით, 3 თებერვალს, 1763 წელი. მღვდელთ-მთავრობის მეხუთე წელსა“[1].

ახალი მისიონი შედგებოდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის კონგრეგაციის სამი სამღვდელო პირისა და პროპაგანდის აღზრდილი ორი ქართველი მღვდლისაგან. ქართველი მღვდლები კონგრეგაციის სამღვდელო პირთ საქართველოში ჩამოსვლისას უნდა შეერთებოდნენ. მას შემდეგ, რაც ყველაფერი აწონ-დაწონეს, მისიონერები საქართველოსკენ გამოემგზავრნენ. მოგვიანებით პროპაგანდამ საქართველოს კაპუცინ პატრებს მოუწოდა, ყოველგვარი ადამიანური პატივმოყვარეობა დაევიწყებინათ და მისიონერებს თავდაპირველ საქმიანობაში დახმარებოდნენ, რათა ახალი მისიონისთვის დაკისრებული მიზნის მიღწევა შეძლებოდათ[2]. მისიონერებმა მოაღწიეს საქართველოს, მაგრამ ცუდი ამინდის, თუ სხვა სიძნელეების გამო იქ შესვლა ვერ შეძლეს და დროებით ახალციხეს დაბრუნდნენ.

პროპაგანდამ პატრების წინამძღვარს ერთი ლამაზი სურათი

---

1 Arch. Vat., Epistolae ad Principes, V, ეპ. 74, გვ. 96; იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 53-54.

2 იქვე, Lettere della S.C., ტ. CCIV, გვ. 314, 384, 554; ტ. CCVI, გვ. 189.

გამოუგზავნა რათა ერეკლე მეფისთვის გადაეცა და მისთვის მისიონის მფარველობა და დახმარება ეთხოვა[1], მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან პატრი გარდაიცვალა. პატრის ადგილას მისი თანამოძმე პატრი ანტონიო მარია კაპურო დანიშნეს[2].

ანტონიო მარია კაპურომ არაერთგზის სცადა მთებში როგორმე გაეკვლია გზა და მთიელთათვის მისიონი დაეარსებინა, მაგრამ ვერც მან შეძლო იმავე დაბრკოლებების გადალახვა, რის გამოც ასევე ახალციხეს დაბრუნდა[3]. პროპაგანდამ უბრძანა, ახალი მითითების მიღებამდე ახალციხეს დარჩენილიყო და მეტად აღარ ეცადა კავკასიის მთებში მისიონის დაარსება[4].

## XII. – ახალციხის მისიონი. სომხები ატყვევებენ და ქონებას ართმევენ მისიონერებსა და კათოლიკე მღვდლებს. პაპა პიუს VI-ის წერილი სოლომონ იმერთა მეფეს

ამდენი გულმოდგინებისა და მსხვერპლის ფასად წამოწყებულ მისიონს ისე მოეღო ბოლო, ფრთების გაშლაც ვერ მოასწრო. მეტად იგი აღარ უხსენებიათ. სამაგიეროდ, ახალციხეში დაფუძნებული მისიონი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდა, მაგრამ იქაც, ისევე როგორც თბილისში, სომხებმა მოსვენება არ მისცეს, გამუდმებით სდევნიდნენ და ფაშა, რომელსაც ფულით ხიბლავდნენ, ყოველმხრივ ავიწროებდა მისიონერებს[5]. 1769 წელს სომხებმა ჯერ გაძარცვეს და დალუქეს ეკლესიები, შემდეგ დაატყვევეს კაპუცინები, ადგილობრივი მღვდლები და ზოგი ერზრუმს წაიყვანეს, ზოგი — ბარდუსში, სადაც კარგა ხანს

---

1 იქვე, ტ. CCIV, გვ. 305, 307.

2 იქვე, ტ. CCV, გვ. 43, 131.

3 იხ. იქვე, ტ. CCVI, გვ. 253, 329, 365.

4 „ახალციხე, 25 იანვარი, 1766.

ბატონ დონ ანტონიო მარია კაპუროს, წმინდა იოანე ნათლისმცემლის კონგრეგაციიდან.

წმ. კონგრეგაციაზე ძალიან იმოქმედა თქვენი უწმინდესობის ბოლო წერილებიდან მიღებულმა ცნობამ, თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა რარიგ გაისარჯეთ და ოფლი ღვარეთ კავკასიის მისიონში დასამკვიდრებლად. ამიტომ დღეისთვის მაინც აქ ამ რელიგიის დამკვიდრების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. თან მუდმივად ვევედრები ღმერთს, წყალობა გაიღოს და ინებოს საუკეთესო საშუალებების შემოთავაზება ამ საქმისთვის. თქვენმა უწმინდესობამ რომ ამასთან დაკავშირებით უდიდესი გულმოდგინება და მხნეობა გამოავლინა ღვთის სამსახურისათვის, საამისო საბუთები იმდენია, წმინდა კონგრეგაციამ თქვენს შესახებ უკვე რაღაც ჩაიფიქრა, რასაც შემდგომ გაუწყებთ. ჯერჯერობით წმ. კონგრეგაციას სურს, თქვენ და თქვენი ამხანაგი იქ დარჩეთ და ეცადოთ, გაიღოთ ყველანაირი სიკეთე, რაც კი იქნება შესაძლებელი.." Arch. de la Peopag., ტ. CCVIII, გვ. 17. იხ. Scritture non riferite, Giorgia, ტ. III, №16, 17, 23, 24, 27.

5 იხ. იქვე. Scritture non riferite, Giorgia, ტ. III, №39 a.

საშინლად ტანჯავდნენ. ტყვეებმა სასწრაფოდ აცნობეს რომს ამ ტანჯვა-წვალების ამბავი[1].

რომში როგორც კი ეს გაიგეს, მაშინვე დახმარებისთვის მიმართეს სხვადასხვა სახელმწიფოს, პირველ რიგში — საფრანგეთს[2], რომლის კონსტანტინოპოლელმა ელჩმა დიდი გარჯის შემდეგ მოახერხა, პორტას პატრების სასარგებლოდ ფირმანი დაეწერა. ფირმანი მაცნეს გამოატანეს საქართველოში და პატრებიც ტყვეობიდან დაიხსნეს. მოგვიანებით ადგილობრივი მღვდლებიც გაათავისუფლეს[3], მაგრამ კათოლიკეებს მაინც ავიწროებდნენ, საგანგებო გადასახადებმა ხომ სულ გააღარიბეს

1 „ბარდუსი, 11 ნოემბერს, 1769.

ყოვლად მაღალო ბატონო, ღრმა სიმდაბლით ვემთხვევი თქვენს წმიდა მარჯვენას და თუ აქამდე არ შეგიტყვიათ, აწ გაუწყებთ, რომ ახალციხეს, ივლისის პირველს, მწვალებელმა სომხებმა იქაურ კათოლიკებს და მეტადრე ჩვენ დაგვიწყეს დევნა, რომელიც ბევრ გზის ნაცადი, ახლა სისრულეში მოიყვანეს, რასაც ხშირად წინათვე ვებრძოდი და ვშიშობდი. სხვა ოთხ მღვდელთან ერთად არა მარტო შეგვბორკეს ახალციხეში და დაგვატყვევეს, არამედ კვალად ყველა ჩვენი საჭირო ნივთები ზოგი გაჰყიდეს, ზოგი დაბეჭდეს, ეკლესიის ვერცხლეულობა და შესამოსელი აქეთ-იქით წაიღეს; მეხუთე თვეა, რაც ოთხ თანაძმასთან ერთად, ესე იგი, პატრი იერონიმე ნორჩელთან, პატრი ვინჩენცო ანტონ პალეროელთან, პატრი ფრედერიკო სტირიაელთან და პატრი ფორთუნატო კარინელთან ერთად დაფლული ვართ ზღვაში, მთების უფსკრულში, ბარდუს წოდებულ სოფელში, მიწის ქვეშ ერთ სოროში, საცა სწორად ფეხის გაშლა და დაწოლა არ შეგვიძლია. ერთხელ აქაურ გამხეცებულთ მცხოვრებთა მოინდომეს ჩვენი მოკვლა, მაგრამ ღვთის განგებამ არ მოუშვა და ამ ბარბაროსებს ჩვენი თავი შეაბრალა. თქვენო უმაღლესობავ, სინამდვილით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დიდი უფსკრულია ჩვენსა და სხვა კაცთა შუა ურთმანეთთან განწყობილების მხრით. ამ მიზეზის გამო, აქამდე ვერ გაუწყეთ ჩვენი ამბავი, აწ უწყის თქვენმა უმაღლესობამ, ამისთანა მდგომარეობაში გვჭირია კაცთაგან შეეწევა თუ არა! ახალციხეში როდესაც ფირმანი, სხვა ქაღალდები და სხვა ყველა დანარჩენი აიკლეს და წაგვართვეს, გვითხრეს, არც გაგათავისუფლებთ და აღარც უკან დაგაბრუნებთ, თუ ოსმალეთის მთავრობისგან ახალ ფირმანს არ მოიტანთ. თუ საფრანგეთის ელჩი არ მოგვეპოვებს ფირმანს არ ვიცი სხვა რომელ მინისტრს შეუძლია იკისროს. ჩვენზე ორი დღით წინ სხვა მღვდლები წაიყვანეს სომხების პატრიარქთან ეჩმიაწინში, საცა იგი ძლიერ უწყალოდ სცემეს. ყოველი უბედურება ახალციხის ქრისტიანებმა ჩუმად მაცნობეს საშუალებით ყორღანანთ პეტრე მღვდლისა, რომელიც ჟამით მიიცვალა. ინებოს ღმერთმა, ეს ყოველივე მართალი არ გამოდგეს. ჩვენც ერთი მეორეს შემდგომ ავად გავხდით; ამ დღეებში პატრი ფრედერიკოსაც სიცხე მისცა. საკვირველიც არ არის, რადგან ჩვენი საჭმელი მხოლოდ სიმწუხრის პურია და სასმელი წყალი ჭირისა. მწვანილი ძვირია და ერთი დღის საკვლზე არის, ამიტომ ადვილად მისი შოვნა არ შეგვიძლია, კურთხეულ იყოს ღმერთი ყოველივე გამო, რაც მოგვივლინა. აწ სისწრაფით, ჩუმად და ათრთოლებულის ხელით გწერ, ვემთხვევი თქვენს ბისონს და წმიდა მარჯვენას და ვავედრებ თქვენს მამობრივს მფარველობას ჩემს თავსა და ამ ჩემს ძმებს. თქვენი უმორჩილესი შვილი კაპუცინი პატრი ალოიზი პრაგელი". Arch. de la Propag., Scritture non riferite, Giorgia, ტ. III, №41. — იხ. იქვე, №40, 43 ა. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 443-444.

2 იქვე, №39.

3 იქვე, Lettere della S.C., ტ. CCXIV, ტ. ფ.349, ტ. CCXV, ფ. 123; ტ. CCXVI, ფ-ები 172-173; Scritture non riferite, Giorgia. ტ. III, №42.

ისინი[1]. საბოლოოდ რომ შეწყვეტილიყო კათოლიკეების დევნა, საჭირო გახდა, ხელახლა მიემართათ საფრანგეთის მთავრობისათვის. პარიზიდან რომში ამ წერილით გაამხნევეს:

„26 თებერვალი, 1771 წელი.

ბერნის კარდინალს აქვს პატივი, ეპისკოპოს მორჯიას აუწყოს მეფის ბრძანება (პაპისა და პროპაგანდის სურვილის შესაბამისად), რომლითაც კაპუცინ მისიონერთა შესაწყნარებლად გაიცა, რათა ეჩმიაძინის სქიზმატიკოსმა პატრიარქმა შეწყვიტოს მათი დევნა. ზემოხსენებული კარდინალი ეპისკოპოს მორჯიას კაპუცინ მისიონერთა შესახებ სასახლის კარის პასუხს აცნობებს და სიამოვნებით უდასტურებს თავის მტკიცე და ურყევ ერთგულებას“[2].

სამაგიეროდ იმერეთში, საიდანაც კაპუცინი პატრები ადრე გააძევეს, მისიონი არა მარტო აღსდგა, გავრცელდა კიდეც სხვადასხვა მხარეს. იმერეთის მეფე სოლომონმა დიდი კეთილგანწყობილება გამოიჩინა მისიონერების მიმართ და პაპ პიუს VI-ს წერილიც[3] მისწერა, რომელშიც თავისი სამეფოს მდგომარეობა მოუთხრო, ამცნო, რომ გამუდმებული ომი ჰქონდა ურწმუნოებთან. ბოლოს ორი დახელოვნებული ექიმის გამოგზავნა სთხოვა. პაპმა სოლომონ მეფეს ამ წერილით უპასუხა:

**„პაპი პიუს VI.**
**ბრწყინვალეს და უძლიერესს სოლომონ იმერეთის მეფეს.**

ბრწყინვალე და უძლიერესო მეფევ, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი, დიდად განვიხარეთ თქვენის წერილით, ბრწყინვალე და უძლიერესო მეფევ, რადგან ამ წერილით გვიცხადებთ ჩვენს შესახებ რა აზრისაც ხართ და თანაც გვაუწყებთ თქვენის მდგომარეობის ამბავს: ეგრეთვე ზრუნვით და მეგობრულად გვთხოვთ შეგატყობინოთ ჩვენი ამბავი. ხოლო ჩვენთვის დიდ სამწუხაროდ შეიქმნა ისა, რომ თქვენ და თქვენი სამთავრო ურწმუნოებისაგან დიდად შეწუხებულია. ესეთი მდგომარეობა, ცხადია, მოითხოვს თქვენგან დიდ ზრუნვას და გამუდმებულ სიფხიზლეს. ვევედრებით ღმერთს, რათა მოგანიჭოთ ჭეშმარიტი და მკვიდრი მშვიდობა, რომლის მოპოვება მხოლოდ შეიძლება მისივე ზეციერის მფარველობითა და მადლით. ხოლო იმის შესახებ, რომ ჩვენის ამბის შეტყობას ნატრობთ, ღვთის შეწევნით ჯანის სიმრთელით კარგად ვართ, გარნა გონებით მუდამ ვწუხვართ და მუდამ ზრუნვაში ვართ მართვისათვის ამ სოფლით ეკლესიისა, რომლის მთავრად ღმერთმა

1 იქვე, №44.

2 იქვე, №42. იხ. Lettere della S.C., ტ. CCXIX, გვ. 4, 31.

3 ეს წერილი ქართულად, იტალიური თარგმანითურთ დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, Mss. Gèorgiens, №22, გვ. 24.

დაგვადგინა. უფროსი ერთად ეს გვნებავს გამოგიცხადოთ და დაგარწმუნოთ, რომ მეტად მოხარული ვართ, რომ სიკეთე გნებავთ ჩვენის საყდრისა და ჩვენთვის, ეწევით და იფარავთ ყველა კათოლიკეს და მეტადრე მისიონერს, რასაც თქვენ თავად ჰყოფთ, გევედრებით, რათა ჩვენის გულისათვის, უფრო გულმოდგინებით განავრცოთ შემდეგშიაც მისი ქმნა. რაის გამოც ჩვენც უმეტესად ვნატრობთ ღმერთმა აგავსოთ ყოველნაირის ბედნიერებით. ამ ჩვენი გრძნობის თქვენდამი გამოცხადებისათვის, დიდის სიამოვნებით ვისმენთ თქვენს სათხოვარს ერთის ექიმის გამოგზავნის შესახებ. თქვენის წადილის კმასაყოფლად, რაოდნათაც შეგვიძლია, ვეცდებით. ეხლა ვბრძანეთ, წარმოგივლინონ საჩუქრად საათი. გვნებავს ეს საათი შეინახოთ იმის სახსოვრად, რომ თქვენთვის ვზრუნავთ. კვალად ვევედრებით ყოვლის მპყრობელს ღმერთს, დიდ ხანს გაცოცხლოთ უვნებლის სიცოცხლით და უდიდესად წარუმართოს ყველა თქვენს საქმესა და არ მოგაკლოთ თვისი მადლი. რომით, 27 იანვარს 1781 წ. მღვდელ-მთავრობის მეექვსე წელს“[1].

ეს წერილი და საჩუქარი სოლომონ მეფეს ქართველმა კაპუცინმა პატრმა გორელმა ანტონმა მიართვა[2]. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე სოლომონმა მისიონს ადგილ-მამულები უბოძა თავისი ყმებითურთ.

## XIII. – სომხები ერეკლე მეფეს ფულით ხიბლავენ და ულმობლად სდევნიან კათოლიკეებს. ერეკლე ევროპის სახელმწიფოების დახმარებას ეძიებს, და ბოლოს რუსეთს უკავშირდება. საქართველოს აოხრება საარსელების მიერ

მეფე ერეკლე თავისი ხანგრძლივი მეფობისას რაც 1798 წლამდე გაგრძელდა, ბოლომდე რომ კარგად მოქცეოდა კათოლიკურ ეკლესიას, მისიონი უეჭველად დიდ წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ სომხებმა, რომლებმაც ფიცი დადეს, სამარადისო მტრობა გამოეცხადებინათ კათოლიკობისათვის, მეფეც გადაიბირეს და მრავალი უსამართლობა ჩაადენინეს მის მიმართ.

ერეკლე მეფემ თავისი ვაჟიშვილის ქორწილში სხვა წარჩინებულებთან ერთად ეჩმიაძინის სომეხთა პატრიარქიც დაპატიჟა. სომეხთა პატრიარქმა ამით ისარგებლა და ქორწილში ორი ეპისკოპოსი გაგზავნა, რომელთა სიძულვილი კათოლიკეების მიმართ საყოველთაოდ იყო ცნობილი. სომეხმა ეპისკოპოსებმა მეფეს 300 ეკიუს ღირებულების ნივთები და 7000 ეკიუ ნაღდი ფული მიართვეს საჩუქრად, თან სხვა

1 Arch. Vat., Epistolae ad Principes, ტ. CLXXVIII, გვ. 423; Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CCXXXVIII, გვ. 398; ტ. CCXXXIX, გვ. 4; ტ. CCXL, გვ. 881. იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 396.

2 საქართველოში გაგზავნილ პროპაგანდა ფიდეს ორდენის კაპუცინების სიებში ბევრ ქართველს ვხვდებით.

ყოველგვარი დახმარებაც აღუთქვეს. ამით სომხებმა მთლად მოიგეს ერეკლე მეფის გული, ხოლო მან სრული თავისუფლება მიანიჭა სომხებს, ისე მოქცეოდნენ კათოლიკეებს, როგორც მოესურვებოდათ. და აი, 1775 წელს დაიწყო კათოლიკეთა ყველაზე ულმობელი დევნა; ეს დევნა რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ძნელია, აღწერო ყველა მხეცობა, რაც კათოლიკეებმა იწვნიეს თავიანთი სარწმუნოების დაცვისას. სომხების პატრიარქი წერილობით და მოციქულებით უფრო და უფრო აქეზებდა კათოლიკეებზე ისედაც გამძვინვარებულ თანამორწმუნეთ. საქართველოს კათალიკოსმა კი თავის სამღვდელოებასთან და საწმყსოსთან ერთად, პირიქით, სახალხოდ დაგმო მეფის უღირსი საქციელი და კაპუცინები შეაგულიანა, საფრანგეთის იმპერატორისა და ელჩებისთვის წერილი გამოეგზავნინებინათ ერეკლე მეფესა და ეჩმიაძინის სომეხთა პატრიარქთან, რათა მათ კათოლიკეთა მიმართ თავიანთი დამოკიდებულება შეეცვალათ.

სომხები არ დასჯერდნენ კათოლიკეთა დევნას, რაც შეუზღუდველად და მთელი სისასტიკით განახორციელეს. სურდათ, მომავალშიც ჰქონოდათ ამის უფლება და ერეკლე მეფეს გამოაცემინეს ბრძანება, რომლის ძალით, თუ ვინმე კათოლიკურ სარწმუნოებას მიიღებდა, ჯერ ორი თვით საშინელი პატიმრობა ელოდა, შემდეგ 300 წკეპლა, ბოლოს ყველაფერი ჩამოერთმეოდა, რაც გააჩნდა და ისეთ ადგილას გადაასახლებდნენ, საიდანაც ვერასოდეს დაბრუნდებოდა უკან, ხოლო მისიონერს, ვინც სხვას კათოლიკურ სარწმუნოებას მიაღებინებდა, შეურაცხყოფა და სამეფოდან გაძევება ელოდა[1]. რომში როგორც კი ეს ამბავი გაიგეს, მაშინვე ყოველივე მოიმოქმედეს, რომ კათოლიკეთა ესოდენ შეურაცხმყოფელი და სისხლიანი დევნა შეწყვეტილიყო[2]. ოღონდ შედარებითი მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან კათოლიკეთა დაუნდობელი მტერი — სომეხთა პატრიარქი — მუდამ ფხიზლად იყო და სულ იმას ცდილობდა, მათთვის რაიმე შზაკვრობა-შეთქმულება მოეწყო. მეფე ერეკლეც ურიცხვი საჩუქრით დაბრმავებული ჰყავდა და იგი პატრიარქის სურვილის მიხედვით მოქმედებდა. ამრიგად კათოლიკეთა დევნა-შევიწროებას ბოლო არ უჩანდა[3].

ერეკლე მეფეს კაპუცინები მაინც სჭირდებოდა, რადგან ისინი დიდ სამსახურს უწევდნენ. ამიტომ ისევ განაახლა მეგობრული ურთიერთობა პატრებთან, თუმცა კათოლიკობის წინააღმდეგ გამოცემული ბრძანება არ გაუუქმებია. 1779 წელს, როდესაც პატრმა დომენიკო ტრიესტელმა,

---

1 იხ. Arch. de la Propag., Scritture non riferite, Giorgia, ტ. III, №60 ·

2 იხ. იქვე, Lettere della S.C., ტ. CCXXVIII, გვ. 418-419.

3 იხ. იქვე, Scritture non riferite, ტ. III, №73..

მისიონის წინამძღვარმა, სამშობლოში დაბრუნება განიზრახა, მის ნება-სურვილს წინ აღუდგა და ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის დაასახელა, რომ პატრი მისთვის საჭირო პიროვნება იყო და არც ხალხს სურდა მასთან განშორება[1]. რაკი მეფემ სთხოვა, პატრმა სამშობლოში გამგზავრება გადასდო.

მეორე პატრი, მაურო ვერონელი, ამავე წელს (1779) პროპაგანდისადმი გაგზავნილ წერილში იუწყება, რომ მეფე ერეკლეს ყოველდღე ხედავს და ძალიან შინაურულად ესაუბრება[2].

საქართველოს, რომელსაც გამუდმებული ომები ჰქონდა სპარსეთსა და თურქეთთან, მეტად აღარ შესწევდა ძალა მარტო გამკლავებოდა ამ საშინელ და ძლიერ მტრებს. ამიტომ ერეკლემ განიზრახა კავშირი დაემყარებინა რომელიმე ქრისტიან მეფესთან, რომ რაიმე დახმარება მაინც მიეღო, რუსეთს იგი არ ენდობოდა და ყოყმანობდა, მისთვის მიემართა. საბოლოოდ უმჯობესად მიიჩნია, გერმანიის იმპერატორთან დაემყარებინა კავშირი, და აი, პატრ დომენიკოს, რომელიც თავის დროზე არ გაუშვა სამშობლოში და რომელიც უკვე დაჟინებით მოითხოვდა წასვლას, დაავალა, ჯერ რომში ჩასულიყო, პროპაგანდის სარეკომენდაციო წერილი მიეღო იმპერატორთან წასაღებად, ხოლო შემდეგ გერმანიაში გამგზავრებულიყო, რათა წერილი იმპერატორის-

1 „სისწრაფით მოვემზადე წასასვლელად კონსტანტინოპოლს, სადაც იმედი მქონდა მიმესწრო ჩვენის მისიონერებისათვის, იქვე მიმეღო ჩემი მორჩილების ქაღალდი, რათა იქიდგანვე გავმგზავრებულიყავი ევროპას. მაგრამ რის წასვლა? წასვლისათვის დანიშნულ დროს ერთის დღის წინეთ ერეკლე წინააღმდეგი გაუხდა ჩემს გარდაწყვეტილებას, ორი თავისი ოფიცალი გამომიგზავნა და მაუწყა მიზეზი, თუ რისთვის არ მიშვებდა; შემდგომ თვითონვე კერძოდ რა მიმიღო, მითხრა მიზეზი, რად უნდოდა ჩემი დარჩენა და არ მიშვებდა; აი, თვით მეფე ერეკლეს სიტყვები: „1. არ შემიძლია წასვლის ნება მოგცეთ, რადგან ჩემთვის საჭირო ხართო; 2. ჩვენს ქართველ ერს, მღვდლებს და მონაზონებს თქვენი აქ დარჩენა უნდათო; 3. თუმცა სომხები დიდი მტრები არიან კათოლიკებისა, მაგრამ მაინც კი თქვენი პატივისცემა და დიდი სიყვარული აქვთო; 4. თქვენმა კათოლიკე ერმა თხოვნა მომცა, არ გაგიშვათ, რადგან წინათვე ჰსცნობენ იმ სულიერ ენებას, რომელიც მიადგებათ თქვენის წასვლითო; და ესე დაასრულა: ძალას ვერ დაგატანთ, თუ თქვენის სიყვარულის გამო და თუ იმიტომ, რომ ჩემი ქვეშევრდომი არა ხართ, გარნა თუ ჩემი ნების წინააღმდეგ წახვალთ, წინათვე ვხედავ,რომ ხელახლავ ბევრი უსიამოვნება დაიბადება სომხებსა, რომლებიც მეტად ბევრნი და ძლიერნი არიან ამ ქალაქში, და კათოლიკებს შორის, რომლებიც ცოტანი არიანო, ამისათვის ამ თქვენ კათოლიკე ერს რა ზარალიც შეემთხვევა, თუ ხორციელი თუ სულიერი, ყველას მიზეზი თქვენ იქნებით, თუ წასვლაზე ხელი არ აიღეთო". ვერ წარმოიდგენთ, თუ რაოდენი ვეხვეწე ხსენებულ მეფეს,რომ დამეყოლიებინა და ჩემთვის ნება მიეცა აღმესრულებინა ჩემი გარდაწყვეტილი მგზავრობა. მაგრამ ის სულ იმეორებდა ზემოდ ხსენებულ მიზეზებს და დასკვნას, და დამპირდა, მერე კი გაგისტუმრებო". Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. IV, №3. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 392-393.

2 Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. IV, №6.

თვის გადაეცა, თანაც საქართველოს მდგომარეობა შეეტყობინებინა და დახმარება ეთხოვა[1].

მეფის გაგზავნილი პატრი კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა. მისი წერილები კი მიანც ჩაიტანეს რომში[2], მაგრამ ამ წერილებს უდავოა, გზასავალი არ მიეცა. მეფე, რომელიც მოუთმენლად ელოდა პატრ დომენიკოს მოგზაურობის შედეგს, მისმა გარდაცვალებამ ძალიან დაამწუხრა. რადგან საქმე სასწრაფო და გადაუდებელი იყო, ერეკლემ იგივე მისია პატრ მაურიო ვერონელს დააკისრა. 1782 წლის 14 ნოემბერს პატრი ანდრე თბილისიდან პროპაგანდას წერილს სწერს, მაურიო ვერონელის გამგზავრების ამბავს აუწყებს და ევედრება, იმპერატორთან საქმის მოგვარებაში დაეხმაროს[3]. საუბედუროდ, მეორე მაცნესაც იგივე ბედი ეწია,რაც პირველს, ისიც გზაში გარდაიცვალა, პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში[4]. მაურიო ვერონელს მინდობილი ჰქონდა, პაპისთვის, საფრანგეთის მეფისთვის, სარდინიის, ნეაპოლისა

---

1 „თქვენო უაღმატებულესობავ, აქაურის დამოუკიდებელის პატრონის ერეკლე მეფის პატიოსანმა ბრძანებამ მომცა შემთხვევა წერილით მიემართო თქვენს უმაღლესობას.

მათ იმპერატორებრივ ხელმწიფებასთან მეფეს ჰქონდა საჭირო საქმეები. ნაუფროსალი პატრი დომინიკე თრიესტელი რა ბრუნდებოდა თავის პროვინციაში, საჭიროდ სცნო და იმას მიანდო მათ გარიგება, რადგან მისი ძრიელ ერთგული მეგობარია, გარდა ამისა ბრძენი, მეტად მარჯვე და მტკიცე ასეთ ძნელ და საჭირო საქმეების გარიგებაში. ამიტომ მას უბრძანა, რათა პირველად მოვიდეს რომს და მოგართვას ეს ჩემი წერილი, რადგან მეც მიბრძანა თქვენთვის მეთხოვა, რათა ეს პატრი, მიუხედავად მისი პირადის ღირსებისა, რომელიც აქ დიდი ხნის მისიონერობით შეიძინა, მიიღოთ ვითარცა მისგან წარმოვლენილი პირი თქვენდამი თავისი ერთგულებისა და პატივის გამოსაცხადებლად და ამავე ნაირად წარადგინოთ იგი მათის იმპერატორობის წინაშე, რათა შეიძლოს მის სხვა და სხვა საჭირო საქმეთათვის მოლაპარაკება.

ამ მხრით მეფე კვალად ევედრება თქვენს უმაღლესობას, რომ გაატანოთ ამ პატრს იმპერატორისადმი თავის გასაცნობელი წერილი, რომელმაც იმპერატორს გული აღუძრას მაგაზე და ჩააგონოს ის პატივი და ნდობა, რაც კი მოითხოვების იმისთანა ღირსების პირთან საჭირო საქმეთა გასარიგებლად.

ეს მთავარი მადლობის და სიკეთის გამოსაცხადებლად პირობას იძლევა მტკიცედ და მართალის გულით მუდამ დაიფაროს აქ კათოლიკობა უკეთესად და მიაგოს ყოველგვარი სამსახური, რაოდნადაც კი შეიძლებს. ეგრეთვე მეფე ამბობს და კიდევაც ფიცსა სდებს, თქვენს უმაღლესობას არას დროს დანანდეს ყოველი სამსახური, რასაც იმას გაუწევთ იმპერატორის წინაშე; მალე ნახავთ,რომ საქმითაც გადაგიხადოს თქვენი სამსახურისათვის.

რაც დავსწერე ყოველივე თავისი პირით მითხრა თვით ერეკლე მეფემ. მაშ მისი ნათქვამია. ამიტომ ვევედრები თქვენს უმაღლესობას, მიიღოთ წერილი, როგორც ჩემი დაწერილი, მაგრამ აზრი კი მეფისა, რომლისაგან დიდათ ვართ დავალებული". Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. IV, №9. იხ. მ. თამარაშვილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 398-399.

2 იხ. იქვე, №10.

3 იქვე, №11.

4 იქვე, №14.

და ვენეციის რესპუბლიკებისთვის გადაეცა წერილები, რომლებშიც ერეკლე მათთან კავშირის დამყარებასა და დახმარებას თხოულობდა ურწმუნოებთან ბრძოლაში[1]. მისმა სიკვდილმა მეფეზე ძალიან იმოქმედა, მთლად დაკარგა ევროპის სახელმწიფოებთან კავშირ-ურთიერთობის დამყარების იმედი, სასოწარკვეთილი სხვა გზას ვეღარ ხედავდა და რუსეთს ჩაუვარდა ხელში, მასთან დაამყარა კავშირი, რაც საქართველოსთვის ავბედითი აღმოჩნდა[2]. ამ ამბავმა სპარსეთი ძალიან განარისხა. საშინლად დაემუქრა ერეკლეს, შავ დღეში ჩააგდებდა, თუ არ გაწყვეტდა კავშირს რუსეთის მეფესთან, ერეკლემ არაფრად ჩააგდო სპარსეთის მუქარა, რადგან თავისი მოკავშირის, უფრო სწორად, თავისი სიუზერენის საქმეში ქმედითი ჩარევის იმედი ჰქონდა. სპარსეთმა მუქარა შეასრულა. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მრისხანე არმიამ საქართველო ააოხრა და იავარყო ქალაქი თბილისი. მისიონერთა ეკლესია და საცხოვრებელი მთლიანად მოისპო. კათოლიკეებს და სხვა მცხოვრებლებს ყველაფერი ჩამოართვეს და გაძლიტეს, ხოლო ცოცხლად დარჩენილნი ტყვედ წაასხეს. ასე უცებ იქნა განადგურებული მისიონერთა ამდენი შრომით მიღებული ნაყოფი[3].

მეორე ხელშეკრულებით რუსეთი საქართველოს მისი დაცვის მიზნით დაეუფლა, მაგრამ 1801 წელს იმპერიის პროვინციად გამოაცხადა. მისიონისთვის წამოწყებული სისხლიანი დევნა შეწყდა, მაგრამ კათოლიკური რელიგიის თავისუფლად გავრცელების საშუალებაც მოისპო. 1735 წელს რუსეთის მთავრობას უკვე ჰქონდა გამოცემული ედიქტი, რომელიც თავის ქვეშევრდომებს კათოლიკობის მიღებას უკრძალავდა და ამ კანონის ძალით 1744 წელს დევნა დაუწყეს

1 იქვე, №15.

2 Rottiers, Itinèraire de Tiflis à Constantinople, Bruxelles, 1829, გვ. 64.

3 „... უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ტფილისში მისიონერები, ეალით საესენი, საცოდავ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რადგან ხუთი წლის წინეთ სპარსელები მოულოდნელად შემოესივნენ ამ უბედურ ქალაქს და თითქმის მთლიანად გადაწვეს. დაქირავებულ სახლში ვართ; ამაშივე მოვათავსეთ ეკლესია, რომელიც მთლად გაშიშვლებულია. უნდა მოგახსენო,რომ არც ნაწილი გვაქვს ტრაპეზზედ დასასვენებლად, არც შარავანდედი ყოვლად წმიდა ზიარების გამოსასვენებლად; წირვის შესამოსები, არამც თუ სადღესასწაულო, არამედ თვით უბრალო, საზოგადოც, არა გვაქვს, ისე დღეობით ვწიროთ. ყველაფერი ჩვენს ეკლესიასა და სახლთან ერთად დაიწვა; იმდენი საშუალებაც არა გვაქვს, ეკლესიისათვის რამე ვიშოვოთ. ჩვენი კათოლიკები, თითქმის ყველანი, უსახლოთ და უსარჩოთ დარჩნენ; ვალითაც სავსე არიან და არ იციან, თუ როგორ გადაიხადონ, ორი წელიწადია ჩვენს ქვეყანასა და სხვა ადგილებში მათმა იმპერატორობამ აღმოსავლეთის მისიონებისათვის წყალობა მოაკრეფინა. გარნა მგონია, ეს მისიონი სხვებზედ ბევრად მომეტებულად გაჭირვებულ იყოს; ღმერთმა გადმოგვხედოს. ვემთხვევი თქვენს წმიდა ბისონს და დავშთები თქვენი ყოვლად მდაბალი მონა, ფრანჩისკე პადოველი. ტფილისი, 4 აგვისტოს, 1800". Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №16, იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" გვ. 484.

ასტრახანში დაფუძნებულ მისიონერებს[1]. როდესაც რუსებმა საქართველოს ანექსია მოახდინეს, რასაკვირველია, ეს კანონი აქაც ამოქმედდა და მისიონის არსებობას დიდი საფრთხე დაემუქრა. პატრების წინამძღვარსაც პირდაპირ გამოუცხადეს, რომ მისიონერებს ალბათ განდევნიდნენ ქვეყნიდან, ხოლო წინამძღვარმა ეს ამბავი პროპაგანდას აუწყა[2].

## XIV. – მოგილიოვის არქიეპისკოპოსის უკანონო ჩარევა საქართველოს კათოლიკეთა საქმეში. თბილისის ეკლესიის რეკონსტრუქცია. იმერეთის მეფე და ერეკლეს ვაჟები პროპაგანდას სთხოვენ პატრი ნიკოლოზი საქართველოში დატოვოს. პროპაგანდის პასუხი

რუსეთის მთავრობის შეგულიანებით მოგილიოვის კათოლიკე არქიეპისკოპოსები ხელყოფდნენ პროპაგანდის უფლებებს საქართველოში. XVIII საუკუნის დამლევიდან მოყოლებული დაიწყეს ხმების გავრცელება, თითქოს 1783 წლის ტრაქტატის შემდგომ საქართველო მათ იურისდიქციას ექვემდებარებოდა. ერთმა მათგანმა ისეთი გამბედაობა გამოიჩინა, პატრების წინამძღვარს მისწერა:

„მოგილიოვი, 8 აპრილი 1784 წ.

იესო ქრისტეს საყვარელ შვილს, პადრე ანდრიას, კაპუცინს, სულთა მხსნელ წინამძღვარს საქართველოს სამეფოში

პასუხად იმისა, რაც ამა წლის 28 იანვარს ტფილისიდან მომწერეთ, იმედი გქონდათ, რომ მისი უდიდებულესობა, საქართველოს მეფე მოგვცემდა ეკლესიას, რომელიც უკვე 29 წელია, რაც დაახერინა იმ

1 იქვე, ტ. II, №45 და 53 და Lettere della S.C., ტ. CCLXXXI, ფ. 285.

2 „აწ თქვენი უმაღლესობა კარგად სცნობს მთავარმართებლის ჩემდამი ნათქვამი სიტყვებიდგან, რომ აღარც აქ ტფილისში და აღარც გორში, რომლებიც აწ რუსეთის უფლების ქვეშ არის, აღარ შეიძლება პროპაგანდისაგან გამოგზავნილი ახალი მისიონერების დაყენება. იმერეთს, ქუთაისს კი შეიძლება. მაგრამ ვიდრე პატრი ნიკოლა რუთილიანი იქ არის, არ გავგზავნი ახალ მისიონერებს,რათა მისი ცუდი მაგალითი არ შეითვისონ, ამას ხშირად ვუმეორებ ჩემს ამხანაგებს. ამიტომ თუ ახალისა და თუ ძველ მისიონერების თავშესაფარი ადგილი უნდა იყოს ამას იქით ახალციხე (ვამბობ ძველი მისიონერებისაც), რადგან ამ დღეებში მთავარმართებელთან ვიყავი და ლაპარაკში ესეც ვუთხარი, რომ საჭირო იყო ცხინვალში იქაური 30 კათოლიკესათვის აგვეშენებინა ერთი პატარა ეკლესია. მიპასუხა არა თავაზიანად: „თქვენ ფიქრობთ ეკლესიის აშენებას, მაგრამ შეიძლება კიდეც,რომ აქიდგან ყველანი წახვიდეთო“. არ ვიცი, თუ რა საბუთით მიეაჩნიათ ბატონ რუსებს აქ ევროპელ მთავრობათა ჯაშუშებათ? ნეტაი შევიძლებდე აქიდგან წასვლას, სანამ გამდევნიდენ. ღვთის სიყვარულისათვის, დამიბარეთ,რათა გავშორდე აქაურობას და კვალად შევიძლო თქვენი მოსალმება. ნურარც იზრუნავთ აქ ახალი უფროსის დანიშვნისათვის, რადგან, როგორც მესმის, აქ ჩვენთვის ყველაფერი გათავდა“. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №31. იხ. მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 493.



1808 წელს გადაკეთებული თბილისის პიძინების ლათინური ეკლესია.

პირობით, თუ მოვიპოვებდით მისი უდიდებულესობის, ჩვენი ხელმწიფის წერილს. გაცნობებთ, რომ მისმა უმაღლესობამ, თავადმა პაციომკინმა ინება ეს თავის თავზე აეღო და ამ ჩემს წერილთან ერთად გიგზავნით მის წერილს მისი უდიდებულესობის, საქართველოს მეფისთვის. ამავე დროს აუცილებლად მიმაჩნია გაცნობოთ, რომ არქიეპისკოპოსის ომოფორთან ერთად ახლახან მივიღე სულიერი იურისდიქცია ყველა ეკლესიაზე და საეკლესიო პირზე არა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში,



1810 წელს აგებული გორის წმინდა ოჯახის ლათინური ეკლესია.

სადაც აქამდე განვაგებდი, არამედ მთელ ქვეყანაში, ყველგან, სადაც კი რაიმე კავშირი აქვს ჩვენს იმპერიას. აქედან გამომდინარე თქვენ აღარ მისწერთ, ასევე ამის ნებას არ დართავთ არც ერთ თქვენ ხელქვეით მღვდელს, მისწეროს როგორც პროპაგანდის კონგრეგაციას,

ასევე სხვა რომელიმე საეკლესიო გამგებლობას რუსეთის იმპერიის გარეთ. დღეიდან, ყველაფერზე, რაც ეკლესიას შეეხება, მომმართავთ პირადად მე. განიჭებთ ჩემს მოციქულებრივ კურთხევას. თქვენი ძალიან მოსიყვარულე მსახური სტანისლავ, მოგილიოვის არქიეპისკოპოსი“[1].

პროპაგანდამ და კაპუცინებმა ენერგიულად უკუაგდეს რუსეთის არქიეპისკოპოსების ეს უკანონო, უზურპატორული მცდელობანი[2] და სანამ მისიონერები საქართველოში იმყოფებოდნენ, რუსეთის არქიეპისკოპოსებმა დიდი გარჯის მიუხედავად, აქ თავიანთი იურისდიქცია ვერ გაავრცელეს.

მისიონერებს კი ემუქრებოდნენ, მაგრამ მაინც დაანებეს თავი, რადგან საქართველოში უმაღლეს ხელისუფლად ქართველი თავადი ციციანოვი დანიშნეს, რომელმაც მათ მფარველობა გაუწია და დიდად შეუწყო ხელი. ვინაიდან კაპუცინებმა სრულიად დაკარგეს 1755 წელს მათთვის ჩამორთმეული ეკლესიების დაბრუნების იმედი, სახსრების შეგროვებას შეუდგნენ, რათა ერთი ეკლესია მაინც აეშენებინათ თბილისში. რუსეთის მთავრობამ მისიონერებს 6000 მანეთი მისცა ჩამორთმეული ეკლესიების საფასურად და ევროპიდან მიღებულ შემოწირულობათა და მორწმუნეთა შემწეობით მშვენიერი ეკლესიის აშენება მოახერხეს. ეკლესია საზეიმოდ გაიხსნა თბილისში 1807 წლის დამლევს[3]. ამის შემდეგ მისიონერები სხვა ტაძრის აშენებას შეუდგნენ

---

1 Arch. de la Propag., Scritture riferite, ტ. IV, №28.

2 Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №№ 25, 30, 34; Lettere della S.C., ტ. CCLXXXV, გვ. 633.

3 („... გასულ წელს ახალი ეკლესიის აშენება მთელი რუსეთის იმპერიის შემწეობით დაიწყო, რომელმაც ამისთვის 6000 მან. გაიღო. უმაღლესი მთავარმართებლის მხრიდან ამ საქმის მფარველობა კარგად იყო წამოწყებული, მაგრამ ფულის უქონლობის გამო ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. თბილისი, 29 იანვარი 1806....)* ჩვენის ახალი ეკლესიის აშენებისას თქვენი უმაღლესობა მწერს, ვინ იცის, ეგებ განიზრახეთ აშენება იმისთანა დიდი რისამე, რაიცა აღემატება თქვენს შეძლებასო. ჩემი ბრალი არ არის, რადგან თვით თავად ციციანოვმა, იმ დროის აქაურ მთავარმართებელმა, დახატა გეგმა. იწუგეშეთ, რომ ეკლესიის შენობა, თუ კედლები და თუ დანარჩენი, დასრულდა. ჩვენმა კათოლიკებმა, რაც კი შეეძლოთ, ილონეს; მთავრობისაგან 1,000 სარგებლით ისესხეს და სხვა ვალიც დაიდვეს. ორი თვეა, რაც შევედით ეკლესიაში. ძველი ეკლესიიდგან ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლო პროცესიით გადმოვასვენეთ „პანჯელინგვინ“ გალობით და მუსიკით. პროცესიას აქეთ იქით რუსის ჯარი ახლდა და წინ მიუძღოდნენ რუსის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო აფიცრები, ქართველები, სომხები, და მთელი ქალაქი უყურებდა. აქაური ქართველების კათალიკოსმა და მასმა მიტროპოლიტმა ეკლესიაში შემოსვლა ინებეს, ეგრეთვე სომხების პირველი ეპისკოპოსიც შემოვიდა. პატივი ვეცით და სკამზედ დავსვით...“ იქვე, Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №№ 42, 46, — იხ. იქვე Lettere della S.C., ტ. CCXCIV, 1808 წელზე. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 497.

** ფრჩხილებში — ნ. ხმალაძის თარგმანია.

გორში, რადგან აქაც ჩამოართვეს კათოლიკეებს ეკლესია. შემოწირული ფულით მისიონერებმა შეძლეს დაესრულებინათ ერთი მონასტერი და ერთიც ეკლესია, რომელთა აშენება გორში წმინდა დომინიკის წესის ერთმა ქართველმა სამღვდელო პირმა ითავა.

გარდა ამ მისიონერებისა, წერს როტიე, საქართველოში კოადიუტორად არის წმინდა დომინიკის წესის ერთი პატრი ონოფრე, იმ მონასტრის და ეკლესიის დამაარსებელი, რომელთა აშენება მალე დასრულდება გორში. პატრი ეროვნებით ქართველია და ეკუთვნის პოლონეთის ერთ-ერთ მონასტერს. ამ კეთილ სამღვდელო პირს დიდი სარგებლობა მოაქვს მისიონისთვის[1].

ზუბალოვების სახელგანთქმული ქართული გვარის წარმომადგენლებსაც დიდი წვლილი შეუტანიათ გორის ეკლესიის აშენების საქმეში, როგორც ამას ერთი წერილი მოწმობს, რომელიც მისიონის წინამძღვარმა პატრმა გაუგზავნა რომში თავის უზენაესს[2].

ჩვენ აქ მოვიხსენებთ ერთ საინტერესო ამბავს, რომელიც რუსების საქართველოში შემოსვლის შემდეგ მოხდა. იყო ერთი მისიონერი, პატრი ნიკოლა რუთილიანელი. მას არც თავისი მისიონერობისა და არც მისიონის დანიშნულება არ ჰქონდა შეგნებული. ისე შესანიშნავი პიროვნება და ექიმობაშიც ძალიან დახელოვნებული კაცი გახლდათ. მისიონის წინამძღვარმა რამდენჯერმე მიმართა რომს, პატრი ნიკოლა უკან გაეწვიათ. პროპაგანდამაც პატრს წერილობითი ბრძანება გამოუგზავნა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში[3]. ერეკლე

1 იქვე, №69. De la religion chrétienne en Géorgie. მოხსენება, რომელიც პროპაგანდას წარუდგინა პოლკოვნიკმა როტიემ 1819 წლის 2 იანვარს.

2 „პატივსანო მამამთავარო.

წინამდებარე წერილის მომტანი პოლკოვნიკ გიორგი ზუბალოვის ვაჟი, კეთილშობილი ბატონი იოსები გახლავთ. გიორგი ზუბალოვი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პირია იმ ქართველ კათოლიკეთა შორის, რომლებიც რომს მიემგზავრებიან ამ მთავარი ქალაქის დიდებულებისა და სიძველის და ასევე ჩვენი წმინდა კათოლიკური რელიგიის ყველაზე უფრო ჩინებული ღვთისმსახურების სანახავად. მისი წინაპრები ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული კეთილგანწყობილები იყვნენ ჩვენი სათნო ცხოვრების წესის მიმართ და აქამდეც ჰქონდათ ძმობა ჩვენდამი. პატივსანო მამაო, ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ იმ აუთენტიკური ფურცლის წაკითხვისას, რომელსაც გიგზავნით, რადგან ზემოხსენებული ძმობა შეწყდა ამ ბატონის მამისა და ბიძების დროს, ახლა ძალიან გვთხოვენ მის განახლებას. ეს ოჯახი მართლაც ღირსია ყველანაირი ყურადღების, რადგან არ ღალატობს თავის წინაპრებს. დიდი სიყვარულითაა გამსჭვალული ჩვენი მისიონის მიმართ და ყველაფერს აკეთებს კათოლიკური სარწმუნოების სადიდებლად. პატივსანო მამაო, თქვენთვის ალბათ საკმარისი იქნება იმის გაგებაც, რომ გორის მშვენიერი ეკლესია უმეტესად მათი ხარჯითაა აშენებული და შემკული... ძმა დამიანო ვიარეჯიოელი, პრეფექტი". რომში დაცული კაპუცინთა არქივები. Giorgia.

3 იხ. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №31. Lettere della S. C., ტ. CCLXXXI, გვ. 281 და 333; ტ. CCCXXXII, გვ. 488; ტ. CCLXXXIII, გვ. 334: ტ. CCXCIV, 1809 წ. 11 მარტი.

მეფის ვაჟები ამ დროს იმერეთის სამეფოში იყვნენ თავშეფარებულნი საქართველოში რუსების შემოსვლის გამო. პატრმა ნიკოლამ მოინახულა მეფის წულები, უნდოდა, მათთვის ეცნობებინა, საქართველოდან ჩემი გამგზავრების ბრძანება მივიღეო[1]. ამის შემდეგ ისე მოიქცა, იმერეთის მეფემ სოლომონ II-მა და ერეკლე მეფის ორივე ვაჟიშვილმა პროპაგანდას წერილი მისწერეს და სთხოვეს ამ სამღვდელო პირის საქართველოში დატოვება. აი, ერთ-ერთი წერილი:

„ჩვენო მოწყალეო ხელმწიფევ!

მის უმაღლესობას, რომის კონგრეგაციის უფროს კარდინალს,

ადითგანვე მეფენი საქართველოსანი ჟამ ყოველ პატივითა და სიყვარულითა შესაბამითა ბრძანებულან საქართველოსა შინა მყოფთა პატრთა ზედა, და უმეტესად მათდა მამა-პაპათა ჩვენთა და ჩვენ მამობრივი და მეგობრობითი სიყვარული გვქონია ყოველთა შეძლებითა ჩვენითა ვიდრე აქომამდე, და აწ დროსა ამას მივიღეთ უბედურობა, რადგან რუსებმა უსამართლოდ და შევიწროებით წაგვგლიჯეს ჩვენი სამეფო. მოგვიხდა გადმოსვლა ამის უმაღლესობის ჩვენს დისწულის იმერეთის მეფეს სოლომონთან. და კვლავ ვიმედოვნებთ ღვთით და მიზეზითა ამით რომელ წელიწადსვე ამას შინა მივიღოთ სამკვიდრო და სამეფო ჩვენი საქართველო. ვინაითგან ძალითა ღვთისათა ამის თავისუფლებითი ნება ხელთა ჩვენთა, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო. სამეფოსა ჩვენსა ყოფნაში იყო საკუთრად აქიმი ჩვენი პატრი ნიკოლაოზ და ოდესაც მივიღეთ ლტოლვა რუსების გამო და გარდმოვედით იმერეთად ჟამსა ამას დაშთა პატრი ნიკოლაოზ საქართველოსა შინა მყოფთ თავის მრევლში; და შემდგომად რაოდენსამე ხანში თქვენი უმაღლესი ბრძანება მოსვლოდა წამოსვლისა საფრანგეთად და ვინაიდგან გზა საფრანგეთისა იმერეთი არის, მოვიდა სამეფოსა ქალაქსა ქუთაისსა და ამისმა უმაღლესობამ მეფემ სოლომონ არა მისცა ნება გზისა და არცა თავისუფლება წამოსვლად, ვინაიდგან იხილა საჭიროდ საქმესა შინა საექიმოსა, და ჩვენც ფრიად მოხარულ ვიქმენით ამისათვის. პირველი ესა, რომ საკუთრად და სანდოდ აქიმად მყოფობდა ჩვენთან და მეორეც ეს, რომ საუცხოო კაცი არის; ამ საქმეზედ თქვენ ყოვლად უსამღვდელოესობას წერილი მიართვა ხვეწნისა ამისა უმაღლესობამ მეფე სოლომონმა და ჩვენც უმეტესად ვითხოვთ ვედრებით, რომელ მისცეთ უმაღლესი ბრძანება პატრ ნიკოლაოზს ჩვენ თანა ყოფნისა; როდესაც მოწყალებითა ღვთისათა მივიღებთ კვალად სამეფოსა და სამკვიდროსა მამულსა ჩვენსა საქართველოსა, რაც უწინ პატივი და სიყვარული ჰქონიათ თქვენგან გამოგზავნილთ — მოსულთ პატრებს, ერთის წილ ათას იმდენს მიიღებენ პატივსა და სიყვარულსა ჩვენგან; და კვალად ვითხოვთ, რომელ უმდაბლესათ ესე მოხსენება ჩვენი არა უგულებელს ჰყოთ და ვედრებისა და წადიერებისამებრ ჩვენისა აღსრულება ინებოთ, რომლისათვისაც ვეგებით მდაბლითა და უღრმესითა

1 იქვე, Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №46.

ერთგულებითა თქვენდამი.

თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მოწყალის ჴელმწიფისა ჩვენისა უმდაბლესად სამსახურისა მათისა მოწადინე სრულიად საქართველოს მეფის ძენი იულონ და ფარნავაზ.

ივნისის 20, წელთა 1803"[1].

მისიონის კეთილდღეობისთვის პროპაგანდამ შეისმინა სოლომონ II-ისა და ერეკლეს ვაჟიშვილების თხოვნა და სასწრაფოდ უპასუხა სამივეს ორი წერილით:

„მათს ხელმწიფებას სოლომონს, სრულიად იმერეთის, ოდიშის და გურიის მეფეს

ქუთაისს, 9 ივნისს 1804.

არც ერთი ამბავი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენთვის ისე სათნო და სასიამოვნო, როგორც ახლა მეძლევა, რათა დავაკმაყოფილო სურვილი თქვენის ჴელმწიფებისა, რომელმაც მუდამ ეგოდენი სახიერებით მიიღეთ ჩვენი მისიონერები და პატივი ეცით. თუმცა კაპუცინ პატრ ნიკოლა რუთილიანს შევუთვალეთ, რამოდენიმეჯერ, დაბრუნებულიყო იტალიას, მაგრამ ახლა თქვენის ჴელმწიფების სურვილის თანახმად, დიდი სიამოვნებით ნებას ვაძლევთ, შეეძლოს დარჩენა თქვენს სამეფოში, როგორათაც წმიდა კრება თავის პატივად რაცხს დასთანხმდეს ყოველ თქვენს სურვილსა, რაც კი შეუძლია. ეგრეთვე იმედი მაქვს, თქვენმა ჴელმწიფებამაც კეთილ ინებოს და სახიერებით დაიფაროს ჩვენი მისიონერები და კათოლიკეები, რომლებიც ცხოვრობენ თქვენს სამეფოში და რომელთაც ვალად აქვთ დაემორჩილონ თავიანთ მთავარს და მისნი ერთგულნი იყვნენ. უკეთუ შემთხვევამ მოიტანა როდისმე, რომ ტფილისს, გორში და საქართველოს სხვა ადგილებში მყოფი კაპუცინები, რაიმე მიზეზის გამო იძულებულნი გახდნენ დაუტოვონ ის პროვინციები, ამნაირი შემთხვევისათვის, ვევედრებით თქვენს ჴელმწიფების გულმოწყალებას, რათა კეთილ ინებოთ, და მიიღოთ იგინი სიმშვიდით თქვენს სამეფოში და დაიფაროთ ყოვლნაირი უსამართლობისაგან. დარწმუნებულიც ბრძანდებოდეთ, ღირსი გახდებიან თქვენის სიკეთისა, ერს უწესოდ არ მოექცევაინ, არამედ დიდს სარგებლობას მოუტანენ. დიდს მადლობას მივუძღვნით თქვენს ჴელმწიფებას, რომ უდიდესი პატივი მიეცით თქვენის წერილით და მასთანვე დიდად მონატრე ვართ მარადის თქვენის მსახურებისა. ვევედრები უფალს, მოგანიჭოთ უხვად თავისი მადლის ნათელი და უმეტესად განამტკიცოს თქვენი დიდებული სამეფო. დავშთები თქვენი უღრმესად პატივის მცემელი..."[2].

აი, წერილი, რომელიც პროპაგანდამ უფლისწულებს გამოუგზავნა.

---

1 ორიგინალი, იტალიურ თარგმანთან ერთად, დაცულია პროპაგანდის არქივებში; Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №38. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 490—491.

2 Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CCLXXXVII, გვ. 271. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", გვ. 492.

„მათს უბრწყინვალესობას, საქართველოს მიცვალებულ ერეკლე მეფის შვილებს თავადთა იულიონს და ფარნავაზს.

ქუთაისს, 9 ივნისს 1804.

რადგან წმიდა კრება დიდად მადლიერია დიდებული მეფის ერეკლესი, რომელიც განსაკუთრებულის გულმოწყალებით მფარველობას უწევდა მუდამ ჩვენს მისიონერებს, ამიტომ ვალად რაცხს თავის თავს მის უწარჩინებულეს შვილებსაც ყოველგვარი პატივისცემა მიაგოს და აუსრულოს ყოველი მათი სათხოვარი. თუმცა კაპუცინს პატრი ნიკოლა რუთილიანოს ებრძანა იტალიაში დაბრუნება, გარნა მივიღებთ რა მხედველობაში თქვენს რეკომენდაციას, რომელთანაც იყო ერთვი მათი ხელმწიფების სოლომონ იმერეთის მეფისაც რეკომენდაცია, წმიდა კრება ნებას აძლევს დარჩეს მაგ სამეფოში თავისუფლად თანახმად თქვენის თხოვნისა. იმედი მაქვს, ჩვენი ნების დართვა არა მხოლოდ სათნო საყოფელი იქმნეს თქვენთვის, კვალად უფრო მიზიდულ გყოფთ მისიონერებსა და კათოლიკეთადმი. ვნაცრომ, მუდამ ახალი შემთხვევა მიმაძოთ, რათა შემეძლოს თქვენი მსახურება. დავშთები უღრმესი პატივისცემით თქვენი უმორჩილესი მონა“[1].

## XV. – მისიონერების ნაკლებობა. მოხსენება მისიონების შესახებ. სომეხი მღვდლების ცდები მისიონერთა განსადევნად

ამ ეილბლო მისიონს კათოლიკური რელიგიის მტრები აღარ აწუხებდნენ, მაგრამ ახლა არანაკლებ დამღუპველი, უბედური დრო დაუდგა; აკლდა სახარების მსახურნი. უკვე აღვნიშნეთ, რომ XVIII საუკუნის დამდეგს რამდენიმე მისიონი დაარსდა საქართველოში. XIX საუკუნის დამდეგს კი უკვე მიატოვეს რამდენიმე მათგანი არა რაიმე გარეგანი ზემოქმედების შედეგად, არამედ მისიონერთა ნაკლებობის გამო. მთელ საქართველოში მხოლოდ ორ მისიონერს თუ ნახავდით. ამათაც სრულებით არ ენდობოდა პროპაგანდა. ამიტომ 1813 წელს იძულებული გახდა, ამ ორი მისიონერის უფროსად ერთი სომხის წესის ადგილობრივი მღვდელი, ახალციხის პროეიკარი დაენიშნა[2]. მართალია, ეს ვითარება ცოტა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მაინც ასეთი კანდიდატურის დანიშვნა აქამდე გაუგონარი ამბავი იყო[3]. მისიონის მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესებულა. სასულიერო პირნი მას წლების მანძილზე აკლდა. მაგალითად, 1823 წელს საქართველოში მხოლოდ სამი კაპუცინი პატრი იყო. ამავე წელს მისიონის უფროსი

1 Arch. de la Propag., Lettere della S.C., ტ. CCLXXXVII, გვ. 271. იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 494.

2 იხ. იქვე, Lettere della S.C., ტ. CCXCIV, 1813 წლის 18 და 24 მაისი; ტ. CCXCV, გვ. 70. ჩვენი აზრით, მისიონერთა ნაკლებობა იმის ბრალი იყო, რომ იტალიაში ამ დროს სასულიერო ორდენები იშლებოდა.

3 იხ. იქვე, ტ. CCXCV, გვ. 72.

რომში გაგზავნილ წერილში პროპაგანდას ევედრებოდა, სასწრაფოდ მოევლინა მისიონერები, რადგან კათოლიკურ ეკლესიებს მოძღვრის გარეშე დარჩენა ემუქრებოდათ[1].

მართებულად მიგვაჩნია აქ მოვათავსოთ ერთი მოკლე მოხსენება მისიონის შესახებ, რომელიც პროპაგანდას ზემოთ ხსენებულმა პოლკოვნიკმა როტიემ წარუდგინა:

„უნდა ვიგულისხმოთ, რომ პატიოსანი პატრი ფილიპე ერთადერთი მღვდელია თბილისის მისიონში. პატიოსანი პატრი ონოფრე მისიონებს არ ეკუთვნის. ის დროდადრო ჩამოდის თბილისში, როდესაც თავის მონასტერს ტოვებს, თუმცა უკვე ხანში შესული და დაავადებულია.

გორის მისიონში მყოფი პატიოსანი პატრი მარიუსიც ხანში შესულია, მისიონის მთელი ტვირთიც მას აკისრია, რადგან პატრმა ჩელესტინომ ვერა და ვერ ისწავლა ქართული ენა. თუმცა სხვა მხრივ, ძალიან კარგი სამღვდელო პირია, ამ ქვეყანას არ შეეფერება და ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, არქიპელაგის მისიონებში გამოგვეყენებინა, როგორც თვითონ სურს კიდეც. დიდად პატიოსანი პატრი ჯუზეპე მარტოდმარტოა ქუთაისის მისიონში და, როგორც ხედავთ, ერთი მღვდელიც რომ გარდაიცვალოს ამ სამი მისიონიდან, კათოლიკეები უმღვდელოდ დარჩებიან.

ახალციხის მონასტერი, რომელიც აუცილებელ საწვრთნელ-გამოსაცდელ ადგილად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ევროპიდან ჩამოსული პატრები აქ ქართულ ენას სწავლობენ, ამჟამად მიტოვებულია და ამ ქვეყნის მისიონებისთვის ასე საჭირო მონასტერი შეიძლება თურქებს ჩაუვარდეს ხელში, თუ იქ სასწრაფოდ არ გავგზავნით ორ პატრს და მათთან ერთად ერთ საერო პირს, იმ პირობით რომ დომ პაოლო გაშორდება ახალციხეს, რათა არ ატყდეს ახალი დავა, როგორც ატყდა ღირსეულ ფრა კარლოს დროს, როცა იგი ახალციხეს მონასტერს იცავდა. ეს მამაცი ერისკაცი, რომელსაც ახალციხეში კარგად იცნობენ, ასევე შეიძლება დაბრუნდეს ამ ქალაქში და დიდ სარგებლობას მოუტანს ახალ პატრებს, რომლებიც იქ დაუყოვნებლივ უნდა გავგზავნოთ. ახალციხის მონასტერში ერთი წლის სწავლის შემდეგ შეიძლება ერთი ამ პატრთაგანი გორში გაიგზავნოს, საიდანაც პატიოსან პატრ ჩელესტინოს დამონტაზულას გაიწვევენ; ხოლო სხვები შეიძლება ქუთაისსა და თბილისში გაიგზავნონ, რათა საჭიროების მიხედვით დაეხმარონ იქ მყოფ პატრებს, რომლებიც უფრო მეტ სულიერ დამხმარეებს თხოულობენ.

მისიონებში რომ მუდამ სრული შემადგენლობა გყავდეთ, ერთი წლის შემდეგ ორი სხვა პატრი უნდა გავგზავნოთ ახალციხის მონასტერში,

---

[1] „...ბოლოს წმინდა კონგრეგაციას ვაუწყებ პატიოსანი პატრის, მარიოს გარდაცვალების ამბავს, რომელიც მიმდინარე წლის 23 იანვარს ღვთის მიიცვალა. ახლა დაერჩით სამი მამა: ერთი ქუთაისში, ერთი გორში და ერთიც აქ, თბილისში. ჩვენთან არის აგრეთვე მამა ონოფრიო დომინიკელი, მაგრამ მას აღარ შეუძლია მსახურება. თუ ღმერთი გწამთ, სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ სხვები, თორემ ბრწყინვალე ეკლესიები უმოძღვროდ დარჩება... ტფილისი, 1823 წლის 7 იანვარი, ძმა ფილიპო ფორანელი, პრეფექტი". იქვე, Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №71

რათა იქ საჭიროების შემთხვევაში თადარიგში იყვნენ. მათ ერთი პატრი უნდა მფარველობდეთ და წვრთნიდეთ. ეს პატრი მუდმივად უნდა იყოს მონასტერში, როგორც ზედამხედველი, და დაექვემდებაროს კონსტანტინოპოლში არსებულ წმინდა ლუის წესის კაპუცინების მონასტერს. კარგი იქნება, თუ საქართველოს მისიონების წინამძღვარს ნებას დართავენ, კაპუცინების ორდენში ერთი ან ორი ახალმედა ქართველი კათოლიკე მიიღოს. ისინი სასწავლებლად და გამოსაცდელად ახალციხის მონასტერში გაიგზავნებიან და დროთა განმავლობაში დიდად საჭირონი იქნებიან, შეეძლებათ ქართული ენა ასწავლონ ევროპიდან ჩამოსულ პატრებს..."[1]

მოგვიანებით მისიონის დასახმარებლად საქართველოში რამდენიმე პატრი ჩამოვიდა, მაგრამ რადგან ისინი უფრო ნაკლებნი იყვნენ, ვიდრე საჭიროება მოითხოვდა, მისიონის საქმე სულ უკან-უკან წავიდა.

გაუგებარია, ასეთ ვითარებაში რად არ ფიქრობდნენ, ადგილობრივი საეკლესიო პირნი ჰყოლოდათ და მისიონერთა ნაკლებობა აენაზღაურებინათ. მისიონერებს რომ ეცადათ და ამ საქმისთვის შესაფერისი პიროვნებანი ეძებნათ საქართველოში, ადვილად იპოვიდნენ, უფრო მეტიც, მისიონებში უმღვდლოდ დარჩენილი ადგილების შევსებაც აღარ დასჭირდებოდათ. მისიონერებს არც ასეთ პიროვნებათა სწავლების საშუალებანი აკლდათ, რადგან თვითონ შეეძლოთ ისინი გაეწვრთნათ ან კიდევ პროპაგანდაში გაეგზავნათ, სადაც ქართველებისთვის მუდამ იყო ორი ადგილი.

ბოლოს, 1834 წელს, პროპაგანდამ როცა დაინახა, რომ საქართველოს მისიონი სავალალო მდგომარეობაში იყო, რადგან ყველა კათოლიკური ეკლესია ღვთის მოციქულებს თხოულობდა, რომელთა გარეშე მისიონს დაღუპვა ელოდა, მან უფროს პატრს ლათინის წესის ორი ახალგაზრდა ქართველის გაგზავნა უბრძანა ურბანის კოლეჯში, რათა მათ მოგვიანებით შეძლებოდათ, სულიერი სამსახური გაეწიათ თავიანთი ქვეყნისთვის[2]. ასეც მოიქცნენ.

აქამდე საშუალება არ მოგვეცა, გვეთქვა, რომ მისიონერებმა საქველმოქმედო ძმობა დააარსეს ყველა ქალაქში, სადაც ეკლესიები ჰქონდათ. საქველმოქმედო ძმობა, რომელსაც წმინდა კირიელეისონი და ქრისტე, მარიამი და იოსები მფარველობდა, დიდად შეელოდა

1 Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №68.

2 „.... მჯერა, ურბანის კოლეჯში ლათინურ წესზე აღზრდილი ორი ქართველი ყმაწვილის მიღებით აქ სარწმუნოების საქმეს მომავალში სარგებლობა მოჰყვება,რადგან ღვთისმოსაობასა და მეცნიერებაში განსწავლის შემდეგ, ერთ დღეს თავიანთ სამშობლოში შეძლებენ აღასრულონ წმინდა სამსახური სულის სასარგებლოდ. ამის გამო მივმართავ თქვენს უპატივცემულესობას, შეასრულოს ეს დავალება. ასევე ყურადღება მიაქციოთ იმასაც, რომ რომში მიმავალი ყმაწვილები არიან კათოლიკეთა შვილები და იქნებიან არანაკლებ 12 და არა უმეტეს 15 წლისა. ორივე არის გულისხმიერი და ჯანმრთელი, ნიჭიერი, კარგი ზნე-ჩვეულებებისა. ყოველნაირი მონაცემები აქვთ, ერთ დღეს მღვდლები გახდნენ... 1834 წლის 16 სექტემბერი". Archives des Peres Capucines á Trébizonde.

მისიონის ძმობაში გაერთიანებულ მორწმუნეებს, მართლა მოჰქონდათ შესაწირავი, რომელიც მრავალ კეთილ საქმეს ხმარდებოდა, როგორც, მაგალითად, ღვთისმსახურებას, სკოლას, თავშესაფარსა და გლახაკთ. თბილისის საქველმოქმედო ძმობა ყველაზე მდიდარი იყო 1795 წლამდე, თბილისის აოხრებამდე. ამ წელს ძმობის ყველა შენობა სპარსელებმა გაძარცვეს და გადაბუგეს. მოგვიანებით საქველმოქმედო ძმობა მაინც აღდგა და ისევ წამოიწყო ადრინდელი საქმიანობა[1]. ეს ძმობა დღესაც აგრძელებს კეთილი საქმის თესვას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთმა ახალციხელმა მღვდელმა, პროპაგანდის აღზრდილმა, შაჰყულიანთ პავლემ, საშინელი ომი აუტეხა მისიონს და მისი განადგურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ეს მზაკვარი და პატივმოყვარე კაცი ეპისკოპოსობის წოდებისთვის იღწვოდა და თავისი მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა. რაკი კაპუცინი პატრები დიდ დაბრკოლებას უქმნიდნენ, ყველა საშუალებას მიმართა, რათა ისინი სამუდამოდ გაეძევებინა საქართველოდან. ჯერ რომთან გამართა მისიონის სამტრო მზაკვრული ინტრიგები, მაგრამ პროპაგანდა მალე მიუხვდა ფანდებს და აღარაფრად ჩააგდო მისი ნაწერები. სამაგიეროდ რუსეთის მთავრობამ ერთობ დაუჭირა მხარი შაჰყულიანი პავლეს მზაკვრულ ჩანაფიქრს, რაზეც შემდეგ თავში მოგითხრობთ. პოლკოვნიკმა როტიემ შაჰყულიანთ პავლეს ზრახვანი გამოიცნო და რომისთვის წარდგენილ თავის მოხსენებაში მისი საქმიანობა ამხილა. აი, რას ამბობდა სხვათა შორის პოლკოვნიკი როტიე:

„აქ უნდა გადმოვცე მისი სახე მთელი იმ ელფერით, რაც შეჰფერის. ეს გახლავთ ვინმე დონ პავლე, მხარის (ახალციხის) პროვიკარი; გარეგნულად ძალიან ხიბლავს ადამიანს და თავის წრეებში საკუთარი თავი სარწმუნოების ერთგულ კაცად მოაქვს. ეშმაკი დაუფლებია ამ მზაკვარ პიროვნებას და იარაღად ხმარობს მას საქართველოს მისიონების თავდასასხმელად, მისიონების გასანადგურებლად, რომლებსაც ასე ღირსეულად მართავენ კაპუცინთა ორდენის პადრეები. თვით თავისი სამსახურის ასრულებისას მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი და მრევლს ძალიან სძულს. თქვენ უწმინდესობას პირადად მოვახსენებ მეტს სხვა მის უმოწყალო განუკითხაობისა და ქედმაღლობის ამბავს...“[1].

---

1 “... ახლა ვიწყებთ თბილისის ეკლესიიდან... მართალია, ეს ეკლესია არ არის ანტიკური, მაგრამ აქვს უწმინდესი საკურთხევლისა და იესოს, იოსებისა და მარიამის სახელით გაერთიანებული ძმობა, რომლის პრეფექტია საპატიო ძმა. ამჟამად ძმობას აქვს ათი ქულბაქი, რომლებიც ამას წინათ ხელახლა შეკეთდა. სადგომის ქირიდან მიღებული შემოსავალი დაახლოებით 600 ვერცხლის მანეთია. ფული ხმარდება ძმობის ხარჯებს: 1. ცოცხალ და გარდაცვლილ ძმათათვის კვირაში ორჯერ დილის წირვას;2. სკოლის მასწავლებლის ჯამაგირს; 3. ეკლესიისათვის გარკვეული რაოდენობის ცვილის შეძენას; 4. ბოლოს, ღარიბი ოჯახების დახმარებას, განსაკუთრებით იმათი ოჯახებისას, რომელნიც ჩარიცხულნი არიან ძმობაში. მომავალში ძმობამ ფული ორლანისტსაც უნდა გადაუხადოს“. Arch. de la Propag., Scritture riferite, Giorgia, ტ. V, №84.



ქუთაისის უბიწო ჩასახვის ლათინური ეკლესია, 1826 წელს წამოწყებული და 1860 წელს დასრულებული.

ცოტა მოგვიანებით, 1830 წელს, ახალციხეში სომხების გადმოსახლების გამო სომეხი მღვდლების რიცხვი ძალიან გაიზარდა.

1 Arch. de la Propag., №66.

შაჰყულიანთ პავლემ ამით ისარგებლა, მიიმხრო სომხები და კიდევ უფრო გააფთრებული ბრძოლა გამოუცხადა მისიონერებს. მისი ბოროტი ზრახვანი უკვე აღარავისთვის იყო საიდუმლო. 1841 წელს კაპუცინებმა რომში თავიანთ გამგებელს მისწერეს, სომეხ მღვდლებს განა მხოლოდ კათოლიკეთა გაძევება სურთ, რომ თვითონ გაბატონდნენ, არამედ მათი ეკლესიებისა და სახლების ხელში ჩაგდებაც, რადგან კათოლიკეებს დიდი შემოსავალი აქვთო[1]. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მღვდელმა შაჰყულიან პავლემ ვერ მოახერხა, მაშინვე მიეღწია მიზნისთვის, მისიონერებს საქართველოს გამგებელნი მფარველობდნენ და მათი კეთილგანწყობის გამო კიდევ რამდენიმე ხანს შეინარჩუნეს სიმშვიდე.

## XVI. — მოხსენებანი ლიონის სარწმუნოების პროპაგანდაში. რუსეთის მთავრობის მიერ მისიონერების გაძევება. კათოლიკეთა მდგომარეობა

საქართველოს მისიონს თავისი არსებობის უკანასკნელ წლებში ლიონის სარწმუნოების პროპაგანდამ დიდი და დროული დახმარება გაუწია, რადგან მისიონმა ქუთაისში კარგი ეკლესიის აშენება დაიწყო, რომლისთვისაც ადგილი იმერეთის მეფემ[2] გამოუყო. ამ ამბავთან დაკავშირებით პატრების წინამძღვარმა ვრცელი წერილი გაუგზავნა ლიონის სარწმუნოების პროპაგანდის საბჭოს. ჩვენ საჭირო მიგვაჩნია წერილის გამოქვეყნება, ვინაიდან იგი ყველაზე საინტერესო წერილებს განეკუთვნება.

„ტფილისი, 25 იანვარი 1841

ბატონო მრჩევლებო,

1840 წლის 13 აგვისტოს დიდად საპატივცემულო წერილის პასუხად, რომელიც სარწმუნოების პროპაგანდის ღვთისმოსავმა საქველმოქმედო საზოგადოებამ გამომიგზავნა, ჩემი ვალია მთელი გულით და სულით მადლობა გადაგიხადოთ თქვენი საზოგადოების ყველა წევრს იმ დიდი ქველმოქმედებისა და კეთილმოწყალებისთვის, რომელიც 10100 ფრანკის ჩვენთვის გამოყოფით გამოიჩინეთ ამჟამად და გასულ წელს 2000 ფრანკის გამოგზავნით ჩვენი მისიონის საჭიროებისათვის. ეს ამჟამინდელი წყალობა უფრო დიდ იმედს გვისახავს ახალი ფულადი დახმარებისას, რაც, რასაკვირველია, არ შეიძლება არ გვაკლდეს, თუ გავითვალისწინებთ გულმოდგინებას, რასაც ჩვენი უწმინდესი დედის, ჭეშმარიტი და ღვთაებრივი რელიგიის განდიდების, ამაღლებისა და გავრცელების საქმეს ვანდობთ. ბედნიერი და გასხივოსნებული ვარ გულმოდგინებით, რითაც ჩვენდამი ამ დიდი მადლის გამღები თქვენი

1 Archives des Capucins á Rome (maison généralice), arm. Giorgia.

2 ქართველ მეფეთა შეწირულობების მრავალი სიგელი დაცულია რომში, პროპაგანდა ფიდეს კაპუცინების არქივებში.

საზოგადოების ყველა წევრის გულია ანთებული. ვიმედოვნებ, მათი გულმოდგინება კიდევ უფრო მეტად აინთება, როდესაც შეიტყობენ მისიონის არა მხოლოდ დიდ საჭიროებას, არამედ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც დახმარების გარეშე იმყოფება ჩვენი წმინდა რელიგიის ღვთისმსახურება მხარეში, სადაც ის განსაკუთრებული ელვარებით უნდა მრწყინავდეს, რომ ყველა სხვა რელიგია დაჩრდილოს. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია წერილში მოგითხროთ ჩვენი მისიონის მდგომარეობისა და საჭიროების შესახებ.

ჩვენი მისიონი ორ ნაწილადაა გაყოფილი: ლათინურ და სომხურ მისიონად. პირველ მისიონზე ამსოლუტური იურისდიქცია პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციის მიერ დანიშნულ სამოციქულო პრეფექტს ეკუთვნის; მას მეორე მისიონზეც აქვს თავისი იურისდიქცია, რომლითაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არქიეპისკოპოს ვიკარმა აღჭურვა. მეორე მისიონი ასევე იყოფა ორ ნაწილად: ძველ და ახალ მისიონებად. ძველ მისიონს ეძახიან ახალციხის მხარის მისიონს, სადაც კათოლიკური რელიგია ძველთაგანვეა დაფუძნებული. ახალს უწოდებენ ლორეს და მორაგალად წოდებულ იმ ორი მხარის მისიონს, სადაც კათოლიკური რელიგია იმის შემდეგ დაეფუძნა, რაც ეს რეგიონები რუსეთის იმპერიის ხელთ აღმოჩნდა და იქ თურქეთიდან მწვალებელი სომხების ტირანულ იურისდიქციას გამოქცეული მრავალი კათოლიკური ოჯახი დასახლდა.

ლათინური მისიონი რამდენიმე მხარეში გავრცელდა: ქართლში, იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. მიუხედავად ამისა, მხოლოდ სამი ძალიან პატარა სადგომი და სამი საცოდავი ეკლესია ჰქონდა, თუკი საერთოდ შეიძლება მათ სადგომი და ეკლესია ეწოდოს – ორი ქართლში და ერთიც ქუთაისში, იმერეთში. ძველად კი ლათინური მისიონი როგორც გურიასა და სამეგრელოში, ასევე მათ მეზობლად მდებარე რეგიონებში თავის ეკლესიებსა და სადგომებს ფლობდა, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში დაიქცნენ და განადგურდნენ მწვალებელი სომხების გამუდმებული დევნის, ასევე თურქებისა და სხვა მარმაროსების შემოსევის შედეგად. როდესაც რუსეთის იმპერია ყველა ამ მხარეს დაეპატრონა და როდესაც ყოველგვარი გარეგნული და აშკარა დევნა შეწყდა, ჩვენი პატრები შეეცადნენ, ასე თუ ისე რიგიანი ეკლესიები აეშენებინათ; ასევე ხელახლა აღედგინათ მისიონი ადგილებში, სადაც ის გაქრა. ამ ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბისა და სხვა ქვეყნიდან დახმარების უქონლობის გამო, მათ შეძლეს მხოლოდ ერთი პატარა ეკლესიის აშენება თბილისში და ერთის – მაგრამ უფრო ლამაზი და უფრო დიდი ეკლესიისა – გორში, ასევე სადგომების აშენებაც. წამოვიწყეთ ერთი მდიდრული ეკლესიის შენება ქუთაისში, მას საძირკველიც ჩავუყარეთ, ოღონდ იძულებული გავხდით, მშენებლობა სახსრების ნაკლებობის გამო მიგვეტოვებინა. დღეს, რაკი მაღალმა ღმერთმა, ჩვენმა მოწყალე მბრძანებელმა ინება მისიონების საკეთილდღეოდ თქვენი საქველმოქმედო საზოგადოება დაეარსებინა, ფრთებშესხმული და გამხნევებული ვარ მისი წევრების გულმოწყალე ქველმოქმედებით და უფლის განგებით, რომელიც არ ტოვებს არავის, ვინც მას მიენდობა, და გულისხმიერებით ეკიდება სავალალო მდგომარეობას, რომელშიც არის ჩავარდნილი ჩვენი უწმინდესი

ღედის, სათაყვანო და ღვთაებრივი რელიგიის კულტი. ღვთაებრივი საიდუმლო წირვანი მიუხედავად გაჭირვებისა, რასაც ჩვენ განვიცდით, მაინც სრულდება, მაგრამ ისეთ შეუფერებელ ადგილას, შეუძლებელია ამის გამო სინდისის ქენჯნა არ იგრძნო და ამავე დროს არ შეგაწუხოს უმედური მდგომარეობამ, ამდენი საცოდავი კათოლიკე რომ იცავს ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, სადაც ეკლესიებს, მღვდლებსა და ყოველგვარ სულიერ შემწეობას მოკლებულია, და მათ სულებს საუკუნო წარწყმედა ელით. ამიცობამაც მომეცა ძალა, იმედით წამომეწყო ჩვენი ძველი საქმიანობა, რომ ჩემი წინამავლების – უფროსი პაცრების კეთილი სურვილები აღმესრულებინა. ამრიგად, 1835 წელს ისევ მოვკიდე ხელი ქუთაისის მდიდრული ეკლესიის აშენებას, რომელიც დღეს კარგ მდგომარეობაშია. ასევე ვიფიქრე, ერთი სადგომი და ერთი ეკლესია ოზურგეთშიც – გურიის მხარეში აშეგო, სადაც მრავრი კათოლიკე ოჯახი ცხოვრობს. ასევე ერთი ეკლესიის აშენება განვიზრახე თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებს შორის მდებარე შორაგალის მხარეში, წინათ გუმბრად, ახლა კი ალექსანდროპოლად წოდებულ ქალაქში; უკვე ერთი წელია, მთავრობისგან მივიღე კიდევაც აუცილებელი ნებართვა, მაგრამ ჭირის გამო, რომელიც ამჟამად მძვინვარებს ალექსანდროპოლში და იმის გამო, რომ ოზურგეთში ჯერ კიდევ არ მოუციათ მიწის ნაკვეთი, ვერ შევძელი მშენებლობის დაწყება ამ ქალაქებში. საშენი მასალა უკვე მთლიანად მზადაა და, როგორც კი ზემოთ მოხსენებული დაბრკოლება აღარ იქნება, თვითონ წავალ და საქმეს ჩავუდგები სათავეში აპრილის თვეში. გარდა უკვე დასახელებული სადგომებისა და ეკლესიებისა, თქვენი საზოგადოების გულუხვი წყალობის იმედით სულჩადგმულმა, განვიზრახე კიდევ ორი ეკლესიის აშენება. ერთი – მამმერში, აფხაზეთში, რათა მის მთებსა და სოფლებში გაბნეულ კათოლიკეებს ჰქონდეთ მედნიერება ყოველ ორ ან სამ წელიწადში მიიღონ ზიარება ერთხელ მაინც, რადგან მხედველობაში მაქვს ამ მხარის სიშორე, მისი გაჭირვება, გზების გაუვალობა, ჩვენთვის იქ ხშირად მოგზაურობის შეუძლებლობა ხარჯების გამო და ბოლოს თვით ჩვენი – მისიონერთა ნაკლებობა. მეორე ეკლესია კი მსურს ავაგო ქალაქ ნუხას, რომელიც კავკასიონის მთის ძირას მდებარეობს, სადაც ლეკები ცხოვრობენ და სადაც, რაც მთავარია, პიემონცელების დასახლებაა, ხალხისა, რომელიც უკვე 5 წელია იქ აბრეშუმს ამზადებს. ისინი მოკლებულნი არიან რელიგიურ დახმარებას და ყოველგვარი საფრთხე ელით. როგორც კი ეს ზამთარი გავა, იმ ადგილას ეკლესიის აშენებას დაიწყებენ ერთი პოლონელი კათოლიკეს, მაცონ ორლოვსკის – აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორის ხარჯებით.

გულმხურვალება, რითაც წამოვიწყე ამ ეკლესიებისა და თავშესაფრების დაფუძნება, განპირობებული იყო არა მხოლოდ ჩვენი საბრალო კათოლიკეების საჯალალო და აშკარად საშიში მდგომარეობით, არამედ უფრო მეცად, მცკიცე იმედით, რომ მისიონის მოღვაწეობა ნაყოფს გამოიღებდა ჩვენი წმინდა ეკლესიისაკენ მუნებრივად მიდრეკილ მარმაროსებს, კერპთაყვანისმცემლებსა და თურქებს შორის, ეკლესიისაკენ, რომლის მიმართ არა მხოლოდ პაცივისცემითა და თაყვანისცემით არიან განმსჭვალულნი, არამედ კიდევაც ამაყობენ, რომ მას

მიეკუთვნებიან. როგორც თვითონ ამტკიცებენ, თავდაპირველად კათოლიკენი ყოფილან, მაგრამ დროთა განმავლობაში სახარების მსახურთა უყოლობის, მარმაროსებისა და თურქების გამუდმებული შემოსევების გამო მათი წინაპრები იძულებულნი გამხდარან კათოლიკური რელიგია მიეტოვებინათ, თანდათან გაგულგრილებულან, მას საბოლოოდ ჩამოშორებიან, მაგრამ რაღაც უმნიშვნელო ნიშანი მაინც შეუნარჩუნებიათ ქრისტიანული და კათოლიკური რელიგიისა. 1836 წელს, თვით მთავრობის ბრძანებით, რამდენიმე მხარე მოვიარე, რათა პოლონელი ჯარისკაცები მეზიარებინა და თუმცა ძალიან დაძაბული, საშიში დრო იყო, არავითარი შეურაცხყოფა არ მიგრძვნია, პირიქით, დიდი პატივითა და გულითადი სტუმართმოყვარეობით მიმიღეს. როგორ შემებრალნენ ისინი თავიანთი მდგომარეობის გამო, რადგან სწორედ მათზე შეიძლება ითქვას ეს სიტყვები: „და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს და მუშაკნი მცირედ. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თჳსსა“.

ზემოხსენებულ ახლად დაარსებულ ეკლესიებს შორის განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი თბილისის ეკლესია, რომელსაც სივიწროვისა და უცხო ერის მოზღვავების შედეგად მოსახლეობის საგრძნობლად გაზრდის გამო არ შეუძლია დაიტიოს კათოლიკეთა ნახევარიც კი. ამრიგად, ხალხის დიდი ნაწილი ვერ ისმენს სამრევლო წირვას და ღვთის სიტყვას. ამიტომ ვფიქრობთ, უფრო დიდი ერთი ეკლესია ავაშენოთ თქვენი ღვთისმოსავი საზოგადოების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის – ქართველებისა და უცხო ერის შეწევნის იმედით. ვიცი, მავანი იტყვის, სარწმუნოებისთვის ამდენი რამ ძალიან ბევრიაო, მართალი და უდავოა: მაგრამ საჭიროა შემთხვევის გამოყენება, თუკი ეს შემთხვევა ხელსაყრელია, არასოდეს უნდა დაველოდოთ ადამიანების ნება-სურვილის შეცვლას და იმას,რომ ამან შეიძლება ხელი შეუშალოს ჩვენი გეგმების განხორციელებას. ამიტომ როდესაც დრო ხელშემწყობია, ეკლესიების აშენებას ვიწყებთ, ხოლო როდესაც მშენებლობა დაწყებულია, ეს კათოლიკეთა გულმხურვალებას იწვევს, რადგან მათ საშური სულიერი მოთხოვნილება აქვთ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამეთუ დღეს მისიონს ეკლესიების ასაშენებლად აძლევენ ადგილებს, სადაც მომავალში შეიძლება ნაბიჯის დადგმაც კი აუკრძალონ. ამ გარემოებათა და საგულისხმიერო გადაუდებელი საჭიროების გათვალისწინების შემდეგ ყველა კათოლიკე, ყველა ქრისტიანი და განსაკუთრებით ამ ღვთისმოსავი საქველმოქმედო საქმის ყოველი წევრი როგორ არ გამოიჩენს გულმხურვალებას, ხელი გამოიღოს თავისი კათოლიკური რელიგიის გავრცელებისა და მათი ძმების სულიერი შეწევნისთვის, როდესაც ეს ძმები როგორც უძღები შვილი გოდებით და ცრემლთა ფრქვევით შეჰღაღადებენ: „განიზრახა თავსა თჳსსა და თქუა: რაოდენთა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყდები“.

ჰოი, რაოდენ სამწუხაროა საბრალო პატრისთვის, რომელსაც ესმის, თავისი საცოდავი თვალცრემლიანნი შვილნი როგორ სთხოვენ პურს, თვითონ კი არ შეუძლია უმწეობისა თუ ულონობის გამო მისცეს მათ

საკვეში და ხედავს, როგორ იღუპებიან ისინი შიმშილისაგან მის თვალწინ, როცა ღმერთმა თავისი გულმოწყალებით შექმნა ასე მწინდა, ღვთისმოსავი და ღვთაებრივი საქველმოქმედო საზოგადოება კათოლიკური სამყაროს საკეთილდღეოდ. მე თქვენ მოგმართავთ, სიკეთის მთესველნო წევრებო, და გიჩვენებთ თქვენს საკუთარ ძმებს, რადგან ესენიც იმავე დედამ — კათოლიკურმა სარწმუნოებამ შვა, როგორც თქვენ, და უმაღლესმა მწყემსმა მათზე ზრუნვა მე მომანდო. ამიტომ წარმოგიდგენთ მათ და გევედრებით, უთანაგრძნოთ მარადის. იყავით ბედნიერნი თქვენ, რომლებიც ღვთისმშობლის წიაღში იმყოფებით მტრების ცდუნებათაგან დაცულნი, მოძღვრისგან მართულნი, ღმრთის სიტყვის უდრეკი საყრდენით გამყარებულნი და საიდუმლო ზიარებისა და კურთხევის უხვი საზრდელით გამოკვებილნი; თქვენი მედკრული ძმები ამ დროს უმოძღვროდ და უმწყემსოდ დარჩენილი თავის თავზე მიშვებული ფარა-მრევლია იმ გაშლილი ზვრის მსგავსად, რომელიც მტაცებელი მგლებისა და ცბიერ მელათა მიერ გასანადგურებლად არის განწირული. დაე, აენთოს თქვენი გულები დღითი დღე მზარდი მხურვალებით, წმინდა მოწადინებითა და ძმური კეთილმოწყალებით...“[1].

რუსეთის მთავრობა საქართველოში დაფუძნების დროიდან გამუდმებით ეძებდა გზებს მისიონერების თავიდან მოსაშორებლად. იგი ვერ იტანდა თავის იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას, მათ პირდაპირ კავშირს რომთან და განსაკუთრებით პროპაგანდის ზემოქმედებას. სომეხთა კათოლიკურმა სამღვდელოებამ ნაცადი ფანდებით რუსებს საკმარისი საბაბი მისცა და პეტერბურგმაც გადაწყვიტა, თავისი გეგმები სისრულეში მოეყვანა, მისიონერებს ისეთი მიუღებელი პირობები დაუწესა, ვერ შეძლებოდათ საქართველოში დარჩენა. საბოლოოდ მისიონერებს იმპერატორის მიერ ხელმოწერილი ქვეყნიდან უცილობელი გაძევების დადგენილება მოუვიდათ. უკიდურეს განსაცდელში ჩავარდნილებმა ყველაფერი იღონეს, რომ საქართველოში დარჩენილიყვნენ. თვით გენერალ-გუბერნატორმა ყოველნაირად სცადა მისიონერებს დახმარებოდა, მაგრამ ამაოდ. 1845 წლის დამდეგს ისინი საქართველოდან გააძევეს. პატრების წინამძღვარმა, დამიანე ვიარეჯიელმა მაშინვე გაუგზავნა ლიონის საკონსულოს წერილი, რომელშიც მისიონერთა გაძევების ამბავს აღწერს.

„ტრაპიზონი, 13 თებერვალი 1845

ბატონო პრეზიდენტო,

გულუხვობა, რაც ლიონის სარწმუნოების პროპაგანდის საქველმოქმედო საბჭომ გამოიჩინა საქართველოს კათოლიკე მისიონერების მიმართ, რომლებზეც ზრუნვა ორ წელიწადზე მეტია, მე მომანდო პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციამ, მავალდებულებს, გამოგიგზავნოთ

1 ამ მოხსენების იტალიური ტექსტი დაცულია პროპაგანდა ფიდეს კაპუცინების არქივებში: Rome (maison généralice), armoire Giorgia.

უცყუარი ცნობა ჩვენი უსამართლო გაძევებისა ქვეყნიდან, სადაც 1661 წლიდან მუდამ გვიყურებდნენ, როგორც მშვიდ და მორჩილ ქვეშევრდომთ.

ჩვენი გაძევების გეგმა ახალი არ არის. ეს საკითხი საქართველოში შემოსვლის პირველივე წლებიდან აწუხებდა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ ახლანდელი მონარქის წინაპრებმა განზრახვა ვერ აღისრულეს. სურდათ, ეპოვათ საბაბი, რომელიც მათ მოქმედებას სამართლიანობის გარეგნულ იერით შემოსავდა, და ამიტომაც არაფერი დაზოგეს მის გამოსაძებნად.

ვერ ითქმის, რამდენჯერ ვიყავით შეურაცხყოფილნი და გაწვალებულნი საიმპერიო კანონების, ბრძანებებისა და დეკრეტების მუდმივი მოზღვავების შედეგად. მერძნული სექტის რომელიმე წევრის გაკათოლიკებისთვის ციმბირში გადასახლება ჩვენთვის სულ უმრალო სასჯელი იყო. ამავე სასჯელის მუქარით გვიკრძალავდნენ აგრეთვე მათთვის გვესწავლებინა. მწვალებელს, წარმართს, ურწმუნოს ვინც გააკათოლიკებდა, მძიმე სასჯელი ელოდა. უფრო მეტიც, გვიკრძალავდნენ მიმოწერას წმინდა საყდართან, განსაკუთრებით პროპაგანდასთან. ასევე აკრძალული გვქონდა მისიონერების წოდების მიკუთვნება და ევროპიდან შემწეობის მიღება. განსაკუთრებით არ მოსწონდათ, რომ ყოველივე ამის გამო დამოკიდებული ვიყავით იმ სასულიერო ხელისუფლებაზე, რომლის რეზიდენცია იმპერიაში არ იმყოფებოდა, რაც მთავარია, დაწერა ან თქმა, რომ არ ვემორჩილებოდით მოგილიოვის კონსისტორიას. ჩვენ მიერ რომელიმე არარუსი ეპისკოპოსისთვის მღვდლების ან მისიონის მოთხოვნა ისეთ დანაშაულად მიაჩნდათ, ამისთვის სულ მცირედი სასჯელი საქართველოდან გაძევება იყო. ასევე ციმბირში გადასასლების სასჯელის მუქარით აკრძალული გვქონდა, კათოლიკეებსა და მწვალებელ მერძნებს შორის შერეული ქორწინებით გაჩენილი ბავშვები მოგვენათლა, უმრალო რჩევითაც კი წინაალმდეგობა გაგვეწია მსგავსი ქორწინებისთვის და როდესაც ასეთ ქორწილს, მერძნულ-რუსულ ეკლესიაში იხდიდნენ, გვაიძულებდნენ, იგი საზეიმო კურთხევით დაგვემტკიცებინა. მეტად აღარ გვრთავდნენ ნებას ეკლესიები აგვეშენებინა იმ ადგილებში, სადაც კათოლიკური მოსახლეობა 400-მდე სულს არ აღწევდა, ხოლო იქ, სადაც მოსახლეობა ამდენი აღმოჩნდებოდა, ეკლესიების აგებას საიმპერიო ნებართვა სჭირდებოდა. ნებართვას კიდევ ძალიან ძნელად ან საერთოდ ვერ მიიღებდით. ახლა იმპერატორმა საქართველოს კათოლიკეების საყურადღებოდ გარკვევით ბრძანა, არამცთუ ახალი ეკლესიების ასაშენებლად, არამედ თუნდაც იმ ეკლესიების შესაკეთებლად, რომლებიც ინგრეოდა, ქვა ქვაზე არ დაედოთ.

სათქმელი ძალიან გაგვიგრძელდა, თუ სათითაოდ დავიმოწმებ უამრავ დეკრეტს, რომელთა მოგილიოვის კონსისტორია მხოლოდ იმიტომ არ ანებებდა თავს, რომ იძულებული გავეხადეთ, ჩვენი წმინდა მოვალეობისათვის გვეღალატა. მიუხედავად ამდენი შევიწროება-უსიამოვნებისა, გამუდმებით საბაბის ძიებისა, რომ პატრები გაეძევებინათ ან ისე გაეწყვიტათ მათთვის ქანცი, აეძულებინათ, მისიონი თავისი ნებით მიეტოვებინათ, ხელისუფალთა მოლოდინი არ გამართლდა. ამიტომ ისევ და ისევ კიდევ უფრო სამარცხვინო სხვა ფანდს მიმართეს. გადაწყვიტეს, წაექეზებინათ და ხელი შეეწყოთ ახალციხის რამდენიმე სომეხი კათოლიკე

მღვდლისთვის, რადგან ისინი რუსეთის ხელისუფალთა აზრით თავიანთი მიზნების განსახორციელებლად გამოდგებოდნენ.

ახალციხის ამ მღვდლებს შორის იყო ვინმე დავით-პავლე შაჰკულიანი, აქ და თვით რომში ძალიან ცნობილი თავისი შეცოდებებით. 1826 წელს, იგი ამ მხარის წინამძღვრობას ჩამოაშორეს, ეკლესიიდან გააძევეს და საეკლესიო თანამდებობიდან გადაყენებულად გამოაცხადეს. ახალციხიდან შაჰკულიანის გაძევება დაამტკიცა სარდინიის არქიეპისკოპოსმა და კონსტანტინოპოლის სამოციქულო-საპატრიარქო ვიკარმა ვინჩეთო კორესიმ. ასეთ საქმეზე ვინჩეთო კორესი ყოველთვის რჩევისთვის მიმართავდა წმინდა საყდარს. ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის სამოციქულო-საპატრიარქო ვიკარმა ახალციხე საქართველოს სამოციქულო პრეფექტების უფლება-გამგებლობას მიაკუთვნა და ამ პრეფექტების შუამდგომლობით შაჰკულიანი თავის სამღვლო თანამდებობაზე აღადგინეს, რადგან 10 წლის განმავლობაში ის თბილისის მონასტერში კაპუცინ პატრებთან იმყოფებოდა. აქედან შაჰკულიანი ახალციხის წინამძღვრად გაგზავნეს აწ გარდაცვლილი პატრის — იოსებ დე ლა კოლას მითითებით. იმის ნაცვლად, რომ მადლიერი მაინც ყოფილიყო ამდენი სიკეთისთვის, შაჰკულიანმა კვლავ გამოიჩინა თავი უფრო მეტი ურჩობით და მის მიმართ გამოთქმულ საყვედურებს კიდევ უფრო მეტ ექსცესებში მოაყოლა. იმპერატორის მიერ საქართველოში რაღაც საქმისთვის გამოგზავნილი ერთი სენატორის დაპირებებით წაქეზებულმა შაჰკულიანმა მალე საერთოდ აღარ ცნო თავისი უფროსები და პატრების გასანადგურებლადაც კი დაიწყო მოქმედება.

1842 წლის დამლევს პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციამ მე ამირჩია საქართველოს პრეფექტად და 1843 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქ-ვიკარმა მთხოვა, ახალციხის მხარის გამგებლობა აღმესრულებინა, როგორც ამას ჩემი წინამორბედი ასრულებდა. ეს მაშინვე ვაცნობე ახალციხის მხარის სამღვდელოებას, განსაკუთრებით შაჰკულიანს, რომელსაც მოვუწოდე დაბრუნებოდა მორჩილების გზას, შევპირდი წარსულის დავიწყებას და მომავალში ძმური სიყვარულის დამამტკიცებელ ყველა ნიშნას. მაგრამ იმის მაგივრად, რომ შეესმინა მშვიდობიანი მოწოდება, ცილისწამებით და სიცრუით სავსე მოხსენებანი შეადგინა ჩვენი პატრებისა და ჩემს საწინააღმდეგოდ, მოხსენებანი ახალციხის პოლიციას, ასევე საქართველოს და იმერეთის მმართველობას თბილისში და ბოლოს თვით მთავარსარდალს, გენერალ ნეიჰარდს გადასცა. ტყუილები რომ დამაჯერებელი გაეხადა, ამაზეც იზრუნა და ახალციხის მხარის 15 სომეხ კათოლიკე მღვდელს ხელი მოაწერინა პეტიციებზე. მალე გამომიძახა ზემოდასახელებულმა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებამ, რათა ჯერ თავი შემემართლებინა, ხოლო შემდეგ ოფიციალური საბუთები წარმედგინა, რომლებიც დაამოწმებდნენ ჩემს დანიშვნას. მაშინვე წარვადგინე საბუთები.

მთავარსარდალმა გენერალმა ნეიჰარდმა მთელი სიმართლის გაგება ისურვა და ახალციხეში ერთი ლუთერანი პოლკოვნიკი კოცებუ გაგზავნა, რომელიც ძალიან გულმოდგინე გამოძიებას უნდა შედგომოდა. პოლკოვნიკმა ახალციხეში ჩამოსვლისთანავე სათითაოდ დაკითხა მხარის ყველა

მღვდელი. წარუდგინა მათ მიერ ხელმოწერილი პეტიციები და შეეკითხა, აღასტურებდნენ თუ არა თავიანთ ხელმოწერებს და შეეძლოთ თუ არა ყველა აქ მოცემული საბუთის ნამდვილობის დამტკიცება. 15 მღვდლიდან 4-ის გარდა ყველამ თქვა, პეტიციებზე ხელი არ მოგვიწერიაო. მაშასადამე, გაირკვა, რომ ტყუილების ავტორი შაჰპულიანი იყო, სამი სხვა დანარჩენიც პატრების მტრები აღმოჩნდნენ, რომელთაგან ორი მღვდელი კათოლიკური ეკლესიის ცენზურას ჰყავდა დასჯილი.

პოლკოვნიკმა თავისი ძიების მასალები თბილისში დაბრუნებისთანავე წარუდგინა გენერალ ნეიჰარდს, გენერალმა გულდასმით წაიკითხა ისინი და 1844 წლის 21 თებერვლით დათარიღებული საუწყებო წერილი გამოგზავნა, რომელშიც ჩვენს უდანაშაულობას ცნობდა და გმობდა ჩვენი ბრალმდებლების, განსაკუთრებით შაჰპულიანის საქციელს. ამავე წერილში მაცნობებდა, რომ შაჰპულიანი თბილისში ჰყავდა გამოძახებული, რათა სათანადოდ დაესაჯა. შაჰპულიანმა კი უარი თქვა მორჩილებაზე. საბაბად ხანდაზმულობა და მგზავრობისთვის არახელსაყრელი დრო მოიმიზეზა. მაშინ გენერალმა, რომელსაც არ სურდა, ის დაუსჯელი დაეტოვებინა, მუდმივად სახლში ყოფნა მიუსაჯა და საერთოდ აეკრძალა ქადაგება.

გვეგონა, ამიერიდან მშვიდად ვიქნებოდით, მაგრამ გენერალმა ნეიჰარდმა ამ გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარი კეთილსინდისიერებით იმოქმედა და ეს არ გახლდათ გადაწყვეტილება მთავრობისა, რომლის აზრი მისი პოზიციისგან ძალიან განსხვავდებოდა. მართლაც, რამდენიმე კვირის შემდეგ გენერალმა იმპერატორის 1844 წლის 19 მარტით დათარიღებული დეკრეტი მიიღო, სადაც ნათქვამი იყო, რომ ახალციხის სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების მეტად ღვთისნიერ და მორჩილ მოხსენებას ითვალისწინებდა იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ სამღვდელოებასა და პატრებს ჰქონდათ ერთმანეთთან და მისი უდიდებულესობა თავისი უმაღლესი ძალაუფლების საფუძველზე ბრძანებდა, შაჰპულიანი გამხდარიყო საქართველოში და მისთვის შემოერთებულ პროვინციებში მცხოვრები ყველა კათოლიკე სომეხის სრულუფლებიანი წინამძღვარი. ხოლო პატრებს შეეძლოთ დარჩენილიყვნენ იქ, სადაც მოღვაწეობდნენ, მაგრამ შემდეგი პირობით: 1. მიიღებდნენ ფიცს, რომ თავს სამუდამოდ რაცხდნენ რუსეთის ტახტის ქვეშევრდომებად. 2. აღარ ექნებოდათ წერილობითი კავშირი უცხოეთის სასულიერო ხელისუფლებასთან. 3. არ ექნებოდათ არავითარი კავშირი არც სომეხ სამღვდელოებასთან და არც სომეხ კათოლიკე მოსახლეობასთან. 4. ყველა დაემორჩილებოდა მოგილიოვის კონსისტორიას.

თუ პატრები ამ პირობებს არ დათანხმდებოდნენ, დაუყოვნებლივ გააძევებდნენ ქვეყნიდან. მთავარსარდალმა, ვიდრე ამ დეკრეტს გაგვაცნობდა, წერილი მიწერა მინისტრს, დაწვრილებით აუხსნა რაც მოხდა, და მხურვალედ გამოექომაგა, მაგრამ მალე პეტერბურგიდან უპასუხეს, ხელი აეღო ახალ გამოძიებაზე და იმპერატორის დეკრეტი აღესრულებინა.

1844 წლის 2 ივნისს ეს სამედისწერო დეკრეტი უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფლების გენერალ გურკოს სახელით მაცნობეს, ამავე დროს მიბრძანეს, დამესახლებინა პატრები, რომლებიც დათანხ-

მდნენ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს და ამრიგად საქართველოში დარჩენას არჩევდნენ. ამასთან მივიღე განკარგულება, მთავარსარდლის კანცელარიისთვის გადამეცა ჩვენი არქივის ყველა საბუთი, რომლებიც სომეხ კათოლიკეთა სულიერ მმართველობას შეეხებოდა. 13 ივნისს ამაზე წერილობით ვუპასუხე: რადგან მორჩილების საზეიმო ფიცით ვიყავი დაკავშირებული ჩვენს წმინდა საყდართან, არ შემეძლო გადაჭრით გვემოქმედნა წმინდა მამის უნებართვოდ. ამიტომ რუსეთის მთავრობას ვთხოვდით, თვითონ მიეღო გადაწყვეტილება ან ნება მოეცა ეს ამბავი რომში მიგვეწერა. ჩემი წერილი მინისტრს გაუგზავნეს: პასუხის ნაცვლად, გენერალმა გურკომ ამავე წლის 27 აგვისტოს შემატყობინა, რომ რუსეთის სამეფო კარს სრულებით არ მიაჩნდა საჭიროდ, ნებართვა ეთხოვა პაპისთვის, ხოლო ჩვენ დაუყოვნებლივ დაგვედო ფიცი, თორემ ქვეყნიდან გაგვაძევებდნენ.

მალე მთავრობამ პოლიციის მეშვეობით ყველა ქალაქსა და სოფელში, სადაც კათოლიკეები იყვნენ, საჯაროდ განაცხადა, რომ მაჰყულიანს მიეკუთვნა ახალი წოდება წინამძღვრისა. ამ ამბავმა მორწმუნენი ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მათ რიგებში მხოლოდ გმინვა-კვნესას თუ გაიგონებდით. თბილისის, გორისა და ქუთაისის კათოლიკეებმა პროტესტი განაცხადეს, რომ ისინი მუდამ ლათინურ წესს ეკუთვნოდნენ და არ შეეძლოთ თავიანთ წინამძღვრად ან მღვდლად არც მაჰყულიანი და არც რომელიმე მისი წესის მღვდელი მიეღოთ. ოპოზიციამ ადგილობრივი ხელისუფლება აიძულა, ხელახლა მიეწერა წერილი მინისტრისთვის და ჩვენი გაძევების საქმეც გადაიდო. თავიანთ მხრივ, ლორეს და ალექსანდროპოლის მხარის სომხური წესის კათოლიკეებმა და მღვდლებმა, ასევე ძალიან ბევრმა ახალციხის მღვდლებმა, წერილობით მხურვალე ვედრება წარუდგინეს მთავრობას, რომლითაც პატრების გამგებლობაში დარჩენას თხოულობდნენ.მათი თხოვნა მთავრობამ არ შეისმინა. პირიქით, გენერალმა გურკომ, სამოქალაქო ხელისუფალმა და პოლიციის უფროსმა ხელახალი ბრძანებით და მუქარით მოსთხოვეს პატრებს სომეხ კათოლიკეთა შესახებ არსებული ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული საბუთები. ჩემმა ურყევმა უარმა მათ მოთმინება დააკარგვინა, ამავე წლის 1 სექტემბერს პოლიციის უფროსი თვითონ გამომეცხადა და ჩვენი არქივებიდან ძალით წაიღო ზემოთ დასახელებული საბუთები.

ამასობაში უმსგავსო მაჰყულიანმა, ვისაც მინისტრის მფარველობის იმედი ჰქონდა, ახალციხეში ჩვენი უძველესი ლათინური ეკლესია დაიკავა და თუმცა არავითარი უფლება არ ჰქონდა, პოლიციის საშუალებით იქიდან გააძევა მღვდელი, რომელიც მე წინამძღვრად დავნიშნე.

ეს ამბავი რომ გავიგე, მოვალეობისამებრ, ახალციხეში გავგზავნე პატრი ქერუბინე სერავეცლი, რომელმაც ჩემი ბრძანება შეასრულა. ეკლესია ჩემი პრეფექტის და პოლიციის ბეჭდით დალუქა და გასაღები თბილისში წამოიღო.

ამასობაში გადმომცეს თბილისის პოლიციის უფროსის 1844 წლის 2 სექტემბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც ზემოთქმული ეკლესიის ყველა ქონებისა და ალკაზმულობის ნუსხას მთხოვდნენ. წერილი უპასუხოდ დავტოვე, მაგრამ მივხვდი, რომ ჩვენ უკიდურეს ზღვრამდე

ვიყავით მისულნი და მალე იძულებით დაგვატოვებინებდნენ იესო ქრისტეს სამწყსოს ამ ძვირფას ხვედრს.

ეს სავსებით მჯეროდა და ჩემს მოვალეობად მივიჩნიე მიცვალებულთა წირვა გამემართა ყველა თანამოძმის სულების სიმშვიდისთვის, რომლებსაც უკანასკნელი ოხი საქართველოში აღმოხდათ. მეორე დღეს ხელახლა გავმართე წირვა ამ ქვეყანაში გარდაცვლილი ყველა კათოლიკეს სულთათვის წმინდა სასუფევლის მოსაპოვებლად. აქ უნდა ვაღიარო, ჩემო ბატონო, რომ ვერ გადმოვცემ ჩვენი სამრევლო კათოლიკეების მწუხარებასა და სულმძიმობას. ისინი, დამწუხრებულნი, და თვალცრემლიანნი, დილიდან საღამომდე ჩვენი ეკლესიისკენ მოეშურებოდნენ, ისე მრავლნი იყვნენ, ყველა ვერ ახერხებდა ეკლესიაში შემოსვლას. მორწმუნეთა უწყვეტი ლოცვის დანახვა კაცს შეძრავდა. ერთნი, ტუჩებით მიწას მიწებებულნი, პირქვე იყვნენ გართხმულნი, სხვებს აკანკალებული ხელები წმინდა სანაწილესკენ აღემართათ, ხოლო დანარჩენები ღვთისმშობლის ხატის წინ ცრემლად იღვრებოდნენ და ლოცვას ისეთ ქვითინს აყოლებდნენ, ჰგავდნენ ადამიანებს, რომელთაც სასიკვდილო განაჩენი გამოუცხადეს. გულგამგმირავი სანახაობა იყო. უკლებლივ ყველამ ისურვა მონანიების საიდუმლო ზიარების მიღება, თითქოს უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ. სხვა ქალაქებშიც, სადაც კათოლიკები იყვნენ, იგივე სანახაობანი გაიმართა, როგორც კი გაიგეს ჩვენი მომავალი, სამუდამო გაძევების ამბავი. კათოლიკეთა ეს სულმძიმე მდგომარეობა და თავდაუზოგავი გულმხურვალება სულ უფრო იზრდებოდა ჩვენი გაძევების უკანასკნელ დღემდე.

ამასობაში მთავარსარდალი ნეიჰარდი დაღესტნის ომიდან (სადაც დაახლოებით 6 თვე იმყოფებოდა მრავალრიცხოვანი არმიითურთ) თბილისში დაბრუნდა. როცა ყველაფერი გაიგო, მაშინვე უფრო გულმხურვალე და დაჟინებული თხოვნით მიმართა მინისტრს, ჩვენთვის თავი დაენებებინათ. პასუხად სასტიკად უსაყვედურეს, ესენი ჯერ კიდევ რად არ გაგიძევებიათო და ფიცხელი განკარგულება გამოუგზავნეს ჩვენი უცილობლად და დაუყოვნებლივ განდევნის შესახებ.

სწორედ ამ დროს გენერალმა გურკომ ბრძანება გამომიგზავნა, ყველა ჩემ თანამოძმესთან ერთად გავცლოდი აქაურობას, მაგრამ როგორ დავემორჩილებოდი მის ბრძანებას, ხომ არ შემეძლო მიმეტოვებინა სამწყსო,რომელიც იესო ქრისტეს ვიკარმა მომანდო, თანაც იმ ზამთარს, ისეთ ამინდში. 14 ნოემბერს გენერალს წერილობით ვთხოვე, ჩვენთვის ზამთრის გასვლამდე ეცლია, რადგან შეუძლებელი იყო გზების გაუვალობის გამო ასეთი დიდი მოგზაურობის წამოწყება. თხოვნა მიიღეს და გაუგზავნეს მინისტრს. მინისტრმა არაფერი მიიღო მხედველობაში და პასუხად საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩვენი დაუყოვნებლივ გაყვანა ბრძანა. მინისტრის ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება შუა დეკემბერს მოგვივიდა, მაგრამ საქართველოდან ჩვენი წასვლა მაშინვე არ მოხერხდა, რადგან დაუსრულებლად თოვდა და ასეთ ამინდში კაზაკებიც კი ვერ შეძლებდნენ თან გვხლებოდნენ.

... ბოლოს, 1845 წლის პირველ დღეს, ჩვენი მონასტრის კართან ორი გერმანელი ორთვალა მოაყენეს, რომელთაც ორი ჯალამბარის

ფორმა ჰქონდათ. ორთვალებს გარს ერტყა შუბებით, თოფებითა და დამბაჩებით შეიარაღებული რამდენიმე კაზაკი. შემდეგ მოვიდა პოლიციის ორი ოფიცერი, რომელთაც ჩაფრები მოჰყვებოდნენ. შემოვიდნენ მონასტერში და ძალით გამოგვათრიეს გარეთ. დღის 2 საათი იყო, მე არ ვისურვე ისე დამეტოვებინა საყდარი, რომ კარი არ დამეკეტა, თუმცა გარს ხელისუფალთა დამქაშები გვეხვია და უამრავი ხალხიც შემოგვყურებდა... როგორც კი საკურთხეველში ოფიცრებთან ერთად პოლიციელები გამოჩნდნენ, რათა იქიდან გამოვეყვანეთ, ხალხს გულიდან ტირილსა და კვნესაში არეული ისეთი გოდება აღმოხდა, კლდესაც კი გაალღობდა. მაშინ მივხვდი, რომ დესპოტიზმსა და ძალას ვერავითარი საშუალება ვერ აღუდგებოდა წინ. ავდექი, მოვისხი ოლარი და დავლოცე უნუგეშო მრევლი. სამჯერ შევძახე გმინვა-ტირილით: ჩემო შვილებო! ჩემო ძვირფასო შვილებო! მტკიცედ გწამდეთ კათოლიკური რწმენა და ყოვლად შემძლე ღმერთი იქნება ჩვენი მფარველი. შემდეგ ჩავბარდით პოლიციის წარმომადგენლებს. მაგრამ, ოჰ ღმერთო! რა ტანჯვა-წამება გამოვიარეთ, სანამ ეკლესიის ზღურბლს მივაღწევდით!

კათოლიკეები გუნდ-გუნდად ეცემოდნენ ჩვენს წინ, რათა უკანასკნელად გამოგვმშვიდობებოდნენ. უნდოდათ, დაეკოცნათ ჩვენი სამოსელი და ხელები, მთლად ცრემლად განბანილნი ღაღადებდნენ: ჰოი, მამებო, როგორ ობლად გვტოვებთ! ვინ შეგვეწევა სიკვდილის ჟამს? ჯერ დაგვმარხეთ და შემდეგ მიგვატოვეთ... მაგრამ რუსები, რომლებიც გულთან არ იკარებდნენ ამ კვნესა—გოდებასა და ცრემლს, ეკლესიიდან გვიბიძგებდნენ და ასე გვაიძულეს, ავსულიყავით ჩვენთვის გამზადებულ ორთვალებზე. გზაში კაზაკები, ერთი პოლიციის ოფიცერი და სხვა მებადრაგეები გაგვაყოლეს, რომლებიც თურქეთის საზღვრამდე აღარ მოგვშორებიან.

ამგვარად, დაგვატოვებინეს თბილისი. კათოლიკეთა თავკაცებმა, სულ ცოტა ასამდე კაცმა, კარგა ხანს ტირილით გვსდია დიდ მანძილზე. ბოლოს მუხლებზე დაეცნენ და გვთხოვეს ლოცვა-კურთხევა, ჩვენც მთელი გულით დავლოცეთ ისინი"[1].

ასევე ბარბაროსულად გააძევეს საქართველოს სხვა ქალაქებში მყოფი კაპუცინი პატრები. გაძევებული პატრები ტრაპიზონში გაჩერდნენ იმ იმედით, რომ მალე დაბრუნდებოდნენ. მრავალი წერილობითი თხოვნა გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო გამოდგა. ერთხელ გაძევებულთ მეტად აღარ გაუღეს კავკასიის კარი.

ამგვარად, საქართველოს კათოლიკეები მღვდლების გარეშე დარჩნენ. აქ იყო მხოლოდ ერთი, ლათინური წესის ქართველი მღვდელი, პროპაგანდის ყოფილი მოწაფე ანტონ გლახოვი. პირველ წლებში ანტონი იძულებული გახდა, ერთი ქალაქიდან მეორეში ევლო, რათა

1 იტალიური ტექსტი იხ. „Annales de la Propagation de la Foi de Luon"-ში. ტ. XVII, №101. გვ. 316 და ა.შ. იხ. Bodenstedt, "Kaukasus und seine Voelker"., — ტ. I, გვ. 20 და ა.შ.

მიტოვებული მორწმუნეებისთვის სულიერი შემწეობა აღმოჩინა.

ამ გამარჯვების შემდეგ მზაკვარმა შაჰყულიანმა თავისი მღვდლები დაგზავნა საქართველოში, რათა კაპუცინების მიერ დატოვებული ლათინური ეკლესიები დაეკავებინათ, მაგრამ მორწმუნეებმა ეკლესიების კარი დაუკეტეს და უპასუხეს, რადგან ლათინურ წესს ვეკუთვნით, უმღვდელოდ დარჩენას ვამჯობინებთ სომხის წესის მღვდლების ყოლასო. მაშინ მთავრობა იძულებული გახდა, პოლონელი მღვდლები მოეყვანა. ისინი საკმაოდ დიდხანს, ისე რომ ქვეყნის ენა არ იცოდნენ, მანამ განაგებდნენ ამ ეკლესიებს, სანამ ლათინური წესის ქართველმა მღვდლებმა არ შეცვალეს.

ამის შემდეგ, რომის წმინდა საყდარსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება იმპერიის კათოლიკეთა შესახებ[1]. საქართველოს ყველა კათოლიკე, როგორც ლათინური, ასევე სომხური წესის, ტირასპოლის ახალი ეპარქიის გამგებლობას დაუქვემდებარეს. პიუს IX-მ 1848 წლის 3 ივლისს გამოაქვეყნა ეს ახალი შეთანხმება სამოციქულო წერილით: „უფლის კრავთა საყოველთაო საცხონებლად, რაც ღვთით გვეუწყა“.[2]

რუსეთის მთავრობა მაინც მუდამ ცდილობდა, საქართველოში ლათინური წესი შეესუსტებინა. ასევე დიდ უკმაყოფილებას ამჟღავნებდა, რომ კათოლიკე სომხები წმინდა საყდრის უფლებას აღიარებდნენ. რუსეთის მთავრობამ ძალ-ღონე არ დაიშურა, სომხები რომისგან გამოეყო. ამ მიზნით, დიდი სარფა და უხვი საზღაური შესთავაზა ყველას, ვინც ისურვებდა, რუსულ ეკლესიას შეერთებოდა. ამავე დროს წყალობდა მას, ვინც აღარ ამჟღავნებდა ადრინდელ დამოკიდებულებას რომის ეკლესიისადმი, ან ვინც ამ ეკლესიას მთლიანად განუდგებოდა, რათა გამოყოფილ სომხურ ეკლესიაში გადასულიყო. რუსეთის მთავრობამ რომის ეკლესიიდან სომხურ ეკლესიაში გადასვლის გასაადვილებლად სახე შეუცვალა თავის კანონმდებლობას, რასაც ამტკიცებს საბუთი, რომელიც რუსეთის მინისტრმა პეროვსკიმ გამოყოფილ სომეხთა კათალიკოს ნერსესს 1852 წლის 30 იანვარს გაუგზავნა:

“ჩემო უფალო,

მის იმპერატორობით უდიდებულესობას უმალ გადავეცი თქვენი უსამღვდელოესობის წერილობითი თხოვნა, რომელიც მისმა უმაღლესობამ კავკასიის მეფისნაცვალმა გადმომცა და რომელიც მიზნად ისახავს, ჩვენმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ კათოლიკე სომხებს გრიგორიანულ ეკლესიაში შესვლის უფლება მიანიჭოს და ამიერიდან აღარ დასჭირდეთ ყოველთვის საამისო ნებართვის აღება შინაგან საქმეთა მინისტრისგან. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა და მეფე იმ აზრისა არიან,

1 Acta Pii IX, ტ. I, Rome, 1854, CF. 110e113.

2 იქვე, გვ. 102 და ა.შ.

ის, ვისაც სურს ერთი უცხო ქრისტიანული სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლა, ვალდებულია წინასწარი თანხმობა მიიღოს შინაგან საქმეთა მინისტრისგან, რომელიც სხვადასხვა გათიშულ ეკლესიებს პროზელიტიზმისა და მსგავსი მოვლენებისგან იცავს. მაგრამ რაღაც გარჩევა-განსხვავება უნდა იყოს კათოლიკე სომხებისთვის; ვინაიდან ისინი მხოლოდ გზააბნეული შვილები არიან ამ უბედური — გრიგორიანული ეკლესიისა, მისმა უდიდებულესობამ ინება, თქვენს უსამღვდელოესობას უფლება მიანიჭოს დათანხმდეს სომეხი კათოლიკეების — ამ გზააბნეული შვილების ნებაყოფლობით განდგომას, რათა ისინი თავიანთი მამების სარწმუნოებასთან მიიყვანოს. თავს მედნიერად ვგრძნობ, რომ მაქვს პატივი, გაუწყოთ მისი უდიდებულესობის კეთილგანწყობილი პასუხი“[1].

სამწუხაროდ, სომეხ კათოლიკეთა შორის, სამღვდელოებასა და მრევლში გამოიძებნენ ისეთები, ვინც ხელი შეუწყო მთავრობის ბოროტ ზრახვებს[2] და ლათინური წესის კათოლიკეებს დაუსრულებელი სიძნელეები შეუქმნეს, რომლებზეც არ გვსურს აქ დაწვრილებით ვილაპარაკოთ. მიუხედავად პიუს IX-ის იმ საზეიმო დეკლარაციისა, რომ კავკასიის ყველა კათოლიკე, აგრეთვე სომხებიც, ახალი ბრძანების მიღებამდე ტირასპოლის ეპისკოპოსს უნდა დამორჩილებოდნენ, ისინი ხშირად მიმართავდნენ მთავრობას ამ ეპისკოპოსის საწინააღმდეგოდ. აი, მაგალითად, ერთი საბუთის თარგმანი, რომელიც სომხური წესის კათოლიკეების ახალციხის სულიერმა გამგებლობამ წარუდგინა 1876 წლის 26 ივლისს თავად სვიატოპოლკ მირსკის, კავკასიის მეფისნაცვლის არყოფნის დროს:

„კათოლიკე სომხების ახლანდელი გამგებლობა დაარსდა 1855 წელს, რათა საეკლესიო საქმეებს გაძღოლოდა. აქამდე ეს საქმეები, რომლებსაც მაღალი წოდების პირთა გადაწყვეტილება სჭირდებოდა, ტირასპოლის ეპარქიის რომაული კათოლიკე ეპისკოპოსების ბრძანებით მათ ჰქონდა მინდობილი ისე, რომ კავკასიის მეფისნაცვალი გათვითცნობიერებული არ იყო.

ამ დღეებში გამგებლობამ თავის არქივებში იპოვა იმპერატორის 1856 წელს გამოცემული ბრძანებულება და იმის ასლი, რაც კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარემ გაუგზავნა მინისტრს 1856 წელს 1291 ნომრით და რაც 1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიამ გამოუგზავნა გამგებლობას იმ ბრძანებებთან ერთად, რომლებიც სომეხი კათოლიკეების საქმეების მართვას ეხება.

ამ ბრძანებულების მიხედვით, გამგებლობა ვალდებული იყო, მხოლოდ

1 Revue des Deux – Mondes, 1854, ტ. VI, გვ. 241.

2 უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრმა სომეხმა კათოლიკემ დაგმო ამ მზაკვრების საქციელი.

მეფისნაცვლისათვის მიემართა ყველა თავის თხოვნასა და საქმეზე, რომლებიც მაღალი წოდების მქონე პირის გადაწყვეტილებას საჭიროებდა, მაგრამ გამგებლობის წინანდელ წევრებს სრულებით არ შეუსრულებიათ იმპერატორის ბრძანებულება. როგორც ნათლად ჩანს, ისინი დააშინეს ტირასპოლის ეპისკოპოსებმა, რომლებიც წერილებით და ბრძანებებით ემუქრებოდნენ, თუ მხოლოდ მათ არ მიმართავდნენ ყველა საქმეზე.

გამგებლობას პატივი აქვს, წარმოგიდგინოთ კავკასიის კანცელარიის მიერ 1291 ნომრით აღნიშნული ხსენებული ასლი, რომელიც იმპერატორის ბრძანებებს შეიცავს და მდაბლად სთხოვს თქვენს უმაღლესობას, ინებოს, სანამ რაიმე ცვლილება მოხდებოდეს, გააგებინოს გამგებლობას, ვის უნდა მიმართოს თავის საქმეებზე, რომლებიც მაღალი სასულიერო წოდების მქონე პირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საჭიროებს იმის გასარკვევად, მივიღოთ თუ არა ყოველ წელს წმინდა მირონი, დავრთოთ თუ არა მესამე თაობის სისხლის ნათესავებს ურთიერთ ქორწინების უფლება, მივანიჭოთ თუ არა მაღალი ხარისხი მღვდლებს, ხოლო საჭიროების დროს ჩამოვაქვეითოთ. აღმოსავლეთ ეკლესიის კათოლიკე სომხების პირდაპირი წესდების მიხედვით ამ მხარის სულიერ გამგებლობას უფლება აქვს მესამე და მეოთხე თაობის სისხლის ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვის ახსნა; უფლება აქვს დანიშნოს მღვდლები მაღალ სასულიერო თანამდებობაზე; გაათავისუფლოს ისინი დაკარგული ხარისხისგან, გადაიყვანოს ერთი ადგილიდან მეორეზე დიაკვნები და მღვდლები: მოინახულოს და აკურთხოს ეკლესიები და საჭიროების დროს მღვდლებს უბრძანოს, მოინანიონ თავიანთი შეცოდებანი. მაგრამ ამიერკავკასიის კათოლიკე სომხების წინამძღვრის, არქიმანდრიტ მაჰყულიანის სიკვდილის შემდეგ ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსებმა ყველა ეს უფლება მიისაკუთრეს. ამიტომ გაუთავებელი უთანხმოებაა კათოლიკე სომეხთა საეკლესიო პირებსა და მათ ეპისკოპოსებს შორის.

1. შეუძლია თუ არა გამგებლობას შეინარჩუნოს ზემოაღნიშნული უფლებები? 2. ტირასპოლის ეპისკოპოსი და მისი კონსისტორია გამგებლობას სხვადასხვა ბრძანებებს ისე უგზავნის, არ ატყობინებს კავკასიის მეფისნაცვალს. შეუძლია ამჟამად ადმინისტრაციას მათი აღსრულება მეფისნაცვლისათვის შეუტყობინებლად?“[1].

ყველა ამ ღონისძიების მიუხედავად, სომხები მაინც ვერ ისრულებდნენ სურვილს, გამხდარიყვნენ ლათინური ეკლესიებისა და მათი ქონების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი. ამიტომ ერთ ძალზე საკვირველ საშუალებას მიმართეს: ყოველნაირად შეეცადნენ, ხალხი დაეჯერებინათ, თითქოს არასოდეს არსებობდნენ ქართველი კათოლიკეები და საქართველოში მცხოვრები ყველა კათოლიკე სომეხი იყო. ამ ახალ გამოგონებას რუსეთის მთავრობა დიდი კეთილგანწყობილებით შეხვდა, რადგან ხელს უწყობდა მის ზრახვებს. ამიტომ იმპერატორმა

1 სომხური კათოლიკური ადმინისტრაციის კანცელარია ახალციხეში, მოხსენება №357.

ალექსანდრე III-მ 1886 წლის 16 იანვარს გამოაქვეყნა ერთი ბრძანებულება, რომელიც, გარდა იმ მრავალი წყალობისა, სომხებს რომ უბოძეს, შეიცავდა შემდეგ მუხლს:



პატრი პეტრე ხარისჭირაშვილი, კონსტანტინოპოლის ქართული კონგრეგაციის დამაარსებელი († 1890).

„ⴋⴈⴑⴈ ⴈⴋⴎⴄⴐⴀⴒⴍⴐⴍⴁⴈⴇⴈ ⴓⴃⴈⴃⴄⴁⴓⴊⴄⴑⴍⴁⴀ ⴁⴐⴙⴀⴌⴄⴁⴑ, ⴉⴀⴅⴉⴀⴑⴈⴀⴘⴈ ⴋⴍⴐⴜⴋⴓⴌⴄ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄⴄⴁⴑ, ⴑⴓⴊⴄⴐⴇⴈⴀ ⴑⴍⴋⴞⴓⴐ ⴜⴄⴑⴑ ⴄⴉⴓⴇⴅⴌⴈⴀⴌ ⴇⴓ ⴊⴀⴇⴈⴌⴓⴐⴑ, ⴀⴖⴀⴐⴀ ⴀⴕⴅⴇ ⴓⴔⴊⴄⴁⴀ ⴕⴀⴐⴇⴓⴊⴈ ⴄⴌⴈⴇ ⴈⴑⴀⴐⴂⴄⴁⴊⴍⴌ ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴈⴑ ⴖⴅⴇⴈⴑⴋⴑⴀⴞⴓⴐⴄⴁⴀⴘⴈ, ⴐⴍⴋ ⴀⴖⴀⴐ ⴈⴗⴍⴑ ⴃⴀⴗⴍⴔⴀ ⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊ ⴃⴀ ⴑⴍⴋⴄⴞ ⴉⴀⴇⴍⴊⴈⴉⴄⴄⴁⴀⴃ“.

ამგვარად, ამიერიდან კათოლიკე ქართველებს მკაცრად აეკრძალათ

თავიანთი ენის გამოყენება ეკლესიებში, თუმცა მათთვის არც ის შეუთავაზებიათ, სხვა რაიმე ენით ესარგებლათ ღვთისმსახურების დროს.

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. იმავე ალექსანდრე III-მ 1853 წლის 19 ივნისს კიდევ ერთი ბრძანებულება გამოსცა სომხების სასარგებლოდ, რომელიც, სხვა ამბებთან ერთად, იუწყებოდა, რომ სომხებისთვის თბილისის ძველი ლათინური ეკლესია უნდა ჩაებარებინათ. მხოლოდ რომის წმინდა საყდრის ენერგიული ჩარევის წყალობით, არ შესრულდა ეს სავალალო გადაწყვეტილება. აი, როგორ გადაუხადეს სომხებმა ქართველებს გულითადი და ნამდვილად ძმური სტუმართმოყვარეობა, რასაც ქართველები მუდამ იჩენდნენ მათ მიმართ. სწორედ სომხების ამ უკანონო ჩარევისა და ყალბი მტკიცებების გასანადგურებლად გამოვაქვეყნეთ თბილისში ორი ნაშრომი: ერთი 1902 წელს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ XIII საუკუნიდან XX საუკუნემდე (844 გვერდი), ხოლო მეორე — 1904 წელს: „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველთა კათოლიკობას“ (264 გვერდი). ამ ნაშრომებმა, რომლებიც უხვად იყვნენ თავიდან ბოლომდე არგუმენტირებულნი, დაადუმეს სომხები, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, უფრო მეტი შეუპოვრობით გამოეყლინათ თავიანთი სიძულვილი და ინტრიგები კათოლიკე ქართველობისა და, საერთოდ, ლათინური წესის წინააღმდეგ.

ერთი მეტად ღვთისმოსავი ახალციხელი ქართველი მღვდელი, პატრი პეტრე ხარისჭირაშვილი ეკლესიების ამგვარი დაყოფის აღსაკვეთად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა და იქ 1861 წელს ქართველთათვის დააარსა კონგრეგაცია „უბიწო ჩასახვის“ მფარველობით, რათა აღეზარდა კათოლიკური და მოციქულებრივი ჭეშმარიტი სულისკვეთებით აღვსილი მღვდლები, რომლებსაც ქართველი ხალხისთვის სულიერი შემწეობა უნდა აღმოეჩინათ. კონგრეგაციის წევრები მალე დაბრუნდნენ საქართველოში და თავგანწირულად შეუდგნენ ლათინური ეკლესიების გამგებლობასა და თანამემამულეების ნუგეშისცემას, რითაც წმინდა მოვალეობას ასრულებდნენ.

ამ კონგრეგაციაში გადაუდებელ საქმედ მიიჩნიეს, ჯერ ლათინური და სომხური წესი დაედგინათ საქართველოში მყოფ კათოლიკეთათვის, ხოლო შემდეგ ბერძნული წესი ქართულ ენაზე — ქართველთათვის, რათა კონგრეგაციის წევრებს მით ესარგებლათ. შემდგომში ეს იქნებოდა საშუალება დაკავშირებისა ქართველებთან, რომლებიც ჭეშმარიტ თავისუფლებას ესწრაფოდნენ, რათა შეერთებოდნენ კათოლიკურ ეკლესიას, მისდამი მარად დიდი პატივისცემით გამსჭვალულნი.

კონგრეგაცია, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, დღითი დღე მტკიცდებოდა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ამბავი, რის თვითმხილ-

ველიც თვითონ გახლდით. რადგან კონგრეგაცია მარიამ ღვთისმშობლის „უბიწო ჩასახვის“ სახელითაა დაცული, მისმა დამაარსებელმა, პატრმა პეტრე ხარისჭირაშვილმა ლურდიდან ჩამოატანინა ღვთისმშობლის ქანდაკება და ამ ახალი მონასტრის სამლოცველოში დაადგმევინა. ღირსი პატრისა და მისი შვილების ღვთისმოსაობას მალე უხვად მიეგო საზღაური. ლურდის ღვთისმშობელმა არ დააყოვნა ძლიერებისა და კეთილისყოფის გარდმოვლენა, რაც დამტკიცდა სასწაულებით, რომ-ლეიც ერთიმეორეს მოჰყვა ფერი-კეუის ამ მოკრძალებულ სამლოცვე-ლოში, განსაკუთრებით, 1880 წლიდან 1884 წლამდე. სასწაულებრივმა



ქართველ მამათა მონასტერი და ეკლესია კონსტანტინოპოლში

განკურნებამ როგორც სულიერმა, ასევე ხორციელმა, აქ მთელი კონსტანტინოპოლი და მისი შემოგარენი მიიზიდა. სამლოცველოს ყველა ჯურის იმდენი მორწმუნე, განსაკუთრებით მაჰმადიანი და ბერძენი მოაწყდა, შიგ შეღწევა ერთობ ძნელდებოდა. ათასობით მლოცველი განთიადისას იწყებდა დინებას და მათი სვლა უწყვეტად გრძელდებოდა საღამომდე. ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, სამლო-ცველოში აღარ შეეშვათ სალოცავად მოსულნი, რადგან ღამე დგებოდა. ძალზე ამაღელვებელი და ნამდვილად უჩვეულო სანახავი იყო, როგორ ლოცულობდა სხვადასხვა ერის ეს უთვალავი შვილი უბიწო ღვთისმშობელ მარიამის წინაშე, თითოეული თავისებურად და თავისი



ლურდის ღვთისმშობელი კონსტანტინოპოლის ქართველ მამათა საკურთხეველში.

არწმუნოების წეს-ჩვეულებების მიხედვით. ო, რა ღვთისმოსაობით ვამდნენ ისინი ლურდის წყალს! ბევრი მათგანი განსაკუთრებულ ადლს ღებულობდა, რაც ღვთისმშობლის მიმართ თაყვანისცემას ძლიერებდა. სამარადისოდ რომ უკვდავეყოთ მიღებული მადლი, ვთისმშობელს ყველაზე ძვირფას ნივთებს სწირავდნენ. საეკლესიო



1877 წელს აგებული თბილისის პეტრე-პავლეს ლათინური ეკლესია.

ხელისუფლება გულგრილად არ მოჰკიდებია იმას, რაც ქართველი პატრების ამ მოკრძალებულ ტაძარში ხდებოდა. ყოველმხრივი გამოძიების შემდეგ, არათუ რაიმე წინააღმდეგობა გაუწია მათ, პირიქით, წააქეზა კიდეც მორწმუნენი, გაეორკეცებინათ ლოცვა ფერი-კეუიში, ლურდის წმინდა ქალწულის წინაშე. ამის შემდეგ ბოსფორის ყველა კუთხიდან დაიწყეს კათოლიკეებმა აქ სალოცავად მოსვლა, რაც, საბედნიეროდ, დღესაც გრძელდება.

მაშინ, როცა თურქები თანამორწმუნეებს ნებას აძლევდნენ ამ ტაძარში წმინდა ღვთისმშობლის სადიდებლად მოსულიყვნენ, ბერძენმა ეპისკოპოსებმა განგაში ატეხეს, მრევლმა არ მიგვატოვოსო, და მორწმუნენი რომ თავისკენ მიებრუნებინათ, ყველანაირი საშუალება

გამოიყენეს, ჩაგონება იქნებოდა ეს, თუ მუქარა, ეკლესიიდან გაძევება თუ საჯაროდ გაკილვა. რა ნახეს, ამაოდ დაშვრნენ, დაიმუქრნენ, ქართველი პატრების ეკლესიას გადავწვავთ და ძირფესვიანად დავანგრევთო. ამის გამო პატრები იძულებულნი გახდნენ, ტაძრის ირგვლივ დღე და ღამე მცველები ჰყოლოდათ. ასე გრძელდებოდა 6 თვეზე მეტ ხანს, ვირდე ტაძარს მოულოდნელად თავს არ დაესხნენ



1903 წელს სტეფანე ზუბალაშვილის მიერ აგებული ბათუმის უბიწო ჩასახვის ლათინური ეკლესია.

ბოროტგანზრახველნი, რომლებიც სალოცავად მოსულ ღვთისმოსავთ შეერთვოდნენ ხოლმე, რომ ეთვალთვალათ, რა ხდებოდა იქ, ხოლო შემდეგ ანგარიში ჩაებარებინათ თავიანთ გამომგზავნთათვის, მაგრამ ყველა ფანდი უმწეო გამოდგა სასწაულების წინაშე, რასაც წმინდა ქალწული მოჰმადლიდა ყველას, ვინც მას შესთხოვდა. ტაძარი გახდა



სტეფანე ზუბალაშვილი († 1904).

მეორე მასაბიელი, სადაც პილიგრიმობა ისევე მუდმივი და ისევე ხალხმრავალია, როგორც გაეის ნაპირებზე.

ამგვარად, ქართველი პატრების ღვთისმოსავი სამსახური ღვთისმშობლისა უხვად იქნა დაჯილდოებული მათი სამშობლოს გარეთ[1].

მთავრობის მიერ შევიწროებისა და სომხების გაუთავებელი

1 იხ. Huysmans, Les foules de Lourdes, Paris, 1906.

ინტრიგების მიუხედავად, კათოლიკური სარწმუნოება, რომლის ჩახშობა სურდათ კაპუცინების გაძევების შემდეგ, გაძლიერდა და გავრცელდა კიდევაც ქართველებში. 1862 წელს მოახერხეს ქუთაისის ლამაზი ეკლესიის მშენებლობის დასრულება, რომელსაც საძირკველი ესოდენ საყვარელმა პატრებმა ჩაუყარეს.

თბილისში, კათოლიკეები სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ. „მიძინების" ძველი ეკლესია მორწმუნეებს ჯერ კიდევ კაპუცინების დროს ვეღარ იტევდა, რომლებმაც მისი გადიდება განიზრახეს. ამიტომ 1884 წელს ლათინური წესის ერთმა ნეტარმა ქართველმა კიურემ თავადმა თუმანოვმა, რომელიც პროპაგანდის ყოფილი მოწაფე იყო, ყველა კათოლიკეს დახმარებით იგი საბოლოოდ გაადიდა და საუცხოოდ შეამკო.

1877 წელს თბილისში უკვე აშენებული იყო სხვა ლათინური ეკლესია, უმთავრესად — პოლონელებისთვის, რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან ამ ქალაქში.

მაგრამ ის, რაც შეიძლება ნამდვილად შეშურდეთ საქართველოს კათოლიკეებისა, გახლავთ ბათუმის ლათინური ეკლესია — ყველაზე მშვენიერი და გრანდიოზული ტაძარი მთელ კავკასიაში. ეს შესანიშნავი ნაგებობა 1903 წელს ააგო ერთმა ნეტარმა ქართველმა სტეფანე ზუბალაშვილმა, თავისი ღირსეული ძმების — ლევან, პეტრე და იოსების დახმარებით და პატრი ანსელმ მღებრიშვილის თაოსნობით. ეკლესიის ასაშენებლად სტეფანე ზუბალაშვილმა ერთ მილიონზე მეტი დახარჯა. ბათუმის ლათინური ეკლესიის საკურთხებლად საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ როპი, იმ დროს ტირასპოლის ეპისკოპოსი, და მორწმუნე ქართველებმა დიდი შვება იგრძნეს, რადგან, პირველად იხილეს თავიანთი მოძღვარი XVIII საუკუნის შუა წლების შემდეგ.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია გაუწყოთ, რომ საქართველოში ყოველი კეთილი საქმის წამოწყებას მხარს უჭერდნენ ზემოთ მოხსენიებული ძმები ზუბალაშვილები, რომლებიც არ სჯერდებიან იმას, რომ საქართველოს ბათუმის ეს შესანიშნავი ეკლესია უძღვნეს. უმაგალითო დიდსულოვნებით აღვსილნი, მხსნელებად ევლინებიან ყოველ ღვთისმოსავ საქმეს, რათა ნუგეში სცენ თავიანთი ქვეყნის ბედკრულთ.

ჩვენ მიერ დასახული ფარგლები გვაიძულებს აქ შევჩერდეთ და გამოვტოვოთ ყველა სახის საბუთის მთელი წყება, რომელნიც ხელთა გვაქვს. მათი მოხსენიებაც კი მეტისმეტად გააგრძელებდა ამ ნაშრომს.

## მოკლე შინაარსი და დასკვნა

ქართული ეკლესიის ისტორია, რომელიც ზოგადად მოგითხრეთ, შეიცავს მის სადიდებელ ფურცლებს, ვინაიდან აქ აღწერილია, ქრისტიანობას საუკუნეების მანძილზე როგორ იცავდნენ სისხლის ფასად მისი შვილები. ამიტომ ამ ისტორიას სრული უფლება აქვს, არ იქნას დავიწყებული მეცნიერთა მიერ.

ნაშრომი, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიას მივუძღვენით, ალბათ ძალიან მოკლე გამოჩნდება და ცხადია, მისი მრავალგან შევსებაც გახდება საჭირო. მაგრამ ჩვენი აზრით უფრო დიდი მოთხოვნილების წაყენება ასეთი სახის შრომისათვის, ჟანრის თვალსაზრისით უნიკალური შრომისათვის, შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ეკლესიის თავს დამტყდარი აურაცხელი გაჭირვების შედეგად განადგურდა ბევრი საბუთი, ამ საბუთების არსებობა კი საშუალებას მოგვცემდა, ისტორია უფრო ნათელი გაგვეხადა და მეტ წყაროებზე დაყრდნობით დაგვეწერა იგი. ჩვენ ქართული ეკლესიის ისტორია მხოლოდ ზოგადად გაგაცანით. მომავალში ვინმე უფრო გულისხმიერი მკვლევარი შეძლებს, ის იმ ურიცხვი მასალის საფუძველზე შეავსოს, რომელთაც თვით ჩვენი შრომა მოიცავს, და აგრეთვე შემდგომ აღმოჩენილი საბუთების საფუძველზე. ამავე დროს ვაცხადებთ, არაფერი მიგვიფუჩეჩებია, გავეცანით ყველა ხელნაწერს, რომლებიც გარკვეულწილად ხელს შეგვიწყობდა ნაშრომის დახვეწაში. ამგვარად, ეს მოკრძალებული ნაშრომი ხანგრძლივი და გამოწვლილვითი კვლევის შედეგია. მიგვაჩნია, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხს შევეხეთ. ვარჩიეთ, ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხისათვის გვერდი აგვევლო, რადგან მათ ასახსნელად არავითარი წყარო არ გაგვაჩნდა და არ გვინდოდა, ფანტაზია ჩაგვერია საქმეში. სადისკუსიო საკითხების მიმართ გამოვიმუშავეთ თვალსაზრისი, რომელიც ღრმა შესწავლის შედეგად ჩვენი აზრით ყველაზე სარწმუნო არგუმენტებს ეყრდნობა.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეთხრო და გვემსჯელა მთელ რიგ წმინდანთა და ქართული ეკლესიის კათალიკოსთა ნამოქმედარზე, მაგრამ ამგვარ მცდელობას ამომწურავი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან სწორედ ასეთი საკითხების მომცველი უამრავი საბუთია განადგურებული, ხოლო რაც აებედითობას გადაურჩა, ჯერ ისე არაა დახარისხებული, ისტორიული თვალსაზრისით შეიძლებოდეს მათი გამოყენება, მასალებით ისე ვისარგებლეთ, როგორც შესაძლებელი იყო. ამრიგად, თუ ჩვენი შრომა ქართული ეკლესიის ისტორიის დამახასიათებელ ყველა მოვლენას არ მოიცავს, იმას მაინც ასახავს, რისი მოძიებაც მოვახერხეთ.

ჩვენდა სავალალოდ, განსაკუთრებით დაწვრილებით ვერ გავეცანით თურქთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ პროვინციაში ქრისტიანობის განადგურებასა და შევიწროებას დამპყრობლებმა არა მხოლოდ ააოხრეს ეს მხარე, არამედ გააქრეს თავიანთი ტირანიის დამადასტურებელი ყველა საბუთი. ხსენებული პროვინციები, განსაკუთრებით კი ახალციხე (სამცხე, ანუ მესხეთი) მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული იყო და მრავალ საეპისკოპოსოს ითვლიდა. აქ კათოლიკობაც ჰყვაოდა. ისე ხანგრძლივად და ულმობლად აწამებდნენ თურქები იქაურებს, ბოლოს, ცოცხლად დარჩენილებს ძალისძალად მიაღებინეს მუსულმანობა, თუმცა გამაჰმადიანებულნი დიდი ხნის მანძილზე ჩუმად მაინც ქრისტიანებად რჩებოდნენ. ამ კრიტიკული ვითარებაში ზოგმა კათოლიკემ ხსნის გზად, წამებისთვის თავდასაღწევ საშუალებად დროებით სომხურ ადათზე გადასვლა მიიჩნია. საქართველოს ისტორია ამ კუთხიდანაც მრავალ გმირულ ფურცელს შემოინახავდა, თურქებს რომ თავიანთ მსხვერპლთა სისხლით არ წაელეკათ საკუთარი დანაშაულის ამსახველი ყველა საბუთი. ახლა კი საბუთად გვრჩება მხოლოდ გავერანებული მხარე, ძეგლთა თვალშისაცემი ნანგრევები და ზეპირი თქმულებანი ათასობით მარტვილის ჩამომავლებისა, რომლებმაც ერთმანეთს გადასცეს და დღემდე მოაღწევინეს წინაპართა სადიდებელ საქმეებს.

რაც შეეხება კათოლიკურ მისიას, საქართველოში წარგზავნილ პირველ კათოლიკე მისიონერებზე ცოტა რამის თქმა შევძელით, რადგან დრომ ჩვენამდე არ მოიტანა ყოველივე, რაც მისიონერებზე ზუსტ აზრს შეგვიქმნიდა. სამაგიეროდ ვრცლად ვილაპარაკეთ იმ მისიონერებზე, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ XVII საუკუნიდან XIX საუკუნის ხანამდე. იქიდან, რაც სახარების ამ მსახურებზე მოგითხრეთ, აშკარაა, მათ საქართველოში დიდი შრომა გასწიეს, ბევრი სიკეთე დათესეს ქართველ ხალხში, ხოლო ქართველებმაც, თავის მხრივ, დიდი პატივი მიაგეს. და თუ ვერ მოხერხდა საბოლოო და ყოველმხრივი დაკავშირება ქართველებისა კათოლიკურ ეკლესიასთან, რაც ასე სასურველი იყო და რასაც არაერთხელ შეეცადნენ, ბრალია მრავალი

მიზეზისა, რომელთაგანაც მთავარზე ქვემოთ მოგახსენებთ. საბუთად გამოდგება ჩვენს ხელთ არსებული მრავალი ტექსტი:

1. იყო გამუდმებული ომები. საქართველოს გარს ერტყა ყველა ჯურის ბარბაროსი და ქრისტიანობის ყველაზე დიდი მტრები. ქართველი ხალხი ხან ერთ ბარბაროსს ეომებოდა, ხან — მეორეს თავისი რელიგიისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად. განუწყვეტელი ომების გამო საქართველოს არ ჰქონდა მოცლა, რომ სერიოზულად მიეხედა კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობისათვის, რაც არაერთხელ წამოიწყეს, მაგრამ ვერც ერთხელ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს.

2. სომეხთა ხელშეწყობით განხორციელებული მრავალი დევნა ნამდვილი უბედურება იყო კათოლიკობისათვის საქართველოში. ასეთი დევნის შედეგად წამში ნადგურდებოდა ყველაფერი, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე იქმნებოდა კათოლიკობის გასავრცელებლად. სომხებს რომ თავი დაენებებინათ მისიონერებისთვის, ეჭვგარეშეა, კათოლიკური რწმენა მნიშვნელოვნად გავრცელდებოდა და საქართველოს ყველა პროვინცია ნებით მიიღებდა ამ რწმენას.

3. მესამე მიზეზად მიგვაჩნია კათოლიკე ეპისკოპოსის არყოფნა საქართველოში. მართალია, მისიონერებს ჰყავდათ ერთი პატრი პრეფექტი, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, თავის მოძმეთა წინამძღვარი იყო და მორწმუნეთა შორის მხოლოდ და მხოლოდ მღვდლის ავტორიტეტით სარგებლობდა. პრეფექტის საქმიანობას არ შეეძლო შეეცვალა ეპისკოპოსის ღირსება და ავტორიტეტი იმ ხალხის თვალში, რომელიც არათუ იცნობდა საეკლესიო იერარქიას, არამედ თავად ჰქონდა ამ იერარქიის ყველა საფეხური, დაწყებული უბრალო კლერკიდან, დამთავრებული კათალიკოსის უმაღლესი ღირსებით. გარდა ამისა, ეპისკოპოსის ყოფნა იმიტომაც იყო აუცილებელი ამ ხალხისათვის, რომ გაევრცელებინა რწმენა, შეეჩერებინა კათოლიციზმის მტრები, შთაეგონებინა პატივი და დიდება მორწმუნეთათვის, წამლად მოვლენოდა ტკივილსა და უწესრიგობას, რომელიც შეიძლებოდა შექმნილიყო როგორც ხალხში, ისე საეკლესიო პირებში.

4. დასასრულ, ბოლო მიზეზად ზოგიერთი მისიონერის უუნარობა და ნაკლები მონდომება უნდა აღვნიშნოთ. ზოგჯერ არჩევანი სწორად არ კეთდებოდა და კავკასიაში ისეთ ადამიანებს გზავნიდნენ, რომელთაც არც თავიანთი საქმე უყვარდათ და არც თავიანთი მდგომარეობა ჰქონდათ შეგნებული. ამგვარი ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ დაბრკოლებას უქმნიდნენ მისიის წინსვლას. აქ გამოგზავნილ ყველა მისიონერს რომ ჭეშმარიტად მოციქულის სიბეჯითე და სათანადო უნარი ჰქონოდა, ისინი ეკლესიას მოუპოვებდნენ მებრძოლ და ერთგულ ერს, და ამავე დროს საქართველოსაც შეუნარჩუნებდნენ ანტიკურ

მეფურობას, რაც რუსეთის მთავრობამ შთანთქა 1800 წელს.

რადგან წილად გვხვდა პატივი, ეს შრომა მარადიულ ქალაქში გამოვაქვეყნოთ, იქნებ ნება დაგვეერთოს, ჩვენი მდაბალი ლოცვები ვუძღვნათ წმინდა სამყოფელს, რათა შევთხოვოთ, კეთილმოსურნე მზერა მიაპყროს ქართველ ხალხს, რომელსაც ჰონორიუს III-დან მოყოლებული მრავალი პაპი არ აკლებდა მამობრივ მზრუნველობას. თუ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ შეერთებია ყველასათვის ერთადერთ პასტორს, მიზეზია ის, რომ, პავლე III-ის თქმისა არ იყოს (ასე ამბობდა იგი 1545 წ. ქართველ მეფეთათვის გაგზავნილ წერილებში) მანძილი აშორებდა მისგან და არა ქრისტიანული სული და წმინდა სამყოფელისადმი სიყვარულის უკმარისობა. ამიტომაც ცალკე აღმოჩნდა[1]. განსხვავებით სხვა ეროვნებათაგან კათოლიკური ეკლესიის მიღმა დარჩენა არ აიხსნება რაიმე მზაკვრობით, მიზეზი გახლავთ მანძილი, საქართველოს გარშემო მტრების არსებობა და კიდევ სხვადასხვა სიძნელე, რომლებმაც მას ამ გზიდან გადაახვევინეს... დღეს, საბედნიეროდ შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ მანძილიც და სიძნელეებიც გაქრება. ბრინჯაოს კედელი, რუსეთის მიერ აღმართული საქართველოსა და რომაულ ეკლესიას შორის, კათოლიკურ სამყაროსა და საქართველოს შორის, ინგრევა, საქართველოს განდეგილობას ბოლო ელება; თავისუფლების განთიადი იწყებს ამობრწყინებას.

რაც შეეხება ქართველ კათოლიკეებს, ისინი ჯერ კიდევ განცალკევებულნი და მიტოვებულნი არიან ყველა გაგებით. არა აქვთ არც საეპისკოპოსო, არც მისიონი, არც არავითარი ინსტიტუტი, რომლის დანიშნულებაც იქნებოდა რწმენის შენარჩუნება და მისი ხელშეწყობა, გულმოწყალების გამოღვიძება, ღატაკთათვის შვების მოგვრა, ახალგაზრდობისათვის მფარველობის გაწევა. ამგვარად, ქართველები სრულიად მოკლებულნი არიან გულმოწყალების ყველა სიკეთეს, რასაც კათოლიკური სამყარო მთელი დედამიწის ზურგზე გზავნის ყველაზე უფრო ველურ და შორს მცხოვრებ ხალხებშიც კი. ქართველებს არა აქვთ არავითარი საკუთარი და პირდაპირი ურთიერთობა რომთან. არაფერი იციან, რაც სხვაგან ხდება და რაც ჩვენს წმინდა რელიგიას ეხება. სულიერი შეხედულების თვალსაზრისით, ქართველი კათოლიკეები მსოფლიოს ყველაზე უბედური ხალხია. თუმცა მათი რაოდენობა არ არის ხელწამოსაკრავი. ისინი დაახლოებით 40.000 გახლავთ, მათგან 8000 დღეს სომხურ ადათს მისდევს[2], დანარჩენი კი ლათინურს.

ქართველ კათოლიკეთა არანორმალური და იშვიათი მდგომარეობა

1 იხ. გვ. 520-522.

2 Missiones Catholicae, publiées par la Propagande, Rome, 1907, გვ. 775.

უკეთ გამოიკვეთება, თუ თვალს გადავავლებთ აღმოსავლეთში მცხოვრებ სხვადასხვა ადათის მქონე კათოლიკეებს. საჭირო არ არის სხვადასხვა ღვთისმსახურთა ღვაწლისა და საეკლესიო დაწესებულებათა დაწვრილებითი ჩამოთვლა, საკმარისია საეპისკოპოსოთა ნომენკლატურის წარმოდგენა. მაგალითად, კათოლიკე სომხებს აქვთ 16 საეპისკოპოსო, 9 პატრიარქალური საეპისკოპოსო და ერთი პატრიარქატი, თუმცა მათი რაოდენობა ძლივს აღწევს 70000-ს[1]. ბიზანტიური ადათის მიმდევარ კათოლიკეებს ახლო აღმოსავლეთის არაბულ ნაწილში ჰყავთ პატრიარქი და 15 ეპისკოპოსი, ისინი მხოლოდ 145000 კათოლიკეს ითვლიან. ეგვიპტელ ეთიოპიელებში, რომლებსაც 15000 კათოლიკე ჰყავთ, არის ერთი პატრიარქი და ორი საეპისკოპოსი. 25000 სირიელს აქვთ 9 საეპისკოპოსო, ჰყავთ ერთი პატრიარქი, და ბოლოს, ქალდეველებში 75000 კათოლიკეა, 12 საეპისკოპოსო და ერთი პატრიარქი. მხოლოდ და მხოლოდ ქართველი კათოლიკეები (40000), რომლებიც იქნებ უფრო მეტნიც არიან, რადგან ძნელია მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა, გახლავთ გამოთიშულნი საყოველთაო სიკეთეს: არც საეპისკოპოსო აქვთ, მოკლებულნი არიან იმ სიხარულს, რასაც მათში პასტორის ყოლა გამოიწვევდა. თუმცა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს სიკეთე სხვა ერებზე მეტად დაიმსახურეს ქრისტიანობისა და სამყაროს წინაშე. ამიტომ ახლავე ვბედავთ, ამ მიტოვებულ მორწმუნეთა სასარგებლოდ მოვუხმოთ სიკეთესა და ეკლესიის მშობლიურ წიაღს, ვევედრებით მას, თანაგრძნობით მოეკიდოს თავის ერთგულ შვილებს, მიაპყროს კეთილისმყოფელი მზერა, გამოიხსნას მიტოვებულთა სიმარტოვისგან, ახლა, როცა ეს შესაძლებელია, მოუვლინოს სახარების მუშაკნი, ანუგეშოს განსაკუთრებით იმით, რომ გაუგზავნოს პასტორი, ვინც მათში დაიდებს ბინას და ამით აღდგება ანტიკური თბილისის საეპისკოპოსო, როგორც ვნახეთ, 1329 წ. პაპ იოანე XXII-ს მიერ შექმნილი, დიახ, მალე დადგეს ბოლოს და ბოლოს დღე, როცა ვნახავთ სახარების მსახურთ ასე სასურველი წინამძღოლის ხელმძღვანელობით, რომლებიც მორწმუნეთ განუმტკიცებენ რწმენას, ხელს გაუწვდიან განცალკევებულ ქართველებს, ესოდენ რომ უყვართ და თაყვანს სცემენ რომაულ ეკლესიას; ქართულ ანტიკურ ეკლესიას გზას გაუკაფავენ პეტრეს აკვნისაკენ, ეკლესიას, რომელიც ამდენ ხანს იტანჯებოდა და თავის მოწამეთა სისხლშია მთლიანად ამოვლებული.

თბილისის საეპისკოპოსოს აღდგენა და მისიონერთა გაგზავნა დიდად შეუწყობს ხელს, ჯერ ერთი, ბერძნულ-ქართული წესის აღმოსავლური ეკლესიის შემოერთებისათვის ნიადაგის მომზადებას,

---

1 იხ. სტატია Arménie, Dictionaire de Théologie Catholique, ტ. I, სვ. 1915, 1922.

შემდეგ ამ ერთიანობის შედუღაბებას და ამ ანტიკურ წესში ქართველების შენარჩუნებას ისეთნაირად, როგორც სურს წმინდა სამყოფელს, იმ ქართველებისა, რომლებიც მიიღებენ კათოლიკობას. ნაშრომს ვამთავრებთ იმედით, რომ ჩვენი თავმდაბლური ლოცვები შეისმინება და ჩვენი მხურვალე სურვილები განცალკევებულ ძმათა რომის ეკლესიასთან დასაბრუნებლად სულ მალე განხორციელდება.

## სურათების ნუსხა

მყინვარწვერი ანუ ყაზბეგი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი თავადი . . . 40
მეგრელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 41
ქართველი ქალის ტიპი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 42
ქართველი ქალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 43
თბილისი, საქართველოს უძველესი დედაქალაქი . . . . . . . . 44
ქართველთა ტიპები და ქართული ტანსაცმელი . . . . . . . . 45
ქართველთა ტიპები და ქართული ცეკვები . . . . . . . . . . . 46
ქართველები გურიიდან . . . . . . . . . . . . . . . . . . . 48
იარაღასხმული ხევსური . . . . . . . . . . . . . . . . . . . 49
არარატის მთა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54
ქართული ანბანები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 79
მუხასირის მეფე ურზანას ბეჭედი . . . . . . . . . . . . . . . 92
თბილისის მახლობლად აღმოჩენილი 75 წლის რომაული წარწერა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 97
მონეტები. ავგუსტუსის დენარების ქართული იმიტაცია და გურგენ ერისთავის დრაჰმა . . . . . . . . . . . . . . . . 99
თამარ დედოფლის მონეტები . . . . . . . . . . . . . . . . 104
თამარ დედოფალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 106
პოეტი შოთა რუსთაველი . . . . . . . . . . . . . . . . . . 107
ვახტანგ VI, საქართველოს მეფე . . . . . . . . . . . . . . 117
ერეკლე II . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 120
საქართველოს სამეფო გერბი . . . . . . . . . . . . . . . . 150
ბიჭვინთის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 164
IV ს-ში აშენებული მცხეთის საპატრიარქო . . . . . . . . . 205
IV ს-ში აშენებული მცხეთის საპატრიარქო . . . . . . . . . 206
ბოდბისის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 234
მირიანი, საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე . . . . . 240
მცხეთის საეპისკოპოსო ეკლესია . . . . . . . . . . . . . . 245
საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი . . . . . . . . . . 247
მეტეხის ეკლესია თბილისში . . . . . . . . . . . . . . . . 249
ანანურის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 254
თბილისის საკათედრო ეკლესია სიონი . . . . . . . . . . . 255
წმინდა იოანე ზედაზნელი . . . . . . . . . . . . . . . . . 258

წმინდა შიო მღვიმელი . . . . . . . . . . . . . . . . . 259
წმინდა დავით გარეჯელი . . . . . . . . . . . . . . . 261
წმინდა ისე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 262
წმინდა აბიბო . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 264
წმინდა ევსტათი მცხეთელი . . . . . . . . . . . . . . 265
მცხეთის ჯვრის მონასტერი . . . . . . . . . . . . . . 301
წმინდა დავითი და წმინდა კონსტანტინე . . . . . . . . 304
მოწამეთის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . 306
წმინდა არჩილი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 308
წმინდა გობრონი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 310
ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესია . . . . . . . . 313
წმინდა კონსტანტინე . . . . . . . . . . . . . . . . . 316
წმინდა ნეოფიტე . . . . . . . . . . . . . . . . . . . 318
ატენის სიონი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 320
ქუთაისის ეკლესია (ბაგრატის ტაძარი) . . . . . . . . 324
მანგლისის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . 329
წმინდა დავით II . . . . . . . . . . . . . . . . . . . 334
ვარძია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 340
იოანე მტბევარი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 347
გელათის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . . 348
გელათის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . . 349
ხამკარედი გელათის განძეულიდან (შუა ნაწილი) . . . . . . 351
ხამკარედი გელათის განძეულიდან (ფრთები) . . . . . . . . 352
წმინდა ჯვრის ქართული მონასტერი იერუსალიმში . . . . . . 355
იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ფრესკა . . . . . . . 357
საბაწმინდის ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად . . 361
მოზაიკა, რომელიც ფარავს გოლგოთაზე აღმართული ჯვრის ორმოს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 362
წმინდა ილარიონი . . . . . . . . . . . . . . . . . . 366
წმინდა იოანე, გაბრიელი და ექვთიმე . . . . . . . . . . 371
წმინდა გიორგი მთაწმინდელი . . . . . . . . . . . . . 374
VII–VIII საუკუნეების ქართული ხელნაწერის ნიმუში . . . 379
VII–VIII საუკუნეების ქართული ხელნაწერის ნიმუში . . . 380
ფიტარეთის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . 386
კოჯრის მონასტერი . . . . . . . . . . . . . . . . . . 388
ოპიზის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . . . 391
წმინდა საბას ეკლესია საფარაში . . . . . . . . . . . 396
თბილისის კათალიკოსის მიტრები . . . . . . . . . . . 407
აწყურის ეკლესია . . . . . . . . . . . . . . . . . . 409
კათალიკოსი ანტონ I . . . . . . . . . . . . . . . . . 434
კირიონი, ქართველი ეპისკოპოსი . . . . . . . . . . . 452
მაკარიოს III ზაიმი, ანტიოქიის მელქიტი პატრიარქი . . . 456

მალაქია–კათალიკოხი . . . . . . . . . . . . . . . . . . 460
წმინდა იოანე მახარებლის ეკლესია ზარზმაში . . . . . . . . . 480
ხპარხელთა მიერ წამებული ქეთევანი . . . . . . . . . . . . 538
ელიზბარ, შალვა და ბიძინა – წამებული ქართველი ერისთავები . . 542
ნიკოლოზ ირბახი, ქართველი ბერი . . . . . . . . . . . . . 557
თეიმურაზ I, საქართველოს მეფე . . . . . . . . . . . . . 571
თეიმურაზ I, საქართველოს მეფე მეუღლითურთ. . . . . . . 577
გორის ციხე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 579
ლევან დადიანი ხამეგრელოს მთავარი . . . . . . . . . . . . 583
იგივე მთავარი ლევან დადიანი ხუვერენის მორთულობით . . 585
მთავარ ლევან დადიანის ხასახლე ზუგდიდში . . . . . . . . 586
ერისთავის ასული ელენე ათაბეგი . . . . . . . . . . . . . 590
გურიის მთავარი ვახტანგი . . . . . . . . . . . . . . . . 593
ალექსანდრე – იმერეთის მეფე (1639–1660) . . . . . . . . . . 595
იგივე ალექსანდრე მეფე, ხამეფო ხამოხელში . . . . . . . . . 596
პატრი კასტელი ხელმეორედ ნათლავს იმერეთის მეფის მემკვიდრეს, ბაგრატს . . . . . . . . . . . . . . . . . . 599
პატრი კასტელი, თეატინელი მისიონერი, მეფე ალექსანდრეს ცხენზე ამხედრებული, თავადებით გარშემორტყმული, ათვალიერებს ქუთაისს . . . . . . . . . . . . . . 600
პატრი კასტელი ერთგულებას ეფიცება ალექსანდრეს, იმერეთის მეფეს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 601
პატრი კასტელი ესწრება ქართველ მხედართა შეჯიბრს . . . 602
პატრი კასტელი ორი ერისთავის თანხლებით ბრუნდება სამეგრელოში მთავარ დადიანის თხოვნით. . . . . . . . . . 603
თეატინელ მისიონერთა რეზიდენცია არგვეთში, იმერეთის სამეფოში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 605
ბერი საბა ორბელიანი . . . . . . . . . . . . . . . . . 648
თბილისის მიმინების ლათინური ეკლესია . . . . . . . . . 701
გორის წმინდა ოჯახის ლათინური ეკლესია . . . . . . . . . 702
ქუთაისის უბიწო ჩასახვის ლათინური ეკლესია . . . . . . . 711
პატრი პეტრე ხარისჭირაშვილი, კონსტანტინოპოლის ქართული კონგრეგაციის დამაარსებელი († 1890). . . . . 726
ქართველ მამათა მონასტერი და ეკლესია კონსტანტინოპოლში . . 728
ლურდის ღვთისმშობელი კონსტანტინოპოლის ქართველ მამათა საკურთხეველში . . . . . . . . . . . . . . . . 789
1877 წელს აგებული თბილისის პეტრე-პავლეს ლათინური ეკლესია . . 730
1903 წელს სტეფანე ზუბალაშვილის მიერ აგებული ბათუმის უბიწო ჩასახვის ლათინური ეკლესია. . . . . . . . . . . 731
სტეფანე ზუბალაშვილი († 1904) . . . . . . . . . . . . 732

# საძიებელი[1]

## ა


აბაზგია 167, 169, 268, 270, 404

აბაზი (ელჩი) 550

აბაზი, აბასი — სპარსთა მეფე იხ. აბას დიდი

აბანო (სოფ. ქართლში) 395

აბას დიდი, სპარსეთის შაჰი (შაჰ-აბასი, 1557-1638) 152, 533-537, 552

აბასთუმანი, იხ. ოცხე

აბაშა (მდინ.) 307

აბაშიძეები 650

აბდალ-მელიქი (IX ს.) 305

აბდილა ამირა მუმნი (ხალიფა) 312, 315

აბელი, მოძღვარი 76

აბიათარი (მცხეთელი ებრაელი, მღვდელი) 147, 198, 226, 231, 239

აბიბო ასური 285

აბიბოს ნეკრესელი, ეპისკოპოსი (VI ს.) 242, 263, 264, 301

აბირონისი 425

აბო (თბილელი, წმ. მოწ.) 312, 314, 315, 377, 410

აბოცი 57

აბრაამ აბალაკი, კათალიკოსი (1492-1499) 420, 466

აბრაამ, აბრაჰამ I კათალიკოსი, პატრიარქი (XIII ს.) 417, 466, 491, 493, 494

აბრაამ კათალიკოსი (სომეხთა) 283, 285, 286

აბრაამი, წმ. მამა 378

აბრაჰამი (არაბი გამგებელი) 302

აბრაჰამი (იბერიელი მღვდელი) 627

აბრიტკინა (სახელმწიფო) 37

აბულაძე ილია 146

აბულ კასიმი (აბულ ყასიმ იუსუფ აბუსაჯის ძე, არაბთა ამირა, X ს.) 302, 311

აბულ ფერეჯ მაჰმადი (აბულასის ძე) 319

აბულ შავთელი 442

აბუ-საჯი (მამა აბულ კასიმისა) 302, 311

აბუ-ჯაფი იხ. აბუ-საჯი

აგათანგელოსი (სომეხი ისტ.) 211, 215, 221, 274

აგატოფელისი 669

აგრიციუსი წმ., ანტიოქიის პატრიარქი 130, 132-133, 136

ადამი (ბიბლ.) 393-394, 428, 486, 520

ადარბადაგანი 481

ადარნესე, ერისმთავარი (619—639 დახლ.) 270, 404

ადარნესე II (მეფე ქართველთა, 888—923) 302

ადარნესე კურაპალატი (958—961) 312

ადერკი, მეფე (ძვ.წ. 2— ახ.წ. 55) 146-147, 155, 159

ადინი (სახელმწიფო) 37

ადრიანე (რომის იმპერატორი) 99

ადრიანი 188

აჟალიანი (XVIII ს.) 124


1 შეადგინა ნესტან ჩხიკვაძემ

ავანი (იაფეტის ძე) 58
ავგაროზი (ედესის მთავარი) 169
ავგუსტინე წმ. 537, 552
ავგუსტუსი 52, 99—100
ავინიონი 497, 499, 501, 503, 505
ავიტაბილე პიეტრო 427-429, 553, 554, 569—775, 580, 587-588
ავლაბარი 424
ავლაბრის ჭალა 424
ავლევი 390
ავსტრია 118, 688
აზა, ვანის მეფე 87, 92
აზერბაიჯანი 104, 276, 326, 329, 336
აზია 29, 43, 72, 75, 85, 112, 168-169, 279, 512, 555, 594, 628, 634
აზიის იბერია იხ. იბერია
აზოვი (ზღვა) 31
აზონი (ალექსანდრე მაკედონელის სარდალი) 96
აზორი 104
ათაბაგი 507
ათაბეგი ელენე, იხ. ელენე ათაბეგი
ათანასე (წმ. მამა ათონზე) 368
ათანასე ალექსანდრიელი, ბერი 376,. 609
ათინა (ათენი) 334
ათონი (მთა) 103, 161, 163, 189, 296, 334, 367, 369—370, 373, 384, 413, 609
აიეტი (ჰეტოესი, კოლხთა მეფე, მითოლ.) 60, 86, 96
აკვილინე, წმ. მოწამე. 384
აკილისენა იხ. ევფრატი
ალაბური (ქვეყანა) 88
ალავერდელი, ეპისკოპოსი 609, 610
ალაზანი 38, 56, 392
ალაზასი 562
ალანია იხ. ალბანეთი
ალაროდიელთა სახელმწიფო, იხ. ურარტუ
ალბანეთი (ალბანია) 32, 39, 96, 169, 252, 278, 279, 281, 422
ალბერ ანჟელი 505
ალბერიზი 614
ალბორისი იხ. კავკასიონი
ალბორჯი (მთა) 52
ალეპო 241, 580, 622
ალექსანდრე I, მეფეთ-მეფე (დიდი, 1412-1443) 112, 115, 207, 225, 393, 418, 419, 422, 423, 509, 513
ალექსანდრე II (ლევანის ძე, 1574-1605) 173, 421, 505
ალექსანდრე I (რუსეთის იმპერატორი) 124, 438
ალექსანდრე III (რუსეთის იმპერატორი) 726, 727
ალექსანდრე VI (პაპი) 473, 516, 518, 525
ალექსანდრე VII (პაპი) 616, 620
ალექსანდრე, ბასილი მაკედონელის ძე 367
ალექსანდრე, იბერიის მეფე იხ. ალექსანდრე იმერეთის მეფე (V)
ალექსანდრე, იმერეთის მეფე (III, XVII ს.) 544, 592, 595, 596, 600—601, 603, 604
ალექსანდრე, იმერეთის მეფე (V, XVIII ს.) 598, 686
ალექსანდრე დიდი (მაკედონელი) 80, 96, 98, 146, 162
ალექსანდრე დომინიკელი 505
ალექსანდრე ნეველი 401
ალექსანდრე რაშინი (ბიძა ქეცნა ამირეჯიბისა) 393
ალექსანდრეპოლი (გუმრა) 714, 720
ალექსანდრია 193, 214, 278, 279, 446, 592
ალექსი (კაცი ღვთისა) 383
ალექსი კომნენი (ბიზანტ. იმპ. 1081-1118) 350, 352
ალექსი მეფე 443
ალზი (სახელმწიფო) 37
ალზუ (სახელმწიფო) 68
ალი 390
ალი შუაბის ძე (თბილისის ამირა, ჯაფარ ამირას მამა) 302, 311
ალიოზ პრაგელი (მისიონერი მამა) 693
ალმან დე პოტიელერი იხ. პოტიელერი ალმან დე
ალმანი (IX ს-ის ავტორი) 136
ალფ-არსლანი, აზერბაიჯანის სულთანი 326, 343
ამაზონი 190
ამასია 59
ამაღლების ხევი 392

ამბერკი, იერაპოლის ეპისკოპოსი 378
ამბროზიო ავგუსტინელი 563, 567
ამბროსი წმ., (IV ს.) 131
ამბრუაზი 537
ამბურგო 562
ამიერკავკასია 38, 73, 351, 725
ამილახორი 680
ამისი, ამისო (სინოპის პორტი) 185
ამირეჯიბი ქუცნა 393, 394
ამირ-ელლაზი (იგივე ლაზი, ორტოკის ძე) 328, 330
ამირ-იბრაჰიმი 336
ამირ-მირანი (სუკმან I-ის ძის, ამირ იბრაჰიმის, ძე; ამირა უზბეგი, ამირ-მირმანი) 365
ამირ-მუმნი, ბაღდადელი აშიმი 305, 311
ამრის ტაბალელი (მეფე) 88
ამპურია 503
ანა (ქუცნა ამირეჯიბის რძალი) 393
ანა დედოფალი 507
ანაკოფიის ციხე 307
ანასტასი 188
ანასტასი მოწამე, ანტიოქიის პატრიარქი (VII ს.) 407
ანასტასი მოწამე, პატრიარქი (†599) 408
ანასტასი რომი 378
ანასტასი, წმ. მოწამე 366, 383
ანასტოხ 226
ანატოლი 193
ანატოლია 279, 514
ანაჰიდი (ღვთაება) 83
ანდრეა დელლა ვალე იხ. დელლა ვალე ანდრეა
ანდრია, კრიტელი, წმ. მოწამე. 383, 384
ანდრია, პატრი (მისიონერი მამა) 700
ანდრია, ქართველი ღვთისმსახური 578, 587
ანდრია-ეპიფანე (ვახტანგ V-ის სასახლის მკურნალი) 620
ანდრია იოვანეს ძე 298
ანდრია ლოპამონი იხ. ლოპამონი ანდრია
ანდრია მოციქული (პირველწოდებული) 130, 154-156, 158, 160—163, 165-169, 187, 235, 270, 353, 373, 374, 441, 453
ანდრია წმ. იხ. ანდრია მოციქული
ანდრონიკე, წმ. მოწამე 377
ანეჟიდი (ქვეყანა) 358
ანთიმოსი, მღვდელ-მონაზონი 378
ანისი 333, 335, 337, 422
ანრი ვოსტი იხ. ვოსტი ანრი
ანრი რაზტი იხ. რაზტი ანრი
ანტვერპენი 135
ანტიოქია (თეოპოლის) 130, 140, 187, 214, 240—241, 243, 248, 250, 265, 278, 281, 282, 287, 323, 330, 344, 363-365, 372-373, 376, 400—402, 405, 406, 416, 418, 422, 453, 454, 477
ანტიტავროსი 95
ანტონ I, კათალიკოს-პატრიარქი (ქუთათელი ეპისკოპოსი, 1744-1788) 400, 420, 433, 434, 437, 466, 486
ანტონ II, კათალიკოსი (ერეკლე II-ის ძე, 1788-1811) 420, 438, 466
ანტონ გლახოეი (კათოლიკე მღვდელი) 722
ანტონ ეპისკოპოსი 346
ანტონ მარტომყოფელი (მარტყოფელი, VI ს.) 263, 392
ანტონ მროველი 442
ანტონ პატრიარქი, იხ. ანტონ I, კათალიკოს-პატრიარქი
ანტონ უფლისწული, იხ. ანტონ I კათალიკოს-პატრიარქი
ანტონ ქადაკანთი 677
ანტონ ქუთათელი, საღირის ძე 338, 339,
ანტონ ჭყონდიდელი, ალავერდელი ეპისკოპოსი 440
ანტონი, ბარლაამწმინდას მონასტრის წინამძღვარი 373
ანტონი, გორელი პატრი 695
ანტონი, სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტი 452
ანტონი რავახი 377
ანტონიო ბარბერინი, იხ. ბარბერინი ანტონიო
ანტონიო მარია კაპურო, პატრი 692
ანტონიო ჯარდინა იხ. ჯარდინა ანტონიო
ანტუან დე გოვეა პორტუგალელი

533
ანჩირი 667
ანჯელო ვერიჩელი, პატრი 608
ანჯელო ვიტერბელი, პატრი 627, 631
ანჯელო პოპიელი 671, 673, 677
ანჯელო ფილინელი, პატრი 634-637
ანჯელო ჩითადინელი 554
ანჯიოლ მარია 676
ანჯოლელო ჯოვანი მარია, იხ. მარია ანჯოლელო
აპოლონი (კერპი) 157-158, 204
არა შშვენიერი 59
არაბ-ხანი 496
არაგეი, არაგჳი 38, 56-57, 302, 390, 392
არათა (წმ. მოწამე) 378
არამაისი 59
არამანეაკი 59
არამი 59
არამი, ურარტუს მეფე 87, 93—95
არანი (ქალაქი) 335
არარატი (მთა), 36, 52-55, 60, 72, 286
არარატი (სახელმწიფო) იხ. ურარტუ
არარატის ველი 72
არარუდი, ალარუდი იხ. ურარტუ
არაქსი 31, 36, 72, 82, 91, 95, 96
არაშვენი (ქალაქი) 37
არგვეთი, არგუეთი 305, 605
არგირი რომენ 372
არგიშთი I, ურარტუს მეფე 87, 93—95
არგიშთი II, ურარტუს მეფე 87
არგონავტები (მითოლ.) 48, 86
არდინი 92
არდისი 90
არზრუმი 82, 83, 91, 335, 422, 622
ართვინი 422
არიან-ქართლი 224, 227
არისანი, კათალიკოსი 301
არისტაკე, წმ. მოწ. 377
არისტი, ბრესლავის პროფესორი 443
არკადიუსი (იმპერატორი, III-IV სს.) 208, 292
არლადინი (ამირ-ამირას სიმამრი) 336
არმავირი 91
არმაზი, არმაზდი (მთა, კერპი) 56-57, 210, 222-224, 227, 229, 236
არმაზელი მეფე (ძე ადერკი მეფისა) 147
არმენია 72, 82-86. 90—93, 95, 96, 185, 209
არმიდი (ქალაქი) 37
არნიე (ქალაქი) 89
არნუ 650
არჟე (მწვერვალი) 67
არსენ I, კათალიკოსი 405, 410, 442, 465
არსენ II, კათალიკოსი (946—976) 285, 405, 410, 411, 466
არსენ III, კათალიკოსი (1218-1226) 466
არსენ იყალთოელი 333
არსენი, ათონის იღუმენი (1036-1039) 384, 385
არსენი, დას. საქართველოს კათალიკოსი (XIV ს.) 454, 467
არსენი, პოეტი 442
არსენი, ჯვრის მოღვაწე (XI ს.) 356
არსენი ნეტარი, ნინოწმინდის ეპისკოპოსი 372
არსენია 72
არტაგი, იბერიის მეფე 33
არტანი, იგივე პური (ქაჯთა ქალაქი) 58
არტანუჯი 327
არტაპან-კოლა 159
არტემი (კერპი) 157-158
არტემი (წმ. მოწამე ) 377
არქანჯელო ლამბერტი იხ. ლამბერტი არქანჯელო
არღუნ-ყაენი 493
არჩილ I (ბაკურ დიდის ძმა). 242, 244, 246, 402
არჩილ II (სტეფანოზის ძე, მირის ძმა) 305, 307-309, 392, 525
არჩილი (მეფე იმერეთისა და კახეთის, ვახტანგ V-ის ძე 1664-1667) 113, 114, 293, 428, 629, 645
ასაბეი 515
ასანიძე მამია 395
ასანიძე ჯანიბეგ 395

ასია 186, 187
ასანბეგი 540, 541
ასპინძა 386
ასტრახანი 119
ასურეთი 52, 69, 70, 87—95
ასურეთი (მდინ. ქართლში) 388
ასურლი (კარალას მეფე) 88
ასქანაზი (ღამერის ძე) 58
ატენი 315, 424
ატლანტიდა 30
ატუაცი (ატოცი) 395
აფსართა ციხე-სიმაგრე 167
აფსასონი 189
აფხაზეთი 74, 115, 159, 169, 189, 252, 266, 306, 307, 314, 332, 373, 374, 453-455, 461, 464, 611, 649, 650, 714
აქადე 71
აქეთა 166
აქვსენტი (წმ. მოწამე) 381
აღათონ ჰრომთა პაპი (VII ს.) 406
აღა-მაჰმად-ხანი 122, 699
აღსტაფა 38
აშვენი 53
აშოტ კურაპალატი 302, 311, 387
აშურ-ბანი-აპალი 70, 88, 89
აშური 68, 82
აშურ-ნაზირ-აპალი იხ. აშურ-ბანი-აპალი
აშუროიდინა (მეფე) 88
აწყური, აწყვერი, აწყუერი (სოსანგეთი) 155, 156, 159, 409, 422
აძკხი 394
აჭარა 74, 121, 422
აჭარის მთა 387
ახალდაბა 395
ახალ-უბანი 424
ახალციხე 11, 12, 39, 121, 422, 515, 617, 618, 672, 683, 685, 688, 691-693, 700, 707-709, 711, 718, 719, 721, 724, 725, 735
ახტალა 123, 388
აჰმოზის I (ძვ.წ. 1800—1700) 61

# ბ

ბაბაი, სირიელი 194
ბაბილა ანტიოქელი, წმ. 378
ბაბილა კათალიკოსი (VII ს.) 404, 464
ბაბილონი 55, 231, 312, 315, 494, 669
ბაბილონის გოდოლი 55
ბაგადატი (შილიდის მეფე) 88
ბაგრატ III (საქართველოს მეფე 975-1014) 103, 324, 350, 389
ბაგრატ IV (საქართველოს მეფე 1027-1072) 172, 324, 350, 356, 412
ბაგრატ V (საქართველოს მეფე 1360—1395) 111, 507, 508
ბაგრატ მეფე (ქართლ-იმერეთისა) 455, 512, 519, 521
ბაგრატ (ძე ლეონ, ლევან, მეფისა) 421
ბაგრატ მეფე (ძე ალექსანდრე მეფისა) 597, 599
ბაგრატ ტაერომანიელი, მღვდელთმოძღვარი 381
ბაგრატ ქუთათელი იხ. ბაგრატ მეფე (ქართლ-იმერეთისა)
ბაგრატ ქუთაისის მეფე, იგივე პატრიარქი ქოქათისა, იხ. ბაგრატ მეფე (ქართლ-იმერეთისა)
ბაგრატიდების დინასტია (საქართველოს მეფეები) იხ. ბაგრატიონთა დინასტია
ბაგრატიონი ვახუშტი 148
ბაგრატიონი იოანე 122
ბაგრატიონი მეფე დავით იხ. დავით II
ბაგრატიონთა, ბაგრატოვანთა დინასტია (იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანნი) 43, 104, 120, 126, 148, 163, 172, 186, 302, 620, 631
ბაკრა წმ. 377
ბაზოპედი 95
ბათუმი 731-733
ბაიანა იხ. ვანა

ბაიერნი 62
ბაკურ (მირიანის ძე) 203, 204
ბაკურ (მირიანის შვილიშვილი) 161, 203
ბაკურ მეფე (უცნობი) 198, 199, 202, 203
ბაკურ მეფე (დაჩის ძე) 403
ბაკურ მეფე (ფარსმანის ძე) 402, 404
ბალა (სახელმწიფო) 37
ბალთუ (სახელმწიფო) 37
ბალიდუ (სახელმწიფო) 37
ბამბერი 714
ბანაკები (სოფელი) 189
ბაქენოვი ევგენი, ეგზარხოსი 439, 467
ბარბარე წმ. 377
ბარბერინი ანტონიო (ურბან VIII-ის ძმა) 580
ბარდა სკლიაროსი (სარდალი, X ს.) 103, 344, 368
ბარდავი (ქალაქი) 55
ბარდარი, წმ. მოწ. 381
ბარდოსი, თარგამოსის ძე 55
ბარდუ (სოფელი) 693
ბარდუსი 692, 693
ბართლომე კათალიკოსი 404, 465
ბართლომე მოციქული 273
ბარინოს ეპარხოსი 381
ბარლამი, წმ. 378
ბარნაბე არქიეპისკოპოსი 408
ბარო სანიოუსი იხ. სანიოუსი ბარო
ბარონიუსი 173, 182, 189, 483
ბარპალა, მთავარი 188
ბარძიმ ერისთავი იხ. ერისთავი ბარძიმ
ბარძიმ ვაჩნაძე იხ. ვაჩნაძე ბარძიმ
ბარ-ჰებრეუსი 303
ბასსა, წმ. მოწ. 384
ბახაჩუკი (ქუთაისი) 614
ბასილი I, კათალიკოსი 466
ბასილი II, კათალიკოსი 413, 466
ბასილი III, კათალიკოსი 417, 466
ბასილი IV, კათალიკოსი 420, 466
ბასილი IX, კათალიკოსი 411
ბასილი II, იმპერატორი 370, 411
ბასილი, არქიეპისკოპოსი 402
ბასილი დიდი (წმ. მამა) 74, 191, 334, 381, 384, 560, 640, 646, 651, 661, 653
ბასილი კათალიკოსი (VII ს.) 405
ბასილი კათალიკოსი (XIV ს.) 423
ბასილი კესარიელი იხ. ბასილი დიდი
ბასილი მაკედონელი (იმპერ.) 367
ბასილი, ათონის მონასტრის იღუმენი 385
ბასილი, მღვდელთ-მოძღვარი 425
ბასილი, წმ., იხ. ბასილი დიდი
ბასილი წმ., ლამელი ეპისკოპოსი 377
ბაქარ I, მეფე 402
ბაქარ (მირიანის ძე) 238
ბაქარი (ვახტანგ VI-ის ძე) 172, 173, 297-298, 649
ბაქრაძე დ. 299, 411
ბაქო 33
ბაქტრია 54
ბაღდადი 103, 104, 270, 312, 315
ბაშიაჩუკი 597
ბედია 56
ბედიურისწყალი 392
ბეთლემი 156
ბელარმინი, კარდინალი 624
ბელიდურ I (მეფე) 87
ბელიდურ II (მეფე, ძვ. წ. 655-625) 87, 94
ბელონის ტაძარი 100
ბელსურუსური, კისარის მეფე (ძვ.წ. 721-704) 88
ბენი აბბა (მამა), ზედაზნის არქიმანდრიტი (†700) 345
ბენდიანი, მეფე 513
ბენედიქტე XIV, პაპი 674, 679
ბერდებეგ (მცირე სომხეთის ბატონი) 513
ბერდუჯი (მდინ.) 55, 387
ბერდუჯის მთა 388
ბერე იხ. ალეპო
ბერთრამი, თბილისის ეპისკოპოსი 504, 505
ბერთრანდო კოლეტი იხ. კოლეტი ბერთრანდო
ბერი ნიკონი, იხ. ნიკონი, ბერი
ბერიძე ვ. 481
ბერლინი 195
ბერნარდე (ბერნანდო) მარია ნეაპოლელი, პატრი (მისიონერი) 488, 616, 623-625, 629

ბერნი 694
ბეროზი 52
ბერძენიშვილი ნ. 148
ბესარიონ კათალიკოსი (XVII ს.) 401, 462-464, 486
ბესარიონ კათალიკოსი (1724-1735) 420, 466
ბესარიონ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 467
ბექა 417
ბეხუშის ციხე 507
ბიბარი, მეფე (1260—1277) 355
ბი-ბურუტა 37
ბიგურასი (ქალაქი) 90
ბიზანტია 100, 102, 141, 152, 161, 176, 212, 232, 325, 344, 363, 366, 367, 404, 445, 450, 546
ბითვინია 166, 187
ბიძინა (ჩოლოყაშვილი, XVII ს.) 541, 542
ბიჭვინთა 164, 165, 325, 354, 461
ბლასი 383
ბოა, წმ. მოწამე 377
ბობრინსკი, გრაფი 440
ბოგდანოვ-პლატონოვი მოსე 467
ბოგოიავლენსკი ვლადიმერ 467
ბოდი (ბოდბე) 237
ბოდინი (დაბა) 216
ბოდუენ II, 365
ბოდუენი, მთავარეპისკოპოსი (1307-1354) 130
ბოლნისი 388
ბოლოსტეკი 105
ბონავენტურა, სორონტოელი პატრი 618
ბონე იოანეს (მისიონერი) 661
ბონიფაციუს IX 505
ბორომეო ანდრეა, პატრი 461, 613, 614
ბორჯია ეპისკოპოსი 694
ბოსტან-ქალაქი 57
ბოსფორი 169, 512, 728
ბოცოსწყალი 385
ბრატმანი, მეფე 226
ბრაჯი, მთავარდიაკონი 231
ბრეძა კლიმიჩაძე იხ. კლიმიჩაძე ბრეძა
ბროკარდუსი, პილიგრიმი (XIII ს.) 364
ბროლოსანი 394
ბროსე მ. 9, 38, 77, 88, 101, 146, 160, 189, 280, 385
ბუდი (დაბა) 217, 218
ბურგუნდია 472, 509, 513
ბულა თურქი 103, 302, 303, 311, 315, 317, 319

# გ

გა (კერპი) 224, 227
გაბაშვილი ტიმოთე, ეპისკოპოსი 239
გაბრიელ I, კათალიკოსი 405, 465
გაბრიელ II, საფარელი კათალიკოსი 412, 466
გაბრიელ ბერი 370—371
გაბრიელ მთავარანგელოზი 343, 350, 352
გაბრიელ უცბად-მჩხრეკალი, მღვდელი (X ს.) 295
გაბრიელი, ზედაზნის არქიმანდრიტი (†830) 345
გაბრიელი, პატრი (მისიონერი) 622
გაბლუცი, ამირა (881—923) 302
გაგუა მ. 10
გაეა 730
გაიანე 220
გალანო კლემენტე, პატრი 273, 279, 556, 571, 582, 614
გალანუსი კ. იხ. გალანო კლემენტე
გალატეა, გალატია, გალათეა (პროვინცია) 139, 140, 166, 187
გამ გამ ასიმი (მაჰმადის შთამომავალი) 525
გამბა 534
გამგუმუ (სახ.) 37
გამერი 59

განდოლფოს პიეტრო, პატრი 581
განჯა 576, 668, 683, 688
გარგამიში 93
გარდემოსი (ქართლოსის ძე) 53
გარეჯის მთა 389
გარსევან დეკანოზი 173
გარსევან ჭავჭავაძე იხ. ჭავჭავაძე გარსევან
გარსევანიშვილი იესე (დეკანოზი ვახტანგ VI-ის კარზე) 172
გატეირია ე.ა. 75
გაჩიანი (ქალაქი) 57
გაჩიოსი (ქართლოსის ძე) 57
გაცი (კერპი) 224, 227
გელათი 207, 350—354, 343, 396
გელამი 59
გენადი 194
გენათი იხ. გელათი
გეორგი II კათალიკოსი იხ. გიორგი II კათალიკოსი
გერმანე კათალიკოსი 463
გერმანე, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 467
გერმანე ეზდაველიძე იხ. ეზდაველიძე გერმანე
გერმანია 697
გეორგიევსკი 122
გვარამ კურაპალატი (ერისთავი) 404
გვარამაძე ი. 11
გვიდონი, პორტუენის ეპისკოპოსი 504
გვილელმო პორტუგალელი, პატრი 552, 563
გვილელმო ხერიოელი, პატრი 491
გვიჩარდო კრემონელი, პატრი 488
გილზანი (ქვეყ.) 90
გიორგი III (სრულიად საქართველოს მეფე, 1156-1184) 103, 105, 300, 335-377, 387, 413
გიორგი IV (ლაშა-გიორგი, თამარ მეფის ძე, 1213-1222) 105, 478, 479
გიორგი V (ბრწყინვალე, სრულიად საქართველოს მეფე) 417, 472, 494, 498, 503, 506
გიორგი VII (სრულიად საქართველოს მეფე) 112, 418, 507
გიორგი VIII (ალექსანდრე I-ის ძე) 513, 516
გიორგი XI (მეფე, ვახტანგ V-ის ძე) 296, 297, 429, 616, 630—634, 637, 639, 643-645, 667
გიორგი XII (საქ. უკანასკნელი მეფე) 122, 123, 207
გიორგი მეფე იხ. გიორგი VII
გიორგი მეფე 393
გიორგი მეფეთ-მეფე იხ. გიორგი XI
გიორგი სპარსეთის მეფე იხ. გიორგი VIII
გიორგი I, კათალიკოსი 465
გიორგი II, კათალიკოსი 405, 465
გიორგი III, კათალიკოსი 412, 466
გიორგი IV, კათალიკოსი 415, 466
გიორგი V, კათალიკოსი 418, 466
გიორგი 172
გიორგი (ათონის იღუმენი, 1012-1030) 384
გიორგი (ათონის იღუმენი, 1031) 384
გიორგი (ათონის იღუმენი, XII ს.) 385
გიორგი ახალი 372
გიორგი ზოროვარი 377
გიორგი კონსტანტინეპოლელი 406
გიორგი მალე 398
გიორგი მთაწმინდელი 296, 322, 344, 370, 372-374, 375, 383, 385, 442
გიორგი ნიკომიდიელი 384
გიორგი ოლთისელი, ათონის წინამძღვარი (XI ს.) 375, 385
გიორგი ოშკელი, ჯვრის მონაწე (XI ს.) 356
გიორგი შეყენებული 372
გიორგი ხუცესი 406
გიორგი წმ. 74, 174, 177, 313, 314, 353, 552
გისლერიო მიქელე, თეატინელი პატრი 580—582, 591
გიში (მხარე) 336
გლონქორ არქიეპისკოპოსი 336
გოა (ქალაქი) 578
გობრონი (იგივე მიქელი, წმ. მოწამე) 310—312, 526

გოგ (ბიბლ.) 65
გოგობასშვილი 395
გოგჩა 73
გოლგოთა 156, 359, 363
გოლიხი 394, 395
გომიჯვარი 389
გონიოს კონცხი 546
გორგასალი იხ. ვახტანგ გორგასალი
გორგორა ხელცixელი (ყვარყვარე ათაბაგი, ახალციხელი) 513, 519
გორდი 52
გორდიენის მთები 71, 90
გორდიეს მთები იხ. გორდიენის მთები
გორი 319, 342, 527, 563, 564, 576, 609, 625, 627, 628, 683, 688, 700, 704, 706, 708
გორის ციხე 579
გოროდეცკი ფლამიანე, ეგზარხოსი 467
გოში (სოფ.) 424
გრანჯერიო ლუდოვიკო, იხ. ლუდოვიკო გრანჯერიო
გრეგორიო ორსინო, იხ. ორსინო გრეგორიო
გრეგუარ ტურელი (VI ს.) 128, 137-140, 153
გრენადა 516
გრიგოლ I, კათალიკოსი 465
გრიგოლ II, კათალიკოსი 405, 465
გრიგოლ I, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 446
გრიგოლ II, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 401, 462, 463, 467
გრიგოლ I, დიდი (პაპი) 272, 288, 291
გრიგოლ IX, პაპი 111, 178, 365, 415, 472, 479, 483, 485
გრიგოლ XV, პაპი 459
გრიგოლ, გრეგორისი (წმ., სომხეთის ეპისკოპოსი, განმანათლებელი) 198, 204, 211, 215, 221, 272-274, 278-282, 285, 373, 378
გრიგოლ, გრეგორისი (გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილი, ეპისკოპოსი) 276, 281
გრიგოლ არქიეპისკოპოსი 402
გრიგოლ დიაკონი, ჯვრის მოლაშე (XI ს.) 356
გრიგოლ დიდი, რომის პაპი 404
გრიგოლ ნაზიანზელი 191, 194, 384
გრიგოლ ნაფშუნის ძე, საფარის მოძღვარი 398
გრიგოლ ნოსელი 191, 376, 383
გრიგოლ რომთა პაპი 383
გრიგოლ ურსინუსი იხ. ურსინუსი გრიგოლ
გრიგოლ ღვთისმეტყველი იხ. გრიგოლ ნაზიანზელი
გრიგოლი (X ს.) 295
გრიგოლი 346
გრიგოლი, ათონის იღუმენი 385
გრიგოლი, ზედაზნის არქიმანდრიტი (†800) 345
გრიგოლი, მღვდელთ-მოძღვარი 425
გრიგორი საკვირველმოქმედი, ნეოკესარიის ეპისკოპოსი 376
გრიგორი, წმ. მოწამე 377
გროვაზი, წმ. მოწამე 377
გრონზო 33
გუარამ კურაპალატი (ბაგრატოვანი, VI ს.) 102, 255
გუბაზ, ლაზთა მეფე 175, 268
გუგარქი (პროვინცია) 277
გუდალეთი 424
გუზანი (ქვეყ.) 89
გულაბ-ყალაში 537
გულადუსტი, წმ. მოწ. 377
გულგულა (ქვეყ.) 56
გურამიშვილი ქრისტეფორე, მღვდელ-მონაზონი (XVII ს.) 298
გურგენ ერისთავი 99, 387
გურგენი (ზღვა) 55, 56
გურგენი (მეფე) 267
გურია 39, 47, 74, 173, 177, 424, 453, 530, 582, 587, 588, 589, 593, 611, 706, 713
გურიელი (მთავარი) 174, 546-549
გურიის მთა 385
გურკო, გენერალი 619, 719—721
გურჯისტანი 38
გუჯარეთი 390

# დ


დადეში 386
დადიანი (მთავარი) 174
დადიანი ლევან (სამეგრელოს მთავარი) 459, 462, 530, 545-548, 583-586, 591-593
დადიანი შამადავლე (სამეგრელოს მთავარი) 445
დავით II (სრულიად საქართველოს მეფე დავით IV, აღმაშენებელი) 80, 103, 105, 300, 319—326, 350—352, 526
დავით (სრულიად საქართველოს მეფე დავით V, ნარინი, რუსუდანის ძე) 485
დავით (სრულიად საქართველოს მეფე დავით VI, ლაშა-გიორგის ძე) 207
დავით VI (სრულიად საქართველოს მეფე, დავით VII, დემეტრეს ძე) 417, 492
დავით კურაპალატი 103, 368, 369, 387
დავით, მეფე ქართველთა იხ. დავით სოსლანი
დავით სოსლანი (ბაგრატიონი, თამარ მეფის თანამეცხედრე) 104, 152
დავით ულისწული (საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძე) 123
დავით I კათალიკოსი 405
დავით II კათალიკოსი 466
დავით III კათალიკოსი 418, 466
დავით IV კათალიკოსი 466
დავით V კათალიკოსი 420, 466
დავით VI კათალიკოსი 420, 462, 466
დავით კათალიკოსი (?) 418
დავით, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 466
დავით დუნელი, წმ. მოწ. 377
დავით ზანის ეპისკოპოსი 475
დავით მონაზონი (XVIII ს.) 462,650, 656,
დავით წინასწარმეტყველი (ბიბლ.) 113, 116, 126, 140, 151, 186, 216, 641
დავით-პავლე შაჰყულიანი 718
დავითი 167
დავითი 346
დავითი (დიდგვაროვანი) 525
დავითი (ტრაპეზუნის იმპერატორი) 513
დავითი, მამა (ეპისკოპოსი) 476
დავითი, სირიელი მამა (გარეჯელი) 260, 261, 262, 242, 345, 389
დავითი, ჯვრის მოღვაწე (V—VI სს) 356
დავითი, წმ. მოწ. (არგვეთის მთავარი, მხეიძე, VIII ს.) 102, 305, 306, 377
დავუდი (სუკმანის ძე, განჯის ამირა) 332
დათან (ბიბლ.) 425
დაიენი 91
დამასკო 473, 474, 494
დამიანე, წმ. მოწ. 384
დამიანე ჟიარჯიელი 565, 704, 716
დამიანო ჟიარჯიელი იხ. დამიანე ჟიარჯიელი
დამიეტი 473-475
დანიელ წინასწარმეტყველი 383
დანიელი, წმ. მოწამე 377
დანიელი (სირიელი ფილოსოფოსი) 76
დანტე ალიგიერი 107
დანუმის სამეფო 446
დარასი (ქალაქი) 37
დარიალის კარი 305
დარიუსი, დარიოსი (მეფე) 65, 96, 185
დარუბანდი 32, 56, 303, 305, 332, 422, 526
დარუბანდის ზღვა 422
დასაბა (საბა) მცხეთელი, კათალიკოსი 403, 465
დატიანოსი (ალვანთა მეფე) 189
დაღესტანი 32, 721
დაშელი 295
დაჩი (მეფე) 346
დებედი 38
დებოლსკი 152
დე ბერტერიერი 637
დეზალური, დეზალუნი (ელჩი) 650
დე კარა 62
დე ლაგარდი პოლ 60

დელა ვალე ანდრეა 565, 580
დელა ვალე პიეტრო (რომაელი პატრიციუსი) 483, 535, 539, 540, 552, 553, 580
დემეტრე I (სრულიად საქართველოს მეფე, დავით IV-ის ძე) 335, 354
დემეტრე II (სრულიად საქართველოს მეფე, თავდადებული) 207, 416, 417, 472, 489, 491-494
დემეტრე (თბილისელი ძმა) 498
დემური 393
დე ნოვანტელი (საფრანგეთის ელჩი კონსტანტინეპოლში, XVIII ს) 176, 462
დე ნოენტელი, იხ. დე ნოვანტელი
დერბენდი იხ. დარუბანდი
დერქსენი (ევფრატის სათავე) 95
დე შარენსეი 76
დვალი მიქაელ, ჯვრის მოღვაწე 356
დვანის წყალი 390
დვინი 283, 336, 337
დი ჯუდიჩე, პატრი 530, 575, 609—612
დიავეხი (სახ.) 37
დიდ-აჭარა 155
დიდგორი 424
დიდი აზია 168, 169
დიდუბის პანთეონი 12
დიმიტრი, წმ. მოწ. 377, 381
დიმიტრი თავდადებული იხ. დემეტრე II
დიმიტრი მეფე იხ. დემეტრე II
დიოდორე სიცილიელი 67
დიოკლიტიანე (იმპერატორი) 214
დიონ კასიუსი 99
დიონისე არეოპაგელი 377
დიუბუა დე მონპერე 75, 165, 206, 340, 353, 531
დიუბუა მოგზაური იხ. დიუბუა დე მონპერე
დიღომი 424
დობეიზი (სამაყას ძე) 328, 330, 331
დოგორსკი 336
დოდო (სირიელი მამა, VI ს.) 261
დოლიძე თ. 10
დომენიკო ტრიესტელი (თრიესტელი), პატრი 697, 698
დომენიკო პატრი იხ. დომენიკო ტრიესტელი
დომენტი I, კათალიკოსი 420, 466
დომენტი II, კათალიკოსი 420, 466
დომენტი III, კათალიკოსი 428, 466
დომენტი IV, კათალიკოსი (ვახტანგ VI-ის ძმა) 429—431, 466, 644, 676
დომენტი, ქართლის კათალიკოს-პატრიარქი 425
დომენტი პატრიარქი იხ. დომენტი IV, კათალიკოსი
დომინიკე (კაპუცინი მისიონერი) 119, 120
დომინიკე წმ. 520, 704
დომიციანე კეისარი 99
დომნა, წმ. მოწ. 383
დონდუკოვ-კორსაკოვი, ეგზარხოსი 11, 440
დონ პავლე, იხ. შაჰყულიანი პავლე
დონ პიეტრო, მღვდელი 606
დოროთე წმ. 378
დოროთეოზ I, კათალიკოსი 420, 466
დოროთეოზ II, კათალიკოსი 420, 466
დრეპანი, დრეპანუმი 131
დუმატხო 395
დურმეზი (არაბი მთავარი) 526
დუშმანა იხ. ტურუშმანა

## ე

ებანი (სახ.) 37
ეგეოსის ზღვა 454
ეგვიპტე 51, 61, 63, 64, 82, 85, 191, 196, 231, 279, 494
ეგინჰარდი (კარლოს დიდის მწიგნობართუხუცესი) 142

ეგნატე ანტიოქელი, წმ. მოწ. 377
ეგრისი 56, 305-307
ეგროსი (თარგამოსის ძე, ბიბლ.) 55-56
ედემი (ბიბლ.) 48, 425
ედემი (დაბა) 216
ედუარდ აღმსარებელი (ინგლისის მეფე) 142
ედუსი 91
ევაგრე 260
ევაგრე I, კათალიკოსი 420, 466
ევაგრე II, კათალიკოსი 420, 466
ევაგრე ეგვიპტელი (პალესტინელი ქართველი ბერი, დიაკვანი) 184, 191-194, 196
ევაგრე დიაკონი, იხ. ევაგრე ეგვიპტელი
ევგენი (ათონის იღუმენი) 385
ევგენი (წმ. მოწამე) 381
ევგენია (წმ. მოწამე) 383
ევგენიო IV, პაპი 517
ევდემოზ I, კათალიკოსი იხ. ევდემონ I, კათალიკოსი
ევდემონ I, კათალიკოსი 420, 455, 466
ევდემონ II, კათალიკოსი 461, 466
ევდემონ (ევდემოს) I, დასავლეთ საქ. კათალიკოსი 457, 467
ევდემონ II, დასავლეთ საქ. კათალიკოსი 467
ევდოქსიოს (წმ. მოწამე) 378
ევთიმი იხ. ექვთიმე ათონელი
ევლალე (ევლალიოს) კათალიკოსი (VI ს.) 256, 404, 465
ევლალე II, კათალიკოსი 405, 465
ევმანუველ 225
ევნონი კათალიკოსი 405, 408, 465
ევროპა 8, 29, 32, 43, 48, 62, 75, 168, 448, 512, 549, 555, 573, 584, 594, 598, 622, 647, 657, 663, 664, 668, 680, 681, 703
ევსები (კესარიელი, IV ს.) 166
ევსელინი წმ. მოწამე 377
ევსტათი (მცხეთელი, წმ. მოწამე) 242, 265, 266, 377, 378, 381
ევსუქი, კათალიკოსი 405, 466
ევფემია დიდებული (წმ. მოწამე) 378
ევფრატა, აბაზგი საჭურისი 267
ევფრატი (აკილისენა) 37, 69, 72, 82, 89, 91, 95
ევფროსინე წმ. 378
ევქერი წმ., ლიონის ეპისკოპოსი (V ს.) 166
ევქერიუსი (მოციქული) 130
ევქსინოს პონტოს იხ. შავი ზღვა
ეზდაველიძე გერმანე, ჯვრის მოღვაწე (XI ს.) 356
ეზეკიელი, ეზიკიელი (ბიბლ.) 55, 65, 67, 68, 70, 487
ეზინუისი 91
ეკატერინა II (რუსეთის იმპერატორი) 121
ეკატერინა, წმ. მოწამე 377
ევდემოზ II, კათალიკოსი 420
ეკლესია:
- ამაღლების (მოსკოვში) 152
- ამპურიენის 504
- ანანურის (IV ს.) 254
- აწყურის (კაფედრი) 270
- აწყურის XII ს. 409
- ანჩისხატის (თბილისში) 428
- ბიჭვინთის 164, 165, 325
- ბოდბისის 234, 237
- გიორგი წმ. (ალავერდში, VI ს.) 313
- გიორგი წმ. (გელათში) 350—351
- გოლგოთის (იერუსალიმში) 360
- გორის კათოლიკური 436, 704
- ერკნეთის 390
- ვარძიის გამოქვაბულში 341
- ვარძიის უძველესი 343
- ვარძიის II 341
- ზემო ეკლესია (მცხეთაში, IV ს.) 215, 237
- იოანე მახარებლის (ათონზე) 368
- იოანე მახარებლის (ზარზმაში) 480
- იოანე ნათლისმცემლის (ათონზე) 372
- იოანე ღვთისმეტყველის (თბილისში) 411
- მანგლისის (XI სს) 329
- მაყვლოვანის 237
- მეტეხის ძველი (თბილისში, V ს.) 249, 251

მცხეთის კათოლიკე, საეპისკოპოსო იხ. მცხეთის კათოლიკე (სვეტიცხოველი)
მთავარანგელოზის (ათონზე) 372, 413
მიძინების (კათოლიკური თბილისში) 701, 715, 727, 731
მოციქულთა (რომანას ხეობაში) 367
მოწამეთა (იმერეთში, გელათის ახლოს) 315, 306
მცხეთის კათოლიკე (სვეტიცხოველი, ახალი იერუსალიმი) 245, 266, 425
ნევშატლის 325
ნიკოლოზ წმ. (გელათში) 350, 351
ნიქოზის 252
ოპიზის 391
პაერნის 325
პეტრე წმ., საყდარი 474
პეტრე-პავლეს კათოლიკური (თბილისში) 730
რაჟდენ წმ. 250
როკითის მაცხოვრის 461
საბას (საფარაში, XIII ს.) 396, 480
სვიმეონ წმ. 372
სიონის (თბილისში, VI ს.) 255-256, 270
სოფია წმ. (კიევში) 165, 174, 325
უბიწო ჩასახვის (კათოლიკური, ბათუმში) 731, 732
უბიწო ჩასახვის (კათოლიკური, ქუთაისში) 711
ღვთაებისა (მარტყოფში) 392
ღვთისმშობლის (გელათში) 351
ცურტავის საყდარი 285
ძველი-ეკლესია, ადრე საკერპო ტაძარი 156
ჯუარისა პატიოსნისა (მცხეთა) 270
წმ. ოჯახის (კათოლიკური, გორში) 702
ჯვრის 301
ელადა 65
ელარბინი (დაბა) 222
ელევთერი, მღვდელ-მონაზონი 383
ელენე ათაბეგი (ერისთავის ასული, სპარსეთის დედოფალი) 530, 587, 590, 591
ელენე დედოფალი (ბაგრატ IV-ის თანამეცხედრე) 172
ელენე დედოფალთ-დედოფალი 313
ელენე თავადის ასული იხ. ელენე ათაბეგი
ელენე წმ., დედოფალი 128-133, 135, 136, 198, 214-216, 219, 220, 233, 355
ელენეპოლისი 131
ელი მღვდელი 145
ელია (ბიბლ.) 150
ელია (მდინ.) 31
ელია არქიეპისკოპოსი (IV—V სს.) 402
ელია დიაკონი, ზედაზნის არქიმანდრიტი († 591) 345
ელიაზარი 316
ელიზბარი (ქსნის ერისთავი, XVII ს.) 541-543
ელიმი (ქვეყანა) 69
ელიმირზა (ძე ლევან მეფისა) 421
ელიოზ I, კათალიკოსი 418, 466, 507
ელიოზ მცხეთელი 145, 146, 148
ელიოსანი 58
ელისა 58
ელისაბედი (ბიბლ.) 290
ელისე წმ. 552
ენგური 31, 43, 75, 115
ენენი, ეპისკოპოსი 130
ენუა 91
ეონონი (წმ. მოწ.) 377
ეპისტიმა (წმ. მოწამე) 384
ეპიფანე (ბერძენი კათოლიკე) 619
ეპიფანე (სკვითეთისა და კონსტანციის ეპისკოპოსი, კვიპროსის არქიეპისკოპოსი, 310—403) 167
ეპიფანე კათალიკოსი 413, 466
ეპიფანე მონაზონი (VIII ს.) 167
ერაკლე იხ. ჰერაკლე კეისარი
ერევანი 119, 629, 649
ერეკლე I (ნაზარალიხანი, ქართლის მეფე) 114, 313
ერეკლე II (ქართლ-კახეთის მეფე) 80, 119—128, 207, 249, 433, 434, 437, 617, 685, 688, 689, 692, 695-700, 704-707

ერეკლე მეფე იხ. ერეკლე II
ერეკლე (ლევან მეფის ძე) 421
ერიარხი (ისქუზულის მეფე) 88
ერიარხი (ლურუნისის მეფე) 88
ერიმენასი (მეფე) 87, 95
ერისთავი ბარძიმ 616, 638, 639, 642, 645
ერისთავი ვარლამ, ეგზარხოსი 467
ერუშეთი 234, 271
ერწუ, ერწო 216
ესაია ხუცი 384
ესპანეთი 291, 486, 556, 558, 559, 561
ესტატე, ანტიოქიის პატრიარქი 198, 213, 240, 241, 407
ესტატე, ბერეს (ალეპოს) ეპისკოპოსი 241
ეტიუსი, ეტიაუსი (სახელმწიფო) 37, 87, 91
ეფესი იხ. ეფესო
ეფესო 220, 279, 641
ეფთვიმე, მამა იხ. ექვთიმე (ათონელი)
ეფრემ I, კათალიკოსი 420, 466
ეფრემ (ასური) 376, 378, 384
ეფრემ დიდი (ჯვრის მოღვაწე, XI ს.) 356
ეფრემ მცირე 296, 408
ეფრემ ოშკელი (ჯვრის მოღვაწე, XI ს.) 356
ეფროსინე წმ. 377
ექვთიმე (ათონელი) 296, 370—372, 376, 344, 368, 383, 384, 442
ექვთიმე არქიეპისკოპოსი 616, 632-636
ექვთიმე კათალიკოსი 417, 457, 466
ექვთიმე (ათონის მონასტრის იღუმენი) იხ. ექვთიმე (ათონელი)
ექვთიმე ბერი იხ. ექვთიმე (ათონელი)
ექვთიმე გრძელი (ჯვრის მოღვაწე, IX ს.) 356
ეჩმიაძინი 636, 687, 692, 694, 695

# ვ

ვაკორცი 76
ვალერიუსი 130
ვანა (ბაიანა) იხ. ვანი (სახელმწიფო)
ვანი (სახ.) 37, 60, 71, 82-87, 92, 94, 275
ვანი (ტბა) 37, 71, 72, 82, 89, 91, 92, 95
ვარაზ-ბაქარი, მეფე (IV ს.) 195
ვარდანი (წმ. მოწამე) 377
ვაროზი (წმ. მოწამე) 377
ვარშავა 562
ვარძია 340, 343, 416
ვასილევსკი იონა, ეგზარხოსი 467
ვასილი დიდი იხ. ბასილი დიდი
ვასპურაკანი 60, 83
ვატიკანი 204, 212, 408, 420, 427, 455, 571, 573, 574, 584, 594, 632
ვაჩნაძე ბარძიმ 612
ვახოსი (ქართლოსის ძე) 57
ვახტანგ I, გორგასალი (გურგასლანი, საქართველოს მეფე) 41, 80, 96, 100—103, 207, 242, 246-252, 260, 282, 293, 389, 402, 411, 422, 440
ვახტანგ III, 495, 496
ვახტანგ V, შაჰ-ნავაზი (ქართლის მეფე) 114, 173, 297, 428, 429, 620
ვახტანგ VI (ქართლის მეფე) 58, 80, 110, 116-119, 172, 173, 207, 296-298, 429, 430, 434, 616, 643, 644, 645, 647, 649, 657, 654-657, 659, 660, 662, 671, 672
ვახტანგ (გურიის მთავარი) 592, 593
ვახტანგ (ძე ლევან კახთა მეფისა) 421
ვახტანგ მეფეთ-მეფე იხ. ვახტანგ VI
ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი, ვახტანგ VI-ის ძე) 38, 148, 296, 297, 385, 420, 489

ვაპაკა (სომხ. ღვთაება) 83
ვაჰმანი აბბა (ზედაზნის არქიმანდრიტი, † 650) 345
ვენა 562, 688
ვენეცია 112
ვენსან დე ბოვე 287, 473
ვერიჩელი ანჯელო, პატრი იხ. ანჯელო ვერიჩელი
ვერუენი კავალერ 688
ვესპასიანე ხებასტოსი (იმპ.) 98, 99
ვიარჯელი დამიანე იხ. დამიანე ვიარჯელი
ვივესი იხ. ჯან ბატისტა დე ვივესი
ვიკარი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არქიეპისკოპოსი 713
ვიკარიოზი 638
ვინცენტ დე ბოვე იხ. ვენსან დე ბოვე
ვინჩენცო ანტონ პალეროელი, პატრი 693
ვინჩენცო კორესი (კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ვიკარი) 718
ვინჩენცო კარაფა, პატრი 575
ვირმან შაპური 76
ვირშელი, ერისთავი 507
ვიტრიაკო ი. 474
ვიტერბელი ანჯელო, იხ. ანჯელო ვიტერბელი
ვიქტარიოსი 188
ვლასი არქიმანდრიტი (ჯვრის მოღვაწე, XI ს.) 356
ვლახეთი 434, 446
ვოლოგდა 152
ვოლუსიენი (ეპისკოპოსი, V ს.) 131, 132
ვოლტერა 676
ვორონცოვი (მთავარმართებელი) 125
ვოსტი ანრი 505
ვროთანესი (გრიგოლ ეპისკოპოსის მამა) 272

## ზ

ზაბადი (საბადი) 140
ზაბი 90, 91
ზაბულონი 219
ზადენ-გორა იხ. ზადენი
ზადენი (მთა, კერპი) 156, 227, 229, 236, 257, 344, 345
ზალინ ენიბეგი 624
ზამნაქსი (წათეს მამა) 268
ზაქარია, (გელათის არქიეპისკოპოსი) 354
ზაქარია (ზედაზნის არქიმანდრიტი, †950) 345
ზაქარია I, კათალიკოსი (1624-1633) 400, 420, 427, 529, 568, 570, 575
ზაქარია, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი (1656-1659) 461, 467
ზაქარია ამირსპასალარი 414
ზაქარია რიტორი, მილიტინელი (VI ს.) 196
ზბანტარადი (ღვთაება) 83
ზებედე კათალიკოსი 420, 466
ზემო ოშორა 386
ზემო საქართველო იხ. სამცხე-საათაბაგო
ზემო ქართლი 315, 406, 450
ზემო ყობანი 73
ზენა-ხოველი (შიდა ქართლი) 58
ზენობი 274
ზენონი (იმპერატორი) 196
ზიკართუ, ზიკირტუ (სახელმწიფო) 37, 88
ზინობი, მღვდელ-მოწამე 378
ზინობია (წმ. მოწამე) 378
ზიმირი (ქვეყანა) 69
ზიპანეოსი (ქალაქი) 189
ზოსიმე 188
ზუბალოვი გიორგი 704
ზუბალოვი (ზუბალაშვილი) სტეფანე 731, 732
ზუბალოვები 704
ზუგდიდი 583, 586

# თ


თაბალი (ქვეყანა) 69

თაბორ კათალიკოსი 307, 404, 405

თაბორი (მთა) 225

თაბუკაშვილი რ. 12

თაგუნა 295

თადეოზ მოციქული 169, 273

თავრიდის ხერსონესი (ყირიმი) 189

თავრიზ-ხანი, მიტროპოლიტი 549

თავრიზი 671

თავფეჩაღ კათალიკოსი (528-542) 465

თავფეჩაღ (თავფეჩაგ) II კათალიკოსი 405, 465

თალალე კათალიკოსი 405, 465

თალალეოზ (წმ. მოწამე) 377

თალალოსი 188

თამარ, ასული აღმაშენებლისა 390

თამარ დედოფალი იხ. თამარ მეფე

თამარ მეფე (სრულიად საქართველოს მეფე, 1184-1212) 80, 103-105, 106-107, 111, 300, 337-339, 343, 387, 388, 398, 413-414, 445

თამარაშვილი მ. 7, 8, 10, 118, 178, 290, 421, 428, 431, 436, 463, 475, 476, 484, 488, 490, 491, 493 და სხვ. მრავალი

თამარატი მ. იხ. თამარაშვილი მ.

თანა 498

თარაშის კიტელნი (ავანის ძე) 58

თარგამოსი (ბიბლ.) 55, 56

თარში 55

თაღუღლი (სელჩუკთა სულთანი) 330

თაყაიშვილი ე. 163, 218, 238, 248, 277, 402, 420

თბილისი 11, 12, 32, 41-43, 57, 58, 81, 99, 101, 103, 116-118, 121, 122, 124, 148, 160, 163, 218, 249, 251, 271, 295, 296, 302 ... და მრავალი

თბილისის გუბერნია 124

თბილისის ეპარქია 505

თბილისის ციხე 507

თევდორე (ზედაზნის არქიმანდრიტი, 870) 345

თევდორე ალექსის ძე 113, 429

თევრიზ-ხანი (ქართველი მთავარი) 548, 549

თეიმურაზ I (კახეთის მეფე, ქეთევან წამებულის ძე) 420, 529, 535, 539, 540, 552-558, 560, 563-567, 571, 572, 576, 577, 579

თეიმურაზ II (კახეთის მეფე, ერეკლე II-ის მამა) 433, 434, 437, 617, 685, 689

თეიმურაზ-ხანი იხ. თეიმურაზ I

თეიმურაზი (თავადი) 77

თეიმურაზი (ლევან კახთა მეფის ძე) 421

თეირანი 32

თეკლა (წმ. მოწ.) 378

თელოვანი (სოფ.) 424

თემურლენგი 105, 111, 389, 472, 506-509, 513

თეოგნოსტა (წმ. ქალწული) 204, 208, 232

თეოდორა 317

თეოდორა ალექსანდრიელი 378

თეოდორე I, კათალიკოსი 414, 466

თეოდორე II, კათალიკოსი 418, 466

თეოდორე (ათონის იღუმენი, 1050—1058) 385

თეოდორე (გიორგი შეყენებულის მოწაფე) 372

თეოდორე (წმ. მოწამე) 188, 376, 377

თეოდორე ალექსეევიჩი იხ. თევდორე ალექსის ძე

თეოდორე ალექსის შვილი იხ. თევდორე ალექსის ძე

თეოდორე ბალსამონი (ანტიოქიის პატრიარქი, XII ს.) 248, 402

თეოდორე პირდაწერილი 383

თეოდორე ხუცესი (VII ს.) 406

თეოდორიტე 203, 207, 211, 212, 214, 215, 283

თეოდოსი (ანტიოქიის პატრიარქი) 373, 377

თეოდოსიუს დიდი (იმპერატორი) 196, 203

თეოდოსიუს მცირე (იმპერატორი) 195, 196

თეოფანე (თეოდორე პირდაწერილის ძმა) 383

თეოფანე ეპისკოპოსი 207
თეოფანე ნეტარი 204, 384
თეოფანო (ლეკაბენე იმპერატორის მეუღლე) 367
თეოფილაქტე (ალექსანდრიის ეპისკოპოსი) 193
თეოფილაქტე (ანტიოქიის პატრიარქი, 744-751) 407, 408
თეოფილაქტე (ეგზარხოსი ) 439
თეოფილაქტე (იერუსალიმის პატრიარქი) 152
თეოფილე ალექსანდრიელი 191
თეოფილე მეფე, იხ. თეიმურაზ I
თეოფილე ქართველი (ტარსის მიტროპოლიტი) 374
თერგი 31, 43
თესალია 280
თესალონიკი 367
თეძამი (მდინარე) 389
თილგარუმი (ქალაქი) 37
თინათინ დედოფალი (ლევან კახეთის მეფის თანამეცხედრე) 421
თირახი (იაფეტის ძე) 58, 59, 63
თმოგვის ციხე 311
თობელ იხ. თუბალი
თოგორმა 59, 60
თომა (იერუსალიმის ეპისკოპოსი) 140
თომა (მოციქული) 166
თომა კანტორბერი 646
თომას მინადო (თურქეთის ჯარის ექიმი) 531
თომას ტელენტელი 498
თომელ (იაფეტის ძე) 58
თორგომი (ბიბლ.) 59
თორთომი (მდინარე) 387, 422
თორნიკე ქართველი (ბერი) 103, 344, 368, 369
თორლამა (იაფეტის ძე) 58
თოღრული (არაბი მთავარი) 328
თოშეთი 216
თრაკია 279, 512
თრდატ მეფე 215, 216, 220, 272-274, 277, 278, 281 402
თრიალეთი 372, 422, 423, 506, 507
თუალი აბბა (ზედაზნის არქიმანდრიტი † 331) 345
თუბალთა (ქალაქი) 37
თუბალი (თაბალი) 37, 51, 69, 71, 74, 92, 185
თუბალების ქვეყანა (იბერია) 66, 88, 89
თუბალი (ქართლოსის ძე) 65, 66, 68, 69
თუკულთი-ახალ-ესხარა II 70
თუმანიშვილი გივი (ვახტანგ VI-ის მდივან-მწიგნობარი) 173
თუმანოვი (თავადი) 731
თურანული იმპერია 67
თურდოს ხევი 392
თურქეთი 121, 122, 124, 174, 242, 359, 606, 607, 629, 684 697, 714
თურქი ზირაქი 303
თუშბა (ქალაქი) 90, 91, 95
თუშბანა იხ. თუშბა
თუხარისი (ციხე-ქალაქი) 57
თუქულთიაფალეშარი, იხ. ტიგლათფილესერ I
თხოსი (მთა) 237

# ი

იაზონი (მით.) 47
იაკობ ალფეის ძე (ბიბლ.) 362
იაკობ მოციქული 129, 377
იაკობ მღვდელი 216, 241
იაკობ პადუელი 498
იაკობ რუსანელი (მღვდელ-მონაზონი) 484
იაკობი (არქიეპისკოპოსი) იხ. იაკობი (საქართველოს პირველი ეპისკოპოსი)
იაკობი (ბიბლ.) 140
იაკობი (მისიონერი) 488
იაკობი (მოწამე) 188
იაკობი (მამა გიორგი ათონელისა) 372

იაკობი (საქართველოს პირველი ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი) 242, 243, 402
იაკობ ტერ (ეჩმიაძინელი მღვდელი) 523, 524
იალათი 422
იალბუზი (მწვერვალი) 31, 32
იამასახპი 99
იამელეია მამუჩა (მთავარ დადიანის სიძე) 612
იანზუ (ნაირის მეფე) 88
იანცვეი 453
იაფეტი (ბიბლ) 38, 54, 55, 58, 59 61-63, 65-67
იაპონია 594
იაყუბ ხანი (XV ს.) 409
იაჯინთი, პატრი 652
იბერია 32, 38, 71, 96, 98, 169, 176, 182, 185, 192, 248, 276, 288, 439, 449, 450, 533, 557, 559, 574, 598, 608, 634, 636, 639, 659
იბრაიმ ოსმანის ძე 319
იბრაჰიმი (სულმანის ძე, ამირა) 332
იბრაჰიმი (შაჰ-არმენის მამა) 335
იეზიდი (ხორასნის მმართველი) 302
იერაპოლი 378
იერემია წმ. 53, 192
იერონიმე 53, 66, 167
იერონიმე მარია (ნურსიანელი კაპუცინი) 464
იერონიმე ნორჩელი (მისიონერი, გორის უფროსი პატრი) 435, 693
იერუსალიმი 140, 141, 144, 145, 147, 152, 156, 159, 163, 186, 191, 195, 197, 214, 216, 219, 232, 239, 256, 262, 269, 278, 288, 291, 294, 315, 338, 354, 356, 359, 360—364, 367, 372, 373, 377, 390, 411, 413, 472, 474, 494, 514, 516, 565, 609, 668
იერუსალიმის უდაბნო 269
იესე დეკანოზი იხ. გარსევანიშვილი იესე
ივანე (გრიგოლის ძე) 113
ივანე (ზაქარია ამირსპასალარის ძმა) 414
ივანე ალექსის შვილი (რუსეთის მეფე) 429
ივანე მხარგრძელი, მხედართმთავარი (ამირსპასალარი) იხ. მხარგრძელი ივანე
ივანე ორბელიანი 676
ივერია იხ. იბერია
ივლიანე (წმ. მოწამე) 377, 383
ივლიანე ებეწელი (წმ. მოწამე) 377
ივლიტა (წმ. მოწამე) 144
იზაბელა (ესპანეთის დედოფალი) 516
იზიბია (ქალაქი) 37
იზიდ-ბოზიდი (წმ. მოწამე) 377, 405, 465
იზირთი (ქალაქი) 37
იზმირი 619, 622
ითრუშანა (ღვთაება) 227
ილარიონ თუალელი 372
ილარიონ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი (XVII ს.) 462, 467
ილარიონ კათალიკოსი 465
ილარიონ ქართველი, წმ. 367
ილდეგუზი იხ. ხეზმემს ედდინ ილდეგუზი
ილინსკი ევსევი (ეგზარხოსი) 433, 440, 467
ილღაზი, ღაზი (ამირა, ორტოკის ძე) 330, 331
იმერეთი 38, 43, 44, 47, 74, 113, 114, 173, 352, 353, 392, 399, 423, 424, 429, 453, 526, 530, 592, 594-599, 604, 605 და მრავალი
ინგლისი 169
ინდი (წმ. მოწ.) 383
ინდოეთი 52, 101, 104, 214, 498, 587, 613, 614, 628
ინკმარი (რეიმსის არქიეპისკოპოსი) 132
ინოკენტი VI, რომის პაპი 472, 502, 504
ინოკენტი X, რომის პაპი 282
ინოკენტი XI, რომის პაპი 631-636, 640
ინოკენტი XII, რომის პაპი 642
ინოკენტი ეგზარხოსი 467
ინოჩენციო იხ. ინოკენტი
ინუახი (ქალაქი) 90
იოაკიმე, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 455, 466
იოაკიმი, მოსკოვის პატრიარქი 429
იოანე (ათონის იღუმენი, 1035-1036) 384
იოანე (ათონის იღუმენი, 1168) 385

იოანე (ბერი, X ს.) 346
იოანე (გადამწერი) 296
იოანე (ზედაზნის არქიმანდრიტი † 580) 345
იოანე (ზედაზნის არქიმანდრიტი, † 882) 345
იოანე (ზედაზნის არქიმანდრიტი, † 952) 345
იოანე (თბილისის ეპისკოპოსი) 505
იოანე (იერუსალიმის ეპისკოპოსი) 140
იოანე (იუსტინიანე I-ის მოხელე) 175
იოანე (მახარებელი) 138, 377, 480
იოანე (საბა ქართველის ძე) 364
იოანე (ჯვრის მოღვაწე) 356
იოანე I, ეპისკოპოსი 215, 241-243
იოანე I, კათალიკოსი 446, 465
იოანე II, კათალიკოსი 405, 445
იოანე III, კათალიკოსი 321, 333, 466
იოანე IV, კათალიკოსი 420, 466
იოანე V, კათალიკოსი 420, 466
იოანე VI. კათალიკოსი 420, 466
იოანე VII, კათალიკოსი, 420, 461, 466
იოანე VIII, კათალიკოსი 420, 466
იოანე XXII, რომის პაპი 472, 496, 498, 738
იოანე არქიეპისკოპოსი (III—IV სს.) 402
იოანე ახური 344
იოანე ბაგრატიონი იხ. ბაგრატიონი იოანე
იოანე ბერი 368, 369—372, 383
იოანე ბერი (ათონის იღუმენი) იხ. იოანე (ათონის იღუმენი, 1035-1036)
იოანე ბერძენი 152
იოანე ბოლნელი 442
იოანე გრძელი 372
იოანე გუთელი 375
იოანე დიაკონი (VII ს.) 406
იოანე ზედაზნელი 256-258, 345
იოანე-თადეოზ კარმელიტანი, პატრი 552, 578
იოანე იმინკი (თბილისის ეპისკოპოსი) 505
იოანე კათალიკოსი იხ. იოანე III, კათალიკოსი
იოანე ქართლის კათალიკოსი იხ. იოანე III, კათალიკოსი
იოანე კლემაქსი 193
იოანე მანდაკუნი 280
იოანე მეხვეტე 280
იოანე მონთეკორბინელი 490
იოანე მოწყალე 384
იოანე მტბევარი (ეპისკოპოსი) 346, 347
იოანე ნათლისმცემელი 174, 617, 690, 691
იოანე ოქროპირი 373, 376, 378, 381, 640
იოანე პატრი იხ. იოანე ფლორენციელი
იოანე პეტრიწი 442
იოანე საბანისძე 312, 410
იოანე საფარელი (კათალიკოსი) 413
იოანე ხენ-მიშელელი 505
იოანე სირიელი 242
იოანე ფლორენციელი (თბილისის ეპისკოპოსი) 472, 496, 499, 502, 503
იოანე შნაიდერი (თბილისის ეპისკოპოსი) 505
იოანე წმ. (გოთების ეპისკოპოსი) 175, 176, 446
იოანე წმ. 377
იოანე ჭიმჭიმელი 442
იოანე ხალენი 150
იოანეს ბონე (მისიონერი) იხ. ბონე იოანეს
იობენაილ პატრიარქი 224
იობი, არქიეპისკოპოსი 277, 402
იოვანე ეპისკოპოსი 233
იოვანე ლასურის ძე (კუმურდოს ეპისკოპოსი) 418
იოვანე მთავარეპისკოპოსი 216
იოვანე ლაგის შვილი 397
იოველ არქიეპისკოპოსი 402
იოველ კათალიკოსი 405, 465
იონა (ზედაზნის არქიმანდრიტი, † 815) 345
იონა არქიეპისკოპოსი 402
იონა კათალიკოსი 404
იორდანე (მდინარე) 195, 256, 584
იორდანოსი 188
იოსებ (ბიბლ.) 52, 709, 710

იოსებ ანტონი, პატრი 628
იოსებ არქიმანდრიტი (VI ს.) 264
იოსებ ბორგოიანანელი 630, 666
იოსებ კათალიკოსი 420, 437, 466
იოსებ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 467
იოსებ კორმო 625
იოსებ კორხელი 627
იოსებ ფლავიოსი 60
იოსებ ჯუდიჩი (ჯიდიჩი) იხ. ჯუდიჩი იოსებ
იოსები 383
იოსები (ზედაზნის არქიმანდრიტი) 345
იოსები (საბა ქართველის ძე) 364
იოსელიანი პლატონ 443
ირაკლი მეფე იხ. ერეკლე II
ირანი 52, 87, 104, 683
ირინე დედოფალი (კონსტანტინე კეისრის დედა) 141
ირინეოსი წმ. 189
ირისი (მდინარე) 37
ირონიმე ლანცა იხ. ლანცა ირონიმე
ისააკ განშორებული 384
ისაეკ (წმ. მოწამე) 377
ისბუინი I (მეფე) 87, 90
ისბუინი II (მეფე) 87
ისბუინი III (მეფე) 87
ისე (შიხის ძე) 302
ისე ეპისკოპოსი 242, 262, 263
ისე წილკნის ეპისკოპოსი იხ. ისე ეპისკოპოსი
ისთუნდა 88
ისიდორე ეგზარხოსი 439
ისიდორე წმ. (VII ს.) 166
ისკოგულუსი 37
ისმაილ-ბეგი 514, 515
ისმაილი იხ. ისმაილ-ბეგი
ისო (ნავსადგური) 167
ისპაანი, ისპაპანი 544, 563, 568, 578, 617, 649, 655, 656, 681-684
ისპანია (ესპანეთი) 544
ისპირის მთა 387
ისრაელ ორი 669
ისრაელი 220, 487
ისტროსი 190
იუბენალი 219
იუდა (ბიბლ.) 425
იუდეა 130
იულიუსი 188
იულონ (ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ძე) 706
იუსტინე 268
იუსტინიანე I კეისარი (იმპერატორი) 115, 164, 175, 252, 266-269, 294, 351, 354, 403-406, 453
იუსუფ ფაშა (საფარ ფაშას ძე) 532
ისქიგული (ქვეყანა) 88
ისშირიონი 188
ისმაკი 303
იტალია 11, 62, 171, 427, 486, 555, 563, 583, 619, 622, 671, 706, 707
იტე (მეფე) 88
იშამი (ხალიფა) 102
იშიტუტრუქის კლდე 389
იხსარისი (მეფე) 87

## კ

კაბადუკია, კაბადოკია 36, 37, 62, 63, 67, 74, 95, 166, 184, 186, 187, 219, 232, 279
კაგალნიკი (მდინარე) 31
კაენი (ბიბლ.) 425
კავადი (სპარსეთის მეფე) 252, 268
კავთისხევი 398
კავკას (თარგამოსის ძე) 55
კავკასი (გმირი) 56
კავკასია 26, 30, 32, 34-37, 40, 54-56, 60, 62, 63, 67, 69, 73-75, 78, 82, 85, 86, 96, 99, 100 და მრავალი
კავკასიონი (ქედი) 29, 30—32, 34, 38, 39; 43, 62, 103, 115, 190, 252, 654, 683, 714
კავკასიძე მელქისედეკ (XVII ს) 298

კაკია (მეფე) 89
კაიუს კეისარი 100
კალაუსი (მდინარე) 31
კალიხტო III, პაპი 472, 509, 511, 512, 515
კალისტრატე (წმ. მოწამე) 378
კაპადოკია იხ. კაბადუკია
კაპონიო (კარდინალი) 611
კარალა (ქვეყანა) 88
კარავა ვინჩენციო იხ. ვინჩენციო კარავა
კარბელაშვილი პოლიევქტოსი (მღვდელი) 169, 190, 403, 420
კარენიტიდი (დასავლეთ ევფრატის სათავე) 95
კარი 422
კარიერი მ.ა. 59, 60, 211, 212
კარლ VI, ავსტრიის იმპერატორი (XVIII ს.) 118
კარლო მარია სან-მარინოელი, პატრი (მისიონერი) 620—622
კარლო, კაპუცინი პატრი იხ. კარლო მარია სან-მარინოელი
კარლოს დიდი 141, 142
კარმელიტების მთა 584
კარსანი 424
კასესი (სახელმწიფო) 37
კასიანე, რომთა პაპი 384
კასიოდორი 131
კასპი 58
კასპია 30—32, 38, 39, 373
კასპიანა 95
კასპიის ზღვა 38, 39, 48, 53, 72, 78, 103, 169, 276, 302
კასპიის მთები იხ. კასპია
კასტანი (სახელმწიფო) 37
კასტელი ქრისტეფორე 164, 460, 557, 571, 577, 579, 582, 583, 585, 589, 591-605, 607
კატარზასი (კუმუხთა მეფე) 88
კაშიარა (ქვეყანა) 68
კაშკუ 69
კახეთი 39, 57, 307, 317, 392, 395, 406, 422, 423, 429, 433, 461, 529, 533, 537, 542, 543
კახეთის სამეფო იხ. კახეთი
კელასი (წმ. მოწამე) 378
კემსი 515, 534
კესარია 279
კესტალჯი 328
კვართი უფლისა 128, 141, 142, 162, 187, 207, 317
კვინტუს კურციუსი (ლათინი ავტორი) 96
კვიპროსი 167, 367, 494
კვირიკე (ზედაზნის არქიმანდრიტი, † 916) 345
კვირიკე (წმ. მოწამე) 444
კვირიაკოს (მოწამე) 189
კვირიაკოს განშორებული 378
კვირილე კათალიკოსი იხ. კირილე კათალიკოსი
კვირიონ კათალიკოსი იხ. კირიონ კათალიკოსი
კვიროს (წმ. მოწამე) 377
კიახუ (მეფე) 88
კიევი 152, 325, 446, 464
კივარიანე (წმ. მოწამე) 377
კირიაკი 188
კირილე კათალიკოსი 405, 465
კირილე მთავარეპისკოპოსი (იერუსალიმელი) 378
კირილე მონაზონი (კონსტანტინოპოლის პატრიარქი) 435
კირილე პატრიარქი (ანტიოქიისა) 677
კირმარი, კარმანია 535
კირიონ II კათალიკოსი 405, 465
კირიონ ეპისკოპოსი (ეგზარხოსის ქორეპისკოპოსი) 451, 452
კირიონ ქართლის კათალიკოსი 272, 283-286, 288
კირკე (აიეტის და; მით.) 96
კიროსი იხ. მტკვარი
კიროსი (მეფე) 95, 96
კირური (ქვეყანა) 37, 90
კისასი (ქვეყანა) 88
კისი (ნესტორიანელი პატრი) 283
კლარჯეთი 155, 211, 311, 422
კლაუდიო, პატრი 681
კლდეკარი 525
კლემენტ (კლემენ) III, პაპი 510
კლემენტ IV, პაპი 472
კლემენტ (კლემენ) VI, პაპი 502
კლემენტ VII, პაპი (ავინიონისა) 505
კლემენტ VIII, პაპი 623
კლემენტ (კლემენ) XI, პაპი 401, 462, 463, 646, 653, 659, 661

კლემენტ XIII, პაპი 690
კლემენტ XIV, პაპი 11, 617, 646, 689
კლემენტი 640
კლემენტი გალანო, თეატინელი მისიონერი იხ. გალანო კლემენტი
კლემენტი კათალიკოსი (VIII ს.) 410
კლემენტიოს წმ., ეპისკოპოსი 189, 190
კლემენტოს კათალიკოსი 405, 465
კლემენტოს, რომთა პაპი 381
კლიმიჩაძე ბრეძა 394
კლისურა 307
კნობელი 67
კოადე სპარსთა მეფე იხ. კავადი (სპარსეთის მეფე)
კობლეცი 135
კოდორი 31
კოზმან (წმ. მოწამე) 377, 384
კოზიმო III, ტოსკანის ჰერცოგი 660
კოკაჲსშვილი 395
კოლა 422
კოლეტი ბერთრანდო 472, 502-504
კოლონია 562
კოლხეთი 33, 34, 39, 48, 62, 63, 64, 67, 96, 115, 167, 168, 175, 177, 184, 185, 190, 266, 270, 464, 582, 598
კოლხიდი იხ. კოლხეთი
კომი 565
კომანუ (ქალაქი) 37
კონდრატუსი 188
კონსტანტი კეისარი იხ. კონსტანტინე დიდი
კონსტანტინე დიდი, კეისარი 131, 133, 141, 173, 198, 202, 203, 207, 211-215, 217, 220, 233, 235, 238, 239, 241, 244, 271, 278, 355, 567, 573
კონსტანტინე მეფე 377
კონსტანტინე მეფე 393
კონსტანტინე მეფე (დაკრძალული ვარძიაში) 387
კონსტანტინე მეფე (ძე კოსტაჲსი) 214
კონსტანტინე III (ქართლის მეფე კონსტანტინე II) 516, 518
კონსტანტინე IV, პოგონატი (668-685) 406, 422
კონსტანტინე V კოპრონიმი (741-775) 175, 407
კონსტანტინე IX მონომახი (1042-1054) 372
კონსტანტინე XI დუკა (1059-1097) 375
კონსტანტინე (ძე ლევან კახთა მეფისა) 421
კონსტანტინე (?) 338
კონსტანტინე (წმ. მოწამე, არგვეთის მთავარი, მხეიძეთა გვარიდან, VIII ს.) 102, 304-306, 525
კონსტანტინე (წმ. მოწამე, ზემო ქართლის მთავარი, IX ს.) 312, 315-317
კონსტანტინე წამებული (ჯვრის მოღვაწე, IX ს.) 356
კონსტანტინოპოლი 11, 12, 74, 112, 115, 119, 131, 133, 139, 141, 174, 176, 203, 232, 233, 239, 243, 246, 248, 267, 268, 273, 282, 307, 334, 344, 368, 369, 375, 431, 435 და მრავალი
კონსტანცია (სალამინი) 167
კონსტანციუსი იხ. კონსტანტინე დიდი
კორდილიოსი 189
კორდუენი (მთა) 53
კორესი ვინჩენცო იხ. ვინჩენცო კორესი
კორნელიე ასისთავი, წმ. 378
კორნელი პაპი 130
კორიუნი (სომეხი ისტორიკოსი) 273
კორუსი, კირუსი (მტკვარი) 96
კოსტა 214
კოსტრომა 152
კოტატისი, კუტაისი იხ. ქუთაისი
კოტატიონი იხ. ქუთაისი
კორტუზა (დადიანის ვეზირი) 547-549
კოცებუ (ლუთერანელი პოლკოვნიკი) 718
კრება (საეკლესიო):
- დვინის 283, 285-287
- ეფესოს (II მსოფ. კრება) 641
- რუის-ურბნისის 300, 321, 323
- ქალკედონის 284-287, 403, 641

კრემონელი გვიძარდო იხ. გვიძარდო კრემონელი
კრეტა 62
კრწანისი 424

კუეს მხარე 93
კუმა (მდინარე) 31
კუმუ (ქვეყანა) 68
კუმურდო 417, 418
კური (მტკვარი) 332
კუხოსი (ქართლოსის ძე) 57
კუჭაძე 395
კხოეთა (დაბა) 216-218

# ლ

ლავრენტი პლაჩინელი (მისიონერი) 462
ლაზარე ფარპელი 274
ლაზარე წმ. 647
ლაზეთი იხ. ლაზიკა
ლაზიკა 38, 47, 74, 115, 252, 266-270
ლაიპციგი 195
ლაკტანსი 221
ლალი (მეფე ეტოუსისა) 87
ლამბერტი არქანჯელო, პატრი (მისიონერი, XVII ს.) 169, 427, 267, 471, 488, 568-570, 575, 583, 592, 604, 610, 613
ლანგ-თემური იხ. თემურლენგი
ლანგლუა 274, 490, 491
ლანცა ირონიმე (სმირნის ვიკარია) 676
ლატრანი 477, 484, 488
ლაშა-გიორგი (თამარ მეფის ძე) 111
ლებედევა ო. 455
ლებედევი პავლე (ეგზარხოსი, 1882-1887) 467
ლევან კახთა მეფე (ალ-გიორგის ძე, XVI ს.) 421, 519, 521
ლევან მეფე (გიორგი XI-ის ძმა, ვახტანგ VI-ის მამა) 297, 634, 644
ლევან მღვდელ-მოწამე 377
ლევანი (გმირი) 56
ლევაშოვი (ქუთაისის გუბერნატორი 440
ლეკ (თარგამოსის ძე) 55
ლეკაბენე პაპი 367
ლეონ IX, 142
ლეონ მეფე იხ. ლევან კახთა მეფე
ლეონ ძაგამელი, ძაგამისა იხ. ლევან კახთა მეფე
ლეონიდე ოქროპირიძე იხ. ოქროპირიძე ლეონიდე
ლეონტი (წმ. მოწამე) 377
ლეონტი მროველი 442
ლიგანისხევი 422
ლიდია (სამეფო) 70
ლიეანა 121
ლიეორნა, ლიეორნო 676, 677
ლიდი (ქალაქი) 137
ლიმანი 364
ლიონი 617, 716
ლიპარიტი იხ. ანტონი, ბარლამწმინდას წინამძღვარი
ლიპარიტი (დადიანის ბიძა) 548
ლიპარტიანი (მთავარი) 461
ლიტიმრი (მეფე) 87
ლიჩი (სოფელი) 394, 395
ლიხი (მთა, ქედი) 55, 56, 424, 461
ლიხეთის მთა იხ. ლიხი
ლიხთ-იმერეთი 507
ლომინაძე 394
ლომეკი (მდინარე) 56
ლომოური თ. 148
ლომსაძე შ. 11
ლონგინი 188
ლონგინოზ იხ. ლონგინოზ კარსნელი
ლონგინოზ კარსნელი 145, 146
ლონგინოს ასისთავი (წმ. მოწამე) 377
ლონგინოსი (წმ. მოწამე) 189
ლონგიონი 235
ლონდონი 185, 195
ლოპამონი ანდრია 578
ლორე 429, 713, 720
ლორის ციხე 387
ლუარსაბ I, დიდი (ქართლის მეფე 1534-1558) 179, 207, 519, 521-523
ლუარსაბ II (ქართლის მეფე, 1606-

1615) 533, 535, 536
ლუდოვიკე ბოლონიელი 510, 511, 512, 513, 515
ლუდოვიკე გრანჯერიო 545
ლუდოვიკო პერეისე დე ლაჩერდა 544
ლუი XI (საფრანგეთის მეფე) 515
ლუი XIV (საფრანგეთის მეფე) 616, 645, 655, 663, 682
ლუი მამა იხ. ლუდოვიკე გრანჯერიო
ლუი ბოლონიელი იხ. ლუდოვიკე ბოლონიელი
ლუკა მოციქული (მახარებელი) 378
ლუკანოსი 188
ლუკიანე 260, 261
ლუკუნის მთა 387
ლუნკინოს კარსნელი იხ. ლონგინოზ კარსნელი
ლუნუნისი 88
ლურდი 728
ლურდის ღვთისმშობელი (ქანდაკება) 728, 729
ლუსა 88

## მ

მაგნერიკუსი (ტრირის ეპისკოპოსი, 573-576) 134
მაგოგი (იაფეტის ძე) 58
მაერი 548
მავრიკიოსი — მავრიკე (იმპერატორი) 102, 283
მაზაკა 37, 67
მაზამუა (ქალაქი) 37
მაზანდარანი (პროვინცია) 534, 535
მათე ედესელი 320, 330, 332, 333
მათე თიანეთელი 491
მათე (მახარებელი) 130, 131, 138
მაიუმი (პალესტინის ქალაქი) 161, 184, 194-197
მაკარი (მეგვიპტელი) 191, 384
მაკარი (ტრაპიზონის არქიეპისკოპოსი) 609
მაკარი (წმ. მოწამე) 378
მთავარი წმ. იხ. მაკარი (მეგვიპტელი)
მაკარი კათალიკოსი (557-570) 402, 465
მაკარიოზ იხ. მაკარიოს
მაკარიოს III, ანტიოქიის პატრიარქი (XVII ს.) 455, 456
მაკარიოს III ზაინი, ანტიოქიის პატრიარქი იხ. მაკარიოს III, ანტიოქიის პატრიარქი
მაკარიოს არქიმანდრიტი 113
მაკარიოს ეპისკოპოსი 548, 549
მალალა (იოანე, ბიზანტიელი ისტორიკოსი) 212
მალაქია გურიელი, აფხაზეთის კათალიკოსი იხ. მალაქია II, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი
მალაქია კათალიკოსი (1532-1549) 420, 421
მალაქია II, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი (1605-1639) 401, 455, 457, 459, 460, 462, 467, 589, 591
მალაქია გურიელი, აფხაზეთის კათალიკოსი იხ. მალაქია II
მალაქია პატრიარქი, გურიის მთავარი იხ. მალაქია II
მალაქიონი იხ. მალაქია II
მალიქ-შაჰი 323
მალიშევსკი ჟ.ჟ. (კიევის თეოლოგიური აკადემიის პროფესორი) 446
მალტა 571
მალცევი (გამომც.) 152
მამაი (წმ. მოწამე) 377
მამაი კათალიკოსი 405, 410, 465
მამაი (ზედაზნის არქიმანდრიტი, † 762) 345
მამა-დავითი (მთა) 260
მალმანურ-აშირ II (სალმანასარ მეფე, ძვ.წ. X ს.) 69
მამუჩა იამელეა იხ. იამელეა მამუჩა
მანა (ქვეყანა) 69, 89, 91

მანავაზიანი 60, 83
მანაზკერტი 336
მანაი (ქვეყანა) იხ. მანა
მანასე 53
მანგლისი 234, 271
მანია (მამია), გურიის მთავარი 512
მანიჩი ალმ. (მდინარე) 31
მანტუი 512
მანუჩარ ათაბაგი 343, 396, 409, 544
მანუჩარ ხანი (ათაბაგი) იხ. მანუჩარ ათაბაგი
მარ აბას კატინა (სირიელი ისტორიკოსი) 59, 211
მარგულია 547
მარდანი 330
მარი ნ. 195, 275
მარიამ დედოფალი (XVII ს., უნდა გულისხმობდეს ქეთევან წამებულს) 534
მარიამ დედოფალი ქართველთა (XI ს.) 373
მარიამ მაგდანელი (მაგდალინელი) 223
მარიამ ნიშნის ციხე-სიმაგრე 326
მარიამი (გიორგი მთაწმინდლის დედა) 372
მარილისი 392
მარინე წმ. 377
მარიუსი, პატრი 708
მარკელე არქიმანდრიტი 383
მარკიანე (წმ. მოწ.) 378
მარკიონი (ფაზისის ეპისკოპოსი) 184, 188, 190, 192
მარკიონი (პონტოელი ერეტიკოსი) იხ. მარკიონი (ფაზისის ეპისკოპოსი)
მარკოზ კათალიკოსი (1460—1464) 420, 466
მარკოზ მახარებელი 138, 377
მარკო რობანო, იხ. რობანო მარკო
მარმუა (სახელმწიფო) 37
მარსელი 650, 651, 658
მარტაცი (სოფელი) 424
მარტვირი (წმ. მოწამე) 377
მარტინ V 505
მარტიროლოგი 235
მარტყოფის წყალი 392
მარცელინი 48
მარჯანიძე 424
მასაგეტი 190
მასისი (არარატის მთა) 52, 53, 55, 190
მასპერო 63, 72
მასქუთი 211
მატა 37, 159
მატათა (მოციქული) 169
მაქსენციუსი 214
მაქსიმე (ტირანი) 203, 204
მაქსიმე (წმ. მოწამე) 189
მაქსიმე აღმსარებელი 383
მაქსიმე, დას. საქართველოს კათალიკოსი (1640—1657) 459, 467
მაქსიმე II, დას. საქართველოს კათალიკოსი (1776-1795) 464, 467
მაქსიმიანე იმპერატორი 189
მაღრაძე 395
მაყვლოვანი 215, 218, 227, 228, 232, 237
მაშლაელი 213
მაჯო ფრანცისკო 583
მაჰდი (ამირა, აბდილ ამირა მუმნის ძე, VIII ს.) 312, 525
მაჰმუდი იხ. მუჰამედი (სულთან მელიქ-შაჰის ძმა)
მედეა (მით.) 47, 96
მელანია რომაელი 191, 193, 383
მელეტი მთავარეპისკოპოსი 376
მელიტენი, მილიდუ (ქვეყ.) 91
მელიქ-შაჰი (სულთანი) 328
მელქისედეკ I, კათალიკოსი (IX ს.) 400, 411, 412
მელქისედეკ II, კათალიკოსი (1524-1540) 420, 466, 519
მელქისედეკ გელათის ეპისკოპოსი (XVI ს.) 455
მელქიტი ნიკონი (ბერი, IX ს.) 198, 204, 212, 213, 363, 407
მემნოსი 188
მენევენტო 488
მენუა I (ურარტუს მეფე, 782—778 ძვ.წ.) 87, 90, 91
მენუა II (ურარტუს მეფე, ძვ.წ. VI ს.) 87, 94, 95
მერაბაშვილი ი. 11
მერკვირი (წმ. მოწამე) 377
მერუ (მთა) 52
მესინა 556
მესოპოტამია 72, 92
მესროპი (მაშტოცი) 76, 77

მესროფი (კართაპეტი, XVII ს.) 667
მესხეთი 65
მეტეხი (სოფელი ქართლში) 390, 424
მზეჭაბუკი (სომხეთის მთავარი) 454
მთიულეთი 493
მიაფორი 219, 220
მიდია 69, 95, 515
მითა (მუშკუს მეფე) 69, 70
მითამზანი (ქვეყანა) 69
მითრიდატე (მეფე) 60, 98, 99
მილიდა, მილიდი, მელიტენი (სახელმწიფო) 37, 71, 87, 91
მინადორა (წმ. მოწამე) 378
მინი (სამეფო) 53
მინი ჟ. (გამომცემელი) 142
მინიასი (ქვეყანა) 52
მირდატ III (მეფე) 206, 402
მირდატ IV (მეფე) 244
მირდატ V (მეფე, არჩილ I-ის ძე) 293
მირდატი 295, 402
მირი, მეფე (სტეფანოზის ძე) 305, 325
მირი ეპისკოპოსი 561
მირიან, მირან (მეფე ქართლისა) 100, 101, 147, 148, 198, 201, 203, 206, 209, 215, 218, 224, 228, 231, 233-235, 238-240, 243, 271, 307, 355, 402
მირსკი სვიატოპოლკი 724
მისხანი 123
მიტა (მუშქთა, მოსოხთა მეფე) 88, 93
მიტატი (მეფე) 88
მიტრადორა (წმ. მოწამე) 378
მიქაელ I, კათალიკოსი (X ს.) 411, 466
მიქაელ II, კათალიკოსი (XII ს.) 413, 414, 466
მიქაელ III, კათალიკოსი (XV ს.) 418, 466
მიქაელ IV, პაფლაგონელი (1034-1041) 372
მიქაელ V, კალაპატოსი (1041-1042) 372
მიქაელ არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი 246-248, 402
მიქაელ დვალი იხ. დვალი მიქაელ
მიქაელ კათალიკოსი (VII—VIII სს.) 405, 410
მიქაელ კრუელარიოსი 483
მიქაელ მოდრეკილი 346, 350
მიქაელ მონაზონი (წმ. მოწამე) 377
მიქაელ ტუჯითელი 642, 643, 679
მიქაელ ციქრილე (ჯვრის მოღვაწე) 356
მიქაელი (ათონის იღუმენი) 385
მიქაელი (ზედაზნის არქიმანდრიტი, † 946) 345
მიქაელი (ტაო-კლარჯელი მოღვაწე) 346
მიქელ გისლერიო იხ. გისლერიო მიქელ
მიქელ მამა (ულუმბოს წინამძღვარი) 390
მიქელ მთავარანგელოზი 177, 343, 352
მიქელაძე თ. 185
მიშელი 669
მიხეილ თედორეს ძე (რუს. მეფე, XVII ს.) 152
მიხეილი 317
მიჰრანი (იბერთა მეფე) იხ. მირიან მეფე
მოაბელი 305, 306
მობიდანი, მობიდანე (ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი) 246, 402
მოგილიოვი 617, 700, 703, 713
მოვაკანი (თარგამოსის ძე) 55
მოვაკანი 55, 121
მოვაკნეთი იხ. მოვაკანი
მოზდოკი 32
მოთუდი (ხალიფა) 302
მოკათორიო 549
მოლდავეთი 446
მონასტერი:
- აბრაამ წმ. (იერუსალიმში) 362
- ალავერდის 440
- არმაზის 424
- ახალციხის 708, 709
- ათანასეს ლავრა (ათონზე) 368
- ათონის 344, 369, 370, 413
- ბარლამწმინდას (აფხაზეთში)
- ბასილი წმ. (იერუსალიმში) 362
- ბეთანიის 389
- ბეთლემის გამოქვაბულის 362

ბერძუჯის მთაზე (კახეთში) 388
ბრეთის 390
ბოდავის 392
ბოდბის 440
გარეჯის (ნათლისმცემლის, ჩიჩხიტური, დავით-გარეჯი, ბერთუბანი) 346, 389
გიალის 365
გელათის 319, 348-350, 353, 399, 440, 456, 457
გვიანას 387
გუდარეხის 388
დადეშის (საჯავახოში) 386
დავით გარეჯელის იხ. გარეჯის
დირბის 390
ეზრას (შავ მთაზე) 363
ვანას, ვანის (საჯავახოში) 385
ვარძიის 387
ზარზმის (საჯავახოში) 385
ზედაზნის 345, 410
ზემო-ოშარას ხევით (საჯავახოში) 386
თბილისის 488
თესალონიკის 366
თირის 390
თილევას ჯვრის 390
იაკობ წმ., ალფესის ძის 363
ივირონის (ღვთისმშობლის სახელობის ქართული, ათონზე) 367, 368, 370, 376, 384, 442
იოანე ნათლისმცემლის 440
იოანე ღვთისმეტყველის (ქართველთა, იერუსალიმში) 362
იტრიას ყოვლად წმიდის 391
იშხნის 346
კაბენის (ლეღათა) 388
კალიპოსი ( ანტიოქიაში) 363, 373
კალმახის 346
კონსტანტინოპოლის 366
კორკონის ღვთისმშობლის სახ. 389
კოჯრის 388
კუნძულ კვიპროსზე 366
კუნძულ კრეტაზე 366
ლავრა (ქართლ.) 424
ლეპარე წმ. (პარიზში) 661
ლიონის ციხის ზემოთ 387
ლურჯმონასტერი (წმ. გიორგის სახ.) 389
ლუვის წესის კაპუცინების (კონსტანტინოპოლში) 709
მალემწის 424
მარინე წმ. 392
მარჯეხის 389, 424
მეჯურეკეთის 390
მთა-წმიდის ([illegible]) 389
მინა წმ. (სინის მთაზე) 363
[illegible] [illegible] ორდენის 634
მოწამეთის 392, 393
მღვიმის ([illegible]) 364
მცხეთის ჯვრის 395
ნათლისმცემლის (ქართლში) 389
ნათლის-ცემლის ([illegible] მთის [illegible]) 387
[illegible] 390
[illegible] წმ. [illegible] 36[illegible]
[illegible] [illegible]
[illegible] წმ. [illegible] 389
[illegible] [illegible] 364
[illegible] 390
[illegible] [illegible]
[illegible] 34[illegible]
[illegible] 367
[illegible] ([illegible]) 361
[illegible] ([illegible] [illegible] გოლგოთაზე) 390
[illegible] ([illegible] [illegible] ასკალონის) 352
[illegible] წმ. [illegible] [illegible] იორდანეს [illegible]) [illegible]
[illegible] 34[illegible], 393, 396, 397
[illegible] ([illegible] [illegible] [illegible]) 363, 3[illegible]
[illegible] ([illegible]) 389
[illegible] [illegible] 393
[illegible] 392
[illegible] [illegible] 344, 390, 393-395
[illegible] 387
ქარზამეთის (საჯავახოში) 387
ქართველთა [illegible] (კონსტანტინოპოლში) 729

ქარალურის (კახეთი) 392
ქვათახევის 389
ქოზიფას 390
ქსნის 295
ქულივიძენი (?) 424
ქციის ხრამში, პირღებულში 387
ყვირილის ხეობის იხ. მოწამეთას
ყინცვისის (ყინწვისის) წმ. ნიკოლოზის სახ. 390
ყოვლადწმინდის ახალ-ქალაქური 389
შატბერდის 346
შემოქმედის 440
შიო მღვიმელის 344, 346, 410, 415
შორაპნის 386
შუამთის 392
ცხრა-კარას 392
წითელ-ეკლესიის 387
წინარეხის 389
წრომის ყოვლადწმიდის 390
წულრულა-შენის 388
ხანძთის 346
ხახულის ღვთისმშობლის სახ. 387
ხირსას (კახეთში) 392
ხოფის იოანე ნათლისმცემლის 390
ჯანდრის 387
ჯვრის (იერუსალიმში) 239, 240, 247, 344, 354-357, 359, 362, 365, 373, 385, 390
ჯრუჭის 295
ჯუმათის 440
ჰუჯაბის 387
მონტუგი 636, 671
მონტუმი იხ. მონტუგი
მონღოლეთი 415, 417
მორგანი 73
მორდმანი (ავტ.) 84
მორი, კაპუცინი მამა (XVIII ს.) 120
მოსე (ბიბლ.) 52, 145, 150, 177, 222
მოსე (ცურტავის ეპისკოპოსი) 285
მოსე (მოჰამედის ძე, ხალიფა) 315
მოსე (წმ. ბასილის ორდენის წევრი) 540
მოსე ხორენელი 59, 60, 68, 73, 198, 204, 209—212, 215, 232, 272, 274, 281
მოსეს მთა (არაბ. ჯექამ) 364
მოსკოვი 114, 150, 152, 272, 296, 298, 360, 402, 446
მოსული 104
მოსოხი, მუსკუ (სახ.) 37, 92
მოსოხი (ქართლოსის ძე, ბიბლ.) 51, 65-69, 71, 74
მოსოქი (იაფეტის ძე, ბიბლ.) 58, 65
მოსხეთი 185
მოსხეთის მთები 65
მოხისი (სოფ. ქართლში) 424
მოჰამედი (ჭიჭნაუმის მამა) 307
მოჰდი (მოსე ხალიფას მამა) 315
მოჰმედი (ხალილის ძე) 302
მტკვარი, მტკუარი 31, 38, 56-58, 65, 66, 169, 180, 215, 303, 377, 389, 424, 439, 441
მტკვარი— ქართული იორდანე 441
მტკვრის ხეობა იხ. მტკვარი
მუგალუ (თაბალთა მეფე) 88
მუელერი (გამომც.) 129
მუთავაქილი (ხალიფა) 302
მურვან-ბენ-მოჰამედი იხ. მურვან ყრუ
მურვან ყრუ 102, 302, 305-308, 311, 392
მურვანოს (ვარაზ-ბაქარის ძე) 195
მუსასირი (არისა, ქვეყანა) 37, 71, 88—90, 92
მუსკუ იხ. მოსოხი
მუსრი (ქვეყანა) 37
მუტალუმი (მეფე) 88
მუტარიზ-აშური (სარდალი) 90
მუშაია 68
მუშე 69
მუშკუ იხ. მოსოხი
მუხათ-გვერდი (სოფელი) 424
მუხაური 390
მუჰამედ ოსმალთა იმპერატორი (XV ს.) 512
მუჰამედი (მოციქული) 33, 326
მუჰამედი (სულთან მელიქ-შაჰის ძმა) 328, 329
მცირე აზია, 30, 43, 51, 61, 63,

67, 69, 72-74, 84, 86, 168, 184, 185, 278

მცხეთა 41, 66, 81, 144-146, 148, 149, 215-217, 221-223, 226, 227, 301, 302, 317, 375 და მრავალი

მცხეთოსი (ქართლოსის ძე) 51, 57, 64-66, 81

მძორეთი 390

მხარგრძელი ივანე (სპასალარი) 475, 477

მხეიძე 394, 395

# Ნ

ნაბახტევი 395

ნაბუქოდონოსორი (ბიბლ.) 144

ნადირ-შაჰი (სპარსეთის მეფე) 119

ნაზარი (წმ. მოწამე) 377

ნაზიმ-ალმულკი 332

ნაზირი (მთა) 52

ნათია დედოფალი 393, 395

ნაირი (სახელმწიფო) 37, 82, 86, 88—90

ნანა დედოფალი (მირიან მეფის თანამეცხედრე) 215, 216, 223, 226-228, 238, 239

ნანი (სომხური ღვთაება) 83

ნანხი (ეპარქია) 235

ნასადორი (ელჩი) 598

ნაქულბაქევი (სოფელი) 424

ნახჩევანი 520, 561

ნეანდრე (XVI ს.) 176, 445

ნეაპოლი 550, 559, 624, 638

ნებროთი (ბიბლ. მეფე) 56, 81

ნეკტარი (კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსი) 376

ნეიპარდი (გენერალი) 718, 719, 721

ნეკრესი 263

ნეოფიტე (ურბნისის ეპისკოპოსი) 317, 318

ნერგანოსი 188

ნერსე (ერისთავი, ადარნესე კურაპალატის ძე) 312, 314

ნერსე („შეაღს“) სომხების კათალიკოსი 277, 280, 285, 723

ნერსე მთავარ-ეპისკოპოსი (წმ. მოწამე) 377

ნერშაპუჰ ეპისკოპოსი (VI ს.) 280

ნესტორი (ნესტორიანელთა მამამთავარი) 289, 290, 425

ნექტარი (ვოლოგდის არქიეპისკოპოსი) 152

ნიაბი (სოფელი) 424

ნიბური (ქვეყანა) 37, 90

ნიგლა 159

ნიკეა 220, 279, 282, 641

ნიკიტა (წმ. მოწ.) 378

ნიკიტა პაფლაგონიელი 167, 168

ნიკიფორე (ალექსანდრიის პატრიარქი) 530, 599

ნიკიფორე (ისტორიკოსი, XIV ს.) 176

ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ I-ის დესპანი რომში) 529, 558-563, 565, 566, 570, 575, 577, 583, 592

ნიკიფორე კალისტე 166, 192

ნიკიფორე მამა იხ. ნიკიფორე ირბახი

ნიკოლა რუთილიანი, პატრი 700, 704-707

ნიკოლა პატრი (რუთინიანელი) იხ. ნიკოლა რუთილიანი

ნიკოლაოზ გულაბერისძე (ნიკოლოზ გულაბერიძე) იხ. ნიკოლოზ I, კათალიკოსი, პატრიარქი

ნიკოლაოზ წმ. 384

ნიკოლაოს იხ. ნიკოლაოზ გულაბერიძე

ნიკოლო მარია ბორჯიელი ხან-სეპოლქრო, პატრი 680

ნიკოლო ჯირჯენტელი, პატრი 676, 681, 682

ნიკოლოზ I, კათალიკოსი, პატრიარქი (გულაბერიძე, გიორგი II-ის დროს, XII ს.) 149, 338, 33, 466

ნიკოლოზ I, [illegible] 467
ნიკოლოზ II, კათალიკოსი (XIII ს.) 400, 415-417, 466
ნიკოლოზ III, კათალიკოსი (XIV ს.) 418, 466
ნიკოლოზ IV, კათალიკოსი (XVI ს.) 420, 428, 466
ნიკოლოზ V, კათალიკოსი (XVI ს.) 420, 466
ნიკოლოზ VI, კათალიკოსი (XVII ს.) 400, 420, 429, 459, 461, 462, 466
ნიკოლოზ VII, კათალიკოსი (XVIII ს.) 400, 420, 428, 431-433, 466
ნიკოლოზ IV, პაპი 472, 489, 492
ნიკოლოზ V, პაპი 505, 511
ნიკოლოზ ამილახვარიშვილი იხ. ნიკოლოზ VI კათალიკოსი
ნიკოლოზ [illegible] 52, 53
ნიკოლოზ ეგზარხოსი (1905-1906) 467
ნიკოლოზ [illegible] იხ. [illegible]
ნიკოლოზ [illegible] 611
ნიკოლოზ [illegible] 613
ნიკოლოზ [illegible] 617
ნიკოლოზ [illegible] იხ. ნიკოლოზ
ნიკოლოზ [illegible] 385
ნიკოლოზი ([illegible]) [illegible]
ნიკოლსკი ისიდორ (ეგზარხოსი, 1844-1859) 467
ნიკომიდია, ნიკომედია 131, 278, 353
ნიკონი, ბერი 241, 408
ნიკონი ეგზარხოსი (1906-1908) 467
ნიკოპსი (ქალაქი) იხ. ნიკოფსია
ნიკოპზი იხ. ნიკოფსია
ნიკორწმინდა 343
ნიკოფსია 160, 169, 374
ნილოს მონაზონი (კონსტანტინე III-ის [illegible]) 516-518
ნილოსი (ორატორი) იხ. ნილოს მონაზონი
ნიმფოდორა (წმ. მოწამე) 378
ნინევია 90
ნინო წმ. (ქართველთა განმანათლებელი) 9, 100, 106, 147, 161-163, 173, 184, 198, 199, 209, 213, 215-221, 223, 224, 226-238, 241, 243, 272, 355, 415, 439, 441, 573
[illegible] 527-534
ნიტრიის უდაბნო 191
ნიქოზი (სოფ. ქართლში) 252
ნოე (მამამთ.) 51, 53, 55
[illegible] ხევი 392
[illegible] 424
ნუნე ([illegible]) 37
ნუნე იხ. ნინო წმ.
ნუხა, ნუხი 121, 714

(ო)

ოდიში 73, 173, 424, 461, 582, 584, 598, 607, 706
ოვსეთი იხ. ოსეთი
ოზურგეთი 714
ოლთისი 336, 422
ოლიმპის მთა 367, 368
[illegible] ([illegible] †959) 445
[illegible] (წმ. [illegible])
[illegible] ([illegible]) 703
[illegible]
[illegible] ბარბაროსნი ([illegible]) 582
[illegible] იხ. [illegible]
[illegible] იხ. [illegible] ბარბაროსნი
ოპოცკი ალექსანდრე (ეგზარხოსი, 1901-1905) 467
ორბეთი (სოფ.) 424, 646
ორბელიანი ვახტანგ 672, 676
ორბელიანი ივანე 672

ორბელიანი სულხან-საბა 616, 647, 653, 655, 657-664, 669, 671, 682, 685

ორბელიანი ქრისტეფორე იხ. ქრისტეფორე ეპისკოპოსი

ორბელიანების გვარი 646, 673, 676

ორბელიშვილი სულხან, ყოფილი მონაზონი საბა, იხ. ორბელიანი სულხან-საბა

ორბეთის ციხე 56, 57, 387

ორბის ციხე (სამშვილდე) იხ. ორბეთის ციხე

ორეთი (ზღვა, მთა) 55, 56

ორენტი (მოწ.) 188, 189

ორესტი 381

ორკიეტო 491

ორთანესი (წმ. მოწ.) 377, 385, 437, 446, 448

ორიგენი 166, 193, 425

ორიგინე იხ. ორიგენი

ორლოვსკი (პოლონელი კათოლიკე) 711

ოსიპოვი გრიგორი (ლიტვიკელი მღვდ.) 551

ოსეთი 73, 118, 189, 314, 406, 422

ოსეთის მთა 625

ოსმალეთი 118, 514, 515, 688

ოტომანის პორტა 684

ოქროპირი, კათალიკოსი (XI ს.) 412, 466

ოქროპირიძე ლეონიდე (იმერეთის მღვდელი, XIX ს.) 451

ოცხე (აბასთუმანი) 39

ოძე 390

ოძრახი (ხევი) 156, 305

ოძრხე (ციხე-ქალაქი) 57, 305

ოძრხოს (კავკასოსის ძე) 305

# პ

პავლე (ათონის იღუმენი, 1185 წ.) 385

პავლე (მოციქული) 150, 177, 178, 375, 377, 478, 496, 510, 518, 547, 552, 610, 641

პავლე I (რუს. იმპერატორი) 123

პავლე II, პაპი 505, 512

პავლე III, პაპი 179, 473, 519—522, 554, 737

პავლე V, პაპი 459

პავლე ალმსარებელი, ალექსანდრიელი 384

პავლე, განდეგილი 257

პავლე ეგზარხოსი 440

პავლე, სუდარ ვარშამანგი იხ. პავლე მოციქული

პალადი (ბიზანტ. ავტორი, ელინოფილელი) 194

პალადი ეგზარხოსი 440

პალატინატო 562

პალერმო 539

პალესტინა 62, 161, 163, 184, 194, 196, 197, 202-204, 239, 291, 294, 344, 354, 363, 365, 367, 442

პალმისი (ეპისკოპოსი) 190

პალუა 82, 83

პაოლო დოჲ 708

პაოლო მარია და ფაენცა 550

პარდა (ქალაქი) 37

პართია 159, 166

პანკრატი წმ. (ეპისკოპოსი) 187

პარიზი 10, 29, 38, 178, 211, 440, 463, 616, 645, 652, 654, 658, 661, 664, 669, 688, 694

პარიჟი იხ. პარიზი

პარსუა 37, 89

პატკანოვი 83

პენიკოლა სილვესტრო, პაპი 668

პეროფაური სიქნიელი 218, 219

პეროვსკი (მინისტრი) 723

პეროზი (სპარსთა მეფე) 283

პეტერბურგი 110, 121, 147, 149, 151, 152, 154, 173, 195, 275, 385, 398, 438-440, 441, 449, 648, 669, 719

პეტი და ლაკრუა 506

პეტრა, კარდინალ-პრეფექტი 674

პეტრე (მოციქული) 130, 150, 167, 170, 172, 177, 178, 181, 182, 186, 187, 288, 322, 375, 377, 381, 430, 475, 487, 499, 510, 518-521 და მრავალი
პეტრე (მისიონერი ძმა) 488
პეტრე (ქართველი ბერი) 375
პეტრე I, ალექსის ძე (რუს. იმპერატორი, XVII ს.) 297, 298, 429
პეტრე I კათალიკოსი 248, 250, 402, 403, 465
პეტრე II კათალიკოსი 465
პეტრე III კათალიკოსი 405, 465
პეტრე II, ანტიოქიის პატრიარქი 248, 402
პეტრე ათონელი 384
პეტრე ალექსის ძე (შვილი) იხ. პეტრე I, ალექსის ძე
პეტრე ბერი (საქ. კათალიკოსი გორგასლის დროს) იხ. პეტრე I კათალიკოსი
პეტრე იბერი (მაიუმის ეპისკოპოსი) 161, 162, 184, 194-197
პეტრე სენელი (მისიონერი) 498
პეტრე სულარ ვარშამანგი იხ. პეტრე მოციქული
პეტრე ტურელი 498
პეტრე ფულონი (ანტიოქიის პატრიარქი) იხ. პეტრე II, ანტიოქიის პატრიარქი
პეტრო პატრი (თეატინელი მონაზონი) 566
პეტროზ ანტიოქელი 285
პიერ მარიო ბორჯიელი ხან-სეპოლქრო (პატრი) 682
პიეტრო ავიტაბილე იხ. ავიტაბილე პიეტრო
პიეტრო დელა ვალე იხ. დელა ვალე პიეტრო
პიეტრო დონ იხ. პიეტრო დელა ვალე
პიეტრო, პატრი იხ. პიეტრო ავიტაბილე
პიზა 559
პირიზი გარგამიშელი 390
პიროს (სირიელი მამა) 390
პიტიოტაში (ბიჭვინთა) 189
პიუს II, პაპი 112, 505, 511, 515, 554
პიუს V, პაპი
პიუს VI, პაპი 617, 692, 694
პიუს IX, პაპი 723, 724
პილახი (წმ. მოწამე) 384
პლატონი 30
პლაცენტე 494
პლუტარქე 33
პოლ დე ლაგარდი იხ. დე ლაგარდი პოლ 60
პოლიევქტი (მოწამე) 188
პოლონეთი 559, 562
პომპეუსი (რომაელი სარდალი) 33, 66, 98
პონტ-ევქსინი იხ. შავი ზღვა
პონტო (ელინისტური სახელმწიფო მცირე აზიაში) 168, 184-187, 190, 192, 200, 232, 235, 279
პონტოს ზღვა იხ. შავი ზღვა
პონტოს კაპადოკია 185
პონტოს ევქსინოსი იხ. შავი ზღვა
პონტოს ქვეყანა იხ. პონტო
პონშანტრი (გრაფი, მინისტრი) 655, 659, 663
პოპიელი ანჯელო, იხ. ანჯელო პოპიელი
პორტუგენი 504
პოტა 488, 491
პოტიომკინი პავლე 122
პრაგო (წმ. მოწამე) 377
პრატეოლუსი 287, 288
პრეფექტი პატრი 639
პროეოსი (წმ. მოწამე) 377
პროკოპი (ველიზერის სენატორი და მდივანი) 445
პროკოპი (კესარიელი, ბიზანტ. ისტორიკოსი, VI ს.) 47, 175, 182, 212, 266-269, 450
პროკოფი იხ. პროკოპი (კესარიელი)
პრომეთე (მით.) 31, 190
პრომეთეოსი იხ. პრომეთე
პროსპერი წმ. 194
პროტაზი (წმ. მოწამე) 377
პროხორე ბერი (ჯვრის წინამძღვარი, XI ს.) 356, 373
პროხორე, მამა იხ. პროხორე ბერი
პრუსია 119
პტოლემე (ბერძენი ავტორი) 49
პურკეზე (ქვეყანა) 68

## ჟ


ჟაკმო ა. (აბატი) 137-139, 141-144, 149

ჟალეთი 216

ჟან-ბაპტისტ დე ვიკე (მაგისტრი, ესპანეთის ელჩი) 580

ჟერბერონი 128, 137, 143, 144

ჟორდანია თ. 151, 286, 404, 405, 410, 411, 414-416, 419, 421-423, 451, 454, 455, 483, 492


## რ


რააბე მ.რ. 195

რაბია, ანოკახიის (აფხაზეთის) მთავარი 513

რაძივილი ნიკოლოზ 359

რაბეთი (თეიმურაზ II-ის მოძღვარი) 435

რაევი პალადი (ეგზარხოსი, 1887-1892) 467

რაზტი ანრი (მონაზონი) 505

რამატა 222

რამზეს I (ეგვიპტის ფარაონი) 61

რამზეს II (სეზოსტრისი, ეგვიპტის ფარაონი) 61, 64

რამინი (ქუცნა ამირეჯიბის ძე) 393, 394

რანი 121, 307

რაჟდენი (წმ. მოწამე, V ს.) 242, 250—252

რაჭა 435, 464, 688

რევი, რევ მართალი (ქართლის მეფე, ამაზასპის დისწული) 188

რევი (მირიან მეფის ძე) 216, 238, 240

რეიმსი (ქალაქი) 132

რეკლუსი ე. 75

რეტა I, პეტიუსის ძე 86

რეჯინალდო ლენტინელი 668

რიზე 189

რიეტი 490, 491

რიონი (ფაზისი, მდინარე) 31, 38, 43, 47, 48, 169, 547, 584

რიფათ (ლამერის ძე) 58

რიუხიმე 214, 215, 217, 220, 221, 232, 233

რიშარი, რიშარდი ჟ. (მისიონერი, XVII ს.) 462, 645, 647, 650, 651

რკინის-ჯვარი (მთა) 156

რომენ არგირი იხ. არგირი რომენ

რობერი 84

როეანზიდი 91

რომანოზ ახალი (წმ. მოწამე) 377

რომანოზ იმპერატორი 172, 368

რომანოზ კეისარი იხ. რომანოზ იმპერატორი

რომანას ხეობა (სოსნეთი) 367

რომანო მარკო 582

რომენ არგიხი იხ. არგისი რომენ 372

რომი 7-10, 12, 99, 118, 163, 180, 182, 202-204, 213, 214, 219, 231, 232, 235, 278-280, 258, 361, 367, 434-436, 454 და მრავალი

რომის ეკლესია იხ. რომი

რომილოს (წმ. მოწამე) 378

როპი ედუარდ 733

როსი (საფარ ფაშას შვილიშვილი) 532

როსტომ მეფე (1632-1658) 207, 420, 574, 576, 583

როსტომ რაჭის ერისთავი 464, 686

როსტომ რაჭის მთავარი იხ. როსტომ რაჭის ერისთავი

როსტომ-ხანი იხ. როსტომ მეფე

როსტოპჩინი (გრაფი, XVIII ს.) 124

როტიე (პოლკოვნიკი) 473, 522, 524, 704, 708, 710

რუბინო 488

რუდნევი იოანიკე (ეგზარხოსი, 1867-

1892) 467

რუისი 390

რუისის საეპისკოპოსო 321

რუსა (ურარტუს მეფე) 87, 95

რუსა (ქეცნა ამირეჯიბის ცოლი) 393

რუსანოვი თეოფილაქტე (ეგზარხოსი, 1817-1821) 467

რუსეთი 80, 120–123, 124, 125, 127, 128, 144, 152, 153, 338, 400, 429, 437, 438, 445, 448, 562, 617 და მრავალი

რუსთავი 57

რუსთაველი შოთა 106, 107, 442

რუსტიკა (რუსტიკანე I-ის მოძღვარი) 175

რუსუდან მეფე (თამარ მეფის ასული, საქართველოს მეფე) 105, 111, 178, 393, 394, 415, 472-474, 476, 479, 485

რუსუდან დედოფალი იხ. რუსუდან მეფე

რუსუდან დედოფალთ-დედოფალი (ვახტანგ VI-ის თანამეცხედრე) 172, 173

რუფინუსი (ავტ. IV ს.) 161, 162, 194, 198, 199, 202, 203, 207, 211, 217, 232, 241, 283

რუქნადინი (რუმის სულთანი) 105

## ს

საათაბაგო იხ. სამცხე

სააკ ამირა (ისმაილის ძე) 302, 311, 319

სააკ პერთევი (წმ. მოწამე) 377

საბა (?) 462

საბა ბერი იხ. ორბელიანი სულხან-საბა

საბა ბერმონაზონი იხ. ორბელიანი სულხან-საბა

საბა წმ. 383, 397

საბა ქართველი 364

საბა ციხისჯვარელი 397

საბარათიანო 422, 423, 506, 507

საბერძნეთი 33, 48, 62, 168, 219, 215, 216, 220, 229, 231, 305, 307, 404, 458, 514

საბერძნეთის იმპერია (ბიზანტია) 253

საბინინი 9, 147, 188, 197, 235, 257-259, 261, 262, 264, 265, 285, 308, 310, 316, 317, 334, 371, 374, 542

საგარითი (ზიკირტუ) 37

საგარეჯო 422

საგდუხტი (ვახტანგ გორგასლის დედა) 293

საგინაშვილი ელისე (თბილელი, სიონის განმაახლებელი) 256

სავარდო 710

საულე (ბიბლ.) 609, 610

საურმე (კაბადო, სპარს. მონარქი) 253

სათლე 188

სათლებელი (მთა) 189

სათოველე (მთა) 424

სალიკი (არზრუმის გამგებელი) 335

სალმანასარ III (მეფე ძ.წ. 859-825) 89

სალამინი იხ. კონსტანცია

სალომე უჯარმელი, უჯარმელი (მირიან მეფის ძის, რევის თანამეცხედრე) 216, 218, 219, 223, 235, 240

სალტუკ ალ-მელიქი (არზრუმის მთავარი) 335

სამარი (მცხეთის მამასახლისი) 98

სამეგრელო 29, 32, 38, 39, 47, 48, 74, 86, 173, 174, 176, 177, 184, 307, 453, 461, 462, 512, 529, 530, 545, 547, 582, 583, 587, 604, 605-607, 609, 611-613, 615 და მრავალი

სამოელ I, კათალიკოსი 403, 465

სამოელ II, კათალიკოსი 405, 465

სამოელ III, კათალიკოსი 404, 465

სამოელ IV, კათალიკოსი 404, 465

სამოელ V, კათალიკოსი 404, 465

სამოელ VI, კათალიკოსი 405, 408, 465

სამოელ VII, კათალიკოსი 465

სამოელ VIII, კათალიკოსი 405, 465

სამოელ IX, კათალიკოსი 405, 465
სამოელ X, კათალიკოსი 466
სამოელ კათალიკოსი („აბოს წამების“ დამკვეთი, 786-790 წწ., შესაძლოა იგივე სამოელ VIII) 312, 315, 410
სამოელ დიდი (ზედაზნის არქიმანდრიტი, †739) 345
სამოელი (ზედაზნის არქიმანდრიტი, †979) 345
სარმეანე კათალიკოსი 465
სამსონი იხ. სებასტოპოლი
სამუელ ანელი 337
სამური (მდინარე) 31
სამღერეთი 387
სამშვილდე იხ. ორბის ციხე
სამცხე (სამცხე-საათაბაგო, მესხეთი) 39, 121, 156, 157, 159, 270, 305, 311, 372, 385, 406, 418, 422, 423, 429, 453, 454, 495, 531, 735
სამწვერისი 424, 507
სამხარაძენი 424
სანდალგიანი (აეტ.) 84
სანებელი 424
სანკტ-პეტერბურგი იხ. პეტერბურგი
სანტა-მარინელა 8
სანჩოუსი ბარო (ელჩი) 545
სარატოვი 684, 685
სარგონი (არმენიის მეფე, ძვ.წ. 781-704) 91
სარდა (მეფე, ძვ.წ. 742) 82
სარდინია 698, 718
სარდური I (სადური, სედური-მეფე, ძვ.წ. 839) 87, 89
სარდური II, (მეფე, ძვ.წ. 745-728) 87, 90, 91
სარდური III (მეფე) 87
სარკის წმ. გიორგი (სოფ.) 424
სარმეან კათალიკოსი 405
სასანიანთა დინასტია (ქართული შტო) 100
სასხორი (სოფ.) 424
სატყეპელა 546
საფარ ფაშა 532
საფრანგეთი 235, 431, 644, 645, 647, 653-655, 660, 663, 668, 669, 688, 693, 696, 698, 705
საფურცელი (დაბა) 333
საქართველო 13, 14, 29, 33, 36, 38, 39, 41, 42, 47, 50, 80, 81, 85, 86 და მრავალი
საქრი იხ. საქრისი
საქრისი 156, 157
საღოლაშენი, საღულაშენი 395
სააკ ასირია, ასპანელის ძე იხ. სააკ ასირია
საჰაკ II, დიდი (სპარსთა მეფე) 76
საჰაკ კათალიკოსი (IV ს.) 280
სებასტიანე (წმ. მოწამე) 383
სებასტიონი იხ. ვესპასიანე სებასტორი
სებასტოპოლისი 167, 169
სედური იხ. სარდურ I
სევასტე იხ. ცხუმი
სეზოსტრისი 47, 85
სეიდი (ასირა) 319
სეისი მ. 62
სელია შაქე (დიდაზნაური) 612
სელიმბრია 379
სენისკარტი (ქალაქი) 37
სენ მარტენი 78
სენ მიშელი 505
სენედუხი დედოფალი (წმ. მოწ.) 377
სერაპიონ მღვდელთმოძღვარი 481
სერაფიმ მელიკოკელი 619, 625
სერბია 446
სერგი არქიმანდრიტი 152
სესოსტრისის კოლონია 186
სვანეთი 38, 39, 47, 74, 159, 174, 406, 422, 424, 453
სვესენწკა 298
სვიმეონ კათალიკოსი იხ. სიმონ კათალიკოსი
სვიმეონ მანდრელი, წმ. 378
სვიმეონ მესვეტე 256, 363, 378
სვიმეონ სასწაულმოქმედი იხ. სვიმეონ მესვეტე
სვიმონ I, მეფე იხ. სიმონ I, მეფე
სვიმონ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი (1659—1666) 461, 466
სვიმონ კანანელი იხ. სიმონ კანანელი
სვიმონ-პეტრე (იგივე კვირიონი, კირიონი) კათალიკოსი (VI ს.) 404, 465
სიდონია (აბიათარ მღვდლის ასული) 198, 226, 339
სიზირიხარდი (სახელმწიფო) 37
სილარი (სახელმწიფო) 37

სილვესტრი I წმ., პაპი 128, 130, 132, 133, 182, 272, 277-280, 523
სილვესტრო პენიკოლა იხ. პენიკოლა სილვესტრო
სილიბისტრე პატრი 639, 640
სილიბისტრო იხ. სილვესტრი I, პაპი
სილოგაავა ვ. 461
სილოსი (გამომცემელი) 572
სიმეონ არქიეპისკოპოსი 402
სიმეონ, სჳმეონ კათალიკოსი 411, 412, 466
სიმონ I, კათალიკოსი (1544-1548) 420, 461, 466
სიმონ I, (ქართლის მეფე, 1558-1601) 173, 207, 473, 522, 524
სიმონ კანანელი 140, 159, 160, 169, 374, 441
სიმონ მოგვი 322
სიმონი იხ. სიმონ კანანელი
სინას მთა 295, 363, 442
სინოპი 165, 185
სიონი წმ. 301
სირია 63, 91, 256, 345, 363, 364, 373, 475, 486, 494
სიღნაღი 234
სიცილია 187, 660
სიქსტ IV, პაპი 515
სკვითია, სკვითეთი 30, 165-168
სკვირეთი (მდინარე) 57
სკიტის უდაბნო 196
სკლიაროსი, სკლეროსი იხ. ბარდა სკლიაროსი
სლავეთი 446
სმირნა (სმირნის საეპისკოპოსო) 498, 676, 677
სოგდიანა 167, 168
სოზომენი (ბიზანტ. ისტ.) 192, 194, 203
სოზონი (წმ. მოწამე) 378
სოკმანი იხ. სუკმან I
სოკრატე (ბერძნ. ფილოსოფ.) 194, 199, 202, 211, 212, 232
სოლომონ I (იმერეთის მეფე) 464, 492, 494, 495, 617
სოლომონ II (იმერეთის მეფე) 124, 376, 705-707
სოლომონი (ბიბლ.) 193, 417, 656
სომხეთი 14, 29, 34, 36-38, 51, 53, 59, 60, 63, 67, 71-76, 80—86, 89, 94, 159, 188, 189, 213, 215, 220—222, 232, 233 და მრავალი
სორის ხევი 393
სოსანგეთი იხ. აწყური, აწყური
სოხასტეს ხავანე 372
სოფენე 95
სოფიო (წმ. მოწამე) 378
სოფრონი (წმ.) 167
სპარსეთი 30, 38, 102, 119, 121, 122, 175, 252, 253, 268, 302, 431, 440, 496, 510, 513, 515, 525, 529, 530, 533-536, 543, 544, 550, 590, 591, 594, 598, 619, 622, 629, 630, 643, 644, 647 და მრავალი
სპერის ზღვა 56
სპირიდონ საკვირველმოქმედი 383
სტავროპოლი 12, 440
სტამბოლი იხ. სტამბული
სტამბული 12, 440
სტანისლავი (მოგილიოვის არქიეპისკოპოსი) 703
სტაქის (წმ. მოწამე) 377
სტეფანე I (ნახჭევნის არქიეპისკოპოსი) 521
სტეფანე (პირველმოწამე და არქიდიაკონი) 301, 376, 377
სტეფანე (ჯვრის მოღვაწე, V—VI სს.) 356
სტეფანე (ჯვრის მოღვაწე, XI ს.) 356
სტეფანე (წმ. ბასილის წესის მონაზონი) 464
სტეფანე ეპისკოპოსი (X ს.) 346
სტეფანე მტბევარ-ეპისკოპოსი (VII ს.) 311
სტეფანე სამოსატელი 76
სტეფანე მამა 392
სტეფანოზ I (დიდი, გუარამ კურაპალატის ძე, ქართლის ერისმთავარი, ააგო მცხეთის ჯვარი) 102, 301, 404
სტეფანოზ II (არჩილ II-ის მამა, ადარნასეს ძე, ქართლის მთავარი, VII ს. შუა წლები) 405, 408, 525
სტეფანოზ I იხ. სტეფანოზ II (არჩილ II მამა)
სტეფანოზ ერისთავი (გურგენის ძე, ქართლის ერისთავი, VIII ს. II ნახ.) 315

სტეფანოზ ერისმთავარი იხ. სტეფანოზ I (დიდი)
სტეფანოს იხ. სტეფანოზ I (დიდი)
სტრაბონი (ბერძენი ავტორი) 33, 48, 75, 100, 179, 185
სქორია მიქია 607
სუანეთი იხ. სვანეთი
სუბდების ქვეყანა 169
სუბუნი (სამთავრო) 89
სუდანიზაჰადახი (მილიდის მეფე) 87
სულეიმანი 302
სუკმან I, (იბრაჰიმის ძე) 332, 335, 336
სულაქი (მდინარე) 31
სულუმალი (მილიდის მეფე) 87
სულხან-საბა (ორბელიანი) იხ. ორბელიანი სულხან-საბა
სუმბატ მეფე 295
სუნბა (სახელმწიფო) 37
სურა 91
სურამი 391
სუტეხი (ღვთაება) 63
სუქიოსი 188

## ტ

ტავროსი 62
ტაკოჰანი (წმ. მოწამე) 377
ტალიკლა (სახელმწიფო) 37
ტამერლანი იხ. თემურლენგი 207, 418
ტანგოდორი (იგივე მუჰამედი, თათართა ყაენი, XIII ს.) 176
ტაო 159, 422
ტაორმინა 187
ტარახოსი (წმ. მოწამე) 377
ტარონიდი (ალმ. ევფრატის სათავე) 95
ტარსი 374
ტაძარი:
- ამაღლების (მოსკოვში) 152
- ატენის სიონის 319, 320
- აწყურის 270
- ბაგრატის (ქუთაისში) 207, 319, 320, 324, 342, 353
- კონსტანტინოპოლის საეკლესიო საყდარი 546
- მეტეხის სობორო 270
- მოციქულთა (ბორჯომში) 169
- მცხეთის საპატრიარქო, საკათალიკოსო (საკათედრო) იხ. ეკლესია
- რიკოთის 461
- უფლის საფლავი, წმ. საფლავი 358
- ქუთაისის მთავარი საკათედრო იხ. ბაგრატის
- ღვთისმშობლისა (გელათში) იხ. ეკლესია
- ღვთისმშობლისა (აბაზგთა ქვეყანაში) 267
- ღვთისმშობლისა (ქვაბთახევში, ქვათახევში) 508
- შიო ზედაზნელის იხ. ეკლესია
- შატბერდის 295
- ხალდის 92
- ტაძრები (აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოსი) 468-470

ტარხოლარი (განგუმუს მეფე) 88
ტარხუნაზი (მილიდის მეფე) 87
ტახისკარი 57, 58
ტაშირი 422
ტერ-იაკობი 524
ტერესი (ქალაქი) 90
ტერტულიანე 190, 192
ტიბეტი 52
ტიბრი 584
ტიგლათფილესერ I (თუქულთიაფალეშარი, ასურეთის მეფე, ძვ.წ.) 86, 89
ტიგლათფილესერ II 91
ტიგრან I (მეფე) 95
ტიგროსი 37, 72, 82, 89, 91
ტილმონი იხ. ტილემონი
ტილემონი (ბოლანდისტი ავტორი) 136, 167, 196

ტიმოთე (ეპისკოპოსი, V ს.) 196
ტიმოთე მოციქული 377
ტიმოთე გაბაშვილი იხ. გაბაშვილი ტიმოთე 239
ტიმოთე კარმელიტანი, პატრი 578
ტიმოთეო ფეხშიშველი იხ. ტიმოთე კარმელიტანი
ტირასპოლი 684, 723-725
ტირიდატე 209, 278
ტიროსი 66
ტიტე კეისარი (ვესპასიანეს ძე) 98
ტიტუს (იმპერატორი) 163
ტორ დელ გრეკო 624
ტორნის ხევი 387
ტორსი (საფრანგეთის მინისტრი) 616, 645, 649, 650, 662
ტოსკანა 604
ტრაიანე 189
ტრანსილვანია 446
ტრაპიზონი, ტრაპეზონი 105, 124, 155, 174, 184, 185, 445, 446, 513, 531, 532, 609, 709, 716, 722
ტრირი (ქალაქი) 128-138, 152
ტრიპოლი (ქალაქი) 488
ტურელი გრეგუარი იხ. გრეგუარ ტურელი
ტური 128
ტურუშპანა (იგივე დურუშპანა, ქალაქი ურარტუში) 37
ტუხამი (მეფე) 88
ტუხანი (ქვეყ.) 88
ტუნა 88
ტფილისი იხ. თბილისი
ტყეყბა 56
ტყვე ქალი იხ. ნინო წმ. (ქართველთა განმანათლებელი)

# უ

უასურამი (მეფე) 88
უპიტი 424
უგუინინო 488
უდაბნო 422
უდაკი (მეფე) 87
უდარუხი (მეფე) 88
უდე 385
უდურუსი (მეფე) 88
უდუხალსი (სახელმწიფო) 37
უილიამსი, უილემსი (დოქტორი) 129—136, 141, 152
ულეანისი (სახელმწიფო) 37
ულისე (მით.) 96
ულო 415
ულუმბა (ულუმბო, მთა) 395
ულუსუნი (მეფე) 87, 92
უნგრეთი 562
უჯარმა (უჯარმა, ქალაქი) 216, 217, 237, 270, 311
ურარტუ (სახელმწიფო იგივე არარატის სახ.) 37, 69—74, 80, 82, 83, 86, 87, 89, 90—93
ურბან VI, პაპი 505
ურბან VIII პაპი 282, 400, 426, 456, 457, 529, 530, 535, 539, 552, 553, 555, 556, 560, 566, 570, 573, 580, 582-584, 587, 592, 594, 609, 610
ურბნისის საეპისკოპოსო 58, 295, 317, 321, 323
ურდო 493
ურზანა (მეფე) 88, 91, 92
ური (ბიბლ.) 186
ურია ქეტელი (გმირი) 126
ურიმა (მეფე) 88
ურმია (ტბა) 37, 90
ურმიეთი (ქალაქი) 37
ურსა (მეფე) 87, 91—94
ურსინიუსი გრიგოლ 563
უტუფურსი (მეფე) 91
ურუშაძე ა. 33
ურფალა (მეფე) 88
უსლარი 36
უსპენსკი პორფირი (თეოლოგი, ჩერნიგოვის ეპისკოპოსი) 448

უსიტი (მეფე) 88
უხტანესი (სომხ. ისტ. X ს.) 283
უყლისციხე 58, 311, 342
უყლოსი (მცხეთოსის ძე) 51, 57, 58, 65, 66
უშანიზი (ქალაქ. ციხე-სიმაგრე) 93
უწლევი (სოფელი) 394
უჯარმო იხ. უჯარმა

# ფ

ფაზისი (მდ. იგივე რიონი) 38, 48, 167, 169
ფაზისი (ქალაქი. იგივე ფოთი) 190, 269
ფავსტოს ბიზანტიელი 274, 275
ფალავანდიშვილი 124, 394
ფანავარი 58
ფანეკი 422
ფარვანი (ტბა) 221
ფარნავაზი (ქართლ. მეფე) 76, 77, 98
ფარნაკი 188, 189
ფარნაოზ (ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ძე) 706
ფარსმანი 422
ფარსმან IV (მეფე) 402
ფარსმან V (მეფე) 403
ფარსმან VI (მეფე) 256, 293, 346, 403
ფარსმან ხურციძე იხ. ხურციძე ფარსმან
ფარსმანი (იბერიის მეფე) 99
ფარნუჯი (ქვეყანა) 69
ფაუსტიტიელი 95
ფაფანი (სოფ.) 424
ფეინასი 392
ფეროდისი 589
ფილარეტე (ალექსანდრ. მისიონის მიტროპოლიტი) 152, 446
ფილიპეს მენესტელე (წმ. მოწამე) 377
ფილოკიტემონი (წმ. მოწამე) 377
ფილოსოფოსი (არქიტექტორი) 62
ფილიპე (ისაკი) 129, 547
ფილიპე (ესპანეთის მეფე) 540
ფილიპე კეთილი (ბურგუნდიის ჰერცოგი) 515
ფილიპე პატრი იხ. ფილიპე [illegible]რანელი
ფილიპო ფირანელი 708
ფილოპატრისის ველი 375
ფირმინი, ფირმინო 188, 189
ფიურსტი 67
ფლორენცია 509, 517, [illegible], 660, 666, 671
ფოკა (წმ. მოწამე) 377, 378
ფოკასი 188
ფორტუნატო კარინელი 693
ფოტიუსი 483, 526
ფოფხაძე ნ. 12
ფრანჩესკო პიკეტი, ეპისკოპოსი 630
ფრანჩესკო პისტოია 582
ფრანჩესკო სალელი 624
ფრანჩისკე აპრილი (იტალიელი) 554
ფრანჩისკე პადუელი 699
ფრანცისკუს პიზანი 498
ფრედეგერი 128, 138-140
ფრედერიკო სტორიაელი 693
ფრედერიკო ბრწყინვალე (იმპერატორი) 477, 478
ფრიგია 72, 73, 83
ფრიდრიხ II, პრუსიის მეფე 119
ფრიქსე (მით.) 96
ფრიუენი მ. 77
ფრუმენტიოსი 214
ფუსტა (ქალაქი) 169
ფცოა (მდინარე) 390

## ქ


ქაიხოსრო (ლევან მეფის ძე) 421
ქალკედონი იხ. კრება
ქამი (ბიბლ) 62
ქამილი (არაბი მწერალი) 328
ქანაანი (ბიბლ.) 62
ქარზანი (თათართა მეფე) 494
ქარეციხე (ახალციხე) 515, 516
ქართლ-კახეთი 422, 434
ქართლი 32, 39, 56, 57, 74, 155, 198, 204, 213, 216, 217, 223, 232, 234, 238, 270, 285, 305-307, 309—312, 314, 338, 411, 422-424, 429, 436, 461, 526, 558, 713
ქართლოსი 55-57, 64, 66, 81
ქართლოსი იგივე ქართლი 39
ქეთევან, დედოფალი კახეთისა, წამებული (თეიმურაზ I-ის დედა) 114, 529, 534, 537, 539, 540, 563
ქვაბლოვანისწყალი 385
ქვარიანი ს. 8
ქინძარი 222, 228
ქინთახვი (მეფე) 88
ქობულიანი 422
ქორთუაძე 607
ქოქათის პატრიარქი იხ. ბაგრატ მეფე 519
ქრისტეფორე კასტელი იხ. კასტელი ქრისტეფორე
ქრისტეფორე ეპისკოპოსი (XVIII ს.) 616, 672, 675-678
ქრისტეფორე I, კათალიკოსი 420, 466
ქრისტეფორე (წმ. მოწამე) 377
ქრისტეს საფლავი 361, 445
ქსანი 295
ქსენონი 195
ქსენოფონტი 184
ქსერქსე (მით.) 65
ქუაბნი (სოფელი) 424
ქუაბთახევი 508
ქუთაისი 8, 11, 29, 43, 47, 207, 296, 306, 307, 325, 348-354, 394, 399, 440, 461, 526, 597-600, 627, 700, 706-708, 712, 713, 720
ქუთაისის გუბერნია 124
ქურდისი (ზედაზნის არქიმანდრიტი, †891) 345
ქურთისტანი 39
ქურციკო (ქუცნა ამირეჯიბის პაპა) 393
ქცია (მდინარე) 387


## ღ


ღადო 55
ღაზა 161, 196, 197
ღალაკტიონი (წმ. მოწამე) 384
ღამერთი (იაფეტის ძე) 56
ღართი 228
ღოდორა (სოფელი) 394, 395
ღოლეთი (სოფელი) 395


## ყ


ყაზანი (მონღოლთა სარდალი) 417
ყაზბეგი იხ. მყინვარწვერი
ყაიყული 422
ყანდაარი 643

ყარამანი (ისმაილ-ბეგის შვილი) 513
ყარსი 43, 103, 343
ყაუხჩიშვილი თ. 99, 100
ყაუხჩიშვილი ს. 9, 81, 101, 146, 160, 233, 246, 272, 293, 302, 311, 320, 404
ყაფლანიანი ქრისტეფორე იხ. ქრისტეფორე ეპისკოპოსი
ყვარყვარე ახალციხელი ათაბაგი 343, 519, 521
ყველისციხე 385
ყვირილა 43, 392
ყალიჩარხლანი 104
ყირიმი 189, 190
ყიფიანი დიმიტრი (თავად-აზნაურთა წინამძღოლი) 440
ყუარყუარე იხ. ყვარყვარე ახალციხელი ათაბაგი
ყუბანი 31, 43
ყუელი 311

## შ

შავთელი აბულ იხ. აბდულ შავთელი 442
შავი ზღვა 30, 38, 39, 43, 47, 48, 53, 55, 56, 62, 63, 67, 74, 78, 86, 103, 115, 167, 184, 185, 192, 302, 458, 462, 514, 524, 647, 649, 650
შავი მთა 363, 372, 373, 446
შავშეთი 310, 311, 422
შაკუ ხელია იხ. ხელია შაკუ
შალვა (ახალციხელი) 481
შალვა (ქსნის ერისთავი) 541-543
შამასპატი 69
შამში-ბინ. III 90
შამში-რამან IV 90
შანიძე ა. 295
შაქი (ქვეყანა) 330
შანშე (ივანე მხარგრძელის ძმისწული) 476, 478
შარაშიძე ქ. 419
შარდენი (ფრანგი მოგზაური) 171, 287
შარი-კინუსი (მეფე) 69
შარლ VII (საფრანგეთის მეფე) 515
შაქი 121, 406, 422, 424
შაქისი იხ. შაქი
შაჰ-აბას I (აბას დიდი) 112, 152, 461, 541, 664
შაჰ-აბას II 541, 543, 591
შაჰ-არმენი 335, 337
შაჰ-ბანუ (შაჰ-არმენის ცოლი) 335
შაჰ-სეფი 669
შაჰნავაზი, შანავაზი იხ. ვახტანგ V
შაჰყულიანი პავლე (დავით-პავლე, ახალციხელი მღვდელი) 710, 712, 718, 720
შემოქმედი 207
შემს-ალ-მელქ ოსმანი 332
შილიდი (ქვეყანა) 88
შინდისი 424
შიო (ზედაზნელი) 293
შიო (ზედაზნის არქიმანდრიტი, †919) 345
შიო (სირიელი მამა, მღვდელი, იოანეს მოწაფე) 242, 257, 259, 345, 410
შიო I კათალიკოსი (XV ს.) 418, 466
შიო მღვიმე 317
შირაზი 114, 536, 537, 540
შირვანი 121, 332, 406, 422, 424, 534
შნაიდერი იოანე იხ. იოანე შნაიდერი 505
შორაგალა 713
შორაპანი 32
შროშანა (სეფე-ქალი) 225
შუა აზია 278
შუამთა 392
შუშანიკი (წმ. მოწამე, დედოფალი) 285

## ჩ


ჩამჩიანი (სოფელი [illegible]) 283
ჩელეთი 57
ჩელესტინი, პატრი 708
ჩერქეზი, ჩერქეზეთი 47, 406, 422
ჩიასხაგ კათალიკოსი 403
ჩიბო ეპისკოპოსი 624
ჩივიტავეკია 8
ჩითადინელი ანჯელო იხ. ანჯელო ჩითადინელი
ჩიჩაგა იხ. ჩიჩაღ
ჩიჩაღ კათალიკოსი 465
ჩინგიზ-ხანი 479
ჩიტიყლაძე 395
ჩოჩეთი (სოფელი) 424
ჩხეიძე (ხუცესი) 314
ჩხეტიძე სვიმეონ იხ. სიმონ კათალიკოსი
ჩხეტიძე ევდემონ იხ. ევდემონ კათალიკოსი 457
ჩხოტუა როსტომ 607


## ც


ცაგარელი ალ. 356
ციმბირი 62, 717
ციციანოვი 703
ციხე-დიდი (სოფელი) 424
ციხე-გოჯი (სამეგრე) 307
ცუარი (ქუჯნა [illegible]) 393
ცურტავი 285
ცოლოთი (სოფელი) 124
ცხენისწყალი (იგივე ჰიპუს) 33, 307
ცხინვალი 700
ცხუმი 159, 307


## ძ


ძაბბი (თეატრონელი [illegible]რი) 176, 462
ძაღლაანი (სოფელი)
ძეგვი (სოფელი) 424
ძელი ცხოვრებისა 270


## წ


წათე (ზანაქსის ძე, [illegible] და ლაზია) 267, 268
წავკისი (სოფელი) 424
წილკანი 269
წინა აზია 95
წინარეხი 389
წურწყუმი 385
წინუბანი 424
წიფურია 604
წმ. მთა იხ. ათონი (მთა)
წმ. მიწა 359
წმ. საფლავი 360
წობენი 216
წუნდა 58, 234

## ჭ


ჭავჭავაძე გარსევან 122
ჭავჭავაძე ი. 10
ჭიჭინაძე ზ. 10, 12
ჭიჭნაუმ-ასემი (არაბი სარდალი) 302, 307, 309
ჭკიროსი 424
ჭოროხი (ზედაზნის არქიმანდრიტი, †901) 345
ჭოროხი (მდინარე) 31, 38, 189, 387
ჭოროხის აუზი 346


## ხ


ხაზარეთი 56
ხალდე 92
ხალდი (ღვთაება) 94
ხალდირი (სახელმწიფო) 37
ხალიდ იზიდის ძე 302, 310
ხალიფ იმამი იხ. იმამი, ხალიფა
ხალფი (სახელმწიფო) 37
ხანალისი (ქალაქი) 90
ხანცაგი (სულთანი) 332
ხარხარი (ციხე-სიმაგრე) 94
ხარისჭირაშვილი პეტრე (ახალციხელი მღვდელი, კონსტანტინოპოლის ქართული კონგრეგაციის დამაარსებელი) 11, 726-728
ხარიტონ აღმსარებელი 378
ხატკანისი (ქალაქი) 90
ხატი:
- ალავერდის ეკლესიის წარწერიანი 313
- ალოხის ღვთისმშობლისა (ესპანეთი) 409
- ათონის ღვთისმშობლისა 370
- აწყურის ღვთისმშობლისა 155, 158, 159, 409
- ბიჭვინთის ღვთისმშობლისა 457
- გელათის ღვთისმშობლისა 455
- იესო ქრისტესი 376, 482
- კუმურდოსი 419
- მეტეხის ხატი 440
- ნინოწმინდის ღვთისმშობლისა 440
- ოქონისა 172, 173
- ღვთისმშობლისა 270, 307, 341, 460, 482, 670, 721
- ყოვლად წმიდისა იხ. აწყურის ღვთისმშობლისა
- ხელთუქმნელი (ღვთისა) 425

ხეზშემს ელდინ ილდეღუზი 336
ხეკორძი 424
ხერსონესი 174, 189
ხეფინისხევი 395
ხვანა 385
ხვედურეთი 390, 424
ხილ-ვარდი 343
ხილარუადას I (მეფე) 87
ხილარუადას II (მეფე) 87
ხმალაძე ნ. 703
ხმელთაშუა ზღვა 573
ხრამი 38, 387
ხრისო 188
ხობი (მოწამე) 377
ხორანთა 56
ხორასანი 330
ხორნაბუჯი 390
ხორსაბადი 69
ხოსრო (სპარსთა მეფე, VI ს.) 252, 270, 283
ხოსრო-მირზა იხ. ვახტანგ VI
ხოსრო-ხანი იხ. ვახტანგ VI
ხუარასნეული (მოგვი მთავარი, ნანა დედოფლის დედის ძმა) 227
ხუასრო მეფე იხ. ხოსრო
ხუბისნა (ქვეყანა) 88

ხუბუსკია (სახელმწიფო) 37, 80, 90
ხუბუსქია იხ. ხუბუსკია
ხუნანი 56, 57
ხურციძე ფარსმან 481

## ჯ

ჯავახეთი 121, 311, 422
ჯავახიშვილი ივ. 154, 159—161, 165, 166, 168, 169
ჯავახოსი (მცხეთოსის ძე) 57, 58
ჯავის წყალი 480
ჯაკომო სტეფანო (მღვდელი) 554
ჯალალედინი (მუჰამედ ხვარაზმშაჰის ძე) 42, 111, 255, 481
ჯანაშვილი 420
ჯან ბატისტა დე ვივესი 582
ჯანდირი 387
ჯანი სტეფანე ვანდოლფო, პატრი 690
ჯანიბეგ (ასანიძე) იხ. ასანიძე ჯანიბეგ 395
ჯარდინა ანტონიო 575, 588, 589
ჯაფარი, ამირა (ალის ძე) 303, 311
ჯაფარი, ამირა (იბრაჰიმის ძე) 315
ჯაყისწყალი 385
ჯვრის (გოლგოთის) მთა 360
ჯიოვანი დე ლუკა, პატრი 549
ჯიროლამო ნორჩიელი, პატრი 690
ჯირჯენტელი ნიკოლო იხ. ნიკოლო ჯირჯენტელი 682
ჯიოვანი ტადეო 578
ჯიხან-ქეოჭისა (ქალაქი) 306
ჯოვანი მარია ანჯოლელო 515
ჯოკომო პატრი (თეატინელი მონაზონი) 566
ჯუზეპე დი ჯუდიჩე (პატრი, მისიონერი) 427, 568-570, 583, 604, 607, 630, 708
ჯუდიჩი იოსებ, პატრი იხ. ჯუზეპე დი ჯუდიჩე
ჯულიო ბონავენტურა (ტრენტიელი პატრი) 434
ჯულიო ქრემონელი, პატრი 639, 667
ჯუსტინო ლივორნელი, პატრი 630, 631, 634, 637
ჯუსტინო პატრი იხ. ჯუსტინო ლივორნელი
ჯუსტო პრატო (თეატინელი პატრი) 534, 535, 575

## ჰ

ჰაბიბი 302
ჰაბო იხ. აბო თბილელი
ჰაიკი 59
ჰაიკისი (აზნაური) 76
ჰაიტონი (ისტორიკოსი) 176, 252
ჰალისი (მდინარე) 67, 72, 95
ჰამარი 69
ჰამაქსობიუხი 190
ჰამქსენი (პროვინცია, ხეობა) 252, 253
ჰანიბალი მეორე იხ. ლევან დადიანი
ჰაოხი (ბიბლ.) 55, 56
ჰარა ბერეზაიტი ზენდ-ავესტასი (მთა) 52
ჰარმა 59
ჰარონი (ბიბლ.) 150
ჰარუა (ქალაქი) 93
ჰახანბეგი 514
ჰებრონი 62
ჰელენა იხ. ელენე დედოფალი

ჰელენეპოლისი იხ. ელენეპოლისი
ჰელესპონტი 512
ჰერაკლე კეისარი, იმპერატორი 42, 102, 141, 242, 270, 271, 300, 404, 526
ჰერაკლეა 279
ჰერეთი 55-57, 310
ჰეროდოტე 64-66, 72, 74, 83, 186
ჰეროისი (მოწამე) იხ. კროსი (მოწამე) 188, 189
ჰეროსი (თარგამოსის ძე) 55
ჰეტიუსი იხ. აიეტი
ჰილაკი (ქვეყანა) 69, 93
ჰილაკუ (კილიკია) იხ. ჰილაკი
ჰინდი (მდინარე) 52
ჰინდიქუში (ქედი) 52, 53
ჰიშამი (ხალიფა) 302
ჰომეროსი 33, 75, 185, 186
ჰონორიუს III, პაპი (XIII ს.) 178, 415, 472-474, 483, 736
ჰონორიუსი (იმპერატორი, III—IV სს.) 208, 292, 293
ჰოტეილერი ალმან დე 132
ჰონტჰეიმი (ბოლანდისტი ავტ.) 136
ჰორმიზდასი, პაპი (VI ს.) 267
ჰუაბტი (ქალაქი) 92
ჰუგ დე ფლავინი 132
ჰუგი 128, 137, 142, 144
ჰული (მეფე) 88, 93
ჰური (ქალაქი) 58
ჰურიათა ბაგინი 223
ჰურიასტანი 186

## A

Aeneas Sylvius 515
Agathiae Scolastici 170, 268, 269
Agathias le Scolastique cf. Agathias Scolastici
Ambrosii (St.) 131
Amiaud–Sehcil 89
Amsterdam 287, 666
Anvers 361
Antonin (St.) 287, 494
Appien 98
Aricht R. von 443
Armenie 53, 660
Ascenez (bibl.)
Asia 621, 645
Asia–Cipro 282
Asie cf. Asia
Assurbanipal 53
Assurnazirabal 89
Auvray L. 484, 488

## B

Babelon 61
Bachart 53
Baedeker 355
Barhebraeus 492
Baron 167
Baronius C. 183, 189, 268
Bartolomaei di Silignaco 359, 492
Bauvais (Vincent de) 287, 408, 479, 488
Baylet 546
Bedik Petrus 622
Berthier J. 637
Bessarion 208
Bodenstedt 722
Bologne 78
Botta 69, 93
Brocardus 359, 365
Brosset (M.) 42, 59, 110, 111, 114,

146, 147, 179, 188, 190, 196, 246, 250, 256, 271, 277, 285, 287, 302, 303, 311, 312, 317, 320, 328...ect.
Brugsch 61
Burnouf E. 83
Bruxelle 122, 361, 609

## C

Cajetanus Maria Cottono 589, 598
Caragon Auguste 549
Carli D.
Carriere A. 211
Casteli C. 539, 558
Caterin Zeno 33
Caucase 29, 30, 47, 52
Caucaso (Monte) 647
Caucaso–Georgia (Monte) 452, 658, 661, 662, 675, 677, 681, 683, 684
Cedrenus 327
Cetthim (bibl.) 58
Chantre E. 29, 32, 34, 36, 38, 40, 48, 60, 62, 74, 99, 102, 302, 347, 399
Cherif–ed–Din 506
Chardin 171, 287
Charies P.F. 502
Ciaconius 268
Combes Louis de 132
Cortuga 547
Cyrille d'Alexdrie 53
Cyrille de Jerusalem 138

## D

Dasippe G. 171
Davidof 32
De Barante 515
De Cara (Casare) 61, 62, 63
De Gubernatis F. 499
De Lagarde 60, 515
D'Ohsson C. 303
De Serpos A. 278
Deguignes 326, 327, 303, 335
Delattre 53
Diodore de Sicile 185
Dion Cassius 98
Dodanim (bibl.) 58
Dubois de Monpéreux 30, 34, 52, 75, 180, 165, 343, 409, 496, 532
Duchesne 187
Dulaurier 665

## E

Elisa (bibl.) 58
Erainchan (Herachee) 547
Eubel C. 505
Eudoxe Eustathe 95
Europe 345
Eusebe (de Cesarée) 53
Eustathe d'Antioche 53
Evagri Scholastici 196
Ezechiel 67

## F

Faustus de Byzance 273
Favre E. 30
Feret 211
Ferrario 180
Ferro Bartolomeo 178, 428, 536, 557, 558, 561, 571, 576, 582, 587, 591, 592, 597, 604, 613
Flandin Eugène 664, 665
Fontana 505
Fredegarii Scholast 140

## G

Gamba 664
Galanus C. 278, 428, 502, 564, 587, 588, 597, 665
Gaume 53
Geneve 30
Giorgia 58, 169, 528, 550–552, 607, 608, 613, 621–623, 639, 645, 660, 661, 665, 667, 675, 677, 703–705, 709, 710, 716
Gomer (bibl.) 58
Govvea Antoine de 544
Gregoire (St.) 196
Gregorii (St.) 290
Gregorii Abulpharagii 303
Gregorii (St.) Theologi Testamentum 194

## H

Hammer G. de 531
Hannover 132
Hanovre 358
Henrion 502
Herodote 53, 64, 65, 85, 95, 185, 186
Herodotus cf. Herodote
Homere 64
Huysmans 730

## J

Jean Chrysostome 53
Jerone (St.) 53
Jules Soury 185
Justin (St.) 53

## K

Klaproth J. 47

# L

Lagard 73, 93, 94, 89
Lamberti A. 179, 583, 589, 591, 592, 604, 610
Langlois V. 76, 100, 104, 221, 233, 273–276, 303, 367, 485, 491
Lebeau 132, 303, 482
Leipzig 47, 107, 303, 355
Leist 107
Lenormant 53, 60, 63, 67–69, 74, 76
Leopoli 662
Levant 221
Lille 137
Linas Ch. (de) 399
Liparita 548
Londre 60, 62
Lotz W. 68
Lynch H. F. B. 76
Lyon 282, 494

# M

Madai (bibl.) 58
Magdebourg 492
Magog (bibl.) 58
Mai A. 280, 281
Mansi P. 280
Margula 548
Martin (St.) 53, 221, 303, 339, 482, 646
Martin F. 132
Maspéro G. 37, 61, 63, 60, 72, 82, 86
Matagne H. 282
Mauri 548
Maxim Petit 62
Mengrelia 169, 552, 607, 608, 621–623
Mesopotamia 660
Michael a Tugio 432, 618, 621, 623, 635, 637, 679
Michaud 478
Migne 131, 132, 138, 139, 142, 166, 167, 175, 176, 184, 194, 195, 202, 203, 248, 268, 290, 291, 355
Mingrelia cf. Mengrelia
Mochavario 548
Moïse de Khorène 58, 281
Moscoria 611
Mueller 95
Muralt Edouard de 369

# N

Naples 171, 179
Napolie cf. Naples
Niceforo Irbachi 559
Nicephori Callisti 176
Nicolas 490

# O

Odessa 32
Odysse 34

## P


Paris 29, 34, 37, 52, 53, 60–62, 69, 72, 74, 82, 83, 100, 104, 132, 151, 167, 192, 194, 211, 233, etc.
Peiser 89
Persia 169, 431, 552, 607, 608, 660
Pertz H. 132, 358, 483
Petersburg St. 42, 59, 277, 331, 367, 368, 395, 421
Petit P.L. 273
Petrus der Iberer 195
Piettro dela Valle 172, 535, 549, 553
Pitton du Turnefort 666
Pline 71
Plutarque 33, 98
Polonia 611
Pompée 33
Potthast 484
Procope (de Césarée) 132, 175, 268, 269, 355
Ptolomèe 71


## Q


Quinte 96


## R


Rocco Da Casinal P. 636
Radzivid N. C. 360
Ramasio 176
Rawlinson Henry 53, 60, 73, 83, 89
Raynaldi 475–478, 488, 498, 501, 511, 513, 517
Reclus E. 29, 31, 39, 51, 74, 75
Reinach T. 74
Reineri Beinecci 253
Reland 48
Ricoldo de Monte Croce 494
Riplath (bibl.) 58
Rome 61, 171, 178, 188, 197, 235, 268, 269, 428, 489, 498, 536, 608
Rottiers 122, 124, 609
Rouen 533
Russia 611


## S


Saint–Martin (Vivien de) 59, 66
Satcapela 546
Savce 53
Sayce M. 64, 83, 89, 91, 94
Sbarabea Hyacitha 489
Schutz 89, 91, 94
Shamschiramman 90
Sibos J. 171, 556, 571, 591
Smitha G. 53
Socrate 192

Somal Soukias 273
Soury Jules cf. Jules Soury
Strabon 30, 33, 71, 179, 185
Stritter 102
Surius Bernardin 361

## T

Tacite 96
Tartaria 169, 607, 608, 613
Tchamitch 274, 283, 333, 364
Tharsis (bibl.) 58
Thebris-Khan 548
Theodoret 53
Thiras (bibl.) 58
Thogarma (bibl.) 58
Thoma 524
Thubal (bibl.) 58, 70
Tiglathphalaser 89
Tillemont 167, 187, 197
Transcaucasie 32
Trombetti A. 78
Turin 502

## V

Vacant A. 273
Vartan 278
Vatican 241
Vence 48
Venise 233, 273, 274, 287, 479
Vigouroux F. 53
Vincent de Bauvais cf. Bauvais (Vincent de)
Vivien de Saint-Martin cf. Saint-Martin (Vivien de)

## W

Wadding Y. 506, 512, 516
Willems C. 130, 131, 133–136, 143

## X

Xenophon 33

# შ ი ნ ა ა რ ს ი


წინასიტყვა ქართული გამოცემისათვის — ზაზა ალექსიძე, ჯუმბერ ოდიშელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .7

წინასიტყვა (თარგმანი ნელი ჯაციცაძისა) . . . . . . . . . . . .13

ბიბლიოგრაფია . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 15

თავი I (თარგმანი ნელი ჯაციცაძისა) . . . . . . . . . . . . . . . 29

გეოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ

I. კავკასიონის მთების აღწერილობა, მათი ფორმაცია. მთავარი მდინარეები. წიაღისეული სიმდიდრენი. კავკასიის ფაუნა. კავკასიის მოსახლეობა — II. აღწერილობა სომხეთისა და მისი მთავარი ქალაქებისა, რომლებიც ძველად ქართველთა მოდგმით ყოფილა დასახლებული — III. საქართველოს აღწერილობა, მისი ნაწარმი და სიმდიდრენი. ქართული ტიპი. თბილისის აღწერილობა — IV. იმერეთის აღწერილობა, მისი ჰავა, ნაწარმი და მოსახლეობა. ქუთაისის აღწერილობა. — V. სამეგრელოსა და მისი მოსახლეობის აღწერილობა.

თავი II (თარგმანი გურანდა დათაშვილისა) . . . . . . . . . . 51

ეთნოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ

I. ნოეს კიდობნის გაჩერების ადგილი. ქართული ტრადიცია. ქართველები და სომხები ერთი და იმავე წინაპრის შთამომავალნი არ არიან. — II. მცირეაზიელი ხეთები, მათი ბატონობა ეგვიპტეში და დაბრუნება სამშობლოში. ქართველების წინაპრები ხეთები არიან. — III. თუბალებისა და მოსოხების გაიგივება ქართველებთან — IV. ქართველთა წინაპრების, მესხეთისა და უელისის გაიგივება ბიბლიის მოსოხსა და თუბალთან. — V. ლურსმული წარწერები, რომლებიც შეეხება თუბალსა და მოსოხს. სომხეთის თავდაპირველი მოსახლეობა ქართველთა მოდგმისა იყო. — VI. ქართული ენა არის თვითნაბადი (sui generis).

თავი III (თარგმანი ნელი ჯაციცაძისა) . . . . . . . . . . . . . .80

ცნობები საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ

I. ადგილობრივი გადმოცემები საქართველოს უძველესი ხანის პოლიტიკური წყობის შესახებ. — II. მეცნიერთა დასკვნები სომხეთის პირვანდელი მოსახლეობის ქართველებთან იგივეობის თაობაზე. ზოგიერთი მეცნიერის ფუჭი ცდა, რომ ურარტული წარწერები სომხური ენის საფუძველზე ახსნას. — III. ფინიკიელთა და ბერძენთა მიერ საქართველოს სიმდიდრეთა გამოყენება. — IV. სომხეთის პირვანდელი მეფეები. ასურელთა თავდასხმები და ბრძოლები სომხეთში. ურარტუს სახელგანთქმული მეფენი. — V. ბერძნები და ალექსანდრე დიდი საქარ-

თველოში. რომაელთა მიერ საქართველოს დაპყრობა. საქართველოს მოსახლეობის ოთხ ფენად დაყოფა. ქრისტიანობის შემოსვლა და ვახტანგ მეფე. — VI. არაბთა შემოსევები. საქართველოს აყვავება დავით II-ისა და თამარის მეფობის ხანაში — VII. სამოქალაქო და საეკლესიო იერარქია. — VIII. მონღოლთა შემოჭრა და საქართველოს დასუსტება. თურქთა და სპარსთა შემოსევები. ცენტრალიზებული საქართველოსგან დასავლეთ საქართველოს გამოყოფა და მისი შედეგები — IX. საქართველოს ინტელექტუალური აღორძინება ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში (1703-1737). — X. პოლიტიკური და სამხედრო აღორძინება ერეკლე II-ის დროს (1744-1798)— XI. რუსეთის მფარველობაში შესვლა და საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს დასასრული.

თავი IV (თარგმანი სოფიო მენდიაშვილისა) .......... 128

წმინდა კვართი საქართველოში

I. ტრირის კვართთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა. წმინდა სილვესტრის სიგელი. წმ. ელენეს სამშობლო. წმ. სილვესტრისადმი მიწერილი სიგელის სიყალბე. — II. განხილვა ქსოვილისა, რომელშიც გახვეული იყო კვართი. სპილოს ძვლის ფილის ღირებულება. გადმოცემებისა და ხალხური ლეგენდების მნიშვნელობა. — III. არჟანტეის რელიკვია, როგორც უკერავი კვართის ნიმუში. ტურელი გრეგუარის მოწმობა. ფრედეგერის მოწმობა. პუგის ტიპიკონი. ჟერბერონის მოწმობა. — IV. კვართის შესახებ საქართველოში არსებული დოკუმენტები. ლოცვანი და შესხმანი კვართის სადიდებლად და თაყვანსაცემად. კვართის გაუჩინარება საქართველოდან. ლეგენდა მისი რუსეთში გადატანის შესახებ. დასკვნა.

თავი V (თარგმანი სალომე გაბუნიასი) ............ 154

წმინდა ანდრია მოციქული საქართველოში

I. ქართული გადმოცემა წმინდა ანდრიას მოციქულობის შესახებ. — II. პროფესორ ჯავახიშვილის კრიტიკული შეხედულება. ამ კრიტიკის პასუხი. — III. ცნობები წმინდა ანდრიას მისიაზე. ცნობები ზოგიერთი სხვა მოციქულის მისიაზე.

თავი VI (თარგმანი სალომე გაბუნიასი) ............ 170

ქართველთა სარწმუნოება

I. ქართველთა რწმენის სიწმინდის უარყოფა უსაფუძვლო ბრალდებაა. — II. სარწმუნოების ზეგავლენა ქართველთა ცხოვრებაზე და მათ მიერ გადატანილი ჭირ-ვარამი რწმენის სიწმინდის შესანარჩუნებლად. — III. საბუთი ქართველ ეპისკოპოსთა მორწმუნეობის შესახებ XVII საუკუნეში. — IV. პაპების მოწმობანი ქართველთა ჭეშმარიტი რწმენის შესახებ. დაქცეული ქვეყნისა და ქართველთა რწმენის ერთგულების დამამტკიცებელი მრავალი საბუთი. — V. მართლმადიდებლური ლოცვანი წმინდა პეტრესა და წმინდა პაპების პატივსაცემად მათი ლიტურგიკიდან.

თავი VII (თარგმანი ნინო ხმალაძისა) ............ 184

ქრისტიანობა ქართველთა შორის პირველ საუკუნეებში წმინდა ნინომდე

I. ქართველებით დასახლებული პონტო. ქართველების მიერ ებრაელებისგან წინადაცვეთის წესის გადმოღება. ქართველების კავშირი პალესტინასთან და მოციქულების დროს მათ შორის ქრისტიანობის გავრცელება. — II. პირველი წმინდანები. ხერსონესში გაგზავნილი

ტყვეები, რომლებმაც ქართველებს შორის რწმენის გავრცელებას შეუწყვეს ხელი. მარკიონი — პონტოელი ერეტიკოსი. — III. ევაგრე, განთქმული პალესტინელი ქართველი ბერი; მისი შრომები და დოქტრინა. — IV. მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი; მისი ცხოვრება და მრწამსი.

თავი VIII (თარგმანი ნინო ხმალაძისა) . . . . . . . . . . . . . . 198

წმინდა ნინოს მოციქულობა საქართველოში

I. ვარაუდი წმინდა ნინოს სამშობლოსა და მისი სახელის შესახებ. ნინოს ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი ავთენტიკური ძეგლის უქონლობა. რუფინუსი წმინდა ნინოს მიერ ქართველების მოქცევის შესახებ. რუფინუსის მეფე ბაკური ქართული ისტორიისთვის უცნობია. —II. აღმოსავლეთის მწერლები წმინდა ნინოს შესახებ. მოსე ხორენელის მონათხრობი. ხორენელისეული ამბის უზუსტობა წმინდა გრიგოლთან დესპანების გაგზავნასთან დაკავშირებით; რას ამბობენ აღმოსავლეთმცოდნეები მოსეს თხზულებებზე. ბერი მელქიტი ნიკონი ქართლის მოქცევის შესახებ. —III. წმინდა ნინოს მოციქულობა ქართული ქრონიკის მიხედვით. — IV. აპოკრიფული ამბავი წმინდა ნინოს შესახებ. წმინდა ნინოს უკანასკნელი დღეები ამ ამბის მიხედვით. — V. ნინოს მშობლები. იგი წმინდა ელენესთან მიდის. ნინოს გაქცევა თავის ამხანაგებთან ერთად და მისი გამგზავრება საქართველოში; ნინოს ჩასვლა საქართველოში; კერპთა დღესასწაული. ნინოს პირველი სასწაული. — VI. სიდონიას ნაამბობი ნინოს სასწაულებზე; მეფის მოქცევა. ეკლესიის აგება და სვეტის სასწაულებრივი აღმართვა. სვეტის მიერ მოხდენილი სასწაულები. — VII. აპოკრიფული ამბავი ქართლის მოქცევის შესახებ, რომლის ავტორობასაც მღვდელ აბიათარს მიაწერენ. — VIII. მირიან მეფის წერილი, ანუ ანდერძი. კონსტანტინეს წერილი მირიანისადმი. —IX. ანტიოქიის პატრიარქ ესტატეს მოგზაურობა საქართველოში.

თავი IX (თარგმანი ნინო ხმალაძისა) . . . . . . . . . . . . . . .242

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში წმინდა ნინოს შემდეგ

I. საქართველოს პირველი ეპისკოპოსების — იოანეს და იაკობის მოღვაწეობა და ბიზანტიური ლიტურგიის დაწესება. სპარსელების მიერ ქართველთა დევნა. — II. მეფე არჩილი სპარსელებს აძევებს და ქრისტიანულ კულტს აღადგენს. — III. მიქაელ ეპისკოპოსი და მისი მოღვაწეობა. ქართული ეკლესიის პირველი კათალიკოსის დანიშვნა. — IV. სპარსელების მიერ ქართველთა ახალი დევნა. ვახტანგ მეფე მათ ებრძვის და ბრძოლაში იღუპება. რაჟდენის წამება. ომი სპარსელებისა და ბიზანტიის იმპერატორებს შორის. საქართველოს აოხრება. — V. ცამეტი სირიელი მამის ჩამოსვლა საქართველოში. —VI. იოანე სირიელი. იოანეს მოწაფე შიო. იოანეს მეორე მოწაფე დავითი. — VII. ეპისკოპოსები ისე და აბიბო. ევსტათის მარტვილობა. — VIII. ადრინდელი ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. — IX. ჰერაკლე კეისრის მოსვლა საქართველოში.

თავი X (თარგმანი ნინო ხმალაძისა) . . . . . . . . . . . . . . 272

ქართველებისა და სომხების საეკლესიო განხეთქილება და საღვთო წერილის თარგმნა

I. სომხების უსაფუძვლო მტკიცება საქართველოს კათალიკოსის ხელდასხმასთან დაკავშირებით. — II. სიყალბე სიგელისა, რომელსაც პაპ სილვესტრს მიაწერენ. —III. ქართული ეკლესიის სომხეთის ეკლესიაზე დამოკიდებულების კვალის არარსებობა. — IV. ქართული ეკლესიის თავდაპირველი დამოკიდებულება ანტიოქიურზე. —V. სომეხი მწერლების მონათხრობი ქართველებისა და სომხების განყოფის შესახებ. —VI. ქართველი მწერლების მონათხრობი იმავე საკითხზე. —VII. განყოფა და ქართველთა და სომეხთა ურთიერთსიძულვილი. —

VIII. კათალიკოს კვირიონის წერილი პაპ გრიგოლ I-ს. — IX. საქართველოს პირველი ქრისტიანებისთვის ბიბლიის თარგმნის აუცილებლობა. — X. საღვთო წერილის პირველი თარგმანები. — XI. შეუძლებელია დადგინდეს, რომელი ენიდან ითარგმნა საღვთო წერილი ქართულად. — XII. ქართული ბიბლიის უძველესი ხელნაწერები. — XIII. 1742 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული ბიბლიის ბოლოსიტყვა.

თავი XI (თარგმანი გურანდა დათაშვილისა) . . . . . . . . . 300

არაბების და სელჩუკების შემოსევა. ქართული ეკლესიის მდგომარეობა VII—XII საუკუნეებში

I. ქართული ეკლესიის მდგომარეობა VII საუკუნეში. არაბების პირველი შემოსევა. სკვითების შემოსევა. — II. არაბთა თარეში. მრავალი ქართველის წამება. არაბთა მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებანი. — III. ეკლესიის სავალალო მდგომარეობა არაბთა ბატონობის შემდეგ. მეფე დავით II-ის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა რეფორმის ჩასატარებლად. — IV. თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ქართველთა გამარჯვებული ომები მათ წინააღმდეგ. — V. მეფე დავითის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა ქართველებთან სომხების შეერთების მიზნით. — VI. მეფე გიორგი III-ის მიერ ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება. — VII. თამარ მეფის მიერ მოწვეული საეკლესიო კრება და მისი მეცადინეობა სომეხთა შესაერთებლად.

თავი XII (თარგმანი გურანდა დათაშვილისა) . . . . . . . . . 344

სამონასტრო ცხოვრების განვითარება ქართველთა შორის

I. სამონასტრო ცხოვრების დასაწყისი. იოანე ახური მონასტერს აარსებს ზადენის მთაზე. შიოს მონასტერი. — II. ქართული საგალობლები. — III. გელათის მონასტერი. — IV. ჯვრის მონასტერი იერუსალიმში და პილიგრიმთა ცნობები მის შესახებ. — V. სხვა ქართული მონასტრები პალესტინასა და ბიზანტიის იმპერიაში. — VI. ქართული მონასტერი ათონის მთაზე. თორნიკე ბერი და სკლიაროსის აჯანყება. — VII. ექვთიმე ბერი და მისი ღვაწლი. გიორგი მთაწმინდელი და მისი ღვაწლი. — VIII. ექვთიმესა და გიორგის მიერ ნათარგმნი წიგნები. — IX. საქართველოს მონასტერთა ჩამოთვლა. — X. ულუმბოს მონასტრის შეწირულებათა წიგნი. საფარის მონასტრის წარწერა. — XI. ბერთა სულისკვეთება და საქმენი. მრავალი მონასტრის გაქრობა. ქართული ხელოვნება.

თავი XIII (თარგმანი სოფიო მენდიაშვილისა) . . . . . . . . . 400

ქართული ეკლესიის კათალიკოსთა ნუსხა

I. კათალიკოსთა ზუსტი ნუსხის დადგენის შეუძლებლობა. რუს მწერალთა უზუსტობანი. — II. კათალიკოსობის დაწესება ქართული გადმოცემის მიხედვით და უცხოეთიდან მოსული პირველი კათალიკოსები. — III. კათალიკოსი ქართველთაგან. — IV. მეექვსე საეკლესიო კრების მიერ ქართული ეკლესიისთვის ე.წ. პრივილეგიების მინიჭების შესახებ. — V. ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა. — VI. ზოგიერთი მომდევნო კათალიკოსის ზეობის დაუდგენელი თარიღები. — VII. მელქისედეკ კათალიკოსის საეკლესიო ღვაწლი. — VIII. სხვა თვალსაჩინო კათალიკოსები. — IX. კათალიკოსი არსენ III და მისი ღვაწლი. კათალიკოსი ნიკოლოზ II და მისი ღვაწლი. — X. ზოგიერთი მომდევნო კათალიკოსის ზეობის დაუდგენელი თარიღები. კუმურდოს ეპისკოპოსის მიერ კათალიკოსის უზენაესობის აღიარება. — XI. იმ კათალიკოსთა ნუსხა, რომელთა შესახებაც ცოტა რამ არის ცნობილი. კათალიკოსთა სიმრავლე. — XII. კათალიკოსის არჩევა და მისი იურისდიქციის ფარგლები. — XIII. მცხეთის საკათალიკოსო ეკლესიის სიმდიდრე. — XIV. პროპაგანდისა და ურბან VIII-ის წერილები კათალიკოს

ზაქარიასძე. —XV. ლომენტი IV-ის, ნიკოლოზ VI-სა და ნიკოლოზ VIII-ს შესახებ არსებული დოკუმენტები. — XVI. კათალიკოს ანტონ I-ის არჩევა, მისი შრომები, მოქცევა, განდევნა და საქართველოში დაბრუნება. —XVII. რუსეთის მთავრობისა და წმინდა სინოდის მოქმედება ქართული ეკლესიის საკათალიკოსოს გასაუქმებლად. ამ ეკლესიის ქონების დატაცება რუსი ეგზარხოსებისა და მთავრობის მიერ. — XVIII. ქართველი ეპისკოპოსების მოხსენება წმინდა სინოდისადმი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პირველი ასწლეულის გამო. — XIX. სამღვდელოებისა და ქართველი ერის განმეორებითი მიმართვა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამგვარი მოთხოვნების მოთავეთა დასჯა. — XX. დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო. ანტიოქიის პატრიარქთა ხრიკები თავიანთ გამგებლობაში ქართული ეკლესიის დასაბრუნებლად. — XXI. მთავარი და კათალიკოსი მალაქია. ურბან VIII-ის წერილი. დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სხვა კათალიკოსი. — XXII. გრიგოლ კათალიკოსი მისიონერებს ითხოვს ერთობის დასამყარებლად. კლემენტ XI-ის წერილი. კათალიკოსი ბესარიონი, მისი მრწამსი. —XXIII. საქართველოს კათალიკოსთა და ეპარქიათა ნუსხა.

თავი XIV (თარგმანი სალომე გამყნიასი) . . . . . . . . . . . . 472

მონღოლთა შემოსევა. კათოლიკური მისიის პირველი პერიოდი (XII—XVI საუკუნეები)

I. საქართველოს კავშირი დასავლეთთან. რუსუდან დედოფლისა და მხედართმთავარ ივანეს წერილები, გაგზავნილი პაპ ჰონორიუს III-სთან. პაპ ჰონორიუს III-ის პასუხი დედოფალსა და მხედართმთავარს. —II. მონღოლთა შემოსევა. ქართული ეკლესიის პასიურობა, რაც გამოიწვია რომთან კავშირის სისუსტემ. გრიგოლ IX-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან, და პირველ მისიონერთა მივლენა. მონღოლთა ხელახალი გამოჩენა. გრიგოლ IX-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფეებთან. —III. ნიკოლოზ IV-ის წერილები, გაგზავნილი დემეტრე მეფესა და საქართველოს კათალიკოსთან. მისიონერთა გაგზავნა. ქართველები იძულებულნი არიან, მორჩილად დათანხმდნენ მონღოლთა ბატონობას. ამ ბატონობის დამღუპველი შედეგები. დემეტრე მეფე თავს სწირავს ქვეყანას. —IV. მონღოლთა ჯარი, რომლის შემადგენლობაში ქართველებიც არიან, წმინდა ადგილებიდან სულთანს დევნის და ქართველები იერუსალიმის მფლობელნი ხდებიან. მონღოლთა ერთი ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა ქრისტიანობის მოსასპობად. გიორგი მეფის გამარჯვება. —V. მისიონერთა მოღვაწეობა. იოანე XXII-ის წერილი. კათოლიკობის აღმავლობა. ქართველი წამებულები. იოანე XXII-ის ბულა თბილისში ლათინური საეპისკოპოსოს დასაფუძნებლად და პირველ ლათინ ეპისკოპოსად იოანე ფლორენციელის დანიშვნა. იოანე XXII-ის მეორე წერილი, გაგზავნილი მეფე გიორგისთან. —VI. კლემენტ VI-ის წერილი, გაგზავნილი ბერთრანდო კოლეტთან, მის წარსადგენად თბილისის საეპისკოპოსოში. ინოკენტი ბერთრამს ასახელებს თბილისის ეპისკოპოსად. საქართველოს სხვა ეპისკოპოსები. —VII. თემურლენგის მიერ საქართველოს გაპარტახება. ქვეყნის აღდგენა. —VIII. კალიქსტო III-ის მიერ ქართველი ხალხისათვის მიწერილი წერილი. ნუნციუს ლუი ბოლონიელის მიერ აღმოსავლეთის ელჩების წაყვანა რომში პაპთან თურქების წინააღმდეგ კავშირის დასამყარებლად. ქართველი მთავრის წერილი, გაგზავნილი ბურგუნდიის ჰერცოგთან. — IX. ალექსანდრე VI-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან. ამ პაპის მეორე წერილი საქართველოს ელჩის წარსადგენად. — X. პავლე III-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს მეფესთან, და თავისი ნუნციუსის გაგზავნა საქართველოში. —XI. მეფე სიმონის წერილი, გაგზავნილი პაპთან. ქართველთა ერთგულება. პოლკოვნიკ როტიეს ანგარიში.

თავი XV (თარგმანი სიმილა გელაძისა) . . . . . . . . . . . . .529

თურქთა და სპარსთა ახალი შემოსევები. კათოლიკური მისიის ბოლო პერიოდი. თეატინელთა მისია 1626 წ.-დან 1700 წ.-მდე.

I. ქართული ეკლესიის გამოუსწორებელი დანაკარგი. ორი დიდი ურწმუნო იმპერია ერთმანეთს ედავება საქართველოს. თურქების შემოსევა და ქართველთა ამოჟლეტა. — II. ქვეყნის აოხრება სპარსთა მიერ და ქართველთა დიდად მნიშვნელოვანი ნაწილის გადასახლება სპარსეთში. — III. კახეთის დედოფლის — ქეთევანის წამება. — IV. დედოფლის მოძღვრის წამება. — V. სპარსელთა მიერ წამებული სხვა ქართველები. მათი ბატონობის მძიმე შედეგები. — VI. ქართველები იწყებენ მისიონერთა ძებნას. იეზუიტ მამათა, საქართველოს პირველ მისიონერთა წერილები. — VII. დომინიკელ მამათა მოხსენებები. — VIII. თეატინელთა მისიის დასაწყისი. პროპაგანდის წერილი, გაგზავნილი საქართველოს კათალიკოსთან. ურბან VIII-ის წერილი გაგზავნილი მეფე თეიმურაზთან. —IX. ნიკოლოზ ირბახი — თეიმურაზის დესპანი რომში; მეფის წერილი პაპს. ნიკოლოზ ირბახის მიერ წმინდა რეზიდენციაში წარდგენილი თხოვნა. ურბან VIII-ის წერილები, გაგზავნილი ესპანეთისა და საქართველოს მეფეებთან. — X. თეატინელთა ჩამოსვლა საქართველოში. მათი მიღება მეფის მიერ. მათი ღვაწლი. — XI. ნიკოლოზ ირბახის დაბრუნება საქართველოში. მისი მცდელობა უნიის მისაღწევად. თეიმურაზის წერილი ურბან VIII-ს. პროპაგანდა გზავნის სხვა მისიონერებსაც და წერილებს უგზავნის საქართველოს მეფესა და ნიკოლოზ ირბახს. — XII. თეატინელ პიეტრო ავიტაბილეს დაბრუნება რომში და მისი მოხსენება საქართველოს შესახებ. ავიტაბილეს დაბრუნება საქართველოში და ურბან VIII-ის წერილი საქართველოს მეფეს. პროპაგანდის წერილი კათალიკოს ზაქარიას. მეფის სიხარბე; მისი გულის აცრუება მისიონერებზე. მეფის გაქცევა. სპარსთა შემოსევა. — XIII. ისპაჰანის ლათინი ეპისკოპოსის იურისდიქცია და პროპაგანდის კოლეჯის დაარსება საქართველოს მისიონისათვის. — XIV. თეატინელთა მოღვაწეობა და მათი ახალი მისიონი სამეგრელოში. ურბან VIII-ის წერილი სამეგრელოს მთავარს. — XV. თეატინელთა ახალი მისია გურიაში და კათოლიკობის წარმატება. თავადის ასულ ელენეს მოქცევა და მისი სიმტკიცე კათოლიკობაში. მთავარ-კათალიკოსის გარდაცვალება და მისი მემკვიდრის ავი ზრახვები. — XVI. ახალი მისია იმერეთში. ურბან VIII-ის წერილი, გაგზავნილი აქაურ მეფესთან. ბერძენ პატრიარქთა გაგულისება; საქართველოში ალექსანდრიის პატრიარქ ნიკიფორეს გამოგზავნა მისიონერთა განსადევნად. იმერეთის მისიის მიტოვება. — XVII. მისიონერთა საქმიანობა სამეგრელოში და მათი გარჯა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. მისიონერები ამხელენ ნათლისღების ნაკლოვანებას და თავიდან ნათლავენ ბავშვებს. — XVIII. მოქცევა ორი არქიეპისკოპოსისა და მთავარ დადიანისა. მთავარი დადიანი ურბან VIII-ს უგზავნის პატრ დი ჯუდიჩეს, რომელსაც მასთან ატანს წერილს. სამეგრელოს მისიის წარმატება. — XIX. თეატინელები ტოვებენ საქართველოს მისიონერთა სიმცირის გამო.

თავი XVI (თარგმანი მანანა მანძულაძისა) . . . . . . . . . . .616

პროპაგანდა ფიდეს მისიონი. კაპუცინები საქართველოში 1661-1845 წწ.

I. პროპაგანდა საქართველოს მისიონს კაპუცინ პატრებს ანდობს. მისიონერების გამომგზავრება; მათი ჩამოსვლა; წერილები, რომლებშიც მისიონერები საქართველოში თავიანთი დაბინავების ამბავს იტყობინებიან. —II. კაპუცინ პატრი კარლოს დაბრუნება რომში; საქართველოს მეფის წერილი, გაგზავნილი პაპ ალექსანდრე VII-სთან. პროპაგანდის პასუხი. —III. ახალი მისიონერების გამოგზავნა; მისიონის წარმატება და პატრ ბერნარდეს მოხსენება პროპაგანდას. ქართველი ახალგაზრდების გაგზავნა რომში ურბანოს კოლეჯში. — IV. გიორგი მეფისა და ექვთიმე არქიეპისკოპოსის გაკათოლიკება; პაპთან გაგზავნილი მათი წერილები. პაპისა და პროპაგანდის პასუხები. — V. ბარძიმ ერისთავის გაკათოლიკება და პაპთან გაგზავნილი მისი წერილები. პაპის პასუხი. სხვა ქართველ დიდგვაროვანთა გაკათოლიკება. — VI. თავად საბას გაკათოლიკება. პაპთან გაგზავნილი მისი წერილი. მისიონერ რიშარის საბა

საფრანგეთში მიჰყავს და მის შესახებ წერილით მოახსენებს საფრანგეთის მინისტრ ტორსის. საბა წერილს სწერს პროპაგანდას; პროპაგანდა უპასუხებს და რეკომენდაციას უწევს პარიზში პაპის ელჩთან. მოხსენებითი წერილები საფრანგეთის მთავრობას. ლუი XIV ღებულობს საბას, რომელიც მიემგზავრება რომს, შეხვდება პაპს და მოხსენებას წარუდგენს პროპაგანდას. საბა აზერხებს, პაპმა ეპისტოლე მისწეროს ვახტანგ მეფეს. საბას დაბრუნება საქართველოში და პაპის ეპისტოლე. —VII. კათოლიკობის შემდგომი წინსვლა და მისი დევნა სომეხთაგან. მისიონერების წერილები ამის თაობაზე. — VIII. კათოლიკობის აღმავლობა. სხვა ქართველი თავადების გაკათოლიკება. პროპაგანდის მისალოცი წერილი. გაკათოლიკებული ქართველები პაპს სთხოვენ მდევნელებისაგან დაცვას. პროპაგანდის პასუხი. ქართველი თავადები თავიანთ თვისტომ ქრისტეფორეს, გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს რომში გზავნიან. ეს თავადები ისევ ითხოვენ რომის მფარველობას ხელახალი დევნის გამო. —IX. ისპაჰანის ლათინი ეპისკოპოსი ჩამოდის თბილისში და იქ თავის მთავარ ვიკარად ერთ კაპუცინ პატრს ნიშნავს. პატრების წინამძღვრის უკმაყოფილება. მისიონერები ითხოვენ ეპისკოპოსის დანიშვნას საქართველოში. ეპისკოპოსობა ძლიერ უშლის ხელს კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში. —X. მისიონის გაფართოება დასავლეთ საქართველოში. ორი კათალიკოსისა და სხვა წარჩინებულთა გაკათოლიკება. მისიონის დევნა. თეიმურაზ მეფე მისიონერებს ეკლესიას ართმევს და მათ სამეფოდან აძევებს. მისი მემკვიდრე ერეკლე მისიონერებს კვლავ მოუხმობს. პაპი კლემენტ XIV ერეკლეს მადლობას უხდის და სთხოვს მისიონის შემწეობას. — XI. კავკასიის მთიელთა წმინდა იოანე ნათლისმცემლის პატრების ახალი მისიონი. პაპ კლემენტ XIII-ის ეპისტოლე პატრებს. ამ მისიონის წარუმატებლობა. — XII. ახალციხის მისიონი. სომხები ატყვევებენ და ქონებას ართმევენ მისიონერებსა და კათოლიკე მღვდლებს. პაპ პიუს VI-ის წერილი სოლომონ იმერთა მეფეს. — XIII. სომხები ერეკლე მეფეს ფულით ხიბლავენ და ულმობლად სდევნიან კათოლიკეებს. ერეკლე ევროპის სახელმწიფოების დახმარებას ეძიებს და ბოლოს რუსეთს უკავშირდება. საქართველოს აოხრება სპარსელების მიერ. — XIV. მოგილიოვის არქიეპისკოპოსის უკანონო ჩარევა საქართველოს კათოლიკეთა საქმეში. თბილისის ეკლესიის რეკონსტრუქცია. იმერეთის მეფე და ერეკლეს ვაჟები პროპაგანდას სთხოვენ, პატრი ნიკოლოზი საქართველოში დატოვოს. პროპაგანდის პასუხი. — XV. მისიონერების ნაკლებობა. მოხსენება მისიონების შესახებ. სომეხი მღვდლების ცდები მისიონერთა განადევნად. —XVI. მოხსენებანი ლიონის სარწმუნოების პროპაგანდაში. რუსეთის მთავრობის მიერ მისიონერების გაძევება. კათოლიკეთა მდგომარეობა.

მოკლე შინაარსი და დასკვნა (თარგმანი სიმილა გლაძისა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .734

სურათების ნუსხა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .740

საძიებელი (შეადგინა ნესტან ჩხიკვაძემ) . . . . . . . . . . . . .743

63. 3 (2 ს)
თ 257

© გამომცემლობა „კანდელი", 1995 წ.

გამომცემლობის რედაქტორი ნანა მაჭავარიანი
ტექრედაქტორი ნელი შველიძე
კორექტორები: ნანა ქავთარაძე, ეთერ ჯიქია

გამომცემლობა „კანდელი",
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, №17

გადაეცა წარმოებას 25.07.94 წ., ხელმოწერილია
დასაბეჭდად 15.11.94 წ., საბეჭდი ქაღალდის
ზომა 60X90 1/16, ტირაჟი 1500, შეკვ №4.

აიწყო და დაკაბადონდა
საგამომცემლო ფირმა „აგა"-ს
კომპიუტერულ ცენტრში
რუსთაველის გამზირი №48

ააწყო
ნათელა ტალახაძემ

დააკაბადონეს:
ირაკლი ავალიანმა, თემურ მდინარაძემ

დაიბეჭდა და აიკინძა
სააქციო საზოგადოება
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში,

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5